კონსტანტინე კორკელია

სიცოცხლის უფლების დაცვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველო



კონსტანტინე კორკელია

სიცოცხლის უფლების დაცვა: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველო

თბილისი
2025

Konstantin Korkelia
Protection of the Right to Life: The European Convention on Human Rights and Georgia
Tbilisi, 2025

წიგნზე მუშაობა დასრულდა 2024 წლის ნოემბერში.

© კონსტანტინე კორკელია, 2025 წლის თებერვალი.

ISBN 978-9941-9885-3-0

სარჩევი

წინასიტყვაობა 9
შესავალი 11
ნაწილი I – სიცოცხლის უფლების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით 18
1. ზოგადი საკითხები 18
2. სიცოცხლის მოსპობის აკრძალვა – ნეგატიური ვალდებულება 27
2.1. სიცოცხლის მოსპობის მტკიცებულება 27
2.1.1. თავისუფლებააღკვეთილი პირის გარდაცვალება 28
2.1.2. პირის იძულებითი გაუჩინარება 30
2.2. სიცოცხლის უფლების დარღვევა სიცოცხლის მოსპობის გარეშე 36
2.3. ექსტრადირება და დეპორტირება 40
2.4. სიცოცხლის მოსპობა, როდესაც სახელმწიფოს წარმომადგენელი არ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობას 42
3. დაშვებული გამონაკლისები სიცოცხლის მოსპობის აკრძალვიდან 45
3.1. სიკვდილით დასჯა 46
3.2. სიცოცხლის მოსპობა დაშვებული მიზნებით 48
3.2.1. სიცოცხლის მოსპობა პირის დაცვისას არამართლზომიერი ძალადობისაგან 50
3.2.2. სიცოცხლის მოსპობა კანონიერად დაკავებისას ან კანონიერად დაპატიმრებული პირის მიმალვის აღკვეთისას 57
3.2.3. სიცოცხლის მოსპობა ავჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად კანონიერ ღონისძიებათა გატარებისას 65
4. სიცოცხლის უფლების დაცვა – პოზიტიური ვალდებულება 68
4.1. ზოგადი მიმოხილვა 68
4.2. სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება: არსებითი ნაწილი 72
4.2.1. სიცოცხლის უფლების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შექმნის ვალდებულება 72
4.2.1.1. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ძალისა და იარაღის გამოყენების მარეგულირებელი კანონმდებლობა 74
4.2.1.2. სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საქმიანობის (სფეროს) მარეგულირებელი კანონმდებლობა 80
4.2.2. პრაქტიკული ღონისძიებების გატარების ვალდებულება სიცოცხლის უფლების დასაცავად 81
4.2.2.1. იდენტიფიცირებული პირის სიცოცხლის დაცვა სხვა კერძო პირისაგან (მესამე მხარისაგან) მომდინარე საფრთხის შემთხვევაში 86
4.2.2.2. საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა 100
4.2.2.3. თავისუფლებააღკვეთილი პირებისა და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის ვალდებულება 108
4.2.2.3.1. პატიმრის სიცოცხლის მოსპობა სხვა პატიმრების მიერ 108
4.2.2.3.2. პატიმრის სიცოცხლის დაცვა თვითმკვლელობისაგან 111

4.2.2.3.3. სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების სიცოცხლის დაცვა....125
4.2.2.4. სიცოცხლის დაცვის ვალდებულება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში 141
4.2.2.4.1. სიცოცხლის დაცვის ვალდებულება თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში....151
4.2.2.5. საფრთხის შემქველი საწარმოო საქმიანობა, ბუნებრივი კატაკლიზმები და უბედური შემთხვევები 155
4.2.2.5.1. სიცოცხლისათვის საფრთხის შემქველი საწარმოო საქმიანობა 157
4.2.2.5.2. ბუნებრივი კატაკლიზმები 160
4.2.2.5.3. უბედური შემთხვევები....164
ა) უსაფრთხოება სკოლაში 164
ბ) სამშენებლო საქმიანობის უსაფრთხოება....167
გ) სამხედრო საქმიანობის უსაფრთხოება 169
დ) ტექნიკური უსაფრთხოება....172
ე) სატრანსპორტო სისტემის უსაფრთხოება....177
ვ) საზოგადოებრივი ადგილების უსაფრთხოება 179
ზ) სამაშველო ოპერაციების უსაფრთხოება....180
4.3. სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება: საპროცესო ნაწილი 186
4.3.1. გამოძიება, როგორც სახელმწიფოს დამოუკიდებელი ვალდებულება 197
4.3.2. პირის გარდაცვალების ეფექტიანი გამოძიების მიზანი და ფორმა 198
4.3.3. გამოძიების სტანდარტები....200
4.3.3.1. გამოძიების დაწყება 202
4.3.3.2. გამოძიების დამოუკიდებლობა....204
4.3.3.3. გამოძიების ადეკვატურობა 207
4.3.3.3.1. მოწმეთა ჩვენებები 210
4.3.3.3.2. მტკიცებულებათა მოპოვება 213
4.3.3.3.3. ავტოფსია....218
4.3.3.4. გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყება და გონივრული სისწრაფით წარმართვა 221
4.3.3.5. გამოძიების მიმართ საზოგადოებრივი კონტროლი და გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობა გამოძიების პროცესში 228
4.3.4. გამოძიების ვალდებულების თავისებურება დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულის მიმართ....235
4.3.5. პასუხისმგებლობა სიცოცხლის მოსპობისათვის....240

ნაწილი II – სიცოცხლის უფლების დაცვის სტანდარტები საქართველოში და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან 247

5. სიცოცხლის მოსპობის აკრძალვის (ნეგატიური ვალდებულება) მარეგულირებელი კანონმდებლობა და მისი შესრულების პრაქტიკა საქართველოში 248

5.1. სიცოცხლის მოსპობის აკრძალვისა და მისგან დაშვებული გამონაკლისების მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში 248
5.1.1. სიცოცხლის მოსპობა პირის დაცვისას არამართლზომიერი ძალადობისაგან 249
5.1.2. სიცოცხლის მოსპობა კანონიერი დაკავებისას ან კანონიერად დაპატიმრებული პირის მიმალვის აღკვეთისას 253
5.1.3. სიცოცხლის მოსპობა აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად კანონიერ ღონისძიებათა გატარებისას 259
5.2. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ძალისა და იარაღის გამოყენება საქართველოში 261
ა) კანონმდებლობა 261
ბ) პრაქტიკა 272
5.3. სიცოცხლის უფლების დარღვევა სიცოცხლის მოსპობის გარეშე 281
5.4. ექსტრადირება და დეპორტირება 283
5.5. სიცოცხლის მოსპობა, როდესაც სახელმწიფოს წარმომადგენელი არ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობას 285

6. სიცოცხლის უფლების დაცვის (პოზიტიური ვალდებულება) მარეგულირებელი კანონმდებლობა და მისი შესრულების პრაქტიკა საქართველოში: არსებითი ნაწილი 289

6.1. სიცოცხლის უფლების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში: ზოგადი საკითხები 289
6.2. კერძო პირისაგან (მესამე მხარისაგან) მომდინარე საფრთხიდან იდენტიფიცირებული კერძო პირის სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში 291
6.2.1. ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობა 291
ა) კანონმდებლობა 291
ბ) პრაქტიკა 296
6.2.2. ადევნება 302
ა) კანონმდებლობა 302
ბ) პრაქტიკა 303
6.2.3. მოწმეთა დაცვის სისტემა 303
ა) კანონმდებლობა 303
ბ) პრაქტიკა 304
6.2.4. დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაული 304
ა) კანონმდებლობა 304
ბ) პრაქტიკა 305
6.3. სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საქმიანობის (სფეროს) მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში 307
6.3.1. საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში 308
ა) კანონმდებლობა 308
ბ) პრაქტიკა 317
6.3.2. თავისუფლებაღკვეთილი პირებისა და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში 319

6.3.2.1. თავისუფლებააღკვეთილი პირების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში 320
6.3.2.1.1. სხვა თავისუფლებააღკვეთილი პირისაგან თავისუფლებააღკვეთილი პირის სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში....320
ა) კანონმდებლობა....320
ბ) პრაქტიკა 327
6.3.2.1.2. თვითმკვლელობისაგან თავისუფლებააღკვეთილი პირის სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში 329
ა) კანონმდებლობა....329
ბ) პრაქტიკა 342
6.3.2.2. სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში 345
6.3.2.2.1. სამხედრო სამსახურში მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში 345
ა) კანონმდებლობა....345
ბ) პრაქტიკა....353
6.3.2.2.2. ფსიქიატრიულ და სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებში მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში 358
ა) კანონმდებლობა....358
ბ) პრაქტიკა 366
6.3.2.3. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში 369
ა) კანონმდებლობა 369
ბ) პრაქტიკა 379
6.3.2.3.1. სიცოცხლის დაცვის ვალდებულება თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში....382
ა) კანონმდებლობა....382
ბ) პრაქტიკა 386
6.3.2.4. საფრთხის შემცველი საწარმოო საქმიანობის, ასევე ბუნებრივი კატაკლიზმებისა და უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში 392
6.3.2.4.1. სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საწარმოო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში 392
ა) კანონმდებლობა 392
ბ) პრაქტიკა....398

6.3.2.4.2. ბუნებრივი კატაკლიზმების თავიდან აცილების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში 400
ა) კანონმდებლობა 400
ბ) პრაქტიკა 411
1. 2015 წლის წყალდიდობა თბილისში 412
2. 2023 წლის რაჭის (შოვის) სტიქია 413
6.3.2.4.3. უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში 419
6.3.2.4.3.1. უსაფრთხოება სკოლაში 419
ა) კანონმდებლობა 419
ბ) პრაქტიკა 424
6.3.2.4.3.2. სამშენებლო საქმიანობის უსაფრთხოება 426
ა) კანონმდებლობა 426
ბ) პრაქტიკა 429
6.3.2.4.3.3. სამხედრო საქმიანობის უსაფრთხოება 431
ა) კანონმდებლობა 431
ბ) პრაქტიკა 436
6.3.2.4.3.4. ტექნიკური უსაფრთხოება 437
ა) კანონმდებლობა 437
ბ) პრაქტიკა 439
1. გაზის სისტემების უსაფრთხოება 440
2. ლიფტების უსაფრთხოება 441
3. სახანძრო უსაფრთხოება 444
4. ელექტროდენის უსაფრთხოება 446
6.3.2.4.3.5. სატრანსპორტო სისტემის უსაფრთხოება 449
ა) კანონმდებლობა 449
ბ) პრაქტიკა 453
1. საგზაო-სატრანსპორტო უსაფრთხოება 453
2. სარკინიგზო ტრანსპორტის უსაფრთხოება 455
3. მეტროთი სარგებლობის უსაფრთხოება 455
4. წყლის ტრანსპორტის უსაფრთხოება 455
5. პარაპლანის ექსპლუატაციის უსაფრთხოება 456
6.3.2.4.3.6. საზოგადოებრივი ადგილების უსაფრთხოება 457
ა) კანონმდებლობა 457
ბ) პრაქტიკა 458
1. უსაფრთხოება წყალზე 459
2. მწვანე ნარგავების უსაფრთხოება 460
3. ადგილების (ტერიტორიების) დაცვა, სადაც არსებობს საფრთხე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის 461
4. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის უსაფრთხოება 462
6.3.2.4.3.7. სამაშველო ოპერაციების უსაფრთხოება 463
ა) კანონმდებლობა 463
ბ) პრაქტიკა 467

6.3.2.4.3.8. უბედური შემთხვევების თავიდან აცილების პრაქტიკა საქართველოში: სხვა საყურადღებო საკითხები 470
7. სიცოცხლის უფლების დაცვის (პოზიტიური ვალდებულება) მარეგულირებელი კანონმდებლობა და მისი შესრულების პრაქტიკა საქართველოში: პროცესუალური ნაწილი 476
7.1. გამოძიების წარმოების ინიციატივა 476
ა) კანონმდებლობა....476
ბ) პრაქტიკა 477
7.2. გამოძიების დამოუკიდებლობა....478
ა) კანონმდებლობა....478
ბ) პრაქტიკა 480
7.3. გამოძიების ადეკვატურობა 484
ა) კანონმდებლობა....484
ბ) პრაქტიკა 486
7.4. გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყება და გონივრული სისწრაფით წარმართვა 490
ა) კანონმდებლობა 490
ბ) პრაქტიკა 493
7.5. გამოძიების მიმართ საზოგადოებრივი კონტროლი და გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობა გამოძიების პროცესში....501
ა) კანონმდებლობა....501
ბ) პრაქტიკა 504
7.6. დისკრიმინაციული მოტივით სიცოცხლის მოსპობის შემთხვევების გამოძიების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში 509
ა) კანონმდებლობა....509
ბ) პრაქტიკა 511
7.7. სიცოცხლის მოსპობისათვის პასუხისმგებლობის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში 514
ა) კანონმდებლობა....514
ბ) პრაქტიკა 521
დასკვნა 526
ავტორის შესახებ....559

წინასიტყვაობა

სიცოცხლის უფლების შესახებ ნაშრომის მომზადების იდეა დაიბადა უბედური შემთხვევის არაერთი ფაქტის გამო, რომლებიც ბოლო წლებში მოხდა საქართველოში. გაჩნდა კითხვა: რა შეიძლება გააკეთოს სახელმწიფომ ამ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად? ამ კითხვაზე პასუხის გაცემით ნაშრომის მიზნად დავისახე ყველაზე დიდი ადამიანური ღირებულების – სიცოცხლის – დაცვის ხელშეწყობა საქართველოში.

ნაშრომზე მუშაობას რამდენიმე წელი დასჭირდა. ამ წლების განმავლობაში მქონდა რამდენიმე მივლინება უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებში. 2021 წლის ზაფხულში ვიმყოფებოდი ჰაიდელბერგში (გერმანია) შედარებითი საჯარო სამართლისა და საერთაშორისო სამართლის მაქს პლანკის ინსტიტუტში (Max Planck Institute for Comparative Public Law and International Law). ასეთი შესაძლებლობისათვის მინდა მადლობა გადავუხადო ინსტიტუტსა და მის დირექტორს, პროფესორ ანნე პეტერსს (Anne Peters). 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის ივნისამდე ფულბრაიტის მოწვეულ მეცნიერთა პროგრამის (Fulbright Visiting Scholar Program) ფარგლებში ვიმყოფებოდი ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა და გლობალური სამართლიანობის ცენტრში (NYU Center for Human Rights and Global Justice). ამ პროგრამაში მონაწილეობისათვის მინდა მადლიერება გამოვხატო თბილისში ამერიკის საელჩოსა და საელჩოს გაცვლითი პროგრამების კოორდინატორის, თეა კუჭუხიძის, მიმართ. 2024 წლის ზაფხულში დაად-ის (DAAD) სამეცნიერო კვლევითი პროგრამის მხარდაჭერით ვიმყოფებოდი ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში (Humboldt University of Berlin). ამ შესაძლებლობისათვის მინდა მადლობა გადავუხადო დაად-სა და ჰუმბოლდტის უნივერსიტეტს.

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტს, რომლის სამეცნიერო გრანტმა ხელი შეუწყო კვლევის ჩატარებას.

მინდა მადლიერებით მოვიხსენიო რამდენიმე ადამიანი, რომლებმაც გამიზიარეს თავიანთი საყურადღებო მოსაზრებები ნაშრომის მომზადების დასკვნით ეტაპზე. ისინი არიან (ანბანის მიხედვით): ბესარიონ ბოხაშვილი, ბესო ლოლაძე და ნინო ხაინდრავა. ცხადია, რომ ნაშრომში აღმოჩენილ ყველა შეცდომასა და უზუსტობაზე პასუხისმგებელი ვარ მხოლოდ მე.

უდიდესი მადლიერება მინდა გამოვხატო თამარ გაბელაიას მიმართ, რომელმაც უზრუნველყო ნაშრომის ენობრივი გამართულობა.

ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მეუღლეს, თამარს, რომელსაც ჩემზე მეტად გაუხარდა ამ ნაშრომზე მუშაობის დასრულება. მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს შვილებს, სანდროსა და ნიკას, და დედაჩემს, ბელას, რომლისგანაც ყოველთვის ვგრძნობდი უპირობო მხარდაჭერას.

წინამდებარე ნაშრომი შესრულდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან არსებული საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ფარგლებში მოქმედი ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ.

ნაშრომი განკუთვნილია როგორც იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებისათვის, მათ შორის: მოსამართლეებისათვის, ადვოკატებისათვის, პროკურორებისა და ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომელთათვის, ისე ადამიანის უფლებათა საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

კონსტანტინე კორკელია
ადამიანის უფლებათა საერთაშორისო
სამართლის პროფესორი

2024 წლის 11 ნოემბერი

შესავალი

სიცოცხლე ადამიანის უდიდესი ფასეულობაა, რომლის გარეშე იგი ვერ იარსებებს, სიცოცხლის უფლება კი ადამიანის მთავარი უფლებაა, რომელზეც დამოკიდებულია ყველა სხვა უფლებით სარგებლობა. თუ ადამიანს დაერღვა სიცოცხლის უფლება, იგი ვერ ისარგებლებს სხვა უფლებებით, ამიტომ სიცოცხლის უფლებას განსაკუთრებული ადგილი უკავია ადამიანის ძირითად უფლებებს შორის. მისი განსაკუთრებული ადგილისა და როლის გამო, ნაშრომი ეძღვნება უფლებათაგან ყველაზე მნიშვნელოვანს – სიცოცხლის უფლებას.

ყველა ადამიანს აქვს უფლება, რომ მისი სიცოცხლე იყოს დაცული, ხოლო სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს სიცოცხლის უფლების ეფექტიანი დაცვა. სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულება განმტკიცებულია როგორც საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტებით, ისე ეროვნული კანონმდებლობით.

ადამიანები კვდებიან. ადამიანების დიდი ნაწილი კვდება ბუნებრივი სიკვდილით, ხოლო მცირე ნაწილი – არაბუნებრივი სიკვდილით. ამ ნაშრომის მიზანი არ არის ადამიანების ბუნებრივი სიკვდილის მიზეზების კვლევა – ეს ნაშრომი შეისწავლის იმას, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ უკეთესად მოხდეს სიცოცხლის უფლების დაცვა და თავიდან იქნეს აცილებული არაბუნებრივი სიკვდილი.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ხელი შეუწყოს არაბუნებრივი სიკვდილის შემთხვევების შემცირებას სიცოცხლის უფლების დაცვის ეროვნული სისტემის განმტკიცებით, რაც მოიცავს ისეთი კანონმდებლობისა და პრაქტიკის განვითარებას, რომელიც შესაბამისი იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებისა.

ნაშრომის მიზნის მისაღწევად განიხილება, არის თუ არა სიცოცხლის უფლება ეფექტიანად დაცული, როგორც ამას მოითხოვს საერთაშორისო სამართალი. ნაშრომში ამ კითხვას პასუხი გაეცემა არა ზოგადად, არამედ კონკრეტულად საქართველოსთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, ნაშრომში განიხილება საკითხი, არის თუ არა საქართველოში სიცოცხლის უფლება ეფექტიანად დაცული, საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული სტანდარტების საფუძველზე. საქართველოში სიცოცხლის უფლების დაცვის საკითხი შეისწავლება ამ უფლების მარეგულირებელი არა ყველა საერთაშორისო ხელშეკრულების, რომელთა მონაწილეცაა საქართველო, არამედ მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის უფლება მოწესრიგებულია რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულებით (მათ შორის, საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ), რომელთა მონაწილე, ასევე, არის საქართველო, ნაშრომში ევროპულ კონვენციაზე ყურადღების გამახვილება განპირობებულია იმით, რომ კონვენციით შექმნილ ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემას აქვს ყველაზე მდიდარი და ხანგრძლივი პრაქტიკა და ის საფუძვლიანად მიიჩნევა ყველაზე განვითარებულ

სისტემად.[1] მართალია, ევროპულმა სასამართლომ სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით პრაქტიკის ჩამოყალიბება შედარებით გვიან დაიწყო,[2] მაგრამ ამ უფლების მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ დღემდე ჩამოყალიბებულმა პრაქტიკამ განსაზღვრა სიცოცხლის უფლების დაცვის მკაფიო და დეტალური მოთხოვნები, რომლებმაც ნათელი მოჰფინა სიცოცხლის უფლების მიმართ სახელმწიფოთა ვალდებულებების შინაარსს. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ნაშრომში სიცოცხლის უფლების დაცვის საკითხი შეისწავლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, კერძოდ კი მისი მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება), საფუძველზე.

როგორც აღინიშნა, ნაშრომში არის მცდელობა, პასუხი გაეცეს კითხვას – ეფექტიანად იცავს თუ არა საქართველო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან გამომდინარე სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულებას და, თუ ეს უფლება არ არის ეფექტიანად დაცული, მაშინ განხილულია ის ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაიდგას საქართველოში სიცოცხლის უფლების ეფექტიანად დასაცავად.

პასუხი რომ გაეცეს კითხვას, არის თუ არა საქართველოში ეფექტიანად დაცული სიცოცხლის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სტანდარტების მიხედვით, აუცილებელია საქართველოში არსებული მდგომარეობის შესაბამისობის შესწავლა ევროპულ სტანდარტებთან მიმართებით. საქართველოში არსებული მდგომარეობის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის შესასწავლად კი აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებული ევროპული სტანდარტების განსაზღვრა. ამ სტანდარტების განსასაზღვრავად, ნაშრომში დეტალურად მიმოიხილება და გაანალიზდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომლითაც განიმარტა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი.

ამ სტანდარტების მიმოხილვა და ანალიზი მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა ნათელი მოეფინოს კონვენციის მე-2 მუხლის შინაარსს, მოქმედების ფარგლებსა და მისგან წარმოშობილ ვალდებულებებს სხვადასხვა გარემოების მიმართ. ნაშრომში დეტალურად არის განხილული არა მხოლოდ სახელმწიფოს ვალდებულება, თავი შეიკავოს სიცოცხლის არამართლზომიერი მოსპობისაგან, არამედ შეასრულოს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები. ეს მნიშვნელოვანია სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებული იმ ვალდებულებების შინაარსის გაცნობიერებისათვის, რომლებიც სახელმწიფოს ეკისრება ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე.

სიცოცხლის უფლებაზე სრულყოფილი მსჯელობისათვის აუცილებელია მისი შინაარსის დადგენა. მართალია, ეს უფლება საყოველთაოდ აღიარებულია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, არ არსებობს მისი ერთიანი, საყოველთაო განმარტება. მისი შინაარსი განსხვავებულად განიმარტება სხვადასხვა სახელმწიფოს კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით. მაგ., ინდოეთის უმაღლესმა სასამართლომ განმარტა, რომ სიცოცხლის უფლება მოიცავს მშვიდად ძილის უფლებას.[3] რაც შეეხება საერთაშორისო ხელშეკრულებებით სიცოცხლის უფლების განმარტებას, აქაც არსებობს განსხვავებები. მაგ., გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, სიცოცხლის უფლება მოიცავს ხელმისაწვ-

---

1 S. Skinner, Lethal Force, the Right to Life and the ECHR: Narrative of Death and Democracy, 2019, 10.

2 ევროპულმა სასამართლომ პირველი გადაწყვეტილება, რომელშიც დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, მიიღო 1995 წელს.

3 H. Russel, The Use of Force and Article 2 of the ECHR in Light of European Conflicts, 2017, 13. ასევე იხ.: [http://www.legalservicesindia.com/article/1663/Right-to-Sleep-and-it.html]; [https://www.lawordo.com/right-to-sleep/].

დომობას საკვებზე, წყალზე, თავშესაფარზე, სამედიცინო მზრუნველობაზე და ა.შ.[4] ევროპული სასამართლო სიცოცხლის უფლებას უფრო ვიწროდ განმარტავს, ამიტომ მნიშვნელოვანია განიმარტოს, რას მოიცავს სიცოცხლის უფლება, რაც განაპირობებს იმ ვალდებულებების შინაარსს, რომლებიც ეკისრება სახელმწიფოს სიცოცხლის უფლების მიმართ. მართალია, ნაშრომის მიზანი არ არის სიცოცხლის უფლების განმარტების ანალიზი სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების მიხედვით, მაგრამ, მიზნიდან გამომდინარე, იქნება მცდელობა, ნათელი მოჰფინოს, როგორ განმარტავს სიცოცხლის უფლებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რაც აუცილებელია მისი განმარტების შესადარებლად საქართველოს კანონმდებლობითა და პრაქტიკით დადგენილ განმარტებასთან.

სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს, რომ ეს უფლება არ მოიცავს მხოლოდ ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის მიერ (მაგ., პოლიციელი) იარაღის არამართლზომიერი გამოყენების აკრძალვას, არამედ ვრცელდება ვალდებულებების მთელ სპექტრზე, რომლებიც ევროპულმა სასამართლომ წლების განმავლობაში ჩამოაყალიბა და განავითარა. კონვენციის მე-2 მუხლი, გარდა იმისა, რომ კრძალავს სიცოცხლის არამართლზომიერ მოსპობას, აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებათა მთელ რიგს, როგორებიცაა, მაგალითად: ვალდებულება, გაატაროს ღონისძიებები პირის სიცოცხლის მოსპობის თავიდან ასაცილებლად (მაგ., ოჯახში ძალადობის შემთხვევაში), გაატაროს საზოგადოების წევრების სიცოცხლის დაცვისაკენ მიმართული ზოგადი ღონისძიებები, უზრუნველყოს თავისუფლებააღკვეთილი და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების დაცვა თვითმკვლელობისაგან, ისევე, როგორც უზრუნველყოს სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, დაიცვას პირების სიცოცხლე საწარმოო საქმიანობით გამოწვეული საფრთხისაგან, ბუნებრივი კატაკლიზმებისა და უბედური შემთხვევებისაგან (მაგ.: სკოლაში, სამშენებლო ობიექტზე), ეფექტიანად გამოიძიოს სიცოცხლის მოსპობის შემთხვევა.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა დაეხმარება მკითხველს, გააცნობიეროს სახელმწიფოსათვის დაკისრებულ ვალდებულებათა შინაარსი სიცოცხლის უფლების მიმართ, რომელიც შეიძლება განსხვავებულად (უფრო ვიწროდ) გაიგება საქართველოში, ვიდრე კონვენციით არის დადგენილი, ამიტომ მნიშვნელოვანია კონვენციის მე-2 მუხლიდან წარმოშობილი ვალდებულებების სრულყოფილად გაცნობიერება, რაც აუცილებელი იქნება იმის განსახილველად, სრული მოცულობით უზრუნველყოფს თუ არა საქართველო ყველა იმ ვალდებულების შესრულებას, რომელთაც ითვალისწინებს კონვენციის მე-2 მუხლი.

სახელმწიფოები, როგორც წესი, არაერთ საკანონმდებლო და პრაქტიკულ ღონისძიებას ატარებენ სიცოცხლის უფლების დასაცავად, დაწყებული სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების დაწესებით, ავტომობილით გადაადგილების სიჩქარის შეზღუდვით და დამთავრებული ზღვის სიღრმეში შეცურვის აკრძალვით. მიუხედავად იმისა, რომ, ჩვეულებრივ, ამ ღონისძიებებს არ მოიხსენიებენ სიცოცხლის უფლების დასაცავად გადადგმულ ღონისძიებებად, სინამდვილეში მათი მიზანია საზოგადოების წევრების სიცოცხლის (და ჯანმრთელობის) დაცვა.[5]

---

4 United Nations Human Rights Committee, General Comment No. 36, Article 6 (Right to Life), 3 September 2019, para. 26.

5 C. Tomushat, The Right to Life – Legal and Political Foundations, in: The Right to Life, C. Tomushat, E. Lagrange and S. Oeter, 2010, 10.

სიცოცხლის უფლების მიმართ ამ ვალდებულებათა სრულყოფილი მიმოხილვა და გაცნობიერება შეიძლება გახდეს საფუძველი იმისა, რომ სრულფასოვნად გაანალიზდეს საქართველოში არსებული მდგომარეობა სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით და ევროპული სტანდარტების მიხედვით შეფასდეს საქართველოს კანონმდებლობა, პრაქტიკა და სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც მიმართულია საქართველოში სიცოცხლის უფლების დაცვისაკენ.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპულმა სასამართლომ მიიღო არაერთი გადაწყვეტილება კონვენციის მე-2 მუხლთან მიმართებით, შეუძლებელია ყველა გადაწყვეტილების ამ ნაშრომში მიმოხილვა და გაანალიზება, ამიტომ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ევროპული სასამართლოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე. მართალია, სიცოცხლის უფლება მოიცავს საკითხთა ფართო წრეს, ნაშრომის ყურადღების მიღმა რჩება მრავალი საკითხი, მათ შორის: სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული, ევთანაზია და აბორტი.

გარდა იმისა, რომ ნაშრომის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებული სტანდარტების მიმოხილვა, ნაშრომში ამ სტანდარტების დეტალურად წარმოჩენა მიზნად ისახავს ქართულ ენაზე მათ შესახებ ცნობიერების ამაღლებას. გარდა იმისა, რომ უახლესი ინფორმაციის გაცნობა ამ სტანდარტების შესახებ ხშირად შეუძლებელია ქართულ ენაზე, სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებული ევროპული სტანდარტები არ არის ხელმისაწვდომი სისტემატიზებული ფორმით. ვინაიდან ეს სტანდარტები არ არის თავმოყრილი ერთ კონკრეტულ გადაწყვეტილებაში, არამედ გაფანტულია სხვადასხვა გადაწყვეტილებაში, რთულია მათი სისტემურად გააზრება და ვალდებულებების მთელი სპექტრის სწორად აღქმა. სიცოცხლის უფლების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზებული ფორმით ხელმისაწვდომობა ხელს შეუწყობს მათ უკეთესად გაგებას და პრაქტიკაში გამოყენებას, ამიტომ ევროპული სტანდარტების მიმოხილვა ასევე მიზნად ისახავს, რომ ინფორმაცია მათ შესახებ უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდეს ქართულენოვანი მკითხველისათვის, რაც ასევე გააადვილებს ამ სტანდარტების დამკვიდრებას პრაქტიკაში.

ინფორმაცია ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების შესახებ შეიძლება სასარგებლო იყოს არა მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, არამედ შეიძლება დაეხმაროს შესაბამის პროფესიულ ჯგუფებს (მაგ.: საგამოძიებო ორგანოებს, ადვოკატებს, მოსამართლეებს) პროფესიული სტანდარტების ჩამოყალიბებასა და ამ ჯგუფების სასწავლო პროგრამებში სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებული სტანდარტების უკეთესად სწავლებაში.

სიცოცხლის უფლების დაცვის სტანდარტების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ევროპული კონვენცია (ისევე როგორც, ზოგადად, საერთაშორისო ხელშეკრულებები) საქართველოში მიიჩნევა კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილად, ეროვნული სამართლის წყაროდ და, შესაბამისად, წარმოშობს ვალდებულებებს ეროვნულ დონეზე.[6] აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სტანდარტები, მათ შორის სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებული სტანდარტები, რომლებიც ასახულია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში, უნდა გამოიყენონ სახელმწიფო ორგანოებმა, მათ შორის სიცოცხლის უფლების მიმართ ისეთი პოზიტიური ვალდებულებების შესრულებისას, როგორებიცაა: შესაფერისი კანონმდებ-

---

6 კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, 2004, 41-47.

ლობის მიღება, ამ უფლების დაცვისაკენ მიმართული პრაქტიკული ღონისძიებების გატარებისას და სიცოცხლის მოსპობის ფაქტების გამოძიებისას.

როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, მისი გადაწყვეტილებები „ემსახურება არა მხოლოდ იმას, რომ გადაწყვიტოს სასამართლოს წინაშე არსებული საქმეები, არამედ, უფრო ზოგადად, ნათელი მოჰფინოს, დაიცვას და განავითაროს კონვენციით დადგენილი წესები, რითაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოების, როგორც ხელშემკვრელი მხარეების, მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის სისტემის ძირითადი მიზანია ინდივიდისათვის დახმარების გაწევა, მისი მისიაა ასევე ის, რომ განსაზღვროს საერთო ინტერესში არსებული საჯარო პოლიტიკის საკითხები, რითაც ამაღლდება ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგადი სტანდარტები და გაფართოვდება ადამიანის უფლებათა იურისპრუდენცია კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში.“[7]

აქედან გამომდინარეობს, რომ კონვენციისეული სტანდარტები ასევე უნდა იყოს გამოყენებული მართლმსაჯულების განხორციელებისას და ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ეს სტანდარტები ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის, ისე ადვოკატებისათვის.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვის შემდეგ შეისწავლება საქართველოში სიცოცხლის უფლების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით და გამოიკვეთება კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული პრობლემები სიცოცხლის უფლების დაცვის კუთხით. საბოლოოდ, შეფასდება, დაცულია თუ არა სიცოცხლის უფლება საქართველოში ევროპული სტანდარტების საფუძველზე და, თუ დადგინდა, რომ არ არის დაცული, განისაზღვრება ის საკანონმდებლო და პრაქტიკული ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაიდგას საქართველოში სიცოცხლის უფლების ეფექტიანად დასაცავად. ამისათვის ნაშრომის ბოლოს გაკეთდება დასკვნები და მომზადდება რეკომენდაციები მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით საქართველოს კანონმდებლობის შესწავლისას მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, იმავენაირად განმარტავს თუ არა საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა სიცოცხლის უფლებას, როგორც ეს განიმარტება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, იმავენაირ შინაარსს ანიჭებს თუ არა საქართველოს კანონმდებლობა ამ უფლებას, როგორიც მინიჭებული აქვს მას ევროპული კონვენციით და იმავენაირი ვალდებულებები წარმოეშობა თუ არა კანონმდებლობით ამ უფლების დაცვის თვალსაზრისით, რომლებიც მას წარმოეშობა ევროპული კონვენციის მიხედვით. სიცოცხლის უფლების მოქმედების ფარგლები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ საკითხთა ფართო წრის გათვალისწინებით, რომელსაც მოიცავს ეს უფლება, განსაკუთრებით სახელმწიფოს არსებით და საპროცესო პოზიტიურ ვალდებულებებთან მიმართებით. თუ ასეთმა ანალიზმა ცხადყო, რომ ევროპული კონვენციით უფრო ფართოდ განიმარტება სიცოცხლის უფლება, ვიდრე საქართველოს კანონმდებლობით და, შესაბამისად, ევროპული კონვენციით, სახელმწიფოს წარმოეშობა მეტი ვალდებულება, ეს გახდება საფუძველი მტკიცებისათვის, რომ საქართველოში გადასადგმელია ნაბიჯები სიცოცხლის უფლების იმგვარი განმარტებისათვის, რომელიც გათვალისწინებულია ევრო-

---

7 *ჯერონოვიცი ლატვიის წინააღმდეგ (Jeronovics v. Latvia),* 5 ივლისი, 2016 წელი, 109-ე პუნქტი.

პული კონვენციით. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო ვერ დააკმაყოფილებს ევროპული კონვენციის სტანდარტებს სიცოცხლის უფლების დაცვასთან მიმართებით.

აქედან გამომდინარე, ნაშრომის მთავარი საკვლევი კითხვაა: რა ვალდებულებები წარმოეშობა სახელმწიფოს სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, და სრულდება თუ არა ეს ვალდებულებები საქართველოში?

ამ ზოგად კითხვაზე პასუხის გასაცემად ნაშრომში არის მცდელობა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, პასუხი გაეცეს შემდეგ კონკრეტულ კითხვებს: ა) რა ნეგატიური ვალდებულება წარმოეშობა სახელმწიფოს, თავი შეიკავოს სიცოცხლის უფლების დარღვევისაგან? ბ) რა პოზიტიური ვალდებულება წარმოეშობა სახელმწიფოს სიცოცხლის უფლების დაცვის მიმართ? გ) რა პოზიტიური ვალდებულება წარმოეშობა სახელმწიფოს სიცოცხლის მოსპობის შემთხვევის გამოძიების მიმართ?

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე ამ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ ნაშრომში იქნება მცდელობა, პასუხი გაეცეს ზემოაღნიშნულ სამივე კითხვას საქართველოსთან მიმართებით: ა) ასრულებს თუ არა საქართველო თავის ნეგატიურ ვალდებულებას, თავი შეიკავოს სიცოცხლის უფლების დარღვევისაგან? ბ) ასრულებს თუ არა საქართველო თავის პოზიტიურ ვალდებულებას სიცოცხლის უფლების დაცვის მიმართ? გ) ასრულებს თუ არა სახელმწიფო თავის პოზიტიურ ვალდებულებას სიცოცხლის მოსპობის შემთხვევის გამოძიების მიმართ?

გარდა თეორიული ღირებულებისა, ნაშრომს აქვს პრაქტიკული დანიშნულება – მასში განხილული იქნება არა მხოლოდ სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებული თეორიული საკითხები, რაც გარდაუვალია ამ ტიპის ნაშრომის შესრულებისას, არამედ დასკვნების საფუძველზე შემუშავდება რეკომენდაციები სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესების შესახებ. გაკეთებული დასკვნები და რეკომენდაციები შეასრულებს ორიენტირის ფუნქციას მათთვის, ვინც ქვეყანაში აყალიბებს ადამიანის უფლებათა საკანონმდებლო პოლიტიკას და პასუხისმგებელია ამ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებაზე. ნაშრომში ჩამოყალიბდება წინადადებები იმ საკანონმდებლო და პრაქტიკული ღონისძიებების შესახებ, რომლებიც უნდა გადაიდგას ქვეყანაში სიცოცხლის უფლების დაცვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, კვლევა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც გზამკვლევი ქვეყანაში სიცოცხლის უფლების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესებისათვის.

ნაშრომი მიმართული იქნება როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაკენ, შეიძლება გამოითქვას იმედი, რომ ის ასევე დაეხმარება სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს, რათა მათ სწორად განმარტონ სიცოცხლის უფლების დაცვის სტანდარტები და სიცოცხლის უფლებას მიანიჭონ ის შინაარსი, რომელიც განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით. როგორც აღინიშნა, ევროპული კონვენციის გათვალისწინება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილი და სამართლის წყაროა, სავალდებულოა საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელებისას, ამიტომ ამ უფლებასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ცოდნა არა მხოლოდ რეკომენდებულია, არამედ აუცილებელიცაა.

ნაშრომის პირველ ნაწილში, რომელიც ეხება სიცოცხლის უფლების დაცვის ევროპულ სტანდარტებს, თავდაპირველად განიხილება ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით განსაზღვრული სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულების შინაარსი; შემდეგ,

ყურადღება ეთმობა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს; მოგვიანებით განიხილება სახელმწიფოს მიერ გამოძიების წარმოების პოზიტიური ვალდებულების შინაარსი. ნაშრომის მეორე ნაწილში, რომელიც პირველი ნაწილის სტრუქტურით არის აგებული, ყურადღება ეთმობა საქართველოში სიცოცხლის უფლების დაცვის ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებების, მათ შორის ეფექტიანი გამოძიების წარმოების ვალდებულების, შესრულებას; დასასრულს გაკეთებულია დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესების შესახებ.

და ბოლოს, ვინაიდან ამ ნაშრომის მიზანია, წვლილი შეიტანოს საქართველოში სიცოცხლის უფლების უკეთესად დაცვაში, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის განვითარების გზით, თუ ეს ხელს შეუწყობს თუნდაც ერთი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენას, საკმარისი იქნება, მიზანი მიღწეულად ჩაითვალოს.

ნაწილი I – სიცოცხლის უფლების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით

1. ზოგადი საკითხები

სიცოცხლის უფლება ადამიანის უმნიშვნელოვანესი უფლებაა. ამ უფლებას აღწერენ როგორც: „ყველა სხვა უფლებაზე მნიშვნელოვან უფლებას"[8], „სხვა უფლებების განხორციელების წინაპირობას"[9], „ყველა სხვა უფლების საყრდენს"[10], „ყველაზე საბაზისო და ძირითად" უფლებას[11] ან „მთავარ უფლებას"[12]. ყველა სხვა უფლებისაგან ამ უფლებას ისიც გამოარჩევს, რომ მისი დარღვევით გამოწვეული შედეგები ვერ იქნება გამოსწორებული *restitutio in integrum*.[13]

---

8 Y. Dinstein, the Rights to Life, Physical Integrity, and Liberty, in: The International Bill of Rights, 114 (Louis Henkin ed., 1981).

9 *Case of Myrna Mack Chang v. Guatemala*, Judgment (*Merits, Reparations and Costs)*, Inter-American Court of Human Rights, 2003, para.152, [https://www.corteidh.or.cr/docs/casos/articulos/seriec_101_ing.pdf].

10 ['fulcrum of all other rights'], *Forum of Conscience v. Sierra Leone*, African Commission on Human Rights and Peoples' Rights, 223/98, 6 November 2000, para. 20, https://www.achpr.org/sessions/descions?id=123 [visited: 24 August 2021].

11 K. Herndl, Foreword, in: The Right to Life in International Law, B.G. Ramcharan (ed.), at XI; S. Skinner, Lethal Force, the Right to Life and the ECHR: Narrative of Death and Democracy, 2019, 5; R. Crawshaw, International Standards on the Right to Life and the Use of Force by Police, The International Journal of Human Rights, Vol. 3, No. 4, Winter 1999, 67; R. Crawshaw and L. Holmstrom, Essential Rules of Behaviour for Police in Armed Conflict, Disturbance and Tension: Legal Framework, International Cases and Instruments, 2014, 64; D.K. Bajwa, Right to Life: Its Study under Indian Political System, 2018, 1; S. Amos Wako, Report on the Special Rapporteur on extrajudicial, summary or arbitrary executions, 31 January 1983, E/CN.4/1983/16, para. 22; M. Elancheleyan, Legal Status of Right to Life in International Law: The Content, Scope of Application and its Relations to Other Human Rights, 2011, preface.

12 United Nations Human Rights Committee, General Comment No. 36, Article 6 (Right to Life), 3 September 2019, para. 2. J. Kratochvil, The Rights to Life in the Perspective of the Human Rights Committee and the European Court of Human Rights, http://ssrn.com/asract=951225, p. 1; ['inherent and supreme right'] M. Alnaouq, The Right to Life in the Palestinian Society: The Case of the Death Penalty from Comparative Human Rights Perspective, 2019, 213.

13 J. Kratochvil, The Rights to Life in the Perspective of the Human Rights Committee and the European Court of Human Rights, http://ssrn.com/asract=951225, p. 1; *Ibid.*, H. Russel.

გარდა იმისა, რომ სიცოცხლის უფლება აღიარებულია არაერთი ქვეყნის ეროვნული კონსტიტუციით, ის განმტკიცებულია მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულებით.[14] სიცოცხლის უფლება ასახულია როგორც უნივერსალურ, ისე რეგიონულ დონეზე მიღებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში.[15] უნივერსალურ დონეზე მიღებულ ხელშეკრულებებს შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, რომლის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი ადგენს, რომ „თითოეულ ადამიანს აქვს სიცოცხლის განუყოფელი უფლება. ამ უფლებას იცავს კანონი. არავის შეიძლება თვითნებურად წაერთვას სიცოცხლე.“

სიცოცხლის უფლება ასევე დაცულია რეგიონულ დონეზე მიღებული ხელშეკრულებებით. ერთ-ერთი რეგიონული ხელშეკრულება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაა, რომელიც 1950 წელს მიიღეს, ხოლო 1953 წელს შევიდა ძალაში.[16] ზუსტად ამ კონვენციის მე-2 მუხლით განმტკიცებულ სიცოცხლის უფლებაზე გამახვილდება ყურადღება ამ ნაშრომში.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით:

„1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია კანონით. არ შეიძლება სიცოცხლის განზრახ მოსპობა, თუ არა სიკვდილით დასჯის აღსრულების შედეგად, რომელიც სასამართლოს განაჩენით შეეფარდა მოცემულ პირს ისეთი დანაშაულის ჩადენისთვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.

2. სიცოცხლის მოსპობა არ განიხილება ამ მუხლის დარღვევად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტური აუცილებლობა იყო:
   ა) ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისაგან;
   ბ) კანონიერი დაკავებისათვის ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;
   გ) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ავჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად.“

---

14 საერთაშორისო ხელშეკრულებების გარდა, სიცოცხლის უფლება განმტკიცებულია სხვა საერთაშორისო დოკუმენტებით, მაგ., ადამიანის უფლებათა და ვალდებულებათა ამერიკული დეკლარაციით (1948 წ.) და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით (1948 წ.).

15 სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის, რომლებიც განამტკიცებს სიცოცხლის უფლებას, საყურადღებოა საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი); კონვენცია ბავშვის უფლებათა შესახებ (მე-6 მუხლი); კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ (მე-10 მუხლი); ამერიკული კონვენცია ადამიანის უფლებათა შესახებ (მე-4 მუხლი); აფრიკული ქარტია ადამიანისა და ხალხთა უფლებათა შესახებ (მე-4 მუხლი); ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. ასევე იხ.: H. Russel, The Use of Force and Article 2 of the ECHR in Light of European Conflicts, 2017, 13; A. Carcano, Notable Cases of the European Court of Human Rights on the Right to Life: Materials and Analysis, 2021, 3.

16 სიცოცხლის უფლების შესახებ ევროპული კონვენციის დებულების შემუშავების ისტორიის თაობაზე იხ.: E. Wicks, The Right to Life and Conflicting Interests, 2010, 43-44; W. Schabas, The European Convention on Human Rights: A Commentary, 2015, 119-122; B.G. Ramcharan, The Concept and Dimensions of the Right to Life, in: The Right to Life in International Law, B.G. Ramcharan (ed.), 1985, 57-61.

სიცოცხლის უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობა ასევე აღიარა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ. მან თავის პირველ გადაწყვეტილებაში, რომელშიც დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, განაცხადა, რომ „მე-2 მუხლი მიიჩნევა კონვენციის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ დებულებად“, რაც, კონვენციის მე-3 მუხლთან ერთად, „განამტკიცებს ერთ-ერთ ძირითად ღირებულებას იმ დემოკრატიული საზოგადოებებისა, რომლებიც ქმნიან ევროპის საბჭოს“.[17] როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, მე-2 მუხლი „იცავს სიცოცხლის უფლებას, რომლის გარეშეც კონვენციის ნებისმიერი სხვა უფლებითა და თავისუფლებით სარგებლობა გამოუსადეგარი ხდება.“[18] მართალია, თავად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ ადგენს იერარქიას ადამიანის უფლებებს შორის მათი მნიშვნელობის მიხედვით, ევროპულმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სიცოცხლის უფლება მიიჩნია „უზენაეს ღირებულებად ადამიანის უფლებათა იერარქიაში“.[19]

სიცოცხლის უფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო ლიტერატურაშიც.[20] კონვენციის მე-2 მუხლს ხშირად აღწერენ როგორც კონვენციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დებულებას, რომელიც ასახავს დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებას.[21] კონვენციის მე-2 მუხლით განმტკიცებულ უფლებას ასევე აღწერენ როგორც მთავარ უფლებას ყველა სხვა უფლებასთან შედარებით.[22] ამ უფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისიც უსვამს ხაზს, რომ, თუ რომელიმე უფლება ასახავს ადამიანის უფლებათა ურთიერთდამოკიდებულებას, ეს სიცოცხლის უფლებაა, ვინაიდან პირის სიცოცხლე სხვა უფლებებით სარგებლობის წინაპირობაა.[23]

ამ უფლების განსაკუთრებულ როლს გაუსვა ხაზი შტეფან ტრეშელმა, რომელმაც სამართლიანად შენიშნა, რომ ევროპული კონვენციის „ავტორებს სურდათ, უფრო მნიშვნელოვანი უფლებები მოეთავსებინათ ნაკლებად მნიშვნელოვანი უფლებების

---

17 *მაკკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann and Others v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 27 სექტემბერი, 1995 წელი, 147-ე პუნქტი; ასევე იხ. *ჯულიანი და გაჯიო იტალიის წინააღმდეგ (Giuliani and Gaggio v. Italy),* დიდი პალატა, 24 მარტი, 2011 წელი, 174-ე პუნქტი.

18 *ფრითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Pretty v. the United Kingdom),* 29 აპრილი, 2002 წელი, 37-ე პუნქტი.

19 *სტრელენცი, კესლერი და კრენცი გერმანიის წინააღმდეგ (Streletz, Kessler and Krenz v. Germany),* დიდი პალატა, 22 მარტი, 2001 წელი, 94-ე პუნქტი; ასევე იხ. მოსამართლე გრევის თანმხვედრი აზრი, *ოდიევრი საფრანგეთის წინააღმდეგ (Odievre v. France)*, დიდი პალატა, 13 თებერვალი, 2003 წელი.

20 ბ. ლოლაძე, ა. ფირცხალაშვილი, ძირითადი უფლებები: კომენტარი, 2023, 120; კ. კუბლაშვილი, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, 2023, 111.

21 M. O'Boyle, The Development of the Right to Life, AFMÆLISRIT ÞÓR VILHJÁLMSSON, 2000, 66; R. Turmen, "Right to Life" (Article 2), Bulletin des Droits de l'Homme, Nos.11/12, 2005, 55.

22 K. Potschke, W.W. Fu, J. Howard, Of Life and Torture, http://ssrn.com/abstract=1729757, p. 3; J. Chevalier-Watts, A Rock and a Hard Place: Has the European Court of Human Rights Permitted Discrepancies to Evolve in their Scrutiny of Rights to Life Cases, International Journal of Human Rights, Vol. 14, No.2, April 2010, 301.

23 N. Mavronicola, Taking Life and Liberty Seriously: Reconsidering Criminal Liability Under Article 2 of the ECHR, Modern Law Review, N80(6), 2017, 1028.

წინ.“[24] ამით აიხსნება ის, რომ კონვენციით გათვალისწინებული პირველი არსებითი უფლება სწორედ რომ სიცოცხლის უფლებაა.[25]

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით განმტკიცებული სიცოცხლის უფლების განსაკუთრებულ ხასიათს ისიც ადასტურებს, რომ ამ უფლებისაგან გადახვევა დაუშვებელია მშვიდობიან პერიოდში.[26]

---

24 S. Trechsel, Spotlight on Article 2 ECHR, The Right to Life, in: Development and Developing International Law and European Law: Essays in Honour of Konrad Ginther on the Occasion of his 65th Birthday, W. Benedek, H. Isak and R. Kicker (eds.), 1999, 671.

25 სიცოცხლის უფლების პრიორიტეტულობაზე ყურადღებას ამახვილებს არაერთი მნიშვნელოვანი ეროვნული, საერთაშორისო და რეგიონული დოკუმენტი. მაგალითად: “The Bill of Rights of Virginia passed on June 12, 1776 states in its Article 2 that all men are equally free and independent and are entitled to enjoy certain inherent rights. As the first right the Bill of Virginia lists “the right to life”.” A. Lopatka, The Inherent Right to Life and Its Realization in Poland, Human Rights at the Dawn of the Twenty-First Century, Karel Vasak: Amicorum Liber, 1999, 289. The American Convention on Human Rights signed on 22 November 1969 in San Jose, states in Article 4 that “every person has the right to have his life respected.” American Declaration on the Rights and Duties of Man adopted in Bogota, Columbia, in 1948. A. Lopatka, The Inherent Right to Life and Its Realization in Poland, Human Rights at the Dawn of the Twenty-First Century, Karel Vasak: Amicorum Liber, 1999, 291. African Charter on Human and People’s Rights adopted in July 1981 in Nairobi, Kenya, states in Article 4. A. Lopatka, The Inherent Right to Life and Its Realization in Poland, Human Rights at the Dawn of the Twenty-First Century, Karel Vasak: Amicorum Liber, 1999, 291. სიცოცხლის უფლებას ადამიანის უფლებათა უფლებების ჩამონათვალის სათავეში აქცევს 1948 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მე-3 მუხლი) და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი). A. Lopatka, The Inherent Right to Life and Its Realization in Poland, Human Rights at the Dawn of the Twenty-First Century, Karel Vasak: Amicorum Liber, 1999, 290.

26 იხ. კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც უშვებს გადახვევას „მართლზომიერი საომარი მოქმედებით გამოწვეული ადამიანთა დაღუპვის შემთხვევაში“. *მაკკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann and Others v. the United Kingdom),* დიდი პალატა, 27 სექტემბერი, 1995 წელი, 147-ე პუნქტი. აქედან გამომდინარე, კონვენციის მე-2 მუხლის გარდა, კონვენციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს გამონაკლისს სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულებიდან „მართლზომიერი საომარი მოქმედებით გამოწვეული ადამიანთა დაღუპვის შემთვევაში“. ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში არ არსებობს არცერთი შემთხვევა, როდესაც კონვენციის მონაწილე სახელმწიფო დაეყრდნო ამ გამონაკლისს სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით საომარი მოქმედებით გამოწვეული ადამიანთა დაღუპვის შემთხვევაში. იხ. J. Chevalier-Watts, Has Human Rights Law Become *lex specialis* for the European Court of Human Rights in Right to Life Cases Arising from Internal Armed Conflicts, The International Journal of Human Rights, Vol. 14, No.4, July 2010, 589. ზოგადად, ამ საკითხზე იხ.: A. Carcano, Notable Cases of the European Court of Human Rights on the Right to Life: Materials and Analysis, 2021, XII. იხ. *მაკკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann and Others v. the United Kingdom),* დიდი პალატა, 27 სექტემბერი, 1995 წელი, 147-ე პუნქტი. S. M. Zielonka, The Universality of the Right to Life: Article 2 and the Margin of Appreciation in the Jurisprudence of the European Court of Human Rights, New York University Journal of International Law and Politics, 47(1), 2014, 248-249; S. Skinner, Lethal Force, the Right to Life and the ECHR: Narrative of Death and Democracy, 2019, 5; R. Turmen, “Right to Life” (Article 2), Bulletin des Droits de l’Homme, Nos.11/12, 2005, 55; B. Dickson, The European Convention on Human Rights and the Conflict in Northern Ireland, 2010, 228; I. Park, The Right to Life in Armed Conflict, 2018, 13.

მიუხედავად ამისა, ევროპული კონვენციით გათვალისწინებული მრავალი უფლების მსგავსად, სიცოცხლის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება.[27] მაგალითად, ისეთი აბსოლუტური უფლებისაგან განსხვავებით, როგორიცაა წამების აკრძალვა, რომელიც არცერთ ვითარებაში არ ანიჭებს სახელმწიფოს წარმომადგენლებს ადამიანის წამების უფლებას, კონვენცია არა მხოლოდ უშვებს სიკვდილით დასჯას, არამედ ითვალისწინებს სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ თანაზომიერი ძალის გამოყენების შესაძლებლობას, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს პირის გარდაცვალება და ასეთი გარდაცვალება არ ჩაითვლება სიცოცხლის უფლების დარღვევად.[28]

ადამიანის სიცოცხლის უფლება შეიძლება დაუპირისპირდეს სხვა ადამიანის სიცოცხლის უფლებას და ამ უკანასკნელის ინტერესის დაცვამ შეიძლება გაამართლოს პირისათვის სიცოცხლის უფლების წართმევა. მაგალითად: პირის სიცოცხლის გადასარჩენად პოლიციელმა შეიძლება გამოიყენოს ძალა მოძალადის მიმართ, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მოძალადის გარდაცვალება; ასევე შეიძლება ადგილზე მოხდეს იმ პირის სიცოცხლის მოსპობა, რომელიც ავტომობილით მიეშურება ხალხმრავალი ადგილისაკენ მშვიდობიანი მოსახლეობის გარდაუვალი განადგურებისათვის; ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით შეიძლება სიცოცხლეს გამოასალმონ თვითმკვლელი ტერორისტი, რომელსაც განზრახული აქვს ტერორისტული აქტის ჩადენა, რისთვისაც საკმარისია ღილაკზე თითის დაჭერა, რომ აიფეთქოს საკუთარი თავი და გარშემო მყოფი ადამიანები. ცხადია, რომ მრავალი დეტალი დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე, მაგრამ ეს მაგალითებიც კი საკმარისია იმის დასტურად, რომ სიცოცხლის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება და გარკვეულ გარემოებებში ის შეიძლება მართლზომიერად შეიზღუდოს.[29]

კონვენციის მე-2 მუხლის განმარტებისას ევროპული სასამართლო ხელმძღვანელობს იმ ფაქტით, რომ კონვენციის, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის დოკუმენტის, ობიექტი და მიზანი მოითხოვს, მისი დებულებები განიმარტოს და გამოყენებულ იქნეს ისე, რომ მისი გარანტიები იყოს პრაქტიკული და ეფექტიანი.[30]

---

27 A. Cogbill, European Court of Human Rights' Dance with Death, Connecticut Journal of International Law, 29, No.1, 2013, 154; E. K. Hnitidou, Beyond the Right to Life: The Right to Live in Dignity in the European Convention on Human Rights, Master Thesis, Faculty of Law, Lund University, 2016, 32; R. Crawshaw, International Standards on the Right to Life and the Use of Force by Police, The International Journal of Human Rights, Vol. 3, No. 4, Winter 1999, 67; N. Mavronicola, Taking Life and Liberty Seriously: Reconsidering Criminal Liability Under Article 2 of the ECHR, Modern Law Review, N80(6), 2017, 1028; I. Park, The Right to Life in Armed Conflict, 2018, 32; M. Alnaouq, The Right to Life in the Palestinian Society: The Case of the Death Penalty from Comparative Human Rights Perspective, 2019, 217-218; ასევე იხ. განსხვავებული პოზიცია: J. Herring, Domestic Abuse and Human Rights, 2020, 62.

28 E. Wicks, The Meaning of 'Life': Dignity and the Right to Life in International Human Rights Treaties, Human Rights Law Review, 12, No.2, 2012, p. 218; S. Skinner, Lethal Force, the Right to Life and the ECHR: Narrative of Death and Democracy, 2019, 1.

29 E. Wicks, The Right to Life and Conflicting Interests, 2010, preface.

30 *მაკკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann and Others v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 27 სექტემბერი, 1995 წელი, 146-ე პუნქტი.

კონვენციის მე-2 მუხლი შეიცავს სახელმწიფოს ორ არსებით ვალდებულებას, კერძოდ: ვალდებულებას, კანონით დაიცვას სიცოცხლის უფლება, და ვალდებულებას, აკრძალოს სიცოცხლის მოსპობა, თუმცა ის უშვებს გამონაკლისებს.[31] ეს მუხლი ასევე შეიცავს სახელმწიფოს საპროცესო ვალდებულებას, ჩაატაროს სიცოცხლის უფლების სავარაუდო დარღვევის შემთხვევის ეფექტიანი გამოძიება.[32]

კონვენციის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის პირველი წინადადება ადგენს, რომ „ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია კანონით“, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა გადადგას სათანადო ნაბიჯები სიცოცხლის უფლების დასაცავად. ამ მუხლის 1-ელი პუნქტის მეორე წინადადება კი განსაზღვრავს, რომ „არ შეიძლება სიცოცხლის განზრახ მოსპობა, თუ არა სიკვდილით დასჯის აღსრულების შედეგად, რომელიც სასამართლოს განაჩენით შეეფარდა მოცემულ პირს ისეთი დანაშაულის ჩადენისთვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.“ ეს წინადადება განზრახ სიცოცხლის მოსპობის აკრძალვის შესახებ უშვებს გამონაკლისს, როდესაც სიცოცხლის მოსპობა მიზნად ისახავს სასიკვდილო განაჩენის აღსრულებას.[33]

კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ თანაზომიერი ძალის გამოყენების შემთხვევებს, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს სიცოცხლის მოსპობა. მე-2 პუნქტი არ უშვებს გამონაკლისს განზრახ სიცოცხლის მოსპობის აკრძალვიდან და არ ანიჭებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს სასიკვდილო ძალა.[34] როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, „მე-2 პუნქტი არ განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც დაშვებულია პირის განზრახ მოკვლა, არამედ აღწერს სიტუაციას, როდესაც დაშვებულია „ძალის გამოყენება“, რომელმაც, როგორც გაუთვალისწინებელმა შედეგმა, შეიძლება გამოიწვიოს სიცოცხლის მოსპობა.“[35] შესაბამისად, თუ საქმე ეხება კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ერთ-ერთ სიტუაციას, ეს დებულება ანიჭებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს მხოლოდ თანაზომიერი ძალა, რომელსაც, სიცოცხლის მოსპობის განზრახვის გარეშე, შეიძლება მოჰყვეს სასიკვდილო შე-

---

31 იხ. *ბოსო იტალიის წინააღმდეგ (Boso v. Italy),* გადაწყვეტილება, 5 სექტემბერი, 2002 წელი; ასევე, Guide on Article 2 of the European Convention on Human Rights, updated 31 August, 2022, available at: [https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_2_ENG.pdf], p. 6.

32 *არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Armani da Silva v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 30 მარტი, 2016 წელი, 229-ე პუნქტი.

33 J. Kratochvil, The Rights to Life in the Perspective of the Human Rights Committee and the European Court of Human Rights, http://ssrn.com/asract=951225, p. 3; F. Ni Aolain, The Evolving Jurisprudence of the European Convention Concerning the Right to Life, Netherlands Quarterly of Human Rights, 19, No.1, 2001, 23; R. Turmen, “Right to Life” (Article 2), Bulletin des Droits de l’Homme, Nos.11/12, 2005, 56.

34 J. Murdoch and R. Roche, The European Convention Human Rights and Policing: A Handbook for Police Officers and Other Law Enforcement Officials, 2013, 26.

35 *მაკკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann and Others v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 27 სექტემბერი, 1995 წელი, 148-ე პუნქტი; *ერგი თურქეთის წინააღმდეგ (Ergi v. Turkey)*, 28 ივლისი, 1998 წელი, 79-ე პუნქტი; *ჯულიანი და გაჯიო იტალიის წინააღმდეგ (Giuliani and Gaggio v. Italy),* დიდი პალატა, 24 მარტი, 2011 წელი, 175-ე პუნქტი; ასევე იხ. W. Schabas, The European Convention on Human Rights: A Commentary, 2015, 122.

დეგი. აქედან გამომდინარე, მე-2 პუნქტი ეხება სამ შემთხვევას, როდესაც სახელმწიფომ გამოიყენა თანაზომიერი ძალა, რომელსაც არ ჰქონდა სიცოცხლის მოსპობის განზრახვა და, მიუხედავად ამისა, მოხდა პირის სიცოცხლის მოსპობა. ასეთ შემთხვევებში პირის სიცოცხლის მოსპობა არ ჩაითვლება კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად და სახელმწიფოს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა სიცოცხლის მოსპობისათვის.[36] სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ სიცოცხლის მოსპობის სხვა შემთხვევაში დადგება სახელმწიფოს პასუხისმგებლობა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევისათვის.[37] აქედან გამომდინარე, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი იცავს სიცოცხლის უფლებას და, იმავდროულად, ადგენს პირობებს, როდესაც სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ სიცოცხლის მოსპობა არ ჩაითვლება ადამიანის სიცოცხლის უფლების დარღვევად.[38]

სხვა მუხლებისაგან განსხვავებით, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის ტექსტი დამაბნეველია და არც მისი შემუშავების ისტორია ჰფენს ნათელს იმ კითხვებს, რომლებიც, მისი ტექსტიდან გამომდინარე, წარმოიშობა ამ მუხლის შინაარსსა და დაცული უფლების ფარგლებთან დაკავშირებით.[39] მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში ნათელი მოჰფინა კონვენციის მე-2 მუხლის შინაარსს და სახელმწიფოს ვალდებულებების ხასიათს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის განმარტებით, ის აკისრებს სახელმწიფოებს: ა) ნეგატიურ ვალდებულებას, თავი შეიკავოს სიცოცხლის განზრახ და უკანონო მოსპობისაგან; და ბ) პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას სიცოცხლე.[40]

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლე, თავის მხრივ, მოიცავს ორ ძირითად ელემენტს: ა) ვალდებულებას, დაიცვას სიცოცხლე გარკვეულ გარემოებებში; და ბ) ვალდებულებას, აწარმოოს პირის გარდაცვალების შემთხვევის ეფექტიანი გამოძიება.[41]

თავის მხრივ, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლე გარკვეულ გარემოებებში ასევე შედგება ორი ელემენტისაგან: პირველი ელემენტი გამომდინარეობს მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის პირველი წინადადებიდან, რომლის მიხედ-

---

36 N. Pavel, The Right to Life as a Supreme Value and Guaranteeing the Right to Life, Contemporary Readings in Law and Social Justice, vol. 4(2), 2012, 974.

37 R. Crawshaw, International Standards on the Right to Life and the Use of Force by Police, The International Journal of Human Rights, Vol. 3, No. 4, Winter 1999, 70.

38 R. Turmen, "Right to Life" (Article 2), Bulletin des Droits de l'Homme, Nos.11/12, 2005, 55.

39 S. Trechsel, Spotlight on Article 2 ECHR, The Right to Life, in: Development and Developing International Law and European Law: Essays in Honour of Konrad Ginther on the Occasion of his 65th Birthday, W. Benedek, H. Isak and R. Kicker (eds.), 1999, 671; T. Opsahl, The Right to Life, in: The European System for the Protection of Human Rights R.St.J. Macdonald, F. Matscher and H. Petzold (eds.), 1993, 209.

40 S. M. Zielonka, The Universality of the Right to Life: Article 2 and the Margin of Appreciation in the Jurisprudence of the European Court of Human Rights, New York University Journal of International Law and Politics, 47(1), 2014, 247-248; K. E. Irwin, Prospects for Justice: The Procedural Aspect of the Right to Life under the European Convention on Human Rights and its Application to Investigations of Northern Ireland's Bloody Sunday, Fordham International Law Journal, Vol. 22, No. 4, April 1999, 1837.

41 H. Russel, The Use of Force and Article 2 of the ECHR in Light of European Conflicts, 2017, 15.

ვით: „ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია კანონით.“ ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია, კანონმდებლობით დაადგინოს სიცოცხლის უფლება.[42] კერძოდ, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, „დაადგინოს საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს სიცოცხლის უფლებისათვის საფრთხის შექმნისაგან თავის შეკავების ეფექტიან მექანიზმს.“[43] აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სიცოცხლის უფლების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შექმნა;[44]

მეორე ელემენტის მიხედვით, რომელსაც ევროპულმა სასამართლომ თავისი პრაქტიკით ნათელი მოჰფინა, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გაატაროს „პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები“, რათა დაიცვას პირი, რომლის სიცოცხლე საფრთხეშია.[45] ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა გადადგას პრაქტიკული ნაბიჯები სიცოცხლის უფლების დასაცავად.[46]

მართალია, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლთან მიმართებით პირველი გადაწყვეტილება, რომელშიც დაადგინა სიცოცხლის უფლების დარღვევა, საკმაოდ გვიან მიიღო (1995 წელს საქმეზე *მაკკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann v. the United Kingdom))*, ამ უფლებასთან მიმართებით მისი პრეცედენტული სამართალი სწრაფად განვითარდა და მან ამ უფლების მრავალ ასპექტს მოჰფინა ნათელი.[47] სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით ევროპული სასამართლოს პრაქტიკა განსაზღვრავს როგორც სახელმწიფოს ვალდებულებათა ხასიათს, ისე მისი მოქმედების არეალს.[48] მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის უფლების მიმართ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ამჟამად საკმაოდ მდიდარია, სამომავლოდ მას აქვს

---

42 T. Opsahl, The Right to Life, in: The European System for the Protection of Human Rights R.St.J. Macdonald, F. Matscher and H. Petzold (eds.), 1993, 209.

43 ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ *(Oneryildiz v. Turkey),* დიდი პალატა, 30 ნოემბერი, 2004 წელი, 88-ე-89-ე პუნქტები.

44 B. Dickson, The European Convention on Human Rights and the Conflict in Northern Ireland, 2010, 226-227.

45 *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 28 ოქტომბერი, 1998 წელი, 115-ე პუნქტი; ასევე იხ. I. Park, The Right to Life in Armed Conflict, 2018, 7-8.

46 S. Kyrkos, Suicide in the Military as a Breach of the Rights to Life, Under the Provisions of Article 2 of the European Convention on Human Rights and Fundamental Freedoms, http://ssrn.com/abstract=2836637, p. 5; D. Baker, Death after Police Contact in England and Wales: The Effects of Article 2 of the European Convention on Human Rights on Coronial Practice, International Journal of Law in Context 12, No. 2, 2016, 165; R. Turmen, “Right to Life” (Article 2), Bulletin des Droits de l’Homme, Nos.11/12, 2005, 56.

47 მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა პირველად მხოლოდ 1995 წელს დადგინდა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ ჯერ კიდევ 1984 წელს იმსჯელა კონვენციის მე-2 მუხლის შინაარსზე და ნათელი მოჰფინა მისი გამოყენების ფარგლებს. იხ. *სტიუარდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Steward v. the United Kingdom),* კომისიის გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ, 10 ივლისი, 1984 წელი, მე-15 პუნქტი.

48 M. O’Boyle, The Development of the Right to Life, AFMÆLISRIT ÞÓR VILHJÁLMSSON, 2000, 66. *Ibid*, for the history of development of the positive obligation in Article 2 see, 67-68.

განვითარების პერსპექტივა, რაც კიდევ უფრო გაზრდის სახელმწიფოს ვალდებულებათა არეალს.[49]

ნაშრომის მომდევნო თავებში განიხილება სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი, მათ შორის: სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება, თავი შეიკავოს სიცოცხლის განზრახვით და უკანონოდ მოსპობისაგან, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლე და ვალდებულება, უზრუნველყოს გარდაცვალების შემთხვევის ეფექტიანი გამოძიება.

49 F. de Sanctis, What Duties do States have with Regard to the Rules of Engagement and the Training of Security Forces under Article 2 of the European Convention on Human Rights? International Journal of Human Rights, Vol. 10, N1, 2006, 31; W. Schabas, The European Convention on Human Rights: A Commentary, 2015, 117.

2. სიცოცხლის მოსპობის აკრძალვა – ნეგატიური ვალდებულება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს ეკრძალება პირის სიცოცხლის მოსპობა (ნეგატიური ვალდებულება). სიცოცხლის მოსპობისათვის სახელმწიფოს დაეკისრება პასუხისმგებლობა, გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. სიცოცხლის მოსპობის აკრძალვა ვრცელდება სახელმწიფოს ისეთ წარმომადგენელზე, როგორიცაა, მაგალითად, პოლიციელი,[50] უშიშროების სამსახურის წარმომადგენელი,[51] სამხედრო პირი[52] ან ნებისმიერი სხვა პირი,[53] რომელიც მოქმედებს სახელმწიფოს სახელით.[54]

ის, რომ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით სახელმწიფოს წარმომადგენელს ეკრძალება პირის სიცოცხლის მოსპობა, ცხადია, არ ნიშნავს, რომ სიცოცხლის მოსპობა დაშვებულია კერძო პირის მიერ. თუ პირს სიცოცხლე მოუსპო სხვა კერძო პირმა, სახელმწიფოს დაეკისრება პასუხისმგებლობა არა იმისათვის, რომ მან არ შეასრულა სიცოცხლის უფლების დაცვის ნეგატიური ვალდებულება, თავად არ მოესპო პირის სიცოცხლე, არამედ იმისათვის, რომ არ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება, გადაედგა ნაბიჯები სიცოცხლის უფლების დასაცავად, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გარდაცვლილი პირის სიცოცხლეს ემუქრებოდა რეალური და მყისიერი საფრთხე, მაგრამ არ გაატარა სათანადო ღონისძიებები მისი სიცოცხლის დასაცავად. როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლის, ისე კერძო პირის მიერ სხვა პირის სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში, სახელმწიფოს დაეკისრება პასუხისმგებლობა სიცოცხლის მოსპობის შემთხვევის ეფექტიანი გამოძიების ჩაუტარებლობის ან არასათანადოდ ჩატარების გამო.

2.1. სიცოცხლის მოსპობის მტკიცებულება

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, სიცოცხლის უფლების დარღვევისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დასადგენად მოსარჩელემ (როგორც წესი, გარდაცვლილის ნათესავმა) უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება, რომელიც „გონივრული

---

50 *ჰიუ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hugh Jordan v. the United Kingdom),* 4 მაისი, 2001 წელი.

51 *მაკკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann and Others v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 27 სექტემბერი, 1995 წელი.

52 *ლულუევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Luluyev and Others v. Russia)*, 9 ნოემბერი, 2006 წელი.

53 *ავსარი თურქეთის წინააღმდეგ (Avsar v. Turkey)*, 10 ივლისი, 2001 წელი.

54 D. Harris, M. O'Boyle et al, Law of the European Convention on Human Rights, 4th ed., 2018, 223-224.

ეჭვის მიღმა“ სტანდარტით დაადასტურებს, რომ პირს სიცოცხლე მოუსპო სახელმწიფოს წარმომადგენელმა. როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა საქმეზე – *სალმანი თურქეთის წინააღმდეგ (Salman v. Turkey)*: „ასეთი მტკიცებულება უნდა გამომდინარეობდეს საკმარისად ძლიერი, ნათელი და თანმხვედრი დასკვნების ერთობლიობიდან, ან ფაქტის ისეთი პრეზუმფციიდან, რომლის უარყოფაც შეუძლებელია.“[55] როდესაც მოსარჩელის მტკიცებულება დამაჯერებელია, რომ სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია სახელმწიფოს წარმომადგენლის ქმედებამ, თუმცა ევროპულ სასამართლოს არ ეძლევა ფაქტობრივი დასკვნების გაკეთების საშუალება იმის გამო, რომ სახელმწიფო შესაბამისი დოკუმენტებით არ ამტკიცებს საწინააღმდეგოს, ან არ აკეთებს სათანადო ახსნა-განმარტებას, მტკიცების ტვირთი გადადის სახელმწიფოზე. სახელმწიფომ უნდა დაასაბუთოს, რომ მოსარჩელის მტკიცება არ დასტურდება, ან უნდა წარმოადგინოს დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა იმისა, როგორ განვითარდა შესაბამისი მოვლენები, რომლებმაც გამოიწვია პირის გარდაცვალება.[56]

პირის სიცოცხლის მოსპობის მტკიცებულების საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ საქმეებზე, რომლებიც ეხება პირის გარდაცვალებას პენიტენციურ დაწესებულებაში და პირის იძულებით გაუჩინარებას.

2.1.1. თავისუფლებააღკვეთილი პირის გარდაცვალება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში მყარად დამკვიდრებულია მიდგომა, რომლის მიხედვით, თუ ჯანმრთელ პირს აღეკვეთა თავისუფლება, ხოლო მოგვიანებით პენიტენციურ დაწესებულებაში იგი გარდაიცვალა, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, წარმოადგინოს იმ მოვლენების დამაჯერებელი ახსნა-განმარტება, რომლებმაც გამოიწვია მისი გარდაცვალება. ევროპული სასამართლოს პოზიცია განპირობებულია იმით, რომ მოვლენები, რომლებიც ვითარდება პენიტენციურ დაწესებულებაში, მათ შორის პატიმრის გარდაცვალება, მთლიანად ან დიდწილად, ექცევა სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ და იქმნება ფაქტის ძლიერი პრეზუმფცია, რომ მას ზიანი მიადგა პატიმრობაში ყოფნისას, რომლის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. შესაბამისად, სახელმწიფოს ეკისრება მტკიცების ტვირთი, დამაკმაყოფილებლად და დამაჯერებლად ახსნას პირის გარდაცვალებასთან დაკავშირებული მოვლენები.[57]

საქმე *სალმანი თურქეთის წინააღმდეგ (Salman v. Turkey)* ეხებოდა მოსარჩელის ქმრის დაკავებას 1992 წლის 28 აპრილის ღამით, ქურთი ტერორისტებისათვის დახმარების აღმოჩენისა და მათი წაქეზების ეჭვის გამო.[58] დაკავებიდან 24 საათში იგი გადაიყვანეს სახელმწიფო საავადმყოფოში, სადაც მიყვანისთანავე დადასტურდა მისი გარდაცვალება. გვამის გაკვეთამ ცხადყო არაერთი სისხლჩაქცევა და მოტეხილობა, მათ შორის გულმკერდის ძვლისა, თუმცა დასკვნაში არ იყო მითითებული სიკვდილის მიზეზი. მოგვიანებით, საქმე გადაეცა სტამბოლის სასამართლო ექსპერტიზის ინსტიტუტს, რომელმაც დაასკვნა, რომ მოსარჩელის ქმარი გარდაიცვალა დაკავებასთან დაკავშირებული სტრესით გამოწვეული გულის შეტევით, რაც განაპირობა მანამდე

---

55 *სალმანი თურქეთის წინააღმდეგ (Salman v. Turkey)*, დიდი პალატა, 27 ივნისი, 2000 წელი, მე-100 პუნქტი; *ჯულიანი და გაჯიო იტალიის წინააღმდეგ (Giuliani and Gaggio v. Italy)*, დიდი პალატა, 24 მარტი, 2011 წელი, 181-ე პუნქტი.

56 *მუსაევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Musayev and Others v. Russia)*, 26 ივლისი, 2007 წელი, 144-ე პუნქტი.

57 I. Park, The Right to Life in Armed Conflict, 2018, 33.

58 დიდი პალატა, 27 ივნისი, 2000 წელი.

არსებულმა გულის მძიმე მდგომარეობამ. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ ოჯახის მიერ გადაღებული გვამის ფოტოებზე ჩანდა, თუ როგორ იყო მისი მეუღლე ნაცემი ფეხებზე. თურქეთის სასამართლომ მკვლელობის საქმეზე გაამართლა ათი პოლიციელი, წამების არასაკმარისი მტკიცებულებების გამო.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, როდესაც ჯანმრთელ პირს ათავსებენ პენიტენციურ დაწესებულებაში და ამის შემდეგ იგი კვდება, მოპასუხე სახელმწიფოს ეკისრება განსაკუთრებით მკაცრი ვალდებულება, განმარტოს გარდაცვალების მიზეზი.[59] ვინაიდან მოპასუხე სახელმწიფომ ვერ შეძლო, აეხსნა, როგორ მიადგა მოსარჩელის ქმარს ზიანი, ხოლო მტკიცებულებებით არ დადასტურდა, რომ მისი გარდაცვალება განპირობებული იყო დაკავებასთან დაკავშირებული სტრესით გამოწვეული გულის შეტევით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა.

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „პატიმრობაში მყოფი პირები არიან განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში და სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, დაიცვას ისინი. შესაბამისად, როდესაც ადამიანს ათავსებენ პატიმრობაში ჯანმრთელ მდგომარეობაში, მაგრამ მას მოგვიანებით აღენიშნება დაზიანებები, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, წარმოადგინოს სათანადო ახსნა-განმარტება, თუ საიდან გაჩნდა ამგვარი დაზიანებები. ... სახელმწიფოს ვალდებულება პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პირის მიმართ, განმარტოს მომხდარი, განსაკუთრებით მკაცრია, როდესაც პირი გარდაიცვლება.“[60]

საქმეში – *ველიკოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Velikova v. Bulgaria)* – მოსარჩელე ასაჩივრებდა ნათესავის გარდაცვალებას პენიტენციურ დაწესებულებაში, რომელიც პოლიციის განყოფილებაში მიყვანიდან 12 საათში გარდაცვლილად გამოცხადდა. მოსარჩელის მტკიცებით, მისი ნათესავის გარდაცვალება გამოიწვია ჯანმრთელობისათვის განზრახ ზიანის მიყენებამ და ხელისუფლების უუნარობამ, უზრუნველეყო სათანადო სამედიცინო დახმარება.[61]

ევროპულმა სასამართლომ არადამაჯერებლად მიიჩნია მთავრობის ახსნა-განმარტება, რომ მოსარჩელის ნათესავი წაიქცა და თავი დაიზიანა, რადგან გაკვეთის შესახებ დასკვნის მიხედვით მას მიყენებული ჰქონდა მძიმე ზიანი ცემის შედეგად.

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განმარტა: „როდესაც ხდება ჯანმრთელი პირის მოთავსება პოლიციის განყოფილებაში, ხოლო მოგვიანებით აღმოაჩენენ, რომ იგი გარდაიცვალა, სახელმწიფო ვალდებულია, წარმოადგინოს პირის გარდაცვალებამდე მოვლენების განვითარების დამაჯერებელი ახსნა-განმარტება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლებას დაეკისრება პასუხისმგებლობა კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით. ... მტკიცებულებების შეფასებისას ზოგადი პრინციპი, რომელიც გამოიყენება, არის მტკიცების სტანდარტი „გონივრული ეჭვის მიღმა“. ... ასეთი მტკიცება უნდა გამომდინარეობდეს საკმარისად ძლიერი, ნათელი და თანმხვედრი დასკვნების ერთობლიობიდან ან ფაქტის ისეთი პრეზუმფციიდან, რომლის უარყოფაც შეუძლებელია. როდესაც შესაბამისი მოვლენები, მთლიანად ან დიდწილად, ექცევა სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ, როგორიცაა პატიმრობაში მყოფი პირების შემთხვევა, წარმოიშობა ფაქტის ძლიერი პრეზუმფცია, რომ პირის სიკვდილი გამოიწვია პატიმრობისას მიყენებულმა დაზიანე-

59 99-ე პუნქტი.

60 99-ე პუნქტი.

61 18 მაისი, 2000 წელი.

ბებმა. უდავოა, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება ხელისუფლებას, რათა მან წარმოადგინოს დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტება.“[62]

ვინაიდან მთავრობამ ვერ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება, რომ ექიმმა შეამოწმა მოსარჩელის ნათესავი პატიმრობაში ყოფნისას, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი.[63]

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, თუ სახელმწიფო, რომელსაც ხელი მიუწვდება სრულ ინფორმაციაზე პენიტენციურ დაწესებულებაში პირის გარდაცვალების მიზეზზე, უარს აცხადებს, გადასცეს ასეთი ინფორმაცია ევროპულ სასამართლოს, ამ უკანასკნელს შეუძლია, ასეთი უარის საფუძველზე გამოიტანოს დასკვნა კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შესახებ და დაადგინოს კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.[64]

2.1.2. პირის იძულებითი გაუჩინარება

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა არაერთი საქმე, რომლებშიც მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ, იძულებითი გაუჩინარების გამო, დაირღვა მისი ოჯახის წევრის/ნათესავის სიცოცხლის უფლება.[65] განსხვავებით საქმეებისაგან, რომ-

---

62 70-ე პუნქტი; ასევე იხ. *ვარნავა და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Varnava and Others v. Turkey),* დიდი პალატა, 18 სექტემბერი, 2009 წელი, 183-ე პუნქტი; *სამართლებრივი რესურსების ცენტრი ვალენტინ ჩამპეანუს სახელით რუმინეთის წინააღმდეგ (Center of Legal Resources on behalf of Valentin Câmpeanu v. Romania),* დიდი პალატა, 17 ივლისი, 2014 წელი, 131-ე პუნქტი; ასევე იხ. *ანგუელოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Anguelova v. Bulgaria),* 13 ივნისი, 2002 წელი, 112-ე-122-ე პუნქტები; *შჩებეტოვი რუსეთის წინააღმდეგ (Shchebetov v. Russia),* 10 აპრილი, 2012 წელი, 44-ე პუნქტი; *პრედიცა რუმინეთის წინააღმდეგ (Predica v. Romania),* 7 ივნისი, 2011 წელი, 54-ე პუნქტი.

63 *ველიკოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Velikova v. Bulgaria),* 18 მაისი, 2000 წელი, 75-ე-76-ე პუნქტები.

64 *აკუმი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Akkum and Others v. Turkey),* 24 მარტი, 2005 წელი, 211-ე და შემდგომი პუნქტები; *ესტამიროვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Estamirov v. Others v. Russia),* 12 ოქტომბერი, 2006 წელი, 112-ე-114-ე პუნქტები; *ზაბიევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Zabiyeva and Others v. Russia),* 17 სექტემბერი, 2009 წელი, 86-ე-87-ე პუნქტები; ასევე იხ. W. Schabas, The European Convention on Human Rights: A Commentary, 2015, 123.

65 იძულებით გაუჩინარებული ყველა პირის დაცვის შესახებ გაეროს საერთაშორისო კონვენციის (2006 წლის 20 დეკემბერი) მე-2 მუხლით იძულებითი გაუჩინარება განმარტებულია როგორც „დაკავება, თავისუფლების აღკვეთა, მოტაცება ან სახელმწიფოს წარმომადგენლების ან სახელმწიფოს ნებართვით, მხარდაჭერით ან თანხმობით მოქმედი პირების ან პირთა ჯგუფის მიერ თავისუფლების აღკვეთის რაიმე სხვა ფორმა, რომელსაც მოჰყვა თავისუფლების აღკვეთის დადასტურებაზე უარი ან გაუჩინარებული პირის ბედის ან ადგილსამყოფელის ისეთი დამალვა, რომელიც აქცევს ასეთ პირს კანონის მიღმა.“ იხ. *საქმე ასლახანოვა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Aslakhanova and Others v. Russia),* 18 December 2012, para. 61. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში განიხილა არა მხოლოდ იძულებითი გაუჩინარების საქმეები. მან ასევე იმსჯელა ისეთ გაუჩინარებაზე, რომელიც არ იყო განპირობებული იძულების გარემოებით. საქმეზე *გონსალვეს მონტეირო პორტუგალიის წინააღმდეგ (Goncalves Monteiro v. Portugal)* (15 მარტი, 2022 წელი) ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება საკუთარი ნებით გაუჩინარების შემთხვევაზე. ამ საქმეში 18 წლის შიზოფრენიით დაავა-

ლებშიც გარდაცვალების ფაქტი დამდგარია, გაუჩინარების საქმეებთან მიმართებით წარმოიშობა საკითხი, როგორ უნდა დადგინდეს, რომ სახელმწიფოს წარმომადგენელმა მოუსპო პირს სიცოცხლე, კერძოდ, რა მტკიცებულება ჩაითვლება საკმარისად სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დასადგენად. ამ საქმეებთან მიმართებით ასევე მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, გაუჩინარებული პირის ოჯახის წევრს თუ სახელმწიფოს ეკისრება მტკიცების ტვირთი.[66]

ევროპული სასამართლოს თავდაპირველი პოზიციით, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი რომ დამდგარიყო, აუცილებელი იყო, მოსარჩელის (მაგ., გაუჩინარებული პირის ოჯახის წევრის) მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებას „გონივრული ეჭვის მიღმა“ სტანდარტით დაედასტურებინა, რომ სახელმწიფომ მოუსპო გაუჩინარებულ პირს სიცოცხლე. შესაბამისად, მოსარჩელეს უნდა წარედგინა მყარი მტკიცებულება სახელმწიფოს მიერ გაუჩინარებული პირის სიცოცხლის მოსპობის შესახებ.

საქმე *კურტი თურქეთის წინააღმდეგ (Kurt v. Turkey)* ეხებოდა შემთხვევას, რომელიც მოხდა თურქეთის ერთ-ერთ სოფელში (აგრილი), დიარბაქირის პროვინციაში.[67] 1993 წელს თურქეთის უშიშროების ძალებმა ჩაატარეს ოპერაცია და გაჩხრიკეს სოფლის მცხოვრებთა სახლები. ჩხრეკის შედეგად უშიშროების ძალებმა დააკავეს მოსარჩელის შვილი (უზეირ კურტი), რომელიც დედამ (მოსარჩელემ) ბოლოს ნახა დაკავების დღეს, მაშინ, როდესაც მისი შვილი იყო გარშემორტყმული ჯარისკაცებით.

ამ საქმესთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ (ისევე როგორც კომისიამ) უარი განუცხადა მოსარჩელეს, დაედგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, რადგან მას არ წარუდგენია „კონკრეტული მტკიცებულება“, რომელიც „გონივრული ეჭვის მიღმა“ სტანდარტით დაადასტურებდა, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლებმა მოკლეს მისი შვილი.[68] ამით ევროპულმა სასამართლომ დააწესა მოსარჩელის მიერ გაუჩინარებული პირის სიცოცხლის მოსპობის მტკიცების ძალიან მაღალი სტანდარტი.[69]

მოგვიანებით ევროპულმა სასამართლომ გააცნობიერა, რომ გაუჩინარების საქმეებზე სიცოცხლის მოსპობის მტკიცების ასეთი მაღალი სტანდარტის დაწესება, რომლის მიხედვით მოსარჩელეს კონკრეტული მტკიცებულების საფუძველზე უნდა დაედასტურებინა, რომ სახელმწიფოს წარმომადგენელმა მოუსპო სიცოცხლე გაუჩინარებულ პირს, მეტისმეტ და შეუძლებელ ტვირთს აკისრებდა მას, ამიტომ ევროპულმა სასამართლომ მოგვიანებით შეცვალა თავისი პოზიცია. კერძოდ, საქმის – *ტიმურტაში თურქეთის წინააღმდეგ (Timurtas v. Turkey)* – მიხედვით, რომელშიც მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ 1993 წლის აგვისტოში მისი შვილი დააკავა სამხედრო პოლიციამ

დებული 18 წლის ქალი გაუჩინარდა, თუმცა ევროპულ სასამართლოს არ დაუდგენია, რომ მოპასუხე სახელმწიფომ არ შეასრულა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება არსებით ნაწილში, ვინაიდან ჩათვალა, რომ სახელმწიფომ ყველაფერი გააკეთა, რაც შექმნილ სიტუაციში გონივრული იქნებოდა. ასევე *ჰილერი ავსტრიის წინააღმდეგ (Hiller v. Austria),* 22 ნოემბერი, 2016 წელი.

66 C. Buckley, The European Convention on Human Rights and the Right to Life in Turkey, Human Rights Law Review, 1, No.1, 2001, 44-45.

67 25 მარტი, 1998 წელი.

68 მიუხედავად ამისა, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევა. იხ. 107-ე-109-ე პუნქტები. ასევე იხ. S. Hendin, The Evolution of the Right to Life by the European Court of Human Rights, Baltic Yearbook on International Law, Vol. 4, 2004, 79.

69 J. Kratochvil, The Rights to Life in the Perspective of the Human Rights Committee and the European Court of Human Rights, 2006, available at SSRN: *http://ssrn.com/asract=951225, p. 17-18.*

(და, შესაბამისად, ამ მომენტიდან იმყოფებოდა სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ), რის შემდეგაც იგი გაუჩინარდა, გაუჩინარებული პირის მამამ მიმართა თურქეთის პროკურატურას, გამოეძიებინა საქმე, რაზეც მიიღო უარი, რადგან, პროკურატურის აზრით, მოსარჩელემ ვერ წარადგინა შესაბამისი მტკიცებულება.[70] მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა მოსარჩელის შვილის დაპატიმრების სარწმუნო მტკიცებულება (ორმა სხვა პატიმარმა ნახა მოსარჩელის შვილი პენიტენციურ დაწესებულებაში), მოპასუხე სახელმწიფომ საერთოდ უარყო, რომ მისი შვილი იყო დაკავებული, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინა დაკავების ოქმების ჩანაწერები ადგილობრივი პოლიციის განყოფილებიდან, სამხედრო შტაბიდან და დაკითხვის ცენტრიდან, რომლებიც არ შეიცავდა ჩანაწერს გაუჩინარებული პირის შესახებ.

შექმნილი მდგომარეობის გამო, მტკიცებულებების მოსაპოვებლად ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის დელეგაცია გაემგზავრა სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში. მოსარჩელემ ვერ შეძლო დაკავების თვითმხილველების პოვნა, თუმცა წარმოადგინა სამხედრო ოპერაციის შემდგომ მომზადებული ანგარიშის ასლი, რომელშიც მითითებული იყო მისი შვილის დაკავების შესახებ. მოპასუხე სახელმწიფომ ეჭვის ქვეშ დააყენა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის ავთენტურობა, თუმცა ამ დოკუმენტის დედნის წარმოდგენაზე მან უარი განაცხადა, უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე.

ევროპული სასამართლოს პოზიციით, თუ პირი უკანასკნელად ნახეს მაშინ, როდესაც იგი იმყოფებოდა სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ, რის შემდეგაც იგი გაუჩინარდა, მხოლოდ სახელმწიფოს შეიძლება ჰქონოდა წვდომა ინფორმაციაზე, რომელიც დაადასტურებდა ან უარყოფდა გაუჩინარებული პირის სიცოცხლის მოსპობის ფაქტს. ასეთ ვითარებაში მტკიცების ტვირთი გადადის სახელმწიფოზე, რათა მან წარმოადგინოს მტკიცებულება, რომ სახელმწიფოს წარმომადგენელს არ მოუსპია სიცოცხლე მოსარჩელის ოჯახის წევრისათვის.[71]

განსხვავებით საქმისაგან *კურტი თურქეთის წინააღმდეგ (Kurt v. Turkey),* რომელშიც მოსარჩელეს უნდა წარედგინა „კონკრეტული მტკიცებულება“, რომ სახელმწიფომ მოსპო გაუჩინარებული პირის სიცოცხლე, საქმეში *ტიმურტაში თურქეთის წინააღმდეგ (Timurtas v. Turkey)* ევროპული სასამართლო მიემხრო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დადგენის კონტექსტუალურ მიდგომას. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა:

„ხელისუფლების მიერ დამაჯერებელი განმარტების წარმოუდგენლობა დაკავებული პირის ბედის შესახებ წარმოშობს თუ არა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის საკითხს მისი გვამის არარსებობის პირობებში, დამოკიდებული იქნება საქმის ყველა გარემოებაზე და, განსაკუთრებით, საკმარის გარემოებათა მტკიცებულების არსებობაზე, რომელიც დაფუძნებულია კონკრეტულ ელემენტებზე და რომლისგანაც შეიძლება გაკეთდეს დასკვნა მტკიცების სათანადო სტანდარტის შესახებ, რომ ჩამოყალიბდა პრეზუმფცია დაკავებული პირის პენიტენციურ დაწესებულებაში გარდაცვალების შესახებ.“[72]

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს მიერ იმ დოკუმენტის გამჟღავნებაზე უარმა, რომელსაც ნათელი უნდა მოეფინა საკითხისათვის, ევროპული სასამართლოსათვის შექმნა იმის პრეზუმფცია, რომ მოსარჩელის შვილი მართლაც დაკავეს. სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა დროის ფაქტორზე, რომლის განმავ-

---

70 13 ივნისი, 2000 წელი.

71 *იმაკაევა რუსეთის წინააღმდეგ (Imakayeva v. Russia)*, 9 ნოემბერი, 2006 წელი, 141-ე პუნქტი.

72 82-ე პუნქტი.

ლობაში პირი იყო გაუჩინარებული. სასამართლოს პოზიციით, რაც მეტი დრო გადიოდა, რომლის განმავლობაში არ იყო ინფორმაცია გაუჩინარებული პირის შესახებ, მით უფრო იზრდებოდა იმის ალბათობა, რომ იგი მიჩნეული ყოფილიყო გარდაცვლილად. ვინაიდან ექვს-ნახევარი წელიწადი იყო გასული მოსარჩელის შვილის დაკავების მომენტიდან და ამ დროის განმავლობაში მოპასუხე სახელმწიფომ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია, რა მოხდა მასთან დაკავშირებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ შეიქმნა პრეზუმფცია – სახელმწიფომ მოსპო გაუჩინარებული პირის სიცოცხლე, და დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა.[73]

საქმეში – *ტაში თურქეთის წინააღმდეგ (Tas v. Turkey)* – ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მტკიცების სათანადო სტანდარტზე, კერძოდ, იმ გარემოებათა ერთობლიობაზე, რომლებიც გაითვალისწინება პრეზუმფციის შესაქმნელად, რომ გაუჩინარებული პირი ჩაითვალოს გარდაცვლილად.[74] ამ საქმეზე მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მისი შვილი გაუჩინარდა უშიშროების ძალების მიერ დაკავების შემდეგ და რომ იგი გარდაიცვალა პატიმრობაში ყოფნისას. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, მოსარჩელის შვილი დააკავეს 1993 წლის 14 ოქტომბერს, დაკავების ოქმში არ ყოფილა გაკეთებული რაიმე ჩანაწერი და არ არსებობდა სარწმუნო მტკიცებულება მისი ადგილსამყოფლის შესახებ.[75] მიუხედავად იმისა, რომ დაკავებისას მის მიმართ ნასროლმა ტყვიამ მას დაუზიანა მუხლი, არ არსებობდა სამედიცინო ჩანაწერი, რომლის მიხედვით იგი განაგრძობდა სამედიცინო დახმარების მიღებას მას შემდეგ, რაც იგი მოინახულა ექიმმა მისი დაკავების დღეს.[76]

ერთ თვეზე მეტი დროის გასვლის შემდეგ, კერძოდ, 1993 წლის 18 ნოემბერს, მოსარჩელემ შეიტყო, რომ მისი შვილი 1993 წლის 9 ნოემბერს გაექცა უშიშროების ძალებს გაბარის მთებში სპეცოპერაციისას. სახელმწიფოს პოზიცია, რომელიც ეფუძნებოდა სამი არაიდენტიფიცირებული თანამშრომლის ანგარიშს, არაფრით დასტურდებოდა. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ბ-ნი ტაშის დაკავებასთან დაკავშირებული დოკუმენტური მტკიცებულებების არარსებობამ და სახელმწიფოს უუნარობამ, მიეწოდებინა მისთვის დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტება, რა მოხდა მასთან დაკავშირებით, ჩამოაყალიბა პრეზუმფცია, რომ ბ-ნი ტაში გარდაიცვალა უშიშროების ძალების დაკავების შემდგომ პერიოდში.

მტკიცების სათანადო სტანდარტზე მსჯელობისას ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა რამდენიმე გარემოებაზე, რომლებიც სასამართლომ გაითვალისწინა პრეზუმფციის შესაქმნელად, რომ გაუჩინარებული პირი ჩაეთვალა გარდაცვლილად. ეს გარემოებებია:

ა) პირის პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებიდან, სხვა სიტყვებით კი, სახელმწიფო კონტროლის ქვეშ ყოფნიდან გასული დროის ხანგრძლივობა, ისევე როგორც დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაში არ ყოფილა რაიმე ცნობა დაპატიმრებული პირის შესახებ;[77]

---

73 ასევე იხ. *ER და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (ER and Others v. Turkey)*, 31 ივლისი, 2012 წელი.

74 14 ნოემბერი, 2000 წელი.

75 იქვე.

76 65-ე პუნქტი.

77 64-ე პუნქტი. სასამართლოს აზრით, რაც მეტი დრო გადის, რომლის განმავლობაში არ არის ცნობა დაპატიმრებული პირის შესახებ, მეტია ალბათობა, რომ იგი გარდაცვლილია. გასულმა დროის ხანგრძლივობამ, რომლის განმავლობაში არ არის ცნობა დაპატიმრებული პირის შესახებ, შეიძლება ერთგვარი გავლენა მოახდინოს გარემოებით მტკიცებულების სხვა ელემენტებზე, ვიდრე შეიქმნება პრეზუმფცია, რომ შესაბამისი პირი გარდაცვლილია.

ბ) დოკუმენტური მტკიცებულების არარსებობა შესაბამისი პირის დაკავების ადგილის შესახებ;[78]

გ) სახელმწიფოს უუნარობა, წარმოედგინა დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტება, რა მოხდა შესაბამის პირთან მიმართებით;[79]

დ) ზოგადი კონტექსტი, რომელშიც პირის დაუდასტურებელი პატიმრობა შეიძლება ყოფილიყო მისი სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი.[80]

ასევე საინტერესოა საქმე *ჩიჩეკი თურქეთის წინააღმდეგ (Cicek v. Turkey),* რომელშიც მოსარჩელე ასაჩივრებდა მისი ორი შვილის (ტახსინი და ალი ჩიჩეკები) დაუდასტურებელ დაკავებას თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის რეგიონში სამხედრო ოპერაციის დროს და მათ გაუჩინარებას.[81] დაკავებიდან ექვს-ნახევარი წლის გასვლის მიუხედავად, მოსარჩელის შვილების ადგილსამყოფელი და მათი ბედი უცნობი იყო. ბოლოს ისინი ნახეს ჯარისკაცებთან ერთად, როდესაც დააკავა სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა. სახელმწიფომ, თავის მხრივ, ვერ წარმოადგინა რაიმე ინფორმაცია მოსარჩელის შვილების ადგილსამყოფლის შესახებ, თუმცა საქმესთან დაკავშირებული ფაქტები ადასტურებდა, რომ ორი მამაკაცი ხელისუფლების მიერ იყო დაკავებული.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ პერიოდში სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა იმის გამორიცხვა, რომ პირის დაუდასტურებელი დაკავება იყო სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი. ამ მიზეზების გამო, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ არსებობდა მოსარჩელის შვილების გარდაცვალების პრეზუმფცია და მათ გარდაცვალებაში სახელმწიფოს პასუხისმგებლობა იკვეთებოდა. ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.[82]

საქმე *ვარნავა და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Varnava and Others v. Turkey)* ეხებოდა კვიპროსის რამდენიმე მოქალაქის გაუჩინარებას თურქეთის სამხედრო ოპერაციის დროს ჩრდილოეთ კვიპროსში, 1974 წელს.[83] ვინაიდან გაუჩინარებები ხდებოდა სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ გარემოებებში, როდესაც სამხედრო ოპერაციებს თან ახლდა მასობრივი დაკავებები და მკვლელობები, დიდმა პალატამ დაადგინა, რომ მე-2 მუხლი აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, გააკეთოს ახსნა-განმარტება გაუჩინარებული პირების ადგილსამყოფლისა და მათი ბედის შესახებ. თუ სახელმწიფო არ გააკეთებს დამაჯერებელ ახსნა-განმარტებას პირის ადგილსამყოფლის შესახებ, ევროპული სასამართლო დაადგენს, რომ შეიქმნა პრეზუმფცია, რომ გაუჩინარებული პირი გარდაცვლილია. აქვე, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ უნდა დადგინდეს, გაუჩინარებული პირი იმყოფებოდა სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ სიტუაციაში. შესაბამისად, სასამართლო მხედველობაში იღებს

---

78 65-ე პუნქტი.

79 66-ე პუნქტი.

80 კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ 1993 წელს სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში შექმნილი სიტუაცია მიჩნეულიყო საფრთხის შემცველად ასეთი პირის დაუდასტურებელი დაკავების მიმართ. იქვე; ასევე იხ. H. Russell, Striving for Never Again: A European Convention for the Protection of All Persons from Enforced Disappearance and the Veiled Protection of Article 2 of the ECHR, Inter-American and European Human Rights Journal, 9, No.2, 2016, 495-496.

81 27 თებერვალი, 2001 წელი.

82 147-ე პუნქტი.

83 დიდი პალატა, 18 სექტემბერი, 2009 წელი.

კონტექსტუალურ მტკიცებულებას, როგორიცაა ინფორმაცია, რომლის მიხედვით, გარკვეულ ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციების ჩატარება ხასიათდება დაკავებებითა და მკვლელობებით.[84]

იძულებით გაუჩინარებასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ განიხილა არაერთი საქმე რუსეთთან მიმართებით.[85] მაგალითად, საქმეზე – *ბაისაევა რუსეთის წინააღმდეგ (Baysayeva v. Russia)* – მოსარჩელის ქმარი, სხვა პირებთან ერთად, დააკავეს უსაფრთხოების ოპერაციის ფარგლებში.[86] ამის შემდეგ, ექვს წელზე მეტი ხნის განმავლობაში, არ არსებობდა არანაირი ცნობა მოსარჩელის მეუღლის შესახებ.

ევროპული სასამართლოს წინაშე რუსეთმა, როგორც მოპასუხე სახელმწიფომ, უარყო მოსარჩელის მეუღლის დაკავების ფაქტი. ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება, რომლის მიხედვით, ჩეჩნეთში კონფლიქტის კონტექსტში პირის დაკავება არაიდენტიფიცირებული პირების მიერ დაკავების რაიმე დადასტურების გარეშე შეიძლება ჩაითვალოს სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველად. ვინაიდან სახელმწიფომ ადრეულ ეტაპზე არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები გამოძიების დასაწყებად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს პრეზუმფცია, რომ მოსარჩელის ქმარი მოკლეს.

საქმეზე *ტურლუიევა რუსეთის წინააღმდეგ (Turluyeva v. Russia)*, რომელიც ეხებოდა გაუჩინარებას ჩეჩნეთში, ევროპულმა სასამართლომ კონტექსტუალური მტკიცებულების საფუძველზე დაადგინა, რომ შეიქმნა სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ვითარება, როდესაც პირის დაკავება არაიდენტიფიცირებული პირების მიერ მოგვიანებით არ დადასტურდა.[87] ამასთანავე, სასამართლომ გაითვალისწინა ისეთი ფაქტორი, როგორიცაა დაკავებიდან გასული დრო, კერძოდ, სასამართლომ ჩამოაყალიბა პრეზუმფცია, რომ პირი გარდაცვლილია, რადგან დაკავებიდან ოთხ-ნახევარი წლის განმავლობაში არ ყოფილა სარწმუნო ინფორმაცია გაუჩინარებული პირის შესახებ.[88]

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მოკლე მიმოხილვაც კი ნათელს ჰფენს, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დადგენისათვის ევროპული სასამართლო ითვალისწინებს სხვადასხვა გარემოებით მტკიცებულებას, მათ შორის პირის გაუჩინარებიდან გასულ დროს, დაკავების შემდეგ პენიტენციურ დაწესებულებაში პირის ყოფნის სარწმუნო მტკიცებულებას, მტკიცებულებას, რომ პირი იძებნებოდა სახელმწიფოს წარმო-

---

84 J. Gerards, Right to Life, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, P. van Dijk, F. van Hoof, A. van Rijn and L. Zwaak (eds.), 5th ed. 2018, 357-358.

85 რუსეთის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელების ნაწილი ეხება მოვლენებს როგორც ჩეჩნეთში, ისე რუსეთის სხვა რეგიონებში – ინგუშეთში, დაღესტანსა და ჩრდილოეთ ოსეთში. *შახგირიევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Shakhgiriyeva and Others v. Russia),* 8 იანვარი, 2009 წელი. ერთ-ერთი საქმე ეხება გაუჩინარებას სანკტ-პეტერბურგში, იხ. *საქმე პიცაევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Pitsayeva and Others v. Russia),* 9 იანვარი, 2014 წელი. საქმე ეხებოდა ჩეჩნეთში 36 გაუჩინარებულ პირს; ასევე *დობრიევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Dobriyeva and Others v. Russia),* 19 დეკემბერი, 2013 წელი; ასევე იხ. H. Russell, Striving for Never Again: A European Convention for the Protection of All Persons from Enforced Disappearance and the Veiled Protection of Article 2 of the ECHR, Inter-American and European Human Rights Journal, 9, No.2, 2016, 488.

86 5 აპრილი, 2007 წელი.

87 20 ივნისი, 2013 წელი, 85-ე პუნქტი.

88 86-ე პუნქტი. ასევე იხ. *ბაზორკინა რუსეთის წინააღმდეგ (Bazorkina v. Russia)*, 27 ივლისი, 2006 წელი.

მადგენლების მიერ (მაგ., ქურთთა მუშათა პარტიასთან[89] დაკავშირებული საქმიანობის გამო) და იმას, რომ მისი დაუდასტურებელი დაკავება იყო საფრთხის შემცველი.

რაც შეეხება ისეთ გარემოებით მტკიცებულებას, როგორიცაა პირის გაუჩინარებიდან გასული დრო, როგორც პრეზუმფციის შექმნის საფუძველი, რომ პირი გარდაცვლილია, ევროპული სასამართლოს პრაქტიკა განსხვავებულია.[90] რაც უფრო მეტი დროა გასული პირის გაუჩინარებიდან, მით უფრო დიდი ალბათობაა, რომ პირი გარდაცვლილია.[91] ყველაზე ხანმოკლე პერიოდი, რომლის გასვლის შემდეგ ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა პრეზუმფცია, რომ პირი მიიჩნევა გარდაცვლილად, არის სამი წელი და ცხრა თვე.[92]

2.2. სიცოცხლის უფლების დარღვევა სიცოცხლის მოსპობის გარეშე

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის დასადგენად, როგორც წესი, დამდგარი უნდა იყოს პირის გარდაცვალების ფაქტი. მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში ნათელყო, რომ, გამონაკლის შემთხვევაში, დასაშვებია, ისეთმა ფაქტორებმა, როგორებიცაა გამოყენებული ძალის ხარისხი და ხასიათი, ასევე ძალის გამოყენების განზრახვა და მიზანი, სიტუაცია მოაქციოს კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების სფეროში მაშინაც კი, თუ არ არის დამდგარი სიცოცხლის მოსპობის ფაქტი.[93] ევროპულმა სასამართლომ

---

89 თურქეთში აკრძალული პოლიტიკური პარტია.

90 ხუთი წელი, *ბეტაევი და ბეტაევა რუსეთის წინააღმდეგ (Betayev and Betayeva v. Russia)*, 29 მაისი, 2008 წელი; *მაკაევა რუსეთის წინააღმდეგ (Makayeva v. Russia),* 18 სექტემბერი, 2014 წელი; ოთხი წელი, *ტანისი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Tanis and Others v. Turkey)*, 8 აგვისტო, 2005 წელი, 210-ე პუნქტი; *მედოვა რუსეთის წინააღმდეგ (Medova v. Russia)*, 15 იანვარი, 2009 წელი; ასევე იხ.: *ბილგინი თურქეთის წინააღმდეგ (Bilgin v. Turkey)*, 2000; *აკდენიზი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Akdeniz and Others v. Turkey)*, 31 მაისი, 2001 წელი; *კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ (Cyprus v. Turkey)*, დიდი პალატა, 10 მაისი, 2001 წელი; ასევე იხ. H. Russell, Striving for Never Again: A European Convention for the Protection of All Persons from Enforced Disappearance and the Veiled Protection of Article 2 of the ECHR, Inter-American and European Human Rights Journal, 9, No.2, 2016, 488.

91 *ავხადოვა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Avkhadova and Others v. Russia)*, 14 მარტი, 2013 წელი, 98-ე პუნქტი.

92 *ტურლუიევა რუსეთის წინააღმდეგ (Turluyeva v. Russia),* 20 ივნისი, 2013 წელი, 87-ე პუნქტი; ასევე იხ. J. Kratochvil, The Rights to Life in the Perspective of the Human Rights Committee and the European Court of Human Rights, http://ssrn.com/asract=951225, 2006, p. 19.

93 იხ. *ილჰანი თურქეთის წინააღმდეგ (Ihlan v. Turkey)*, დიდი პალატა, 27 ივნისი, 2000 წელი, 76-ე პუნქტი; *აჩარი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Acar and Others v. Turkey)*, 24 მაისი, 2005 წელი, 77-ე-79-ე პუნქტები; *Green v. the United Kingdom*, (dec.) 19 May, 2005; *სოარე და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Soare and Others v. Romania),* 22 თებერვალი, 2011 წელი, 108-ე-109-ე პუნქტები; *ციორკანი და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Ciorcan and Others v. Romania),* 27 January 2015, para. 97; *ლაპშინი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Lapshin v. Azerbaijan)*, 20 მაისი, 2021 წელი.

კონვენციის მე-2 მუხლი ასევე გაავრცელა სიტუაციაზე, რომელშიც პოტენციურად სასიკვდილო ძალა გამოიყენა არა სახელმწიფოს წარმომადგენელმა, არამედ სხვა კერძო პირმა, თუმცა ის პირი, ვის წინააღმდეგაც ეს ძალა გამოიყენეს, გადარჩა.[94]

საქმე *მაკარაძისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Makaratzis v. Greece)* ეხებოდა მოსარჩელეს, რომელიც ავტომობილის მართვის დროს არ დაემორჩილა პოლიციის ბრძანებას.[95] კერძოდ, მოსარჩელემ გაიარა წითელ შუქნიშანზე ათენის ცენტრში, რის გამოც მას დაედევნა პოლიციის რამდენიმე ავტომობილი და მოტოციკლეტი. ვინაიდან მოსარჩელე არ დაემორჩილა პოლიციის ბრძანებას და არ გააჩერა ავტომობილი, პოლიციამ გახსნა ცეცხლი ავტომობილის მიმართულებით. ავტომობილს მოხვდა არაერთი ტყვია. მოსარჩელესაც მოხვდა რამდენიმე ტყვია ხელში, ფეხში, საჯდომზე და მკერდში და, მიუხედავად ამისა, იგი გადარჩა.

ამ საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, მოსარჩელის მიმართ გამოყენებული ძალის გათვალისწინებით, მხოლოდ იღბალმა გადაარჩინა იგი სიკვდილს, რის გამოც მის მიმართ გამოყენებულმა ძალამ სიტუაცია მოაქცია კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების სფეროში. ამ საქმეზე სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ არასათანადო ძალის გამოყენება რომ მოექცეს კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების სფეროში, სხვა ფაქტორებთან ერთად, მხედველობაში მისაღებია გამოყენებული ძალის ხარისხი და ხასიათი, ისევე როგორც ამ ძალის გამოყენების განზრახვა და მიზანი და ამის საფუძველზე უნდა შეფასდეს, კონკრეტულ გარემოებებში სახელმწიფოს წარმომადგენლების მოქმედებით მიყენებული ზიანი, რომელმაც არ გამოიწვია გარდაცვალება, ჩაითვლება თუ არა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად.[96]

სასამართლომ გამოხატა შეშფოთება პოლიციის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ქაოსურობის, პოლიციელთა მოქმედების უკონტროლობის და ბრძანებათა მკაფიო ჯაჭვის არარსებობის გამო. სასამართლომ დაასკვნა, რომ შემთხვევის დროს საბერძნეთში მოქმედი კანონმდებლობა არასაკმარისად აწესრიგებდა იარაღის გამოყენებას პოლიციის მიერ. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ, თუმცა მოსარჩელე გადარჩა, პოლიციის მოქმედების ხასიათმა და გამოყენებულმა ძალამ მოაქცია სიტუაცია კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების სფეროში და დაადგინა სიცოცხლის უფლების დარღვევა არსებით ნაწილში.[97]

საქმე *სასო გორგიევი ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ (Saso Gorgiev v. the Former Yugoslav Republic of Macedonia)* ეხებოდა მოსარჩელეს, რომელიც მუშაობდა ბარში. მას ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა პოლიციის რეზერვისტმა.[98] მოსარჩელეს ტყვია მოხვდა მკერდში, თუმცა იგი გადარჩა. ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რეზერვისტი, რომელმაც გაისროლა, იმყოფებოდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ.

ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ, მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა სიცოცხლის მოსპობის განზრახვა, მოსარჩელე იყო ისეთი მოქმედების მსხვერპლი, რომელმაც თავისი ხასიათით საფრთხეში ჩააგდო მისი სიცოცხლე. ამის გამო ევრო-

---

94 *იოტოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Yotova v. Bulgaria)*, 23 ოქტომბერი, 2012 წელი, 69-ე პუნქტი.

95 დიდი პალატა, 20 დეკემბერი, 2004 წელი.

96 55-ე პუნქტი.

97 72-ე პუნქტი; ასევე იხ. E. Wicks, The Right to Life and Conflicting Interests, 2010, 76.

98 19 აპრილი, 2012 წელი.

პულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელის მიმართ ძალის გამოყენება მოექცა კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების სფეროში.[99]

საქმე *ჰააზ და ზაბო უნგრეთის წინააღმდეგ (Haasz and Szabo v. Hungary)* ეხებოდა ორ მოსარჩელე ქალს, რომლებმაც ექსკურსიიდან დაბრუნების შემდეგ გადაწყვიტეს, ღამე გაეთენებინათ საკუთარ ავტომანქანაში. მოხალისე წესრიგის დამცველმა, რომელმაც საეჭვოდ მიიჩნია მათი ავტომანქანა, მოიხმო პოლიციელი, რომელიც იმ მომენტში არ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას. მათ გადაწყვიტეს, შეემოწმებინათ, მათი აზრით, საეჭვო ავტომანქანა, რომელშიც იყვნენ მოსარჩელეები. მათ მანქანა გააჩერეს მოსარჩელეების ავტომანქანის პერპენდიკულარულად, გადმოვიდნენ მანქანიდან და გაეშურნენ მოსარჩელეთა მიმართულებით. პირველი მოსარჩელე, რომელსაც შეეშინდა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ორი პირის, შეეცადა მანქანის დაძვრას და ადგილის დატოვებას. პოლიციელმა, რომელსაც სამოქალაქო ფორმა ეცვა, დაიყვირა, რომ პოლიციელი იყო და შეჩერებულიყვნენ, რის შემდეგაც მოახდინა გამაფრთხილებელი გასროლა. ამის შემდეგ პოლიციელმა ორჯერ ესროლა მანქანას. მეორედ გასროლილმა ტყვიამ ერთ-ერთი მოსარჩელის თავს ახლოს ჩაუქროლა. ამის შემდეგ პოლიციელმა ამოიღო მისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის შემდეგაც გაირკვა, რომ მოხდა გაუგებრობა.

მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი არსებით და საპროცესო ნაწილში. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ, მართალია, პოლიციელს არ ჰქონდა განზრახული მეორე მოსარჩელის მოკვლა, მაგრამ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა მოსარჩელის მიმართულებით, როდესაც ტყვიამ ახლოს ჩაუქროლა მოსარჩელის თავს, შექმნა მისთვის სერიოზული ზიანის ან სიცოცხლის მოსპობის საფრთხე.[100] შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ გამოყენებული ძალა მოექცა კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების სფეროში.

საქმე *ილჰანი თურქეთის წინააღმდეგ (Ilhan v. Turkey)* ეხებოდა თურქეთის სამხედრო პოლიციის მიერ სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ძალის გამოყენებას.[101] საქმის ფაქტობრივი გარემოებები შემდეგი იყო: მოსარჩელის ძმამ და მისმა თანასოფლელმა დაინახეს სამხედრო პირები, რომლებიც სწრაფად უახლოვდებოდნენ მათ, რის გამოც ისინი შეეცადნენ მიმალვას, თუმცა ისინი მაინც დააკავეს. მოსარჩელის მტკიცებით, როდესაც სამხედრო პოლიციის წარმომადგენლებმა ისინი დააკავეს, მათ ფიზიკურად გაუსწორდნენ. მოსარჩელის ძმას აღუკვეთეს თავისუფლება. დაკავებიდან 36 საათში მოსარჩელის ძმა გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც მისი მდგომარეობა შეფასდა როგორც სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი. მოგვიანებით იგი გადაიყვანეს სხვა საავადმყოფოში, სადაც მისი მდგომარეობა შეაფასეს როგორც საშუალო სიმძიმის, თუმცა არსებობდა საფრთხე სიცოცხლისათვის. მას დაუდგინეს ტვინის შერყევა და სხეულის მარცხენა ნახევრის დამბლა. სამედიცინო დასკვნის მიხედვით, მოსარჩელის ძმას სხეულის მარცხენა მხარეს 60%-ით დაკარგული ჰქონდა ფუნქცია. მოსარჩელის ძმას წარუდგინეს ბრალი სამხედრო პოლიციის ბრძანების დაუმორჩილებლობისა და მიმალვის მცდელობისათვის.

ევროპული სასამართლოს წინაშე მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მისი ძმა იყო სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი მოპყრობისა და კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევის მსხვერპლი.

---

99 38-ე პუნქტი.

100 47-ე პუნქტი.

101 დიდი პალატა, 27 ივნისი, 2000 წელი.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის ძმის მიმართ გამოყენებული ძალა არ იყო სასიკვდილო. სასამართლოს პოზიციით, სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ არასათანადო ფიზიკური ძალის გამოყენებამ, რომელსაც არ მოჰყვა გარდაცვალება, მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.[102] არასათანადო ძალის გამოყენება რომ მოექცეს კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების სფეროში, სხვა ფაქტორებთან ერთად, მხედველობაში მისაღებია გამოყენებული ძალის ხარისხი და ხასიათი, ისევე როგორც ამ ძალის გამოყენების განზრახვა ან მიზანი. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, უნდა შეფასდეს, კონკრეტულ გარემოებებში სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ გამოყენებულმა ძალამ, რომელმაც არ გამოიწვია გარდაცვალება, მოაქცია თუ არა სიტუაცია კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების სფეროში და განაპირობა თუ არა სიცოცხლის უფლების დარღვევა. ამასთანავე, სასამართლომ მიუთითა, რომ თითქმის ყოველთვის სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან ძალის გამოყენება, რომელსაც არ მოჰყოლია პირის გარდაცვალება, ექცევა კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში.[103]

მართალია, ამ საქმეში ევროპულ სასამართლოს ეჭვის ქვეშ არ დაუყენებია მოსარჩელის ძმის თავის ქალის დაზიანების სიმძიმე, რომელიც გამოიწვია მისთვის თოფის კონდახის თავში დარტყმამ, სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ სამხედრო პოლიციის მიერ გამოყენებული ძალა ისეთი ხასიათისა და ხარისხის იყო, რომ გამოეწვია მე-2 მუხლის დარღვევა.[104] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, თუმცა დაადგინა მისი მე-3 მუხლის დარღვევა.[105]

თავის პრაქტიკაში ევროპულმა სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ კონვენციის მე-2 მუხლი ვრცელდება სხვადასხვა სიტუაციაზე, თუ ის თავისი ხასიათით იყო საფრთხის შემცველი და პირის სიცოცხლეს შეუქმნა რეალური და მყისიერი საფრთხე, ან, თუ პირისათვის მიყენებული ზიანი აღმოჩნდა სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი.

ამის მაგალითებია პენიტენციურ დაწესებულებაში მოსარჩელეზე ნიღბიანი მამაკაცების თავდასხმა, მისი სასტიკი ცემა და დახრჩობის მცდელობა,[106] მოსარჩელეზე თავდასხმა გოგირდის მჟავით, რომელიც, მიუხედავად მძიმე დამწვრობისა და კრიტიკული მდგომარეობისა, გადარჩა.[107] ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების ქვეშ მოაქცია ისეთი საფრთხის შემცველი სიტუაცია, რომელიც ეხება პირის ნაღმზე აფეთქებას,[108] საავტომობილო შემთხვევას,[109] კატერით მიყე-

---

102 76-ე პუნქტი.

103 იქვე.

104 S. Hendin, The Evolution of the Right to Life by the European Court of Human Rights, Baltic Yearbook on International Law, Vol. 4, 2004, 100; K. Potschke, W.W. Fu, J. Howard, Of Life and Torture, http://ssrn.com/abstract=1729757, p. 9-10.

105 88-ე პუნქტი.

106 *ლაპშინი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Lapshin v. Azerbaijan),* 20 მაისი, 2021 წელი.

107 *თერშანა ალბანეთის წინააღმდეგ (Tershana v. Albania),* 4 აგვისტო, 2020 წელი.

108 *ალკინი თურქეთის წინააღმდეგ (Alkın v. Turkey)*, 13 ოქტომბერი, 2009 წელი, 29-ე პუნქტი.

109 *კოტელნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Kotelnikov v. Russia)*, 12 ივლისი, 2016 წელი, 98-ე პუნქტი.

ნებულ დაზიანებას,[110] ხის ჩამოვარდნის შედეგად ავტომობილში მყოფი ადამიანის დაზიანებას[111] და წყალდიდობას.[112] ეს მაგალითები ადასტურებს, რომ კონვენციის მე-2 მუხლი ვრცელდება ისეთ სიტუაციებზე, რომლებიც იყო პირის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი, თუმცა პირი არ გარდაცვლილა.

2.3. ექსტრადირება და დეპორტირება

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, კონვენციის მე-2 მუხლი ვრცელდება ექსტრადირებისა და დეპორტირების შემთხვევებზე. კერძოდ, კონვენციის მე-2 მუხლი ჩაითვლება დარღვეულად, თუ არსებობს რეალური საფრთხე, რომ ექსტრადირების ან დეპორტირების შემთხვევაში, პირი დაექვემდებარება სიკვდილით დასჯას მიმღებ სახელმწიფოში.[113] როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა ერთ-ერთ საქმეზე, „კონვენციის მე-2 მუხლი კრძალავს პირის ექსტრადირებას ან დეპორტირებას სხვა სახელმწიფოში, რომელშიც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ეს პირი შეიძლება აღმოჩნდეს სიკვდილით დასჯის რეალური საფრთხის წინაშე.“[114]

---

110 *ჩავიტ ტინარლიოღლუ (Cavit Tinarlioglu)*, 2 თებერვალი, 2016 წელი, 67-ე პუნქტი.

111 *მარიუს ალექსანდრუ და მარინელა სტეფანი რუმინეთის წინააღმდეგ (Marius Alexandru and Marinela Stefan v. Romania),* 24 მარტი, 2020 წელი, 75-ე პუნქტი.

112 *კოლიადენკო რუსეთის წინააღმდეგ (Kolyadenko v. Russia),* 28 თებერვალი, 2012 წელი, 155-ე პუნქტი.

113 *ალ სადუნი და მუფდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al Saadoon and Mufdhi v. the United Kingdom),* 2 თებერვალი, 2010 წელი; *F.G. შვედეთის წინააღმდეგ (F.G. v. Sweden),* 23 მარტი, 2016; *M.A. და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (M.A. and Others v. Bulgaria),* 20 თებერვალი, 2020 წელი (საქმე ეხება იუღურების დევნას ჩინეთში); ასევე: A. Cogbill, European Court of Human Rights' Dance with Death, Connecticut Journal of International Law, 29, No.1, 2013, 167; E. K. Hnitidou, Beyond the Right to Life: The Right to Live in Dignity in the European Convention on Human Rights, Master Thesis, Faculty of Law, Lund University, 2016, 45-46.

114 *ალ ნაშირი პოლონეთის წინააღმდეგ (Al Nashiri v. Poland)*, 24 ივლისი, 2014 წელი, 576-ე პუნქტი; *A.L. (X.W.) რუსეთის წინააღმდეგ (A.L. (X.W.) v. Russia)*, 29 ოქტომბერი, 2015 წელი; ასევე იხ.: H. Russell, Striving for Never Again: A European Convention for the Protection of All Persons from Enforced Disappearance and the Veiled Protection of Article 2 of the ECHR, Inter-American and European Human Rights Journal, 9, No.2, 2016, 288; M. Alnaouq, The Right to Life in the Palestinian Society: The Case of the Death Penalty from Comparative Human Rights Perspective, 2019, 242; ასევე იხ. საქმე *ჯაბარი თურქეთის წინააღმდეგ (Jabari v. Turkey)* (11 ივლისი, 2000 წელი) ეხებოდა ირანელი ქალის მიერ საკუთარი მეუღლის ღალატს, რომლის გამოც მას მოუწია ირანის დატოვება. მან თურქეთში მიიღო ლტოლვილის სტატუსი იმ საფუძვლით, რომ, თუ მას გადასცემდნენ ირანს, იგი დაექვემდებარებოდა სიკვდილით დასჯას შარიათის კანონის მიხედვით. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მისი გადაცემა დაარღვევს კონვენციის მე-3 მუხლს (წამების აკრძალვა), მე-13 მუხლთან (ეფექტიანი სამართლებრივი საშუალების უფლება) ერთად. იხ. M. Alnaouq, The Right to Life in the Palestinian Society: The Case of the Death Penalty from Comparative Human Rights Perspective, 2019, 240.

ევროპული სასამართლო განიხილავს ექსტრადირებისა და დეპორტირების საქმეებს კონვენციის მე-2 ან/და მე-3 მუხლებთან მიმართებით.[115] თავის პრაქტიკაში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ შეიძლება დადგეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე, თუ მან მოახდინა პირის ექსტრადირება ან დეპორტირება სხვა სახელმწიფოში, სადაც არსებობს სიცოცხლის მოსპობის რეალური საფრთხე, რომელიც მომდინარეობს მიმღები სახელმწიფოს წარმომადგენლების ან კერძო პირების მხრიდან.

საქმე *ბადერი და კანბორი შვედეთის წინააღმდეგ (Bader and Kanbor v. Sweden)* ეხებოდა მოსარჩელეების (მეუღლეები და მათი ორი არასრულწლოვანი შვილი) დეპორტირებას სირიაში.[116] მოსარჩელეები იყვნენ სირიის მოქალაქეები, ხოლო ცხოვრობდნენ შვედეთში. მიუხედავად იმისა, რომ 2002 წელს რამდენჯერმე მოითხოვეს თავშესაფარი, მათ უარი მიიღეს. 2004 წელს მათ ხელახლა მიმართეს შვედეთის კომპეტენტურ ორგანოს თავშესაფრის მოთხოვნით და, ამჯერად, მოიშველიეს სირიის სასამართლოს 2003 წლის ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ბ-ნი ბადერი დაუსწრებლად ცნეს დამნაშავედ და შეუფარდეს სიკვდილით დასჯა მკვლელობაში თანამონაწილეობისათვის. გადაწყვეტილების მიხედვით, ბ-ნი ბადერი და მისი ძმა რამდენჯერმე დაემუქრნენ სიძეს მათი დის მიმართ არასათანადო მოპყრობისათვის. 1998 წელს ბ-ნი ბადერის ძმამ მოკლა სიძე, მას შემდეგ, რაც მკვლელობა დაიგეგმა ბ-ნ ბადერთან ერთად. სირიის სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ, ვინაიდან ორივე ძმა მიმალვაშია, გადაწყვეტილება გამოტანილია მათ დაუსწრებლად და საქმე შეიძლება ხელახლა იყოს განხილული.

როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, შვედეთის მთავრობამ ვერ მიიღო სირიისაგან გარანტია იმისა, რომ ბ-ნი ბადერის საქმე ხელახლა აღარ განიხილებოდა და რომ პროკურორი არ მოითხოვდა სიკვდილით დასჯას საქმის ხელახლა განხილვისას. ასეთ შემთხვევაში, სირიაში მისი გაგზავნით შვედეთი ბ-ნ ბადერს შეუქმნიდა სერიოზულ საფრთხეს. ევროპული სასამართლოს აზრით, არასამართლიანი სასამართლო პროცესის შედეგად ბ-ნი ბადერის მიმართ სასიკვდილო განაჩენის გამოტანა უდავოდ გამოიწვევდა მოსარჩელეთა კიდევ უფრო დიდ შიშსა და ტანჯვას საკუთარი მომავლის მიმართ, თუ ისინი იძულებულნი გახდებოდნენ, დაბრუნებულიყვნენ სირიაში, ვინაიდან არსებობდა სასჯელის აღსრულების რეალური საშიშროება ამ ქვეყანაში. საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობს საკმარისად მყარი საფუძველი მტკიცებისათვის, რომ ბ-ნი ბადერი აღმოჩნდებოდა სასიკვდილო განაჩენის აღსრულების რეალური საფრთხის წინაშე და დაექვემდებარებოდა მე-2 და მე-3 მუხლების საწინააღმდეგო მოპყრობას, თუ მოხდება მისი დეპორტირება წარმოშობის ქვეყანაში. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები.[117]

საქმე *L.M. და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (L.M. and Others v. Russia)* ეხებოდა სირიის ორ მოქალაქესა და მოქალაქეობის არმქონე პალესტინელს, რომელსაც ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი სირიაში.[118] 2013 წელს ისინი ჩავიდნენ რუ-

---

115 *შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ (Shamayev and Others v. Georgia and Russia)*, 2005 წელი; *FG შვედეთის წინააღმდეგ (FG v. Sweden)*, დიდი პალატა, 23 მარტი, 2016 წელი; *M.A. და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (M.A. and Others v. Bulgaria)*, 20 თებერვალი, 2020 წელი, 84-ე პუნქტი.

116 8 ნოემბერი, 2005 წელი.

117 48-ე პუნქტი.

118 15 ოქტომბერი, 2015 წელი.

სეთში. 2014 წელს კი რუსეთის სასამართლომ მათ მიმართ დაადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (საიმიგრაციო წესებისა და ნებართვის გარეშე მუშაობის აკრძალვის წესის დარღვევა) და გასცა ბრძანება მათი გაძევების, ხოლო გაძევებამდე მათი დაკავების შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილება გაძევების შესახებ მოსარჩელეებმა გაასაჩივრეს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში. ზემდგომმა სასამართლო ინსტანციამ არ დააკმაყოფილა საჩივარი და მიუთითა, რომ მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტი სირიაში, რომელსაც იშველიებდნენ მოსარჩელეები, როგორც საფრთხეს მათი სიცოცხლისათვის, არ იყო საკმარისი დამაბრკოლებელი საფუძველი იმ პირების გაძევებისაგან თავის შეკავებისათვის, რომლებსაც ჩადენილი ჰქონდათ სახელმწიფოში ყოფნასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. 2014 წელს ევროპულმა სასამართლომ რუსეთს დაუწესა დროებითი ღონისძიება, რომლის მიხედვით მოსარჩელეები არ უნდა გაეძევებინათ სირიაში.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის სასამართლოების მიერ მოსარჩელეთა საქმის განხილვა შემოიფარგლებოდა მხოლოდ იმ გარემოებით, რომ მათი ყოფნა რუსეთში იყო უკანონო და სასამართლოებს სიღრმისეულად არ უმსჯელიათ მათი სიცოცხლისათვის არსებულ საფრთხეზე, რაც მოიშველიეს როგორც მოსარჩელეებმა, ისე დადასტურდა საერთაშორისო და ეროვნული წყაროებით, რომლებიც ეხებოდა მდგომარეობას სირიაში. მოსარჩელეებმა კარგად დაასაბუთეს, რომ მათი დაბრუნება სირიაში გამოიწვევდა კონვენციის მე-2 ან/და მე-3 მუხლების დარღვევას. მოპასუხე სახელმწიფოს არ წარმოუდგენია რაიმე არგუმენტი და შესაფერისი ინფორმაცია, რომელიც ამ მტკიცებას უარყოფდა, ისევე როგორც არ მიუთითებია რაიმე განსაკუთრებულ გარემოებაზე, რომელიც უზრუნველყოფდა მოსარჩელეების საკმარის დაცვას დაბრუნების შემთხვევაში.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეების გაძევება სირიაში, თუ ეს მოხდებოდა, გამოიწვევდა კონვენციის მე-2 მუხლის ან/და მე-3 მუხლის დარღვევას.

ამასთანავე, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, თუ მიმღებმა სახელმწიფომ, რომელშიც დაშვებულია სიკვდილით დასჯა, გასცა მკაფიო და არაორაზროვანი გარანტია, რომ სიკვდილით დასჯა არ გამოიყენება კონკრეტულ საქმეზე, ასეთი ექსტრადირება ან დეპორტირება შეიძლება დაიშვას.[119]

2.4. სიცოცხლის მოსპობა, როდესაც სახელმწიფოს წარმომადგენელი არ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობას

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სახელმწიფო პასუხისმგებელია კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოქმედება არ იყო ოფიციალურად სანქცირებული და არ დასრულდა გარდაცვალებით. კერძოდ, საქმე *სასო გორგიევი ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ (Saso Gorgiev v. the Former Yugoslav Republic of Macedonia)* ეხებოდა

119 *ჰარკინსი და ედვარდსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Harkins and Edwards v. the United Kingdom),* 17 იანვარი, 2012 წელი, 83-ე-86-ე პუნქტები; ასევე იხ. J. Gerards, Right to Life, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, P. van Dijk, F. van Hoof, A. van Rijn and L. Zwaak (eds.), 5th ed. 2018, 364-365.

ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი რეზერვისტი-პოლიციელის (ე.ი. სახელმწიფოს წარმომადგენლის) მიერ ბარის თანამშრომლისათვის (მოსარჩელე) მკერდში ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლას, რომელიც გადარჩა.[120] შემთხვევა მოხდა იმ პერიოდში, როდესაც რეზერვისტს უნდა შეესრულებინა სამსახურებრივი მოვალეობა პოლიციის განყოფილებაში. მას ეცვა პოლიციის ფორმა და იყო შეიარაღებული სამსახურებრივი იარაღით. მან დატოვა თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ადგილი, უფროსის ნებართვის გარეშე, იმყოფებოდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ და თავისი მოქმედებით მოსარჩელის სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნა.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შესაფერისი და ეფექტიანი უსაფრთხოების ღონისძიებების სისტემის შექმნა და ზედმიწევნით დაცვა, რომელიც მიმართული იქნება იმისაკენ, რომ მისმა წარმომადგენლებმა, განსაკუთრებით რეზერვისტებმა, არასათანადოდ არ გამოიყენონ სამსახურებრივი იარაღი, რომლებითაც ისინი სარგებლობენ სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ წესის არსებობას, სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ატარონ იარაღი როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ისე მაშინ, როდესაც არ ასრულებენ მოვალეობებს, აქვს თავისი უპირატესობები საზოგადოებისათვის, მაგრამ ეს ასევე დაკავშირებულია გარკვეულ პოტენციურ საფრთხეებთან.[121] სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სახელმწიფოებმა უნდა დააწესონ მაღალი პროფესიული სტანდარტები საკუთარ სამართალდამცავ სისტემაში და უზრუნველყონ, რომ ამ სისტემაში მომუშავე პირებმა დააკმაყოფილონ საჭირო კრიტერიუმები. კერძოდ, პოლიციის ძალების იარაღით აღჭურვისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირთა არა მხოლოდ საჭირო ტექნიკური მომზადება, არამედ ამ პირების შერჩევა, რომლებსაც აქვთ ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება, ასევე უნდა მოხდეს განსაკუთრებით გულდასმით.[122]

ვინაიდან მოპასუხე სახელმწიფოს არ შეუტყობინებია სასამართლოსათვის, შეფასდა თუ არა პოლიციელის შესაფერისობა თანამდებობასთან და მისი იარაღით აღჭურვის მიზანშეწონილობა, სასამართლომ მიიჩნია, რომ რეზერვისტის მოქმედებაზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სახელმწიფოს.[123] შესაბამისად, ევროპული სასამართლოს პოზიციით, სახელმწიფო არის პასუხისმგებელი მისი წარმომადგენლის (რეზერვისტის) უკანონო მოქმედებისათვის მაშინაც კი, როდესაც ის არ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობებს. ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა სიცოცხლის მოსპობის განზრახვა, მოსარჩელე იყო რეზერვისტის უკანონო მოქმედების მსხვერპლი, რომელმაც თავისი ქმედებით საფრთხის ქვეშ დააყენა მოსარჩელის სიცოცხლე, რის გამოც მოექცა კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების სფეროში. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი არსებით ნაწილში.[124]

---

120 19 აპრილი, 2012 წელი.

121 50-ე პუნქტი.

122 51-ე პუნქტი; ასევე იხ. *გერასიმენკო და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Gerasimenko and Others v. Russia)*, 1 დეკემბერი, 2016 წელი, 103-ე პუნქტი.

123 52-ე პუნქტი.

124 54-ე პუნქტი.

ასევე საინტერესოა საქმე *გოროვენკო და ბუგარა უკრაინის წინააღმდეგ (Gorovenko and Bugara v. Ukraine)*.[125] ამ საქმეში პოლიციის თანამშრომელმა, რომელიც იმ მომენტში არ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, ჩხუბის შედეგად სამსახურებრივი იარაღით მოკლა მოსარჩელეთა ნათესავები. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, ვინაიდან მან ვერ უზრუნველყო პოლიციის თანამშრომლებისათვის იარაღის გაცემის პროცედურის კონტროლის განხორციელება, კერძოდ, ვერ უზრუნველყო იარაღის ტარების მქონე თანამშრომლების შერჩევის საკმარისი მექანიზმის არსებობა.

საქმეზე – *მაკუჩიანი და მინასიანი აზერბაიჯანისა და უნგრეთის წინააღმდეგ (Makuchyan and Minasyan v. Azerbaijan and Hungary)*, რომელიც ეხებოდა აზერბაიჯანელი ოფიცრის მიერ ქ. ბუდაპეშტში ნატოს მოსამზადებელი კურსის გავლის დროს სომეხი ოფიცრის მკვლელობას და მეორე ოფიცრის მკვლელობის მცდელობას, – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ, მართალია, პირი, რომელმაც ეს დანაშაული ჩაიდინა, იყო ოფიცერი, იგი არ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას ამ მოქმედების ჩადენისას.[126]

125 12 იანვარი, 2012 წელი.

126 26 მაისი, 2020 წელი, 111-ე პუნქტი.

3. დაშვებული გამონაკლისები სიცოცხლის მოსპობის აკრძალვიდან

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი ზოგადად კრძალავს სიცოცხლის მოსპობას. იმავდროულად, ეს მუხლი უშვებს სიცოცხლის მოსპობას სიკვდილით დასჯის აღსრულების შედეგად, რომელიც სასამართლოს განაჩენით შეეფარდა პირს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

კონვენციის მე-2 მუხლი ასევე უშვებს აუცილებლობის შემთხვევაში გონივრული ძალის გამოყენებას სახელმწიფოს მიერ, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სიცოცხლის მოსპობა.[127] როგორც აღინიშნა, ევროპული სასამართლოს პოზიციით, „მე-2 პუნქტი არ განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც დაშვებულია პირის განზრახ მოკვლა, არამედ აღწერს სიტუაციას, როდესაც დაშვებულია „ძალის გამოყენება“, რომელმაც, როგორც გაუთვალისწინებელი შედეგი, შეიძლება გამოიწვიოს სიცოცხლის მოსპობა.“[128] შესაბამისად, კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სამ შემთხვევაში სახელმწიფომ შეიძლება გამოიყენოს გონივრული ძალა, რომელიც უნდა იყოს აბსოლუტურად აუცილებელი შექმნილ სიტუაციაში. თუ სახელმწიფომ დაამტკიცა, რომ გამოყენებული ძალა იყო აბსოლუტურად აუცილებელი, მაგრამ პირი ძალის გამოყენების შედეგად გარდაიცვალა, მისი გარდაცვალება არ ჩაითვლება კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად და სახელმწიფოს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა სიცოცხლის უფლების დარღვევისათვის.[129]

---

127 F. Ni Aolain, The Evolving Jurisprudence of the European Convention Concerning the Right to Life, Netherlands Quarterly of Human Rights Vol. 19/1, 2001, 23.

128 *მაკკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann and Others v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 27 სექტემბერი, 1995 წელი, 148-ე პუნქტი; *ერგი თურქეთის წინააღმდეგ (Ergi v. Turkey)*, 28 ივლისი, 1998 წელი, 79-ე პუნქტი; *ჯულიანი და გაჯიო იტალიის წინააღმდეგ (Giuliani and Gaggio v. Italy),* დიდი პალატა, 24 მარტი, 2011 წელი, 175-ე პუნქტი; ასევე იხ. W. Schabas, The European Convention on Human Rights: A Commentary, 2015, 122.

129 *ნიკა ალბანეთის წინააღმდეგ (Nika v. Albania),* 14 ნოემბერი, 2023; ასევე იხ.: N. Pavel, The Right to Life as a Supreme Value and Guaranteeing the Right to Life, Contemporary Readings in Law and Social Justice, vol. 4(2), 2012, 974; J. Chevalier-Watts, A Rock and a Hard Place: Has the European Court of Human Rights Permitted Discrepancies to Evolve in their Scrutiny of Rights to Life Cases, International Journal of Human Rights, Vol. 14, No.2, April 2010, 302.

3.1. სიკვდილით დასჯა

როგორც აღინიშნა, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტი კრძალავს სიცოცხლის მოსპობას, თუმცა უშვებს გამონაკლისს. ამ გამონაკლისის მიხედვით, დაშვებულია და მართლზომიერად მიიჩნევა სიცოცხლის ისეთი განზრახ მოსპობა, რომელიც ხდება კანონის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენით შეფარდებული სიკვდილით დასჯის აღსრულების მიზნით.

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლმა დაუშვა სახელმწიფოს მიერ სიკვდილით დასჯა. კერძოდ, მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტი ადგენს, რომ „არ შეიძლება სიცოცხლის განზრახ მოსპობა, თუ არა სიკვდილით დასჯის აღსრულების შედეგად, რომელიც სასამართლოს განაჩენით შეეფარდა მოცემულ პირს ისეთი დანაშაულის ჩადენისთვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.“ აქედან გამომდინარე, კონვენციით ლეგიტიმურად მიიჩნევა სახელმწიფოს მიერ სიცოცხლის მოსპობა, თუ ის მოხდა სიკვდილით დასჯის აღსრულების მიზნით, რომელიც კანონმდებლობით არის გათვალისწინებული და პირს შეეფარდა სასამართლოს განაჩენით.[130]

სიკვდილით დასჯის შესახებ დებულების გათვალისწინება ევროპული კონვენციით შეიძლება აიხსნას იმით, რომ 1950-იან წლებში ევროპული სახელმწიფოების უმრავლესობაში დაშვებული იყო სასჯელის ეს სახე.[131] 12 სახელმწიფოდან, რომლებმაც 1950 წლის 4 ნოემბერს ხელი მოაწერეს კონვენციას, იმ დროისათვის მხოლოდ 4 სახელმწიფოს ჰქონდა გაუქმებული სიკვდილით დასჯა (გერმანია, დანია, ისლანდია[132] და იტალია).[133]

მიუხედავად ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისისა, დროთა განმავლობაში სახელმწიფოთა დამოკიდებულება შეიცვალა სიკვდილით დასჯის გაუქმების სასარგებლოდ. კონვენციის მიღების პერიოდიდან სახელმწიფოთა მზარდი რაოდენობა ემხრობოდა სიკვდილით დასჯის გაუქმებას. სახელმწიფოთა დამოკიდებულების შეცვლის გამო, სახელმწიფოებმა 1983 წლის აპრილში მიიღეს მე-6,[134] ხოლო 2002 წლის მაისში მე-13[135] დამატებითი ოქმები. მე-6 ოქმი ითვალისწინებს სიკვდილით დასჯის გაუქმებას, თუმცა უფლებას უტოვებს სახელმწიფოებს, გამოიყენონ სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის სახე, საომარი მდგომარეობის დროს. მე-13 ოქმი სრულად კრძალავს სიკვდილით დასჯას, საომარი პერიოდის ჩათვლით.[136]

---

130 მიუხედავად ამისა, ნებისმიერი სასიკვდილო განაჩენი არ ჩაითვლება კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად. ასეთმა განაჩენმა უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული მოთხოვნები, მათ შორის სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნა და ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის თანაზომიერების მოთხოვნა. დეტალურად იხ. R. Turmen, “Right to Life” (Article 2), Bulletin des Droits de l’Homme, Nos.11/12, 2005, 56.

131 R. Turmen, “Right to Life” (Article 2), Bulletin des Droits de l’Homme, Nos.11/12, 2005, 56.

132 ისლანდიამ სიკვდილით დასჯა ჯერ კიდევ 1928 წელს გააუქმა. იხ. A. Cogbill, European Court of Human Rights’ Dance with Death, Connecticut Journal of International Law, 29, No.1, 2013, 155; ასევე იხ. https://www.amnesty.org/en/what-we-do/death-penalty/

133 J.-P. Costa, The Right to Respect for Life and the Abolition of the Death Penalty, in: The Right to Life under Article 2 of the European Convention: Twenty Years of Legal Developments since McCann v. the United Kingdom, in honour of Michael O’Boyle, 2016, ii.

134 ძალაში შევიდა 1985 წელს.

135 ძალაში შევიდა 2002 წელს.

136 A. Cogbill, European Court of Human Rights’ Dance with Death, Connecticut Journal of International Law, 29, No.1, 2013, 163.

ამ ოქმების მონაწილე სახელმწიფოებმა უარი თქვეს, ისარგებლონ კონვენციის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტით დაშვებული გამონაკლისით და, საბოლოოდ, აკრძალეს სიკვდილით დასჯა, რომელიც მართლზომიერად ვეღარც შეეფარდება პირს.[137] ეს ნიშნავს, რომ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობით, გაუქმებულია სიკვდილით დასჯის გამოყენება.[138]

სიკვდილით დასჯის გაუქმების მიმართ ევროპული სახელმწიფოების მიერ ჩამოყალიბებული დამოკიდებულების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომაც გამოხატა თავისი პოზიცია საქმეზე – *ოჯალანი თურქეთის წინააღმდეგ* (***Ocalan v. Turkey***).[139] კერძოდ, მან მიუთითა: „შეიძლება ითქვას, რომ მშვიდობიან პერიოდში სიკვდილით დასჯა უნდა განვიხილოთ როგორც სასჯელის მიუღებელი სახე, რომელიც აღარ არის დაშვებული მე-2 მუხლით".[140] მოგვიანებით, ევროპული სასამართლო კიდევ უფრო მკაცრ პოზიციას მიემხრო და ყურადღება გაამახვილა ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მიერ სიკვდილის *დე ფაქტო* და *დე იურე* გაუქმებაზე. საქმეზე – *ალ სადუნი და მუფდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (***Al Saadoon and Mufdhi v. the United Kingdom***) – ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სიკვდილით დასჯა არა მხოლოდ მშვიდობიან პერიოდში, არამედ არცერთ ვითარებაში არ არის მისაღები.[141]

მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული ტექსტი, რომელიც უშვებს სიკვდილით დასჯის გამოყენების შესაძლებლობას, არ შეცვლილა და ამ მუხლის ნაწილად რჩება, კონვენციის მე-6 და მე-13 ოქმების მიღებამ და კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ მათთან შეერთებამ/რატიფიცირებამ აზრი დააკარგვინა კონვენციის დებულებას სიკვდილით დასჯის შესახებ.[142] შესაბამისად, კონვენციასთან მიმართებით სიცოცხლის უფლების დარღვევის საკითხი შეიძლება წამოიჭრას მხოლოდ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სამ შემთხვევაში.[143]

---

137 არსებული მდგომარეობით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე 46 სახელმწიფოდან ყველამ მოახდინა მე-6 ოქმის რატიფიცირება (ვიდრე რუსეთი შეწყვეტდა ევროპულ კონვენციაში მონაწილეობას, ის იყო ერთადერთი, ვისაც ჰქონდა ოქმზე ხელი მოწერილი, მაგრამ არ ჰქონდა რატიფიცირებული), ხოლო მე-13 ოქმს კონვენციის მონაწილე 46 სახელმწიფოდან 44-მა მოახდინა მისი რატიფიცირება. აზერბაიჯანს არ მოუწერია ხელი, ხოლო სომხეთმა ხელი მოაწერა, მაგრამ ჯერ არ მოუხდენია რატიფიცირება.

138 ვიდრე რუსეთს შეუწყვეტდნენ ევროპის საბჭოს წევრობას, ის ერთადერთი გამონაკლისი იყო, სადაც სიკვდილით დასჯა, მართალია, კანონმდებლობით აკრძალული არ იყო, მაგრამ, გამოცხადებული მორატორიუმის გამო, არ გამოიყენებოდა.

139 2005 წლის 12 მაისი, დიდი პალატა.

140 163-ე პუნქტი; ასევე იხ. A. Mowbray, Between the Will of the Contracting Parties and the Needs of Today: Extending the Scope of Convention Rights and Freedoms Beyond What Could Have Been Foreseen by the Drafters of the ECHR, in: Shaping Rights in the ECHR: The Role of the European Court of Human Rights in Determining the Scope of Human Rights, E. Brems and J. Gerards (eds.), 2013, 30.

141 2010 წლის 2 მარტი, 120-ე პუნქტი. A. Carcano, Notable Cases of the European Court of Human Rights on the Right to Life: Materials and Analysis, 2021, XVII-XVIII.

142 J. Gerards, Right to Life, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, P. van Dijk, F. van Hoof, A. van Rijn and L. Zwaak (eds.), 5th ed. 2018, 363-364.

143 S. Skinner, Lethal Force, the Right to Life and the ECHR: Narrative of Death and Democracy, 2019, 7.

3.2. სიცოცხლის მოსპობა დაშვებული მიზნებით

როგორც აღინიშნა, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი უშვებს სამ შემთხვევას, როდესაც სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ გონივრული ძალის გამოყენების შედეგად შეიძლება მოხდეს სიცოცხლის მოსპობა და, მიუხედავად ამისა, არ ჩაითვალოს, რომ სახელმწიფომ დაარღვია სიცოცხლის უფლება. ეს შემთხვევები ეხება:

ა) პირის დაცვას არამართლზომიერი ძალადობისაგან;

ბ) პირის კანონიერ დაკავებას ან კანონიერად დაპატიმრებული პირის მიმალვის აღკვეთას;

გ) კანონიერ ღონისძიებათა გატარებას აჯანყების ან ამბოხების ჩახშობისას.

როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა საქმეზე – *სტიუარტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Stewart v. the United Kingdom)*, – მან გაიზიარა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის პოზიცია, რომ კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი „ეხება არა მხოლოდ ისეთ სიტუაციებს, რომლებშიც დაშვებულია პირის განზრახ მკვლელობა, არამედ ასევე ეხება სიტუაციებს, რომლებშიც დაშვებულია „ძალის გამოყენება“, რომელსაც, როგორც ძალის გამოყენების გაუთვალისწინებელი შედეგი, შეიძლება მოჰყვეს სიცოცხლის მოსპობა.“[144] საქმეზე – *მაკკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann and Others v. the United Kingdom)* – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებები ვრცელდება (თუმცა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება) სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ჩადენილ განზრახ მკვლელობაზე.[145] აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ ნათელი მოჰფინა, რომ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ვრცელდება სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ პირის სიცოცხლის როგორც განზრახ მოსპობაზე, ისე ძალის გამოყენებაზე, რომელსაც, როგორც გაუთვალისწინებელი შედეგი, მოჰყვა სიცოცხლის მოსპობა.[146]

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ პირის სიცოცხლის მოსპობა არ ჩაითვლება სიცოცხლის უფლების დარღვევად, თუ ის „შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომელიც იყო აბსოლუტურად აუცილებელი“. საქმეზე – *მაკკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann and Others v. the United Kingdom)* – ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფომ შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ ისეთი ძალა, რომელიც „აბსოლუტურად აუცილებელია“ კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.[147]

სახელმწიფომ რომ დააკმაყოფილოს „აბსოლუტური აუცილებლობის“ მოთხოვნა, მის მიერ გამოყენებული ძალა არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე ეს მკაცრად აუცილებელია კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის (ა)-(გ) პუნქტებით გათვალისწინებული

---

144 10 ივლისი, 1984 წელი, მე-15 პუნქტი. See also B. Dickson, The European Convention on Human Rights and the Conflict in Northern Ireland, 2010, 227.

145 148-ე პუნქტი; ასევე იხ. D. Harris, M. O'Boyle et al, Law of the European Convention on Human Rights, 4th ed., 2018, 223-224.

146 *ანდრონიკუ და კონსტანტინუ კვიპროსის წინააღმდეგ (Andronicou and Constantinou v. Cyprus)*, 9 ოქტომბერი, 1997 წელი, 171-ე პუნქტი.

147 148-ე და 149-ე პუნქტები; ასევე იხ. H. Russell, Striving for Never Again: A European Convention for the Protection of All Persons from Enforced Disappearance and the Veiled Protection of Article 2 of the ECHR, Inter-American and European Human Rights Journal, 9, No.2, 2016, 486-487.

მიზნების მისაღწევად.[148] მაგალითად, თუ დაკავების დროს პირი არ უწევს წინააღმდეგობას სახელმწიფოს წარმომადგენლებს და საფრთხეს არ უქმნის მათ სიცოცხლეს, მის მიმართ ისეთი ძალის გამოყენება (მაგ., ხელკეტებისა და კონდახის დარტყმა), რომელსაც მოჰყვა მისი სიცოცხლის მოსპობა, არ ჩაითვლება ძალად, რომლის გამოყენება შექმნილ სიტუაციაში იყო აბსოლუტურად აუცილებელი. „აბსოლუტური აუცილებლობის“ მოთხოვნიდან გამომდინარეობს, რომ გამოყენებული ძალა უნდა იყოს პირდაპირ კავშირში მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ერთ-ერთ მიზანთან, სხვა სიტყვებით კი, უნდა არსებობდეს თანაზომიერება გამოყენებულ ძალასა და დასახული მიზნის მიღწევას შორის. სხვა სიტყვებით, „აბსოლუტური აუცილებლობა“ ნიშნავს, რომ უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ ისეთი ძალა, რომელიც კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი მიზნის მიღწევის თანაზომიერი იქნება. ისეთი ძალის გამოყენება, რომელიც არ არის თანაზომიერი ერთ-ერთი მიზნის მისაღწევად და რომელმაც გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა, ვერ დააკმაყოფილებს „აბსოლუტური აუცილებლობის“ მოთხოვნას და, შესაბამისად, დაარღვევს კონვენციის მე-2 მუხლს.[149]

როგორც ე. ვიკმა განაცხადა, „ერთადერთი სიტუაცია, რომელშიც დანაშაულის თავიდან აცილებამ შეიძლება გაამართლოს სახელმწიფოს მიერ პირის მკვლელობა, არის აბსოლუტური აუცილებლობა იმისა, რომ გადარჩეს სხვა უდანაშაულო პირის სიცოცხლე, რომელიც პირდაპირ საფრთხეშია. აგრესორის მოკვლა გამართლებულია ამ გარემოებებში, რადგან, და მხოლოდ იმიტომ, რომ, ეს არის ერთადერთი საშუალება პირის სიცოცხლის გადარჩენისათვის, რომელსაც ემუქრება აგრესორი. სახელმწიფოს მიერ მკვლელობა არასოდეს იქნება გამართლებული პირის დასასჯელად, მიუხედავად იმისა, როგორი საზარელიც არ უნდა იყოს ჩადენილი დანაშაული, ის არ იქნება გამართლებული გაურკვეველი სამომავლო დანაშაულის თავიდან აცილებისათვის, ან დანაშაულისათვის, რომელიც არ ქმნის საფრთხეს სიცოცხლისათვის, ისევე როგორც, როდესაც სხვა საშუალებებს შეუძლიათ მსგავსად გააუვნებელყონ საფრთხე სიცოცხლისათვის. სასიკვდილო ძალა არის უკანასკნელი საშუალება, რომელიც ხელმისაწვდომია სახელმწიფოს წარმომადგენლებისათვის (ისევე როგორც კერძო პირებისათვის), როდესაც არ არსებობს სხვა საშუალებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული აგრესორის მიერ უდანაშაულო პირების სიცოცხლის მოსპობა ...“.[150]

საქმეზე – *მაკკერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*McKerr v. the United Kingdom*) – ევროპულმა სასამართლომ შეაჯამა საკუთარი პოზიცია კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებასთან მიმართებით:

„მე-2 მუხლის ტექსტი, მთლიანობაში, ცხადყოფს, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ განზრახ მკვლელობას, არამედ ისეთ სიტუაციასაც, რომელშიც დაშვებულია „ძალის გამოყენება“, რომელსაც, განზრახვის გარეშე, შეიძლება შედეგად მოჰყვეს სიცოცხლის მოსპობა. ... უფრო მეტი ძალა არ უნდა იყოს გამოყენებული, ვიდრე არის ამის „აბსოლუტური აუცილებლობა“, რათა მიღწეული იქნეს ა)-გ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე მიზანი. ეს ტერმინი მიუთითებს, რომ აუცილებლობის უფრო მკაცრი და უდავო ტესტი უნდა იყოს გამოყენებული ვიდრე ის, რომელიც ჩვე-

148 J. Murdoch and R. Roche, The European Convention on Human Rights and Policing: A Handbook for Police Officers and Other Law Enforcement Officials, 2013, 26; R. Turmen, “Right to Life” (Article 2), Bulletin des Droits de l’Homme, Nos.11/12, 2005, 59.

149 F. Ni Aolain, The Evolving Jurisprudence of the European Convention Concerning the Right to Life, Netherlands Quarterly of Human Rights, 19, No.1, 2001, 23-24.

150 E. Wicks, The Right to Life and Conflicting Interests, 2010, 149.

ულებრივ გამოიყენება, როდესაც დგინდება იყო თუ არა სახელმწიფოს მოქმედება „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, კონვენციის მე-8-მე-11 მუხლების მეორე პუნქტების მიხედვით. შესაბამისად, გამოყენებული ძალა უნდა იყოს დაშვებული მიზნების მიღწევისათვის მკაცრად თანაზომიერი.“[151]

3.2.1. სიცოცხლის მოსპობა პირის დაცვისას არამართლზომიერი ძალადობისაგან

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ადგენს სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ ძალის გამოყენებას როგორც საკუთარი, ისე სხვა პირის სიცოცხლის დასაცავად.[152] ამ დებულების საფუძველზე ძალის გამოყენება დაშვებულია როგორც დაცვითი ღონისძიება, რომელიც ტარდება პირის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში.[153] როგორც კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, ისე „ა“ ქვეპუნქტის შემთხვევაშიც, სახელმწიფოს აქვს უფლება, გამოიყენოს ძალა, თუ არსებობს ამის „აბსოლუტური აუცილებლობა“. მხოლოდ „აბსოლუტური აუცილებლობის“ შემთხვევაში სახელმწიფომ შეიძლება გამოიყენოს გონივრული ძალა იმ პირის მიმართ, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვა პირის ფიზიკურ არსებობას და ასეთი ძალის გამოყენება, რომელსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს საფრთხის შემქმნელი პირის სიცოცხლის მოსპობა, არ ჩაითვლება კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად. ეს მოთხოვნა გამორიცხავს სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენებას იმ პირის მიმართ, რომელიც არა მის (სახელმწიფოს წარმომადგენლის) ან სხვა ადამიანის სიცოცხლეს, არამედ, მაგალითად, პირის საკუთრებას უქმნის საფრთხეს.[154]

სახელმწიფოები ხშირად იყენებენ ძალას სხვადასხვა სპეციალური ოპერაციის ჩატარებისას, მაგ.: მძევლების განთავისუფლება, ანტიტერორისტული ოპერაცია, ასევე ეჭვმიტანილი პირების დაკავება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა დემონსტრაციების დროს, ციხეში ამბოხების ჩახშობა და სხვ. ძალის გამოყენების აბსოლუტური აუცილებლობის მოთხოვნა უნდა იყოს დაცული ყველა ასეთ შემთხვევაში.

პირველად ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტთან დაკავშირებული საკითხი განიხილა საქმეზე – *მაკკანი გაერთიანე-*

---

151 4 მაისი, 2001 წელი, 110-ე პუნქტი; ასევე იხ. საქმეები: *გული თურქეთის წინააღმდეგ (Gul v. Turkey),* 14 დეკემბერი, 2000 წელი, 77-ე პუნქტი; *აიდანი თურქეთის წინააღმდეგ (Aydan v. Turkey),* 12 მარტი, 2013 წელი, 65-ე პუნქტი; ასევე იხ. J. Chevalier-Watts, Effective Investigations under Article 2 of the European Convention on Human Rights: Securing the Right to Life or an Onerous Burden on a State? European Journal of International Law, 2010 Vol. 21, No.3, 702; J. Gerards, Right to Life, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, P. van Dijk, F. van Hoof, A. van Rijn and L. Zwaak (eds.), 5th ed. 2018, 362-363.

152 D. Harris, M. O'Boyle et al, Law of the European Convention on Human Rights, 4th ed., 2018, 230.

153 S. Skinner, Lethal Force, the Right to Life and the ECHR: Narrative of Death and Democracy, 2019, 73-74.

154 R. Crawshaw, International Standards on the Right to Life and the Use of Force by Police, The International Journal of Human Rights, Vol. 3, No. 4, Winter 1999, 78; T. Opsahl, The Right to Life, in: The European System for the Protection of Human Rights R.St.J. Macdonald, F. Matscher and H. Petzold (eds.), 1993, 216.

ბული სამეფოს წინააღმდეგ (McCann v. the United Kingdom), რომელშიც დიდი ბრიტანეთის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა გიბრალტარში ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით მოკლეს ირლანდიის ტერორისტული ჯგუფის სამი წევრი.[155] საქმის გარემოებები შემდეგი იყო: ბრიტანეთის ხელისუფლება ფლობდა ინფორმაციას, რომ ტერორისტულ ორგანიზაციას (IRA) განზრახული ჰქონდა გიბრალტარში, ხალხმრავალ ადგილას, აფეთქების მოწყობა. ამ ინფორმაციის მიხედვით, ტერორისტებს ხელთ ჰქონდათ მართვის პულტი, რომლის გააქტიურების შემთხვევაში მოხდებოდა გაჩერებულ მანქანაში განთავსებული ბომბის აფეთქება, რაც გამოიწვევდა არაერთი მშვიდობიანი ადამიანის სიცოცხლის მოსპობას. ამის გამო ბრიტანეთის სპეცსამსახურის თანამშრომლებმა მოახდინეს სამი ტერორისტის სიცოცხლის მოსპობა იმ ადგილას, სადაც, ბრიტანეთის უშიშროების სამსახურის ინფორმაციით, უნდა მომხდარიყო ტერორისტული აქტი. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ უშიშროების სპეცსამსახურის თანამშრომლებისათვის მიწოდებული ინფორმაცია იყო მცდარი: ეჭვმიტანილებს არ ჰქონდათ ხელთ პულტი და არც მანქანაში იყო ბომბი იმ მომენტში, როდესაც ეს სამი პირი ადგილზე მოკლეს. ტერორისტები დაზვერვის მიზნით იმყოფებოდნენ იმ ადგილას, სადაც უნდა მოეხდინათ ტერორისტული აქტი, ხოლო მანქანა იქ დატოვეს ადგილის შესანახად, მოგვიანებით დაგეგმილი აფეთქებისათვის.

ევროპული სასამართლოს წინაშე გარდაცვლილი ირლანდიელი ტერორისტების ნათესავები ამტკიცებდნენ, რომ დიდმა ბრიტანეთმა დაარღვია გარდაცვლილი პირების სიცოცხლის უფლება. მთავრობა ამტკიცებდა, რომ არსებობდა სასიკვდილო ძალის გამოყენების აბსოლუტური აუცილებლობა არამართლზომიერი ძალადობისაგან უდანაშაულო გამვლელთა დასაცავად და საქმის გარემოებები აქცევდა სიტუაციას მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოქმედების სფეროში.

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ გააკეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელმაც გავლენა მოახდინა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე. კერძოდ, მართალია, ეჭვს არ იწვევდა, რომ სპეცსამსახურის წარმომადგენლებს განზრახული ჰქონდათ ტერორისტების სიცოცხლის მოსპობა (რაც მათ მოახდინეს), ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ბრიტანეთის უშიშროების სამსახურის წარმომადგენლების მოქმედებას არ დაურღვევია კონვენციის მე-2 მუხლი, ვინაიდან მათ გულწრფელად სჯეროდათ, რომ აუცილებელი იყო ტერორისტების სიცოცხლის მოსპობა ბომბის ამოქმედების თავიდან ასაცილებლად და იქ მყოფი მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლის დასაცავად, და მათ ჰქონდათ შესაბამისი ინსტრუქცია, რომელიც გამორიცხავდა მათ სხვაგვარ მოქმედებას.[156] აქედან გამომდინარე, თუ სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ პირის სიცოცხლის მოსპობა განპირობებულია მათი გულწრფელი რწმენით სასიკვდილო ძალის გამოყენების აუცილებლობის შესახებ, არ დადგინდება კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.[157]

---

155 დიდი პალატა, 27 სექტემბერი, 1995 წელი.

156 იქვე, მე-200 პუნქტი.

157 დიდი პალატა, 27 სექტემბერი, 2009 წელი, მე-200 პუნქტი; ასევე *ბუბინსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Bubbins v. the United Kingdom),* 17 მარტი, 2005 წელი, 38-ე-მე-40 პუნქტები; *არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Armani da Silva v. the United Kingdom),* დიდი პალატა, 30 მარტი, 2016 წელი, 244-ე-248-ე პუნქტები; ასევე იხ. J. Chevalier-Watts, A Rock and a Hard Place: Has the European Court of Human Rights Permitted Discrepancies to Evolve in their Scrutiny of Rights to Life Cases, International Journal of Human Rights, Vol. 14, No.2, April 2010, 303; S. Skinner, Lethal Force, the Right to Life and the ECHR: Narrative of Death and Democracy, 2019, 84-85.

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განიხილა არა მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ძალის გამოყენება, არამედ სახელმწიფოს ვალდებულება სპეციალური ოპერაციის დაგეგმვისა და მასზე ზედამხედველობის განხორციელების შესახებ. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ მან უნდა იმსჯელოს „არა მხოლოდ იმაზე, სამხედრო პირების მიერ გამოყენებული ძალა იყო თუ არა მკაცრად თანაზომიერი უკანონო ძალადობისაგან პირების დასაცავად, არამედ ასევე იმაზე, ანტიტერორისტული ოპერაცია ხელისუფლების მიერ დაიგეგმა და მასზე განხორციელდა ზედამხედველობა თუ არა ისე, რომ შეძლებისდაგვარად მინიმუმამდე შემცირებულიყო სასიკვდილო ძალის გამოყენება.“[158]

სპეციალური ოპერაციის დაგეგმვისა და მასზე ზედამხედველობის შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ტერორისტული ჯგუფის სამი წევრის ვინაობა ბრიტანეთისათვის ცნობილი იყო და, აქედან გამომდინარე, შესაძლებელი იყო მათი დაკავება გიბრალტარის ტერიტორიაზე შესვლის დროს, რაც მშვიდობიანი პირების სიცოცხლის მოსპობის საფრთხეს თავიდან აიცილებდა.[159] აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ სპეციალური ოპერაცია შეიძლება დაგეგმილიყო და განხორციელებულიყო ისე, რომ მიზანი მიღწეულიყო ეჭვმიტანილების სიცოცხლის მოსპობის გარეშე.[160] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა დიდი ბრიტანეთის მიერ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, სპეციალური ოპერაციის არასათანადო დაგეგმვისა და მასზე ზედამხედველობის გამო.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკა განასხვავებს დაგეგმილ და დაუგეგმავ სპეციალურ ოპერაციებს და დაგეგმილი ოპერაციების მიმართ ადგენს უფრო მაღალ მოთხოვნებს.[161] შესაბამისად, დაგეგმილი სპეციალური ოპერაციის მიმართ გამოიყენება უფრო მკაცრი ტესტი, ვიდრე დაუგეგმავი ოპერაციის მიმართ.[162] ეს მიდგომა ვრცელდება კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სამივე საგამონაკლისო შემთხვევაზე. როდესაც დაგეგმილი სპეციალური ოპერაციის ფარგლებში გამოიყენება სასიკვდილო ძალა, „ევროპული სასამართლო ჩვეულებრივ განიხილავს, სახელმწიფომ დაგეგმა საპოლიციო ოპერაცია და განახორციელა თუ არა მასზე ზედამხედველობა ისე, რომ შეძლებისდაგვარად მინიმუმამდე დაეყვანა სასიკვდილო ძალის გამოყენება და სპეციალური ოპერაციით გამოწვეული ადამიანთა მსხვერპლი და, გამოიჩინა თუ არა ყოველგვარი გონივრული წინდახედულობა ოპერაციის საშუალებე-

---

158 დიდი პალატა, 27 სექტემბერი, 1995 წელი, 150-ე პუნქტი; ასევე იხ.: *ერგი თურქეთის წინააღმდეგ (Ergi v. Turkey),* 28 ივლისი, 1998 წელი, 79-ე პუნქტი; *ბუბინსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Bubbins v. the United Kingdom),* 17 მარტი, 2005 წელი, 136-ე პუნქტი; *ჰუოჰვანაინენი ფინეთის წინააღმდეგ (Huohvanainen v. Finland),* 13 მარტი, 2007 წელი, 94-ე პუნქტი; ასევე იხ. S. Skinner, Lethal Force, the Right to Life and the ECHR: Narrative of Death and Democracy, 2019, 80.

159 J. Chevalier-Watts, A Rock and a Hard Place: Has the European Court of Human Rights Permitted Discrepancies to Evolve in their Scrutiny of Rights to Life Cases, International Journal of Human Rights, Vol. 14, No.2, April 2010, 307.

160 201-ე პუნქტი; ასევე იხ.: F. Ni Aolain, The Evolving Jurisprudence of the European Convention Concerning the Right to Life, Netherlands Quarterly of Human Rights, 19, No.1, 2001, 29-30; E. Wicks, The Right to Life and Conflicting Interests, 2010, 63.

161 *მაკარაძისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Makaratzis v. Greece)*, *დიდი პალატა*, 20 *დეკემბერი*, 2004 *წელი*, 69-ე-70-ე პუნქტები.

162 *ბუბინსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Bubbins v. the United Kingdom)*, 2005 წლის 17 მარტი.

ბისა და მეთოდების შერჩევისას.“[163] მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ შეიძლება მიიჩნიოს კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად სიცოცხლის შემთხვევითი მოსპობა სპეცოპერაციის დროს, თუ სახელმწიფო ვერ დაამტკიცებს, რომ მან ოპერაცია ისე დაგეგმა და განახორციელა, რომ მოეხდინა შემთხვევითი გამვლელების სიცოცხლის მოსპობის საფრთხის მინიმუმამდე შემცირება.[164]

სახელმწიფოს მიერ სპეციალური ოპერაციის დაგეგმვის დროს სიცოცხლისათვის საფრთხის მინიმუმამდე შემცირების შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემთხვევის კონტექსტი და სიტუაცია, რომელშიც ის განვითარდა.[165] საქმე *ანდრონიკუ და კონსტანტინუ კვიპროსის წინააღმდეგ (Andronicou and Constantinou v. Cyprus)* ეხებოდა მამაკაცის (ლეფტერის ანდრონიკუ) მიერ მძევლად აყვანილი საკუთარი საცოლის განთავისუფლების სპეცოპერაციას, რომლის შედეგადაც სპეცრაზმმა მოკლა როგორც მამაკაცი, ისე მისი მძევალი მას შემდეგ, რაც მამაკაცმა ცეცხლი გაუხსნა სპეცრაზმელებს.[166]

რაც შეეხება შემთხვევის კონტექსტს, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა იცოდნენ, რომ მათ საქმე ჰქონდათ ახალგაზრდა წყვილთან და არა გამოცდილ დამნაშავეებთან ან ტერორისტებთან. მოლაპარაკებები, რომლებიც ბოლო მომენტამდე მიმდინარეობდა, ადასტურებს, რომ ხელისუფლება ითვალისწინებდა, რომ კონფლიქტის მიზეზი იყო წაკინკლავება შეყვარებულებს შორის. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ხელისუფლება ბოლო მომენტამდე ცდილობდა ინციდენტის დასრულებას დარწმუნებითა და დიალოგით. პოლიციის სახელით მოლაპარაკების მწარმოებელი პირი განაგრძობდა მცდელობას, დაერწმუნებინა ლეფტერის ანდრონიკუ, რომ მას არ მიაყენებდნენ ზიანს, თუ იგი გაათავისუფლებდა საკუთარ საცოლეს. ამასთანავე, მაქსიმალურად გადავადდა სამართალდამცავი ორგანოების მიერ ფიზიკური ჩარევა სიტუაციის განსამუხტავად.[167]

ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ ასეთი ჩარევა იყო სიტუაციის განმუხტვის უკანასკნელი საშუალება. ეს საკითხი განხილულ იქნა პოლიციის მმართველი ჯაჭვის უმაღლეს დონეზე, ასევე სამინისტროს დონეზე და განხორციელდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოლაპარაკებები წარუმატებლად დასრულდა, ხოლო მძევლის სიცოცხლე იყო რეალურ საფრთხეში. მართალია, სამართალდამცველ ორგანოთა წარმომადგენლებს, რომლებიც სპეციალურ ოპერაციაში იყვნენ ჩართულნი, ჰქონდათ გავლილი მომზადება პირის სიცოცხლის მოსასპობად, თუ მოხდებოდა გასროლა მოწინააღმდეგე მხარის მიერ, მათ მიეცათ მკაფიო ინსტრუქცია, როდის უნდა გამოეყენებინათ იარაღი. კერძოდ, მათ ჰქონდათ დავალება, მხოლოდ მაშინ გამოეყენებინათ თანაზომიერი ძალა და გაეხსნათ ცეცხლი, თუ მძევლის ან საკუთარი სიცოცხლე აღმოჩნდებოდა საფრთხეში.[168]

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა ფიზიკური ჩარევა არ იყო გაუმართლებელი. აქედან გა-

---

163 *ფინოგენოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ* (*Finogenov and Others v. Russia*), 20 დეკემბერი, 2011 წელი, 208-ე პუნქტი.

164 *ერგი თურქეთის წინააღმდეგ (Ergi v. Turkey)*, 28 ივლისი, 1998 წელი.

165 *ანდრონიკუ და კონსტანტინუ კვიპროსის წინააღმდეგ (Andronicou and Constantinou v. Cyprus),* 9 ოქტომბერი, 1997 წელი, 182-ე პუნქტი; *იუკსელ ერდოღანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Yüksel Erdoğan and Others v. Turkey),* 15 თებერვალი, 2007 წელი, 86-ე პუნქტი.

166 9 ოქტომბერი, 1997 წელი.

167 183-ე პუნქტი.

168 185-ე პუნქტი.

მომდინარე, სასამართლომ არ მიიჩნია, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ძალის გამოყენება, რომელმაც გამოიწვია მამაკაცისა და მისი საცოლის სიცოცხლის მოსპობა, ისევე როგორც ოპერაციის დაგეგმვა და მასზე ზედამხედველობა, აკმაყოფილებდა „აბსოლუტური აუცილებლობის“ მოთხოვნებს.[169]

სპეციალური ოპერაციის დაგეგმვასა და მასზე ზედამხედველობას ეხებოდა საქმე *ფინოგენოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Finogenov and Others v. Russia).*[170] საქმის გარემოებები იყო შემდეგი: მოსკოვში 2002 წლის 23-26 ოქტომბერს, ავტომატებით და ასაფეთქებლებით შეიარაღებულ ჩეჩენ ტერორისტებს „დუბროვკის“ თეატრში 3 დღის განმავლობაში დაახლოებით 900 ადამიანი (მათ შორის ბავშვები) ჰყავდათ მძევლად აყვანილი. თეატრის ტერიტორია ტერორისტებმა მთლიანად დანაღმეს და 18 თვითმკვლელი ქალი (შაჰიდის ქამრით) განლაგდა დარბაზში, მძევლებთან ერთად.

2002 წლის 26 ოქტომბერს რუსეთის უშიშროების ძალებმა დილის 4-5 საათზე სავენტილაციო სისტემის გავლით თეატრის მთავარ დარბაზში შეუშვეს გაურკვეველი შემადგენლობის გამაბრუებელი გაზი. გაზის შეშვებიდან რამდენიმე წუთში ტერორისტებმა, რომლებიც აკონტროლებდნენ ასაფეთქებლებს, მათ შორის თვითმკვლელმა ქალებმა, დაკარგეს გონება ამ გაზის მოქმედების გამო, რის შემდეგაც რუსეთის უშიშროების ძალები შეიჭრნენ შენობაში. უშიშროების ძალების წარმომადგენლებმა ტერორისტების ნაწილი ადგილზე გაანადგურეს. მძევლების უმრავლესობა გადარჩა, თუმცა მათ ნაწილზე გაზმა მოახდინა უარყოფითი გავლენა და ამის შედეგად 100-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა, ზოგიერთი მათგანი იმის გამო, რომ ადგილზე არ აღმოუჩინეს სათანადო სამედიცინო დახმარება.

გარდაცვლილი მძევლების ნათესავებმა სარჩელი შეიტანეს ევროპულ სასამართლოში იმის მტკიცებით, რომ რუსეთის ხელისუფლებამ გამოიყენა არათანაზომიერი ძალა, რომელმაც გამოიწვია მათი ნათესავების გარდაცვალება „დუბროვკის“ თეატრში სპეციალური ოპერაციისას. მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ ხელისუფლებამ ვერ დაგეგმა და ჩაატარა სპეცოპერაცია ისე, რომ მოეხდინა მძევლების სიცოცხლისათვის საფრთხის მინიმუმამდე შემცირება.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ არსებობდა ადამიანთა სიცოცხლის მოსპობის რეალური და მყისიერი საფრთხე და, შესაბამისად, ხელისუფლების გადაწყვეტილება შენობაში შეჭრის შესახებ შეიძლება ყოფილიყო გამართლებული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე. ევროპულმა სასამართლომ ასევე არ ჩათვალა გაზის გამოყენება არათანაზომიერ ნაბიჯად. მიუხედავად იმისა, რომ გამოყენებულ გაზს შეიძლება ჰქონოდა სასიკვდილო შედეგი, სასამართლოს აზრით, ის არ გამოყენებულა „განურჩევლად“, რადგან მძევლებს ჰქონდათ გადარჩენის დიდი შანსი და ბევრი რამ დამოკიდებული იყო ხელისუფლების მიერ ჩასატარებელი სამაშველო ოპერაციის ეფექტიანობაზე.

---

169 F. Ni Aolain, The Evolving Jurisprudence of the European Convention Concerning the Right to Life, Netherlands Quarterly of Human Rights, 19, No.1, 2001, 31-32; M. O'Boyle, The Development of the Right to Life, AFMÆLISRIT ÞÓR VILHJÁLMSSON, 2000, 66. იქვე, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულების განვითარების ისტორია იხ. 69-70; ასევე იხ. *იუკსელ ერდოღანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Yüksel Erdoğan and Others v. Turkey),* 15 თებერვალი, 2007 წელი, 86-ე პუნქტი.

170 20 დეკემბერი, 2011 წელი.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სამაშველო ოპერაცია არ იყო საკმარისად კარგად დაგეგმილი, კერძოდ, სხვადასხვა სამსახურს შორის არასაკმარისად ხდებოდა ინფორმაციის გაცვლა და მათ შორის იყო ცუდი კოორდინაცია; ევაკუაცია დაიწყო დაგვიანებით, იყო შესაფერისი სამედიცინო მომსახურებისა და აღჭურვილობის ნაკლებობა და არასაკმარისი ლოჯისტიკა.[171] ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მძევლების მასობრივი ევაკუაცია თეატრიდან დაიწყო მინიმუმ საათისა და 20 წუთის შემდეგ გაზის აორთქლებიდან, რის გამოც გაჩნდა კითხვა – რამ გამოიწვია ამდენი ხნით ევაკუაციის დაწყების გაჭიანურება და რატომ არ ჩატარდა დამატებითი მოსამზადებელი სამუშაოები, როგორებიცაა: ექიმების ინფორმირება გამოყენებული გაზის შესახებ და შესაფერისი მედიკამენტების მომარაგება.[172] სპეციალური ოპერაციის ამ ხარვეზებმა გამოიწვია სახელმწიფოს მიერ მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა.

ამდენად, მართალია, ევროპულ სასამართლოს არ დაუდგენია მე-2 მუხლის დარღვევა იმის გამო, რომ რუსეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, მძევლების განთავისუფლების სპეციალური ოპერაცია მოეგვარებინა ძალისა და გაზის გამოყენებით, მან დაადგინა დარღვევა ამ ოპერაციის არასათანადოდ დაგეგმვისა და ჩატარების გამო.

ევროპულმა სასამართლომ ასევე განიხილა საქმე *ტაგაიევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Tagayeva and Others v. Russia)*, რომელიც ეხებოდა ბესლანის სკოლაში ათასზე მეტი ადამიანის, რომელთა უმრავლესობა ბავშვი იყო, მძევლად აყვანას ჩეჩენი ტერორისტების მიერ.[173] ამ სპეციალური ოპერაციის დროს ურთიერთდაპირისპირებისას სახელმწიფო უშიშროების ძალებმა და ტერორისტებმა მოკლეს 330 ადამიანი, საიდანაც 180 ბავშვი იყო. სკოლის შენობის ასაღებად გამოყენებულ იქნა სხვადასხვა მსხვილკალიბრიანი იარაღი, ყუმბარები და ტანკები. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთმა დაარღვია სიცოცხლის უფლება, რადგან არ გაატარა სათანადო ღონისძიებები სიცოცხლისათვის რეალური და მყისიერი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. სასამართლოს აზრით, სამაშველო ოპერაციის დაგეგმვა და მასზე ზედამხედველობა იყო ხარვეზიანი (მართვის სტრუქტურა, კოორდინაცია და კომუნიკაციის არაადეკვატურობა). და ბოლოს, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გამოყენებული ძალა იყო არათანაზომიერი.

საქმე *ჯულიანი და გაჯიო იტალიის წინააღმდეგ (Giuliani and Gaggio v. Italy)* ეხებოდა გენუაში G8-ს სამიტზე ანტიგლობალისტების დემონსტრაციას, რომელსაც მოჰყვა დაპირისპირება დემონსტრანტებსა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს შორის. დაპირისპირების შედეგად სასიკვდილო გასროლის შედეგად გარდაიცვალა ერთ-ერთი დემონსტრანტი (23 წლის კარლო ჯულიანი).[174] საქმის გარემოებები შემდეგი იყო: სამიტის დროს დემონსტრანტებისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს შორის დაპირისპირების დროს (დემონსტრანტები ისროდნენ ქვებს, ჯოხებსა და რკინის ნივთებს) ჯიპში მყოფი პოლიციელები გარშემორტყმულნი აღმოჩნდნენ დემონსტრანტებით, რომლებიც უკანონო და ძალადობრივი მოქმედებით თავს დაესხნენ მანქანას (გაუტეხეს უკანა მინა და ესროდნენ ქვებს). შექმნილ სიტუაციაში ერთ-ერთი პოლიციელი (M.P.) მოიცვა პანიკამ, რის გამოც მან ამოიღო პისტოლეტი, რომელიც მიმართა ჯიპის უკანა მხარისაკენ და დაიყვირა, რომ

171 266-ე პუნქტი.

172 237-ე-266-ე პუნქტები.

173 13 აპრილი, 2017 წელი.

174 დიდი პალატა, 24 მარტი, 2011 წელი.

დემონსტრანტებს უკან დაეხიათ, თუ არ უნდოდათ, რომ მომკვდარიყვნენ. ამ უკიდურესად დაძაბულ სიტუაციაში კარლო ჯულიანიმ გადაწყვიტა, აეღო ცეცხლის ჩასაქრობი ბალონი, რომელიც ძირს ეგდო და ასწია მკერდის სიმაღლეზე, სავარაუდო განზრახვით, რომ ესროლა მანქანის მიმართულებით. მისი მოქმედება M.P.-ს შეიძლება გონივრულად შეეფასებინა როგორც მიმანიშნებელი, რომ, მიუხედავად მისი ყვირილისა და იარაღის ამოღებისა, ჯიპზე თავდასხმა არ შეწყდებოდა და დაძაბულობის ხარისხი არ შემცირდებოდა. M.P.-ს გულწრფელი რწმენა ჰქონდა, რომ მისი სიცოცხლე იყო საფრთხეში და ეს საფრთხე შეიძლება კიდევ უფრო გაზრდილიყო ამ მოქმედებით.[175]

M.P.-მ გაისროლა ჰაერში, ჯიპის უკანა მხარის მიმართულებით, რაც ერთადერთი მხარე იყო, რომლისკენაც შეიძლება პისტოლეტი ყოფილიყო მიმართული, თუმცა, როგორც ჩანს, ტყვიამ აისხლიტა და კარლო ჯულიანის მოხვდა თავში (ტყვიამ გაუხვრიტა თავის ქალა) და იგი დაეცა (მოგვიანებით დადგინდა, რომ გასროლამ გამოიწვია მისი გარდაცვალება). ადგილის დატოვების მიზნით მეორე კარაბინიერმა დაქოქა ჯიპი, მანქანა უკან დახია და გადაუარა კარლო ჯულიანის. ამის შემდეგ ჯიპი ისევ წინ დაიძრა, კიდევ ერთხელ გადაუარა კარლო ჯულიანის და დატოვა ადგილი. კარლო ჯულიანი ადგილზე გარდაიცვალა.

ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ უკიდურესად მძიმე ვითარებაში, როდესაც დემონსტრანტები აპირებდნენ ცეცხლის ჩასაქრობი ბალონის სროლას ჯიპის მიმართულებით, პოლიციელს ჰქონდა გულწრფელი რწმენა, რომ მის სიცოცხლეს ემუქრებოდა საფრთხე, რომელიც კიდევ უფრო გაიზრდებოდა. როგორც სასამართლომ განაცხადა, მიუხედავად იმისა, რა განზრახვა ჰქონდათ დემონსტრანტებს, არ შეიძლებოდა ლინჩის წესით პოლიციელების დასჯის შესაძლებლობის გამორიცხვა.[176] სასამართლოს აზრით, სიცოცხლისათვის შექმნილმა საფრთხემ გაამართლა თავდაცვის მიზნით პოტენციურად სასიკვდილო ძალის გამოყენება, როგორიცაა გასროლა. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სასიკვდილო ძალის გამოყენება იყო აბსოლუტურად აუცილებელი ძალადობისაგან თავის დასაცავად კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის მნიშვნელობით.[177]

საქმე *ისაევა რუსეთის წინააღმდეგ (Isayeva v. Russia)* ეხებოდა შეიარაღებული მეამბოხეების შესვლას ერთ-ერთ სოფელში.[178] ამის საპასუხოდ რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა განახორციელეს გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა საჰაერო და საარტილერიო შეტევას ამ სოფელზე, რისთვისაც ახდენდნენ საავიაციო დაბომბვას და სარაკეტო დარტყმებს. ბომბი, რომელიც ჩამოაგდო რუსეთის სამხედრო თვითმფრინავმა, აფეთქდა მოსარჩელის ოჯახის მინივენთან მაშინ, როდესაც ისინი ცდილობდნენ სოფლის დატოვებას, რამაც გამოიწვია მოსარჩელის შვილისა და დისშვილების გარდაცვალება და მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ ტიპის იარაღის გამოყენება „დასახლებულ ტერიტორიაზე, არასაომარ პერიოდში, სამოქალაქო პირების წინასწარი ევაკუაციის გარეშე, შეუძლებელია, თანხვედრაში იყოს სიფრთხილის იმ ხარისხთან, რომ-

---

175 191-ე პუნქტი.

176 187-ე პუნქტი.

177 S. Skinner, The Right to Life, Democracy and State Responsibility in Urban Guerilla Conflict: The European Court of Human Rights Grand Chamber Judgment in Giuliani and Gaggio v. Italy, Human Rights Law Review, 11, No.3, 2011, 567-568.

178 24 თებერვალი, 2005 წელი, პუნქტები 191-ე და მე-200; ასევე იხ. *ბენზერი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Benzer and Others v. Turkey)*, 12 ნოემბერი, 2013 წელი, 184-ე პუნქტი.

ლის მოლოდინიც არსებობს სამართალდამცავი ორგანოებისაგან დემოკრატიულ საზოგადოებაში.“[179]

სპეციალური ოპერაციის დაგეგმვისას სახელმწიფომ არ უნდა მიმართოს ისეთ ტაქტიკას, რომლის შემთხვევაში სასიკვდილო ძალის გამოყენება გარდაუვალი გახდება, ან შეიქმნება ასეთი ძალის გამოყენების მაღალი ალბათობა.

ვინაიდან კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს იმ პირების მოქმედებამ, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ სპეციალური ოპერაციის დაგეგმვასა და მასზე ზედამხედველობის განხორციელებაზე, სიცოცხლის მოსპობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ იმ პირებს, რომლებმაც სათანადოდ ვერ დაგეგმეს სპეციალური ოპერაცია და ვერ განახორციელეს შესაფერისი ზედამხედველობა თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფ პირებზე, ან ვერ უზრუნველყვეს ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც მინიმუმამდე შეამცირებდა სიცოცხლის მოსპობის საფრთხეს.[180]

3.2.2. სიცოცხლის მოსპობა კანონიერად დაკავებისას ან კანონიერად დაპატიმრებული პირის მიმალვის აღკვეთისას

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ძალის გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად, თუ ის მოხდა „აბსოლუტური აუცილებლობის“ შემთხვევაში, პირის კანონიერად დაკავებისას ან კანონიერად დაპატიმრებული პირის მიმალვის აღკვეთისას. შესაბამისად, კონვენციის ამ დებულების საფუძველზე, კანონიერად დაკავების ან კანონიერად დაპატიმრებული პირის მიმალვის აღკვეთის ლეგიტიმურმა მიზანმა შეიძლება გაამართლოს ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა მხოლოდ აბსოლუტური აუცილებლობის შემთხვევაში.[181] აქედან გამომდინარე, ჩნდება მთავარი კითხვა: იყო თუ არა კონკრეტულ გარემოებებში გამოყენებული ძალა „აბსოლუტურად აუცილებელი“.[182] ამ კითხვაზე გაცემულ პასუხზე დამოკიდებულია, ჰქონდა თუ არა სახელმწიფოს სასიკვდილო ძალის გამოყენების უფლება და, შესაბამისად, დაარღვია თუ არა სახელმწიფომ კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულება.[183]

კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეთა უმრავლესობა ეხება იარაღის გამოყენებას პირის კანონიერად დაკავებისას ან კანონიერად დაპატიმრებული პირის მიმალვის აღკვეთისას, თუმცა ზოგიერთი საქმე ეხება ამავე მიზნებისათვის არათანაზომიერი ფიზიკური ძალის გამოყენებას.

საქმე *კაკული თურქეთის წინააღმდეგ (Kakoulli v. Turkey)* ეხებოდა მოსარჩელეთა ოჯახის წევრის, კვიპროსელი ბერძენი მამაკაცის, მკვლელობას თურქი მესაზღვ-

---

179 191-ე პუნქტი.

180 F. de Sanctis, What Duties do States have with Regard to the Rules of Engagement and the Training of Security Forces under Article 2 of the European Convention on Human Rights? International Journal of Human Rights, Vol. 10, N1, 2006, 41.

181 *კაკული თურქეთის წინააღმდეგ (Kakoulli v. Turkey)*, 22 ნოემბერი, 2005 წელი, 108-ე პუნქტი.

182 *ოგური თურქეთის წინააღმდეგ (Ogur v. Turkey),* დიდი პალატა, 20 მაისი, 1999 წელი, 79-ე პუნქტი.

183 ასევე იხ. *გერდნერი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (Guerdner and Others v. France)*, 17 აპრილი, 2014 წელი, 71-ე-72-ე პუნქტები.

რის მიერ ჩრდილოეთ და სამხრეთ კვიპროსს შორის არსებულ ბუფერულ ზონაში.[184] მოსარჩელეთა ოჯახის წევრი აგროვებდა ლოკოკინებს და შემთხვევით გადაკვეთა ჩრდილოეთ კვიპროსის საზღვარი. თურქმა მესაზღვრემ უბრძანა მას შეჩერება. იგი დაემორჩილა ბრძანებას და ამის ნიშნად ასწია ხელები. ამის შემდეგ თურქმა მესაზღვრემ ორჯერ გაისროლა, რის შედეგადაც მოსარჩელეთა ოჯახის წევრი დავარდა მიწაზე. რამდენიმე წუთში, როდესაც მსხვერპლი უკვე მიწაზე იყო, მესაზღვრემ რამდენიმე მეტრის დისტანციიდან მესამედ გაისროლა.[185]

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, საზღვრის უკანონო გადაკვეთა სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული საკითხია, ეს არ აძლევს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს იარაღის გამოყენების სრულ თავისუფლებას. პირიქით, სახელმწიფო განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ამ საკითხებს, რომ სიცოცხლის მოსპობისა და სხეულებრივი ზიანის მიყენების საფრთხე მინიმუმამდე დაიყვანოს.[186] სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ იმ სამართალდამცველთა ეფექტიანი მომზადება, რომლებიც საქმიანობენ სასაზღვრო ზონებში და მათ უნდა მიეცეთ მკაფიო და ზუსტი ინსტრუქცია იმ გარემოებებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შეიძლება გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი, ადამიანის უფლებათა და პოლიციის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.[187]

აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს პოზიციით, თურქეთის მთავრობის არგუმენტი, რომლითაც ის ამართლებს სასიკვდილო ძალის გამოყენებას საზღვრის დამრღვევი სამოქალაქო პირების მიმართ, არ არის მისაღები. არ არსებობდა საფუძველი, მესაზღვრეებს გონივრულად ჩაეთვალათ, რომ იყო ძალის გამოყენების რაიმე აუცილებლობა მსხვერპლის შეჩერებისა და განეიტრალების მიზნით. სასამართლოს პოზიციით, რომც იყოს დაშვებული, რომ მსხვერპლი დაუყოვნებლივ არ შეჩერდა ჯარისკაცების ზეპირი გაფრთხილების შედეგად (როგორც ამას ამტკიცებდა თურქეთის მთავრობა), არ არსებობდა სასიკვდილო ძალის გამოყენების საფუძველი. მეტისმეტი აღელვება თავისთავად არ ანიჭებს ჯარისკაცს უფლებას, გაუხსნას ცეცხლი პირებს, რომლებსაც იგი საეჭვოდ მიიჩნევს. ამ საქმეში ჯარისკაცმა გამოიყენა სასიკვდილო ძალა მაშინ, როდესაც არ არსებობდა რაიმე საფრთხე საკუთარი ან სხვების სიცოცხლისათვის. სასამართლოს აზრით, განსაკუთრებით შოკისმომგვრელია ის, რომ ბოლო გასროლა მოხდა რამდენიმე წუთში პირველი ორი გასროლიდან, როდესაც მსხვერპლი უკვე დაჭრილი და განეიტრალებული იყო და შეიძლებოდა მისი დაკავება.[188] აქედან გამომდინარე, მოსარჩელეთა ნათესავის მიმართ ძალის გამოყენება არ იყო აბსოლუტურად აუცილებელი. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.[189]

საქმე *ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (Nachova and Others v. Bulgaria)* ეხებოდა სამხედრო ნაწილის უნებართვოდ დატოვების გამო დაკავების მცდელობისას

---

184 22 ნოემბერი, 2005 წელი.

185 მე-14 პუნქტი.

186 114-ე პუნქტი.

187 იქვე.

188 120-ე პუნქტი.

189 121-ე პუნქტი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ვალდებულების დარღვევისათვის. იხ. 128-ე პუნქტი; ასევე იხ. *ბისარ აიჰანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Bisar Ayhan and Others v. Turkey),* 75-ე პუნქტი.

ორი დეზერტირის სიცოცხლის მოსპობას.[190] ეს დეზერტირები, რომლებიც არ იყვნენ შეიარაღებულები ან ეჭვმიტანილები ძალადობრივი დანაშაულის ჩადენაში, სამხედრო პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა მაშინ, როდესაც ისინი ცდილობდნენ ღობეზე გადაძრომას და მიმალვას.[191]

ევროპულმა სასამართლომ „აბსოლუტურ აუცილებლობაზე" მსჯელობისას მიუთითა, რომ „არ იარსებებს ასეთი აუცილებლობა, თუ ცნობილია, რომ დასაკავებელი პირი არ ქმნის საფრთხეს სიცოცხლისათვის ... და იგი არ არის ეჭვმიტანილი ძალადობრივი დანაშაულის ჩადენაში, მაშინაც კი, როდესაც სასიკვდილო ძალის გამოუყენებლობას შეიძლება შედეგად მოჰყვეს დეზერტირის დაკავების შესაძლებლობის დაკარგვა."[192] შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა მკაფიო პოზიცია, რომ სიცოცხლისათვის საშიში ძალის გამოყენება ვერ ჩაითვლება აბსოლუტურ აუცილებლობად, თუ ამ პირის მიმალვა არ ქმნის საფრთხეს სხვა ადამიანის სიცოცხლისათვის და მას არ აქვს ჩადენილი ძალადობრივი დანაშაული, თუნდაც ისეთ შემთხვევაში, როდესაც სასიკვდილო ძალის გამოუყენებლობის შედეგი იყოს ამ პირის დაკავების შესაძლებლობის ხელიდან გაშვება.[193]

ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა კანონიერი დაკავების ოპერაციის დაგეგმვის მნიშვნელობაზე იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული სასიკვდილო ძალის გამოყენება. ევროპული სასამართლოს დიდი პალატა დაეთანხმა პალატის პოზიციას, რომელმაც განაცხადა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა ვალდებულება, მინიმუმამდე შეემცირებინა სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა, რადგან პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ ბ-ნი ანგელოვისა და ბ-ნი პეტკოვის დაკავებაზე, ჰქონდათ ინსტრუქცია, გამოეყენებინათ მათი დაკავების ყველა შესაძლო საშუალება, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ დეზერტირები არ იყვნენ შეიარაღებულები და არ ქმნიდნენ საფრთხეს სხვათა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. როგორც ევროპული სასამართლოს პალატამ აღნიშნა:

„დაკავების ოპერაციის დაგეგმვის გადამწყვეტი ელემენტი ... უნდა იყოს არსებული გარემოებების შესახებ ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაციის, მათ შორის, როგორც აბსოლუტური მინიმუმი, დასაკავებელი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ბუნებისა და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ამ პირისაგან მომდინარე საფრთხის ხარისხის ანალიზი. საკითხი, უნდა იყოს თუ არა გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღი და რა გარემოებებში, თუ დასაკავებელი პირი ცდილობს მიმალვას, უნდა გადაწყდეს მკაფიო სამართლებრივი წესებისა და შესაფერისი სწავლების საფუძველზე და ამ ინფორმაციის გათვალისწინებით."[194]

მსგავსი პოზიცია გამოხატა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ლეონიდისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Leonidis v. Greece)*, – კერძოდ, „კანონიერი დაკავების ლეგიტიმურმა მიზანმა შეიძლება გაამართლოს ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის

---

190 დიდი პალატა, 6 ივლისი, 2005 წელი.

191 J. Murdoch and R. Roche, The European Convention on Human Rights and Policing: A Handbook for Police Officers and Other Law Enforcement Officials, 2013, 27-28.

192 დიდი პალატა, 6 ივლისი, 2005 წელი, 95-ე და 107-ე პუნქტები.

193 *კაკული თურქეთის წინააღმდეგ (Kakoulli v. Turkey),* 22 ნოემბერი, 2005 წელი, 108-ე პუნქტი; ასევე იხ. *სტრელენცი, კესლერი და კრენცი გერმანიის წინააღმდეგ (Streletz, Kessler and Krenz v. Germany),* დიდი პალატა, 22 მარტი, 2001 წელი, 87-ე, 96-ე და 97-ე პუნქტები; ასევე იხ. E. Wicks, The Right to Life and Conflicting Interests, 2010, 64.

194 103-ე პუნქტი.

შექმნა მხოლოდ აბსოლუტური აუცილებლობის შემთხვევაში.[195] სასამართლო თვლის, რომ, ძირითადად, ასეთი აუცილებლობა არ იარსებებს, როდესაც ცნობილია, რომ დასაკავებელი პირი არ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და რომ იგი არ არის ეჭვმიტანილი ძალადობრივი დანაშაულის ჩადენაში, მაშინაც კი, როდესაც სასიკვდილო ძალის გამოყენებისაგან თავის შეკავებამ შეიძლება გამოიწვიოს ასეთი პირის დაკავების შესაძლებლობის ხელიდან გაშვება."[196]

საქმე *ალიკაი და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Alikaj and Others v. Italy)* ეხებოდა გადამეტებული ძალის გამოყენებას პოლიციის მიერ.[197] კერძოდ, მოსარჩელეების ოჯახის ერთ-ერთი წევრი გარდაიცვალა პოლიციის მიერ გასროლილი ტყვიით. საქმის გარემოებები შემდეგი იყო: ახალგაზრდა მამაკაცი და მისი ოჯახის სამი წევრი ავტომანქანით გადაადგილდებოდნენ, როდესაც პოლიციამ უბრძანა გაჩერება, რადგან სიჩქარე, რომლითაც ისინი გადაადგილდებოდნენ, მას საეჭვოდ მოეჩვენა. მათ გააჩერეს ავტომობილი და გაიქცნენ. პოლიციელებმა მოახდინეს ორი გამაფრთხილებელი გასროლა, ხოლო ერთ-ერთი პოლიციელი დაედევნა ახალგაზრდა მამაკაცს, რომელსაც პოლიციის ოფიცრის გასროლილი ტყვია გულში მოხვდა და იგი ადგილზე გარდაიცვალა.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, მოპასუხე სახელმწიფო არ ამტკიცებდა, რომ პოლიციამ ავტომობილი გააჩერა იმის გამო, რომ მასში მყოფ პირებს ჩადენილი ჰქონდათ ძალადობრივი დანაშაული, ან, რომ ისინი იყვნენ საშიში და მათი დაუკავებლობა გამოიწვევდა გამოუსწორებელ შედეგებს. ისინი არ იყვნენ შეიარაღებულნი და მათი ქცევა არ მიუთითებდა იმაზე, რომ ისინი ქმნიდნენ საფრთხეს. ასეთ გარემოებებში, მათი დადევნებით ღამის განმავლობაში, იარაღით ხელში, წვიმის გამო მოლიპულ საფარზე, პოლიციის ოფიცერმა საფრთხეში ჩააგდო მათი სიცოცხლე. პოტენციურად სასიკვდილო ძალის გამოყენება არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც „აბსოლუტური აუცილებლობა" მაშინ, როდესაც სამიზნე პირი არ წარმოადგენს საფრთხეს სხვებისათვის და ის არ არის ეჭვმიტანილი ძალადობრივი დანაშაულის ჩადენაში. ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იტალიის პოლიციისათვის არ არსებობდა იარაღის გამოყენების მარეგულირებელი წესი. საბოლოოდ, დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.[198]

საქმე *გეორგ სობზარუ რუმინეთის წინააღმდეგ (Gheorghe Cobzaru v. Romania)* ეხებოდა მოსარჩელის შვილის მიერ ავტომობილის გატაცებას და მასზე პოლიციის დადევნებას, რასაც მოჰყვა პოლიციის ოფიცრის მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა. გასროლილი ტყვია მოსარჩელის შვილს კისერში მოხვდა და იგი გარდაიცვალა მიღებული ჭრილობისაგან.[199] მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ პოლიციის ოფიცერმა გამოიყენა ძალა, რომელიც არ იყო აბსოლუტურად აუცილებელი.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოში მოქმედმა სამართლებრივმა და ადმინისტრაციულმა ჩარჩომ უნდა განსაზღვროს პოლიციის ოფიცრის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შეზღუ-

---

195 8 იანვარი, 2009 წელი.

196 55-ე პუნქტი.

197 29 მარტი, 2011 წელი.

198 77-ე პუნქტი. ამ საქმეზე ასევე დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში. იხ. 112-ე პუნქტი; ასევე იხ. *ვასილ საშოვი პეტროვი ბულგარეთის წინააღმდეგ (Vasil Sashov Petrov v. Bulgaria),* 10 ივნისი, 2010 წელი; *გუერდნერი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (Guerdner and Others v. France),* 17 აპრილი, 2014 წელი.

199 25 ივნისი, 2013 წელი.

დული გარემოებები.[200] სასამართლომ დაასკვნა, რომ მკაფიო წესების არარსებობამ შეიძლება ახსნას პოლიციის ოფიცრის მოქმედება, რომელმაც მოსარჩელის შვილის მიმართულებით მოახდინა გასროლა, რაც მიზნად ისახავდა მის დაკავებას, მაშინ, როდესაც ის შეუიარაღებელი იყო. შესაბამისად, პოლიციის ოფიცერი მოქმედებდა სრულიად ავტონომიურად და წინდაუხედავად, რაც არ მოხდებოდა, თუ მას ექნებოდა სათანადო ინსტრუქცია.[201] შესაბამისად, კონვენციის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტიდან გამომდინარე, რუმინეთმა ვერ შეასრულა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველეყო შესაფერისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩოს არსებობა, კერძოდ, მან არ გააკეთა ყველაფერი, რაც შეეძლო მოქალაქეების სათანადო დაცვის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით ისეთ სიტუაციაში, რომელიც უკავშირდება სასიკვდილო ძალის გამოყენებას.[202]

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ გამოყენებული ძალა არ იყო აბსოლუტურად აუცილებელი, რის გამოც დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.[203]

საქმე *კიტანოვსკი ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ (Kitanovski v. the Former Yugoslav Republic of Macedonia)* ეხებოდა პოლიციის მიერ ცეცხლის გახსნას მოსარჩელის მიმართულებით, რომელიც არ დაემორჩილა პოლიციის თანამშრომლის ბრძანებას, გაეჩერებინა ავტომობილი და შეეცადა მიმალვას.[204]

როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, სახელმწიფო იშველიებდა ორ საფუძველს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების გასამართლებლად: აუცილებელ მოგერიებას და უკიდურეს აუცილებლობას. უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ არაფერი ადასტურებდა, რომ პირველი პოლიციელი მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, ამიტომ სასამართლო თავის დასკვნას ვერ დააფუძნებდა იმ მტკიცებაზე, რომ პოლიციის მოქმედება განპირობებული იყო მესამე მხარის სიცოცხლის დაცვის აუცილებლობით; რაც შეეხება მეორე პოლიციელის მიერ გასროლილ ტყვიას, რომელიც მოხვდა მოსარჩელის ავტომობილს, სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი გასროლა ავტომობილის მიმართულებით მოხდა მას შემდეგ, როცა ავტომობილი გასცდა გზაზე სპეციალურად დამონტაჟებულ დაბრკოლებას, რაც დაადასტურა ბალისტიკურმა ექსპერტიზამ და, შესაბამისად, ვერ შექმნიდა საფრთხეს პოლიციელთა თუ სხვა პირთა სიცოცხლისათვის.[205]

რაც შეეხება საკითხს, მოცემულ შემთხვევაში იყო თუ არა პოტენციურად სასიკვდილო ძალის გამოყენების აბსოლუტური აუცილებლობა, სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: თუ დასაკავებელი პირი არ ქმნის საფრთხეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის და არ არის ეჭვმიტანილი ძალადობრივ დანაშაულში, არ არსებობს სასიკვდილო ძალის გამოყენების აუცილებლობა მაშინაც კი, როდესაც სასიკვდილო ძალის გამოუყენებლობას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ამ პირის დაკავების შესაძლებლობის ხელიდან გაშვება.[206] სასამართლოს დასკვნით, არაფერი ადასტურებდა, რომ მოსარჩელემ საფრთხეში ჩააგდო პოლიციელების ან სხვა პირთა სიცოცხლე.

---

200 47-ე პუნქტი.

201 52-ე პუნქტი.

202 53-ე პუნქტები.

203 66-ე პუნქტი. ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე ასევე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში. იხ. 76-ე პუნქტი.

204 22 იანვარი, 2015 წელი.

205 69-ე პუნქტი.

206 70-ე პუნქტი.

სასამართლომ ასევე დაასკვნა, რომ პოლიციას არ ჰქონდა არანაირი ინფორმაცია, რომელიც დააკავშირებდა მოსარჩელეს ან მის ავტომობილს რაიმე დანაშაულებრივ საქმიანობასთან. არც საკონტროლო ცენტრს, რომელიც მართავდა ამ ოპერაციას, გაუფრთხილებია პოლიციელები, რომ მოსარჩელე შეიძლება ყოფილიყო შეიარაღებული ან საშიში. შესაბამისად, არ არსებობდა საკმარისი საფუძველი, რომელიც გაამართლებდა პოლიციელთა რწმენას, რომ მოსარჩელე იყო საშიში დამნაშავე. სასამართლოს აზრით, პოლიციას, იმ ავტომობილის სარეგისტრაციო ნომრით, რომელიც არ იყო გამოცხადებული ძებნაში, შეეძლო დაედგინა ავტომობილის მფლობელის ვინაობა და მისი მისამართი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს აზრით, ეს გარემოებები საკმარისია დასკვნის გასაკეთებლად, რომ მოსარჩელის წინააღმდეგ პოტენციურად სასიკვდილო ძალის გამოყენება არ იყო აბსოლუტურად აუცილებელი.[207] ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ პოლიციის მიერ არცერთ გასროლას მოსარჩელის მიმართულებით არ უძღოდა წინ გამაფრთხილებელი გასროლა, როგორც ამას მოითხოვს სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. არც მოპასუხე სახელმწიფოს წარმოუდგენია რაიმე არგუმენტი, რომ მოცემულ გარემოებებში გამაფრთხილებელი გასროლა იყო შეუძლებელი ან სხვაგვარად უადგილო.[208]

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ამ საქმეზე პოტენციურად სასიკვდილო ძალის გამოყენება არ იყო აბსოლუტური აუცილებლობა და, შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი არსებით ნაწილში.[209]

საქმე *პუტინცევა რუსეთის წინააღმდეგ (Putintseva v. Russia)* ასევე ეხებოდა სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლის მოსპობას სავალდებულო სამხედრო სამსახურის უკანონოდ დატოვების მცდელობის დროს.[210] მიუხედავად იმისა, უმცროსმა სერჟანტმა, რომელიც თან ახლდა სამხედრო მოსამსახურეს (პუტინცევს), იცოდა, რომ იგი იყო შეუიარაღებელი და არ უქმნიდა საფრთხეს არც მას და არც მესამე მხარეს, მან მაინც გაისროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან პუტინცევის მიმართულებით სავალდებულო სამხედრო სამსახურის უკანონოდ დატოვების მცდელობის დროს, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. სერჟანტის მოქმედებას საფუძვლად ედო კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებდა ლეტალური იარაღის გამოყენებას სამხედრო პირის მიმალვის თავიდან ასაცილებლად. გარდა გამაფრთხილებელი გასროლისა, კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სიცოცხლის უკანონო მოსპობის თავიდან აცილების გარანტიებს. ის არ ადგენდა, რომ იარაღის გამოყენება უნდა ყოფილიყო დამოკიდებული გარემოებების და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩადენილი დანაშაულისა და ამ პირისაგან მომდინარე საფრთხის შეფასებაზე. ამ კანონმდებლობის საფუძველზე, კანონიერი იყო ცეცხლის გახსნა ნებისმიერი პირისათვის, ვინც შეეცდებოდა მიმალვას და დაუყოვნებლივ არ დაემორჩილებოდა ზეპირ გაფრთხილებას ან ჰაერში გამაფრთხილებელ გასროლას.[211]

ევროპული სასამართლოს პოზიციით, არსებობდა პუტინცევის მიმალვის თავიდან აცილების სხვა საშუალებები, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დაცული ჭიშკრიდან გაღწევის შემთხვევაშიც კი, მას მოუწევდა სირბილი, მაშინ, როდესაც სამხედრო ნაწილს ჰყავდა მანქანები. არაფერი მიუთითებდა, რომ უმცროს სერჟანტს

---

207 71-ე პუნქტი.
208 72-ე პუნქტი.
209 73-ე პუნქტი.
210 10 მაისი, 2012 წელი.
211 64-ე პუნქტი.

ჰქონდა მიღებული ინსტრუქცია მიმალვის მცდელობის დროს აუცილებელი ძალის გამოყენების შესახებ, ან მიღებული ჰქონდა რაიმე ინფორმაცია, როგორ მოეხდინა სიცოცხლის მოსპობის საფრთხის მინიმუმამდე შემცირება. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სიცოცხლის უფლების დაცვა.

საქმე *ვასილევსკა და კალუცკა პოლონეთის წინააღმდეგ (Wasilewska and Kalucka v. Poland)* ეხებოდა 26 წლის მამაკაცის (ბ-ნი კალუცკი) სიცოცხლის მოსპობას პოლიციის მიერ ანტიტერორისტული სპეცოპერაციის შედეგად. ბ-ნი კალუცკი და ორი სხვა პირი ისხდნენ ავტოსადგომზე გაჩერებულ ავტომანქანაში, როდესაც პოლიციამ ალყაში მოაქცია ისინი. ბ-ნი კალუცკი და თანმხლები პირები შეეცადნენ ავტომანქანით მიმალვას. პოლიციამ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან მათ ცეცხლი გაუხსნა. მიუხედავად პოლიციის მტკიცებისა, რომ უმიზნებდნენ საბურავებს, არცერთი საბურავი არ დაზიანდა, ხოლო ავტომანქანამ დაკარგა კონტროლი და დაეჯახა ღობეს. პოლიციის მიერ ცეცხლის გახსნის შედეგად ბ-ნი კალუცკი მძიმედ დაიჭრა ხუთი ტყვიით და ცოტა ხანში გარდაიცვალა დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვის გამო.

სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციელები მოქმედებდნენ ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების დასაკავებლად. მართალია, ბ-ნი კალუცკის ავტომანქანაში აღმოაჩინეს ცეცხლსასროლი იარაღი, მაგრამ არ არსებობს მტკიცებულება, რომ მას ან სხვა ეჭვმიტანილებს ჰქონდათ იარაღის გამოყენების განზრახვა. პოლიციის ოფიცრებმა, სავარაუდოდ, გახსნეს ცეცხლი ეჭვმიტანილების მიმალვის აღსაკვეთად, რომლებმაც, ხელისუფლების პოზიციით, საფრთხე შეუქმნეს პოლიციის ოფიცრების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ამ გარემოებებში შეიძლება იმის მტკიცება, რომ ასეთი საფრთხე არსებობდა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს აბსოლუტურ აუცილებლობად, ვიდრე ეჭვმიტანილების ავტომანქანა გასცდებოდა პოლიციის ოფიცრებს. მიუხედავად ამისა, გასროლების უმრავლესობა მოხდა მაშინ, როდესაც ავტომანქანა გასცდა პოლიციის ოფიცრებს. ამ მომენტში არ არსებობდა პირდაპირი საფრთხე პოლიციის ოფიცრებისათვის და პოლიციის ოფიცრების ერთადერთი განზრახვა იყო ეჭვმიტანილების მიმალვის თავიდან აცილება.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ პოლიციის მოქმედების მეთოდი და გამოყენებული ძალა არ იყო მკაცრად თანაზომიერი ბ-ნი კალუცკის მიმალვის და მისი დაკავების პრევენციის ან მისგან მომდინარე საფრთხის თავიდან აცილების მიზნისათვის.[212] მეტიც, ოპერაცია არ დაიგეგმა ისე, რომ მინიმუმამდე დაეყვანათ სასიკვდილო ძალის გამოყენება.[213] შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი, ბ-ნი კალუცკის გარდაცვალების გამო.[214]

რაც შეეხება ფიზიკური ძალის გამოყენებას პირის კანონიერად დასაკავებლად ან კანონიერად დაპატიმრებული პირის მიმალვის აღსაკვეთად, საინტერესოა საქმე *ნიკოლოვა და ველიჩკოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Nikolova and Velichkova v. Bulgaria).*[215] საქმის გარემოებები შემდეგი იყო: პოლიციამ შორი მანძილიდან შენიშნა, რომ ბ-ნი ნიკოლოვი ცდიდა თვითნაკეთ მეტალის დეტექტორს. ამის შესამოწმებლად პოლიციამ ბ-ნ ნიკოლოვთან გაგზავნა ორი პოლიციელი. ბ-ნი ნიკოლოვი გაკვირვებული იყო პოლიციელების მოულოდნელი სტუმრობით და თავდაცვის მიზნით მოიმარჯვა თოხი. ერთ-ერთმა პოლიციელმა გამოსტაცა თოხი ბ-ნ ნიკოლოვს და მოისროლა

212 57-ე პუნქტი.

213 იქვე.

214 58-ე პუნქტი.

215 20 დეკემბერი, 2007 წელი.

უსაფრთხო ადგილას. ამის შემდეგ პოლიციელებმა თავში ჩაარტყეს ბ-ნ ნიკოლოვს, დაადეს ხელბორკილები და წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. დაკითხვის მოლოდინში ბ-მა ნიკოლოვმა დაკარგა გონება, რის გამოც იგი გადაიყვანეს საავადმყოფოში. წარუმატებელი სამედიცინო ოპერაციის შემდეგ, რომლის მიზანი იყო თავის არიდან თრომბის მოშორება, ბ-ნი ნიკოლოვი გარდაიცვალა. სამედიცინო დასკვნაში სიკვდილის მიზეზად მითითებული იყო თავის არეში მიყენებული ტრავმა და სისხლჩაქცევა ტვინში.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფო პასუხისმგებელი იყო ბ-ნი ნიკოლოვის გარდაცვალებაზე, რადგან მისი დაკავების დროს გამოყენებული ძალა არ იყო „აბსოლუტურად აუცილებელი“ და, შესაბამისად, იყო გაუმართლებელი. ამის გამო დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.[216]

სახელმწიფოს მიერ დაუგეგმავ (სპონტანურ) სპეციალურ ოპერაციაზე ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა საქმეზე – *მაკარაძისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Makaratzis v. Greece),* რომელიც ეხებოდა პოლიციის თანამშრომლების მიერ ავტომანქანის დადევნებას, რომლის მძღოლი არ დაემორჩილა პოლიციის ბრძანებას და არ გააჩერა შუქნიშანზე. ამის გამო პოლიციელებმა არაერთხელ გაისროლეს ცეცხლსასროლი იარაღიდან მანქანის მიმართულებით.[217] ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „პოლიციის თანამშრომლების მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენება შეიძლება გამართლდეს გარკვეულ გარემოებებში. მიუხედავად ამისა, მე-2 მუხლი არ ადგენს ***carte blanche***-ს. სახელმწიფოს წარმომადგენლების მოუწესრიგებელი და უკანონო მოქმედება შეუთავსებელია ადამიანის უფლებათა ეფექტიან დაცვასთან. ეს ნიშნავს, რომ საპოლიციო ოპერაციები უნდა იყოს საკმარისად მოწესრიგებული, უკანონობისა და ძალის ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის შესაფერისი და ეფექტიანი სისტემის ფარგლებში.“[218]

სახელმწიფოს ასევე ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს იმ პირების სათანადო მომზადება, რომლებიც ატარებენ სპეციალურ ოპერაციებს. როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა უნდა გაიაროონ სათანადო მომზადება იმის შესაფასებლად, არის თუ არა იარაღის გამოყენება აბსოლუტური აუცილებლობა არა მხოლოდ შესაბამისი რეგულაციის შინაარსიდან გამომდინარე, არამედ ადამიანის სიცოცხლის, როგორც ფუნდამენტური ღირებულების, დაცვის უპირატესობის გათვალისწინებით.[219]

გარდა სათანადო მომზადებისა, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს, რომლებიც ატარებენ სპეციალურ ოპერაციას, უნდა ჰქონდეთ მკაფიო და ზუსტი

---

216 68-ე-69-ე პუნქტები. ამ საქმეზე კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა დადგინდა ასევე საპროცესო ნაწილში.

217 20 დეკემბერი, 2004 წელი.

218 58-ე პუნქტი; ასევე *ვასილევსკა და კალუცკა პოლონეთის წინააღმდეგ (Wasilewska and Kalucka v. Poland)*, 23 თებერვალი, 2010 წელი, 45-ე პუნქტი; ასევე J. Murdoch and R. Roche, The European Convention on Human Rights and Policing: A Handbook for Police Officers and Other Law Enforcement Officials, 2013, 29.

219 *ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ* (*Nachova and Others v. Bulgaria)*, დიდი პალატა, 6 ივლისი, 2005 წელი, 97-ე პუნქტი; *კაკული თურქეთის წინააღმდეგ (Kakoulli v. Turkey)*, 22 ნოემბერი, 2005 წელი, 110-ე პუნქტი; *ჯულიანი და გაჯიო იტალიის წინააღმდეგ (Giuliani and Gaggio v. Italy),* დიდი პალატა, 24 მარტი, 2011 წელი, 250-ე პუნქტი; ასევე იხ. Guide on Article 2 of the European Convention on Human Rights: Right to Life, European Court of Human Rights, updated: 30 April, 2021, para. 90, See: [https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_2_ENG.pdf].

ბრძანება, როგორ და რა გარემოებებში გამოიყენონ იარაღი.[220] სასამართლომ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა, რომ ცეცხლის გახსნას, სადაც ეს შესაძლებელია, წინ უნდა უძღოდეს გაფრთხილება სროლის შესახებ.[221] როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა საქმეზე – *ანდრეუ თურქეთის წინააღმდეგ (Andreu v. Turkey)* – „მოპასუხე სახელმწიფომ ვერ შეძლო, მიეთითებინა, ჰქონდათ თუ არა უშიშროების ძალების წარმომადგენლებს მკაფიო ბრძანება და გაიარეს თუ არა მათ შესაბამისი მომზადება, რომ თავიდან აეცილებინათ პოტენციურად სასიკვდილო ძალის უკანონო გამოყენება.“[222]

ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ ყურადღება გაამახვილა ასევე სათანადო ტექნიკური საშუალებების არსებობაზე. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, რომლებიც ატარებენ სპეციალურ ოპერაციას, უნდა იყვნენ სათანადოდ აღჭურვილნი და მათ უნდა ჰქონდეთ ისეთი ტექნიკური საშუალებები, რომლებიც ნაკლებად ლეტალური იქნება (მაგალითად: რეზინის ტყვიები, წყლის ჭავლი და ა.შ.).[223]

3.2.3. სიცოცხლის მოსპობა აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად კანონიერ ღონისძიებათა გატარებისას

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასიკვდილო ძალის გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად, თუ ის მოხდა აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად კანონიერ ღონისძიებათა გატარებისას.

ტერმინებს: „ამბოხება“ და „აჯანყება“, რომლებიც გამოიყენება კონვენციის მე-2 მუხლში, აქვს ავტონომიური კონვენციისეული მნიშვნელობა.[224] მართალია, ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიას არ განუმარტავს ტერმინი „ამბოხება“, მაგრამ მან აღნიშნა, რომ თავშეყრა 150 ადამიანისა, რომლებიც ცეცხლსასროლი იარაღით ისროდნენ პოლიციის თანამშრომლების მიმართულებით და ამ უკანასკნელთათვის სერიოზული ზიანის მიყენების საფრთხეს ქმნიდნენ, ნებისმიერი სტანდარტით უნდა ჩაითვალოს ამბოხებად.[225]

როგორც ეს არის კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ორ სხვა შემთხვევაში, აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად კანონიერი ღონისძიებების გატარებისას სახელმწიფომ ასევე უნდა დააკმაყოფილოს „აბსოლუტური აუცილებლობის“ მოთხოვნა. საქმეზე – *სიმსეკი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Simsek and Others v. Turkey)*, რომელიც ეხებოდა სტამბოლში დემონსტრაციის დროს პოლიციის მიერ ძალის გამოყენების შედეგად არაერთი დემონსტრანტის სიცოცხლის მოსპობას, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დემონსტრანტების დასაშლელად პოლიციამ

---

220 *სიმსეკი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Şimşek and Others v. Turkey)*, 26 ივლისი, 2005 წელი, 109-ე პუნქტი.

221 *ჯულიანი და გაჯიო იტალიის წინააღმდეგ (Giuliani and Gaggio v. Italy),* დიდი პალატა, 24 მარტი, 2011 წელი, 177-ე პუნქტი; ასევე იხ. Guide on Article 2 of the European Convention on Human Rights: Right to Life, European Court of Human Rights, updated: 30 April, 2021, para. 91, See: [https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_2_ENG.pdf].

222 27 ოქტომბერი, 2009 წელი, 56-ე პუნქტი; ასევე *ისააკი თურქეთის წინააღმდეგ (Isaak v. Turkey)*, 24 ივნისი, 2008 წელი, 95-ე პუნქტი.

223 *კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Kukhalashvili and Others v. Georgia),* 20 აპრილი, 2020 წელი, 154-ე პუნქტი.

224 *სტიუარდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Steward v. the United Kingdom),* კომისიის გადაწყვეტილება დასაშვებობის შესახებ, 10 ივლისი, 1984 წელი, 24-ე პუნქტი.

225 იქვე, 25-ე პუნქტი.

პირდაპირ გაუხსნა მათ ცეცხლი, ნაცვლად იმისა, რომ, უპირველეს ყოვლისა, გამოეყენებინა სიცოცხლისათვის ნაკლებად საფრთხის შემცველი საშუალებები, როგორებიცაა: ცრემლსადენი გაზი, წყლის ჭავლი ან რეზინის ტყვიები.[226] სპეციალური ოპერაციის დროს შესაფერისი ტექნიკური აღჭურვილობის (ცრემლსადენი გაზი, რეზინის ტყვიები, წყლის ჭავლი) არარსებობა შეკრებილი პირების გასაფანტავად ევროპულმა სასამართლომ „მიუღებლად“ ჩათვალა.[227]

ამ საქმეზე მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტზე, რომ სპეცოპერაციაში ჩართული პოლიციელები, რომლებმაც გამოიყენეს სასიკვდილო ძალა, იყვნენ დიდი სტრესისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ, სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიცია ასრულებს მნიშვნელოვან როლს სიცოცხლის უფლების დაცვაში და მას უნდა შეეძლოს ყველა პარამეტრის შეფასება და ოპერაციის კარგად დაგეგმვა. ამისათვის, სასამართლოს პოზიციით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პოლიციელთა შესაფერისი მომზადება; ასევე, პოლიციამ უნდა მიიღოს მკაფიო და ზუსტი ინსტრუქცია იმ გარემოებების შესახებ, რომლებშიც მათ უნდა გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი.[228] ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ პოლიციელები, რომლებიც ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს, სარგებლობდნენ მოქმედების დიდი თავისუფლებით და, პანიკისა და სტრესის პირობებში მათ გაატარეს ღონისძიებები, რომლებსაც, სავარაუდოდ, არ გაატარებდნენ, თუ გავლილი ექნებოდათ შესაფერისი მომზადება და მიეცემოდათ სათანადო ინსტრუქცია. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მკაფიო და ცენტრალიზებული მართვის არარსებობა იყო მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელმაც გაზარდა იმის საფრთხე, რომ პოლიციელებმა გაუხსნეს ცეცხლი ადამიანთა ჯგუფს.[229] საბოლოოდ, სასამართლომ ჩათვალა, რომ დემონსტრანტების დასაშლელად გამოყენებული ძალა, რომელმაც გამოიწვია არაერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, არ იყო აბსოლუტურად აუცილებელი შექმნილ გარემოებებში.[230]

საქმე *გულეკი თურქეთის წინააღმდეგ (Güleç v. Turkey)* ეხებოდა თურქეთში, დემონსტრაციის დროს სახელმწიფოს წარმომადგენლებსა და დემონსტრანტებს შორის წარმოქმნილ დაპირისპირებას, რომლის შედეგად სახელმწიფომ გამოიყენა ძალა დემონსტრანტების წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა მოსარჩელის 15 წლის შვილის გარდაცვალება.[231]

ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მკაცრი თანაზომიერების პრინციპზე, რომელიც გამოიყენება როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლების მოქმედების მიმართ, რომლებიც იყენებენ ძალას აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად, ისე ოპერაციის დაგეგმვისა და მისი განხორციელების ზედამხედველობის მიმართ.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, პოლიციამ გამოიყენა მეტისმეტად მძიმე იარაღი, კერძოდ, ჯავშნიან მანქანებზე დამონტაჟებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, რადგან პოლიციას, სავარაუდოდ, არ ჰქონდა დემონსტრაციის მართვის ისეთი საშუალებები, როგორებიცაა: ხელკეტი, წყალსატყორცნი, რე-

---

226 26 ივლისი, 2005 წელი, 108-ე პუნქტი.

227 111-ე პუნქტი.

228 109-ე პუნქტი.

229 110-ე პუნქტი; ასევე იხ. J. Gerards, Right to Life, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, P. van Dijk, F. van Hoof, A. van Rijn and L. Zwaak (eds.), 5th ed. 2018, 367.

230 112-ე პუნქტი.

231 27 ივლისი, 1998 წელი.

ზინის ტყვიები ან ცრემლსადენი გაზი. სასამართლოს აზრით, მათი არარსებობა წარმოუდგენელი და მიუღებელია, ვინაიდან ეს პროვინცია იმ რეგიონის ნაწილია, რომელშიც გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა და სადაც მოსალოდნელი იყო არეულობა.[232] სასამართლოს პოზიციით, არ მომხდარა გამაფრთხილებელი გასროლა ჰაერში, არამედ გასროლა მოხდა მიწის მიმართულებით, რაც ზრდიდა სასიკვდილო რიკოშეტის პოტენციურ საფრთხეს. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ არ არსებობდა მტკიცებულება, რომ პოლიციის თანამშრომლები თავად იყვნენ საფრთხეში.

სასამართლოს დასკვნით, ოპერაცია არ იყო ისე დაგეგმილი, რომ მინიმუმამდე შეემცირებინა საფრთხე სიცოცხლისათვის და ხაზი გაუსვა, რომ უშიშროების ძალებმა გამოიყენეს ნამდვილი ტყვიები, რადგან ისინი არ იყვნენ უზრუნველყოფილნი სხვა საშუალებებით, როგორებიცაა: ხელკეტები, წყლის ჭავლი, რეზინის ტყვიები ან ცრემლსადენი გაზი, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ამ ტერიტორიაზე იყო გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა და არეულობა იყო მოსალოდნელი.[233] კითხვაზე – იყვნენ თუ არა ტერორისტები დემონსტრანტებს შორის, თურქეთის მთავრობამ ვერ შეძლო ამის დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა.[234]

ევროპული სასამართლოს პოზიციით, ძალის გამოყენება შეიძლება გამართლდეს კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, თუმცა დაცული უნდა იყოს ბალანსი დასახულ მიზანსა და გამოყენებულ საშუალებას შორის. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელისუფლების მიერ დემონსტრანტების მიმართ გამოყენებული ძალა, რომელმაც გამოიწვია მოსარჩელის შვილის გარდაცვალება, არ იყო აბსოლუტურად აუცილებელი კონვენციის მე-2 მუხლის გაგებით, რადგან სახელმწიფოს უნდა გამოეყენებინა ნაკლებად სასიკვდილო ძალა, ვიდრე ცეცხლსასროლი იარაღია.[235]

ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საქმეზე – *პერისანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Perisan and Others v. Turkey)*.[236] ამ საქმეში გამოყენებული იყო ძალა ციხეში ამბოხების ჩასახშობად, რომელშიც მონაწილეობდა დაახლოებით 30 პატიმარი. სასამართლომ ჩათვალა, რომ გამოყენებული ძალა არ იყო „აბსოლუტურად აუცილებელი.“ ამ საქმეში 8 პატიმარი გარდაიცვალა მრავალჯერადი დაზიანებით, მათ შორის თავის ქალის დაზიანებით, რომელიც გამოიწვია უშიშროების ძალის მიერ ხელკეტებისა და სხვა იარაღის გამოყენებამ, ხოლო დანარჩენმა მიიღო სხვადასხვა სახის მძიმე დაზიანება. ევროპულმა სასამართლომ უარყო მტკიცება, რომ პატიმრები იყვნენ შეიარაღებულნი იარაღით, რასაც შეეძლო გაემართლებინა ძალის გამოყენება მათ წინააღმდეგ.

---

232 71-ე პუნქტი.

233 *აბდულა იასა და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Abdullah Yasa and Others v. Turkey),* 16 ივლისი, 2013 წელი; ასევე იხ. საქმე, რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ ცრემლსადენი ყუმბარის სროლა პირდაპირ პირისათვის არღვევს კონვენციის მე-2 მუხლს. *ნაგმეტოვი რუსეთის წინააღმდეგ (Nagmetov v. Russia),* დიდი პალატა, 30 მარტი, 2017 წელი, 45-ე პუნქტი.

234 72-ე პუნქტი.

235 73-ე პუნქტი; ასევე იხ. S. Skinner, Lethal Force, the Right to Life and the ECHR: Narrative of Death and Democracy, 2019, 75-76.

236 20 მაისი, 2010 წელი; ასევე *კავაკლიოღლუ და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Kavaklioglu and Others v. Turkey)*, 6 ოქტომბერი, 2015 წელი.

4. სიცოცხლის უფლების დაცვა – პოზიტიური ვალდებულება

4.1. ზოგადი მიმოხილვა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დოქტრინის ჩამოყალიბება.[237] თავდაპირველად ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება განიხილა განათლების უფლებასთან (კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლი),[238] ხოლო მოგვიანებით ოჯახური ცხოვრების უფლებასთან მიმართებით (მე-8 მუხლი).[239] ამ უკანასკნელთან მიმართებით ევროპულმა სასამართლომ მიუთითა: ნეგატიურ ვალდებულებასთან ერთად, რომ თავი შეიკავოს უფლებაში ჩარევისაგან, სახელმწიფოს შეიძლება წარმოეშვას პოზიტიური ვალდებულება, რომელიც ოჯახური ცხოვრების ეფექტიანი „პატივისცემის“ განუყოფელი ნაწილია.[240]

დროთა განმავლობაში ევროპულმა სასამართლომ მნიშვნელოვნად განავითარა პოზიტიური ვალდებულების დოქტრინა და მოიცვა კონვენციითა და მისი ოქმებით დაცული არაერთი უფლება. ამ უფლებებს შორის იყო სიცოცხლის უფლებაც.

სხვა უფლებების მსგავსად, სიცოცხლის უფლება სახელმწიფოს აკისრებს ნეგატიურ ვალდებულებას, თავი შეიკავოს მოქმედებისაგან, რომელიც მოსპობს პირთა სიცოცხლეს. ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფოს მიერ მხოლოდ ნეგატიური ვალდებულების შესრულება არ არის საკმარისი ამ უფლების ეფექტიანად დასაცავად, მით უფრო, რომ პირის სიცოცხლისათვის საფრთხე შეიძლება შეიქმნას არა მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენლების, არამედ კერძო პირების მიერ, ისევე როგორც ასეთი საფრთხე შეიძლება გამოიწვიოს საფრთხის შემცველმა საქმიანობამ, ბუნებრივმა კატაკლიზმამ და უბედურმა შემთხვევამ.[241]

მიუხედავად იმისა, რომ პირველ საქმეზე, რომელზეც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა სიცოცხლის უფლების დარღვევა *(მაკკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann v. Others v. the United Kingdom))*,[242] მან პირდაპირ არ მიუთითა, რომ სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება სიცოცხლის უფ-

---

237 L.-A. Sicilianos, Preventing Violations of the Right to Life: Positive Obligations Under Article 2 of the ECHR, Cyprus Human Rights Law Review, vol. 3, 2014, 117.

238 *Case relating to certain aspects of the laws on the use of languages in education in Belgium v. Belgium* (merits), 23 July 1969, p. 28, Series A n. 6.

239 *მარქსი ბელგიის წინააღმდეგ (Marckx v. Belgium)*, 13 ივნისი, 1979 წელი, 31-ე პუნქტი.

240 იქვე.

241 J. Gerards, Right to Life, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, P. van Dijk, F. van Hoof, A. van Rijn and L. Zwaak (eds.), 5th ed. 2018, 367.

242 27 სექტემბერი, 1995 წელი.

ლების მიმართ, მოგვიანებით განხილულ საქმეებში სასამართლომ ნათელყო, რომ მე-2 მუხლი აკისრებს სახელმწიფოს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას, თავი შეიკავოს სიცოცხლის განზრახი და უკანონო მოსპობისაგან, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას, გაატაროს ღონისძიებები სიცოცხლის უფლების დასაცავად. კერძოდ, საქმეზე – *LCB გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*LCB v. the United Kingdom)* ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ „მე-2(1) მუხლის პირველი წინადადება აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, არა მხოლოდ თავი შეიკავოს სიცოცხლის განზრახ და უკანონოდ მოსპობისაგან, არამედ, ასევე, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები მის იურისდიქციაში მყოფი პირების დასაცავად.“[243] აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის ჩანაწერი, რომ „ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია კანონით“, განმარტა ასე; გარდა სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებისა, ის მოიცავს სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიურ ვალდებულებას.[244] ამ გადაწყვეტილებით ევროპულმა სასამართლომ ***expressis verbis*** მიუთითა, რომ სახელმწიფოს ეკისრება სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება, რითაც გააფართოვა კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილი ვალდებულების ფარგლები.[245]

მოგვიანებით ევროპულმა სასამართლომ დააზუსტა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შინაარსი. საქმეზე – *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)* სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფოს ვალდებულება სცდება მის ძირითად მოვალეობას, „უზრუნველყოს სიცოცხლის უფლება ისეთი ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დებულებების დადგენით, რომლებიც პირს თავს შეაკავებინებს მსგავსი დანაშაულის ჩადენისაგან და რომელიც განმტკიცებულია აღსრულების მექანიზმით, რათა მოხდეს ასეთი დებულებების დარღვევის პრევენცია, აღკვეთა და დასჯა.“[246] სასამართლომ მიუთითა, რომ კონვენციის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის პირველი წინადადება „ასევე შეიძლება გულისხმობდეს ზოგიერთ კარგად განსაზღვრულ გარემოებაში ხელისუფლების პოზიტიურ ვალდებულებას, გაატაროს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები იმ პირის დასაცავად, რომლის სიცოცხლე საფრთხეშია, სხვა პირის სისხლისსამართლებრივად დასჯადი მოქმედებით“.[247]

ევროპულმა სასამართლომ თავისი ფორმულირება, რომ სახელმწიფომ უნდა „გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები“, რომლითაც ყურადღება გაამახვილა პოზიტიური ვალდებულების მოქმედებაზე, მოგვიანებით კიდევ უფრო დააზუსტა. კერძოდ, საქმეზე – *მენსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Menson v. the United Kingdom)* – ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სიცოცხლის უფლების დაცვისაკენ მიმარ-

---

243 9 ივნისი, 1998 წელი, 36-ე პუნქტი; ასევე იხ. E. Wicks, The Right to Life and Conflicting Interests, 2010, 68; A. Carcano, Notable Cases of the European Court of Human Rights on the Right to Life: Materials and Analysis, 2021, 57; J. Gerards, Right to Life, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, P. van Dijk, F. van Hoof, A. van Rijn and L. Zwaak (eds.), 5th ed. 2018, 367.

244 S. M. Zielonka, The Universality of the Right to Life: Article 2 and the Margin of Appreciation in the Jurisprudence of the European Court of Human Rights, New York University Journal of International Law and Politics, 47(1), 2014, 247-248.

245 L. McCamphill, The Right to Life Shall be Secured to Everyone by Law: The Extent to Which the European Court of Human Rights has Developed the Concept of Positive Obligations in Relation to Article 2, King's Student Law Review, No. 1, 2010, 105-106.

246 დიდი პალატა, 28 ოქტომბერი, 1998 წელი, 115-ე პუნქტი. *მენსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Menson v. the United Kingdom),* გადაწყვეტილება, 6 მაისი, 2003 წელი.

247 დიდი პალატა, 28 ოქტომბერი, 1998 წელი, 115-ე პუნქტი.

თული სისხლისსამართლებრივი დებულებების დადგენის გარდა, სახელმწიფოს მიერ „შესაბამისი ღონისძიებების გატარება“ ასევე გულისხმობს, რომ „უნდა არსებობდეს ეფექტიანი ოფიციალური გამოძიების გარკვეული ფორმა, თუ არსებობს იმის ვარაუდის საფუძველი, რომ საეჭვო გარემოებებში პირმა განიცადა სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ზიანი.“[248]

აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ ცხადყო, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება მოიცავს როგორც სიცოცხლის დაცვისაკენ მიმართული საკანონმდებლო (ნორმატიული) ბაზის დადგენასა და პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარებას საფრთხეში მყოფი პირის დასაცავად, ისე ოფიციალური გამოძიების ჩატარებას.[249] შესაბამისად, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტით დაწესებული ვალდებულება მოიცავს როგორც საკანონმდებლო დონეზე გასატარებელ ღონისძიებებს (მაგ., შესაფერისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას იმ პირის მიმართ, რომელმაც უკანონოდ მოსპო სიცოცხლე) და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ სიტუაციებში პირის დასაცავად, ისე ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას პირის გარდაცვალების შემთხვევაში.

სახელმწიფოს ამ სამი პოზიტიური ვალდებულებიდან პირველი ორი (საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა) ვალდებულება პრევენციული ხასიათისაა, რაც სახელმწიფომ უნდა გაატაროს წინასწარ, მაშინ, როდესაც მესამე ვალდებულება (გამოძიების ჩატარება) სახელმწიფომ უნდა შეასრულოს სიცოცხლის მოსპობის ფაქტის დადგომის შემთხვევაში.[250]

საკანონმდებლო (ნორმატიული) ჩარჩოს შექმნისა და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის ვალდებულებას ხშირად მოიხსენიებენ როგორც სახელმწიფოს არსებით (მატერიალურ) პოზიტიურ ვალდებულებას, ხოლო გამოძიების ჩატარებას, როგორც სახელმწიფოს პოზიტიურ საპროცესო ვალდებულებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა დაიცვას პირის სიცოცხლის უფლება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც საფრთხე მომდინარეობს სახელმწიფოს წარმომადგენლისაგან, არამედ მაშინაც, თუ ის მომდინარეობს კერძო პირისაგან (მესამე მხარე). სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებაა, თავი შეიკავოს პირის სიცოცხლის მოსპობისაგან და, თუ სახელმწიფოს წარმომადგენელმა ვერ შეასრულა ეს ვალდებულება, სახელმწიფოს დაეკისრება პირდაპირი პასუხისმგებლობა. კერძო პირის (მესამე მხარის) მიერ სხვა პირის სიცოცხლის მოსპობისათვის სახელმწიფოს არ დაეკისრება პირდაპირი პასუხისმგებლობა. სახელმწიფოს ეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევა-

---

248 *მენსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Menson v. the United Kingdom),* გადაწყვეტილება, 6 მაისი, 2003 წელი; *მუსტაფა ტუნკი და ფერიცე ტუნკი თურქეთის წინააღმდეგ (Mustafa Tunc and Fecire Tunc v. Turkey)*, დიდი პალატა, 14 აპრილი, 2015 წელი, 171-ე პუნქტი.

249 S. Kyrkos, Suicide in the Military as a Breach of the Rights to Life, Under the Provisions of Article 2 of the European Convention on Human Rights and Fundamental Freedoms, 2016, 5, See: http://ssrn.com/abstract=2836637; T. S. Guler, 'Politive Obligations' Doctrine of the European Court of Human Rights: Is it Cogent or Obscure? European Journal of Multidisciplinary Studies, 2017, Vol. 6, N1, 360.

250 თუ პირის მიმართ ძალის გამოყენება მოექცა კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების სფეროში, მაგრამ მსხვერპლი გადარჩა, სახელმწიფოს მაინც ეკისრება ვალდებულება, ჩაატაროს სათანადო გამოძიება.

ში, თუ მან არ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება, კერძოდ, უნდა გაეტარებინა, მაგრამ არ გაატარა სათანადო ღონისძიებები პირის სიცოცხლის უფლების დასაცავად ან/და არ უზრუნველყო სიცოცხლის მოსპობის შემთხვევის ეფექტიანი გამოძიების ჩატარება.

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც პირის სიცოცხლისათვის საფრთხე მომდინარეობს სხვა პირის მხრიდან, არამედ მაშინაც, როდესაც საფრთხე პირის სიცოცხლისათვის მომდინარეობს ნებისმიერი საქმიანობიდან (მაგ., საწარმოო საქმიანობა).[251] შესაბამისად, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება წარმოეშობა მაშინ, როდესაც პირის სიცოცხლის მოსპობა გამოწვეულია, ძირითადად, კერძო პირების მხრიდან, ისევე როგორც ისეთი საქმიანობის შედეგად, როგორიცაა, მაგ.: საფრთხის შემცველი საქმიანობა, ბუნებრივი კატაკლიზმები და უბედური შემთხვევები.[252] აქედან გამომდინარე, სახელმწიფო არ აგებს პასუხს კერძო პირების მოქმედებაზე, მაგრამ სახელმწიფო პასუხისმგებელია საკუთარი უმოქმედობისათვის კერძო პირებთან მიმართებით, რომლებიც სხვა პირების სიცოცხლეს უქმნიან საფრთხეს, ისევე როგორც სხვა ისეთ საქმიანობასთან მიმართებით, რომლის შედეგადაც პირის სიცოცხლეს შეიძლება შეექმნას საფრთხე.[253]

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოსათვის წარმოქმნილი პოზიტიური ვალდებულება არის „საშუალების ვალდებულება“ და არა „შედეგის ვალდებულება“.[254] შესაბამისად, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გადადგას ნაბიჯები სიცოცხლის უფლების დასაცავად და არა ვალდებულება, რომ უზრუნველყოს სიცოცხლის უფლების უპირობო დაცვა.[255] კერძოდ, სახელმწიფომ უნდა გაატაროს ღონისძიებები საფრთხის თავიდან ასაცილებლად და მას არ ეკისრება ვალდებულება, გარანტირებულად უზრუნველყოს სიცოცხლის უფლების დაცვის სასურველი შედეგის დადგომა. სხვა სიტყვებით, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გაატაროს გონივრული ღონისძიებები სიცოცხლის მოსპობის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ არ ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს, რომ არ მოხდება სიცოცხლის მოსპობა.[256]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, გაატაროს შესაფერისი პრევენციული ღონისძიებები სიცოცხლის უფლების დასაცავად. სახელმწიფო თავისუფალია, თავად განსაზღვროს პრევენ-

---

251 *ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ (Oneryildiz v. Turkey),* დიდი პალატა, 30 ნოემბერი, 2004 წელი, 71-ე პუნქტი; ასევე იხ. J. Gerards, Right to Life, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, P. van Dijk, F. van Hoof, A. van Rijn and L. Zwaak (eds.), 5th ed. 2018, 367.

252 L.-A. Sicilianos, Preventing Violations of the Right to Life: Positive Obligations Under Article 2 of the ECHR, Cyprus Human Rights Law Review, vol. 3, 2014, 118.

253 იქვე.

254 *ჯულიანი და გაჯიო იტალიის წინააღმდეგ (Giuliani and Gaggio v. Italy),* დიდი პალატა, 24 მარტი, 2011 წელი, 251-ე პუნქტი; *მარრო და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Marro and Others v. Italy)*, გადაწყვეტილება, 8 აპრილი, 2014 წელი, 45-ე პუნქტი.

255 K. Fournet, At the Hands of the State: When Arrest and Imprisonment Prove Fatal, in: The Right to Life and the Value of Life: Orientation in Law, Politics and Ethics, J. Yorke (ed.), 2010, 179.

256 L.-A. Sicilianos, Preventing Violations of the Right to Life: Positive Obligations Under Article 2 of the ECHR, Cyprus Human Rights Law Review, vol. 3, 2014, 120.

ციული ღონისძიებების ხასიათი. სახელმწიფოს აქვს შეფასების თავისუფლება, თავად განსაზღვროს, კონკრეტულ სიტუაციაში რა ღონისძიება იქნება შესაფერისი სიცოცხლის უფლების დასაცავად.[257]

4.2. სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება: არსებითი ნაწილი

როგორც აღინიშნა, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის განმარტებით, სახელმწიფოს არსებითი პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლე, შედგება ორი ელემენტისაგან: ა) შექმნას სიცოცხლის უფლების დაცვის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო; და ბ) გაატაროს პრაქტიკული ღონისძიებები სიცოცხლის უფლების დასაცავად.

პირველი ელემენტის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, დააწესოს ნორმატიული ჩარჩო სიცოცხლის უფლების დასაცავად. ეს ნორმატიული ჩარჩო მოიცავს როგორც კანონმდებლობის მიღებას, რომელიც კრძალავს პირის სიცოცხლის მოსპობას, ისე სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩოს შექმნას, რომელიც მიმართული იქნება სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საქმიანობის (სფეროს) რეგულირებისაკენ.

მეორე ელემენტის მიხედვით, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გადადგას პრაქტიკული ნაბიჯები, კერძოდ, გაატაროს „პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები“ იმ პირის დასაცავად, რომლის სიცოცხლე საფრთხეშია, სხვა პირის სისხლისსამართლებრივად დასჯადი მოქმედებით.[258] ხშირად სახელმწიფოს ამ ვალდებულებას „ოპერატიულ ვალდებულებას“ უწოდებენ.[259]

მართალია, არ არსებობს ოპტიმიზმის საფუძველი, რომ ვინმე შეძლებს, თავი აარიდოს ბუნებრივ სიკვდილს, კონვენციის მე-2 მუხლი მიმართულია იმისაკენ, რომ დაიცვას ადამიანი ნაადრევი გარდაცვალებისაგან და ამისათვის აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, გაატაროს როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკული ღონისძიებები.

4.2.1. სიცოცხლის უფლების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შექმნის ვალდებულება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, დაიცვას სიცოცხლე და ადგენს, რომ ამ უფლების დაცვა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს „კანონით“, რითაც, უპირველეს ყოვლისა, ხაზს უსვამს სი-

---

257 *ილბეი ქემალოღლუ და მერიე ქემალოღლუ* (*İlbeyi Kemaloglu and Meriye Kemaloglu v. Turkey)*, 10 აპრილი, 2012 წელი, 37-ე პუნქტი.

258 *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 28 ოქტომბერი, 1998 წელი, 115-ე პუნქტი; ასევე იხ. S. Kyrkos, Suicide in the Military as a Breach of the Rights to Life, Under the Provisions of Article 2 of the European Convention on Human Rights and Fundamental Freedoms, http://ssrn.com/abstract=2836637, p. 5; D. Baker, Death after Police Contact in England and Wales: The Effects of Article 2 of the European Convention on Human Rights on Coronial Practice, International Journal of Law in Context 12, No. 2, 2016, 165.

259 S. Kyrkos, Suicide in the Military as a Breach of the Rights to Life, Under the Provisions of Article 2 of the European Convention on Human Rights and Fundamental Freedoms, 2016, 5, See: http://ssrn.com/abstract=2836637.

ცოცხლის უფლების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შექმნის აუცილებლობას.

სახელმწიფოს ვალდებულების აღსანიშნავად, მიიღოს სიცოცხლის უფლების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა, ევროპული სასამართლო თავის პრაქტიკაში სხვადასხვა ფორმულირებას იყენებს. ზოგიერთ შემთხვევაში, ევროპული სასამართლო მიუთითებს სისხლისსამართლებრივი დებულებების დადგენის,[260] ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, საკანონმდებლო (სამართლებრივი) და ადმინისტრაციული ჩარჩოს შექმნის აუცილებლობაზე.[261] მაგ., საქმეზე – *ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ* (*Oneryildiz v. Turkey) – ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ* სახელმწიფოს ეკისრება ზოგადი ვალდებულება, „დაადგინოს საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს სიცოცხლის უფლებისათვის საფრთხის შექმნისაგან თავის შეკავების ეფექტიან მექანიზმს.“[262]

კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებიდან, მიიღოს სიცოცხლის უფლების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს, რომ სახელმწიფომ უნდა აკრძალოს სიცოცხლის უკანონო მოსპობა.[263] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, „მე-2 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, შემოიღოს სიცოცხლის უფლების დაცვის ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დებულებები, რათა უზრუნველყოს პირის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისაგან თავის შეკავება, რაც განმტკიცებული უნდა იყოს ასეთი დებულებების დარღვევის პრევენციის, აღკვეთისა და მისი დარღვევისათვის დასჯის აღსრულების მექანიზმით.“[264]

აქედან გამომდინარეობს, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სახელმწიფომ უნდა დააწესოს აკრძალვა სიცოცხლის უკანონო მოსპობისათვის.[265] სიცოცხლის მოსპობა ნორმატიულად უნდა აეკრძალოთ როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლებს (მაგ., პოლიციის თანამშრომლებს), ისე კერძო პირებს.

მიუხედავად იმისა, რომ პირის სიცოცხლის მოსპობისათვის, როგორც წესი, უნდა არსებობდეს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, განზრახვის გარეშე პირის სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში, ევროპული სასამართლო უშვებს სამოქალაქო, ადმინის-

---

260 *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 28 ოქტომბერი, 1998 წელი, 115-ე პუნქტი; *მენსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Menson v. the United Kingdom),* გადაწყვეტილება, 6 მაისი, 2003 წელი.

261 ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ *(Oneryildiz v. Turkey),* დიდი პალატა, 30 ნოემბერი, 2004 წელი, 89-ე პუნქტი.

262 დიდი პალატა, 30 ნოემბერი, 2004 წელი, 89-ე პუნქტი.

263 S. Skinner, Lethal Force, the Right to Life and the ECHR: Narrative of Death and Democracy, 2019, 76.

264 *მუსტაფა ტუნკი და ფერიცე ტუნკი თურქეთის წინააღმდეგ (Mustafa Tunc and Fecire Tunc v. Turkey),* დიდი პალატა, 14 აპრილი, 2015 წელი, 171-ე პუნქტი; ასევე *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom),* დიდი პალატა, 28 ოქტომბერი, 1998 წელი, 115-ე პუნქტი; *მაჰმუტ კაია თურქეთის წინააღმდეგ (Mahmut Kaya v. Turkey),* 28 მარტი, 2000 წელი, 85-ე პუნქტი; *მენსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Menson v. the United Kingdom),* გადაწყვეტილება, 6 მაისი, 2003 წელი; ასევე იხ. J. Kratochvil, The Rights to Life in the Perspective of the Human Rights Committee and the European Court of Human Rights, http://ssrn.com/asract=951225, p. 6-7.

265 E. Wicks, The Right to Life and Conflicting Interests, 2010, 48-49.

ტრაციული ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დადგენასაც კი იმ პირის მიმართ, რომლის ქმედებამ გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა. [266]

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლე, არ შემოიფარგლება სიცოცხლის მოსპობის აკრძალვის დაწესებით. სიცოცხლის მოსპობის აკრძალვის გარდა, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, დააწესოს პასუხისმგებლობა სიცოცხლის მოსპობისათვის და უზრუნველყოს მისი აღსრულება, ასევე უზრუნველყოს დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება, რომლის მიზანი იქნება პირის სიცოცხლის მოსპობაზე პასუხისმგებელი პირების დადგენა.[267]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, არა მხოლოდ მიიღოს კანონმდებლობა, რომელიც დაადგენს სისხლისსამართლებრივ სასჯელს პირის სიცოცხლის მოსპობისათვის, არამედ ასევე განსაზღვროს სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს პირის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირებას. სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩოს შექმნის ვალდებულება მოიცავს როგორც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესის დადგენას, ისე ნებისმიერი სხვა საქმიანობის (სფეროს) საკანონმდებლო (ნორმატიულ) მოწესრიგებას, რომელთან დაკავშირებითაც პირის სიცოცხლეს შეიძლება შეექმნას საფრთხე, მიუხედავად საფრთხის წყაროსა.[268]

4.2.1.1. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ძალისა და იარაღის გამოყენების მარეგულირებელი კანონმდებლობა

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესის დადგენა გულისხმობს ისეთი მარეგულირებელი კანონმდებლობის არსებობას, რომელიც განსაზღვრავს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ძალისა და იარაღის გამოყენების შეზღუდულ გარემოებებს, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. ასეთი კანონმდებლობა უნდა ემსახურებოდეს იმას, რომ არ იყოს გამოყენებული იმაზე მეტი ძალა, ვიდრე ეს აბსოლუტურად აუცილებელია შექმნილ ვითარებაში და, რომ მინიმუმამდე შემცირდეს პირის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის ალბათობა.[269] ამ კანონმდებლობამ უნდა

---

266 *სილიჰი სლოვენიის წინააღმდეგ (Silih v. Slovenia),* დიდი პალატა, 9 აპრილი 2009 წელი, 194-ე პუნქტი; ასევე იხ.: M. O'Boyle, Duty to Carry out an Effective Investigation under Article 2 of the ECHR, in: El Tribunal Europeo de Derechos Humanos: Una vision desde dentro, En homenaje al Juez Josep Casadevall, 2015, 219; N. Mavronicola, Taking Life and Liberty Seriously: Reconsidering Criminal Liability Under Article 2 of the ECHR, Modern Law Review, N80(6), 2017, 1046.

267 T. Opsahl, The Right to Life, in: The European System for the Protection of Human Rights R.St.J. Macdonald, F. Matscher and H. Petzold (eds.), 1993, 211.

268 W. Schabas, The European Convention on Human Rights: A Commentary, 2015, 126-127.

269 *ჯულიანი და გაჯიო იტალიის წინააღმდეგ (Giuliani and Gaggio v. Italy),* დიდი პალატა, 24 მარტი, 2011 წელი, 209-ე პუნქტი; *მაკარაძისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Makaratzis v. Greece)*, *დიდი პალატა*, 20 *დეკემბერი*, 2004 *წელი*, 57-ე-59-ე პუნქტები; ასევე იხ. Guide on Article 2 of the European Convention on Human Rights: Right to Life, European Court of Human Rights, updated: 30 April, 2021, para. 87, See: [https://www.echr.coe.

დაადგინოს, რა გარემოებებში არის დასაშვები პოლიციის მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენება.

ევროპული სასამართლოს პოზიციით, კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე ჩამოყალიბებული თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, კანონმდებლობამ უნდა განსაზღვროს, რომ ძალისა და იარაღის გამოყენება დამოკიდებული უნდა იყოს შექმნილი სიტუაციის, განსაკუთრებით კი, პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ბუნების შეფასებასა და მისგან მომდინარე საფრთხეზე.[270] ამას გარდა, მარეგულირებელმა კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ უკანონობის ჩადენისა და ძალის ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის ადეკვატური და ეფექტიანი სისტემის მოქმედება.[271]

საქმე *მაკარაძისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Makaratzis v. Greece)* ეხებოდა პოლიციის თანამშრომლების მიერ ავტომანქანის დადევნებას, რომლის მძღოლიც არ დაემორჩილა პოლიციას. ამის გამო პოლიციის თანამშრომლებმა განახორციელეს არაერთი გასროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან მანქანის მიმართულებით, თუმცა მძღოლი გადაურჩა სიკვდილს.[272] ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „პოლიციის თანამშრომლების მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენება შეიძლება გამართლებული იყოს გარკვეულ გარემოებებში. მიუხედავად ამისა, მე-2 მუხლი არ ადგენს მოქმედების სრულ თავისუფლებას. სახელმწიფოს წარმომადგენლების მოუწესრიგებელი და უკანონო მოქმედება შეუთავსებელია ადამიანის უფლებათა ეფექტიან დაცვასთან. ეს ნიშნავს, და ეს უნდა დადგინდეს ეროვნული კანონმდებლობით, რომ საპოლიციო ოპერაციები უნდა იყოს საკმარისად მოწესრიგებული, უკანონობისა და ძალის ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის შესაფერისი და ეფექტიანი სისტემის ფარგლებში.“[273] ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „სამართლებრივმა და ადმინისტრაციულმა ჩარჩომ უნდა განსაზღვროს შეზღუდული გარემოებები, რომლებშიც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა შეიძლება გამოიყენონ ძალა და იარაღი, ჩამოყალიბებული საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.“[274]

ამ საქმიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისათვის ძალის გამოყენების ისეთი საკა-

---

int/Documents/Guide_Art_2_ENG.pdf]. ასევე C. Tomushat, The Right to Life – Legal and Political Foundations, in: The Right to Life, C. Tomushat, E. Lagrange and S. Oeter (eds.), 2010, 17.

270 *ჯულიანი და გაჯიო იტალიის წინააღმდეგ (Giuliani and Gaggio v. Italy),* დიდი პალატა, 24 მარტი, 2011 წელი, 209-ე პუნქტი; *ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ* (*Nachova and Others v. Bulgaria)*, დიდი პალატა, 6 ივლისი, 2005 წელი, 96-ე პუნქტი.

271 *ჯულიანი და გაჯიო იტალიის წინააღმდეგ (Giuliani and Gaggio v. Italy),* დიდი პალატა, 24 მარტი, 2011 წელი, 209-ე პუნქტი; *მაკარაძისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Makaratzis v. Greece)*, *დიდი პალატა*, 20 *დეკემბერი*, 2004 *წელი*, 58-ე პუნქტი; *კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Kukhalashvili and Others v. Georgia),* 20 აპრილი, 2020 წელი, 144-ე პუნქტი; ასევე იხ. Guide on Article 2 of the European Convention on Human Rights: Right to Life, European Court of Human Rights, updated: 30 April, 2021, para. 88, See: [https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_2_ENG.pdf].

272 20 დეკემბერი, 2004 წელი.

273 58-ე პუნქტი; ასევე იხ. J. Murdoch and R. Roche, The European Convention on Human Rights and Policing: A Handbook for Police Officers and Other Law Enforcement Officials, 2013, 27.

274 *მაკარაძისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Makaratzis v. Greece)*, *დიდი პალატა*, 20 *დეკემბერი*, 2004 *წელი*, 59-ე პუნქტი.

ნონმდებლო (ნორმატიული) ჩარჩოს შექმნა, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს ძალის გამოყენების გარემოებებსა და ფარგლებს.[275]

ევროპულმა სასამართლომ სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის არარსებობაზე გაამახვილა ყურადღება საქმეზე – *სასო გორგიევი ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ (Saso Gorgiev v. the Former Yugoslav Republic of Macedonia).* ეს საქმე ეხებოდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი რეზერვისტი პოლიციელის (ე.ი. სახელმწიფოს წარმომადგენლის) მიერ ბარის თანამშრომლისათვის (მოსარჩელე) მკერდში ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლას, რომელიც გადარჩა.[276] ინციდენტი მოხდა მაშინ, როდესაც რეზერვისტს უნდა შეესრულებინა სამსახურებრივი მოვალეობა პოლიციის განყოფილებაში, თუმცა მან უნებართვოდ დატოვა თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ადგილი, იმყოფებოდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ და თავისი მოქმედებით მოსარჩელის სიცოცხლეს შეუქმნა საფრთხე.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შესაფერისი და ეფექტიანი უსაფრთხოების ღონისძიებების სისტემის შექმნა და ზედმიწევნით შესრულება, რომელიც მიმართული იქნება იმისაკენ, რომ მისმა წარმომადგენლებმა, განსაკუთრებით რეზერვისტებმა, არასათანადოდ არ გამოიყენონ სამსახურებრივი იარაღი, რომლებითაც ისინი სარგებლობენ სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად.[277]

საქმე *პუტინცევა რუსეთის წინააღმდეგ (Putintseva v. Russia)* ეხებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის უკანონოდ დატოვების მცდელობის დროს სამხედრო მოსამსახურის მკვლელობას.[278] სარჩელი ევროპულ სასამართლოში შეიტანა სამხედრო მოსამსახურის დედამ, რომლის შვილმაც (პუტინცევმა), უნებართვოდ დატოვა სამხედრო ნაწილი. 3 დღის შემდეგ იგი დააკავეს და მოათავსეს საკანში. დაკავებისას მან უმცროს სერჟანტს თავში ჩაარტყა. ორივე მათგანის სამედიცინო მდგომარეობა შემოწმდა სამხედრო ჰოსპიტალში, რისთვისაც იმავე უმცროს სერჟანტს დაავალეს მოსარჩელის შვილის თანხლება ჰოსპიტალში. ჰოსპიტლიდან უკანა გზაზე მოსარჩელის შვილს კიდევ ჰქონდა მიმალვის მცდელობა, რა დროსაც უმცროსმა სერჟანტმა ესროლა მას, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ რუსეთის კანონმდებლობით, სასიკვდილო ძალის გამოყენება არ იყო დამოკიდებული კონკრეტული გარემოებების შეფასებაზე და, უპირველეს ყოვლისა, არ მოითხოვდა გაქცეული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და იმ საფრთხის შეფასებას, რომელიც მისგან შეიძლება წარმოშობილიყო. სასიკვდილო ძალის გამოყენება მაშინაც შეიძლებოდა, თუ ასეთი გაქცევისათვის სასჯელი იქნებოდა მხოლოდ დისციპლინური. გარდა იმისა, რომ არსებობდა გაფრთხილება იარაღის გამოყენების შესახებ, რუსეთის კანონმდებლობა არ შეიცავდა სხვა ბერკეტებს სიცოცხლის უკანონოდ მოსპობის თავიდან ასაცილებლად. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სიცოცხლის უფლების დაცვა.

ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე ხარვეზიანად მიიჩნია თურქეთის კანონმდებლობა, რომელშიც ჩამოთვლილი იყო სხვადასხვა სიტუაცია, როდესაც პო-

---

275 S. Skinner, Lethal Force, the Right to Life and the ECHR: Narrative of Death and Democracy, 2019, 78.

276 19 აპრილი, 2012 წელი.

277 50-ე პუნქტი.

278 10 მაისი, 2012 წელი.

ლიციის თანამშრომელს შეეძლო იარაღის გამოყენება, რომლის შედეგებზე იგი არ იყო პასუხისმგებელი.[279] კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ერდოღანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Erdogan and Others v. Turkey)* – იმსჯელა პოლიციის მიერ იარაღის გამოყენების მარეგულირებელ, 1934 წელს მიღებულ თურქეთის კანონზე, რომელიც განსაზღვრავდა პოლიციის ოფიცრის მიერ იარაღის გამოყენების შესაძლებლობას მისი პასუხისმგებლობის დადგომის გარეშე.[280] ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ასეთი კანონი არ აკმაყოფილებს სიცოცხლის უფლების დაცვის მოთხოვნას ევროპის თანამედროვე საზოგადოებაში.[281] მან მიუთითა, რომ მოქმედი სისტემა არ ადგენს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისათვის იარაღის გამოყენების მკაფიო წესსა და კრიტერიუმებს, როდესაც ხდება საშიში ეჭვმიტანილი პირების დაკავება.[282]

ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა კანონმდებლობაზე, რომელიც ადგენდა ისეთი სიტუაციების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელშიც სამხედრო პოლიციას შეეძლო ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება.[283] *საქმეში – ბაკანი თურქეთის წინააღმდეგ (Bakan v. Turkey)* – ევროპულმა სასამართლომ მისაღებად ჩათვალა კანონმდებლობა, რომელიც ამომწურავად განსაზღვრავს გარემოებებს, სადაც ცეცხლსასროლი იარაღი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუ დადგენილია, რომ იარაღის ასეთი გამოყენება დაშვებულია როგორც უკიდურესი საშუალება და მას წინ უსწრებს გამაფრთხილებელი გასროლა.[284] ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ, სადაც ეს შესაძლებელია, უნდა მოხდეს გამაფრთხილებელი გასროლა.[285]

ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში განიხილა არაერთი საქმე, რომლებიც ეხებოდა ძალის გამოყენებას პირის კანონიერად დასაკავებლად ან კანონიერად დაპატიმრებული პირის მიმალვის აღსაკვეთად. საქმე *ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (Nachova and Others v. Bulgaria)* ეხებოდა სამხედრო ნაწილის უნებართვოდ დატოვების გამო დაკავების მცდელობისას ორი დეზერტირის სიცოცხლის მოსპობას სამხედრო პოლიციის მიერ.[286] ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნის მიუხედავად, არ არსებობდა შესაბამისი „ჩარჩო“, რადგან სამხედრო ძალების წევრის დაკავებისას დაშვებული იყო სამხედრო პოლიციის მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენება უმნიშვნელო დანაშაულისთვისაც კი. ბულგარეთის კანონმდებლობის მიხედვით, კანონიერი იყო ნებისმიერი დეზერტირის მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, რომელმაც არ გაითვალისწინა ზეპირი გაფრთხილება, რასაც მოჰყვა

---

279 *ერდოღანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Erdoğan and Others v. Turkey)*, 25 აპრილი, 2006 წელი, 77-ე-79-ე პუნქტები; ასევე იხ. Guide on Article 2 of the European Convention on Human Rights: Right to Life, European Court of Human Rights, updated: 30 April, 2021, para. 94, See: [https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_2_ENG.pdf].

280 2006 წლის 25 აპრილი.

281 77-ე პუნქტი.

282 78-ე პუნქტი.

283 *ბაკანი თურქეთის წინააღმდეგ (Bakan v. Turkey)*, 12 ივნისი, 2007 წელი, 51-ე პუნქტი; ასევე იხ. Guide on Article 2 of the European Convention on Human Rights: Right to Life, European Court of Human Rights, updated: 30 April, 2021, para. 94, See: [https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_2_ENG.pdf].

284 51-ე პუნქტი.

285 *კალისი და ანდროულა პანაი თურქეთის წინააღმდეგ (Kallis and Androulla Panayi v. Turkey),* 27 ოქტომბერი, 2009 წელი, 62-ე პუნქტი.

286 დიდი პალატა, 6 ივლისი, 2005 წელი.

თავში სროლა და მათი სიცოცხლის მოსპობა.[287] სასამართლოს აზრით, არ არსებობს სასიკვდილო ძალის გამოყენების აბსოლუტური აუცილებლობა, თუ ცნობილია, რომ დასაკავებელი პირი არ ქმნის საფრთხეს სიცოცხლისათვის და მას არ აქვს ჩადენილი ძალადობრივი დანაშაული, მაშინაც კი, თუ სასიკვდილო ძალის გამოუყენებლობას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ამ პირის დაკავების შესაძლებლობის დაკარგვა.[288] სასამართლოს აზრით, დაკავების ოპერაციის დაგეგმვისას სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია, მათ შორის, როგორც აბსოლუტური მინიმუმი, დასაკავებელი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და ამ პირისაგან მომდინარე საფრთხის ხარისხი, ხოლო უნდა იყოს თუ არა გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღი და რა გარემოებებში, თუ დასაკავებელი პირი ცდილობს მიმალვას, უნდა გადაწყდეს მკაფიო სამართლებრივი წესებისა და შესაფერისი სწავლების საფუძველზე და ამ ინფორმაციის გათვალისწინებით.[289]

ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ „ასეთი სამართლებრივი ჩარჩო შეიცავს ფუნდამენტურ ხარვეზს და ვერ აკმაყოფილებს სიცოცხლის უფლების „კანონით“ დაცვის მოთხოვნას, რომელსაც მოითხოვს კონვენცია თანამედროვე ევროპულ დემოკრატიულ საზოგადოებაში.“[290]

ევროპული სასამართლოს შეფასებით, ბულგარეთის კანონმდებლობა არ ადგენდა სიცოცხლის უკანონოდ მოსპობის თავიდან აცილებისაგან დაცვის მკაფიო მექანიზმს.[291] შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ბულგარეთმა ვერ შეასრულა კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულება, უზრუნველეყო სიცოცხლის უფლების დაცვის სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩოს დადგენა სამხედრო პოლიციის მიერ ძალისა და იარაღის გამოყენების შესახებ.[292]

აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ ხარვეზიანად ჩათვალა ბულგარეთის კანონმდებლობა, რომელიც პოლიციას ანიჭებდა უფლებას, გაეხსნა ცეცხლი ნებისმიერი დეზერტირის მიმართ, რომელიც დაუყოვნებლივ არ ჩაბარდებოდა ზეპირი გაფრთხილებისა და ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლის შემდეგ. შესაბამისად, არ არსებობდა სიცოცხლის უკანონო მოსპობის თავიდან აცილებისაგან დაცვის მკაფიო მექანიზმი.[293]

საქმეზე – *ალიკაი და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Alikaj and Others v. Italy)*,[294] რომელიც ეხებოდა პოლიციელის მიერ პირის დადევნებას და ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკვლას, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ დროისათვის

---

287 99-ე პუნქტი.

288 დიდი პალატა, 6 ივლისი, 2005 წელი, 95-ე და 107-ე პუნქტები; ასევე იხ. *ლეონიდისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Leonidis v. Greece),* 8 იანვარი, 2009 წელი, 55-ე პუნქტი.

289 103-ე პუნქტი.

290 მე-100 პუნქტი; ასევე იხ. S. Skinner, Lethal Force, the Right to Life and the ECHR: Narrative of Death and Democracy, 2019, 78-79.

291 იქვე.

292 102-ე პუნქტი.

293 *ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ* (*Nachova and Others v. Bulgaria)*, დიდი პალატა, 6 ივლისი, 2005 წელი, 99-ე-102-ე პუნქტები; ასევე იხ. Guide on Article 2 of the European Convention on Human Rights: Right to Life, European Court of Human Rights, updated: 30 April, 2021, para. 93, See: [https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_2_ENG.pdf].

294 29 მარტი, 2011 წელი.

იტალიაში არ მოქმედებდა კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების გარემოებებსა და წესებს.[295]

საქმეზე – *გეორგ სობზარუ რუმინეთის წინააღმდეგ (Gheorghe Cobzaru v. Romania)*, რომელიც ეხებოდა პირის მიერ ავტომობილის გატაცებას და პოლიციის დადევნებას, რასაც მოჰყვა პოლიციელის მიერ გასროლა და ამ პირის მოკვლა, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოში არ მოქმედებდა კანონმდებლობა, რომელსაც უნდა განესაზღვრა პოლიციის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შეზღუდული გარემოებები. სასამართლოს აზრით, ვინაიდან ქვეყანაში არ მოქმედებდა მკაფიო წესები, რის გამოც პოლიციელმა პირის დაკავების მიზნით ცეცხლი გაუხსნა შეუიარაღებელ პირს, პოლიციელი მოქმედებდა სრულიად ავტონომიურად და წინდაუხედავად, რაც არ მოხდებოდა, თუ იმოქმედებდა შესაფერისი წესები. საბოლოოდ, დადგინდა, რომ გამოყენებული ძალა არ იყო აბსოლუტურად აუცილებელი შექმნილ ვითარებაში.[296]

ასევე საინტერესოა საქმე *კაკული თურქეთის წინააღმდეგ (Kakoulli v. Turkey).* ეს საქმე ეხებოდა მამაკაცის მიერ შემთხვევით საზღვრის გადაკვეთას, რასაც მოჰყვა მისი მოკვლა.[297] ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ატარებენ სპეციალურ ოპერაციას, ხელმისაწვდომი უნდა იყოს იარაღის გამოყენების მკაფიო და ზუსტი მარეგულირებელი წესები, როგორ და რა გარემოებებში გამოიყენონ იარაღი. სასამართლომ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა, რომ ცეცხლის გახსნას, სადაც ეს შესაძლებელია, წინ უნდა უძღოდეს გამაფრთხილებელი გასროლა.[298]

სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ძალის გამოყენების შესახებ საქმეების მცირე ნაწილიდანაც კი, რომლებიც ზემოთ იქნა მიმოხილული, გამომდინარეობს, რომ სიცოცხლის დაცვის ვალდებულება მოითხოვს, საკანონმდებლო და ადმინისტრაციულმა ჩარჩომ განსაზღვროს ძირითადი პრინციპები და წესები, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას.[299]

---

295 77-ე პუნქტი; ასევე იხ. *ვასილ საშოვ პეტროვი ბულგარეთის წინააღმდეგ (Vasil Sashov Petrov v. Bulgaria)*, 10 ივნისი, 2010 წელი; *გუერდნერი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (Guerdner and Others v. France)*, 17 აპრილი, 2014 წელი.

296 66-ე პუნქტი. ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე ასევე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში. იხ. 76-ე პუნქტი.

297 22 ნოემბერი, 2005 წელი.

298 *ჯულიანი და გაჯიო იტალიის წინააღმდეგ (Giuliani and Gaggio v. Italy)*, დიდი პალატა, 24 მარტი, 2011 წელი, 177-ე პუნქტი; *ანდრეუ თურქეთის წინააღმდეგ (Andreu v. Turkey)*, 27 ოქტომბერი, 2009 წელი, 56-ე პუნქტი; *ისააკი თურქეთის წინააღმდეგ (Isaak v. Turkey)*, 24 ივნისი, 2008 წელი, 95-ე პუნქტი.

299 *მაკარაძისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Makaratzis v. Greece)*, *დიდი პალატა*, 20 *დეკემბერი*, 2004 *წელი*, 59-ე პუნქტი. ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ მოიშველია გაეროს საბაზისო წესები სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ (1990); ასევე იხ. *ჰამიეტ კაპლანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Hamiyet Kaplan and Others v. Turkey)*, 13 სექტემბერი, 2005 წელი, 55-ე პუნქტი; *სოარე და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Soare and Others v. Romania)*, 22 თებერვალი, 2011 წელი; *ატიმანი თურქეთის წინააღმდეგ (Atiman v. Turkey)*, 23 სექტემბერი, 2014 წელი.

4.2.1.2. სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საქმიანობის (სფეროს) მარეგულირებელი კანონმდებლობა

სიცოცხლის უფლების დასაცავად სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, არა მხოლოდ მიიღოს კანონმდებლობა სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და ძალის გამოყენების შესახებ, არამედ უზრუნველყოს სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ნებისმიერი საქმიანობის (სფეროს) მარეგულირებელი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩოს დადგენა. მართალია, ევროპული სასამართლოს მიზანი არ არის საფრთხის შემცველი საქმიანობის ჩამონათვალის განსაზღვრა, მაგრამ მისმა პრაქტიკამ ნათელი მოჰფინა ზოგიერთ ასეთ საქმიანობას (სფეროს).

როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა საქმეზე – *ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ (Oneryildiz v. Turkey)*, კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილი სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი „საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო“, რომელიც უზრუნველყოფს სიცოცხლის უფლებისათვის საფრთხის შექმნისგან თავის შეკავების ეფექტიან მექანიზმს.[300] ამავე საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფოს ვალდებულება, შექმნას „საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო“, ეხება საფრთხის შემცველ საქმიანობას, რომლის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სპეციალური მახასიათებლების მქონე საქმიანობის მარეგულირებელი წესების დადგენას და რომელიც გაითვალისწინებს ადამიანის სიცოცხლისათვის პოტენციური საფრთხის ხარისხს.[301] ევროპული სასამართლოს პოზიციით, კანონმდებლობამ „უნდა მოაწესრიგოს ამ საქმიანობის ლიცენზირება, წარმართვა, განხორციელება, უსაფრთხოება და სავალდებულო გახადოს ყველა შესაბამისი პირისთვის ისეთი პრაქტიკული ღონისძიებების გატარება, რომელიც უზრუნველყოფს იმ მოქალაქეთა ეფექტიან დაცვას, რომელთა სიცოცხლესაც ემუქრება საფრთხე თანმდევი რისკებიდან გამომდინარე.“[302] ამის გამო სახელმწიფომ უნდა მიიღოს კანონმდებლობა, რომელიც მოაწესრიგებს სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საქმიანობის ლიცენზირებას, წარმართვას, განხორციელებას, უსაფრთხოებასა და მასზე ზედამხედველობას.

ასეთი საქმიანობის წარმართვის პირობა უნდა იყოს შესაბამისი უსაფრთხოებისა და ტექნიკური სტანდარტების დაცვა. ამ საქმიანობის შემოწმება უნდა მოხდეს დადგენილი სტანდარტების შესრულების მიმართ. ამ სტანდარტების შესრულების შემოწმების საშუალებით შესაძლებელი უნდა იყოს ნაკლოვანებების აღმოჩენა, ისევე როგორც პასუხისმგებელი პირების დადგენა, რომლებმაც დაუშვეს შეცდომა ამ სტანდარტების შესრულებისას.[303] მაგალითად, საქმის – *ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ (Oneryildiz v. Turkey)* – მიხედვით, უბედურ შემთხვევამდე ორი წლით ადრე მომზადდა საექსპერტო დასკვნა, რომლის შეუსრულებლობას შედეგად მოჰყვა არაერთი ადამიანის გარდაცვალება. თუ ამ დასკვნას გაითვალისწინებდნენ და ნაგავსაყრელზე და-

---

300 ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ *(Oneryildiz v. Turkey)*, დიდი პალატა, 30 ნოემბერი, 2004 წელი, 89-ე პუნქტი.

301 *ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ (Oneryildiz v. Turkey)*, დიდი პალატა, 30 ნოემბერი, 2004 წელი, 90-ე პუნქტი; *კოლიადენკო რუსეთის წინააღმდეგ (Kolyadenko v. Russia)*, 28 თებერვალი, 2012 წელი, 158-ე პუნქტი.

302 *ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ (Oneryildiz v. Turkey)*, დიდი პალატა, 30 ნოემბერი, 2004 წელი, 90-ე პუნქტი.

303 იქვე.

იცავდნენ უსაფრთხოების სტანდარტებს, თავიდან იქნებოდა აცილებული აფეთქება და, შესაბამისად, ადამიანების გარდაცვალება.

ონერუილდიზის საქმიდან ასევე გამომდინარეობს, რომ უსაფრთხოების სტანდარტები და ტექნიკური მოთხოვნები არა მხოლოდ საფრთხის შემცველი საქმიანობის (მაგ., საწარმოს) ფუნქციონირების დაწყების პერიოდში უნდა დაკმაყოფილდეს, არამედ დროის გონივრული ინტერვალებით უნდა მოხდეს ამ სტანდარტებისა და მოთხოვნების დაცვის ზედამხედველობა ასეთი საქმიანობის მთელი პერიოდის განმავლობაში. შესაბამისი რეგულაციებით უნდა დადგინდეს ნაკლოვანებები საქმიანობის პროცესში და შეცდომები, რომლებიც დაშვებულ იქნა სხვადასხვა დონეზე პასუხისმგებელი პირების მიერ. ონერუილდიზის საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა შესაფერისი საზედამხედველო სისტემა.[304]

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, განსაზღვროს სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საქმიანობა (სფეროები) და დაადგინოს წესები, რომლებიც უზრუნველყოფს ასეთ საქმიანობასთან (სფეროებთან) დაკავშირებული საფრთხეების თავიდან აცილებას ან მინიმუმამდე შემცირებას. ამ წესებმა უნდა განსაზღვროს სიცოცხლისათვის პოტენციური საფრთხის შემცველი საქმიანობის ლიცენზირების, განხორციელების, მოქმედების და მასზე ზედამხედველობის წესი, რომელიც სავალდებულო უნდა იყოს ამგვარი საქმიანობის განმახორციელებელი როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დაწესებულებებისათვის, რათა მათ გადადგან პრაქტიკული ნაბიჯები და უზრუნველყონ ამ საფრთხეებისაგან პირთა ეფექტიანი დაცვა.

4.2.2. პრაქტიკული ღონისძიებების გატარების ვალდებულება სიცოცხლის უფლების დასაცავად

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარეობს არა მხოლოდ სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება, თავი შეიკავოს სიცოცხლის მოსპობისაგან, არამედ ასევე პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლე „კანონით“. მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია ითვალისწინებს სიცოცხლის დაცვას „კანონით“, ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლი უფრო ფართოდ განმარტა და მოიცვა არა მხოლოდ სახელმწიფოს ვალდებულება, მიიღოს კანონი, უფრო ზოგადად კი, შექმნას საკანონმდებლო ბაზა სიცოცხლის უფლების დასაცავად, არამედ დაადგინა ვალდებულება, გაატაროს ღონისძიებები, რომლებიც პრაქტიკაში უზრუნველყოფენ ამ უფლების ეფექტიან დაცვას.[305]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სახელმწიფომ უნდა „გაატაროს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები პირის სიცოცხლის დასაცავად, რომლის მიმართ არსებობს სხვა პირის მიერ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.“[306] სახელმწიფოს ვალდებულებას, გაატაროს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები პირის დასაცავად, რომლის სიცოცხლე საფრთხეშია, ხშირად სახელმწიფოს „პრევენციულ ოპერატიულ ვალდებულებად“ მოიხსენიებენ და ის გუ-

---

304 109-ე პუნქტი.

305 W. Schabas, The European Convention on Human Rights: A Commentary, 2015, 126; R. Turmen, “Right to Life” (Article 2), Bulletin des Droits de l’Homme, Nos.11/12, 2005, 56.

306 *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 28 ოქტომბერი, 1998 წელი, 115-ე პუნქტი.

ლისხმობს სახელმწიფოს მიერ ისეთი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას, რომლებიც მიმართული იქნება სიცოცხლის მოსპობის თავიდან აცილებისაკენ.[307]

ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების ვალდებულება სახელმწიფოს ეკისრება სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ „გარკვეულ კარგად განსაზღვრულ გარემოებებში“.[308]

პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფომ უნდა გაატაროს პირის სიცოცხლის დასაცავად, უნდა იყოს გონივრული. შესაბამისად, სახელმწიფოს ეკისრება ისეთი პრაქტიკული ღონისძიებების გატარების ვალდებულება, რომლებიც პირის სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად გონივრული იქნება.[309] ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)* – განაცხადა, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით არ არის შეუზღუდავი და სახელმწიფომ, პრიორიტეტებისა და რესურსების გათვალისწინებით, უნდა განსაზღვროს გასატარებელ ღონისძიებათა ხასიათი. კონვენცია სახელმწიფოსაგან მოითხოვს მხოლოდ ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც განხორციელებადია კონკრეტულ ვითარებაში. სასამართლოს პოზიციით, „ნებისმიერი პოზიტიური ვალდებულების ფარგლები უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ხელისუფლებას არ დააკისროს შეუძლებელი ან არათანაზომიერი ტვირთი“[310] და ამ ვალდებულებათა განმარტებისას უნდა იყოს გათვალისწინებული: ა) თანამედროვე საზოგადოებაში წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული სირთულეები; ბ) ადამიანის ქცევის არაპროგნოზირებადობა; და გ) ოპერატიული არჩევანი, რომელიც უნდა გაკეთდეს პრიორიტეტებსა და რესურსებთან მიმართებით.[311] შესაბამისად, ყველა საფრთხემ, რომლის არსებობასაც ამტკიცებენ, არ შეიძლება გაანაპირობოს ხელისუფლების მხრიდან ოპერატიული ღონისძიებების გატარება ამ საფრთხის სისრულეში მოყვანის თავიდან აცილებისათვის.[312]

ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)* – დაადგინა კრიტერიუმები, რომელთა

---

307 D. Xenos, The Positive Obligations of the State under the European Convention on Human Rights, 2012, 116-117.

308 იქვე.

309 *ვან კოლე გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Van Colle v. the United Kingdom),* 12 ნოემბერი, 2012 წელი, 88-ე პუნქტი; ასევე იხ. J. Herring, Domestic Abuse and Human Rights, 2020, 96-97.

310 ეს ტვირთი არ უნდა განიმარტოს ისე, თითქოს ის გამორიცხავს სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას სიცოცხლე, როდესაც საქმე ეხება დაფინანსების პრობლემას. E. K. Hnitidou, Beyond the Right to Life: The Right to Live in Dignity in the European Convention on Human Rights, Master Thesis, Faculty of Law, Lund University, 2016, 35-36.

311 *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 28 ოქტომბერი, 1998 წელი, 116-ე პუნქტი; *მაიორანო და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Maiorano and Others v. Italy)*, 15 დეკემბერი, 2009 წელი, 105-ე პუნქტი; *ტურლუიევა რუსეთის წინააღმდეგ (Turluyeva v. Russia)*, 20 ივნისი, 2013 წელი, 91-ე პუნქტი; *ავრუვაშიდოვა რუსეთის წინააღმდეგ (Abruvashidova v. Russia)*, 8 აპრილი, 2010 წელი, 74-ე პუნქტი; ასევე იხ. L.-A. Sicilianos, Preventing Violations of the Right to Life: Positive Obligations Under Article 2 of the ECHR, Cyprus Human Rights Law Review, vol. 3, 2014, 120.

312 *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom),* დიდი პალატა, 28 ოქტომბერი, 1998 წელი, 116-ე პუნქტი.

დაკმაყოფილების შემთხვევაში ჩაითვლება, რომ სახელმწიფომ შეასრულა შესაბამისი პრევენციული ოპერატიული ღონისძიების გატარების პოზიტიური ვალდებულება.[313] კერძოდ, სახელმწიფოს წარმოეშობა პრევენციული ოპერატიული ვალდებულება, თუ:

„ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა იდენტიფიცირებული პირის ან პირების სიცოცხლის მიმართ მესამე მხარის მიერ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის რეალური და მყისიერი საფრთხის არსებობის შესახებ და მან არ გაატარა ღონისძიებები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, რომლის მოლოდინიც, გონივრული შეფასებით, არსებობდა ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად“.[314]

პრევენციულ ღონისძიებებს შორის, რომლებიც უნდა გაატაროს სახელმწიფომ სიცოცხლის უფლების დასაცავად, არის საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საქმიანობის (სფეროს) შესახებ. საქმეზე – *ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ (Oneryildiz v. Turkey)* – ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრევენციულ ღონისძიებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უნდა მიენიჭოს „საზოგადოების უფლებას ინფორმაციაზე“ იმ საფრთხესთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება არსებობდეს მათი სიცოცხლისათვის.[315] მაგალითად, ბუნებრივი კატაკლიზმების შემთხვევაში, ეს მოიცავს გამაფრთხილებელი სისტემის არსებობას.

სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საქმიანობის (სფეროს) იდენტიფიცირება, რომელიც სახელმწიფოსაგან მოითხოვს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარებას, სახელმწიფოს კომპეტენციაა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პრაქტიკაში არაერთხელ დაადგინა, რომ, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების პოზიტიური ვალდებულება სახელმწიფოს ეკისრება სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ სხვადასხვა საქმიანობასთან (სფეროსთან) მიმართებით. სახელმწიფოს მიერ პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების ვალდებულება ვრცელდება არა მხოლოდ ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ ისეთ გარემოებებზე, რომლებიც მომდინარეობს სხვა პირისაგან, არამედ სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ ნებისმიერ საქმიანობაზე (სფეროზე). ის, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გაატაროს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ნებისმიერი საქმიანობის (სფეროს) მიმართ და არა მხოლოდ სხვა პირის მიერ სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში, დასტურდება ევროპული სასამართლოს პოზიციით, რომელიც მან გამოხატა საქმეზე – *ონერუილ-*

---

313 დიდი პალატა, 28 ოქტომბერი, 1998 წელი; ასევე იხ. J. Wright, The Operational Obligation under Article 2 of the European Convention on Human Rights and Challenges for Coherence – Views from the English Supreme Court and Strasbourg, Journal of European Tort Law, 2016, 7(1), 63-64.

314 116-ე პუნქტი; ასევე იხ. *პოლი და ოდრი ედვარდსები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom)*, 14 მარტი, 2002 წელი, 55-ე პუნქტი; *ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ (Opuz v. Turkey)*, 9 ივნისი, 2009 წელი, 129-ე პუნქტი; *მედოვა რუსეთის წინააღმდეგ (Medova v. Russia)*, 15 იანვარი, 2009 წელი, 96-ე პუნქტი; ასევე იხ.: L. McCamphill, The Right to Life Shall be Secured to Everyone by Law: The Extent to Which the European Court of Human Rights has Developed the Concept of Positive Obligations in Relation to Article 2, King's Student Law Review, No. 1, 2010, 106-107; W. Schabas, The European Convention on Human Rights: A Commentary, 2015, 127.

315 D. Xenos, Asserting the Right to Life (Article 2, ECHR) in the Context of Industry, German Law Journal, Vol. 8, No.3, March 2007, 242-243.

დიზი თურქეთის წინააღმდეგ (Oneryildiz v. Turkey). ამ საქმეზე მან განაცხადა, რომ მე-2 მუხლი გამოიყენება „ნებისმიერი საქმიანობის მიმართ, იქნება ეს საჯარო თუ კერძო, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს სიცოცხლის უფლებასთან".[316] ამ მოსაზრებიდან გამომდინარეობს, რომ ევროპულმა სასამართლომ არა მხოლოდ არ შეზღუდა საქმიანობა (სფეროები), რომლებშიც სახელმწიფოს ეკისრება პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების პოზიტიური ვალდებულება სიცოცხლის უფლების დასაცავად, არამედ მიუთითა, რომ ამოუწურავია საქმიანობები (სფეროები), რომლებზეც გავრცელდება სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს სიცოცხლის უფლების დაცვა.

აქედან გამომდინარეობს, რომ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების პოზიტიურ ვალდებულებას არა მხოლოდ ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ისეთ გარემოებების, რომლებიც მომდინარეობს სხვა პირისაგან, არამედ სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ნებისმიერი საქმიანობის (სფეროს) მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ევროპულმა სასამართლომ საკმაოდ ბევრ საქმიანობაზე (სფეროზე) გაავრცელა სახელმწიფოს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების პოზიტიური ვალდებულება, საკმარისი საფუძველია მტკიცებისათვის, რომ, ვინაიდან კონვენცია მიჩნეულია „ცოცხალ დოკუმენტად", მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება საქმიანობათა (სფეროთა) წრე, რომელთან მიმართებით ევროპული სასამართლო დაადგენს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების პოზიტიურ ვალდებულებას.

როგორც აღინიშნა, საქმეზე – *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)* – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში ჩაითვლება, რომ სახელმწიფომ შეასრულა შესაბამისი პრევენციული ოპერატიული ღონისძიების გატარების პოზიტიური ვალდებულება.[317] სახელმწიფოს მხოლოდ მაშინ წარმოეშობა პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების პოზიტიური ვალდებულება, თუ სახელმწიფომ „იცოდა ან უნდა სცოდნოდა იდენტიფიცირებული პირის ან პირების სიცოცხლის მიმართ მესამე მხარის მიერ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის რეალური და მყისიერი საფრთხის არსებობის შესახებ და მან არ გაატარა ღონისძიებები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, რომლის მოლოდინიც, გონივრული შეფასებით, არსებობდა ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად".[318]

ევროპული სასამართლოს მიერ *ოსმანის* საქმეზე დადგენილი კრიტერიუმების მიზანია, განსაზღვროს სახელმწიფოსათვის პოზიტიური ვალდებულების წარმოშობის პირობები და დაადგინოს, რა შემთხვევაში დაეკისრება სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სიცოცხლის უფლების დარღვევისათვის. კერძოდ, სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი კრიტერიუმები:

---

316 71-ე პუნქტი; ასევე იხ. საქმეები: *ილბეი ქემალოღლუ და მერიე ქემალოღლუ თურქეთის წინააღმდეგ (İlbeyi Kemaloglu and Meriye Kemaloglu v. Turkey)*, 10 აპრილი, 2012 წელი, 35-ე პუნქტი; *ბრინკატი და სხვები მალტის წინააღმდეგ (Brincat and Others v. Malta)*, 24 ივლისი, 2014 წელი, 101-ე პუნქტი; *ნენჩევა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (Nencheva and Others v. Bulgaria)*, 18 ივნისი, 2013 წელი, 106-ე პუნქტი.

317 J. Wright, The Operational Obligation under Article 2 of the European Convention on Human Rights and Challenges for Coherence – Views from the English Supreme Court and Strasbourg, Journal of European Tort Law, 2016, 7(1), 63-64.

318 116-ე პუნქტი.

ა) პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გასატარებლად სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი კრიტერიუმი (პირობა), რომელიც დადგენილია *ოსმანის* საქმეზე, არის ის, რომ უნდა არსებობდეს პირის სიცოცხლის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, რომელიც უნდა იყოს რეალური და მყისიერი. თუ სახელმწიფომ ჩათვალა, რომ პირის სიცოცხლისათვის არსებობს საფრთხე, მან უნდა გადადგას შესაბამისი ნაბიჯები ასეთი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. თუ ასეთი საფრთხე შედარებით მაღალია, სახელმწიფომ შედარებით მეტი უნდა გააკეთოს სიცოცხლის უფლების დასაცავად და, პირიქით, თუ ასეთი საფრთხე შედარებით მცირეა, მას მოეთხოვება შედარებით ნაკლები ნაბიჯების გადადგმა.

ბ) მეორე პირობაა ის, რომ საფრთხე უნდა ეხებოდეს იდენტიფიცირებულ პირს ან პირებს და, შესაბამისად, არ უნდა იყოს აბსტრაქტული.

გ) სახელმწიფოსათვის ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი პირობაა ისიც, რომ სახელმწიფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა კერძო პირის სიცოცხლისათვის მესამე მხრიდან მომდინარე საფრთხის შესახებ. ამ პირობას ხშირად მოიხსენიებენ როგორც „ცოდნის“ კრიტერიუმს (პირობას).[319] ამ პირობის მიხედვით, სახელმწიფოს მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმოეშვას პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების პოზიტიური ვალდებულება, როდესაც მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ პირის სიცოცხლეს ემუქრებოდა საფრთხე სხვა პირისაგან (მესამე მხარისაგან). თუ დადგინდა, რომ დაკმაყოფილდა „ცოდნის“ კრიტერიუმი, უნდა მოხდეს მომდევნო კრიტერიუმის დაკმაყოფილების შეფასება, კერძოდ, გადადგა თუ არა სახელმწიფომ შესაბამისი ნაბიჯები სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. აქედან გამომდინარე, თუ დადგინდა, რომ სახელმწიფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა პირის სიცოცხლისათვის საფრთხის არსებობის შესახებ, მაშინ სახელმწიფოს წარმოეშობა ოპერატიული ღონისძიებების გატარების პოზიტიური ვალდებულება, და პირიქით.[320]

დ) და ბოლო პირობაა, რომ სახელმწიფომ, მიუხედავად იმისა, იცოდა პირის სიცოცხლისათვის სისხლისსამართლებრივი დანაშაულის საფრთხის არსებობის შესახებ, არ გაატარა ღონისძიებები ასეთი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ეს უკანასკნელი პირობა მიუთითებს იმაზე, რომ უნდა არსებობდეს მიზეზშედეგობრივი კავშირი სახელმწიფოს უმოქმედობასა და სიცოცხლის მოსპობას შორის.[321]

ევროპული სასამართლოს მიერ ამ კრიტერიუმების დადგენამ იმასაც მოჰფინა ნათელი, რომ სახელმწიფო არ/ვერ იქნება პასუხისმგებელი სიცოცხლის ნებისმიერ მოსპობაზე.[322] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მხოლოდ მაშინ, თუ არ დაიცვა შესაბამისი პირობები, კერძოდ, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ კონკრეტული პირის სიცოცხლეს ემუქრებოდა საფრთხე სხვა პირისაგან და, მიუხედა-

---

319 B.C. Meyersfeld, *Opuz v Turkey*: Confirming the State Obligation to Combat Domestic Violence, in: Human Rights and Non-State Actors, A. Clapham (ed.), 2013, 223.

320 L. Lavrysen, The Scope of Rights and the Scope of Obligations: Positive Obligations, in: Shaping Rights in the ECHR: The Role of the European Court of Human Rights in Determining the Scope of Human Rights, E. Brems and J. Gerards (eds.), 2013, 169-170.

321 L.-A. Sicilianos, Preventing Violations of the Right to Life: Positive Obligations Under Article 2 of the ECHR, Cyprus Human Rights Law Review, vol. 3, 2014, 119.

322 J. Herring, Domestic Abuse and Human Rights, 2020, 87-88.

ვად ამისა, სახელმწიფომ არ გადადგა გონივრული ნაბიჯები ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში ყურადღება გაამახვილა პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების პოზიტიური ვალდებულების შესრულებაზე სხვადასხვა სიტუაციაში, კერძოდ იდენტიფიცირებული პირის სიცოცხლისათვის კერძო პირების (მესამე მხარის) მიერ საფრთხის შექმნის შემთხვევაში, ზოგადად საზოგადოების დასაცავად, თავისუფლებააღკვეთილი პირებისა და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების მიმართ, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, საფრთხის შემცველი საქმიანობის, ბუნებრივი კატაკლიზმებისა და უბედური შემთხვევების მიმართ, მიზანშეწონილია თითოეული მათგანის განხილვა.[323]

4.2.2.1. იდენტიფიცირებული პირის სიცოცხლის დაცვა სხვა კერძო პირისაგან (მესამე მხარისაგან) მომდინარე საფრთხის შემთხვევაში

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენცია, ძირითადად, მიმართულია სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის თავიდან აცილებისაკენ, ადამიანის სიცოცხლეს შეიძლება დაემუქროს საფრთხე არა მხოლოდ სახელმწიფოსაგან, არამედ კერძო პირებისაგან (მესამე მხარისაგან). ამიტომ ევროპულმა სასამართლომ ნათელი მოჰფინა იმას, რომ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, რომ „არა მხოლოდ თავი უნდა შეიკავოს სიცოცხლის განზრახი და უკანონო მოსპობისაგან, არამედ უნდა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირების სიცოცხლის დასაცავად“.[324] სახელმწიფოს ვალდებულებაა, არა მხოლოდ უზრუნველყოს ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დებულებების არსებობა, რაც პირს თავს შეაკავებინებს დანაშაულის ჩადენისაგან, რომელსაც ზურგს გაუმაგრებს აღსრულების მექანიზმი, რათა ასეთი დებულებების დარღვევა თავიდან იყოს აცილებული, აღკვეთილი და სანქცირებული,[325] ამასთანავე, კონვენციის მე-2 მუხლი ასევე მოითხოვს სახელმწიფოსაგან, „გაატაროს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები პირის სიცოცხლის დასაცავად, რომლის მიმართ არსებობს სხვა პირის მიერ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.“[326] აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას პირის სიცოცხლე, თუ საფრთხე მომდინარეობს არა მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენლიდან, არამედ კერძო პირისაგან. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, ვისგან მომდინარეობს სიცოცხლის მოსპობის საფრთხე, სახელმწიფოს ეკისრება სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება, პირის სიცოცხლის დარღვევისაკენ მიმართული პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების ჩათვლით.[327]

---

323 M. O’Boyle, Duty to Carry out an Effective Investigation under Article 2 of the ECHR, in: El Tribunal Europeo de Derechos Humanos: Una vision desde dentro, En homenaje al Juez Josep Casadevall, 2015, 216-217.

324 *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 28 ოქტომბერი, 1998 წელი, 115-ე პუნქტი.

325 იქვე; ასევე იხ. B. Dickson, The European Convention on Human Rights and the Conflict in Northern Ireland, 2010, 235.

326 იქვე; ასევე იხ. *კილიჩი თურქეთის წინააღმდეგ (Kilic v. Turkey)*, 26 მარტი, 2000 წელი, 62-ე პუნქტი.

327 J. Gerards, Right to Life, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, P. van Dijk, F. van Hoof, A. van Rijn and L. Zwaak (eds.), 5th ed. 2018, 372-373.

ევროპულმა სასამართლომ ამ ვალდებულებაზე პირველად იმსჯელა საქმეზე – *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)*,[328] რომელშიც მოსარჩელეები (გარდაცვლილის ცოლი და შვილი) ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ბ-ნი ოსმანის სიცოცხლის დაცვა, სხვა პირის (სკოლის მასწავლებლის) უკანონო მოქმედებისაგან.[329] ამ საქმის გარემოებების მიხედვით, სკოლის მასწავლებელს თავისი მოსწავლის (გარდაცვლილის შვილის) მიმართ გაუჩნდა არაჯანსაღი მიჯაჭვულობა. მოსწავლე გახდა სახიფათო ადევნების ობიექტი მასწავლებლის მხრიდან. მასწავლებელსა და ოსმანების ოჯახს შორის კონფლიქტის გამო, მასწავლებელმა სიცოცხლეს გამოასალმა მოსწავლის მამა, ხოლო თავად მოსწავლე მძიმედ დაჭრა.[330] ამ შემთხვევას წინ უსწრებდა მასწავლებლის მიერ ოსმანების ოჯახის საკუთრების დაზიანება, სკოლის ადმინისტრაციის მიერ მასწავლებლისათვის უფლებამოსილების შეჩერება, ისევე როგორც მუქარა სკოლის დირექტორის მოადგილის მიმართ. მიუხედავად ამ ფაქტებისა, პოლიციას არ გაუტარებია რაიმე ღონისძიება, რათა დაეცვა მსხვერპლის სიცოცხლე. მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ, ***inter alia***, მთავრობას არ გაუტარებია შესაფერისი ღონისძიებები მათი ოჯახის დასაცავად საფრთხისაგან, რომელიც მომდინარეობდა მასწავლებლის მხრიდან. ამ საქმეში ევროპულ სასამართლოს უნდა გაეცა პასუხი კითხვაზე – შეასრულა თუ არა სახელმწიფომ, კერძოდ კი პოლიციამ, თავისი მოვალეობა, დაეცვა პირი (პირები), რომლის (რომელთა) სიცოცხლე იყო საფრთხეში.[331]

როგორც უკვე აღინიშნა, ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე პირველად ჩამოაყალიბა სახელმწიფოს მიერ პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების პოზიტიური ვალდებულება და განსაზღვრა, რომ ეს ვალდებულება სახელმწიფოს წარმოეშობა, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის საფრთხის შესახებ და სახელმწიფომ არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად.[332]

სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დადგენის კრიტერიუმების განხილვის შემდეგ ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმის კონკრეტული გარემოებები და დაასკვნა, რომ ამ საქმეში მოსარჩელეებმა ვერ მიუთითეს მოვლენების განვითარების ვერცერთი ეტაპის შესახებ, როდესაც შეიძლებოდა იმის მტკიცება, რომ პოლიციამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ოსმანების ოჯახის წევრების სიცოცხლეს ემუქრებოდა სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის რეალური და მყისიერი საფრთხე მასწავლებლის მხრიდან.[333] შესაბამისად, სახელმწიფომ (პოლიციამ) არ იცოდა, რომ ოსმანების ოჯახის წევრებს ემუქრებოდათ რეალური და მყისიერი საფრთხე.

ამ გარემოების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს არ დაურღვევია კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებები, რადგან ჩათვალა, რომ მკვლელობის ნიშანი იყო ძალიან ბუნ-

---

328 დიდი პალატა, 1998 წლის 28 ოქტომბერი.

329 A. Carcano, Notable Cases of the European Court of Human Rights on the Right to Life: Materials and Analysis, 2021, 47-56.

330 იმავე დღეს, ოსმანების ოჯახში მომხდარი შემთხვევის შემდეგ, მასწავლებელმა ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა სკოლის დირექტორის მოადგილე, ხოლო მისი შვილი მოკლა.

331 114-ე პუნქტი.

332 116-ე პუნქტი.

333 121-ე პუნქტი; ასევე იხ. S. Hendin, The Evolution of the Right to Life by the European Court of Human Rights, Baltic Yearbook on International Law, Vol. 4, 2004, 80.

დოვანი და არადამაჯერებელი და რომ მუქარა არ იყო ოსმანების ოჯახისაკენ მიმართული.[334]

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ამ საქმეზე არ დაუდგენია კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა კერძო პირის (მესამე მხარის) მიერ სიცოცხლის უფლების დარღვევისათვის, ამ გადაწყვეტილებას დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განვითარებისათვის. კერძოდ, ამ გადაწყვეტილებით ევროპულმა სასამართლომ პირველად დაადგინა, რომ, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება კერძო პირის მიერ სხვა პირის სიცოცხლის უფლების დარღვევისათვის.

ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე – *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)* – დადგენილი კრიტერიუმები გახდა კერძო პირის (მესამე მხარის) მიერ სიცოცხლის უფლების დარღვევის თავიდან აცილების მიმართ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების სამართლებრივი შეფასების საფუძველი.[335] ევროპულმა სასამართლომ არაერთ სხვა საქმეზე გამოიყენა ამ საქმეზე დადგენილი კრიტერიუმები, რომელთა ნაწილი ეხება ოჯახში ძალადობას.[336]

ერთ-ერთი ასეთი საქმე, რომელშიც ევროპულმა სასამართლომ გამოიყენა ოსმანის კრიტერიუმები (ტესტი), არის *კონტროვა სლოვაკეთის წინააღმდეგ (Kontrova v. Slovakia)*. ეს საქმე ეხებოდა ოჯახში ძალადობას, რომლის შედეგად მოსარჩელის (დედის) ორი შვილი საკუთარმა მამამ გამოასალმა სიცოცხლეს.[337] ამ საქმეში მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მისი მეუღლე შეურაცხყოფას აყენებდა და სცემდა მას, რის გამოც მან 2002 წლის 2 ნოემბერს შეიტანა საჩივარი პოლიციაში. საჩივრის შეტანიდან დაახლოებით ორ კვირაში მოსარჩელე და მისი მეუღლე მივიდნენ პოლიციაში და სურდათ სარჩელის უკან გამოტანა. 2002 წლის 26-27 დეკემბრის ღამეს მოსარჩელის ნათესავმა გამოიძახა პოლიცია და აცნობა, რომ მოსარჩელის მეუღლე თოფით იყო შეიარაღებული და იმუქრებოდა თავისი შვილების მოკვლითა და თვითმკვლელობით. იმავე ღამეს მსგავსი შინაარსის სატელეფონო ზარი გააკეთა მოსარჩელემ. სატელეფონო ზარების შედეგად პოლიციამ გაგზავნა ეკიპაჟი ადგილზე, თუმცა მოსარჩელის ქმარმა დატოვა ადგილი პოლიციის მისვლამდე. 2002 წლის 27 დეკემბერს პოლიციამ განყოფილებაში დაიბარა მოსარჩელე, სადაც იგი გაესაუბრა პოლიციის ოფიცერს. რამდენიმე დღეში, კერძოდ 31 დეკემბერს, მოსარჩელე და მისი ძმა ასევე მივიდნენ პოლიციის განყოფილებაში და მოსარჩელე ასევე გაესაუბრა პოლიციის ოფიცერს. იმავე დღეს მოსარჩელის მეუღლემ მოკლა ორივე შვილი, შემდეგ კი თავი მოიკლა.[338]

ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ ტრაგედია მოხდა პოლიციის თანამშრომლების უმოქმედობის გამო და ისინი მსჯავრდებულ იქნენ უფლებამოსილების არაჯეროვანი შესრულების გამო. მოსარჩელე დავობდა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მისი შვილების სიცოცხლის დაცვა.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ იმისათვის, რათა წარმოიშვას სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უნდა დადგინდეს, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ

---

334 118-ე-120-ე პუნქტები.

335 F.C. Ebert and R.I. Silniensky, Preventing Violation of the Right to Life in the European and the Inter-American Human Rights Systems: From the *Osman* Test to a Coherent Doctrine on Risk Prevention? Human Rights Law Review, 2015, N15, 349.

336 R. Turmen, "Right to Life" (Article 2), Bulletin des Droits de l'Homme, Nos.11/12, 2005, 58.

337 31 მარტი, 2007 წელი.

338 მე-8-მე-14 პუნქტები.

არა მას, რომ მესამე მხარისაგან მომდინარეობდა სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის რეალური და მყისიერი საფრთხე სიცოცხლისათვის და გადადგა თუ არა მან ისეთი გონივრული ნაბიჯები, რომლებიც სიცოცხლის მოსპობის საფრთხეს თავიდან აიცილებდა.[339]

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის ოჯახური სიტუაცია ცნობილი იყო პოლიციისათვის 2002 წლის 2 ნოემბერს შეტანილი საჩივრისა და 2002 წლის 26-27 დეკემბერს, ღამით, განხორციელებული სატელეფონო ზარების შედეგად.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, პოლიცია ვალდებული იყო: დაერეგისტრირებინა მოსარჩელის საჩივარი, დაუყოვნებლივ დაეწყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება მომჩივნის მეუღლის წინააღმდეგ; სათანადო წესით აღერიცხა მოსარჩელისაგან მიღებული სატელეფონო ზარები და მომდევნო ცვლისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია მდგომარეობის შესახებ; გაეტარებინა ღონისძიებები იმ ბრალდებასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის ქმარს ჰქონდა იარაღი და იმუქრებოდა მისი გამოყენებით.[340] მიუხედავად კანონმდებლობით დადგენილი ასეთი მოთხოვნებისა, ეს ნაბიჯები არ გადადგმულა. საქმეზე ასევე დადგინდა, რომ მოსარჩელისათვის დახმარების აღმოჩენის ნაცვლად, პოლიციის ერთ-ერთი ოფიცერი ცდილობდა, მოსარჩელისა და მისი მეუღლისათვის შეეცვლევინებინა საჩივარი ისე, რომ წვრილმანი სამართალდარღვევების გამო შემდგომი ქმედებების საჭიროება აღარ დამდგარიყო.[341]

სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციამ ვერ უზრუნველყო საკუთარი ვალდებულებების შესრულება. ვინაიდან სახელმწიფოს მხრიდან უმოქმედობის პირდაპირი შედეგი იყო მოსარჩელის შვილების გარდაცვალება, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.[342]

საქმეზე – *ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ (Opuz v. Turkey)* – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობა სახელმწიფოს მიერ ოჯახში ძალადობასთან მიმართებით.[343] ამ საქმეზე ევროპულ სასამართლოს პირველად ჰქონდა მცდელობა, განესაზღვრა ოჯახში ძალადობა. სასამართლოს პოზიციით: „ოჯახში ძალადობის საკითხი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ან სიტყვიერი შეურაცხყოფის ჩათვლით, ... საერთო პრობლემაა, რომელიც ეხება ყველა წევრ სახელმწიფოს და რომელიც ყოველთვის არ არის ზედაპირზე, რადგან ის ხშირად ხდება პირად ურთიერთობებში ან დახურულ სივრცეში და ის არა მხოლოდ ქალებზე ახდენს გავლენას, სასამართლო ადასტურებს, რომ მამაკაცებიც ასევე შეიძლება გახდნენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი და, უდავოდ, ბავშვებიც ხშირად არიან ამ ფენომენის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მსხვერპლნი.“[344]

---

339 50-ე პუნქტი.

340 53-ე პუნქტი.

341 54-ე პუნქტი.

342 55-ე პუნქტი. T. Abdel-Monem, Opuz v. Turkey: Europe’s Landmark Judgment on Violence against Women, Human Rights Brief, 17(1), 2009, 2; J. Herring, Domestic Abuse and Human Rights, 2020, 94-95.

343 9 ივნისი, 2009 წელი; ასევე იხ. *ჰალიმე კილიჩი თურქეთის წინააღმდეგ (Halime Kilic v. Turkey)*, 28 ივნისი, 2016 წელი; ასევე A. Carcano, Notable Cases of the European Court of Human Rights on the Right to Life: Materials and Analysis, 2021, 69-71.

344 132-ე პუნქტი.

ამ საქმეში მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ თურქეთის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მისი და მისი დედის დაცვა საკუთარი ქმრისაგან მომდინარე ძალადობისაგან, რამაც გამოიწვია დედის გარდაცვალება. ძალადობის მსხვერპლის მდგომარეობა ცნობილი იყო სახელმწიფოსათვის, რადგან უბედურ შემთხვევამდე მოსარჩელემ (მოძალადის ცოლმა) და მოსარჩელის დედამ, როგორც მინიმუმ, შვიდჯერ შეიტანეს განცხადება თურქეთის კომპეტენტურ ორგანოებში, სადაც ამტკიცებდნენ, რომ მათი სიცოცხლე იყო საფრთხეში და სთხოვდნენ ამ ორგანოებს სათანადო ღონისძიებების გატარებას. ამ განცხადებებში მოსარჩელე და მისი დედა ამტკიცებდნენ, რომ იყვნენ ძალადობის მსხვერპლნი, კერძოდ, რომ მოძალადე ფიზიკურად არაერთხელ გაუსწორდა მათ, მან საკუთარ მეუღლეს ცივი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა,[345] ხოლო ერთხელ მოძალადე გამიზნულად დაეჯახა მანქანით მათ, როდესაც ისინი (მოსარჩელე და მისი დედა) ტროტუარზე გადაადგილდებოდნენ.[346]

თურქეთის მთავრობამ თითქმის არაფერი გააკეთა მოსარჩელისა და მისი დედის სიცოცხლის დასაცავად. მოსარჩელის დედის რამდენიმე თხოვნაზე, რომ დაეცვათ იგი, პოლიციამ და მაგისტრანტმა სასამართლომ მხოლოდ გამოკითხეს მოძალადე და გაათავისუფლეს იგი.[347] ამ ფაქტიდან ორი კვირის შემდეგ მოსარჩელის მეუღლემ მოკლა მოსარჩელის დედა.[348]

ევროპულ სასამართლოში თურქეთის მთავრობის პოზიცია იყო ის, რომ მოსარჩელე და მისი დედა თავად უწყობდნენ ხელს მოძალადის დაუსჯელობას, რადგან საჩივრები რამდენჯერმე უკან გაიხმეს. ამასთანავე, მთავრობის მტკიცებით, არაფერი მიუთითებდა, რომ ხდებოდა მათზე ზეწოლა საჩივრების გახმობის მიზნით.[349] თურქეთის პოზიციით, ვინაიდან არ არსებობდა მოძალადის წინააღმდეგ საკმარისი მტკიცებულებები, სახელმწიფო ვერ განაცალკევებდა მოსარჩელესა და მის მეუღლეს და გაასამართლებდა ამ უკანასკნელს, რადგან ამით დაირღვეოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ოჯახური ცხოვრების უფლება.[350]

ოსმანის საქმეზე დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა საქმეზე – *ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ (Opuz v. Turkey), კერძოდ,* განიხილა, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა ხელისუფლებას იდენტიფიცირებული პირის ან პირების სიცოცხლის მიმართ მესამე მხარის მიერ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის რეალური და მყისიერი საფრთხის არსებობის შესახებ და გაატარა თუ არა მან ღონისძიებები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, რომლის მოლოდინიც, გონივრული შეფასებით, არსებობდა ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად.[351]

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს შეეძლო, განეჭვრიტა სასიკვდილო თავდასხმა, რაც აკისრებდა პასუხისმგებლობას, გაეტარებინა შესაბამისი გონივრული ღონისძიებები ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად.[352] ევროპულმა

---

345 37-ე პუნქტი.

346 23-ე პუნქტი.

347 47-ე-52-ე პუნქტები.

348 54-ე პუნქტი.

349 122-ე-123-ე პუნქტები.

350 123-ე პუნქტი; ასევე იხ. C. Hanna, Health, Human Rights, and Violence against Women and Girls: Broadly Redefining Affirmative State Duties After Opuz v. Turkey, Hastings International and Comparative Law Review, 34(1), 2011, 139-140.

351 *ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ (Opuz v. Turkey)*, 9 ივნისი, 2009 წელი, 129-ე პუნქტი.

352 C. Hanna, Health, Human Rights, and Violence against Women and Girls: Broadly

სასამართლომ ასევე იმსჯელა იმ გარემოებებზე, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს სახელმწიფომ კონვენციის მე-2 (ისევე როგორც მე-8) მუხლის საფუძველზე ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევისას. სასამართლომ მიუთითა შემდეგ გარემოებებზე: სავარაუდო დანაშაულის სიმძიმე, მსხვერპლისათვის მიყენებული ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანი, იარაღის გამოყენება, მუქარის არსებობა, თავდასხმის დაგეგმვა, ძალადობის გავლენა (მათ შორის ფსიქოლოგიური) ოჯახში მცხოვრებ ბავშვებზე, ძალადობის განმეორების ალბათობის არსებობა, მუქარა მსხვერპლის ან ნებისმიერი შესაბამისი პირის ჯანმრთელობის ან უსაფრთხოების მიმართ, ოჯახის წევრების ურთიერთობის ისტორია, მათ შორის წარსულში ძალადობის შემთხვევა, სავარაუდო მოძალადის სისხლისსამართლებრივი წარსული, განსაკუთრებით ძალადობრივი ხასიათის.[353] თურქეთის ხელისუფლების მტკიცებაზე, რომ მათი მხრიდან რაიმე ნაბიჯის გადადგმა დაარღვევდა მსხვერპლის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ოჯახური ძალადობის საქმეებში კანონდამრღვევის უფლებები არ შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე მსხვერპლის სიცოცხლის უფლება და მისი ფიზიკური და გონებრივი ხელშეუხებლობის უფლება.[354]

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთმა ვერ შეასრულა პოზიტიური ვალდებულება, რითაც დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლი (ისევე როგორც მე-3 მუხლი, მე-14 მუხლთან მიმართებით).[355]

ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საქმეზე, რომელიც ეხებოდა პირის განთავისუფლებას პენიტენციური დაწესებულებიდან მისი გამოსვლის შემდგომი საფრთხის სათანადო შეფასების გარეშე. საქმის – *ბლანკო ტომასიჩი და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ (Branko Tomasic and Others v. Croatia)* – მოსარჩელეები იყვნენ დედისა (M.T.) და მისი შვილის (V.T.) ნათესავები, რომლებიც 2006 წლის აგვისტოში მოკლა საკუთარმა ქმარმა და მამამ (M.M.-მ).[356] საქმის გარემოებები შემდეგი იყო: M.M. ეჩხუბა ოჯახის წევრებს, რომლებთანაც ცხოვრობდა. ამის გამო M.M.-ს მოუწია სახლიდან წასვლა. M.M. ემუქრებოდა თავის მეუღლეს, რომ მოკლავდა მას და საკუთარ შვილს, თუ ისინი არ დაბრუნდებოდნენ მასთან. M.T.-ს საჩივრის შედეგად, 2006 წლის მარტში ეროვნულმა სასამართლომ M.M.-ს შეუფარდა სასჯელი საკუთარი მეუღლისა და შვილის მკვლელობის მუქარისათვის. მას მიესაჯა 5-თვიანი პატიმრობა და, იმავდროულად, დააკისრეს ვალდებულება, რომ პატიმრობის განმავლობაში, ისევე როგორც პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ, ჩაეტარებინა სავალდებულო ფსიქიატრიული მკურნალობა. ხორვატიის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა სასჯელის ის ნაწილი, რომლის მიხედვით, M.M.-ს უნდა გაეგრძელებინა ფსიქიატრიული მკურნალობა სასჯელის მოხდის

Redefining Affirmative State Duties After Opuz v. Turkey, Hastings International and Comparative Law Review, 34(1), 2011, 140-141.

353 138-ე პუნქტი; ასევე იხ. T. Abdel-Monem, Opuz v. Turkey: Europe's Landmark Judgment on Violence against Women, Human Rights Brief, 17(1), 2009, 2.

354 147-ე პუნქტი.

355 T. Abdel-Monem, Opuz v. Turkey: Europe's Landmark Judgment on Violence against Women, Human Rights Brief, 17(1), 2009, 1. ამ საქმეზე სასამართლომ დაადასტურა, რომ ოჯახში ძალადობა არის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ფორმა, რომელიც არღვევს კონვენციის მე-14 მუხლს, მე-2 და მე-3 მუხლთან მიმართებით. იხ. B.C. Meyersfeld, *Opuz v Turkey:* Confirming the State Obligation to Combat Domestic Violence, in: Human Rights and Non-State Actors, A. Clapham (ed.), 2013, 223.

356 15 იანვარი, 2009 წელი.

შემდეგ, რადგან ხორვატიის კანონმდებლობა ამას არ ითვალისწინებდა. შესაბამისად, M.M.-მ მოიხადა სასჯელი, რომლის განმავლობაში სათანადო ფსიქიატრიული მკურნალობა არ გაუვლია. იგი განთავისუფლდა 2006 წლის ივლისში, თუმცა მისთვის არ ჩაუტარებიათ ფსიქიატრიული შემოწმება უშუალოდ განთავისუფლებამდე, რათა შეფასებულიყო საფრთხე, შეიძლებოდა თუ არა, მას აღესრულებინა თავისი ადრინდელი მუქარა. 2006 წლის აგვისტოში მან სასიკვდილო გასროლა განახორციელა და მოკლა საკუთარი ცოლი და შვილი, რის შემდეგაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ არ გადადგა საჭირო და გონივრული ნაბიჯები იმისათვის, რათა M.M.-ს არ აღესრულებინა თავისი სასიკვდილო მუქარა საკუთარი მეუღლისა და შვილის მიმართ. კერძოდ, ევროპული სასამართლოს აზრით, ხორვატიამ არ მიაქცია სათანადო ყურადღება იმას, რომ M.M.-მ არ გამოავლინა თვითკრიტიკა ან მონანიება ჩადენილი დანაშაულის მიმართ და საჯაროდ განაცხადა, რომ აპირებდა M.T.-ს და V.T.-ს მოკვლას. ამას გარდა, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ, მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლომ გასცა ბრძანება M.M.-ის სავალდებულო ფსიქიატრიული მკურნალობის შესახებ პატიმრობის პერიოდში და მის შემდეგ, როგორც რეკომენდებული იყო ფსიქიატრის მიერ, სააპელაციო სასამართლომ შეამცირა ამ ღონისძიების ვადა მხოლოდ პატიმრობის პერიოდით, რადგან ხორვატიის კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სავალდებულო ფსიქიატრიულ მკურნალობას სასჯელის მოხდის შემდგომი პერიოდის განმავლობაში.[357] ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ხორვატიამ ვერ უზრუნველყო სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულების შესრულება.[358]

საქმე *ტალპისი იტალიის წინააღმდეგ (Talpis v. Italy)* ეხებოდა რუმინეთის მოქალაქე ქალბატონს, რომელიც ქმართან (A.T.) ერთად იტალიაში ცხოვრობდა. 2012 წლის ივნისში მან პოლიციაში შეიტანა საჩივარი, რომლის მიხედვით, მისი ალკოჰოლიკი ქმარი მას და მის შვილს სცემდა.[359] 2012 წლის აგვისტოში მოსარჩელეს თავს დაესხა მისი ქმარი დანით და აიძულა, წაჰყოლოდა, რათა სექსუალური კავშირი დაემყარებინა ქმრის მეგობრებთან. ქუჩაში მოსარჩელემ დახმარება სთხოვა პოლიციას, რომელმაც დააჯარიმა A.T. აკრძალული იარაღის ტარებისათვის, ხოლო მოსარჩელეს სთხოვა სახლში წასვლა. მოგვიანებით მოსარჩელე გადავიდა ძალადობის მსხვერპლი ქალების საცხოვრებელში, სადაც 3 თვე დაყო. ამის შემდეგ მას უწევდა ქუჩაში გათენება, მეგობართან ცხოვრება. მოგვიანებით მან იპოვა სამსახური და შეძლო ბინის დაქირავება. ამასობაში A.T. ახდენდა მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას, განსაკუთრებით ტელეფონით. 2012 წლის სექტემბერში მოსარჩელემ შეიტანა საჩივარი სხეულებრივი ზიანის, არასათანადო მოპყრობისა და ძალადობის მუქარის გამო და მოითხოვდა დაუყოვნებლივი ღონისძიებების გატარებას მისი და მისი შვილების დასაცავად. 2013 წლის აპრილში მოსარჩელე პირველად დაკითხეს, თუმცა მან შეცვალა ჩვენება. 2013 წლის აგვისტოში საქმე არასათანადო მოპყრობისა და ძალადობის მუქარის შესახებ დაიხურა. 2013 წლის ნოემბერში მოსარჩელეს მოუვიდა მორიგი კონფლიქტი, რის გამო გამოიძახა პოლიცია, რომელმაც A.T. გადაიყვანა საავადმყოფოში ინტოქსიკაციის მდგომარეობაში. საავადმყოფოდან განთავისუფლებული A.T. სამზარეულოს დანით მივიდა მოსარჩელის ბინაში და თავს დაესხა ცოლს. დაპირისპირების დროს A.T.-მ დანა დაარტყა თავის შვილს, რომელსაც უნდოდა დედის დაცვა და რომელიც

---

357 59-ე-მე-60 პუნქტები.

358 61-ე პუნქტი. ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით ასევე იხ. *საქმე ჩივეკი თურქეთის წინააღმდეგ (Civek v. Turkey),* 23 თებერვალი, 2016 წელი.

359 2 მარტი, 2017 წელი.

ჭრილობისაგან გარდაიცვალა, ხოლო საკუთარ ცოლს მიაყენა რამდენიმე ჭრილობა, როდესაც ის ცდილობდა მიმალვას. 2015 წლის იანვარში A.T.-ს მიუსაჯეს სამუდამო პატიმრობა საკუთარი შვილის სიცოცხლის მოსპობისა და ცოლის მკვლელობის მცდელობის გამო, ასევე აკრძალული იარაღის ტარებისა და მოსარჩელისა და მისი შვილის მიმართ არასათანადო მოპყრობისათვის.

ევროპული სასამართლოს წინაშე მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ვალდებულების შესრულება, რათა დაეცვა იგი ძალადობისაგან, რასაც შედეგად მოჰყვა მისი შვილის სიკვდილი და მისი მკვლელობის მცდელობა.

ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მოსარჩელის დაცვა და რომ 2012 წელს, პირველად საჩივრის შეტანიდან შვიდი თვის განმავლობაში, არც კი დაკითხულა იგი. ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სახელმწიფომ ვერ შეაფასა მოსარჩელის მიმართ არსებული საფრთხეები, მათ შორის ფიზიკური თავდასხმისა. სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან პოლიციას უნდა სცოდნოდა, A.T. საფრთხე იყო მოსარჩელისათვის, საფრთხის სისრულეში მოყვანა არ უნდა ყოფილიყო გამორიცხული. შესაბამისად, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სათანადო ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც მოსარჩელისა და მისი შვილის სიცოცხლისათვის შექმნილი საფრთხის სისრულეში მოყვანას თავიდან აიცილებდა. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.[360]

საქმე *თერშანა ალბანეთის წინააღმდეგ (Tershana v. Albania)* ეხებოდა 2009 წელს მოსარჩელეზე თავდასხმას გოგირდმჟავით.[361] მოსარჩელეს ჰქონდა ეჭვი, რომ ამ ფაქტის უკან იდგა მისი ყოფილი ქმარი, რომელსაც მან ბრალი დასდო ძალადობაში. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ ალბანეთის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მისი დაცვა თავდასხმისაგან და რომ მან ვერ ჩაატარა საქმის ეფექტიანი გამოძიება სამართალდამრღვევის იდენტიფიცირების, დევნისა და დასჯისათვის.

ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა სახელმწიფოს მიერ პრევენციული ოპერატიული ღონისძიების გატარების ვალდებულების დარღვევა და მიუთითა, რომ ალბანეთს არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა თავდასხმისათვის. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ, თუ სახელმწიფოს ეცოდინებოდა მოსარჩელისათვის არსებული საფრთხის შესახებ, ის ვალდებული იქნებოდა, გაეტარებინა პრევენციული ღონისძიებები. სასამართლოს აზრით, ამ საქმეში სახელმწიფომ შეიტყო მოსარჩელის ყოფილი ქმრის ძალადობრივი მოქმედების შესახებ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდა თავდასხმა.[362]

საქმე *კურტი ავსტრიის წინააღმდეგ (Kurt v. Austria)* ეხებოდა მოსარჩელის მტკიცებას, რომ ავსტრიამ ვერ უზრუნველყო მისი და მისი შვილების დაცვა მოძალადე ქმრისაგან, რომლის მოქმედებამ გამოიწვია შვილის სიცოცხლის მოსპობა.[363]

ოსმანის საქმეზე დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, ევროპულმა სასამართლომ *კურტის* საქმით ნათელი მოჰფინა ოჯახში ძალადობის საქმეებთან მიმართებით კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე ზოგად პრინციპებს და კიდევ უფრო დააზუსტა სახელმწიფოს ვალდებულებანი ამ ტიპის საქმეებზე. კერძოდ, ევროპულმა სა-

---

360 124-ე-125-ე პუნქტები; ასევე იხ. A. Carcano, Notable Cases of the European Court of Human Rights on the Right to Life: Materials and Analysis, 2021, 57.

361 4 აგვისტო, 2020 წელი.

362 151-ე პუნქტი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში, ვინაიდან სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ეფექტიანი გამოძიების ჩატარება.

363 დიდი პალატა, 15 ივნისი, 2021 წელი.

სამართლომ დაადასტურა, რომ ხელისუფლებას ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ განცხადებაზე სწრაფი რეაგირება და რომ მან განსაკუთრებული გულმოდგინება უნდა გამოიჩინოს ასეთ საქმეებთან მიმართებით. მისი აზრით, ხელისუფლებამ უნდა დაადგინოს, არსებობდა თუ არა ერთი ან რამდენიმე იდენტიფიცირებული პირის სიცოცხლის მიმართ რეალური და მყისიერი საფრთხე. ამისათვის სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, მოახდინოს საფრთხის შეფასება, რომელიც უნდა იყოს დამოუკიდებელი, პროაქტიური და ყოვლისმომცველი.[364] სასამართლოს პოზიციით, ხელისუფლებამ უნდა შეაფასოს, რამდენად რეალური და მყისიერია საფრთხე ოჯახში ძალადობის საქმეების სპეციალური კონტექსტის გათვალისწინებით. თუ საფრთხის შეფასების შედეგია ის, რომ სიცოცხლისათვის საფრთხე არის რეალური და მყისიერი, ხელისუფლების ვალდებულებაა, დაიწყოს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარება. სასამართლოს პოზიციით, ასეთი ღონისძიებები უნდა შეფასდეს საფრთხის ხარისხის ადეკვატურად და თანაზომიერად.

აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ოჯახში ძალადობის საქმეებთან მიმართებით პოზიტიური ვალდებულების შესასრულებლად სახელმწიფომ უნდა გადადგას შემდეგი ნაბიჯები, კერძოდ:

ა) დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს რეაგირება შეტყობინებაზე ოჯახში ძალადობის შესახებ;

ბ) როდესაც ასეთი შეტყობინება გახდება მისთვის ცნობილი, მან უნდა დაადგინოს, არსებობდა თუ არა ერთი ან რამდენიმე იდენტიფიცირებული პირის სიცოცხლის მიმართ რეალური და მყისიერი საფრთხე. ამისათვის სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, მოახდინოს საფრთხის დამოუკიდებელი, პროაქტიური და ყოვლისმომცველი შეფასება. სახელმწიფომ უნდა შეაფასოს, რამდენად რეალური და მყისიერია საფრთხე ოჯახში ძალადობის საქმეების სპეციალური კონტექსტის გათვალისწინებით;

გ) თუ საფრთხის შეფასებიდან გამოვლინდა, რომ სიცოცხლისათვის საფრთხე არის რეალური და მყისიერი, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პრევენციული ოპერატიული და დაცვითი ღონისძიებების გატარება. ასეთი ღონისძიებები უნდა იყოს საფრთხის ხარისხის შესაფერისი და თანაზომიერი.

ამ საქმეზე ევროპული სასამართლო დაეთანხმა მოპასუხე სახელმწიფოს, რომ შეფასების დროს არსებული ინფორმაციის საფუძველზე არ იყო მოსარჩელის შვილის მიმართ შემდგომი ძალადობის რეალური და მყისიერი საფრთხის ნიშნები, გარდა იმ ტერიტორიისა, რომელზეც გაიცა შემაკავებელი ორდერი, მით უფრო, არ არსებობდა სიცოცხლის მოსპობის საფრთხე.

ევროპული სასამართლოს პოზიციით, ვინაიდან არ გამოკვეთილა ბავშვების სიცოცხლის მოსპობის რეალური და მყისიერი საფრთხე, ხელისუფლებას არ ეკისრებოდა ვალდებულება, გაეტარებინა დამატებითი პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები კონკრეტულად მოსარჩელის შვილების მიმართ, იქნებოდა ეს კერძო თუ საჯარო ადგილებში, როგორიცაა შემაკავებელი ორდერის გაცემა ბავშვების სკოლასთან მიმართებით. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს არ დაურღვევია კონვენციის მე-2 მუხლი.[365]

საქმეზე – *კურტი ავსტრიის წინააღმდეგ (Kurt v. Austria)* – მიღებულმა გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო განავითარა ევროპული სასამართლოს მიდგომა ოჯახში

364 168-ე-171-ე პუნქტები.

365 212-ე პუნქტი.

ძალადობასთან დაკავშირებული საქმეების მიმართ და მან დაიწყო სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დაზუსტებული კრიტერიუმების გამოყენება მის მომდევნო საქმეებზე.

საქმე *Y და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (Y and Others v. Bulgaria)* ეხებოდა სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობას, ქმრის მიერ ცოლის (ქ-ნი ვ.) მკვლელობის გამო. ქ-ნი ვ. 9 თვის განმავლობაში ამტკიცებდა შესაბამისი ორგანოების წინაშე, რომ ქმარი ძალადობდა მასზე, მათ შორის, ემუქრებოდა ცეცხლსასროლი იარაღით.

ევროპულმა სასამართლომ *კურტი ავსტრიის წინააღმდეგ* საქმეზე დადგენილი კრიტერიუმებით შეაფასა ეს საქმე და აღნიშნა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს შეეძლო, როგორც პრევენციული ღონისძიება, გადაედგა რიგი ნაბიჯებისა, მათ შორის ჩამოერთვა ქ-ნი ვ.-ს ქმრისათვის ცეცხლსასროლი იარაღი და წარედგინა ბრალდება იარაღის უკანონო ტარებისათვის, მისი ქმარი დაეკავებინათ და ბრალდება წარედგინათ ქ-ნი ვ.-ს მიმართ დაცვითი ორდერის პირობების დარღვევისათვის ან ქ-ნი ვ.-სათვის უზრუნველეყოთ პოლიციის მიერ რაიმე სახის დაცვა, განსაკუთრებით მისი ბოლოდროინდელი საჩივრების გათვალისწინებით.[366] სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფომ არ გაატარა რაიმე გონივრული ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნებოდა ქ-ნი ვ.-ს სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან აცილებისაკენ, რის გამოც დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.[367]

მართალია, აქამდე განხილული საქმეების დიდი ნაწილი ეხებოდა ოჯახში ძალადობას, ევროპულმა სასამართლომ არაერთი სხვა საქმე განიხილა, რომლებიც ეხებოდა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულებას სხვა პირისაგან მომდინარე სიცოცხლისათვის საფრთხის შესახებ.

საქმე *A და B რუმინეთის წინააღმდეგ (A and B v. Romania)* ეხებოდა კორუფციასთან დაკავშირებული გახმაურებული საქმის მოწმეებს. ეს პირები, როგორც საქმის მოწმეები, სახელმწიფომ ჩასვა მოწმეთა დაცვის პროგრამაში. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მოწმეთა დაცვის პროგრამა იყო არაეფექტიანი და რეალურად არ უზრუნველყოფდა მათ დაცვას.[368]

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ, გახდა თუ არა ცნობილი, მოსარჩელეების, როგორც მოწმეების, მიმართ არსებობდა სიცოცხლის მოსპობის საფრთხე, სახელმწიფომ უზრუნველყო მათი დაცვა. ბრძანებამ მოსარჩელეთა დაცვის შესახებ გაითვალისწინა რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც უნდა გატარებულიყო მოსარჩელეების, როგორც მოწმეთა, მიმართ, კერძოდ, იმავე დღეს მიღებული იქნა სამოქმედო გეგმა, დაიწყო მოლაპარაკება დაცვის დეტალებზე და გამოიყო პირთა ორი ჯგუფი, რომლებსაც უნდა უზრუნველეყო მოსარჩელეთა დაცვა.

დაცვის პროცესი არ იყო უხარვეზო, თუმცა, მიუხედავად ამისა, სახელმწიფომ მოახდინა სწრაფი რეაგირება და გამოასწორა ხარვეზები. აღსანიშნავია, რომ, ხარვეზების მიუხედავად, დაცვის პერიოდის განმავლობაში არ მომხდარა რაიმე თავდასხმა მოსარჩელეებზე. დაცვის უზრუნველყოფაში დაშვებული ხარვეზების გამო მოსარჩელეები იყვნენ უკმაყოფილო დაცვის ხარისხით, რამაც მოახდინა კონფლიქტის ესკალაცია და ნდობის დაკარგვა მოსარჩელეებსა და პოლიციას შორის. სასამართლოს აზრით, ეს არ ამართლებს მოსარჩელეების, როგორც მოწმეების, პროვოკაციულ მოქმე-

366 117-ე პუნქტი.

367 111-ე პუნქტი.

368 2 ივნისი, 2020 წელი; ასევე იხ. *R.R. უნგრეთის წინააღმდეგ (R.R. v. Hungary)*, 4 დეკემბერი, 2012 წელი.

დებას და თავიანთი პასუხისმგებლობის იგნორირებას დაცვის მიმართ. მოსარჩელეები რეგულარულად არ ასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებებს და არღვევდნენ დაცვის პროტოკოლს. ხშირად მათი ქცევა პოლიციის მიმართ იყო შეუფერებელი და ისინი იყენებდნენ კიდეც შეურაცხმყოფელ ენას პოლიციის მიმართ. ამასთანავე, მოსარჩელეები თავიანთი მოქმედებით სოციალურ მედიაში და ტელევიზიით საფრთხეს უქმნიდნენ თავიანთ, როგორც დაცვის პროგრამაში მონაწილე პირთა, სტატუსს.

საქმის გარემოებების შეფასებისას, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, კანონმდებლობა ითვალისწინებდა იმ პირების ამორიცხვას მოწმეთა დაცვის პროგრამიდან, რომლებიც არ ასრულებდნენ შესაბამის პირობებს და არ თანამშრომლობდნენ პოლიციასთან, სახელმწიფომ ყველაფერი გააკეთა, რაც მას შეეძლო, რათა დაეცვა მოსარჩელეთა სიცოცხლე. ამის გამო ევროპულ სასამართლოს არ დაუდგენია კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.[369] ამ საქმიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფომ უნდა გაატაროს შესაფერისი ღონისძიებები, რათა უზრუნველყოს იმ პირების, როგორც მოწმეების, დაცვა, რომელთა სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე.

ასევე საინტერესოა საკითხი, წარმოეშობა თუ არა სახელმწიფოს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების პოზიტიური ვალდებულება, როდესაც პირის სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე არა სხვა პირისაგან, არამედ საკუთარი თავისაგან, კერძოდ, თვითმკვლელობის გზით. ევროპულმა სასამართლომ ნათელი მოჰფინა ამ საკითხს საქმეზე – *მიხაილ მამადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Mikayil Mammadov v. Azerbaijan)*, რომელშიც მოსარჩელის ცოლმა ცადა თვითმკვლელობა აალებადი სითხის თავზე გადასხმითა და ცეცხლის მოკიდებით, ხოლო მიღებული დამწვრობის გამო რამდენიმე დღეში იგი გარდაიცვალა.[370] მან ეს გააკეთა პოლიციის ოპერაციის საპასუხოდ იმ ადმინისტრაციული შენობიდან გამოსახლების გამო, რომელშიც იგი და მისი ოჯახი ნებართვის გარეშე ცხოვრობდნენ. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ოპერაციის მიზანი იყო მოსარჩელის ოჯახის გამოყვანა შენობიდან, მაგრამ არ უნდა ჩაითვალოს, რომ ხელისუფლებამ განზრახ შეუქმნა მოსარჩელის ცოლის სიცოცხლეს საფრთხე ან სხვაგვარად განაპირობა, რომ მას ჩაედინა თვითმკვლელობა. სასამართლომ განაცხადა, რომ თვითმკვლელობა, როგორც პროტესტის ტაქტიკა, არ არის განჭვრეტადი და გონივრული საქციელი, უკანონოდ დაკავებული ფართიდან გამოსახლების კონტექსტში, მაშინაც კი, როდესაც საქმე ეხება მოსახლეობის განსაკუთრებით მოწყვლად კატეგორიას, როგორებიც არიან ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები.[371]

ევროპული სასამართლოს წინაშე დაისვა საკითხი, იყო თუ არა სახელმწიფო პასუხისმგებელი იმაზე, რომ მოსარჩელის ცოლის სიცოცხლეს შეექმნა საფრთხე და, შესაბამისად, ეკისრებოდა თუ არა სახელმწიფოს პრევენციული ოპერატიული ღონისძიების გატარების ვალდებულება. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ აუცილებელია იმის განსაზღვრა, შექმნილმა სიტუაციამ წარმოშვა თუ არა სახელმწიფოსათვის პრევენციული ოპერატიული ღონისძიების გატარების პოზიტიური ვალდებულება კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, საკუთრივ, ამ ოპერაციის მიმდინარეობის დროს სახელმწიფოს წარმომადგენლებმა იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ თუ არა, რომ ჩიჩეკ მამადოვმა შექმნა თვითმკვლელობის რეალური და მყისიერი საფრთხე და, თუ ასეა, სახელმწიფოს წარმომადგენლებმა გადადგეს თუ არა ყველა გონივრული ნაბიჯი, რომლებიც მათ უნდა გადაედგათ ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად.[372]

---

369 135-ე პუნქტი.

370 17 დეკემბერი, 2009 წელი.

371 111-ე პუნქტი.

372 113-ე პუნქტი.

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სიტუაციაში, რომელშიც პირი იმუქრება, რომ თვითმკვლელობით დაასრულებს სიცოცხლეს სახელმწიფოს წარმომადგენლების თვალწინ და, მითუმეტეს, სადაც ასეთი მუქარა სახელმწიფოს წარმომადგენლების მოქმედებით ან მოთხოვნით გამოწვეული პირდაპირი ემოციური რეაქციაა, სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს ასეთი მუქარის მიმართ უდიდესი ყურადღება, როგორც მყისიერი საფრთხე პირის სიცოცხლისათვის, მიუხედავად იმისა, როგორი მოულოდნელიც არ უნდა ყოფილიყო ეს მუქარა.[373]

საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ არ ჩათვალა, რომ სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლი არსებით ნაწილში. სასამართლომ მიუთითა, რომ, „თუ სახელმწიფოს წარმომადგენლებისათვის საკმარისი დროით ადრე გახდება ცნობილი ასეთი საფრთხის შესახებ, მე-2 მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს წარმოეშობა პოზიტიური ვალდებულება, რომელიც მისგან მოითხოვს, რომ თავიდან აიცილოს ამ საფრთხის სისრულეში მოყვანა ნებისმიერი იმ საშუალებით, რომელიც გონივრული და მიზანშეწონილია მოცემულ გარემოებებში.“[374] ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ განასხვავა საქმეში მოცემული სიტუაცია პენიტენციურ დაწესებულებაში პირის გარდაცვალების სიტუაციისაგან, რომელშიც სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, წარმოადგინოს დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი განმარტება, რომელიც წინ უძღოდა პირის გარდაცვალებას. პენიტენციურ დაწესებულებაში პირის გარდაცვალების მიმართ განსხვავებული პოზიცია განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ასეთ დაწესებულებაში სახელმწიფო ახორციელებს კონტროლის მაღალ ხარისხს.[375] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.[376]

საქმე *ტაგიევა აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Tagiyeva v. Azerbaijan)* ეხებოდა მოსარჩელის ქმრის მკვლელობას, რომელიც ცნობილი მწერალი და საგაზეთო რუბრიკის რედაქტორი იყო.[377] 2006 წელს მან გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ევროპა და ჩვენ“, რომელშიც გამოხატავდა კრიტიკულ შეხედულებას ისლამზე. ამის გამო აზერბაიჯანისა და ირანის რელიგიურმა ლიდერებმა და ჯგუფებმა საჯაროდ გააკრიტიკეს მწერალი. ამასთანავე, ირანის ერთ-ერთმა ცნობილმა რელიგიურმა ლიდერმა გასცა რელიგიური ფეტვა, რომლითაც მოუწოდა მოსარჩელის ქმრის სიცოცხლის მოსპობისაკენ.[378] საგაზეთო პუბლიკაციამ გამოიწვია პროტესტი ირანში, აზერბაიჯანის საელჩოსა და საკონსულოს წინ. მოსარჩელის ქმარს შეუფარდეს სასჯელი გამოქვეყნებული სტატიის გამო (ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური შუღლისა და სიძულვილის გაღვივებისათვის, რომელიც ჩადენილია საჯაროდ ან მედიასაშუალებით). 2007 წელს პრეზიდენტმა შეიწყალა მოსარჩელის ქმარი და გაათავისუფლა იგი ციხიდან.[379]

---

373 115-ე პუნქტი.

374 იქვე.

375 115-ე პუნქტი.

376 121-ე პუნქტი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში; ასევე S. Kyrkos, Suicide in the Military as a Breach of the Rights to Life, Under the Provisions of Article 2 of the European Convention on Human Rights and Fundamental Freedoms, http://ssrn.com/abstract=2836637, p. 7-8.

377 7 ივლისი, 2022 წელი.

378 მე-7 პუნქტი.

379 მე-10 და მე-11 პუნქტები.

ციხიდან განთავისუფლების შემდეგ მოსარჩელის ქმარმა განაგრძო სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთთან თანამშრომლობა და 2011 წლის 10 ნოემბერს გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ირანი და გლობალიზაციის გარდაუვალობა“, რომელშიც გააკრიტიკა ირანის სახელმწიფოს რელიგიური და ტოტალიტარული ბუნება და მისი გლობალური პოლიტიკა. 2011 წლის 19 ნოემბერს უცნობმა პირმა მოსარჩელის ქმარს დანით მიაყენა ჭრილობა, რის გამოც რამდენიმე დღეში იგი გარდაიცვალა.[380]

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ განიხილა რელიგიური ფეტვა, რომელიც გაიცა მოსარჩელის ქმრის მიმართ 2006 წელს გამოქვეყნებული სტატიის გამო და პროტესტი, რომელიც მას მოჰყვა. სასამართლომ არ გამორიცხა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, იმ რელიგიური ლიდერის მიერ გაცემულმა ფეტვამ, რომელიც სარგებლობს დიდი რელიგიური და პოლიტიკური გავლენით საზოგადოებაში, შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფოს ვალდებულება, გაატაროს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები. მიუხედავად ამისა, ევროპული სასამართლო მხოლოდ ზემოაღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე ვერ დარწმუნდა, რომ კონკრეტულ სიტუაციაში სახელმწიფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ შესაბამის დროს, კერძოდ, 2011 წლის 19 ნოემბრის წინა დღეებში, არსებობდა მესამე მხარის მიერ მოსარჩელის ქმრის სიცოცხლისათვის სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის რეალური და მყისიერი საფრთხე.[381]

ევროპული სასამართლოს აზრით, საქმის მასალებში არსებული ინფორმაცია არ მიუთითებდა, რომ სამართალდამცავი ორგანოები იყვნენ ინფორმირებულნი მოსარჩელის ქმრის სიცოცხლისათვის არსებული საფრთხის შესახებ, ან რომ მათ ჰქონდათ რაიმე ისეთი ინფორმაცია, რომელსაც შეეძლო დაეშვა ასეთი შესაძლებლობა. ამასთანავე, მოსარჩელის ქმარს, მის დაჭრამდე, არასოდეს მიუმართავს შესაბამისი ორგანოებისათვის ან შეუტყობინებია მისი სიცოცხლისათვის საფრთხის ან მუქარის შესახებ. მას არ მიუღია რაიმე სიტყვიერი მუქარა და არ მომხდარა მისი დაშინება, რომ არაფერი ითქვას ფიზიკურ ძალადობაზე იმ პუბლიკაციებთან დაკავშირებით, რომლებიც მან გამოაქვეყნა ციხიდან განთავისუფლების შემდეგ.[382]

ევროპული სასამართლოს აზრით, უსაფუძვლო იქნება დასკვნა, რომ შესაბამის დროს სახელმწიფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მოსარჩელის ქმრის სიცოცხლის მიმართ რეალური და მყისიერი საფრთხის არსებობის შესახებ. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-2 მუხლი არსებით ნაწილში.[383]

საქმე *ოლევნიკი-ჩიეპლინსკა და ოლევნიკი პოლონეთის წინააღმდეგ (Olewnik-Cieplińska and Olewnik v. Poland)* ეხებოდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას გამოსასყიდის მიღების მიზნით პირის გატაცებაზე არასაკმარისი რეაგირების გამო.[384] მოსარჩელეთა ოჯახის წევრი გაიტაცეს უცნობმა პირებმა 2001 წლის ოქტომბერში და მოითხოვეს გამოსასყიდი. გატაცებული თითქმის ორი წლის განმავლობაში ჰყავდათ მძევლად. იგი გამოასალმეს სიცოცხლეს მას შემდეგ, რაც 2003 წელს მიიღეს გამოსასყიდი. გატაცებისა და მკვლელობის გარემოებები ცნობილი გახდა 2005 წლის

---

380 მე-14 და მე-15 პუნქტები.

381 63-ე პუნქტი.

382 65-ე პუნქტი.

383 67-ე პუნქტი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში; ასევე იხ. *საკინე ეპოზდემირი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Sakine Epozdemir and Others v. Turkey)*, 1 დეკემბერი, 2015 წელი.

384 5 სექტემბერი, 2019 წელი.

ნოემბერში, როდესაც მოწმემ დაასახელა გამტაცებლები. 2006 წლის ოქტომბერში ცნობილი გახდა ადგილი, სადაც გატაცებულის გვამი დამარხეს. 2008 წლის მარტში ათ პირს შეუფარდეს სასჯელი დანაშაულებრივ დაჯგუფებაში მონაწილეობისათვის, რომელიც შეიქმნა მსხვერპლის მოტაცების განზრახვით. აქედან ორ პირს შეუფარდეს სასჯელი მკვლელობისათვის და მათ მიესაჯათ სამუდამო პატიმრობა, რასაც საფუძვლად ედო, ძირითადად, მათი აღიარებითი ჩვენება.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოსასყიდის მიღების მიზნით პირის გატაცების შემთხვევაში, არსებობს პრეზუმფცია, რომ მსხვერპლის სიცოცხლე და ჯანმრთელობა არის საფრთხეში (ამ საქმეზე სახელმწიფო უარყოფდა, რომ გატაცებულის სიცოცხლეს ემუქრებოდა საფრთხე).[385] სასამართლოს აზრით, გატაცებულის სიცოცხლისათვის საფრთხის არსებობას მკაფიოდ ადასტურებდა ის წერილები, რომლებიც მიიღო გატაცებულის ოჯახმა და პოლიციამ და ეს საფრთხე არ მცირდებოდა დროის გასვლასთან ერთად, არამედ პირიქით, იზრდებოდა. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მსხვერპლის გაუჩინარების მომენტიდან სახელმწიფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ არსებობდა რეალური და მყისიერი საფრთხე მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ამის გამო, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება მოითხოვდა, რომ მას ყველაფერი გაეკეთებინა, რაც გონივრული იქნებოდა შეძლებისდაგვარად მცირე დროში მსხვერპლის მიგნებისა და გატაცებაზე პასუხისმგებელი დამნაშავეების იდენტიფიცირებისათვის.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიციამ დაუშვა რიგი სერიოზული შეცდომებისა, რომლებმაც განაპირობა გატაცების შესახებ საქმის გამოძიების წარუმატებლობა. ეს შეცდომები მოიცავდა იმას, რომ მტკიცებულებები არ შეგროვდა სწორად მსხვერპლის საცხოვრებელში; ვერ მოხერხდა მოწმეთა ჩვენებების მიღება და მოკვლევის ჩატარება ანონიმური წერილის მიმართ, რომელიც ასახელებდა გატაცებაში გარეული პირების ვინაობას; გამტაცებლების მიერ განხორციელებული ზარების ანალიზი გაკეთდა დაგვიანებით და არ მოხდა გამოსასყიდის გადაცემის პროცესის ზედამხედველობა, რომელშიც თავად გამტაცებლები იყვნენ ჩართულნი. ამასთანავე, ბანკნოტების სერიული ნომრები, რომლებიც ოჯახმა პოლიციას გადასცა, დარეგისტრირდა ბანკის ცენტრალურ საზედამხედველო ორგანოში ჩვიდმეტი თვის შემდეგ.[386]

ევროპული სასამართლოს აზრით, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო საკმარისი ძალისხმევა, რაც საჭირო იყო საქმეში, რომელიც ეხებოდა პირის გატაცებასა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ტყვედ ყოფნას. სასამართლოს პოზიციით, მართალია, მას არ შეუძლია, მოახდინოს სპეკულირება, რა შედეგს გამოიღებდა, თუ სახელმწიფო გაატარებდა ღონისძიებებს უფრო გულმოდგინედ, აშკარაა კავშირი წლების განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან, ერთი მხრივ, უმოქმედობასა და დაშვებული შეცდომების ვრცელ ჩამონათვალსა და, მეორე მხრივ, გამოძიების პროგრესის შეუძლებლობას შორის, მაშინ, როდესაც მოსარჩელეთა ოჯახის წევრი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.[387] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი არსებით ნაწილში.[388]

---

385 114-ე პუნქტი.

386 129-ე პუნქტი.

387 130-ე პუნქტი.

388 131-ე პუნქტი. ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე ასევე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში. იხ. 146-ე პუნქტი.

4.2.2.2. საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, გაატაროს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები არა მხოლოდ მაშინ, როდესაც *კონკრეტული* იდენტიფიცირებული პირის სიცოცხლეს ექმნება საფრთხე სხვა კერძო პირის (მესამე მხარის) მიერ, არამედ მაშინაც, თუ პოტენციური საფრთხე ექმნება *ზოგადად* საზოგადოების წევრების სიცოცხლეს. როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, „პოზიტიური ვალდებულებები შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ ისეთი შემთხვევების მიმართ, რომლებიც ეხება იმ ერთი ან რამდენიმე პირის პერსონალური დაცვის მოთხოვნას, რომლებიც წინასწარ იდენტიფიცირებულია როგორც სასიკვდილო ქმედების პოტენციური სამიზნე, არამედ ასევე ისეთი შემთხვევების მიმართ, რომლებიც წარმოშობს საზოგადოების ზოგადი დაცვის ვალდებულებას. ... ამ უკანასკნელ შემთხვევაში, პოზიტიური ვალდებულება მოიცავს სფეროების ფართო დიაპაზონს ... და, ძირითადად, წარმოიშობა ნებისმიერ საქმიანობასთან მიმართებით, იქნება ეს საჯარო საქმიანობა თუ არა, რომელშიც სიცოცხლის უფლება შეიძლება აღმოჩნდეს საფრთხეში.“[389]

თუ ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)* – თავდაპირველად დადგენილი კრიტერიუმები გამოიყენა იდენტიფიცირებული პირების მიმართ სიცოცხლის მოსპობის შემთხვევებთან დაკავშირებით, მოგვიანებით მან გააფართოვა ამ კრიტერიუმების გამოყენების სფერო და გაავრცელა პოტენციურ საფრთხეზე ზოგადად საზოგადოების მიმართ.[390]

სახელმწიფოს ეკისრება პრევენციული ოპერატიული ღონისძიების გატარების პოზიტიური ვალდებულება იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს საფრთხე საზოგადოების წევრების სიცოცხლისათვის, პოტენციურად საშიში პატიმრებისაგან, რომლებიც დროებით ტოვებენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებს ან ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისაგან.

საქმე *მასტრომატეო იტალიის წინააღმდეგ (Mastromatteo v. Italy)* ეხებოდა პენიტენციური დაწესებულებიდან განთავისუფლებული პირების მიერ კერძო პირის სიცოცხლის მოსპობას.[391] ამ საქმეზე მოსარჩელის შვილის სიცოცხლე ხელყვეს ბანკის მძარცველებმა, როდესაც ისინი ცდილობდნენ მისი შვილის მანქანის დაუფლებას. ამ სამი პირიდან ორი სასჯელს იხდიდა ძალადობრივი დანაშაულისათვის. ერთ-ერთი მათგანი იმყოფებოდა საპატიმრო შვებულებაში და მიიმალა მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე. მეორე პირი გადაყვანილ იქნა ნახევრად საპატიმრო რეჟიმზე, რომელმაც მისცა მას შესაძლებლობა, ემუშავა ციხის ფარგლებს გარეთ, თუმცა საღამოობით უნდა დაბრუნებულიყო პენიტენციურ დაწესებულებაში. ორივე პირი მსჯავრდებულად ცნეს მოსარჩელის შვილის მკვლელობაში და შეუფარდეს ხანგრძლივი სასჯელი. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მკვლელობა არ მოხდებოდა, თუ დამნაშავეები იქნებოდ-

---

389 *ბლაკაი და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ (Bljakaj and Others v. Croatia),* 18 სექტემბერი, 2014 წელი, 108-ე პუნქტი; *ჩევრიოღლუ თურქეთის წინააღმდეგ (Cevrioglu v. Turkey),* 4 ოქტომბერი, 2016 წელი, 50-ე პუნქტი; *ვარდოსანიძე საქართველოს წინააღმდეგ (Vardosanidze v. Georgia),* 7 მაისს, 2020 წელი.

390 F.C. Ebert and R.I. Silniensky, Preventing Violation of the Right to Life in the European and the Inter-American Human Rights Systems: From the *Osman* Test to a Coherent Doctrine on Risk Prevention? Human Rights Law Review, 2015, N15, 348.

391 დიდი პალატა, 24 ოქტომბერი, 2002 წელი.

ნენ პენიტენციურ დაწესებულებაში და სახელმწიფო არ მისცემდა მათ პენიტენციური დაწესებულების დატოვების უფლებას.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც წამოიჭრა ამ საქმეზე, იყო შემდეგი: ეკისრება თუ არა სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს საზოგადოების ზოგადი დაცვა იმ პირების პოტენციური უკანონო მოქმედებისაგან, რომლებიც სასჯელს იხდიან ძალადობრივი დანაშაულისათვის? ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ განასხვავა საქმეები, რომლებიც ეხება წინასწარ იდენტიფიცირებული ინდივიდების დაცვის ვალდებულებას, როგორც ეს იყო საქმის – *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)* – შემთხვევაში და საქმეები, რომლებიც ეხება სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს საზოგადოების ზოგადი დაცვა იმ პირების პოტენციური უკანონო მოქმედებისაგან, რომლებიც სასჯელს იხდიან ძალადობრივი დანაშაულისათვის.

ევროპულმა სასამართლომ აღიარა მსჯავრდებულთა პროგრესული სოციალური რეინტეგრაციის პოლიტიკის ლეგიტიმური მიზანი და იმ ღონისძიებების უპირატესობა, რომლებიც ითვალისწინებენ მათ რეინტეგრაციას საზოგადოებაში, მაშინაც კი, როდესაც საკითხი ეხება ძალადობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირებს. ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ იტალიაში მოქმედი სისტემა, რომელიც ითვალისწინებდა გარანტიებს იმის შეფასებისათვის, უნდა მიეცათ თუ არა პატიმრისათვის პენიტენციური დაწესებულების დატოვების უფლება, უზრუნველყოფდა საკმარის დაცვით ღონისძიებებს საზოგადოებისათვის და, შესაბამისად, არაფერი მიუთითებდა, რომ სისტემა ეჭვის ქვეშ უნდა დამდგარიყო, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე.[392] რაც შეეხება საკითხს, რომ მკვლელობა არ მოხდებოდა, თუ დამნაშავეები იქნებოდნენ პენიტენციურ დაწესებულებაში, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის წარმოშობისათვის არ არის საკმარისი პენიტენციური დაწესებულებიდან მათი განთავისუფლების ფაქტი.[393] სასამართლოს პოზიციით, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დადგებოდა, თუ მოსარჩელის შვილის გარდაცვალება შედეგად მოჰყვებოდა იმას, რომ ხელისუფლებამ ვერ გააკეთა ყველაფერი, რისი გაკეთებაც მას გონივრულად შეეძლო, რათა თავიდან აეცილებინა საფრთხე, რომლის არსებობის შესახებ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა. ევროპული სასამართლოს პოზიციით, პენიტენციური დაწესებულებიდან განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღეს იმ ანგარიშების საფუძველზე, რომლებშიც ამ ორი პატიმრის ქცევასა და რეინტეგრაციას მიეცა დადებითი შეფასება და ეროვნული ხელისუფლების წინაშე ამ პატიმრებზე არსებული მასალები არაფერ საგანგაშოს არ მიუთითებდა, რომ მათი განთავისუფლების ფაქტი შექმნიდა სიცოცხლისათვის რეალურ და მყისიერ საფრთხეს, და, მითუმეტეს, რომ გამოიწვევდა მოსარჩელის შვილის ტრაგიკულ გარდაცვალებას.[394] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს არ დაურღვევია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი.

აქედან გამომდინარე, საქმემ – *მასტრომატეო იტალიის წინააღმდეგ (Matromatteo v. Italy)* – ცხადყო, რომ იმ პატიმრებთან მიმართებით, რომლებიც იხდიან სასჯელს და მალე განთავისუფლდებიან, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, იზრუნოს საზოგადოების წევრებზე მათ სიცოცხლესთან დაკავშირებულ იმ საფრთხეებზე, რომლებიც შეიძლება გონივრულად მომდინარეობდეს განთავისუფლებული პირებისაგან.

---

392 72-ე-73-ე პუნქტები.

393 74-ე პუნქტი.

394 76-ე პუნქტი.

საქმე *ჩორეფტაკისი და ჩორეფტაკი საბერძნეთის წინააღმდეგ (Choreftakis and Choreftaki v. Greece)* [395] ეხებოდა პირობით განთავისუფლებული პირის (Z.L.) მიერ მოსარჩელეთა შვილის მკვლელობას. Z.L.-ს, რომელმაც მანამდე არაერთი მძიმე დანაშაული ჩაიდინა, ბოლოს მიესაჯა უვადო პატიმრობა, რომელიც ეროვნულმა სასამართლომ 2006 წელს 26 წლამდე შეუმცირა, ხოლო 2008 წელს, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, Z.L. განთავისუფლდა პატიმრობიდან. განთავისუფლებიდან რამდენიმე თვეში მან ჩაიდინა მოსარჩელეთა შვილის მკვლელობა.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ არაფერი მიუთითებდა მოსარჩელის შვილის სიკვდილამდე, რომ მისი სიცოცხლის მიმართ არსებობდა რეალური და მყისიერი საფრთხე სხვა პირთა მიერ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენით.

ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ საბერძნეთის კანონმდებლობა ითვალისწინებდა პირის ვადამდე განთავისუფლებას, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაკმაყოფილდა და, შესაბამისად, არ ყოფილა დარღვეული კანონმდებლობა Z.L.-ს ვადამდე განთავისუფლებით. მიუხედავად ამისა, ევროპულ სასამართლოს უნდა შეეფასებინა, ითვალისწინებდა თუ არა საბერძნეთში მოქმედი, პატიმრების ვადამდე განთავისუფლების სისტემა ზოგადად საზოგადოების საკმარის დაცვას იმ პირებისაგან მომდინარე პოტენციური საფრთხისაგან, რომლებიც იხდიან ან მოიხადეს სასჯელი ძალადობრივი დანაშაულისათვის. ვინაიდან სასამართლომ ვერ დაადგინა მიზეზშედეგობრივი კავშირი მოქმედ კანონმდებლობასა და მოსარჩელეთა შვილის მკვლელობას შორის, მან ყურადღება მიაპყრო იმის შეფასებას, ითვალისწინებდა თუ არა საბერძნეთში მოქმედი სისტემა პრაქტიკულ შესაძლებლობას, რომ შეესაბამის სასამართლოს გადაეწყვიტა, ვადამდე გაეთავისუფლებინა თუ არა პირი, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: კონვენციიდან გამომდინარე, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა რომ დაეკისროს, უნდა დადგინდეს, გამოიწვია თუ არა გარდაცვალება იმან, რომ სახელმწიფომ, საკანონმდებლო ხელისუფლების ჩათვლით, ყველაფერი არ გააკეთა, რაც მას შეეძლო სიცოცხლისათვის რეალური და მყისიერი საფრთხის სისრულეში მოყვანის თავიდან ასაცილებლად, რომლის შესახებ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, საბერძნეთის კანონმდებლობის მიხედვით, პატიმრის ქცევა იყო ერთადერთი კრიტერიუმი, რომლითაც კომპეტენტურ სასამართლოს შეეძლო გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, რომ უარი ეთქვა პირობით განთავისუფლებაზე. ამასთანავე, როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ Z.L.-ს ქცევა შეაფასა როგორც „ძალიან კარგი“.

ევროპული სასამართლოს პოზიციით, მოცემულ საქმეზე ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დასადგენად, კანონი არასწორად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. სასამართლომ ვერ დაადგინა კანონმდებლობის არასწორი გამოყენება. Z.L.-ს მიმართ გამოყენებული კანონმდებლობა, რომლის შედეგადაც იგი ვადამდე განთავისუფლდა, იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ მოსამართლეს მიეღო მხედველობაში სხვადასხვა ფაქტორი პენიტენციურ დაწესებულებაში Z.L.-ს ქცევის შეფასებისას. ევროპული სასამართლოს აზრით, საბერძნეთში მოქმედ პირობითად განთავისუფლების სისტემას არ დაურღვევია ბალანსი სოციალურ რეინტეგრაციასა და რეციდივიზმის თავიდან აცილებას შორის და ის საკმარისად უზრუნველყოფდა საზოგადოების დაცვას ძალადობრივ სისხლისსამართლებრივ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა ქმედებისაგან. აქედან გამომდინარე, Z.L.-ს

---

395 17 იანვარი, 2012 წელი.

პირობით განთავისუფლება არ შეიძლება ჩაითვალოს საბერძნეთის მიერ კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევად.[396]

საქმე *მაიორანო და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Maiorano and Others v. Italy)* ეხებოდა პენიტენციური დაწესებულებიდან დღის განმავლობაში (day release) განთავისუფლებული პატიმრის (იცოს) მიერ ორი ადამიანის მკვლელობას.[397] პატიმარი, რომელმაც 1976 წელს ჩაიდინა მკვლელობა და იხდიდა სამუდამო სასჯელს, სასჯელის აღმასრულებელმა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით პენიტენციური დაწესებულებიდან გაათავისუფლა დღის განმავლობაში. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, დღის განმავლობაში განთავისუფლების პერიოდში მან, თანამზრახველებთან ერთად, ჩაიდინა ორი ქალის მკვლელობა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დღის განმავლობაში პატიმრის განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას შეუძლებელი იყო იმის იდენტიფიცირება, რომ პატიმრის სასიკვდილო სამიზნე გახდებოდა ორი ქალი. ამის გამო ევროპულ სასამართლოს არ დაუდგენია, რომ იტალიაში იყო რაიმე ხარვეზი პატიმართა რეაბილიტაციის სისტემასთან მიმართებით, ვინაიდან სისტემა ითვალისწინებდა საკმარის გარანტიებს საზოგადოების დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, ევროპულ სასამართლოს უნდა შეეფასებინა, პატიმრის განთავისუფლება დღის განმავლობაში იყო თუ არა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა. მართალია, ევროპული სასამართლოს ყურადღების მიღმა არ დარჩენილა რამდენიმე დადებითი გარემოება, რომლებიც წინ უსწრებდა პატიმრისათვის სასიკეთო გადაწყვეტილების მიღებას დღის განმავლობაში მისი განთავისუფლების შესახებ, მათ შორის პრობაციის ოფიცრებისა და ფსიქიატრების დადებითი დასკვნები, მაგრამ ამას აბათილებდა მრავალი სხვა ფაქტი. როგორც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, სამუდამო პატიმრობის სასჯელის აღსრულების დაწყებიდან იცოს ქცევა, სულ ცოტა, არ იყო სანიმუშო. მას ჰქონდა მიდრეკილება დაუმორჩილებლობისაკენ როგორც კანონის, ისე ციხის ადმინისტრაციის ბრძანებების მიმართ. შესაბამისად, ასეთი პატიმრის მიმართ სოციალური რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება იყო უკიდურესად საეჭვო. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მის ცუდ ქცევაზე მას შემდეგ, რაც გადაწყდა დღის განმავლობაში მისი განთავისუფლება და ვიდრე იგი ხელყოფდა ორი ქალის სიცოცხლეს. კერძოდ, ციხის ინფორმატორმა პროკურატურას განუცხადა, რომ იცო აქტიურად გეგმავდა მკვლელობას და სხვა მძიმე დანაშაულს. მოგვიანებით ჩატარებულმა გამოძიებამ დაადასტურა, რომ ეს ინფორმაცია არ იყო უსაფუძვლო. ასევე იცო არღვევდა დღის განმავლობაში განთავისუფლების პირობებს. ეს ინფორმაცია არ გამხდარა ყურადღების საგანი, თუმცა უნდა ყოფილიყო წარდგენილი სასჯელის აღმასრულებელი სასამართლოსათვის. ამ სასამართლოს, და არა პროკურატურას, უნდა განეხილა, იმსახურებდა თუ არა იცოს ქცევა დისციპლინური სასჯელის შეფარდებას და უნდა ემსჯელა დღის განმავლობაში მისი განთავისუფლების შესახებ ბრძანების გაუქმებაზე, ასევე იმაზე, არსებობდა თუ არა ბალანსი იცოს ინტერესსა, მომხდარიყო მისი თანდათანობითი რეაბილიტაცია და საზოგადოების დაცვის ინტერესს შორის. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს აზრით, იცოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილება დღის განმავლობაში განთავისუფლების შესახებ, ასევე ის, რომ ინფორმაცია პენიტენციური დაწესებულებიდან განთავისუფლების პირობების შეუსრულებლობის შესახებ არ მიეწოდა სასჯელის აღმასრულებელ სასამართლოს, ჩაითვალა

396 მე-60-61-ე პუნქტები.

397 15 დეკემბერი, 2009 წელი.

სიცოცხლის უფლების დაცვის შესახებ მე-2 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევად.[398]

ზემოაღნიშნული საქმეების საფუძველზე, ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ სახელმწიფოს შეუძლია პატიმრის დროებით განთავისუფლება, როგორც საზოგადოებაში რეინტეგრაციისაკენ მიმართული ღონისძიება, ან ვადამდე განთავისუფლება. ამასთანავე, ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარეობს, რომ, ვინაიდან მსჯავრდებულ პირთა განთავისუფლების შემთხვევაში არსებობს საფრთხე სხვა პირთა სიცოცხლისათვის, სახელმწიფოს მიერ მიღებული ასეთი გადაწყვეტილება უნდა იყოს განხილული დიდი სიფრთხილით შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე და კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს საკმარისი დაცვითი მექანიზმის არსებობა საზოგადოებისათვის. ეროვნულმა მოსამართლემ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში უნდა მიიღოს, მაგალითად, მოიხადა თუ არა პატიმარმა მინიმალური სასჯელი, იყო თუ არა მისი ქცევა პენიტენციურ დაწესებულებაში კარგი და მისი განთავისუფლება იქნება თუ არა საფრთხის შემცველი საზოგადოების წევრების სიცოცხლისათვის.[399]

საქმე *ბლაკაი და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ (Bljakaj and Others v. Croatia)* ეხებოდა ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის (A.N.) მიერ საკუთარი მეუღლის ადვოკატის მკვლელობას.[400] ფსიქიკური აშლილობის გარდა, A.N.-ს ჰქონდა ოჯახში ძალადობის ისტორია, იგი უკანონოდ ფლობდა ცეცხლსასროლ იარაღს და იყო ალკოჰოლზე დამოკიდებული. მკვლელობის წინა დღეს A.N.-ს ცოლმა შეატყობინა პოლიციას, რომ მისი ქმარი ემუქრებოდა მას, თუმცა პოლიციას არ გაუტარებია შესაფერისი ღონისძიებები. მომდევნო, კერძოდ, მკვლელობის დღეს A.N.-ს ჰქონდა თავისი მეუღლის მკვლელობის მცდელობა, რის შემდეგაც A.N. მივიდა საადვოკატო ბიუროში, რომელშიც მუშაობდა მისი ცოლის ადვოკატი და მოკლა იგი, ხოლო საკუთარი სიცოცხლე დაასრულა თვითმკვლელობით. საყურადღებოა, რომ მკვლელობამდე მცირე დროით ადრე A.N. იმყოფებოდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, იყო აშკარად აღელვებული და საშიში, თუმცა პოლიციის პასუხისმგებელმა ოფიცრებმა დატოვეს იგი ზედამხედველობის გარეშე და მხოლოდ დაგვიანებით შეატყობინეს შესაბამის სამედიცინო დაწესებულებას შექმნილი სიტუაციის შესახებ. მკვლელობის შემდეგ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება პოლიციის იმ ოფიცრის წინააღმდეგ, რომელიც მკვლელობის დღეს იყო მორიგე, ისევე როგორც მეორე ოფიცრის წინააღმდეგ, რომელიც ასრულებდა მოვალეობებს წინა დღეს.

საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ განიხილა, ეკისრებოდა თუ არა მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველეყო საზოგადოების ზოგადი დაცვა გონებრივი აშლილობის მქონე პირის პოტენციური ძალადობრივი მოქმედებისაგან. ვინაიდან A.N. ქმნიდა გონებრივი აშლილობის მქონე და საშიში ადამიანის შთაბეჭდილებას, რის გამოც მკვლელობამდე იგი იმყოფებოდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, სიცოცხლისათვის საფრთხე იყო რეალური და მყისიერი და ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამის შესახებ.[401] ასეთ ვითარებაში, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება მოითხოვდა, რომ მას ყველაფერი გაეკეთებინა, რაც გონივრული იქნებოდა საზოგადოების

398 121-ე პუნქტი.

399 J. Gerards, Right to Life, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, P. van Dijk, F. van Hoof, A. van Rijn and L. Zwaak (eds.), 5th ed. 2018, 373.

400 18 სექტემბერი, 2014 წელი.

401 121-ე პუნქტი.

წევრების სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, მართალია, საქმის გამოძიების შედეგად აღმოჩენილ იქნა რამდენიმე ხარვეზი პოლიციის მიერ სიტუაციის მართვასთან დაკავშირებით, არსებობდა კიდევ რამდენიმე სხვა ღონისძიება, რომელიც პოლიციას შეეძლო გაეტარებინა სიტუაციის გონივრულად სამართავად.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ, მართალია, აბსოლუტური სიზუსტით ის ვერ დაასკვნიდა, საქმე სხვაგვარად წარიმართებოდა ხელისუფლების განსხვავებული მოქმედების შემთხვევაში, თუ გონივრულ ნაბიჯებს შეიძლება ჰქონოდა შედეგის შეცვლის ან ზიანის შემცირების რეალური პერსპექტივა. და, მიუხედავად ამისა, სახელმწიფომ არ გადადგა ასეთი ნაბიჯები, რაც საკმარისად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოსათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე. ევროპული სასამართლოს აზრით, პოლიციის უმოქმედობა იყო ხელიდან გაშვებული შესაძლებლობა. თუ პოლიცია იმოქმედებდა, შეიძლებოდა, რომ მოვლენები ობიექტურად სხვაგვარად წარმართულიყო, კერძოდ კი, მას შედეგად მოჰყოლოდა A.N-ს სამედიცინო ზედამხედველობა და მისი გონებრივი აშლილობის მდგომარეობისათვის შესაფერისი ნაბიჯების გადადგმა. აქედან გამომდინარე, პოლიციის მიერ გულმოდგინების არარსებობამ გამოიწვია სიცოცხლის უფლების დასაცავად გონივრული ნაბიჯის გადადგმის ვალდებულების დარღვევა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ხორვატიის მიერ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.

საქმე *კოტილაინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ (Kotilainen and Others v. Finland)* ეხებოდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას იმისათვის, რომ მან არ მოახდინა იმ სტუდენტისათვის ცეცხლსასროლი იარაღის პრევენციული ჩამორთმევა, რომელმაც მოგვიანებით ჩაიდინა არაერთი ადამიანის მკვლელობა პროფესიულ სასწავლებელში.[402] ამ საქმეზე მოსარჩელეები იყვნენ პროფესიულ სასწავლებელში სროლის შედეგად გარდაცვლილი პირების (ცხრა სტუდენტისა და მასწავლებლის) ნათესავები. პროფესიული სასწავლებლის სტუდენტმა მკვლელობამდე მცირე ხნით ადრე მიიღო იარაღის შენახვისა და ტარების უფლება. ამ სტუდენტმა ინტერნეტში ატვირთა ვიდეო- და ფოტომასალა, ასევე განათავსა ტექსტური პოსტები, რომლებშიც აღბეჭდილი იყო იარაღიდან სროლის კადრები, სტუდენტის ფოტოები იარაღით ხელში და ტექსტი ინგლისურ ენაზე ომისა და სიკვდილის შესახებ.[403] ამ ფაქტის გამო პოლიციამ მოახდინა მისი გამოკითხვა, თუმცა არ ჩათვალა საჭიროდ მისთვის იარაღის ჩამორთმევა. მოგვიანებით კი ამ სტუდენტმა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მოკლა ათი ადამიანი და თავიც მოიკლა.

ევროპული სასამართლოს აზრით, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მაღალი საფრთხის შემცველია სიცოცხლისათვის, რადგან იარაღის გამოყენებით ნებისმიერი სახის არასწორ მოქმედებას, არა მხოლოდ განზრახვით, არამედ გაუფრთხილებლობით, შეიძლება მოჰყვეს ფატალური შედეგი მსხვერპლის მიმართ და რომ ასეთი იარაღის გამოყენებით სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის საფრთხე კიდევ უფრო დიდია.[404] შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს იყო საფრთხის შემცველი საქმიანობის ფორმა, რომელიც აკისრებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, მიიღოს და გაატაროს ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია საზოგადოებრივი უსაფ-

402 17 სექტემბერი, 2020 წელი.

403 მე-12 და მე-13 პუნქტები.

404 75-ე პუნქტი.

რთხოების უზრუნველყოფისაკენ.[405] სასამართლოს პოზიციით, სახელმწიფოს მოეთხოვება, მიიღოს სიცოცხლის უფლების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და უზრუნველყოს მისი ეფექტიანი განხორციელება.[406]

ევროპული სასამართლოს პოზიციით, ეროვნულმა სასამართლოებმა დაასკვნეს, რომ, მართალია, დამნაშავის მიერ განხორციელებულ თავდასხმამდე არსებობდა გარკვეული ფაქტობრივი ელემენტები, რომლებიც იძლეოდა ვარაუდის საფუძველს, რომ დამნაშავეს შეეძლო საფრთხის შექმნა სიცოცხლისათვის დანაშაულებრივი აქტის ჩადენით, ის ინფორმაცია, რომელიც პოლიციისათვის ხელმისაწვდომი იყო დამნაშავის მიერ სისხლისამართლებრივი დანაშაულის ჩადენამდე, მათ შორის ინტერნეტპოსტები, არ იძლეოდა რაიმე საფუძველს, რომ სახელმწიფოს გასჩენოდა ეჭვი თავდასხმის საფრთხის რეალურობაში. არსებობდა არსებითი განსხვავება ინტერნეტში პოსტების გამოქვეყნებას, რომელიც არ შეიცავდა რაიმე კონკრეტულ ან თუნდაც ზოგად საფრთხის შემცველ მუქარას, და კონკრეტულ ადგილას შეკრებილი ადამიანების განურჩეველ მკვლელობას შორის.[407]

აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: ის ვერ დაასკვნიდა, რომ არსებობდა რეალური და მყისიერი საფრთხე იდენტიფიცირებული პირების სიცოცხლისათვის, რომელიც მომდინარეობდა დამნაშავისაგან და რომლის შესახებ პოლიციამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა თავდასხმამდე. ამის მიხედვით, სასამართლომ დაასკვნა, რომ ამ საქმის გარემოებები არ წარმოშობს მკვლელობის მსხვერპლთა მიმართ პერსონალური დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულებას.[408] ამდენად, ეროვნული სასამართლოების პოზიცია არ იყო შეუთავსებელი სიცოცხლისათვის საფრთხის რეალური და მყისიერი საფრთხის შესახებ ცოდნის ტესტთან, რომელიც სასამართლომ დაადგინა თავისი პრაქტიკით.[409] როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა ამ საქმეზე, პოლიციისათვის ცნობილი გახდა დამნაშავის ინტერნეტპოსტების შესახებ, რომლებიც, თუმცა არ შეიცავდა რაიმე მუქარას, იყო ისეთი ხასიათისა, რომ გაეჩინა ეჭვი, უსაფრთხო იქნებოდა თუ არა დამნაშავისათვის ცეცხლსასროლი იარაღის შენარჩუნება. მართალია, პოლიცია არ ყოფილა პასიური და მან გამოკითხა დამნაშავე, თუმცა არ გადადგმულა რაიმე ნაბიჯი, რომ მისთვის ჩამოერთვათ იარაღის შენახვის უფლება.[410]

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფო განსაზღვრავს ცეცხლსასროლი იარაღის კანონიერი ფლობისათვის დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, ვინაიდან იარაღის არასწორად გამოყენება დაკავშირებულია დიდ საფრთხესთან, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს ასეთი ცეცხლსასროლი იარაღის არასწორი და სახიფათო გამოყენების თავიდან აცილებისა და განეიტრალებისაკენ მიმართული შესაფერისი და ეფექტიანი გარანტიების სისტემის დადგენა და მათი ზედმიწევნით შესრულება. ეს ხელისუფლებისათვის წარმოშობს ვალდებულებას, ჩაერიოს სიტუაციაში, როდესაც შესაბამისი ფაქტები იწვევს კონკრეტულ ეჭვს ასეთი მოთხოვნების შეუსრულებლობის შესახებ.[411]

ევროპული სასამართლოს აზრით, მოცემულ გარემოებებში დამნაშავისათვის ცეცხლსასროლი იარაღის ჩამორთმევა იყო წინდახედულობის გონივრული ღო-

405 იქვე.
406 იქვე.
407 მე-80 პუნქტი.
408 81-ე პუნქტი.
409 იქვე.
410 86-ე პუნქტი.
411 88-ე პუნქტი.

ნისძიება, თუ იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ცნობილი გახდა კომპეტენტური ორგანოსათვის, გაჩნდა ეჭვი საფრთხის შემცველი იარაღის ქონის შესახებ დამნაშავის შესაფერისობის თაობაზე.[412] აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მასზე დაკისრებული ვალდებულება, რადგან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებული გადაცდომა განსაკუთრებით დიდი საფრთხის შემცველია სიცოცხლისათვის.[413] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი არსებით ნაწილში.[414]

მართალია, ევროპულ სასამართლოს ამ საქმეზე არ დაუდგენია, რომ სახელმწიფოს ეკისრებოდა ვალდებულება იდენტიფიცირებული პირების სიცოცხლის დაცვისათვის, მან დაასკვნა, რომ ეს არ გამორიცხავს ზოგადი ღონისძიებების გატარებას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების წევრების (არაიდენტიფიცრებული პირების) დაცვას წინდახედულობის გონივრული ღონისძიებების გატარებით, რომელიც მიმართული იქნება ცეცხლსასროლი იარაღის არასწორი გამოყენების საფრთხის თავიდან აცილებისაკენ.

ზემოაღნიშნული საქმეებიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს ეკისრება პრევენციული ოპერატიული ღონისძიების გატარების პოზიტიური ვალდებულება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც კერძო პირების უკანონო მოქმედებით საფრთხე ექმნება კონკრეტული (იდენტიფიცირებული) პირის სიცოცხლეს, არამედ მაშინაც, თუ სიცოცხლისათვის პოტენციური საფრთხე იქმნება ზოგადად საზოგადოებისათვის, მათ შორის იმ პატიმრებისაგან, რომლებიც დროებით ტოვებენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებს ან გონებრივი ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებისაგან.[415]

ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა თავისი პოზიცია არაერთ მომდევნო საქმეზე, რომ პოზიტიური ვალდებულებები ასევე ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, რომლებიც წარმოშობს საზოგადოების ზოგადი დაცვის ვალდებულებას და მოიცავს ნებისმიერ საქმიანობას, იქნება ეს საჯარო საქმიანობა თუ არა, რომელშიც სიცოცხლის უფლება შეიძლება აღმოჩნდეს საფრთხეში.[416] საზოგადოების ზოგადი დაცვის ვალდებულება მან განიხილა ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორებიცაა: თავისუფლებააღკვეთილი პირებისა და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის ვალდებულება, სიცოცხლის დაცვის ვალდებულება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, საფრთხის შემცველი საქმიანობა, ბუნებრივი კატაკლიზმები და უბედური შემთხვევები.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია სახელმწიფოს მიერ საზოგადოების ზოგადი დაცვის პოზიტიური ვალდებულების შინაარსის განხილვა ამ საკითხებთან მიმართებით.

---

412 89-ე პუნქტი.

413 იქვე.

414 90-ე პუნქტი.

415 J. Gerards, Right to Life, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, P. van Dijk, F. van Hoof, A. van Rijn and L. Zwaak (eds.), 5th ed. 2018, 373-374.

416 *ტაგაიევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Tagayeva and Others v. Russia),* 13 აპრილი, 2017 წელი, 482-ე პუნქტი; *ერკან ბოზკურტი თურქეთის წინააღმდეგ (Ercan Bozkurt v. Turkey),* 23 ივნისი, 2015 წელი, 54-ე პუნქტი.

4.2.2.3. თავისუფლებააღკვეთილი პირებისა და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის ვალდებულება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას თავისუფლებააღკვეთილი პირებისა და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების სიცოცხლის უფლება.[417] აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოსათვის კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულების შინაარსის განხილვა როგორც თავისუფლებააღკვეთილი პირების, ისე სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების მიმართ.

მართალია, სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება არა მხოლოდ თავისუფლებააღკვეთილ და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფ პირებზე, არამედ ნებისმიერ პირზე, სახელმწიფოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება ამ პირებთან მიმართებით, რადგან სახელმწიფო მათზე ახორციელებს აბსოლუტურ ან თითქმის აბსოლუტურ კონტროლს და, შესაბამისად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ხარისხი უფრო მაღალია მათ მიმართ, ვიდრე ეს არის სხვა პირების მიმართ.[418]

სახელმწიფოს ეს პასუხისმგებლობა გამოიხატება იმით, რომ მან უნდა უზრუნველყოს ამ პირთა სიცოცხლის უფლების დაცვა არა მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან (მაგ., ციხის ადმინისტრაციისაგან), არამედ სხვა პირებისაგან (მაგ., სხვა პატიმრებისაგან ან სხვა წვევამდელებისაგან), რომლებმაც შეიძლება მათ სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნან, ან, თუნდაც, თვითმკვლელობისაგან.

სახელმწიფოს ვალდებულება თავისუფლებააღკვეთილი პირებისა და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების მიმართ არა მხოლოდ ისაა, რომ მან თავი შეიკავოს ამ პირთა სიცოცხლის მოსპობისაგან (სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება), არამედ ისიც, რომ გაატაროს გონივრული ღონისძიებები მათ დასაცავად და შეასრულოს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება.[419] თუ სახელმწიფომ იცის ან უნდა იცოდეს, რომ ასეთი პირის სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე, მან უნდა გადადგას გონივრული ნაბიჯები, რომელმაც შეიძლება ასეთი საფრთხე თავიდან აიცილოს.[420]

4.2.2.3.1. პატიმრის სიცოცხლის მოსპობა სხვა პატიმრების მიერ

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარეობს, რომ სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება ისეთ სიტუაციებზე, რომლებშიც პატიმრის სიცოცხლის მოსპობის საფრთხე მომდინარეობს სხვა პატიმრისაგან. თავისუფლებაღკვეთილი პირის სიცოცხლის დაცვის ვალდებულება სახელმწიფოს წარმოეშობა პირის დაკავების მომენტიდან და ვრცელდება დაკავების მთელ პერიოდზე. როგორც ევროპულმა სასამართ-

417 J.-M. Larralde & G. Cliquennois, The Right to Life: Suicide and homicide prevention in prison, in: The Evolving Protection of Prisoners' Rights in Europe, 2022.

418 P.H. van Kempen, Positive Obligations to Ensure the Human Rights of Prisoners: Safety, Healthcare, Conjugal Visits and the Possibility of Founding a Family Under the ICCPR, the ECHR, the ACHR, and the AfChHPR, in: Peter J.P. Tak & Manon Jendly (eds.), Prison Policy and Prisoner' Rights. The Protection of Prisoners' Fundamental Rights in International and Domestic Law, 2008, 28.

419 K. Fournet, At the Hands of the State: When Arrest and Imprisonment Prove Fatal, in: The Right to Life and the Value of Life: Orientation in Law, Politics and Ethics, J. Yorke (ed.), 2010, 180.

420 J. Gerards, Right to Life, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, P. van Dijk, F. van Hoof, A. van Rijn and L. Zwaak (eds.), 5th ed. 2018, 370.

ლომ აღნიშნა, თავისუფლებააღკვეთილი პირები არიან განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში და ხელისუფლებას ეკისრება მათი სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება.[421]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)* – დადგენილი კრიტერიუმები გაავრცელა თავისუფლებაღკვეთილი პირების სიცოცხლის დაცვის უფლებაზე.[422] შესაბამისად, როდესაც პატიმრის სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე სხვა პატიმრისაგან, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სხვა პატიმრის მხრიდან თავისუფლებააღკვეთილი პირის სიცოცხლის მოსპობის საფრთხის თავიდან აცილება. ამისათვის სახელმწიფომ უნდა გადადგას გონივრული ნაბიჯები სხვა პატიმრის (პატიმრების) მხრიდან თავისუფლებააღკვეთილი პირის რეალური და მყისიერი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, თუ სახელმწიფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა ასეთი საფრთხის შესახებ.

ევროპულმა სასამართლომ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა დაადგინა საქმეზე – *პოლი და ოდრი ედვარდსები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom)*, რომელიც ეხებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში თანამესაკნის მიერ მოსარჩელეთა შვილის სიცოცხლის მოსპობას.[423] კერძოდ, წინასწარ პატიმრობაში მყოფი კრისტოფერ ედვარდსი მოკლა საშიშმა, ფსიქიკურად დაავადებულმა პატიმარმა (რიჩარდ ლინფორდმა), რომელთანაც ის აღმოჩნდა იმავე საკანში.[424]

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლთან მიმართებით, ევროპულმა სასამართლომ, პირველ რიგში, აღნიშნა, რომ სახელმწიფომ უნდა „გაატაროს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები, რათა დაიცვას პირი, რომლის სიცოცხლე საფრთხეშია, სხვა პირის დანაშაულებრივი აქტებისაგან“.[425] ვინაიდან კრისტოფერ ედვარდსი პატიმრობაში იყო, მასზე პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო, რომელსაც უნდა დაეცვა მისი სიცოცხლე. ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „პატიმრობაში მყოფი პირები იმყოფებიან მოწყვლად მდგომარეობაში და ხელისუფლებას ეკისრება მათი დაცვის ვალდებულება.“[426]

ამის შემდეგ ევროპულმა სასამართლომ განიხილა, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა სახელმწიფოს, რომ კრისტოფერ ედვარდის სიცოცხლისათვის არსებობდა რეალური და მყისიერი საფრთხე. ამის დასადგენად სასამართლომ განიხილა, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა სახელმწიფოს, რომ რიჩარდ ლინფორდი განსაკუთრებით საშიში იყო გარშემომყოფთათვის. ამის შეფასებისას სასამართლომ გაითვალისწინა,

---

421 *სალმანი თურქეთის წინააღმდეგ (Salman v. Turkey)*, დიდი პალატა, 27 ივნისი, 2000 წელი, 99-ე პუნქტი; *იური ილარიონივიჩ სჩიოკინი (Yuriy Illarionovich Shchokin v. Ukraine)*, 3 ოქტომბერი, 2013 წელი, 36-ე პუნქტი.

422 *პოლი და ოდრი ედვარდსები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom)*, 14 მარტი, 2002 წელი, 55-ე პუნქტი.

423 14 მარტი, 2002 წელი.

424 P.H. van Kempen, Positive Obligations to Ensure the Human Rights of Prisoners: Safety, Healthcare, Conjugal Visits and the Possibility of Founding a Family Under the ICCPR, the ECHR, the ACHR, and the AfChHPR, in: Peter J.P. Tak & Manon Jendly (eds.), Prison Policy and Prisoner' Rights. The Protection of Prisoners' Fundamental Rights in International and Domestic Law, 2008, 27.

425 54-ე პუნქტი.

426 56-ე პუნქტი; ასევე იხ. *რენოლდი საფრანგეთის წინააღმდეგ (Renolde v. France)*, 16 ოქტომბერი, 2008 წელი, 83-ე პუნქტი; *შუმკოვა რუსეთის წინააღმდეგ (Shumkova v. Russia)*, 14 თებერვალი, 2012 წელი, 89-ე პუნქტი.

რომ არსებობდა ინფორმაცია მისი ფსიქიკური დაავადების შესახებ, ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკოტიკებისადმი მისი მიდრეკილების შესახებ, მის მიერ წარსულში ძალადობრივი აქტების ჩადენის შესახებ და სხვ., რაც, ევროპული სასამართლოს აზრით, საკმარისი იყო დასკვნის გასაკეთებლად, რომ იგი წარმოადგენდა საფრთხეს გარშემომყოფთათვის.

ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ პოლიციას, სასამართლოს, ბრალდების მხარესა და ჯანმრთელობის დაწესებულებებს შორის არ მოხდა შესაბამისი ინფორმაციის გაცვლა რიჩარდ ლინფორდის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. სასამართლოს აზრით, იმის გამო, რომ რამდენიმე სამსახურის – სამედიცინო, პოლიციის, ბრალდების და სასამართლოს – მუშაობის ხარვეზი იყო, რომ მათ პენიტენციურ დაწესებულებას არ მიაწოდეს მათთვის ცნობილი ინფორმაცია რიჩარდ ლინფორდის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და პენიტენციურ დაწესებულებაში მისი მიყვანისას არ მოხდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის სათანადოდ შემოწმება, სახელმწიფომ ვერ შეასრულა მოსარჩელეთა შვილის (კრისტოფერ ედვარდსი) სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.[427]

საქმე *ჩესნულევიჩუსი ლიტვის წინააღმდეგ (Česnulevičius v. Lithuania)* ეხებოდა მოსარჩელის 22 წლის შვილის (A.Č.) გარდაცვალებას პენიტენციურ დაწესებულებაში სხვა პატიმრების განმეორებადი თავდასხმების შედეგად.[428] 2000 წლის 4-იდან 6 აგვისტომდე მოსარჩელის შვილს სამჯერ დაესხნენ თავს, ვიდრე იგი გარდაიცვლებოდა 2000 წლის 7 აგვისტოს. ავტოფსიის შედეგად მომზადებულმა დასკვნამ დაადასტურა, რომ A.Č. გარდაიცვალა სხეულის სხვადასხვა ადგილას მიყენებული მრავლობითი დაზიანების გამო, რომლებიც მოხდა გარდაცვალებამდე ერთიდან სამი დღის განმავლობაში.

მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ ვერ დაიცვა მისი შვილის სიცოცხლის უფლება პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაში და რომ ვერ ჩაატარა ეფექტიანი გამოძიება, რის გამოც პასუხისმგებელი პირები დარჩნენ დაუსჯელნი. ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ, პირველ რიგში, სახელმწიფოს უნდა დაედგინა, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა ციხის ადმინისტრაციას მოსარჩელის შვილის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის არსებული საფრთხის შესახებ, ხოლო ამის შემდეგ უნდა შეეფასებინა, ყველაფერი გააკეთა თუ არა სახელმწიფომ მისი სიცოცხლის დასაცავად.[429]

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ A.Č.-ს წინააღმდეგ 2000 წლის 4 აგვისტოს მომხდარი პირველი თავდასხმის შედეგად ციხის ადმინისტრაციას უნდა სცოდნოდა, რომ იგი იმყოფებოდა აშკარა და რეალურ საფრთხეში. ციხის ადმინისტრაციამ დაკითხა A.Č., შენიშნა დაზიანებები მის სახეზე და აღმოაჩინა კიდეც ნიღაბი და რკინის გისოსი, რომლებიც იყო გამოყენებული A.Č.-ს წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენის დროს. ის, რომ A.Č.-მ უარი განაცხადა, გაემხილა თავდამსხმელების ვინაობა, შეიძლება აიხსნას როგორც პატიმრებს შორის ჩამოყალიბებული დუმილის კოდექსით, ისე იმ ფაქტით, რომ იგი თავს არ გრძნობ-

---

427 ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში, მოსარჩელეთა შვილის სიკვდილის გარემოებების გამოუძიებლობის გამო.

428 10 იანვარი, 2012 წელი.

429 85-ე პუნქტი.

და უსაფრთხოდ. ის ფაქტი, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში ზოგადად არ იყო უსაფრთხო გარემო, დასტურდება ერთი წლის შემდეგ სხვა პატიმრის გარდაცვალებით, რომლის შესახებაც ინფორმაცია ციხის ადმინისტრაციამ არ გაასაჯაროვა.[430] ევროპული სასამართლოსათვის არ იყო დამაჯერებელი ციხის ადმინისტრაციის განმარტება, რომ A.Č.-მ უარი განაცხადა, მოეთავსებინათ იზოლაციაში თავისივე უსაფრთხოებისათვის. სასამართლომ არც ის არგუმენტი მიიჩნია დამაჯერებლად, რომ A.Č.-ს მიმართ მეორე თავდასხმა გამოაშკარავდა მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ. სასამართლოს აზრით, ასევე საეჭვოა ის, რომ მედდამ, რომელმაც მოინახულა A.Č. მეორე თავდასხმის შემდეგ და რომელმაც მას ფეხი შეუხვია, ეჭვი არ შეიტანა იმ ვერსიაში, რომ მან დაზიანება მიიღო ფეხბურთის თამაშის დროს, არ გააკეთა რაიმე ჩანაწერი მის სამედიცინო ისტორიაში და მხოლოდ მაშინ გაამხილა ეს შემთხვევა, როდესაც დაწესებულებაში, სადაც მედდა მუშაობდა, ჩატარდა გამოძიება. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მედდის მტკიცებაზე, რომ 2000 წლის 6 აგვისტოს A.Č.-ს ჰქონდა მხოლოდ უმნიშვნელო დაზიანებები, თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ ავტოფსიის ანგარიშმა აღრიცხა A.Č.-ს სხეულზე დარტყმების კვალი, რომლებიც მიაყენეს გარდაცვალებამდე ერთიდან სამი დღის განმავლობაში.[431] ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებული გაკვირვება გამოხატა იმ ფაქტით, რომ ციხის საავადმყოფოში მას მკურნალობდა ექიმი, რომელსაც სამედიცინო ლიცენზიაც კი არ ჰქონდა.[432]

სასამართლოს აზრით, მიუხედავად A.Č.-ს მიმართ არსებული საფრთხისა, ციხის ადმინისტრაციამ არ უზრუნველყო მისთვის უსაფრთხო გარემო. კერძოდ, ადმინისტრაციამ ვერ შეძლო, გამოეაშკარავებინა ძალადობა, თავიდან აეცილებინა საფრთხე, რომელიც მომდინარეობდა სხვა პატიმრებისაგან, ხოლო მას შემდეგ, რაც ეს ძალადობა ციხის ადმინისტრაციისათვის ცნობილი გახდა, ვერ შეძლო სწრაფად, გულმოდგინედ და ეფექტიანად მოეხდინა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების, სამედიცინო პერსონალისა და ციხის ადმინისტრაციის ეფექტიანი კოორდინირება. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფომ ვერ დაიცვა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსარჩელის შვილი, რამაც გამოიწვია კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.[433]

4.2.2.3.2. პატიმრის სიცოცხლის დაცვა თვითმკვლელობისაგან

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას არა მხოლოდ თავისუფლებააღკვეთილი პირის სიცოცხლე სხვა პატიმრის უკანონო მოქმედებისაგან, არამედ ასევე თავისუფლებააღკვეთილი პირი თვითმკვლელობისაგან.[434]

---

430 86-ე პუნქტი.

431 87-ე პუნქტი.

432 88-ე პუნქტი.

433 89-ე პუნქტი.

434 L.-A. Sicilianos, Preventing Violations of the Right to Life: Positive Obligations Under Article 2 of the ECHR, Cyprus Human Rights Law Review, vol. 3, 2014, 124; P.H. van Kempen, Positive Obligations to Ensure the Human Rights of Prisoners: Safety, Healthcare, Conjugal Visits and the Possibility of Founding a Family Under the ICCPR, the ECHR, the ACHR, and the AfChHPR, in: Peter J.P. Tak & Manon Jendly (eds.), Prison Policy and Prisoner' Rights. The Protection of Prisoners' Fundamental Rights in International and Domestic Law, 2008, 27.

სახელმწიფომ, კერძოდ კი სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციამ, უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობები ისე, რომ ისინი თავსებადი იყოს შესაბამისი პირის უფლებებსა და თავისუფლებებთან. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ზოგადი და გამაფრთხილებელი ღონისძიებების გატარება იმისათვის, რომ შემცირდეს თვითდაზიანების შესაძლებლობა, თავისუფლებააღკვეთილი პირის პირადი ავტონომიის დარღვევის გარეშე. პატიმრის სიცოცხლის დასაცავად გატარებული ღონისძიებების სიმკაცრე დამოკიდებული უნდა იყოს კონკრეტული საქმის გარემოებებზე.[435]

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც მინიმუმამდე შეამცირებს თავისუფლებააღკვეთილი პირის მიერ თვითმკვლელობის საფრთხეს. რაც უფრო დიდია ალბათობა, რომ ასეთმა პირმა ჩაიდინოს თვითმკვლელობა, მით უფრო მეტი წინდახედულება უნდა გამოიჩინოს სახელმწიფომ და გადადგას თანაზომიერი ნაბიჯები თვითმკვლელობის თავიდან ასაცილებლად. უსაფრთხოების ზოგადი ღონისძიებების გარდა, სახელმწიფომ უნდა გაატაროს ინდივიდუალური ღონისძიებები და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასოს სიცოცხლის დასაცავად გასატარებელი ღონისძიებების თანაზომიერება.

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გაატაროს ღონისძიებები, რათა უზრუნველყოს პირთა დაცვა თვითმკვლელობისაგან.[436] პირველი საქმე, რომელშიც ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოს დააკისრა პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების ვალდებულება პირის თვითმკვლელობისაგან დასაცავად, იყო საქმე *კენანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Keenan v. the United Kingdom)*.[437] ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ გამოიყენა საქმეზე – *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)* – დადგენილი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის კრიტერიუმები, რომლებიც გაავრცელა თავისუფლებააღკვეთილ პირთა თვითმკვლელობის საქმეებზე.[438]

საქმე კენანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Keenan v. the United Kingdom) ეხებოდა მოსარჩელის 28 წლის შვილს – გონებრივი ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ახალგაზრდა მამაკაცს, რომელსაც აღეკვეთა თავისუფლება თავის მეგობარ გოგოზე თავდასხმის გამო.[439] ვინაიდან მოსარჩელის შვილი მიდრეკილი იყო ფსიქიკური აშლილობისაკენ, თვითდაზიანების ჩათვლით, რაც იცოდა ციხის ადმინისტრაციამ, გამწვავების პერიოდში მას ათავსებდნენ საავადმყოფოს სპეციალურ განყოფილებაში,

---

435 *კენანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Keenan v. the United Kingdom),* 3 აპრილი, 2001 წელი, 92-ე პუნქტი; *იანგერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Younger v. the United Kingdom),* გადაწყვეტილება, 7 იანვარი, 2003 წელი; *ერიკან ბულუტი თურქეთის წინააღმდეგ (Erikan Bulut v. Turkey),* 2 მარტი, 2006 წელი, 34-ე პუნქტი; *რენოლდი საფრანგეთის წინააღმდეგ (Renolde v. France),* 16 ოქტომბერი, 2008 წელი, 83-ე პუნქტი; *მიტიჩი სერბეთის წინააღმდეგ (Mitic v. Serbia),* 22 იანვარი, 2013 წელი, 47-ე პუნქტი.

436 L. McCamphill, The Right to Life Shall be Secured to Everyone by Law: The Extent to Which the European Court of Human Rights has Developed the Concept of Positive Obligations in Relation to Article 2, King's Student Law Review, No. 1, 2010, 112.

437 3 აპრილი, 2001 წელი; ასევე *იანგერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Younger v. the United Kingdom),* გადაწყვეტილება, 7 იანვარი, 2003 წელი; ასევე იხ. S. Kyrkos, Suicide in the Military as a Breach of the Rights to Life, Under the Provisions of Article 2 of the European Convention on Human Rights and Fundamental Freedoms, http://ssrn.com/abstract=2836637, p. 6-7.

438 90-ე პუნქტი.

439 3 აპრილი, 2001 წელი.

სადაც ამოწმებდნენ ყოველ თხუთმეტ წუთში ერთხელ, თუმცა ფსიქიკური სიმშვიდის პერიოდში გადაჰყავდათ ჩვეულებრივ საკანში. იმ დღეს, როდესაც მან თავი მოიკლა, იგი ახალი დაბრუნებული იყო ჩვეულებრივ საკანში, რადგან არ გამოიყურებოდა მძიმედ და არაფერი მიუთითებდა, რომ იმ მომენტში განიცდიდა ფსიქიკურ აშლილობას. მიუხედავად ამისა, ჩვეულებრივ საკანში დაბრუნებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ციხის თანამშრომელმა იგი აღმოაჩინა ჩამოხრჩობილი ზეწრისაგან გაკეთებული თოკით.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ გადადგა ყველა ნაბიჯი, რომელთა გადადგმაც მას გონივრულად მოეთხოვებოდა, რათა დაეცვა მოსარჩელის შვილის სიცოცხლის უფლება. ვინაიდან ციხის ადმინისტრაციამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რისი გონივრული მოლოდინიც არსებობდა მისი მხრიდან, რათა მოეხდინა თვითმკვლელობის საფრთხის თავიდან აცილება, კერძოდ, პატიმარი მოეთავსებინა სპეციალურ საკანში ზედამხედველობის ქვეშ თვითმკვლელობის მიმართ მიდრეკილების გამოვლენის შედეგად, ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლების დარღვევა.[440]

საქმე *დე დონდერი და დე კლიპელი ბელგიის წინააღმდეგ (De Donder and De Clippel v. Belgium)* ეხებოდა მოსარჩელეთა შვილს, რომელიც მოზარდი ასაკიდან იღებდა მსუბუქ ნარკოტიკს. მას განუვითარდა ფსიქიკური აშლილობა, რომელსაც იგი მკურნალობდა.[441] ერთხელაც, მოსარჩელეთა შვილი დააკავეს ქურდობის მცდელობის ეჭვის გამო. მომზადებული ფსიქიატრიული დასკვნის მიხედვით, მას ჰქონდა „პარანოიდული აზრები“. ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს მოსარჩელეთა შვილს ჰქონდა მწვავე ფსიქიკური აშლილობა, იგი ვერ აკონტროლებდა თავს და ქმნიდა საფრთხეს საზოგადოებისა და საკუთარი თავისათვის. ამის გამო იგი ჯერ დროებით მოათავსეს გენტის ციხის ფსიქიატრიულ განყოფილებაში, მოგვიანებით კი – ნარკოტიკებზე დამოკიდებულ პირთა დაწესებულებაში. ამის შემდეგ მოსარჩელეთა შვილი გადაიყვანეს სხვა ფსიქიატრიულ კლინიკაში. გადაყვანიდან რამდენიმე ხანში გონებრივი ჯანმრთელობის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოსარჩელეთა შვილს შეეძლო კლინიკის დატოვება შაბათ-კვირას, თუ ის განაგრძობდა მკურნალობას, დაესწრებოდა სოციალური ინტეგრაციისაკენ მიმართულ შეხვედრებს და კარგად მოიქცეოდა. ამის მიუხედავად, მოსარჩელეთა შვილი არ ასრულებდა დადგენილ პირობებს და იყო აგრესიული, რის გამოც მის მკურნალობაზე პასუხისმგებელმა პირთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ შეუძლებელია მასთან მუშაობის გაგრძელება. ამის გამო იგი დააბრუნეს იმავე ციხეში, სადაც მანამდე იყო, თუმცა არა ფსიქიატრიულ განყოფილებაში, არამედ საერთო განყოფილებაში, სადაც მოათავსეს საკანში სხვა პატიმრებთან ერთად. მოგვიანებით, ერთ-ერთი პატიმრისათვის შეურაცხყოფის მიყენების გამო, მოსარჩელეთა შვილი მოათავსეს სამარტოო საკანში. მოსარჩელეთა ინფორმაციით, მათი შვილი ძლიერ განიცდიდა, რომ მოათავსეს ციხეში, ვერ აცნობიერებდა ამის მიზეზებს და იყო უკიდურესად შეშინებული. სამარტოო საკანში მოთავსებიდან რამდენიმე დღეში მან თავი ჩამოიხრჩო.

მოპასუხე სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულებების შესრულების შესაფასებლად ევროპულმა სასამართლომ განიხილა, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა სახელმწიფოს, რომ მოსარჩელეთა შვილი ქმნიდა თვითმკვლელობის რეალურ და მყისიერ საფრთხეს მაშინ, როდესაც მოათავსეს ციხის საერთო განყოფილებაში.

---

440 102-ე პუნქტი.

441 6 დეკემბერი, 2011 წელი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა შვილი ციხეში აღმოჩნდა ორმაგად მოწყვლად მდგომარეობაში. მკურნალი ექიმის აზრით, მოსარჩელეთა შვილს ჰქონდა პარანოიდული შიზოფრენია, გონებრივი აშლილობა, რომელიც ქმნიდა თვითმკვლელობის განსაკუთრებით მაღალ საფრთხეს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ციხეში ყოფნის დროს არსებობდა მოსარჩელეთა შვილის თვითმკვლელობის მაღალი საფრთხე. ევროპული სასამართლოს აზრით, მიუხედავად იმისა, არ იყო მტკიცებულება, რომ მას მანამდე ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა, არ შეიძლებოდა დასკვნის გაკეთება, რომ ხელისუფლებამ არ იცოდა ასეთი საფრთხის არსებობის შესახებ. მისი გონებრივი აშლილობის შესახებ ცნობილი იყო მაშინ, როდესაც მიიღეს გადაწყვეტილება ციხეში მისი მოთავსების შესახებ. ამას გარდა, სასამართლოს აზრით, ხელისუფლებას სხვა ფაქტორებისათვის უნდა მიეპყრო ყურადღება, კერძოდ კი იმისათვის, რომ კლინიკაში მკურნალობამ არ გამოიღო შედეგი. იგი იქცეოდა აგრესიულად კლინიკის თანამშრომლების მიმართ, მან შეწყვიტა წამლების მიღება და იყენებდა ნარკოტიკებს. ამის გამო მოსარჩელეთა შვილი დააბრუნეს ციხეში, სადაც მან შეურაცხყოფა მიაყენა თანამესაკნეს.

სასამართლოს აზრით, თუმცა არ არსებობდა ამის მანიშნებელი სიგნალი, ვინაიდან მამაკაცს ჰქონდა გონებრივი აშლილობა, ხელისუფლებას უნდა სცოდნოდა, რომ არსებობდა რეალური საფრთხე და რომ მას შეეძლო ჩაედინა თვითმკვლელობა ციხეში ყოფნისას. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო კონვენციის მე-2 მუხლის დაცვა არსებით ნაწილში.[442]

საქმე *ტრუბნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Trubnikov v. Russia)* ეხებოდა მოსარჩელის შვილის თვითმკვლელობას პენიტენციურ დაწესებულებაში.[443] სასჯელის მოხდის პერიოდში მოსარჩელის შვილი რამდენჯერმე მოათავსეს კარცერში ალკოჰოლის მიღების გამო. ერთ-ერთი ასეთი დისციპლინური სასჯელის დროს მან მიიყენა თვითდაზიანება, ხოლო მეორე შემთხვევაში, ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა. ამის გამო 1995 წელს იგი მოათავსეს ფსიქიატრიული ზედამხედველობის ქვეშ. 1998 წელს მოსარჩელის შვილი ხელახლა მოათავსეს კარცერში ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ყოფნის გამო. მოთავსებიდან დაახლოებით ერთ საათში იგი აღმოაჩინეს ჩამოხრჩობილი ქურთუკის სახელოთი.

ამ საქმის გარემოებების შესწავლის შემდეგ ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ იმისათვის, რათა წარმოიშვას პოზიტიური ვალდებულება პატიმრის მიმართ, რომელსაც აქვს მიდრეკილება თვითმკვლელობისაკენ, უნდა დადგინდეს, რომ ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მის მიმართ რეალური და მყისიერი საფრთხის არსებობის შესახებ. მართალია, მოსარჩელის შვილს ჰქონდა მიდრეკილება თვითდაზიანებისაკენ კარცერში მოთავსების საპასუხოდ და ერთხელ თვითმკვლელობის მცდელობაც კი, მაგრამ ციხის სამედიცინო ჩანაწერები მიუთითებდა, რომ მას არ ჰქონდა მწვავე ფსიქიატრიული სიმპტომები. უფრო მეტიც, მის ფსიქიატრს არასოდეს გამოუთქვამს აზრი, რომ არსებობდა თვითმკვლელობის ალბათობა.

რაც შეეხება იმას, სახელმწიფოს უნდა სცოდნოდა თუ არა მისი სიცოცხლისათვის საფრთხის შესახებ, სასამართლომ აღნიშნა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში, როდესაც იგი იმყოფებოდა ფსიქიატრიული ზედამხედველობის ქვეშ, მოსარჩელის შვილს არ გამოუვლენია რაიმე საშიში სიმპტომი, როგორიცაა მიდრეკილება თვითმ-

---

442 84-ე პუნქტი; ასევე იხ. *კეტრები საფრანგეთის წინააღმდეგ (Ketreb v. France)*, 19 ივლისი, 2012 წელი; *ისენცი საფრანგეთის წინააღმდეგ (Isenc v. France)*, 4 თებერვალი, 2016 წელი. შეად.: *სელალი საფრანგეთის წინააღმდეგ (Sellal v. France)*, 8 ოქტომბერი, 2015 წელი.

443 5 ივლისი, 2005 წელი.

კვლელობისაკენ. პირიქით, სამედიცინო ისტორია მიუთითებდა, რომ მისი გონებრივი და ემოციური მდგომარეობა, ზოგადად, დასტაბილურდა პირველადი ინტენსიური მკურნალობის შედეგად 1995 წელს და მას შემდეგ არ გაუარესებულა. მეტიც, აღინიშნებოდა მისი მდგომარეობის გარკვეული გაუმჯობესებაც კი. აქედან გამომდინარე, ამ პერიოდიდან მოყოლებული, არ შეინიშნებოდა მისი მდგომარეობის გაუარესება, რის შედეგადაც მისი მდგომარეობა შეფასდა როგორც სტაბილური. ამის გათვალისწინებით, სასამართლომ გაიზიარა პოზიცია, რომ რთული იქნებოდა მდგომარეობის სწრაფი და ძირეული გაუარესების განჭვრეტა, რომელიც გამოიწვევდა მოსარჩელის შვილის თვითმკვლელობას.[444]

აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ ვერ დაასკვნა, რომ ხელისუფლებამ იცოდა მყისიერი საფრთხის არსებობის შესახებ მისი სიცოცხლისათვის, ან მას შეეძლო ეს გონივრულად განეჭვრიტა, მისი გონებრივი და ემოციური მდგომარეობის დასტაბილურების გათვალისწინებით. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა: ამ გარემოებებში ხელისუფლებას არ შეეძლო, გონივრულად განეჭვრიტა, რომ მოსარჩელის შვილი ჩამოიხრჩობდა თავს.[445]

სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის შვილის ისტორიამ აჩვენა, რომ მისი ალკოჰოლური თრობის შეთავსება დისციპლინურ სასჯელთან შეიცავდა საფრთხეს მისი ჯანმრთელობისათვის. სასამართლომ უარყოფითად შეაფასა ის ფაქტი, რომ მოსარჩელის შვილს ხელი მიუწვდებოდა ალკოჰოლზე თვითმკვლელობის წინა დღეს. მიუხედავად ამისა, სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რათა მთელი პასუხისმგებლობა მისი გარდაცვალებისათვის დაეკისროს სახელმწიფოს. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა რუსეთის მიერ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების დარღვევა არსებით ნაწილში.[446]

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა დადგინდა საქმეზე – *რენოლდი საფრანგეთის წინააღმდეგ (Renolde v. France)*.[447] ამ საქმეში მოსარჩელის ძმა, რომელიც წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა, განიცდიდა ფსიქიკურ აშლილობას. პენიტენციურ დაწესებულებაში მან სცადა თვითმკვლელობა, რის გამოც მას დაუნიშნეს მედიკამენტი, რომელიც უნდა მიეღო კვირაში ორჯერ, თუმცა ციხის ადმინისტრაციას არ გაუტარებია ღონისძიებები, რათა დარწმუნებულიყო, რომ იგი იღებდა ამ მედიკამენტს. ამასთანავე, თვითმკვლელობის პირველი მცდელობის შემდეგ იგი არ გადაიყვანეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში და არ მოათავსეს მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ. ნაცვლად ამისა, თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ მის მიმართ გამოყენებულ იქნა მაქსიმალური (45 დღე) დისციპლინური სასჯელი (სამარტოო საკანში მოთავსება), რამაც მოახდინა მისი იზოლირება და გაზარდა თვითმკვლელობის საფრთხე, რაც, საბოლოოდ, მოსარჩელის ძმამ აღასრულა.

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელისუფლებამ ვერ შეასრულა მოსარჩელის ძმის მიმართ სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება.

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების თვალსაზრისით, ასევე საინტერესოა საქმე *იასინსკა პოლონეთის წინააღმდეგ (Jasinska v. Poland),* რომელშიც მოსარჩელე ასაჩივრებდა თავისი შვილიშვილის გარდაცვალებას პენიტენციურ დაწესებულებაში,

---

444 75-ე პუნქტი.

445 76-ე პუნქტი; ასევე იხ. *მიტიჩი სერბეთის წინააღმდეგ (Mitic v. Serbia)*, 22 იანვარი, 2013 წელი.

446 77-ე-79-ე პუნქტები; რუსეთის პასუხისმგებლობა დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის საპროცესო ნაწილის დარღვევისათვის.

447 16 ოქტომბერი, 2008 წელი.

სადაც იხდიდა სასჯელს ქურდობისათვის.[448] მოსარჩელის შვილიშვილს ბავშვობიდან ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები და, ექიმის დანიშნულებით, იღებდა ფსიქოტროპულ აბებს, მათ შორის პენიტენციურ დაწესებულებაში. 2004 წელს კრუნჩხვისა და კანკალის გამო მოსარჩელის შვილიშვილი სასწრაფო დახმარების მანქანით გადაიყვანეს საავადმყოფოში. მან აღიარა, რომ მიიღო ფსიქოტროპული აბები, რომლებიც გამოუწერა ციხის ფსიქიატრმა. მომდევნო დღეს მოსარჩელის შვილი გარდაიცვალა. გაკვეთამ დაადასტურა, რომ გარდაცვალების ძირითადი მიზეზი იყო მოწამვლა დიდი რაოდენობის სამკურნალო ნივთიერებით. გამოძიებამ დაადასტურა, რომ ამ რაოდენობით წამალი მის ხელთ შეიძლება აღმოჩენილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ყოველ ჯერზე დამალავდა მას ენის ქვეშ, როდესაც მედდა დაარიგებდა წამალს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ციხის ადმინისტრაციამ იცოდა მოსარჩელის შვილიშვილის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, როგორც ეს იყო მითითებული 2002 წელს მომზადებულ დასკვნაში, რომ მას ადრე ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა. სასამართლომ მიუთითა, რომ ხელისუფლებას არ წარმოუდგენია დამაჯერებელი ახსნა-განმარტება იმისა, როგორ დარჩა მისი ყურადღების მიღმა სამკურნალო ნივთიერების სასიკვდილო რაოდენობის შეგროვების ფაქტი. სასამართლომ აღნიშნა სისტემის აშკარა ხარვეზი, რომელმაც შესაძლებლობა მისცა პატიმარს, დაეგროვებინა სამკურნალო აბების სასიკვდილო დოზა ისე, რომ წამლის მიღებაზე პასუხისმგებელმა სამედიცინო პერსონალმა არაფერი იცოდა ამაზე, რასაც მოჰყვა თვითმკვლელობა.[449] სასამართლომ მიუთითა, რომ ხელისუფლების პასუხისმგებლობა არ შემოიფარგლება სამკურნალო ნივთიერების დანიშვნით, არამედ მოიცავს იმის უზრუნველყოფას, რომ მას მიიღებენ როგორც საჭიროა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება გონებრივი აშლილობის მქონე პატიმრებს. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ დაარღვია ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი.[450]

საქმე *კოსელავი თურქეთის წინააღმდეგ (Coselav v. Turkey)* ეხებოდა მოსარჩელეთა (ცოლ-ქმარი) შვილს, რომელმაც თავი ჩამოიხრჩო საკნის გისოსზე ლოგინის ზეწრით.[451] მოსარჩელეთა შვილს მანამდე ორჯერ ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა. პირველად, 2003 წლის დეკემბერში ეს მცდელობა მოხდა ყარსის ციხის არასრულწლოვანთა ნაწილის ეზოში. ამის გამო მის წინააღმდეგ აღიძრა დისციპლინური სამართალწარმოება, თუმცა მისთვის არ შეუფარდებიათ დისციპლინური სასჯელი; მეორედ, 2004 წლის იანვარში მოსარჩელეთა შვილი შეეცადა თავის მოკვლას დიდი რაოდენობით წამლის მიღებით. მას აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება საავადმყოფოში, რის შემდეგაც გადაიყვანეს ერზრუმის ციხეში, ჯერ არასრულწლოვანთა ფლიგელში, ხოლო მოგვიანებით სრულწლოვანი პატიმრების ფლიგელში. 2004 წლის თებერვლიდან დეკემბრამდე მოსარჩელეთა შვილმა გააგზავნა 22 წერილი ერზრუმის ციხის ადმინისტრაციის მისამართით, რომლებშიც ითხოვდა ციხის უფროსთან შეხვედრას მისი პირადი პრობლემების განსახილველად. იგი აცხადებდა, რომ ამ ფლიგელში ვერ შეეწყო იქ მყოფ პატიმრებს. ერთხელ, 2004 წლის დეკემბერში, ციხის უფროსის მოადგილესთან შეხვედრის შემდეგ, როდესაც მას უარი უთხრეს არასრულწლოვანთა ფლიგელში გადაყვანაზე, მას ჰქონდა ციხის გუშაგზე თავდასხმის მცდელობა საპარსის პირით, ასევე მან გატეხა ნიჟარა თავის საკანში და ცეცხლი წაუკიდა თავის მატრასს.[452]

---

448 1 ივნისი, 2010 წელი.

449 75-ე პუნქტი.

450 79-ე პუნქტი.

451 9 ოქტომბერი, 2012 წელი.

452 მე-13 პუნქტი.

თვითმკვლელობის დღეს მან რამდენჯერმე დაარტყა თავი საკნის კედელს, რის გამოც მოსარჩელეთა შვილი გადაიყვანეს სამედიცინო განყოფილებაში. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემდეგ იგი დააბრუნეს თავის საკანში, სადაც მან თავი მოიკლა.[453]

მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ თურქეთის ხელისუფლებას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა მათი შვილის გარდაცვალებისა და ამ ფაქტის არასათანადო გამოძიებისათვის.

ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ხელისუფლებას ჰქონდა არაერთი მტკიცებულება იმისა, რომ მოსარჩელეთა შვილი იყო თვითმკვლელობის საფრთხის წინაშე (თვითმკვლელობის ორი შემთხვევა, თვითდაზიანება და სხვა შემთხვევები). მისი ფსიქოლოგიური პრობლემების არსებობა არცერთ ეტაპზე არ იყო სადავო. პატიმრებმა და ციხის ადმინისტრაციამ იცოდნენ მისი ფსიქოლოგიური პრობლემების შესახებ. სასამართლოს აზრით, მიუხედავად ამ საფრთხის არსებობისა, ხელისუფლებამ არ გაატარა აუცილებელი პრევენციული ღონისძიებები თვითმკვლელობის თავიდან ასაცილებლად. სასამართლოს აზრით, გაკვირვებას იწვევს, რომ მოსარჩელეთა შვილის გარდაცვალების დღეს, როდესაც მისი ფსიქიკური მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე და კრიტიკული იყო (მან რამდენჯერმე საკნის კედელს დაარტყა თავი), იგი დააბრუნეს საკუთარ საკანში და დატოვეს ზედამხედველობის გარეშე. სასამართლოს პოზიციით, კრიტიკულ მომენტში მოსარჩელეთა შვილს სჭირდებოდა დახმარება მძიმე ფსიქოლოგიური პრობლემების მოგვარებაში და არა დისციპლინური სასჯელი ან გულგრილობა.

აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ თურქეთის ხელისუფლება არა მხოლოდ პასუხისმგებელი იყო მოსარჩელეთა შვილის მდგომარეობის გაუარესებაზე ზრდასრულ პატიმრებთან მისი მოთავსებით, არამედ მან ვერ შეძლო, მოსარჩელეთა შვილისათვის უზრუნველეყო სამედიცინო ან სპეციალისტის დახმარება, რამაც გამოიწვია კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.

საქმე *შუმკოვა რუსეთის წინააღმდეგ (Shumkova v. Russia)* ეხებოდა მოსარჩელის შვილის თვითმკვლელობას პენიტენციურ დაწესებულებაში, სადაც იგი იხდიდა სასჯელს მკვლელობისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის.[454] მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ ციხის ადმინისტრაცია პასუხისმგებელი იყო მისი შვილის გარდაცვალებაზე, რადგან მან იცოდა, რომ მისი შვილი განიცდიდა ფსიქიკურ აშლილობას და ჰქონდა მიდრეკილება თვითდაზიანებისაკენ. მიუხედავად ამისა, მოსარჩელის მტკიცებით, ციხის ადმინისტრაციას არ გაუტარებია შესაბამისი ღონისძიებები თვითმკვლელობის თავიდან ასაცილებლად, მათ შორის არ აღმოუჩენია სათანადო სამედიცინო დახმარება, როდესაც მისმა შვილმა საპარსის პირით გადაიჭრა ვენები; ასევე მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ გამოძიება არ იყო ეფექტიანი.

უპირველეს ყოვლისა, ევროპულმა სასამართლომ განიხილა, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა ხელისუფლებას, რომ მოსარჩელის შვილი ქმნიდა თვითმკვლელობის რეალურ და მყისიერ საფრთხეს, და თუ ასე იყო, რა გააკეთა ხელისუფლებამ ასეთი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელისუფლება საეჭვოდ არ ხდიდა, რომ მოსარჩელის შვილს ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები.

ევროპულმა სასამართლომ ასევე გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ თვითმკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე მოსარჩელის შვილმა მიიყენა თვითდაზიანება, კერძოდ, დაისერა მაჯა. მიუხედავად ამ ფაქტისა, მას ხელი მიუწვდებოდა საპარსის პირზე,

---

453 მე-14-მე-15 პუნქტები.

454 14 თებერვალი, 2012 წელი.

რომლითაც მოგვიანებით გადაიჭრა ვენები. იმის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე დღით ადრე მოსარჩელის შვილმა მიიყენა თვითდაზიანება, სასამართლოს აზრით, ციხის ადმინისტრაციას მეტი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა და უზრუნველეყო, რომ საპარსის პირი აღარ ჰქონოდა მას.[455]

ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა მოსარჩელის შვილისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, როდესაც ციხის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს, მოსარჩელის შვილმა გადაიჭრა ვენები და სისხლიდან იცლებოდა, მათ შესთავაზეს პირველადი დახმარების აღმოჩენა, რაზეც მან ზეპირსიტყვიერად უარი განაცხადა. სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან ციხის თანამშრომლებმა იცოდნენ, მოსარჩელის შვილს ჰქონდა ფსიქიკური აშლილობა, მისი უარისათვის არ უნდა მიექციათ ყურადღება, მით უფრო, რომ, მისი დაზიანების გათვალისწინებით, იგი ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას ციხის თანამშრომლებს.[456] შესაბამისად, მოსარჩელის შვილის დაზიანებისა და სისხლის დაკარგვის ხარისხის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა პოზიცია, რომ პირველად დახმარებაზე ზეპირსიტყვიერმა უარმა შეიძლება გაამართლოს ციხის თანამშრომლების უმოქმედობა და იმის ცქერა, როგორც იცლებოდა იგი სისხლისაგან და კვდებოდა.[457]

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ხელისუფლებამ ვერ შეასრულა სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება მოსარჩელის შვილის მიმართ. აქედან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი.[458]

საქმის – *რეინოლდსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Reynolds v. the United Kingdom)* – მიხედვით, მოსარჩელის შვილმა, რომელიც იყო დაავადებული შიზოფრენიით, ჩაიდინა თვითმკვლელობა მას შემდეგ, რაც მისი მდგომარეობა შეფასდა როგორც თვითმკვლელობის დაბალი საფრთხის მატარებელი.[459] იგი მოათავსეს ფსიქიატრიული საავადმყოფოს მე-6 სართულზე, სადაც მან გაამტვრია ფანჯარა და გადმოხტა, რის შედეგადაც გარდაიცვალა.[460] ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ჰქონდა ვალდებულება, გადაედგა გონივრული ნაბიჯები, რათა დაეცვა მოსარჩელის შვილი თვითმკვლელობის რეალური და მყისიერი საფრთხისაგან, რაც არ მომხდარა.[461]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თვითმკვლელობის საქმეებთან დაკავშირებით ყურადღება გაამახვილა იმ ნაბიჯებზე, რომლებიც სახელმწიფომ უნდა გადადგას თავისუფლებააღკვეთილი პირების თვითმკვლელობისაგან დასაცავად. ამ ნაბიჯებს შორისაა პატიმრის ზედამხედველობა, ექიმის მიერ პატიმრის რეგულარული მონახულება, ფსიქიატრის მიერ პატიმრის შეფასება და მკურნალობა, პატიმრის უზრუნველყოფა მედიკამენტებით, პატიმრისათვის განგაშის მექანიზმის ხელმისაწვდომობა, ალკოჰოლური სასმელებისა და ნარკოტიკების აკრძალვა და სხვ.[462]

---

455 95-ე პუნქტი.

456 მე-100 პუნქტი.

457 101-ე პუნქტი.

458 104-ე-105-ე პუნქტები.

459 13 მარტი, 2012 წელი.

460 მე-10-მე-12 პუნქტები.

461 61-ე პუნქტი.

462 P.H. van Kempen, Positive Obligations to Ensure the Human Rights of Prisoners: Safety, Healthcare, Conjugal Visits and the Possibility of Founding a Family Under the ICCPR, the ECHR, the ACHR, and the AfChHPR, in: Peter J.P. Tak & Manon Jendly (eds.), Prison Policy and Prisoner' Rights. The Protection of Prisoners' Fundamental Rights in International and Domestic Law, 2008, 28.

საქმე *ჯენტი ბელგიის წინააღმდეგ (Jeanty v. Belgium)* ეხებოდა წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირის თვითმკვლელობის მცდელობას.[463] კერძოდ, მოსარჩელე (ფილიპ ჯენტი) 2011 წლის 26 ივნისს დააკავეს და მოათავსეს პოლიციის განყოფილებაში საკუთარი ცოლის შეურაცხყოფისა და მის მიმართ გამოყენებული ფიზიკური ძალადობისათვის. პოლიციაში დაკითხვის დროს მან განაცხადა, რომ ჰქონდა ფსიქოლოგიური აშლილობა და მოითხოვა საკუთარი თავის იზოლირება, რადგან განზრახული ჰქონდა თვითმკვლელობა. მომდევნო დღეს მოსამართლემ მოათავსა იგი წინასწარ პატიმრობაში და ციხის ადმინისტრაციას შეატყობინა, რომ ფილიპ ჯენტის ჰქონდა მიდრეკილება თვითმკვლელობისაკენ. ციხეში მოთავსების შემდეგ მას სამჯერ ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა. ციხის ადმინისტრაციამ საკნიდან გაიტანა საფრთხის შემცველი ნივთები. იგი მოათავსეს დაცულ საკანში, ხოლო ციხის ექიმმა მისცა დამამშვიდებელი. მოსარჩელე რამდენიმე დღის განმავლობაში იმყოფებოდა სპეციალური ზედამხედველობის ქვეშ. 2011 წლის 12 აგვისტოს მოსარჩელე თავდებით გაათავისუფლეს. 2011 წლის 21 ოქტომბრიდან 2 დეკემბრამდე მოსარჩელე ხელახლა მოათავსეს იმავე ციხეში თავდების პირობების დარღვევის გამო. მან რამდენჯერმე მოითხოვა სხვა საკანში გადაყვანა თანამესაკნეების გამო. ციხის ადმინისტრაციის უარს მოსარჩელემ მუქარით უპასუხა, რომ ჩაიდენდა თვითმკვლელობას, რისთვისაც იგი მოათავსეს იზოლირებულ საკანში სპეციალური ზედამხედველობის ქვეშ. მორიგი შემოწმების დროს გუშაგმა აღმოაჩინა, რომ მოსარჩელე ჩადიოდა თვითმკვლელობას და შეაჩერა იგი. ექიმის ბრძანებით, ციხის თანამშრომლებმა ფილიპ ჯენტის დაახურეს ჩაფხუტი და დაადეს ხელბორკილები, რათა დაეცვათ კედელზე თავის განზრახ მირტყმისა და თვითდაზიანებისაგან. ამ მდგომარეობაში იგი იმყოფებოდა მომდევნო დღემდე. ორი დღის შემდეგ კი გამოიყვანეს იზოლირებული საკნიდან და დაკითხა ციხის დირექტორმა, რომელმაც გასცა ბრძანება მისი დისციპლინური სასჯელით ოზოლირებულ საკანში მოთავსების შესახებ სამი დღის განმავლობაში. დირექტორის აზრით, პატიმარი ასეთი მოქმედებით ცდილობდა, ზემოქმედება მოეხდინა ციხის ადმინისტრაციაზე, რათა შეეცვალა საკანი. მოსარჩელე თავდებით განთავისუფლდა 2011 წლის 2 დეკემბერს.

გარდა კონვენციის მე-3 მუხლისა, რომლის დარღვევასაც მოსარჩელე ამტკიცებდა, იგი ასევე აცხადებდა, რომ დაერღვა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული უფლება. კერძოდ, მისი მტკიცებით, ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო შესაფერისი ღონისძიებების გატარება, რათა თავიდან აეცილებინა თვითმკვლელობის მცდელობის სისრულეში მოყვანა.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, თვითმკვლელობა არ მომხდარა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს კონვენციის მე-2 მუხლის გამოყენებას მოცემული ვითარების მიმართ. შესაბამისად, თვითმკვლელობის მცდელობის საქმეზე ვრცელდება კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები. სასამართლოს პოზიციით, პატიმრობის დროს მოსარჩელეს ჰქონდა თვითმკვლელობის რამდენიმე მცდელობა და ციხის ადმინისტრაციის ჩარევის გამო ეს მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა.

რაც შეეხება საკითხს, გაატარა თუ არა ხელისუფლებამ საჭირო ღონისძიებები მოსარჩელის სიცოცხლის დასაცავად, სასამართლომ მიიჩნია, რომ, მთლიანობაში, ხელისუფლებამ გააკეთა ყველაფერი, რაც გონივრული იყო მოსარჩელის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის თავიდან ასაცილებლად. მეტიც, ამ ღონისძიებებმა რეალურად მოახდინა მოსარჩელის თვითმკვლელობის თავიდან აცილება.

---

463 31 მარტი, 2020 წელი.

აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს აზრით, არ დარღვეულა კონვენციის მე-2 მუხლი.[464]

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არ დადგინდა არც საქმეზე – *უჩარი თურქეთის წინააღმდეგ (Ucar v. Turkey)*, რომელშიც მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მისი შვილი არაიდენტიფიცირებულმა პირებმა მოიტაცეს 1999 წლის 5 ოქტომბერს, რის შემდეგაც იგი გადასცეს პოლიციას. მოპასუხე სახელმწიფო უარყოფდა მოსარჩელის შვილის მოტაცებას და ამტკიცებდა, რომ იგი დააკავეს 1999 წლის 2 ნოემბერს საეჭვო ქცევისა და გაყალბებული პირადობის საბუთის ტარებისათვის.[465] სახელმწიფოს ინფორმაციით, 1999 წლის 24 ნოემბერს მოსარჩელის შვილი აღმოაჩინეს ორიარუსიან საწოლზე ქამრით ჩამოხრჩობილი. დაუყოვნებლივ ჩატარდა გამოძიება, რომელმაც დაადგინა, რომ მოსარჩელის შვილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ამის საწინააღმდეგოდ, მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მისი შვილი მოკლეს სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ან სხვა პატიმრებმა.

ევროპული სასამართლოს აზრით, არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები, რომ მას, გონივრული ეჭვის მიღმა, გაეკეთებინა დასკვნა, რომ მოსარჩელის შვილი მოკლა სახელმწიფოს წარმომადგენელმა ან სხვა პატიმარმა, როგორც ამას ამტკიცებდა მოსარჩელე.[466] ამასთანავე, სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფოს მხრიდან არ დასტურდებოდა პატიმრის სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობა. სასამართლომ მოიშველია ორი სამედიცინო დასკვნა, რომლის საფუძველზე დაადგინა: არ არსებობდა მტკიცებულებები, რომელიც მიუთითებდა, რომ ციხის ადმინისტრაციამ იცოდა, რომ მოსარჩელის შვილი შეუქმნიდა საფრთხეს საკუთარ სიცოცხლეს და რომ იგი საჭიროებდა მკაცრ ზედამხედველობას. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-2 მუხლი.[467]

მართალია, ევროპული სასამართლო ფართოდ იყენებს საქმეზე – *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)* – დადგენილ კრიტერიუმებს, მაგრამ სასამართლომ კიდევ უფრო გააფართოვა სახელმწიფოს ვალდებულების ფარგლები და დაადგინა, რომ სახელმწიფომ ასევე უნდა დაიცვას თავისუფლებაღკვეთილი პირები „განჭვრეტადი საფრთხისაგან.“[468] კერძოდ, საქმეზე – *კელერი რუსეთის წინააღმდეგ (Keller v. Russia),* რომელშიც მსხვერპლი პოლიციაში ყოფნისას ფანჯრიდან გადახტა, სასამართლომ აღნიშნა: მაშინაც კი, როდესაც დადგენილი არ არის, რომ ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა საფრთხის არსებობის შესახებ, „არსებობს აუცილებელი საბაზისო პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც პოლიციისა და პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებმა უნდა გაატარონ ყველა შემთხვევაში, რომ მოახდინონ ნებისმიერი პოტენციური საფრთხის შემცირება, რათა დაიცვან დაკავებული პირის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.“[469] შესაბამისად, პატიმრობაში მყოფი პირის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვის ვალდებულება მოიცავს ვალდებულებას, დაიცვას თავისუფლებააღკვეთილი პირის სიცოცხლე „განჭვრეტადი საფრთხისაგან“.[470]

---

464 82-ე პუნქტი.

465 11 აპრილი, 2006 წელი.

466 81-ე-82-ე პუნქტები.

467 87-ე-89-ე პუნქტები.

468 W. Schabas, The European Convention on Human Rights: A Commentary, 2015, 133-134.

469 17 ოქტომბერი, 2013 წელი. 82-ე პუნქტი.

470 ასევე იხ. *ლიკოვა რუსეთის წინააღმდეგ (Lykova v. Russia)*, 22 დეკემბერი, 2015 წელი, 129-ე პუნქტი.

საქმე *ერემიასოვა და პეჩოვა ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (Eremiasova and Pechova v. the Czech Republic)* ეხებოდა ძარცვისათვის დაკავებული პირის (ვ.პ.-ს) პოლიციის განყოფილების შენობის ფანჯრიდან გადახტომას, რომლის შედეგად იგი გარდაიცვალა.[471] მოსარჩელეები (გარდაცვლილის პარტნიორი და დედა) ამტკიცებდნენ, რომ ვ.პ. პოლიციელებმა გადააგდეს ფანჯრიდან და რომ არ ჩატარებულა საქმის ეფექტიანი გამოძიება.

პოლიციის ინფორმაციით, საქმის გარემოებები შემდეგი იყო: ორმა პოლიციელმა ვ.პ. მიაცილა საპირფარეშომდე. უკანა გზაზე ვ.პ.-მ, რომელსაც ხელბორკილები არ ედო, დაარტყა ერთ-ერთ პოლიციელს, დაიხსნა მისგან თავი და დახურული ფანჯრიდან თავით გადახტა პოლიციის ეზოში. ვ.პ. გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც მომდევნო დილით გარდაიცვალა.

გამოძიების დაწყებიდან რამდენიმე თვეში შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, შეეწყვიტა საქმე, რადგან, მისი აზრით, არ არსებობდა დანაშაულის ნიშნები.

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს პოზიციის გაზიარების შემთხვევაშიც კი, რომლის თანახმადაც ვ.პ.-მ თავი მოიკლა გაქცევის მცდელობისას, სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას დაკავებულ პირთა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, მოიცავს გონივრული ღონისძიებების გატარების საჭიროებას, რაც უზრუნველყოფს საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენებისაგან დაცვას.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მიზეზი, რატომაც პოლიციელებმა ვ.პ. ჩაიყვანეს პირველ სართულზე მდებარე საპირფარეშოში (ნაცვლად იმისა, რომ მას მეორე სართულზე მდებარე საპირფარეშოთი ესარგებლა) იყო ის, რომ პირველ სართულზე მდებარე საპირფარეშოს ჰქონდა გისოსები. მიუხედავად იმისა, პოლიციელები, სავარაუდოდ, აცნობიერებდნენ საფრთხეს, რომ ვ.პ.-ს შეიძლება ჰქონოდა გაქცევის მცდელობა, უკანა გზაზე თანხლებისას ვ.პ.-ს არ ეკეთა ხელბორკილები, ერთ-ერთ პოლიციელს მისთვის მსუბუქად ეკიდა ხელი და ვ.პ.-მ შეძლო გადახტომა პირველსა და მეორე სართულს შორის მდებარე ფანჯრიდან, რომელსაც არ ჰქონდა გისოსი.

ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა: მართალია, სახელმწიფოსათვის ისეთი ვალდებულების დაკისრება, რომ პოლიციის ყველა განყოფილების ფანჯარაზე იყოს გისოსი, მეტისმეტი იქნებოდა, პოლიციელებს მაინც მეტი ყურადღება უნდა გამოეჩინათ, რათა მინიმუმამდე შეემცირებინათ ვ.პ.-ს მიერ ფანჯრიდან გადახტომის საფრთხე. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.[472]

საქმე *P.H. სლოვაკეთის წინააღმდეგ (P.H. v. Slovakia)* ეხებოდა 16 წლის გოგონას დაკავებას პოლიციის მიერ სავაჭრო ცენტრში ქურდობის გამო.[473] პოლიციის განყოფილებაში მოსარჩელის მიყვანის შემდეგ იგი გადმოხტა პოლიციის შენობის მეორე სართულზე მდებარე საპირფარეშოს ფანჯრიდან.

ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მხარეები სადავოდ არ ხდიდნენ, მოსარჩელისათვის ზიანი განპირობებული იყო მისი მეორე სართულიდან გადმოხტომით, თუმცა ეს სახელმწიფოს არ ათავისუფლებდა პასუხისმგებლობისაგან. სასამართლოს აზრით, მიუხედავად იმისა, არ არსებობდა საფრთხის რაიმე ნიშანი, რომ მოსარჩელეს შეიძლება ჰქონოდა მცდელობა, მიმალულიყო ფანჯრიდან გადახტომის გზით,

---

471 16 თებერვალი, 2012 წელი.

472 118-ე პუნქტი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში.

473 8 სექტემბერი, 2022 წელი.

სახელმწიფო ვალდებული იყო, გაეტარებინა გარკვეული პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნებოდა რაიმე პოტენციური საფრთხის მინიმუმამდე შემცირებისაკენ.[474] როგორც ეს დადგენილი იყო ეროვნულ დონეზე, ოფიცერმა, რომელიც მოსარჩელეს თან ახლდა საპირფარეშოში, ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება, კერძოდ, მოსარჩელეს შეაქცია ზურგი. ოფიცერს უნდა უზრუნველეყო, რომ ფანჯარა ყოფილიყო ჩაკეტილი, ან მას უნდა ეპოვნა მდედრობითი სქესის ოფიცერი მოსარჩელის ზედამხედველობისათვის. სასამართლოს აზრით, ეს უმოქმედობა ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას მოსარჩელის ფიზიკური კეთილდღეობა.[475] აქედან გამომდინარე, სასამართლოს აზრით, სახელმწიფო არის პასუხისმგებელი მოსარჩელის დაზიანებებზე. ამის გამო სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი არსებით ნაწილში.[476]

საქმის – *მიზიგაროვა სლოვაკეთის წინააღმდეგ (Mizigarova v. Slovakia)* – მიხედვით, მოსარჩელის მეუღლე გარდაიცვალა პენიტენციურ დაწესებულებაში გასროლილი ტყვიით. მოსარჩელე მხარე ამტკიცებდა, რომ იარაღი ისროლა პოლიციელმა, რომელიც ეჭვმიტანილს კითხავდა, ხოლო სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ ეს იყო თვითმკვლელობა.[477] მიუხედავად იმისა, რომელი იყო გარდაცვალების სწორი ვერსია, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა მე-2 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულება. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ არის აუცილებელი, არსებობდეს კონკრეტულ (იდენტიფიცირებულ) პირთან დაკავშირებული საფრთხე. სასამართლოს აზრით, სახელმწიფომ ყველა შემთხვევაში უნდა გაატაროს საბაზისო პრევენციული ღონისძიებები იმისათვის, რათა თავისუფლებაღკვეთილი პირების სიცოცხლისათვის პოტენციური საფრთხეც კი მინიმუმამდე შეამციროს. ამიტომ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა თავის პრაქტიკაში, რომ საბაზისო პრევენციული ღონისძიებების გაუტარებლობა სახელმწიფოს მიერ იწვევს მის პასუხისმგებლობას კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე.[478]

ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ტანრიბილირი თურქეთის წინააღმდეგ (Tanribilir v. Turkey)* – მიუთითა, რომ ფიზიკური თავისუფლების ნებისმიერმა აღკვეთამ შეიძლება, თავისი ბუნებით, გამოიწვიოს ფსიქოლოგიური აშლილობა პატიმრებს შორის და, შესაბამისად, გაზარდოს თვითმკვლელობის საფრთხე. ასეთი საფრთხის წინააღმდეგ სახელმწიფომ უნდა გაატაროს პრევენციული ღონისძიებები, როგორებიცაა ბასრი ნივთების, ქამრებისა და ზონარების ამოღება.[479] მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლების აღკვეთამ შეიძლება შექმნას თვითმკვლელობის საფრთხე, ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *იანგერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Younger v. the United Kingdom)* – მიუთითა, რომ, მართალია, თვითმკვლელობის საფრთხე უფრო მაღალია პატიმრებს შორის, ვიდრე ზოგადად მოსახლეობაში, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ციხის ადმინისტრაციამ ყველა პატიმარი უნდა მიიჩნიოს თვითმკვლელობის პოტენცი-

---

474 112-ე-113-ე პუნქტები.

475 114-ე პუნქტი.

476 115-ე პუნქტი. ამ საქმეზე სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის დარღვევა საპროცესო ნაწილში. იხ. 109-ე პუნქტი; ასევე იხ. *ფანზიევა რუსეთის წინააღმდეგ (Fanziyeva v. Russia)*, 18 ივნისი, 2015 წელი, 56-ე-მე-60 პუნქტები.

477 14 დეკემბერი, 2010 წელი.

478 L.-A. Sicilianos, Preventing Violations of the Right to Life: Positive Obligations Under Article 2 of the ECHR, Cyprus Human Rights Law Review, vol. 3, 2014, 119-120.

479 16 ნოემბერი, 2000 წელი, 74-ე პუნქტი.

ური საფრთხის შემცველად.[480] როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, ყველა პატიმრის განხილვა თვითმკვლელობის საფრთხის შემცველად არა მხოლოდ არათანაზომიერი ტვირთი იქნება ხელისუფლებისათვის, არამედ ასევე ჩაითვლება პოტენციურად უსარგებლო და არათანაზომიერ შეზღუდვად ცალკეული პატიმრის თავისუფლების მიმართ.[481]

საქმე *S.F. შვეიცარიის წინააღმდეგ (S.F. v. Switzerland)* ეხებოდა მოსარჩელის შვილის (D.F.), რომელიც ალკოჰოლისა და ანტიდეპრესანტების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, მიზეზით 2014 წელს მომხდარ საგზაო შემთხვევას.[482] პოლიციის ოფიცრებმა (R.B.-მ და A.S.-მ), რომლებიც მივიდნენ შემთხვევის ადგილას, შეასრულეს ამ ტიპის ავტოავარიისათვის დადგენილი სტანდარტული პროცედურა. შემთხვევის ადგილას ასევე მივიდა მოსარჩელე, რომელსაც შვილმა (D.F.) დაურეკა. მოსარჩელის შვილი საუბრობდა თვითმკვლელობაზე. დადგენილი პროცედურის მიხედვით, პოლიციის ოფიცრებმა D.F. წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც მისთვის უნდა ჩაეტარებინათ სისხლისა და შარდის ანალიზი. მოსარჩელის შვილმა კიდევ ახსენა თვითმკვლელობა. მოგვიანებით პოლიციის ოფიცრები დაუკავშირდნენ საგზაო პოლიციის განყოფილებას და შეატყობინეს, რომ ისინი უკვე იმყოფებიან გზაში და რომ ადგილზე საჭირო იქნება ექიმის დახმარება. D.F., რომელსაც ახლდა მოსარჩელე, მიიყვანეს პოლიციის განყოფილებაში და მოათავსეს ცალკე საკანში, ზედამხედველობის გარეშე. 40 წუთის მონაკვეთში, რომლის განმავლობაშიც D.F. იმყოფებოდა საკანში, მან ჩაიდინა თვითმკვლელობა, საკუთარი ჯინსის შარვლით სავენტილაციო ბადეზე ჩამოკიდებით.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ, პირველ რიგში, განიხილა, იცოდა თუ არა ხელისუფლებამ თვითმკვლელობის საფრთხისა და D.F.-ს განსაკუთრებული მოწყვლადობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ შემთხვევის ადგილას პოლიციის ოფიცერმა A.S.-მ განიხილა მოსარჩელესთან, რომ D.F. საუბრობდა თვითმკვლელობაზე და საჭირო იყო შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა; ასევე საგზაო პოლიციის განყოფილებაში პოლიციის ოფიცერი C.R. იყო ინფორმირებული თვითმკვლელობის საფრთხის შესახებ ჯერ კიდევ მაშინ, ვიდრე D.F.-ს მიიყვანდნენ პოლიციის განყოფილებაში. პოლიციასთან პირველივე შეხებისას D.F.-მ გამოავლინა უცნაური ქცევა, რომელიც მიუთითებდა მის ემოციურ დამოკიდებულებაზე საკუთარ დედასთან, რაც გამოიხატა იმით, რომ D.F.-მ შექმნილი სიტუაცია მიიჩნია საფრთხის შემცველად. ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა: დასკვნაში ავტოფსიის შესახებ საექსპერტო მედიცინის ინსტიტუტმა (IRMZ) აღნიშნა, რომ D.F.-ს იზოლაცია სამარტოო საკანში, მისი „მიმდინარე“ თვითმკვლელობის იდეები, თვითმკვლელობის წარსული მცდელობები და „ალკოჰოლის პრობლემა“ ჩაითვალა საფრთხის შემცველ ფაქტორებად პატიმრობაში თვითმკვლელობის ჩადენის მიმართ და რომ ამ საქმეში მინიმუმ ორი ეს ფაქტორი იყო სახეზე.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ D.F.-ს შეეძლო თვითმკვლელობის ჩადენა და, აქედან გამომდინარე, არსებობდა რეალური და მყისიერი საფრთხე მისი სიცოცხლისათვის. ამას გარდა, ხელისუფლებას ხელთ ჰქონდა საკმარისი მტკიცებულება D.F.-ს განსაკუთრებული მოწყვლადობის შესახებ. აქედან გამომდინარე, ხელი-

---

480 გადაწყვეტილება, 7 იანვარი, 2003 წელი.

481 S. Kyrkos, Suicide in the Military as a Breach of the Rights to Life, Under the Provisions of Article 2 of the European Convention on Human Rights and Fundamental Freedoms, http://ssrn.com/abstract=2836637, p. 6-7.

482 30 ივნისი, 2020 წელი.

სუფლებას უნდა გაეცნობიერებინა D.F.-სათვის მკაცრი ზედამხედველობის გაწევის აბსოლუტური აუცილებლობა.

რაც შეეხება ღონისძიებებს, რომლებიც სახელმწიფომ გაატარა თვითმკვლელობის საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საგზაო პოლიციის განყოფილებაში პოლიციის ოფიცრებმა განახორციელეს უსაფრთხოების სტანდარტული პროცედურა, რაც მოიცავს ფეხსაცმლის თასმების, ქამრისა და ძეწკვის ამოღებას, რითაც პირს ერთმევა თავის ჩამოხრჩობის ან სხვაგვარი თვითდაზიანების მიყენების შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, პოლიციის ხუთი ოფიცერი იმყოფებოდა საგზაო პოლიციის განყოფილებაში და D.F. შეიძლება გაეჩერებინათ საოფისე სივრცეში, მოსარჩელის თანდასწრებით.

საბოლოოდ, ევროპული სასამართლოს აზრით, იმ ფაქტმა, რომ პოლიციამ D.F. მარტო დატოვა საკანში, ზედამხედველობის გარეშე, დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლება. სასამართლოს პოზიციით, ხელისუფლებას შეეძლო, გონივრული და შედარებით მცირე ძალისხმევით თავიდან აეცილებინა D.F.-სათვის თვითმკვლელობის საფრთხე, რაც მათთვის ცნობილი იყო, ან უნდა ყოფილიყო ცნობილი. ხელისუფლების პასუხისმგებლობა გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ის მოეპყრო D.F-ს, როგორც ადამიანს, რომელსაც ჰქონდა მის წინაშე წარმოქმნილი სტრესისა და წნეხის გამკლავების უნარი და სახელმწიფომ ვერ შეძლო მისი რთული მდგომარეობის საკმარისად გათვალისწინება.[483] მიუხედავად იმისა, პოლიციის ოფიცრები მოქმედებდნენ თუ არა ასეთი სიტუაციის მარეგულირებელი წესების მიხედვით, ვერ მოხდა D.F.-ს განსაკუთრებული მდგომარეობის მხედველობაში მიღება, რამაც გამოიწვია სახელმწიფოს პასუხისმგებლობა კონვენციის საფუძველზე. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.[484]

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოკლე მიმოხილვიდან გამომდინარეობს, რომ თავისუფლებააღკვეთილი პირების სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულების შესასრულებლად სახელმწიფომ უნდა გადადგას რიგი ნაბიჯებისა, რომლებიც უზრუნველყოფს ღონისძიების გატარებას არა მხოლოდ იდენტიფიცირებული პატიმრების მიმართ, რომელთა სიცოცხლე საფრთხეშია, არამედ ისეთი საბაზისო პრევენციული ღონისძიებების გატარებას, რომლებიც მინიმუმამდე შეამცირებს საფრთხეს პატიმრების სიცოცხლისათვის.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც სახელმწიფოთა პრაქტიკაში წამოიჭრა პატიმრებთან მიმართებით, არის შემდეგი: ვალდებულია თუ არა სახელმწიფო, უზრუნველყოს იმ პატიმრის იძულებითი კვება, რომელიც შიმშილობს და, შესაბამისად, უარს აცხადებს საკვების მიღებაზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პირის გარდაცვალება?[485]

საქმე *ჰოროზი თურქეთის წინააღმდეგ (Horoz v. Turkey)* ეხებოდა მოსარჩელის შვილის წინასწარ პატიმრობას, რომელიც დაკავებული იყო სახელმწიფოს კონს-

---

483 98-ე პუნქტი.

484 99-ე პუნქტი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში. იხ. 140-ე პუნქტი.

485 S. Trechsel, Spotlight on Article 2 ECHR, The Right to Life, in: Development and Developing International Law and European Law: Essays in Honour of Konrad Ginther on the Occasion of his 65th Birthday, W. Benedek, H. Isak and R. Kicker (eds.), 1999, 676-677; J. McBride, Protecting Life: A Positive Obligation to Help, Bulletin des Droits de l'Homme, N9, 2000, 63; W. Schabas, The European Convention on Human Rights: A Commentary, 2015, 132-133.

ტიტუციური წესრიგის ხელყოფისა და სხვადასხვა ტერორისტული აქტის ჩადენის ბრალდებით.[486] მოსარჩელის შვილმა გადაწყვიტა შიმშილობის გამოცხადება და იღებდა მხოლოდ შაქრიან წყალსა და ვიტამინებს. რამდენჯერმე მოხდა მისი ჰოსპიტალიზაცია მას შემდეგ, რაც მან დაკარგა გონება. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ინსტიტუტმა გასცა რეკომენდაცია, რომ მოსარჩელის შვილი ექვსი თვით განთავისუფლებულიყო პატიმრობიდან, რადგან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუთავსებელი იყო პატიმრობასთან. მოსარჩელის შვილის ადვოკატმა მოითხოვა მისი განთავისუფლება, რაზეც ეროვნული უშიშროების სასამართლომ უარი განაცხადა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე. კოდექსი ითვალისწინებდა მხოლოდ მსჯავრდებული პირების, და არა წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების, განთავისუფლებას საპატიმროდან, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ეროვნული უშიშროების სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის შვილის მკურნალობა შეიძლება განხორციელდეს ციხის სამოქალაქო საავადმყოფოს ფლიგელში. რამდენიმე დღეში მოსარჩელის შვილი გარდაიცვალა ციხის სამოქალაქო საავადმყოფოს ფლიგელში.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელის შვილის გარდაცვალება აშკარად იყო შიმშილობის შედეგი. სასამართლოს აზრით, მართალია, სასურველი იყო თავისუფლებაღკვეთილი პირის განთავისუფლება, როგორც ეს რეკომენდებული იყო სასამართლო-სამედიცინო ინსტიტუტის ანგარიშით, არ არსებობს ეროვნული სასამართლოს შეფასების კრიტიკის საფუძველი მასში მოყვანილი ინფორმაციის მიმართ. ევროპული სასამართლოს აზრით, ასევე არ არსებობდა უკანონობის რაიმე ნიშანი ან რაიმე სხვა ელემენტი, რაც ეჭვის ქვეშ დააყენებდა გაკეთებულ დასკვნას. იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა სასურველი მოსარჩელის შვილის დატოვება პენიტენციურ დაწესებულებაში, ევროპული სასამართლოს პოზიციით, ის ვერ ჩაანაცვლებს ეროვნული სასამართლოების შეფასებას თავისი შეფასებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც, როგორც ამ საქმეში იყო, ხელისუფლებამ საკმარისად შეასრულა თავისი ვალდებულება, დაეცვა შესაბამისი პირის ფიზიკური ხელშეუხებლობა, კერძოდ სათანადო სამედიცინო მკურნალობის ადმინისტრირებით. და ბოლოს, არ არსებობდა მტკიცებულება, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მას არ ჰქონდა გარკვეული მკურნალობის შესაძლებლობა, რაც მას ექნებოდა განთავისუფლების შემთხვევაში. სასამართლოს აზრით, შეუძლებელი იყო მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენა მის განთავისუფლებაზე უარსა და მის გარდაცვალებას შორის. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის შვილის წინასწარი პატიმრობიდან განთავისუფლებაზე უარს არ დაურღვევია ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი.[487]

4.2.2.3.3. სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების სიცოცხლის დაცვა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი ვრცელდება სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების სიცოცხლის უფლების დაცვაზე. სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფ პირებად ითვლებიან სამხედრო სამსახურში მყოფი პირები და სახელმწიფოს დაქვემდებარებულ ისეთ დაწესებულებებში მოთავსებული პირები, როგორებიცაა ფსიქიატრიული და სოციალური მზრუნველობის დაწესებულებები.

---

486 31 მარტი, 2009 წელი.

487 31-ე პუნქტი. შიმშილობის დროს პატიმრის იძულებით კვებაზე იხ. *ნევმერჟიცკი უკრაინის წინააღმდეგ (Nevmerzhitsky v. Ukraine),* 5 აპრილი, 2005 წელი; *რაპპაზი შვეიცარიის წინააღმდეგ (Rappaz v. Switzerland),* გადაწყვეტილება, 26 მარტი, 2013 წელი.

რაც შეეხება სამხედრო სამსახურში მყოფ პირებს, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას მათი სიცოცხლის უფლება და ამისათვის გაატაროს შესაფერისი ღონისძიებები. მართალია, სამხედრო სამსახურში მყოფ პირებს არ აქვთ აღკვეთილი თავისუფლება იმ პირების მსგავსად, რომლებიც სასჯელს იხდიან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, მაგრამ, სხვა ადამიანებისაგან განსხვავებით, მათ არ აქვთ უფლება, თავიანთი შეხედულებისამებრ დატოვონ სამხედრო ნაწილი, რადგან ისინი იმყოფებიან სახელმწიფოს ექსკლუზიური კონტროლის ქვეშ.[488] როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა სამხედრო სამსახურში მყოფ პირებთან მიმართებით, „წვევამდელები, თავისუფლებააღკვეთილი პირების მსგავსად, იმყოფებიან სახელმწიფო ხელისუფლების ექსკლუზიური კონტროლის ქვეშ, რადგან ხელისუფლება, მთლიანად ან დიდწილად, ექსკლუზიურად ფლობს ინფორმაციას ჯარში მომხდარი ნებისმიერი მოვლენის შესახებ და ხელისუფლებას ეკისრება მათი დაცვის ვალდებულება.“[489] აქედან გამომდინარე, მისი ექსკლუზიური კონტროლის ქვეშ ყოფნის გამო სახელმწიფოს ეკისრება განსაკუთრებული ვალდებულება ამ პირებთან მიმართებით.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ ნათელი მოჰფინა, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახურსა და საკონტრაქტო სამხედრო სამსახურთან მიმართებით სახელმწიფოს აქვს მსგავსი ვალდებულება, უზრუნველყოს ამ სამსახურებში მყოფი პირების სიცოცხლის დაცვა. შესაბამისად, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება არ განსხვავდება იმის მიხედვით, პირი იმყოფება სავალდებულო სამხედრო სამსახურში თუ საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურე იმყოფება სახელმწიფოს ექსკლუზიური კონტროლის ქვეშ.[490]

ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ წვევამდელის თვითმკვლელობა შეიძლება განაპირობოს როგორც თავად წვევამდელის ფსიქიკურმა მდგომარეობამ, ისე შექმნილმა გარემოებამ, რომელშიც იგი აღმოჩნდა. თვითმკვლელობა შეიძლება ჩაიდინოს როგორც ფსიქიკური პრობლემების მქონე, ისე ფსიქიკურად ჯანმრთელმა წვევამდელმა. მიუხედავად იმისა, წვევამდელს აქვს თუ არა ფსიქიკური პრობლემები, ზოგიერთ შემთხვევაში თვითმკვლელობა შეიძლება მოხდეს სახელმწიფოს წარმომადგენლის (წვევამდელის ზემდგომის) სტიმულირების გარეშე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, წვევამდელის ზემდგომის სტიმულირებით.[491]

---

488 *მარინა ალექსეევა (Marina Alekseyeva v. Russia),* 19 დეკემბერი, 2013 წელი, 121-ე პუნქტი.

489 *ტიხონოვა რუსეთის წინააღმდეგ (Tikhonova v. Russia),* 30 აპრილი, 2014 წელი, 68-ე პუნქტი; *მალიკ ბაბაევი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Malik Babayev v. Azerbaijan),* 1 ივნისი, 2017 წელი, 66-ე პუნქტი.

490 *ბოიჩენკო რუსეთის წინააღმდეგ (Boychenko v. Russia),* 12 ოქტომბერი, 2021 წელი, მე-80 პუნქტი; *ჰოვანისიანი და ნაზარიანი სომხეთის წინააღმდეგ (Hovhannisyan and Nazaryan v. Armenia),* 8 ნოემბერი, 2022 წელი, 136-ე-167-ე პუნქტები.

491 *აბდულატიფ არსლანი და ზერიფე არსლანი თურქეთის წინააღმდეგ (Abdullatif Arslan and Zerife Arslan v. Turkey)*, 21 ივლისი, 2015 წელი; *საჰინკუსუ თურქეთის წინააღმდეგ (Şahinkuşu v. Turkey)*, 21 ივნისი, 2016 წელი; *ჩენგიზ და საიგიკანი თურქეთის წინააღმდეგ (Cengiz and Saygikan v. Turkey)*, 24 იანვარი, 2017 წელი; *ხარიბოვი რუსეთის წინააღმდეგ (Kharibov v. Russia)*, 12 ოქტომბერი, 2021 წელი; *ლიუბოვ ვასილიევა (Lyubov Vasilyeva v. Russia)*, 18 იანვარი, 2022 წელი; *ხუდოროშკო რუსეთის წინააღმდეგ (Khudoroshko v. Russia)*, 18 იანვარი, 2022 წელი; *ნანა მურადიანი სომხეთის წინააღმდეგ (Nana Muradyan v. Armenia)*, 5 აპრილი, 2022 წელი; *გვოზდევა რუსეთის წინააღმდეგ (Gvozdeva v. Russia)*, 22 მარტი, 2022 წელი; *ფილიპოვები რუსეთის წინააღმდეგ (Filippovy v. Russia)*, 22 მარტი, 2022 წელი.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ასევე არის შემთხვევა, როდესაც წვევამდელის მკვლელობა ჩაიდინა სხვა წვევამდელმა, რომელიც არ იყო შესაფერისი სამხედრო სამსახურისათვის. ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ გაატარა პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები წვევამდელის სიცოცხლის დასაცავად. შესაბამისად, სახელმწიფოს დაეკისრა პასუხისმგებლობა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევისათვის არსებით ნაწილში.[492]

ერთ-ერთი საქმე, რომელიც ეხება სახელმწიფოს მიერ წვევამდელის სიცოცხლის უფლების დაცვას, არის საქმე *კილინჩი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Kilinc and Others v. Turkey)*.[493] ამ საქმეში, ატიპური დეპრესიის მქონე მამაკაცი, რომელსაც დეპრესია 1992 წელს დაუდგინდა, 1994 წელს მიიჩნიეს შესაფერისად სამხედრო სამსახურისათვის. სამხედრო სამსახურის დაწყებიდან იგი გადიოდა ფსიქიატრიულ მკურნალობას. ვინაიდან წვევამდელს ჰქონდა ფსიქიატრიული დარღვევები, გარნიზონის მეთაურმა გაგზავნა იგი სამედიცინო შემოწმებისათვის. შემოწმების შემდეგ, 1995 წლის 22 თებერვალს, ექიმებმა მას დაუდგინეს შინაგანი მღელვარება, რის გამოც დაუნიშნეს მედიკამენტური მკურნალობა და ურჩიეს დასვენება სამი დღის განმავლობაში. სიმპტომების შენარჩუნების გამო მოხდა წვევამდელის ჰოსპიტალიზაცია, თუმცა იგი მალე დაბრუნდა თავის სამხედრო ნაწილში. დაბრუნებიდან მეორე დღეს უფროსმა ოფიცერმა დაავალა წვევამდელს თავისი ჩვეული მოვალეობების შესრულება. რვა დღის შემდეგ წვევამდელს დაევალა გარნიზონის ციხის საყარაულო კოშკში დაცვის მოვალეობის შესრულება, რისთვისაც მას გადასცეს ცეცხლსასროლი იარაღი. ამ იარაღით მან საკუთარ თავს მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა.

ამ საქმეზე გამოძიების შედეგად ბრალდება წარუდგინეს უფროს ოფიცერს, თუმცა მოგვიანებით იგი გაამართლეს, რადგან მიიჩნიეს, რომ მოხდა თვითმკვლელობა გაუფრთხილებლობით.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კილინჩის (წვევამდელი) ფსიქიატრიული დიაგნოზი ცნობილი იყო დიდი ხნით ადრე, ვიდრე მას გაიწვევდნენ სამხედრო სამსახურში. სამხედრო სამსახურს უნდა დაედგინა, იყო თუ არა იგი შესაფერისი სამხედრო სამსახურისათვის, მისი სამედიცინო ისტორიის გათვალისწინებით, მით უფრო, რომ მისი გონებრივი არასტაბილურობის გამო, რომელიც გამოიკვეთა მისი თავდაპირველი სამედიცინო შემოწმების დროს, უნდა მომხდარიყო მისი უფრო დეტალური შემოწმება, ნაცვლად ნაჩქარევი ბრძანების მიღებისა მისი გაწვევის შესახებ. ვინაიდან წვევამდელი სამხედრო სამსახურის დაწყებისთანავე გადიოდა ფსიქიატრიულ მკურნალობას, სამხედრო სამსახური, როგორც მინიმუმ, ამ დროიდან მაინც უნდა ყოფილიყო ინფორმირებული მისი საგანგაშო ფსიქიატრიული მდგომარეობის შესახებ. მისი ფსიქიატრიული ჯანმრთელობის შესახებ არსებული მდგომარეობის მიუხედავად, კილინჩი გაგზავნეს სამხედრო გარნიზონში მისი, როგორც წვევამდელის, მოვალეობის შესასრულებლად.

ევროპული სასამართლოს პოზიციით, ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებს უნდა სცოდნოდათ, რომ წვევამდელ კილინჩს შეეძლო თვითმკვლელობის ჩადენა. რაც შეეხება იმას, ყველაფერი გააკეთა თუ არა სახელმწიფომ, რაც მას შეეძლო, რათა თავიდან აეცილებინა სიცოცხლის მოსპობის საფრთხის სისრულეში მოყვანა, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ წვევამდელებთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი თურქეთის კანონმდებლობა არ შეიცავდა მკაფიო წესებს,

---

492 *იაბანსუ და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Yabansu and Others v. Turkey)*, 12 ნოემბერი, 2013 წელი.

493 7 ივნისი, 2005 წელი.

რომლებიც აწესრიგებდა ზედამხედველობას იმ პირების მიმართ, რომელთა შესაფერისობა სამხედრო სამსახურისათვის საეჭვო იყო, და განსაზღვრავდა წესებს, რომელთა მიხედვით სამხედრო ხელმძღვანელის მოვალეობებში შედიოდა იმ წვევამდელების არაორდინარული სიტუაციის გადაწყვეტა, რომლებსაც ჰქონდათ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები. ევროპული სასამართლოს აზრით, ამ საკითხების საპროცესო რეგულირება იყო ხარვეზიანი, რადგან შესაბამისი სამედიცინო სამსახური არ ადგენდა კილინჩის ფსიქიკურ შესაფერისობას სამხედრო სამსახურისათვის მის გაწვევამდე და გაწვევის შემდეგ და არ უზრუნველყოფდა მასზე ზედამხედველობას. ამასთანავე, არ იყო დადგენილი ის მოვალეობები, რომლებიც მას შეიძლება დაკისრებოდა. ამან შეასრულა გადამწყვეტი როლი მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით, რადგან სახელმწიფომ არ გააკეთა ყველაფერი, რისი გაკეთებაც მას შეეძლო ამ საფრთხისაგან პირის დასაცავად და რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელი იყო. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი არსებით ნაწილში.

ამ გადაწყვეტილებამ ცხადყო, რომ წვევამდელების სიცოცხლის უფლების დაცვასთან მიმართებით სახელმწიფოს აქვს ორი ძირითადი ვალდებულება, რომლებიც გამომდინარეობს ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან: პირველი ვალდებულების მიხედვით, სახელმწიფომ უნდა დაადგინოს საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო, რომელიც მოახდენს თვითმკვლელობის ეფექტიან პრევენციას; მეორე ვალდებულების მიხედვით, სახელმწიფომ უნდა გაატაროს პრაქტიკული ღონისძიებები, რათა დაიცვას წვევამდელები იმ საფრთხეებისაგან, რომელთა წინაშეც ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ და რომლებიც სამხედრო სამსახურისათვის დამახასიათებელია.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მსგავსი დასკვნა გააკეთა საქმეზე – *ატამანი თურქეთის წინააღმდეგ (Ataman v. Turkey).*[494] ეს საქმე ეხებოდა წვევამდელის (მიკაილ ატამანის) საგანგაშო ფსიქიკურ მდგომარეობას, რომელიც სამხედრო ჰოსპიტალში ფსიქიატრიული მკურნალობის გავლის შემდეგ მიიჩნიეს სამხედრო სამსახურისათვის შესაფერისად და გასცეს ბრძანება, რომ დაბრუნებულიყო თავისი ნაწილის ყაზარმაში. ვინაიდან სამხედრო ჰოსპიტლიდან დაბრუნების შემდეგ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა, ხოლო სიმპტომები შემცირდა, უფროსმა ოფიცერმა დაავალა წვევამდელს ყარაულის ფუნქციის შესრულება, რისთვისაც მას გადაეცა ცეცხლსასროლი იარაღი. წვევამდელმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა იმ ცეცხლსასროლი იარაღით, რომელიც გადასცეს ყარაულის მოვალეობის შესასრულებლად. ამ ფაქტის გამო სამხედრო პროკურორმა შექმნა სამი ექსპერტისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც უნდა გამოეძიებინა საქმე. კომისიამ ჩათვალა, რომ თვითმკვლელობა იყო ოჯახურ პრობლემებზე წვევამდელის მწვავე რეაქციის პირდაპირი შედეგი.

ამ საქმეში ევროპულ სასამართლოს უნდა დაედგინა, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა სახელმწიფოს, რომ არსებობდა მიკაილ ატამანის მიერ თვითმკვლელობის რეალური და მყისიერი საფრთხე და, თუ ეს ასე იყო, გააკეთა თუ არა სახელმწიფომ ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეეძლო, რომ თავიდან აეცილებინა ეს საფრთხე. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, გაატაროს პრევენციული ღონისძიებები, რათა დაიცვას ყველა პირი, რომლის სიცოცხლე საფრთხეშია, და, შესაბამისად, სახელმწიფომ, რომელშიც სამხედრო სამსახური სავალდებულოა, უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება და უზრუნველყოს სამხედრო ძალებში იმ ჯარისკაცებისათვის შესაფერისი პირობების შექმნა, რომლებსაც

494 27 აპრილი, 2006 წელი.

აქვთ ფსიქიკური აშლილობა. ამ საქმეში თურქეთის ხელისუფლებას არ გაუტარებია პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც გონივრული იქნებოდა იმისათვის, რომ მოსარჩელის შვილს – მიკაილ ატამანს – არ ჰქონოდა წვდომა ცეცხლსასროლ იარაღთან.

ასევე საინტერესოა საქმე *ლუტფი დემირჩი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Lutfi Demirci and Others v. Turkey)*, რომელშიც მოსარჩელის ნათესავმა, თურქეთის ჯარის წევრმა, თავი მოიკლა ცეცხლსასროლი იარაღით, რომელიც მას მიანდეს გუშაგის მოვალეობის შესასრულებლად.[495] მიუხედავად იმისა, რომ, ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამო, წევრი ანტიდეპრესანტებს იღებდა და იმყოფებოდა უფროსი ოფიცრისა და სამხედრო სამედიცინო სამსახურის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ, უფროსმა ოფიცერმა არ გაათავისუფლა იგი მოვალეობების შესრულებისაგან, რადგან ენდო წევრის მტკიცებას, რომ მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა უმჯობესდებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ, სამხედრო მოვალეობის შესრულებისას, მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა მისთვის მინდობილი ცეცხლსასროლი იარაღით.

მართალია, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ წევრის ფსიქოლოგიური პრობლემები არ იყო დაკავშირებული მის სამხედრო სამსახურთან და არ იყო გამოწვეული მის მიმართ რაიმე დამამცირებელი მოპყრობით სხვა ჯარისკაცების, ზემდგომი პირების ან იმ სამსახურების მხრიდან, რომლის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მისი სიცოცხლის ეფექტიანი დაცვა. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს პოზიციით, ისინი არ უნდა მინდობოდნენ წევრის მტკიცებას, რომ იგი თავს უკეთ გრძნობდა, არამედ იგი უნდა გაეთავისუფლებინათ ისეთი მოვალეობებისაგან, რომლებიც დაკავშირებული იყო ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან ან უნდა უზრუნველეყოთ, რომ მას წვდომა არ ჰქონოდა ცეცხლსასროლ იარაღთან. სახელმწიფოს ეკისრებოდა პოზიტიური ვალდებულება, გამოეჩინა განსაკუთრებული წინდახედულება და უზრუნველეყო სამხედრო პირობების შესაბამისი მკურნალობა ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ჯარისკაცებისათვის. ამ საქმეზე წევრის ფსიქოლოგიური პრობლემები დადგინდა მის მიერ სამხედრო სამსახურის დაწყებისთანავე, მაგრამ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო კონკრეტული ღონისძიებების გატარება, რომლებიც გონივრული იქნებოდა მოცემულ ვითარებაში, კერძოდ, წევრისათვის სასიკვდილო იარაღზე ხელმისაწვდომობის აკრძალვა. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ დაარღვია ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება, გაეტარებინა პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები წევრის სიცოცხლის დასაცავად.

მსგავსი საქმის – *დულეკი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Dulek and Others v. Turkey)* – მოსარჩელეთა ნათესავს სამხედრო სამსახურის გავლამდე ჩაუტარეს ფიზიკური და ფსიქოლოგიური შემოწმება, დაუდგინეს დისთიმია (მწვავე დეპრესიული აშლილობა) და დაუნიშნეს მკურნალობა.[496] მიუხედავად ამისა, იგი აღიარეს სამხედრო სამსახურისათვის შესაფერისად და შეუდგა სამხედრო სამსახურს 2006 წლის 26 მაისს. 2006 წლის 30 მაისიდან 16 ივნისამდე წევრი ოთხჯერ შეამოწმა სხვადასხვა ექიმმა და, მათი აზრით, წევრს ჰქონდა მიდრეკილება თვითმკვლელობისაკენ. 2006 წლის 19 ივნისს დაიგეგმა მისი გადაყვანა იზმირის საავადმყოფოში, თუმცა ამ დღეს იგი აღმოაჩინეს გარდაცვლილი თვითმკვლელობის შედეგად. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.

---

495 2 მარტი, 2010 წელი.

496 3 ნოემბერი, 2011 წელი.

ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე წვევამდელის თვითმკვლელობას ეხებოდა საქმე *სერვეტ გიუნდუზი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Servet Gunduz and Others v. Turkey)*, რომლის გარდაცვალება წაახალისა წვევამდელის ზემდგომი პირის მოქმედებამ.[497] მიუხედავად იმისა, რომ წვევამდელს ჰქონდა აშკარა ფსიქოლოგიური პრობლემები და იტარებდა მკურნალობას, როგორც წამალზე დამოკიდებული პირი, შესაბამისმა სამედიცინო სამსახურმა იგი აღიარა შესაფერისად ისეთი სამხედრო სამსახურისათვის, რომელიც არ მოითხოვდა იარაღის გამოყენებას, იმ პირობით, რომ იქნებოდა უფროსის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ. ერთ დღეს, თავის უფროს ოფიცერთან კამათის შემდეგ, მან განზრახ გაიარა შემოსაზღვრულ დანაღმულ ტერიტორიაზე, მიუხედავად სხვა წვევამდელების გაფრთხილებისა და მოწოდებისა, რომ შეჩერებულიყო. დანაღმულ ტერიტორიაზე გავლამ გამოიწვია ნაღმის აფეთქება, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა.

ევროპული სასამართლოს აზრით, უდავო იყო, რომ სახელმწიფო ინფორმირებული იყო წვევამდელის ფსიქოლოგიური პრობლემის შესახებ. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მისთვის ცნობილი მიზეზის გამო სახელმწიფომ გაატარა უსაფრთხოების რამდენიმე ღონისძიება, როგორებიცაა მისთვის ცეცხლსასროლი იარაღის ტარების აკრძალვა და ყარაულის ფუნქციის დაკისრებისაგან თავის შეკავება. ეს ღონისძიებები დროებით მაინც პასუხობდა მის უუნარობას, გაევლო სამხედრო სამსახური.

ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო დარწმუნდა იმაში, რომ ხელისუფლებამ იცოდა, რომ წვევამდელის გამოცხადებამ სამხედრო სამსახურისათვის შესაფერისად, მოაქცია იგი რეალური საფრთხის წინაშე და ზემოთ ნახსენებმა წინდაუხედაობამ განაპირობა საკმარისი მიზეზშედეგობრივი კავშირი იმ მოვლენებთან, რომლებმაც გამოიწვია მისი გარდაცვალება.[498] აქედან გამომდინარე, შესაბამის დროს მოქმედი მარეგულირებელი ნორმები აღმოჩნდა არასაკმარისი, რის გამოც დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება.

საქმის – *პერევედენცევი რუსეთის წინააღმდეგ (Perevedentsevy v. Russia)* – მიხედვით, მოსარჩელეთა შვილი (მიხაილ პერევედენცევი), რომელიც მსახურობდა ორწლიან სავალდებულო სამხედრო სამსახურში, ყაზარმაში იპოვეს გარდაცვლილი, კისერზე შემოხვეული მარყუჟით.[499] ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ რუსეთში იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა, რომ სამხედრო ნაწილის უფროსს ეკისრებოდა პირადი პასუხისმგებლობა მისი ნაწილის ფუნქციონირების ყველა ასპექტზე, თითოეული ჯარისკაცის ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ჩათვლით. როგორც ორივე დასკვნამ, რომლებიც გაკეთდა მოსკოვის სამხედრო სარდლობის მიერ მიხაილ პერევედენცევის გარდაცვალების დღეს (2004 წლის 16 თებერვალი) და 2004 წლის 12 აპრილს ჩატარებული ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული ექსპერტიზის შედეგად, ცხადყო, ხელისუფლებამ იცოდა, რომ მოსარჩელის შვილს ჰქონდა ფსიქოლოგიურ პრობლემები. 2004 წლის 16 აპრილის დასკვნაში გარდაცვალების ერთ-ერთ სავარაუდო მიზეზად მითითებული იყო ნაწილის ხელმძღვანელობის მიერ ჯარისკაცის ინდივიდუალური საჭიროებების ზედამხედველობის განუხორციელებლობა, განსაკუთრებით ფსიქოლოგიური და პედაგოგიური თვალსაზრისით.

ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა რუსეთის მთავრობის პოზიცია, რომ საქმეში არ არსებობდა მიზეზშედეგობრივი კავშირი „დედოვშჩინის“ გავრცელებულ პრაქ-

497 11 იანვარი, 2011 წელი.

498 მე-80-82-ე პუნქტები.

499 24 აპრილი, 2014 წელი.

ტიკასა და წვევამდელის გარდაცვალებას შორის და ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ხელისუფლებამ იცოდა ამ საქმის მიღმა არსებული ზოგადი მდგომარეობის შესახებ რუსეთის სამხედრო ძალებში „დედოვშჩინის“ არსებობის თაობაზე, რომელიც იწვევდა უკანონობასა და ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევას.[500] მიუხედავად ამისა, რუსეთის ხელისუფლებამ ვერ დაადგინა, რომ მისი სიცოცხლე იყო საფრთხეში და ვერ უზრუნველყო სათანადო ღონისძიებათა გატარება ამ საფრთხის სისრულეში მოყვანის თავიდან ასაცილებლად. აქედან გამომდინარე, სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მოსარჩელის შვილის სიცოცხლის დაცვა, რითაც დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი არსებით ნაწილში.[501]

გარდა ისეთი საქმეებისა, რომლებშიც წვევამდელებს ჰქონდათ ფსიქოლოგიური პრობლემები სამხედრო სამსახურის გავლამდე, ხოლო სამხედრო სამსახურმა დაამძიმა მათი მდგომარეობა და, შედეგად, გამოიწვია თვითმკვლელობის ჩადენა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში ასევე განიხილა სიცოცხლის უფლების დარღვევის საკითხი იმ წვევამდელებთან მიმართებით, რომლებსაც სამხედრო სამსახურის დაწყებამდე არ ჰქონდათ ფსიქოლოგიური პრობლემები, თუმცა სამხედრო სამსახურის დროს სიცოცხლე დაასრულეს თვითმკვლელობით.

აბდულა ილმაზი თურქეთის წინააღმდეგ (Abdullah Yilmaz v. Turkey) პირველი საქმეა, რომელიც ეხებოდა ფსიქიკურად ჯანმრთელი წვევამდელის (მოსარჩელის შვილის) თვითმკვლელობას.[502] ამ საქმეში სერჟანტმა დაავალა წვევამდელს ჩაის მომზადება, რომელმაც ეს დააგვიანა. ამის გამო სერჟანტმა უსაყვედურა მას. მოგვიანებით მან კიდევ ერთხელ დაავალა ჩაის მომზადება, რომელიც ძალიან ძლიერი აღმოჩნდა, რისთვისაც სერჟანტი ფიზიკურად გაუსწორდა წვევამდელს, რომელმაც გონება დაკარგა. ამ შემთხვევიდან რამდენიმე წუთში წვევამდელი დაბრუნდა იარაღით ხელში და ყველას თვალწინ მოიკლა თავი.

ევროპულ სასამართლოს უნდა დაედგინა, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა სახელმწიფოს, რომ არსებობდა რეალური საფრთხე, რომ წვევამდელი მოიკლავდა თავს, და თუ ასე იყო, გააკეთა თუ არა მან ყველაფერი, რისი გაკეთებაც გონივრულად შეიძლებოდა საფრთხის თავიდან ასაცილებლად, იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს ეკისრებოდა ვალდებულება, დაეცვა მისი კონტროლის ქვეშ მყოფი პირის სიცოცხლე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, შეუძლებელი იყო იმ გავლენის სერიოზულობისა და ხასიათის გაანალიზება, რომელიც იმოქმედებდა წვევამდელის გონებრივ მდგომარეობაზე, აშკარა იყო, რომ ეს გავლენა შეუქცევადი აღმოჩნდა სერჟანტის მიერ ჩადენილი უპასუხისმგებლო საქციელის გამო. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ვერ ხედავს რაიმე მიზეზს, ეჭვის ქვეშ დააყენოს ის ანგარიშები, რომლებიც მომზადდა მოკვლევის სამხედრო საბჭოსა და გარნიზონის უფროსი ოფიცრის მიერ, რომელთა მიხედვით, განზრახვის ელემენტის არარსებობის მიუხედავად, თვითმკვლელობა იყო პროვოცირებული სერჟანტის მიერ.

ევროპული სასამართლოს აზრით, საქმის ყველა გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ სერჟანტს აშკარად არ ჰქონდა უნარი, შეესრულებინა თავისი, როგორც სამხედრო პროფესიონალის, მოვალეობები, რომლის საქმეა მის დაქვემდებარებაში მყოფი წვევამდელების ფიზიკური და გონებრივი ხელშეუხებლობის დაცვა. შესაბამისად, მარეგულირებელი ჩარჩო აღმოჩნდა ხარვეზიანი სერჟანტის მიერ სამხედრო ნაწილის

---

500 99-ე პუნქტი.

501 101-ე პუნქტი. ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე ასევე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში. 124-ე პუნქტი.

502 17 ივნისი, 2008 წელი.

მართვის პროფესიულ უნართან მიმართებით. სასამართლომ ასევე მიუთითა: არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მოცემულ გარემოებებში გაკეთდა ყველაფერი, რათა მსხვერპლი დაცული ყოფილიყო უფროსის (სერჟანტის) შეუფერებელი ქცევისაგან. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი.[503]

საქმე *მოსენდზი უკრაინის წინააღმდეგ (Mosendz v. Ukraine)* ეხებოდა მოსარჩელის წვევამდელი შვილის თვითმკვლელობას, რომელიც გამოიწვია სერჟანტის შეურაცხმყოფელმა საქციელმა (სერჟანტმა არ მისცა წვევამდელს დასვენების დროის გამოყენების უფლება და აიძულა იგი, გაეკეთებინა აზიდვები, რადგან წვევამდელმა გამოავლინა სამხედრო ძალების წესდების არასაკმარისი ცოდნა).[504] ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ სამხედრო სასამართლომ სერჟანტს შეუფარდა ხუთწლიანი პატიმრობა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის.

მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სისტემატიურ ბულინგსა და დამცირებას საყოველთაო ხასიათი ჰქონდა უკრაინის ჯარში, რაც ოფიციალურად დაადასტურა და დაგმო ქვეყნის ომბუდსმენმა. სასამართლომ არ გამორიცხა, რომ სამხედრო ნაწილში, რომელშიც მოსარჩელის შვილი მსახურობდა, არსებობდა დამცირების ზოგადი პრაქტიკა. სასამართლოს აზრით, შეშფოთების საგანია ის ფაქტი, რომ პასუხისმგებლობა მომხდარისათვის არ დაეკისრა იერარქიული მმართველობის ზედა საფეხურებზე მყოფ თანამდებობის პირებს, არამედ შემოიფარგლა მხოლოდ ცალკეული ოფიცრებით.[505]

საქმე *ტიხონოვა რუსეთის წინააღმდეგ (Tikhonova v. Russia)* ეხებოდა მოსარჩელის შვილს, რომელიც ორწლიან სავალდებულო სამხედრო სამსახურში ყოფნისას იპოვეს ჩამოხრჩობილი სამხედრო ნაწილის სასადილოს ტუალეტში.[506] გამოძიებამ დაადგინა, რომ მოსარჩელის შვილმა ჩაიდინა თვითმკვლელობა დეპრესიის გამო. ამიტომ შეწყდა სისხლისამართლებრივი წარმოება, თუმცა რამდენჯერმე განახლდა, რათა გამოძიებას დაედგინა მოსარჩელის შვილის სხეულზე დაზიანებების (სისხლჩაქცევები და ნაკაწრები) წარმოშობისა და მისი თვითმკვლელობამდე მიყვანის მიზეზები. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაზიანებების მიზეზი შეიძლება ყოფილიყო სხეულის მირტყმა ტუალეტის კედლებზე ჩამოხრჩობით გამოწვეული კრუნჩხვის დროს, რის შემდეგაც სისხლისსამართალწარმოება საბოლოოდ შეწყდა.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ უნდა დადგინდეს, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა სახელმწიფოს, რომ არსებობდა რეალური და მყისიერი საფრთხე მოსარჩელის შვილის სიცოცხლის მიმართ, და თუ ასეა, გადადგა თუ არა სახელმწიფომ გონივრული ნაბიჯები, რომ თავიდან აეცილებინა ეს საფრთხე.[507]

სასამართლომ მიუთითა: მოსარჩელის შვილის საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სამხედრო სამსახურში გაწვევამდე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეამოწმეს

---

503 76-ე პუნქტი. S. Kyrkos, Suicide in the Military as a Breach of the Rights to Life, Under the Provisions of Article 2 of the European Convention on Human Rights and Fundamental Freedoms, http://ssrn.com/abstract=2836637, p. 15-16.

504 17 იანვარი, 2013 წელი.

505 113-ე პუნქტი. S. Kyrkos, Suicide in the Military as a Breach of the Rights to Life, Under the Provisions of Article 2 of the European Convention on Human Rights and Fundamental Freedoms, http://ssrn.com/abstract=2836637, p. 17-18.

506 30 აპრილი, 2014 წელი.

507 71-ე პუნქტი.

ექიმებმა, ფსიქიატრის ჩათვლით, და მიიჩნიეს შესაფერისად სამხედრო სამსახურისათვის. მოსარჩელის შვილს მოგვიანებით კიდევ ჩაუტარეს ფსიქიატრიული შემოწმება, რომელმაც დაადგინა, რომ იგი არ განიცდიდა ფსიქიკურ აშლილობას.[508] მიუხედავად ამისა, დადგინდა, რომ მოსარჩელის შვილი იყო ემოციურად გაუწონასწორებელი. გაწვევამდე მას დარღვეული ჰქონდა საზოგადოებრივი წესრიგი. მას ასევე ჩადენილი ჰქონდა ძალადობა თავისი ზემდგომის მიმართ, რისთვისაც სასჯელს იხდიდა დისციპლინურ ნაწილში. ამასთანავე, მისმა უფროსმა ძმამ ჩაიდინა თვითმკვლელობა სამხედრო სამსახურის გავლის დროს.[509]

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ იცოდა, რომ მოსარჩელის შვილი იყო ემოციურად გაუწონასწორებელი და რომ მის ოჯახში იყო თვითმკვლელობის შემთხვევა. მიუხედავად ამისა, სასამართლოს აზრით, მის ხელთ არსებული მტკიცებულება არ არის საკმარისი დასკვნის გასაკეთებლად, რომ ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მოსარჩელის შვილის სიცოცხლისათვის რეალური და მყისიერი საფრთხის არსებობის შესახებ. ამიტომ სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული ხელისუფლება ვერ განჭვრეტდა კონკრეტულ გარემოებებს, რომლებმაც გამოიწვია მოსარჩელის შვილის გარდაცვალება. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფოს არ წარმოეშვა პრევენციული ოპერატიული ღონისძიების გატარების ვალდებულება სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით. საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს არ დაურღვევია პოზიტიური ვალდებულება, დაეცვა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლება.[510]

ევროპულ სასამართლოს არ დაუდგენია კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საქმეზე – *მარინა ალექსეევა რუსეთის წინააღმდეგ (Marina Alekseyeva v. Russia)*, რომელიც ეხებოდა მოსარჩელის შვილის, ირკუტსკის სამხედრო საავიაციო საინჟინრო კოლეჯის სტუდენტის, თვითმკვლელობას.[511] თვითმკვლელობის დროს მოსარჩელის შვილი სამხედრო სამსახურში მსახურობდა. მისი გვამის გვერდით აღმოაჩინეს სისხლიანი ხიშტი და წერილი, რომელშიც იგი უთითებდა, რომ განზრახული ჰქონდა სიცოცხლის დასრულება.

თვითმკვლელობას წინ უსწრებდა წვევამდელის მიმართ ზემდგომის საყვედური, რომ მისი სამხედრო ფორმის საყელო არ იყო სუფთა და რომ წვევამდელის მორიგეობის დროს სამხედრო ნაწილის პარკინგიდან გაიყვანეს ძვირადღირებული ავტომობილი. ზემდგომის საყვედური, რომ მანქანის დაკარგვის შემთხვევაში პასუხისმგებლობა წვევამდელს დაეკისრებოდა, აღელვების გამო, წვევამდელმა განმარტა იმგვარად, რომ ავტომობილის ფასის ანაზღაურება მას მოუწევდა.[512]

ევროპული სასამართლოს აზრით, ვინაიდან მოსარჩელის შვილი არ განიცდიდა ქრონიკულ ფსიქიკურ აშლილობას და მრავალრიცხოვანი მოწმის განცხადებებიც ადასტურებდა, რომ მას არ ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები, ხელისუფლებას ვერ ეცოდინებოდა მის მიერ თვითმკვლელობის ჩადენის საფრთხის შესახებ და, შესაბამისად, ვერ დადგინდება, რომ ხელისუფლებას ეკისრებოდა ვალდებულება, გაეტარებინა

---

508 72-ე პუნქტი.

509 74-ე პუნქტი.

510 75-ე-76-ე პუნქტები. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა სახელმწიფოს მიერ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ვალდებულების დარღვევა იმის გამო, რომ საქმეზე ჩატარებული გამოძიება არ იყო ეფექტიანი. იხ. მე-100 პუნქტი.

511 19 დეკემბერი, 2013 წელი.

512 132-ე პუნქტი.

რაიმე ღონისძიება ამ თვალსაზრისით.[513] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ არ დგინდება სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოსარჩელის შვილის გარდაცვალების გამო და, შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ სახელმწიფოს არ დაურღვევია ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი.[514]

ევროპულმა სასამართლომ არც საქმეზე – *მალიკ ბაბაევი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Malik Babayev v. Azerbaijan)* – დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა. ეს საქმე ეხებოდა მოსარჩელის შვილის გარდაცვალებას სამხედრო სამსახურის გავლისას.[515] მოსარჩელის შვილი, რომელიც იყო სნაიპერი სამხედრო ნაწილში, გარდაიცვალა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად. ხელისუფლების მტკიცებით, მოსარჩელის შვილმა ჩაიდინა თვითმკვლელობა, სავარაუდოდ, დეპრესიის გამო. მოსარჩელე, თავის მხრივ, ამტკიცებდა, რომ მისი შვილის თვითმკვლელობამდე მიყვანა განაპირობა მის მიმართ არასათანადო მოპყრობამ, და რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მისი დაცვა. მოსარჩელე ასევე ამტკიცებდა, რომ არ მომხდარა გარდაცვალების ფაქტის ეფექტიანი გამოძიება.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ არ აქვს რაიმე საფუძველი, ეჭვი შეიტანოს ეროვნული ხელისუფლების დასკვნაში, რომ მოსარჩელის შვილმა ჩაიდინა თვითმკვლელობა.[516] სასამართლოს აზრით, ამ გარემოებებში, მან უნდა განიხილოს, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა მას მოსარჩელის შვილის თვითმკვლელობის რეალური და მყისიერი საფრთხის შესახებ, და თუ იცოდა, გააკეთა თუ არა ყველაფერი, რაც გონივრულ ფარგლებში შეეძლო ამ საფრთხის სისრულეში მოყვანის თავიდან ასაცილებლად.[517]

სასამართლოს აზრით, ეს საქმე განსხვავებულია იმ საქმეებისაგან, რომლებშიც თვითმკვლელობის ჩამდენ წვევამდელს ჰქონდა გონებრივი პრობლემები, ან არ იყო ფსიქოლოგიურად სტაბილური, ან ჰქონდა ოჯახში თვითმკვლელობის ისტორია. ამ საქმეში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ სამხედრო სამსახურში გაწვევამდე ან მასში მსახურების დროს მოსარჩელის შვილს ჰქონდა გონებრივი პრობლემები, რაც ეროვნული ხელისუფლებისათვის იქნებოდა განგაშის სიგნალი, რომ შესაძლებელი იყო, მას ჩაედინა თვითმკვლელობა.[518]

სასამართლოს აზრით, რომც გაკეთდეს იმისა დაშვება, რომ მოვლენების განვითარების მოსარჩელისეული ვერსია სწორია და რომ მოსარჩელის შვილი დაექვემდებარა ფიზიკურ ძალადობას თვითმკვლელობამდე ხუთი წუთით ადრე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ საქმეში მოვლენები განვითარდა დროის ძალიან მოკლე მონაკვეთში, რაც ამ საქმეს განასხვავებს საქმისაგან – *აბდულა ილმაზი თურქეთის წინააღმდეგ (Abdullah Yilmaz v. Turkey)*. ამ უკანასკნელი საქმის მიხედვით, მოსარჩელის შვილმა ჩაიდინა თვითმკვლელობა რამდენიმე მოვლენის შედეგად, რომლებიც მოხდა დილით ადრე და გრძელდებოდა შუადღემდე, რამაც მისცა მის ზემდგომს შესაძლებლობა, გაეცნობიერებინა, რომ არსებობდა თვითმკვლელობის რეალური და მყისიერი საფრთხე. სასამართლოს შეფასებით, ეს საქმე მსგავსია იმ ადრე განხილული საქმეებისა, რომლებშიც ძალიან მცირე დრო იყო გასული წვევამდელების წინააღმდეგ ძალადობის აქტებსა და წვევამდელების მიერ ჩადენილ თვითმკვლელობებს შორის. ამ საქმეებზე

---

513 133-ე პუნქტი.
514 133-ე-134-ე პუნქტები.
515 1 ივნისი, 2017 წელი.
516 69-ე პუნქტი.
517 70-ე პუნქტი.
518 71-ე პუნქტი.

წვევამდელების ზემდგომ პირებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, განეჭვრიტათ თვითმკვლელობის რეალური და მყისიერი საფრთხის არსებობა.[519]

სასამართლომ დაადასტურა, რომ ამ ტიპის საქმეებზე ადამიანური ქცევის არაპროგნოზირებადობა არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ არ არსებობდა რაიმე ნიშანი, მოსარჩელის შვილი ყოფილიყო თვითმკვლელობისაკენ მიდრეკილი და რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ რეალური და მყისიერი საფრთხის არსებობის შემთხვევაში, მოსარჩელის შვილი ჩაიდენდა თვითმკვლელობას. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ეს საქმე არ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ დაიცვა მოსარჩელის შვილის სიცოცხლის უფლება. საბოლოოდ, დადგინდა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-2 მუხლი არსებით ნაწილში.[520]

მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში ასევე განიხილა საქმეები, რომლებშიც წვევამდელის თვითმკვლელობა არ იყო გამოწვეული სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობით. კერძოდ, საქმეზე – *სერდარ იგიტი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Serdar Yigit and Others v. Turkey)*– სახელმწიფომ უზრუნველყო სამხედრო სამსახურს დაქვემდებარებული პირის შემოწმება სამხედრო სამსახურის დაწყებამდე და მისი მდგომარეობა შეფასდა როგორც ნორმალური.[521] იმავდროულად, საქმეში არაფერი მიუთითებდა, რომ იგი დაექვემდებარა დამამცირებელ მოპყრობას სამხედრო სამსახურის გავლისას. შესაბამისად, წვევამდელის მიერ თვითმკვლელობის ჩადენა ფსიქოლოგიური დეპრესიის შედეგად არ იყო განჭვრეტადი, რადგან მის სიკვდილამდე არაფერი მიუთითებდა, რომ არსებობდა მისი სიცოცხლისათვის რეალური და მყისიერი საფრთხე.[522] ევროპული სასამართლოს პოზიციით, ხელისუფლების კრიტიკა, რომ მან უფრო მეტი არ გააკეთა თვითმკვლელობის თავიდან ასაცილებლად, უნდა ჩაითვალოს უსაფუძვლოდ, საქმის მასალებიდან გამომდინარე და კონვენციის მე-2 მუხლის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ევროპულ სასამართლოს არ დაუდგენია კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა თურქეთის მიერ.[523]

საქმე *ბოიჩენკო რუსეთის წინააღმდეგ (Boychenko v. Russia)* ეხებოდა მოსარჩელის შვილის (სერგეი ბოიჩენკო) თვითმკვლელობას, რომელიც იყო ლეიტენანტი რუსეთის საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში.[524] სერგეი ბოიჩენკოს არ ჰქონდა რაიმე ფსიქოლოგიური პრობლემები, ვიდრე დაიწყებდა სამხედრო სამსახურს.

საქმის გარემოებებთან მიმართებით ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: სამხედრო სამსახურში მყოფი როგორც ოფიცრები, ისე ჯარისკაცები მიუთითებდნენ, რომ ლეიტენანტ ბოიჩენკოს ჰქონდა მძიმე სულიერი მდგომარეობა, რაც გამოწვეული იყო სამხედრო ნაწილის მისი სახლიდან დიდი მანძილით დაშორებით, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სირთულეებით, განსაკუთრებით მწვავე კონფლიქტებით ზემდგომი თანამდებობის პირებთან (მაიორ B.-სა და მაიორ D.-სთან) და მათი მხრიდან

---

519 73-ე პუნქტი; ასევე *საჰინკუსუ თურქეთის წინააღმდეგ (Şahinkuşu v. Turkey)*, 21 ივნისი, 2016 წელი, 59-ე-მე-60 პუნქტები.

520 75-ე-76-ე პუნქტები. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა აზერბაიჯანის მიერ სიცოცხლის უფლების დაცვის საპროცესო ვალდებულების (არასათანადო და ეფექტიანი გამოძიება) შეუსრულებლობა. იხ. 87-ე პუნქტი.

521 9 ნოემბერი, 2010 წელი.

522 44-ე პუნქტი.

523 45-ე პუნქტი; ასევე იხ. *სალგინი თურქეთის წინააღმდეგ (Salgin v. Turkey)*, 20 თებერვალი, 2007 წელი.

524 12 ოქტომბერი, 2021 წელი.

ბულინგით. სასამართლომ მიუთითა, რომ მაიორები B. და D. გასცდნენ ნორმალური კრიტიკის ფარგლებს ლეიტენანტ ბოიჩენკოს მიმართ, ვინაიდან ისინი შეურაცხყოფას აყენებდნენ მას, მათ შორის სხვების თანდასწრებით და მრავალჯერ დასდეს ბრალი საწვავის ქურდობაში. ასეთმა ზღვარგადასულმა მოქმედებამ, რომელიც გაუმართლებელია სამხედრო საჭიროებით, საგანმანათლებლო ან დისციპლინური მიზნებით, უდავოდ მოაქცია იგი მეტისმეტი წნეხის ქვეშ და, ასევე, როგორც ექსპერტებმა აღმოაჩინეს, შეეძლო, უარყოფითად ემოქმედა სერგეი ბოიჩენკოს გონებრივ მდგომარეობაზე. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ, როგორც გამოძიებამ დაადგინა, მის სამხედრო ნაწილში მინიმუმ ხუთი პირისათვის ცნობილი იყო, რომ სერგეი ბოიჩენკო ფიქრობდა თვითმკვლელობაზე და თვითმკვლელობამდე ბოლო სამი თვის განმავლობაში სამ პირს მოსმენილი ჰქონდა სერგეი ბოიჩენკოს საუბარი თვითმკვლელობაზე. სამხედრო ნაწილში ცნობილი რომ იყო სერგეი ბოიჩენკოს ასეთი ფიქრების შესახებ, ადასტურებს ისიც, რომ ლეიტენანტმა U.-მ საჭიროდ ჩათვალა, ეს ეხსენებინა მაიორ P.-სთან, საგანმანათლებლო სამსახურის უფროსთან, რომელიც პასუხისმგებელი იყო ფსიქოლოგიურ მუშაობაზე სამხედრო ნაწილში. შესაბამისად, მაიორმა პ.-მ ლეიტენანტი U.-საგან იცოდა ლეიტენანტ ბოიჩენკოს ფიქრებზე თვითმკვლელობის შესახებ.[525]

როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, მიუხედავად ამისა, არ არსებობს მტკიცებულება, რომ რაიმე ნაბიჯები გადაიდგა სერგეი ბოიჩენკოს გონებრივი აშლილობისა და თვითმკვლელობის განზრახვის ნიშნების საპასუხოდ, რათა განსაზღვრულიყო მისი მდგომარეობის სერიოზულობა და თვითმკვლელობის საფრთხე. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდა ამის შესაძლებლობას, სამედიცინო კონსულტაცია ფსიქოლოგთან ან ფსიქიატრთან არ შეუთავაზებიათ ლეიტენანტ ბოიჩენკოსათვის.[526]

ევროპული სასამართლოს აზრით, ასევე მნიშვნელოვანია, რომ მაიორმა P.-მ, მიუხედავად იმისა, იცოდა როგორც ლეიტენანტ ბოიჩენკოს მძიმე მორალური მდგომარეობის, ისე მის ფიქრებზე თვითმკვლელობის შესახებ, არანაირი ღონისძიება არ გაატარა, მაგალითად ისეთი, როგორიც გათვალისწინებულია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით. ეროვნულ დონეზე ჩატარებულმა მოკვლევამ ასევე მიიჩნია, რომ მაიორი P.-ს არაეფექტიანი მოქმედება იყო ლეიტენანტი ბოიჩენკოს გარდაცვალების მიზეზი.[527]

ევროპული სასამართლოს განმარტებით, არაფერი ადასტურებდა, რომ სამხედრო სამსახურის ახალი მოსამსახურეების მიმართ დაწესებული მოთხოვნა, ჩატარებოდათ ფსიქოლოგიური შემოწმება, დაცული იყო სერგეი ბოიჩენკოს შემთხვევაში. მართალია, მოპასუხე სახელმწიფომ აღნიშნა, რომ სამხედრო სამსახურის ახალი მოსამსახურეები ყოველთვიურად გადიოდნენ სხვადასხვა შემოწმებას, მათ შორის თვითმკვლელობის საფრთხის განსასაზღვრავად, სახელმწიფომ უარი განაცხადა სერგეი ბოიჩენკოს შესახებ დეტალური ინფორმაციის ევროპული სასამართლოსათვის მოწოდებაზე, გარდა ინფორმაციისა, რომ იგი შესაფერისად გამოცხადდა სამხედრო სასწავლებლისათვის და რომ 2005 წლის 24 ნოემბერს გაიარა ფსიქოლოგიური შემოწმება. აქედან გამომდინარე, სასამართლომ გამოიტანა დასკვნა სახელმწიფოს მოქმედებაზე მოსარჩელის მტკიცებულებების დასაბუთებულობის შესახებ. ამიტომ სასამართლომ შეაფასა საქმის გარემოებები იმ ვარაუდით, რომ სერგეი ბოიჩენკოს ჩაუტარდა ფსიქოლოგიური შემოწმება მხოლოდ ერთხელ, 2005 წლის 24 ნოემბერს. სასამართლომ მიუთითა, რომ,

525 91-ე პუნქტი.
526 92-ე პუნქტი.
527 93-ე პუნქტი.

როგორც ჩანს, ეს არ აკმაყოფილებს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მაგალითად, სამხედრო სამსახურის ახალმოსული მოსამსახურეებისათვის ერთი თვის განმავლობაში, ხოლო მოგვიანებით რეგულარული ინტერვალით ფსიქოლოგიური შემოწმების ჩატარების ვალდებულების შესახებ, რომ არაფერი ითქვას მის ყოველთვიურად ჩატარების შესახებ.[528]

ევროპული სასამართლოს აზრით, ზემოაღნიშნული ღონისძიებები იქნებოდა შესაფერისი მოსარჩელის შვილის სიცოცხლის უფლების მიმართ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მართალია, სასამართლო ცალსახად ვერ დაასკვნის, რომ სიტუაცია სხვანაირად განვითარდებოდა, თუ სახელმწიფო სხვაგვარად იმოქმედებდა, მაგრამ ამ მუხლის საფუძველზე სახელმწიფოსათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის საკმარისია იმის დადგენა, რომ მთავრობამ ვერ გაატარა გონივრული ღონისძიებები, რომლებსაც შეიძლება ჰქონოდა შედეგის შეცვლის ან ზიანის შემცირების რეალური პერსპექტივა.[529] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება, გადაედგა შესაფერისი ნაბიჯები მოსარჩელის შვილის სიცოცხლის დასაცავად.[530]

საქმე *ჰოვანისიანი და ნაზარიანი სომხეთის წინააღმდეგ (Hovhannisyan and Nazaryan v. Armenia)* ეხებოდა საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურის (ა. ნაზარიანი) თვითმკვლელობას, რომელსაც ზემდგომი ამცირებდა და არასათანადოდ ეპყრობოდა.[531]

საქმის გარემოებების შესწავლისას ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ შესაბამის დროს ქვეყნის სამხედრო სამსახურში არ არსებობდა ფსიქოლოგიური შეფასებისა და დახმარების რაიმე სისტემა, წინასწარი და შემდგომი ფსიქოლოგიური შემოწმების, თვითმკვლელობის პრევენციისა და ფსიქოლოგიური დახმარების ხელმისაწვდომობის ჩათვლით. შესაბამისად, ასეთი დახმარება ა. ნაზარიანისათვის არ იყო ხელმისაწვდომი, მიუხედავად მისი მოწყვლადი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და თვითმკვლელობის საფრთხის აშკარა ნიშნებისა. ასევე არ არსებობდა რაიმე რეგულაციები თვითმკვლელობის თავიდან აცილების შესახებ, ხოლო პასუხისმგებელ პირებს არ ჰქონდათ რაიმე ინსტრუქცია ან წესი ასეთ სიტუაციასთან გამკლავების შესახებ. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება, გაეტარებინა შესაფერისი ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნებოდა ა. ნაზარიანის სიცოცხლის დაცვისაკენ.[532]

ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სახელმწიფომ იცოდა ა. ნაზარიანის მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ, მაგრამ არაფერი გააკეთა მისი სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად.[533] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება.[534]

საქმე *აშოტ მალხასიანი სომხეთის წინააღმდეგ (Ashot Malkhasyan v. Armenia)* ეხებოდა მოსარჩელის 22 წლის შვილის (ა. მალხასიანი) გარდაცვალებას სავალდებუ-

---

528 94-ე პუნქტი.
529 95-ე პუნქტი.
530 96-ე პუნქტი.
531 8 ნოემბერი, 2022 წელი.
532 140-ე-144-ე პუნქტები.
533 150-ე-153-ე პუნქტები.
534 155-ე-156-ე პუნქტები.

ლო სამხედრო სამსახურში გაწვევიდან ათ დღეში. მიუხედავად ა. მალხასიანის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობისა, სახელმწიფომ მაინც მიიღო გადაწყვეტილება სავალდებულო სამხედრო სამსახურში მისი გაწვევის შესახებ. კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მისი შვილის გარდაცვალება გამოიწვია სახელმწიფოს მოქმედებამ და რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ამ შემთხვევის ეფექტიანი გამოძიება.

ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ სახელმწიფომ, კერძოდ, სამხედრო კომისარმა ყველაფერი გააკეთა, რომ ა. მალხასიანი გაეწვიათ ჯარში, მათ შორის გააყალბა მისი სამედიცინო ისტორია.[535] ამის გამო ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო ორგანოებმა და მედიკოსებმა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ა. მალხასიანის სამხედრო სამსახურში გაწვევის საქმეში, აქტიურად შეუწყვეს ხელი გადაწყვეტილების მიღებას, რომ იგი გამოეცხადებინათ შესაფერისად სამხედრო სამსახურისათვის. სასამართლომ დაადგინა, რომ სამხედრო სამსახურისათვის შესაფერისად გამოცხადებამ და სამხედრო სამსახურში გაწვევამ გამოიწვია მისი გარდაცვალება გაწვევიდან ათ დღეში. ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფომ შეუქმნა საფრთხე მის სიცოცხლეს სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებით, რითაც ვერ შეასრულა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება.[536] აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.[537]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს ეკისრება სამხედრო სამსახურში მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის ვალდებულება, რისთვისაც უნდა შეიმუშაოს მათი სიცოცხლის დაცვის მექანიზმი. ამ ვალდებულების შესასრულებლად სახელმწიფომ უნდა დაადგინოს სამხედრო სამსახურში მყოფი პირების სიცოცხლის დაცვისაკენ მიმართული მრავალი წესი და უზრუნველყოს მათი აღსრულება. ამ მექანიზმის ფარგლებში სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირთა სამხედრო სამსახურში გაწვევამდე მათი ფსიქიკური/ფსიქოლოგიური მდგომარეობის შემოწმება იმის დასადგენად, შესაფერისია თუ არა პირი სამხედრო სამსახურისათვის. სამხედრო სამსახურში მყოფი პირების სამედიცინო შემოწმების მეშვეობით უნდა დადგინდეს მათი ფსიქიკური მდგრადობა და პოტენციური საფრთხეები, რომელთა წინაშეც შეიძლება ისინი აღმოჩნდნენ სამხედრო სამსახურში ყოფნისას. სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ სამხედრო სამსახურის გავლის დროს პერიოდულად შეფასდეს მათი ფსიქიკური/ფსიქოლოგიური მდგომარეობა და რაიმე პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა გადადგას შესაბამისი ნაბიჯები. სამხედრო სამსახურში მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის მექანიზმმა უნდა გაითვალისწინოს წესი, რომლის მიხედვით, სამხედრო პირის ზემდგომმა უნდა გაატაროს შესაფერისი ღონისძიებები იმ პირის მიმართ, რომელსაც გამოუვლინდა ფსიქიკური/ფსიქოლოგიური პრობლემები ან რომელიც უცნაურად იქცევა. სამხედრო სამსახურში მყოფი პირის სიცოცხლის დაცვას ხელს შეუწყობს სატელეფონო ცხელი ხაზის არსებობა, სადაც პირი ანონიმურად გაივლის კონსულტაციას. ამ მექანიზმის ნაწილი უნდა იყოს სამხედრო სამსახურში მყოფი პირებისათვის იარაღის გაცემის კონტროლის არსებობა. ცხადია, რომ, თუ შესაბამის პირს აღენიშნება ფსიქიკური/ფსიქოლოგიური სირთულეები, მისთვის ხელმისაწვდომი არ უნდა გახდეს ცეცხლსასროლი იარაღი.

---

535 102-ე პუნქტი.

536 103-ე პუნქტი.

537 104-ე პუნქტი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში. იხ. 120-ე პუნქტი.

ვინაიდან ბულინგი სამხედრო სამსახურში შეიძლება თვითმკვლელობის მაპროვოცირებელი გარემოება გახდეს, ის მკაცრად უნდა აიკრძალოს, ხოლო როგორც სხვა სამხედრო სამსახურში მყოფი პირების, ისე ზემდგომი პირის მიმართ მისი ჩადენისათვის უნდა დადგინდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები არა მხოლოდ სამხედრო სამსახურში მყოფი პირები არიან, არამედ ასევე ფსიქიატრიული და სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებში მყოფი პირები, რომელთა მიმართაც სახელმწიფოს ასევე ეკისრება სიცოცხლის დაცვის ვალდებულება. საქმე *ნენჩევა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (Nencheva and Others v. Bulgaria)* ეხებოდა 15 ბავშვისა და ახალგაზრდის (ყველა მათგანი იყო 22 წელზე მცირე ასაკის) გარდაცვალებას შეზღუდული ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლში, რომელიც სახელმწიფოს დაქვემდებარებაში იყო.[538]

მოსარჩელეთა შვილები უკიდურესად მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ ბავშვთა სახლში. მათ არასაკმარისად ჰქონდათ საკვები, ტანსაცმელი, წამალი და ჰიგიენის დაცვის საშუალებანი. ზამთარში ბავშვთა სახლში არ იყო საკმარისი გათბობა. ასეთი პირობების გამო საფრთხეში იყო იქ მცხოვრებთა სიცოცხლე. ბავშვთა სახლის ხელმძღვანელი მუდმივად ამახვილებდა ყურადღებას უმძიმეს პირობებსა და საფრთხეებზე, რის გამოც დახმარებისთვის მიმართავდა მრავალ საჯარო და ჰუმანიტარულ ორგანიზაციას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოები ინფორმირებულნი იყვნენ ბავშვთა სახლში არსებული რეალური საფრთხის შესახებ. ამ ბავშვების გარდაცვალება არ მომხდარა უეცრად. გარდაცვალების ცალკეული შემთხვევები მანამდეც ხდებოდა ბავშვთა სახლში. 15 ბავშვის გარდაცვალება კი მოხდა 1996 წლის 15 დეკემბრიდან 1997 წლის 14 მარტს შორის პერიოდში (დაახლოებით 3 თვის განმავლობაში). მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ინფორმირებული იყო ბავშვთა სახლში არსებული მძიმე მდგომარეობისა და იქ მცხოვრებთა სიცოცხლისათვის არსებული საფრთხის შესახებ, სახელმწიფოს არ გაუტარებია შესაფერისი ღონისძიებები, რათა მომხდარიყო მათი სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან აცილება.

ევროპული სასამართლოს წინაშე მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა პოზიტიური ვალდებულებები, დაეცვათ ადამიანების სიცოცხლე არსებული საფრთხისაგან და ეწარმოებინათ გამოძიება მათ გარდაცვალებაზე პასუხისმგებელ პირთა დასადგენად.

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება: პირველ რიგში, სასამართლომ აღნიშნა, რომ ბავშვთა სახლი იყო სახელმწიფოს დაქვემდებარებაში; მეორე, სახელმწიფომ სადავოდ არ გახადა ის მძიმე პირობები, რომლებშიც ბავშვები იმყოფებოდნენ და რაც გულისხმობდა არასაკმარის საკვებს, მედიკამენტებს, ტანსაცმელსა და გათბობას. სასამართლოს აზრით, ასეთი პირობები საფრთხეს უქმნიდა სიცოცხლეს ბავშვებისას, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ მზრუნველობას. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სახელმწიფომ იცოდა შექმნილი გარემოებების შესახებ ჯერ კიდევ სამი თვით ადრე, ვიდრე გარდაცვალების პირველი შემთხვევა მოხდებოდა და, მიუხედავად ამისა, არ იმოქმედა. შესაბამისად, გარდაცვალების შემთხვევები არ იყო უეცარი და მოულოდნელი, არამედ ხდებოდა რეგულარულად.[539]

ვინაიდან სახელმწიფომ იცოდა შექმნილი მდგომარეობის შესახებ, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მას ეკისრებოდა ვალდებულება, დაუყოვნებლივ გაეტარებინა

538 18 ივნისი, 2013 წელი.

539 121-ე პუნქტი.

ღონისძიებები საფრთხის თავიდან ასაცილებლად. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ბულგარეთმა არ გადადგა შესაფერისი ნაბიჯები სიცოცხლის დასაცავად, რამაც გამოიწვია ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა. საინტერესოა, რომ ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლება განიხილა საცხოვრებელი პირობების კონტექსტში.[540]

ასევე საინტერესოა საქმე *ფერნანდეს დე ოლივეირა პორტუგალიის წინააღმდეგ (Fernandes de Oliveira v. Portugal)*.[541] ამ საქმის გარემოებები შემდეგია: 2001 წლის 1 აპრილს, თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ, მოსარჩელის შვილმა, A.J.-მ, ნებაყოფლობით მიმართა სახელმწიფო ფსიქიატრიულ საავადმყოფოს სამკურნალოდ. 2000 წლის 27 აპრილს მოსარჩელის შვილი მიიმალა საავადმყოფოდან, ჩაუხტა მატარებელს და დაასრულა სიცოცხლე. მან მანამდე რამდენჯერმე მიმართა იმავე საავადმყოფოს გონებრივი აშლილობის გამო. მისი სამედიცინო ისტორიის მიხედვით, საავადმყოფომ იცოდა, რომ მანამდე მას ჰქონდა თვითმკვლელობის რამდენიმე მცდელობა.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ, პირველ რიგში, ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე, უზრუნველეყო მარეგულირებელი ჩარჩოს არსებობა. კერძოდ, მან იმსჯელა, რომ საავადმყოფოს გარშემო უსაფრთხოების ღობისა და კედლების არარსებობა შეესაბამებოდა როგორც კანონს გონებრივი ჯანმრთელობის შესახებ, ისე შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს, რომელთა მიზანია პაციენტებისათვის ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც ისინი ინარჩუნებენ თავისუფალი გადაადგილების უფლებას.[542] საავადმყოფოს მორიგე პერსონალი ასრულებდა როგორც ზოგად, ისე ინდივიდუალურ პროცედურებს ნებაყოფლობითი პაციენტებისათვის და ის უზრუნველყოფდა, პაციენტებს დაეცვათ განრიგი და ისინი ადგილზე ყოფილიყვნენ საკვებისა და წამლების მიღების დროს.[543] მარეგულირებელი ჩარჩოთი ასევე იყო გათვალისწინებული უფრო მკაცრი საზედამხედველო პროცედურები, რომლებიც გამოიყენებოდა პაციენტის საავადმყოფოში მოთავსების საწყის ეტაპზე და ასევე, როდესაც ამას საჭიროდ ჩათვლიდა მკურნალი ექიმი. ამას გარდა, უკიდურეს შემთხვევაში, საავადმყოფოს შეეძლო სხვა შეზღუდვითი ღონისძიებებისათვის მიმართვა, საიზოლაციო ოთახის გამოყენების ჩათვლით.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ A.J.-ს გაუჩინარების დღეს საგანგებო პროცედურები, რომლებიც მოიცავდა მორიგე ექიმისათვის, პოლიციისა და პაციენტის ოჯახისათვის შეტყობინებას, ამოქმედდა საღამოს 7-იდან 8 საათამდე. ეს პროცედურა იყო ადეკვატური და არ არსებობდა მიზეზშედეგობრივი კავშირი საგანგებო პროცედურების სავარაუდო ხარვეზებსა და A.J.-ს გარდაცვალებას შორის. სასამართლომ დაასკვნა, რომ მარეგულირებელი ჩარჩოს მოქმედებას არ გამოუწვევია კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.[544]

რაც შეეხება პრევენციულ ოპერატიულ ღონისძიებებს, რომელთა გატარების პოზიტიური ვალდებულება ეკისრებოდა სახელმწიფოს, ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ასეთი ნაბიჯები უნდა გადადგას სახელმწიფომ, თუ მან იცის, ან უნდა იცოდეს, რომ პირის სიცოცხლეს ემუქრება რეალური და მყისიერი საფრთხე სხვა პი-

---

540 E. K. Hnitidou, Beyond the Right to Life: The Right to Live in Dignity in the European Convention on Human Rights, Master Thesis, Faculty of Law, Lund University, 2016, 41-42.

541 დიდი პალატა, 31 იანვარი, 2019 წელი.

542 117-ე პუნქტი.

543 120-ე პუნქტი.

544 122-ე პუნქტი.

რებისაგან ან საკუთარი თავისაგან. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ეკისრებოდა ზოგადი ვალდებულება ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული პაციენტების მიმართ, გაეტარებინა გონივრული ღონისძიებები თვითმკვლელობის რეალური და მყისიერი საფრთხისაგან მათ დასაცავად.

სასამართლოს აზრით, ამ საქმეში საავადმყოფოს ადმინისტრაციამ დიდი ხანია იცოდა A.J.-ს გონებრივი აშლილობის შესახებ და რომ მასთან მიმართებით არსებობდა თვითმკვლელობის საფრთხე. A.J.-ს დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა გონებრივი ჯანმრთელობის პრობლემები და იგი საავადმყოფოში იმყოფებოდა ნებაყოფლობით რვაჯერ 1984 წლიდან 2000 წლის შუალედში. მხოლოდ ბოლო ჯერზე მას ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა. ეროვნულმა სასამართლოებმა ასევე დაადგინეს, რომ A.J.-ს არ გამოუვლენია თვითმკვლელობისაკენ მიდრეკილების რაიმე ნიშნები საავადმყოფოში 25 დღის განმავლობაში ყოფნის დროს. A.J.-ს ქცევაში არ ყოფილა საყურადღებო ნიშნები იმ დღეების განმავლობაში, რომლებიც წინ უსწრებდა მის თვითმკვლელობას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ A.J. ექვემდებარებოდა უფრო მკაცრ რეჟიმს საავადმყოფოში მოთავსებიდან პირველი კვირის განმავლობაში, როგორც ეს იყო წინა შემთხვევებში. როდესაც საავადმყოფომ მიიჩნია, რომ მისი სიმპტომები უმჯობესდებოდა, მას მიენიჭა უფლება, გადაადგილებულიყო საავადმყოფოს შენობებში და მის ტერიტორიაზე და დაბრუნებულიყო სახლში დასვენების დღეებში. გადაადგილების თავისუფლების მაღალი ხარისხი მიმართული იყო იმისაკენ, რომ პაციენტებს შორის გაზრდილიყო პასუხისმგებლობა და ხელი შეეწყოთ მათი დაბრუნებისთვის ოჯახურ გარემოსა და საზოგადოებაში. ამასთანავე, A.J.-ს მკურნალი ექიმი თვლიდა, რომ მკურნალობა, რომელიც მოიცავდა დანიშნული მედიკამენტების ნებაყოფლობით მიღებას და მასთან ნდობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებას, იყო შესაფერისი და თანაზომიერი მოცემულ სიტუაციაში.[545]

ევროპული სასამართლოს აზრით, მართალია, თვითმკვლელობის საფრთხის გამორიცხვა არ შეიძლებოდა A.J.-სთან მიმართებით, მაგრამ საავადმყოფო ცდილობდა ადაპტირებას მის ცვალებად მენტალურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საფრთხეებთან, ადგილზე მონიტორინგის რეჟიმის გამკაცრებით ან შემსუბუქებით. სასამართლომ გაითვალისწინა ის, რაზეც მიუთითებს საექსპერტო მტკიცებულება, რომ ისეთ პაციენტებთან მიმართებით, როგორიც არის A.J., თვითმკვლელობის სრულად თავიდან აცილება შეუძლებელი ამოცანაა და ასევე მხედველობაში მიიღო ადმინისტრაციული სასამართლოს დასკვნა, რომ A.J.-ს თვითმკვლელობა არ იყო განჭვრეტადი. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ ვერ დაადგინა, რომ სახელმწიფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ A.J.-ს სიცოცხლისათვის არსებობდა რეალური და მყისიერი საფრთხე 2000 წლის 27 აპრილის წინა დღეებში.[546] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.[547]

4.2.2.4. სიცოცხლის დაცვის ვალდებულება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროზე. ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ „ჯანმრთელობის დაცვის სფეროში

---

545 130-ე პუნქტი.

546 131-ე პუნქტი.

547 133-ე პუნქტი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში.

ხელისუფლების მოქმედებამ ან უმოქმედობამ, გარკვეულ გარემოებებში, შეიძლება წარმოშვას მისი პასუხისმგებლობა მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების ნაწილში.“[548]

სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, დაარეგულიროს ჯანმრთელობის დაცვის სფერო და გაატაროს სათანადო ღონისძიებები იმ პირების პასუხისმგებლობის დასადგენად, რომლებმაც დაუშვეს სამედიცინო შეცდომა. კერძოდ, როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა:

„... პოზიტიური ვალდებულებები მოითხოვს სახელმწიფოებისაგან, რომ მათ დაადგინონ რეგულაციები, რომლებიც დაავალდებულებს საავადმყოფოებს, იქნება ეს საჯარო თუ კერძო, გაატარონ შესაფერისი ღონისძიებები პაციენტთა სიცოცხლის დასაცავად. ისინი ასევე მოითხოვენ, შეიქმნას დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემა, რათა დადგინდეს იმ პაციენტების გარდაცვალების მიზეზი, რომლებიც იმყოფებიან სამედიცინო პროფესიონალების ხელში, იქნება ეს საჯარო თუ კერძო სექტორში და განისაზღვროს შესაბამისი პირების პასუხისმგებლობა.“[549]

სახელმწიფოს ვალდებულება, განსაზღვროს შესაფერისი წესები პაციენტთა სიცოცხლის დასაცავად, მოიცავს სხვადასხვა ღონისძიების გატარებას, მათ შორის სამედიცინო პერსონალისათვის მაღალი პროფესიული სტანდარტების დადგენას და სამედიცინო მკურნალობაზე პაციენტის ინფორმირებული თანხმობის დაწესებას.[550] ასეთი მარეგულირებელი წესების მეშვეობით სახელმწიფო თავიდან აიცილებს სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნას ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.

საქმეზე – *ლოპეზ დე სუსა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Lopes de Sousa Fernandes v. Portugal)* – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, მე-2 მუხლის მიხედვით, სახელმწიფომ უნდა მიიღოს „სათანადო წესები სამედიცინო პერსონალისათვის მაღალი პროფესიული სტანდარტებისა და პაციენტების სიცოცხლის დაცვის უზრუნველსაყოფად, ისეთი საკითხები, როგორებიცაა სამედიცინო პერსონალის პროფესიული შეცდომა ან სამედიცინო პერსონალის მიერ არასათანადო კოორდინაცია კონკრეტული პაციენტის მკურ-

---

548 *ფაუელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Powell v. the United Kingdom),* გადაწყვეტილება, 4 მაისი, 2000 წელი; *ნიტეცკი პოლონეთის წინააღმდეგ (Nitecki v. Poland)*, გადაწყვეტილება, 21 მარტი, 2002 წელი; *ფურდიკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Furdik v. Slovakia)*, გადაწყვეტილება, 2 დეკემბერი, 2008 წელი.

549 *კალველი და ციგლიო იტალიის წინააღმდეგ (Calvelli and Ciglio v. Italy),* დიდი პალატა, 17 იანვარი, 2002 წელი, 49-ე პუნქტი; *ვო საფრანგეთის წინააღმდეგ (Vo v. France), დიდი პალატა*, 8 ივლისი, 2004 წელი, 89-ე პუნქტი; *ერიკსონი იტალიის წინააღმდეგ (Erikson v. Italy), გადაწყვეტილება*, 26 ოქტომბერი, 1999 წელი; *დოდოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (Dodov v. Bulgaria)*, 17 იანვარი, 2008 წელი, 70-ე, 79-ე-83-ე და 87-ე პუნქტები; *ბირზიკოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ (Byrzykowski v. Poland)*, 27 ივნისი, 2006 წელი, 104-ე და 106-ე პუნქტები; *Z. v. Poland,* 2012, para. 76; *ზრისტოზოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (Hristozov and Others v. Bulgaria)*, 13 ნოემბერი, 2012 წელი, 108-ე პუნქტი; *ლოპეზ დე სუსა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Lopes de Sousa Fernandes v. Portugal)*, დიდი პალატა, 19 დეკემბერი, 2017 წელი, 186-ე პუნქტი; ასევე იხ. *არსკაია უკრაინის წინააღმდეგ (Arskaya v. Ukraine)*, 5 დეკემბერი, 2013 წელი, 90-ე პუნქტი; *ტრასკუნოვა რუსეთის წინააღმდეგ (Traskunova v. Russia)*, 30 აგვისტო, 2022 წელი, 69-ე პუნქტი.

550 *ალტუგი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Altug and Others v. Turkey)*, 30 ივნისი, 2015 წელი, 64-ე-66-ე პუნქტები.

ნალობის მიმართ, ვერ ჩაითვლება საკმარისად ხელშემკვრელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დასადგენად.“[551]

მიუხედავად ამ ვალდებულებებისა, რომლებიც სახელმწიფოს ეკისრება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, ევროპული სასამართლოს განმარტებით, მე-2 მუხლი არ აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, გაატაროს ჯანმრთელობის დაცვის რაიმე კონკრეტული პოლიტიკა. საქმეზე – *შელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Shelley v. the United Kingdom)* – სასამართლომ განაცხადა: „ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის საკითხები, განსაკუთრებით ზოგად პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ძირითადად, ექცევა ეროვნული ხელისუფლების შეფასების ფარგლებში, რომლებსაც ყველაზე კარგად შეუძლიათ პრიორიტეტების, რესურსებისა და სოციალური საჭიროებების გამოყენების შეფასება.“[552]

როგორც ევროპულმა სასამართლომ მიუთითა საქმეზე – *ლოპეზ დე სუსა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Lopes de Sousa Fernandes v. Portugal)*, „საკითხები, როგორებიცაა საჯარო ფინანსების ხარჯვა ჯანდაცვის სფეროში, არ განეკუთვნება იმ საკითხებს, რომლებზეც სასამართლოს უნდა ჰქონდეს პოზიცია“ და მონაწილე სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები „უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე სასამართლო, შეაფასონ შესაბამისი საჭიროებები შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით, და იკისრონ პასუხისმგებლობა იმ რთული არჩევანის მიმართ, რომელიც უნდა გაკეთდეს შესაბამისი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად“.[553]

ევროპულმა სასამართლომ მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია, რომ სახელმწიფოს არ აქვს ვალდებულება, პირი უზრუნველყოს უფასო სამედიცინო მომსახურებით. საქმეზე – *ვიატერი პოლონეთის წინააღმდეგ (Wiater v. Poland)* – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენცია არ უზრუნველყოფს ისეთ უფლებას, როგორიცაა უფასო სამედიცინო მომსახურება და რომ სახელმწიფოს აქვს შეფასების ფართო ფარგლები, როდესაც საკითხი ეხება შეზღუდული რესურსების პირობებში პრიორიტეტების შეფასებას.[554]

ევროპული სასამართლოს პოზიციით, სახელმწიფოს არ ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს პირი უფასო მედიკამენტებით. საქმე *ნიტეცკი პოლონეთის წინააღმდეგ (Nitecki v. Poland)* ეხებოდა მოსარჩელის მტკიცებას, რომ მისი სიცოცხლის გადარჩენისათვის საჭირო მედიკამენტის ფასის ანაზღაურებაზე სახელმწიფოს უარმა დაარღვია მისი სიცოცხლის უფლება.[555] მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ 37 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იგი იხდიდა სოციალურ გადასახადს. მოსარჩელის მტკიცებით, მას არ შეეძლო საჭირო მედიკამენტის ფასის 30%-ის დაფარვა და, შესაბამისად, ვერ იღებდა მისთვის დანიშნულ წამალს, რის გამოც მისი მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდა. ამ იშვიათი სენით (ამიოტროფული გვერდითი სკლეროზი) პოლონეთში დაავადებული იყო ორი ადამიანი, რომლებმაც 4 წელზე მეტი იცოცხლეს. ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფდა წამლის

---

551 დიდი პალატა, 19 დეკემბერი, 2017 წელი, 187-ე პუნქტი; *ფაუელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Powell v. the United Kingdom)*, გადაწყვეტილება, 4 მაისი, 2000 წელი; *ეუგენია ლაზარი რუმინეთის წინააღმდეგ (Eugenia Lazar v. Romania)*, 16 თებერვალი, 2010 წელი, 68-ე პუნქტი.

552 გადაწყვეტილება, 4 იანვარი, 2008 წელი.

553 *ლოპეზ დე სუსა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Lopes de Sousa Fernandes v. Portugal)*, დიდი პალატა, 19 დეკემბერი, 2017 წელი, 175-ე პუნქტი.

554 გადაწყვეტილება, 15 მაისი, 2012 წელი, 36-ე პუნქტი.

555 გადაწყვეტილება, 21 მარტი, 2002 წელი.

საფასურის 70%-ის დაფარვას და მიუთითა: კონკრეტულ გარემოებებში არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებები, რადგან მან არ აუნაზღაურა მოსარჩელეს წამლის საფასურის დარჩენილი 30%.

მსგავსი იყო საქმე *პენტიაჩოვა და სხვები მოლდოვის წინააღმდეგ (Pentiacova and Others v. Moldova)*, რომელშიც მოსარჩელეები განიცდიდნენ თირკმლის ქრონიკულ უკმარისობას და საჭიროებდნენ ჰემოდიალიზით მკურნალობას.[556] მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ დახმარება, რომელსაც სახელმწიფოსაგან იღებდნენ, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, არ იყო საკმარისი მკურნალობისათვის. შესაბამისად, მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ ისინი იძულებულნი იყვნენ, ჩაეტარებინათ მკურნალობა აუტანელი ტკივილითა და ტანჯვით, ხოლო ზოგიერთი პაციენტი, რომელიც უარს აცხადებდა ამ პროცედურაზე, გარდაიცვალა.

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ მიუთითა: ის ფაქტი, რომ პირი გარდაიცვალა ამ ავადმყოფობით, თავისთავად არ არის იმის დასტური, რომ გარდაცვალება გამოწვეული იყო ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ხარვეზებით. შესაბამისად, სასამართლოს პოზიციით, იმისათვის, რომ სახელმწიფოს წარმოეშვას ვალდებულება კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, უნდა არსებობდეს მიზეზშედეგობრივი კავშირი მოსარჩელეთა გარდაცვალებასა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემას შორის. ამის გამო ევროპულმა სასამართლომ სარჩელი დაუშვებლად ცნო კონვენციის მე-2 მუხლის (ისევე როგორც კონვენციის მე-8 მუხლის) საფუძველზე.[557]

მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მიერ მარეგულირებელი ჩარჩოს განსაზღვრის ვალდებულებიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ორ საგამონაკლისო შემთხვევაში სახელმწიფოს დაეკისრება კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, კერძოდ:

ა) როდესაც კონკრეტული პაციენტის სიცოცხლე შეგნებულად ჩააგდეს საფრთხეში იმით, რომ უარი განუცხადეს სიცოცხლის შენარჩუნებისაკენ მიმართული გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევაზე.[558] როგორც სასამართლომ აღნიშნა, ეს საგამონაკლისო შემთხვევა არ ეხება გარემოებებს, როდესაც მიჩნეულ იქნა, რომ პაციენტმა მიიღო არასრულყოფილი, არასწორი ან დაგვიანებული მომსახურება;[559] და

ბ) როდესაც საავადმყოფო მომსახურების სისტემურ ან სტრუქტურულ დისფუნქციას შედეგად მოჰყვა ის, რომ პაციენტს არ მიუწვდება ხელი გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებაზე, რომელმაც შეიძლება მას გადაურჩინოს სიცოცხლე და

---

556 გადაწყვეტილება, 4 იანვარი, 2005 წელი.

557 M. Marochini, Council of Europe and the Right to Healthcare – Is the European Convention on Human Rights Appropriate Instrument for Protecting the Rights to Healthcare? Zb. Prav. Fak. Sveuc. Rij. (1991), v. 34, br. 2, 2013, 735-737.

558 *ლოპეზ დე სუსა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Lopes de Sousa Fernandes v. Portugal),* დიდი პალატა, 19 დეკემბერი, 2017 წელი, 191-ე პუნქტი; *კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ (Cyprus v. Turkey),* დიდი პალატა, 10 მაისი, 2001 წელი, 219-ე პუნქტი; *ნიტეცკი პოლონეთის წინააღმდეგ (Nitecki v. Poland),* გადაწყვეტილება, 21 მარტი, 2002 წელი; *პენტიაჩოვა და სხვები მოლდოვის წინააღმდეგ (Pentiacova and Others v. Moldova),* გადაწყვეტილება, 4 იანვარი, 2005 წელი; *გეორგი რუმინეთის წინააღმდეგ (Gheorghe v. Romania),* გადაწყვეტილება, 22 სექტემბერი, 2005 წელი; *ვიატერი პოლონეთის წინააღმდეგ (Wiater v. Poland),* 15 მაისი, 2012 წელი, 35-ე პუნქტი; ასევე იხ. W. Schabas, The European Convention on Human Rights: A Commentary, 2015, 131.

559 იქვე.

ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამ საფრთხის შესახებ და არ გაატარა საჭირო ღონისძიებები ამ საფრთხის სისრულეში მოყვანის თავიდან ასაცილებლად, რის გამო პაციენტების, მათ შორის კონკრეტული პაციენტის, სიცოცხლე აღმოჩნდა საფრთხეში.[560]

ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ შეიძლება, ზოგჯერ ადვილი არ იყოს განსხვავების გაკეთება ისეთ საქმეებს შორის, რომლებიც ეხება ექიმის გაუფრთხილებლობას და ისეთებს შორის, რომლებიც ეხება უარს სიცოცხლის გადარჩენისაკენ მიმართული გადაუდებელი მკურნალობის ხელმისაწვდომობაზე, ვინაიდან შეიძლება არსებობდეს ფაქტორების კომბინაცია, რომლებიც ხელს უწყობს პირის გარდაცვალებას.

რაც შეეხება მეორე საგამონაკლისო შემთხვევას, კერძოდ, საავადმყოფო მომსახურების სისტემურ ან სტრუქტურულ დისფუნქციას, რომელსაც შედეგად მოჰყვა ის, რომ პაციენტს არ მიუწვდება ხელი გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებაზე, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ოთხ ფაქტორზე, რომლებიც ერთობლიობაში უნდა დაკმაყოფილდეს:

ა) სამედიცინო დაწესებულების თანამშრომელთა მოქმედება ან უმოქმედობა უნდა გასცდეს უბრალო შეცდომას ან გაუფრთხილებლობას, საკუთრივ, სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლები, თავისი პროფესიული ვალდებულებების დარღვევით, უარს უნდა აცხადებდნენ პაციენტისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე, მიუხედავად იმისა, რომ სრულად არიან ინფორმირებულნი, რომ მისი სიცოცხლე საფრთხეშია, თუ ასეთი დახმარება მას არ აღმოეჩინა;

ბ) სახელმწიფოს პასუხისმგებლობა რომ დადგინდეს, დისფუნქცია უნდა იყოს ობიექტურად და ჭეშმარიტად ამოცნობილი, როგორც სისტემური ან სტრუქტურული, და ის უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ ინდივიდუალურ შემთხვევას, რომელშიც რაღაც შეიძლება არ ფუნქციონირებდა, კერძოდ, არასწორად შესრულდა ან ცუდად განხორციელდა;

გ) უნდა არსებობდეს კავშირი გასაჩივრებულ დისფუნქციასა და ზიანს შორის, რომელიც მიადგა პაციენტს;

დ) დისფუნქცია უნდა გამომდინარეობდეს სახელმწიფოს უუნარობიდან, შეასრულოს თავისი ვალდებულება მარეგულირებელი ჩარჩოს უზრუნველყოფის შესახებ.[561]

პირველი საგამონაკლისო შემთხვევა ეხება სიტუაციას, როდესაც სამედიცინო დაწესებულებამ კონკრეტული პაციენტის სიცოცხლე შეცნობილად ჩააგდო საფრთხეში ისეთი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევაზე უარის გამო, რომელიც მიმართული იყო სიცოცხლის გადარჩენისაკენ. საქმე *მეჰმეტ სენტურკი და ბეკირ სენტურკი თურქეთის წინააღმდეგ (Mehmet Şentürk and Bekir Şentürk v. Turkey)* ეხებოდა პირველი მოსარჩელის ცოლსა და, იმავდროულად, მეორე მოსარჩელის დედას, რომელიც იყო 34 კვირის ორსული.[562] ორსულმა ქალბატონმა, თავის ქმართან ერთად, მიმართა საუნივერსიტეტო საავადმყოფოს მუდმივი ტკივილის ჩივილით. ულტრაბგერითი სკანირების შედეგად აღმოჩნდა, რომ მუცლად მყოფი შვილი იყო გარდაცვლილი და რომ ქალბატონს სჭირდებოდა გადაუდებელი ოპერაცია. მას უთხრეს, რომ საავადმყოფოში მოთავსებისა და ოპერაციისათვის მას წინასწარ უნდა გაეკეთებინა შენატანი და გადაეხადა დეპოზიტი. პირველი მოსარჩელის ინფორმაციით, ვინაიდან მას არ ჰქონდა

---

560 *ლოპეზ დე სუსა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Lopes de Sousa Fernandes v. Portugal)*, დიდი პალატა, 19 დეკემბერი, 2017 წელი, 192-ე პუნქტი.

561 194-ე-196-ე პუნქტები.

562 9 აპრილი, 2013.

საჭირო თანხა, მისი მეუღლე ვერ მოათავსეს საავადმყოფოში. ამის გამო გადაუდებელი დახმარების ექიმმა ორგანიზება გაუკეთა პაციენტის ტრანსპორტირებას სხვა საავადმყოფოში სასწრაფოს მანქანით, სამედიცინო პერსონალის თანხლების გარეშე. გადაყვანის დროს ორსული ქალბატონი გარდაიცვალა.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებები მოითხოვს, სახელმწიფომ მიიღოს რეგულაციები, რომლებიც დაავალდებულებს საავადმყოფოებს, კერძო იქნება თუ საჯარო, გაატაროს შესაფერისი ღონისძიებები პაციენტთა უფლებების დასაცავად.

საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მოცემულ საქმეზე სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წინაპირობა იყო თანხის წინასწარი გადახდა, რის გამოც პაციენტმა ვერ მიიღო შესაბამისი დახმარება საავადმყოფოში. საქმეზე საეჭვოდ არ იყო გამხდარი ის ფაქტი, რომ პაციენტი საავადმყოფოში მისვლისას იმყოფებოდა მძიმე მდგომარეობაში და რომ იგი საჭიროებდა გადაუდებელ ოპერაციას, რომლის გარეშეც, დიდი ალბათობით, დადგებოდა უკიდურესად მძიმე შედეგები. სამედიცინო პერსონალი სრულად აცნობიერებდა, რომ სხვა საავადმყოფოში პაციენტის გადაყვანით მისი სიცოცხლე აღმოჩნდებოდა საფრთხეში. ეროვნული კანონმდებლობა არ კრძალავდა პირის სამედიცინო მკურნალობის გარეშე დატოვებას. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ საავადმყოფოს მოქმედების შედეგად ორსულმა ქალბატონმა ვერ მიიღო შესაფერისი გადაუდებელი დახმარება. ეს დასკვნა საკმარისი აღმოჩნდა ევროპული სასამართლოსათვის, დაედგინა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება, დაეცვა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლება.[563]

მეორე საგამონაკლისო შემთხვევაა, როდესაც საავადმყოფო მომსახურების სისტემურ ან სტრუქტურულ დისფუნქციას შედეგად მოჰყვება ის, რომ პაციენტს არ მიუწვდება ხელი გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებაზე, რომელმაც შეიძლება გადაურჩინოს მას სიცოცხლე და ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამ საფრთხის შესახებ და ვერ გაატარა საჭირო ღონისძიებები მისი სისრულეში მოყვანის თავიდან ასაცილებლად, რის შედეგადაც პაციენტის სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდა.[564] საქმე *ასიე გენცი თურქეთის წინააღმდეგ (Asiye Genc v. Turkey)* ეხებოდა საჯარო საავადმყოფოში ნაადრევი მშობიაროობით დაბადებულ ბავშვს, რომელსაც დაბადებიდან მცირე დროში განუვითარდა სუნთქვის პრობლემები.[565] ვინაიდან საავადმყოფოში არ იყო შესაფერისი ნეონატალური განყოფილება, ექიმებმა გადაწყვიტეს ბავშვის გადაყვანა სხვა საჯარო საავადმყოფოში, რომელიც განთავსებული იყო 110 კილომეტრის დაშორებით. მომდევნო დღეს საავადმყოფომ, რომელშიც გადაიყვანეს ახალშობილი, უარი თქვა მის მიღებაზე, ვინაიდან ინტენსიური ნეონატალური მკურნალობის განყოფილებაში არ იყო ადგილი. ამის გამო გადაწყდა, რომ ახალშობილი გადაეყვანათ ქირურგიისა და სამეანო ცენტრში, სადაც მორიგე ექიმმა განმარტა, რომ მათ არ ჰქონდათ შესაფერისი ინკუბატორი და მშობლებს შესთავაზეს, ბავშვი უკან წაეყვანათ საჯარო საავადმყოფოში. საჯარო საავადმყოფოში ექიმებმა მშობლებს კვლავინდებურად უარი განუცხადეს ახალშობილის მიღებაზე ნეონატალურ განყოფილებაში ადგილის არქონის გამო. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ახალშობილი გარდაიცვალა სასწრაფო დახმარების მანქანაში.

---

563 97-ე პუნქტი.

564 *ლოპეზ დე სუსა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Lopes de Sousa Fernandes v. Portugal)*, დიდი პალატა, 19 დეკემბერი, 2017 წელი, 192-ე პუნქტი.

565 27 იანვარი, 2015 წელი.

საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პირველ საჯარო საავადმყოფოს არ შეიძლებოდა, არ სცოდნოდა მოსარჩელის ახალდაბადებული შვილის სიცოცხლისათვის საფრთხის შესახებ, თუ სხვა საავადმყოფოში მის მიღებაზე უარის ეტყოდნენ. სადავო არ იყო არც ახალშობილის ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმე და არც გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის აუცილებლობა. ამის მიუხედავად, გადაწყვეტილების მიღებამდე სხვა სამედიცინო დაწესებულებაში ახალშობილის გადაყვანის შესახებ საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალმა არ გაატარა საჭირო ღონისძიებები, რათა დარწმუნებულიყო, რომ სხვა საავადმყოფო მას აუცილებლად მიიღებდა და აღმოუჩენდა შესაფერის მკურნალობას. საავადმყოფოებს შორის კოორდინაციის არარსებობის გამო სხვა საავადმყოფოებმაც უარი უთხრეს მას მიღებაზე, არასაკმარისი რესურსებიდან გამომდინარე.

სასამართლოს აზრით, საავადმყოფოებს შორის კოორდინაციის ხარვეზები და ის ფაქტი, რომ ვერცერთმა ექიმმა ვერ უზრუნველყო ახალდაბადებული ბავშვისათვის მკურნალობის აღმოჩენა, არ შეიძლება გამართლდეს საავადმყოფოში ადგილების არარსებობით. სასამართლოს შეფასებით, რეგიონში საავადმყოფოების რაოდენობა და არსებული პირობები არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. ამან ცხადყო, რომ სახელმწიფომ არასაკმარისად უზრუნველყო საჯარო საავადმყოფოს მომსახურების სათანადო ორგანიზება და ფუნქციონირება, უფრო ზოგადად კი, მისი ჯანმრთელობის დაცვის სისტემა. ამ ნაკლოვანებების გამო ახალდაბადებული ბავშვი, რომლის სიცოცხლე იყო საფრთხეში, უაზროდ გადაჰყავდათ წინ და უკან სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანით იმ იმედით, რომ მას აღმოუჩენდნენ სათანადო მკურნალობას ან სამედიცინო შემოწმებას. ზუსტად ამ პირობებში იგი, საბოლოოდ, გარდაიცვალა სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანაში.

აქედან გამომდინარე, მოსარჩელის შვილი უნდა ჩაითვალოს საავადმყოფო მომსახურების ხარვეზების მსხვერპლად, რადგან მას არ მიეცა შესაძლებლობა, ესარგებლა შესაფერისი გადაუდებელი მკურნალობით. ახალშობილი გარდაიცვალა მხოლოდ იმის გამო, რომ მას საერთოდ არ გაუწიეს მკურნალობა. ასეთი მდგომარეობა არის უარის თქმა სამედიცინო დახმარების გაწევაზე, რამაც მისი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო.

ევროპული სასამართლოს აზრით, ის ფაქტი, რომ ბრალდება არ წაუყენეს საავადმყოფოების შესაბამის თანამშრომლებს, რომლებმაც არ მიიღეს მოსარჩელის ახალშობილი ბავშვი სამკურნალოდ, ან მათ მიმართ არ დაწყებულა სამართალწარმოება, წამოჭრის კონვენციის მე-2 მუხლთან დაკავშირებულ საკითხს. ამას გარდა, მნიშვნელოვანი იყო, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მოეხდინა სამართლებრივი რეაგირება იმ პრეტენზიებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხებოდა სამედიცინო მომსახურებას.

სასამართლოს აზრით, ლეგიტიმური იყო მოლოდინი, რომ მოპასუხე სახელმწიფო გადაამოწმებდა, იყო თუ არა, და რა ფარგლებში, ამ საქმეზე დადგენილი ხარვეზები შესაბამისობაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემისა და საავადმყოფოების მარეგულირებელი საქმიანობის იმპერატიულ პრინციპებთან და, საჭიროების შემთხვევაში, დაადგენდა პასუხისმგებლობას ამ საფუძვლით. მიუხედავად ამისა, არ იყო მცდელობა, დაედგინათ, როგორ შესრულდა საავადმყოფოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილებაში მიღების წესი, ან როგორ მოხდა კოორდინაცია ნეონატალურ სამსახურებს შორის, ან მცდელობა იმისა, რომ დაედგინათ ამ სამსახურებში საბაზისო აღჭურვილობის ნაკლებობის და, განსაკუთრებით, დიდი რაოდენობის ინკუბატორე-

ბის მწყობრიდან გამოსვლის მიზეზები. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.[566]

მეორე საგამონაკლისო შემთხვევასთან მიმართებით ევროპულმა სასამართლომ ასევე განიხილა საქმე, რომელიც ეხებოდა იმ პირების უზრუნველყოფას შესაფერისი სამედიცინო დახმარებით და პირობებით, რომლებიც იმყოფებიან სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებში. საქმეზე – *ნენჩევა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (Nencheva and Others v. Bulgaria)*,[567] რომელიც ეხებოდა ბავშვებისა და ახალგაზრდების გარდაცვალებას შშმ ბავშვთა მზრუნველობის დაწესებულებაში იმის გამო, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ისინი სათანადო მედიკამენტებით (ისევე როგორც საკმარისი საკვებით და სხვა საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებით), ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში არსებობდა „საგამონაკლისო გარემოებები“, რომლებიც გასცდა სამედიცინო შეცდომას, რამაც გამოიწვია სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე.[568]

საქმე *სამართლებრივი რესურსების ცენტრი ვალენტინ ჩამპეანუს სახელით რუმინეთის წინააღმდეგ (Center of Legal Resources on behalf of Valentin Câmpeanu v. Romania)* ეხებოდა ვალენტინ ჩამპეანუს სახელით არასამთავრობო ორგანიზაციის (სამართლებრივი რესურსების ცენტრი) მიერ შეტანილ სარჩელს.[569] ვალენტინ ჩამპეანუ გარდაიცვალა 2004 წელს, 18 წლის ასაკში. იგი დაბადებისთანავე მიატოვა დედამ და იზრდებოდა ბავშვთა სახლში. ჯერ კიდევ მცირე ასაკში მას დაუდგინდა, რომ დაავადებული იყო აივ-ით და ჰქონდა ფსიქიკური აშლილობა. სრულწლოვანების ასაკის მიღწევის გამო მას მოუწია შშმ ბავშვთა ცენტრის დატოვება. მას შემდეგ, რაც რამდენიმე დაწესებულებამ უარი განაცხადა მის მიღებაზე მისი მდგომარეობის გამო, ვალენტინ ჩამპეანუ, საბოლოოდ, მიიღო სამედიცინო და სოციალური მზრუნველობის ცენტრმა, რომელმაც დაადგინა, რომ იგი იმყოფებოდა „ფსიქიკური და ფიზიკური დეგრადაციის“ მძიმე მდგომარეობაში და რომ იგი არ იღებდა ანტირეტროვირუსულ მკურნალობას და ჰქონდა კვებითი უკმარისობა. რამდენიმე დღეში, მას შემდეგ, რაც მან გამოავლინა უკიდურესად აგრესიული ქცევა, ვალენტინ ჩამპეანუ გადაიყვანეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, რომელმაც მანამდე უარი თქვა მის მიღებაზე, რადგან არ ჰქონდა სათანადო აღჭურვილობა აივ-იანი პაციენტების მკურნალობისათვის. საავადმყოფოში ყოფნისას სამართლებრივი რესურსების ცენტრის მონიტორებმა ვალენტინ ჩამპეანუ ნახეს მარტო ოთახში, სადაც არ იყო გათბობა. იგი იწვა ლოგინში, რომელსაც არ ჰქონდა თეთრეული, ხოლო მას ეცვა მხოლოდ პიჟამო. მიუხედავად იმისა, რომ მას არ შეეძლო საკვების მიღება და ვერ სარგებლობდა საპირფარეშოთი, საავადმყოფოს პერსონალი უარს აცხადებდა, დახმარებოდა მას, აივ ინფექციის გადადების საფრთხის გამო. ვალენტინ ჩამპეანუ უარს აცხადებდა საკვებისა და წამლების მიღებაზე. იგი იღებდა მხოლოდ გლუკოზას. სამართლებრივი რესურსების ცენტრის მონიტორებმა

---

566 87-ე პუნქტი; ასევე იხ. *ელენა კოჯოკარუ (Elena Cojocaru v. Romania),* 22 მარტი, 2016 წელი; *აიდოგდუ თურქეთის წინააღმდეგ (Aydoğdu v. Turkey),* 30 აგვისტო, 2016 წელი.

567 18 ივნისი, 2013.

568 122-ე პუნქტი; ასევე იხ. *სამართლებრივი რესურსების ცენტრი ვალენტინ ჩამპეანუს სახელით რუმინეთის წინააღმდეგ (Center of Legal Resources on behalf of Valentin Câmpeanu v. Romania),* დიდი პალატა, 17 ივლისი, 2014 წელი, 141-ე და 143-ე პუნქტები; ასევე იხ. J. Gerards, Right to Life, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, P. van Dijk, F. van Hoof, A. van Rijn and L. Zwaak (eds.), 5th ed. 2018, 374-375.

569 დიდი პალატა, 17 ივლისი, 2014 წელი.

დაასკვნეს, რომ საავადმყოფომ ვერ უზრუნველყო მისთვის ყველაზე საბაზისო მკურნალობისა და ზრუნვის აღმოჩენა.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გადაწყვეტილებები ვალენტინ ჩამპეანუს საავადმყოფოებში მოთავსების შესახებ ეფუძნებოდა იმას, რომელი დაწესებულება გამოიჩენდა მისი მიღების სურვილს, და არა იმას, სად შეძლებდა იგი შესაფერისი სამედიცინო მზრუნველობისა და მხარდაჭერის მიღებას. თავდაპირველად იგი მოათავსეს სამედიცინო და სოციალური მზრუნველობის ცენტრში, რომელიც არ იყო აღჭურვილი გონებრივი ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტების სამკურნალოდ. ბოლოს, ვალენტინ ჩამპეანუ მიიღეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე მან უარი განაცხადა მის მიღებაზე, რადგან არ გააჩნდა სათანადო აღჭურვილობა აივ-ის მკურნალობისათვის.[570] ერთი საავადმყოფოდან მეორეში მისი გადაყვანა ხდებოდა რაიმე სათანადო დიაგნოზისა და ვალენტინ ჩამპეანუს ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მისი ძირითადი სამედიცინო საჭიროებების სრული უგულებელყოფით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო პაციენტი ანტირეტროვირუსული მკურნალობით. ვალენტინ ჩამპეანუსათვის აღმოჩენილი სამედიცინო დახმარება, ძირითადად, მოიცავდა დამამშვიდებელი საშუალებებითა და ვიტამინებით მკურნალობას და მისთვის არ ჩაუტარებიათ ხელშესახები გამოკვლევა მისი გონებრივი მდგომარეობის, განსაკუთრებით მისი უეცარი აგრესიული ქცევის, მიზეზების დასადგენად.[571]

ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ვალენტინ ჩამპეანუ მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში იმყოფებოდა სახელმწიფოს ხელში, რაც, შესაბამისად, მას აკისრებდა პასუხისმგებლობას მისი მკურნალობისათვის. სახელმწიფომ იცოდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში არსებული გაუსაძლისი პირობების შესახებ, სადაც გათბობისა და შესაფერისი საკვების არარსებობამ და სამედიცინო პერსონალისა და მედიკამენტების ნაკლებობამ გამოიწვია გარდაცვალებათა რაოდენობის ზრდა 2003 წლის ზამთარში. მიუხედავად ამისა, სახელმწიფომ არ მოახდინა სათანადო რეაგირება.[572] ამ საავადმყოფოში მისი მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებით, მიუხედავად მისი მდგომარეობის მაღალი მოწყვლადობისა, სახელმწიფომ მისი სიცოცხლე ჩააგდო საფრთხეში, ხოლო სამედიცინო პერსონალის მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში შესაფერისი მზრუნველობისა და მკურნალობის გარეშე მისი დატოვება გახდა კიდევ ერთი გადამწყვეტი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა მისი ნაადრევად გარდაცვალება.[573] საბოლოოდ, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო შესაფერისი ღონისძიებების გატარება ვალენტინ ჩამპეანუს სიცოცხლის დასაცავად.[574]

საქმე *ალტუგი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Altuğ and Others v. Turkey)* ეხებოდა 74 წლის რუჰსარ კესოღლუს გარდაცვალებას კერძო საავადმყოფოში, რაც გამოიწვია ალერგიულმა რეაქციამ პენიცილინის ინტრავენურ ინიექციაზე.[575] ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო პა-

---

570 136-ე პუნქტი.

571 138-ე პუნქტი.

572 142-ე პუნქტი.

573 143-ე პუნქტი.

574 144-ე პუნქტი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-13 მუხლის (ეფექტიანი სამართლებრივი საშუალების უფლება) დარღვევა მე-2 მუხლთან ერთობლიობაში.

575 30 ივნისი, 2015 წელი.

ციენტების სიცოცხლის დაცვისაკენ მიმართული შესაბამისი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესრულება. ევროპული სასამართლოს აზრით, არც სამედიცინო ექსპერტებმა (რომლებმაც მიიჩნიეს, რომ გარდაცვალება იყო თერაპიული შემთხვევითობა) და არც თურქეთის სასამართლოებმა არ იმსჯელეს ექიმების მიერ მოქმედი რეგულაციების შესრულებაზე, კერძოდ, მოხდა თუ არა პაციენტებისათვის ან მათი ოჯახის წევრებისათვის კითხვების დასმა სამედიცინო ისტორიის შესახებ, მოხდა თუ არა მათი ინფორმირება ალერგიული რეაქციის შესაძლებლობაზე და მიიღეს თუ არა მათი თანხმობა შესაბამისი წამლის გამოყენებაზე. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლება.

საქმე *არსკაია უკრაინის წინააღმდეგ (Arskaya v. Ukraine)* ეხებოდა მოსარჩელის 42 წლის შვილის გარდაცვალებას საავადმყოფოში.[576] პნევმონიისა და ტუბერკულოზის გამო საავადმყოფოში მოთავსებიდან რამდენიმე დღეში მოსარჩელის შვილმა გამოავლინა ფსიქოლოგიური და ემოციური არასტაბილურობა და აგრესია საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალის მიმართ. მისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, მოსარჩელის შვილმა უარი განაცხადა სამედიცინო მკურნალობაზე. მოგვიანებით ფსიქიატრმა მას დაუდგინა სომატოგენური პარანოიდული აშლილობა. პაციენტი განაგრძობდა უარის თქმას მკურნალობაზე, რის გამო მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა და რამდენიმე დღეში იგი გარდაიცვალა.

კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე, მოსარჩელე (გარდაცვლილის დედა) ამტკიცებდა, რომ მისი შვილი გარდაიცვალა ჯანმრთელობის დაცვის მარეგულირებელი იმ ნორმების არაადეკვატურობის გამო, რომლებიც ეხება პაციენტის უარს მკურნალობაზე.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, მოსარჩელის შვილმა გამოავლინა გონებრივი აშლილობის სიმპტომები, ექიმებმა გაითვალისწინეს მისი უარი მკურნალობაზე და ეჭვქვეშ არ დააყენეს მისი უნარი, მიეღო რაციონალური გადაწყვეტილება.[577] სასამართლოს აზრით, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, თავიდან უნდა ყოფილიყო აცილებული სიტუაცია, რომელშიც პაციენტი მიიღებდა გადაწყვეტილებას მისი შედეგების გაუაზრებლად. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს პოზიციით, მოსარჩელის შვილის საავადმყოფოში მოთავსებისას ექიმებმა არ იმსჯელეს ამ საკვანძო საკითხზე, რადგან კანონმდებლობა საკმარისად დეტალურად არ განსაზღვრავდა შემთხვევებს, როდესაც პაციენტის უარი სამედიცინო მკურნალობაზე უნდა ჩათვლილიყო იურიდიული ძალის მქონედ და სავალდებულოდ ექიმებისათვის და, პირიქით. აქედან გამომდინარე, მარეგულირებელი ნორმები სათანადოდ არ უზრუნველყოფდა პაციენტის გადაწყვეტილების მიღების უნარის სწრაფად და ობიექტურად დადგენას, სამართლიანი და შესაფერისი პროცედურის შესაბამისად.[578] სასამართლოს შეფასებით, ეს საქმე ცხადყოფს, რომ საფრთხის შემცველ სიტუაციაში მკურნალობაზე პაციენტების ინფორმირებული თანხმობის გაცემის გარანტიები არ იყო საკმარისი.[579]

---

576 5 დეკემბერი, 2013 წელი.

577 87-ე პუნქტი.

578 88-ე პუნქტი.

579 89-ე პუნქტი.

ვინაიდან უკრაინაში არ მოქმედებდა სამედიცინო მომსახურების გაწევაზე გადაწყვეტილების მიღების, მათ შორის მკურნალობაზე ინფორმირებული თანხმობის გაცემის დეტალური წესები, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ არ გადადგა საკმარისი ნაბიჯები მოსარჩელის შვილის სიცოცხლის სათანადო დაცვის უზრუნველსაყოფად, როგორც ამას მოითხოვს კონვენციის მე-2 მუხლი. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველეყო ჯანმრთელობის დაცვის მარეგულირებელი ჩარჩოს მიღება.[580]

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოკლე მიმოხილვაც კი ცხადყოფს, რომ კონვენციის მე-2 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას სიცოცხლე ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, თუმცა ასეთი ვალდებულების წარმოშობის გარემოებები, სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, საკმაოდ შეზღუდულია. მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის სიცოცხლეზე გავლენა არაერთმა გარემოებამ შეიძლება მოახდინოს და, შესაბამისად, გამოიწვიოს პირის გარდაცვალება, ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა ორი საგამონაკლისო სიტუაცია, რომელთა არსებობის შემთხვევაში სახელმწიფოს დაეკისრება პასუხისმგებლობა კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე. სასამართლოს მიდგომით, პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება მხოლოდ ისეთ შემთხვევებზე, რომლებიც პირდაპირ და უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს.[581] იმავდროულად, ევროპული სასამართლო აცნობიერებს, რომ ჯანმრთელობის გაუარესების შედეგად ადამიანის გარდაცვალებისათვის პასუხისმგებლობის სახელმწიფოსათვის დაკისრება მეტისმეტად რთული და არარეალისტური ვალდებულება იქნება სახელმწიფოსათვის, რომელსაც ის უბრალოდ ვერ შეასრულებს.[582]

4.2.2.4.1. სიცოცხლის დაცვის ვალდებულება თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში

ვინაიდან თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ სახელმწიფო ახორციელებს აბსოლუტურ ან თითქმის აბსოლუტურ კონტროლს, მას ეკისრება განსაკუთრებული ვალდებულება, უზრუნველყოს ეს პირები სამედიცინო დახმარებით, მათი გარდაცვალების თავიდან ასაცილებლად.[583] როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *გორელოვი რუსეთის წინააღმდეგ (Gorelov v. Russia)* – აღნიშნა, „თავისუფლებააღკვეთილი პირები იმყოფებიან განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში და ხელისუფლებას ეკისრება პასუხისმგებლობა მათ მიმართ მოპყრობისათვის.[584] კონვენცია მოითხოვს სახელმწიფოსაგან, დაიცვას თავისუფლებააღკვეთილი პირების ჯანმ-

---

580 90-ე-91-ე პუნქტები.

581 D. Xenos, The Positive Obligations of the State under the European Convention on Human Rights, 2012, 161-162.

582 M. Marochini, Council of Europe and the Right to Healthcare – Is the European Convention on Human Rights Appropriate Instrument for Protecting the Rights to Healthcare? Zb. Prav. Fak. Sveuc. Rij. (1991), v. 34, br. 2, 2013, 738-739.

583 *ტაისი საფრანგეთის წინააღმდეგ (Tais v. France),* 1 ივნისი, 2006 წელი, 98-ე პუნქტი; *გაგიუ რუმინეთის წინააღმდეგ (Gagiu v. Romania),* 24 თებერვალი, 2009 წელი, 57-ე პუნქტი; *შუმკოვა რუსეთის წინააღმდეგ (Shumkova v. Russia),* 14 თებერვალი, 2012 წელი, 89-ე პუნქტი.

584 9 აპრილი, 2014 წელი.

რთელობა და ფიზიკური კეთილდღეობა, მაგალითად, მათი სიცოცხლის დაცვისაკენ მიმართული შესაბამისი ღონისძიებების გატარებით და მათთვის სათანადო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფით.“[585] ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ, ვინაიდან დაკავებული პირი სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ იმყოფება, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ასხნა-განმარტების წარმოდგენა დაკავების დროს პირისათვის მიყენებული ზიანისა და მისი გარდაცვალების მიზეზების შესახებ.[586]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი მოიცავს თავისუფლებაღკვეთილი პირისათვის დროული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ვალდებულებას.[587] აქედან გამომდინარე, თავისუფლებააღკვეთილი პირისათვის სამედიცინო დახმარების დროულად აღმოუჩენლობა, რომელსაც შედეგად მოჰყვა მისი გარდაცვალება, იწვევს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას სიცოცხლის უფლების დარღვევისათვის. საქმე *ანგუელოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Anguelova v. Bulgaria)* ეხებოდა პირის დაკავებას პოლიციის მიერ. დროის იმ მონაკვეთში, როდესაც პირი იყო დაკავებული, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და იგი გარდაიცვალა.[588] ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციის მიერ დაკავებულისათვის სამედიცინო დახმარების დროულად აღმოუჩენლობას შედეგად მოჰყვა მისი გარდაცვალება, რამაც დაარღვია ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი.[589]

საქმე *კარპილენკო უკრაინის წინააღმდეგ (Karpylenko v. Ukraine)* ეხებოდა მოსარჩელის შვილს, რომელიც პატიმრობის დროს გარდაიცვალა აივ ინფექციის გამო. მოსარჩელის დედა ამტკიცებდა, რომ ხელისუფლება იყო პასუხისმგებელი მისი შვილის გარდაცვალებაზე, ვინაიდან მას არ აღმოუჩინეს შესაფერისი სამედიცინო დახმარება.[590] ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, მოსარჩელის შვილს პატიმრობის დროს დაუდგინდა აივ ინფექცია, ხელისუფლებამ არ განახორციელა მისი მდგომარეობის იმუნოლოგიური შეფასება, არც მისი მკურნალობის უზრუნველყოფა. ამის ნაცვლად, მიუხედავად იმისა, რომ ტუბერკულოზი იყო აივ ინფექციასთან დაკავშირებული ყველაზე გავრცელებული დაავადება უკრაინაში, ხელისუფლებამ დაახლოებით 10 თვის განმავლობაში მოსარჩელის შვილს არ აღმოუჩინა სამედიცინო დახმარება.[591] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებამ ვერ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება, დაეცვა მოსარჩე-

---

585 *გორელოვი რუსეთის წინააღმდეგ (Gorelov v. Russia)*, 9 აპრილი, 2014 წელი, 42-ე პუნქტი. ასევე *სჩებეტოვი რუსეთის წინააღმდეგ (Shchebetov v. Russia)*, 10 აპრილი, 2012 წელი; *სალახოვი და ისლიამოვა უკრაინის წინააღმდეგ (Salakhov and Islyamova v. Ukraine)*, 14 მარტი, 2013 წელი.

586 იქვე. *გეპპა რუსეთის წინააღმდეგ (Geppa v. Russia),* 3 თებერვალი, 2011 წელი, 69-ე პუნქტი; *ძიძავა რუსეთის წინააღმდეგ (Dzidzava v. Russia),* რომელიც ეხება ასთმით დაავადებული საქართველოს მოქალაქის დეპორტირებას რუსეთიდან 2006 წელს, რომელსაც არ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება, რის გამოც იგი გარდაიცვალა. 20 დეკემბერი, 2016 წელი, 55-ე პუნქტი. ასევე იხ. W. Schabas, The European Convention on Human Rights: A Commentary, 2015, 133-134.

587 *გენჟუ ბელგიის წინააღმდეგ (Gengoux v. Belgium)*, 17 იანვარი, 2017 წელი.

588 13 ივნისი, 2002 წელი.

589 131-ე პუნქტი; ასევე იხ. E. Wicks, Positive and Negative Obligations under the Right to Life in English Medical Law: Letting Patients Die, in: The Right to Life and the Value of Life: Orientation in Law, Politics and Ethics, J. Yorke (ed.), 2010, 321-322.

590 11 თებერვალი, 2016 წელი.

591 87-ე პუნქტი.

ლის შვილის ჯანმრთელობა. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, ვინაიდან აივ ინფექციის მქონე პატიმარი ათი თვის განმავლობაში არ უზრუნველყვეს სათანადო სამედიცინო მომსახურებით, რის გამოც იგი გარდაიცვალა.[592]

საქმის – *იასინსკი ლატვიის წინააღმდეგ (Jasinskis v. Latvia)* – მიხედვით, მოსარჩელის შვილი, რომელიც იყო ბავშვობიდან ყრუ-მუნჯი, კიბეებზე დაეცა, დაარტყა თავი და დაკარგა გონება გარკვეული დროის განმავლობაში. პოლიციამ, რომლის მოსვლის დროს იგი იყო უგონო მდგომარეობაში, გადაწყვიტა, არ დალოდებოდა სასწრაფო დახმარებას (რომელიც უკვე გამოძახებული იყო), წაიყვანა იგი პოლიციის განყოფილებაში.[593] მას არც პოლიციის განყოფილებაში ჩაუტარეს სამედიცინო შემოწმება, რადგან იფიქრეს, რომ იგი იყო ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ. მალე მოსარჩელის შვილი გარდაიცვალა თავის დაზიანების გამო.

სხვა საქმეების მსგავსად, ამ საქმეზეც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დაკავებული ან დაპატიმრებული პირი არის მოწყვლად მდგომარეობაში და ხელისუფლებას ეკისრება მისი დაცვის ვალდებულება. ამ საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა მე-2 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულება, დაეცვა პირის სიცოცხლე, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის გზით.

ვინაიდან პოლიციამ იცოდა მოსარჩელის შვილის დაცემისა და მისი შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ, სასამართლომ დაასკვნა, რომ სამედიცინო დახმარების აღმოუჩენლობამ, ისევე როგორც გამოსაფხიზლებელ საკანში მის მიერ კარებსა და კედლებზე კაკუნის რეაგირების გარეშე დატოვებამ და სასწრაფოს გამოძახებამ თითქმის შვიდსაათიანი დაგვიანებით, მას შემდეგ, რაც დილით იგი ვერ გააღვიძეს, დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლი.

საქმე *საუდი საფრანგეთის წინააღმდეგ (Saoud v. France)* ეხებოდა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობას პირის დაკავებისას. ევროპული სასამართლოს წინაშე გარდაცვლილი მოჰამედ საუდის დედა, მისი ძმები და დები ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მისი ოჯახის წევრისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. მოჰამედ საუდი დაავადებული იყო შიზოფრენიით. მან მოითხოვა მკურნალობა საავადმყოფოში, თუმცა 1998 წლის 23 ნოემბრამდე მას უარი უთხრეს საავადმყოფოში მოთავსებაზე, არასაკმარისი ადგილების გამო. 1998 წლის 20 ნოემბერს მოჰამედ საუდი საკუთარ საცხოვრებელში თავს დაესხა დედასა და დებს, რის გამოც გამოუძახეს პოლიციას. მოგვიანებით მოჰამედ საუდიმ ერთ-ერთი და მძევლად აიყვანა. ადგილზე პოლიციის გამოცხადებისას მოჰამედ საუდი იქცეოდა აგრესიულად და პოლიციას წინააღმდეგობაც კი გაუწია. ერთ-ერთმა დამ პოლიციას ამცნო მოჰამედ საუდის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. პოლიციის მიერ მოჰამედ საუდის დაკავების შემდეგ, 30 წუთზე მეტი დროის განმავლობაში, პოლიციას იგი ჰყავდა გაკავებული ხელბორკილებითა და პოლიციელების სხეულის სიმძიმით, პირდაღმა მდგომარეობაში, რამაც გამოიწვია მისი გარდაცვალება გაგუდვით. ჩატარებულმა ავტოფსიამ დაადასტურა „ნელი მექანიკური ასფიქსიის“ სავარაუდო ნიშნები. ორმა პათოლოგანატომმა გარდაცვალების მიზეზად დაადასტურა გაგუდვა, რომელიც გამოწვეული იყო მოჰამედ საუდის გაკავებით.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მაშინ, როდესაც მოჰამედ საუდი დააკავეს და ჰყავდათ გაკავებულ მდგომარეობაში, ხელისუფლებას ეკისრებოდა პირის ჯან-

592 ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.

593 21 დეკემბერი, 2010 წელი.

მრთელობის დაცვის ვალდებულება. ეს გულისხმობს შესაბამისი პირისათვის დაუყოვნებლივი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მოჰამედ საუდის მდგომარეობა ცნობილი იყო პოლიციისათვის. დაკავების შემდეგ, როდესაც მისი ხელები და ფეხები იყო შებოჭილი, სასამართლოს აზრით, იგი აღარ ქმნიდა საფრთხეს სხვებისათვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას არ გაუშვეს ხელი და არ ჩაუტარეს სამედიცინო შემოწმება ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა სამედიცინო დახმარების აღმოუჩენლობის გამო.

საქმე *მუსტაფაევი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Mustafayev v. Azerbaijan)* ეხებოდა მოსარჩელის შვილის (მაჰირ მუსტაფაევი) გარდაცვალებას პენიტენციურ დაწესებულებაში გაჩენილი ხანძრით მიღებული მძიმე დამწვრობის გამო.[594] საქმის მასალების მიხედვით, საკანში, სადაც მაჰირ მუსტაფაევი იხდიდა სასჯელს, გაჩნდა ხანძარი. დაახლოებით დილის 7 საათზე პატიმარი გამოიყვანეს საკნიდან და აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება. ამის შემდეგ მაჰირ მუსტაფაევი მხოლოდ 11:45 წუთზე გაამგზავრეს საავადმყოფოში, ბაქოში, რომელიც 125 კილომეტრის დაშორებით იყო (თუმცა ერთ-ერთ წინა საქმეზე მოპასუხე სახელმწიფომ განაცხადა, რომ მანძილი იყო 45 კილომეტრი). პატიმარი 14:45 წუთზე მიიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ცოტა ხანში გარდაიცვალა. საავადმყოფოში დაგვიანებით მიყვანა მოპასუხე სახელმწიფომ მანქანის მწყობრიდან გამოსვლით ახსნა.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მოქმედება კრიტიკულად მძიმე მდგომარეობაში მყოფი პატიმრის მიმართ დილის 7 საათიდან დღის 14:25 წუთამდე დროის მონაკვეთში არღვევს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს პატიმრის სიცოცხლის დაცვა.[595]

საქმე *კარახანიანი რუსეთის წინააღმდეგ (Karakhanyan v. Russia)* ეხებოდა მოსარჩელის მტკიცებას, რომ მის მეუღლეს, რომელიც სასჯელს იხდიდა პენიტენციურ დაწესებულებაში, არ გაუწიეს შესაფერისი სამედიცინო დახმარება. მოსარჩელის მეუღლეს 2003 წელს დაუდგინდა, რომ იყო აივ-ით დაავადებული, თუმცა მისი მდგომარეობა იყო სტაბილური. 2009 წელს მას ასევე დაუდგინდა ტუბერკულოზი, რომლის გამოც იგი გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, სადაც ექიმმა შეამჩნია, რომ მისი აივ მდგომარეობა იყო გაუარესებული. რამდენიმე დღეში დაიწყეს პატიმრის მკურნალობა ანტირეტროვირუსული თერაპიით (ART), თუმცა მკურნალობის დაწყებიდან ერთ კვირაში შეწყვიტეს ის. მოსარჩელის მეუღლის სამედიცინო ისტორიაში ჩაიწერა, რომ პაციენტმა უარი განაცხადა მკურნალობაზე და მას ხელი მოაწერა სამმა ექიმმა, თუმცა დოკუმენტში არ იყო თავად პაციენტის ხელმოწერა. მოგვიანებით მსგავსი ჩანაწერი მკურნალობაზე უარის შესახებ გააკეთეს ექიმებმა ანტიტუბერკულოზურ მკურნალობასთან დაკავშირებით.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: იმისათვის, რომ დადგინდეს, შეასრულა თუ არა მოპასუხე სახელმწიფომ კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე სიცოცხლის დაცვის ვალდებულება, მან უნდა იმსჯელოს, გადადგა თუ არა სახელმწიფომ გონივრული ნაბიჯები, რაც კეთილსინდისიერად და დროულად ჩაითვლება, რათა თავიდან იყოს აცილებული სასიკვდილო შედეგი.[596]

ევროპული სასამართლოს აზრით, სამედიცინო ისტორიაში პაციენტის ხელმოწერის არარსებობა, მოსარჩელის მტკიცებასთან ერთად, რომ სამედიცინო მომსახურება

---

594 4 მაისი, 2017 წელი.

595 66-ე პუნქტი.

596 45-ე პუნქტი.

იყო არასათანადო, და განსაკუთრებით მოსარჩელის მეუღლის დაჟინებული მოთხოვნები, რომ აივ-ის მკურნალობა შეეცვალათ, ნაცვლად გაუქმებისა, ბადებს სერიოზულ ეჭვს მკურნალობის მიმართ პაციენტის უარის ნამდვილობაზე. სასამართლოს აზრით, ამ ეჭვს ამყარებს განმარტების არარსებობა იმის შესახებ, რომ პაციენტმა თავად არ მოაწერა ხელი დოკუმენტს მკურნალობაზე უარის შესახებ. მიუხედავად ამისა, მაშინაც კი, თუ უარი მკურნალობაზე ჩაითვლება ნამდვილად, არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ეს იყო გაცნობიერებული და ინფორმირებული უარი, როგორც ამას მოითხოვს ეროვნული კანონმდებლობა, რადგან მასალაში არ არის მითითება, რომ ექიმებმა პაციენტს აუხსნეს ის საფრთხე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის.[597]

ევროპული სასამართლოს აზრით, პირმა არ შეიძლება ისარგებლოს სამედიცინო მკურნალობაზე უარის უფლებით გააზრებულად და გონივრულად, თუ მას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია იმ შედეგებზე, რომლებიც მის უარს შეიძლება მოჰყვეს. ასეთი ინფორმაციის არარსებობის პირობებში დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება მკურნალობაზე თანხმობის გაცემის ან მასზე უარის შესახებ არის შეუძლებელი.[598] ამის გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელის მეუღლეს, საკმარისი საფუძვლის გარეშე, არ მიეცა სასიცოცხლო მკურნალობის ჩატარების შესაძლებლობა. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მაშინაც კი, როდესაც პაციენტის მდგომარეობა კრიტიკულად დამძიმდა, მას არ შეეთავაზა აივ-ის მკურნალობის გაგრძელება.[599] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფოს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა მოსარჩელის მეუღლის გარდაცვალების გამო, რადგან სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მისი სასიცოცხლო, ყოვლისმომცველი და შესაფერისი სამედიცინო მკურნალობა, რითაც დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება.[600]

4.2.2.5. საფრთხის შემცველი საწარმოო საქმიანობა, ბუნებრივი კატაკლიზმები და უბედური შემთხვევები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ ცხადყო, რომ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ საწარმოო საქმიანობაზე, ბუნებრივ კატაკლიზმებსა და უბედურ შემთხვევებზე. გარდა იმისა, რომ სახელმწიფომ უნდა დაადგინოს სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საწარმოო საქმიანობით, ბუნებრივი კატაკლიზმებითა და უბედური შემთხვევებით გამოწვეული სიცოცხლის უფლების დარღვევის თავიდან აცილების მარეგულირებელი კანონმდებლობა, რომლის მიზანია ასეთი საფრთხის თავიდან აცილება ან მინიმუმამდე შემცირება, სახელმწიფოს ასევე ეკისრება ვალდებულება, გაატაროს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები სიცოცხლის უფლების დასაცავად საფრთხის შემცველი საწარმოო საქმიანობის, ბუნებრივი კატაკლიზმებისა და უბედური შემთხვევების მიმართ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, პრევენციულ ოპერატიულ ღონისძიებებს შორის, რომლებიც სახელმწიფომ უნდა გაატაროს სიცოცხლის უფლების დასაცავად, განსაკუთრებული ადგილი უნდა მიენიჭოს საზოგადოებისათ-

---

597 47-ე პუნქტი.
598 48-ე პუნქტი.
599 49-ე პუნქტი.
600 50-ე პუნქტი.

ვის ინფორმაციის მიწოდებას სიცოცხლისათვის საფრთხის არსებობის შესახებ.[601] ასეთ ინფორმაციაზე წვდომა საშუალებას მისცემს საზოგადოებასა და მის წევრებს, შეაფასონ საფრთხეები მათი სიცოცხლისათვის და გადადგან შესაბამისი ნაბიჯები.

საქმე *LCB გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (LCB v. United Kingdom)* ეხებოდა მოსარჩელის მტკიცებას, რომ მას განუვითარდა ლეიკემია იმის გამო, რომ მის მამაზე, რომელიც იმხანად სამხედრო სამსახურში მსახურობდა, ზემოქმედება მოახდინა მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ჩატარებული ბირთვული ცდებით გამოწვეულმა რადიაციამ.[602] თავად მოსარჩელე 1966 წელს დაიბადა. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ გაერთიანებულმა სამეფომ ვერ შეძლო მისი მშობლების გაფრთხილება და რჩევის მიცემა ცდების საფრთხეზე მათი პოტენციური შვილების მიმართ, ისევე როგორც ვერ მოახერხა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის ზედამხედველობა, რამაც დაარღვია გაერთიანებული სამეფოს ვალდებულებები მე-2 მუხლთან მიმართებით. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მან უნდა განსაზღვროს, სახელმწიფომ გააკეთა თუ არა ყველაფერი, რისი გაკეთებაც მას მოეთხოვებოდა, რათა თავიდან აეცილებინა მოსარჩელის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება.[603] სასამართლომ დაადგინა, რომ გაერთიანებულ სამეფოს მხოლოდ მაშინ მოეთხოვებოდა მისი მშობლებისათვის ინფორმაციის მიწოდება და ზედამხედველობის გაწევა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, თუ შესაბამის დროს სახელმწიფოსათვის ხელმისაწვდომი იქნებოდა ინფორმაცია, რომ მის მამაზე რადიაციის ზემოქმედებას შეეძლო გამოეწვია რეალური საფრთხე მისი ჯანმრთელობისათვის. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობდა მიზეზშედეგობრივი კავშირი მის მამაზე რადიაციის ზემოქმედებასა და მოსარჩელის ლეიკემიით დაავადებას შორის. სასამართლომ დაასკვნა, რომ არ იყო გონივრული იმის მტკიცება, რომ 1960-იან წლებში გაერთიანებულ სამეფოს უნდა გაეტარებინა ღონისძიება მოსარჩელის მიმართ. საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ გაერთიანებულ სამეფოს არ დაურღვევია კონვენციის მე-2 მუხლი.

მართალია, ევროპულ სასამართლოს არ დაუდგენია, რომ რადიაციის სახიფათო რაოდენობამ მოახდინა ზემოქმედება მოსარჩელის მამაზე, მან განიხილა, უნდა მიეწოდებინათ თუ არა ინფორმაცია მისი მშობლისათვის რადიაციის ზემოქმედების ხანგრძლივი შედეგების შესახებ. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ საფუძველი ჩაუყარა კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს ვალდებულების წარმოშობას, გაეფრთხილებინა პირები და, ზოგადად, მოსახლეობა საფრთხის შემცველი საქმიანობის შემთხვევაში ჯანმრთელობის მიმართ საფრთხის არსებობის შესახებ. სახელმწიფოსათვის ასეთი ვალდებულების დადგენა პოტენციურ გავლენას ახდენს სხვადასხვა საფრთხეზე, რომელთა მიმართ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის გაფრთხილება, მათ შორის გარემოსთან, სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ ავადმყოფობასა და გენეტიკურად მოდიფიცირებულ საკვებთან დაკავშირებულ საფრთხეებზე.[604]

საქმიდან – *LCB გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (LCB v. United Kingdom)* – გამომდინარე, მოგვიანებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე დაადგინა, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, საზოგადო-

---

601 T. S. Guler, 'Positive Obligations' Doctrine of the European Court of Human Rights: Is it Cogent or Obscure? European Journal of Multidisciplinary Studies, 2017, Vol. 6, N1, 362.

602 9 ივნისი, 1998 წელი.

603 36-ე პუნქტი.

604 M. O'Boyle, The Development of the Right to Life, AFMÆLISRIT ÞÓR VILHJÁLMSSON, 2000, 66. Ibid, for the history of development of the positive obligation in Article 2 see, 70-71.

ებას მიაწოდოს ინფორმაცია არსებული საფრთხეების შესახებ, მათ შორის ნაგავსაყრელზე მომხდარი აფეთქების შედეგად წარმოქმნილი მეწყერით,[605] სიცოცხლისათვის შექმნილი საფრთხის გამო, რასაც მოჰყვა პირთა გარდაცვალება.[606] ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოს იმავე ვალდებულებაზე გაამახვილა ყურადღება საქმეზე – *ბრინკატი და სხვები მალტის წინააღმდეგ (Brincat and Others v. Malta)*, რომელიც ეხებოდა აზბესტის ზემოქმედებას გემების სარემონტო ტერიტორიაზე დასაქმებულ მუშებზე, რომელიც საზიანოა ჯანმრთელობისათვის და საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს.[607]

ამასთანავე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება არსებული საფრთხის შესახებ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სახელმწიფომ შეასრულოს ვალდებულება, გადადგას პრაქტიკული ნაბიჯები სიცოცხლის უფლების დასაცავად. კერძოდ, სასამართლოს პოზიციით, ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ დაიცვა „უფლება ინფორმაციაზე“, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სახელმწიფო განთავისუფლდეს საკუთარი პასუხისმგებლობისაგან.[608]

პრევენციულ ოპერატიულ ღონისძიებებში, საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების გარდა, იგულისხმება სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა ღონისძიების გატარება, რომელიც მიზნად ისახავს სიცოცხლის უფლების დარღვევის თავიდან აცილებას. ამიტომ სახელმწიფოს მიერ პრევენციული ოპერატიული ღონისძიების გატარების პოზიტიური ვალდებულება განიხილება სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საწარმოო საქმიანობის, ბუნებრივი კატაკლიზმებისა და უბედური შემთხვევების მიმართ.

4.2.2.5.1. სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საწარმოო საქმიანობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, თუ საწარმოო საქმიანობა საფრთხის შემცველია ადამიანის სიცოცხლისათვის, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, გარდა მისი საკანონმდებლო რეგულირებისა, გაატაროს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს სიცოცხლის უფლების დაცვას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც ეხებოდა სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ საწარმოო საქმიანობას, არის საქმე *ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ (Oneryildiz v. Turkey).* ეს საქმე ეხებოდა სტამბოლის გარეუბანში, ადგილობრივი ხელისუფლების მმართველობაში მყოფ ნაგავსაყრელზე მომხდარ შემთხვევას.[609] ვინაიდან ნაგავსაყრელზე არ იყო დაცული შესაბამისი მარეგულირებელი ნორმები და არ ფუნქციონირებდა ვენტილაციის სისტემა, მეთანისა და სხვა გაზების დაგროვებამ გამოიწვია აფეთქება, რომელმაც, თავის მხრივ, წარმოშვა მეწყერი. მეწყრის ჩამოწოლამ გაანადგურა ნაგავსაყრელთან ახლომდებარე საცხოვრებლები, რის შედეგადაც გარდაიცვალა 39 ადამიანი, მათ შორის მოსარჩელის ოჯახის 9 წევრი.

---

605 *ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ (Oneryildiz v. Turkey),* დიდი პალატა, 30 ნოემბერი, 2004 წელი, 90-ე პუნქტი.

606 *ბუდაევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Budayeva and Others v. Russia)*, 20 მარტი, 2008 წელი, 158-ე პუნქტი.

607 24 ივლისი, 2014 წელი, 113-ე-115-ე პუნქტები.

608 ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ *(Oneryildiz v. Turkey),* დიდი პალატა, 30 ნოემბერი, 2004 წელი, 108-ე პუნქტი.

609 30 ნოემბერი, 2004 წელი.

ამ საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო ის, შეიძლებოდა თუ არა, რომ კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე დამდგარიყო სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საფრთხის შემცველი საწარმოო საქმიანობით გამოწვეული სიცოცხლის უფლების დარღვევისათვის. შესაბამისად, დაისვა კითხვა, შეიძლება თუ არა, სახელმწიფო გახდეს პასუხისმგებელი იმისათვის, რომ მან ვერ უზრუნველყო იმ პირების სიცოცხლის დაცვა, რომლებსაც ასეთმა საქმიანობამ შეუქმნა საფრთხე. ცხადია, საქმე არ ეხებოდა იმას, რომ სახელმწიფომ განზრახვით მოსპო ადამიანის სიცოცხლე, არამედ საკითხი იდგა შემდეგნაირად: გადადგა თუ არა სახელმწიფომ შესაფერისი ნაბიჯები სიცოცხლის დასაცავად?[610]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი არა მხოლოდ კრძალავს სიცოცხლის ისეთ მოსპობას, რომელიც გამოწვეულია სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ძალის გამოყენების შედეგად, არამედ აკისრებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რათა დაიცვას მის იურისდიქციაში მყოფი პირების სიცოცხლე. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ „ეს ვალდებულება სახელმწიფოს უნდა ეკისრებოდეს ნებისმიერ საქმიანობასთან მიმართებით, იქნება ეს საჯარო თუ არა, რომელშიც წამოიჭრება სიცოცხლის უფლება, განსაკუთრებით კი საწარმოო საქმიანობის მიმართ, რომელიც თავისი ბუნებით არის საფრთხის შემცველი, როგორიცაა ნარჩენების გამანადგურებელი ადგილების ფუნქციონირება.“[611]

ევროპულმა სასამართლომ ასევე გაამახვილა ყურადღება, რომ თურქეთის ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ არსებობდა რეალური და მყისიერი საფრთხე ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისათვის. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფოს ეკისრებოდა კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულება, გაეტარებინა ისეთი პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები, რომლებიც „აუცილებელი და საკმარისი“ იყო ამ პირთა დასაცავად, განსაკუთრებით იმიტომ, რომ სახელმწიფომ თავად დააარსა ნაგავსაყრელი და გასცა ნებართვა მის ფუნქციონირებაზე, რამაც წარმოშვა შესაბამისი საფრთხე.[612]

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთის ხელისუფლება პასუხისმგებელი იყო ადამიანთა სიცოცხლის მოსპობისათვის, რადგან საექსპერტო დასკვნაში, რომელიც შემთხვევამდე ორი წლით ადრე მომზადდა, ხაზგასმით მიეთითა, რომ ნაგავსაყრელი არ აკმაყოფილებდა შესაბამის ტექნიკურ მოთხოვნებს და, რომ არსებობდა საფრთხე იქ მცხოვრები ადამიანებისათვის. ანგარიში ასევე ამახვილებდა ყურადღებას იმაზე, რომ გაზების საკმარისი რაოდენობის დაგროვების შედეგად შეიძლება მომხდარიყო აფეთქება. მიუხედავად ამისა, არ გატარებულა შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები. საყურადღებოა, რომ ნაგავსაყრელის დაარსების დროს ეს ადგილი იყო დაუსახლებელი და იმ დროისათვის ყველაზე ახლომდებარე დასახლება იყო 3.5 კილომეტრში. მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევის შედეგად დანგრეული სახლები უკანონოდ იყო აშენებული, სახელმწიფო, ზოგადად, ტოლერანტული იყო დაგეგმარების წესის დარღვევის მიმართ და მაცხოვრებლები მაინც უზრუნველყოფილი იყვნენ ელექტროენერგიით და წყლის მიწოდებით და მათ მოეთხოვებოდათ ადგილობრივი გადასახადების გადახდა. ამასთანავე,

---

610 D. Xenos, Asserting the Right to Life (Article 2, ECHR) in the Context of Industry, German Law Journal, Vol. 8, No.3, March 2007, 233.

611 71-ე პუნქტი; ასევე იხ. D. Xenos, Asserting the Right to Life (Article 2, ECHR) in the Context of Industry, German Law Journal, Vol. 8, No.3, March 2007, 235-236.

612 101-ე პუნქტი; ასევე იხ. E. Imparato, The Right to Life Passes Through the Right to a healthy Environment: Jurisprudence in Comparison, Widener Law Review 22, No.1, 2016, 128-129.

სახელმწიფომ არ უზრუნველყო სათანადო ნაბიჯების გადადგმა, რათა მაცხოვრებლებისათვის ეცნობებინათ არსებული საფრთხეების შესახებ.

საქმეზე – *ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ (Oneryildiz v. Turkey)* – ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ პრევენციულ ღონისძიებებზე, რომლებიც სახელმწიფოს შეიძლება გადაედგა თავისი პოზიტიური ვალდებულების შესასრულებლად. ამ ღონისძიებებს შორის იყო: ა) ნარჩენების გამანადგურებელი ადგილების იზოლაცია, რისთვისაც უნდა განესაზღვრა ნებისმიერ დასახლებასთან მათი განთავსების მინიმალურ მანძილი; ბ) მეწყრის საფრთხის თავიდან აცილება, რისთვისაც უნდა უზრუნველეყო მყარი შემოღობვა და თხრილები და გამოეყენებინა შემაკავებელი ტექნიკა; და გ) ხანძრის გაჩენისა და ბიოგაზის აფეთქების საფრთხის აღმოფხვრა.[613]

საბოლოოდ, ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ განაცხადა, რომ, ვინაიდან ხელისუფლებამ იცოდა პირთა სიცოცხლისათვის რეალური და მყისიერი საფრთხის არსებობის შესახებ, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, მას ჰქონდა პოზიტიური ვალდებულება, გაეტარებინა ისეთი პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც საჭირო და საკმარისი იქნებოდა ამ პირთა სიცოცხლის დასაცავად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახელმწიფომ თავად დააარსა ნაგავსაყრელი და გასცა მისი ფუნქციონირების ნებართვა, რამაც წარმოშვა ეს საფრთხე.[614]

მნიშვნელოვანია, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება არა მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ ძალის გამოყენების შედეგად გამოწვეული გარდაცვალებისათვის, არამედ ნებისმიერი საქმიანობისათვის, მათ შორის საწარმოო საქმიანობის მიმართ, როგორიცაა ნარჩენების გადამამუშავებელი ადგილების ფუნქციონირება, რომელიც თავისი ბუნებით საფრთხის შემცველია.[615]

საქმეზე – *ბრინკატი და სხვები მალტის წინააღმდეგ (Brincat and Others v. Malta)* – სასამართლომ დაადგინა, რომ მალტის მთავრობამ ვერ შეასრულა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება, კერძოდ, მან არ შექმნა საკანონმდებლო ჩარჩო და არ გადადგა პრევენციული ღონისძიებები აზბესტის ზემოქმედებისაგან იმ პირთა დასაცავად, რომლებზეც ეს ნივთიერება ახდენდა გავლენას.[616] სასამართლომ დაადგინა, რომ მალტის მთავრობამ, როგორც მინიმუმ, 1970-იანი წლების დასაწყისიდან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გემთსაშენი ქარხნის მუშებს შეეძლოთ, განეცადათ ზიანი მათზე აზბესტის ზემოქმედების გამო, თუმცა ხელისუფლებას 2003 წლამდე არ გაუტარებია პოზიტიური ღონისძიებები ამ საფრთხის საწინააღმდეგოდ.[617] ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი არსებით ნაწილში.[618]

---

613 58-ე პუნქტი; ასევე იხ. D. Xenos, Asserting the Right to Life (Article 2, ECHR) in the Context of Industry, German Law Journal, Vol. 8, No.3, March 2007, 245-246.

614 101-ე პუნქტი; ასევე იხ. S. Kravchenko, J. E. Bonine, Interpretation of Human Rights for the Protection of the Environment in the European Court of Human Rights, Pacific McGeorge Global Business Development Law Journal, 25, No.1, 2012, 277-278.

615 D. Xenos, Asserting the Right to Life (Article 2, ECHR) in the Context of Industry, German Law Journal, Vol. 8, No.3, March 2007, 236-237.

616 24 ივლისი, 2014 წელი.

617 L.-A. Sicilianos, Preventing Violations of the Right to Life: Positive Obligations Under Article 2 of the ECHR, Cyprus Human Rights Law Review, vol. 3, 2014, 127.

618 117-ე პუნქტი.

4.2.2.5.2. ბუნებრივი კატაკლიზმები

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, გაატაროს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები, ვრცელდება ადამიანის სიცოცხლისათვის ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეულ საფრთხეზე. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა საქმე *ბუდაევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Budayeva and Others v. Russia)*,[619] რომელიც ეხებოდა ხელისუფლების არასათანადო რეაგირებას მეწყრის ჩამოწოლის საფრთხეზე. მეწყრის ჩამოწოლა კი რუსეთის ერთ-ერთ რეგიონში ხდებოდა თითქმის ყოველწლიურად, 1937 წლიდან დაწყებული.[620] მართალია, მეწყრის ჩამოწოლა ხშირი ბუნებრივი მოვლენა იყო რუსეთის ამ რეგიონში, მაგრამ 2000 წლის ივლისში ქ. ტირნაუზში ამ მოვლენას ჰქონდა გამანადგურებელი შედეგი, კერძოდ, მეწყრის ჩამოწოლამ გამოიწვია მინიმუმ 8 ადამიანის, მათ შორის ერთ-ერთი მოსარჩელის მეუღლის, გარდაცვალება. მან ვერ დააღწია თავი შენობას, რომელიც მეწყრის ჩამოწოლამ დაანგრია, რამაც გამოიწვია მისი გარდაცვალება. მიუხედავად მეწყრის ჩამოწოლის სიხშირისა, სახელმწიფოს არ გაუტარებია შესაბამისი ღონისძიებები მისი განმეორების თავიდან აცილების მიზნით. ევროპული სასამართლოს წინაშე მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ 2000 წლის ივნისში რუსეთის ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ადგილობრივი მოსახლეობის გაფრთხილება მეწყრის ფართომასშტაბიანი და მოსალოდნელი ჩამოწოლის შესახებ, რომელმაც გაანადგურა ქ. ტირნაუზი და რომ ხელისუფლებამ არ გაატარა სამაშველო ოპერაცია და არ უზრუნველყო საგანგებო სიტუაციის დროს სათანადო ნაბიჯების გადადგმა.[621]

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება, რადგან არ გაატარა სათანადო ღონისძიებები მეწყრის ფართომასშტაბიანი ჩამოწოლის საფრთხის წინააღმდეგ, ვერ უზრუნველყო ადგილობრივი მოსახლეობის გაფრთხილება ასეთი საფრთხის შესახებ, არ შეიმუშავა და განახორციელა საევაკუაციო და საგანგებო ღონისძიებების გეგმა. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.[622]

საქმე – *კოლიადენკო რუსეთის წინააღმდეგ (Kolyadenko v. Russia)* – ეხებოდა 2001 წლის 7 აგვისტოს ქ. ვლადივოსტოკში მომხდარ წყალდიდობას.[623] მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ ხელისუფლებას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა დატბორვის გამო, რაც განაპირობა, გაფრთხილების გარეშე, სახელმწიფოს კუთვნილი რეზერვუარიდან წყლის დიდი მასის გაშვებამ ახლომდებარე მდინარეში, მიუხედავად იმ საფრთხისა, რომელიც ასეთ მოქმედებას შეეძლო გამოეწვია ახლომდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის. მოსარჩელეები, რომლებიც ძლივს გადაურჩნენ სიკვდილს, აცხადებდნენ, რომ მათი სახლები და საკუთრება დაზიანდა წყალდიდობის შედეგად.

ევროპულმა სასამართლომ შეაფასა, შეასრულა თუ არა მოპასუხე სახელმწიფომ კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებები და, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა შემდეგი მიზეზები გამო: პირველ რიგში, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მკა-

---

619 20 მარტი, 2008 წელი.

620 მე-14 პუნქტი.

621 S. Kravchenko, J. E. Bonine, Interpretation of Human Rights for the Protection of the Environment in the European Court of Human Rights, Pacific McGeorge Global Business Development Law Journal, 25, No.1, 2012, 277-280.

622 160-ე პუნქტი. იმავდროულად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში. იხ. 165-ე პუნქტი.

623 28 თებერვალი, 2012 წელი.

ფიო საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩოს დადგენა, რომელიც მისცემდა მას შესაძლებლობას, ეფექტიანად შეეფასებინა რეზერვუარის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საფრთხეები და უზრუნველეყო რეზერვუარის სიახლოვეს ქალაქის დაგეგმარების პოლიტიკის განხორციელება, სათანადო ტექნიკური სტანდარტების დაცვით; მეორე, არ არსებობდა თანმიმდევრული საზედამხედველო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა, რომ პასუხისმგებელ პირებს გადაედგათ ნაბიჯები ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სათანადოდ დასაცავად და, განსაკუთრებით, იმისათვის, რომ მიმდებარე მდინარის არხი ყოფილიყო გაწმენდილი, რათა გამკლავებოდა რეზერვუარიდან წყლის დიდი მასის გაშვებას, ასევე იმისათვის, რომ ადგილზე ეფუნქციონირა განგაშის (გამაფრთხილებელ) სისტემას და რომ მომხდარიყო ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება რეზერვუარის მუშაობასთან დაკავშირებული პოტენციური საფრთხეების შესახებ. და, ბოლოს, ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ არ არსებობდა საკმარისი კოორდინაცია და თანამშრომლობა სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოს შორის, რათა უზრუნველეყოთ, რომ მათთვის ცნობილი საფრთხე არ გამხდარიყო იმდენად დიდი, ადამიანთა სიცოცხლისათვის შეექმნა საფრთხე. მეტიც, ევროპული სასამართლოს აზრით, ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა დატბორვის შემდეგაც, რის გამოც რეზერვუარის სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების სიცოცხლისათვის საფრთხე შენარჩუნდა.[624]

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ შეასრულა სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება, რის გამოც დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.[625]

საქმე *მურილოს სალდიასი ესპანეთის წინააღმდეგ (Murilos Saldias v. Spain)* ეხებოდა 87 ადამიანის გარდაცვალებას, რაც გამოიწვია ბანაკის გასაშლელი ტერიტორიის დატბორვამ ძლიერი წვიმის შედეგად.[626] ამ საქმეზე მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება, გაეტარებინა პრევენციული ღონისძიებები მრავალი ადამიანის გარდაცვალების თავიდან ასაცილებლად. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პირთა გარდაცვალება დატბორვის შედეგად ექცევა კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების სფეროში. მიუხედავად ამისა, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ სარჩელი დაუშვებლად ცნო. ეს მოხდა არა იმიტომ, რომ კონვენციის მე-2 მუხლი არ ვრცელდებოდა სახელმწიფოს ვალდებულებაზე ბუნებრივი კატაკლიზმების მიმართ, არამედ იმიტომ, რომ ერთ-ერთმა მოსარჩელემ უკვე მიიღო სამართლიანი დაკმაყოფილება ეროვნულ დონეზე, ხოლო დანარჩენ მოსარჩელეებს არ ჰქონდათ ამოწურული სამართლებრივი დაცვის საშუალებები.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე განიხილა საქმე *ვივიანი და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Viviani and Others v. Italy)*, რომელიც ეხებოდა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას ვულკან ვეზუვის პოტენციური ამოფრქვევის გამო, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კატასტროფული შედეგი.[627] მოსარჩელეები, რომლებიც ცხოვრობდნენ ვულკანის მიმდებარე მუნიციპალიტეტებში, ამტკიცებდნენ, რომ, ვინაიდან სახელმწიფომ ვერ დააწესა შესაფერისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული

---

624 185-ე პუნქტი.

625 187-ე პუნქტი. ამ საქმეზე ასევე დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში. იხ. 203-ე პუნქტი.

626 გადაწყვეტილება, 28 ნოემბერი, 2006 წელი.

627 16 აპრილი, 2015 წელი. ვეზუვი ერთადერთი ვულკანია ევროპაში, რომელიც ბოლო ასი წლის განმავლობაში აქტიური იყო. ის ახლა მიძინებულია (ბოლო ამოფრქვევა მოხდა 1944 წელს), თუმცა ამოფრქვევის საფრთხე არსებობს ნებისმიერ მომენტში.

ჩარჩო, რომელიც ითვალისწინებს არსებულ საფრთხეებს, მან ვერ უზრუნველყო კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლების დაცვა. მოსარჩელეები ასევე ამტკიცებდნენ, რომ საფრთხეების შესახებ სათანადო ინფორმაციის არარსებობა არღვევდა კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, მათი პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებას. კერძოდ, მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ არ მიღებულა უსაფრთხოების დეტალური გეგმა, რომელიც მიუთითებდა ევაკუაციის მარშრუტებს ინციდენტის შემთხვევაში (ამოფრქვევა ან მიწისძვრა) და რომ არ მოქმედებს განგაშის სისტემა და არ ჩატარებულა რაიმე სიმულაცია. ამის საპასუხოდ, იტალიის მთავრობამ წარადგინა დეტალური ინფორმაცია საგანგებო გეგმის მიღებისა და განახლების შესახებ, ასევე ყველა ღონისძიების შესახებ, რომელიც ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე გატარდა საფრთხეების მართვის მიზნით. ეს ღონისძიებები მოიცავდა ვულკანის მონიტორინგის სისტემას, 2005 წელს ჩატარებულ კვლევასა და სიმულაციას, ისევე როგორც ურბანული მართვის ღონისძიებებს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმე დაუშვებლად ცნო, რისი მიზეზიც იყო ის, რომ მოსარჩელეებმა არ ამოწურეს სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება ეროვნულ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ სარჩელი არ იყო არსებითად განხილული, ნათელია, რომ კონვენციის მე-2 მუხლით დაცული პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება სახელმწიფოს ვალდებულებაზე ისეთი მოვლენის მიმართ, როგორიცაა ვულკანის ამოფრქვევა.

საქმე *მ. ოზელი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (M. Özel and Others v. Turkey)* ეხებოდა თურქეთში 1999 წელს მომხდარი მიწისძვრის კატასტროფულ შედეგებს.[628] მოსარჩელეების ნათესავები მოყვნენ იმ სახლის ნანგრევებში, რომლებშიც ისინი ცხოვრობდნენ.

ევროპული სასამართლოს წინაშე მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ მათ ნათესავებს დაერღვათ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლება. კერძოდ, მოსარჩელეები ასაჩივრებდნენ, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გასცა ხუთი და მეტსართულიანი სახლების მშენებლობის ნებართვა სეისმურად საფრთხის შემცველ რეგიონში, არ მოახდინა შენობების აუცილებელი ინსპექტირება და მათი მშენებლობის თავიდან აცილება.[629]

ევროპული სასამართლოს აზრით, სახელმწიფოს ვალდებულება მიწისძვრით გამოწვეული ზიანის თავიდან აცილების კუთხით, კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული არსებითი ვალდებულებიდან გამომდინარე, ძირითადად მოიცავს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც მიმართულია კატასტროფის მასშტაბის შემცირებისაკენ, განსაკუთრებით ქალაქის განაშენიანების დაგეგმარებისა და მისი კონტროლის უზრუნველყოფისაკენ. სასამართლოს აზრით, ხელისუფლებამ იცოდა განადგურებულ რეგიონში მიწისძვრის საფრთხის შესახებ. მიუხედავად ამისა, მიწისძვრამ მოახდინა კატასტროფული გავლენა ადამიანის სიცოცხლეზე, კერძოდ, უსაფრთხოებისა და მშენებლობის სტანდარტების დაუცველობამ გამოიწვია შენობების ნგრევა შესაბამის ზონებში. ადგილობრივმა ორგანოებმა, რომელთა როლი იყო ამ მშენებლობების მონიტორინგი და ინსპექტირება, ვერ შეასრულა მათზე დაკისრებული ვალდებულება.

მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის ეს ნაწილი ევროპულ სასამართლოს წარედგინა დადგენილი ვადის დარღვევით, რადგან გასული

---

628 17 ნოემბერი, 2015 წელი. ოფიციალური მონაცემებით, მიწისძვრის შედეგად გარდაიცვალა 17.480 და დაზარალდა 43.953 ადამიანი.

629 მოსარჩელეები ასევე ამტკიცებდნენ კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლების, ასევე პირველი ოქმის 1-ელი მუხლის დარღვევას.

იყო ექვს თვეზე მეტი დრო ეროვნულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებიდან, რის გამოც საქმე დაუშვებლად ცნო ამ ნაწილში.[630]

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ნათელყო, რომ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება მოიცავს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც მიმართულია სიცოცხლის უფლების დაცვისაკენ მიწისძვრის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი და, ზოგადად, ევროპული კონვენცია არ შეიცავს დებულებას, რომელიც აწესრიგებს გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებს, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი ვრცელდება ამ საკითხებზე და დაადგინა, რომ სახელმწიფომ უნდა შეასრულოს ადამიანის უფლებათა დაცვის პოზიტიური ვალდებულება გარემოსთან, მათ შორის ბუნებრივ კატაკლიზმებთან, მიმართებით.[631] კონვენციის მე-2 მუხლის ასეთი განმარტება მართებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან, მიუხედავად იმისა, რა წყარო ქმნის საფრთხეს სიცოცხლისათვის, სახელმწიფომ უნდა გაატაროს სათანადო ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება სიცოცხლის უფლების დაცვისაკენ.

კონვენციის მე-2 მუხლის განმარტება გარემოსთან მიმართებით განაპირობა იმ დიდმა გავლენამ, რომელსაც გარემო ახდენს ადამიანზე. გარემოს დაბინძურება უზარმაზარ გავლენას რომ ახდენს ადამიანზე, ეს დადასტურდა „გარემოსა და ჯანმრთელობის ლანცეტის კომისიის“ ანგარიშით, რომლის მიხედვით: „დაბინძურებით გამოწვეულმა ავადმყოფობამ განაპირობა დაახლოებით 9 მილიონი ადამიანის ნაადრევი სიკვდილი მსოფლიო მასშტაბით 2015-2016 წლებში – სამჯერ მეტით, ვიდრე შიდსით, ტუბერკულოზითა და მალარიით ერთად აღებული, და 15-ჯერ მეტით, ვიდრე ყველა ომითა და ძალადობის სხვა ფორმით.“[632] ამავე ანგარიშის მიხედვით, „აგრესიული ჩარევის გარეშე, ჰაერში დასაშვებზე მეტი დაბინძურების გამო, 2050 წლისათვის გარდაცვალების რაოდენობა გაიზრდება 50%-ით.“[633]

მართალია, გარემო ახდენს გავლენას სიცოცხლის უფლებაზე, ამჟამად ევროპული სასამართლო არ იჩენს სამართლებრივ აქტივიზმს კონვენციის მე-2 მუხლის (ისევე როგორც სხვა მუხლების) ფართო განმარტების მიმართ. მიუხედავად ამისა, გარემოს დაცვა იძენს სულ უფრო დიდ მნიშვნელობას და ამიტომ შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ევროპული სასამართლო ფეხს აუწყობს გარემოს მზარდ გავლენას ადამიანის სიცოცხლეზე და კონვენციის მე-2 მუხლს მომავალში უფრო ფართოდ განმარტავს სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით.[634]

---

630 178-ე პუნქტი.

631 *ფრედინი შვედეთის წინააღმდეგ (No.1) (Fredin v. Sweden (No 1.),* 18 თებერვალი, 1991 წელი, 48-ე პუნქტი. ასევე იხ. O. W. Pedersen, The European Court of Human Rights and International Environmental Law, in: The Human Right to a Healthy Environment, J. H. Knox and R. Pejan (eds), 2018, 86. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, კონვენციის არა მხოლოდ მე-2, არამედ მე-8 მუხლიც ვრცელდება გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე.

632 Executive Summary, Lancet Report, p. 1. See: [https://www.thelancet.com/journals/lancet/article/PIIS0140-6736(17)32345-0/fulltext].

633 იქვე, Lancet Report, p. 4. ასევე იხ. E. Imparato, The Right to Life Passes Through the Right to a Healthy Environment: Jurisprudence in Comparison, Widener Law Review 22, No.1, 2016 133.

634 B. Dickson, Positive Obligations and the European Court of Human Rights, Northern Ireland Legal Quarterly, 61, No. 3, 2010, 206.

4.2.2.5.3. უბედური შემთხვევები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება მოიცავს პირის დაცვას უბედური შემთხვევისაგან, რომლის შედეგად მის სიცოცხლეს შეიძლება დაემუქროს საფრთხე.[635] ამიტომ სახელმწიფომ უნდა გაატაროს ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება პირის დაცვისაკენ უბედური შემთხვევისაგან.

უბედური შემთხვევა შეიძლება გამოიწვიოს მრავალმა საქმიანობამ და ყველა ასეთი საქმიანობის ჩამოთვლა, მით უფრო ამომწურავად, რთული და, ალბათ, შეუძლებელიცაა. სახელმწიფომ თავად უნდა მოახდინოს ისეთ საქმიანობათა იდენტიფიცირება, რომელთან დაკავშირებითაც შეიძლება მოხდეს უბედური შემთხვევა. მან უნდა დაადგინოს უბედური შემთხვევების თავიდან აცილებისაკენ მიმართული რეგულაციები და უზრუნველყოს მათი შესრულება პრაქტიკაში.

ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში არაერთი საკითხი განიხილა, რომელიც ეხებოდა უბედური შემთხვევის შედეგად პირის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნას და იმსჯელა იმაზე, შეასრულა თუ არა სახელმწიფომ თავისი პოზიტიური ვალდებულება. რამდენიმე მაგალითის მიმოხილვაც კი ნათელს ჰფენს იმ საქმიანობათა მრავალფეროვნებას, რომელთა მიმართ სახელმწიფომ უნდა შეასრულოს პოზიტიური ვალდებულებები სიცოცხლის უფლების დასაცავად უბედური შემთხვევებისაგან.

ა) უსაფრთხოება სკოლაში

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ სასკოლო დაწესებულებებმა დაიცვან მოსწავლეთა სიცოცხლე უბედური შემთხვევებისაგან. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქმე *ილბეი ქემალოღლუ და მერიე ქემალოღლუ თურქეთის წინააღმდეგ (İlbeyi Kemaloglu and Meriye Kemaloglu v. Turkey)*.[636] საქმის გარემოებების მიხედვით, მოსალოდნელი ქარბუქის გამო იმ დღეს სკოლის გაკვეთილები დასრულდა ჩვეულებრივზე ადრე. სკოლის ნაადრევად დასრულების შესახებ მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური არ იყო ინფორმირებული, რის გამოც მან ვერ უზრუნველყო ბავშვების ტრანსპორტირება სკოლიდან, ამიტომ მოსარჩელეთა 7 წლის შვილს მოუხდა ფეხით დაბრუნება სახლში, რომელიც სკოლიდან 4 კილომეტრით იყო დაშორებული. იმავე დღეს, როდესაც მოსწავლე არ დაბრუნდა სკოლიდან, მშობლებმა შეატყობინეს პოლიციას ბავშვის დაკარგვის შესახებ. დაკარგვიდან მომდევნო დღეს ბავშვი იპოვეს მდინარესთან გაყინული.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სკოლის ადრე დახურვის შესახებ მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის ინფორმირების უგულებელყოფით თურქეთის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც შეძლებდა ბავშვის სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან აცილებას. ყოველივე ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა. ევროპული სასამართლოს აზრით, არ იქნებოდა არაგონივრული, რომ სკოლის ადმინისტრაციას გაეტარებინა საბაზისო პრევენციული ღონისძიებები მოსწავლის სიცოცხლისათვის სავარაუდო საფრთხის მინიმუმამდე შესამცირებლად.[637] ამისათვის სახელმწიფომ ან/

---

635 M. O'Boyle, Duty to Carry out an Effective Investigation under Article 2 of the ECHR, in: El Tribunal Europeo de Derechos Humanos: Una vision desde dentro, En homenaje al Juez Josep Casadevall, 2015, 216-217.

636 10 აპრილი, 2012 წელი.

637 41-ე მუხლი.

და სკოლამ უნდა შექმნას ისეთი სისტემა, რომელიც აკრძალავს ბავშვების სკოლიდან დათხოვნას უკიდურესად ცუდი ამინდის პირობებში, რათა თავიდან იქნეს აცილებული საფრთხე მოსწავლეების სიცოცხლისათვის.

საქმე *დერენიკ მკრტჩიანი და გაიანე მკრტიჩიანი სომხეთის წინააღმდეგ (Derenik Mkrtchyan and Gayana Mkrtchyan v. Armenia)* ეხებოდა საჯარო სკოლაში მოსწავლეების ჩხუბის შედეგად ერთ-ერთი მოსწავლის გარდაცვალებას.[638] ამ საქმეზე მოსარჩელეები იყვნენ საჯარო სკოლის 10 წლის მოსწავლის, დერენიკ გ.-ს ბაბუა და დედა. მოსწავლე გარდაიცვალა მის ორ თანაკლასელთან ჩხუბის შედეგად იმ დროს, როდესაც კლასის დამრიგებელი არ იმყოფებოდა საკლასო ოთახში. შემთხვევის დროს სკოლაში არ იმყოფებოდა სკოლის სამედიცინო პერსონალი. მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ დერენიკ გ. გარდაიცვალა იმის გამო, რომ სკოლის ადმინისტრაციამ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება, დაეცვა მისი სიცოცხლე მაშინ, როდესაც მოსწავლე იმყოფებოდა სკოლის ზედამხედველობის ქვეშ და რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო საქმის ეფექტიანი გამოძიება.

როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, დერენიკ გ.-ს გარდაცვალების მიზეზი იყო ეპილეფსიური შეტევით გამოწვეული მწვავე რესპირატორული უკმარისობა და გულის დისფუნქცია, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეული იყო მისი ცემითა და ფსიქოლოგიური და ემოციური მდგომარეობით. მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რომ სკოლის ადმინისტრაცია არ იყო ინფორმირებული დერენიკ გ.-ს ჯანმრთელობის პრობლემის, კერძოდ, გონების დაკარგვის შესახებ. შესაბამისად, მშობლებს არ მიუმართავთ სკოლის ადმინისტრაციისათვის, რომ განსაკუთრებული ყურადღება გამოეჩინათ დერენიკ გ.-ს მიმართ.

ევროპულ სასამართლოს, *ოსმანის* საქმეზე დადგენილი ტესტის საფუძველზე, უნდა შეეფასებინა საქმის გარემოებები, კერძოდ, იცოდა კლასის დამრიგებელმა, ან უნდა სცოდნოდა თუ არა მას, რომ დერენიკ გ.-ს სიცოცხლისათვის შეიქმნებოდა საფრთხე მისი (დამრიგებლის) კლასში არყოფნის დროს, რის გამოც მას უნდა გადაედგა საჭირო ნაბიჯები მოსწავლის სიცოცხლის დასაცავად. ევროპული სასამართლოს აზრით, მართალია, ძირითადად, საგანმანათლებლო დაწესებულება იყო ვალდებული, ზედამხედველობა გაეწია მოსწავლეებისათვის სკოლაში ყოფნის განმავლობაში, პედაგოგიური პერსონალის წევრების მიმართ არ შეიძლება არსებობდეს იმის მოლოდინი, რომ ისინი უზრუნველყოფენ თითოეული მოსწავლის მუდმივ ზედამხედველობას, რათა დაუყოვნებლივ მოხდეს რეაგირება ნებისმიერ არაპროგნოზირებად ქცევაზე. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ის აცნობიერებს როგორც საფრთხეების მრავალფეროვნებას, რომელთა წინაშეც მოსწავლეები შეიძლება აღმოჩნდნენ, ისე სკოლის ადმინისტრაციის უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას, გაატარონ საზედამხედველო ღონისძიებები, რათა უზრუნველყონ მოსწავლეთა უსაფრთხოება და დაიცვან ისინი ძალადობის ყველა ფორმისაგან, რომლის წინაშეც შეიძლება აღმოჩნდნენ ზედამხედველობის პერიოდში. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა: არაფერი მიუთითებდა, რომ: ა) შემთხვევის დღეს არსებობდა რაიმე ფაქტორი, რომელიც საჭიროებდა განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენას ან ღონისძიების გატარებას დამრიგებლის მხრიდან, რადგან მისთვის არ იყო ცნობილი დერენიკ გ.-ს განსაკუთრებული მოწყვლადობის შესახებ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო; და ბ) კლასში მოსწავლეებს შორის იყო მომხდარი ძალადობა. აქედან გამომდინარე, სასამართლოს აზრით, დამრიგებლის მიერ საკლასო ოთახის დატოვების გამო არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ

638 30 ნოემბერი, 2021 წელი.

მან საფრთხის ქვეშ დააყენა დერენიკ გ.-ს უსაფრთხოება, რამაც გამოიწვია სკოლის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობა კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე.[639]

ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ, ვინაიდან არ დადგინდა, სკოლის ადმინისტრაციამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა დერენიკ გ.-ს სიცოცხლისათვის რეალური და მყისიერი საფრთხის არსებობის შესახებ, მან აღარ ჩათვალა საჭიროდ ოსმანის ტესტის მეორე ნაწილის შეფასება, კერძოდ, გაატარა თუ არა სახელმწიფომ ღონისძიებები, რომლებიც გონივრული იქნებოდა შექმნილ სიტუაციაში. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს არ დაურღვევია კონვენციის მე-2 მუხლი არსებით ნაწილში.[640]

მართალია, ამ საქმეზე ევროპულ სასამართლოს არ დაუდგენია კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, მაგრამ შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ, თუ სკოლას ეცოდინებოდა მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მას ასევე დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა, გაეტარებინა დამატებითი ღონისძიებები, რათა თავიდან აეცილებინა საფრთხე მოსწავლის სიცოცხლისათვის.[641]

საქმე *კაიაკი თურქეთის წინააღმდეგ (Kayak v. Turkey)* ეხებოდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას სკოლის წინ მოსწავლის დანით დაჭრისათვის, რომლის შედეგად იგი გარდაიცვალა.[642] მოსარჩელეები იყვნენ დედა და ძმა 15 წლის სედატ კაიაკისა, რომელიც 2002 წლის სექტემბერში 18 წლის მოსწავლემ (E.G.) თავისი სკოლის წინ დაჭრა. სედატ კაიაკი თავის მეგობრებთან ერთად მივიდა იმ სკოლასთან, რომელშიც სწავლობდა E.G., სადაც მოუვიდათ შელაპარაკება სკოლის ეზოში. ამ დაპირისპირების შედეგად სკოლიდან 150 მეტრში E.G.-მ დაჭრა სედატ კაიაკი პურის საჭრელი დანით, რომელიც მან მოიპარა სკოლის სასადილოდან. 2005 წლის ოქტომბერში E.G.-ს მიუსაჯეს უვადო პატიმრობა, რომელიც მოგვიანებით შეუმცირდა ექვს წლითა და რვა თვით პატიმრობით. მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ სედატ კაიაკი გარდაიცვალა გაუფრთხილებლობით სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან.

სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ სკოლის ადმინისტრაციას უნდა შეესრულებინა მნიშვნელოვანი როლი მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დასაცავად, მათი ასაკის განსაკუთრებული მოწყვლადობის გათვალისწინებით, და მას ეკისრებოდა ვალდებულება, დაეცვა ისინი ძალადობის ნებისმიერი ფორმისაგან, რომლის ობიექტები შეიძლება გამხდარიყვნენ სკოლის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნისას. მართალია, პედაგოგიური პერსონალისაგან არ უნდა არსებობდეს მოლოდინი, რომ ისინი ყოველთვის თვალყურს ადევნებენ თითოეულ მოსწავლეს, მაგრამ გადაადგილება სკოლის შიგნით და მის გარეთ საჭიროებს გაძლიერებულ ზედამხედველობას. ამ ვითარებაში სკოლის მოსწავლეების ჯგუფს, სედატ კაიაკის ჩათვლით, მოუვიდა შელაპარაკება E.G.-სთან იმ სკოლის ეზოში, რომელშიც ისინი მისულნი იყვნენ, და E.G.-მ მოახერხა, ისე, რომ არავინ შეაჩერა, დანის აღება სკოლის სასადილოდან, რომელიც გამოიყენა მსხვერპლის დასაჭრელად. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სკოლის დირექტორმა დააკისრა მასწავლებლებს საზედამხედველო ვალდებულებები (განსაკუთრებით სასადილოში საკვების მიღების დროს, საერთო საცხოვრებელსა და ეზოში), მაგრამ არასაკმარისი პერსონალის გამო სკოლა ხანდახან სთხოვდა მოსწავლეებს ამ დავალების შესრულებას.

---

639 59-ე პუნქტი.

640 61-ე პუნქტი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა საპროცესო ვალდებულების დარღვევა.

641 მე-60 პუნქტი.

642 10 ივლისი, 2012 წელი.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება, უზრუნველეყო სკოლის მიმდებარე ტერიტორიის ზედამხედველობა და, აქედან გამომდინარე, დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.

ბ) სამშენებლო საქმიანობის უსაფრთხოება

საქმე *ჩევრიოღლუ თურქეთის წინააღმდეგ (Cevrioglu v. Turkey)* ეხებოდა სამშენებლო საქმიანობის უსაფრთხოებას.[643] ამ საქმეში მოსარჩელის 10 წლის შვილი (თავის მეგობართან ერთად) დაიხრჩო სამშენებლო ტერიტორიაზე (სადაც ისინი თამაშობდნენ) განთავსებულ წყლით სავსე ორმოში. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება. ამ შემთხვევას არ მოჰყოლია სათანადო სამართლებრივი რეაგირება ეროვნული სასამართლოების მიერ.

როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს ვალდებულება არ შემოიფარგლება საზოგადოებრივ ადგილებში პირთა უსაფრთხოების დაცვისაკენ მიმართული რეგულაციების მიღებით, არამედ ასევე მოიცავს ვალდებულებას, უზრუნველყოს ამ მარეგულირებელი ჩარჩოს ეფექტიანი აღსრულება.[644] სასამართლოს პოზიციით, უსაფრთხოების ღონისძიებებით გათვალისწინებული დაცვა იქნება მოჩვენებითი, თუ არ იარსებებს მის შესრულებაზე ზედამხედველობის ადეკვატური მექანიზმი.[645] სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ სამშენებლო ტერიტორიებზე წარმოებული საქმიანობა განეკუთვნება ისეთ საქმიანობას, რომელიც წარმოშობს საფრთხეს ადამიანის სიცოცხლისათვის და ამიტომ მოითხოვს, რომ სახელმწიფომ გაატაროს გონივრული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს პირთა უსაფრთხოებას.[646]

სასამართლოს აზრით, უსაფრთხოების აუცილებელი ღონისძიებების გაუტარებლობის პირობებში, სამშენებლო ტერიტორიები, განსაკუთრებით კი, საცხოვრებელ ზონაში, ხდება უბედური შემთხვევის პოტენციური საფრთხე, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს არა მხოლოდ პროფესიონალ მშენებლებზე, რომლებისათვისაც უკეთ არის ცნობილი შესაძლო საფრთხეები, არამედ ასევე საზოგადოების წევრებზე, ისეთი მოწყვლადი ჯგუფების ჩათვლით, როგორებიცაა ბავშვები, რომლებიც იოლად შეიძლება აღმოჩნდნენ ასეთი საფრთხის წინაშე.[647] ამიტომ, ზოგიერთ სხვა საქმიანობათა მიმართ არსებული მდგომარეობისაგან განსხვავებით, რომელშიც მკაცრი საზედამხედველო მექანიზმის არარსებობამ შეიძლება არ შექმნას პრობლემა, მათი ბუნებისა და შეზღუდული ხასიათის გამო, ამ საქმეში მოპასუხე სახელმწიფოს ეკისრებოდა უფრო დიდი პასუხისმგებლობა საზოგადოების წევრების მიმართ, რომლებიც ცხოვრობდნენ იმ რეალურ საფრთხესთან ახლოს, სამშენებლო სამუშაოს შესრულებამ რომ შექმნა.

ამავე საქმეში ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების შესრულების საშუალებებზე და აღნიშნა, რომ ასეთი საშუალებების შერჩევა ექცევა სახელმწიფოთა თავისუფალი შეფასების ფარგლებში. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ „კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შესრულების მრავალი გზა არსებობს და მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფო არ გაატარებს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ

643 4 ოქტომბერი, 2016 წელი.
644 62-ე პუნქტი.
645 იქვე.
646 57-ე პუნქტი.
647 67-ე პუნქტი.

ერთ კონკრეტულ ღონისძიებას, მას მაინც შეუძლია შეასრულოს თავისი პოზიტიური ვალდებულება სხვა საშუალებით.“[648]

მიუხედავად სახელმწიფოს პოზიციისა, რომელიც ამტკიცებდა, რომ უბედური შემთხვევა არ იყო განჭვრეტადი, ვინაიდან სამშენებლო სამუშაოები დაიწყო მცირე ხნით ადრე უბედურ შემთხვევამდე, ევროპულმა სასამართლომ არ ჩათვალა არაგონივრულად სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დადგენა, რადგან მან ვერ შეძლო ზედამხედველობის განხორციელება, ვინაიდან ორმო არსებობდა მინიმუმ ორიდან რვა კვირამდე ადრე უბედურ შემთხვევამდე და რომ მუნიციპალიტეტი მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების შესახებ პირველივე დღიდან იყო საქმის კურსში.[649] იქვე სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, მას არ შეუძლია იმით სპეკულირება, რომ სამშენებლო ტერიტორიის სათანადო ინსპექტირება მოახდენდა უბედური შემთხვევის თავიდან აცილებას, ასეთი ინსპექტირება აიძულებდა მის მეპატრონეს, მოეხდინა ტერიტორიის იზოლირება და გაეტარებინა უსაფრთხოების ღონისძიებები ორმოს გარშემო, რაც უზრუნველყოფდა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებას. ვინაიდან არ არსებობდა ინსპექტირების სათანადო მექანიზმი, რომელიც ეფექტიანად განხორციელდებოდა სახელმწიფოს მიერ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.[650]

საქმე *ბანელი ლიტვის წინააღმდეგ (Banel v. Lithuania)* ეხებოდა მიტოვებული შენობის აივნის ნაწილის ჩამონგრევას, რომელიც ეზოში მყოფ 13 წლის მოზარდს თავზე დაეცა და რომლის შედეგადაც იგი გარდაიცვალა.[651]

ეროვნულ დონეზე ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ქალაქის მუნიციპალიტეტმა იცოდა, რომ შენობა იყო სავალალო მდგომარეობაში. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტში ჩატარებული ადმინისტრაციული ცვლილებების შედეგად, რომლებიც ითვალისწინებდა უფლებებისა და მოვალეობების გადანაწილებას, გაურკვეველი იყო, მუნიციპალიტეტის რომელ სამსახურს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა მიტოვებულ შენობებზე. ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ სახელმწიფოს ეკისრებოდა პოზიტიური ვალდებულება, დაეწესებინა რეგულაციები საზოგადოებრივ სივრცეში პირთა უსაფრთხოების დაცვის შესახებ და უზრუნველეყო ამ რეგულაციების ეფექტიანი შესრულება.[652]

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებობდა ქალაქის შენობების, მათ შორის მუნიციპალურ მიწაზე განთავსებული მიტოვებული შენობების, მოვლისა და შენახვის სამართლებრივი ჩარჩო. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ ტრაგიკულ შემთხვევამდე მუნიციპალიტეტისათვის ცნობილი იყო მიტოვებული შენობის არსებობის შესახებ, მაგრამ არ შეუსრულებია თავისი მოვალეობა, ეზრუნა მასზე, მიუხედავად იმისა, სამართლებრივად ვალდებული იყო, ეს გაეკეთებინა. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ ვილნიუსის მუნიციპალიტეტში არ იყო განსაზღვრული, ადმინისტრაციულად ვის ეკისრებოდა ამაზე პასუხისმგებლობა.

ევროპული სასამართლოს პოზიციით, მუნიციპალიტეტში მიმდინარე ადმინისტრაციული რეფორმა ვერ გაამართლებს სახელმწიფოს უმოქმედობას. მიუხედავად იმისა,

---

648 55-ე პუნქტი.

649 68-ე პუნქტი.

650 72-ე პუნქტი.

651 18 ივნისი, 2013 წელი.

652 68-ე პუნქტი; ასევე იხ. *კოჩესკი „იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის“ წინააღმდეგ (Koceski v. “the Former Yougoslav Republic of Macedonia”)*, გადაწყვეტილება, 22 ოქტომბერი, 2013 წელი, 21-ე პუნქტი.

პროკურატურამ, რომელიც იძიებდა საქმეს, ვერ დაადგინა, ვინ იყო პასუხისმგებელი შენობის შემოწმებაზე. რადგან შენობის მფლობელის ვინაობა ბუნდოვანი იყო, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს არ ამართლებს იმას, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ შეძლო ეფექტიანი ღონისძიებების გატარება საფრთხის თავიდან ასაცილებლად. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც მიმართული იყო საზოგადოებრივ ადგილებში პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ, ეფექტიანად არ სრულდებოდა.[653] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.[654]

გ) სამხედრო საქმიანობის უსაფრთხოება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს სიცოცხლის უფლების დაცვა სამხედრო საქმიანობასთან მიმართებით. კერძოდ, სახელმწიფომ უნდა გაატაროს ღონისძიებები სამხედრო სფეროში არსებული სხვადასხვა საფრთხისაგან სიცოცხლის დასაცავად, მათ შორის: ღონისძიებები ნაღმის აფეთქებით ან სამხედრო წვრთნებით გამოწვეული საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოს დააკისრა პასუხისმგებლობა ნაღმის აფეთქების შედეგად სიცოცხლის მოსპობის გამო. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე *ალბეკოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Albekov and Others v. Russia)*, რომელიც ეხებოდა ჩეჩნეთში სამი ადამიანის ნაღმზე აფეთქებას.[655] ამ საქმეში მოსარჩელეები იყვნენ რუსეთის სამი მოქალაქე, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩეჩნეთის რესპუბლიკაში. პირველი მოსარჩელე იყო ვახაზი ალბეკოვის ძმა, მეორე მოსარჩელე – ხასაინ მინკაილოვის ძმა, ხოლო მესამე მოსარჩელე იყო ნოხა უსპანოვის დედა. 2000 წლის ოქტომბერში სოფელ ახინჩუ-ბარზოის მახლობლად, ტყეში, დამონტაჟებული ნაღმების აფეთქების შედეგად მოსარჩელეების ოჯახის წევრები (ვახაზი ალბეკოვი და ხასაინ მინკაილოვი) დაიღუპნენ, ხოლო ერთ-ერთმა (ნოხა უსპანოვმა) მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება, რომლის შედეგადაც მას მოკვეთეს ფეხი და ხელის ორი თითი.[656] მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ ნაღმები დაამონტაჟეს სამხედრო პირებმა, თუმცა მთავრობის წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ ისინი დაამონტაჟეს უკანონო შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა.[657]

მოსარჩელეები ასევე მიუთითებდნენ, რომ ადგილობრივი ადმინისტრაციის უფროსი და მაცხოვრებლები ამტკიცებდნენ, რომ 2000 წლის მარტიდან მოხდა ადამიანებისა და საქონლის ნაღმზე აფეთქების რამდენიმე შემთხვევა. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მტკიცებით, მან მოსთხოვა სამხედროებს ნაღმების გაუვნებელყოფა იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ადგილობრივი მაცხოვრებლები იყენებდნენ, რაც არ მომხდარა. ამასობაში კი, უბედური შემთხვევები გრძელდებოდა.[658]

---

653 69-ე პუნქტი.

654 73-ე პუნქტი; ასევე იხ. *პერეირა ჰენრიკესი ლუქსემბურგის წინააღმდეგ (Pereira Henriques v. Luxembourg)*, 9 მაისი, 2006 წელი; ასევე იხ. *ზინატულინი რუსეთის წინააღმდეგ (Zinatullin v. Russia)*, რომელიც ეხება სკოლის მოსწავლის მიერ თავის ქალის მძიმე დაზიანებას სკოლასთან მდებარე დაუსრულებელ შენობაში გაკეთებულ თხრილში ჩავარდნის გამო. 28 იანვარი, 2020 წელი.

655 9 ოქტომბერი, 2008 წელი.

656 22-ე პუნქტი.

657 მე-10 პუნქტი.

658 მე-11 პუნქტი.

რუსეთის მთავრობის პოზიციით, ახინჩუ-ბარზოის მოსახლეობას რეგულარულად აფრთხილებდნენ, რომ უკანონო სამხედრო დაჯგუფებებმა ტყეში დაამონტაჟეს ნაღმები. მთავრობის ინფორმაციით, სამხედრო ნაწილის გარშემო დანაღმულ ტერიტორიაზე განთავსებული იყო გამაფრთხილებელი ნიშნები.[659] თავის მხრივ, მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფოს უნდა დაკისრებოდა პასუხისმგებლობა მათი ნათესავების გარდაცვალებისათვის, ისევე როგორც იმისათვის, რომ მან ვერ ჩაატარა საქმის ეფექტიანი გამოძიება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ საქმესთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეების პოზიცია განსხვავებულია იმასთან დაკავშირებით, ვინ დაამონტაჟა ნაღმები ახინჩუ-ბარზოის მიმდებარე ტყეში, რადგან არცერთ მხარეს არ წარმოუდგენია საკმარისი მტკიცებულებები იმის დასტურად, ვინ დაამონტაჟა ისინი. სასამართლომ მიუთითა, რომ არ თვლის საჭიროდ, დაადგინოს, ვინ დაამონტაჟა ნაღმები, რადგან სახელმწიფო არ უარყოფს, რომ მან იცოდა, ნაღმები განთავსებული იყო ამ ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფოს ეკისრებოდა პოზიტიური ვალდებულება, დაეცვა ადგილობრივი მოსახლეობა შესაბამისი საფრთხისაგან.[660] შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ მას უნდა დაედგინა, გაატარა თუ არა სახელმწიფომ ყველა საჭირო ღონისძიება მოსარჩელეთა ნათესავებისა და სოფლის სხვა მაცხოვრებლების დასაცავად, რათა ისინი არ აღმოჩენილიყვნენ იმ საფრთხის წინაშე, რომლებსაც ქმნიდა ნაღმები.[661]

სასამართლომ დაადგინა, რომ, როდესაც სამხედრო ნაწილის მოსამსახურე აღმოაჩენდა ნაღმს, ადგილზე ხდებოდა მისი გაუვნებელყოფა, თუმცა სახელმწიფოს არ წარუდგენია სასამართლოსათვის ინფორმაცია შესაბამის ტერიტორიაზე ნაღმების აღმოჩენისა და გაუვნებელყოფისათვის გამოჩენილი რაიმე ორგანიზებული ძალისხმევის შესახებ. სასამართლოს აზრით, გამნაღმველების მიერ დროდადრო აღმოჩენილი ნაღმების გაუვნებელყოფა არ ათავისუფლებს სახელმწიფოს კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულებისაგან.[662]

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ნაღმების აღმოჩენისა და გაუვნებელყოფისათვის ძალისხმევის არარსებობის შემთხვევაში, სახელმწიფოს შეუძლია, შეასრულოს კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე თავისი პოზიტიური ვალდებულება შესაბამის ტერიტორიაზე გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსებითა და ამ ტერიტორიის იზოლირებით, ასევე მაცხოვრებელთა ყოველმხრივი გაფრთხილებით ნაღმების ადგილმდებარეობისა და შესაბამისი საფრთხეების შესახებ, რათა თავიდან იქნეს აცილებული ვინმეს იქ თავისუფლად შესვლა,.[663]

საქმე *პაშა და ერკან ეროლი თურქეთის წინააღმდეგ (Paşa and Erkan Erol v. Turkey)* ეხებოდა მოსარჩელის 9 წლის შვილის, რომელიც ცხვრებს აძოვებდა, სოფელთან ახლოს ადგილობრივი ჟანდარმერიის დასაცავად დამონტაჟებულ ნაღმზე აფეთქებას. სასამართლომ დაადგინა, რომ გამაფრთხილებელი ნიშნებისა და ერთმანეთისაგან დიდ მანძილზე დაშორებული მავთულხლართების ორი რიგის განთავსება სოფელთან ახლომდებარე დანაღმულ ტერიტორიაზე, რომელიც, ჩვეულებრივ, საძოვრად გამოიყე-

659 მე-12 პუნქტი.
660 85-ე პუნქტი.
661 86-ე პუნქტი.
662 87-ე პუნქტი.
663 88-ე პუნქტი.

ნებოდა, არ იყო საკმარისი მე-2 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესასრულებლად.[664]

მსგავს გარემოებებს ეხებოდა საქმე *სარიჰანი თურქეთის წინააღმდეგ (Sarihan v. Turkey)*, რომელშიც 12 წლის მეცხვარე აფეთქდა ნაღმზე და მიიღო მძიმე დაზიანებები.[665] მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ აკრძალა მავთულხლართებით შემოფარგლულ, დანაღმულ სამხედრო ტერიტორიაზე შესვლა, განათავსა გამაფრთხილებელი ნიშნები და გააფრთხილა ადგილობრივი მოსახლეობა იქ შესვლასთან დაკავშირებული საფრთხის შესახებ, ახალგაზრდა მეცხვარე გააზრებულად შევიდა ამ ტერიტორიაზე, რასაც მოჰყვა მისი აფეთქება ნაღმზე.

ეროვნულ დონეზე ჩატარებულმა გამოძიებამ დაასკვნა, რომ მეცხვარის მშობლები იყვნენ პასუხისმგებელნი მათი შვილის ნაღმზე აფეთქებაზე. ევროპული სასამართლოს წინაშე მოსარჩელე კი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო შესაფერისი ღონისძიებების გატარება შემთხვევის თავიდან ასაცილებლად და ბავშვის სიცოცხლის დასაცავად.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის გაფრთხილების მიზნით სახელმწიფოს მიერ გამოყენებული საშუალებების გათვალისწინებით, მეცხვარეს უნდა გაეცნობიერებინა აკრძალულ სამხედრო ტერიტორიაზე შესვლის თანმდევი საფრთხეები. შემთხვევის ტრაგიკული ხასიათის მიუხედავად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა საფუძველი, დაედგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ არ შეასრულა კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებები.[666]

საქმეზე – *ალბეკოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Albekov and Others v. Russia)* ევროპულმა სასამართლომ მიუთითა: რუსეთი არ ამტკიცებდა, რომ გამოიჩინა ძალისხმევა, მოეხდინა საფრთხის შემცველი ტერიტორიის იზოლირება. სასამართლოს აზრით, განსხვავებით საქმისაგან – *პაშა და ერკან ეროლი თურქეთის წინააღმდეგ (Paşa and Erkan Erol v. Turkey)*, რუსეთს არ წარმოუდგენია ფოტოები ან რაიმე სხვა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა მის მტკიცებას, რომ დანაღმულ ტერიტორიაზე განთავსებული იყო გამაფრთხილებელი ნიშნები.[667] სასამართლოს პოზიციით, მან რომც დაუშვას, ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა მიიღეს სიტყვიერი გაფრთხილება ტყეში ნაღმების არსებობის შესახებ, ნაღმების ზუსტი ადგილმდებარეობის მითითების გარეშე, ასეთი ზოგადი ინფორმაცია არსებითად ვერ შეამცირებდა ნაღმებთან დაკავშირებულ საფრთხეებს ტყეში, რომელსაც სოფლის მაცხოვრებლები საძოვრად იყენებდნენ.[668]

საბოლოოდ, იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს არ ჰქონდა მცდელობა, აღმოეჩინა ნაღმები და მოეხდინა მათი გაუვნებელყოფა, დანაღმულ ტერიტორიაზე განეთავსებინა გამაფრთხილებელი ნიშნები და დაელუქა ეს ტერიტორია, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული ვინმეს იქ თავისუფლად შესვლა, და უზრუნველეყო მაცხოვრებელთა ყოველმხრივი გაფრთხილება სოფლის მახლობლად ნაღმების არსებობის შესახებ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება.[669]

---

664 89-ე პუნქტი.
665 6 დეკემბერი, 2016 წელი.
666 57-ე პუნქტი.
667 იქვე.
668 იქვე.
669 90-ე პუნქტი.

ბავშვის სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით ასევე საინტერესოა საქმე *ორუკი თურქეთის წინააღმდეგ (Oruk v. Turkey)*, რომელიც ეხებოდა ჭურვის აფეთქების შედეგად ექვსი ბავშვის (მათ შორის მოსარჩელის შვილის) გარდაცვალებას მათ საცხოვრებელ სოფელთან ახლოს მდებარე სამხედრო პოლიგონზე.[670] პოლიგონზე ტარდებოდა სამხედრო წვრთნები, რომელზეც პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო. წვრთნებთან დაკავშირებული საფრთხე ეჭვის ქვეშ არავის დაუყენებია. ადგილობრივი ხელისუფლება სრულად იყო ინფორმირებული ამ წვრთნების შესახებ.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ წვრთნების დროს სამხედრო პოლიგონი არ იყო გარშემორტყმული ღობით ან მავთულხლართებით, ადგილზე არ იყო განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშნები, ხოლო ღობე დაამონტაჟეს მხოლოდ უბედური შემთხვევის შემდეგ.

სასამართლოს აზრით, აუფეთქებელ სამხედრო ჭურვებთან დაკავშირებული საფრთხის გათვალისწინებით, სახელმწიფოს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა, უზრუნველეყო ამ ტერიტორიის უსაფრთხოება და მასზე ზედამხედველობა, რათა არ მომხდარიყო ამ ტერიტორიაზე შესვლა და უზრუნველეყო ამ ჭურვების მოძრაობის საფრთხის მინიმუმამდე შემცირება. შესაბამისად, გამაფრთხილებელი ნიშნები ამ ტერიტორიის სახიფათო ხასიათის შესახებ უნდა ყოფილიყო განთავსებული, რათა მკაფიოდ ყოფილიყო შემოსაზღვრული საშიში ტერიტორიის პერიმეტრი. ასეთი გამაფრთხილებელი ნიშნების არარსებობის შემთხვევაში, სახელმწიფოს უნდა უზრუნველეყო პოლიგონის გაწმენდა აუფეთქებელი ჭურვების გაუვნებელსაყოფად.

ევროპული სასამართლოს აზრით, ის ფაქტი, რომ სოფლის მაცხოვრებლები, სოფლის თავკაცის მეშვეობით, ინფორმირებულნი იყვნენ წვრთნებისა და აუფეთქებელი ჭურვების შესახებ, არ შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად იმისათვის, რათა გამოირიცხოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საწვრთნელ ტერიტორიასთან მცხოვრები ადამიანების მიმართ. ასეთი ინფორმაცია, ნებისმიერ შემთხვევაში, არსებითად არ შეამცირებდა შესაბამის საფრთხეს, რადგან თავად სამხედროებმა არ იცოდნენ ამ ჭურვების ზუსტი ადგილმდებარეობა. სასამართლოს პოზიციით, საფრთხის სერიოზულობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს უნდა უზრუნველეყო, რომ ყველა სამოქალაქო პირი, რომელიც ცხოვრობდა სამხედრო პოლიგონთან ახლოს, ყოფილიყო გაფრთხილებული იმ საფრთხის შესახებ, რომელიც დაკავშირებული იყო აუფეთქებელ ჭურვებთან. სახელმწიფოს განსაკუთრებით უნდა უზრუნველეყო, რომ ბავშვები, რომლებიც უფრო მოწყვლადნი არიან, ვიდრე ზრდასრულები, ინფორმირებულნი ყოფილიყვნენ ასეთ ჭურვებთან დაკავშირებული საფრთხის შესახებ, რომლებითაც მათ შეიძლება ეთამაშათ, იმ ვარაუდით, რომ ისინი უსაფრთხოა.

საბოლოოდ, იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფომ არ გაატარა სათანადო პრევენციული ღონისძიებები სიცოცხლის უფლების დასაცავად, მათ შორის აუფეთქებელი ჭურვების ადგილმდებარეობის დადგენისა და გაუვნებელყოფისათვის, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.

დ) ტექნიკური უსაფრთხოება

საქმე *ვარდოსანიძე საქართველოს წინააღმდეგ (Vardosanidze v. Georgia)* ეხებოდა პირის გარდაცვალებას ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად.[671] კერძოდ, 2007 წლის ივნისში ბუნებრივი აირის გამანაწილებელი კომპანიის („ყაზტრანსგაზი-თბილისი“)

670 4 თებერვალი, 2014 წელი.

671 7 მაისი, 2020 წელი.

ტექნიკოსებმა უსაფრთხოების დაცვის შემოწმების პროცედურის შესრულებისას აღმოაჩინეს, რომ მოსარჩელის ვაჟის ბინაში ბუნებრივ აირზე მომუშავე წყლის გამათბობელი არასწორად იყო დამონტაჟებული, რის გამოც ის გამორთეს, დალუქეს და მაცხოვრებელს მისცეს შესაბამისი მითითებები გამათბობლის სწორად დამონტაჟების შესახებ. 2008 წლის აპრილში მოსარჩელის ვაჟი სახლში გარდაცვლილი იპოვეს. ჩატარებულმა სამედიცინო ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ იგი გარდაიცვალა ნახშიროჟანგით (მხუთავი აირით) მოწამვლის შედეგად. საქმის გამოძიებამ დაადგინა, რომ წყლის გამათბობელი ჩაირთო მოსარჩელის ოჯახის წევრის მიერ, უსაფრთხოების სტანდარტების დარღვევით, რამაც გამოიწვია იქ მყოფი პირის გარდაცვალება.

მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ ვერ დაიცვა მისი შვილის სიცოცხლე ბუნებრივ აირზე მომუშავე მოწყობილობების უსაფრთხო გამოყენების მარეგულირებელი ჩარჩოს არაადეკვატურობის გამო და ვერ უზრუნველყო ზედამხედველობა ამ მოწყობილობების უსაფრთხო გამოყენებაზე. მოსარჩელე ასევე ამტკიცებდა, რომ მისი შვილის გარდაცვალების საქმის გამოძიება არ იყო ეფექტიანი.[672] მოსარჩელისა და მოპასუხე სახელმწიფოს პოზიციები განსხვავდებოდა იმაზე, შეიცავდა თუ არა ეროვნული კანონმდებლობა სიცოცხლის დაცვის შესაფერ გარანტიებს, კერძოდ, რომელი კონკრეტული მარეგულირებელი ნორმები ადგენდა ბუნებრივ აირზე მომუშავე საყოფაცხოვრებო მოწყობილობების გამოყენებასთან დაკავშირებული შემთხვევების თავიდან აცილებას და ვისი პასუხისმგებლობა იყო ამ მარეგულირებელი ნორმების შესრულების უზრუნველყოფა.[673]

ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ არსებობდა სხვადასხვა მარეგულირებელი ნორმა, რომლებიც კრძალავდა წყლის გამაცხელებლის დამონტაჟებას ისეთ სივრცეში, რომელიც არ იყო აღჭურვილი შესაფერისი ვენტილაციის სისტემით.[674] უსაფრთოების ასეთი წესები მიზნად ისახავდა საცხოვრებელ სივრცეში გამონაბოლქვის დაგროვების თავიდან აცილებას მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად, რაც გონივრულად უნდა ჩაითვალოს. ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავდა წესს გაზის გამანაწილებელი კომპანიის მიერ უსაფრთხოების წესების დაცვის შემოწმების სიხშირის შესახებ და მხოლოდ მოგვიანებით დადგინდა ეს ვადები რეგულაციებში შეტანილი ცვლილებებით. ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა წერილობით გაფრთხილებას, რომელიც მაცხოვრებლისათვის უნდა მიეცათ, როდესაც აღმოაჩენდნენ უსაფრთხოების წესების დარღვევას.

ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: მართალია, უსაფრთხოების წესების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ბინაში მცხოვრები პირის წერილობითი ფორმით გაფრთხილების ვალდებულებას და, სავარაუდოდ, სრულად არ იყო დაცული უსაფრთხოების რეგულაციები, არსებობდა ხარვეზები როგორც უსაფრთხოების შემოწმების პერიოდულობის, ისე უსაფრთხოების წესების დარღვევის შესახებ შესაბამისი პირებისთვის ინფორმაციის მიწოდების ფორმის თვალსაზრისით, უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ უსაფრთხოების შესაბამისი წესების დარღვევის ფაქტი, მოსარჩელის ვაჟის გარდაცვალებამდე, აღმოაჩინეს ბუნებრივი აირის გამანაწილებელი კომპანიის წარმომადგენლებმა და, შედეგად,

672 45-ე პუნქტი.

673 58-ე პუნქტი.

674 მე-60 პუნქტი.

გამორთეს წყლის გამათბობელი.[675] მიუხედავად ამისა, ის ხელახლა ჩართო მოსარჩელის ოჯახის წევრმა.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელის ოჯახს მიეცა გაფრთხილება, თუნდაც სიტყვიერი, რომ არ გამოეყენებინათ წყლის გამათბობელი. მათი შემდგომი გადაწყვეტილება წყლის გამათბობლის ბუნებრივ აირთან მიერთების თაობაზე არ იყო გონივრული, განსაკუთრებით თანმდევი საფრთხის თაობაზე ინფორმირებულობის გათვალისწინებით. ევროპული სასამართლოს აზრით, პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ვერ მოხერხდა მოსარჩელის შვილის სიკვდილის თავიდან აცილება, ვერ დაეკისრება სახელმწიფოს. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფომ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება მოსარჩელის შვილთან მიმართებით და, შესაბამისად, მას არ დაურღვევია კონვენციის მე-2 მუხლი.[676]

საქმე *ილია პეტროვი ბულგარეთის წინააღმდეგ (Iliya Petrov v. Bulgaria)* ეხებოდა 8 წლის ასაკში, დენის დარტყმის შედეგად, მოსარჩელის მიერ მიღებულ მძიმე დაზიანებას, რომელიც მოხდა საცხოვრებლის მიმდებარედ განლაგებულ, დაუცველ ელექტროქვესადგურში.[677] მოსარჩელის სხეულში გაიარა 20 000-მა ვოლტმა, რომლის შედეგად იგი ჩავარდა კომაში. მას დასჭირდა თავის ქალის ქსოვილის გადანერგვა და ჰქონდა ტრავმის შემდგომი გართულებები. კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა მიღებული ტრავმის გამო.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს, უზრუნველყოს საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩოს დადგენა, რომელიც მიმართული იქნება სიცოცხლის უფლების დაცვისაკენ. მან აღნიშნა, რომ, ვინაიდან ეს კონკრეტული საქმე ეხება ე.წ. საფრთხის შემცველ საქმიანობას, კანონმდებლობამ უნდა მოაწესრიგოს მისი ლიცენზირება, წარმართვა, განხორციელება, უსაფრთხოება და მასზე ზედამხედველობა და ისინი სავალდებულო უნდა იყოს ყველა შესაბამისი პირისათვის, რათა გატარდეს პრაქტიკული ღონისძიებები მოქალაქეთა ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად, რომელთა სიცოცხლეს შეიძლება საფრთხე დაემუქროს ამ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების გამო.[678] სასამართლოს აზრით, მაღალი ძაბვის ელექტროგამანაწილებელი ქსელის ფუნქციონირება უნდა ჩაითვალოს საქმიანობად, რომელიც დაკავშირებულია მაღალ საფრთხესთან იმ პირებისათვის, რომლებიც, სხვადასხვა მიზეზის გამო, იმყოფებიან ამ დანადგარების სიახლოვეს. აქედან გამომდინარე, კონვენციით დადგენილი პრინციპები ვრცელდება ამ საქმეზე.[679]

ევროპული სასამართლოს აზრით, თუ სახელმწიფო განათავსებს ამ სახის ელექტრო-დანადგარებს, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, მისი პასუხისმგებლობაა, რომ თავიდან აიცილოს ასეთ დანადგარებთან დაკავშირებული საფრთხეები. სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, გააფრთხილოს მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარების შესახებ. შესაბამისად, ამ საქმეზე სასამართლომ უნდა იმსჯელოს, მოპასუხე სახელმწიფომ უზრუნველყო თუ არა ამ საქმიანობის მარეგულირებელი შესაბამისი წესების დადგენა.[680] ეროვნული კანონმდებლობის განხილვის შედეგად ევრო-

675 61-ე პუნქტი.
676 იქვე.
677 24 აპრილი, 2012 წელი.
678 55-ე პუნქტი.
679 56-ე პუნქტი.
680 57-ე პუნქტი.

პულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სივრცე, სადაც განთავსებულია მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარები, უნდა იყოს იზოლირებული და მისი კარები უნდა იყოს დაკეტილი ისე, რომ არაუფლებამოსილმა პირმა ვერ შეძლოს შიგნით შეღწევა. სასამართლოს აზრით, მოპასუხე სახელმწიფოს მარეგულირებელი წესები იყო საკმარისად მკაფიო და მათი დაცვა იყო საკმარისი იმისათვის, რათა უზრუნველეყო მაღალი ძაბვის დანადგარების უსაფრთხოება და პოტენციურად სასიკვდილო შემთხვევების თავიდან აცილება.[681] მიუხედავად ამისა, სასამართლოს აზრით, ამ საქმეში არ იყო დაცული უსაფრთხოების წესები. ამიტომ დაისვა კითხვა, ადგენს თუ არა ეროვნული კანონმდებლობა საკმარისად ეფექტიან საზედამხედველო პროცედურას, რომელიც უზრუნველყოფს ასეთი დანადგარების ტექნიკური უსაფრთხოების წესების ეფექტიან დაცვას? კერძოდ, სასამართლომ განიხილა, უზრუნველყოფს თუ არა შესაბამისი კანონმდებლობა ამ წესების შესრულების რეგულარულ შემოწმებას, რაც იძლევა პრევენციული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას, თუ აღმოჩნდება ხარვეზი, ან ცნობილი გახდება მის შესახებ.[682]

ევროპულმა სასამართლომ აღმოაჩინა, რომ მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარების უსაფრთხოება იყო მისი მეპატრონისა და მომხმარებლის პასუხისმგებლობა და შემთხვევის დროს მოქმედი კანონმდებლობა არ აკისრებდა მათ რაიმე ვალდებულებას, ჩაეტარებინათ დანადგარების რეგულარული შემოწმება. სასამართლომ დაადგინა, რომ მხოლოდ 2004 წელს დადგინდა ამ დანადგარების რეგულარული შემოწმების მოთხოვნა და ეს უფლებამოსილება მიენიჭა ენერგეტიკის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ ორგანოებს.[683]

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს მხრიდან ინტერესის არქონა, უზრუნველეყო მაღალი ძაბვის ელექტროგამანაწილებელი დანადგარების უსაფრთხოება, არ არის თავსებადი სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასთან, გაეტარებინა აუცილებელი ღონისძიებები ასეთი დანადგარების ფუნქციონირებით გამოწვეული ფატალური შემთხვევების საფრთხის შესამცირებლად.[684]

აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მაღალი ძაბვის ელექტროგამანაწილებელი დანადგარების უსაფრთხოების წესების სათანადო აღსრულებაზე ზედამხედველობის სისტემის არარსებობა იყო მომხდარი შემთხვევის განმსაზღვრელი ფაქტორი. აღსანიშნავია, რომ შესაბამისი დანადგარი განთავსებული იყო საბავშვო მოედანთან, საცხოვრებელი ტერიტორიის მიმდებარედ. მაღალი ძაბვის დანადგარის მანიშნებელ აბრას ჟანგი ჰქონდა მოკიდებული და რთული იყო წარწერის გარჩევა, ხოლო სათავსოს კარი რამდენჯერმე შენიშნეს, რომ იყო ღია.[685] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემული გარემოებები იწვევს კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას არსებით ნაწილში.[686]

ტექნიკური უსაფრთხოების კონტექსტში შეიძლება განხილულ იქნეს საქმე *დარაიბუ ხორვატიის წინააღმდეგ (Daraibou v. Croatia).* ეს საქმე ეხებოდა პოლიციის განყოფილების სარდაფში მომხდარ ხანძარს, რომლის შედეგად მოსარჩელემ მიიღო მძიმე დამწვრობა, ხოლო საკანში მყოფი სხვა სამი უკანონო მიგრანტი გარდაიცვალა.[687] ამ საქმეში მოსარჩელე იყო აბდელჟალილ დარაიბუ, მაროკოს მოქალაქე, რომელიც

681 58-ე პუნქტი.
682 59-ე პუნქტი.
683 61-ე პუნქტი.
684 62-ე პუნქტი.
685 63-ე პუნქტი.
686 65-ე პუნქტი.
687 17 იანვარი, 2023 წელი.

სატვირთო მანქანით სერბეთიდან ხორვატიაში უკანონოდ გადავიდა სხვა სამ უკანონო მიგრანტთან ერთად. პოლიციამ ისინი დააკავა და წაიყვანა პოლიციის განყოფილებაში, რომლის სარდაფშიც ისინი მოათავსა, მომდევნო დღეს სერბეთში მათი გაძევების მიზნით. მოგვიანებით საკანში გაჩნდა ხანძარი, რომელიც მალე გავრცელდა. სახელმწიფოს მტკიცებით, ხანძარი გააჩინეს მიგრანტებმა. ხანძრის გაჩენის შემდეგ რამდენიმე პოლიციელი გაეშურა სარდაფისაკენ მიგრანტების გადასარჩენად. მოსარჩელემ მიიღო მძიმე დამწვრობა, ერთ-ერთი მიგრანტი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ორი მიგრანტი გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც ისინი მოგვიანებით გარდაიცვალნენ.

კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მისი სიცოცხლე იყო საფრთხეში და რომ მან მიიღო მძიმე დამწვრობა, რაც გამოწვეული იყო პოლიციის ოფიცრების გულგრილობით მათ მიმართ. იგი ასევე ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო იყო პასუხისმგებელი იმაზე, რომ ვერ შეძლო ხანძრის თავიდან აცილება და ვერ უზრუნველყო ეფექტიანი გამოძიების ჩატარება.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს ვერ ეცოდინებოდა რეალური და მყისიერი საფრთხის არსებობის შესახებ, რომ მოსარჩელე და სხვა თავისუფლებააღკვეთილი პირები შეეცდებოდნენ ხანძრის გაჩენას და საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენებას.[688] ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ პოლიციას უნდა გაეტარებინა გარკვეული საბაზისო პრევენციული ღონისძიებები, რათა მინიმუმამდე დაეყვანა იმ პირების მიმართ უბედური შემთხვევის საფრთხე, რომლებიც იყვნენ დაკავებულნი და, შესაბამისად, იმყოფებოდნენ განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში.[689]

ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე დაადგინა მნიშვნელოვანი ხარვეზები. პირველ რიგში, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ თავისუფლებააღკვეთილ პირებს აღმოაჩნდათ სანთებელა, რომელიც, ეროვნული კანონმდებლობით, უნდა ჩამორთმეოდათ.[690] მართალია, პოლიციის განყოფილებაში იყო დამონტაჟებული ვიდეოკამერა, ის, სავარაუდოდ, არ ფუნქციონირებდა. ასევე ორმა ოფიცერმა, რომლებსაც ეკისრებოდათ მიგრანტებზე ზედამხედველობის ვალდებულება, დატოვეს თავიანთი პოსტი სხვა ვალდებულებების შესასრულებლად.[691] სახელმწიფოს არ გაუმახვილებია ყურადღება მოსარჩელის მტკიცებაზე, რომელიც ეხებოდა უსაფრთხოების მნიშვნელოვან ხარვეზებს პოლიციის განყოფილებაში, როგორებიცაა: სახანძრო-საევაკუაციო გეგმის არარსებობა, ცეცხლსაქრობების არასაკმარისი რაოდენობა და მეხანძრეებისათვის ხანძართან წვდომის უზრუნველყოფის შეუძლებლობა.[692] სასამართლოს პოზიციით, მოსარჩელეთა ყველა მტკიცებაზე პოზიციის გამოსახატავად მას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მიუთითა, რომ პოლიციის განყოფილება და მისი პერსონალი ცუდად იყო მომზადებული, გამკლავებოდა ხანძრის გაჩენას. ამის გამო სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მოსარჩელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საკმარისი და გონივრული დაცვა, რაც არღვევს კონვენციის მე-2 მუხლს.[693]

---

688 87-ე პუნქტი.
689 88-ე პუნქტი.
690 89-ე პუნქტი.
691 90-ე პუნქტი.
692 91-ე პუნქტი.
693 92-ე და 93-ე პუნქტები. ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში.

ე) სატრანსპორტო სისტემის უსაფრთხოება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ ცხადყო: კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება მოითხოვს, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს სატრანსპორტო სისტემის უსაფრთხოება პირის სიცოცხლის დასაცავად.[694] საქმე *კალენდერი თურქეთის წინააღმდეგ (Kalender v. Turkey)* ეხებოდა მატარებლიდან ორი პირის (დედა და მისი ზრდასრული შვილი) ჩასვლას არა ბაქნის, არამედ საწინააღმდეგო მხარეს, რის გამოც მათ დაეჯახა პარალელურ ლიანდაგზე მოძრავი სატვირთო მატარებელი, რომლის შედეგად ისინი გარდაიცვალნენ.[695]

ეროვნულ დონეზე ჩატარებულმა ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ რკინიგზის სადგურის სტრუქტურამ და მისმა მენეჯმენტმა ვერ უზრუნველყო უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების დაცვა: არ იყო მიწისქვეშა გადასასვლელი; არსებული გადასასვლელი საპირისპირო მხარეს იყო ბლოკირებული სატვირთო მატარებლით, რაც აიძულებდა მგზავრებს, გადაეკვეთათ ლიანდაგი; ხელმისაწვდომი არ იყო ინფორმაცია მატარებლების შესახებ და სხვ. იმავდროულად, დადგინდა, რომ რკინიგზის უსაფრთხოების სისტემაში არსებული ნაკლოვანებები იყო მიზეზშედეგობრივ კავშირში დედისა და შვილის გარდაცვალებასთან. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო უსაფრთხოების წესების შესრულება მგზავრთა სიცოცხლის დასაცავად. ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოების ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს მგზავრების უსაფრთხო გადაადგილებას მატარებლის სადგურზე, სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის გარეშე.

საქმე *ბონი საფრანგეთის წინააღმდეგ (Bone v. France)* ეხებოდა მოსარჩელის თოთხმეტი წლის შვილს, რომელმაც მატარებლის გაჩერების შემდეგ გადაწყვიტა, ჩამოსულიყო არა ბაქნის, არამედ ლიანდაგების მხარეს, რის გამოც მას დაეჯახა მოძრავი მატარებელი და მოკლა.[696] მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მატარებლების უსაფრთხოების სისტემის სათანადო ფუნქციონირება, კერძოდ, მატარებლის კარების ბლოკირება, რის შემთხვევაშიც, მისი შვილი გადარჩებოდა. ევროპულმა სასამართლომ განიხილა, უზრუნველყო თუ არა სახელმწიფომ უსაფრთხოების სისტემის არსებობა. სასამართლომ დაასკვნა, რომ მოზარდმა თავისი წინდაუხედავი მოქმედებით თავად ჩაიგდო საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში მატარებლის იმ კარის თვითნებურად გაღებით, რომელიც არ უნდა გაეღო და მოახდინა ნიშნის იგნორირება, რომელიც აფრთხილებდა საფრთხის შესახებ. სასამართლომ ჩათვალა: ასეთი გამაფრთხილებელი ნიშნის არსებობა მიუთითებდა, რომ დაცული იყო უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტები, რომლებიც ამ სიტუაციაში შეიძლება არსებულიყო. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ საქმე დაუშვებლად ცნო.[697]

ამ საქმიდან გამომდინარეობს, რომ, თუ სახელმწიფომ უზრუნველყო უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების დადგენა და მათი პრაქტიკაში შესრულება, მაგალითად, გამაფრთხილებელი ნიშნის დამონტაჟება, მაგრამ პირმა თავისი წინდაუხედავი

---

694 *რაჯკოვსკა პოლონეთის წინააღმდეგ (Rajkowska v. Poland),* გადაწყვეტილება, 27 ნოემბერი, 2007 წელი; *სტარჩევიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Starcevic v. Croatia),* 13 ნოემბერი, 2014 წელი, 54-ე პუნქტი.

695 15 დეკემბერი, 2009 წელი.

696 1 მარტი, 2005 წელი.

697 D. Xenos, Asserting the Right to Life (Article 2, ECHR) in the Context of Industry, German Law Journal, Vol. 8, No.3, March 2007, 251.

მოქმედებით თავად ჩაიგდო საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში, ჩაითვლება, რომ სახელმწიფომ შეასრულა სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება.

საქმე *სმილიანიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Smiljanic v. Croatia)* ეხებოდა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევას და სასამართლო სისტემის არასათანადო რეაგირებას იმ პირის მოქმედებაზე, რომელმაც არაერთხელ დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები და რომელმაც გამოიწვია ფატალური ავტოსაგზაო შემთხვევა.[698] საქმის გარემოებები იყო შემდეგი: მოსარჩელეთა ოჯახის წევრი გარდაიცვალა ავტოავარიაში, რომელიც მოხდა D.M.-ს მიზეზით. ეს უკანასკნელი იმყოფებოდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ და გზაჯვარედინზე გაიარა წითელ შუქნიშანზე, რასაც მოჰყვა ავტოავარია.[699] მას შეუფარდეს ორწლიანი პატიმრობა, საიდანაც მან მოიხადა 14 თვე.[700] მანამდე D.M.-ს არაერთხელ ჰქონდა დარღვეული საგზაო მოძრაობის წესები, ხოლო ფატალური ავტოავარიის დროს მის წინააღმდეგ მიმდინარეობდა რამდენიმე სამართალწარმოება ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის მართვის გამო.[701]

ევროპული სასამართლოს წინაშე მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო საგზაო ტრანსპორტის მარეგულირებელი კანონმდებლობის აღსრულება, D.M.-ის მიმართ შესაფერისი ღონისძიებების გატარებით.[702]

ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ, ზოგადად, არსებობს იმ ზიანისაგან საზოგადოების წევრთა დაცვის ინტერესი, რომელიც მათ შეიძლება მიადგეთ საავტომობილო ტრანსპორტით. ამიტომ სახელმწიფო უნდა შეეცადოს უბედური შემთხვევების თავიდან აცილებას, რისთვისაც უნდა გაატაროს პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის შეამციროს დაუდევარი და წინდაუხედავი მოქმედების საფრთხე.[703] საქმის გარემოებების შეფასებისას, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდა შესაბამის პრევენციულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და საგზაო შემთხვევების რაოდენობის მინიმუმამდე შემცირებისაკენ, თუმცა სასამართლოს პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, ეფექტიანად სრულდებოდა თუ არა პრაქტიკაში შესაბამისი კანონმდებლობა.[704]

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ D.M.-მ არაერთხელ დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები, მათ შორის იყო შემთხვევა, როდესაც იგი მართავდა ავტომობილს ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ, გადაუჭარბებია სიჩქარისათვის და არ დამორჩილებია საგზაო ნიშნებს. ავტოავარიამდე ბოლო თორმეტი წლის განმავლობაში მან ოცდათორმეტჯერ დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები და შემთხვევამდე ორი წლით ადრე სასჯელიც კი ჰქონდა შეფარდებული. მიუხედავად ამისა, მას მართვის მოწმობა მხოლოდ ორჯერ ჩამოერთვა ხანმოკლე დროით.[705] შემთხვევამდე გარკვეული დროით ადრე D.M. არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდა ავტომობილს, რის გამოც გაიცა ბრძანება მისთვის მართვის მოწმობის ჩამორთმევის შესახებ, თუმცა სასამართლოში გასაჩივრების შედეგად მისთვის არ ჩამოურთმევიათ მართვის მოწმობა სასამართლო საქმის განხილვამდე.[706]

---

698 25 მარტი, 2021 წელი.
699 მე-6 და მე-7 პუნქტები.
700 26-ე და 33-ე პუნქტები.
701 მე-12 პუნქტი.
702 მე-60 პუნქტი.
703 76-ე პუნქტი.
704 77-ე პუნქტი.
705 79-ე პუნქტი.
706 მე-80 პუნქტი.

შემთხვევის დროს D.M.-ს ჰქონდა მოქმედი მართვის მოწმობა, რაც აძლევდა მას ავტომობილის მართვის უფლებას. სხვადასხვა დარღვევისათვის მას დაეკისრა მცირე ჯარიმა, დაევალა საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოს შესრულება ან მიეცა გაფრთხილება. ათი მსუბუქი დარღვევისათვის მის წინააღმდეგ დაწყებული სამართალწარმოება შეწყდა პოლიციის მიერ საქმის არასწორი წარმოებისათვის. შემთხვევის დროს მის მიმართ მიმდინარეობდა სამართალწარმოება ავტომობილის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის შესახებ.[707]

ევროპული სასამართლოს აზრით, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ გადადგა გარკვეული ნაბიჯები D.M.-ს წინააღმდეგ, მას არ ჰქონდა ყოვლისმომცველი და ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფდა ეფექტიანი შემაკავებელი და პრევენციული ღონისძიებების გატარებას, რათა ბოლო მოღებოდა D.M.-ს მიერ საგზაო მოძრაობის წესების განგრძობად უხეშ დარღვევას. ასეთი მიდგომა აუცილებელს გახდიდა ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც შეამცირებდა საფრთხის ფაქტორებს საავტომობილო ტრანსპორტის უსაფრთხოებისათვის, მაგალითად, ეს შეიძლებოდა მართვის მოწმობის გაუქმებით ან მისი ხანგრძლივი დროით ჩამორთმევით, საგზაო წესების ხელახლა შესწავლისა ან ალკოჰოლისაგან მკურნალობის ვალდებულების დაკისრებით, და, სადაც საჭირო იქნებოდა, უფრო მკაცრი და გადამარწმუნებელი სანქციების გამოყენებით.[708]

ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა: მართალია, მას არ შეუძლია, მოახდინოს სპეკულირება, რომ გარდაცვალება არ მოხდებოდა, თუ სახელმწიფო სხვანაირად იმოქმედებდა, მაგრამ ის, რომ სახელმწიფომ სხვადასხვა საფეხურზე ვერ შეძლო, გაეტარებინა შესაფერისი ღონისძიება D.M.-ს განგრძობადი უკანონო მოქმედების წინააღმდეგ, შესაბამისად, ვერ შეძლო ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების გატარება პრაქტიკაში და საგზაო შემთხვევების რაოდენობის მინიმუმამდე შემცირება, იწვევს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.[709] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.[710]

ვ) საზოგადოებრივი ადგილების უსაფრთხოება

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება საზოგადოებრივ ადგილებში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. სახელმწიფომ უნდა გაატაროს პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივ ადგილებში პირის სიცოცხლის დაცვას.

საქმე *მარიუს ალექსანდრუ და მარინელა სტეფანი რუმინეთის წინააღმდეგ (Marius Alexandru and Marinela Stefan v. Romania)*[711] ეხებოდა საავტომობილო გზის გასწვრივ მდგომი ხის ფესვებიდან მოგლეჯას. ხე მოძრავ ავტომობილს დაეცა და გამოიწ-

---

707 82-ე პუნქტი.

708 83-ე პუნქტი.

709 85-ე პუნქტი.

710 86-ე პუნქტი. შეად.: *პრილუცკი უკრაინის წინააღმდეგ (Prilutskiy v. Ukraine)*, 26 თებერვალი, 2015 წელი, 34-ე-39-ე პუნქტები. ეს საქმე ეხებოდა კერძო პირების ინიციატივას საავტომობილო შეჯიბრის ორგანიზების შესახებ, რომლის დროსაც გარდაიცვალა პირი. მიუხედავად ამისა, ევროპულ სასამართლოს არ დაუდგენია სახელმწიფოს მიერ თავისი პოზიტიური ვალდებულების დარღვევა.

711 24 მარტი, 2020 წელი.

ვია მასში მსხდომი რამდენიმე ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. მოსარჩელეები იყვნენ ცოლ-ქმარი, რომლებიც ავტომობილით გადაადგილდებოდნენ, როდესაც ხე დაეცა მანქანას. მათ მიიღეს მრავლობითი დაზიანება, ხოლო მანქანაში მსხდომი სამი ადამიანი გარდაიცვალა.

როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა ამ საქმეზე, არ შეიძლება გამოირიცხოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე, დადგეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოქმედებაზე ან უმოქმედობაზე, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი ადგილების უსაფრთხოებასთან. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობა, რომელიც მიმართული იქნება საზოგადოებრივი ადგილების უსაფრთხოების დაცვისაკენ. ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ხელისუფლების გადასაწყვეტია ამ მიზნით გასატარებელი ღონისძიებები. სასამართლოს აზრით, შემთხვევის დროს მოქმედებდა ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც ეხებოდა გზებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფას და ითვალისწინებდა გზების გასწვრივ დარგული ხეების მოვლასა და მათზე ზედამხედველობას ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. კანონმდებლობა ითვალისწინებდა ხეების კლასიფიცირებას, მათზე ზედამხედველობას, გასხვლას, ისევე როგორც სხვადასხვა შემოწმებას, მათ სიხშირესა და იმ პირების მოვალეობებს, რომლებსაც ეს ფუნქცია ეკისრებოდათ.

მართალია, ევროპულ სასამართლოს ამ საქმეზე არ დაუდგენია სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არსებით ნაწილში,[712] მაგრამ მან ნათელყო, რა ვალდებულებები ეკისრება სახელმწიფოს საზოგადოებრივ ადგილებში ხის ჩამოვარდნის შედეგად პირის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის თავიდან ასაცილებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.[713]

ზ) სამაშველო ოპერაციების უსაფრთხოება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება სახელმწიფოს მიერ სამაშველო ოპერაციის ჩატარებაზე.

საქმე *საფი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (Safi and Others v. Greece)* ეხებოდა 2014 წლის 20 იანვარს სათევზაო ნავის ჩაძირვას ეგეოსის ზღვაში, კუნძულ ფარმაკონისთან, რამაც გამოიწვია 11 ადამიანის, მათ შორის მოსარჩელეთა ნათესავების, გარდაცვალება.[714] მოსარჩელეების მტკიცებით, საბერძნეთის სანაპირო დაცვის ხომალდი მათკენ მიემართებოდა მაღალი სიჩქარით, რათა ლტოლვილებით სავსე ნავი უკუეგდო თურქეთის წყლებში, რამაც გამოიწვია სათევზაო ნავის გადატრიალება და ადამიანების ზღვაში დახრჩობა. საბერძნეთის პოზიციით, ნავი ბაგირით გადაჰყავდათ კუნძულ ფარმაკონისისაკენ ლტოლვილების გადასარჩენად, ხოლო ნავი გადატრიალდა ბორტზე მყოფი პირების პანიკისა და სწრაფი მოძრაობების გამო. თავის მხრივ, მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ სანაპირო დაცვის მოქმედებამ ან/და უმოქმედობამ საფრთხეში ჩააგდო მათი და მათი ნათესავების სიცოცხლე ნავის ჩაძირვის შედეგად.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ, ვინაიდან მოპასუხე სახელმწიფომ ვერ

712 ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში.

713 ასევე იხ. საქმე, რომელშიც ტროტუარზე ფეხით მიმავალ მამაკაცს ხე დაეცა თავზე, რომლის შედეგად იგი გარდაიცვალა. *ჩიეჩონსკა პოლონეთის წინააღმდეგ (Ciechońska v. Poland),* 14 ივნისი, 2011 წელი.

714 7 ივლისი, 2022 წელი.

ჩაატარა ეფექტიანი გამოძიება, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გამოხატოს თავისი პოზიცია 2014 წლის 20 იანვრის ოპერაციის მრავალ დეტალზე, მათ შორის, იყო თუ არა მცდელობა, რომ მოსარჩელეების ნავი უკუეგდოთ თურქეთის წყლებში. საქმის გარემოებებთან მიმართებით ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, მოპასუხე სახელმწიფოს პოზიციით, მან გადაწყვიტა ნავის ბაგირით გადაყვანა კუნძულ ფარმაკონისზე, რაც განპირობებული იყოს ნავის სავალალო მდგომარეობით, კერძოდ იმით, რომ ის არ იყო ვარგისი გადაადგილებისათვის, ასევე მგზავრების რაოდენობით, რაც აჭარბებდა დაშვებულ ზღვარს და ცუდი ამინდით. მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს არ აუხსნია, როგორ აპირებდა ის მოსარჩელეების უსაფრთხოდ გადაყვანას სანაპირო დაცვის ხომალდით, რომელიც იყო სწრაფმავალი კატერი და რომელსაც არ გააჩნდა შესაფერისი სამაშველო აღჭურვილობა. სასამართლოს აზრით, სანაპირო დაცვას არცერთ ეტაპზე არ უმსჯელია დახმარების მოთხოვნის შესაძლებლობაზე, ან სახელმწიფო არ იყო ინფორმირებული, შესაფერისი ხომალდი გაეგზავნა შემთხვევის ადგილას სამაშველო ოპერაციისათვის. მოსარჩელეების მტკიცებით, იმ მგზავრებს, რომლებიც სათევზაო ნავიდან გადაარჩინეს, არ მისცეს სამაშველო ჟილეტები, რადგან ისინი არ ჰქონდათ სანაპირო დაცვის ხომალდზე.

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საბერძნეთის კოორდინაციისა და კვლევის ცენტრი არ იყო ინფორმირებული შემთხვევის შესახებ დილის 02:13 წუთამდე, იმ დროისათვის, როდესაც სათევზაო ნავი უკვე ნახევრად ჩაძირული იყო. დილის 02:16 წუთისათვის ნავი სრულად ჩაიძირა და ზოგიერთი მოსარჩელის ნათესავი აღმოჩნდა ხაფანგში, გემის კაბინაში. ამასთანავე, დახმარების თხოვნა, რომლითაც განგაშის სიგნალს მიაწვდიდნენ ახლომდებარე ტერიტორიაზე მცურავ ნებისმიერ გემს, რათა სწრაფად მიეღწია შემთხვევის ადგილამდე, არ გაგზავნილა დილის 02:25 წუთამდე, კერძოდ, გაიგზავნა 12 წუთში იმ დროიდან, როდესაც სანაპირო დაცვამ კოორდინაციის ცენტრს დაგვიანებით მიაწოდა ინფორმაცია ნავის ჩაძირვის შესახებ.

ამას გარდა, ევროპული სასამართლოს აზრით, იყო სხვა ხარვეზები მაშველების მობილიზაციისა და ადგილზე დახმარების აღმოჩენის კუთხით. კერძოდ, კოორდინაციისა და კვლევის ცენტრის მიერ დილის 02:29 წუთზე მოთხოვნილი ვერტმფრენი შემთხვევის ადგილზე არ აღმოჩნდა დილის 03:52 წუთამდე; კოორდინაციისა და კვლევის ცენტრს დილის 02:45 წუთამდე არ მოუთხოვია სამხედრო გემის დახმარება, ხოლო პირველი სანაპირო დაცვის ხომალდი არ აღმოჩნდა შემთხვევის ადგილზე დილის 03:32 წუთამდე. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ საქმეში არსებულ უმოქმედობასა და დაგვიანებებთან დაკავშირებით მოპასუხე სახელმწიფოს არ წარმოუდგენია რაიმე განმარტება, რის გამოც ჩნდება მნიშვნელოვანი კითხვები ამ ოპერაციის წარმართვისა და ორგანიზების შესახებ. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საბერძნეთმა არ გააკეთა ყველაფერი, რაც გონივრული იქნებოდა კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, მოსარჩელეებისა და მისი ნათესავების სიცოცხლის დაცვის უზრუნველსაყოფად. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.[715]

საქმე *ალჰოვაისი უნგრეთის წინააღმდეგ (Alhowais v. Hungary)* ეხებოდა მოსარჩელის მტკიცებას, რომ 2016 წელს მან და მისმა ძმამ, სხვა პირებთან ერთად, ერაყელი ოჯახის ჩათვლით, კონტრაბანდისტის დახმარებით, ნავით უკანონოდ გადაკვეთეს

715 166-ე პუნქტი. ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში და კონვენციის მე-3 მუხლი (რამდენიმე მოსარჩელის მიმართ).

მდინარე ტისზა, რომელიც ყოფს სერბეთსა და უნგრეთს.[716] მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ უნგრეთის საზღვრის დაცვამ აიძულა ისინი, დაბრუნებულიყვნენ სერბეთის ნაპირზე. მოსარჩელეს და მის ძმას მოუხდათ მდინარეში ჩახტომა, რომ დაბრუნებულიყვნენ სერბეთის მხარეს. მოსარჩელემ ეს მოახერხა, თუმცა მისი ძმა მდინარეში დაიხრჩო. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ საზღვრის დაცვამ მათ დაუშინა ქვები, მათ წინააღმდეგ გამოიყენა პოლიციის გაწვრთნილი ძაღლები და ცრემლსადენი გაზი. ევროპული სასამართლოს წინაშე მოსარჩელის ძმა ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს მოქმედებამ განაპირობა მისი ძმის სიკვდილი, ასევე არ მოხდა საქმის ეფექტიანი გამოძიება.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მის ხელთ არსებული მასალა არ იძლევა გონივრული ეჭვის მიღმა სტანდარტით იმის მტკიცების საშუალებას, რომ მოსარჩელისა და მისი ძმის მიმართ გამოიყენეს პოლიციის ძაღლები და ცრემლსადენი გაზი და რომ მათ დაუშინეს ქვები. სასამართლოს აზრით, ამ საკითხებზე დასკვნის გაკეთების შეუძლებლობა, ძირითადად, განპირობებულია ჩატარებული გამოძიების ხარვეზებით.[717]

ევროპული სასამართლოს აზრით, ეს საქმე არ ეხება იმას, მოსპო თუ არა სახელმწიფომ მოსარჩელის ძმის სიცოცხლე. მიუხედავად ამისა, შექმნილი სიტუაცია არ გამორიცხავს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მოსარჩელის ძმის სიკვდილის გამო. სასამართლოს აზრით, მან უნდა დაადგინოს, ამ საქმის ფაქტები წარმოშობს თუ არა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით და დაიცვა თუ არა მოსაპუხე სახელმწიფომ მოსარჩელის ძმის სიცოცხლის უფლება.[718]

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა: უნგრეთმა იცოდა, რომ მდინარე ტისზა იყო საფრთხის შემცველი მონაკვეთი და რომ, როგორც მინიმუმ, მოხდა ერთი შემთხვევა, როდესაც მიგრანტები დაზიანდნენ მდინარის უკანონო გადაკვეთის მცდელობისას.[719] შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა: სახელმწიფომ იცოდა, რომ მიგრანტების მიმართ არსებობდა რეალური და მყისიერი საფრთხე და რომ საჭირო იყო ღონისძიებების გატარება მათი სიცოცხლის დასაცავად.[720]

სასამართლოს აზრით, ვინაიდან მდინარე ტისზაზე მანამდეც მომხდარა მსგავსი შემთხვევები, იოლად განჭვრეტადი უნდა ყოფილიყო, რომ კიდევ იქნებოდა საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობები. ამიტომ, სასამართლოს აზრით, ამ საქმის გარემოებები არ იყო საგამონაკლისო, არამედ ეს იყო საზღვრის კონტროლის მეტ-ნაკლებად რუტინული ოპერაცია. უნგრეთის კომპეტენტურ ორგანოებს ჰქონდათ საკმარისი ინფორმაცია, რომ შეეფასებინათ მდინარის გადაკვეთასთან დაკავშირებული საფრთხეები და გულდასმით ჩაეტარებინათ სასაზღვრო ოპერაციები.[721]

სასამართლოს აზრით, მართალია, რამდენიმე მესაზღვრე განთავსებული იყო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც შემთხვევა მოხდა, როგორც ჩანს, ოფიცრები არ ხელმძღვანელობდნენ რაიმე ოპერატიული გეგმით, რომელიც შემუშავდა სამძებრო და სამაშველო სიტუაციებთან გამკლავების მიზნით, რაც უზრუნველყოფდა იმ პირების სიცოცხლის დაცვას, რომლებსაც ექნებოდათ საზღვრის გადაკვეთის მცდელობა. არ არსებობს მტკიცებულება, რომ მესაზღვრე ოფიცრებმა გაატარეს რაიმე ღონისძიება, ან მიიღეს რაიმე ინსტრუქცია მათი მოქმედების შესახებ, მიგრანტებით დატვირ-

716 2 თებერვალი, 2023 წელი.
717 123-ე პუნქტი.
718 124-ე პუნქტი.
719 127-ე პუნქტი.
720 129-ე პუნქტი.
721 135-ე პუნქტი.

თული ნავის აღმოჩენის შემთხვევაში როგორ უზრუნველეყოთ მგზავრთა უსაფრთხოება, ან მტკიცებულება, რომ მათ გააკეთეს რაიმე დაშვება მიგრანტების ნაპირზე უსაფრთხოდ გადასხმის შესახებ. აქედან გამომდინარე, სასამართლოს აზრით, ვერ ჩაითვლება, რომ სახელმწიფომ ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, რათა თავიდან აეცილებინა რეალური და მყისიერი საფრთხე სიცოცხლისათვის.[722]

ვინაიდან სახელმწიფოს ჰქონდა წინასწარი ინფორმაცია, რომ მიგრანტები უახლოვდებოდნენ უნგრეთის საზღვარს ნავით, მას შეეძლო, მომზადებულიყო სამძებრო და სამაშველო ოპერაციის ჩასატარებლად. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მესაზღვრე ოფიცერი შეტყობინებიდან ხუთ-ათ წუთში ადგილზე იმყოფებოდა, არ არსებობს მტკიცებულება, რომ ჩატარდა რაიმე მოსამზადებელი სამუშაო სამაშველო ოპერაციისათვის, ან იმისათვის, რომ მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისათვის აღმოეჩინათ სამედიცინო დახმარება.[723]

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, საზღვრის დაცვას ჰქონდა ინფორმაცია მიგრანტების მოახლოების შესახებ, სასაზღვრო კატერი მიემართებოდა ნავსადგურისაკენ, და ის მხოლოდ მაშინ გამოიძახეს დასახმარებლად, როდესაც მესაზღვრეებმა აღმოაჩინეს, რომ ერაყელ ოჯახს სჭირდებოდა დახმარება ნაპირზე გადმოსასვლელად, რასაც ხელს უშლიდა ნაპირის გასწვრივ დამონტაჟებული მავთულხლართები. საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომ ადგილზე მყოფი მესაზღვრეების მხრიდან იყო რაიმე მცდელობა, გადაემოწმებინათ, საჭიროებდნენ თუ არა სხვა მიგრანტები დახმარებას.[724] მაშველებმა მხოლოდ მაშინ მიიღეს ინსტრუქცია, დაეწყოთ სხვა გაუჩინარებული პირის ძებნა, როდესაც წყალში აღმოაჩინეს მისი ზურგჩანთა და ქურთუკი. მას შემდეგ, რაც გაუჩინარებული პირი ვერ აღმოაჩინეს, მაშველები ხელახლა დაბრუნდნენ ერაყელი ოჯახის დასახმარებლად, ხოლო მოსარჩელის ძმა მიატოვეს ბედის ანაბარა.[725]

ჩვენებებიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მკაფიოდ განსაზღვრული არ იყო პრიორიტეტები და მოქმედების თანმიმდევრობა, როგორ უნდა გამკლავებოდნენ მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ მიგრანტებთან დაკავშირებულ სიტუაციას. სადავო არ უნდა იყოს, რომ მესაზღვრე ოფიცრებს უნდა ემართათ რთული სიტუაცია, რომელიც უკავშირდებოდა არჩევანს, დახმარებოდნენ ერაყელ ოჯახს, სადაც იყვნენ ბავშვები, თუ დაეწყოთ მოსარჩელის ძმის ძებნა, რომლის სიცოცხლე, მათი ცნობით, იყო საფრთხეში. მიუხედავად ამისა, მაშინაც კი, როდესაც ოფიცრებისათვის ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი მიგრანტი იყო საფრთხეში, არ გაკეთებულა შეფასება, როგორი რეაგირება უნდა მოეხდინათ საფრთხეებზე, რომელთა წინაშეც იყო ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფი, ან როგორ უნდა დახმარებოდნენ მოსარჩელის ძმას ისე, რომ არ მოეხდინათ იმ რესურსების არაპრაქტიკული გამოყენება, რომლებიც მიმართული იყო ერაყელი ოჯახის გადასარჩენად. სიტუაციის გაუარესება, ძირითადად, განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ სამაშველო ოპერაცია, როგორც აღმოჩნდა, არ იყო კარგად გააზრებული.[726]

სასამართლოს მხედველობიდან არ გამორჩენია ის ფაქტი, რომ შეიძლება არსებობდეს სიტუაცია, როდესაც უნდა გაკეთდეს ოპერატიული არჩევანი პრიორიტეტებსა და რესურსებთან მიმართებით, რათა პასუხი გაეცეს მოვლენების მოულოდნელ გან-

722 136-ე პუნქტი.
723 137-ე პუნქტი
724 138-ე პუნქტი.
725 იქვე.
726 141-ე მუხლი.

ვითარებას. მიუხედავად ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ სახელმწიფომ რაიმე ძალისხმევა გამოიჩინა მოსარჩელის ძმის მოსაძებნად მას შემდეგ, რაც სამაშველო ნავმა დატოვა ადგილი, სადაც იგი, სავარაუდოდ, გაუჩინარდა.[727]

სასამართლომ მიუთითა, რომ შემთხვევის ადგილზე არსებული სამაშველო შესაძლებლობები არ შეესაბამებოდა შექმნილი საგანგებო სიტუაციის მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნათელი იყო ადგილზე მყოფი ოფიცრებისათვის, გამოძიების მასალებში დოკუმენტურად არაფერი ადასტურებდა რაიმე მცდელობას, გამოეძახებინათ დახმარება, რათა მოეხდინათ შესაფერისი რეაგირება მიგრანტების წინაშე არსებული რეალური და მყისიერი საფრთხისათვის.[728]

ევროპული სასამართლოს აზრით, ვინაიდან სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანოებმა ვერ იმოქმედეს სწრაფად და გადამწყვეტად, მათ არ გაატარეს ოპერატიული ღონისძიებები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, რომლებიც უნდა გაეტარებინათ მოსარჩელის ძმის სიცოცხლის გადასარჩენად, სახელმწიფომ ვერ შეასრულა მოსარჩელის ძმის სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება და, შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი არსებით ნაწილში.[729]

საქმე *ფურდიკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Furdik v. Slovakia)* ეხებოდა მოსარჩელის 27 წლის შვილის გარდაცვალებას კლდეზე ცოცვისას, უბედური შემთხვევის შედეგად.[730] კერძოდ, მოსარჩელის შვილმა და მისმა პარტნიორმა დილიდან დაიწყეს კლდეზე ასვლა. 12:14 წუთზე, კლდის ნაწილის მოწყვეტის შედეგად, მოსარჩელის შვილი აღმოჩნდა თოკზე თავდაღმა ჩამოკიდებული. ერთ-ერთი მთამსვლელი (ქ-ნი J.), რომელიც ამ მოვლენის შემთხვევითი მოწმე გახდა, 12:19 წუთზე დაუკავშირდა სამთო სამაშველო სამსახურს გამოსაძახებლად. მას უთხრეს, რომ ვერტმფრენი დაუყოვნებლივ გამოფრინდებოდა და შემთხვევის ადგილას იქნებოდა 20-25 წუთში. შემთხვევის შედეგად მოსარჩელის შვილმა მიიღო მძიმე დაზიანება, მაგრამ გონზე იყო იმ დღის 16:00 საათამდე. 12:30 წუთზე სამაშველო სამსახურის მორიგემ შეატყობინა ქ-ნ J.-ს, რომ ვერტმფრენი ადგილზე იქნებოდა 20 წუთში, რადგან იმყოფებოდა სხვა სამაშველო ოპერაციაზე. 13:17 წუთზე სამაშველო სამსახურის ვერტმფრენი დაჯდა პოპრადში ავზის შესავსებად და მოსარჩელის შვილის გადასარჩენად საჭირო აღჭურვილობის მოსამზადებლად. 13:40 წუთზე თვითმფრინავმა დატოვა პოპრადი. გზაში ვერტმფრენი კიდევ ერთხელ დაჯდა ძველი სმოკოვეცის ტერიტორიაზე (13:45 წუთზე) სამთო სამაშველო სამსახურის ერთი წევრის ასაყვანად. შემთხვევის ადგილას ვერტმფრენმა მიაღწია 14:00 წუთზე.

14:02 წუთზე ვერტმფრენის პილოტმა შეატყობინა სამაშველო ცენტრს, რომ ძლიერმა ტურბულენტობამ ხელი შეუშალა ვერტმფრენს, ახლოს მისულიყო მოსარჩელის შვილთან. საჭირო იყო სამაშველო ჯგუფის გაძლიერება და სპეციალური აღჭურვილობა დაშავებულთან მისაღწევად. ამის გამო ვერტმფრენი დაბრუნდა პოპრადში. 14:25 წუთიდან 14:45 წუთამდე სამთო სამაშველო სამსახურის წევრი, რომელსაც ჰქონდა საჭირო აღჭურვილობა, შეუერთდა სამაშველო ჯგუფს. 15:30 წუთზე ვერტმფრენმა ძველ სმოკოვეცში სამთო სამაშველო სამსახურის კიდევ ორი წევრი აიყვანა. 15:45 წუთზე ვერტმფრენმა სამაშველო ჯგუფის წევრები ჩამოსვა მთის მწვერვალზე.

---

727 142-ე პუნქტი.

728 143-ე პუნქტი.

729 144-ე-145-ე პუნქტები.

730 *ფურდიკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Furdik v. Slovakia)*, გადაწყვეტილება, 2 დეკემბერი, 2008 წელი.

მთავრობის ინფორმაციით, სამაშველო ჯგუფმა მოსარჩელის შვილამდე მიაღწია 15:47 წუთზე, ხოლო ადგილზე მყოფი მთამსვლელების ინფორმაციით, ჯგუფმა დაშავებულამდე მიაღწია დაახლოებით 16:00 საათზე. იმ დროისათვის მოსარჩელის შვილს გონება ჰქონდა დაკარგული.

სახელმწიფოს პოზიციით, როდესაც მაშველებმა მიაღწიეს დაშავებულთან იგი უკვე იმყოფებოდა კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში. სამაშველო ჯგუფის წევრებმა მოსარჩელის შვილი დაამაგრეს საკაცეზე ჩამოყვანის მიზნით. იგი გარდაიცვალა 16:10 წუთზე. გარდაცვლილის დაშვება მოხდა 16:45 წუთზე.

სამედიცინო დასკვნის მიხედვით, მოსარჩელის შვილის გარდაცვალება გამოიწვია ტრავმებით გამოწვეულმა შოკმა, სისხლდენამ და მესამე ხარისხის ემბოლიამ. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მისი შვილის სიცოცხლის უფლების დარღვევა გამოიწვია იმან, რომ სლოვაკეთში მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო არ ადგენდა საკმარის გარანტიებს სამაშველო და სამედიცინო დახმარების ეფექტიანი უზრუნველყოფისათვის. კერძოდ, მოსარჩელის აზრით, სამართლებრივი ჩარჩო არ ადგენდა დროის კონკრეტულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაში სამაშველო სამსახური ვალდებული იყო, მიეღწია დაშავებულთან. მისი პოზიციით, ეს ვადა უნდა ყოფილიყო 10-სა და 15 წუთს შორის შემთხვევის შესახებ შეტყობინების მომენტიდან, გარდა საგამონაკლისო შემთხვევისა.

ამ საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულება ვრცელდება სამაშველო დახმარების აღმოჩენაზე, როდესაც სახელმწიფო ორგანოებისათვის ცნობილი გახდება, რომ ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა საფრთხეშია მიღებული დაზიანებების გამო. შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარე, ეს ვალდებულება შეიძლება გასცდეს საფრთხეში მყოფი პირებისათვის ისეთი სამაშველო სამსახურების დახმარებას, როგორებიცაა სახანძრო და სასწრაფო სამედიცინო სამსახურები და, როგორც ამ საქმეში გახდა საჭირო, გავრცელდეს სამთო და საზღვაო სამაშველო დახმარების აღმოჩენაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს ვალდებულება ამ კონტექსტში მოიცავს საფრთხეში მყოფი პირებისათვის დახმარების აღმოჩენისაკენ მიმართული სათანადო მარეგულირებელი ჩარჩოს მიღებასა და მისი ეფექტიანი აღსრულების უზრუნველყოფას.

სლოვაკეთის მარეგულირებელი ჩარჩოს შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს ჩარჩო ავალდებულებდა შესაბამის სამსახურებს, დაუყოვნებლივ აღმოეჩინათ ნებისმიერი პირისათვის აუცილებელი სამედიცინო დახმარება. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ქვეყანაში მოქმედი სამაშველო ოპერაციების სისტემა ექვემდებარებოდა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ, ამ მარეგულირებელი ჩარჩოს მიხედვით, ქვეყანაში ასევე მოქმედებდა სამთო სამაშველო სამსახური, რომელიც ფუნქციონირებდა შინაგან საქმეთა სამინისტროში. ასევე კანონმდებლობა განსაზღვრავდა სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სისტემას, რომელიც ითვალისწინებდა იმ სამედიცინო დაწესებულების მიმართ სანქციის გამოყენებას, რომელიც ვერ შეასრულებდა თავის მოვალეობას.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მას არ ჰქონდა საფუძველი, ეჭვის ქვეშ დაეყენებინა არსებული მექანიზმები. სასამართლოს შეფასებით, არ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა იმას, რომ კანონმდებლობით არ იყო განსაზღვრული ვადა, რომლის განმავლობაში საჰაერო სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები უნდა აღმოჩენილიყვნენ შემთხვევის ადგილას. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ ეს საქმე დაუშვებლად გამოაცხადა.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან ამ მაგალითების მოკლე მიმოხილვაც კი ცხადყოფს, რომ კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს პოზიტიური

ვალდებულება, უზრუნველყოს პირთა სიცოცხლის დაცვა უბედური შემთხვევისაგან, ვრცელდება სხვადასხვა სიტუაციაზე. შესაბამისად, მრავალფეროვანია ის საქმიანობა (სფეროები), რომლებშიც პირის სიცოცხლეს შეიძლება შეექმნას უბედური შემთხვევით გამოწვეული საფრთხე და საჭიროა, სახელმწიფომ გაატაროს პოზიტიური ღონისძიებები სიცოცხლის დასაცავად ასეთი უბედური შემთხვევებისაგან.

დასკვნის სახით აღსანიშნავია, რომ პირის გარდაცვალება ყველა შემთხვევაში არ იწვევს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ სახელმწიფომ შეასრულა პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების პოზიტიური ვალდებულება, მაგრამ მაინც მოხდა პირის გარდაცვალება. სახელმწიფოს არ ეკისრება ვალდებულება, ნებისმიერ შემთხვევაში უზრუნველყოს სიცოცხლის დაცვა, არამედ ის ვალდებულია, გაატაროს პოზიტიური ღონისძიებები სიცოცხლის დასაცავად. შესაბამისად, როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, სიცოცხლის უფლების დაცვა არის არა შედეგის, არამედ საშუალების ვალდებულება.

აქამდე განხილული საკითხები ცხადყოფს, რომ სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს ეკისრება არა მხოლოდ ნეგატიური ვალდებულება, თავი შეიკავოს პირის სიცოცხლის მოსპობისაგან, არამედ პოზიტიური ვალდებულება, გადადგას ნაბიჯები, რათა უზრუნველყოს სიცოცხლის უფლების დაცვისაკენ მიმართული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო და უზრუნველყოს პრევენციული ოპერაციული ღონისძიებების გატარების პოზიტიური ვალდებულების შესრულება სიცოცხლის უფლების დასაცავად. საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩოს შექმნისა და პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების გარდა, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს გარდაცვალების შემთხვევის ეფექტიანი გამოძიება.

4.3. სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება: საპროცესო ნაწილი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ არსებით პოზიტიურ ვალდებულებას, გაატაროს ღონისძიებები პირის სიცოცხლის დასაცავად, არამედ ასევე საპროცესო პოზიტიურ ვალდებულებას, ეფექტიანად გამოიძიოს სიცოცხლის მოსპობის შემთხვევა.[731] აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია, გადადგას როგორც სიცოცხლის უფლების დაცვისაკენ მიმართული ნაბიჯები, ისე უზრუნველყოს სიცოცხლის მოსპობის შემთხვევის ეფექტიანი გამოძიება.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით პირდაპირ არ არის მოხსენიებული სახელმწიფოს ვალდებულება, აწარმოოს გამოძიება სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ

731 V. Stoyanova, Positive Obligations under the European Convention on Human Rights, 2023; E. Thoonen, Death in State Custody: Obligations to Prevent Premature Death of Detainees and to Investigate Death of Detainees Pursuant to the European Convention on Human Rights, 2017, 285; K. E. Irwin, Prospects for Justice: The Procedural Aspect of the Right to Life under the European Convention on Human Rights and its Application to Investigations of Northern Ireland's Bloody Sunday, Fordham International Law Journal, Vol. 22, No. 4, April 1999, 1837.

სიცოცხლის უფლების დაცვა ეფექტიანი ვერ იქნება, თუ მან არ მოიცვა სახელმწიფოს ვალდებულება, აწარმოოს ეფექტიანი გამოძიება.[732] საქმეზე – *მაკკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann and Others v. the United Kingdom)*, რომელიც ეხებოდა დიდი ბრიტანეთის სპეციალური ძალების მიერ ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში სამი ეჭვმიტანილის მიმართ სასიკვდილო ძალის გამოყენებას, – ევროპულმა სასამართლომ პირველად დაადგინა სიცოცხლის უფლების დარღვევა არსებით ნაწილში.[733] ამ გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა, რომ, სიცოცხლის უკანონო მოსპობის ზოგადი აკრძალვის გარდა, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება საპროცესო ვალდებულება სიცოცხლის უფლების მიმართ. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ „სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ უკანონო მკვლელობის ზოგადი სამართლებრივი აკრძალვა პრაქტიკაში არაეფექტიანი იქნება, თუ არ იარსებებს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენების კანონიერების შეფასების პროცედურა.“[734] იქვე სასამართლომ მიუთითა: „კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულება, კონვენციის 1-ელი მუხლით დადგენილ სახელმწიფოს ზოგად ვალდებულებასთან ერთად, რომ „თავისი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყოს კონვენციით განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა“, თავისთავად მოითხოვს, რომ უნდა ჩატარდეს რაიმე ფორმის ეფექტიანი ოფიციალური გამოძიება, როდესაც პირებს მოესპოთ სიცოცხლე, ***inter alios***, სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ძალის გამოყენების შედეგად.“[735]

აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *მაკკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann and Others v. the United Kingdom)* – დაადგინა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი მოიცავს სახელმწიფოს პოზიტიურ საპროცესო ვალდებულებას, ეფექტიანად გამოიძიოს სიცოცხლის მოსპობის შემთხვევა.[736] სასამართლოს განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ შეუძლებელია კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლების დაცვა, თუ არ ჩატარდება სიცოცხლის მოსპობის შემთხვევის ეფექტიანი გამოძიება.[737] კონ-

---

732 S. Skinner, Lethal Force, the Right to Life and the ECHR: Narrative of Death and Democracy, 2019, 96.

733 27 სექტემბერი, 1995 წელი.

734 იქვე, 161-ე პუნქტი. *ალ-სქეინი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al-Skeini and Others v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 7 ივლისი, 2011 წელი, 163-ე პუნქტი.

735 იქვე.

736 მიუხედავად ამისა, ამ კონკრეტულ საქმეზე სასამართლოს არ დაუდგენია, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია ეფექტიანი გამოძიების მოთხოვნა. იხ. J. Chevalier-Watts, Effective Investigations under Article 2 of the European Convention on Human Rights: Securing the Right to Life or an Onerous Burden on a State? European Journal of International Law, 2010 Vol. 21, No.3, 703; T. S. Guler, 'Politive Obligations' Doctrine of the European Court of Human Rights: Is it Cogent or Obscure? European Journal of Multidisciplinary Studies, 2017, Vol. 6, N1, 362; K. E. Irwin, Prospects for Justice: The Procedural Aspect of the Right to Life under the European Convention on Human Rights and its Application to Investigations of Northern Ireland's Bloody Sunday, Fordham International Law Journal, Vol. 22, No. 4, April 1999, 1842.

737 F. Ni Aolain, The Evolving Jurisprudence of the European Convention Concerning the Right to Life, Netherlands Quarterly of Human Rights Vol. 19/1, 2001, 33.

ვენციის მე-2 მუხლის ასეთი განმარტება სრულად შეესაბამება ევროპული სასამართლოს მიდგომას, რომლის მიხედვით, კონვენციით უნდა იქნეს გარანტირებული ისეთი უფლებები, რომლებიც არის არა თეორიული ან მოჩვენებითი, არამედ არის პრაქტიკული და ეფექტიანი.[738]

სიცოცხლის უფლების დაცვის ეფექტიანი გამოძიების გარეშე ძირი გამოეთხრება სიცოცხლის უფლების დაცვის არსს, რაც დამნაშავეებს შეუქმნის შთაბეჭდილებას, რომ არ მოხდება მათი პასუხისმგებლობის დადგენა. ამასთანავე, სახელმწიფოს მიერ სიცოცხლის მოსპობის ფაქტის გამოძიება ემსახურება იმას, რომ „შენარჩუნდეს საზოგადოების ნდობა სამართლის უზენაესობისადმი ერთგულების მიმართ და თავიდან იქნეს აცილებული მასთან წინააღმდეგობის არსებობის ან უკანონო აქტების მიმართ შემწყნარებლობის შთაბეჭდილება.“[739]

მართალია, ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *მაკკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann and Others v. the United Kingdom)* – დაადგინა, რომ სიცოცხლის უფლების დაცვა უნდა მოიცავდეს გამოძიების წარმოებასაც, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო სიცოცხლის უფლების შინაარსის განმარტების თვალსაზრისით, მაგრამ ამ საქმეზე სასამართლომ არ ჩათვალა საჭიროდ, ემსჯელა, რა ფორმით უნდა წარმოებდეს გამოძიება და რა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს მან. სასამართლომ მხოლოდ ის აღნიშნა, რომ გამოძიება უნდა იყოს სრულყოფილი, მიუკერძოებელი და საგულდაგულო.[740] სასამართლო დაეთანხმა ევროპული კომისიის პოზიციას, რომ მოკვლევის სამართალწარმოება საკმარისი იყო კონვენციის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლების საპროცესო ასპექტების მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის და აღარ დაადგინა ეფექტიანი გამოძიების სტანდარტები. შესაბამისად, ამ საქმეზე ევროპულ სასამართ-

---

738 *მაკკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann and Others v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 27 სექტემბერი, 1995 წელი, 146-ე პუნქტი; *ილჰანი თურქეთის წინააღმდეგ (Ilhan v. Turkey)*, დიდი პალატა, 27 ივნისი, 2000 წელი, 91-ე პუნქტი. ასევე იხ. S. Talmon, The Procedural Obligation under Article 2 ECHR to Investigate and Cooperate with Investigation of Unlawful Killings in a Cross-Border Context, Bonn Research Papers on Public International Law, Paper No.13/2018, 25 April 2018 (updated 11 June 2019), available: [https://ssrn.com/abstract=3168414], 3.

739 *მაკკერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McKerr v. the United Kingdom),* 4 მაისი, 2001 წელი, 114-ე პუნქტი; *კელლი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Kelly and Others v. the United Kingdom),* 4 მაისი, 2001 წელი, 97-ე პუნქტი; *ჰიუ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hugh Jordan v. the United Kingdom),* 4 მაისი, 2001 წელი, 108-ე პუნქტი; *ფინუკანე გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Finucane v. the United Kingdom),* 1 ივლისი, 2003 წელი, 70-ე პუნქტი; *აჰმეტ ოზკანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Ahmet Ozkan and Others v. Turkey),* 6 აპრილი, 2004 წელი, 313-ე პუნქტი; *ალ-სქეინი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al-Skeini and Others v. the United Kingdom),* დიდი პალატა, 7 ივლისი, 2011 წელი, 167-ე პუნქტი; ასევე იხ. J. Gerards, Right to Life, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, P. van Dijk, F. van Hoof, A. van Rijn and L. Zwaak (eds.), 5th ed. 2018, 364-365.

740 163-ე პუნქტი; ასევე იხ. E. Myjer, Investigation into the Use of Lethal Force: Standards of Independence and Impartiality, in: The Right to Life under Article 2 of the European Convention: Twenty Years of Legal Developments since McCann v. the United Kingdom, in honour of Michael O'Boyle, 2016, 120.

ლოს არ დაუდგენია კონვენციის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევა საპროცესო ნაწილში.[741]

მოგვიანებით ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა კონვენციის მე-2 მუხლის შინაარსის შემდგომი განსაზღვრის თვალსაზრისით. საქმე *კაია თურქეთის წინააღმდეგ (Kaya v. Turkey)* ეხებოდა მოსარჩელის ძმის მკვლელობას, რომელიც გარდაცვლილი იპოვეს მინდორში, საკუთარ სოფელთან, სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში.[742] ამ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ უნდა არსებობდეს დამოუკიდებელი და საზოგადოებრივი კონტროლის გარკვეული სისტემა, რომელსაც ექნება იმ შედეგებამდე მიყვანის უნარი, რომ დაადგინოს, იყო თუ არა გამოყენებული ძალა გამართლებული შექმნილ გარემოებებში.[743] შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა გამოძიების მნიშვნელოვან მახასიათებელზე, კერძოდ, გამოძიების უნარზე, რომ მის შედეგად შესაძლებელი გახდეს იმის შეფასება, იყო თუ არა გამოყენებული ძალა გამართლებული კონკრეტულ სიტუაციაში, როდესაც სახელმწიფოს წარმომადგენლებმა გამოიყენეს სასიკვდილო ძალა.

საქმემ *–კაია თურქეთის წინააღმდეგ (Kaya v. Turkey)* – ასევე ნათელი მოჰფინა სახელმწიფოს ვალდებულებას, აწარმოოს გამოძიება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც სიცოცხლის მოსპობა მოხდა სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ (როგორც ეს იყო *მაკკანის* საქმეზე), არამედ მაშინაც, როდესაც იდენტიფიცირებული არ არის ის პირი (პირები), რომელმაც სხვა პირს მოუსპო სიცოცხლე.[744] ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ პირველად დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში[745] ისე, რომ, იმავდროულად, არ დაუდგენია ამ მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში, რადგან გონივრული ეჭვის მიღმა სტანდარტით ვერ მოხერხდა იმის განსაზღვრა, იყვნენ თუ არა ის პირები, რომლებმაც მოსარჩელის ძმას მოუსპეს სიცოცხლე, სახელმწიფოს წარმომადგენლები.[746]

იგივე პოზიცია ჩამოაყალიბა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ერგი თურქეთის წინააღმდეგ (Ergi v. Turkey)*.[747] ეს საქმე ეხებოდა კონტრტერორისტული ოპერაციის შედეგად მოსარჩელის დის გარდაცვალებას შემთხვევითი გასროლით. ევროპული სასამართლოს წინაშე თურქეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ გამოძიების ვალდებულება არ ვრცელდებოდა საქმეებზე, რომლებშიც გარდაცვალება არ იყო გამოწვეული სახელმწიფოს წარმომადგენლების მოქმედებით. მიუხედავად თურქეთის მთავრობის პოზიციისა, ევროპულმა სასამართლომ გაავრცელა სახელმწიფოს საპროცესო ვალდებულება ისეთ შემთხვევაზე, რომელზეც არ იყო დადგენილი, სახელმწიფოს წარმომადგენელმა მოსპო თუ არა პირის სიცოცხლე. სასამართლომ მიუთითა, რომ „ეს

---

741 162-ე-164-ე პუნქტები; ასევე იხ. K. E. Irwin, Prospects for Justice: The Procedural Aspect of the Right to Life under the European Convention on Human Rights and its Application to Investigations of Northern Ireland's Bloody Sunday, Fordham International Law Journal, Vol. 22, No. 4, April 1999, 1845-1846.

742 19 თებერვალი, 1998 წელი.

743 87-ე პუნქტი.

744 R. Turmen, "Right to Life" (Article 2), Bulletin des Droits de l'Homme, Nos.11/12, 2005, 62.

745 E. Myjer, Investigation into the Use of Lethal Force: Standards of Independence and Impartiality, in: The Right to Life under Article 2 of the European Convention: Twenty Years of Legal Developments since McCann v. the United Kingdom, in honour of Michael O'Boyle, 2016, 120.

746 78-ე პუნქტი.

747 28 ივლისი, 1998 წელი.

ვალდებულება არ შემოიფარგლება იმ შემთხვევებით, რომლებშიც დადგენილია, რომ სიცოცხლის მოსპობა გამოწვეულია სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ.“[748]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოგვიანებით კიდევ უფრო გააფართოვა საპროცესო ვალდებულების შინაარსი და დაადგინა, რომ გამოძიების ვალდებულება სახელმწიფოს წარმოეშობა მაშინაც, როდესაც სიცოცხლის მოსპობა შედეგად მოჰყვა კერძო პირების მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენებას[749] ან თვითმკვლელობას.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, კერძო პირების მიერ ძალის გამოყენების შედეგად პირის გარდაცვალების ფაქტის გამოძიების ვალდებულება გამომდინარეობს კონვენციის მე-2 მუხლიდან, რომელიც ადგენს, რომ „სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სიცოცხლის უფლება ისეთი ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დებულებების დადგენით, რომლებიც პირს თავს შეაკავებინებს ასეთი დანაშაულის ჩადენისაგან და რომლებიც განმტკიცებულია აღსრულების მექანიზმით, რათა მოხდეს ასეთი დებულებების დარღვევის პრევენცია, აღკვეთა და დასჯა. ეს ვალდებულება თავისთავად მოითხოვს, რომ უნდა იყოს ეფექტიანი ოფიციალური გამოძიების რაიმე ფორმა, როდესაც არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ პირს მიადგა სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ზიანი საეჭვო გარემოებებში, მაშინაც კი, როდესაც ფატალურ თავდასხმაში სავარაუდო დამნაშავე არ არის სახელმწიფოს წარმომადგენელი.“[750]

საქმე *მენსონი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Menson and Others v. the United Kingdom)* ეხებოდა ოთხი თეთრკანიანი ახალგაზრდის მიერ შავკანიანი პირის (მაიკლ მენსონი) მკვლელობას.[751] მოსარჩელეები სახელმწიფოს არ აკისრებდნენ პასუხისმგებლობას მკვლელობისათვის. სასამართლოს პოზიციით, „მაიკლ მენსონის სიკვდილის მიმართ სახელმწიფოს პირდაპირი პასუხისმგებლობის არარსებობა არ გამორიცხავს მე-2 მუხლის გამოყენებას. ის აღნიშნავს, რომ, ვინაიდან სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შესაფერისი ნაბიჯების გადადგმა, რათა დაცული იყოს მის იურისდიქციაში მყოფი პირები, ... მე-2(1) მუხლი აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს სიცოცხლის უფლება ისეთი ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დებულებების დადგენით, რომლებიც პირს თავს შეაკავებინებს ასეთი დანაშაულის ჩადენისაგან და რომლებიც განმტკიცებულია აღსრულების მექანიზმით, რათა მოხდეს ასეთი დებულებების დარღვევის პრევენცია, აღკვეთა და დასჯა. ... ამ საქმის ფაქტების გათვალისწინებით, სასამართლოს აზრით, ეს ვალდებულება თავისთავად მოითხოვს, რომ უნდა არსებობდეს ეფექტიანი ოფიციალური გამოძიების რაიმე ფორ-

---

748 82-ე პუნქტი; ასევე *იასა თურქეთის წინააღმდეგ (Yasa v. Turkey),* 2 სექტემბერი, 1998 წელი; ასევე იხ. C. Buckley, The European Convention on Human Rights and the Right to Life in Turkey, Human Rights Law Review, 1, No.1, 2001, 46-47; J. Chevalier-Watts, Effective Investigations under Article 2 of the European Convention on Human Rights: Securing the Right to Life or an Onerous Burden on a State? European Journal of International Law, 2010 Vol. 21, No.3, 706.

749 M. O'Boyle, The Development of the Right to Life, AFMÆLISRIT ÞÓR VILHJÁLMSSON, 2000, 73.

750 *მუსტაფა ტუნკი და ფერიცე ტუნკი თურქეთის წინააღმდეგ (Mustafa Tunc and Fecire Tunc v. Turkey),* დიდი პალატა, 14 აპრილი, 2015 წელი, 171-ე პუნქტი; ასევე იხ.: *პერეირა ჰენრიკესი ლუქსემბურგის წინააღმდეგ (Pereira Henriques v. Luxembourg),* 9 მაისი, 2006 წელი, 56-ე პუნქტი; *იოტოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Yotova v. Bulgaria),* 23 ოქტომბერი, 2012 წელი, 68-ე პუნქტი.

751 გადაწყვეტილება, 6 მაისი, 2003 წელი.

მა, როდესაც არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ პირს მიადგა სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ზიანი საეჭვო გარემოებებში, მაშინაც კი, როდესაც სასიკვდილო თავდასხმაში სავარაუდო დამნაშავე არ არის სახელმწიფოს წარმომადგენელი".[752]

რაც შეეხება სახელმწიფოს ვალდებულებას, აწარმოოს ეფექტიანი გამოძიება პირის მიერ თვითმკვლელობის შემთხვევაში, ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი სახელმწიფოს მიერ საპროცესო ვალდებულების შესრულების საჭიროებას. მაგალითად, საქმეზე – *ტრუბნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Trubnikov v. Russia)*, რომელიც ეხებოდა მოსარჩელის შვილის თვითმკვლელობას პენიტენციურ დაწესებულებაში, – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო გამოძიების ჩატარება, რის გამოც დადგინდა საპროცესო ვალდებულების დარღვევა.[753] თვითმკვლელობას ეხებოდა ასევე საქმე *კოსელავი თურქეთის წინააღმდეგ (Coselav v. Turkey)*, რომელშიც მოსარჩელეთა (მეუღლეები) შვილმა, თავი ჩამოიხრჩო საკნის გისოსზე ლოგინის ზეწრით.[754] სიცოცხლის უფლების დაცვის არსებით ვალდებულებასთან ერთად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა სახელმწიფოს მიერ საპროცესო ვალდებულების დარღვევა.[755]

ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სახელმწიფოს წარმოეშობა საპროცესო ვალდებულება მაშინაც კი, თუ პირი გაუჩინარდება, ისევე, როგორც მაშინ, როდესაც პირი აღმოჩნდა სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ სიტუაციაში, რომელიც არ დასრულდა გარდაცვალებით.

გაუჩინარებას ეხებოდა საქმე *ჩიჩეკი თურქეთის წინააღმდეგ (Cicek v. Turkey)*.[756] ამ საქმის მიხედვით, მოსარჩელე ასაჩივრებდა თავისი ორი შვილის დაუდასტურებელ დაკავებას თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის რეგიონში სამხედრო ოპერაციის დროს და მათ გაუჩინარებას. ბოლოს ეს ორი პირი ნახეს მაშინ, როდესაც სახელმწიფო უშიშროების სამსახური აკავებდა მათ. დაკავებიდან ექვს-ნახევარი წლის გასვლის შემდეგაც კი მოსარჩელის შვილების ადგილსამყოფელი და მათი ბედი უცნობი იყო. გარდა იმისა, რომ სახელმწიფომ ვერ წარმოადგინა რაიმე ინფორმაცია მოსარჩელის შვილების ადგილსამყოფლის შესახებ, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ეფექტიანი გამოძიების ჩატარება. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გამოძიება გაჭიანურდა არაგონივრულად დიდი ხნით და სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ძმებთან ერთად დაკავებული პირების ჩვენებებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება. ამის გამო, სასამართლოს შეფასებით, გამოძიება არ იყო ადეკვატური და სახელმწიფომ დაარღვია სიცოცხლის უფლება საპროცესო ნაწილში.

საქმე *კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ* (*Cyprus v. Turkey*) ეხებოდა 1485 ადამიანის გაუჩინარებას კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელსაც თურქეთი

---

752 ასევე იხ. *მუსტაფა ტუნკი და ფერიცე ტუნკი თურქეთის წინააღმდეგ (Mustafa Tunc and Fecire Tunc v. Turkey),* დიდი პალატა, 14 აპრილი, 2015 წელი, 171-ე პუნქტი; ასევე *პერეირა ჰენრიკესი ლუქსემბურგის წინააღმდეგ (Pereira Henriques v. Luxembourg),* 9 მაისი, 2006 წელი, 56-ე პუნქტი; *იოტოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Yotova v. Bulgaria),* 23 ოქტომბერი, 2012 წელი, 68-ე პუნქტი; ასევე იხ. M. Florczak-Wator, The Role of the European Court of Human Rights in Promoting Horizontal Positive Obligations of the State, International and Comparative Law Review, 2017, vol. 17, no. 2, 49-50.

753 5 ივლისი, 2005 წელი, 95-ე პუნქტი. ამ საქმეზე ევროპულ სასამართლოს არ დაუდგენია სიცოცხლის უფლების დაცვის არსებითი ვალდებულების დარღვევა. იხ. 79-ე პუნქტი.

754 9 ოქტომბერი, 2012 წელი.

755 78-ე პუნქტი.

756 27 თებერვალი, 2001 წელი.

აკონტროლებდა.[757] ევროპული სასამართლოს განცხადებით, არ არსებობს მტკიცებულება, რომ 1485 გაუჩინარებული პირის სიცოცხლის მოსპობა მოხდა თურქეთის სამხედრო ძალების ან მათი მხარდამჭერების მიერ. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მიუთითა, რომ საპროცესო ვალდებულება სახელმწიფოს მაშინაც წარმოეშობა, თუ სახელმწიფოს წარმომადგენლებმა დააკავეს პირი, ხოლო იგი მოგვიანებით გაუჩინარდა ისეთ სიტუაციაში, რომელიც სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველია.[758] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთმა ვერ უზრუნველყო კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე საპროცესო ვალდებულების შესრულება.[759]

საქმე *ვარნავა და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Varnava and Others v. Turkey)* ეხებოდა 1974 წელს კვიპროსის რამდენიმე მოქალაქის გაუჩინარების ფაქტის არაეფექტიან გამოძიებას თურქეთის სამხედრო ოპერაციის დროს ჩრდილოეთ კვიპროსში.[760] სასამართლომ დაადგინა, რომ გაუჩინარებები ხდებოდა სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ გარემოებებში, როდესაც სამხედრო ოპერაციებს თან ახლდა მასობრივი დაკავებები და მკვლელობები. სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში იმის გამო, რომ თურქეთის ხელისუფლებამ ვერ შეძლო, ეწარმოებინა ეფექტიანი გამოძიება 9 პირის ბედთან დაკავშირებით, რომლებიც გაუჩინარდნენ სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ გარემოებებში.[761]

რაც შეეხება პირის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ სიტუაციას, რომელიც არ დასრულდა გარდაცვალებით, საქმეზე – *მაკარაძისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Makaratzis v. Greece),* რომელშიც პოლიციის მიერ მოსარჩელის მიმართულებით იარაღიდან არაერთი გასროლის მიუხედავად, იგი მაინც გადარჩა, – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოძიება წარიმართა მნიშვნელოვანი ხარვეზებით.[762] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელისუფლებამ ვერ ჩაატარა შემთხვევის ეფექტიანი გამოძიება, რის გამოც დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში.[763]

---

757 10 მაისი, 2001 წელი.

758 132-ე პუნქტი; ასევე იხ. A. Mowbray, Duties of Investigation under the European Convention on Human Rights, 51, International and Comparative Law Quarterly, 51(2), 437-438.

759 136-ე პუნქტი.

760 დიდი პალატა, 18 სექტემბერი, 2009 წელი.

761 194-ე პუნქტი; ასევე იხ. გაუჩინარებასთან დაკავშირებული სხვა საქმეები: *აკდენიზი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Akdeniz and Others v. Turkey),* 31 მაისი, 2001 წელი, 93-ე პუნქტი; *ავსარი თურქეთის წინააღმდეგ (Avsar v. Turkey)*, 10 ივლისი, 2001 წელი, 408-ე პუნქტი; *ორჰანი თურქეთის წინააღმდეგ (Orhan v. Turkey)*, 18 ივნისი, 2002 წელი, 348-ე პუნქტი; *ტაჰსინ აჩარი თურქეთის წინააღმდეგ (Tahsin Acar v. Turkey)*, დიდი პალატა, 8 აპრილი, 2004 წელი, 234-ე პუნქტი; *ტოგცუ თურქეთის წინააღმდეგ (Togcu v. Turkey)*, 31 მაისი, 2005 წელი, 121-ე პუნქტი.

762 დიდი პალატა, 20 დეკემბერი, 2002 წელი.

763 76-ე-მე-80 პუნქტები. ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა სიცოცხლის უფლების დარღვევა არსებით ნაწილში. იხ. 72-ე პუნქტი; ასევე იხ. საქმე, რომელშიც სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა (საპროცესო ნაწილში), მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე გადარჩა ყაჩაღური თავდასხმის შედეგად. იხ. *კიტანოვსკა სტანოიკოვიჩი და სხვები ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ (Kitanovska Stanojkovic and Others v. The Former Yogoslav Republoc of Macedonia),* 13 ოქტომბერი, 2016 წელი, 34-ე პუნქტი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოს მიერ ეფექტიანი გამოძიების წარმოების ვალდებულება გაავრცელა გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის შემთხვევებზე, მათ შორის ექიმის გაუფრთხილებლობის, ბუნებრივი კატაკლიზმების ან უბედურ შემთხვევებზე.[764]

როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე შეიძლება წამოიჭრას სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი, თუ ეროვნული სამართლებრივი სისტემა ვერ უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის დადგენას გაუფრთხილებლობით ჩადენილი ისეთი აქტებისათვის, რომლებმაც საფრთხე შეუქმნა პირის სიცოცხლეს, ან რომლებსაც შედეგად მოჰყვა სიცოცხლის მოსპობა.[765] აქედან გამომდინარე, კერძო პირის მიერ გაუფრთხილებლობით ისეთი აქტის ჩადენის შემთხვევაში, რომელსაც მოჰყვა პირის გარდაცვალება ან მისი ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება, სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა, გადადგას შესაფერისი ნაბიჯები ისეთი ეფექტიანი და დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემის შესაქმნელად, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლებრივი საშუალებების ხელმისაწვდომობას, შეუძლია ფაქტების დადგენა, შესაბამისი პირებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება და შესაფერისი ზარალის ანაზღაურება მსხვერპლისათვის.[766] ამ ვალდებულებაზე ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სხვადასხვა სიტუაციასთან მიმართებით, მაგალითად, ისეთთან, რომელშიც მოსარჩელის მეუღლე გარდაიცვალა ხის ჩამოვარდნის შედეგად,[767] მოსარჩელის შვილი გარდაიცვალა ავტოავარიის შედეგად,[768] ან მოსარჩელის შვიდი წლის შვილი გარდაიცვალა ქარბუქში გაყინვის შედეგად, სკოლიდან სახლში დაბრუნებისას.[769]

---

764 *ლოპეზ დე სუსა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Lopes de Sousa Fernandes v. Portugal),* დიდი პალატა, 19 დეკემბერი, 2017 წელი, 214-ე პუნქტი; *ანნა ტოდოროვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Anna Todorova v. Bulgaria),* 24 მაისი, 2011 წელი, 72-ე პუნქტი; *კალველი და ციგლიო იტალიის წინააღმდეგ (Calvelli and Ciglio v. Italy),* დიდი პალატა, 17 იანვარი, 2002 წელი, 50-ე პუნქტი; *ბაჯიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Bajic v. Croatia),* 13 ნოემბერი, 2012 წელი; *ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ (Oneryildiz v. Turkey),* დიდი პალატა, 30 ნოემბერი, 2004 წელი, 94-ე პუნქტი*; პერეირა ჰენრიკესი ლუქსემბურგის წინააღმდეგ (Pereira Henriques v. Luxembourg),* 9 მაისი, 2006 წელი, 56-ე პუნქტი; *ბირზიკოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ (Byrzykowski v. Poland),* 27 ივნისი, 2006 წელი; *მიხნო უკრაინის წინააღმდეგ (Mikhno v. Ukraine),* 1 სექტემბერი, 2016 წელი; *აქტაში თურქეთის წინააღმდეგ (Aktas v. Turkey),* გადაწყვეტილება, 19 დეკემბერი, 2017 წელი; ასევე იხ. J. Kratochvil, The Rights to Life in the Perspective of the Human Rights Committee and the European Court of Human Rights, http://ssrn.com/asract=951225, p. 5; J. Gerards, Right to Life, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, P. van Dijk, F. van Hoof, A. van Rijn and L. Zwaak (eds.), 5th ed. 2018, 377; Guide on Article 2 of the European Convention on Human Rights, updated 31 August, 2022, available at: [https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_2_ENG.pdf], p. 43.

765 *ბანელი ლიტვის წინააღმდეგ (Banel v. Lithuania),* 18 ივნისი, 2018 წელი, 70-ე პუნქტი.

766 *ფერგეცი ხორვატიის წინააღმდეგ (Fergec v. Croatia)*, 9 მაისი, 2017 წელი, 32-ე პუნქტი.

767 *ჩიეჩონსკა პოლონეთის წინააღმდეგ (Ciechońska v. Poland),* 14 ივნისი, 2011 წელი, 66-ე პუნქტი.

768 *ანნა ტოდოროვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Anna Todorova v. Bulgaria)*, 24 მაისი, 2011 წელი, 72-ე პუნქტი.

769 *ილბეი ქემალოღლუ და მერიე ქემალოღლუ* (*İlbeyi Kemaloglu and Meriye Kemaloglu v. Turkey)*, 10 აპრილი, 2012 წელი, 38-ე პუნქტი. ასევე იხ. Guide on Article 2 of the European Convention on Human Rights, updated 31 August, 2022, available at: [https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_2_ENG.pdf], 43-44.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ევროპულმა სასამართლომ ასევე ნათელი მოჰფინა კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს საპროცესო ვალდებულებას. კერძოდ, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, შექმნას ეფექტიანი და დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს, საჯარო თუ კერძო სექტორში, სამედიცინო მზრუნველობაში მყოფ პაციენტთა გარდაცვალების მიზეზისა და შესაბამის პირთა პასუხისმგებლობის დადგენას.[770]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, როდესაც სიცოცხლის უფლება განზრახ არ დარღვეულა, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, შექმნას ეფექტიანი სამართლებრივი სისტემა, ჩაითვლება შესრულებულად, თუ ეს სისტემა ანიჭებს მსხვერპლს სამართლებრივი დაცვის საშუალებას სამოქალაქო სამართლებრივი წესით, დამოუკიდებლად ან სისხლისსამართლებრივ წესთან ერთად, რაც იძლევა პასუხისმგებლობის დადგენისა და შესაფერისი სამოქალაქო ზარალის ანაზღაურების შესაძლებლობას.[771]

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების შესრულების საშუალების არჩევანი, ძირითადად, ექცევა სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლებში. შესაბამისად, თუ სახელმწიფომ არ შეასრულა ეს ვალდებულება ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთი კონკრეტული საშუალებით, მას მაინც შეუძლია შეასრულოს თავისი პოზიტიური ვალდებულება სხვა საშუალებით.[772] აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლო იმის განსაზღვრისას, შეასრულა თუ არა სახელმწიფომ საპროცესო ვალდებულება, აფასებს იმას, შეეძლო თუ არა მოსარჩელისათვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებას ფაქტების დადგენა, შესაბამისი პირებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება და მსხვერპლისათვის ზარალის ანაზღაურება.[773]

მიუხედავად ამისა, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაშიც კი, შეიძლება არსებობდეს საგამონაკლისო გარემოება, როდესაც ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი გამოძიების ჩატარება აუცილებელია, რათა დაკმაყოფილდეს კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნა.[774] ევროპული სასამართლოს პოზიციით, საგამონაკლისო გარემოებად მიიჩნევა შემთხვევები, როდესაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა გასცდა უბრალო შეცდომას. ამის მაგალითებია პირთა სიცოცხლის მოსპობა სხვადასხვა სიტუაციაში, მათ შორის: საფრთხის შემცველი საწარმოო საქმიანობის,[775]

---

770 *სილიჰი სლოვენიის წინააღმდეგ (Silih v. Slovenia),* დიდი პალატა, 9 აპრილი, 2009 წელი, 192-ე პუნქტი; *ლოპეზ დე სუსა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Lopes de Sousa Fernandes v. Portugal)*, დიდი პალატა, 19 დეკემბერი, 2017 წელი, 214-ე პუნქტი.

771 *კალველი და ციგლიო იტალიის წინააღმდეგ (Calvelli and Ciglio v. Italy),* დიდი პალატა, 17 იანვარი, 2002 წელი, 51-ე პუნქტი; *მასტრომატეო იტალიის წინააღმდეგ (Mastromatteo v. Italy)*, 24 ოქტომბერი, 2002 წელი, 90-ე პუნქტი; *ლოპეზ დე სუსა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Lopes de Sousa Fernandes v. Portugal)*, დიდი პალატა, 19 დეკემბერი, 2017 წელი, 214-ე პუნქტი.

772 Guide on Article 2 of the European Convention on Human Rights, updated 31 August, 2022, available at: [https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_2_ENG.pdf], p. 44.

773 იქვე.

774 *ლოპეზ დე სუსა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Lopes de Sousa Fernandes v. Portugal)*, დიდი პალატა, 19 დეკემბერი, 2017 წელი, 215-ე პუნქტი.

775 ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ *(Oneryildiz v. Turkey),* დიდი პალატა, 30 ნოემბერი, 2004 წელი, 71-ე პუნქტი.

სამედიცინო დახმარებაზე უარის მიღების,[776] სამხედრო საქმიანობის,[777] საგზაო უსაფრთხოების წესების დაუცველობის,[778] ოჯახში ძალადობის საქმეზე პოლიციის პასიურობის შედეგად.[779]

გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებულ საქმეებზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ეფექტიანი სამართლებრივი სისტემის არსებობა უბედურ შემთხვევებთან მიმართებით, როდესაც სამართალწარმოება ეროვნულ დონეზე მეტისმეტად ხანგრძლივი აღმოჩნდა. ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა. ამ საქმეებს შორის არის საქმე *ანა ტოდოროვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Anna Todorova v. Bulgaria)*, რომელიც ეხებოდა ავტოავარიის შედეგად მოსარჩელის შვილის გარდაცვალებას, რომელმაც ვერც სისხლისსამართლებრივი და ვერც სამოქალაქო-სამართლებრივი წესით ეფექტიანად ვერ დაიცვა თავისი ინტერესები. ამიტომ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ეფექტიანი სამართლებრივი სისტემის არსებობა, რის გამოც დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.[780]

უბედურ შემთხვევებთან მიმართებით ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ეფექტიანი სამართლებრივი სისტემის არსებობა, მტკიცებულებათა არასათანადო შეგროვების გამო, რამაც გავლენა მოახდინა საქმეზე ფაქტების დადგენისა და შესაბამისი პირებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პერსპექტივაზე. ამ საქმეებს შორის არის საქმე *ჩიეჩონსკა პოლონეთის წინააღმდეგ (Ciechońska v. Poland),* რომელიც ეხებოდა პირის გარდაცვალებას ხის ჩამოვარდნის შედეგად.[781] ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ გამოძიების საწყის ეტაპზე არსებულმა ხარვეზებმა გავლენა მოახდინა ფაქტების დადგენისა და შესაბამისი პირებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პერსპექტივაზე. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ ჩამოვარდნილი ხე დაუყოვნებლივ გაიტანეს შემთხვევის ადგილიდან და გაანადგურეს, ფოტოგრაფიული მტკიცებულებები იყო დაბალი ხარის-

---

776 *ასიე გენცი თურქეთის წინააღმდეგ (Asiye Genc v. Turkey),* 27 იანვარი, 2015 წელი, 73-ე პუნქტი.

777 *ორუკი თურქეთის წინააღმდეგ (Oruk v. Turkey),* 4 თებერვალი, 2014 წელი, 65-ე პუნქტი.

778 *სმილიანიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Smiljanic v. Croatia),* 25 მარტი, 2021 წელი, 93-ე პუნქტი.

779 *თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ (Tkhelidze v. Georgia),* 8 ივლისი, 2021 წელი, 59-ე-მე-60 პუნქტები; ასევე იხ. Guide on Article 2 of the European Convention on Human Rights, updated 31 August, 2022, available at: [https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_2_ENG.pdf], p. 44.

780 24 მაისი, 2011 წელი, 83-ე პუნქტი; ასევე იხ. საგზაო შემთხვევასთან დაკავშირებული სხვა საქმეები: *იგორ შევჩენკო უკრაინის წინააღმდეგ (Igor Shevchenko v. Ukraine)*, 12 იანვარი, 2012 წელი, 61-ე პუნქტი; *სტარჩევიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Starcevic v. Croatia)*, 13 ნოემბერი, 2014 წელი, 67-ე პუნქტი; ასევე იხ. საქმე, რომელიც ეხებოდა აფეთქების შედეგად მოსარჩელის შვილის გარდაცვალებას: *მიცუბაბიჩი სერბეთის წინააღმდეგ (Mučibabić v. Serbia)*, 12 ივლისი, 2016 წელი, 135-ე პუნქტი; საქმე, რომელიც ეხებოდა მოსარჩელის შვილის გარდაცვალებას ხანძრის შედეგად მიღებული დამწვრობის გამო, *სიდიკა იმრენი თურქეთის წინააღმდეგ (Sıdıka İmren v. Turkey),* 13 სექტემბერი, 2016 წელი, 67-ე პუნქტი. Guide on Article 2 of the European Convention on Human Rights, updated 31 August, 2022, available at: [https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_2_ENG.pdf], p. 46.

781 14 ივნისი, 2011 წელი.

ხის, ხოლო გაზის მილის ადგილმდებარეობა და მისი გავლენა ხის ჯანმრთელობაზე არასოდეს შესწავლილა.[782]

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მოკლე მიმოხილვამ ნათელყო, რომ ეფექტიანი გამოძიების წარმოების ვალდებულება სახელმწიფოს ეკისრება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც სიცოცხლის მოსპობა სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენების შედეგია, არამედ მაშინაც, როდესაც გარდაცვალება გამოწვეულია კერძო პირებისა და არაიდენტიფიცირებული პირების მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენების,[783] ექიმის გაუფრთხილებლობის,[784] ბუნებრივის კატაკლიზმის ან უბედური შემთხვევის შედეგად.[785] ეფექტიანი გამოძიების ვალდებულება სახელმწიფოს ასევე წარმოეშობა პირის გაუჩინარების,[786] თვითმკვლელობის, საეჭვო გარემოებებში[787] ან პატიმრობაში პირის გარდაცვალების შემთხვევაში,[788] ისევე როგორც სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ ისეთ სიტუაციაში, რომელიც არ დასრულდა გარდაცვალებით.[789]

შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება, მიუხედავად იმისა, რამ განაპირობა პირის გარდაცვალება, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი გამოძიების მინიმალური მოთხოვნები.[790]

---

782 75-ე პუნქტი; ასევე იხ. საქმე, რომელიც ეხება საგზაო შემთხვევას, რომლის შედეგად მოსარჩელის შვილი გარდაიცვალა: *ანტონოვი უკრაინის წინააღმდეგ (Antonov v. Ukraine)*, 3 ნოემბერი, 2011 წელი, 50-ე პუნქტი; ასევე *ვოვკი და ბოგდანოვი რუსეთის წინააღმდეგ (Vovk and Bogdanov v. Russia)*, 11 თებერვალი, 2020 წელი, 77-ე პუნქტი.

783 *ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ (Opuz v. Turkey)*, 9 ივნისი, 2009 წელი, 150-ე პუნქტი.

784 *ლოპეზ დე სუსა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Lopes de Sousa Fernandes v. Portugal)*, დიდი პალატა, 19 დეკემბერი, 2017 წელი, 215-ე პუნქტი.

785 J. Chevalier-Watts, Effective Investigations under Article 2 of the European Convention on Human Rights: Securing the Right to Life or an Onerous Burden on a State? European Journal of International Law, 2010 Vol. 21, No.3, 701.

786 *ვარნავა და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Varnava and Others v. Turkey),* დიდი პალატა, 18 სექტემბერი, 2009 წელი, 191-ე პუნქტი; *ჩიჩეკი თურქეთის წინააღმდეგ (Cicek v. Turkey),* 27 თებერვალი, 2001 წელი, 150-ე პუნქტი; *აკდენიზი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Akdeniz and Others v. Turkey)*, 31 მაისი, 2001 წელი, 87-ე-89-ე პუნქტები; *ავსარი თურქეთის წინააღმდეგ (Avsar v. Turkey),* 10 ივლისი, 2001 წელი, 416-ე პუნქტი; *ორჰანი თურქეთის წინააღმდეგ (Orhan v. Turkey)*, 18 ივნისი, 2002 წელი, 348-ე პუნქტი; *ტაჰსინ აჩარი თურქეთის წინააღმდეგ (Tahsin Acar v. Turkey),* დიდი პალატა, 8 აპრილი, 2004 წელი, 226-ე პუნქტი; ასევე იხ. C. Buckley, The European Convention on Human Rights and the Right to Life in Turkey, Human Rights Law Review, 1, No.1, 2001, 44-46; A. Mowbray, Duties of Investigation under the European Convention on Human Rights, 51, International and Comparative Law Quarterly, 51(2), 446.

787 *იორგა მოლდოვის წინააღმდეგ (Iorga v. Moldova)*, 23 მარტი, 2010 წელი, 26-ე პუნქტი.

788 *პოლი და ოდრი ედვარდსები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom)*, 14 მარტი, 2002 წელი, 69-ე პუნქტი; *ტრუბნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Trubnikov v. Russia)*, 5 ივლისი, 2005 წელი, 92-ე პუნქტი.

789 Guide on Article 2 of the European Convention on Human Rights, updated 31 August, 2022, available at: [https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_2_ENG.pdf], p. 32; ასევე S. Skinner, Lethal Force, the Right to Life and the ECHR: Narrative of Death and Democracy, 2019, 97.

790 E. Thoonen, Death in State Custody: Obligations to Prevent Premature Death of Detainees and to Investigate Death of Detainees Pursuant to the European Convention on Human Rights, 2017, 285.

4.3.1. გამოძიება, როგორც სახელმწიფოს დამოუკიდებელი ვალდებულება

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, მიჩნეულია, რომ სახელმწიფოს საპროცესო ვალდებულება, აწარმოოს ეფექტიანი გამოძიება სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში, არის „ცალკე და ავტონომიური ვალდებულება“.[791] ეს იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული საქმის განხილვისას ევროპული სასამართლო დამოუკიდებლად აფასებს, გადადგა თუ არა სახელმწიფომ სიცოცხლის უფლების დაცვისაკენ მიმართული შესაბამისი ნაბიჯები როგორც არსებითი, ისე საპროცესო ვალდებულებების შესასრულებლად.[792]

ვინაიდან ევროპული სასამართლო ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განიხილავს როგორც არსებითი, ისე საპროცესო ვალდებულების შესრულებას, მან შეიძლება დაადგინოს კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ვალდებულების დარღვევა მაშინაც კი, თუ, იმავდროულად, არ დაადგენს იმავე მუხლის არსებით დარღვევას.[793] პირველად ეს მოხდა საქმეზე – *კაია თურქეთის წინააღმდეგ (Kaya v. Turkey)*,[794] რომელზეც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში ისე,[795] რომ, იმავდროულად, არ დაუდგენია ამ მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში, რადგან გონივრული ეჭვის მიღმა სტანდარტით ვერ მოხერხდა იმის განსაზღვრა, იყვნენ თუ არა ის პირები, რომლებმაც მოსარჩელის ძმას მოუსპეს სიცოცხლე, სახელმწიფოს წარმომადგენლები.[796]

ეს შეიძლება მოხდეს პირიქითაც, კერძოდ, სასამართლომ შეიძლება დაადგინოს არსებითი ვალდებულების დარღვევა და არ დაადგინოს საპროცესო ვალდებულების დარღვევა.[797] ცხადია, რომ ასევე შეიძლება დადგინდეს ორივე (არსებითი და საპროცესო) ვალდებულების დარღვევა ან არცერთის.[798] ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს თავის პრაქტიკაში არაერთხელ დაუდგენია, რომ სახელმწიფომ დაიცვა სიცოცხლის უფლება არსებით ნაწილში, თუმცა მან ვერ დაიცვა ეს უფლება საპროცესო ნაწილში, კერძოდ, მან ვერ ჩაატარა ეფექტიანი გამოძიება. ამასთანავე, პრაქტიკაში იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ დაიცვა კონვენციის

---

791 *სილიჰი სლოვენიის წინააღმდეგ (Silih v. Slovenia),* დიდი პალატა, 9 აპრილი, 2009 წელი, 159-ე პუნქტი.

792 *არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Armani Da Silva v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 30 მარტი, 2016 წელი, 231-ე პუნქტი.

793 მაგ., *ტაჰსინ აჩარი თურქეთის წინააღმდეგ (Tahsin Acar v. Turkey),* დიდი პალატა, 8 აპრილი, 2004 წელი, 219-ე და 234-ე პუნქტები; ასევე იხ. J. Gerards, Right to Life, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, P. van Dijk, F. van Hoof, A. van Rijn and L. Zwaak (eds.), 5th ed. 2018, 376; V. Rusinova, The Duty to Investigate the Death of Persons Arrested and/or Detained by Public Authorities, in: The Right to Life, C. Tomushat, E. Lagrange and S. Oeter (eds.), 2010, 68.

794 19 თებერვალი, 1998 წელი.

795 E. Myjer, Investigation into the Use of Lethal Force: Standards of Independence and Impartiality, in: The Right to Life under Article 2 of the European Convention: Twenty Years of Legal Developments since McCann v. the United Kingdom, in honour of Michael O'Boyle, 2016, 120.

796 78-ე პუნქტი.

797 S. Trechsel, Spotlight on Article 2 ECHR, The Right to Life, in: Development and Developing International Law and European Law: Essays in Honour of Konrad Ginther on the Occasion of his 65th Birthday, W. Benedek, H. Isak and R. Kicker (eds.), 1999, 671.

798 S. Skinner, Lethal Force, the Right to Life and the ECHR: Narrative of Death and Democracy, 2019, 105-106.

მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში, მაშინ, როდესაც სასამართლოს არ დაუდგენია სიცოცხლის უფლების დარღვევა არსებით ნაწილში.[799] ასეთი სიტუაცია მაშინ შეიძლება შეიქმნას, როდესაც სასამართლო გონივრული ეჭვის მიღმა სტანდარტით ვერ დარწმუნდა, რომ გარდაცვალება გამოიწვია სახელმწიფოს წარმომადგენლის ქმედებამ.

4.3.2. პირის გარდაცვალების ეფექტიანი გამოძიების მიზანი და ფორმა

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 1995 წელს მიიღო პირველი გადაწყვეტილება კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის შესახებ, რომელსაც მოჰყვა რამდენიმე სხვა გადაწყვეტილება. 2001 წლის 4 მაისს საქმეებზე: *მაკკერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McKerr v. the United Kingdom), კელი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Kelly and Others v. the United Kingdom), შანაგანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Shanaghan v. the United Kingdom)* და *ჰიუ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hugh Jordan v. the United Kingdom)* მიღებულმა გადაწყვეტილებებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შინაარსის შემდგომი განსაზღვრის საქმეში.

საქმეზე – *ჰიუ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hugh Jordan v. the United Kingdom)*, რომელიც ასახავს ოთხივე გადაწყვეტილების შინაარსს, ევროპულმა სასამართლომ განიხილა გამოძიების მიზნისა და ფორმის საკითხი, და აღნიშნა: „ასეთი გამოძიების არსებითი მიზანია, უზრუნველყოს ეროვნული კანონმდებლობის ეფექტიანი შესრულება, რომელიც იცავს სიცოცხლის უფლებას, ხოლო, თუ საქმე ეხება სახელმწიფოს წარმომადგენლებს ან ორგანოებს, დააკისროს მათ პასუხისმგებლობა გარდაცვალებისათვის. გამოძიება რა ფორმით მიაღწევს თავის მიზნებს, შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა გარემოებაში.“[800] აქედან გამომდინარე, ევროპულმა

---

799 მაგ., *კაია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Kaya v. the United Kingdom),* 19 თებერვალი, 1998 წელი; *ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ (Enukidze and Girgvliani v. Georgia)*, 26 აპრილი, 2011 წელი; *იასა თურქეთის წინააღმდეგ (Yasa v. Turkey),* 2 სექტემბერი, 1998 წელი. ასევე იხ. E. Myjer, Investigation into the Use of Lethal Force: Standards of Independence and Impartiality, in: The Right to Life under Article 2 of the European Convention: Twenty Years of Legal Developments since McCann v. the United Kingdom, in honour of Michael O'Boyle, 2016, 120.

800 4 მაისი, 2001 წელი, 105-ე პუნქტი; *ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (Nachova and Others v. Bulgaria)*, დიდი პალატა, 6 ივლისი, 2005 წელი, 110-ე პუნქტი. ასევე იხ. A. Mowbray, Duties of Investigation under the European Convention on Human Rights, 51, International and Comparative Law Quarterly, 51(2), 438; H. Russell, Striving for Never Again: A European Convention for the Protection of All Persons from Enforced Disappearance and the Veiled Protection of Article 2 of the ECHR, Inter-American and European Human Rights Journal, 9, No.2, 2016, 488-492; S. Talmon, The Procedural Obligation under Article 2 ECHR to Investigate and Cooperate with Investigation of Unlawful Killings in a Cross-Border Context, Bonn Research Papers on Public International Law, Paper No.13/2018, 25 April 2018 (updated 11 June 2019), available: [https://ssrn.com/abstract=3168414], 6; J. Kratochvil, The Rights to Life in the Perspective of the Human Rights Committee and the European Court of Human Rights, http://ssrn.com/asract=951225, p. 9.

სასამართლომ ხაზი გაუსვა გამოძიების მიზანს – ეროვნული კანონმდებლობის ეფექტიანი შესრულების უზრუნველყოფას და შესაბამისი პირების პასუხისმგებლობის დაკისრებას.[801]

მიუხედავად იმისა, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პირის სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში უნდა ჩატარდეს ეფექტიანი ოფიციალური გამოძიება, მას არ განუსაზღვრავს გამოძიების ფორმა. გამოძიების ფორმასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, სახელმწიფო რა ფორმით წარმართავს გამოძიებას.[802] მისი ფორმა შეიძლება განსხვავდებოდეს კონკრეტული გარემოებებისა და ეროვნული პრაქტიკის მიხედვით, თუმცა მან უნდა დააკმაყოფილოს გამოძიების სტანდარტები.[803]

საქმეზე – *ველიკოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Velikova v. Bulgaria)* – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ: „გამოკვლევის ბუნება და ხარისხი, რომელიც აკმაყოფილებს გამოძიების ეფექტიანობის მინიმალურ მოთხოვნებს, დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე. ის უნდა შეფასდეს ყველა შესაბამისი ფაქტის საფუძველზე და საგამოძიებო საქმიანობის პრაქტიკული რეალობის გათვალისწინებით. შეუძლებელია სხვადასხვა სიტუაცია, რომლებიც შეიძლება შეიქმნას, დაყვანილ იქნეს საგამოძიებო მოქმედებების მხოლოდ ჩამონათვალამდე ან სხვა გამარტივებულ კრიტერიუმებამდე...“.[804]

მართალია, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ის არ ადგენს გამოძიების რაიმე ფორმას, ეს სახელმწიფოს არ ათავისუფლებს გამოძიების წარმოების ვალდებულებისაგან. მიუხედავად ვითარების სირთულისა, რომელიც შეიძლება კონკრეტულ სიტუაციაში შეიქმნას, სახელმწიფოს მაინც ეკისრება გამოძიების ჩატარების ვალდებულება. საქმეზე – *კაია თურქეთის წინააღმდეგ (Kaya v. Turkey)* – მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში ტერორიზმის საფრთხის გამო შექმნილმა მძიმე მდგომარეობამ განაპირობა მინიმალური საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება. მოპასუხე სახელმწიფოს მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ განაცხადა შემდეგი: „სიცოცხლის მოსპობა ტრაგიკული და ხშირი მოვლენაა სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში არსებული უსაფრთხოების მდგომარეობის გათვალისწინებით ... მიუხედავად ამისა, არც ძალადობრივ სამხედრო შეტაკებათა შემთხვევების გახშირებას და არც გარდაცვალების რაოდენობის ზრდას არ შეუძლია გააქარწყლოს მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება, ჩატარდეს გარდაცვალების ისეთი შემთხვევების ეფექტიანი და დამოუკიდებელი გამოძიება, რომლებიც გამოწვეულ იქნა უშიშროების ძალებთან შეტაკებებით, განსაკუთრებით ამ საქმის მსგავს შემთხვევებში, რომლებშიც გარემოებები ბუნდოვანია ბევრი თვალსაზრისით.“[805]

---

801 *ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ* (*Nachova and Others v. Bulgaria)*, 6 ივლისი, 2005 წელი, 110-ე პუნქტი. ასევე იხ. M. O'Boyle, Duty to Carry Out an Effective Investigation Under Article 2 of the ECHR, in: El Tribunal Europeo de Derechos Humanos, Una vision desde dentro, En homenaje al Juez Josep Casadevall, 2015, 217.

802 *ალ-სქეინი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al-Skeini and Others v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 7 ივლისი, 2011 წელი, 165-ე პუნქტი.

803 M. O'Boyle, Duty to Carry out an Effective Investigation under Article 2 of the ECHR, in: El Tribunal Europeo de Derechos Humanos: Una vision desde dentro, En homenaje al Juez Josep Casadevall, 2015, 218.

804 18 მაისი, 2000 წელი, მე-80 პუნქტი.

805 19 თებერვალი, 1998 წელი, 91-ე პუნქტი.

ამ განცხადებით ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა სახელმწიფოს მიერ გამოძიების წარმოების ფუნდამენტურ მნიშვნელობას და ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ისეთმა მძიმე ვითარებამაც კი, როგორიცაა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, არ შეიძლება გაამართლოს ეფექტიანი გამოძიების მოთხოვნის შეუსრულებლობა.[806] აქედან გამომდინარე, ვინაიდან მოპასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ამ საქმის ეფექტიანი გამოძიების ჩატარება, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში.[807]

4.3.3. გამოძიების სტანდარტები

მართალია, ევროპულმა სასამართლომ არ განსაზღვრა გამოძიების ფორმა, მან დაადგინა, რომ გამოძიებამ უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული სტანდარტები. საქმეზე – *ჰიუ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hugh Jordan v. the United Kingdom)* – ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა გამოძიების ძირითადი სტანდარტები.[808] ევროპულმა სასამართლომ იმავე სტანდარტებზე გაამახვილა ყურადღება იმავე დღეს მიღებულ სხვა გადაწყვეტილებებში, როგორებიცაა საქმეები: *მაკკერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McKerr v. the United Kingdom)*,[809] *კელი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Kelly and others v. the United Kingdom)*[810] და *შანაგანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Shanaghan v. the United Kingdom)*.[811] მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ სასამართლოს 2011 წლამდე მიღებულ გადაწყვეტილებებშიც ჰქონდა მსჯელობა გამოძიების სტანდარტების ცალკეულ ელემენტებზე, ამ გადაწყვეტილებებში მან კომპლექსურად იმსჯელა და ჩამოაყალიბა ეს სტანდარტები. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა შემდეგ სტანდარტებზე:

1. „ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს საკუთარი ინიციატივით, როდესაც [გარდაცვალების] ფაქტი გახდება მისთვის ცნობილი. მას არ შეუძლია, ფაქტი ნათესავის ინიციატივას მიანდოს, რომ ის შეიტანს ფორმალურ საჩივარს ან პასუხისმგებლობას იკისრებს რაიმე საგამოძიებო პროცედურის ჩატარებაზე;“[812]
2. გამოძიება რომ იყოს ეფექტიანი, „... ის ადამიანები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გამოძიებაზე და აწარმოებენ მას, დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ იმ ადამიანებისაგან, რომლებიც გარეულნი არიან შესაბამის მოვლენებში. ... ეს ნიშნავს არა

---

806 S. Skinner, Lethal Force, the Right to Life and the ECHR: Narrative of Death and Democracy, 2019, 102-103.

807 92-ე პუნქტი; ასევე იხ. M. O'Boyle, Duty to Carry Out an Effective Investigation Under Article 2 of the ECHR, in: El Tribunal Europeo de Derechos Humanos, Una vision desde dentro, En homenaje al Juez Josep Casadevall, 2015, 215; K. E. Irwin, Prospects for Justice: The Procedural Aspect of the Right to Life under the European Convention on Human Rights and its Application to Investigations of Northern Ireland's Bloody Sunday, Fordham International Law Journal, Vol. 22, No. 4, April 1999, 1847.

808 4 მაისი, 2001 წელი, 105-ე-109-ე პუნქტები.

809 4 მაისი, 2001 წელი, 112-ე-115-ე პუნქტები.

810 4 მაისი, 2001 წელი, 95-ე-98-ე პუნქტები.

811 88-ე-92-ე პუნქტები. ასევე იხ. A. Mowbray, Duties of Investigation under the European Convention on Human Rights, 51, International and Comparative Law Quarterly, 51(2), 437-438.

812 105-ე პუნქტი.

მხოლოდ იერარქიული ან ინსტიტუციური კავშირის არარსებობას, არამედ პრაქტიკულ დამოუკიდებლობას;“[813]

3. „გამოძიება ასევე უნდა იყოს ეფექტიანი იმ გაგებით, რომ მას უნდა ჰქონდეს იმ შედეგებამდე მიყვანის უნარი, რომელიც დაადგენს, იყო თუ არა გამოყენებული ძალა გამართლებული შექმნილ გარემოებებში ... და მოახდენს პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებასა და დასჯას. ... ეს არ არის შედეგზე ორიენტირებული ვალდებულება, არამედ ეხება გამოყენებულ საშუალებებს. ხელისუფლებამ უნდა გადადგას მათთვის ხელმისაწვდომი გონივრული ნაბიჯები, იმისათვის, რომ უზრუნველყოს შემთხვევასთან დაკავშირებული მტკიცებულებების, მათ შორის, მოწმის, ჩვენება, სასამართლო-სამედიცინო მტკიცებულება და, სადაც ეს შესაფერისია, ავტოფსიის დასკვნა, რომელიც წარმოაჩენს მიყენებული ზიანის ზუსტ სურათს და კლინიკური მიგნების ობიექტურ ანალიზს, სიკვდილის მიზეზის ჩათვლით. ... გამოძიების ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს სიკვდილის მიზეზის ან პასუხისმგებელი პირის ან პირების დადგენის შესაძლებლობას, საფრთხეს უქმნის ამ სტანდარტის დაკმაყოფილებას;[814]
4. „ამ კონტექსტში იგულისხმება გონივრული სისწრაფის მოთხოვნა. ... მისაღებად უნდა ჩაითვალოს, რომ შეიძლება არსებობდეს დაბრკოლებები ან სირთულეები, რომლებიც ხელს უშლის გამოძიების მსვლელობას. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების სწრაფი რეაგირება სასიკვდილო ძალის გამოყენების გამოძიების საქმეში მნიშვნელოვანია, რომ შენარჩუნდეს საზოგადოების ნდობა სამართლის უზენაესობის ერთგულებისადმი და თავიდან იქნეს აცილებული მასთან წინააღმდეგობის არსებობის ან უკანონო აქტების მიმართ თმენის შთაბეჭდილება;“[815]
5. „უნდა არსებობდეს გამოძიების ან მისი შედეგების მიმართ საზოგადოებრივი კონტროლის საკმარისი ელემენტი, რომ უზრუნველყოფილი იყოს ანგარიშვალდებულება როგორც პრაქტიკაში, ისე თეორიაში. საზოგადოებრივი კონტროლის ხარისხი შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სხვადასხვა საქმეზე. მიუხედავად ამისა, ყველა საქმეზე გარდაცვლილის ნათესავი უნდა იყოს ინფორმირებული გამოძიების მიმდინარეობის შესახებ იმ ფარგლებში, რომელიც მისცემს შესაძლებლობას, დაიცვას თავისი ლეგიტიმური ინტერესები.“[816]

ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს, რომ გამოძიებამ უნდა დააკმაყოფილოს რამდენიმე მოთხოვნა.[817] სახელმწიფომ უნდა ჩაატაროს

---

813 106-ე პუნქტი; ასევე იხ. *რამსაჰაი და სხვები ნიდერლანდის წინააღმდეგ (**Ramsahai and Others v. Netherlands**)*, დიდი პალატა, 15 მაისი, 2007 წელი, 325-ე პუნქტი.

814 107-ე პუნქტი.

815 108-ე პუნქტი.

816 109-ე პუნქტი; ასევე იხ. B. Dickson, The European Convention on Human Rights and the Conflict in Northern Ireland, 2010, 269-270.

817 J. Murdoch and R. Roche, The European Convention on Human Rights and Policing: A Handbook for Police Officers and Other Law Enforcement Officials, 2013, 32; E. Myjer, Investigation into the Use of Lethal Force: Standards of Independence and Impartiality, in: The Right to Life under Article 2 of the European Convention: Twenty Years of Legal Developments since McCann v. the United Kingdom, in honour of Michael O'Boyle, 2016, 123; H. Russell, Striving for Never Again: A European Convention for the Protection of All Persons from Enforced Disappearance and the Veiled Protection of Article 2 of the ECHR, Inter-American and European Human Rights Journal, 9, No.2, 2016, 488-492.

პირის გარდაცვალების ფაქტის გამოძიება, მიუხედავად გარდაცვალების მიზეზისა[818] და გამოძიებამ უნდა დააკმაყოფილოს რამდენიმე მოთხოვნა. კერძოდ, გამოძიება უნდა დაიწყოს სახელმწიფომ, თუნდაც არ იყოს შეტანილი გარდაცვლილის ნათესავის ოფიციალური საჩივარი საგამოძიებო ორგანოში; გამოძიება უნდა იყოს დამოუკიდებელი და ადეკვატური; გამოძიება უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ და წარიმართოს გონივრული სისწრაფით; უნდა არსებობდეს საზოგადოებრივი კონტროლი გამოძიების მიმართ და გარდაცვლილის ნათესავი უნდა იყოს ჩართული გამოძიების პროცესში.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია თითოეული მოთხოვნის ცალ-ცალკე განხილვა.

4.3.3.1. გამოძიების დაწყება

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა მკაფიო პოზიცია გამოძიების დაწყების შესახებ, რომლის მიხედვით, სახელმწიფოს ეკისრება საპროცესო ვალდებულება, დაიწყოს გამოძიება, როდესაც მისთვის ცნობილი ხდება სიცოცხლის მოსპობის ფაქტის შესახებ და გამოძიების დაწყება არ უნდა იყოს დამოკიდებული გარდაცვლილის ნათესავის მიერ საგამოძიებო ორგანოში შეტანილ ოფიციალურ საჩივარზე.[819] საქმეზე – *ერგი თურქეთის წინააღმდეგ (Ergi v. Turkey)* – თურქეთის მთავრობამ განაცხადა, რომ მას არ ეკისრებოდა ვალდებულება, ეწარმოებინა გამოძიება, თუ არავინ შეიტანდა ფორმალურ საჩივარს მკვლელობის შესახებ.[820] ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა ეს პოზიცია და აღნიშნა, რომ „არც ის არის გადამწყვეტი, გარდაცვლილის ნათესავმა ან სხვამ შეიტანა თუ არა ფორმალური საჩივარი მკვლელობის შესახებ შესაბამის საგამოძიებო ორგანოში. ამ საქმეში ხელისუფლების მხრიდან მკვლელობის ფაქტის შესახებ ინფორმაციის ფლობა ***ipso facto*** წარმოშობს ვალდებულებას მე-2 მუხლის მიხედვით, ჩაატაროს გარდაცვალებასთან დაკავშირებული ეფექტიანი გამოძიება.“[821] საქმეზე – *იასა თურქეთის წინააღმდეგ (Yasa v. Turkey)*

---

818 სახელმწიფოს ასევე ეკისრება გამოძიების ჩატარების ვალდებულება სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ისეთი შემთხვევის მიმართ, რომელიც არ დასრულებულა გარდაცვალებით.

819 O’Boyle, Duty to Carry Out an Effective Investigation Under Article 2 of the ECHR, in: El Tribunal Europeo de Derechos Humanos, Una vision desde dentro, En homenaje al Juez Josep Casadevall, 2015, 221; M. O’Boyle, The Development of the Right to Life, AFMÆLISRIT ÞÓR VILHJÁLMSSON, 2000, 73 E. Myjer, Investigation into the Use of Lethal Force: Standards of Independence and Impartiality, in: The Right to Life under Article 2 of the European Convention: Twenty Years of Legal Developments since McCann v. the United Kingdom, in honour of Michael O’Boyle, 2016, 127.

820 28 ივლისი, 1998 წელი.

821 82-ე პუნქტი; ასევე *ილჰანი თურქეთის წინააღმდეგ (Ilhan v. Turkey)*, დიდი პალატა, 27 ივნისი, 2000 წელი, 63-ე პუნქტი; ასევე იხ. J. Chevalier-Watts, Effective Investigations under Article 2 of the European Convention on Human Rights: Securing the Right to Life or an Onerous Burden on a State? European Journal of International Law, 2010 Vol. 21, No.3, 706; C. Buckley, The European Convention on Human Rights and the Right to Life in Turkey, Human Rights Law Review, 1, No.1, 2001, 46-47; V. Rusinova, The Duty to Investigate the Death of Persons Arrested and/or Detained by Public Authorities, in: The Right to Life, C. Tomushat, E. Lagrange and S. Oeter (eds.), 2010, 77; K. E. Irwin, Prospects for Justice: The Procedural Aspect of the Right to Life under the European Convention on Human Rights and its Application to Investigations of Northern Ireland’s Bloody Sunday, Fordham International Law Journal, Vol. 22, No. 4, April 1999, 1848-1849.

– სასამართლომ აღნიშნა: „მხოლოდ ის ფაქტი, რომ ხელისუფლება ინფორმირებული იყო ... მკვლელობის შესახებ, ***ipso facto*** წარმოშობს მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებას, აწარმოოს ეფექტიანი გამოძიება.“[822] იგივე პოზიცია ჰქონდა ევროპულ სასამართლოს საქმეზე – *ჰიუ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hugh Jordan v. the United Kingdom*), რომლის მიხედვით, „ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს თავისი ინიციატივით, როდესაც ფაქტი გახდება მისთვის ცნობილი. მას არ შეუძლია, ეს ნათესავის ინიციატივას მიანდოს, რომ ის შეიტანს ფორმალურ საჩივარს ან პასუხისმგებლობას იკისრებს რაიმე საგამოძიებო პროცედურის ჩატარებაზე.“[823] ევროპულმა სასამართლომ ეს მიდგომა დაადასტურა არაერთ მომდევნო საქმეზე.[824] აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში მყარად დამკვიდრებულია პოზიცია, რომ სახელმწიფომ უნდა დაიწყოს გამოძიება, როდესაც მისთვის გახდება ცნობილი გარდაცვალების ფაქტის შესახებ.[825]

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, განსხვავებით იმ საქმეებისაგან, რომლებიც ეხება განზრახ სიცოცხლის მოსპობას, საქმეებში, რომლებშიც სიცოცხლის მოსპობა მოხდა გაუფრთხილებლობით, მათ შორის ექიმის გაუფრთხილებლობით, სახელმწიფო არ არის ვალდებული, თავად დაიწყოს გამოძიება. ამ ტიპის საქმეებზე სახელმწიფოს წარმოეშობა სიცოცხლის მოსპობის გამოძიების ვალდებულება მხოლოდ მაშინ, როდესაც გარდაცვლილის ნათესავი სახელმწიფოს მიმართავს გამოძიების დაწყების მოთხოვნით.[826] საქმეზე *სილიჰი სლოვენიის წინააღმდეგ (Silih v. Slovenia)* ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „იმ საქმეებზე, რომელთა მიხედვით, გარდაცვალება მოხდა განზრახვის გარეშე და რომლებიც ეხება საპროცესო ვალდებულების გამოყენებას, ეს ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას გარდაცვლილის ნათესავის მიერ სამართალწარმოების დაწყების მიმართვის საფუძველზე.“[827]

---

822 2 სექტემბერი, 1998 წელი, მე-100 პუნქტი; ასევე იხ. E. Wicks, The Right to Life and Conflicting Interests, 2010, 63.

823 4 მაისი, 105-ე პუნქტი; ასევე იხ. *ილჰანი თურქეთის წინააღმდეგ (Ilhan v. Turkey)*, დიდი პალატა, 27 ივნისი, 2000 წელი, 63-ე პუნქტი.

824 ასევე იხ. *მაკკერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McKerr v. the United Kingdom),* 4 მაისი, 2001 წელი, 111-ე პუნქტი; *კელლი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Kelly and Others v. the United Kingdom)*, 4 მაისი, 2001 წელი, 94-ე პუნქტი; *ორჰანი თურქეთის წინააღმდეგ (Orhan v. Turkey)*, 18 ივნისი, 2002 წელი, 334-ე პუნქტი; *ისაევა, იუსუპოვა, ბაზაიევა რუსეთის წინააღმდეგ (Isayeva, Yusopova, Bazayeva v. Russia),* 24 თებერვალი, 2005 წელი, 209-ე პუნქტი; *ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ* (***Nachova and Others v. Bulgaria)***, დიდი პალატა, 6 ივლისი, 2005 წელი, 111-ე პუნქტი; ***Angelova and Eliev v. Bulgaria***, 26 July 2007, para. 96); *ახმადოვა და ახმადოვი რუსეთის წინააღმდეგ (Akhmadova and Akhmadov v. Russia)*, 25 სექტემბერი, 2008 წელი, 78-ე პუნქტი; *ალ-სქეინი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al-Skeini and Others v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 7 ივლისი, 2011 წელი, 165-ე პუნქტი; ასევე იხ. A. Carcano, Notable Cases of the European Court of Human Rights on the Right to Life: Materials and Analysis, 2021, 57.

825 *სლიმანი საფრანგეთის წინააღმდეგ (Slimani v. France),* 27 ივლისი, 2004 წელი, 47-ე პუნქტი.

826 *ლოპეზ დე სუსა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Lopes de Sousa Fernandes v. Portugal)*, დიდი პალატა, 19 დეკემბერი, 2017 წელი, 222-ე პუნქტი.

827 156-ე პუნქტი; ასევე იხ. E. Brems, Procedural Protection: An examination of Procedural Safeguards Read into Substantive Convention Rights, in: Shaping Rights in the ECHR: The Role of the European Court of Human Rights in Determining the Scope of Human Rights, E. Brems and J. Gerards (eds.), 2013, 141-142.

აქედან გამომდინარე, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში სახელმწიფოს არ ეკისრება ავტომატური ვალდებულება, დაიწყოს გამოძიება, როგორც ეს არის სიცოცხლის ძალადობრივი გზით მოსპობის შემთხვევაში, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც გარდაცვლილის ნათესავი შესაბამის საგამოძიებო ორგანოს მიმართავს გამოძიების დაწყების მოთხოვნით.

4.3.3.2. გამოძიების დამოუკიდებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, გამოძიება რომ ჩაითვალოს ეფექტიანად, მას უნდა აწარმოებდნენ იმ პირებისაგან დამოუკიდებელი პირები, რომელთა მოქმედებამ, სავარაუდოდ, გამოიწვია პირის გარდაცვალება.[828] როგორც საქმეზე – *რამსაჰაი და სხვები ნიდერლანდის წინააღმდეგ (Ramsahai and Others v. the Netherlands)* – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: „... ის ადამიანები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან [გამოძიებაზე] და აწარმოებენ მას, დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ იმ ადამიანებისაგან, რომლებიც გარეულნი არიან შესაბამის მოვლენებში. ... ეს ნიშნავს არა მხოლოდ იერარქიული ან ინსტიტუციური კავშირის არარსებობას, არამედ პრაქტიკულ დამოუკიდებლობას. ... სასწორზე დგას საზოგადოების ნდობა სახელმწიფო მონოპოლიის მიმართ ძალის გამოყენებაზე".[829] ამ ჩანაწერით ევროპულმა სასამართლომ არა მარტო ის განმარტა, რომ მხოლოდ ისეთმა პირმა უნდა აწარმოოს გამოძიება, რომელიც დამოუკიდებელია შესაბამის საქმეში გარეული პირისაგან და, რომ ამ დამოუკიდებლობაში იგულისხმება როგორც იერარქიული, ინსტიტუციური და პრაქტიკული კავშირის არარსებობა ამ პირებს შორის, არამედ ისიც, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გამოძიების დამოუკიდებლობას, რომლისთვისაც საფრთხის შექმნა ეჭვის ქვეშ დააყენებს ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებას, როგორიცაა საზოგადოების ნდობა სახელმწიფოს მიმართ.[830]

ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი არ მოითხოვს, გამოძიებაზე პასუხისმგებელი პირები და ორგანოები იყვნენ აბსოლუტურად დამოუკიდებელნი, არამედ ადგენს იმის საჭიროებას, რომ ისინი იყვნენ საკმარისად დამოუკიდებელნი იმ პირებისა და სტრუქტურებისაგან, რომელთა პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს. მათი დამოუკიდებლობის ხარისხის შესაფერისობა ფას-

---

828 E. Myjer, Investigation into the Use of Lethal Force: Standards of Independence and Impartiality, in: The Right to Life under Article 2 of the European Convention: Twenty Years of Legal Developments since McCann v. the United Kingdom, in honour of Michael O'Boyle, 2016, 127.

829 15 მაისი, 2007 წელი, 325-ე პუნქტი; ასევე *ჰიუ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hugh Jordan v. the United Kingdom),* 4 მაისი, 2001 წელი, 106-ე პუნქტი; ასევე იხ. *ანგუელოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Anguelova v. Bulgaria)*, 13 ივნისი, 2002 წელი, 138-ე პუნქტი; *ტაჰსინ აჩარი თურქეთის წინააღმდეგ (Tahsin Acar v. Turkey)*, დიდი პალატა, 8 აპრილი, 2004 წელი, 222-ე პუნქტი; *ჯულიანი და გაჯიო იტალიის წინააღმდეგ (Giuliani and Gaggio v. Italy),* დიდი პალატა, 24 მარტი, 2011 წელი, მე-300 პუნქტი; *მუსტაფა ტუნკი და ფერიცე ტუნკი თურქეთის წინააღმდეგ (Mustafa Tunc and Fecire Tunc v. Turkey)*, დიდი პალატა, 14 აპრილი, 2015 წელი, 254-ე პუნქტი; *არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Armani da Silva v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 30 მარტი, 2016 წელი, 232-ე პუნქტი.

830 S. Skinner, Lethal Force, the Right to Life and the ECHR: Narrative of Death and Democracy, 2019, 114.

დება ყველა იმ გარემოების საფუძველზე, რომლებიც დამახასიათებელია თითოეული საქმისათვის.[831]

როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, როდესაც დგება გამოძიების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საკითხი, სწორი მიდგომაა იმის შესწავლა, სადავო გარემოებამ დააყენა თუ არა და რა ხარისხით, ეჭვის ქვეშ გამოძიების ეფექტიანობა და მისი უნარი, მოჰფინოს ნათელი გარდაცვალების გარემოებებსა და უზრუნველყოს მასზე პასუხისმგებელი პირების დასჯა.[832]

ევროპულმა სასამართლომ თავისი პრაქტიკით დაადგინა, რომელმა პირებმა ან ორგანოებმა არ უნდა აწარმოონ გამოძიება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს გამოძიების დამოუკიდებლობა. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ეფექტიანი გამოძიების ვალდებულების დარღვევად მიიჩნევა პოლიციელების მიერ სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებული ისეთი საქმის გამოძიება, რომელშიც გარეულნი არიან კოლეგა პოლიციელები.[833]

საქმის – *ჰიუ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hugh Jordan v. the United Kingdom)* – მიხედვით, მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ არ მომხდარა მისი შვილის, რომელიც სასიკვდილო გასროლით მოკლა პოლიციის თანამშრომელმა, საქმის ეფექტიანი გამოძიება.[834] სხვადასხვა საპროცესო ხარვეზთან ერთად, ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მკვლელობის გამოძიებას ხელმძღვანელობდა და ატარებდა პოლიციის თანამშრომელი, რომელიც იყო იერარქიულად დაკავშირებული პოლიციის იმ თანამშრომელთან, რომლის საქმესაც იძიებდა.[835]

გამოძიების დამოუკიდებლობის საკითხი დაისვა საქმეზე – *რამსაჰაი და სხვები ნიდერლანდის წინააღმდეგ (Ramsahai v. the Netherlands)*.[836] ეს საქმე ეხებოდა პოლიციელის მიერ სასიკვდილო გასროლას პირის მიმართ, რომელიც, პოლიციის მტკიცებით, ცეცხლსასროლი იარაღით დაემუქრა მას. ამ საქმეზე მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებები (გასროლის ადგილის დათვალიერება, ადგილზე მოწმეების ჩხრეკა და მათი პირველადი დაკითხვა, პოლიციის ოფიცრების ჩათვლით) ჩატარდა პოლიციის იმავე სამსახურის მიერ, რომელშიც საქმიანობდნენ მკვლელობასთან დაკავშირებული პოლიციელები. გამოძიების დაწყებიდან 15.5 საათის შემდეგ გამოძიება გადაიბარა ეროვნული პოლიციის შიდა საგამოძიებო დეპარტამენტმა (National Police Internal Investigations Department) – დამოუკიდებელმა საგამოძიებო ორგანომ. მიუხედავად იმისა, რომ 15.5 საათის შემდეგ გამოძიება

---

831 *მუსტაფა ტუნკი და ფერიცე ტუნკი თურქეთის წინააღმდეგ (Mustafa Tunc and Fecire Tunc v. Turkey)*, დიდი პალატა, 14 აპრილი, 2015 წელი, 223-ე პუნქტი.

832 *მუსტაფა ტუნკი და ფერიცე ტუნკი თურქეთის წინააღმდეგ (Mustafa Tunc and Fecire Tunc v. Turkey)*, დიდი პალატა, 14 აპრილი, 2015 წელი, 224-ე პუნქტი.

833 *რამსაჰაი და სხვები ნიდერლანდის წინააღმდეგ (Ramsahai and Others v. Netherlands),* დიდი პალატა, 15 მაისი, 2007 წელი, 335-ე-341-ე პუნქტები; *ფინუკანე გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Finucane v. the United Kingdom),* 1 ივლისი, 2003 წელი, 76-ე პუნქტი; *Brecknell v. UK, 2007; გული თურქეთის წინააღმდეგ (Gul v. Turkey),* 14 დეკემბერი, 2000 წელი, 91-ე პუნქტი; *Skendzic and Krznaric v. Croatia,* 2011; *მოკანუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Mocanu and Others v. Romania),* დიდი პალატა, 17 სექტემბერი, 2014 წელი, 333-ე პუნქტი; *ბისარ აიჰანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Bisar Ayhan and Others v. Turkey),* 18 მაისი, 2021 წელი, 57-ე პუნქტი; *ხოდუკევიჩი რუსეთის წინააღმდეგ (Khodyukevich v. Russia),* 28 აგვისტო, 2018 წელი, 73-ე-74-ე პუნქტები.

834 2001 წლის 4 მაისი.

835 120-ე პუნქტი.

836 დიდი პალატა, 15 მაისი, 2007 წელი.

გადაიბარა დამოუკიდებელმა სამსახურმა, ამ დროის განმავლობაში გამოძიების წარმოება პოლიციის იმავე სამსახურის მიერ, რომელშიც საქმიანობდნენ მკვლელობასთან დაკავშირებული პოლიციელები, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია ეფექტიანი გამოძიების მოთხოვნის დარღვევად.[837] რაც შეეხება იმას, რომ მოგვიანებით საქმის გამოძიებას ზედამხედველობას უწევდა პროკურატურა, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პროკურატურა უდავოდ დაეყრდნობოდა პოლიციიდან მიღებულ ინფორმაციას და ისარგებლებდა მისი მხარდაჭერით. მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ პროკურატურას ჰქონდა საკმარისი დამოუკიდებლობა პოლიციისაგან. ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დამოუკიდებლობის პრობლემა შეიძლება წარმოიშვას მაშინ, თუ პროკურატურას ექნება მჭიდრო სამსახურებრივი ურთიერთობა პოლიციის კონკრეტულ განყოფილებასთან.[838]

საქმე *ერემიასოვა და პეჩოვა ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (Eremiasova and Pechova v. the Czech Republic)* ეხებოდა ძარცვისათვის დაკავებული პირის (ვ.პ.-ს) პოლიციის განყოფილების შენობის ფანჯრიდან თავით გადახტომას, რომლის შედეგად იგი გარდაიცვალა. მოსარჩელეები (გარდაცვლილის პარტნიორი და დედა) ამტკიცებდნენ, რომ ვ.პ. პოლიციელებმა გადააგდეს ფანჯრიდან და რომ არ ჩატარებულა საქმის ეფექტიანი გამოძიება.

სხვა საპროცესო დარღვევებთან ერთად, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ყველა სამსახური, რომელმაც აწარმოა გამოძიება ვ.პ-ს გარდაცვალების საქმეზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ ექვემდებარებოდა შინაგან საქმეთა მინისტრს, რის გამოც ისინი არ იყვნენ დამოუკიდებელნი და არ იყვნენ უზრუნველყოფილნი იერარქიულად ზემდგომი თანამდებობის პირების ზემოქმედებისაგან დაცვის საკმარისი გარანტიებით.[839] შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.[840]

საქმეზე – *ოგური თურქეთის წინააღმდეგ (Ogur v. Turkey)* – ევროპულმა სასამართლომ ეჭვის ქვეშ დააყენა გამოძიების დამოუკიდებლობა, რადგან ისინი, ვინც აწარმოებდნენ გამოძიებას და ისინი, ვინც პასუხისმგებელნი იყვნენ მკვლელობაზე, ექვემდებარებოდნენ ერთსა და იმავე მმართველობით ჯაჭვს.[841]

საქმე *ფინოგენოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Finogenov and Others v. Russia)* ეხებოდა სამაშველო ოპერაციის გამოძიებას, რომლის შედეგად არაერთი ადამიანი გარდაიცვალა, მათ შორის, გაიგუდა ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გაზის გამოყენების შედეგად.[842] ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საგამოძიებო ჯგუფი არ იყო დამოუკიდებელი, რადგან მასში იყვნენ იმ სამართალდამცავ

---

837 341-ე პუნქტი.

838 342-ე-346-ე პუნქტები; ასევე იხ. M. O'Boyle, Duty to Carry out an Effective Investigation under Article 2 of the ECHR, in: El Tribunal Europeo de Derechos Humanos: Una vision desde dentro, En homenaje al Juez Josep Casadevall, 2015, 222.

839 154-ე პუნქტი.

840 ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.

841 დიდი პალატა, 20 მაისი, 1999 წელი, 91-ე პუნქტი. *კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Kukhalashvili and Others v. Georgia),* 20 აპრილი, 2020 წელი, 132-ე პუნქტი; ასევე იხ. F. Ni Aolain, The Evolving Jurisprudence of the European Convention Concerning the Right to Life, Netherlands Quarterly of Human Rights, 19, No.1, 2001, 37.

842 20 დეკემბერი, 2011 წელი.

ორგანოში მომუშავე პირების ნათესავები, რომლებიც უშუალოდ პასუხისმგებელნი იყვნენ სამაშველო ოპერაციის დაგეგმვასა და ჩატარებაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობების ექსპერტები იყვნენ უშიშროების ფედერალური სამსახურიდან (FSB), მაშინ, როდესაც უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლების მიმართ მიმდინარეობდა გამოძიება. გარდაცვლილთა გვამების სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება და მათი სამედიცინო ისტორიის წარმოება დაევალა ლაბორატორიას, რომელიც პირდაპირ ექვემდებარებოდა მოსკოვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საქალაქო დეპარტამენტს. იმავდროულად, ამ დეპარტამენტის უფროსი პირადად იყო პასუხისმგებელი მსხვერპლთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ორგანიზებაზე და, შესაბამისად, იყო დაინტერესებული საქმის შედეგებით.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ, „საბოლოოდ, საგამოძიებო ჯგუფის წევრებსა და ექსპერტებს, რომელთა დასკვნებს მთავარი გამომძიებელი ძირითადად დაეყრდნო, ჰქონდათ ინტერესთა კონფლიქტი და ეს იყო იმდენად აშკარა, რომ თავისთავად ასეთ ინტერესთა კონფლიქტს შეეძლო, ეჭვის ქვეშ დაეყენებინა გამოძიების ეფექტიანობა და მისი დასკვნების სანდოობა.“[843]

თუ პოლიციის მიერ ძალის გამოყენების შედეგად პირი გარდაიცვალა, პოლიციის თანამშრომლებმა შეიძლება მხოლოდ უზრუნველყონ გარდაცვალების ადგილის დაცვა, რათა არ დაიკარგოს ან განადგურდეს შესაბამისი მტკიცებულებები.[844]

გარდა იერარქიული და ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს გამოძიების პრაქტიკული დამოუკიდებლობა.

4.3.3.3. გამოძიების ადეკვატურობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, გამოძიება ეფექტიანად რომ ჩაითვალოს, დამოუკიდებლობის გარდა, უნდა იყოს უზრუნველყოფილი მისი ადეკვატურობა.[845] გამოძიება რომ მიიჩნიონ ადეკვატურად, „ის უნდა იყოს მიმართული როგორც იმის დადგენისაკენ, არის თუ არა კონკრეტულ გარემოებებში გამოყენებული ძალა გამართლებული, ... ისე მიმართული პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებისა და დასჯისაკენ. ეს არ არის შედეგზე ორიენტირებული ვალდებულება, არამედ ეხება გამოყენებულ საშუალებებს. ხელისუფლებამ უნდა გადადგას მათთვის ხელმისაწვდომი გონივრული ნაბიჯები შემთხვევასთან დაკავშირებულ მტკიცებულებათა შესაგროვებლად, მათ შორის, მოწმეთა ჩვენებების, სასამართლო-სამედიცინო მტკიცებულებების და, სადაც ეს შესაძლებელია, გვამის გაკვეთის შესახებ დასკვნის მოპოვება, რომელიც ახდენს მიყენებული ზიანის სრულ და ზუსტ აღწერას და კლინიკური მიგნებების ობიექტურ ანალიზს, მათ შორის გარდაცვალების მიზეზის შესახებ. ... ნებისმიერი ხარვეზი გამოძიებაში, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს მის უნარს, მოახდინოს კანონდამრღვევის ან კანონდამრღვევების იდენტიფიცირება, საფრთხეს უქმ-

---

843 282-ე პუნქტი; ასევე იხ. *აბუიევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Abuyeva and Others v. Russia),* 2 დეკემბერი, 2010 წელი, 212-ე-213-ე პუნქტები.

844 J. Murdoch and R. Roche, The European Convention on Human Rights and Policing: A Handbook for Police Officers and Other Law Enforcement Officials, 2013, 32.

845 *რამსაჰაი და სხვები ნიდერლანდის წინააღმდეგ (Ramsahai and Others v. Netherlands),* დიდი პალატა, 15 მაისი, 2007 წელი, 324-ე პუნქტი; ასევე იხ. J. Kratochvil, The Rights to Life in the Perspective of the Human Rights Committee and the European Court of Human Rights, http://ssrn.com/asract=951225, p. 9-10.

ნის ამ სტანდარტს. "[846] ამ გადაწყვეტილების მიხედვით, გამოძიება უნდა იყოს მიმართული იმისაკენ, რომ დადგინდეს, არის თუ არა კონკრეტულ გარემოებებში გამოყენებული ძალა გამართლებული, ისევე, როგორც მიმართული პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებისა და დასჯისაკენ.[847] სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ გამოძიება არ არის შედეგის მიღწევის ვალდებულება, არამედ არის საშუალების ვალდებულება, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ ჩატარებული გამოძიება ყოველთვის შეიძლება არ დასრულდეს პირის სამართლებრივი დევნით.

რაც შეეხება იმას, რომ გამოძიება უნდა იყოს მიმართული პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებისა და დასჯისაკენ, საინტერესოა ევროპული სასამართლოს საქმე *ატაიკაია თურქეთის წინააღმდეგ (Ataykaya v. Turkey)*.[848] ეს საქმე ეხებოდა მოსარჩელის შვილის სიცოცხლის მოსპობას ცრემლსადენი გაზის ჭურვის სროლის შედეგად, რომელიც განახორციელა პოლიციამ უკანონო დემონსტრაციის დროს. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მისი შვილი გარდაიცვალა პოლიციის მიერ გადამეტებული ძალის გამოყენების შედეგად და რომ არ ჩატარებულა მისი შვილის გარდაცვალების ეფექტიანი გამოძიება.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ გამოძიებამ ვერ მოახდინა პოლიციის იმ თანამშრომლების იდენტიფიცირება, რომლებმაც განახორციელეს გასროლა, რადგან მათი სახეები იყო დაფარული ბალაკლავით, ისევე როგორც დაზუსტებით ვერ დაადგინა იმ თანამშრომლების რაოდენობა, რომლებიც უფლებამოსილნი იყვნენ, გამოეყენებინათ ამ ტიპის იარაღი.[849] სასამართლომ მიუთითა, რომ ვერც პოლიციის მიერ ჩატა-

---

846 *კელლი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Kelly and Others v. the United Kingdom)*, 4 მაისი, 2001 წელი, 96-ე პუნქტი; ასევე *კაია თურქეთის წინააღმდეგ (Kaya v. Turkey),* 1998 წლის 19 თებერვალი, 87-ე პუნქტი; *გულეკი თურქეთის წინააღმდეგ (Gulec v. Turkey)*, 27 ივლისი, 1998 წელი, 78-ე პუნქტი; *ოგური თურქეთის წინააღმდეგ (Ogur v. Turkey),* დიდი პალატა, 20 მაისი, 1999 წელი, 88-ე პუნქტი; *ჰიუ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hugh Jordan v. the United Kingdom),* 4 მაისი, 2001 წელი, 107-ე პუნქტი; *ტაჰსინ აჩარი თურქეთის წინააღმდეგ (Tahsin Acar v. Turkey)*, დიდი პალატა, 8 აპრილი, 2004 წელი, 223-ე პუნქტი; *ბაზორკინა რუსეთის წინააღმდეგ (Bazorkina v. Russia)*, 27 ივლისი, 2006 წელი, 118-ე პუნქტი; *ალ-სქეინი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al-Skeini and Others v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 7 ივლისი, 2011 წელი, 166-ე პუნქტი; *არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Armani da Silva v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 30 მარტი, 2016 წელი, 233-ე პუნქტი; ასევე იხ. M. O'Boyle, Duty to Carry out an Effective Investigation under Article 2 of the ECHR, in: El Tribunal Europeo de Derechos Humanos: Una vision desde dentro, En homenaje al Juez Josep Casadevall, 2015, 223; F. de Sanctis, What Duties do States have with Regard to the Rules of Engagement and the Training of Security Forces under Article 2 of the European Convention on Human Rights? International Journal of Human Rights, Vol. 10, N1, 2006, 41; E. Brems, Procedural Protection: An examination of Procedural Safeguards Read into Substantive Convention Rights, in: Shaping Rights in the ECHR: The Role of the European Court of Human Rights in Determining the Scope of Human Rights, E. Brems and J. Gerards (eds.), 2013, 148.

847 *ბაზორკინა რუსეთის წინააღმდეგ (Bazorkina v. Russia),* 27 ივლისი, 2006 წელი, 118-ე პუნქტი; ასევე იხ. V. Rusinova, The Duty to Investigate the Death of Persons Arrested and/or Detained by Public Authorities, in: The Right to Life, C. Tomushat, E. Lagrange and S. Oeter (eds.), 2010, 74.

848 22 ივლისი, 2014 წელი.

849 50-ე პუნქტი.

რებულმა ადმინისტრაციულმა გამოძიებამ დაადგინა იმ პოლიციელთა ვინაობა, რომლებმაც მოახდინეს სასიკვდილო გასროლა. ამის მიზეზი იყო ის, რომ პოლიციელებს ეცვათ ბალაკლავა, რაც იყო მთავარი დაბრკოლება მათი იდენტიფიცირებისათვის.[850] სპეცოპერაციის დროს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ ბალაკლავის ტარების შედეგი იყო ის, რომ ამ პირებს ჰქონდათ იმუნიტეტი სისხლისსამართლებრივი დევნის მიმართ. ამ პრაქტიკის შედეგად მოწმეებს არ შეეძლოთ იმ პირის იდენტიფიცირება, რომელმაც მოახდინა სასიკვდილო გასროლა მოსარჩელის შვილის მიმართულებით.[851]

შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფომ ნებაყოფლობით შექმნა დაუსჯელობის გარემო, რომელმაც შეუძლებელი გახადა როგორც სამართალდამცავი ორგანოების იმ თანამშრომლების იდენტიფიცირება, რომლებიც ეჭვმიტანილები იყვნენ ცრემლსადენი გაზის ჭურვების უკანონო გასროლაზე, ისე ოფიცრების პასუხისმგებლობის დადგენა. ყოველივე ამან ხელი შეუშალა ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას.[852] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა როგორც საპროცესო, ისე არსებით ნაწილში.

ის, რომ გამოძიება უნდა იყოს მიმართული პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებისა და დასჯისაკენ, ევროპული სასამართლოს განმარტებით, ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს ჭეშმარიტი ძალისხმევა, რათა მოხდეს არა მხოლოდ იმ პირის იდენტიფიცირება, რომელმაც ჩაიდინა მკვლელობა, არამედ იმ პირისაც, ვინც შეუკვეთა მკვლელობა. აქედან გამომდინარე, გამოძიების პროცესში სახელმწიფოს ძალისხმევა უნდა გასცდეს დაქირავებული მკვლელის იდენტიფიცირებას.[853]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის პრეცედენტულ სამართალში ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოპოვების მნიშვნელობაზე, არამედ ამ მტკიცებულებათა მოპოვების მეთოდზე. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ სიცოცხლის მოსპობის შესახებ გამოძიების წარმართვისას მნიშვნელოვანია მტკიცებულების მიღების ისეთი მეთოდების გამოყენება, მათ შორის, როგორებიცაა: მოწმეთა ჩვენებების მიღება, მტკიცებულებათა შეგროვება და გვამის გაკვეთის შესახებ საექსპერტო დასკვნის მოპოვება. აქედან გამომდინარე, გამოძიება იყო თუ არა მიმართული იმის დადგენისაკენ, კონკრეტულ გარემოებებში გამოყენებული ძალა გამართლებული იყო თუ არა, ისევე როგორც პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებისა და დასჯისაკენ, უნდა შეფასდეს მტკიცებულებების მოსაპოვებლად სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების გონივრულობით.

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, სახელმწიფომ უნდა გადადგას ყველა შესაძლო გონივრული ნაბიჯი იმისათვის, რათა მოიპოვოს შემთხვევასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, მათ შორის: მოწმეთა ჩვენებები, ნივთიერი მტკიცებულებები და, სადაც საჭიროა, ჩაატაროს ავტოფსია, რომელიც უზრუნველყოფს ზიანის სავარაუდო ნიშნების სრულ და ზუსტ აღნუსხვასა და კლინიკური მიგნებების ობიექტურ ანალიზს, გარდაცვალების მიზეზის ჩათვლით.[854] აქედან

---

850 51-ე პუნქტი.

851 52-ე პუნქტი.

852 54-ე პუნქტი.

853 *მაზეპა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Mazepa and Others v. Russia),* 17 სექტემბერი, 2018 წელი, 75-ე-79-ე პუნქტები.

854 *არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Armani da Silva v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 30 მარტი, 2016 წელი, 163-ე პუნქტი.

გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მტკიცებულებათა მოპოვების სხვადასხვა მეთოდზე, მათ შორის მოწმეთა ჩვენებების მიღებაზე, მტკიცებულებათა შეგროვებასა და ავტოფსიის ჩატარებაზე.[855]

როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, გამოძიების დასკვნებს საფუძვლად უნდა დაედოს ყველა შესაბამისი ელემენტის ყოვლისმომცველი, ობიექტური და მიუკერძოებელი ანალიზი. თუ მოკვლევა არ ტარდება სწორად, ეს მნიშვნელოვნად ძირს უთხრის გამოძიების უნარს, დაადგინოს საქმის გარემოებები და მოახდინოს პასუხისმგებელ პირთა იდენტიფიცირება.[856]

4.3.3.3.1. მოწმეთა ჩვენებები

სიცოცხლის მოსპობის შესახებ მტკიცებულებათა მოპოვების ერთ-ერთი მეთოდია ჩვენებების მიღება მოწმეებისაგან. ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ, თუ კანონმდებლობა ამას ითვალისწინებს, გამოძიების წარმოების ეტაპზე სახელმწიფომ უნდა გადადგას გონივრული ნაბიჯები ძირითადი მოწმეებისაგან ჩვენების მისაღებად.[857]

საქმეზე – *გულეკი თურქეთის წინააღმდეგ (Güleç v. Turkey)*, რომელიც ეხებოდა მოსარჩელის 15 წლის შვილის სიცოცხლის მოსპობას დემონსტრაციის დროს, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ, ვინაიდან გამოძიებამ ვერ უზრუნველყო ძირითადი მოწმეებისაგან (ჯავშნიანი მანქანის მძღოლი და ტყვიის მოხვედრის მომენტში მოსარჩელის შვილის გვერდით მდგომი პირი) ჩვენების მიღება, გამოძიება „არ იყო სრულყოფილი.“[858] აქედან გამომდინარე, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, გამოძიება რომ ჩაითვალოს ადეკვატურად, აუცილებელია, სახელმწიფომ გადადგას გონივრული ნაბიჯები, რათა მიიღოს ჩვენება ყველა ძირითადი მოწმისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოძიება ვერ ჩაითვლება ეფექტიანად.[859]

საინტერესოა საქმე *კოლევი ბულგარეთის წინააღმდეგ (Kolevi v. Bulgaria)*, რომელშიც მოსარჩელე, მის მკვლელობამდე, იყო ნ. კოლევი, მაღალი რანგის პროკურორი ბულგარეთში, ხოლო ნ. კოლევის მკვლელობის შემდეგ მოსარჩელეები გახდნენ მისი მეუღლე და შვილები.[860] ამ საქმეში 2001 და 2002 წლებში რამდენიმე საჯარო პირმა, მათ შორის ნ. კოლევმა, საჯაროდ განაცხადა, რომ ქვეყნის მთავარ პროკურორს ჰქონდა ფსიქიკური აშლილობა, რომ მან ჩაიდინა არაერთი მძიმე დანაშაული და რომ ატერორებდა და სჯიდა თავის ქვეშევრდომებს, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ მის ბრძანებებს, მაშინაც კი, თუ ეს ბრძანებები იყო უკანონო. ნ. კოლევმა ხელისუფლებასა და პრესას განუცხადა, რომ მოსალოდნელი იყო მისი დაკავება ნარკოტიკებთან დაკავშირებული შეთითხნილი ბრალდებით, რისი მიზანიც მისი გაჩუმება იყო. მან ასევე რამდენჯერმე საჯაროდ განაცხადა საფრთხის შესახებ, რომ იგი შეიძლება გამოასალმონ სიცოცხლეს მთავარი პროკურორის მიერ მართული სასტიკი კამპანიის ფარგლებში.

---

855 A. Mowbray, Duties of Investigation under the European Convention on Human Rights, 51, International and Comparative Law Quarterly, 51(2), 440.

856 *მუსტაფა ტუნკი და ფერიცე ტუნკი თურქეთის წინააღმდეგ (Mustafa Tunc and Fecire Tunc v. Turkey)*, დიდი პალატა, 14 აპრილი, 2015 წელი, 175-ე პუნქტი.

857 *რანცევი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ (Rantsev v. Cyprus and Russia)*, 7 იანვარი, 2010 წელი, 237-ე პუნქტი.

858 1998 წლის 27 ივლისი, 79-ე და 82-ე პუნქტები.

859 A. Mowbray, Duties of Investigation under the European Convention on Human Rights, International and Comparative Law Quarterly, 51(2), 441.

860 5 დეკემბერი, 2009 წელი.

2001 წლის იანვარში მთავარი პროკურორის განცხადებით, ნ. კოლევი განთავისუფლდა სამსახურიდან საპენსიო ასაკის მიღწევის გამო. ნ. კოლევმა გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება, ხოლო სასამართლომ მისი განთავისუფლება უკანონოდ მიიჩნია და მიუთითა, რომ ნ. კოლევს არ მიუღწევია საპენსიო ასაკისათვის, ან/და მას არ მოუთხოვია სამსახურიდან ნებაყოფლობით განთავისუფლება.

2001 წლის ივნისში ნ. კოლევი დააკავეს და წარუდგინეს ბრალდება ნარკოტიკული საშუალებებისა და იარაღის ფლობისათვის და შეუფარდეს პატიმრობა. მოგვიანებით იგი მოათავსეს შინა პატიმრობაში, ხოლო 2001 წლის ნოემბერში გაათავისუფლეს. 2002 წლის დეკემბერში ნ. კოლევი მოკლეს. მიუხედავად იმისა, რომ ჩატარდა რიგი საგამოძიებო მოქმედებისა, მისი მკვლელის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა.

მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ გამოძიება არ იყო ეფექტიანი. ისინი აცხადებდნენ, საგამოძიებო ორგანოს ჰქონდა მყარი მტკიცებულებები, რომ არსებობდა სერიოზული კონფლიქტი ნ. კოლევსა და მთავარ პროკურორს შორის. გამოძიებისათვის ცნობილი იყო, რომ მთავარმა პროკურორმა გასცა ბრძანება სამსახურიდან მისი განთავისუფლებისა და დაკავების, ასევე მისთვის ბრალდების უსაფუძვლოდ წარდგენის შესახებ. გამომძიებლებმა მოიპოვეს ჩვენება, რომელიც მიანიშნებდა, რომ მაღალი რანგის პროკურორები, მთავარი პროკურორის ჩათვლით, შეიძლება ყოფილიყვნენ გარეულნი ნ. კოლევის მკვლელობაში.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ, გამოძიების წინაშე არსებული მასალების გათვალისწინებით, „გამომძიებლებს უნდა გამოეკვლიათ განცხადებები, რომ მთავარი პროკურორი და სხვა მაღალი რანგის პროკურორები და თანამდებობის პირები შეიძლება გარეულნი ყოფილიყვნენ ნ. კოლევის მკვლელობაში, თუნდაც ეს განცხადებები, საბოლოოდ, უსაფუძვლო ყოფილიყო.“[861] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში.

საქმეზე – *ჰიუ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hugh Jordan v. the United Kingdom)*, რომელიც ეხებოდა მოსარჩელის შვილის სასიკვდილო გასროლით მოკვლას პოლიციის თანამშრომლის მიერ, მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ არ ჩატარებულა მისი შვილის მკვლელობის ეფექტიანი გამოძიება.[862] ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ, სხვა საკითხებთან ერთად, დაადგინა, რომ მოსარჩელის შვილის მკვლელობის შესახებ გამოძიება არ აკმაყოფილებდა საპროცესო მოთხოვნებს, რადგან ხელისუფლებას არ მოუთხოვია იმ თანამშრომლის მიერ ჩვენების მიცემა, რომელმაც განახორციელა სასიკვდილო გასროლა (ინგლისისა და უელსის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ჩრდილოეთ ირლანდიაში პოლიციის თანამშრომელს არ ეკისრებოდა ასეთი ვალდებულება), რამაც, ევროპული სასამართლოს აზრით, დააკარგვინა გამოძიებას უნარი, დაედგინა მკვლელობასთან დაკავშირებული ფაქტები, განსაკუთრებით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული, და, შესაბამისად, დაეკმაყოფილებინა კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნები.[863]

სასამართლოს აზრით, კონვენციის მოთხოვნების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი იყო, გამოძიების დასკვნები საფუძვლად დასდებოდა ყველა სათანადო ელემენტის მომცველ, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს, რაც ამ საქმეზე არ მომხდარა.

საქმე *ასლახანოვა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Aslakhanova and Others v. Russia)* ეხებოდა გამოძიების ადეკვატურობის მოთხოვნის შეუსრულებლობას რუსე-

---

861 201-ე პუნქტი.

862 2001 წლის 4 მაისი.

863 145-ე პუნქტი.

თის მიერ ჩეჩნეთსა და ინგუშეთში პირთა გაუჩინარებასთან დაკავშირებით.[864] ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ, სხვადასხვა საპროცესო ხარვეზთან ერთად, მიუთითა, რომ ისეთი ღონისძიებების გაუტარებლობამ, რომელთა მიზანია იმ სამხედრო და უშიშროების ოფიცრების იდენტიფიცირება და დაკითხვა, რომლებიც შეიძლება ყოფილიყვნენ გატაცების მოწმენი ან მონაწილენი, გამოიწვია საპროცესო ვალდებულების დარღვევა.[865]

საქმე *კაია თურქეთის წინააღმდეგ (Kaya v. Turkey)* ეხებოდა მოსარჩელის ძმის მკვლელობას, რომელიც გარდაცვლილი იპოვეს მინდორში, სხეულზე მრავალი ნატყვიარით. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს არ აუღია ჩვენება არცერთი იმ ჯარისკაცისაგან, რომელიც იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე.[866] სხვა საპროცესო ვალდებულების დარღვევასთან ერთად, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ჯარისკაცებისაგან ჩვენების აუღებლობა არღვევს ეფექტიანი გამოძიების მოთხოვნას და, შესაბამისად, კონვენციის მე-2 მუხლს.[867]

ევროპულმა სასამართლომ ასევე გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ გამოძიებამ, დამატებითი მოკვლევის გარეშე, არ უნდა მიიჩნიოს უტყუარად და სარწმუნოდ ინფორმაცია ან დასკვნები, რომლებიც მომდინარეობს სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან.[868]

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა დარღვევა საქმეზე, რომელშიც საგამოძიებო ორგანო სრულად დაეყრდნო სახელმწიფოს იმ წარმომადგენლების ჩვენებებს, რომლებიც გარეულები იყვნენ მკვლელობაში და არ განუხილავს მოვლენების სხვა ვერსიები, გარდა სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა[869] და ვერ დაკითხა ამ მოვლენების ძირითადი მოწმეები.[870]

საქმეზე – *ერგი თურქეთის წინააღმდეგ (Ergi v. Turkey)*, რომელშიც მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ თავისი დის გარდაცვალება გამოიწვია სახელმწიფოს წარმომადგენელთა გასროლამ, – სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გამოძიების ხარვეზზე და მიუთითა: განცვიფრებულია იმით, რომ პროკურორი, რომელსაც ეკისრებოდა მოსარჩელის დის გარდაცვალების ფაქტის გამოძიება, სრულად დაეყრდნო ჟანდარმერიის

---

864 2012 წლის 18 დეკემბერი.

865 123-ე პუნქტი.

866 19 თებერვალი, 1998 წელი, 89-ე პუნქტი.

867 92-ე პუნქტი. მსგავსი პოზიცია ჩამოაყალიბა ევროპულმა სასამართლომ მრავალ სხვა საქმეზე. მაგ., *ოგური თურქეთის წინააღმდეგ (Ogur v. Turkey), დიდი პალატა, 20 მაისი, 1999 წელი, 89-ე პუნქტი; გული თურქეთის წინააღმდეგ (Gul v. Turkey),* 14 დეკემბერი, 2000 წელი, 90-ე და 93-ე პუნქტები; *ფინოგენოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Finogenov and Others v. Russia),* 20 დეკემბერი, 2011 წელი, 278-ე პუნქტი.

868 *კაია თურქეთის წინააღმდეგ (Kaya v. Turkey),* 19 თებერვალი, 1998 წელი, 89-ე პუნქტი; ასევე იხ. A. Mowbray, Duties of Investigation under the European Convention on Human Rights, 51, International and Comparative Law Quarterly, 51(2), 440; J. Kratochvil, The Rights to Life in the Perspective of the Human Rights Committee and the European Court of Human Rights, http://ssrn.com/asract=951225, p. 9-10.

869 *ოგური თურქეთის წინააღმდეგ (Ogur v. Turkey),* დიდი პალატა, 20 მაისი, 1999 წელი, 90-ე-91-ე პუნქტები.

870 *გულეკი თურქეთის წინააღმდეგ (Gulec v. Turkey)*, 27 ივლისი, 1998 წელი, 78-ე პუნქტი; *ჰიუ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hugh Jordan v. the United Kingdom),* 4 მაისი, 2001 წელი, 106-ე პუნქტი; *ოზალპი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Ozalp and Others v. Turkey)*, 8 აპრილი, 2004 წელი, 45-ე პუნტი; *ჯელიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Jelic v. Croatia)*, 12 ივნისი, 2014 წელი.

მიერ მომზადებულ ანგარიშს შემთხვევის შესახებ, რომლის მიხედვით, ქურთთა მუშათა პარტიის წარმომადგენელმა ესროლა მოსარჩელის დას, რამაც გამოიწვია მისი გარდაცვალება.[871] შესაბამისად, ჟანდარმერიის მტკიცებულებებზე სრულად მინდობა, ისე, რომ გამოძიებას არ დაუკითხავს სხვა ადამიანები, სასამართლომ მიიჩნია ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად საპროცესო ნაწილში.[872]

საქმეზე – *ერემიასოვა და პეჩოვა ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (Eremiasova and Pechova v. the Czech Republic)* – ევროპულმა სასამართლომ, სხვა საპროცესო ნაკლოვანებებთან ერთად, ხარვეზად მიიჩნია ის, რომ საგამოძიებო ორგანო ავტომატურად ენდო პოლიციის თანამშრომლების განცხადებებს და არ გადაუმოწმებია ისინი.[873] იგივე მოსაზრება გამოხატა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (Nachova and Others v. Bulgaria)*, რომელშიც როგორც გამომძიებელმა, ისე პროკურორმა უგულებელყვეს გამოძიებისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტები და მათი სათანადო მოკვლევის გარეშე, უტყუარად მიიჩნიეს იმ სამხედრო პირის განცხადებები, რომელმაც განახორციელა სასიკვდილო გასროლა, რასაც შედეგად მოჰყვა გამოძიების შეწყვეტა.[874] ევროპული სასამართლოს აზრით, ამით გამოძიებამ და პროკურატურამ დაიცვა მაიორი G დევნისაგან. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მოქმედებამ გააჩინა სერიოზული ეჭვი საქმეში ჩართული გამომძიებლებისა და პროკურორების ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის თვალსაზრისით.[875]

4.3.3.3.2. მტკიცებულებათა მოპოვება

სიცოცხლის მოსპობის შემთხვევის გამოძიების მნიშვნელოვანი მეთოდია მტკიცებულებათა მოპოვება.[876] ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში დაადგინა, რომ სიცოცხლის მოსპობის შემთხვევის გამოსაძიებლად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყველა შესაბამისი მტკიცებულების მოპოვება, იქნება ეს გარდაცვალების ადგილის ფოტოგრაფირება, ნიმუშების აღება, თუ ნებისმიერი სხვა ღონისძიების გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს გარდაცვალების გარემოებების დადგენას.[877] სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს შემთხვევის ადგილის დათვალიერება და შესაბამისი მოვლენების აღდგენა.[878] გამოძიებამ უნდა მოახდინოს ამ მტკიცებულებების სათანადოდ აღნუსხვა საექსპერტო კვლევის

---

871 28 ივლისი, 1998 წელი, 83-ე პუნქტი.

872 A. Mowbray, Duties of Investigation under the European Convention on Human Rights, 51, International and Comparative Law Quarterly, 51(2), 440.

873 16 თებერვალი, 2012 წელი, 148-ე პუნქტი.

874 დიდი პალატა, 6 ივლისი, 2005 წელი.

875 116-ე-117-ე პუნქტები. M. O'Boyle, Duty to Carry out an Effective Investigation under Article 2 of the ECHR, in: El Tribunal Europeo de Derechos Humanos: Una vision desde dentro, En homenaje al Juez Josep Casadevall, 2015, 223.

876 S. Skinner, Lethal Force, the Right to Life and the ECHR: Narrative of Death and Democracy, 2019, 107.

877 *აჩარი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Acar and Others v. Turkey),* 24 მაისი, 2005 წელი, 91-ე პუნქტი; *სოარეს კამპოსი პორტუგალიის წინააღმდეგ (Soares Campos v. Portugal),* 14 იანვარი, 2020 წელი.

878 *გულეკი თურქეთის წინააღმდეგ (Gulec v. Turkey)*, 27 ივლისი, 1998 წელი, 79-ე პუნქტი; *რამსაჰაი და სხვები ნიდერლანდის წინააღმდეგ (Ramsahai and Others v. Netherlands)*, დიდი პალატა, 15 მაისი, 2007 წელი, 326-ე-332-ე პუნქტები.

ჩასატარებლად, რაც საშუალებას მისცემს გამოძიებას, გააკეთოს სწორი, ობიექტური და მიუკერძოებელი დასკვნა.[879]

ცხადია, რომ გამოძიების მიერ გარდაცვალების ადგილზე გატარებული საგამოძიებო მოქმედებები დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებსა და ადგილზე აღმოჩენილ მტკიცებულებებზე.

საქმე *კაია თურქეთის წინააღმდეგ (Kaya v. Turkey)* ეხებოდა მოსარჩელის ძმის მკვლელობას, რომელიც სხეულზე მრავალი ნატყვიარით გარდაცვლილი იპოვეს მინდორში, საკუთარ სოფელთან, სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში.[880] მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ იგი იყო ტერორისტი, რომელიც მოკლეს უშიშროების ძალებთან დაპირისპირების დროს. სოფლის თვითმხილველები კი ამტკიცებდნენ, რომ მოკლული ჩვეულებრივი, შეუიარაღებელი ფერმერი იყო, რომელსაც ესროლეს ჯარისკაცებმა მისი მხრიდან რაიმე პროვოცირების გარეშე.

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პროკურორს არ დაუვალებია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება მკვლელობის ადგილზე, რათა შეესწავლათ ტყვიებისაგან დაცლილი მჭიდეები, რაც გამოძიებას საშუალებას მისცემდა, დაედასტურებინა მთავრობის მტკიცება, რომ პირი იყო ტერორისტი, რომელიც გარდაიცვალა უშიშროების ძალებთან ცეცხლსასროლი იარაღით დაპირისპირებისას.[881] სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ პროკურორს არ დაუვალებია გარდაცვლილის ხელებისა და ტანისამოსის ექსპერტიზა ტყვია-წამლის კვალის აღმოჩენის მიზნით, რაც უზრუნველყოფდა იმის დადგენას, გარდაცვლილი უწევდა თუ არა წინააღმდეგობას უშიშროების ძალებს და ისროდა თუ არა იარაღიდან.[882] სასამართლოს აზრით, გამოძიებას უნდა მოეხდინა მკვლელობასთან დაკავშირებული მოვლენების აღდგენა და ის უნდა დარწმუნებულიყო, რომ გარდაცვლილი, მიუხედავად იმისა, შემოსილი იყო როგორც ჩვეულებრივი ფერმერი, სინამდვილეში იყო ტერორისტი, როგორც ამას სახელმწიფოს წარმომადგენლები ამტკიცებდნენ.[883] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ, ვინაიდან გამოძიება არ იყო ადეკვატური, დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.

საქმეზე – *გული თურქეთის წინააღმდეგ (Gul v. Turkey)* – ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში.[884] ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება: „შემთხვევის სერიოზულობისა და მტკიცებულებების შეგროვებისა და შენახვის მიუხედავად, რაც დაადგენდა, რა მოხდა, დაშვებულ იქნა რამდენიმე არსებითი შეცდომა. არ იყო მცდელობა, მოეძიებინათ ტყვია, რომელიც, სავარაუდოდ, გაისროლა მეჰმედ გულიმ პოლიციის ოფიცრების მიმართულებით, რაც მისი სიცოცხლის მოსპობის ძირითადი გამამართლებელი გარემოება იყო. ბინაში სათანადო წესით არ აღნუსხულა არც ის ორი იარაღი და დაცლილი მჭიდე, რომელთა

---

879 *მარიუს ალექსანდრუ და მარინელა სტეფანი რუმინეთის წინააღმდეგ (Marius Alexandru and Marinela Stefan v. Romania),* 24 მარტი, 2020 წელი. ასევე იხ. A. Mowbray, Duties of Investigation under the European Convention on Human Rights, 51, International and Comparative Law Quarterly, 51(2), 440-441.

880 19 თებერვალი, 1998 წელი.

881 89-ე პუნქტი; ასევე იხ. M. O'Boyle, The Development of the Right to Life, AFMÆLISRIT ÞÓR VILHJÁLMSSON, 2000, 74.

882 იქვე.

883 იქვე.

884 14 დეკემბერი, 2000 წელი.

გამოყენებას გარდაცვლილის მიერ ამტკიცებდა მთავრობა და რომელსაც დაეყრდნო პოლიცია თავისი მოქმედების გასამართლებლად. ამ საკითხზე პოლიციის ანგარიშები იყო ბუნდოვანი და შეუსაბამო, რაც შეუძლებელს ხდის იმის დადგენას, რომელმა ოფიცერმა აღმოაჩინა თითოეული იარაღი. ადგილზე არ მომხდარა ამ იარაღის ფოტოგრაფირება, მაშინ, როდესაც ჩატარდა ბრაუნინგის იარაღის ტესტი, რათა ეჩვენებინათ, რომ მისგან ახლახან მოხდა გასროლა, მეჰმედ გულის ხელების ტესტირება არ მომხდარა, რასაც შეეძლო მისი დაკავშირება იარაღთან. იარაღზე არ შეუმოწმებიათ თითის ანაბეჭდები. არ მომხდარა გვამის გაკვეთა, რათა სრულად აღენუსხათ გარდაცვლილის სხეულზე მიყენებული ზიანი, რამაც ხელი შეუშალა იმის შეფასებას, რა მდგომარეობაში იმყოფებოდა იგი იარაღიდან სროლის დროს და რა მანძილზე იმყოფებოდა კარიდან, რაც ნათელს მოჰფენდა გარემოებებს, რომლებშიც იგი მოკლეს.“[885]

გამოძიების ადეკვატურობის მოთხოვნის დარღვევა დადგინდა საქმეზე – *ფინოგენოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Finogenov and Others v. Russia),* რომელიც ეხებოდა ტერორისტების მიერ მძევლად აყვანილი პირების განთავისუფლებას.[886] ევროპულმა სასამართლომ გამოხატა გაკვირვება იმის გამო, რომ განადგურდა კრიზისის ოთახში[887] არსებული სამუშაო დოკუმენტაცია, რომელიც ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო იქნებოდა იმის შესახებ, როგორ იგეგმებოდა და როგორ განხორციელდა ოპერაცია. მოპასუხე სახელმწიფოს არანაირი განმარტება არ წარმოუდგენია ამ დოკუმენტაციის განადგურების მიზეზებზე.[888]

საქმე *მაკარაძისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Makaratzis v. Greece)* ეხებოდა პოლიციის მიერ მოსარჩელის მიმართულებით იარაღიდან არაერთ გასროლას, რომლის მიუხედავად მოსარჩელე გადარჩა. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოძიება წარიმართა მნიშვნელოვანი ხარვეზებით.[889] კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს ყველა იმ პოლიციელის იდენტიფიცირება, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დევნაში. სასამართლომ დაადგინა, რომ ზოგიერთმა პოლიციელმა ისე დატოვა შემთხვევის ადგილი, რომ გამოყენებული იარაღის იდენტიფიცირებაც კი არ მომხდარა. ევროპული სასამართლოს განმარტებით, არაფერი გაკეთდა იმისათვის, რათა მომხდარიყო იმ პოლიციელთა იდენტიფიცირება, რომლებიც იმ დღეს შესაბამის რაიონში მორიგეობდნენ. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ მხოლოდ 3 ტყვია შეგროვდა, ხოლო სხვა ტყვიები, გარდა იმისა, რაც ამოიღეს მოსარჩელის ფეხიდან და ასევე ტყვია, რომელიც მის საჯდომში იყო, პოლიციას არ უპოვნია და არ მოუხდენია მათი იდენტიფიცირება. ამ ხარვეზებმა ხელი შეუშალეს საბერძნეთის სასამართლოს, სრულად დაედგინა შემთხვევასთან დაკავშირებული ფაქტები. ევროპული სასამართლოს აზრით, ამ ხარვეზებმა განაპირობა პოლიციის თანამშრომლების გამართლება, რადგან არაიდენტიფიცირებული იარაღიდან მრავალმა გასროლამ შეუძლებელი გახადა გონივრული ეჭვის მიღმა სტანდარტით იმ პოლიციელების დადგენა, რომლებმაც მოსარჩელეს მიაყენეს ზიანი. ამ გარემოებების მიხედვით, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელისუფლებამ ვერ ჩა-

---

885 89-ე პუნქტი.

886 20 დეკემბერი, 2011 წელი.

887 კრიზისის ოთახიდან იმართებოდა სპეციალური ოპერაცია.

888 279-ე პუნქტი; ასევე იხ. *აბუიევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Abuyeva and Others v. Russia),* 2 დეკემბერი, 2010 წელი, 204-ე-211-ე პუნქტები.

889 20 დეკემბერი, 2002 წელი.

ატარა შემთხვევის ეფექტიანი გამოძიება, რის გამოც დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა როგორც საპროცესო, ისე არსებით ნაწილში.[890]

საქმე *ლაპშინი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Lapshin v. Azerbaijan)* ეხებოდა ისრაელის, რუსეთისა და უკრაინის მოქალაქის სარჩელს, რომელიც იყო ბლოგერი და მოგზაური.[891] ერთ-ერთი მოგზაურობის დროს იგი იმყოფებოდა მთიანი ყარაბახის რეგიონში, აზერბაიჯანის კანონმდებლობის დარღვევით. ამის გამო აზერბაიჯანმა მასზე გამოაცხადა საერთაშორისო ძებნა. იგი დააკავეს ბელარუსში, რომელმაც მოსარჩელე გადასცა აზერბაიჯანს, სადაც მას მიუსაჯეს პატიმრობა.[892] მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მას აზერბაიჯანის ციხეში თავისუფლების აღკვეთისას, საკუთარ საკანში, თავს დაესხა რამდენიმე ნიღბიანი მამაკაცი, რომლებმაც იგი სცემეს. მოსარჩელის მტკიცებით, ერთ-ერთ ნიღბიან მამაკაცს ჰქონდა მისი დახრჩობის მცდელობა. ცემის დროს მან დაკარგა გონება. ამ შემთხვევიდან ორ დღეში იგი გონს მოვიდა საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში.

აზერბაიჯანის მტკიცებით, ციხის ოფიცრებმა მოსარჩელე აღმოაჩინეს კისერზე ჩამოცმული, მხარზე გადასაკიდი ჩანთის სახელურით, რომელიც ჩამოკიდებული იყო კედელზე მიმაგრებულ ლურსმანზე. სახელმწიფოს მტკიცებით, ციხის ოფიცრებმა ასეთ მდგომარეობაში მისი აღმოჩენისთანავე, დაუყოვნებლივ ჩაუტარეს ხელოვნური სუნთქვა და გადაიყვანეს რეანიმაციულ განყოფილებაში.[893] ამ საქმეზე რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა, რომელმაც მოახდინა ამ შემთხვევის მოკვლევა, მიუთითა, რომ მოსარჩელეს ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა ციხეში და რომ არ არსებობს სისხლის სამართლის საქმისწარმოების დაწყების საფუძველი, რაც გამომდინარეობდა ადგილის დათვალიერებიდან, მოწმეების (ციხის ოფიცრები და სამედიცინო პერსონალი) ჩვენებებიდან და ციხის სხვა დოკუმენტური მასალებიდან.[894]

ამ შემთხვევიდან მეორე დღეს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა შეიწყალა მოსარჩელე, ხოლო შეწყალებიდან სამ დღეში მოხდა მისი გაძევება ისრაელში. ისრაელში ჩასვლისთანავე მოსარჩელემ მიმართა სამედიცინო ცენტრს, სადაც გაიარა ფიზიკური და ფსიქიატრული შემოწმება. ცენტრში მომზადებული სამედიცინო დასკვნის მიხედვით, პაციენტს ჰქონდა დახრჩობის მცდელობის ხილვადი ნიშნები, მრავალი სისხლჩაქცევა. დასკვნის მიხედვით, პაციენტს არ ახასიათებდა ფსიქოზი ან აფექტური აშლილობა.[895] ამას გარდა, მოსარჩელემ ორი კერძო საექსპერტო დასკვნაც მოითხოვა. ერთ-ერთი დასკვნის მიხედვით, რომელიც ჩატარდა რუსი ექიმების მიერ, მოსარჩელეს არ ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობა, ვინაიდან თვითმკვლელობის მრავალი ფიზიკური ნიშანი არ იყო სახეზე. ამ დასკვნის მიხედვით, ერთ ან რამდენიმე ადამიანს ჰქონდა მისი დახრჩობის მცდელობა და მან (მათ) წარმოაჩინა (წარმოაჩინეს) სიტუაცია ისე, თითქოს მოსარჩელე ცდილობდა თავის ჩამოხრჩობას.[896] მეორე სამედიცინო დასკვნის მიხედვით, რომელიც სამედიცინო ექსპერტმა მოამზადა, მოსარჩელეს ჰქონდა მრავლობითი დაზიანება სახეზე, სხეულსა და ხელებზე, რომლებიც არ იყო მიყენებული

---

890 78-ე პუნქტი. *ვოვკი და ბოგდანოვი რუსეთი წინააღმდეგ (Vovk and Bogdanov v. Russia),* 11 თებერვალი, 2020 წელი; ასევე იხ. S. Skinner, Lethal Force, the Right to Life and the ECHR: Narrative of Death and Democracy, 2019, 106.

891 20 მაისი, 2021 წელი.

892 მე-9 პუნქტი.

893 მე-13 პუნქტი.

894 27-ე პუნქტი.

895 31-ე პუნქტი.

896 36-ე პუნქტი.

თვითდაზიანებით. ამასთანავე, იყო ხელით დახრჩობის ნიშნები, ხოლო დაზიანებები არ იყო თვითმკვლელობის მცდელობისათვის დამახასიათებელი. ამ დასკვნის მიხედვით, დაზიანებები შეიძლება შეფასდეს როგორც მკვლელობის მცდელობის შედეგი.

შემთხვევის შემდეგ მოსარჩელემ ჯერ ელექტრონული ფოსტით, ხოლო მოგვიანებით წერილობით მიმართა აზერბაიჯანის გენერალური პროკურორის მოადგილეს გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თხოვნით, თუმცა პასუხი არ მიუღია.

ევროპული სასამართლოს წინაშე მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი იმით, რომ ციხეში მოხდა მისი სიცოცხლის მოსპობის მცდელობა და რომ მოპასუხე სახელმწიფომ არ გამოიძია მისი საქმე.[897]

ევროპული სასამართლოს შეფასებით, ჩატარებული მოკვლევა ხასიათდებოდა მნიშვნელოვანი ხარვეზებითა და შეუსაბამობებით. სასამართლოს აზრით, მრავალი კითხვა პასუხგაუცემელი დარჩა.[898] კერძოდ, ექსპერტიზის დროულად ჩატარება შეაძლებლობას მისცემდა გამოძიებას, გაეკეთებინა უმნიშვნელოვანესი დასკვნები მოსარჩელისათვის მიყენებული დაზიანებების, მათი მიყენების დროისა და ხასიათის შესახებ, თუმცა მოსარჩელე არ გაუსინჯავს ექსპერტს და მისი დაზიანებების საექსპერტო დასკვნა არ მომზადებულა აზერბაიჯანში.[899] ამასთანავე, არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ გამომძიებელმა მოითხოვა ვიდეოკამერების ჩანაწერები, რაც ნათელს მოჰფენდა, ვინ შევიდა მოსარჩელის საკანში და სინამდვილეში რა მოხდა შემთხვევის დღეს.[900] სასამართლოს აზრით, არსებობს მნიშვნელოვანი შეუსაბამობა ციხის ბადრაგის თანამშრომლების ჩვენებებს შორის, რაც საქმის მოკვლევის დროს არ გარკვეულა. სასამართლომ აღნიშნა, რომ შემთხვევის ადგილის შემოწმების შედეგად არ ყოფილა აღმოჩენილი ჩანთა მოსარჩელის საკანში, რომლის სახელურითაც თითქოს მოსარჩელე ცდილობდა თვითმკვლელობას. გამომძიებელმა არ განიხილა და შეამოწმა, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა მოსარჩელესათვის, რომ მას ჰქონოდა ასეთი სახელური თავის საკანში, ვინაიდან ასეთი ნივთი მიიჩნევა პოტენციურად სახიფათოდ და, ჩვეულებრივ, არ არის პატიმრებისათვის ხელმისაწვდომი.[901] სასამართლოს აზრით, რთულია ისეთი მტკიცების გაზიარება, რომ მოსარჩელის სიმაღლის ადამიანს შეეძლო თავი ჩამოეკიდა კედელზე მიმაგრებულ 3-სანტიმეტრიან ლურსმანზე, 1,9 მეტრის სიმაღლეზე, 0,9 მეტრის ქამრის გამოყენებით. ეს უფრო დეტალურად უნდა იყოს შესწავლილი, მაგალითად, სიტუაციის აღდგენით.[902] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ჩატარებული მოკვლევა ციხეში მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით, რომელშიც მოსარჩელის სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდა, იყო არაეფექტიანი და რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.[903]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილი საპროცესო ვალდებულება გამოძიების ადეკვატურად ჩატარების შესახებ, რაც მოიცავს მტკიცებულებათა შეგროვების ვალდებულებას, ვრცელდება სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის საქმეების გამოძიებაზეც. ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა რამდენიმე საქმეზე, რომლებშიც აღმოაჩინა, რომ მტკიცებულებების შეგროვება იმდენად

---

897 მოსარჩელე ასევე ამტკიცებდა, რომ დაერღვა კონვენციის მე-3 მუხლი.
898 103-ე პუნქტი.
899 104-ე პუნქტი.
900 105-ე პუნქტი.
901 107-ე პუნქტი.
902 108-ე პუნქტი.
903 109-ე პუნქტი.

ხარვეზიანი იყო, რომ მან უარყოფითი გავლენა მოახდინა საქმის ფაქტების დადგენასა და, მოგვიანებით, შესაბამისი პირებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებაზე. საქმეზე – *ჩიეჩონსკა პოლონეთის წინააღმდეგ (Ciechońska v. Poland),* რომელიც ეხებოდა პირის გარდაცვალებას ხის ჩამოვარდნის შედეგად, – ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ გამოძიების საწყის ეტაპზე არსებულმა ხარვეზებმა გავლენა მოახდინა ფაქტების დადგენისა და შესაბამისი პირებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პერსპექტივაზე. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ ჩამოვარდნილი ხე დაუყოვნებლივ გაიტანეს შემთხვევის ადგილიდან და გაანადგურეს, ფოტოგრაფიული მტკიცებულებები იყოს დაბალი ხარისხის, ხოლო გაზის მილის ადგილმდებარეობა და მისი გავლენა ხის ჯანმრთელობაზე არასოდეს შესწავლილა.[904]

4.3.3.3.3. ავტოფსია

ავტოფსიას (გარდაცვლილის გაკვეთას) შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა სიცოცხლის მოსპობის შემთხვევის ეფექტიან გამოძიებაში. ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში არაერთხელ დაადგინა, რომ სიცოცხლის მოსპობის შემთხვევის გამოძიებისათვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ავტოფსიის ჩატარება, რაც დაეხმარება გამოძიებას პირის გარდაცვალების მიზეზის დადგენაში.[905]

ერთ-ერთი პირველი საქმე, რომელშიც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ავტოფსია იყო არასრულყოფილი, არის *კაია თურქეთის წინააღმდეგ (Kaya v. Turkey)*.[906] ამ საქმეზე, რომელიც ეხებოდა პირის სიცოცხლის მოსპობას უშიშროების ძალების მიერ, ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა გარდაცვლილის გაკვეთასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე. კერძოდ, მან აღნიშნა:

„დასკვნა ავტოფსიის შესახებ შეიცავს მხოლოდ ჩანაწერს გარდაცვლილისათვის ტყვიებით მიყენებული ჭრილობების ხასიათის, სიმძიმისა და ადგილმდებარეობის შესახებ. სასამართლო იზიარებს კომისიის შეშფოთებას ამ ანგარიშის არასრულყოფილებასთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულებით, განსაკუთრებით იმ ტყვიების რეალური რაოდენობის შესახებ რაიმე გამოკვლევის არარსებობის გამო, რომლებიც მოხვდა გარდაცვლილს და იმ მანძილის შეფასების შესახებ გამოკვლევის არარსებობის გამო, რომლიდანაც მას გაუხსნეს ცეცხლი. ვინაიდან ისინი მეტისმეტად ბევრ კრიტიკულ კითხვას ტოვებენ უპასუხოდ, უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ ჩატარებული ზედაპირული გაკვეთა ან დოკუმენტში წარმოდგენილი დასკვნები შეიძლება ჩაითვალოს შემდგომი ეფექტიანი გამოძიების საფუძვლად, ან რომ ისინი აკმაყოფილებს გამოძიების მინიმალურ მოთხოვნებს სიცოცხლის კანონიერი მოსპობის აშკარა შემთხვევის მიმართ.“[907]

თურქეთის მთავრობის არგუმენტი, რომ გამართლებული იყო შეზღუდული ავტოფსიის ჩატარება იმ ადგილას, სადაც ტერორისტული თავდასხმის საფრთხე არსებობდა (თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი), ევროპულმა სასამართლომ არ

---

904 14 ივნისი, 2011 წელი, 75-ე პუნქტი; ასევე იხ. საქმე, რომელიც ეხება საგზაო შემთხვევას, რომლის შედეგად მოსარჩელის შვილი გარდაიცვალა: *ანტონოვი უკრაინის წინააღმდეგ (Antonov v. Ukraine)*, 3 ნოემბერი, 2011 წელი, 50-ე პუნქტი; ასევე *ვოვკი და ბოგდანოვი რუსეთი წინააღმდეგ (Vovk and Bogdanov v. Russia)*, 11 თებერვალი, 2020 წელი, 77-ე პუნქტი.

905 A. Mowbray, Duties of Investigation under the European Convention on Human Rights, 51, International and Comparative Law Quarterly, 51(2), 442.

906 19 თებერვალი, 1998 წელი.

907 89-ე პუნქტი.

გაიზიარა. მან გამოხატა გაკვირვება, რომ არც ექიმსა და არც პროკურორს არ მოუთხოვია გვამის უსაფრთხო ადგილას გადატანა, რაც საშუალებას მისცემდა გამოძიებას, ჩაეტარებინა გვამის, ტანისამოსისა და ჭრილობების უფრო დეტალური ანალიზი.[908]

საქმეზე – *გული თურქეთის წინააღმდეგ (Gul v. Turkey),* რომელიც ეხებოდა მოსარჩელის შვილის სიცოცხლის მოსპობას პოლიციის მიერ, – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „არ მომხდარა გვამის გაკვეთა, რაც სრულად აღწერდა გარდაცვლილის სხეულზე მიყენებული ზიანს. ამან ხელი შეუშალა იმის შეფასებას, რა მდგომარეობაში იმყოფებოდა იგი იარაღიდან სროლის დროს, რა მანძილზე იმყოფებოდა კარიდან, რაც ნათელს მოჰფენდა გარემოებებს, რომელშიც იგი მოკლეს. მთავრობა ამტკიცებდა, რომ საკითხის შემდგომი შესწავლა არ იყო საჭირო, რადგან გარდაცვალების მიზეზი ნათელი იყო. ცხედრის გაკვეთის მიზანი ასევე არის გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებებისათვის ნათელის მოჰფენა, არასათანადო მოპყრობისა და ზიანის სავარაუდო ნიშნების სრული და ზუსტი აღნუსხვისა და კლინიკური მიგნებების ობიექტური ანალიზის ჩათვლით.“[909]

მსგავსი პოზიცია ჰქონდა ევროპულ სასამართლოს საქმეზე – *ოგური თურქეთის წინააღმდეგ (Ogur v. Turkey)*, რომელშიც განაცხადა შემდეგი: „თავის ანგარიშში პროკურორმა მიუთითა, რომ, „ვინაიდან გასროლა გარდაცვალების უდავო მიზეზი იყო და რაიმე სხვა დასკვნა, რაც დაუშვებდა გარდაცვალების სხვა მიზეზს, არ გაკეთებულა, არ ჩაითვალა საჭიროდ სრული გაკვეთის ჩატარება. ... მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის საქმეში სათანადო გაკვეთას – თუ ის ჩატარდებოდა – შეიძლება მოეწოდებინა ღირებული ინფორმაცია გასროლის განმახორციელებელი პირისა და მსხვერპლის დაახლოებითი ადგილმდებარეობის შესახებ და მათ შორის დისტანციის შესახებ, გასროლის მომენტისათვის““.[910]

საქმე *სალმანი თურქეთის წინააღმდეგ (Salman v. Turkey)* ეხებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსარჩელის მეუღლის (აგიტ სალმანი) გარდაცვალებას, რომელიც ამ დაწესებულებაში მოთავსებისას იყო სრულიად ჯანმრთელი. მიუხედავად თურქეთის მთავრობის მტკიცებისა, რომ აგიტ სალმანი პენიტენციურ დაწესებულებაში გარდაიცვალა გულის შეტევით, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მისი გარდაცვალება იყო წამების შედეგი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ, გარდა არსებითი უფლებების დარღვევისა, დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ „გვამის გამოკვლევა იყო კრიტიკულად მნიშვნელოვანი აგიტ სალმანის გარდაცვალების გარშემო ფაქტების დადგენაში. ... გვამის სათანადო ფოტომასალის არარსებობამ და გაკვეთისა და სხეულზე დაზიანებებისა და კვალის ჰისტოპათოლოგიური ანალიზის არარსებობამ ხელი შეუშალა ამ კვალის თარიღისა და წარმოშობის ზუსტ ანალიზს, რაც იყო უმნიშვნელოვანესი იმის დადგენისათვის, იყო თუ არა აგიტ სალმანის გარდაცვალება გამოწვეული მის მიმართ არასათანადო მოპყრობით, სიკვდილამდე ოცდაოთხი საათის განმავლობაში.“[911] სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ექიმის ვარაუდი, რომელმაც შეისწავლა გარდაცვლილის გვამი და რომლის მიხედვით მკერდის ძვლის ჩამტვრევა შეიძლება გამოეწვია

---

908 89-ე პუნქტი; ასევე იხ. A. Mowbray, Duties of Investigation under the European Convention on Human Rights, 51, International and Comparative Law Quarterly, 51(2), 440.

909 14 დეკემბერი, 2000 წელი, 89-ე პუნქტი.

910 დიდი პალატა, 20 მაისი, 1999 წელი, 89-ე პუნქტი; ასევე იხ. *ესტამიროვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Estamirov and Others v. Russia)*, 12 ოქტომბერი, 2006 წელი, 91-ე პუნქტი.

911 106-ე პუნქტი.

გულის მასაჟს, არ იყო დადასტურებული, რაც ნათელს მოჰფენდა, ასეთი მასაჟი ნამდვილად გაკეთდა თუ არა.[912]

საქმე *ტანლი თურქეთის წინააღმდეგ (Tanli v. Turkey)* ეხებოდა ქურთული წარმოშობის 22 წლის მამაკაცის (მაჰმუტ ტანლი) გარდაცვალებას პოლიციის განყოფილებაში.[913] იგი განყოფილებაში შეყვანისას იყო ჯანმრთელი და მას არ ჰქონდა ავადმყოფობის ისტორია, თუმცა დაკავებიდან 24-იდან 36 საათში გარდაიცვალა.[914] ამის გამო მოსარჩელე (გარდაცვლილის მამა) ამტკიცებდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში იგი აწამეს და მოკლეს.[915] საწინააღმდეგოს ამტკიცებდა სახელმწიფო, კერძოდ, ის აცხადებდა, რომ მაჰმუტ ტანლი გარდაიცვალა გულის შეტევით.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „...ავტოფსიის ექსპერტიზას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა მაჰმუტ ტანლის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ფაქტების დადგენაში."[916] ამასთანავე, სასამართლომ აღნიშნა, რომ ექსპერტიზა შეიცავდა ხარვეზებს რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ, ორგანოები არ იქნა ამოკვეთილი და აწონილი; გული და კისრის მიდამო არ გაკვეთილა; არ იქნა აღებული ჰისტოპათოლოგიური ნიმუშები და არ განხორციელდა მისი ანალიზი, რასაც შეეძლო აღმოეჩინა ელექტროწამების ან წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების კვალი; არ ყოფილა გაკეთებული ტოქსიკოლოგიური ანალიზი; არ მოხდა ფოტოგრაფირება და ემბოლიის აღმოჩენა არ იყო სათანადოდ აღწერილი და გაანალიზებული.[917]

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ექიმები, რომლებმაც ხელი მოაწერეს დასკვნას გვამის გაკვეთის შესახებ, არ იყვნენ კვალიფიცირებული პათოლოგ-ანატომები. ამ ფაქტის გამო ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა კვალიფიცირებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მნიშვნელობაზე.[918] კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ „გარდაცვალების ეფექტიანი გამოძიების მნიშვნელობიდან გამომდინარე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს არასათანადო მოპყრობით, აუცილებელია სათანადო კვალიფიკაციის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის ჩართულობა. თუ ასეთი ექიმი არ იყო ხელმისაწვდომი გარდაცვალებიდან მოკლე დროში, უნდა გაკეთებულიყო განმარტება, რატომ ვერ ჩატარდა ექსპერტიზა ასეთი ექსპერტის მონაწილეობით მომდევნო დღეებში."[919] ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს, რომ პირი, რომელიც გაკვეთას აწარმოებს, უნდა იყოს სერტიფიცირებული.[920] ამასთანავე, ამ საქმიდან გამომდინარეობს, რომ, თუ გაკვეთის ჩატარება ვერ ხერხდება გარდაცვალებიდან დაუყოვნებლივ, ექსპერტის ხელმიუწვდომლობის გამო (მაგ., გარდაცვალება მოხდა მთაში, სადაც ექსპერტი არ არის ხელმისაწვდომი), გაკვეთა უნდა ჩატარდეს შეძლებისდაგვარად მალე, გარდაცვალებიდან უახლოეს დღეებში.

---

912 იქვე.

913 10 აპრილი, 2001 წელი.

914 43-ე პუნქტი.

915 მე-3 პუნქტი.

916 150-ე პუნქტი.

917 150-ე პუნქტი; ასევე იხ. A. Mowbray, Duties of Investigation under the European Convention on Human Rights, 51, International and Comparative Law Quarterly, 51(2), 441-442.

918 10 აპრილი, 2001 წელი.

919 150-ე პუნქტი; ასევე იხ. A. Mowbray, Duties of Investigation under the European Convention on Human Rights, 51, International and Comparative Law Quarterly, 51(2), 441-442.

920 ასევე იხ. *დემირაი თურქეთის წინააღმდეგ (Demiray v. Turkey)*, 21 ნოემბერი, 2000 წელი, 51-ე მუხლი.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა როგორც არსებით, ისე საპროცესო ნაწილში.

4.3.3.4. გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყება და გონივრული სისწრაფით წარმართვა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი მოითხოვს, რომ გამოძიება დაიწყოს დაუყოვნებლივ სიცოცხლის მოსპობის მომენტიდან და წარიმართოს გონივრული სისწრაფით.[921] საქმეზე – *ახმადოვა და ახმადოვი რუსეთის წინააღმდეგ (Akhmadova and Akhmadov v. Russia)* – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ, როდესაც ხელისუფლებისათვის ცნობილი გახდება სიცოცხლის მოსპობის ფაქტი, მან „დაუყოვნებლივ" უნდა დაიწყოს გამოძიება.[922]

გარდა იმისა, რომ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყებისა და გონივრული სისწრაფით წარმართვის ვალდებულება, მან განსაზღვრა, რა მიზანს ისახავს გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყება. კერძოდ, საქმეზე – *მაკკერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McKerr v. the United Kingdom)* – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „სწრაფი პასუხი ხელისუფლების მხრიდან, რომელიც იძიებს სასიკვდილო ძალის გამოყენებას, მნიშვნელოვანია, რათა შენარჩუნდეს საზოგადოების ნდობა სამართლის უზენაესობის ერთგულების მიმართ და თავიდან იქნეს აცილებული მასთან წინააღმდეგობის არსებობის ან უკანონო აქტების მიმართ შემწყნარებლობის შთაბეჭდილება."[923]

---

921 *ჰიუ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hugh Jordan v. the United Kingdom),* 4 მაისი, 2001 წელი, 108-ე პუნქტი; *კელლი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Kelly and Others v. the United Kingdom)*, 4 მაისი, 2001 წელი, 136-ე პუნქტი; *ლულუევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Luluyev and Others v. Russia)*, 9 ნოემბერი, 2006 წელი, 92-ე და 96-ე პუნქტები; *არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Armani da Silva v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 30 მარტი, 2016 წელი, 237-ე პუნქტი; ასევე იხ. E. Myjer, Investigation into the Use of Lethal Force: Standards of Independence and Impartiality, in: The Right to Life under Article 2 of the European Convention: Twenty Years of Legal Developments since McCann v. the United Kingdom, in honour of Michael O'Boyle, 2016, 127. საქმეში, რომელიც ეხებოდა ქურდობაში ეჭვმიტანილი პირის პოლიციის განყოფილების ფანჯრიდან გადმოხტომას, საერთოდ არ დაიწყო გამოძიება, რაც ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად საპროცესო ნაწილში. იხ. *ფანზიევა რუსეთის წინააღმდეგ (Fanziyeva v. Russia)*, 18 ივნისი, 2015 წელი, იხ. 52-ე-54-ე პუნქტები.

922 25 სექტემბერი, 2008 წელი, 78-ე პუნქტი; ასევე იხ. G. Gaggioli and R. Kolb, A Right to Life in Armed Conflicts? The Contribution of the European Court of Human Rights, Israel Yearbook on Human Rights, Vol. 37, 2007, 154-155.

923 4 მაისი, 2001 წელი, 114-ე პუნქტი; *კელლი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Kelly and Others v. the United Kingdom),* 4 მაისი, 2001 წელი, 97-ე პუნქტი; *ჰიუ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hugh Jordan v. the United Kingdom),* 4 მაისი, 2001 წელი, 108-ე პუნქტი; *ფინუკანე გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Finucane v. the United Kingdom),* 1 ივლისი, 2003 წელი, 70-ე პუნქტი; *აჰმეტ ოზკანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Ahmet Ozkan and Others v. Turkey),* 6 აპრილი, 2004 წელი, 313-ე პუნქტი; *ალ-სქეინი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al-Skeini and Others v. the United Kingdom),* დიდი პალატა, 7 ივლისი, 2011 წელი, 167-ე პუნქტი; ასევე იხ.: M. O'Boyle, Duty to Carry out an Effective Investigation under Article 2 of the ECHR, in: El Tribunal Europeo de Derechos Humanos: Una vision desde dentro, En homenaje al Juez Josep Casadevall, 2015, 227; E. Brems, Procedural Protection:

რაც შეეხება გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყებას, საქმეზე – *ტრუბნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Trubnikov v. Russia)* – მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ არ ჩატარებულა მისი შვილის პენიტენციურ დაწესებულებაში გარდაცვალების გარემოებების გამოძიება.[924] ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა საქმის დროულად გამოძიების წარმართვის მნიშვნელობას:

„უპირველეს ყოვლისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ საქმეზე გამოძიება წარიმართა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შედგა [ევროპული] სასამართლოს კომუნიკაცია მოპასუხე სახელმწიფოსთან, ანუ განსახილველი შემთხვევიდან სამი წლის გასვლის შემდეგ. სასამართლო ადასტურებს, რომ მნიშვნელოვანია გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყება, თუ საქმე ეხება სიცოცხლის მოსპობას სადავო სიტუაციაში. დროის გასვლა ხელმისაწვდომი მტკიცებულებების რაოდენობასა და მის ხარისხს უდავოდ შეამცირებს, ხოლო არასაკმარისი გულმოდგინების გამოვლინება ეჭვის ქვეშ დააყენებს გამოძიების ჩატარების მცდელობის კეთილსინდისიერებას, ისევე როგორც გამოიწვევს ოჯახის წევრების მძიმე განსაცდელს. ... ასეთი არსებითი დაგვიანება, რომელიც აუხსნელია ამ საქმეში, არა მხოლოდ ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ ხელისუფლებამ არ იმოქმედა თავისი ინიციატივით, არამედ არის განსაკუთრებული გულმოდგინებისა და სისწრაფის გამოვლენის ვალდებულების დარღვევა.“[925]

საქმე *ესტამიროვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Estamirov and Others v. Russia)* ეხებოდა ჩეჩნეთში მოსარჩელეთა ნათესავების სიცოცხლის მოსპობას.[926] ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეებმა 2000 წლის თებერვლის ბოლოს შეატყობინეს ხელისუფლებას დანაშაულის შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი სამსახურის თანამშრომლები 2000 წლის აპრილის დასაწყისში იმყოფებოდნენ მკვლელობის ადგილას, ხოლო გამოძიება დაიწყო ერთი კვირის შემდეგ. სასამართლოს აზრით, „მძიმე დანაშაულის გამოძიების დაწყების ასეთ არსებით გაჭიანურებას არ შეეძლო, არ მოეხდინა გავლენა სამართალწარმოების ეფექტიანობაზე.“[927] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთმა დაარღვია ევროპული კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნა გამოძიების დაუყოვნებლივი დაწყების შესახებ.[928]

საქმეზე – *ტაში თურქეთის წინააღმდეგ (Tas v. Turkey)* – მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მისი შვილი გაუჩინარდა უშიშროების ძალების მიერ დაკავების შემდეგ და რომ იგი გარდაიცვალა პატიმრობაში ყოფნისას.[929] ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ საქმეზე პროკურატურას გამოძიება არ დაუწყია ორი წლის განმავლობაში, რის გამოც დადგინდა თურქეთის მიერ კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე საპროცესო ვალდებულების დარღვევა.

An examination of Procedural Safeguards Read into Substantive Convention Rights, in: Shaping Rights in the ECHR: The Role of the European Court of Human Rights in Determining the Scope of Human Rights, E. Brems and J. Gerards (eds.), 2013, 151.

924 2005 წლის 5 ივლისი.

925 92-ე პუნქტი; *ასევე იხ. პოლი და ოდრი ედვარდსები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom),* 14 მარტი, 2002 წელი, 86-ე პუნქტი; *მოკანუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Mocanu and Others v. Romania),* დიდი პალატა, 17 სექტემბერი, 2014 წელი, 337-ე პუნქტი.

926 12 ოქტომბერი, 2006 წელი.

927 89-ე პუნქტი.

928 95-ე პუნქტი. ასევე იხ. *მედოვა რუსეთის წინააღმდეგ (Medova v. Russia)*, 15 იანვარი, 2009 წელი, 105-ე პუნქტი.

929 2000 წლის 14 ნოემბერი.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პროკურორმა არ დაიწყო გამოძიება, მოსარჩელის სარჩელის მიუხედავად, რომლის მიხედვით, მისი შვილი მოკლეს პატიმრობაში ყოფნისას. სასამართლოს აზრით, იმ ანგარიშის რეაგირების გარეშე დატოვება, რომლის მიხედვით, დაკავებული პირი „დაიკარგა“, შეუთავსებელი იყო კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებასთან. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ გამოძიება არ იყო არც სწრაფი, არც ადეკვატური და არც ეფექტიანი და, შესაბამისად, ამან გამოიწვია სიცოცხლის უფლების დაცვის საპროცესო ვალდებულების დარღვევა.[930]

საქმეზე – *იუხიმოვიჩი უკრაინის წინააღმდეგ (Yukhymovych v. Ukraine)*, რომელიც ეხებოდა მოსარჩელის შვილის სიცოცხლის მოსპობას პოლიციის მიერ ცეცხლსასროლი იარაღით, – ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სასიკვდილო გასროლიდან გამოძიების დაწყება 27 დღის შემდეგ (რომლის განმავლობაში მიმდინარეობდა მოკვლევა) დაგვიანებული იყო.[931] სასამართლოს აზრით, ამ დროის განმავლობაში ჩატარებული პროცედურები არ აკმაყოფილებს ეფექტიანი დაცვის საშუალების პრინციპებს, რადგან მოკვლევაზე პასუხისმგებელ პირს შეუძლია მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის მოქმედების ჩატარება, ხოლო მსხვერპლს არ აქვს მინიჭებული ფორმალური სტატუსი, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოირიცხება მისი ეფექტიანი მონაწილეობა ამ პროცესში.[932]

ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში არაერთხელ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რომ გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყოს, არამედ ისიც, რომ ის გონივრული სისწრაფით წარიმართოს და უმიზეზოდ არ გაჭიანურდეს.[933] ევროპული სასამართლო ითვალისწინებს იმ ნაბიჯებს, რომლებსაც სახელმწიფო დგამს გამოძიების გონივრული სისწრაფით წარმართვის ვალდებულების შესასრულებლად და ამის საფუძველზე აფასებს, შეასრულა თუ არა სახელმწიფომ თავისი ვალდებულება. ევროპულმა სასამართლომ მრავალი საქმე განიხილა, რომლებშიც ყურადღება გაამახვილა ამ ვალდებულების შესრულებაზე.[934]

გამოძიება რომ უნდა იყოს სწრაფი, ამას ადასტურებს საქმე *მიხაილ მამადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Mikayil Mammadov v. Azerbaijan)*. ეს საქმე ეხებოდა იძულებით გადაადგილებული ქალის მიერ თვითმკვლელობის მცდელობას (მან საკუთარ თავს ცეცხლი წაუკიდა, რათა არ მომხდარიყო მისი ოჯახის გამოსახლება დროებითი საცხოვრებლიდან). გამოძიების ეფექტიანობა ეჭვის ქვეშ დადგა, რადგან ხელისუფლებამ თვითმკვლელობის მსხვერპლის დაკითხვა არ მოახდინა მის გარდაცვალებამდე, მიუხედავად იმისა, იცოდა, რომ, სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ზიანის

---

930 68-ე-71-ე პუნქტები.

931 17 დეკემბერი, 2020 წელი.

932 67-ე პუნქტი.

933 *მაზეპა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Mazepa and Others v. Russia)*, 17 სექტემბერი, 2018 წელი, 81-ე პუნქტი; *ბირზიკოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ (Byrzykowski v. Poland)*, 27 ივნისი, 2006 წელი, 114-ე-116-ე პუნქტები; *სილიჰი სლოვენიის წინააღმდეგ (Silih v. Slovenia)*, დიდი პალატა, 9 აპრილი 2009 წელი, 202-ე-210-ე პუნქტები.

934 *სტარჩევიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Starcevic v. Croatia)*, 13 ნოემბერი, 2014 წელი, 58-ე პუნქტი; *რანდელოვიჩი და სხვები მონტენეგროს წინააღმდეგ (Randelovic and Others v. Montenegro)*, 19 სექტემბერი, 2017 წელი, 130-ე-131-ე პუნქტები; *პარვუ რუმინეთის წინააღმდეგ (Parvu v. Romania)*, 30 აგვისტო, 2022 წელი; *ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია რუმინეთში – ჰელსინკის კომიტეტი იონელ გარსეას სახელით რუმინეთის წინააღმდეგ* (Association for the Defence of Human Rights in Romania – Helsinki Committee on behalf of Ionel Garcea v. Romania), 24 მარტი, 2015 წელი.

გამო, მისი გადარჩენის პერსპექტივა ბუნდოვანი იყო (მსხვერპლი თვითმკვლელობის მცდელობიდან გარდაცვალებამდე სამი დღის განმავლობაში იმყოფებოდა საავადმყოფოში და, ფიზიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მას შეეძლო კომუნიკაცია). ევროპული სასამართლოს აზრით, ამ გარემოებებში ხელისუფლება ვალდებული იყო, ემოქმედა სწრაფად და გულმოდგინედ და უნდა ჰქონოდა მცდელობა, მიეღო ჩვენება, რომელსაც ვეღარ მიიღებდა მისი გარდაცვალების შემდეგ, რაც მან არ გააკეთა.[935]

გამოძიების გონივრული სისწრაფით წარმართვის მოთხოვნა დაირღვა საქმეზე – *მაკკოი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCaughey and Others v. the United Kingdom)*, რომელშიც უშიშროების სამსახურის მიერ ჩრდილოეთ ირლანდიაში მკვლელობის გამო გამოძიება 21 წელზე მეტი ხნის განმავლობაში გაგრძელდა, რაც გამოწვეული იყო სადავო დოკუმენტების გამჟღავნების წინააღმდეგობით, მოკვლევის პროცედურების გაჭიანურებითა და დაუსაბუთებელი დაყოვნებებით.[936]

საქმე *მაჰმუტ კაია თურქეთის წინააღმდეგ (Mahmut Kaya v. Turkey)* ეხებოდა მოსარჩელის მტკიცებას, რომ მისი ძმა გაუჩინარდა, რასაც მოჰყვა მისი სიცოცხლის მოსპობა.[937] მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურა უკიდურესად გადატვირთული იყო თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში შექმნილი სიტუაციის გამო, ამან ვერ გაამართლა გამოძიების გაჭიანურება. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ, მდგომარეობის სირთულის მიუხედავად, ხელისუფლებას მაინც ეკისრებოდა ვალდებულება, გონივრული სისწრაფით წარემართა საქმის გამოძიება.[938]

საქმე *მოკანუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Mocanu and Others v. Romania)* ეხებოდა 1990 წელს მოსარჩელის მეუღლის გარდაცვალებას, ანტისამთავრობო დემონსტრაციაში მონაწილეობის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობიდან გასროლის შედეგად.[939] ვინაიდან მოსარჩელის მეუღლის საქმის გამოძიება მიმდინარეობდა 23 წლის განმავლობაში და ევროპული სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს გამოძიება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გამოძიებამ არ დააკმაყოფილა გონივრული სისწრაფით გამოძიების წარმართვის მოთხოვნა.[940]

საქმეზე – *დენიზი და სხვები კვიპროსის წინააღმდეგ (Denizci and Others v. Cyprus)* – გამოძიების გონივრული სისწრაფით წარმართვასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ხელისუფლებას შეატყობინეს მკვლელობის შესახებ, პოლიცია დაუყოვნებლივ გაეშურა მკვლელობის ადგილას, აღწერა არსებული მდგომარეობა და შეადგინა ადგილზე აღმოჩენილი ნივთების სია.[941] სახელმწიფომ უზრუნველყო შესაბამისი ნიმუშების წაღება და ლაბორატორიული გამოკვლევა. პათოლოგ-

---

935 17 დეკემბერი, 2009 წელი, 130-ე პუნქტი.

936 2013 წლის 16 ივლისი, 131-ე და 140-ე პუნქტები; ასევე *Hemsworth v. UK,* 2013; *სანდრუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Sandru and Others v. Romania),* 8 დეკემბერი, 2009 წელი; *მ. ოზელი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (M. Özel and Others v. Turkey),* 17 ნოემბერი, 2015 წელი; ასევე იხ. M. O'Boyle, Duty to Carry out an Effective Investigation under Article 2 of the ECHR, in: El Tribunal Europeo de Derechos Humanos: Una vision desde dentro, En homenaje al Juez Josep Casadevall, 2015, 228.

937 28 მარტი, 2000 წელი.

938 107-ე პუნქტი.

939 დიდი პალატა, 17 სექტემბერი, 2014 წელი.

940 იქვე, 285-ე პუნქტი; ასევე *იუხიმოვიჩი უკრაინის წინააღმდეგ (Yukhymovich v. Ukraine)*, 17 დეკემბერი, 2020 წელი, 69-ე პუნქტი. ამ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა 19 წლის განმავლობაში.

941 23 მაისი, 2001 წელი.

ანატომი, რომელიც მკვლელობიდან რამდენიმე საათში ადგილზე იყო, შეუდგა გვამების შესწავლასა და გაკვეთას. ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ადგილობრივმა პოლიციამ მრავალი ღონისძიება გაატარა გამოძიების განმავლობაში, რის შედეგადაც წელიწადზე ნაკლებ დროში შეგროვდა 600 გვერდზე მეტი საქმის მასალა. ამ გარემოებებისა და ეროვნული სასამართლოების მიერ წარდგენილი საგამოძიებო მასალის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მას არ ჰქონდა დასკვნის გაკეთების საფუძველი, რომ მკვლელობის ფაქტის გამოძიება იყო არაადეკვატური.[942]

ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა გამოძიების გონივრული სისწრაფით წარმართვის აუცილებლობაზე საქმეში – *ასლახანოვა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Aslakhanova and Others v. Russia)*, რომელიც ეხებოდა ჩეჩნეთში მოსარჩელეთა ოჯახის წევრების (სულ 9 ადამიანი) გაუჩინარებას 2002 წლის მარტიდან 2004 წლის ივლისამდე.[943] სასამართლომ აღნიშნა, რომ სახეზეა გამოძიების სისტემური ხარვეზები, როგორებიცაა სამართალწარმოების დაწყებისა და მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების გაჭიანურება, მათ შორის, იმ სამხედრო და უშიშროების ოფიცრების იდენტიფიცირებასა და დაკითხვასთან მიმართებით, რომლებიც გატაცების თვითმხილველები და მონაწილეები არიან, ასევე პასიურობის ხანგრძლივი პერიოდების არსებობა და ნათესავებისათვის დაზარალებულის სტატუსის დაგვიანებული მინიჭება. სასამართლოს აზრით, ამ და სხვა ფაქტორებმა, ერთობლიობაში, განაპირობა გამოძიების არაეფექტიანობა.[944]

საქმეზე – *ბაზორკინა რუსეთის წინააღმდეგ (Bazorkina v. Russia)* მოსარჩელემ საკუთარი შვილი, რომელიც დაკარგული იყო ჩეჩნეთში, 2000 წლის თებერვალში სატელევიზიო საინფორმაციო გადაცემაში შენიშნა, მაშინ, როდესაც ოფიცერი ახდენდა მის დაკითხვას.[945] საინფორმაციო გადაცემაში საკუთარი შვილის ხილვის შემდეგ მოსარჩელემ დაუყოვნებლივ დაიწყო მისი ძებნა, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელემ დაუყოვნებლივ მიმართა შესაბამის ორგანოებს შვილის გაუჩინარების გამო, ამ ფაქტიდან ერთი წლისა და ხუთი თვის შემდეგ დაიწყო გამოძიება. საგამოძიებო მოქმედებების ძირითადი ნაწილი ჩატარდა 2003 წლის დეკემბრიდან, კერძოდ მას შემდეგ, რაც მოსარჩელემ მიმართა ევროპულ სასამართლოს, რომელმაც კომუნიცირება მოახდინა მოპასუხე სახელმწიფოსთან. გაუჩინარების ფაქტთან დაკავშირებით ერთ-ერთი ძირითადი მოწმე დაიკითხა 2004 წლის ივნისში, ხოლო სპეცოპერაციის მონაწილე სამხედრო პირები კი დაიკითხნენ 2005 წელს.

ევროპულმა სასამართლომ ამ ფაქტების შეფასებისას განაცხადა, რომ „მხოლოდ ამ დაყოვნებებმა ეჭვის ქვეშ დააყენა გამოძიების ეფექტიანობა და მათ არ შეეძლო, არ მოეხდინა უარყოფითი გავლენა ჭეშმარიტების დადგენის პერსპექტივაზე.“[946]

საქმეზე – *ესტამიროვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Estamirov and Others v. Russia)* – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: გარდა იმისა, რომ ამ საქმეზე გამოძიების დაწყება მნიშვნელოვნად გაჭიანურდა, ის არ ჩატარდა გონივრული სისწრაფით.[947] სასამართლოს აზრით, გამოძიების პროცესი წარიმართა დაუსაბუთებელი დაგვიანებით. კერძოდ, სასამართლოს პოზიციით, „საქმის მასალების უმრავლესობა

---

942 378-ე-379-ე პუნქტები.

943 18 დეკემბერი, 2012 წელი.

944 123-ე პუნქტი; ასევე იხ. M. O'Boyle, Duty to Carry out an Effective Investigation under Article 2 of the ECHR, in: El Tribunal Europeo de Derechos Humanos: Una vision desde dentro, En homenaje al Juez Josep Casadevall, 2015, 225.

945 27 ივლისი, 2006 წელი.

946 121-ე პუნქტი.

947 12 ოქტომბერი, 2006 წელი.

მომზადდა 2003 წლის ივლისში, მას შემდეგ, რაც საქმის კომუნიცირება მოხდა მოპასუხე მთავრობასთან, შესაბამისი ორივე მოვლენიდან და სამართალწარმოების დაწყებიდან სამ წელზე მეტი დროის გასვლის შემდეგ. 2003 წლის ივლისში გადადგმული ნაბიჯები მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან ღონისძიებებს, როგორებიცაა: მოწმეების იდენტიფიცირება და დაკითხვა, შემთხვევის ადგილის დამატებითი დათვალიერება, სამხედრო დანაყოფის იდენტიფიცირების მცდელობა, რომელიც შეიძლება ყოფილიყო დაკავშირებული მკვლელობებთან. ბალისტიკური ექსპერტიზის ანგარიშები შესაბამის ორგანოში გაიგზავნა მხოლოდ 2003 წლის ივლისში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი 2000 წლის ივნისში უკვე ხელმისაწვდომი იყო. ნათელია, რომ ეს ღონისძიებები, თუ მათი მიზანი იყო ხელშესახები შედეგების მიღწევა, უნდა გატარებულიყო დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ შეიტყო დანაშაულის შესახებ და შეძლებისდაგვარად მოკლე დროში გამოძიების დაწყებიდან. სასამართლო ადასტურებს, რომ სადავო სიტუაციებში გარდაცვალების შემთხვევებთან მიმართებით გადამწყვეტია, გამოძიება იყოს სწრაფი. დროის გასვლა ხელმისაწვდომი მტკიცებულებების რაოდენობასა და მის ხარისხს უდავოდ შეამცირებს, ხოლო არასაკმარისი გულმოდგინების გამოვლენა ეჭვის ქვეშ დააყენებს გამოძიების ჩატარების მცდელობის კეთილსინდისიერებას, ისევე როგორც გამოიწვევს ოჯახის წევრების მძიმე განსაცდელს. ... ასეთი არსებითი დაგვიანება, რომელიც აუხსნელია ამ საქმეში, არა მხოლოდ ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ ხელისუფლებამ არ იმოქმედა თავისი ინიციატივით, არამედ არის განსაკუთრებული გულმოდგინებისა და სისწრაფის გამოვლენის ვალდებულების დარღვევა.“[948]

ევროპული სასამართლო არ ადგენს გამოძიების რაიმე ვადებს, რომლის განმავლობაში უნდა ჩატარდეს გამოძიება. ასეთი ვადის დადგენა შეუძლებელი იქნებოდა საქმეთა განსხვავებული ხასიათისა და გასატარებელი ღონისძიებების მრავალფეროვნების გამო. ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გამოძიება უნდა ჩატარდეს გონივრული სისწრაფით და რომ გამოძიების პროცესი არ შეიძლება იყოს უვადო. მართალია, ევროპული სასამართლო მოითხოვს სახელმწიფოებისაგან, გამოძიება წარიმართოს გონივრული სისწრაფით,[949] ეს არ გამორიცხავს, რომ გარკვეულმა გარემოებებმა შეიძლება შეაფერხოს გამოძიების პროცესი. საქმეზე – *ჰიუ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hugh Jordan v. the United Kingdom)* – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა შემდეგი: „მისაღებად უნდა ჩაითვალოს, რომ შეიძლება არსებობდეს დაბრკოლებები ან სირთულეები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში ხელს შეუშლის გამოძიების პროგრესს.“[950]

ობიექტურმა სიტუაციამ შეიძლება გაამართლოს საგამოძიებო მოქმედებების დაგვიანებით ჩატარება, მაგრამ ასეთი დაგვიანება უნდა იყოს განპირობებული კონკ-

---

948 89-ე პუნქტი; ასევე იხ. *ტრუბნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Trubnikov v. Russia),* 5 ივლისი, 2005 წელი, 92-ე პუნქტი; ასევე იხ. *პოლი და ოდრი ედვარდსები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom),* 14 მარტი, 2002 წელი, 86-ე პუნქტი.

949 J. Murdoch and R. Roche, The European Convention on Human Rights and Policing: A Handbook for Police Officers and Other Law Enforcement Officials, 2013, 32-33.

950 4 მაისი, 2001 წელი, 108-ე პუნქტი. *არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Armani da Silva v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 30 მარტი, 2016 წელი, 237-ე პუნქტი; *მაკკერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Mckerr v. the United Kingdom*), 4 მაისი, 2001 წელი, 111-ე-114-ე პუნქტები; *ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ (Opuz v. Turkey)*, 9 ივნისი, 2009 წელი, 150-ე პუნქტი; *კელლი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Kelly and Others v. the United Kingdom)*, 4 მაისი, 2001 წელი, 97-ე პუნქტი.

რეტული გარემოებით, რომელმაც ხელი შეუშალა შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას. გამოძიების პროცესის გაჭიანურება უნდა იყოს დასაბუთებული იმისათვის, რათა გონივრულად ჩაითვალოს ის.

საქმეზე – *ხაციევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Khatsiyeva and Others v. Russia)* – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, გამოძიება დაიწყო შემთხვევის დღეს, მათ შორის ჩატარდა წინასწარი სამედიცინო შემოწმება და მოხდა მოწმეთა ჩვენებების მიღება, მაგრამ მას შემდეგ, რაც მასალები გადაეცა სამხედრო პროკურატურას, გამოძიება გაჭიანურდა აუხსნელი მიზეზებით და შენელდა უმნიშვნელოვანესი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება.[951] ამის გამო ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.[952]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი მოითხოვს, რომ გამოძიება უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ სიცოცხლის მოსპობის მომენტიდან და წარიმართოს გონივრული სისწრაფით არა მხოლოდ პირის სიცოცხლის განზრახ, არამედ გაუფრთხილებლობით მოსპობის შემთხვევაში, მათ შორის: ექიმის გაუფრთხილებლობის, ბუნებრივი კატაკლიზმის ან უბედურ შემთხვევაში.

ექიმის გაუფრთხილებლობის მიმართ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გამოძიება წარმართოს გონივრული სისწრაფით. საქმეზე – *ბირზიკოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ (Byrzykowski v. Poland)*, რომელიც ეხებოდა მშობიარობის შედეგად 27 წლის ქალის გარდაცვალებას, – ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ თითქმის შვიდი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა გამოძიება, რაც არღვევს კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნას გონივრული სისწრაფით საქმის გამოძიების შესახებ.[953] საქმეზე – *ბილბია და ბლაჟევიცი ხორვატიის წინააღმდეგ (Bilbija and Blažević v. Croatia)*, რომელიც ეხებოდა მოსარჩელის დედის გარდაცვალებას სასუნთქი სისტემის პრობლემის გამო, – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ საქმეზე ადმინისტრაციული სამართალწარმოება მიმდინარეობდა თერთმეტი წლის განმავლობაში, ხოლო სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება გაგრძელდა ცხრა წელს.[954] როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა ამ საქმეზე: „სასამართლო ადასტურებს, რომ მე-2 მუხლთან დაკავშირებული სამართალწარმოების, რომლის მიზანია, ნათელი მოჰფინოს ინდივიდის გარდაცვალების გარემოებებს, გაგრძელება ხანგრძლივი დროით, როგორც ეს იყო ამ საქმეში, არის მკაფიო ნიშანი იმისა, რომ პროცესი არის იმდენად ხარვეზიანი, კონვენციიდან გამომდინარე, ჩაითვალოს მოპასუხე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სახელმწიფო წარმოადგენს უაღრესად დამაჯერებელ და სარწმუნო დასაბუთებას, რომელიც გაამართლებს სამართალწარმოების ასეთ ხანგრძლივობას“.[955]

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ასევე ეკისრება ვალდებულება, გონივრული სისწრაფით წარმართოს გამოძიება უბედურ შემთხვევებსა და ბუნებრივ კატაკლიზმებთან მიმართებით. საქმეზე – *ანა ტოდოროვა ბულგარეთის*

---

951 17 იანვარი, 2008 წელი.

952 146-ე პუნქტი; ასევე იხ. J. Chevalier-Watts, Has Human Rights Law Become *lex specialis* for the European Court of Human Rights in Right to Life Cases Arising from Internal Armed Conflicts, The International Journal of Human Rights, Vol. 14, No.4, July 2010, 598.

953 27 ივნისი, 2006 წელი, 114-ე და 116-ე პუნქტები; ასევე იხ. *სილიჰი სლოვენიის წინააღმდეგ (Silih v. Slovenia)*, დიდი პალატა, 9 აპრილი, 2009 წელი, 202-ე-210-ე პუნქტები.

954 12 იანვარი, 2016 წელი.

955 105-ე-107-ე პუნქტები.

წინააღმდეგ (Anna Todorova v. Bulgaria), რომელიც ეხებოდა ავტოავარიის შედეგად მოსარჩელის შვილის გარდაცვალებას, – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: ვინაიდან სისხლის სამართლის სამართალწარმოება მიმდინარეობდა ექვს-ნახევარ წელზე მეტხანს, რაც განპირობებული იყო არაერთი დაგვიანებითა და საქმის გამოძიებისათვის არაერთხელ დაბრუნებით, ხოლო სამოქალაქო სამართალწარმოება გაგრძელდა ხუთ წელსა და თითქმის ხუთ თვეს, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო საქმის ეფექტიანად და დროულად გამოძიება.[956] ამის გამო დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.[957]

საქმე *მარიუს ალექსანდრუ და მარინელა სტეფანი რუმინეთის წინააღმდეგ (Marius Alexandru and Marinela Stefan v. Romania)* ეხებოდა საავტომობილო გზაზე მიმავალ ავტომობილს, რომელსაც ხე დაეცა და გამოიწვია მასში მყოფი ორი პირის დაზიანება, ხოლო სამის გარდაცვალება.[958] იმის გათვალისწინებით, რომ საქმე მარტივი იყო, ხოლო გამოძიება გაგრძელდა რვა-ნახევრი წლის განმავლობაში, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლება, საპროცესო ნაწილში.[959]

ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოს საპროცესო ვალდებულებაზე იმსჯელა ისეთი სიტუაციის მიმართ, რომელშიც ეს ვალდებულება ეწინააღმდეგება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ინსტიტუტს. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ განიხილა სიტუაცია, როდესაც მოპასუხე სახელმწიფომ შეწყვიტა გამოძიება საქმეზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის გამო. ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ გამოძიების შეწყვეტა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო არ აკმაყოფილებს საპროცესო ვალდებულების მოთხოვნას, თუ საქმის გაჭიანურება გამოწვეულია „ხელისუფლების პასიურობით“.[960]

4.3.3.5. გამოძიების მიმართ საზოგადოებრივი კონტროლი და გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობა გამოძიების პროცესში

როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, ეფექტიანი გამოძიების აუცილებელი მოთხოვნაა საზოგადოებრივი კონტროლის არსებობა და გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობა გამოძიების პროცესში.[961]

---

956 24 მაისი, 2011 წელი.

957 83-ე პუნქტი.

958 24 მარტი, 2020 წელი.

959 ასევე იხ. საგზაო შემთხვევასთან დაკავშირებული სხვა საქმეები: *იგორ შევჩენკო უკრაინის წინააღმდეგ (Igor Shevchenko v. Ukraine)*, 12 იანვარი, 2012 წელი, 61-ე პუნქტი; *სტარჩევიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Starcevic v. Croatia)*, 13 ნოემბერი, 2014 წელი, 67-ე პუნქტი; ასევე იხ. საქმე, რომელიც ეხებოდა აფეთქების შედეგად მოსარჩელის შვილის გარდაცვალებას: *მიცუბაბიჩი სერბეთის წინააღმდეგ (Mučibabić v. Serbia)*, 12 ივლისი, 2016 წელი, 135-ე პუნქტი; საქმე, რომელიც ეხებოდა მოსარჩელის შვილის გარდაცვალებას ხანძრის შედეგად მიღებული დამწვრობის გამო, *სიდიკა იმრენი თურქეთის წინააღმდეგ (Sıdıka İmren v. Turkey),* 13 სექტემბერი, 2016 წელი, 67-ე პუნქტი.

960 *მოკანუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Mocanu and Others v. Romania)*, დიდი პალატა, 17 სექტემბერი, 2014 წელი, 346-ე პუნქტი; *ასოციაცია „1989 წლის 21 დეკემბერი“ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Association “21 December 1989” and Others v. Romania),* 24 მაისი, 2011 წელი, 144-ე პუნქტი.

961 *ჰუსეინოვა აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Huseynova v. Azerbaijan)*, 13 აპრილი, 2017 წელი, 113-ე პუნქტი; *რიბჩევა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (Ribcheva and Others*

გამოძიება უნდა ემსახურებოდეს იმას, რომ, ზოგადად, საზოგადოებამ და გარდაცვლილის ნათესავმა იცოდეს გარდაცვალების მიზეზი და რომ შესაბამის პირებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა. როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა საქმეზე – *ჰიუ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hugh Jordan v. the United Kingdom)*, – „უნდა არსებობდეს გამოძიების ან მისი შედეგების მიმართ საზოგადოებრივი კონტროლის საკმარისი ელემენტი, რათა უზრუნველყოფილი იყოს ანგარიშვალდებულება როგორც პრაქტიკაში, ისე თეორიაში. საზოგადოებრივი კონტროლის ხარისხი შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სხვადასხვა საქმეზე. მიუხედავად ამისა, ყველა საქმეზე გარდაცვლილის ნათესავი უნდა იყოს ჩართული გამოძიების პროცესში იმ ხარისხით, რაც უზრუნველყოფს მისი კანონიერი ინტერესების დაცვას".[962]

სახელმწიფოს ვალდებულება, გარდაცვლილის ნათესავი ჩართოს გამოძიების პროცესში, ნიშნავს, რომ მას უნდა ჰქონდეს გამოძიებასთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია, შეეძლოს, რომ წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები და გარდაცვალებასთან დაკავშირებული მოვლენების საკუთარი ვერსია, იცოდეს გამოძიების მიერ მომზადებული დასკვნებისა და გამოძიებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ, მათ შორის საქმის გამოძიების შეწყვეტისა და მისი მიზეზების შესახებ.[963] გარდაცვლილის ნათესავმა უნდა მიიღოს სათანადო და დროული ინფორმაცია იმაზე, რა ნაბიჯებს დგამს სახელმწიფო საქმის გამოძიების მიზნით, რომლის შედეგებიც მნიშვნელოვანია ნათესავისათვის.[964]

---

v. Bulgaria), 30 მარტი, 2021 წელი; *ტაგიევა აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Tagiyeva v. Azerbaijan)*, 7 ივლისი, 2022 წელი, 73-ე პუნქტი.

962 109-ე პუნქტი; ასევე იხ. *მაკკერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*Mckerr v. the United Kingdom*), 4 მაისი, 2001 წელი, 115-ე პუნქტი; *კელლი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Kelly and Others v. the United Kingdom)*, 4 მაისი, 2001 წელი, 98-ე პუნქტი; *ანგუელოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Anguelova v. Bulgaria)*, 13 ივნისი, 2002 წელი, 140-ე პუნქტი; *რამსაჰაი და სხვები ნიდერლანდის წინააღმდეგ (Ramsahai and Others v. Netherlands)*, დიდი პალატა, 15 მაისი, 2007 წელი, 347-ე პუნქტი; *არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Armani da Silva v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 30 მარტი, 2016 წელი, 235-ე პუნქტი; ასევე იხ. A. Mowbray, Duties of Investigation under the European Convention on Human Rights, 51, International and Comparative Law Quarterly, 51(2), 438-439; J. Kratochvil, The Rights to Life in the Perspective of the Human Rights Committee and the European Court of Human Rights, http://ssrn.com/asract=951225, p. 9-10.

963 M. O'Boyle, Duty to Carry out an Effective Investigation under Article 2 of the ECHR, in: El Tribunal Europeo de Derechos Humanos: Una vision desde dentro, En homenaje al Juez Josep Casadevall, 2015, 229.

964 *ბოიჩენკო რუსეთის წინააღმდეგ (Boychenko v. Russia),* 12 ოქტომბერი, 2021 წელი, 99-ე პუნქტი; ასევე იხ.: O. Chernishova, Right to the Truth in the Case-law of the European Court of Human Rights, in: The Right to Life under Article 2 of the European Convention: Twenty Years of Legal Developments since McCann v. the United Kingdom, in honour of Michael O'Boyle, 2016, p. 150-151; A. Mowbray, Duties of Investigation under the European Convention on Human Rights, 51, International and Comparative Law Quarterly, 51(2), 438-439.

გამოძიების წარმოება გარდაცვლილის ნათესავის მონაწილეობის გარეშე იწვევს ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას საპროცესო ნაწილში.[965] საქმე *ოგური თურქეთის წინააღმდეგ (Ogur v. Turkey)* ეხებოდა თურქეთის უშიშროების ძალების მიერ მოსარჩელის შვილის მკვლელობას შეიარაღებული ოპერაციის ჩატარებისას.[966] ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გარდაცვლილის ნათესავს არ ჰქონდა წვდომა საქმის მასალებზე, რის გამოც მას არ მიეცა უფლება, დაეცვა თავიანთი ინტერესები. ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ვალდებულება.[967]

საქმეზე – *მოკანუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Mocanu and Others v. Romania)*, რომელიც ეხებოდა 1990 წელს მოსარჩელის მეუღლის გარდაცვალებას ანტისამთავრობო დემონსტრაციაში მონაწილეობის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობიდან გასროლის შედეგად, – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მეუღლე 2000 წლამდე საერთოდ არ იყო ინფორმირებული გამოძიების წინსვლის შესახებ.[968] ამას გარდა, პროკურატურამ მოსარჩელე პირველად დაკითხა 2007 წელს, სადავო მოვლენებიდან 17 წლის შემდეგ.[969] ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.[970]

საქმეზე – *გულეკი თურქეთის წინააღმდეგ (Güleç v. Turkey)*, რომელიც ეხებოდა მოსარჩელის 15 წლის შვილის სიცოცხლის მოსპობას უშიშროების ძალების წარმომადგენელთა და დემონსტრანტთა შორის დაპირისპირებისას, – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან მოსარჩელე არ იყო ინფორმირებული გამოძიების პროგრესის შესახებ გარკვეულ ეტაპებზე, არ იყო ინფორმირებული გამოძიების პროცესში მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების, მათ შორის საქმის შეწყვეტის შესახებ, სხვა საკითხებთან ერთად, ეს გახდა საპროცესო ნაწილში კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის დადგენის საფუძველი.[971]

საქმე *კელი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Kelly and Others v. the United Kingdom)* ეხებოდა სპეციალური დანიშნულების რაზმის მიერ IRA-ის[972] წინააღმდეგ სპეცოპერაციის შედეგად ცხრა ადამიანის სიცოცხლის მოსპობას, რომელთაგან ერთი საერთოდ არ იყო კავშირში IRA-სთან, ხოლო, მინიმუმ, ორი არ იყო შეიარაღებული. ევროპული სასამართლოს წინაშე გარდაცვლილთა ნათესავები ამტკიცებდნენ, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი, მათ შორის იმის გამო, რომ გარდაცვლილთა ნათესავები არ იყვნენ ინფორმირებულნი გამოძიების პროგრესის შესახებ, კერძოდ, ისინი არ იყვნენ ინფორმირებულნი იმის შესახებ, რატომ არ ჩაითვალა ცეცხ-

---

965 *სლიმანი საფრანგეთის წინააღმდეგ (Slimani v. France)*, 27 ივლისი, 2004 წელი, 48-ე-49-ე პუნქტები.

966 დიდი პალატა, 20 მაისი, 1999 წელი.

967 92-ე-93-ე პუნქტები; ასევე იხ. *ტაგიევა აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Tagiyeva v. Azerbaijan)*, 7 ივლისი, 2022 წელი, 73-ე პუნქტი.

968 დიდი პალატა, 17 სექტემბერი, 2014 წელი, 349-ე პუნქტი.

969 350-ე-351-ე პუნქტები.

970 353-ე პუნქტი.

971 27 ივლისი, 1998 წელი, 82-ე პუნქტი; ასევე იხ. G. Gaggioli and R. Kolb, A Right to Life in Armed Conflicts? The Contribution of the European Court of Human Rights, Israel Yearbook on Human Rights, Vol. 37, 2007, 154-155.

972 ირლანდიის რესპუბლიკური არმია (Irish Republican Army – IRA) იყო ნახევრად სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა ბრიტანეთის მმართველობის დასრულებას ჩრდილოეთ ირლანდიაში.

ლსასაროლი იარაღის გამოყენება ამ პირთა მიმართ სისხლის სამართლის დანაშაულად ან პროკურატურამ რატომ არ განმარტა იმის მიზეზები, რომ არ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა სპეციალური დანიშნულების რაზმის არცერთი წევრის მიმართ, რომლებმაც ამ პირთა სიცოცხლე მოსპეს.

ევროპული სასამართლოს აზრით, სახელმწიფომ ვერ დაარწმუნა საზოგადოება, რომ ამ საქმეში დაცული იყო სამართლის უზენაესობა.[973] ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ სახელმწიფოს მოქმედებამ არ დააკმაყოფილა კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნები, ვინაიდან გარდაცვლილის ნათესავები არ იყვნენ ინფორმირებულნი გამოძიების პროგრესის შესახებ. გამოძიების წარმართვამ საზოგადოებისა და გარდაცვლილის ნათესავების ინფორმირების გარეშე გამოიწვია კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში.[974]

საქმეზე – *აბუიევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Abuyeva and Others v. Russia)*, რომელიც ეხებოდა მკვლელობებს ჩეჩნეთში, – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეებს არ მიეწოდათ არსებითი ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და რომ სამხედრო პროკურატურამ, ეროვნული კანონმდებლობის დარღვევით, არ შეატყობინა გარდაცვლილთა ნათესავებს ყველაზე მნიშვნელოვანი საპროცესო ნაბიჯების შესახებ.[975] ევროპული სასამართლოს აზრით, ის, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ასეთი ინფორმაცია არ მიაწოდეს გარდაცვლილის ნათესავებს არის ეფექტიანი გამოძიების მოთხოვნის განსაკუთრებით უხეში დარღვევა.[976]

ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა დარღვევა საქმეზე – *ასლახანოვა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Aslakhanova and Others v. Russia)*, რომელშიც სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო გარდაცვლილთა ნათესავებისათვის ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, მათ შორის გამოძიების შედეგების შესახებ, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.[977]

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გარდაცვლილის ნათესავისათვის დაზარალებულის სტატუსის დაგვიანებით მინიჭება, რაც ხელს უშლის მისთვის მინიმალური საპროცესო გარანტიებით უზრუნველყოფას, ითვლება კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად საპროცესო ნაწილში.[978]

მიუხედავად იმისა, რომ გარდაცვლილის ნათესავი ჩართული უნდა იყოს გამოძიების პროცესში, ეს არ უნდა განიმარტოს იმგვარად, თითქოს სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებული გამოძიება უნდა იყოს სრულიად საჯარო, ან თითქოს გამოძიების პროგრესის შესახებ ნათესავის ინფორმირების ვალდებულება არ შეიძლება შეიზღუდოს და, რომ გამოძიება ვალდებულია, გარდაცვლილის ნათესავებს გააცნოს ყველა საგამოძიებო მასალა, გაიაროს მასთან კონსულტაცია ყველა საგამოძი-

---

973 118-ე პუნქტი.

974 A. Mowbray, Duties of Investigation under the European Convention on Human Rights, 51, International and Comparative Law Quarterly, 51(2), 442-443.

975 2010 წლის 2 დეკემბერი; ასევე *ბეტაევი და ბეტაევა რუსეთის წინააღმდეგ (Betayev and Betayeva v. Russia),* 29 მაისი, 2008 წელი, 88-ე პუნქტი.

976 214-ე პუნქტი.

977 18 დეკემბერი, 2012 წელი, 123-ე პუნქტი.

978 *ლულუევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Luluyev and Others v. Russia)*, 9 ნოემბერი, 2006 წელი, მე-100 პუნქტი; *ბოიჩენკო რუსეთის წინააღმდეგ (Boychenko v. Russia),* 12 ოქტომბერი, 2021 წელი, 99-ე პუნქტი.

ებო მოქმედების შესახებ, ან მიაწოდოს მას ინფორმაცია გამოძიების ყველა ნაბიჯის შესახებ.[979]

გამოძიების პროგრესის შესახებ გარდაცვლილის ნათესავის ინფორმირების ვალდებულება შეიძლება შეიზღუდოს უსაფრთხოების ან სხვა მოსაზრებებით. საქმეზე – *მაკკერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McKerr v. the United Kingdom)* – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „პოლიციის ანგარიშებისა და საგამოძიებო მასალების გასაჯაროება ან გამოქვეყნება შეიძლება უკავშირდებოდეს მგრძნობიარე საკითხებს, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს პრეიუდიციული შედეგი კერძო პირებისა ან სხვა საქმეზე გამოძიების მიმართ და, შესაბამისად, არ უნდა ჩაითვალოს მე-2 მუხლიდან გამომდინარე ავტომატურ მოთხოვნად. საჭირო წვდომა საზოგადოებისა ან მსხვერპლის ნათესავისათვის შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს ხელმისაწვდომი პროცედურების სხვა ეტაპებზე.“[980]

საქმეზე – *რამსაჰაი და სხვები ნიდერლანდის წინააღმდეგ (Ramsahai and Others v. the Netherlands)* – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: ის არ თვლის, რომ კონვენციის მე-2 მუხლი აკისრებს საგამოძიებო ორგანოს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს ყველა თხოვნა კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, რომლებითაც მიმართავს გარდაცვლილის ნათესავი გამოძიების პროცესში.[981] გამოძიების პროგრესის შესახებ გარდაცვლილის ნათესავის ინფორმირების ვალდებულება შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა საქმეში.[982]

ის, რომ სახელმწიფოს არ ეკისრება განუსაზღვრელი ვალდებულება, დაუკმაყოფილოს გარდაცვლილის ნათესავს გამოძიებასთან დაკავშირებული ყველა თხოვნა, დასტურდება საქმით – *ჰუვანაინენი ფინეთის წინააღმდეგ (Huohvanainen v. Finland)*.[983] გამოძიების პროგრესის შესახებ გარდაცვლილის ნათესავის ინფორმირებისათვის სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების შეფასების შედეგად ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა. კერძოდ, მან აღნიშნა შემდეგი:

„რაც შეეხება მოსარჩელეთა თხოვნებს გამოძიებასთან დაკავშირებით, რომლებზეც მიიღეს უარი და გამოძიებასთან დაკავშირებულ მათ კრიტიკას, სასა-

---

979 *არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Armani da Silva v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 30 მარტი, 2016 წელი, 235-ე-236-ე პუნქტები; *გურტეკინი და სხვები კვიპროსის წინააღმდეგ (Gurtekin and Others v. Cyprus)*, გადაწყვეტილები, 11 მარტი, 2014 წელი, 29-ე პუნქტი; *მუჯკანოვიჩი და სხვები ბოსნია და ჰერცეგოვინის წინააღმდეგ (Mujkanović and Others v. Bosnia and Herzegovina)*, გადაწყვეტილება, 3 ივნისი, 2014 წელი, მე-40 პუნქტი; *ფაზლიცი და სხვები ბოსნია და ჰერცეგოვინის წინააღმდეგ (Fazlić and Others v. Bosnia and Herzegovina)*, გადაწყვეტილება, 3 ივნისი, 2014 წელი, 38-ე პუნქტი; *რამსაჰაი და სხვები ნიდერლანდის წინააღმდეგ (Ramsahai and Others v. Netherlands)*, დიდი პალატა, 15 მაისი, 2007 წელი, 348-ე პუნქტი.

980 129-ე პუნქტი; ასევე *რამსაჰაი და სხვები ნიდერლანდის წინააღმდეგ (Ramsahai and Others v. Netherlands)*, დიდი პალატა, 15 მაისი, 2007 წელი, 347-ე პუნქტი; *არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Armani da Silva v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 30 მარტი, 2016 წელი, 235-236-ე პუნქტი.

981 348-ე პუნქტი.

982 *ჯულიანი და გაჯიო იტალიის წინააღმდეგ (Giuliani and Gaggio v. Italy)*, დიდი პალატა, 24 მარტი, 2011 წელი, 303-ე პუნქტი.

983 13 მარტი, 2007 წელი. ასევე *ჯულიანი და გაჯიო იტალიის წინააღმდეგ (Giuliani and Gaggio v. Italy)*, დიდი პალატა, 24 მარტი, 2011 წელი, 304-ე პუნქტი.

მართლო აღნიშნავს, რომ, მართალია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, წარმოჩნდეს სრული და ზუსტი სურათი იმისა, რა უძღოდა წინ იმ მოვლენებს, რომლებსაც მოჰყვა მკვლელობა სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ, ამ მიზნით მოგროვებული მტკიცებულებები უნდა იყოს გაფილტრული მათი შესაფერისობის მიხედვით. სასამართლოსათვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ოჯახს ხელი მიუწვდებოდა იმდენ ინფორმაციაზე, რაც თანაზომიერი იყო მისი ინტერესების დასაცავად ეროვნული სამართალწარმოების დროს, კერძოდ ჯ.-ს გარდაცვალების გარშემო ფაქტების დადგენასა და პოლიციის იმ ოფიცრების პასუხისმგებლობის დაკისრებასთან, რომლებიც კავშირში იყვნენ ნებისმიერ სავარაუდო მოქმედებასთან ან უმოქმედობასთან".[984]

საქმეზე – *ზერაიჩი და გოიკოვიჩი ბოსნია და ჰერცეგოვინის წინააღმდეგ (Zerajic and Gojkovic v. Bosnia and Herzegovina)*, რომელიც ეხებოდა მოსარჩელეების მეუღლეების გაუჩინარებას ბოსნია და ჰერცეგოვინაში 1992 წელს, გამოძიების პროგრესის შესახებ გარდაცვლილთა ნათესავების ინფორმირების ვალდებულებასთან დაკავშირებით, – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ნათესავებისათვის მნიშვნელოვანია, იცოდნენ სიმართლე გარდაცვალების გარემოების თაობაზე. ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საპროცესო ვალდებულება „არ მოითხოვს, მოსარჩელეებს ჰქონდეთ წვდომა პოლიციის მასალებზე ან მიმდინარე გამოძიების ყველა დოკუმენტის ასლზე, ან მათთან მოხდეს კონსულტირება ან მათი ინფორმირება ყველა ნაბიჯის შესახებ."[985]

საქმეზე – *ასოციაცია „1989 წლის 21 დეკემბერი" და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Association "21 December 1989" and Others v. Romania)*, რომელიც ეხებოდა 1989 წელს რუმინეთში ანტისამთავრობო დემონსტრაციის შედეგად დაზარალებული და გარდაცვლილი პირების სახელით შეტანილ სარჩელს,– ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: არაფერი ამართლებდა იმას, რომ მოსარჩელეებს მრავალი წლის განმავლობაში არანაირი ხელშესახები ინფორმაცია არ მიეწოდებოდათ გამოძიების შესახებ, მიუხედავად მათი მხრიდან მრავალი თხოვნისა.[986] მხოლოდ 2010 წელს, სადავო მოვლენებიდან თითქმის 20 წლის შემდეგ, მოსარჩელეებს მიეწოდათ გამოძიებასთან დაკავშირებული არსებითი ინფორმაცია.[987] აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ 2010 წლამდე არ იყო ადეკვატურად დაცული მოსარჩელეთა ინტერესები, ყოფილიყვნენ ინფორმირებულნი გამოძიების პროგრესის შესახებ, ისევე, როგორც არ იყო უზრუნველყოფილი საზოგადოებრივი კონტროლი გამოძიების მიმართ.[988]

საქმეზე – *გურტეკინი და სხვები კვიპროსის წინააღმდეგ (Gurtekin and Others v. Cyprus)*, რომელშიც წამოიჭრა გარდაცვლილთა ნათესავებისათვის პოტენციური ეჭვმიტანილების სახელების მიწოდების საკითხი, – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: „არ შეიძლება, ავტომატურად მოთხოვნილ იყოს ის, რომ ოჯახებს მიეწოდოს პოტენციური ეჭვმიტანილების სახელები, რომელთა წინააღმდეგ სამართლებრივი დევნისათვის შეგროვდა არასაკმარისი მტკიცებულებები. ეს განაპირობებს საფრთხეს, რომ [გარდაცვლილთა] ოჯახები და სხვები ივარაუდებენ, ამ პირებს სინამდვილეში მიუძღვით

---

984 111-ე პუნქტი; ასევე იხ. S. Skinner, Lethal Force, the Right to Life and the ECHR: Narrative of Death and Democracy, 2019, 116-117.

985 გადაწყვეტილება, 13 ნოემბერი, 2014 წელი, 31-ე პუნქტი.

986 140-ე პუნქტი.

987 141-ე პუნქტი.

988 იქვე.

ბრალი, ისევე როგორც განაპირობებს საფრთხეს ამ პირების მიმართ პოტენციურად არასასიამოვნო შედეგებით".[989]

როგორც აღინიშნა, სახელმწიფოს არც იმის ვალდებულება ეკისრება, რომ გამოძიების პროცესში დააკმაყოფილოს გარდაცვლილის ნათესავების ნებისმიერი თხოვნა კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ. საქმეზე – *არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Armani Da Silva v. the United Kingdom)* – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „მე-2 მუხლი არ აკისრებს საგამოძიებო ორგანოს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებული ნებისმიერი თხოვნა, რომლითაც მიმართავს ნათესავი გამოძიების მიმდინარეობისას."[990]

თუ სიცოცხლის განზრახ მოსპობის შემთხვევაში ევროპული სასამართლოს მიდგომაა, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს გარდაცვლილის ნათესავის ინფორმირება გამოძიების პროგრესის შესახებ, ევროპულმა სასამართლომ უფრო დაბალი სტანდარტი დააწესა გაუფრთხილებლობით, მათ შორის, ექიმის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში. ექიმის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში, სახელმწიფოს არ ეკისრება ვალდებულება, თავისი ინიციატივით გამოძიების პროცესში ჩართოს გარდაცვლილის ნათესავი. საქმე *გრეი გერმანიის წინააღმდეგ (Gray v. Germany)* ეხებოდა ექიმის მიერ გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულს (დიამორფინის ფატალური დოზის ინიექციის გაკეთებას), რომლის შედეგად გარდაიცვალა მოსარჩელეების მამა.[991] ამ საქმეზე მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ საკმარისად არ იყვნენ ინფორმირებულნი გერმანიაში მიმდინარე გამოძიების პროგრესის შესახებ. ამის საპასუხოდ ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, გერმანული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოები ვალდებული არ იყვნენ, მოსარჩელეებისათვის საკუთარი ინიციატივით ეცნობებინათ სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების დაწყების ან მისი შემდგომი წინსვლის შესახებ. ევროპული სასამართლოს მოსაზრებით, ამ საქმეში ასეთი ვალდებულება არ წარმოიშობა კონვენციის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტით გათვალისწინებული საპროცესო მოთხოვნების მიხედვით, თუმცა იმ შემთხვევებში, როდესაც სიკვდილთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წარმომადგენლებს ეკისრებოდათ, მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტი მოითხოვდა, რომ გარდაცვლილის ნათესავები ყოფილიყვნენ ინფორმირებულნი გამოძიების პროგრესის შესახებ იმდენად, რამდენადაც ამას მათი ლეგიტიმური ინტერესების დაცვა მოითხოვდა. აღნიშნულისგან განსხვავებით, მე-2 მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ვალდებულება ექიმის გაუფრთხილებლობასთან მიმართებით აუცილებლად არ მოითხოვდა სისხლისსამართლებრივი დაცვის საშუალების არსებობას.[992]

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა: კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარეობს, რომ გამოძიებას არ ეკისრება ვალდებულება, თავისი ინიციატივით მოძებნოს გარდაცვლილის ნათესავები, რათა მიაწოდოს ინფორმაცია საქმის გამოძიების დაწყებისა და გარ-

---

989 გადაწყვეტილება, 11 მარტი, 2014 წელი, 29-ე პუნქტი.

990 დიდი პალატა, 30 მარტი, 2016 წელი, 236-ე პუნქტი; ასევე *რამსაჰაი და სხვები ნიდერლანდის წინააღმდეგ (Ramsahai and Others v. Netherlands)*, დიდი პალატა, 15 მაისი, 2007 წელი, 348-ე პუნქტი.

991 22 მაისი, 2014 წელი, 88-ე პუნქტი; ასევე იხ. M. O'Boyle, Duty to Carry out an Effective Investigation under Article 2 of the ECHR, in: El Tribunal Europeo de Derechos Humanos: Una vision desde dentro, En homenaje al Juez Josep Casadevall, 2015, 229.

992 87-ე პუნქტი.

დაცვლილის ნათესავების საპროცესო უფლებების შესახებ. როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება განსაკუთრებით დიდი ტვირთი იქნება სახელმწიფოსათვის ისეთ საქმეებზე, რომლებშიც მსხვერპლი არის უცხოელი.[993] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა ნათესავებისათვის შეტყობინების ვალდებულება, რის გამოც არ დადგინდა გერმანიის მიერ კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე საპროცესო ვალდებულების დარღვევა.

4.3.4. გამოძიების ვალდებულების თავისებურება დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულის მიმართ

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, განსაკუთრებული ძალისხმევით აწარმოოს გამოძიება, როდესაც საქმე ეხება სიცოცხლის მოსპობას დისკრიმინაციული მოტივით. თუ სიცოცხლის მოსპობა განპირობებული იყო დისკრიმინაციული მოტივით, სახელმწიფომ განსაკუთრებული ძალისხმევით უნდა წარმართოს ასეთი საქმის გამოძიება და მუდმივად ხაზი გაუსვას საზოგადოებაში რასიზმის დაგმობის, ისევე როგორც უმცირესობათა ნდობის შენარჩუნების, აუცილებლობას, რომ სახელმწიფო დაიცავს მათ რასისტული ძალადობის საფრთხისაგან.[994]

საქმე *ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (Nachova and Others v. Bulgaria)* ეხებოდა სამხედრო პოლიციის მიერ ბოშა წარმოშობის ორი პირის სიცოცხლის მოსპობას, რომლებმაც უნებართვოდ დატოვეს სავალდებულო სამხედრო სამსახური.[995] ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განაცხადა შემდეგი: „როდესაც არსებობს ეჭვი, რომ რასობრივმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ძალადობრივი აქტი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ოფიციალური გამოძიება წარიმართოს ძალისხმევით და მიუკერძოებლობით, საზოგადოებაში რასიზმის დაგმობის მუდმივი ხაზგასმის საჭიროების გათვალისწინებით, ისევე როგორც იმისათვის, რათა შენარჩუნდეს უმცირესობების ნდობა ხელისუფლების უნარის მიმართ, რომ მათ დაიცავენ რასისტული ძალადობის საფრთხისაგან.“[996]

---

993 *გრეი გერმანიის წინააღმდეგ (Gray v. Germany),* 22 მაისი, 2014 წელი, 88-ე პუნქტი; ასევე იხ. M. O'Boyle, Duty to Carry out an Effective Investigation under Article 2 of the ECHR, in: El Tribunal Europeo de Derechos Humanos: Una vision desde dentro, En homenaje al Juez Josep Casadevall, 2015, 229.

994 *მენსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Menson v. the United Kingdom),* გადაწყვეტილება, 6 მაისი, 2003 წელი; ასევე იხ. S. Skinner, Lethal Force, the Right to Life and the ECHR: Narrative of Death and Democracy, 2019, 106.

995 დიდი პალატა, 6 ივლისი, 2005 წელი.

996 157-ე პუნქტი; ასევე *მენსონი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Menson and Others v. United Kingdom),* გადაწყვეტილება, 6 მაისი, 2003 წელი; *ჟიკონდი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (Gjikondi and Others v. Greece),* 21 დეკემბერი, 2017 წელი, 118-ე პუნქტი; ასევე იხ.; O'Boyle, Duty to Carry Out an Effective Investigation Under Article 2 of the ECHR, in: El Tribunal Europeo de Derechos Humanos, Una vision desde dentro, En homenaje al Juez Josep Casadevall, 2015, 219; T. S. Guler, 'Politive Obligations' Doctrine of the European Court of Human Rights: Is it Cogent or Obscure? European Journal of Multidisciplinary Studies, 2017, Vol. 6, N1, 363; M. Florczak-Wator, The Role of the European Court of Human Rights in Promoting Horizontal Positive Obligations of the State, International and Comparative Law Review, 2017, vol. 17, no. 2, 50.

საქმე *ანგელოვა და ილიევი ბულგარეთის წინააღმდეგ (Angelova and Iliev v. Bulgaria)* ეხებოდა ბოშა წარმოშობის 28 წლის მამაკაცს, რომელსაც თავს დაესხა მოზარდთა ჯგუფი და მიაყენა სასიკვდილო ჭრილობები.[997] პოლიციის თავდაპირველი მოქმედება იყო მყისიერი, მაგრამ გამოძიება გართულდა ერთ-ერთი ეჭვმიტანილის მტკიცების გამო, რომ თავდასხმა იყო რასობრივად მოტივირებული. რამდენიმე პირმა შეცვალა ჩვენება. ამის შემდეგ გამოძიება შეჩერდა და თითქმის ოთხი წლის განმავლობაში არ გადადგმულა რაიმე ნაბიჯი გამოძიების კუთხით. არც სახელმწიფოს განუმარტავს ამ ხნის განმავლობაში პასიურობის მიზეზი.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ დააკმაყოფილა ვალდებულება, სათანადოდ გამოეძია საქმე და მოეხდინა სისხლისსამართლებრივი დევნა მკვლელობის ჩამდენი პირების მიმართ. ვინაიდან ამ საქმეში გამოიკვეთა რასობრივი ელემენტი, ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ამ ტიპის საქმეებზე და მიუთითა, რომ, როდესაც თავდასხმა არის რასობრივად მოტივირებული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გამოძიება წარიმართოს ძალისხმევითა და მიუკერძოებლობით. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში.[998]

საქმე *ციორკანი და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Ciorcan and Others v. Romania)* ეხებოდა ბოშა წარმოშობის, რუმინეთის 37 მოქალაქის სარჩელს.[999] ისინი ამტკიცებდნენ, რომ პოლიციამ გამოიყენა სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ძალა მოქალაქეების (მათ შორის სუზანა ციორკანის) მიმართ, რომლებსაც მიადგათ ზიანი, მათ შორის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის მოქმედების შედეგად მოსარჩელეებს არ მოესპოთ სიცოცხლე, გამოყენებული ძალის ხარისხის გამო, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.

დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულის გამოძიებასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: „როდესაც წარმოებს ძალადობრივი შემთხვევების გამოძიება, სახელმწიფო ხელისუფლებას ეკისრება დამატებითი ვალდებულება, გადადგას ყველა გონივრული ნაბიჯი, რათა ნიღაბი მოხსნას ნებისმიერ რასისტულ მოტივს და დაადგინოს, შეასრულა თუ არა ეთნიკურმა სიძულვილმა ან ცრურწმენამ რაიმე როლი ამ მოვლენებში. რასობრივ ნიადაგზე მომხდარი ძალადობისა და სისასტიკის განხილვა თანაბრად იმ საქმეებთან, რომლებსაც არ აქვს რასისტული ქვეტექსტი, იქნებოდა თვალის დახუჭვა მოქმედებათა კონკრეტული ხასიათის მიმართ, რომლებიც განსაკუთრებით გამანადგურებელია ძირითადი უფლებებისათვის. არსებითად სხვადასხვა სიტუაციის განსხვავებულად მართვის გაუთვალისწინებლობამ შეიძლება განაპირობოს გაუმართლებელი მოპყრობა, რომელიც შეუთავსებელია კონვენციის მე-14 მუხლთან.“[1000]

საქმე *თერშანა ალბანეთის წინააღმდეგ (Tershana v. Albania)* ეხებოდა 2009 წელს მოსარჩელეზე თავდასხმას მჟავას გამოყენებით, რაც, მოსარჩელის აზრით, ჩაიდინა მისმა ყოფილმა ქმარმა.[1001] მოსარჩელე ამტკიცებდა, გარდა იმისა, რომ ალბანეთის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მისი დაცვა თავდასხმისაგან, მან არ ჩაატარა საქმის

---

997 26 ივლისი, 2007 წელი.

998 98-ე პუნქტი.

999 27 იანვარი, 2015 წელი.

1000 158-ე პუნქტი; ასევე *სტოიანოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Stoyanova v. Bulgaria),* 14 ივნისი, 2022 წელი, 64-ე პუნქტი.

1001 4 აგვისტო, 2020 წელი.

ეფექტიანი გამოძიება სამართალდამრღვევის იდენტიფიცირების, დევნისა და დასჯისათვის.

ევროპულ სასამართლოს უნდა შეეფასებინა, ჩატარებულმა გამოძიებამ დააკმაყოფილა თუ არა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული საპროცესო მოთხოვნები. ამის შეფასებისათვის ევროპულმა სასამართლომ შეისწავლა, ზოგადად, ალბანეთში ქალთა მიმართ არსებული მდგომარეობა, რომელიც არასახარბიელოდ ჩათვალა, და ხაზი გაუსვა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ალბანეთში ფართოდ გავრცელებული პრობლემა იყო. სასამართლო ამას ადასტურებდა არაერთი საერთაშორისო ანგარიშით, რომელთა მიხედვით ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები ხშირად გაუხმაურებელი რჩებოდა, გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა კი არასაკმარისად ხდებოდა, ისევე როგორც ქვეყანაში არასაკმარისად უფარდებდნენ სასჯელს ამ დანაშაულისათვის. ამ ანგარიშების მიხედვით, პოლიციისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოები ავლენდნენ არაეფექტიან დამოკიდებულებას ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით, რაც განპირობებული იყო „სოციალური განწყობითა და კულტურული ღირებულებებით“ და ქალთა მიმართ ძალადობის ჩამდენი პირებისადმი ჩამოყალიბებული შემწყნარებლობით ან დაუსჯელობის გარემოთი.

სასამართლოს აზრით, თავდასხმის დრო ალბანეთში არსებობდა ქალთა მიმართ ძალადობისადმი ზოგადად ხელსაყრელი გარემო. სასამართლოს შეფასებით, როდესაც თავდასხმა ხდება ასეთ გარემოში, გამოძიებას ენიჭება კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა, ხოლო საგამოძიებო ორგანოები უნდა მოქმედებდნენ კიდევ უფრო გულმოდგინედ გამოძიების წარმოებისას, რათა უზრუნველყონ სიცოცხლის უფლების დაცვისაკენ მიმართული ეროვნული კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გამოძიება მჟავას გამოყენებით თავდასხმის შესახებ დაიწყო პროკურორმა და მან ჩაატარა რამდენიმე საგამოძიებო მოქმედება მოსარჩელის ყოფილი ქმრის წინააღმდეგ. ასევე ჩატარდა რამდენიმე საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის, თავდასხმის მიმდებარე ტერიტორიაზე შეისწავლეს ორი ბანკის ვიდეოკამერების ჩანაწერები. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებას არ დაუდგენია კონტეინერში და მოსარჩელის სამოსზე აღმოჩენილი ნივთიერების ბუნება. არც ქიმიური და ტოქსიკოლოგიური საექსპერტო დასკვნა მომზადებულა, რადგან შესაბამის სამსახურებს არ ჰქონდათ სპეციალური აღჭურვილობა ან მათ კომპეტენციაში არ შედიოდა ასეთი ანგარიშების მომზადება. ევროპულმა სასამართლომ ვერ გაიზიარა პოზიცია, რომ ამ საქმისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე საგამოძიებო მოქმედება, კერძოდ, საექსპერტო დასკვნის მომზადება, რომელიც მოსარჩელეზე თავდასხმის დროს გამოყენებული ნივთიერების იდენტიფიცირებას მოახდენდა, არ განხორციელებულა სათანადო სისწრაფითა და ძალისხმევით.[1002] ევროპული სასამართლოს აზრით, ეროვნულ ორგანოებს უნდა განესაზღვრათ კომპეტენციის საკითხები ან სპეციალიზებული დაწესებულებები, რომლებიც გაატარებდნენ საპროცესო ღონისძიებებს, რომლებიც იქნებოდა გადამწყვეტი გამოძიების წინსვლისა და კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ვალდებულებების შესასრულებლად.

ევროპული სასამართლოს პოზიციით, მოსარჩელეზე თავდასხმის გარემოებებს, რომელთა მახასიათებელია ძალადობა გენდერული ნიშნით, უნდა მიეცა სტიმული იმისათვის, რომ საგამოძიებო მოქმედებები ხელისუფლებას ჩაეტარებინა განსაკუთრებული გულმოდგინებით. სასამართლოს აზრით, როდესაც არსებობს ეჭვი, რომ თავდასხ-

1002 159-ე პუნქტი.

მა შეიძლება იყოს გენდერულად მოტივირებული, მეტად მნიშვნელოვანია, გამოძიება წარიმართოს განსაკუთრებული ძალისხმევით.[1003]

ევროპული სასამართლოს აზრით, საქმეზე მიღებულმა საბოლოო გადაწყვეტილებამ გამოძიების შეჩერების შესახებ, რომელიც არ საჩივრდებოდა, არ გასცა ზუსტი პასუხი კითხვას კონტეინერში და მოსარჩელის სამოსზე აღმოჩენილი ნივთიერების ბუნების შესახებ. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე მრავალგზის დაინტერესდა გამოძიების მიმდინარეობით, მას საპასუხოდ არ მიუღია რაიმე ინფორმაცია ან დოკუმენტები. შესაბამისად, მოსარჩელეს არ შეეძლო, ეჭვის ქვეშ დაეყენებინა არცერთი საგამოძიებო მოქმედება ან მოეთხოვა ხელისუფლებისაგან, რომ მას გაეტარებინა სხვა ღონისძიებები. იდენტიფიცირებული დამნაშავის არარსებობის პირობებში მოსარჩელე ვერც ზიანის ანაზღაურებას შეძლებდა.[1004] აქედან გამომდინარე, სასამართლოს აზრით, ჩატარებული გამოძიება არ იყო ეფექტიანი პასუხი მჟავათი თავდასხმის შემთხვევის საქმეზე. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში.[1005]

ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ ნათელი მოჰფინა, რომ დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სახელმწიფოს საპროცესო ვალდებულება ვრცელდება სამართალწარმოებაზე სასამართლოში, რომლის მიზანია დამნაშავისათვის შესაბამისი სასჯელის შეფარდება.[1006]

საქმე *სტოიანოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Stoyanova v. Bulgaria)* ეხებოდა დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ მკვლელობას, რომელიც ბულგარეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობით არ ითვლებოდა დამამძიმებელ გარემოებად.[1007] საქმის გარემოებები შემდეგი იყო: 2008 წელს სამი მამაკაცი თავს დაესხა მოსარჩელის შვილს, რადგან ჩათვალეს, რომ იგი გამოიყურებოდა როგორც ჰომოსექსუალი, ცემეს და დაახრჩვეს. მანამდე ეს პირები სხვებს დაესხნენ თავს, ამავე მიზეზით. ორ მათგანს შეეფარდა სასჯელი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ისეთ დამამძიმებელ გარემოებაში დანაშაულის ჩადენისათვის, როგორიცაა განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაული.[1008] მიუხედავად დანაშაულის ჩადენის დისკრიმინაციული მოტივებისა, ეროვნულმა სასამართლოებმა არ განიხილეს ის, როგორც დამატებითი დამამძიმებელი გარემოება, ვინაიდან ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებდა ამას.

აქედან გამომდინარე, ევროპულ სასამართლოს უნდა განეხილა, ბულგარეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა და მისი გამოყენების პრაქტიკა ეროვნული სასამართლოების მიერ შესაძლებელს ხდიდა თუ არა, სათანადო რეაგირება მოეხდინა დისკრიმინაციული მოტივებით ჩადენილ დანაშაულზე. ბულგარეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, მსხვერპლის მიმართ შეუწყნარებლობით ჩადენილი მკვლელობა, მისი სექსუალური ორიენტაციის გამო, არ ითვლებოდა „დამამძიმებელ“ გარემოებად და არ განიხილავდა მას უფრო მძიმე დანაშაულად დისკრიმინაციული მოტივების საფუძველზე.[1009]

1003 160-ე პუნქტი.

1004 161-ე პუნქტი.

1005 162-ე პუნქტი.

1006 Guide on Article 2 of the European Convention on Human Rights, updated 31 August, 2022, available at: [https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_2_ENG.pdf], p. 41.

1007 14 ივნისი, 2022 წელი.

1008 მათ შეეფარდათ 10 წლით და 4.5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

1009 70-ე პუნქტი.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: მართალია, ეროვნულმა სასამართლოებმა არაორაზროვნად დაადგინეს, რომ მოსარჩელის შვილზე თავდასხმა მოტივირებული იყო თავდამსხმელთა შეუწყნარებლობით იმ პირების მიმართ, რომლებიც აღიქმებოდნენ ჰომოსექსუალებად, ეროვნულ სასამართლოებს არ განუსაზღვრავს, რომ ამ გარემოებას ჰქონდა რაიმე ხელშესახები სამართლებრივი შედეგი.[1010] ამის მიზეზი არის ის, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ანიჭებდა სასამართლოებს ამის შესაძლებლობას. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი, მე-2 მუხლთან ერთად.[1011]

საქმე *ლაკატოსოვა და ლაკატოსი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Lakatošová and Lakatoš v. Slovakia)* ეხებოდა 2012 წელს ბოშური ოჯახის ჩაცხრილვას პოლიციელის მიერ, რომელიც იმ მომენტში არ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას.[1012] ამ შემთხვევის შედეგად ორმა მოსარჩელემ, რომლებიც ცოლ-ქმარი იყვნენ, მნიშვნელოვანი ზიანი განიცადა, ხოლო მათი ოჯახის სამი წევრი გარდაიცვალა. პოლიციის ოფიცრის დაკითხვის დროს მან განაცხადა, რომ ის ფიქრობდა ბოშა ხალხის წინააღმდეგ „გამკლავების“ „რადიკალურ გადაწყვეტილებაზე“.

მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფომ ვერ მოახერხა ეფექტიანი გამოძიების ჩატარება, რომელიც პასუხს გასცემდა კითხვაზე, მოხდა თუ არა ოჯახზე თავდასხმა რასობრივი ნიშნით.

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ „სახელმწიფოს აქვს დამატებითი ვალდებულება, გადადგას ყველა გონივრული ნაბიჯი, რათა ფარდა ახადოს ნებისმიერ რასისტულ მოტივს და დაადგინოს, შეასრულა თუ არა რაიმე როლი ეთნიკურმა სიძულვილმა ან ცრურწმენამ. რასობრივ ნიადაგზე ჩადენილ ძალადობასა და სისასტიკესთან დაკავშირებული საქმეებისა და რასობრივი სარჩულის გარეშე ჩადენილი ძალადობის ერთნაირად განხილვა უნდა ჩაითვალოს თვალის დახუჭვად ასეთი აქტების სპეციფიკურ ბუნებაზე, რაც განსაკუთრებით საზიანოა ძირითადი უფლებებისათვის. არსებითად განსხვავებული გარემოებების ერთნაირად განხილვა უნდა იქნეს მიჩნეული კონვენციის მე-14 მუხლთან შეუთავსებელ გაუმართლებელ მოპყრობად.“[1013]

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა), კონვენციის მე-2 მუხლთან ერთად, რადგან, მისი აზრით, ამ საქმესთან მიმართებით არსებობდა დამაჯერებელი ინფორმაცია, რომელიც საგანგაშო უნდა გამხდარიყო სახელმწიფოსათვის თავდასხმის რასისტული მოტივით გამოძიების წარმართვის საჭიროების შესახებ.[1014] სასამართლოს აზრით, ამ საქმეში სახელმწიფომ ვერ შეძლო, საგულდაგულოდ ემსჯელა რასიზმის ძლიერ მანიშნებელზე, როგორიცაა პოლიციის ოფიცრის იმედგაცრუება, რომ მან ვერ შეძლო, დაემყარებინა საზოგადოებრივი წესრიგი ბოშებთან მიმართებით. ამასთანავე, პოლიციის ოფიცერს ბრალდება არ წარუდგინეს რასობრივად მოტივირებული დანაშაულის ჩადენისათვის და საბრალდებო დასკვნაში პროკურორს საერთოდ არ განუხილავს რასისტული მოტივი, როგორც დამამძიმებელი გარემოება.[1015]

1010 73-ე პუნქტი.

1011 76-ე პუნქტი.

1012 11 დეკემბერი, 2018 წელი.

1013 75-ე პუნქტი.

1014 85-ე პუნქტი.

1015 ასევე იხ. *ანგელოვა და ილიევი ბულგარეთის წინააღმდეგ (Angelova and Iliev v. Bulgaria)*, 27 ივლისი, 2007 წელი.

4.3.5. პასუხისმგებლობა სიცოცხლის მოსპობისათვის

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ადგენს, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, არა მხოლოდ გამოიძიოს სიცოცხლის მოსპობის ფაქტი, არამედ დააკისროს დამნაშავეს პასუხისმგებლობა სიცოცხლის მოსპობისათვის. როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, „მე-2 მუხლის მოთხოვნები სცდება ოფიციალური გამოძიების სტადიას, თუ გამოძიებას შედეგად მოჰყვა ეროვნულ სასამართლოებში სამართალწარმოების დაწყება. ასეთ შემთხვევაში მთლიანად სამართალწარმოებამ, სასამართლო განხილვის სტადიის ჩათვლით, უნდა დააკმაყოფილოს კანონის საფუძველზე სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულების მოთხოვნები.“[1016] აქედან გამომდინარე, სიცოცხლის უფლების ეფექტიანი დაცვის განუყოფელი ნაწილია იმ პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება, რომელმაც სხვა პირს მოუსპო სიცოცხლე. როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, „მე-2 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, შემოიღოს სიცოცხლის უფლების დაცვის ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დებულებები, პირის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისაგან თავის შეკავების უზრუნველსაყოფად, რაც განმტკიცებული უნდა იყოს ასეთი დებულებების დარღვევის პრევენციის, აღკვეთისა და მისი დარღვევისათვის დასჯის აღსრულების მექანიზმით.[1017] შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა შექმნას მექანიზმი, რომლის მეშვეობით დადგინდება სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებული გარემოებები და განისაზღვრება შესაბამის პირთა პასუხისმგებლობა.

საქმეზე – *ჰიუ ჯორდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Hugh Jordan v. the United Kingdom)* – ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გამოძიების მიმართ სახელმწიფოს ვალდებულების საბოლოო შედეგზე: „გამოძიება ასევე უნდა იყოს ეფექტიანი იმ გაგებით, რომ მას უნდა ჰქონდეს იმ შედეგებამდე მიყვანის უნარი, რომელიც დაადგენს, იყო თუ არა გამოყენებული ძალა გამართლებული შექმნილ გარემოებებში ... და მან უნდა მოახდინოს პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და დასჯა.“[1018] სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ გამოძიებას უნდა ჰქონდეს იმ შედეგებამდე მიყვანის უნარი, რომელიც მოახდენს პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებასა და დასჯას.

საქმეზე – *ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ (Oneryildiz v. Turkey)* სახელმწიფოს საპროცესო ვალდებულება გასცდა გამოძიების ეტაპს და მოიცვა სასამართლო განხილვისა და სასჯელის შეფარდების ეტაპები.[1019] სასამართლომ აღნიშნა, რომ, რო-

---

1016 *ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ (Oneryildiz v. Turkey),* დიდი პალატა, 30 ნოემბერი, 2004 წელი, 95-ე პუნქტი; *ალი და აისე დურანი თურქეთის წინააღმდეგ (Ali and Ayse Duran v. Turkey),* 8 აპრილი, 2008 წელი, 61-ე პუნქტი; ასევე იხ. Guide on Article 2 of the European Convention on Human Rights, updated 31 August, 2022, available at: [https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_2_ENG.pdf], p. 39.

1017 *მუსტაფა ტუნკი და ფერიცე ტუნკი თურქეთის წინააღმდეგ (Mustafa Tunc and Fecire Tunc v. Turkey),* დიდი პალატა, 14 აპრილი, 2015 წელი, 171-ე პუნქტი; ასევე *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom),* დიდი პალატა, 28 ოქტომბერი, 1998 წელი, 115-ე პუნქტი; *მაჰმუტ კაია თურქეთის წინააღმდეგ (Mahmut Kaya v. Turkey),* 28 მარტი, 2000 წელი, 85-ე პუნქტი; *მენსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Menson v. the United Kingdom),* გადაწყვეტილება, 6 მაისი, 2003 წელი; ასევე იხ. J. Kratochvil, The Rights to Life in the Perspective of the Human Rights Committee and the European Court of Human Rights, http://ssrn.com/asract=951225, p. 6-7.

1018 4 მაისი, 2001 წელი, 107-ე პუნქტი.

1019 დიდი პალატა, 30 ნოემბერი, 2004 წელი, 96-ე პუნქტი; ასევე *ალი და აისე დურანი თურქეთის წინააღმდეგ (Ali and Ayse Duran v. Turkey)*, 8 აპრილი, 2008 წელი, 61-ე პუნქტი.

დესაც საქმის გარემოებები ამას მოითხოვს, ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადო სერიოზულობით უნდა განიხილონ საქმე, გამოძიებას უნდა მოჰყვეს სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო სასამართლოებმა შესაბამის პირებს უნდა შეუფარდონ სასჯელი, რომელიც სხვებს თავს შეაკავებინებს მსგავსი დანაშაულის ჩადენისაგან. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „ეროვნულმა სასამართლოებმა არცერთ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან, რომ სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი დანაშაულები დაუსჯელი დარჩეს. ეს მნიშვნელოვანია საზოგადოების ნდობის შენარჩუნების, სამართლის უზენაესობისადმი ერთგულების გარანტირების და უკანონო გარიგების ან უკანონობის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების შთაბეჭდილების თავიდან ასაცილებლად. ... შესაბამისად, [ევროპული] სასამართლოს ამოცანა მოიცავს იმის განხილვას, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს, და რა ფარგლებში, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა საკუთარი დასკვნის გამოტანისას გულდასმით გამოიკვლიეს საქმე, როგორც ამას მოითხოვს კონვენციის მე-2 მუხლი, ისე, რომ არსებული სასამართლო სისტემის შემაკავებელ ეფექტს და მნიშვნელოვან როლს, რომლის შესრულებაც მას მოეთხოვება სიცოცხლის უფლების დარღვევის თავიდან აცილებაში, არ გამოეთხაროს ძირი.“[1020]

აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს მიდგომით, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს არა მხოლოდ ის, რომ სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში სახელმწიფომ აწარმოოს გამოძიება, რომლის მეშვეობით დადგინდება შემთხვევასთან დაკავშირებული ფაქტები და მოხდება სიცოცხლის მოსპობაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება, არამედ ისიც, რომ სახელმწიფომ შეაფასოს ეს ფაქტები და დააკისროს პასუხისმგებლობა შესაბამის პირებს.[1021] თუ სახელმწიფო აწარმოებს გამოძიებას, რომლის მეშვეობით დაადგენს სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებულ ფაქტებს და მოახდენს პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას, მაგრამ არ უზრუნველყოფს ამ პირების პასუხისმგებლობის დადგენას, სახელმწიფო არ შეასრულებს მე-2 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებას.

ზოგადად, ევროპული სასამართლო განასხვავებს გამოძიების შემდგომი სამართალწარმოების ხასიათს იმის მიხედვით, სიცოცხლის მოსპობა მოხდა განზრახვით თუ გაუფრთხილებლობით. სასამართლოს პოზიციით, განზრახვით სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში, სახელმწიფო, როგორც წესი, ვალდებულია, შესაბამის პირებს დააკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამასთანავე, ევროპული სასამართლოს აზრით, თუ სიცოცხლის მოსპობა არ იყო განზრახი მოქმედების შედეგი, სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი დაცვის სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან, თუნდაც, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შეიძლება საკმარის ღონისძიებად ჩაითვალოს.[1022]

1020 ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ *(Oneryildiz v. Turkey),* დიდი პალატა, 30 ნოემბერი, 2004 წელი, 96-ე პუნქტი.

1021 E. Thoonen, Death in State Custody: Obligations to Prevent Premature Death of Detainees and to Investigate Death of Detainees Pursuant to the European Convention on Human Rights, 2017, 287; V. Rusinova, The Duty to Investigate the Death of Persons Arrested and/or Detained by Public Authorities, in: The Right to Life, C. Tomushat, E. Lagrange and S. Oeter (eds.), 2010, 72.

1022 *ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ (Oneryildiz v. Turkey),* დიდი პალატა, 30 ნოემბერი, 2004 წელი, 92-ე პუნქტი; *ბუდაევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Budayeva and Others v. Russia),* 20 მარტი, 2008 წელი, 139-ე პუნქტი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება სისხლისსამართლებრივ ან სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან ერთად. იხ. D. Xenos, Asserting the Right to Life (Article 2, ECHR) in the Context of Industry, German Law Journal, Vol. 8, No.3, March 2007, 248-249.

როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა საქმეზე – *მუსტაფა ტუნკი და ფეცირე ტუნკი თურქეთის წინააღმდეგ (Mustafa Tunc and Fecire Tunc v. Turkey)*, – „მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, სისხლისსამართლებრივი გამოძიება აუცილებელია მაშინ, როდესაც განზრახ ხდება სიცოცხლის მოსპობა, სამოქალაქო ან, თუნდაც, დისციპლინურმა სამართალწარმოებამ შეიძლება დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა, თუ გარდაცვალება გაუფრთხილებლობის შედეგია.“[1023] მაგალითად, ექიმის გაუფრთხილებლობით გარდაცვალების საქმეებზე, ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, დადგენილია, რომ ყოველთვის არ არის საჭირო პირის სისხლისსამართლებრივი დევნა.[1024] საქმე *კალველი და ციგლიო იტალიის წინააღმდეგ (Calvelli and Ciglio v. Italy)* ეხებოდა ახალშობილს, რომელიც დაბადებიდან ორ დღეში გარდაიცვალა, სავარაუდოდ, ექიმის გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის გამო.[1025] მომდევნო დღეს, 1987 წლის 10 თებერვალს, მოსარჩელეების განცხადების საფუძველზე დაიწყო გამოძიება ექიმის მიერ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ეჭვის საფუძვლით, თუმცა 1995 წლის 3 ივლისს სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება შეწყდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. ევროპულმა სასამართლომ აღარ განიხილა, იწვევდა თუ არა სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების შეწყვეტა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას, რადგან მოსარჩელეებს ჰქონდათ სამოქალაქო სასამართლოში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა ექიმის დისციპლინური პასუხისმგებლობა. კერძოდ, ევროპული სასამართლოს პოზიციით, როდესაც სიცოცხლის მოსპობა მოხდა გაუფრთხილებლობით, „მე-2 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულება ეფექტიანი სამართლებრივი სისტემის შექმნის შესახებ ყოველთვის არ მოითხოვს სისხლისსამართლებრივი დაცვის საშუალების უზრუნველყოფას ყველა საქმეზე. ექიმის გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის მიმართ ეს ვალდებულება ასევე შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუ სამართლებრივი სისტემა ანიჭებს დაზარალებულს სამართლებრივი დაცვის საშუალებას სასამართლოში სამოქალაქო წარმოების წესით, დამოუკიდებლად ან სისხლისსამართლებრივი წესით დაცვასთან ერთად, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი ექიმების პასუხისმგებლობის დადგენას და შესაფერისი სამოქალაქო დაკმაყოფილების გზით, როგორიცაა ბრძანების მიღება ზარალის ანაზღაურების შესახებ და გადაწყვეტილების გამოქვეყნების შესახებ.“[1026] ევროპულმა სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ ექიმის გაუფრთხილებლობის საქმეებზე შეიძლება გათვალისწინებული იყოს დისციპლინური სასჯელი, როგორც პასუხისმგებლობის ზომა.[1027]

1023 დიდი პალატა, 14 აპრილი 2015 წელი, 170-ე პუნქტი.

1024 J. Gerards, Right to Life, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, P. van Dijk, F. van Hoof, A. van Rijn and L. Zwaak (eds.), 5th ed. 2018, 379-380.

1025 დიდი პალატა, 17 იანვარი, 2002 წელი.

1026 51-ე პუნქტი; ასევე *მასტრომატეო იტალიის წინააღმდეგ (Mastromatteo v. Italy),* 24 ოქტომბერი, 2002 წელი, 90-ე პუნქტი; *სილიჰი სლოვენიის წინააღმდეგ (Silih v. Slovenia),* დიდი პალატა, 9 აპრილი 2009 წელი, 194-ე პუნქტი; *არსკაია უკრაინის წინააღმდეგ (Arskaya v. Ukraine),* 5 დეკემბერი, 2013 წელი, 65-ე პუნქტი; *საქმე A.V. ესტონეთის წინააღმდეგ (A.V. v. Estonia),* 29 მარტი, 2016 წელი, 62-ე-63-ე პუნქტები. ამასთანავე, ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განაცხადა, რომ, „გამონაკლის შემთხვევაში“, როდესაც „სამეციდინო მომსახურების პროვაიდერი გასცდა უბრალო შეცდომას ან სამედიცინო გაუფრთხილებლობას“, შეიძლება საჭირო გახდეს სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების დაწყება. იხ. *ლოპეზ დე სუსა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Lopes de Sousa Fernandes v. Portugal),* დიდი პალატა, 19 დეკემბერი, 2017 წელი, 215-ე პუნქტი.

1027 ასევე იხ. *საქმე A.V. ესტონეთის წინააღმდეგ (A.V. v. Estonia)*, 29 მარტი, 2016 წელი, 62-ე-63-ე პუნქტები; ასევე იხ. E. Thoonen, Death in State Custody: Obligations to

როგორც ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ დაადასტურა, გაუფრთხილებლობით პირის სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში, სასამართლოში სამოქალაქო წარმოების წესით პირმა შეიძლება დაიცვას საკუთარი ინტერესები სხვადასხვა სიტუაციაში, მათ შორის: სამაშველო ოპერაციის,[1028] სამხედრო წვრთნების,[1029] საგზაო ინციდენტის შემთხვევაში.[1030]

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, აუცილებელია, პირს დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის, თუ ხელისუფლება სრულად აცნობიერებს სავარაუდო შედეგებს, ახდენს თავისი უფლებამოსილების უგულებელყოფას და ვერ უზრუნველყოფს აუცილებელი და საკმარისი ღონისძიებების გატარებას საფრთხის თავიდან ასაცილებლად. იმ ფაქტმა, რომ შესაბამის პირებს, რომელთა ქმედებამ გამოიწვია გარდაცვალება, არ დაეკისრათ პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის, ან, რომ მათ მიმართ არ განხორციელდა სისხლისსამართლებრივი დევნა, შეიძლება გამოიწვიოს კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.[1031]

აქედან გამომდინარე, თუ სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის შედეგია, პირს შეიძლება დაეკისროს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუმცა ისეთ შემთხვევებში, რომლებშიც სახელმწიფომ იცოდა პირისათვის არსებული საფრთხე და უნდა განეჭვრიტა სიცოცხლის მოსპობის ალბათობა, ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, მოახდინოს შესაბამისი პირების სისხლისსამართლებრივი დევნა.

ევროპული კონვენციის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების მსგავსად, სამოქალაქო სამართალწარმოება უნდა იყოს ეფექტიანი და ჩატარდეს გონივრულ ვადაში.[1032]

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სამოქალაქო სამართალწარმოება სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ სიცოცხლის მოსპობის საქმეზე, რომელიც დაიწყო გარდაცვლილის ნათესავის ინიციატივით და რომელიც არ ითვალისწინებს სავარაუდო დამნაშავის იდენტიფიცირებასა და დასჯას, კონვენციის მე-2 მუხლის გაგებით, არ ჩაითვლება სახელმწიფოს მიერ საპროცესო ვალდებულების შესრულებად მხოლოდ ზიანის ანაზღაურების გამო.[1033] აქედან გამომდინარე, შესაბამის პირთა პა-

---

Prevent Premature Death of Detainees and to Investigate Death of Detainees Pursuant to the European Convention on Human Rights, 2017, 286; K. Kamber, Procedural obligation in medical Negligence Cases under the American Convention on Human rights and the European Convention on Human Rights (manuscript), p. 177.

1028 *ფურდიკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Furdik v. Slovakia)*, გადაწყვეტილება, 2 დეკემბერი, 2008 წელი.

1029 *სტოიანოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (Stoyanovi v. Bulgaria)*, 9 ნოემბერი, 2010 წელი, მე-60 პუნქტი.

1030 *რაჯკოვსკა პოლონეთის წინააღმდეგ (Rajkowska v. Poland)*, გადაწყვეტილება, 27 ნოემბერი, 2007 წელი.

1031 ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ *(Oneryildiz v. Turkey)*, დიდი პალატა, 30 ნოემბერი, 2004 წელი, 93-ე პუნქტი; *ბუდაევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Budayeva and Others v. Russia)*, 20 მარტი, 2008 წელი, 139-ე პუნქტი.

1032 *კუდრა ხორვატიის წინააღმდეგ (Kudra v. Croatia)*, 18 დეკემბერი, 2012 წელი, 120-ე პუნქტი.

1033 *მაკკერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (*McKerr v. the United Kingdom*), გადაწყვეტილება, 4 აპრილი, 2000 წელი, 121-ე პუნქტი; *ბაზორკინა რუსეთის წინააღმდეგ (Bazorkina v. Russia)*, 27 ივლისი, 2006 წელი, 117-ე პუნქტი; *ალ-სქეინი და სხვები*

სუხისმგებლობის დადგენის გარეშე, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას.

ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში ასევე იმსჯელა სიცოცხლის მოსპობისათვის ეროვნული სასამართლოების მიერ შეფარდებული სასჯელის თანაზომიერებაზე.[1034] როგორც სასამართლომ აღნიშნა, მართალია, მისი ამოცანა არ არის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ან პირის ბრალეულობის დადგენა ეროვნული სამართლის მიხედვით, სახელმწიფოს მიერ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაფასებლად მას მაინც შეუძლია თავისი უფლებამოსილების განხორციელება და ისეთი საქმეების განხილვა, რომლებშიც აშკარაა არათანაზომიერება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და შეფარდებულ სასჯელს შორის.[1035] საქმეზე – *ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ (Oneryildiz v. Turkey)* – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა: არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა, რომ ეროვნულ სასამართლოს შეეფარდებინა ისეთი სასჯელი, რომელიც სხვა პირებს თავს შეაკავებინებდა ასეთი დანაშაულის ჩადენისაგან.[1036] კერძოდ, საქმეზე, რომელიც ეხებოდა 19 ადამიანის გარდაცვალებას, თურქეთის სასამართლოებმა ორ მერს შეუფარდეს ჯარიმის გადახდა სამსახურებრივი მოვალეობების არასათანადო შესრულების გამო.[1037]

ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა სიცოცხლის მოსპობისათვის გამოტანილი განაჩენის აღსრულების დაყოვნების ან მისი აღუსრულებლობის შესახებ. საქმე *კიტანოვსკა სტანოიკოვიჩი და სხვები ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ (Kitanovska Stanojkovic and Others v. the Former Yogoslav Republic of Macedonia)* ეხებოდა იმ პირისათვის შეფარდებული სასჯელის აღუსრულებლობას 18 თვის განმავლობაში, რომელმაც ძარცვისას მოუსპო სხვა პირს სიცოცხლე, ხოლო ამ უკანასკნელის მეუღლის სიცოცხლე ჩააგდო საფრთხეში.[1038] ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი გამოძიების ეფექტიანობის მოთხოვნა ასევე შეიძლება განიმარტოს როგორც სახელმწიფოთა ვალდებულება, აღასრულოს საბოლოო განაჩენი გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე. ეს ასეა, რადგან შეფარდებული სასჯელის აღსრულება სიცოცხლის უფლების კონტექსტში უნდა იყოს განხილული როგორც ამ მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს საპროცესო ვალდებულების განუყოფელი ნაწილი.“[1039]

საქმე *კასაპი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Kasap and Others v. Turkey)* ეხებოდა პოლიციელის მიერ სიცოცხლის მოსპობას პირისათვის, რომელიც ცდილობდა

გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al-Skeini and Others v. the United Kingdom), დიდი პალატა, 7 ივლისი, 2011 წელი, 165-ე პუნქტი; ასევე იხ. V. Rusinova, The Duty to Investigate the Death of Persons Arrested and/or Detained by Public Authorities, in: The Right to Life, C. Tomushat, E. Lagrange and S. Oeter (eds.), 2010, 78.

1034 Guide on Article 2 of the European Convention on Human Rights, updated 31 August, 2022, available at: [https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_2_ENG.pdf], p. 39.

1035 *ალი და აისე დურანი თურქეთის წინააღმდეგ (Ali and Ayse Duran v. Turkey)*, 8 აპრილი, 2008 წელი, 66-ე პუნქტი. ასევე *არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Armani da Silva v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 30 მარტი, 2016 წელი, 285-ე პუნქტი.

1036 დიდი პალატა, 30 ნოემბერი, 2004 წელი.

1037 115-ე პუნქტი; ასევე იხ. *ალი და აისე დურანი თურქეთის წინააღმდეგ (Ali and Ayse Duran v. Turkey)*, 8 აპრილი, 2008 წელი, 66-ე პუნქტი.

1038 13 ოქტომბერი, 2016 წელი.

1039 32-ე პუნქტი; ასევე იხ. *ალი და აისე დურანი თურქეთის წინააღმდეგ (Ali and Ayse Duran v. Turkey)*, 8 აპრილი, 2008 წელი.

პოლიციისაგან მიმალვას.[1040] ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებით, დადგინდა პოლიციელის პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობისათვის. ეროვნულმა სასამართლომ პოლიციელს შეუფარდა პატიმრობა ერთი წლითა და რვა თვით, თუმცა განაჩენის გამოცხადება შეაჩერა. მოსარჩელეები (გარდაცვლილის ოჯახის წევრები) ევროპული სასამართლოს წინაშე ამტკიცებდნენ იმას, რომ განაჩენის გამოცხადების შეჩერება არღვევდა კონვენციის მე-2 მუხლს.

როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა პოლიციელის პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის, თუმცა თურქეთის კანონმდებლობის საფუძველზე ეროვნულმა სასამართლომ შეაჩერა ამ დანაშაულისათვის დადგენილი განაჩენის გამოცხადება. ევროპული სასამართლოს აზრით, ეროვნულმა სასამართლომ ამ გადაწყვეტილებით გამოიყენა თავისი დისკრეციული უფლებამოსილება მძიმე სისხლისსამართლებრივი დანაშაულის შედეგების შესამცირებლად, ნაცვლად იმისა, რომ ეჩვენებინა, ასეთი აქტების მიმართ არ იქნებოდა შემწყნარებლური დამოკიდებულება. ევროპული სასამართლოს აზრით, განაჩენის გამოცხადების შეჩერების შედეგია დამნაშავეთა დაუსჯელობა, ხოლო ამ გადაწყვეტილებამ აზრი დააკარგვინა განაჩენის სამართლებრივ შედეგებს.[1041] დასკვნის სახით, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სისხლისსამართლებრივი სისტემა არ აღმოჩნდა საკმარისად მკაცრი და არ ჰქონდა გადამარწმუნებელი ეფექტი, რომელსაც შეეძლო, უზრუნველეყო უკანონო აქტების ჩადენის თავიდან აცილება.[1042] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.[1043]

ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში ასევე იმსჯელა ამნისტიის გამოცხადებაზე სახელმწიფოს საპროცესო ვალდებულების კონტექსტში. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ შეაფასა ამნისტიის გავრცელება იმ პირებზე, რომლებმაც ჩაიდინეს განზრახ მკვლელობა და წამება. სასამართლომ აღნიშნა, რომ „სახელმწიფოს ვალდებულება, განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა წამებისა და განზრახ მკვლელობისათვის, მყარად დამკვიდრებულია სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში. სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ადასტურებს, რომ ამნისტიის გამოცხადება სამოქალაქო პირების მკვლელობისა და არასათანადო მოპყრობისათვის ეწინააღმდეგება კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, რადგან ის შეაფერხებს ასეთი აქტების გამოძიებას და აუცილებლად გამოიწვევს პასუხისმგებელი პირების დაუსჯელობას. ასეთი შედეგი დააკნინებს კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გარანტირებული დაცვის მიზანს და მოჩვენებითს გახდის გარანტიებს პირის სიცოცხლის უფლების, ისევე როგორც წამების აკრძალვის მიმართ.“[1044]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს შეფასებით, ამნისტიის გამოცხადება განზრახ მკვლელობისათვის შეუთავსებელია სახელმწიფოს საპროცესო ვალდებულებასთან, რადგან ის აფერხებს ასეთი აქტების გამოძიებას და იწვევს დამნაშავეთა დაუსჯელობას. მისივე შეფასებით, ამნისტიის გამოცხადება განზ-

---

1040 14 იანვარი, 2014 წელი.

1041 მე-60 პუნქტი.

1042 61-ე პუნქტი.

1043 62-ე პუნქტი; *ასევე იხ. ჰასან კოსე თურქეთის წინააღმდეგ (Hasan Kose v. Turkey)*, 18 დეკემბერი, 2018 წელი, 37-ე-მე-40 პუნქტები.

1044 *მარგუსი ხორვატიის წინააღმდეგ (Margus v. Croatia),* დიდი პალატა, 27 მაისი, 2014 წელი, 127-ე პუნქტი; ასევე იხ. M. O'Boyle, Duty to Carry out an Effective Investigation under Article 2 of the ECHR, in: El Tribunal Europeo de Derechos Humanos: Una vision desde dentro, En homenaje al Juez Josep Casadevall, 2015, 230.

რახ მკვლელობისათვის აკნინებს კონვენციის მე-2 მუხლით გარანტირებული დაცვის მიზანს და მოჩვენებითს ხდის გარანტიებს პირის სიცოცხლის უფლების მიმართ. ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ დაუშვა განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორებიცაა საზოგადოების შერიგება ან/და კომპენსაციის ფორმა დაზარალებულთათვის, ამნისტიის გამოცხადება განზრახ სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში.[1045]

ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა საჯარო თანამდებობაზე ყოფნის უფლების შენარჩუნების შესახებ დამნაშავისათვის, რომელმაც განზრახ მოუსპო პირს სიცოცხლე.[1046] ევროპული სასამართლოს აზრით, სრულიად შეუფერებელი და საზოგადოებისათვის არასწორი გზავნილი იქნება, თუ დამნაშავე, რომელმაც ჩაიდინა განსაკუთრებით სასტიკი დანაშაული, შეინარჩუნებს დაკავებულ საჯარო თანამდებობას.[1047]

ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა სახელმწიფოს ვალდებულებაზე მსჯავრდებული პირის მიერ დარჩენილი სასჯელის მოსახდელად სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.[1048] ევროპული სასამართლოს აზრით, სახელმწიფომ, რომელსაც მსჯავრდებული პირი გადაეცა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობისათვის დარჩენილი სასჯელის მოსახდელად და რომელიც მან გაათავისუფლა სასჯელის მოხდისაგან, დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება.[1049]

1045 *მარგუსი ხორვატიის წინააღმდეგ (Margus v. Croatia)*, დიდი პალატა, 27 მაისი, 2014 წელი, 139-ე პუნქტი.

1046 *მაკუჩიანი და მინასიანი აზერბაიჯანისა და უნგრეთის წინააღმდეგ (Makuchyan and Minasyan v. Azerbaijan and Hungary)*, 26 მაისი, 2020 წელი.

1047 171-ე პუნქტი.

1048 *მაკუჩიანი და მინასიანი აზერბაიჯანისა და უნგრეთის წინააღმდეგ (Makuchyan and Minasyan v. Azerbaijan and Hungary)*, 26 მაისი, 2020 წელი.

1049 იქვე, 195-ე-197-ე და 163-ე-173-ე პუნქტები; ასევე იხ. Guide on Article 2 of the European Convention on Human Rights, updated 31 August, 2022, available at: [https://www.echr.coe.int/Documents/Guide_Art_2_ENG.pdf], p. 40.

ნაწილი II – სიცოცხლის უფლების დაცვის სტანდარტები საქართველოში და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან

ნაშრომის ამ ნაწილში განიხილება საქართველოში სიცოცხლის უფლების დაცვის მოქმედი სტანდარტები და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან. საქართველოში სიცოცხლის უფლების დაცვის მოქმედი სტანდარტების განხილვა სრულყოფილი რომ იყოს, განიხილება როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ისე მისი გამოყენების პრაქტიკა. სიცოცხლის უფლების სტანდარტების გამოყენება პრაქტიკაში ეფუძნება ღია სივრცეში ხელმისაწვდომ და მედიასაშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას, ისევე როგორც საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.[1050]

ნაშრომის პირველი ნაწილის სტრუქტურის მსგავსად, რომელიც ეხებოდა სიცოცხლის უფლების დაცვის ევროპულ სტანდარტებს, ეს ნაწილიც, რომელშიც განიხილება სიცოცხლის უფლების დაცვის სტანდარტები საქართველოში და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან, იმავენაირი სტრუქტურით არის ჩამოყალიბებული. კერძოდ, თავდაპირველად განიხილება სიცოცხლის მოსპობის აკრძალვა საქართველოში. მოგვიანებით ყურადღება გამახვილდება სიცოცხლის უფლების დაცვის არსებითი ნაწილზე, ნაშრომის ბოლოს კი, განიხილება სიცოცხლის უფლების დაცვის საპროცესო ნაწილი.

1050 ნაშრომში განხილულია მასმედიაში გავრცელებული ინფორმაცია სიცოცხლის მოსპობის შემთხვევების შესახებ, რომლებიც მოხდა 2024 წლის 1 ნოემბრამდე.

5. სიცოცხლის მოსპობის აკრძალვის (ნეგატიური ვალდებულება) მარეგულირებელი კანონმდებლობა და მისი შესრულების პრაქტიკა საქართველოში

5.1. სიცოცხლის მოსპობის აკრძალვისა და მისგან დაშვებული გამონაკლისების მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში

როგორც აღინიშნა, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი ადგენს, რომ აკრძალულია პირის სიცოცხლის მოსპობა, თუმცა ეს მუხლი აკეთებს გარკვეულ დათქმებს, რომელთა მიხედვით, ეს აკრძალვა არ არის აბსოლუტური.

ვინაიდან ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი სტანდარტები სიცოცხლის მოსპობის აკრძალვის შესახებ დეტალურად მიმოხილულია ნაშრომის პირველ ნაწილში, აქ მხოლოდ შეჯამდება ისინი. ნაშრომის ამ თავში მოკლედ განიხილება ევროპული სტანდარტები სიცოცხლის მოსპობის აკრძალვის შესახებ, საქართველოში სიცოცხლის მოსპობის აკრძალვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და მისი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან.

მართალია, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი ზოგადად კრძალავს სიცოცხლის მოსპობას, ის მართლზომიერად მიიჩნევს სიცოცხლის ისეთ განზრახ მოსპობას, რომელიც ხდება კანონის შესაბამისად, სასამართლო განაჩენით შეფარდებული სიკვდილით დასჯის აღსრულების მიზნით.[1051] მიუხედავად ამ გამონაკლისისა, დროთა განმავლობაში სახელმწიფოებისა და ევროპული სასამართლოს[1052] დამოკიდებულება შეიცვალა სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის მიუღებელი სახის, გაუქმების სასარგებლოდ, რის გამოც ამ გამონაკლისმა დაკარგა სამართლებრივი მნიშვნელობა.

საქართველოში სიკვდილით დასჯა გაუქმდა 1997 წელს „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით, რომელმაც იმ დროს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანა შესაბამისი ცვლილებები და სიკვდილით დასჯის ნაცვლად გაითვალისწინა უვადო თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სისხლის სამართლის დღეს მოქმედმა კოდექ-

---

1051 ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტი.

1052 *ოჯალანი თურქეთის წინააღმდეგ* (*Ocalan v. Turkey*), 2005 წლის 12 მაისი, დიდი პალატა, 163-ე პუნქტი; ასევე იხ. *ალ სადუნი და მუფდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al Saadoon and Mufdhi v. the United Kingdom*), 2010 წლის 2 მარტი, 120-ე პუნქტი.

სმა, რომელიც 1999 წელს მიიღეს, ასახა იგივე მიდგომა სიკვდილით დასჯის გაუქმების მიმართ.[1053]

საქართველომ თავისი დამოკიდებულება სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ გამოხატა საერთაშორისო დონეზეც, შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებში მონაწილეობით. 2000 წლის 1 მაისს საქართველო გახდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 დამატებითი ოქმის მონაწილე სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ,[1054] ხოლო 2003 წლის 1 სექტემბერს გახდა ევროპული კონვენციის მე-13 ოქმის მონაწილე, რომელიც ითვალისწინებს სიკვდილით დასჯის გაუქმებას ნებისმიერ სიტუაციაში, საომარი მდგომარეობის ჩათვლით.[1055]

აქედან გამომდინარე, საქართველოს პოზიცია სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ სრულად შეესაბამება როგორც ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმებით, ისე ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ სტანდარტებს.

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ასევე უშვებს სამ გამონაკლისს სიცოცხლის მოსპობის აკრძალვიდან, რომლებიც ეხება: ა) ძალის გამოყენებას არამართლზომიერი ძალადობისაგან პირის დაცვისას; ბ) პირის კანონიერად დაკავებას ან კანონიერად დაპატიმრებული პირის მიმალვის აღკვეთას; და გ) კანონიერ ღონისძიებათა გატარებას აჯანყების ან ამბოხების ჩახშობისას. კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სამ შემთხვევაში სახელმწიფომ შეიძლება გამოიყენოს სასიკვდილო ძალა, რომელიც უნდა იყოს აბსოლუტურად აუცილებელი შექმნილ სიტუაციაში.[1056] თუ გამოყენებული ძალა არის აბსოლუტურად აუცილებელი, მაგრამ პირი გარდაიცვალა ასეთი ძალის გამოყენების შედეგად, მისი გარდაცვალება არ ჩაითვლება კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად და სახელმწიფოს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ამისათვის.

საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც აწესრიგებს ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებს, განიხილება ნაშრომის მომდევნო თავებში.

5.1.1. სიცოცხლის მოსპობა პირის დაცვისას არამართლზომიერი ძალადობისაგან

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი უშვებს სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენებას როგორც საკუთარი, ისე სხვა პირის სიცოცხლის დასაცავად, თუ არსებობს ამის აბსოლუტური აუცილებლობა. აბსოლუტური აუცილებლობის შემთხვევაში ასეთი ძალის გამოყენება, რომელსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს პირის სიცოცხლის მოსპობა, არ ჩაითვლება კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად.

1053 სისხლის სამართლის ახალი კოდექსის ამოქმედებასთან ერთად, 2000 წლის 1 ივნისს გაუქმდა კანონი.

1054 იხ.: [https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=signatures-by-treaty&treatynum=114].

1055 იხ.: [https://www.coe.int/en/web/conventions/full-list?module=signatures-by-treaty&treatynum=187]. 1999 წლის 22 მარტს საქართველო ასევე გახდა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მეორე დამატებითი ოქმის მონაწილე, რომელიც ითვალისწინებს სიკვდილით დასჯის გაუქმებას.

1056 *მაკკერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McKerr v. the United Kingdom),* 4 მაისი, 2001 წელი, 110-ე პუნქტი; ასევე იხ. საქმეები: *გული თურქეთის წინააღმდეგ (Gul v. Turkey),* 14 დეკემბერი, 2000 წელი, 77-ე პუნქტი; *აიდანი თურქეთის წინააღმდეგ (Aydan v. Turkey),* 12 მარტი, 2013 წელი, 65-ე პუნქტი.

საქმეზე, რომელიც ეხებოდა უშიშროების სამსახურის წარმომადგენლების მიერ ტერორისტული ჯგუფის სამი წევრის სიცოცხლის მოსპობას, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ უშიშროების სამსახურის წარმომადგენლების მოქმედებას არ დაურღვევია კონვენციის მე-2 მუხლი, ვინაიდან მათ გულწრფელად სჯეროდათ, რომ აუცილებელი იყო ტერორისტების სიცოცხლის მოსპობა ბომბის ამოქმედების თავიდან ასაცილებლად და იქ მყოფი მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლის დასაცავად.[1057] ამ საქმეზე სასამართლომ ასევე იმსჯელა, სახელმწიფომ ისე დაგეგმა სპეციალური ოპერაცია და განახორციელა თუ არა მასზე ზედამხედველობა, რომ შეძლებისდაგვარად მინიმუმამდე შეემცირებინა სასიკვდილო ძალის გამოყენება. ვინაიდან სახელმწიფოსათვის ცნობილი იყო ამ სამი პირის ვინაობა და შესაძლებელი იყო მათი უფრო ადრე დაკავება, სასამართლომ დაასკვნა, რომ ძალის გამოყენება არ იყო აბსოლუტურად აუცილებელი და სპეციალური ოპერაცია შეიძლება დაგეგმილიყო და განხორციელებული ისე, რომ მიზანი მიღწეულიყო ტერორისტების სიცოცხლის მოსპობის გარეშე.[1058]

ევროპული სასამართლოს პრაქტიკა განასხვავებს დაგეგმილ და დაუგეგმავ სპეციალურ ოპერაციებს და დაგეგმილი ოპერაციების მიმართ ადგენს უფრო მაღალ მოთხოვნებს[1059] და ეს მიდგომა ვრცელდება კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სამივე საგამონაკლისო შემთხვევაზე.

ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც ეხებოდა მამაკაცის მიერ მძევლად აყვანილი საკუთარი საცოლის განთავისუფლების სპეციალურ ოპერაციას, სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელისუფლება ბოლო მომენტამდე ცდილობდა ინციდენტის დასრულებას დარწმუნებითა და დიალოგით, და პოლიციის სახელით მოლაპარაკების მწარმოებელი პირი განაგრძობდა მცდელობას, რომ დაერწმუნებინა მამაკაცი მძევლის განთავისუფლებაში. სახელმწიფო ფიზიკურად მხოლოდ მაშინ ჩაერია სიტუაციაში, როდესაც მოლაპარაკებები წარუმატებლად დასრულდა, ხოლო მძევლის სიცოცხლე იყო რეალურ საფრთხეში.[1060] მართალია, სამართალდამცველ ორგანოთა წარმომადგენლებს, რომლებიც სპეციალურ ოპერაციაში იყვნენ ჩართულნი, ჰქონდათ გავლილი მომზადება, რათა მოესპოთ პირის სიცოცხლე, თუ იგი გაისროდა, მათ მიეცათ მკაფიო ინსტრუქცია, მხოლოდ მაშინ გამოეყენებინათ თანაზომიერი ძალა და გაეხსნათ ცეცხლი, თუ მძევლის ან მათი სიცოცხლე აღმოჩნდებოდა საფრთხეში.[1061] საბოლოოდ, სასამართლომ ჩათვალა, რომ ძალის გამოყენება, რომელმაც გამოიწვია მამაკაცისა და მისი საცოლის სიცოცხლის მოსპობა, ისევე როგორც ოპერაციის დაგეგმვა და მასზე ზედამხედველობა, აკმაყოფილებდა „აბსოლუტური აუცილებლობის“ მოთხოვნებს.

საქმეზე, რომელიც ეხებოდა ბესლანის სკოლაში მძევლად აყვანილი ათასზე მეტი ადამიანის (ძირითადად ბავშვების) განთავისუფლების სპეციალურ ოპერაციას, რომლის შედეგად 330-ამდე ადამიანს (180-ამდე ბავშვს) მოუსპეს სიცოცხლე, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ რუსეთმა დაარღვია სიცოცხლის უფლება, რადგან

1057 *მაკკანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCann v. the United Kingdom),* დიდი პალატა, 27 სექტემბერი, 1995 წელი, მე-200 პუნქტი; ასევე იხ. *ჯულიანი და გაჯიო იტალიის წინააღმდეგ (Giuliani and Gaggio v. Italy)*, დიდი პალატა, 24 მარტი, 2011 წელი, 191-ე პუნქტი.

1058 იქვე, 201-ე პუნქტი.

1059 *მაკარაძისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Makaratzis v. Greece)*, დიდი პალატა, 20 დეკემბერი, 2004 წელი, 69-ე-70-ე პუნქტები.

1060 *ანდრონიკუ და კონსტანტინუ კვიპროსის წინააღმდეგ (Andronicou and Constantinou v. Cyprus),* 9 ოქტომბერი, 1997 წელი, 183-ე პუნქტი.

1061 იქვე, 185-ე პუნქტი.

სპეციალური ოპერაციის დაგეგმვა და ზედამხედველობა მის განხორციელებაზე იყო ხარვეზიანი (მართვის სტრუქტურის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის არაადეკვატურობა), ხოლო გამოყენებული ძალა (მსხვილკალიბრიანი იარაღი, ყუმბარები და ტანკები) არ შეიძლება ჩაითვალოს „აბსოლუტურად აუცილებლად“.[1062]

ამ საქმეების მოკლე მიმოხილვა ადასტურებს, რომ, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, როგორც საკუთარი თავის, ისე სხვა პირის სიცოცხლის დასაცავად სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ძალა არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე ეს არის აბსოლუტურად აუცილებელი შექმნილ სიტუაციაში.

საქართველოში ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკითხს, რომელიც ეხება სიცოცხლის მოსპობას პირის დაცვისას არამართლზომიერი ძალადობისაგან, აწესრიგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლი. ის ითვალისწინებს აუცილებელ მოგერიებას, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებას. ამ მუხლის 1-ელი ნაწილი ადგენს, რომ „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი, ვინც მართლსაწინააღმდეგო მოსპობისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად.“ ასევე მნიშვნელოვანია ამ მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვით, „აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან.“[1063]

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ კოდექსის 28-ე მუხლი ეხება ისეთ აუცილებელ მოგერიებას, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ვრცელდება დანაშაულთა ფართო წრეზე და არა მხოლოდ სიცოცხლის მოსპობაზე. ამას ადასტურებს ამ მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტს ავრცელებს წართმეული ქონების ან სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად ხელმყოფის დაზიანების მართლზომიერებაზე. შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსი მოიცავს არა მხოლოდ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გამონაკლისს, კერძოდ, სიცოცხლის მოსპობას პირის დაცვისას არამართლზომიერი ძალადობისაგან, არამედ ავრცელებს კოდექსით გათვალისწინებულ სხვა მრავალ ქმედებაზე.

მნიშვნელოვანია კოდექსის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც ადგენს, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან. ეს დებულება ასახავს ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში მყარად დამკვიდრებულ პრინციპს, რომლის მიხედვით, გამოყენებული ძალა უნდა იყოს „აბსოლუტურად აუცილებელი“ არამართლზომიერი ძალადობისაგან პირის სიცოცხლის დასაცავად. ევროპული კონვენციის სტანდარტის მსგავსად, რომლის მიხედვით, ისეთი ძალის გამოყენება, რომელიც არ არის თანაზომიერი არამართლზომიერი ძალადობისაგან სიცოცხლის

1062 *ტაგაიევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Tagayeva and Others v. Russia),* 13 აპრილი, 2017 წელი.

1063 აუცილებელი მოგერიების შესახებ საქართველოს სისხლის სამართალში იხ.: ი. ხერხეულიძე, აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლოსაქსური ტიპის) სამართალში, სადოქტორო ნაშრომი, 2008 წ., იხ.: [https://press.tsu.edu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/irine_xerxeulize.pdf]; ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, შესავალი სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში: დანაშაული, ლექციების კურსი, 2021 წ., იხ: [https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/apr/books/mchedlishvili-samartali.pdf].

დაცვის მიზანთან, ვერ დააკმაყოფილებს აბსოლუტური აუცილებლობის მოთხოვნას – კოდექსის ეს დებულებაც ითვალისწინებს, რომ მომგერიებლის მიერ თავდაცვა შესაბამისი უნდა იყოს თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან. მართალია, სხვადასხვა ფორმულირებით, მაგრამ, არსობრივად, ევროპული კონვენციის ეს სტანდარტი და კოდექსის ეს დებულება ერთსა და იმავე იდეას ემსახურება, რომლის მიზანია, განსაზღვროს, რა ქმედება ჩაითვლება თანაზომიერად პირზე თავდასხმის თავიდან ასაცილებლად და, შესაბამისად, რა შემთხვევაში არ აგებს ძალის გამომყენებელი სუბიექტი პასუხს ქმედებისათვის, რომელიც, ჩვეულებრივ, ითვალისწინებს პასუხისმგებლობას.

შეიძლება, დამაბნეველი იყოს ის, რომ სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე მუხლს ითვალისწინებს უკიდურესი აუცილებლობის შესახებ (30-ე მუხლი), რომელიც ტერმინოლოგიურად მსგავსია ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებული „აბსოლუტური აუცილებლობის“ პრინციპისა, თუმცა, შინაარსობრივი თვალსაზრისით, კოდექსში გამოყენებული „უკიდურესი აუცილებლობა“ სხვა სამართლებრივი ინსტიტუტის მოწესრიგებას ისახავს მიზნად.[1064]

გარდა იმისა, სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს: პირმა მართლსაწინააღმდეგოდ რომ არ იმოქმედოს, არ უნდა გადააცილოს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, კერძოდ, მომგერიებელმა თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად არ უნდა დააზიანოს ხელმყოფი აშკარად შეუსაბამოდ (არათანაზომიერად) თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან, ის განსაზღვრავს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების სამართლებრივ შედეგს. კერძოდ, კოდექსის 113-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მკვლელობისათვის აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით.[1065] ასეთი სასჯელის დაწესება სწორი და გამართლებულია, რადგან სიცოცხლე არის უმაღლესი ღირებულება და მისი მართლსაწინააღმდეგო მოსპობა უნდა ითვალისწინებდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

როგორც აღინიშნა, სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს, რომ მართლსაწინააღმდეგოდ არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომლითაც აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში პირი დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. ეს ნიშნავს, რომ მართლსაწინააღმდეგო მოსპობა, რომლის წინააღმდეგ პირი მოქმედებს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, შეიძლება იყოს მიმართული არა მხოლოდ თავად ამ პირის, არამედ, ასევე, სხვა პირის საწინააღმდეგოდ. მსგავსი მიდგომა აქვს ევროპულ სასამართლოს კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის განმარტებისას. მაგალითად, პოლიციას შეუძლია, გამოიყენოს ძალა არა მხოლოდ მასზე, არამედ სხვა პირზე თავდასხმის შემთხვევაში, და თუ ეს ძალა იქნება შექმნილი სიტუაციისათვის აბსოლუტურად აუცილებელი, სასიკვდილო შედეგის შემთხვევაშიც კი, სახელმწიფოს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა პირის გარდაცვალებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განხილული მუხლები შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას. კერძოდ, როგორც ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს, რომ აბსოლუტური აუცილებლობის შემთხვევაში სასიკვდი-

---

1064 კოდექსის 30-ე მუხლი.

1065 კოდექსის 113-ე მუხლის მიხედვით, „მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან შინაპატიმრობის ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.“ ასევე იხ. კოდექსის 122-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით.

ლო ძალის გამოყენება, რომელსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს პირის სიცოცხლის მოსპობა, არ ჩაითვლება სიცოცხლის უფლების დარღვევად და არ გამოიწვევს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, ისე სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს, რომ, თუ აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, პირმა მოუსპო სიცოცხლე ხელმყოფს, ეს პირი არ იმოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ და, შესაბამისად, არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. სხვა სიტყვებით, როგორც ევროპული კონვენცია, ისე სისხლის სამართლის კოდექსი გამორიცხავს სუბიექტის პასუხისმგებლობას სხვა პირის სიცოცხლის მოსპობისათვის, თუ სიცოცხლის მოსპობისათვის მომგერიებელმა გამოიყენა ისეთი ძალა, რომელიც იყო პროპორციული მის წინაშე არსებული საფრთხისა.

ბუნებრივი განსხვავება, რომელიც არსებობს ევროპულ კონვენციასა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს შორის, ისაა, რომ ევროპული კონვენცია, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება, სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, სახელმწიფომ და, შესაბამისად, მისმა წარმომადგენლებმა არ მოუსპონ სიცოცხლე კერძო პირებს, მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის სუბიექტები არიან როგორც სახელმწიფო (და შესაბამისად, მისი წარმომადგენლები), ისე კერძო პირები,[1066] ვრცელდება ყველაზე, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლებზე (მაგ., პოლიციელზე), ისე კერძო პირზე.

საბოლოოდ, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ არამართლზომიერი ძალადობისაგან პირის დაცვისას სიცოცხლის მოსპობის მიმართ საქართველოს კანონმდებლობა ასახავს ევროპული კონვენციის სტანდარტს. კერძოდ, როგორც ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, ისე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ აბსოლუტური აუცილებლობის (აუცილებელი მოგერიების) შემთხვევაში, სუბიექტმა შეიძლება გამოიყენოს სასიკვდილო ძალა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს პირის გარდაცვალება და რომლისთვისაც ძალის გამომყენებელს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა სიცოცხლის მოსპობისათვის.

5.1.2. სიცოცხლის მოსპობა კანონიერი დაკავებისას ან კანონიერად დაპატიმრებული პირის მიმალვის აღკვეთისას

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პირის კანონიერად დასაკავებლად ან კანონიერად დაპატიმრებული პირის მიმალვის აღსაკვეთად სახელმწიფომ შეიძლება გამოიყენოს სასიკვდილო ძალა, თუ არსებობს ამის აბსოლუტური აუცილებლობა. როგორც მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ორ სხვა შემთხვევაშია, სასიკვდილო ძალის გამოყენება აბსოლუტური აუცილებლობისას, რომელსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს პირის სიცოცხლის მოსპობა, არ მიიჩნევა სიცოცხლის უფლების დარღვევად.

ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც ეხებოდა სამხედრო ნაწილის უნებართვოდ დატოვების გამო დაკავების მცდელობისას ორი დეზერტირის სიცოცხლის მოსპობას, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, მინიმუმამდე შეამციროს საფრთხე სიცოცხლისათვის, არ არსებობს სასიკვდილო ძალის გამოყენების აბსოლუტური აუცილებლობა, თუ ცნობილია, რომ დასაკავებელი პირი არ ქმნის საფრთხეს სიცოცხლისათვის და მას არ აქვს ჩადენილი ძალადობრივი

1066 ისევე როგორც იურიდიული პირები.

დანაშაული, მაშინაც კი, თუ სასიკვდილო ძალის გამოუყენებლობას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ამ პირის დაკავების შესაძლებლობის დაკარგვა.[1067]

სასამართლოს აზრით, დაკავების ოპერაციის დაგეგმვისას სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია, მათ შორის, როგორც აბსოლუტური მინიმუმი, დასაკავებელი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და ამ პირისაგან მომდინარე საფრთხის ხარისხი, ხოლო უნდა იყოს თუ არა გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღი და რა გარემოებებში, თუ დასაკავებელი პირი ცდილობს მიმალვას, უნდა გადაწყდეს მკაფიო სამართლებრივი წესებისა და შესაფერისი მომზადების საფუძველზე და ამ ინფორმაციის გათვალისწინებით.[1068]

საქმეზე, რომელიც ეხებოდა პოლიციელის მიერ ჯერ ავტომობილში მსხდომი 3 პირის, ხოლო მოგვიანებით, ფეხით, ერთ-ერთი პირის დადევნებას, რომელიც პოლიციელმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: არავინ ამტკიცებდა, პოლიცია იმიტომ ცდილობდა ავტომობილის შეჩერებას, რომ მასში მყოფ პირებს ჩადენილი ჰქონდათ ძალადობრივი დანაშაული, რომ იყვნენ საშიში ან რომ მათი დაუკავებლობა გამოიწვევდა გამოუსწორებელ შედეგებს. ისინი არ იყვნენ შეიარაღებულნი და მათი ქცევა არ მიუთითებდა იმაზე, რომ ისინი ქმნიდნენ საფრთხეს. ამიტომ სასიკვდილო ძალის გამოყენება არ შეიძლება ჩაითვალოს აბსოლუტურ აუცილებლობად მაშინ, როდესაც სამიზნე პირი არ წარმოადგენს საფრთხეს სხვებისათვის და ის არ არის ეჭვმიტანილი ძალადობრივი დანაშაულის ჩადენაში. სასამართლომ იმასაც გაუსვა ხაზი, რომ იმ დროისათვის იტალიაში არ არსებობდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების მარეგულირებელი წესები.[1069]

საქმეზე, რომელიც ეხებოდა პირის მიერ ავტომობილის გატაცებას და პოლიციის დადევნებას, რასაც მოჰყვა პოლიციელის მიერ გასროლა და ამ პირის მოკვლა, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოში არ მოქმედებდა სამართლებრივი ჩარჩო, რომელსაც უნდა განესაზღვრა პოლიციის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შეზღუდული გარემოებები. სასამართლოს აზრით, ვინაიდან ქვეყანაში არ მოქმედებდა მკაფიო წესები, რის გამოც პოლიციელმა პირის დაკავების მიზნით ცეცხლი გაუხსნა შეუიარაღებელ პირს, პოლიციელი მოქმედებდა სრულიად ავტონომიურად და წინდაუხედავად, რაც არ მოხდებოდა, თუ იმოქმედებდა შესაბამისი წესები. საბოლოოდ, დადგინდა, რომ გამოყენებული ძალა არ იყო აბსოლუტურად აუცილებელი შექმნილ სიტუაციაში.[1070]

ერთ-ერთი საქმე ეხებოდა პოლიციელების მიერ ცეცხლის გახსნას ავტომობილის მიმართულებით, რომელიც არ დაემორჩილა პოლიციის ბრძანებას გაჩერების შესახებ და სცადა მიმალვა.[1071] როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, სახელმ-

---

1067 *ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (Nachova and Others v. Bulgaria)*, დიდი პალატა, 6 ივლისი, 2005 წელი, 95-ე და 107-ე პუნქტები; ასევე იხ. *ლეონიდისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Leonidis v. Greece)*, 8 იანვარი, 2009 წელი, 55-ე პუნქტი; *პუტინცევა რუსეთის წინააღმდეგ (Putintseva v. Russia)*, 10 მაისი, 2012 წელი, 64-ე პუნქტი.

1068 103-ე პუნქტი.

1069 *ალიკაი და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Alikaj and Others v. Italy)*, 29 მარტი, 2011 წელი, 77-ე პუნქტი; ასევე იხ. *ვასილ საშოვ პეტროვი ბულგარეთის წინააღმდეგ (Vasil Sashov Petrov v. Bulgaria)*, 10 ივნისი, 2010 წელი; *გუერდნერი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (Guerdner and Others v. France)*, 17 აპრილი, 2014 წელი.

1070 66-ე პუნქტი. ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე ასევე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში. იხ. 76-ე პუნქტი.

1071 *კიტანოვსკი ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ (Kitanovski v. the Former Yugoslav Republic of Macedonia)*, 22 იანვარი, 2015 წელი.

წიფო იშველიებდა ორ საფუძველს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების გასამართლებლად: აუცილებელ მოგერიებას და უკიდურეს აუცილებლობას. სასამართლოს აზრით, არაფერი ადასტურებდა, რომ პირველი პოლიციელი მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, ხოლო მეორე პოლიციელის მიერ ტყვიის გასროლა, რომელიც მოხვდა მოსარჩელის ავტომობილს, მოხდა მას შემდეგ, რაც ავტომობილი გასცდა გზაზე სპეციალურად დამონტაჟებულ დაბრკოლებას,[1072] და, შესაბამისად, ვერ შექმნიდა საფრთხეს პოლიციელთა თუ სხვა პირთა სიცოცხლისათვის. სასამართლომ ასევე დაასკვნა, რომ პოლიციას არ ჰქონდა რაიმე ინფორმაცია ამ პირის ან ავტომობილის დანაშაულებრივ საქმიანობასთან კავშირის შესახებ, ან, რომ მოსარჩელე შეიძლება ყოფილიყო შეიარაღებული ან საშიში. ამიტომ არ არსებობდა საფუძველი, რომელიც გაამართლებდა პოლიციელთა რწმენას, რომ მოსარჩელე იყო საშიში დამნაშავე. სასამართლოს აზრით, პოლიციას, იმ ავტომობილის სარეგისტრაციო ნომრით, რომელიც არ იყო გამოცხადებული ძებნაში, შეეძლო დაედგინა ავტომობილის მფლობელის ვინაობა და მისი მისამართი.

ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ პოლიციის მიერ არცერთ გასროლას მოსარჩელის მიმართულებით არ უძღოდა წინ ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლა, როგორც ამას მოითხოვს სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.[1073] ვინაიდან დასაკავებელი პირი არ ქმნიდა საფრთხეს სიცოცხლისათვის და არ იყო ეჭვმიტანილი ძალადობრივ დანაშაულში, არ არსებობდა სასიკვდილო ძალის გამოყენების აბსოლუტური აუცილებლობა, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი.[1074]

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სიცოცხლის მოსპობისა და სხეულებრივი ზიანის მიყენების საფრთხე მინიმუმამდე რომ შეამციროს, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს იმ პირთა ეფექტიანი სწავლება, რომლებიც საქმიანობენ სასაზღვრო ზონებში, და მათ უნდა მიეცეთ მკაფიო და ზუსტი ინსტრუქცია იმ გარემოებებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შეიძლება გამოიყენონ ცეცხლსასროლი იარაღი. საბოლოოდ, სასამართლომ ჩათვალა, რომ ძალის გამოყენება არც თანაზომიერი და, შესაბამისად, არც აბსოლუტურად აუცილებელი იყო, რის გამოც დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.[1075]

სახელმწიფოს წარმომადგენელმა სწორად რომ შეაფასოს, არის თუ არა ძალის გამოყენება აბსოლუტური აუცილებლობა, მას უნდა ჰქონდეს გავლილი სათანადო მომზადება.[1076] გარდა სათანადო მომზადებისა, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისათვის, რომლებიც ატარებენ სპეციალურ ოპერაციას, ხელმისაწვდომი უნდა იყოს მკაფიო და ზუსტი წესები – როგორ და რა გარემოებებში გამოიყენონ იარაღი. სასამართლომ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა, რომ ცეცხლის გახსნას, სადაც ეს შესაძლებელია, წინ უნდა უძღოდეს გამაფრთხილებელი გასროლა.[1077] ევროპული

1072 ეს ფაქტი დაადასტურა ბალისტიკურმა ექსპერტიზამ. იხ. 69-ე პუნქტი.

1073 72-ე პუნქტი.

1074 71-ე პუნქტი; ასევე იხ. *ვასილევსკა და კალუცკა პოლონეთის წინააღმდეგ (Wasilewska and Kalucka v. Poland)*, 23 თებერვალი, 2010 წელი.

1075 121-ე პუნქტი; ასევე იხ. *ნიკოლოვა და ველიჩკოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Nikolova and Velichkova v. Bulgaria*, 20 დეკემბერი, 2007 წელი, 68-ე-69-ე პუნქტები.

1076 *ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ* (*Nachova and Others v. Bulgaria)*, დიდი პალატა, 6 ივლისი, 2005 წელი, 97-ე პუნქტი; *ჯულიანი და გაჯიო იტალიის წინააღმდეგ (Giuliani and Gaggio v. Italy),* დიდი პალატა, 24 მარტი, 2011 წელი, 250-ე პუნქტი.

1077 *ჯულიანი და გაჯიო იტალიის წინააღმდეგ (Giuliani and Gaggio v. Italy),* დიდი პალატა, 24 მარტი, 2011 წელი, 177-ე პუნქტი; *ანდრეუ თურქეთის წინააღმდეგ (Andreu v.*

სასამართლოს პრაქტიკამ ყურადღება გაამახვილა ასევე სათანადო ტექნიკური საშუალებების არსებობაზე. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, რომლებიც ატარებენ სპეციალურ ოპერაციას, უნდა იყვნენ სათანადოდ აღჭურვილნი და მათ უნდა ჰქონდეთ ისეთი ტექნიკური საშუალებები, რომლებიც ნაკლებად ლეტალური იქნება.

ამ საქმეების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ კანონიერი დაკავებისას ან კანონიერად დაპატიმრებული პირის მიმალვის აღკვეთისას სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ძალა, რომელიც აბსოლუტურად აუცილებელია შექმნილ სიტუაციაში.

საქართველოში ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკითხს, რომელიც ეხება სიცოცხლის მოსპობას პირის კანონიერად დაკავებისას ან კანონიერად დაპატიმრებული პირის მიმალვის აღკვეთისას, აწესრიგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 29-ე მუხლი. ის ითვალისწინებს დამნაშავის შეპყრობას აუცილებელი ზომის გადაუცილებლად, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებას. ამ მუხლის 1-ელი ნაწილი ადგენს, რომ „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრობს დამნაშავეს საამისოდ აუცილებელი ზომის გადაუცილებლად.“ ასევე მნიშვნელოვანია ამ მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით, „დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილება ნიშნავს ამ ზომის აშკარა შეუსაბამობას შესაპყრობი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და შეპყრობის გარემოებებთან.“[1078]

ევროპული კონვენციის მიდგომის მსგავსად, კოდექსის ეს დებულება ადგენს, რომ, თუ დამნაშავის შეპყრობისათვის გატარებული აუცილებელი ღონისძიება აშკარად შეუსაბამოა შესაპყრობი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და შეპყრობის გარემოებებთან, მაშინ დამნაშავის შემპყრობი პირის მოქმედება ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგოდ და მას დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა.

აქედან გამომდინარე, ევროპული კონვენციითა და კოდექსით დადგენილი სტანდარტები ერთსა და იმავე მიზანს ისახავს, კერძოდ, განსაზღვროს, რა მოქმედება ჩაითვლება თანაზომიერად პირის შესაპყრობად და რა შემთხვევაში ძალის გამოყენების სუბიექტი არ აგებს პასუხს შესაბამისი მოქმედებისათვის.

გარდა იმისა, სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს, პირმა მართლსაწინააღმდეგოდ რომ არ იმოქმედოს, მან არ უნდა გადააცილოს დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელ ზომას, კერძოდ, არ უნდა მიიღოს ისეთი ზომა, რომელიც აშკარად შეუსაბამოა შესაპყრობი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და შეპყრობის გარემოებებთან,[1079] კოდექსი განსაზღვრავს აუცილებელი ზომის გადაცილების სა-

---

Turkey), 27 ოქტომბერი, 2009 წელი, 56-ე პუნქტი; *ისააკი თურქეთის წინააღმდეგ (Isaak v. Turkey)*, 24 ივნისი, 2008 წელი, 95-ე პუნქტი.

1078 აუცილებელი მოგერიების შესახებ საქართველოს სისხლის სამართალში იხ.: ი. ხერხეულიძე, აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლოსაქსური ტიპის) სამართალში, სადოქტორო ნაშრომი, 2008 წ., იხ.: [https://press.tsu.edu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/irine_xerxeulize.pdf]; ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, შესავალი სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში: დანაშაული, ლექციების კურსი, 2021 წ., იხ: [https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/apr/books/mchedlishvili-samartali.pdf].

1079 კოდექსში გამოყენებული ტერმინი „ზომა“, ავტორის აზრით, არასწორია და მის ნაცვლად უნდა იყოს ტერმინი „ღონისძიება“; ასევე იხ. კოდექსის 123-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების გამო დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით.

მართლებრივ შედეგს. კერძოდ, კოდექსის 114-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მკვლელობისათვის, დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით.[1080]

რაც შეეხება მოქმედებას, რომლისთვისაც გატარებული ღონისძიება უნდა იყოს თანაზომიერი, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით „ბ“ პუნქტი იყენებს ტერმინებს: „დაკავება“ და „მიმალვის აღკვეთა“, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსი იყენებს ტერმინს –„შეპყრობა“. მიუხედავად განსხვავებული ტერმინებისა, მათი მნიშვნელობა იდენტურია და ისინი მიზნად ისახავენ იმ პირისათვის თავისუფლების აღკვეთას, რომელმაც შემპყრობი პირის საფუძვლიანი ეჭვის საფუძველზე ჩაიდინა დანაშაული და ამიტომ აუცილებელია მისი დაკავება.

საინტერესო საკითხია, პირის დასაკავებლად/შესაპყრობად გამოყენებული ძალის ისეთი შედეგი, როგორიცაა დასაკავებელი პირის მოკვლა. ევროპული კონვენცია ითვალისწინებს, რომ ძალის გამოყენება უნდა ისახავდეს მიზნად პირის დაკავებას ან კანონიერად დაპატიმრებულის პირის მიმალვის აღკვეთას. კოდექსი კი ითვალისწინებს, რომ აუცილებელი ზომის მიზანია დამნაშავე პირის შეპყრობა. შესაბამისად, როგორც კონვენციას, ისე კოდექსს ერთი და იგივე მიზანი აქვთ. თუ ძალის გამოყენების/აუცილებელი ზომის მიზანია პირის დაკავება/მიმალვის აღკვეთა/შეპყრობა, დაუშვებელია, რომ ამ მიზნისათვის გამოყენებულ ძალას/აუცილებელ ზომას შედეგად მოჰყვეს პირის მოკვლა. ცხადია, რომ პირს თუ მოკლავენ, მას ვერ წარადგენენ ხელისუფლების ორგანოში.[1081]

მიუხედავად იმისა, ლოგიკურია, რომ კონვენცია და კოდექსი გულისხმობს ყველანაირ ღონისძიებას, გარდა ისეთისა, რომელსაც მოჰყვა სასიკვდილო შედეგი, ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ საწინააღმდეგო დაამტკიცა. კერძოდ, მისი პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფოს წარმომადგენელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა აბსოლუტურად აუცილებელი ძალის გამოყენებისათვის, თუ გამოყენებული ძალის შედეგად პირი გარდაიცვალა. როგორც ერთ-ერთ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: „კანონიერი დაკავების ლეგიტიმურმა მიზანმა შეიძლება გაამართლოს ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა მხოლოდ აბსოლუტური აუცილებლობის შემთხვევაში.[1082]

რაც შეეხება ამ საკითხის რეგულირებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, აღსანიშნავია შემდეგი: თუ, კოდექსის 114-ე მუხლის მიხედვით, მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით იწვევს სისხლისსამართლებრივ სასჯელს, მაშინ, ამავე მუხლიდან გამომდინარე, მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაუცილებლად, არ არის მართლსაწინააღმდეგო და, შესაბამისად, არ იწვევს სისხლისსამართლებრივ სასჯელს. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ კოდექსის ეს მუხლი ზოგადად დაადგენდა სისხლისსამართლებრივ პა-

---

1080 კოდექსის 114-ე მუხლის მიხედვით, მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით, ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

1081 ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, შესავალი სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში: დანაშაული, ლექციების კურსი, 2021, 88.

1082 *ლეონიდისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Leonidis v. Greece),* 8 იანვარი, 2009 წელი. 55-ე პუნქტი. ასევე *კიტანოვსკი ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ (Kitanovski v. the Former Yugoslav Republic of Macedonia)*, 22 იანვარი, 2015 წელი, 70-ე პუნქტი.

სუხისმგებლობას დამნაშავის შეპყრობისას მისი მკვლელობისათვის და არ მიუთითებდა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობაა დამნაშავის მკვლელობა „აუცილებელი ზომის გადაცილებით“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თუ, ამ მუხლიდან გამომდინარე, მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაუცილებლად არ იწვევს სისხლისსამართლებრივ სასჯელს, და ამისათვის არ არის განსაზღვრული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, გამოდის, რომ დასაშვებია მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაუცილებლად. ცხადია, რომ კოდექსის 123-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით, არ ეხება ამ სიტუაციას, რადგან სიცოცხლის მოსპობის ფაქტი არ არის დამდგარი.

ამ მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი უნდა განიმარტოს ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, კერძოდ, მოქმედება არ უნდა ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგოდ, თუ აუცილებელი ზომის გადაუცილებლად პირი შეიპყრობს დამნაშავეს, მაშინაც კი, თუ აუცილებელ ზომას შედეგად მოჰყვა პირის გარდაცვალება, როგორც აუცილებელი ზომის გაუთვალისწინებელი შედეგი. აქედან გამომდინარე, პირს, რომელიც ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრობს დამნაშავეს საამისოდ აუცილებელი ზომის გადაუცილებლად, არ უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ, როგორც ევროპული კონვენცია, ისე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენენ თანაზომიერების პრინციპს, რომლის მიხედვით, დამნაშავის დასაკავებლად/შესაპყრობად პირმა შეიძლება გამოიყენოს თანაზომიერი ძალა. როგორც ევროპული კონვენცია, ისე სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს, რომ თუ გამოყენებულია თანაზომიერი ძალა დამნაშავის დასაკავებლად/შესაპყრობად, შემპყრობ პირს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა.

თეორიულად რა მიდგომაც შეიძლება განსხვავებული იყოს ევროპულ კონვენციასა და სისხლის სამართლის კოდექსს შორის არის ის, გავრცელდება თუ არა თანაზომიერების პრინციპი ისეთ სიტუაციაზე, როდესაც ძალის გამოყენებას შედეგად მოჰყვა დამნაშავის მკვლელობა. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ადგენს, რომ, თუ სახელმწიფოს წარმომადგენელმა გამოიყენა აბსოლუტურად აუცილებელი ძალა, იგი არ აგებს პასუხს პირის მკვლელობისათვის. სისხლის სამართლის კოდექსის 29-ე მუხლის მეცნიერული განმარტებით კი, თანაზომიერების პრინციპი არ ვრცელდება დამნაშავის მკვლელობაზე და ვერცერთი აუცილებელი ზომა, რომელიც შეიძლება შემპყრობმა პირმა მიიღოს, ვერ გაამართლებს პირის მოქმედებას, რის გამოც მას დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მიუხედავად ამ თეორიული წინააღმდეგობისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკმარისი საფუძველია მტკიცებისათვის, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი დებულებები უნდა განიმარტოს ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, მოქმედება არ უნდა ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგოდ, თუ პირი შეეცდება დამნაშავის შეპყრობას აუცილებელი ზომის გადაუცილებლად, მაშინაც კი, თუ აუცილებელ ზომას შედეგად მოჰყვა პირის გარდაცვალება, როგორც აუცილებელი ზომის გაუთვალისწინებელი შედეგი, რის გამოც დამნაშავის შემპყრობ პირს არ უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

5.1.3. სიცოცხლის მოსპობა აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად კანონიერ ღონისძიებათა გატარებისას

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად კანონიერ ღონისძიებათა გატარებისას სასიკვდილო ძალის გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად, თუ არსებობს ასეთი ძალის გამოყენების აბსოლუტური აუცილებლობა.

როგორც ეს არის კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ორ სხვა შემთხვევაში, აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად კანონიერი ღონისძიებების გატარებისას სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ძალა, რომელიც აბსოლუტურად აუცილებელია შექმნილ სიტუაციაში. სახელმწიფომ უნდა დაგეგმოს სპეციალური ოპერაცია ისე, რომ მინიმუმამდე შეამციროს სასიკვდილო ძალის გამოყენება.

საქმეზე, რომელიც ეხებოდა დემონსტრაციის დროს წარმოქმნილი დაპირისპირებისას გამოყენებულ სასიკვდილო ძალას, რამაც სიცოცხლე მოუსპო 15 წლის მოზარდს, სასამართლომ იმსჯელა როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლების მოქმედებაზე, ისე ამ ოპერაციის დაგეგმვასა და მის განხორციელებაზე.[1083] სასამართლოს აზრით, ოპერაცია არ იყო კარგად დაგეგმილი, რათა მინიმუმამდე დაეყვანა საფრთხე დემონსტრანტების სიცოცხლისათვის, კერძოდ, პოლიციამ გამოიყენა მეტისმეტად მძიმე იარაღი, საკუთრივ, ჯავშნიან მანქანებზე დამონტაჟებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, რადგან მას, სავარაუდოდ, არ ჰქონდა სხვა, ნაკლებად სასიკვდილო საშუალებები, როგორებიცაა: ხელკეტი, წყალსატყორცნი, რეზინის ტყვიები ან ცრემლსადენი გაზი. ასევე, არ მომხდარა გამაფრთხილებელი გასროლა ჰაერში, არამედ გასროლა მოხდა მიწის მიმართულებით, რაც ზრდიდა სასიკვდილო რიკოშეტის პოტენციურ საფრთხეს. სასამართლომ ასევე მიუთითა არ არსებობდა მტკიცებულება, რომ პოლიციელები თავად იყვნენ საფრთხეში. საბოლოოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ დემონსტრანტების მიმართ გამოყენებული ძალა არ იყო აბსოლუტურად აუცილებელი კონვენციის მე-2 მუხლის გაგებით.[1084]

კიდევ ერთ საქმეზე, რომელიც ეხებოდა სტამბოლში დემონსტრაციის დროს პოლიციის მიერ ძალის გამოყენების შედეგად არაერთი დემონსტრანტის სიცოცხლის მოსპობას, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დემონსტრანტების დასაშლელად პოლიციამ პირდაპირ გაუხსნა მათ ცეცხლი, ნაცვლად იმისა, რომ, უპირველეს ყოვლისა, გამოეყენებინა სიცოცხლისათვის ნაკლებად სასიკვდილო საშუალებები, როგორებიცაა: ცრემლსადენი გაზი, წყლის ჭავლი ან რეზინის ტყვიები.[1085] სპეციალური ოპერაციის დროს ნაკლებად სასიკვდილო საშუალებების არარსებობა ევროპულმა სასამართლომ „მიუღებლად“ ჩათვალა.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ, მართალია, პოლიცია შეიძლება იყოს დიდი სტრესისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ, ის ასრულებს მნიშვნელოვან როლს სიცოცხლის უფლების დაცვაში და მას უნდა შეეძლოს ყველა პარამეტრის შეფასება და ოპერაციის კარგად დაგეგმვა. მან უნდა მიიღოს მკაფიო და ზუსტი ინსტრუქცია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების გარემოებების შესახებ. შესაბამისი მომზადებისა და სათანადო ინსტრუქციის საფუძველზე, მან უნდა გაატაროს სათანადო ღონისძიებები. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მკაფიო და ცენტრალი-

---

1083 *გულეკი თურქეთის წინააღმდეგ (Güleç v. Turkey),* 27 ივლისი, 1998 წელი.

1084 იქვე, 73-ე პუნქტი.

1085 *სიმსეკი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Simsek and Others v. Turkey)*, 26 ივლისი, 2005 წელი, 108-ე პუნქტი.

ზებული მართვის არარსებობა იყო მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელმაც გაზარდა პოლიციელების მიერ ადამიანთა ჯგუფისათვის ცეცხლის გახსნა. საბოლოოდ, სასამართლომ ჩათვალა, რომ დემონსტრანტების დასაშლელად გამოყენებული ძალა, რომელმაც გამოიწვია არაერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, არ იყო აბსოლუტურად აუცილებელი მოცემულ გარემოებებში.[1086]

საქმეზე, რომელიც ეხებოდა ციხის ბუნტის ჩახშობის დროს გამოყენებულ არათანაზომიერ ძალას, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სპეციალური ოპერაცია არ ჩატარდა მართვადი და სისტემური გზით, ხოლო მასში ჩართულ პირებს ხელმძღვანელობისაგან არ მიუღიათ კონკრეტული ინსტრუქციები და ბრძანებები სასიკვდილო ძალის გამოყენების შესაბამისი ფორმისა და ინტენსიურობის შესახებ, სიცოცხლის მოსპობის საფრთხის მინიმუმამდე შესამცირებლად. ხელისუფლებას არ განუხილავს შემთხვევის მოგვარების ნაკლებად ძალადობრივი, მათ შორის მოლაპარაკების, გზის გამოყენება. ბუნტის ჩახშობის ოპერაციის დროს გამოყენებული ძალა იყო განურჩეველი და მეტისმეტი და ხელისუფლებას არ მოუხდენია სათანადო სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა მათთვის, ვისაც ეს სჭირდებოდა. საბოლოოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ სპეციალური ოპერაციის შედეგად გარდაცვლილი პირების მიმართ გამოყენებული ძალა არ იყო აბსოლუტურად აუცილებელი კონვენციის მე-2 მუხლის გაგებით.[1087]

რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობას ევროპული კონვენციის სტანდარტთან, აღსანიშნავია შემდეგი: ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი უშვებს სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ კანონიერ ღონისძიებათა გატარებისას სასიკვდილო ძალის გამოყენებას აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად, თუ არსებობს ამის აბსოლუტური აუცილებლობა. აბსოლუტური აუცილებლობის შემთხვევაში ასეთი ძალის გამოყენება, რომელსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს პირის სიცოცხლის მოსპობა, არ ჩაითვლება კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად და, შესაბამისად, პირს, რომელმაც გამოიყენა ასეთი სასიკვდილო ძალა, არ დაეკისრება პასუხისმგებლობა.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ძალის გამოყენება აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად არ მიიჩნევა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებად. აქედან გამომდინარე, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი, რომელიც გამოიყენებს თანაზომიერ ძალას აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად და რომლის მოქმედებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს პირის (მაგ., პატიმრის) გარდაცვალება, ამ ორგანოს წარმომადგენელი არ განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. აქედან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სიცოცხლის უფლების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ევროპული კონვენციით.

1086 112-ე პუნქტი; ასევე იხ. *პერისანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Perisan and Others v. Turkey),* 20 მაისი, 2010 წელი; *კავაკლიოღლუ და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Kavaklioglu and Others v. Turkey),* 6 ოქტომბერი, 2015 წელი.

1087 *კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Kukhalashvili and Others v. Georgia)*, 20 აპრილი, 2020 წელი, 157-ე პუნქტი; ასევე იხ. *ჰამდემირი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Hamdemir and Others v. Turkey)*, 15 ნოემბერი, 2016 წელი.

5.2. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ძალისა და იარაღის გამოყენება საქართველოში

ა) კანონმდებლობა

სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვის საფუძველზე, რომელიც გაკეთდა ნაშრომის პირველ ნაწილში, გამოიკვეთა არაერთი ევროპული სტანდარტი, რომლებიც სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების მარეგულირებელი ჩარჩოს განსაზღვრისას. ამ სტანდარტების მიხედვით:

ა) სახელმწიფოს წარმომადგენელმა არ უნდა გამოიყენოს იმაზე მეტი ძალა, ვიდრე ეს არის აბსოლუტურად აუცილებელი კონკრეტულ სიტუაციაში;

ბ) სახელმწიფომ კარგად უნდა დაგეგმოს სპეციალური ოპერაცია, მოახდინოს მის ჩატარებაზე ზედამხედველობა და უზრუნველყოს ოპერაციაში ჩართული შესაბამისი სამსახურების ცენტრალიზებული მართვა და კოორდინაცია;

გ) სახელმწიფომ ისე უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს სპეციალური ოპერაცია, რომ მინიმუმამდე შეამციროს სასიკვდილო ძალის გამოყენება. სახელმწიფომ თავიდან უნდა აიცილოს ისეთი სპეციალური ოპერაციის დაგეგმვა და ჩატარება, რომელშიც არის შემთხვევითი პირების გარდაცვალების საფრთხე;

დ) სპეციალური ოპერაციის ჩატარებისას სახელმწიფომ უნდა მიმართოს, უპირველეს ყოვლისა, არაძალადობრივ ხერხებს, კერძოდ, სახელმწიფო უნდა შეეცადოს ინციდენტის დასრულებას დარწმუნებითა და მოლაპარაკებით;

ე) თუ არაძალადობრივი ხერხებით ვერ ხერხდება შექმნილი სიტუაციის განმუხტვა, სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიყენოს ნაკლებად სასიკვდილო საშუალებები (მაგ.: ხელკეტი, წყალსატყორცნი, რეზინის ტყვიები, ცრემლსადენი გაზი). ოპერაციაში უშუალოდ ჩართულ სახელმწიფოს წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ მკაფიო ინსტრუქცია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების გარემოებებისა და ინტენსივობის შესახებ. მათ მხოლოდ მაშინ უნდა გამოიყენონ სასიკვდილო ძალა, თუ მოწინააღმდეგე მხარე საფრთხეს უქმნის მათ ან სხვა პირის (მაგ., მძევლის) სიცოცხლეს;

ვ) ისეთი სასიკვდილო ძალის გამოყენებას, როგორიცაა ცეცხლსასროლი იარაღი, წინ უნდა უძღოდეს ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლა;

ზ) პირის დაკავებისას ან დაკავებული პირის მიმალვის აღკვეთისას არ არსებობს სასიკვდილო ძალის გამოყენების აბსოლუტური აუცილებლობა, თუ ცნობილია, რომ დასაკავებელი პირი არ ქმნის საფრთხეს სიცოცხლისათვის და მას არ აქვს ჩადენილი ძალადობრივი დანაშაული, ან არ არის ეჭვმიტანილი ძალადობრივ დანაშაულში, მაშინაც კი, თუ სასიკვდილო ძალის გამოუყენებლობას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ამ პირის დაკავების შესაძლებლობის დაკარგვა;

თ) დაკავების ოპერაციის განხორციელებისას სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია, მათ შორის, როგორც აბსოლუტური მინიმუმი, დასაკავებელი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და ამ პირისაგან მომდინარე საფრთხის ხარისხი;

ი) სახელმწიფოს წარმომადგენლებმა, რომლებიც იყენებენ ძალას, უნდა გაიარონ სათანადო მომზადება აუცილებელი ძალის გამოყენების წესის, სასიკვდილო ძალის გამოყენების მინიმუმამდე შემცირებისა და იმ გარემოებების შესახებ, რომლებშიც მათ შეუძლიათ გამოიყენონ ნაკლებად სასიკვდილო და სასიკვდილო ძალა;

კ) სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, რომლებიც ატარებენ სპეციალურ ოპერაციას, უნდა იყვნენ სათანადოდ აღჭურვილნი, მათ შორის ნაკლებად სასიკვდილო საშუალებებით (მაგ.: ხელკეტი, წყალსატყორცნი, რეზინის ტყვიები, ცრემლსადენი გაზი, ავტომობილის შეჩერების აღჭურვილობა). სპეციალური ოპერაციის განხორციელებისას უნდა იყოს უზრუნველყოფილი სამედიცინო დახმარება;

ლ) სპეციალური ოპერაციის განხორციელებისას არათანაზომიერი ძალის გამოყენებისათვის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს არა მხოლოდ იმ პირებს, ვინც უშუალოდ ატარებდა ოპერაციას, არამედ, ასევე, იმ პირებს, ვინც ახდენდა ოპერაციის მომზადებას, ჩატარებასა და მასზე ზედამხედველობას.

ვინაიდან, როგორც ევროპული სასამართლოს მიმოხილულმა პრაქტიკამ ცხადყო, სახელმწიფოს წარმომადგენლები ძალას იყენებენ ისეთი სპეციალური ოპერაციების დროს, როგორიცაა საპოლიციო ან კონტრტერორისტული ოპერაციები, ნაშრომში გაანალიზდება საქართველოში საპოლიციო და კონტრტერორისტული ოპერაციების განხორციელების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა და მასში ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი სტანდარტების ასახვა.

საქართველოში პოლიციის მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესი დადგენილია, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კანონით პოლიციის შესახებ.[1088] სხვა საკითხებთან ერთად, კანონი განსაზღვრავს პოლიციის მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების პრინციპებსა და იძულების ღონისძიების სახეებს – ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას.[1089] კერძოდ, კანონის მიხედვით, პოლიციისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად პოლიციელი უფლებამოსილია, თანაზომიერად გამოიყენოს გამოსადეგი იძულების ღონისძიებები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, იმ ინტენსივობით, რომელიც უზრუნველყოფს კანონიერი მიზნის მიღწევას.[1090] ამასთანავე, კანონის მიხედვით, პოლიციელი უფლებამოსილია, გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი და სპეციალური საშუალებები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გავლილი აქვს სპეციალური მომზადება.[1091]

კანონი ადგენს, რომ პოლიციელი ვალდებულია, ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს პირი, მისცეს გონივრული ვადა მისი კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიო პირის ან/და პოლიციელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, ან შექმნილ სიტუაციაში ასეთი გაფრთხილება გაუმართლებელია ან შეუძლებელია.[1092] ამასთანავე, კანონის მიხედვით, იძულების ღონისძიების სახე და ინტენსიურობა განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის, სამართალდარღვევის ხასიათისა და სამართალდამრღვევის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. კანონის მიხედვით, იძულების ღონისძიების გამოყენებისას პოლიციელი უნდა შეეცადოს, რომ მიყენებული ზიანი მინიმალური და თანაზომიერი იყოს.[1093]

გარდა ამისა, კანონის მიხედვით, პოლიციელი ვალდებულია, პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს იძულების ღონისძიებების გამოყენებით

1088 იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/2047533?publication=33].

1089 იქვე, 30-ე მუხლი.

1090 კანონის 31(1)-ე მუხლი.

1091 კანონის 31(2)-ე მუხლი.

1092 კანონის 31(3)-ე მუხლი.

1093 კანონის 31(4)-ე მუხლი.

დაზიანებულ პირს.[1094] ასევე პოლიციელს ეკრძალება ისეთი საშუალების გამოყენება, რომელიც იწვევს ადამიანის მძიმე დასახიჩრებას, დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან ან აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით.[1095]

კანონით გათვალისწინებულია იძულების ღონისძიების სხვადასხვა სახის გამოყენების პირობები. უპირველეს ყოვლისა, კანონით განსაზღვრულია ისეთი იძულების ღონისძიების გატარება, როგორიცაა ფიზიკური ძალის გამოყენება. კერძოდ, პოლიციელს უფლება აქვს, გამოიყენოს ფიზიკური ძალა საკუთარი თავის ან/და პირთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, დანაშაულის ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, დანაშაულის ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის დასაკავებლად, თუ არაძალისმიერი მეთოდების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს პოლიციელის მიერ მისთვის კანონით დაკისრებული ფუნქციის შესრულებას.[1096] კანონი ასევე განსაზღვრავს იძულებითი ღონისძიების ისეთ სახეს, როგორიცაა სპეციალური საშუალებების გამოყენება. კანონის მიხედვით, პოლიციელს შეუძლია როგორც პასიური,[1097] ისე აქტიური[1098] სპეციალური საშუალებების გამოყენება, რაც მიმართულია იმისაკენ, რომ უზრუნველყოს პოლიციელის ან/და მის მიერ დასაცავი პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა.[1099]

კანონი ითვალისწინებს, რომელი სპეციალური საშუალება შეიძლება გამოიყენოს პოლიციამ კონკრეტულ სიტუაციაში.[1100] ეს დებულება ადგენს, რომ პოლიციას შეუძლია, გამოიყენოს: ხელბორკილი და შებორკვის სხვა საშუალება დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, რომელიც უძალიანდება პოლიციელს ან ცდილობს გაქცევას, ასევე, თუ პირს თავისი საშიში მოქმედებით შეუძლია, ზიანი მიაყენოს საკუთარ თავსა და სხვას;[1101] სპეციალური ხელკეტი – პირზე, პოლიციელზე ან/და დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად; დანაშაულის ჩამდენი ან მართლწესრიგის დამრღვევი პირის დაკავებისას, თუ იგი ბოროტად არ ემორჩილება პოლიციელის კანონიერ მოთხოვნას;[1102] ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, აკუსტიკური საშუალება და არალეტალური იარაღი – პირზე, პოლიციელზე ან/და დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად, დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისას;[1103] ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება – სატრანსპორტო საშუალების იძულებით გასაჩერებლად, რომლის მძღოლმა არ შეასრულა პოლიციელის მოთხოვნა გაჩერების შესახებ და რომლის მოქმედებაც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ან, თუ ასეთი საშუალების გამოყენება აუცილებელია თანაზომიერი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად.[1104]

1094 კანონის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

1095 კანონის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

1096 კანონის 32(1)-ე მუხლი.

1097 ჯავშანჟილეტი, ჩაფხუტი, ფარი, აირწინაღი და სხეულის დაცვის სხვა სპეციალური საშუალებები.

1098 ხელბორკილი და შებორკვის სხვა საშუალება, სპეციალური ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, აკუსტიკური საშუალება, არალეტალური იარაღი, ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება, წყალსატყორცნი, ჯავშანმანქანა, ელექტროშოკური მოწყობილობა და სხვ.

1099 კანონის 33-ე მუხლი.

1100 კანონის 33(3)-ე მუხლი.

1101 ა) ქვეპუნქტი.

1102 ბ) ქვეპუნქტი.

1103 გ) ქვეპუნქტი.

1104 ე) ქვეპუნქტი.

პოლიციის შესახებ კანონი ასევე ადგენს ისეთი იძულების ღონისძიების სახეს, როგორიცაა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება. კერძოდ, კანონის მიხედვით, პოლიციელს უფლება აქვს, უკიდურესი ღონისძიების სახით გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი:

ა) პირისა და საკუთარი თავის დასაცავად, როდესაც საფრთხე ექმნება სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;
ბ) უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილის გასათავისუფლებლად;
გ) მისთვის წინასწარი ცნობით ძალადობრივი ქმედებისათვის ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის დაკავებულის გაქცევის აღსაკვეთად;
დ) ძალადობრივი დანაშაულის აღსაკვეთად, თუ პირი წინააღმდეგობას უწევს პოლიციელს;
ე) დაცულ ობიექტზე, სახელმწიფო ორგანოზე ან/და საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე თავდასხმის მოგერიებისას;
ზ) სატრანსპორტო საშუალების გაჩერების მიზნით მისი დაზიანებისათვის, თუ მძღოლის მოქმედება რეალურ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და მძღოლი არ ემორჩილება პოლიციელის არაერთგზის მოთხოვნას სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ, გარდა მოძრავი სატრანსპორტო საშუალებიდან მოძრავი სატრანსპორტო საშუალებისათვის სროლისა.[1105]

კანონით დადგენილია, რომ პირის მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის აქტიურ გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს მისი გამოყენების შესახებ სიტყვიერი გაფრთხილება, შემდეგ – გამაფრთხილებელი გასროლა. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გამაფრთხილებელი გასროლა არ განხორციელდეს.[1106]

კანონი ასევე ადგენს, რომ ცეცხლსასროლი იარაღის ისეთი გამოყენება, რომელიც შეიცავს სასიკვდილოდ დაჭრის საფრთხეს, შეიძლება მხოლოდ აუცილებელი მოგერიების ან/და უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში.[1107] ამასთანავე, პოლიციელს ეკრძალება ცეცხლსასროლი იარაღის ისეთ ადგილებში გამოყენება, სადაც არსებობს სხვა პირთა დაშავების საფრთხე, გარდა აუცილებელი მოგერიების ან/და უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევისა.[1108]

კანონი ითვალისწინებს იძულების ღონისძიებების გამოყენების შეზღუდვას.[1109] კერძოდ, ამ მუხლით დადგენილია, რომ აკრძალულია ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ორსულობის, მცირეწლოვნობის, შეზღუდული შესაძლებლობის ან ხანდაზმულობის აშკარა ნიშნების მქონე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი შეიარაღებულნი ან ჯგუფურად ესხმიან თავს, შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ პოლიციელს, რაც საფრთხეს უქმნის სხვა პირის ან პოლიციელის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თუ ასეთი

1105 კანონის 34(5)-ე მუხლი.

1106 კანონის 34(6)-ე მუხლი. კანონის ამავე მუხლის მე-7 პუნქტი ადგენს, რომ „გაფრთხილების გარეშე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება შეიძლება: ა) შეიარაღებული თავდასხმისას, აგრეთვე საბრძოლო ტექნიკით, ნებისმიერი სატრანსპორტო ან მექანიკური საშუალებით მოულოდნელი თავდასხმისას; ბ) პოლიციელისთვის წინასწარი ცნობით სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის დაკავებულის ან დაპატიმრებულის გაქცევისას; გ) პირის მიერ შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისას; ... ე) ცეცხლსასროლი იარაღის წართმევის აღსაკვეთად; ...“.

1107 კანონის 34(8)-ე მუხლი.

1108 კანონის 34(9)-ე მუხლი.

1109 კანონის 35-ე მუხლი.

თავდასხმისა და წინააღმდეგობის სხვაგვარი ხერხებისა და საშუალებებით მოგერიება შეუძლებელია.[1110]

საყურადღებოა, რომ კანონი პოლიციის შესახებ მკაფიოდ ადგენს თანაზომიერების პრინციპს და განსაზღვრავს ამ პრინციპის გამოყენების წესს.[1111] კერძოდ, ეს მუხლი ადგენს, რომ:

1. საპოლიციო ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. შერჩეული საპოლიციო ღონისძიება უნდა იყოს გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული.
2. პოლიციელის მიერ შერჩეული საპოლიციო ღონისძიება არის გამოსადეგი, თუ ის შესაძლებელს ხდის ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.
3. პოლიციელის მიერ შერჩეული გამოსადეგი საპოლიციო ღონისძიება არის აუცილებელი, თუ ვერ იქნება გამოყენებული სხვა საშუალება, რომელიც ლეგიტიმური მიზნის მიღწევისას უფრო ნაკლებ ზიანს მიაყენებდა როგორც ღონისძიების ადრესატს, ისე სხვა პირს.
4. პოლიციელის მიერ განხორციელებული აუცილებელი საპოლიციო ღონისძიება არის პროპორციული, თუ კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთისათვის მიყენებული ზიანი არ აღემატება იმ სიკეთეს, რომლის დასაცავადაც ის განხორციელდა.
5. პოლიციის სამართლებრივი ქმედება უნდა შეწყდეს, თუ ამ ქმედების მიზანი მიღწეულია ან აშკარაა, რომ მიზნის მიღწევა შეუძლებელია.

და ბოლოს, კანონით განსაზღვრულია, რომ პოლიციელის მიერ საპოლიციო ღონისძიებების პოლიციის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების დარღვევით განხორციელება იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.[1112]

საქართველოში პოლიციის მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის მიმოხილვიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ კანონი პოლიციის შესახებ საკმარისად დაწვრილებით აწესრიგებს ქვეყანაში ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესს და ადგენს, რომ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება შეიძლება მხოლოდ შეზღუდულ გარემოებებში.

უპირველეს ყოვლისა, კანონს წითელ ხაზად გასდევს აბსოლუტური აუცილებლობისა და პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპები. კერძოდ, პოლიციელმა პროპორციულად უნდა გამოიყენოს იძულების ღონისძიება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში და იმ ინტენსივობით, რომელიც უზრუნველყოფს კანონიერი მიზნის მიღწევას.[1113] კანონით, იძულების ღონისძიების სახე და ინტენსიურობა განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის, სამართალდარღვევის ხასიათისა და სამართალდამრღვევის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით და პოლიციელი უნდა შეეცადოს, რომ მიყენებული ზიანი მინიმალური და თანაზომიერი იყოს.[1114] კანონი მკაფიოდ ადგენს, რომ კონკრეტული სიტუაციისათვის შერჩეული საპოლიციო ღონისძიება უნდა იყოს გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული, რისთვისაც კანონი საკმარისად დაწვრილებით განმარტავს ღონისძიების გამოსადეგობას, აუცილებლობასა და პროპორციულობას.

კანონი საკმარისად დეტალურად ადგენს იძულების ღონისძიებების – ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლის იარაღის – გამოყენების გა-

---

1110 კანონის 35-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.
1111 კანონის მე-12 მუხლი.
1112 კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი.
1113 კანონის 31-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.
1114 კანონის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

რემოებებს. კერძოდ, კანონით პოლიციელს ენიჭება უფლება, გამოიყენოს ფიზიკური ძალა, მათ შორის საკუთარი თავის ან/და პირთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად და დანაშაულის ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის დასაკავებლად. მართალია, პოლიციელს უფლება აქვს, გამოიყენოს ფიზიკური ძალა, ასეთი ძალის გამოყენებისათვის კანონით დადგენილია წინაპირობა, კერძოდ კი ის, რომ პოლიციელმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიმართოს არაძალისმიერ მეთოდს, ხოლო თუ არაძალისმიერი მეთოდების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს პოლიციელის მიერ მისთვის კანონით დაკისრებული ფუნქციის შესრულებას, მხოლოდ ამის შემდეგ პოლიციელს შეუძლია ფიზიკური ძალის გამოყენება. ეს მიდგომაც აკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტს.

საპოლიციო ოპერაციისას სასიკვდილო ძალის გამოყენების მინიმუმამდე შემცირებას ასევე ისახავს მიზნად დებულება შემთხვევითი პირების გარდაცვალების საფრთხის თავიდან აცილების შესახებ. კერძოდ, კანონი ადგენს, რომ პოლიციელს ეკრძალება ცეცხლსასროლი იარაღის ისეთ ადგილებში გამოყენება, სადაც არსებობს სხვა პირთა დაშავების საფრთხე, გარდა აუცილებელი მოგერიების ან/და უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევისა. ეს წესი ასევე შეესაბამება ევროპულ სტანდარტს.

სიცოცხლის მოსპობის მინიმუმამდე დაყვანას ემსახურება კანონის ის დებულება, რომელიც აკისრებს პოლიციელს ვალდებულებას, აღმოუჩინოს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება იძულების ღონისძიებების გამოყენებით დაზიანებულ პირს.

ისეთი სპეციალური საშუალებების, მათ შორის: ხელბორკილის, სპეციალური ხელკეტის, ცრემლსადენი გაზის, არალეტალური იარაღის, ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალების, გამოყენების შესაძლებლობასთან ერთად, კანონი განსაზღვრავს, რომ „უკიდურესი ღონისძიების სახით“ პოლიციელს უფლება აქვს, გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი. ცხადია, რომ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ყველაზე მაღალი საფრთხის შემცველია ადამიანის სიცოცხლისათვის და ამიტომ კანონით მართებულად არის დადგენილი, რომ მისი გამოყენება უნდა იყოს უკიდურესი ღონისძიება. ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა სხვა იძულების ღონისძიება (ფიზიკური ძალა და სპეციალური საშუალებები) უნდა იყოს ნაცადი, ვიდრე პოლიციელი გამოიყენებს ცეცხლსასროლ იარაღს და სხვა უფრო მსუბუქი ღონისძიების გამოყენება შექმნილ სიტუაციაში გაუმართლებელი იქნებოდა.

კანონიდან გამომდინარე, პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღი შეიძლება გამოიყენოს დამნაშავესთან დაკავშირებული განსაკუთრებული საფრთხის შემთხვევაში, რაც ნორმატიულად განსაზღვრულია. ეს ნიშნავს, რომ პოლიციამ არ შეიძლება გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი, თუ პირი არ უქმნის საფრთხეს პოლიციელისა და სხვა პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ან მას არ აქვს ჩადენილი ძალადობრივი ქმედება ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ისევე როგორც არ გეგმავს ძალადობრივი დანაშაულის ჩადენას. კანონის ეს დებულება შეესაბამება ევროპულ სტანდარტს.

კანონის ეს დებულება ასევე შეესაბამება ევროპულ სტანდარტს, რომლის მიხედვით, პირის დაკავებისას სახელმწიფომ მხედველობაში უნდა მიიღოს დასაკავებელ პირთან დაკავშირებული ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია, მათ შორის, როგორც აბსოლუტური მინიმუმი, დასაკავებელი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და ამ პირისაგან მომდინარე საფრთხის ხარისხი.

ყურადღებას იპყრობს პოლიციის შესახებ კანონის ის დებულება, რომელიც ადგენს, რომ პოლიციელს უფლება აქვს, უკიდურესი ღონისძიების სახით, გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი „დაცულ ობიექტზე, სახელმწიფო ორგანოზე ან/და საზოგადოებ-

რივ ორგანიზაციაზე თავდასხმის მოგერიებისას.“[1115] ვინაიდან ასეთ დაცულ ობიექტში იგულისხმება, ძირითადად, სამთავრობო შენობები, პოლიციელისათვის ასეთი უფლებამოსილების მინიჭება ეწინააღმდეგება ევროპული სასამართლოს სტანდარტს, რომელიც მან დაადგინა საქმეზე *ნიკა ალბანეთის წინააღმდეგ (Nika v. Albania)*.[1116] ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი არ უშვებს სასიკვდილო ძალის გამოყენების შესაძლებლობას ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ცალკე აღებული საკუთრების, მათ შორის დაცული ობიექტის, დაცვის მიზნით. გადაწყვეტილების მიხედვით, ცეცხლსასროლი იარაღისა და სასიკვდილო ძალის გამოყენება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება გამართლებულად, თუ რეალური საფრთხე შეექმნება ასეთ ობიექტში მყოფი პირების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.[1117] აქედან გამომდინარე, პოლიციის შესახებ კანონის დებულება, რომელიც პოლიციელს ანიჭებს უფლებას, გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი „დაცულ ობიექტზე, სახელმწიფო ორგანოზე ან/და საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე თავდასხმის მოგერიებისას“ ეწინააღმდეგება ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

საყურადღებო საკითხია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება სატრანსპორტო საშუალების გაჩერების მიზნით მისი დაზიანებისათვის, თუ მძღოლის მოქმედება რეალურ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და მძღოლი არ ემორჩილება პოლიციელის არაერთგზის მოთხოვნას სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ, გარდა მოძრავი სატრანსპორტო საშუალებიდან მოძრავი სატრანსპორტო საშუალებისათვის სროლისა. ამ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ თუ მძღოლის მოქმედება რეალურ საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, მაშინაც კი, თუ მძღოლი არ ემორჩილება პოლიციელის არაერთგზის მოთხოვნას სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ, პოლიციას არ აქვს უფლება, გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი სატრანსპორტო საშუალების გაჩერების მიზნით.

ცხადია, აქ უმნიშვნელოვანესია, ობიექტურად შეფასდეს, უქმნის თუ არა მძღოლის მოქმედება რეალურ საფრთხეს ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, რადგან მასზე არის დამოკიდებული პოლიციის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება. იმისათვის, რომ პოლიციელების სუბიექტური შეფასების – უქმნით თუ არა მძღოლის მოქმედება რეალურ საფრთხეს ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას – ცდომილების ალბათობა გამოირიცხოს ან მინიმუმამდე შემცირდეს, მნიშვნელოვანია, მოხდეს ობიექტური კრიტერიუმების შემუშავება, რომელთა საფუძველზეც პოლიციელები შეაფასებენ კონკრეტულ სიტუაციაში მძღოლის მოქმედებას, რომელიც არ ემორჩილება პოლიციელის არაერთგზის მოთხოვნას სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ, უქმნის თუ არა საფრთხეს ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას.

კანონის ზემოთ განხილული დებულება ითვალისწინებს კიდევ ერთ პირობას პოლიციის მიერ იარაღის გამოყენებისათვის სატრანსპორტო საშუალების გაჩერების მიზნით. ამ დებულების მიხედვით, პოლიციამ შეიძლება გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი, „გარდა მოძრავი სატრანსპორტო საშუალებიდან მოძრავი სატრანსპორტო საშუალებისათვის სროლისა.“ ამ სიტუაციაში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების აკრძალვის ლოგიკა შეიძლება ის იყოს, რომ პოლიციის მოძრავი სატრანსპორტო საშუალებიდან სამართალდამრღვევის სატრანსპორტო საშუალების მიმართულებით გასროლილი ტყვიის აცდენის ალბათობა მეტია, რამაც შეიძლება მეტისმეტი საფრთ-

---

1115 კანონის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

1116 14 ნოემბერი, 2023.

1117 150-ე პუნქტი.

ხე შეუქმნას როგორც მშვიდობიანი გამვლელების, ისე თავად სამართალდამრღვევის სიცოცხლეს.

კანონის ეს დებულება მნიშვნელოვან ელემენტს შეიცავს, კერძოდ, პოლიციას შეუძლია, გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი „სატრანსპორტო საშუალების გაჩერების მიზნით მისი დაზიანებისათვის“. ეს იმას ნიშნავს, რომ პოლიციის მიზანი მოცემულ სიტუაციაში, გამოიყენოს იარაღი, მიზნად ისახავს სატრანსპორტო საშუალების დაზიანებას მისი გაჩერების მიზნით და არა სამართალდამრღვევის მოკვლას, თუმცა აქ გასათვალისწინებელია, რომ, თუ მიზანია სატრანსპორტო საშუალების გაჩერება, მაშინ პოლიციამ, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებამდე, სასიკვდილო შედეგის თავიდან აცილების მიზნით, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიყენოს სხვა საშუალება, როგორიცაა ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების ტექნიკური საშუალება.

კანონის დებულებები შეიცავს დამატებით გარანტიას იმისას, რომ პირის მიმართ არ იქნება გამოყენებული იძულების ღონისძიება, ვიდრე პოლიცია მას არ გააფრთხილებს ასეთი ღონისძიების გამოყენების შესახებ. კანონით გათვალისწინებულია, რომ პოლიციელი ვალდებულია, სპეციალური ღონისძიების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს პირი და მისცეს გონივრული ვადა მისი კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა. მსგავსი დებულება დადგენილია პოლიციის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევაშიც, როდესაც პირის მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს მისი გამოყენების შესახებ სიტყვიერი გაფრთხილება, შემდეგ – გამაფრთხილებელი გასროლა.

აბსოლუტური აუცილებლობის მოთხოვნას აკმაყოფილებს კანონის დებულება, რომლის მიხედვით, ცეცხლსასროლი იარაღის ისეთი გამოყენება, რომელიც შეიცავს სასიკვდილოდ დაჭრის საფრთხეს, შეიძლება მხოლოდ აუცილებელი მოგერიების ან/და უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში. ეს დებულება მნიშვნელოვნად ზღუდავს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევებს.

პოლიციელს ეკრძალება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ისეთ ადგილებში, სადაც არსებობს სხვა პირთა დაშავების საფრთხე, გარდა აუცილებელი მოგერიების ან/და უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევისა, ისევე როგორც მას ეკრძალება ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ორსულობის, მცირეწლოვნობის, შეზღუდული შესაძლებლობის ან ხანდაზმულობის აშკარა ნიშნების მქონე პირთა მიმართ, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

რაც შეეხება არამართლზომიერი ძალის გამოყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას არა მხოლოდ იმ პირებისათვის, რომლებიც უშუალოდ ატარებენ ოპერაციას, არამედ ასევე იმ პირებისათვის, რომლებიც ახდენენ ოპერაციის დაგეგმვას, განხორციელებასა და მასზე ზედამხედველობას, აღსანიშნავია შემდეგი: მართალია, კანონი ითვალისწინებს, რომ საპოლიციო ღონისძიების პოლიციის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების დარღვევით განხორციელება იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას,[1118] ასევე, იმას, რომ პოლიციელისა და სამინისტროს სხვა მოსამსახურე შეიძლება მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში,[1119] სისხლის სამართლის კოდექსი არ ადგენს იმ პირთა პასუხისმგებლობას, რომლებიც არასათანადოდ მართავდნენ საპოლიციო ოპერაციას და რომელთა ბრძანებით გამოიყენეს არათანაზომიერი ძალა, რამაც გამოიწვია პირის გარდაცვალება.

1118 კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი.

1119 59-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

საბოლოოდ, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ სათანადოდ აწესრიგებს პოლიციის მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესს და ის შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებებს. ამასთანავე, ამ ანალიზის შედეგად გამოიკვეთა პრობლემა, რომლის მიხედვით, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს იმ პირთა პასუხისმგებლობას, რომლებიც არასათანადოდ მართავდნენ საპოლიციო ოპერაციას და რომელთა ბრძანებით გამოიყენეს არათანაზომიერი ლეტალური ძალა.

რაც შეეხება საქართველოში კონტრტერორისტული ოპერაციების ჩატარებას, მას აწესრიგებს როგორც საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, ისე კანონქვემდებარე აქტები.[1120] კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ განსაზღვრავს ტერორიზმთან ბრძოლის ძირითად პრინციპებს, რომელთა შორის არის ტერორიზმთან ბრძოლისას ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრიორიტეტულობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების პრიორიტეტულობა, ტერორისტებთან მოლაპარაკების წარმოება ტერორისტული ხასიათის დანაშაულის მოსალოდნელი შედეგების თავიდან აცილების მიზნით და კონტრტერორისტულ ოპერაციაში მონაწილე ძალებისა და საშუალებების ერთიანი ხელმძღვანელობა.[1121]

რაც შეეხება კონტრტერორისტული ოპერაციის კარგად დაგეგმვასა და მის ჩატარებაზე ზედამხედველობას, კანონი ადგენს, რომ კონტრტერორისტული ოპერაცია უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს კოორდინირებულად, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ძალის გამოყენება და თავიდან იქნეს აცილებული შემთხვევითი პირების გარდაცვალების საფრთხე. კანონი განსაზღვრავს იმ სუბიექტებს, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ ტერორიზმთან ბრძოლას. გარდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა, რომელიც მთავარი ორგანოა ტერორიზმთან ბრძოლის ერთიან სახელმწიფო სისტემაში, ტერორიზმთან მებრძოლი სუბიექტები არიან: თავდაცვის სამინისტრო, დაზვერვის სამსახური და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.[1122] კანონის მიხედვით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კოორდინაციას უწევს ტერორიზმთან ბრძოლის სუბიექტების საქმიანობას კონტრტერორისტული ცენტრის მეშვეობით, რომელიც უშუალოდ უზრუნველყოფს კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარებას.[1123]

ტერორისტული საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ექსტრემალური სიტუაციის დროს იქმნება ექსტრემალური სიტუაციების მართვის ოპერატიული შტაბი, რომელსაც ხელმძღვანელობს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.[1124] სამსახურის უფროსს კონტრტერორისტული ოპერაციის დაწყების მომენტიდან ემორჩილება კონტრტერორისტული ოპერაციის მონაწილე ყველა პირი.[1125]

სხვა საკითხებთან ერთად, შტაბი უფლებამოსილია, რომ კონტრტერორისტული ოპერაციის დაგეგმვისას უზრუნველყოს შემდგომში მოსალოდნელი ტერორისტული

1120 27 ივნისი, 2007 წელი.

1121 კანონის მე-3 მუხლის „გ“, „დ“, „ვ“ და „ზ“ პუნქტები.

1122 კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

1123 კანონის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტი; ასევე იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება N254 „ქვეყანაში კონტრტერორისტული საქმიანობის ორგანიზებისა და ტერორიზმთან ბრძოლის სუბიექტების საქმიანობის კოორდინაციის წესის დამტკიცების შესახებ“, 26 მარტი, 2014 წელი.

1124 კანონის მე-7 მუხლის 1-ელი პუნქტი.

1125 კანონის მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტი.

აქტის, მისგან გამოწვეული ზიანის თავიდან აცილებისა და სხვა თანმდევი საფრთხეების პრევენცია, აღკვეთა და ფიზიკური პირების უსაფრთხოება.[1126] კონტრტერორისტული ოპერაციის წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, შტაბი ორგანიზებას უწევს კონტრტერორისტულ ოპერაციაში მონაწილეობისათვის საჭირო ძალების, ასევე სპეციალური საშუალებებისა და ტექნიკის გამოყოფას, მომზადებასა და გამოყენებას. [1127]

რაც შეეხება სპეცოპერაციის ისე დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ თავიდან იყოს აცილებული შემთხვევითი პირების გარდაცვალების საფრთხე, კანონი ითვალისწინებს განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის ორი ზონის შექმნას – უსაფრთხოების ზონა და კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ზონა. კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ზონაში, სხვა ღონისძიებებთან ერთად, დროებით იზღუდება ან იკრძალება ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა.[1128] ასევე, კანონი ითვალისწინებს კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ზონაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რეპორტიორთა ყოფნის შეზღუდვას.[1129] ასეთი ღონისძიებების გატარება მიმართულია იმისაკენ, რომ თავიდან იქნეს აცილებულ შემთხვევითი ან სხვა პირების (ჟურნალისტები) სიცოცხლის მოსპობა.

კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი ღონისძიება, რომელიც მიმართულია კონტრტერორისტული ოპერაციის დროს ძალის გამოყენების საფრთხის შემცირებისაკენ, არის ტერორისტებთან მოლაპარაკების წარმოება. კერძოდ, კანონის მიხედვით, კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარებისას ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის, აგრეთვე ტერორისტული აქტის ძალისმიერი მეთოდების გამოყენების გარეშე აღკვეთის მიზნით ტერორისტებთან წარმოებს მოლაპარაკება. ტერორისტებთან მოლაპარაკების წარმოებისათვის კონტრტერორისტული ოპერაციის ხელმძღვანელის მიერ დაიშვებიან მხოლოდ საამისოდ სპეციალურად უფლებამოსილი პირები.[1130]

რაც შეეხება სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ სპეციალური ოპერაციის დაგეგმვისა და განხორციელების დროს გამოიჩინოს წინდახედულება ოპერაციის საშუალებებისა და მეთოდების შერჩევისას, კანონი ადგენს, რომ ტერორისტული აქტის აღკვეთის მიზნით აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები გამოყოფენ კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარებისთვის აუცილებელ შეიარაღებას, სპეციალურ, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობისა და სხვა მატერიალურ საშუალებებს.[1131]

რაც შეეხება სათანადო სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფას იმ პირებისათვის, ვისაც ეს სჭირდება, კანონი ასევე ითვალისწინებს სპეციალური ოპერაციის უზრუნველყოფას სათანადო სამედიცინო მოწყობილობებითა და მედიკამენტებით.[1132]

1126 საქართველოს მთავრობის დადგენილება N662 „ექსტრემალური სიტუაციების მართვის ოპერატიული შტაბის საქმიანობის ორგანიზებისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“, 5 დეკემბერი, 2014 წელი, დადგენილების მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

1127 საქართველოს მთავრობის დადგენილება N662 „ექსტრემალური სიტუაციების მართვის ოპერატიული შტაბის საქმიანობის ორგანიზებისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“, 5 დეკემბერი, 2014 წელი, დადგენილების მე-2 მუხლის „დ“ პუნქტი.

1128 კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

1129 კანონის მე-13 მუხლი.

1130 კანონის მე-12 მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტები.

1131 მე-8 მუხლის 1-ელი პუნქტი.

1132 მე-6 მუხლი.

კონტრტერორისტული ოპერაციის დროს სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად იქმნება სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების ჯგუფი.[1133]

რაც შეეხება ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ სტანდარტს, რომ სახელმწიფომ გამოიყენოს თანაზომიერი ძალა, თუ მოწინააღმდეგე მხარე საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფოს წარმომადგენლების ან სხვა პირის (მაგ., მძევლის) სიცოცხლეს, კანონი განსაზღვრავს კონტრტერორისტული ოპერაციის დროს ძალის გამოყენების წესს, რომლის მიხედვით, კონტრტერორისტული ოპერაციის მონაწილე პირს უფლება აქვს, გამოიყენოს სპეციალური საშუალებები ან/და ფიზიკური იძულება პირადი და მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, დანაშაულის აღსაკვეთად და დამნაშავის დასაკავებლად, თუ მათი გამოუყენებლობა ვერ უზრუნველყოფს კონტრტერორისტული ოპერაციის მონაწილე პირის მიერ კანონით დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.[1134] ეს დებულება ასახავს თანაზომიერების პრინციპს, რომლის მიხედვით, კონტრტერორისტული ოპერაციის მონაწილეს (სახელმწიფოს წარმომადგენელს) უფლება აქვს, გამოიყენოს სპეციალური საშუალებები ან/და ფიზიკური ძალა მხოლოდ მაშინ, თუ მათი გამოუყენებლობა ვერ უზრუნველყოფს მისი მოვალეობის შესრულებას. შესაბამისად, კანონი განსაზღვრავს, რომ პირადად და მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად ოპერაციის მონაწილეს შეუძლია, გამოიყენოს სპეციალური საშუალებები ან/და ფიზიკური ძალა, თუ მათი გამოუყენებლობის გარეშე ის ვერ უზრუნველყოფს იმავე მიზნების მიღწევას.

კანონი ასევე ითვალისწინებს, რომ იარაღის, სპეციალური საშუალებების გამოყენებისა და ფიზიკური იძულების ინტენსივობა განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის, ტერორისტული ხასიათის დანაშაულისა და ტერორისტის ინდივიდუალური თავისებურებათა გათვალისწინებით.[1135]

ეს დებულება ასევე ასახავს თანაზომიერების პრინციპს და ადგენს, რომ ოპერაციის ძალის, კერძოდ იარაღის, სპეციალური საშუალებების გამოყენებისა და ფიზიკური იძულების ინტენსივობა იქნება დამოკიდებული ისეთ გარემოებებზე, როგორებიცაა: კონკრეტული სიტუაცია, ტერორისტული ხასიათის დანაშაული და ტერორისტის ინდივიდუალური თავისებურებები. აქედან გამომდინარე, კანონი განსაზღვრავს, რომ კონტრტერორისტული ოპერაციის განხორციელების დროს არ იქნება გამოყენებული იმაზე მეტი ძალა, ვიდრე ეს აუცილებელია.

რაც შეეხება პასუხისმგებლობის დაკისრებას კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარებისათვის, კანონი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ არ ითვალისწინებს არც იმ პირებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, რომლებიც უშუალოდ ატარებდნენ ოპერაციას და არც იმ პირების პასუხისმგებლობას, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ კონტრტერორისტული ოპერაციის სათანადო დაგეგმვა, ჩატარება და მასზე ზედამხედველობა.

საბოლოოდ, კონტრტერორისტული ოპერაციის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოში კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების დროს ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესი შეესაბამება ევროპული კონვენციიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებებს. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონი ტერორიზ-

---

1133 საქართველოს მთავრობის დადგენილება N662 „ექსტრემალური სიტუაციების მართვის ოპერატიული შტაბის საქმიანობის ორგანიზებისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“, 5 დეკემბერი, 2014 წელი, დადგენილების მე-5 მუხლის „ო“ პუნქტი.

1134 კანონის მე-11 მუხლი.

1135 კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი.

მის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დაკისრებას პირის სიცოცხლის მოსპობისათვის კონტრტერორისტული ოპერაციის არასათანადო დაგეგმვის, ჩატარების ან მასზე ზედამხედველობის გამო.

მართალია, საქართველოში მოქმედებს საკმაოდ დეტალური საკანონმდებლო ბაზა, რომელიც აწესრიგებს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას, მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა მიიღონ უწყებრივი ინსტრუქცია ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ. ცხადია, რომ ამ ინსტრუქციას საფუძვლად დაედება საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული წესები ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ, თუმცა ამ ინსტრუქციებში უნდა განისაზღვროს ის საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზაში, მათ შორის: სპეციალური ოპერაციის ტაქტიკა, ოპერაციის წარმოების დროს მიღებული გადაწყვეტილებების აღნუსხვა და სხვ.

ბ) პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა დაიცვან სიცოცხლის უფლება. ევროპული სტანდარტებიდან გამომდინარე, იმის შესაფასებლად, უზრუნველყვეს თუ არა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა სიცოცხლის უფლების ეფექტიანი დაცვა, უნდა დაისვას შემდეგი კითხვები:

ა) გამოიყენა თუ არა სახელმწიფოს წარმომადგენელმა იმაზე მეტი ძალა, ვიდრე ეს იყო აბსოლუტურად აუცილებელი შექმნილ სიტუაციაში?

ბ) კარგად დაგეგმა თუ არა სახელმწიფომ სპეციალური ოპერაცია, მოახდინა თუ არა ზედამხედველობა მის ჩატარებაზე და უზრუნველყო თუ არა ოპერაციაში ჩართული შესაბამისი სამსახურების ცენტრალიზებული მართვა და კოორდინაცია?

გ) დაგეგმა და ჩაატარა თუ არა სახელმწიფომ სპეციალური ოპერაცია ისე, რომ მინიმუმამდე შეემცირებინა სასიკვდილო ძალის გამოყენება? ისე დაგეგმა და ჩაატარა თუ არა სახელმწიფომ სპეციალური ოპერაცია, რომ თავიდან აეცილებინა შემთხვევითი პირების გარდაცვალების საფრთხე?

დ) სპეციალური ოპერაციის ჩატარებისას მიმართა თუ არა სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, არაძალადობრივ ხერხებს, კერძოდ, შეეცადა თუ არა სახელმწიფო ინციდენტის დასრულებას დარწმუნებითა და მოლაპარაკებით?

ე) თუ არაძალადობრივი ხერხებით ვერ მოხერხდა შექმნილი სიტუაციის განმუხტვა, გამოიყენა თუ არა სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, ნაკლებად სასიკვდილო საშუალებები (მაგ.: ხელკეტი, წყალსატყორცნი, რეზინის ტყვიები, ცრემლსადენი გაზი)? ოპერაციაში უშუალოდ ჩართულ სახელმწიფოს წარმომადგენლებს ჰქონდათ თუ არა მკაფიო ინსტრუქცია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების გარემოებებისა და ინტენსივობის შესახებ? გამოიყენა თუ არა სახელმწიფოს წარმომადგენელმა სასიკვდილო ძალა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე მხარემ საფრთხე შეუქმნა მას ან სხვა პირის (მაგ., მძევლის) სიცოცხლეს?

ვ) ისეთი სასიკვდილო ძალის გამოყენებას, როგორიცაა ცეცხლსასროლი იარაღი, წინ უძღოდა თუ არა ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლა?

ზ) პირის დასაკავებლად ან დაკავებული პირის მიმალვის აღსაკვეთად სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა გამოიყენეს თუ არა სასიკვდილო ძალა, თუ ცნობილი იყო, რომ დასაკავებელი პირი არ ქმნიდა საფრთხეს სიცოცხლისათვის და მას არ ჰქონდა ჩადენილი ძალადობრივი დანაშაული, ან არ იყო ეჭვმიტანილი ძალადობრივ დანაშაულში?

თ) დაკავების ოპერაციის ჩატარებისას სახელმწიფომ გაითვალისწინა თუ არა ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია, მათ შორის, როგორც აბსოლუტური მინიმუმი, დასაკავებელი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და ამ პირისაგან მომდინარე საფრთხის ხარისხი?

ი) სახელმწიფოს წარმომადგენლებმა, რომლებიც იყენებენ ძალას, გაიარეს თუ არა სათანადო მომზადება აუცილებელი ძალის გამოყენების წესის, სასიკვდილო ძალის გამოყენების მინიმუმამდე შემცირებისა და იმ გარემოებების შესახებ, რომლებშიც მათ შეუძლიათ, გამოიყენონ ნაკლებად სასიკვდილო და სასიკვდილო ძალა?

კ) სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, რომლებიც ატარებენ სპეციალურ ოპერაციას, იყვნენ თუ არა სათანადოდ აღჭურვილნი, მათ შორის, ნაკლებად სასიკვდილო საშუალებებით (მაგ.: ხელკეტი, წყალსატყორცნი, რეზინის ტყვიები, ცრემლსადენი გაზი, ავტომობილის შეჩერების აღჭურვილობა)? სპეციალური ოპერაციის ჩატარებისას იყო თუ არა უზრუნველყოფილი სამედიცინო დახმარება?

ლ) სპეციალური ოპერაციის ჩატარებისას არათანაზომიერი ძალის გამოყენებისათვის დაეკისრა თუ არა პასუხისმგებლობა არა მხოლოდ იმ პირებს, ვინც უშუალოდ ატარებდა ოპერაციას, არამედ ასევე იმ პირებს, ვინც მოახდინა ოპერაციის არასათანადო დაგეგმვა და ზედამხედველობა მის ჩატარებაზე?

საქართველოს პრაქტიკის განსახილველად შეიძლება ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მომხდარი შემთხვევების მოშველიება, თუმცა ინფორმაცია ასეთი ფაქტების შესახებ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, უკიდურესად მწირია, რაც ართულებს კონკრეტული შემთხვევების სრულყოფილ შეფასებას. ერთ-ერთი გახმაურებული შემთხვევა ეხებოდა ანტიტერორისტულ ოპერაციას, რომელიც თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარდა 2017 წლის ნოემბერში. გავრცელებული ინფორმაციით, ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში მყოფი შეიარაღებული ჯგუფის ასაყვანად ჩატარდა ანტიტერორისტული ოპერაცია. ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შედეგად გარდაიცვალა ტერორისტული ჯგუფის ლიდერი აჰმედ ჩატაევი (ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი საველე ლიდერი), რომელმაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) ინფორმაციით, თავი აიფეთქა. სპეციალური ოპერაციის შედეგად გარდაიცვალა კიდევ ორი ტერორისტი, ერთი კი დაკავებულია. სპეციალურ ოპერაციას შეეწირა ერთი სპეცრაზმელის სიცოცხლე.[1136]

გავრცელებული ინფორმაციით, ოპერაციის დაწყებამდე განხორციელდა კორპუსის მცხოვრებთა ევაკუაცია.[1137] მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი არ ყოფილა. ტერორისტებს არც მძევლები აუყვანიათ.[1138] არსებული ინფორმაციით, სპეცოპერაციის საწყის ეტაპზე, რამდენიმე საათის განმავლობაში, სუს-ის კონტრტერორისტული დეპარტამენტი ბინაში გამაგრებულ პირებთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს დანებების თაობაზე, თუმცა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა სამართალდამცავების შეთავაზებაზე, რომ დანებებულიყვნენ, უარი განაცხადეს, გახსნეს ცეცხლი ავტომატური ცეცხლსასროლი

1136 „აჰმედ ჩატაევის სიკვდილი და უპასუხო შეკითხვები“, 1 დეკემბერი, 2017 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/a/ahmed-chataevis-sikvdili-da-upasukho-shekitkhvebi/28890359.html].

1137 „ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე სპეცოპერაცია დასრულდა“, 22 ნოემბერი, 2017 წ., იხ.: [https://tv9news.ge/ka/akhali-ambebi/samarthali/article/8969-berigabrielsalosisquchazespecoperaciadasrulda].

1138 „სუს: გაბრიელ სალოსის ქუჩაზე სპეცოპერაციისას სპეციალურ დანაყოფებს ცეცხლი გაუხსნეს“, 22 ნოემბერი, 2017 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/news/235185/].

იარაღიდან და ხელყუმბარები ისროლეს.[1139] სპეციალურ ოპერაციასთან დაკავშირებით ჩატარებულმა გამოძიებამ დაადგინა, რომ აჰმედ ჩატაევი და მისი თანამზრახველები საქართველოსა და თურქეთში დიპლომატიურ მისიებზე თავდასხმას გეგმავდნენ.[1140]

მართალია, სპეციალური ოპერაციის გარშემო გავრცელებული ფაქტობრივი ინფორმაციის სიმწირეა, რაც შეუძლებელს ხდის მის სრულყოფილ შეფასებას, რამდენიმე მოსაზრება მაინც შეიძლება გამოითქვას ამ ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების დაცვის შესახებ და დაისვას კითხვები, რომლებსაც ევროპული სასამართლო სვამს ხოლმე მსგავს სიტუაციაში.

ამ კითხვებს შორისაა: შეიძლებოდა თუ არა ამ პირების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის თავიდან აცილება? თუ ცნობილი იყო ამ პირების ვინაობისა და მათგან მომდინარე საფრთხის შესახებ, შეიძლებოდა თუ არა ამ პირების დაკავება მანამდე, ისეთ სიტუაციაში, რომელშიც არ იქნებოდა საჭირო მათი სიცოცხლის მოსპობა? კარგად დაგეგმა თუ არა სახელმწიფომ ანტიტერორისტული ოპერაცია, რათა მინიმუმამდე შეემცირებინა სასიკვდილო ძალის გამოყენება? რა ღონისძიებები გაატარა სახელმწიფომ სპეციალური ოპერაციის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპებზე, რათა თავიდან აეცილებინა შემთხვევითი პირების გარდაცვალების საფრთხე? სპეციალური ოპერაციის ჩატარებისას მიმართა თუ არა სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, არაძალადობრივ ხერხებს, კერძოდ, შეეცადა თუ არა სახელმწიფო ინციდენტის დასრულებას დარწმუნებითა და მოლაპარაკებით? ოპერაციაში უშუალოდ ჩართულ სახელმწიფოს წარმომადგენლებს ჰქონდათ თუ არა მკაფიო ინსტრუქცია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების გარემოებებისა და ინტენსივობის შესახებ? გამოიყენა თუ არა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა სასიკვდილო ძალა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე მხარემ საფრთხე შეუქმნა მათ ან სხვა პირის სიცოცხლეს? სახელმწიფოს წარმომადგენლებმა, რომლებიც ატარებდნენ ოპერაციას, გაიარეს თუ არა სათანადო მომზადება აუცილებელი ძალის გამოყენების წესის, სასიკვდილო ძალის გამოყენების მინიმუმამდე შემცირებისა და იმ გარემოებების შესახებ, რომლებშიც მათ შეუძლიათ გამოიყენონ ნაკლებად სასიკვდილო და სასიკვდილო ძალა? ოპერაციის ჩატარებისას სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ გამოყენებული ძალა იყო თუ არა აბსოლუტურად აუცილებელი? არათანაზომიერი ძალის (ასეთის შემთხვევაში) გამოყენებისათვის დაეკისრა თუ არა პასუხისმგებლობა იმ პირებს, ვინც უშუალოდ ატარებდა ოპერაციას და ასევე იმ პირებს, ვინც ახდენდა ოპერაციის მომზადებას, ჩატარებასა და მასზე ზედამხედველობას?

ამ მრავალი კითხვიდან, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას ანტიტერორისტული ოპერაციის მიმართ ადამიანის უფლების თვალსაზრისით, მხოლოდ რამდენიმეზე შეიძლება მოიძებნოს პასუხი მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციიდან. კერძოდ, კითხვასთან დაკავშირებით, აიცილა თუ არა სახელმწიფომ თავიდან სპეციალური ოპერაციის ისე დაგეგმვა და ჩატარება, რომელშიც იყო შემთხვევითი პირების გარდაცვალების საფრთხე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოპერაციის დაწყებამდე სახელმწიფომ მოახდინა მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია. ასევე, კითხვასთან დაკავშირებით, სპეციალური ოპერაციის ჩატარებისას მიმართა თუ არა სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, არაძალადობრივ ხერხებს, კერძოდ, შეეცადა თუ არა სახელმწიფო ინციდენტის დასრულებას

1139 „აჰმედ ჩატაევის სიკვდილი და უპასუხო შეკითხვები“, 1 დეკემბერი, 2017 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/a/ahmed-chataevis-sikvdili-da-upasukho-shekitkhvebi/28890359.html].

1140 „ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩატაევი ტერორისტული ქსელის შექმნას გეგმავდა“, 26 დეკემბერი, 2017 წ., იხ.: [https://for.ge/view/50253/yovelTvis-vambobdi-rom-Cataevi-terori stuli-qselis-Seqmnas-gegmavda.html].

დარწმუნებითა და მოლაპარაკებით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ სუს-ის კონტრტერორისტული დეპარტამენტი აწარმოებდა მოლაპარაკებებს. მიუხედავად ამისა, არ არის ცნობილი დეტალები და არც ის, ტერორისტებთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ამისათვის სპეციალურად მომზადებული პირები თუ არა. რაც შეეხება კითხვას, გამოიყენა თუ არა სახელმწიფოს წარმომადგენელმა სასიკვდილო ძალა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე მხარემ საფრთხე შეუქმნა მას ან სხვა პირის სიცოცხლეს, ამაზე გავრცელდა მოკლე ინფორმაცია, რომ ტერორისტებმა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს გაუხსნეს ცეცხლი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან და ხელყუმბარები ისროლეს, რასაც, სავარაუდოდ, მოჰყვა სამართალდამცავების პასუხი.

ამ მოკლე მიმოხილვიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მრავალი კითხვიდან, რომლებიც ამ შემთხვევაზე შეიძლება დაისვას ადამიანის უფლებათა კუთხით, მხოლოდ მცირე ნაწილზე არსებობს პასუხები და ისინიც მეტისმეტად ზოგადი და არაინფორმაციულია. ყველა კითხვაზე პასუხი უნდა გაეცა გამოძიებას, თუმცა ეს ინფორმაცია არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ იარაღის გამოყენებას ეხება წყნეთში 2022 წლის აპრილში მომხდარი შემთხვევა, რომლის შედეგად პოლიციის თანამშრომელმა ახალგაზრდა მამაკაცს გაუფრთხილებლობით მოუსპო სიცოცხლე. გავრცელებული ინფორმაციით, პოლიციის პატრული გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე ნარკოტიკული საშუალების შესაძლო უკანონო შეძენა-შენახვასთან დაკავშირებით. მიწიდან გაურკვეველი ნივთის ამოღებისთანავე მამაკაცთან სწრაფად მივიდა პოლიციის დეტექტივი, რომელსაც ხელში ეჭირა ცეცხლსასროლი იარაღი და განუცხადა, რომ იყო დაკავებული. მამაკაცმა გადაყლაპა მიწიდან ამოღებული ნივთი და გაქცევა დააპირა, რის გამოც პოლიციელმა სცადა მისი შებოჭვა, რა დროსაც საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღიდან გაუფრთხილებლობით განახორციელა გასროლა. გასროლის შედეგად გარდაიცვალა ახალგაზრდა მამაკაცი.[1141] პოლიციელს წარუდგინეს ბრალდება სსკ-ს 116-ე მუხლის პირველი ნაწილით (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით) და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, იარაღის გამოყენებით) წარედგინა.

ვინაიდან პოლიციის შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს, რა შემთხვევაში შეუძლია სამართალდამცავს ცეცხლსასროლი იარაღის საბრძოლო მოქმედებაში მოყვანა, ბრალდების მხარის პოზიციით, პოლიციის თანამშრომელს არ ჰქონდა უფლება, ცეცხლსასროლი იარაღით ხელში დაეწყო პირის შებოჭვა. „პოლიციის შესახებ კანონი“ არ ითვალისწინებს ასეთ სიტუაციაში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას. შესაბამისად, ბრალდებულმა დაარღვია კანონი პოლიციის შესახებ, რითაც სამსახურებრივ უფლებამოსილებას გადაამეტა.[1142]

1141 „სპეციალური საგამოძიებო სამსახური განმარტავს, რა ვითარებაში გაუვარდა წყნეთში პოლიციელს იარაღი, რასაც ახალგაზრდა მამაკაცის გარდაცვალება მოჰყვა“, 19 აპრილი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/706819-specialuri-sagamoziebo-samsaxuri-ganmartavs-ra-vitarebashi-gauvarda-cqnetshi-policiels-iaragi-rasac-axalgazrda-mamakacis-gardacvaleba-mohqva].

1142 „ყოფილი დეტექტივის, ერიკ წურწუმიას საქმის პროკურორის განცხადებით,სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ თუ არა, ეს მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც განაჩენი ჩაბარდებათ“, 25 ნოემბერი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/735820-qopili-detektivis-erik-curcumias-sakmis-prokuroris-gancxadebitsasamartlos-gadacqvetilebas-gaasachivreben-tu-ara-es-mas-shemdeg-gaxdeba-cnobili-rac-ganacheni-chabardebat].

თბილისის საქალაქო სასამართლომ პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები სრულად გაიზიარა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ფაქტზე, ბრალდებული, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი გამომძიებელი დამნაშავედ ცნო და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ამ საქმეზე სასამართლომ სწორად შეაფასა გარემოებები და საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებები. ვინაიდან კანონი პოლიციის შესახებ ამომწურავად ადგენს იმ გარემოებებს, რომლებშიც პოლიციელს აქვს იარაღის გამოყენების უფლება და რომელშიც ეს შემთხვევა არ შედიოდა, სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციელმა გამოიყენა იმაზე მეტი ძალა, ვიდრე ეს იყო აბსოლუტურად აუცილებელი შექმნილ სიტუაციაში.

ერთ-ერთი შემთხვევა მოხდა თბილისში 2024 წლის ივლისში. გავრცელებული ინფორმაციით, რ.დ. მისი მართვის ქვეშ მყოფი მოტოციკლით გადაჭარბებული სიჩქარით გადაადგილდებოდა, რის გამოც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მოსთხოვეს გაჩერება. რ.დ არ დაემორჩილა პატრულის ბრძანებას და განაგრძო მოძრაობა, რა დროსაც შეეჯახა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით მოძრავ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლის ავტომობილს. გავრცელებული ინფორმაციით, პოლიციის ავტომობილმა მოტოციკლისტს გზა გადაუღობა, მისი დაკავების მიზნით. მოტოციკლის მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა.[1143]

საქართველოს პროკურატურამ ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევის ფაქტზე, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი დააკავა. როგორც საგამომძიებო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია მითითებული, დაკავებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით წარედგინება, რაც სასჯელის სახედ და ზომად 4-იდან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.[1144]

რამდენიმე წლის წინ მოხდა მსგავსი შემთხვევა, რომელსაც 21 წლის მამაკაცი ემსხვერპლა. 2017 წლის მაისში ბექა ხახუბია თბილისიდან დასავლეთ საქართველოში ავტომობილით მიემგზავრებოდა, რა დროსაც მას გორთან დაედევნა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. ეკიპაჟმა მოსთხოვა გაჩერება, თუმცა მძღოლი არ დაემორჩილა და მაღალი სიჩქარით განაგრძო სვლა. გარკვეული დროის შემდეგ ბექა ხახუბია მიხვდა, რომ პატრული არ აპირებდა დევნის შეწყვეტას და ხაშურის ცენტრში მოაბრუნა მანქანა და გეზი ისევ თბილისისაკენ აიღო. ამასობაში, გორის საპატრულოს თანამშრომლებმა გორის გვირაბის გასასვლელში გაჩერებული სატვირთო ტრაილერის მძღოლს უკანონოდ ჩამოართვეს მისი კუთვნილი სატვირთო მანქანა და მოახდინეს გვირაბის გასასვლელის ჩახერგვა. დიდი სისწრაფით მოძრავმა ბექა ხახუბიამ ვერ შეამჩნია ტრაილერი და მაქსიმალური სიჩქარით შეეჯახა მას. ბექა ხახუბია ადგილზე გარდაიცვალა. გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა) მე-6 ნაწილის საფუძ-

---

1143 „საპატრულო ეკიპაჟთან შეჯახების შედეგად მოტოციკლის მძღოლის დაღუპვის საქმეზე პროკურატურამ საპატრულო პოლიციის თანამშრომელი დააკავა“, 19 ივლისი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/806800-sapatrulo-ekipazhtan-shejaxebis-shedegad-motociklis-mzgolis-dagupvis-sakmeze-prokuraturam-sapatrulo-policiis-tanamshromeli-daakava].

1144 იქვე.

ველზე. ამ საქმეზე გორის რაიონულმა სასამართლომ პოლიციის ორ თანამშრომელს შეუფარდა პატიმრობა.[1145]

თუ ეს ორი შემთხვევა ევროპული სასამართლოს სტანდარტებით შეფასდება, უნდა აღინიშნოს შემდეგი: პოლიციას მაშინ ექნებოდა უფლება, გამოეყენებინა პროპორციული ძალა, თუ მოტოციკლეტის ან ავტომობილის მძღოლს ჰქონდა ჩადენილი ძალადობრივი დანაშაული, ან თუ ისინი იყვნენ საშიში, ან თუ მათი დაუკავებლობა გამოიწვევდა გამოუსწორებელ შედეგებს. არაფერი მიუთითებდა, რომ მოტოციკლეტის ან ავტომობილის მძღოლი იყო შეიარაღებული და არც მათი ქცევა მიუთითებდა, რომ ისინი ქმნიდნენ საფრთხეს.

ვინაიდან საპატრულო ეკიპაჟს არ ჰქონდა რაიმე ინფორმაცია მათ დანაშაულებრივ საქმიანობასთან კავშირის შესახებ, ან რომ ისინი შეიძლება ყოფილიყვნენ შეიარაღებულნი ან საშიშნი, არ არსებობდა საფუძველი, რომელიც გაამართლებდა პოლიციელთა რწმენას, რომ მოტოციკლეტის ან ავტომობილის მძღოლი იყო საშიში. პოლიციას, იმ მოტოციკლეტის და ავტომობილის სარეგისტრაციო ნომრით, რომელიც არ იყო გამოცხადებული ძებნაში, შეეძლო, დაედგინა მათი მფლობელების ვინაობა და მათი მისამართები.[1146] აქედან გამომდინარე, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გამოიყენეს ძალა, რომელიც არ იყო აბსოლუტურად აუცილებელი მოცემულ გარემოებებში.

საქართველოში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ძალის ან იარაღის გამოყენების პრაქტიკას ნათელს ჰფენს ევროპული სასამართლოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება საქართველოს. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ევროპული სასამართლოს სამი გადაწყვეტილება.

ერთ-ერთი ასეთი საქმეა *ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ (Vazagashvili and Shanava v. Georgia)*.[1147] ეს საქმე ეხებოდა სპეციალური ოპერაციის ჩატარებას, რომლის შედეგად ორი ახალგაზრდა გარდაიცვალა. კერძოდ, 2006 წლის მაისში, დილით, მოსარჩელეების შვილი ზ.ვ., იმ დროისათვის 22 წლის, და მისი მეგობარი, ა.ხ., 25 წლის, მოკლეს პოლიციელებმა, როდესაც ისინი მოძრაობდნენ ზ.ვ.-ს ავტომანქანით თბილისში. ოპერაციაში მონაწილეობდა ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული, სულ მცირე, პოლიციის 50 ოფიცერი. სამოცდაათზე მეტი ტყვია იქნა ნასროლი ზ.ვ.-ს ავტომანქანის მიმართულებით, რომელთაგან სამიზნეს მოხვდა დაახლოებით ორმოცი. ექსპერტებმა მოგვიანებით ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად, დაზიანების სიმძიმის გამო, ვერ შეძლეს, დაედგინათ ტყვიების ზუსტი რაოდენობა, რამაც შეაღწია მოსარჩელეთა შვილის და ა.ხ.-ს ტანსა და თავში. ავტომანქანის მესამე მგზავრმა, ბ.ფ.-მ, რომელიც 22 წლის იყო, მძიმე დაზიანებები მიიღო, მაგრამ გადარჩა.

იმავე დღეს აღიძრა საქმე მოსარჩელეთა გარდაცვლილი შვილის და ზ.ვ.-ს ავტომანქანის სხვა მგზავრების მიმართ ყაჩაღობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ფლობისა და ტარების გამო. მოგვიანებით შსს-ს პრესბრიფინგზე განაცხადეს, რომ მოსარჩელის შვილმა და სხვა ორმა მგზავრმა დააყაჩაღა ლომბარდი და შემთხვევის მომენტში ისინი მიემართებოდნენ ბინის დასაყაჩაღებლად. მოგვიანებით შსს-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტომანქანის მგზავრებმა პირველებმა გაუხ-

---

1145 „დეპუტატ ირაკლი ხახუბიას შვილის დაღუპვის საქმეზე ორ პოლიციელს მიესაჯა პატიმრობა“, 27 მარტი, 2019 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/a/29844998.html].

1146 *ალიკაი და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Alikaj and Others v. Italy),* 29 მარტი, 2011 წელი; *კიტანოვსკი ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ (Kitanovski v. the Former Yugoslav Republic of Macedonia),* 22 იანვარი, 2015 წელი.

1147 18 ივნისი, 2019 წელი.

სნეს ცეცხლი პოლიციას და პოლიცია ვალდებული იყო, სროლით ეპასუხა. საქმეზე გამოძიება განახლდა 2012 წელს და გაირკვა, რომ მანქანაში მსხდომ არცერთ პირს არ ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღი და, შესაბამისად, ისინი ვერ გაუხსნიდნენ ცეცხლს პოლიციას.

გარდა იმისა, რომ ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე დაადგინა საპროცესო დარღვევა, არსებით ნაწილთან მიმართებით აღნიშნა, რომ, პოლიციის 2006 წლის 2 მაისის ოპერაციის ყველა გარემოების გათვალისწინებით, ვ.ზ. და მისი მეგობარი მოკლულ იქნა პოლიციის ძალის გამოყენების შედეგად, რომელიც არც თანაზომიერი იყო და არც მკაცრად აუცილებელი. აქედან გამომდინარე, დადგინდა, რომ სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლი, როგორც არსებით, ისე საპროცესო ნაწილებში.[1148]

მნიშვნელოვანი საქმეა *კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Kukhalashvili and Others v. Georgia)*.[1149] ეს საქმე ეხებოდა 2006 წელს თბილისის N5 საპყრობილეში ციხის ბუნტის ჩასახშობად ჩატარებულ სპეცოპერაციას, რომლის დროსაც სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრთა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან განხორციელებული სროლის შედეგად გარდაიცვალა შვიდი პატიმარი, მათ შორის, 23 წლის ზურაბ კუხალაშვილი და 29 წლის არსენ ბუხრაშვილი. გარდა ამისა, დაზიანება მიიღო 22-მა პატიმარმა.

კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ მათი ნათესავების გარდაცვალებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სახელმწიფოს. ისინი ასევე ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფომ არ ჩაატარა ამ შემთხვევის ეფექტიანი გამოძიება.

გარდა იმისა, რომ ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა გამოძიების პროცესში დაშვებული ხარვეზების გამო, მან იმსჯელა პატიმრების სიცოცხლის უფლების დარღვევაზე არსებით ნაწილში. კერძოდ, სასამართლომ იმსჯელა, იყო თუ არა სასიკვდილო ძალის გამოყენება ლეგიტიმური. სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების პირველი არგუმენტის მიმართ სასამართლომ აღნიშნა, რომ სასიკვდილო ძალის გამოყენება წმინდა სადამსჯელო მიზნებისთვის, მაშინაც კი, თუ ეს მიზნები მიმართული იყო კრიმინალური სამყაროს სავარაუდო წევრების წინააღმდეგ, ვერ იქნება გამართლებული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით.[1150] რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების მეორე მოშველიებულ არგუმენტს, რომ ბარიკადების მიღმა ზოგიერთი ყველაზე აგრესიული პატიმრის მხრიდან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შედეგად არსებობდა რეალური და მყისიერი საფრთხე ციხის თანამშრომლების სიცოცხლისათვის, ის სასამართლომ დამაჯერებლად მიიჩნია. შესაბამისად, სამართალდამცავებს ჰქონდათ სუბიექტურად სათანადო საფუძველი იმისათვის, რომ საჭიროდ ჩაეთვალათ ძალის გამოყენება. პატიმართა ქცევები მიუთითებდა აჯანყების მცდელობაზე. ამის გათვალისწინებით, სასამართლოს აზრით, სახელმწიფოს შეეძლო, გაეტარებინა ღონისძიებები, რომლებიც პოტენციურად მოიცავდა სასიკვდილო ძალის გამოყენებას.[1151]

რაც შეეხება სასიკვდილო ძალის გამოყენების თანაზომიერებას, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ წინასწარ იცოდა ციხეებში დაუმორჩილებლობის გაღვივების შესახებ კრიმინალური ავტორიტეტების გეგმების თაობაზე. მიუხედავად ამისა, სპეცოპერაციის რაზმს, რომელიც მონაწილეობდა ციხის ამბოხების

1148 96-ე-98-ე პუნქტები.

1149 2 აპრილი, 2020 წელი.

1150 151-ე პუნქტი.

1151 152-ე პუნქტი.

ჩახშობაში, არ მიუღია კონკრეტული მითითებები და ბრძანებები ზემდგომი პირებისგან სასიკვდილო ძალის გამოყენების ფორმისა და ინტენსივობის შესახებ, მსხვერპლის გარდაცვალების ალბათობის მინიმუმამდე შესამცირებლად. ციხის საკნების ვიწრო სივრცეში ავტომატური იარაღის გამოყენება აუცილებლად გულისხმობდა სასიკვდილო შედეგების დიდ საფრთხეს. სახელმწიფომ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ სპეცრაზმი ემორჩილებოდა ბრძანებათა ჯაჭვს და მათი მოქმედებები იყო კოორდინირებული და სისტემური. ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის Human Rights Watch-ის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების თანახმად, კომპეტენტურმა ორგანოებმა არც კი იცოდნენ, თუ ვინ იყო პასუხისმგებელი ამ ოპერაციაზე.[1152]

კომპეტენტური ორგანოები ციხეში მომხდარი ინციდენტის ჩახშობის მიზნით არც კი განიხილავდნენ ალტერნატიული, ნაკლებად ძალადობრივი საშუალებების გამოყენებას, მაგალითად, როგორიცაა ცრემლსადენი გაზის ან წყლის ჭავლის გამოყენება. ეს აშკარა შედეგი იყო იმისა, რომ არ არსებობდა ოპერაციის ჩატარების რაიმე სტრატეგიული გეგმა. მეტიც, საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების, Amnesty International-ისა და Human Rights Watch-ის მიხედვით, პატიმართა მიმართულებით ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლას სპეცრაზმი ახდენდა არა მხოლოდ შენობის შიგნიდან, არამედ გარშემო მდებარე შენობების სახურავებზე განთავსებულები იყვნენ მსროლელები, რომლებიც ისროდნენ ბრმა ტყვიებს ციხის საკნების მიმართულებით. ამ ფაქტებზე დაყრდნობით, ციხის ამბოხის წინააღმდეგ მონაწილე სპეცრაზმის მხრიდან სასიკვდილო ძალის გამოყენება იყო განურჩეველი და გადაჭარბებული. გარდა ამისა, Human Rights Watch-ის განცხადებით, არ ყოფილა ბარიკადებს მიღმა მყოფ პატიმრებთან მოლაპარაკებების სერიოზული მცდელობები, მიუხედავად იმისა, რომ პატიმრებმა ამისთვის გამოხატეს მზადყოფნა.[1153]

შესაბამისი საერთაშორისო ანგარიშების მიხედვით, სახელმწიფომ ვერ შეძლო პატიმრებისთვის სათანადო სამედიცინო დახმარების გაწევა ბუნტის ჩახშობის ოპერაციის დასრულების შემდეგ. ვინაიდან საფრთხე განჭვრეტადი იყო, კიდევ უფრო დიდი იყო შესაბამის სახელმწიფო ორგანოთა ვალდებულება, შეემუშავებინათ სათანადო სამედიცინო ევაკუაციის გეგმა. მეტიც, ამ ანგარიშების მიხედვით, მრავალ თავისუფლებააღკვეთილ პირს არასათანადოდ მოეპყრნენ და ესროლეს კიდეც თავიანთ საკნებში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი აღარ წევდნენ წინააღმდეგობას.[1154] ყოველივე ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.

ასევე საყურადღებოა *საქმე შავაძე საქართველოს წინააღმდეგ (Shavadze v. Georgia)*.[1155] ეს საქმე ეხებოდა მოსარჩელის მეუღლის, სამხედრო ოფიცრის, გარდაცვალებას პატიმრობაში ყოფნისას. 2008 წლის აგვისტოში საქართველოსა და რუსეთის სამხედრო ძალებს შორის ხუთდღიან ომთან დაკავშირებით, მოსარჩელის მეუღლე, რ.შ., შინაგან საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების ძალებმა დააკავეს ბათუმში, სადაც დაკავებისას სასტიკად გაუსწორდნენ და დაუძახეს „ქვეყნის მოღალატე“, რის შემდეგაც ავტომობილით წაიყვანეს. მოვლენათა ოფიციალური ვერსიის მიხედვით, სამართალდამცველებმა რ.შ. დააკავეს ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით. გავრცელებული ვერსიით, ბათუმიდან თბილისში გადაყვანის დროს მან გაქცევა სცადა, რა დროსაც სასიკვდილოდ დაშავდა თანმხლები ოფიცრების მიერ.

1152 153-ე პუნქტი.

1153 154-ე პუნქტი.

1154 155-ე პუნქტი.

1155 19 ნოემბერი, 2020 წელი.

მოსარჩელე დავობდა, რომ მისი მეუღლე გარდაიცვალა სასტიკი მოპყრობის გამო და აცხადებდა, რომ მას სხეულზე აშკარა წამების ნიშნები აღენიშნებოდა. მან წარმოადგინა ვიდეო – მეუღლის სხეულის კადრები მრავლობითი დაზიანებით, მათ შორის ღრმა ჭრილობებით და თითების მოტეხილობებით.

გარდა იმისა, რომ ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში, მან იმსჯელა მე-2 მუხლის მოთხოვნების დაცვაზე არსებით ნაწილში. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა: მხარეებს შორის სადავო არ ყოფილა, რომ რ.შ. მოკლეს სახელმწიფოს წარმომადგენლებმა, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, რომლებიც თან ახლდნენ რ.შ.-ს. შესაბამისად, სასამართლოს აზრით, მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მთავრობას, რომ წარმოედგინა დამაკმაყოფილებელი და სარწმუნო ახსნა-განმარტება იმის შესახებ, როგორ განვითარდა მოვლენები. ამ ახსნა-განმარტების წარმოუდგენლობა, სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, გამოიწვევს კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას არსებითი ნაწილში.[1156]

ევროპული სასამართლოს აზრით, მართალია, მოპასუხე სახელმწიფოს ოფიციალური ვერსიაა, რომ სამართალდამცავებმა გამოიყენეს ძალა, პოლიციისაგან რ.შ.-ს უკანონო მიმალვის მცდელობის აღსაკვეთად, სახელმწიფოს არ წარმოუდგენია ამ ვერსიის გამამყარებელი მტკიცებულებები. გარდაცვლილის ოჯახის წევრს ხელი არ მიუწვდებოდა დასკვნაზე ცხედრის გაკვეთის შესახებ. ამასთან, სახელმწიფომ არც სასამართლოს მიაწოდა ეს დასკვნა, მიუხედავად იმისა, რომ ამას საკვანძო მნიშვნელობა ჰქონდა გარდაცვლილისთვის მიყენებული დაზიანებებისა და მისი გარდაცვალების მიზეზის დასადგენად. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ვერ მიიღებს წარმოდგენილ ოფიციალურ ვერსიას სასიკვდილო ძალის გამოყენების გამამართლებელ საფუძვლად. ამასთანავე, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს თვითმხილველების ჩვენებაზე პოლიციის სისასტიკისა და მიყენებული დაზიანების ხარისხის შესახებ, რომლებიც გარდაცვლილის სხეულის ამსახველ ვიდეოჩანაწერზე ნათლად ჩანს. ეს შეუთავსებელია სახელმწიფოს მტკიცებასთან, რომ რ.შ.-ის სიკვდილი მისი მიმალვის აღსაკვეთად საჭირო ძალის გამოყენების შედეგი იყო.[1157] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი როგორც არსებით, ისე საპროცესო ნაწილში.[1158]

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც პრაქტიკაში პრობლემური აღმოჩნდა, ეხება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ პირების დაკავებისას არათანაზომიერი ძალის გამოყენებას. ამ საკითხზე ყურადღება გაამახვილა საქართველოს სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, რომელმაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მისცა რეკომენდაცია დაკავების სტანდარტების გაუმჯობესების შესახებ. სამსახურის უფროსის განცხადებით: „არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში ფიგურირებს სულ 261 სავარაუდო მსხვერპლი, რომელ-

---

1156 38-ე პუნქტი.

1157 39-ე პუნქტი.

1158 ასევე იხ. *საქმე გამცემლიძე საქართველოს წინააღმდეგ (Gamtsemlidze v. Georgia),* რომელიც ეხებოდა 2008 წლის 8 მაისს საპატრულო პოლიციის თანამშრომლის მიერ ცეცხლსასროლი იარაღით გ. გამცემლიძის სიცოცხლის მოსპობის ფაქტს. საქართველოს მიერ წარდგენილი პოზიციის (ცალმხრივი დეკლარაციის) საფუძველზე, ევროპულმა სასამართლომ აღიარა კონვენციის დარღვევა არსებით და საპროცესო ნაწილში პოლიციის მიერ ძალის გადამეტების ფაქტზე, რის გამოც მან სარჩელი ამორიცხა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან. 1 აპრილი, 2014 წ.

თა 52% დაკავებული იყო სამართალდამცავების მიერ და მიუთითებდნენ ფიზიკური ძალის არაპროპორციულად და გადამეტებით გამოყენების შემთხვევებზე".[1159] აქედან გამომდინარე, სპეციალური საგამოძიებო სამსახური თვლის, რომ „მიზანშეწონილია, შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტის/სასწავლო მოდულისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, მაღალი სტანდარტით დაკავების ღონისძიების განსახორციელებლად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეტაპობრივად და კასკადურად დაიწყოს იმ თანამშრომელთა გადამზადება, ვისაც უშუალოდ უწევთ პირის დაკავება ან/და გადაყვანა."[1160]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდო დანაშაულის ჩამდენი პირების დაკავებისას თანაზომიერი ძალის გამოყენებასა და მათი სიცოცხლის მოსპობის თავიდან აცილებას ხელს შეუწყობს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ უწყებრივი ინსტრუქციის მიღება პირის დაკავებისას ცეცხლსასროლი იარაღისა და ძალის გამოყენების წესების შესახებ, რომელსაც საფუძვლად დაედება ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და სახელმწიფოთა საუკეთესო პრაქტიკა. ასეთი ინსტრუქციის შემუშავებას უნდა მოჰყვეს პოლიციის თანამშრომელთა გადამზადება ამ წესების სწორი და ეფექტიანი გამოყენების შესახებ.

5.3. სიცოცხლის უფლების დარღვევა სიცოცხლის მოსპობის გარეშე

როგორც აღინიშნა, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, სიცოცხლის უფლების დარღვევა რომ დადგინდეს, უნდა იყოს დამდგარი პირის სიცოცხლის მოსპობის ფაქტი, თუმცა, გამონაკლის შემთხვევაში, ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა გამოყენებული ძალის ხარისხი და ხასიათი, ისევე როგორც ძალის გამოყენების განზრახვა და მიზანი, განაპირობებს სიტუაციის მოქცევას კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების სფეროში. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სიცოცხლის უფლების დარღვევა შეიძლება დადგინდეს მაშინაც კი, როდესაც არ მომხდარა სიცოცხლის მოსპობა და სახელმწიფოს მაინც შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა სიცოცხლის უფლების დარღვევისათვის.[1161]

ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც ეხებოდა პოლიციის მიერ ავტომობილის მიმართულებით არაერთ გასროლას, რის მიუხედავადაც ამ ავტომობილის მძღოლი გადარჩა, თუმცა დაიჭრა, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოყენებული ძალის ხარისხმა და ხასიათმა, ისევე როგორც ამ ძალის გამოყენების განზრახვამ და მიზანმა, მოაქცია სიტუაცია კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების სფეროში და, საბოლოოდ, დადგინდა სიცოცხლის უფლების დარღვევა არსებით ნაწილში.[1162] მსგავსი პოზიცია გამოხატა სასა-

---

1159 „სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა შსს-სა და პენიტენციური დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებით რეკომენდაციები გასცა", 27 ნოემბერი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/779096-specialurma-sagamoziebo-samsaxurma-shss-sa-da-penitenciuri-dacesebulebis-sakmianobastan-dakavshirebit-rekomendaciebi-gasca].

1160 იქვე.

1161 *ილჰანი თურქეთის წინააღმდეგ (Ihlan v. Turkey),* დიდი პალატა, 27 ივნისი, 2000 წელი, 76-ე პუნქტი.

1162 *მაკარაძისი საბერძნეთის წინააღმდეგ (Makaratzis v. Greece),* დიდი პალატა, 20 დეკემბერი, 2004 წელი, 72-ე პუნქტი.

მართლომ საქმეებზე, რომლებიც ეხებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოსარჩელეზე ნიღბიანი მამაკაცების თავდასხმას, მის სასტიკ ცემასა და დახრჩობის მცდელობას.[1163]

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სიტუაცია შეიძლება კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების სფეროში მოექცეს არა მხოლოდ სახელმწიფო წარმომადგენლის მიერ სასიკვდილო ძალის გამოყენების შედეგად, არამედ სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ ნებისმიერ სიტუაციაში, რომელსაც არ მოჰყოლია პირის სიცოცხლის მოსპობა.[1164]

საქართველოში სიცოცხლის უფლების დარღვევა რომ დადგინდეს, უნდა მოხდეს ისეთი დანაშაული, რომლის შედეგად პირს მოესპობა სიცოცხლე, სხვა სიტყვებით კი, უნდა იყოს დამდგარი სიცოცხლის მოსპობის ფაქტი. ამ შემთხვევაში პირს შეეფარდება სისხლისსამართლებრივი სასჯელი სიცოცხლის მოსპობისათვის. მიუხედავად ამისა, საქართველოში დასაშვებია, რომ პირს შეეფარდოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი სიცოცხლის მოსპობისათვის მაშინაც კი, როდესაც არ არის დამდგარი სიცოცხლის მოსპობის ფაქტი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ასეთ შემთხვევას მოიაზრებს ისეთ ინსტიტუტში, როგორიცაა დანაშაულის მცდელობა. კოდექსის მიხედვით, „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც, თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.“[1165] ამ მუხლში ასახულია მყარად დამკვიდრებული პოზიცია, რომლის მიხედვით, „ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში დანაშაულის მცდელობა გაიგება როგორც დამნაშავის განზრახი საქმიანობა, რომელიც უშუალო საფრთხეს უქმნის დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებულ სიკეთეს, მაგრამ იგი არ იწვევს მის დაზიანებას, ზოგჯერ დამნაშავის და ზოგჯერ სხვა მიზეზის გამო.“[1166] კოდექსის ამ მუხლიდან გამომდინარეობს, რომ „დანაშაულის მცდელობის არსი პოზიტიურ ნიშნებზე და ნეგატიურ ფაქტორზე დაყრდნობით გაიგება. დანაშაულის მცდელობის პოზიტიურ ნიშნებში იგულისხმება სსკ-ის მე-19 მუხლში აღწერილი სუბიექტური და ობიექტური ნიშნები, რომლებიც საფუძვლად უდევს მცდელობის დასჯადობას.“[1167] რაც შეეხება ნეგატიურ ფაქტორს, კანონმდებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მოქმედება მცდელობად ჩაითვლება ნებისმიერ შემთხვევაში და არ არის დამოკიდებული იმაზე, დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დამნაშავის მიზეზით თუ მისგან დამოუკიდებლად.[1168]

კოდექსი ხაზს უსვამს, მოქმედება რომ ჩაითვალოს დანაშაულის მცდელობად, აუცილებელია განზრახვის არსებობა, რომელსაც კოდექსის მე-9 მუხლი განმარტავს და ადგენს, რომ განზრახ დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია პირ-

---

1163 *ლაპშინი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Lapshin v. Azerbaijan),* 20 მაისი, 2021 წელი.

1164 თავდასხმა გოგირდის მჟავით (*თერშანა ალბანეთის წინააღმდეგ (Tershana v. Albania),* 4 აგვისტო, 2020 წელი); პირის ნაღმზე აფეთქება (*ალკინი თურქეთის წინააღმდეგ (Alkın v. Turkey)*, 13 ოქტომბერი, 2009 წელი, 29-ე პუნქტი); საავტომობილო შემთხვევა (*კოტელნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Kotelnikov v. Russia)*, 12 ივლისი, 2016 წელი, 98-ე პუნქტი); ხის ჩამოვარდნის შედეგად ავტომობილში მყოფი ადამიანის დაზიანება (*მარიუს ალექსანდრუ და მარინელა სტეფანი რუმინეთის წინააღმდეგ (Marius Alexandru and Marinela Stefan v. Romania),* 24 მარტი, 2020 წელი, 75-ე პუნქტი); წყალდიდობა (*კოლიადენკო რუსეთის წინააღმდეგ (Kolyadenko v. Russia),* 28 თებერვალი, 2012 წელი, 155-ე პუნქტი).

1165 მე-19 მუხლის 1-ელი ნაწილი.

1166 ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), 2013 წელი, 99.

1167 იქვე, 99.

1168 იქვე, 100.

დაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით.[1169] აქედან გამომდინარე, კოდექსის მიხედვით, განზრახვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქმედების დანაშაულის მცდელობად შესაფასებლად.[1170] შესაბამისად, მკვლელობის მცდელობის კვალიფიკაციისათვის უნდა დადგინდეს, ითვალისწინებდა თუ არა დამნაშავე სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას, სურდა თუ არა ეს შედეგი და თუ არ სურდა, შეგნებულად ხომ არ უშვებდა, ან გულგრილად ხომ არ ეკიდებოდა მის დადგომას.[1171]

აქედან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, პირს შეიძლება შეეფარდოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი სიცოცხლის მოსპობისათვის მაშინაც კი, როდესაც არ არის დამდგარი სიცოცხლის მოსპობის ფაქტი და ეს შეიძლება მოხდეს დანაშაულის ჩამდენი პირის მოქმედების დანაშაულის მცდელობად კვალიფიკაციის საფუძველზე.

როგორც აღინიშნა, საქართველოში დანაშაული რომ დაკვალიფიცირდეს სიცოცხლის მოსპობის მცდელობად, დანაშაულებრივი მოქმედება უნდა იყოს ჩადენილი განზრახვით. შესაბამისად, დანაშაული, რომელიც დამნაშავემ ჩაიდინა გაუფრთხილებლობით და რომელსაც არ მოჰყვა პირის გარდაცვალება, არ დაკვალიფიცირდება როგორც სიცოცხლის მოსპობის მცდელობა.

აქედან გამომდინარე, თუ ევროპული სასამართლოს მიდგომაა, რომ პირის სიცოცხლის უფლების დარღვევა შეიძლება დადგინდეს სიცოცხლის მოსპობის გარეშე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სიცოცხლის მოსპობის მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ განზრახვით ჩადენილი სიცოცხლის მოსპობა, რომლის შედეგად პირი გადარჩა, ხოლო განზრახვის გარეშე ისეთი მოქმედების ჩადენა, რომელმაც არ გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, არ ჩაითვლება სიცოცხლის მოსპობის მცდელობად. ეს ნიშნავს, რომ ევროპული სასამართლო უფრო ფართოდ განმარტავს სიცოცხლის უფლებასა და მის დარღვევას, რაც მოიცავს როგორც სიცოცხლის ისეთ მოსპობას, რომელიც ხდება არა მხოლოდ განზრახვით, არამედ გაუფრთხილებლობით ჩადენის გზით.

5.4. ექსტრადირება და დეპორტირება

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, კონვენციის მე-2 მუხლი ჩაითვლება დარღვეულად, თუ არსებობს რეალური საფრთხე, რომ ექსტრადირების ან დეპორტირების შემთხვევაში, პირი დაექვემდებარება სიკვდილით დასჯას მიმღებ სახელმწიფოში.[1172] ამასთანავე, თუ მიმღებმა სახელმწიფომ, რომელშიც დაშვებულია

1169 კოდექსის მე-9 მუხლის 1-ელი ნაწილი. ეს მუხლი განმარტავს განზრახვის სახეებს: ა) „ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგოობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგი დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას“; ბ) „ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.“

1170 იქვე, 141 .

1171 იქვე.

1172 *ალ სადუნი და მუფდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al Saadoon and Mufdhi v. the United Kingdom),* 2 თებერვალი, 2010 წელი; *F.G. შვედეთის წინააღმდეგ (F.G. v.*

სიკვდილით დასჯა, გასცა მკაფიო და არაორაზროვანი გარანტია, რომ სიკვდილით დასჯა არ გამოიყენება კონკრეტულ საქმეზე, ასეთი ექსტრადირება ან დეპორტირება შეიძლება დაიშვას.[1173]

რაც შეეხება საქართველოში ექსტრადირებისა და დეპორტირების/გაძევების საკითხების ნორმატიულ რეგულირებას, აღსანიშნავია შემდეგი: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი აწესრიგებს პირის საქართველოდან ექსტრადირების საკითხს, რომლის მიხედვით, საქართველოს მოქალაქე და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად არ შეიძლება ექსტრადირებულ იქნეს სხვა სახელმწიფოში.[1174]

რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ დანაშაულის ჩამდენ უცხო ქვეყნის მოქალაქესა და საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირს, ისინი შეიძლება ექსტრადირებულ იქნენ სხვა სახელმწიფოში,[1175] თუმცა არ შეიძლება, სხვა სახელმწიფოს გადაეცეს დანაშაულის ჩამდენი პირი, თუ იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს, ჩადენილი დანაშაულისათვის დაწესებულია სიკვდილით დასჯა.[1176]

რაც შეეხება უცხოელის დეპორტირებას/გაძევებას, უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, დაუშვებელია უცხოელის იმ სახელმწიფოში გაძევება, რომელშიც მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობის საფრთხე ემუქრება.[1177] კანონის მიხედვით, სასამართლომ, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას უცხოელის საქართველოდან გაძევებაზე, უნდა შეაფასოს, დაემუქრება თუ არა საფრთხე უცხოელის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.[1178] ეს დებულება დაზუსტებულია „უცხოელის საქართველოდან გაძევების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომლის მიხედვით, უცხოელის გაძევება არ განხორციელდება, თუ მას ემუქრება სასიკვდილო განაჩენის საფრთხე დანიშნულების სახელმწიფოში.[1179]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა უცხოელის სხვა სახელმწიფოსათვის ექსტრადირებისა და დეპორტირების მიმართ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს.

რაც შეეხება პირის ექსტრადირებასა ან დეპორტირებასთან დაკავშირებულ საქართველოს პრაქტიკას, მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის ანალიზის შე-

---

Sweden), 23 მარტი, 2016; M.A. და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (M.A. and Others v. Bulgaria), 20 თებერვალი, 2020 წელი.

1173 *ჰარკინსი და ედვარდსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Harkins and Edwards v. the United Kingdom),* 17 იანვარი, 2012 წელი, 83-ე-86-ე პუნქტები.

1174 კოდექსის მე-6 მუხლის 1-ელი ნაწილი. ეს აკრძალვა არ ვრცელდება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებითა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის პირის გადაცემის შემთხვევებზე.

1175 კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი.

1176 კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი.

1177 5 მარტი, 2014 წელი. კანონის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

1178 კანონის 53-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

1179 იხ. დადგენილება N525, 1 სექტემბერი, 2014 წელი, მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. დებულებით, უცხოელს ასევე არ გააძევებენ, თუ მას ემუქრება წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, რასობრივი წარმოშობის, რელიგიური მრწამსის, ეროვნების, კონკრეტულ სოციალურ ჯგუფთან კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების გამო დევნის საფრთხე.

დეგად არ გამოვლენილა საქართველოს მიერ ისეთ სახელმწიფოში პირის ექსტრადირების ან დეპორტირების შემთხვევა, რომელშიც იგი დაექვემდებარა სიკვდილით დასჯას.[1180]

5.5. სიცოცხლის მოსპობა, როდესაც სახელმწიფოს წარმომადგენელი არ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობას

სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, თავი შეიკავოს სიცოცხლის მოსპობისაგან არა მხოლოდ მისი წარმომადგენლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, არამედ მაშინაც კი, თუ ის არ ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას. საქმეზე, რომელიც ეხებოდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი რეზერვისტი-პოლიციელის მიერ ბარის თანამშრომლისათვის მკერდში ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლას, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოქმედება არ იყო ოფიციალურად სანქცირებული და არ დასრულდა გარდაცვალებით.[1181] საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შესაფერისი და ეფექტიანი უსაფრთხოების ღონისძიებების სისტემის შექმნა და ზედმიწევნით დაცვა, რომელიც მიმართული იქნება იმისაკენ, რომ მისმა წარმომადგენლებმა არასათანადოდ არ გამოიყენონ სამსახურებრივი იარაღი, რომლებითაც ისინი სარგებლობენ სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად.

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სახელმწიფომ უნდა დააწესოს მაღალი პროფესიული სტანდარტები საკუთარ სამართალდამცავ სისტემაში და უზრუნველყონ, რომ ამ სისტემაში მომუშავე პირებმა დააკმაყოფილონ საჭირო კრიტერიუმები. კერძოდ, პოლიციის ძალების იარაღით აღჭურვისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირთა არა მხოლოდ საჭირო ტექნიკური მომზადება, არამედ ამ პირების შერჩევა, რომლებსაც აქვთ ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება, უნდა მოხდეს განსაკუთრებით გულდასმით.[1182] შესაბამისად, ევროპული სასამართლოს პოზიციით, სახელმწიფო არის პასუხისმგებელი მისი წარმომადგენლის უკანონო მოქმედებისათვის მაშინაც კი, როდესაც ის არ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობებს.[1183]

საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება განისაზღვრება მთავრობის დადგენილებით. ამ დადგენილებით დამტკიცებულია იმ თანამდებობის პირთა

1180 „ეთნიკურად ჩეჩენი რამზან ახიადოვი საქართველომ რუსეთს გადასცა“, 19 სექტემბერი, 2019 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/news/392787/?fbclid=IwAR2ZKYNW4CcbEcd-QFC_rT83RjDbMB9eyqV4FGVJTa0CqlEKYe0FnVMltj4]; ასევე იხ. *შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ (Shamayev and Others v. Georgia and Russia),* 12 აპრილი, 2005 წელი, 372-ე პუნქტი.

1181 *სასო გორგიევი ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ (Saso Gorgiev v. the Former Yugoslav Republic of Macedonia)*, 19 აპრილი, 2012 წელი.

1182 50-ე-51-ე პუნქტები; ასევე იხ. *გერასიმენკო და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Gerasimenko and Others v. Russia)*, 1 დეკემბერი, 2016 წელი, 103-ე პუნქტი.

1183 *გოროვენკო და ბუგარა უკრაინის წინააღმდეგ (Gorovenko and Bugara v. Ukraine),* 12 იანვარი, 2012 წელი. საპირისპიროდ იხ. *ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ (Enukidze and Girgvliani v. Georgia),* 26 აპრილი, 2011 წელი, 289-ე პუნქტი.

ნუსხა, რომლებსაც აქვთ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება.[1184] ამ ნუსხაში შედის საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულების (მათ შორის, თავდაცვის სამინისტროს, შსს-ს, იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურის, სუს-ის) სისტემაში მომუშავე რიგი თანამდებობების პირებისა.

სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარებასა და შენახვას ასევე აწესრიგებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსტრუქცია.[1185] ამ ინსტრუქციის მიხედვით, სამინისტროს სისტემაში სამსახურებრივ-საშტატო იარაღის გასაცემად და მუდმივი ტარების უფლების მისაღებად მოსამსახურე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ა) უნდა ეკავოს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული თანამდებობის პირთა ნუსხით გათვალისწინებული თანამდებობა; ბ) მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს სისხლისსამართლებრივი დევნა; გ) მოსამსახურეს უნდა ჰქონდეს მიღებული დადებითი დასკვნა საცეცხლე მომზადების სპეციალური კურსის გავლისას.[1186] ვინაიდან ეს ინსტრუქცია მიუთითებს მუდმივი ტარების უფლებაზე, მასში იგულისხმება იარაღის ტარება არა მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, არამედ, როდესაც შსს-ს თანამშრომელი არ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობას.

ცხადია, რომ კანონმდებლობა ანიჭებს თანამდებობის პირებს ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლებას, რათა მათ, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენონ ეს იარაღი, თუმცა საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს შემთხვევებს, რომლებშიც შეიძლება ამ იარაღის გამოყენება, კერძოდ, თანამდებობის პირმა შეიძლება გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი თავდაცვის მიზნით, თუ მას ასევე შეუძლია, ეს იარაღი გამოიყენოს მაშინ, თუ გახდა დანაშაულის შემსწრე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ კანონმდებლობამ განსაზღვროს, რა შემთხვევაში არის დასაშვები იარაღის გამოყენება იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელსაც აქვს ცეცხლსასროლი იარაღის მუდმივად ტარების უფლება.

რაც შეეხება პოლიციის თანამშრომლების მიერ იარაღის შენახვას, ტარებასა და გამოყენებას, საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ ადგენს, რომ პოლიციელს უფლება აქვს, შეინახოს, ატაროს და გამოიყენოს სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღი.[1187] კანონის მიხედვით, პოლიციისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად პოლიციელი უფლებამოსილია, პროპორციულად გამოიყენოს გამოსადეგი იძულების ღონისძიებები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, იმ ინტენსივობით, რომელიც უზრუნველყოფს კანონიერი მიზნის მიღწევას.[1188] კანონის ამ დებულებიდან გამომდინარე, პოლიციის თანამშრომელს აქვს იარაღის ტარებისა და გამოყენების უფლება მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

რაც შეეხება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას, საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, გარდა იარაღის ტარებისა, შეუძლიათ თუ არა ამ პირებს იარაღის გამოყენება და, შესაბამისად, არ განსაზღვრავს, შეუძლიათ თუ არა ამ თანამდებობის პირებს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც

1184 საქართველოს მთავრობის დადგენილება N242 „იმ თანამდებობის პირთა ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებსაც აქვთ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება“, 18 მარტი, 2014 წელი.

1185 შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N1013 „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში იარაღის ბრუნვისა და მინი კონტროლის ინსტრუქციის შესახებ“, 31 დეკემბერი, 2013 წელი.

1186 ინსტრუქციის 23-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

1187 4 ოქტომბერი, 2013 წელი. 34-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

1188 31-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

ისინი არ ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობას, არამედ მაშინაც, როდესაც ისინი ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობას. ერთადერთი, ვის შემთხვევაშიც განსაზღვრულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, არის პოლიცია.

საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის, ტარებისა და გამოყენების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის განხილვის შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ მოთხოვნას, რომლის მიხედვით, სახელმწიფო უზრუნველყოფს იმ პირთა შერჩევას, რომლებსაც აქვთ ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება. შსს-ს თანამდებობის პირების შემთხვევაში ისიც დადგენილია, რომ ასეთი პირებს უნდა ჰქონდეთ გავლილი სპეციალური მომზადება, ისევე როგორც მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

რაც შეეხება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას პრაქტიკაში იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელიც არ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციით, 2020 წლის აპრილში ნასვამ მდგომარეობაში მყოფი შსს-ს თანამშრომლის მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან უმისამართო გასროლას ემსხვერპლა ქალის სიცოცხლე.[1189] სიცოცხლის მოსპობის ფაქტზე დაიწყო გამოძიება სსკ-ის 116-ე მუხლის საფუძველზე, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს. მოგვიანებით, პროკურატურამ შსს-ს თანამშრომელს ბრალდება წარუდგინა სსკ-ის 108-ე მუხლის (მკვლელობა არაპირდაპირი განზრახვით) საფუძველზე.[1190]

მასმედიაში ასევე გავრცელდა ინფორმაცია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ 2020 წლის დეკემბერში ჩადენილი განზრახ მკვლელობის შესახებ. გავრცელებული ინფორმაციით, თელავის რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილემ, ურთიერთშელაპარაკების საფუძველზე, მის სახელზე გაპიროვნებული სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღიდან ქ. თელავის ცენტრალური საავადმყოფოს დირექტორს ახლო მანძილიდან დამიზნებით რამდენჯერმე ესროლა, რომელიც მიყენებული მძიმე ჭრილობების შედეგად შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. თავდაპირველად გამოძიება დაიწყო განზრახ მკვლელობისა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით, ხოლო მოგვიანებით ბრალდება დაუმძიმდა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობით.[1191]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ კანონმდებლობამ განსაზღვროს ის შემთხვევები, როდესაც თანამდებობის პირს შეუძლია გამოიყენოს ცეცხ-

---

1189 „პროკურატურის ინფორმაციით, პოლიციელი, რომლის უმისამართოდ გასროლას ვაჟაფშაველას გამზირზე ქალი ემსხვერპლა, ნასვამ მდგომარეობაში იყო“, 20 აპრილი, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/595947-prokuraturis-inpormaciit-policieli-romlis-umisamarto-gasrolas-vazha-pshavelas-gamzirze-kali-emsxverpla-nasvam-mdgomareobashi-iqo].

1190 „პროკურატურამ პოლიციელს, რომლის მიერ უმისამართოდ გასროლილ ტყვიასაც ქალი ემსხვერპლა, ბრალი უფრო მძიმე მუხლით გადაუკვალიფიცირა“, 21 აპრილი, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/596070-prokuraturam-policiels-romlis-mier-umisamarto-gasrolil-tqviasac-kali-emsxverpla-brali-upro-mzime-muxlit-gadaukvalipicira].

1191 „პოლიციის თელავის რაიონული სამმართველოს უფროსის ყოფილ მოადგილეს, რომელსაც საავადმყოფოს დირექტორის მკვლელობას ედავებიან, ბრალი დაუმძიმდა“, 6 აპრილი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/650142-policiis-telavis-raionuli-sammartvelos-uprosis-qopil-moadgiles-romelsac-saavadmqopos-direktoris-mkvlelobas-edavebian-brali-daumzimda]; ასევე იხ. *ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ (Enukidze and Girgvliani v. Georgia),* 26 აპრილი, 2011 წელი, 289-ე პუნქტი.

ლსასროლი იარაღი, რომლის ტარების უფლება მას აქვს, გარდა პოლიციის თანამშრომლებისა, რომელთა მიმართ კანონი ისედაც განსაზღვრავს, რომ დაკისრებული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად პოლიციელი უფლებამოსილია, პროპორციულად გამოიყენოს გამოსადეგი იძულების ღონისძიებები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, იმ ინტენსივობით, რომელიც უზრუნველყოფს კანონიერი მიზნის მიღწევას.

საქართველოში არსებული მდგომარეობის შესწავლამ ასევე გამოავლინა იმის აუცილებლობა, რომ სახელმწიფომ გაატაროს დამატებითი ღონისძიებები, შესაბამისი თანამდებობის პირების, მათ შორის პოლიციის თანამშრომლების მიერ, ცეცხლსასროლი იარაღის არასათანადო გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

6. სიცოცხლის უფლების დაცვის (პოზიტიური ვალდებულება) მარეგულირებელი კანონმდებლობა და მისი შესრულების პრაქტიკა საქართველოში: *არსებითი ნაწილი*

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება მოიცავს როგორც სიცოცხლის უფლების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის დადგენასა და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ სიტუაციებში პირის დასაცავად (არსებითი ნაწილი), ისე ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას პირის გარდაცვალების შემთხვევაში (პროცესუალური ნაწილი).

ნაშრომის ამ თავში განიხილება საქართველოში სიცოცხლის უფლების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა, ხოლო მოგვიანებით გაანალიზდება პირის გარდაცვალების შემთხვევაში ეფექტიანი გამოძიების წარმოების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა.

6.1. სიცოცხლის უფლების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში: ზოგადი საკითხები

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი ადგენს, რომ სიცოცხლის უფლების დაცვა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს „კანონით“, რითაც ყურადღებას ამახვილებს ამ უფლების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღების აუცილებლობაზე. ამ მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია, *inter alia,* დაადგინოს სიცოცხლის უფლების დაცვის ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დებულებები, რათა უზრუნველყოს პირის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისაგან თავის შეკავება.[1192] ეს, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა აკრძალოს სიცოცხლის უკანონო მოსპობა.

საქართველოში სიცოცხლის უფლება დაცულია კონსტიტუციურ დონეზე. კონსტიტუციის მე-10 მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით: „ადამიანის სიცოცხლე დაცულია“.[1193] საყურადღებოა, რომ საქართველოს კონსტიტუციის წინა რედაქციით, სიცოცხლის უფლება განსხვავებულად იყო ჩამოყალიბებული, კერძოდ, კონსტიტუციის მე-15 მუხლის 1-ელი პუნქტი ითვალისწინებდა, რომ „სიცოცხლე ადამიანის

1192 *მუსტაფა ტუნკი და ფერიცე ტუნკი თურქეთის წინააღმდეგ (Mustafa Tunc and Fecire Tunc v. Turkey),* დიდი პალატა, 14 აპრილი, 2015 წელი, 171-ე პუნქტი.

1193 იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36].

ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.“[1194] აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, როგორც წინა რედაქციაში იყო ხაზგასმული – ეს უფლება დაცული იყო „კანონით“, რაც განსაზღვრულია ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით. მიუხედავად იმისა, კონსტიტუციის დღეს მოქმედ რედაქციაში „კანონი“ არ არის ნახსენები, ის, რომ ადამიანის სიცოცხლე „დაცულია“, უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ კანონმა, ზოგადად კი კანონმდებლობამ, უნდა უზრუნველყოს ამ უფლების დაცვა. დღეს არსებული კონსტიტუციური ფორმულირება, რომ სიცოცხლის უფლება „დაცულია“, უფრო ფართოდაც უნდა განიმარტოს, კერძოდ ისე, რომ ამ უფლების დასაცავად სახელმწიფო არა მხოლოდ იღებს კანონმდებლობას, არამედ ატარებს პრაქტიკულ ღონისძიებებს ამ უფლების დასაცავად.

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობას, ის ადგენს სისხლისსამართლებრივ სასჯელს ადამიანის სიცოცხლის მოსპობისათვის. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის XIX თავი (დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ) ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სიცოცხლის მოსპობისათვის.[1195] კოდექსი ასევე ადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის, საიდანაც განსაკუთრებით საყურადღებოა კოდექსის XX (დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ), XXI (ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა), XXII (დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ) და XXIII (დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ) თავებით დადგენილი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა სიცოცხლის მოსპობისათვის.

აქედან გამომდინარე, სიცოცხლის უფლება სათანადოდ მოწესრიგებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, არა მხოლოდ მიიღოს კანონმდებლობა, რომელიც დაადგენს სისხლისსამართლებრივ სასჯელს პირის სიცოცხლის მოსპობისათვის, არამედ ასევე განსაზღვროს სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს პირის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საქმიანობის ნორმატიულ რეგულირებას. ეს უკანასკნელი კი მოიცავს როგორც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ძალის/ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების და კერძო პირისაგან (მესამე მხარისაგან) მომდინარე საფრთხისაგან სხვა კერძო პირის სიცოცხლის დაცვის ნორმატიულ რეგულირებას საქართველოში, ისე სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ნებისმიერი სხვა საქმიანობის (სფეროს) რეგულირებას ქვეყანაში.

1194 იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=33].

1195 იხ. 108-ე მუხლი – განზრახ მკვლელობა; 109-ე მუხლი – განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში; 110-ე მუხლი – მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით; 111-ე მუხლი – განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში; 112-ე მუხლი – დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა; 113-ე მუხლი – მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით; 114-ე მუხლი – მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით; 115-ე მუხლი – თვითმკვლელობამდე მიყვანა; 116-ე მუხლი – სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით.

6.2. კერძო პირისაგან (მესამე მხარისაგან) მომდინარე საფრთხიდან იდენტიფიცირებული კერძო პირის სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფომ არა მხოლოდ ის უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა წარმომადგენლებმა არ დაარღვიონ კერძო პირის სიცოცხლის უფლება, არამედ ისიც, რომ დაიცვან იდენტიფიცირებული კერძო პირის სიცოცხლე სხვა კერძო პირის (მესამე მხარის) მხრიდან მომდინარე საფრთხისაგან. ამისათვის, ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა უზრუნველყოს ნორმატიული ბაზის დადგენა, რომელიც არა მხოლოდ მის წარმომადგენლებს, არამედ კერძო პირებს შეაკავებინებს თავს სხვა კერძო პირის სიცოცხლის უფლების დარღვევისაგან.[1196] ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XIX თავი (დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ), რომელიც ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სიცოცხლის მოსპობისათვის და ვრცელდება კერძო პირის მიერ სხვა კერძო პირის სიცოცხლის მოსპობაზე. საქართველოში სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულება არ შემოიფარგლება კოდექსის XIX თავით გათვალისწინებული დანაშაულებით. ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ ნათელი მოჰფინა არაერთ საკითხს, რომელთა მიმართ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სიცოცხლის უფლების დაცვისაკენ მიმართული ნორმატიული ჩარჩოს მიღება.

6.2.1. ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობა

ა) კანონმდებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, ერთ-ერთი საკითხი, რომელიც საჭიროებს საკანონმდებლო რეგულირებას, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობაა.

საქართველოში ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის საკითხებს აწესრიგებს საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.[1197] კანონის მიზანია ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის გამოვლენისათვის, აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის ეფექტიანი ნორმატიული მექანიზმის შექმნა. კანონი განსაზღვრავს ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობას.[1198]

კანონი ადგენს ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმებს. კანონის მიხედვით, ძალადობისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქოსამართლებრივი და ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმები.[1199]

კანონის მიხედვით, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევის გამოვლენას და მასზე შესაბამის რეაგირებას უზრუნველყოფენ სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოები. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადო-

---

1196 *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 28 ოქტომბერი, 1998 წელი, 115-ე პუნქტი.

1197 9 ივნისი, 2006 წელი. იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=22].

1198 იხ. კანონის მე-3 და მე-4 მუხლები.

1199 მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტი.

ბის ფაქტის პირველადი იდენტიფიკაციის და მასზე რეაგირების მიზნით შესაბამისი ორგანოებისთვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დაწესებულებების ... უფლებამოსილ თანამშრომლებს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს".[1200]

კანონი ითვალისწინებს დამცავი და შემაკავებელი ორდერების გაცემის წესს. კერძოდ, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია, დროებითი ღონისძიების სახით გამოიცეს შემაკავებელი ორდერი ან დამცავი ორდერი."[1201] კანონის მიხედვით, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად დროებითი ღონისძიებების სახის შემაკავებელი ორდერის გამოცემა სავალდებულოა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით გამოძიების დაწყების ან გამოძიების მიმდინარეობის შემთხვევაში, მათ შორის: 108-ე (განზრახ მკვლელობა), 109-ე (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში) და 115-ე (თვითმკვლელობამდე მიყვანა) მუხლებით.[1202]

კანონის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ, თუ არ არსებობს გამოძიების დაწყების საფუძველი, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით, აფასებს ქალის მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის განმეორების რისკს და ამ საფრთხის ხარისხის მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას შემაკავებელი ორდერის გამოცემის შესახებ ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ.[1203] შემაკავებელი ორდერი გამოიცემა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შემაკავებელი ორდერის ოქმით განსაზღვრული რისკების შეფასების კითხვარის საფუძველზე.[1204]

სხვა საკითხებთან ერთად, შემაკავებელი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს: მოძალადის მსხვერპლის საცხოვრებელი სახლიდან გარიდებას, მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მოძალადის მიახლოების აკრძალვას; ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებას, მოძალადისათვის ამ ორდერის მოქმედების პერიოდში ან ამ ორდერით განსაზღვრულ პერიოდში იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვას ან აკრძალვას, იარაღის შეძენის ან მისი შეძენისათვის ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვების უფლების აკრძალვას და პირად საკუთრებაში არსებული იარაღის ან/და კუთვნილი იარაღის შენახვისა ან დროებით ჩამორთმევის პირობებს.[1205]

კანონი ასევე ითვალისწინებს მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის დაწესებისა და განხორციელების წესებს.[1206] კანონი ადგენს, რომ მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის დაწესება დასაშვებია, თუ არსებობს მოძალადის მხრიდან ძალადობის განმეორების რეალური საფრთხე, რის შეფასებასაც პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი ახორციელებს საქართველოს შს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შემაკავებელი ორდერის ოქმით განსაზღვრული რისკების

1200 მე-9[1] მუხლი.
1201 მე-10 მუხლის 1-ელი პუნქტი.
1202 მე-10[1] მუხლი.
1203 მე-10[2] მუხლი.
1204 მე-10[3] მუხლი.
1205 მე-10 მუხლის მე-3[2] პუნქტი.
1206 მე-10[1] მუხლი.

შეფასების კითხვარის საფუძველზე.[1207] ამასთანავე, გამოიცემა ოქმი ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ და ის გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.[1208]

კანონის ასევე ადგენს, რომ შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, მსხვერპლის ოჯახის წევრს ან მსხვერპლის თანხმობით – სოციალურ მუშაკს ან პირს, რომელიც მსხვერპლს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევს.[1209]

კანონი ასევე ადგენს, რომ პოლიცია ვალდებულია, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.[1210] ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინების მიღების შემთხვევაში პოლიცია ვალდებულია, დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის ადგილზე.[1211] ძალადობის ფაქტის არსებობის შემთხვევაში, პოლიცია ვალდებულია, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის აღსაკვეთად გაატაროს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, განცალკევებულად გამოკითხოს მონაწილე პირები, მოწმეები, მსხვერპლს მიაწოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ, მსხვერპლის მოთხოვნით ან გადაუდებელ შემთხვევაში უზრუნველყოს მისი გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში; მსხვერპლის მოთხოვნით, აგრეთვე გადაუდებელ შემთხვევაში მსხვერპლის თანხმობით უზრუნველყოს მსხვერპლისა და მასზე დამოკიდებული პირის თავშესაფარში გადაყვანა, საჭიროების შემთხვევაში, ამ კანონის საფუძველზე მოძალადე გაარიდოს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან და უზრუნველყოს მსხვერპლის უსაფრთხოება.[1212]

ამ კანონის დებულებების აღსრულების მიზნით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შემაკავებელი ორდერით ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, ან ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებისას მოძალადის მიერ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესით განსაზღვრულ საგანგაშო ზონაში შეღწევის, ანდა მოძალადის მიერ საგანგაშო ან ბუფერული ზონის დატოვების შესახებ უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შეუსრულებლობის ან მოძალადის მიერ ელექტრონული ზედამხედველობისთვის თავის არიდებისათვის.[1213]

როგორც აღინიშნა, კანონი ითვალისწინებს შემაკავებელი ორდერის მოქმედების პერიოდში ან ამ ორდერით განსაზღვრულ პერიოდში იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვას ან აკრძალვას, იარაღის შეძენის ან მისი შეძენისათვის ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვების უფლე-

---

1207 ძალადობის განმეორების საფრთხის შეფასებისას მხედველობაში მიიღება სხვადასხვა გარემოება, მათ შორის, წარსულში მოძალადის მიერ მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერის ან/და დამცავი ორდერის დარღვევის ფაქტი და დარღვევის ხასიათი, წარსულში ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის ფაქტი, მოძალადის მხრიდან მუქარა ან/და მის მიერ ფიზიკური ძალადობის განხორციელებისას ცივი/ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების/დემონსტრირების ფაქტი და სხვა გარემოებები. იხ. მე-10^1 მუხლის მე-2 პუნქტი.

1208 მე-10^1 მუხლის მე-4 პუნქტი.

1209 მე-11 მუხლის 1-ელი პუნქტი.

1210 მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტი.

1211 მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი.

1212 მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი.

1213 სისხლის სამართლის კოდექსის 381^1-ე მუხლი.

ბის აკრძალვას და პირად საკუთრებაში არსებული იარაღის ან/და კუთვნილი იარაღის შენახვისა ან დროებით ჩამორთმევის პირობებს.[1214] „იარაღის შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი მოძალადეს უწესებს შეზღუდვას ცეცხლსასროლი იარაღის შენახვაზე,[1215] შეძენასა[1216] და ლიცენზიის (ნებართვის) გაცემაზე.[1217] კანონის 28(1)(ე)-ე მუხლით გათვალისწინებულია, რომ იარაღის ჩამორთმევა ხდება მოძალადისათვის მის მიმართ გამოცემული დამცავი, შემაკავებელი ან იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერით განსაზღვრულ შემთხვევებში და განსაზღვრული ვადით.

როგორ აღინიშნა, შემაკავებელი ორდერი გამოიცემა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შემაკავებელი ორდერის ოქმით განსაზღვრული რისკების შეფასების კითხვარის საფუძველზე.[1218] „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება (N81) მიღებულია 2018 წლის 13 ივლისს. ბრძანების მე-3 მუხლის მიხედვით, პასუხისმგებელი პირები უფლებამოსილნი არიან, ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში, შემაკავებელი ორდერის ოქმის კითხვარების საშუალებით განახორციელონ განმეორებითი ძალადობის რისკების სიმძიმის შეფასება და გამოსცენ შემაკავებელი ორდერი. ამასთანავე, ბრძანების მე-4 მუხლი ადგენს, რომ განმეორებითი ძალადობის რისკებისა და რისკის სიმძიმის შეფასება ხორციელდება შემაკავებელი ორდერის ოქმში ასახული კითხვების საშუალებით, ხოლო განმეორებითი ძალადობის რისკის სიმძიმე განისაზღვრება შემაკავებელი ორდერის ოქმში მითითებული კითხვებისთვის მინიჭებული ქულების საფუძველზე.

საყურადღებოა, რომ ბრძანებას თან ერთვის როგორც შემაკავებელი ორდერი, ისე შემაკავებელი ორდერის ოქმი. ეს უკანასკნელი მოითხოვს დოკუმენტში სხვადასხვა ინფორმაციის ასახვას, მათ შორის: ზოგადი ინფორმაციის სავარაუდო ძალადობის შესახებ, პირადი ინფორმაციის მსხვერპლის შესახებ, პირადი ინფორმაციის მოძალადის შესახებ, ინფორმაციისა მსხვერპლისა და მოძალადის კავშირის შესახებ. ოქმით ასევე

1214 ამ დებულების შესასრულებლად შესაბამისი წესებია დადგენილი კანონით „იარაღის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს შეზღუდვებს ცეცხლსასროლი იარაღის ტარებაზე, შენახვა, შეძენა, ლიცენზიის (ნებართვის) გაუცემლობასა და ჩამორთმევაზე. კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, მოძალადეს „დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და განსაზღვრული ვადით, აგრეთვე იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერის მოქმედების ვადით ეკრძალება პირად საკუთრებაში არსებული იარაღის ტარება, ხოლო ეზღუდება ან ეკრძალება სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარება. დამცავი, შემაკავებელი და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერების მოქმედების პერიოდში ან დამცავი და შემაკავებელი ორდერებით განსაზღვრულ პერიოდში მოძალადეს ჩამოერთმევა პირად საკუთრებაში არსებული იარაღი და შეეზღუდება ან ჩამოერთმევა გადაცემული სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება.“

1215 ამ საკითხების მოსაწესრიგებლად მიღებულია საქართველოს შს მინისტრის ბრძანება. იხ. ბრძანება „ოჯახში ძალადობის დროს მოძალადისათვის ჩამორთმეული პირად საკუთრებაში არსებული იარაღის შენახვის წესისა და პირობების, აგრეთვე მოძალადისათვის სამსახურებრივ-საშტატო იარაღით შეზღუდულად სარგებლობის ან/და ჩამორთმევის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, N1094, 10 დეკემბერი, 2010 წელი.

1216 მე-19 მუხლის მე-9 პუნქტი.

1217 27(2)(თ)-ე მუხლი.

1218 მე-10^3 მუხლი.

გათვალისწინებულია კითხვარი განმეორებითი ძალადობის რისკების განსასაზღვრავად. კითხვარი ითვალისწინებს მრავალ კითხვას, რაც იძლევა საშუალებას, შეფასდეს ძალადობის განმეორების საფრთხე.[1219]

ამ კითხვებზე გაცემული პასუხების ქულების დაჯამებით უფლებამოსილ პირს შეუძლია განსაზღვროს, სახეზეა განმეორებითი ძალადობის რისკი თუ მაღალი რისკი. ძალადობის რისკის დონის (ხარისხის) მიხედვით, უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი ღონისძიების გატარების შესახებ.

ოჯახში ძალადობის მარეგულირებელი საქართველოს ნორმატიული ბაზის შეფასებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ დამაკმაყოფილებლად აწესრიგებს ქალისა და/ოჯახში ძალადობის საკითხებს და საკანონმდებლო (ნორმატიული) რეგულირების რაიმე პრობლემა არ ყოფილა იდენტიფიცირებული.

გარდა თავად ძალადობის მსხვერპლისა, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის პირველადი იდენტიფიკაციის და მასზე რეაგირების მიზნით შესაბამისი ორგანოებისთვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დაწესებულებების უფლებამოსილ თანამშრომლებს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა სუბიექტებს.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს პოლიციის მიერ ქალის მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე დაუყოვნებლივი რეაგირების აუცილებლობას და უფლებამოსილია, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, ძალადობის მსხვერპლის სიცოცხლის დასაცავად. ამისათვის პოლიციამ უნდა გამოიყენოს რისკების შეფასების ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით პოლიციას შეუძლია შეაფასოს რისკის დონე (ხარისხი) და ამის საფუძველზე გადადგას შესაბამისი ნაბიჯები.

კანონი ითვალისწინებს სპეციალური ღონისძიების სახით შემაკავებელი ორდერის სავალდებულო გამოცემას სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით გამოძიების დაწყებისა ან გამოძიების მიმდინარეობის შემთხვევაში. კანონი ასევე ითვალისწინებს ქალის მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის განმეორების რისკის შეფასებას, რის საფუძველზეც შეიძლება გამოიცეს შემაკავებელი ორდერი. კანონით ასევე გათვალისწინებულია მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის დაწესებისა და განხორციელების წესები.

კანონის დებულებების აღსასრულებლად საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შემაკავებელი ორდერით ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის.

1219 ამ კითხვებს შორისაა: ფიქრობთ, რომ მოძალადე მოგაყენებთ ჯანმრთელობის დაზიანებას, მოგკლავთ, ჯანმრთელობას დაუზიანებს ან მოკლავს თქვენს შვილ(ებ)ს ან/და სხვა ახლობელს? მოძალადეს თქვენ წინააღმდეგ გამოუყენებია ცეცხლსასროლი იარაღი (მათ შორის, იარაღის დემონსტრირებით), დანა ან/და სხვა ნივთი/ნივთიერება (რომელსაც შეეძლო სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა) ან დაგმუქრებიათ მისი გამოყენებით ამჟამინდელი ან/და წარსული ინციდენტის დროს? მოძალადე მიდრეკილია ალკოჰოლური, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისკენ? მოძალადეს ხელი მიუწვდება მის ან მესამე პირის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ ცეცხლსასროლ იარაღზე? ფიქსირდება თუ არა მოძალადის მიერ შემაკავებელი ან დამცავი ორდერის დარღვევის შესახებ ინფორმაცია? მოძალადის მხრიდან წარსულში ფიქსირდება ოჯახური ან სხვა ძალადობრივი დანაშაულის ფაქტები?

აქედან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ქალის მიმართ ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილ სტანდარტებს ქალის მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მიმართ. კერძოდ, ქვეყანაში ნორმატიული ბაზის ანალიზი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის, მათ შორის ისეთი საქმეებით დადგენილი მოთხოვნების მიმართ, როგორებიცაა: *ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ (Opuz v. Turkey)*[1220] და *კურტი ავსტრიის წინააღმდეგ (Kurt v. Austria)*,[1221] ცხადყოფს, რომ ამ საკითხების მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მსგავსად, საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისი ღონისძიებების გატარებისას ითვალისწინებს ისეთ გარემოებებს, როგორებიცაა: სავარაუდო დანაშაულის სიმძიმე, მსხვერპლისათვის მიყენებული ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანი, იარაღის გამოყენება, მუქარის არსებობა, ძალადობის გავლენა (მათ შორის ფსიქოლოგიური) ოჯახში მცხოვრებ ბავშვებზე, ძალადობის განმეორების ალბათობის არსებობა, მსხვერპლის ან ნებისმიერი შესაბამისი პირის ჯანმრთელობის ან უსაფრთხოების მიმართ მუქარა, ოჯახის წევრების ურთიერთობის ისტორია, მათ შორის: წარსულში ძალადობის შემთხვევა, ცეცხლსასროლი იარაღის ხელმისაწვდომობა მოძალადისათვის, სავარაუდო მოძალადის სისხლისსამართლებრივი წარსული, განსაკუთრებით ძალადობრივი ხასიათის.[1222]

ევროპული სასამართლოს მსგავსად, საქართველოს კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე – *კურტი ავსტრიის წინააღმდეგ (Kurt v. Austria)* – დადგენილ ვალდებულებას, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაციაზე დაუყოვნებლივი რეაგირება და რომ მოახდინოს საფრთხის შეფასება, კერძოდ, სახელმწიფომ უნდა შეაფასოს, რამდენად რეალური და მყისიერი საფრთხე ოჯახში ძალადობის საქმეების სპეციალური კონტექსტის გათვალისწინებით.[1223] ამ საქმეზე დადგენილი მიდგომის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, თუ დადგინდა, რომ არსებობს საფრთხე მოძალადის ან მისი ოჯახის წევრებისათვის.

ბ) პრაქტიკა

მართალია, ბოლო წლებში გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები საქართველოში ქალთა/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, მათ შორის საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების, კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესების, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლის გაზრდისა და მსხვერპლთა დაცვის სამართლებრივი მექანიზმის განახლებული ფორმით ამოქმედების თვალსაზრისით,[1224]

1220 9 ივნისი, 2009 წელი.

1221 დიდი პალატა, 15 ივნისი, 2021 წელი.

1222 *ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ (Opuz v. Turkey),* 9 ივნისი, 2009 წელი, 138-ე პუნქტი.

1223 *კურტი ავსტრიის წინააღმდეგ (Kurt v. Austria)*, დიდი პალატა, 15 ივნისი, 2021 წელი, 168-ე-171-ე პუნქტები.

1224 საქართველოს პროკურატურის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, 75-58, იხ.: [https://pog.gov.ge/uploads_script/resources/tmp/phpuP9BJo.pdf]; ასევე იხ. შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაცია: [https://police.ge/ge/2023-tslis-pirveli-maisidan-qalta-mimart-anda-odjakhshi-dzaladobis-mskhverplta-datsvis-samartlebrivi-meqanizmi-ganakhlebuli-formit-amoqmedda/15772].

საქართველოში ქალთა/ოჯახში ძალადობის მიმართ რთული მდგომარეობაა.[1225] ამას მოწმობს როგორც კონკრეტული ფაქტები[1226] და სტატისტიკა,[1227] ისე ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებები.

თუ ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობა განიხილება ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი სტანდარტების მიხედვით, უნდა დაისვას რამდენიმე კითხვა, რომელთა საფუძველზეც შეიძლება შეფასდეს, უზრუნველყო თუ არა სახელმწიფომ სიცოცხლის უფლების დაცვა. ეს კითხვებია: დაუყოვნებლივ მოახდინა თუ არა სახელმწიფომ რეაგირება შეტყობინებაზე ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის შესახებ? იყო თუ არა სახელმწიფოს მიერ რეალური და მყისიერი საფრთხის შეფასება დამოუკიდე-

---

1225 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, იხ.: [https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf], 33-34.

1226 ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის შემთხვევების მრავალრიცხოვნობის გამო, მოხსენიებული შემთხვევები მხოლოდ საილუსტრაციოა: „ზუგდიდში კაცმა ცოლი მოკლა – შსს“, 24 მაისი, 2024 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/news/723959/]; „18 წელი მიუსაჯეს კაცს, რომელმაც შშმ ცოლი მოკლა ურეკში – პროკურატურა“, 7 ივნისი, 2024 წ., იხ.: [https://batumelebi.netgazeti.ge/slideshow/528865/]; „რუსთავში კაცმა 21 წლის ცოლი და სიდედრი მოკლა – შსს“, 22 მაისი, 2024 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/news/723695/]; „ბოლნისში, გენდერის ნიშნით მეუღლის მკვლელობაში ბრალდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა“, 28 თებერვალი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/789506-bolnisshi-genderis-nishnit-meuglis-mkvlelobashi-braldebuls-uvado-tavisuplebis-agkveta-miesaja]; „ავტობუსში ქმრის მიერ მოკლული ქალის საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოში სხდომა გაიმართება“, 29 ნოემბერი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/779529-avtobusshi-kmris-mier-mokluli-kalis-sakmeze-tbilisis-saapelacio-sasamartloshi-sxdoma-gaimarteba]; „ყოფილი ცოლისა და სიდედრის მკვლელობაში ბრალდებული პოლიციელი, რომელმაც დანაშაულის შემდეგ თვითმკვლელობა სცადა, გარდაიცვალა“, 11 ოქტომბერი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/773217-qopili-colisa-da-sidedris-mkvlelobashi-braldebuli-policieli-romelmac-danashaulis-shemdeg-tvitmkvleloba-scada-gardaicvala]; „თერჯოლაში კაცმა ყოფილი ცოლი მოკლა“, 22 ნოემბერი, 2022 წ., იხ.: [https://tabula.ge/ge/news/694049-terjolashi-katsma-qopili-tsoli-mokla]; „ქუთაისში ქალის მკვლელობის ბრალდებით მისი ყოფილი ქმარი ცხელ კვალზე დააკავეს“, 1 ივლისი, 2022 წ., იხ.: [https://imedinews.ge/ge/samartali/255895/qutaisshi-qalis-mkvlelobis-braldebit-misi-kopili-qmari-tskhel-kvalze-daakaves]; „თბილისში, მამაკაცმა საზოგადოებრივ ტრანსპორტში მეუღლე ყელის არეში დანით დაჭრა, ქალი ადგილზე გარდაიცვალა“, 21 მაისი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/711534-tbilisshi-mamakacma-sazogadoebriv-transportshi-meugle-qelis-areshi-danit-dachra-kali-adgilze-gardaicvala]. ოჯახში ძალადობის შემთხვევები: „შსს – ბრალდებული გარდაბანში, ავტომობილით განზრახ დაეჯახა დას, რის შემდეგაც მას დანით სხეულზე მრავლობითი ჭრილობა მიაყენა – გოგონა ადგილზე გარდაიცვალა“, 16 მაისი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/799838-shss-braldebuli-gardabanshi-avtomobilit-ganzrax-daejaxa-das-ris-shemdegac-mas-danit-sxeulze-mravlobiti-chriloba-miaqena-gogona-adgilze-gardaicvala].

1227 საქართველოს პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2014-2022 წლებში საქართველოში ჩადენილი 186 ქალის მკვლელობიდან, ოჯახური ნიშნით 92 ქალის მკვლელობა იყო. ამავე პერიოდში ჩადენილი 129 ქალის მკვლელობის მცდელობიდან, 69 ქალის მკვლელობის მცდელობა იყო ჩადენილი ოჯახური ნიშნით. იხ.: [https://pog.gov.ge/uploads/eb6f7f93-Femicide.pdf]. ასევე „ფემიციდი – ქალის მკვლელობის 14 და მკვლელობის მცდელობის 23 შემთხვევა 8 თვეში“, 15 ოქტომბერი, 2022 წ., იხ.: [https://mtavari.tv/news/100799-pemitsidi-kalis-mkvlelobis-14-mkvlelobis].

ბელი, პროაქტიური და ყოვლისმომცველი და ამ შეფასებისას გაითვალისწინა თუ არა მან საქმის სპეციალური კონტექსტი? თუ საფრთხის შეფასებიდან გამომდინარე, გამოვლინდა, რომ სიცოცხლისათვის საფრთხე იყო რეალური და მყისიერი, უზრუნველყო თუ არა სახელმწიფომ პრევენციული ოპერატიული და დაცვითი ღონისძიებების გატარება, რომლებიც იყო საფრთხის ხარისხის შესაფერისი და თანაზომიერი?

როგორც ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ანალიზისას გამოჩნდა, საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს. ამას მოწმობს ის რამდენიმე საქმე, რომლებზეც ევროპულ სასამართლოს გამოტანილი აქვს გადაწყვეტილებები საქართველოში ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის საქმეებზე. ეს კი ნიშნავს, რომ საქართველოში ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის პრობლემა საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან შეუსაბამობით კი არ არის განპირობებული, არამედ მარეგულირებელი კანონმდებლობის პრაქტიკაში აღსრულების სირთულეებით. კერძოდ, საქმე *თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ (Tkhelidze v. Georgia)* ეხებოდა სიტუაციას, რომელშიც ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო პრევენციული ღონისძიებების გატარება ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დასაცავად.[1228] ამ საქმეში მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მისი შვილის (M.T.) პარტნიორი მამაკაცი (L.M.) ახდენდა მის შვილზე ძალადობას, რაც დასრულდა M.T.-ს სიცოცხლის მოსპობით. ამის შემდეგ L.M.-მ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

უბედურ შემთხვევამდე ექვსი თვის განმავლობაში M.T.-მ და მოსარჩელემ, სულ მცირე, შვიდჯერ მიმართეს პოლიციას დახმარებისათვის. პოლიციისათვის მიმართვისას ისინი ყოველთვის დეტალურად აღწერდნენ L.M.-ს მხრიდან განხორციელებული ძალადობის ხარისხს. მართალია, მოსარჩელემ და M.T.-მ პოლიციას არაერთხელ მიმართეს, მას არ დაუწყია სისხლის სამართლის გამოძიება და არ ყოფილა გამოცემული შემაკავებელი ორდერი, მიუხედავად იმისა, რომ M.T.-ს აღენიშნებოდა ფიზიკური ძალადობის ნიშნები. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც პოლიციამ იცოდა, რომ L.M. პათოლოგიურად ეჭვიანი და ფსიქიკურად არასტაბილური იყო, ჰქონდა ბრაზის მართვის სირთულეები, კრიმინალური წარსული და იყო ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მომხმარებელი. პოლიციამ ასევე იცოდა, რომ M.T. ყოველთვის თან ატარებდა სხვადასხვა თავდაცვით იარაღს და განიცდიდა უკიდურეს შიშსა და შფოთვას, როდესაც ხედავდა, როგორ უახლოვდებოდა მისი პარტნიორი მის სახლს ან სამსახურს. ყველა ეს გარემოება ადასტურებდა M.T.-ს მიმართ L.M.-ისაგან მომდინარე საფრთხის რეალურობას. ამას გარდა, ის ძალადობა, რომელსაც M.T. განიცდიდა, არ შეიძლება დანახული ყოფილიყო როგორც ინდივიდუალური და ცალკე აღებული ეპიზოდი, არამედ უნდა ყოფილიყო განხილული როგორც განგრძობადი სიტუაცია.

საქმის განხილვის შედეგად ევროპულმა სასამართლომ დამაკმაყოფილებლად მიიჩნია ზოგადად ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო, რომელიც შექმნილი იყო ქალების მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. სასამართლოს აზრით, პრობლემა იყო სამართალდამცავი ორგანოების მიერ შემაკავებელი მექანიზმის შესრულების ხარისხში, კერძოდ კი, მოსარჩელის შვილის მიმართ პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარების ვალდებულების შეუსრულებლობაში.

სასამართლოს აზრით, როდესაც ოჯახში ძალადობა განგრძობადი ხასიათისაა, საეჭვოდ არ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მსხვერპლისათვის წარმოშობილი საფრთხე

1228 8 ივლისი, 2021 წელი.

არის მყისიერი. აქედან გამომდინარე, პოლიციამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მოსარჩელის შვილის სიცოცხლისათვის არსებობდა რეალური და მყისიერი საფრთხე.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მისთვის თვალნათელი იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი მარცხი, რომლებიც განიცადა სამართალდამცავმა ორგანოებმა ამ საქმესთან მიმართებით. უპირველეს ყოვლისა, არსებობდა მინიშნებები პოლიციის ოფიცრების მიერ მტკიცებულებათა არაზუსტი და არასრულყოფილი შეგროვების შესახებ. ოჯახში ძალადობის შემთხვევის საპასუხოდ მტკიცებულებების შეგროვების ხარვეზებს შეეძლო, გამოეწვია ძალადობის ხარისხის არასათანადო შეფასება, მოეხდინა უარყოფითი გავლენა სისხლის სამართლის გამოძიების დაწყების პერსპექტივაზე და განაპირობა ძალადობის მსხვერპლისათვის გულის აცრუებაც კი იმაზე, რომ მას მომავალში ხელისუფლებისათვის შეეტყობინებინა ოჯახის მოძალადე წევრის შესახებ. ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა: როდესაც ხდებოდა შემთხვევების დაფიქსირება, არაფერი ადასტურებდა, რომ პოლიციის ოფიცრები ახდენდნენ „სასიკვდილო საფრთხის შეფასებას“ დამოუკიდებელი, პროაქტიური და ყოვლისმომცველი გზით. პოლიციის ოფიცრებმა არ მიანიჭეს საკმარისი მნიშვნელობა ძალადობის პოტენციურად მაპროვოცირებელ ფაქტორებს, როგორებიცაა: L.M.-ს ალკოჰოლზე დამოკიდებულება, მისი პათოლოგიური ეჭვიანობა და ა.შ. ამასთანავე, სახელმწიფომ მხედველობაში არ მიიღო, როგორ აღიქვამდა მსხვერპლი საფრთხეს. პოლიციამ ამჯობინა, შემთხვევა დაეკვალიფიცირებინა „უმნიშვნელო ოჯახურ კინკლაობად“ (minor family altercation).

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ, მიუხედავად იმისა, ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო ითვალისწინებდა მოძალადის მიმართ დროებით შემზღუდველ ღონისძიებებს, როგორებიცაა დამცავი და შემაკავებელი ორდერები, შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა საერთოდ არ გამოიყენეს ეს ღონისძიებები. მეტიც, არც მოსარჩელისათვის და არც მისი შვილისათვის პოლიციას არ გაუწევია კონსულტაცია მათი საპროცესო უფლებების შესახებ და მათთვის ხელმისაწვდომი სხვადასხვა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული დაცვითი ღონისძიების შესახებ. პირიქით, პოლიციელებმა შეცდომაში შეიყვანეს ისინი იმით, რომ უთხრეს, არ შეეძლოთ მოძალადის დაკავება ან სხვა შემზღუდველი ღონისძიების გატარება.

M.T.-სა და მოსარჩელეს მიერ განმეორებით წარდგენილი არაერთი საჩივრის გათვალისწინებით, არსებობდა მრავალი მტკიცებულება, რომლებიც ამართლებდა სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების დაწყებას L.M.-ის წინააღმდეგ, რაც შეესაძლებელს გახდიდა მის მოთავსებას წინასწარ პატიმრობაში. სასამართლოს აზრით, დასანანია, რომ სამართალდამცველმა ორგანოებმა არ გააკეთეს ეს.

ზოგადად ქვეყანაში, ოჯახში ძალადობის საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების გატარება, რამაც ძირი გამოუთხარა მოსარჩელისა და მისი შვილის უფლებებს, ესარგებლათ თანაბარი დაცვით კანონის წინაშე. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება (არსებით ნაწილში).[1229]

ასევე საინტერესოა საქმე *A და B საქართველოს წინააღმდეგ (A and B v. Georgia)*,[1230] რომელშიც სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო პოლიციის ოფიცრის მიერ გენდერული ნიშნით ძალადობის თავიდან აცილება და საქმის ეფექტიანი

1229 ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში.

1230 10 თებერვალი, 2022 წელი.

გამოძიება. ამ საქმეში მოსარჩელეები იყვნენ C-ს დედა და შვილი. C-ს სიცოცხლე მოსპო მისმა პარტნიორმა (D-მ), რომელიც იყოს პოლიციის ოფიცერი. რამდენიმე წლის განმავლობაში C-მ და მისმა ოჯახმა არაერთხელ შეატყობინეს პოლიციას D-გან მომდინარე ძალადობის ფაქტების შესახებ, რომელსაც თავისი პარტნიორის მკვლელობის გამო სასჯელი შეეფარდა. პირველი მოსარჩელე, თავისი და მეორე მოსარჩელის სახელით, ასაჩივრებდა იმას, რომ პოლიციის ოფიცრებმა და პროკურორებმა ვერ შეძლეს C-ს სიცოცხლის უფლების დაცვა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მსხვერპლის სიცოცხლისათვის არსებული საფრთხისა და შექმნილი სიტუაციის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ იცოდა C-ს სიცოცხლისათვის შექმნილი რეალური და მყისიერი საფრთხის შესახებ, სახელმწიფომ არ გაატარა შემაკავებელი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფდა C-ს დაცვას. ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სამართალდამცავი ორგანოების პასიურობა კიდევ უფრო შემაშფოთებელი იყო იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოძალადე თავად იყო პოლიციის ოფიცერი, რომელიც თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას ბოროტად იყენებდა C-თან მიმართებით. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ პოლიციამ არა მხოლოდ არ აღკვეთა მოძალადის დაუსჯელობისა და უკანონობის დემონსტრირება, არამედ ნება დართო მას, მონაწილეობა მიეღო C-ს დაკითხვაში და მალე ის დააწინაურეს კიდეც.[1231]

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა: ეს საქმე არის იმის აშკარა მაგალითი, რომ ოჯახში ძალადობის მტკიცებასთან მიმართებით სამართალდამცავი ორგანოების ზოგადმა და დისკრიმინაციულმა პასიურობამ შეიძლება შექმნას კლიმატი, რომელიც ხელს შეუწყობს, კიდევ უფრო გავრცელდეს მსხვერპლის წინააღმდეგ ძალადობა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქალები არიან. მიუხედავად სხვადასხვა შემაკავებელი ღონისძიების ხელმისაწვდომობისა, ხელისუფლებამ არ მოახდინა გენდერული ნიშნით ძალადობის თავიდან აცილება მოსარჩელეთა ოჯახის წევრის მიმართ, რამაც გამოიწვია მისი სიკვდილი. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულება არსებით ნაწილში, კონვენციის მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) მიმართებით.[1232]

საქართველოში ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული მესამე საქმის – *გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ (Gaidukevich v. Georgia)* – *მიხედვით*, გარდაცვალებამდე ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მოსარჩელის შვილმა თექვსმეტჯერ შეიტანა საჩივარი პოლიციაში თავისი პარტნიორი მამაკაცის წინააღმდეგ.

როგორც ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, „საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ცამეტ შემთხვევაში პოლიციამ დაუყოვნებლივი რეაგირება მოახდინა და გაგზავნა პატრულის ეკიპაჟი. სამ შემთხვევაზე გამოიცა შემაკავებელი ორდერი,

---

1231 48-ე პუნქტი.

1232 49-ე პუნქტი. ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა სახელმწიფოს მიერ მე-2 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულების დარღვევა საპროცესო ნაწილში, კონვენციის მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) მიმართებით. 46-ე პუნქტი. ასევე იხ. *Y და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (Y and Others v. Bulgaria)*, 22 მარტი, 2022 წელი; *ლანდი იტალიის წინააღმდეგ (Landi v. Italy)* (7 აპრილი, 2022 წელი), რომელშიც მოძალადე ქმარმა დაჭრა თავისი ცოლი და მოკლა ერთი წლის შვილი.

რომლებიც, როგორც ჩანს, გ.კ-ს არ დაურღვევია, თუმცა, სულ მცირე, სამ შემთხვევაზე, სასწრაფო დახმარების გამოძახებიდან მალევე, ა.ლ-მ უარი თქვა დახმარებაზე და პოლიციამ აღარ გამოიძია მისგან შემოსული შეტყობინებები. სტრასბურგის სასამართლო ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა განსაკუთრებით დაუცველი სიტუაციის გამო, საკანონმდებლო ბაზა უნდა აძლევდეს ხელისუფლებას უფლებამოსილებას, გამოიძიოს ოჯახში ძალადობის შემთხვევები საკუთარი ინიციატივით, როგორც საჯარო ინტერესი. ამრიგად, პირის მიერ სისხლის სამართლის საჩივრის შეტანის შეუძლებლობამ ან შეტანილი საჩივრის უკან გამოხმობამ ხელი არ უნდა შეუშალოს ხელისუფლებას, დაიწყოს ან განაგრძოს სისხლისსამართლებრივი დევნა სავარაუდო დამნაშავის მიმართ, ასევე ხელისუფლება არ უნდა გათავისუფლდეს მოვალეობისგან, შეაფასოს სიტუაციის სიმძიმე შესაბამისი გამოსავლის ძიების მიზნით".[1233]

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების ამ ასპექტის მხედველობაში მიღება როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ისე პრაქტიკის შემდგომი დახვეწის თვალსაზრისით.

პრაქტიკაში წარმოშობილ ერთ-ერთ პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება საქართველოს სახალხო დამცველმა თავის ყოველწლიურ ანგარიშში, რომლის მიხედვით, „განსაკუთრებულ პრობლემად გამოიკვეთა არასათანადო საფუძვლით ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ზოგიერთ საქმეში რისკის შეფასებაზე უარის თქმა".[1234] კერძოდ, ანგარიშის მიხედვით, „საქართველოს კანონმდებლობა რისკის შეფასების დოკუმენტის შესავსებად რაიმე სახის სამართლებრივ საფუძველს არ ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, შესწავლილი საქმეების შედეგად დადგინდა, რომ პრაქტიკაში რისკის შეფასების დოკუმენტის შესავსებად სამართლებრივ საფუძველს ითხოვენ და ძალადობის მსხვერპლი ქალების გამოკითხვის შემდგომ წყვეტენ, შეავსონ თუ არა რისკის შეფასების დოკუმენტი და, შესაბამისად, გამოსცენ თუ არა შემაკავებელი ორდერი."[1235] ცხადია, რომ საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვს ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის შემთხვევაზე რეაგირებისას ასეთი კითხვარის შევსებას და მისი შევსება არ არის დამოკიდებული პოლიციელის დისკრეციაზე, შეავსოს თუ არა ძალადობის რისკის შეფასების დოკუმენტი. ამას კი შეიძლება შედეგად მოჰყვეს ძალადობის რისკების შეუფასებლობა, თანმხლები შედეგებით.[1236]

დასკვნის სახით, აღსანიშნავია, რომ, როგორც გაირკვა, საქართველოში ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის თვალსაზრისით, არსებობს არა მოქმედი კანონმდებლობის ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან შეუსაბამობის პრობლემა, არამედ ამ სტანდარტების არაეფექტიანი შესრულების პრობლემა. ამიტომ უნდა გატარდეს ღონისძიებები ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის მიმართ შინაგან

1233 ამონარიდი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან ქართულ ენაზე, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [https://www.supremecourt.ge], 71-ე პუნქტი.

1234 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, იხ.: [https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf], 201.

1235 იქვე, სქოლიო 600.

1236 იქვე, 201, ასევე, სქოლიო 600; ასევე იხ., სახელმწიფოს რეაგირება გენდერულად მოტივირებულ ძალადობაზე საქართველოში: კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, 2024, იხ.: [https://gyla.ge/files/genderi_geo.pdf], 92.

საქმეთა სამინისტროს საქმიანობაში წარმოშობილი იმ ხარვეზების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრისათვის, რომლებიც იწვევს ევროპული სასამართლოს სტანდარტების დარღვევას.

გარდა ამ ხარვეზების აღმოფხვრისა, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად მნიშვნელოვანია, გააქტიურდეს ცნობიერების ამაღლების კამპანია ზოგადად მოსახლეობაში. ამის საჭიროება გამომდინარეობს თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ ძალადობის მსხვერპლ ქალებს შორის პოლიციას დახმარებისათვის მიმართა ქალების მხოლოდ 11,8 პროცენტმა.[1237] ამიტომ ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანად საბრძოლველად აუცილებელია, რომ აქტიურად წარიმართოს ცნობიერების ამაღლების კამპანია საზოგადოების წევრებისათვის ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის მექანიზმებზე ინფორმაციის მისაწოდებლად, რაც დაარწმუნებს მათ ძალადობის მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრის საჭიროებაში და მოქმედი მექანიზმების ეფექტიანობასა და სანდოობაში.

6.2.2. ადევნება

ა) კანონმდებლობა

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც საჭიროებს ნორმატიულ რეგულირებას, არის კერძო პირის მიერ სხვა პირის ადევნება. ეს ის სიტუაციაა, რომელიც აღწერილია ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში – *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)*. ამ საქმეში სკოლის მოსწავლე გახდა მასწავლებლის ადევნების ობიექტი, რაც, საბოლოოდ, დასრულდა სკოლის მასწავლებლის მიერ მოსწავლის მამის მკვლელობით და თავად მოსწავლის დაჭრით.[1238]

ამ საკითხის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151[1](1)-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ადევნებისათვის. კერძოდ, კოდექსის მიხედვით, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალი ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ან ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედება, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ვადით ანდა თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ვადით, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

1237 ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, 2022 იხ.: [https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated_vaw_geo_web4-3.pdf], 136.

1238 დიდი პალატა, 1998 წლის 28 ოქტომბერი.

ბ) პრაქტიკა

მასმედიაში არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს პრაქტიკაში ადევნების მარეგულირებელი კანონმდებლობის განხორციელების სირთულეებზე.[1239]

6.2.3. მოწმეთა დაცვის სისტემა

ა) კანონმდებლობა

კერძო პირისაგან სხვა კერძო პირის სიცოცხლის დაცვასთან დაკავშირებული ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, საჭიროებს სამართლებრივ რეგულირებას, არის მოწმის დაცვა.[1240] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის 93(1)-ე მუხლით, მოწმედ, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილედ, შეიძლება გამოძახებულ იქნეს ნებისმიერი პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემები.[1241]

სისხლის სამართლის კოდექსის 109^{1}(3)-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლე (სასამართლო) პროკურორის შუამდგომლობით უფლებამოსილია, გამოიყენოს პროცესის მონაწილეთა დაცვის ერთი ან რამდენიმე შემდეგი სპეციალური ღონისძიება, მათ შორის „მართლსაწინააღმდეგო მოსპობისათვის ფიზიკური დაცვის სპეციალური ღონისძიება“. ამავე მუხლის მე-4 პუნქტით, ასევე პროკურორია უფლებამოსილი, გამოიტანოს დადგენილება პროცესის მონაწილის დაცვის შემდეგი სახის სპეციალური ღონისძიების გამოყენებაზე, მათ შორის მართლსაწინააღმდეგო მოსპობისაგან ფიზიკური დაცვის სპეციალური ღონისძიება.

კოდექსის მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა, მათ შორის მოწმეთა დაცვის სპეციალური ღონისძიების განხორციელების ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.[1242] მოსამართლის გადაწყვეტილება დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ არის საჯარო.[1243]

ამას გარდა, საქართველოს სპეციალური საგამოძიებო სამსახური, რომელსაც ეკისრება ვალდებულება, ეფექტიანად გამოიძიოს სამართალდამცავების მიერ ჩადენილი შესაძლო არასათანადო მოპყრობის საქმეები, უფლებამოსილია, მოწმის მიმართ გამოიყენოს დაცვის სპეციალური ღონისძიება.[1244] კანონის მიხედვით, სპეციალური საგამო-

---

1239 პრაქტიკაში იყო ადევნების რამდენიმე შემთხვევა: „თვითმკვლელობამდე მიყვანის და ადევნების ფაქტებზე პროკურატურამ ერთ პირს ბრალდება წარუდგინა“, 25 აპრილი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/796793-tvitmkvlelobamde-miqvanis-da-adevnebis-paktebze-prokuraturam-ert-pirs-braldeba-carudgina]; „პროკურატურამ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სოფლის საჯარო სკოლის პედაგოგს ადევნების ფაქტზე ბრალდება წარუდგინა“, 30 იანვარი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/785634-prokuraturam-terjolis-municipalitetis-ert-erti-soplis-sajaro-skolis-pedagogs-adevnebis-paktze-braldeba-carudgina].

1240 *A და B რუმინეთის წინააღმდეგ (A and B v. Romania),* 2 ივნისი, 2020 წელი. ასევე იხ. *R.R. უნგრეთის წინააღმდეგ (R.R. v. Hungary)*, 4 დეკემბერი, 2012 წელი.

1241 ლ. გვრიტიშვილი, მოწმეთა დაცვის სპეციალური პროგრამა, თბილისი, 2012 წ.

1242 კოდექსის 109^{1}(8)-ე მუხლი.

1243 კოდექსის 109^{5}-ე მუხლი.

1244 კანონი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ, 21 ივლისი, 2018 წელი, მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

ძიებო სამსახურის უფროსის მოადგილეს მიენიჭა უფლებამოსილება, დასაბუთებული წერილობითი წინადადებით მიმართოს ზედამხედველ პროკურორს და მოითხოვოს სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მონაწილის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა. დაცვის სპეციალური პროგრამის ასამოქმედებლად სამსახურმა შეიმუშავა სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს რისკების შეფასების კითხვარის შევსებას. ამ კითხვარისა და საქმის მასალების საფუძველზე გამოძიებამ შეიძლება დაასკვნას, რომ არსებობს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საფუძვლები, რის გამოც გატარდება შესაბამისი ღონისძიებები დაცვის სპეციალურ პროგრამაში შესაბამისი პირის დაუყოვნებლივ ჩასართავად.

საქართველოს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში ამოქმედდა დაცვის სპეციალური პროგრამა. სამსახურის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტის საფუძველზე ყველა სისხლის სამართლის საქმეში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი სავალდებულო წესით პოტენციურ მსხვერპლს დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართვას შესთავაზებს და მისი თანხმობის შემთხვევაში, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, სამსახური რისკებს შეაფასებს. თუ გამოძიება დაასკვნის, რომ არსებობს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საფუძვლები, იგი ამის შესახებ შესაბამის უწყებებს მიმართავს, რათა დაცვის სპეციალურ პროგრამაში მსხვერპლი დაუყოვნებლივ ჩაერთოს. ეს პროგრამა ითვალისწინებს პირადი დაცვის დანიშვნას, განგაშზე გამოძახებას, საცხოვრებელი ადგილის დროებით შეცვლას ან მის მიმართ უსაფრთხოების სხვა ღონისძიებების გატარებას.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური უფლებამოსილია, პროცესის მონაწილეთა მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების საჭიროება შეაფასოს, ხოლო სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილეს მიენიჭა უფლებამოსილება, ღონისძიების გამოყენების შესახებ დასაბუთებული წინადადებით საქართველოს პროკურატურას მიმართოს.[1245]

ბ) პრაქტიკა

როგორც აღინიშნა, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა შეიმუშავა მსხვერპლთა და მოწმეთა უსაფრთხოებისათვის დაცვის სპეციალური პროგრამა.[1246] მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციიდან გამომდინარე, პრაქტიკაში რაიმე პრობლემა ამ თვალსაზრისით არ გამოკვეთილა.

6.2.4. დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაული

ა) კანონმდებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ერთ-ერთი საკითხი, რომელიც საჭიროებს საკანონმდებლო მოწესრიგებას, ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულია. საყურადღებოა, რომ

1245 იხ.: [https://sis.gov.ge/media/specialur-sagamodziebo-samsaxurshi-arasatanado-mopyrobis-msxverpltatvis-dacvis-specialuri-programa-amoqmeda].

1246 „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ცნობით, მსხვერპლთა და მოწმეთა უსაფრთხოებისთვის დაცვის სპეციალური პროგრამა ამოქმედდა“, 5 ოქტომბერი, 2023 წ., იხ.: [https://europetime.eu/ka/article/42959-specialuri-sagamodziebo-samsaxuris-cnobit,-msxverplta-da-moshmeta-usafrtxoebistvis-dacvis-specialuri-programa-amoqmedda], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

ეს საკითხი საჭიროებს საკანონმდებლო რეგულირებას არა მხოლოდ კერძო პირისაგან, არამედ სახელმწიფოს წარმომადგენლისაგან მომდინარე საფრთხის შემთხვევაში.

დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულის მიმართ სახელმწიფოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება, რაც იმითაც გამოიხატება, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფომ საქმის გამოძიება უნდა ჩაატაროს არა მხოლოდ სიცოცხლის მოსპობისათვის, არამედ, ასევე, როგორც დისკრიმინაციული საფუძვლით ჩადენილი დანაშაულისათვის.[1247] ცხადია, რომ ამისათვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობა.

რაც შეეხება საქართველოში დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულის საკანონმდებლო რეგულირებას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში) „ზ“ ნაწილი ითვალისწინებს განზრახ მკვლელობას ისეთი დისკრიმინაციული საფუძვლებით, როგორებიცაა: რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობა. კოდექსის 109-ე მუხლის „ზ“ ნაწილში მითითებული დისკრიმინაციული საფუძველი ეხება მხოლოდ რასობრივ, რელიგიურ, ეროვნულ ან ეთნიკურ შეუწყნარებლობას, რაც, ცხადია, განზრახ მკვლელობის შეზღუდული დისკრიმინაციული საფუძვლებია და არ მოიცავს სხვა დისკრიმინაციულ საფუძვლებს.[1248] აუცილებელია, კოდექსით დადგინდეს დებულება, რომელიც გავრცელდება დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ ყველა დანაშაულზე, კერძოდ, როგორც მკვლელობაზე, ისე სხვა დანაშაულზე, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს.

მნიშვნელოვანია, რომ 2020 წელს დაიდო მემორანდუმი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ, რომელმაც შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოების თანამედროვე სისტემა დააარსა. თავდაპირველად მემორანდუმი გაფორმდა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს, უზენაეს სასამართლოსა და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის.[1249] 2023 წელს მემორანდუმი განახლებული ფორმით დაიდო და მასში ჩაერთო საქართველოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურიც, რაც განპირობებული იყო „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის“ შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებით, რომლის მიხედვით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო მანდატი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე გავრცელდა.[1250]

ბ) პრაქტიკა

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოში გაიზარდა დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის

1247 *სტოიანოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Stoyanova v. Bulgaria),* 14 ივნისი, 2022 წელი.

1248 ასევე იხ. კოდექსის 53^1-ე მუხლი.

1249 „ურთიერთთანამშრომლობის ოთხმხრივი მემორანდუმი“, 23 სექტემბერი, 2020 წელი, იხ.: [https://www.geostat.ge/ka/single-news/1941/urtierttanamashromlobis-otkhmkhrivi-memorandumi].

1250 „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა“, 31 ოქტომბერი, 2023 წელი, იხ.: [https://pog.gov.ge/news/diskriminaciis-nishniT-sheuwynareblobis-motiviT-chadenili-danashaulis-statistikis-warmoebisa-da-erTi].

მაჩვენებელი. ამას მოწმობს როგორც კონკრეტული ფაქტები,[1251] ისე სტატისტიკა.[1252] შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგადი მონაცემებით, დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2023 წელს აღრიცხულია სავარაუდო დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილი 1806 სისხლის სამართლის საქმე, საიდანაც 1653 საქმეში იკვეთება გენდერის ნიშანი; 2022 წელს აღრიცხულია სავარაუდო დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილი 1802 სისხლის სამართლის საქმე, საიდანაც 1579 საქმეში იკვეთება გენდერის ნიშანი; 2021 წელს აღრიცხულია სავარაუდო დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილი 1703 სისხლის სამართლის საქმე, საიდანაც 1394 საქმეში იკვეთება გენდერის ნიშანი.[1253]

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, პრობლემად რჩება ლგბტ+ თემის წარმომადგენლების მიმართ დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნა.[1254] არსებული ინფორმაციით, ამ თემის წარმომადგენ-

---

1251 „სოფელ ქეშალოში, ყოფილი ცოლის დაჭრისა და მისი მეუღლის მკვლელობის ფაქტებზე ბრალდებულს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა“, 26 აპრილი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/796929-sopel-keshaloshi-qopili-colis-dachris a-da-misi-meuglis-mkvlelobis-paktebze-braldebuls-18-clit-tavisuplebis-agkveta-miesa ja]; „ბოლნისში, გენდერის ნიშნით მეუღლის მკვლელობაში ბრალდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა“, 28 თებერვალი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews. ge/ka/article/789506-bolnisshi-genderis-nishnit-meuglis-mkvlelobashi-braldebuls-uva do-tavisuplebis-agkveta-miesaja]; „ავტობუსში ქმრის მიერ მოკლული ქალის საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოში სხდომა გაიმართება“, 29 ნოემბერი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/779529-avtobusshi-kmris-mier-mokluli-kalis-s akmeze-tbilisis-saapelacio-sasamartloshi-sxdoma-gaimarteba]; „14 წლის აითაჯ შახმაროვას მკვლელობის საქმეზე დაკავებულ მამაკაცს ბრალდება არასრულწლოვნის გაუპატიურების მუხლით დაუმძიმდა“, 27 ნოემბერი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews. ge/ka/article/779123-14-clis-aitaj-shaxmarovas-mkvlelobis-sakmeze-dakavebul-mam akacs-braldeba-arasrulclovnis-gaupatiurebis-muxlit-daumzimda]; „პროკურატურამ 31 წლის მამაკაცს, რომელიც ყოფილი მეუღლის დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზეა დაკავებული, ბრალდება წარუდგინა“, 7 ივნისი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/758944-prokuraturam-31-clis-mamakacs -romelic-qopili-meuglis-damamzimebel-garemoebashi-chadenili-ganzrax-mkvlelobis-pa ktzea-dakavebuli-braldeba-carudgina].

1252 საყურადღებოა, რომ საქართველოს 2020 წლამდე არ გააჩნდა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სტატისტიკის წარმოების ერთიანი მეთოდოლოგია. იხ. დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანალიზი, საანგარიშო პერიოდი: 2021 და 2022 წლები, 6.

1253 იქვე. „ვახტანგ გომელაური – შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მანდატის ზრდა იგეგმება“, 19 აპრილი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/796035-vaxtang -gomelauri-shinagan-sakmeta-saministros-adamianis-uplebata-dacvisa-da-gamoziebis -xarisxis-monitoringis-departamentis-mandatis-zrda-igegmeba].

1254 წლიური ანგარიში, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2024, 32-33; „კოალიცია თანასწორობისთვის“ ეხმიანება თბილისში ტრანსგენდერ ქალებზე ჯგუფური თავდასხმის ფაქტს“, 31 მაისი, 2022 წ., იხ.: [https:// socialjustice.org.ge/ka/products/koalitsia-tanastsorobistvis-ekhmianeba-tbilisshi-trans gender-kalebze-jgufuri-tavdaskhmis-fakts]; „სახალხო დამცველმა დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ხარვეზებთან დაკავშირებით საგამო-

ლების მიმართ დანაშაულის ჩადენისას, ზოგიერთ შემთხვევაში, არ იკვეთება დისკრიმინაციული მოტივი, რაც განპირობებულია საზოგადოებაში და, მათ შორის, საგამოძიებო ორგანოების თანამშრომლებს შორის არსებული გენდერული სტერეოტიპებით.[1255] მიუხედავად ამისა, ბოლოდროინდელი კვლევები ადასტურებს, რომ არის წინსვლა გენდერული მოტივის გამოკვეთის თვალსაზრისით და, შესაბამისად, გაიზარდა გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი.[1256] ეს დადებითი ტენდენცია განპირობებულია ამ დანაშაულების მიმართ პროაქტიური დამოკიდებულებით, მათ შორის პროკურორებსა და შსს-ს წარმომადგენლებს შორის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ ცნობიერების ამაღლებით.[1257]

გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლის ზრდის დადებითი ტენდენციის გაგრძელებისათვის აუცილებელია, რომ, როგორც საქართველოს პროკურატურაში, ისე შსს-ში გადაიდგას შემდგომი ნაბიჯები გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოვლენის მიზნით, საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. ასევე აუცილებელია, რომ გატარდეს ღონისძიებები ლგბტ+ ჯგუფის მიმართ საზოგადოებაში არსებული ნეგატიური დამოკიდებულებების, სტიგმისა და წინასწარგანწყობების აღმოსაფხვრელად.[1258]

6.3. სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საქმიანობის (სფეროს) მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში

როგორც აღინიშნა, სიცოცხლის უფლების დასაცავად სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, კანონმდებლობით მოაწესრიგოს არა მხოლოდ სახელმწიფოს (სამართალდამცავი ორგანოების) წარმომადგენლების მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და ძალის გამოყენება და კერძო პირისაგან (მესამე მხარისაგან) მომდინარე საფრთხისაგან იდენტიფიცირებული კერძო პირის სიცოცხლის დაცვა, არამედ სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ნებისმიერი სხვა საქმიანობა (სფერო).[1259] სხვა სიტყვებით, სახელმწი-

---

ძიებო ორგანოებს მიმართა“, 20 აგვისტო, 2018 წ., იხ.: [https://ombudsman.ge/geo/skhva-nishani/saxalxo-damcvelma-diskriminaciuli-motivit-chadenili-danashaulebis-gamodziebis-xarvezebtan-dakavshirebit-sagamodziebo-organoebs-mimarta].

1255 სახელმწიფოს რეაგირება გენდერულად მოტივირებულ ძალადობაზე საქართველოში: კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, 2024 წ., იხ.: [https://gyla.ge/files/genderi_geo.pdf], 97.

1256 სახელმწიფოს რეაგირება გენდერულად მოტივირებულ ძალადობაზე საქართველოში: კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, 2024 წ., იხ.: [https://gyla.ge/files/genderi_geo.pdf], 97; დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, 2023, 1, იხ.: [https://www.geostat.ge/media/60697/diskriminacia_2023.pdf].

1257 ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველი, 2021, 22, იხ.: [https://www.ombudsman.ge/res/docs/202204291434-3766642.pdf].

1258 იქვე.

1259 ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ *(Oneryildiz v. Turkey)*, დიდი პალატა, 30 ნოემბერი, 2004 წელი, 89-ე პუნქტი.

ფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც მიზნად ისახავს გონივრული ნაბიჯების გადადგმას სიცოცხლის მოსპობის თავიდან ასაცილებლად. სახელმწიფომ თავად უნდა განსაზღვროს, რომელია ისეთი საქმიანობა (სფერო), რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს და დაადგინოს საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც მიმართული იქნება სიცოცხლის მოსპობის თავიდან აცილებისაკენ.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საქმიანობის (სფეროს) მოწესრიგება მოიცავს ასეთი საქმიანობის ლიცენზირების, წარმართვის, განხორციელების, უსაფრთხოების დაცვისა და მისი ზედამხედველობის წესების დადგენას, რომლებიც სავალდებულო უნდა იყოს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დაწესებულებებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ამგვარ საქმიანობას, რათა მათ გადადგან პრაქტიკული ნაბიჯები და უზრუნველყონ ამ საფრთხეებისაგან პირთა ეფექტიანი დაცვა.[1260] აქედან გამომდინარე, ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საქმიანობის (სფეროს) მოწესრიგება საჭიროებს უსაფრთხოების სტანდარტების დადგენას, დაცვასა და მათ შესრულებაზე ზედამხედველობას.

ამ სტანდარტების შესრულებაზე ზედამხედველობით შესაძლებელი უნდა იყოს ნაკლოვანებების აღმოფხვრა და პასუხისმგებელი პირების დადგენა, რომლებმაც დაუშვეს შეცდომა ამ სტანდარტების დაცვისას.[1261] ამ სტანდარტების დაცვა უნდა იყოს უზრუნველყოფილი არა მხოლოდ საქმიანობის (მაგ., საწარმოო საქმიანობის) დაწყების პერიოდში, არამედ უნდა მოხდეს მათ დაცვაზე პერიოდული ზედამხედველობა.[1262]

მართალია, არ არსებობს სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საქმიანობის (სფეროს) საყოველთაოდ აღიარებული ჩამონათვალი, ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ ნათელი მოჰფინა ზოგიერთ ასეთ საქმიანობას (სფეროს). ევროპული სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე, ნაშრომში განიხილება შესაბამისი საქმიანობის (სფეროს) საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში. აქედან გამომდინარე, ნაშრომის ამ ნაწილში განიხილება საქართველოში ისეთი საქმიანობის (სფეროს) საკანონმდებლო რეგულირება, როგორებიცაა: საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა, თავისუფლებააღკვეთილი პირებისა და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების სიცოცხლის დაცვა; სიცოცხლის დაცვის ვალდებულება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში; საფრთხის შემცველი საწარმოო საქმიანობა, ბუნებრივი კატაკლიზმები და უბედური შემთხვევები.

6.3.1. საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში

ა) კანონმდებლობა

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გაატაროს სიცოცხლის დაცვისაკენ მიმართული ღონისძიებები არა მხოლოდ მაშინ, როდესაც საფრთხე ექმნება იდენტიფიცირებული პირის სიცოცხლეს სხვა კერძო

1260 იქვე, 90-ე პუნქტი.

1261 იქვე.

1262 ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ *(Oneryildiz v. Turkey)*, დიდი პალატა, 30 ნოემბერი, 2004 წელი, 109-ე პუნქტი.

პირის (მესამე მხარის) მიერ, არამედ მაშინაც, როდესაც პოტენციური საფრთხე ექმნება, ზოგადად, საზოგადოების წევრების სიცოცხლეს.[1263]

ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ყურადღება გამახვილდეს სახელმწიფოს მიერ საზოგადოების წევრების სიცოცხლისათვის იმ საფრთხის თავიდან აცილების საკანონმდებლო რეგულირებაზე, რომელიც მომდინარეობს როგორც პირობით ვადამდე განთავისუფლებული პატიმრებისაგან, ისე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისაგან.

ნაშრომში თავდაპირველად განიხილება საზოგადოების წევრების სიცოცხლისათვის იმ საფრთხის თავიდან აცილების საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც მომდინარეობს პირობით ვადამდე განთავისუფლებული პატიმრებისაგან. აქ მთავარი საკითხია, დაეკისრება თუ არა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სიცოცხლის უფლების დარღვევისათვის, თუ პირობით ვადამდე განთავისუფლებულმა პატიმარმა მოსპო სხვა ადამიანის სიცოცხლე? ამ საკითხთან დაკავშირებულია მტკიცება, რომ მკვლელობა არ მოხდებოდა, თუ პატიმარი იქნებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში და სახელმწიფო არ მისცემდა პატიმარს პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლებას.

როგორც აღინიშნა, ევროპული სასამართლოს პოზიციით, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სიცოცხლის მოსპობისათვის მხოლოდ მაშინ დადგება, თუ პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლებამდე სახელმწიფო ყველაფერს არ გააკეთებს, რაც მას გონივრულად შეუძლია საზოგადოების წევრების სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. კერძოდ, საქმეზე – *მასტრომატეო იტალიის წინააღმდეგ (Mastromatteo v. Italy)* – ევროპული სასამართლოს აზრით, პატიმრების განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღეს იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომლის მიხედვით, პატიმრების ქცევა დადებითად შეფასდა, და სახელმწიფოს ხელთ არსებული ინფორმაცია არაფერს მიუთითებდა, რომ მათი განთავისუფლების ფაქტი შექმნიდა საფრთხეს სხვა ადამიანის სიცოცხლისათვის. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების ფაქტი არ არის საკმარისი სახელმწიფოსათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის. თუ სახელმწიფომ უზრუნველყო საკმარისი დაცვითი ღონისძიებების გატარება საზოგადოების წევრებისათვის, ეჭვის ქვეშ არ დადგება სახელმწიფოს მიერ სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულების შესრულება.[1264]

თავის პრაქტიკაში ევროპულმა სასამართლომ სხვა საქმეზეც იმსჯელა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხზე, პირობით ვადამდე განთავისუფლებული პატიმრის მიერ სხვა პირის მკვლელობისათვის.[1265] ამ საქმეშიც ევროპულმა სასამართლომ შეაფასა, ითვალისწინებდა თუ არა სახელმწიფოს, მათ შორის საკანონმდებლო ხელისუფლების, მიერ დადგენილი პირობით ვადამდე განთავისუფლების სისტემა, ზოგადად, საზოგადოების საკმარის დაცვას იმ პირების პოტენციური ქმედებისაგან, რომლებიც იხდიან სასჯელს ძალადობრივი დანაშაულისათვის. კერძოდ, სასამართლომ იმსჯელა, გააკეთა თუ არა ყველაფერი სახელმწიფომ, რაც მას შეეძლო, ამ საფრთხის თავიდან

1263 *ბლაკაი და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ (Bljakaj and Others v. Croatia), 18 სექტემბერი, 2014 წელი, 108-ე პუნქტი; ჩევრიოღლუ თურქეთის წინააღმდეგ (Cevrioglu v. Turkey),* 4 ოქტომბერი, 2016 წელი, 50-ე პუნქტი; *ვარდოსანიძე საქართველოს წინააღმდეგ (Vardosanidze v. Georgia),* 7 მაისს, 2020 წელი.

1264 *მასტრომატეო იტალიის წინააღმდეგ (Mastromatteo v. Italy)*, დიდი პალატა, 24 ოქტომბერი, 2002 წელი, 76-ე პუნქტი.

1265 *ჩორეფტაკისი და ჩორეფტაკი საბერძნეთის წინააღმდეგ (Choreftakis and Choreftaki v. Greece),* 17 იანვარი, 2012 წელი.

ასაცილებლად. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, პატიმრის არასათანადო ქცევა იყო ერთადერთი კრიტერიუმი, რომლითაც კომპეტენტურ ეროვნულ სასამართლოს შეეძლო გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, რომ უარი ეთქვა პირობით განთავისუფლებაზე. ამ კონკრეტულ საქმეში კი პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ პირობით ვადამდე განთავისუფლებული პატიმრის ქცევა შეაფასა როგორც „ძალიან კარგი“.

ევროპული სასამართლოს პოზიციით, მოცემულ საქმეზე ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დასადგენად კანონი არასწორად უნდა ყოფილიყო გამოყენებული, თუმცა სასამართლომ ვერ დაადგინა კანონმდებლობის არასწორი გამოყენება. ამასთანავე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფოში მოქმედი პირობით ვადამდე განთავისუფლების სისტემას არ დაურღვევია ბალანსი სოციალურ რეინტეგრაციასა და დანაშაულის განმეორების თავიდან აცილებას შორის და ის საკმარისად უზრუნველყოფდა საზოგადოების დაცვას ძალადობრივ სისხლისსამართლებრივ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა ქმედებისაგან. აქედან გამომდინარე, ევროპულ სასამართლოს არ დაუდგენია კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევა.[1266]

ამის საწინააღმდეგოდ, საინტერესოა საქმე *მაიორანო და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Maiorano and Others v. Italy)*. იგი ეხებოდა ისეთი პატიმრის განთავისუფლებას დღის განმავლობაში, რომელიც არღვევდა პენიტენციური დაწესებულების შიდა წესებს, ჰქონდა მიდრეკილება დაუმორჩილებლობისაკენ, ისევე როგორც ჰქონდა წესების სხვა დარღვევები, ხოლო ციხის ინფორმატორმა განაცხადა, რომ პატიმარი გეგმავდა მკვლელობას და სხვა მძიმე დანაშაულს, რაც გამოძიებამ მოგვიანებით დაადასტურა.[1267] აქედან გამომდინარე, მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება სოციალური რეაბილიტაციის შესახებ იყო საეჭვო, რის გამოც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.

ამ საქმეების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სახელმწიფოს შეუძლია პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლება პატიმრობიდან, როგორც საზოგადოებაში რეინტეგრაციისაკენ მიმართული ნაბიჯი. მიუხედავად ამისა, ვინაიდან შეიძლება არსებობდეს საფრთხე საზოგადოების წევრების სიცოცხლისათვის, სახელმწიფო სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ამ საკითხს. ამისათვის კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს საკმარისი დაცვითი მექანიზმის არსებობა საზოგადოების წევრების სიცოცხლისათვის. პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაითვალისწინოს მრავალი ფაქტორი, მათ შორის: იყო თუ არა პატიმრის ქცევა კარგი, მოიხადა თუ არა პატიმარმა მინიმალური სასჯელი და მისი პირობით ვადამდე განთავისუფლება იქნება თუ არა საფრთხის შემცველი საზოგადოების წევრების სიცოცხლისათვის.[1268]

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების საფუძველზე, მიზანშეწონილია საქართველოში სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლების საკანონმდებლო რეგულირების განხილვა. საქართველოში პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლებას აწესრიგებს პენიტენციური კოდექსი.[1269] კოდექსის 89-ე მუხლის მიხედვით:

1266 მე-60-61-ე პუნქტები.

1267 15 დეკემბერი, 2009 წელი.

1268 J. Gerards, Right to Life, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, P. van Dijk, F. van Hoof, A. van Rijn and L. Zwaak (eds.), 5th ed. 2018, 373.

1269 15 დეკემბერი, 2023 წელი.

„1. მსჯავრდებული სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა:
ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის – ვადის არანაკლებ ნახევრისა;
ბ) მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის – ვადის არანაკლებ ორი მესამედისა;
გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის – ვადის არანაკლებ სამი მეოთხედისა;
...
2. მსჯავრდებულის მიერ ფაქტობრივად მოხდილი თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა იყოს 6 თვეზე ნაკლები. ...“

პენიტენციური კოდექსი ასევე ადგენს, რომ სამსახურის ადგილობრივი საბჭო არის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი ორგანო, რომელიც შედგება 5 წევრისაგან.[1270] კოდექსი ასევე განსაზღვრავს საბჭოს გადაწყვეტილების მიღების წესს სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ.[1271] კერძოდ, პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ „შუამდგომლობის განხილვისას საბჭო ითვალისწინებს სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის ქცევას, მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტებს, მსჯავრდებულის პიროვნებას, ოჯახურ მდგომარეობას, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს და სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საბჭოს გადაწყვეტილებაზე.“[1272]

ასევე მიღებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება, რომლითაც, სხვა საკითხებთან ერთად, დადგენილია სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვის წესი.[1273] დებულების მიხედვით, საბჭოს მიზანია მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხელშეწყობა და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა.[1274] სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შეფასების კრიტერიუმები განმარტებულია წესში. კერძოდ, წესის მიხედვით, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შეფასების კრიტერიუმებია:
ა) დანაშაულის ხასიათი;[1275]
ბ) მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში;[1276]

1270 პენიტენციური კოდექსის 90-ე მუხლი.

1271 პენიტენციური კოდექსის 91-ე მუხლი.

1272 პენიტენციური კოდექსის 91(4)-ე მუხლი.

1273 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N320 „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“, 7 აგვისტო, 2018 წელი.

1274 1(2)-ელი მუხლი.

1275 კოდექსით დადგენილია, რომ ამ კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, რა გარემოებაში და რა ვითარებაში იქნა ჩადენილი დანაშაული, ასევე, ჩადენილია თუ არა დანაშაული პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში.

1276 ამ კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის მიმართ რამდენი და რა სახის დისციპლინური, ადმინისტრაციული და წამახალისებელი ღონისძიებები იქნა გამოყენებული, აგრეთვე, კონკრეტულად

გ) მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა;[1277]
დ) ოჯახური პირობები;[1278]
ე) მსჯავრდებულის პიროვნება.[1279]

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა დამაკმაყოფილებლად აწესრიგებს შესაბამის საკითხებს. საქართველოს კანონმდებლობა ადგენს, რომ ქვეყანაში დაშვებულია პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლება, რომლის მიზანია მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხელშეწყობა და საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა. ამასთანავე, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს საკმარის დაცვით მექანიზმს იმისათვის, რომ უზრუნველყოს საზოგადოების წევრების სიცოცხლის დაცვა.

ევროპული კონვენციის სტანდარტების მსგავსად, საქართველოს კანონმდებლობა ადგენს იმ გარემოებებს, რომლებიც სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიღებისას, კერძოდ: მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში, ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა, ოჯახური პირობები, მსჯავრდებულის პიროვნება. ამ გარემოებების საფუძველზე სახელმწიფო აფასებს, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე პატიმრის განთავისუფლება იქნება თუ არა საფრთხის შემცველი საზოგადოების წევრების სიცოცხლისათვის.

ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ საზოგადოების წევრების სიცოცხლისათვის იმ საფრთხის თავიდან აცილების საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც მომდინარეობს ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისაგან. აქ პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: რა ღონისძიებები უნდა გაატაროს სახელმწიფომ ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისაგან საზოგადოების წევრების სიცოცხლის დასაცავად? როგორც ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე განაცხადა, სახელმწიფოს მაშინ დაეკისრება პასუხისმგებლობა სიცოცხლის უფლების დარღვევისათვის, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ საზოგადოების წევრების სიცოცხლე იყო საფრთხეში ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისაგან და მან არ გაატარა გონივრული ღონისძიებები საზოგადოების წევრების სიცოცხლის დასაცავად.

რა სახის ქმედების გამო იქნა ასეთი გადაწყვეტილება მიღებული; ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის პერიოდში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დებულების, დაწესებულების დღის განრიგის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებისა და დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის დაცვის შესახებ ინფორმაციას.

1277 ამ კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს, წარსულში რამდენჯერ, რა სიმძიმის და რა სახის დანაშაულის ჩადენის ფაქტი მოხდა; ასევე იმას, თუ რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისთვის და რამდენჯერ იყო ნასამართლევი მსჯავრდებული.

1278 ამ კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ოჯახის წევრებთან, ჰყავს თუ არა მცირეწლოვანი შვილები, შრომისუუნარო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობას და სხვ.

1279 ამ კრიტერიუმით საქმის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს მსჯავრდებულის დამოკიდებულებას ჩადენილ დანაშაულთან, დაწესებულების მოსამსახურეებსა და სხვა მსჯავრდებულებთან, ინფორმაციას სასჯელის მოხდის პერიოდში სოციალურ აქტივობებში მიღებულის მონაწილეობის შესახებ, საჭიროებს თუ არა განსაკუთრებულ ზედამხედველობას დაწესებულების ხელმძღვანელობის მხრიდან და სხვა მნიშვნელოვანი საკითხებს, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა. იხ. მე-13 მუხლის 1-ელი ნაწილი.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ ნათელი მოჰფინა სახელმწიფოს ვალდებულებას ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისაგან საზოგადოების წევრების სიცოცხლის დასაცავად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. საქმე *ბლაკაი და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ (Bljakaj and Others v. Croatia)* ეხებოდა ფსიქიკური აშლილობის, ასევე ძალადობის ისტორიის მქონე და ალკოჰოლზე დამოკიდებული მამაკაცის მიერ, რომელიც უკანონოდ ფლობდა ცეცხლსასროლ იარაღს, საკუთარი მეუღლის ადვოკატის მკვლელობას.[1280]

ევროპული სასამართლოს შეფასებით, ვინაიდან მამაკაცი ქმნიდა ფსიქიკური აშლილობის მქონე და საშიში ადამიანის შთაბეჭდილებას, რის გამოც მკვლელობამდე იგი იმყოფებოდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, საზოგადოების წევრების სიცოცხლისათვის საფრთხე იყო რეალური და მყისიერი. შესაბამისად, სახელმწიფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამ პირისაგან მომდინარე საფრთხის შესახებ.[1281] სასამართლოს აზრით, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება მოითხოვდა, რომ მას გაეტარებინა გონივრული ღონისძიებები ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის პოტენციური ძალადობრივი მოქმედებისაგან საზოგადოების წევრების სიცოცხლის დასაცავად. ვინაიდან სახელმწიფოს არ გადაუდგამს ასეთი გონივრული ნაბიჯები, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მან დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლი.

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის არანებაყოფლობით მოთავსებას სამედიცინო დაწესებულებაში. კერძოდ, კანონი ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ითვალისწინებს, რომ პირს გაეწევა არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება, როდესაც მას ფსიქიკური აშლილობის გამო არ აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, ამ პირისათვის ფსიქიატრიული დახმარების გაწევა მისი სტაციონარში მოთავსების გარეშე შეუძლებელია და დახმარების დაყოვნება საფრთხეს შეუქმნის საკუთარ ან სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას.[1282]

კანონი ადგენს პირის არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის წესს, პროცედურას და პაციენტის უფლებრივ გარანტიებს.[1283] არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების საჭიროებას განსაზღვრავს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ან შესაბამისი სერტიფიკატის მქონე ექიმი. შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოები ვალდებულნი არიან, მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყონ პაციენტის სტაციონარში მოთავსება.[1284] კანონი ასევე განსაზღვრავს, რომ სტაციონარში მოთავსებიდან 48 საათში ექიმ ფსიქიატრთა კომისიამ უნდა შეისწავლოს პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობა და გადაწყვიტოს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების მიზანშეწონილობის საკითხი.[1285] თუ კომისიამ დაასკვნა, რომ არანებაყოფლობითი დახმარება არ არის აუცილებელი, პაციენტი დაუყოვნებლივ უნდა გაეწეროს სტაციონარიდან, ხოლო თუ მან დაასკვნა, რომ არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარება აუცილებელია, ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია მიმართავს სასამართლოს შესაბამისი ბრძანების გა-

---

1280 18 სექტემბერი, 2014 წელი.

1281 121-ე პუნქტი.

1282 14 ივლისი, 2006 წელი. კანონის მე-18 მუხლის 1-ელი პუნქტი.

1283 ასევე იხ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N87/ნ „ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსების წესის დამტკიცების შესახებ“, 20 მარტი, 2007 წელი.

1284 კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი.

1285 კანონის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი.

მოცემის მოთხოვნით პირის სტაციონარში მოთავსებიდან 48 საათში.[1286] სასამართლო ვალდებულია, მომდევნო 24 საათის განმავლობაში მიიღოს გადაწყვეტილების პაციენტის არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების შესახებ. სასამართლო სხდომაში პაციენტის მონაწილეობა აუცილებელია.[1287] თუ სასამართლომ არ მიიღო გადაწყვეტილება პაციენტისათვის დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ, პაციენტი დაუყოვნებლივ უნდა გაეწეროს სტაციონარიდან.[1288] კანონის მიხედვით, ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელსაც სასამართლო მიიღებს, შეიძლება გასაჩივრდეს.[1289]

საქართველოში ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის მოთავსებას სამედიცინო დაწესებულებაში ასევე განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „პირველადი ფსიქიატრიული გამოკვლევის ჩატარებისა და დასკვნის გაცემის წესის შესახებ“,[1290] რომელიც ითვალისწინებს, რომ გამოსაკვლევი პირის თანხმობის გარეშე პირველადი ფსიქიატრიული გამოკვლევა დასაშვებია, თუ პირის ქცევა სერიოზულ საფუძველს იძლევა ფსიქიკური აშლილობის არსებობის შესახებ, რითაც საფრთხე ექმნება მის ან სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.[1291] წესის მიხედვით, პირველადი გამოკვლევის საფუძველია სამედიცინო დაწესებულების ექიმის, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის ან პირის კანონიერი წარმომადგენლის/ნათესავის (მეზობლის, ახლობლის და ა.შ.) წერილობითი განცხადება, რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს პირველადი ფსიქიატრიული გამოკვლევის აუცილებლობა.[1292]

საქართველოში ასევე მოქმედებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება, რომელიც ადგენს იძულებით ფსიქიატრიულ მკურნალობაზე მყოფი პაციენტის რისკის შეფასების სტანდარტისა და რისკის შემცირების, რესოციალიზაციისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა ჩამონათვალს, რომლებიც აუცილებელია ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის უზრუნველსაყოფად.[1293] ამ ბრძანების საფუძველზე მოქმედებს რისკის შეფასების ინსტრუმენტი, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, ფასდება ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების მიდრეკილება აგრესიის/ძალადობის მიმართ.[1294]

ამ ნორმატიული აქტებიდან გამომდინარეობს, რომ, თუ პირის ქცევა იძლევა სერიოზულ საფუძველს ფსიქიკური აშლილობის არსებობის შესახებ, რითაც საფრთხე ექმნება მის ან სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ეს პირი უნდა მოთავსდეს სტაციონარში, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების აღმოსაჩენად. სტაციონარში პირის მოთავსების საფუძველია სამედიცინო დაწესებულების ექიმის, სამართალ-

---

1286 კანონის მე-18 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები.

1287 კანონის მე-18 მუხლის მე-8 პუნქტი.

1288 კანონის მე-18 მუხლის მე-11 პუნქტი.

1289 კანონის მე-18 მუხლის მე-14 პუნქტი.

1290 N285/ნ, 27 სექტემბერი, 2007 წელი.

1291 წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

1292 წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი.

1293 იხ. ბრძანება N01-70/ნ, 1 ოქტომბერი, 2014 წელი.

1294 ფასდება პაციენტის მიდრეკილება ძალადობისა და აგრესიისაკენ: წარსულში არსებული ძალადობის შემთხვევები, სხვების დაზიანების განზრახვა, კრიმინალური ისტორია, ძალადობრივი იდეებით შეპყრობა და სხვ. იხ. ბრძანების დანართი, მე-2 მუხლის მე-8 ნაწილი.

დამცავი ორგანოს წარმომადგენლის ან პირის კანონიერი წარმომადეგნლის/ნათესავის ან სხვა პირის, მაგალითად, მეზობლის ახლობლის და ა.შ. წერილობითი განცხადება, რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს ფსიქიატრიული გამოკვლევის აუცილებლობა.

კანონმდებლობით დადგენილი წესი იმ პირის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსების შესახებ, რომლის ქცევაც აჩენს ეჭვს მისი ფსიქიკური აშლილობის შესახებ, აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს ზემოთ განხილული საქმის მოთხოვნას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, კანონმდებლობით პირდაპირ იყოს გათვალისწინებული, თუ პოლიცია მიიღებს ასეთ შეტყობინებას, რომ პირის ქცევა იძლევა სერიოზულ საფუძველს ფსიქიკური აშლილობის არსებობის შესახებ, მან უზრუნველყოს ასეთ პირზე ზედამხედველობა ფსიქიატრიულ სტაციონარში მის გამოსაკვლევად მოთავსებამდე, ამ პირის მიერ საკუთარი თავისა ან სხვისი სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

საქმე *კოტილაინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ (Kotilainen and Others v. Finland)* ეხებოდა სტუდენტისათვის ცეცხლსასროლი იარაღის პრევენციულად ჩამორთმევის საკითხს, რომელმაც მოგვიანებით არაერთ ადამიანს მოუსპო სიცოცხლე პროფესიულ სასწავლებელში.[1295] ამ სასწავლებლის სტუდენტმა, მკვლელობამდე მცირე ხნით ადრე, მიიღო ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების უფლება. მოგვიანებით ამ სტუდენტმა ინტერნეტში ატვირთა ვიდეო- და ფოტო მასალა, ასევე განათავსა ტექსტური პოსტები, რომლებშიც აღბეჭდილი იყო იარაღიდან სროლის კადრები, სტუდენტის ფოტოები იარაღით ხელში და ტექსტი ინგლისურ ენაზე ომისა და სიკვდილის შესახებ.[1296] ამ ფაქტის გამო პოლიციამ მოახდინა მისი გამოკითხვა, თუმცა არ ჩათვალა საჭიროდ მისთვის იარაღის ჩამორთმევა. მოგვიანებით კი ამ სტუდენტმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა ათი ადამიანი და თავიც მოიკლა.

ევროპული სასამართლოს აზრით, ვინაიდან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მაღალი საფრთხის შემცველია და მას შეიძლება მოჰყვეს სასიკვდილო შედეგი, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, გაატაროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ მიმართული ღონისძიებები, რისთვისაც სახელმწიფომ უნდა მიიღოს შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩო და უზრუნველყოს მისი ეფექტიანი ფუნქციონირება. მისი აზრით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ცეცხლსასროლი იარაღის არასწორი და სახიფათო გამოყენების თავიდან აცილებისა და განეიტრალების შესაფერისი და ეფექტიანი გარანტიების სისტემის დადგენა და მისი ზედმიწევნით შესრულება. ევროპული სასამართლოს აზრით, მოცემულ გარემოებებში დამნაშავისათვის ცეცხლსასროლი იარაღის ჩამორთმევა იყო წინდახედულობის გონივრული ღონისძიება, თუ იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ცნობილი გახდა კომპეტენტური ორგანოსათვის, გაჩნდა ეჭვი ასეთი იარაღის ფლობასთან ამ პირის შესაფერისობის შესახებ. ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი არსებით ნაწილში.

ამ საქმიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გაატაროს სათანადო ღონისძიებები არა მხოლოდ მაშინ, როდესაც საფრთხე ექმნება იდენტიფიცირებული პირების სიცოცხლეს, არამედ მაშინაც, როდესაც საჭიროა წინდახედულობის გონივრული ღონისძიებების გატარება, რომლებიც მიმართული იქნება საზოგადოების წევრების (არაიდენტიფიცირებული პირების) სიცოცხლის დაცვისაკენ ცეცხლსასროლი იარაღის არასწორი გამოყენებისაგან.

1295 17 სექტემბერი, 2020 წელი.

1296 მე-12 და მე-13 პუნქტები.

რაც შეეხება საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის უფლების სამართლებრივ რეგულირებას, საქართველოს კანონი იარაღის შესახებ უშვებს სამოქალაქო იარაღის შეძენას მხოლოდ თავდაცვის, სანადირო, სპორტული და სხვა მიზნებისათვის, აგრეთვე საკუთარი ან/და სხვა პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან/და საკუთრების დასაცავად აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ან უკიდურესი აუცილებლობისას.[1297]

კანონი ითვალისწინებს ცეცხლსასროლი იარაღის შეძენაზე (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ლიცენზიის (ნებართვის) გაუცემლობას ან გაუქმებას. კანონის მიხედვით, ლიცენზია (ნებართვა) არ გაიცემა, მათ შორის, თუ: ლიცენზიის (ნებართვის) მაძიებელი ფსიქიკურად არის დაავადებული, ან/და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუძლებელს ხდის მის მიერ ლიცენზიის (ნებართვის) მიღებას; ლიცენზიის (ნებართვის) მაძიებელი სისტემატურად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს; ლიცენზიის (ნებართვის) მაძიებელი ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით ან ტოქსიკომანიით არის დაავადებული; ლიცენზიის (ნებართვის) მაძიებელი ბრალდებულია, ან/და იგი მსჯავრდებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის მრავალი მუხლით (მათ შორის: 108-ე, 109-ე მუხლებით); ლიცენზიის (ნებართვის) მაძიებელს არ შესრულებია 18 წელი; ლიცენზიის (ნებართვის) მაძიებელი პირის მიმართ გამოცემულია დამცავი, შემაკავებელი ან იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერი (ორდერით განსაზღვრულ შემთხვევებში და განსაზღვრული ვადით).[1298]

კანონის იმავე მუხლის მიხედვით, ლიცენზია (ნებართვა) უქმდება სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის, თუ: მოხდა იარაღის არადანიშნულებისამებრ გამოყენება; ლიცენზიის (ნებართვის) მფლობელი ფსიქიკურად დაავადდა, ან/და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუძლებელს ხდის მის მიერ ამ ლიცენზციით (ნებართვით) სარგებლობას და ამის შესახებ ცნობილი გახდა ლიცენზიის (ნებართვის) გამცემი ორგანოსთვის; ლიცენზიის (ნებართვის) მფლობელი სისტემატურად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს; ლიცენზიის (ნებართვის) მფლობელი ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით ან ტოქსიკომანიით დაავადდა და ამის შესახებ ცნობილი გახდა ლიცენზიის (ნებართვის) გამცემი ორგანოსათვის; ლიცენზიის (ნებართვის) მფლობელის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.[1299]

კანონი ასევე ითვალისწინებს, რომ სამოქალაქო ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვის მაძიებელი აბარებს გამოცდას ცეცხლსასროლი იარაღის ბრუნვის წესების ცოდნაში და ასეთმა პირმა შსს-ს მომსახურების სააგენტოს უნდა წარუდგინოს ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.[1300]

კანონი ასევე ადგენს იარაღის ჩამორთმევის წესს, რომელთა შორისაა ლიცენზიის (ნებართვის) გაუქმება და მოძალადისათვის მის მიმართ გამოცემული დამცავი, შემაკავებელი ან იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა ორდერით განსაზღვრულ შემთხვევებში და განსაზღვრული ვადით.[1301]

იარაღის შესახებ კანონის მიმოხილვის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა საკმაოდ დეტალურად აწესრიგებს იარაღის შეძენის, მისი შენახვისა და ტარების უფლებას და განსაზღვრავს როგორც ლიცენზიის (ნებართვის) გაცემაზე უარისა და გაცემული ლიცენზიის (ნებართვის) გაუქმების პირობებს

1297 8 მაისი, 2003 წელი. კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტი; კანონის მე-19 მუხლის 1-ელი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი; კანონის 25-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

1298 კანონის 27-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

1299 კანონის 27-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

1300 კანონის 27^1-ე მუხლი.

1301 კანონის 28-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

და იარაღის ჩამორთმევის წესს. ლიცენზიის (ნებართვის) გაცემისა და გაცემული ლიცენზიის (ნებართვის) გაუქმების პირობები საკმაოდ დეტალურად არის მოწესრიგებული კანონში და მოიცავს სხვადასხვა პირობას, მათ შორის: თუ ლიცენზიის (ნებართვის) მაძიებელი პირი არის ფსიქიკურად დაავადებული ან/და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუძლებელს ხდის მის მიერ ლიცენზიის (ნებართვის) მიღებას, სისტემატურად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს; ლიცენზიის (ნებართვის) მაძიებელი ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით ან ტოქსიკომანიით არის დაავადებული; ლიცენზიის (ნებართვის) მაძიებელი ბრალდებულია ან/და იგი მსჯავრდებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის მრავალი მუხლით; მის მიმართ გამოცემულია დამცავი, შემაკავებელი ან იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერი.

მართალია, კანონი დეტალურად აწესრიგებს როგორც ლიცენზიის (ნებართვის) გაცემაზე უარის, ისე გაცემული ლიცენზიის (ნებართვის) გაუქმების საფუძვლებს, ევროპული სასამართლოს საქმეზე *კოტილაინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ (Kotilainen and Others v. Finland)* შექმნილ გარემოებებში საქართველოს მოქმედი კანონი არ ანიჭებს უფლებამოსილ ორგანოს პირისათვის ცეცხლსასროლი იარაღის ჩამორთმევის უფლებას. ევროპული სასამართლოს ზემოაღნიშნული საქმიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობამ გაითვალისწინოს დამატებითი საფუძველი, რომელიც მიანიჭებს შსს სამინისტროს პირისათვის იარაღის შენახვისა და ტარების უფლების გაუქმებას/ცეცხლსასროლი იარაღის ჩამორთმევას, თუ გაჩნდა დასაბუთებული ეჭვი, რომ შესაბამისმა პირმა შეიძლება უკანონოდ გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი. ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში, კანონმდებლობამ უნდა შექმნას ამ უფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის ეფექტიანი გარანტიები.

ბ) პრაქტიკა

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, ვერ იქნა მოძიებული ინფორმაცია საზოგადოების წევრისათვის სიცოცხლის მოსპობის შემთხვევის შესახებ, საპატიმროდან პირობით ვადამდე განთავისუფლებული პატიმრის მიერ.

რაც შეეხება ფსიქიკური აშლილობის მქონე პირისაგან ადამიანის სიცოცხლისათვის პოტენციური საფრთხის შექმნას, მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს პრაქტიკაში იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ადამიანმა სხვა ადამიანს მოუსპო სიცოცხლე, რის შემდეგად მხარე აცხადებს, რომ დამნაშავეს ჰქონდა ფსიქიკური აშლილობა.

პირველ შემთხვევა მოხდა 2021 წლის დეკემბერში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სადაც მამაკაცმა ცოლი და შვილი ნაჯახით მოკლა, შემდეგ კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. გავრცელებული ინფორმაციით, მამაკაცს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა, თუმცა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში აღრიცხვაზე არ იმყოფებოდა.[1302]

მეორე შემთხვევა მოხდა 2022 წლის მაისში, როდესაც მამაკაცმა რამდენჯერმე იძალადა მეუღლეზე და დანით მრავლობითი დაზიანება მიაყენა მას. დროულად აღმოჩენილი სამედიცინო დახმარების შედეგად დაზარალებული გადარჩა. გამოძიების მიმდინარეობისას, მისი შერაცხადობის დადგენის მიზნით, დაინიშნა სასამართლო

1302 „ხელვაჩაურში შუა ხნის მამაკაცმა ცოლი და შვილი ნაჯახით მოკლა, შემდეგ კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა“, 9 დეკემბერი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/687367-xelvachaurshi-shua-xnis-mamakacma-coli-da-shvili-najaxit-mokla-shemdeg-ki-sicocxle-tvitmkvlelobit-daasrula].

ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომელმაც დაადგინა, რომ ბრალდებული შეურაცხადია. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბრალდებული იძულებითი მკურნალობის მიზნით ოთხი წლით მოათავსეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.[1303]

მესამე შემთხვევა მოხდა 2023 წლის ივლისში. 45 წლის მამაკაცმა სცადა, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის მკვლელობა ჩაქუჩით, დანითა და სახრახნისით. ადვოკატის ინფორმაციით, ბრალდებულს ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები, რის გამოც კლინიკაშიც იწვა და მკურნალობდა.[1304]

მეოთხე, ერთი-ერთი ყველაზე გახმაურებული შემთხვევა, მოხდა საგარეჯოში, 2023 წლის იანვარში, როდესაც ყოფილმა სამხედრო პირმა საკუთარი აივნიდან 5 ადამიანი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა, ხოლო 5 ადამიანი დაჭრა, რის შემდეგაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ყოფილი სამხედრო პირი, 2006 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, მუშაობდა თავდაცვის სამინისტროში, იყო 2008 წლის საომარი მოქმედებების მონაწილე და იყო ავღანეთში სამშვიდობო მისიებში. დანაშაულის ჩადენის დროს იგი იმყოფებოდა აღრიცხვაზე ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში, ვეტერანთა აღრიცხვის ერთიან ბაზაში.[1305] გავრცელებული ინფორმაციით, ყოფილ სამხედრო პირს ჰქონდა რეგისტრირებული იარაღი და მეუღლეზე ძალადობდა.[1306] ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ყოფილ სამხედრო პირს ჰქონდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და გადიოდა შესაბამის მკურნალობას.[1307]

თუ ეს შემთხვევები განიხილება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტების მიხედვით, უნდა დაისვას კითხვა: იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა

1303 „პროკურატურა ყოფილი მეუღლის მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულის საქმის წარმოების შეწყვეტისა და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის განსაზღვრის შესახებ ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს“, 28 სექტემბერი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/728294-prokuratura-qopili-meuglis-mkvlelobis-mcdelobashi-braldebulis-sakmis-carmoebis-shecqvetisa-da-izulebiti-psikiatriuli-mkurnalobis-gansazgvris-shesaxeb-opicialur-inpormacias-avrcelebs].

1304 „ბრალდების მიხედვით, მეუღლის მკვლელობის მცდელობისთვის დაკავებულმა 45 წლის მამაკაცმა ჩაქუჩი, დანა და სახრახნისი გამოიყენა – ადვოკატის ინფორმაციით, დაკავებულს ფსიქიკური პრობლემები აქვს და არაფერი ახსოვს“, 6 ივლისი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/762923-braldebis-mixedvit-meuglis-mkvlelobis-mcdelobistvis-dakavebulma-45-clis-mamakacma-chakuchi-dana-da-saxraxnisi-gamoiqena-advokatis-inpormaciit-dakavebuls-psikikuri-problemebi-akvs-da-araperi-axsovs].

1305 ვეტერანების საქმეთა სამსახურის წარმომადგენლის განცხადებით, პირი, რომელმაც საგარეჯოში მეზობლებს და პოლიციას ცეცხლი გაუხსნა, ვეტერანთა აღრიცხვის ერთიან ბაზაში როგორც ვეტერანი ირიცხებოდა და აგვისტოს ომის მონაწილე იყო, 20 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/741902-veteranebis-sakmeta-samsaxuris-carmomadgenlis-gancxadebit-piri-romelmac-sagarejoshi-mezoblebs-da-policias-cecxli-gauxsna-veteranta-agricxvis-ertian-bazashi-rogorc-veterani-iricxeboda-da-agvistos-omis-monacile-iqo].

1306 „მეზობელი აცხადებს, რომ პირი, რომელმაც საგარეჯოში ცეცხლი გახსნა, მეუღლეზე ძალადობდა“, 23 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/742047-mezobeli-acxadebs-rom-piri-romelmac-sagarejoshi-cecxli-gaxsna-meugleze-zaladobda].

1307 „ადგილობრივების ინფორმაციით, ყოფილ სამხედროს, რომელმაც საცხოვრებელ კორპუსში ცეცხლი გახსნა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა და მკურნალობდა“, 20 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/741784-adgilobrivebis-inpormaciit-qopil-samxedros-romelmac-sacxovrebel-korpusshi-cecxli-gaxsna-psikikuri-janmrtelobis-problemebi-hkonda-da-mkurnalobda].

სახელმწიფოს ამ ადამიანების ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე საფრთხის შესახებ. თუ სახელმწიფომ იცოდა, რომ ეს ადამიანები, მათი ფსიქიკური მდგომარეობის გამო, ქმნიდნენ საფრთხეს სხვა ადამიანებისათვის, ოჯახის წევრებისა თუ, ზოგადად, საზოგადოებისათვის, რა გონივრული ნაბიჯები გადადგა სახელმწიფომ ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად?

პირველი მაგალითის შემთხვევაში, გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, დამნაშავეს ჰქონდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები; მეორე შემთხვევაში, გამოძიების მიმდინარეობისას დადგინდა, რომ დამნაშავე შეურაცხადი იყო; მესამე შემთხვევაში, ბრალდებულის ადვოკატის მტკიცებით, ბრალდებულს ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები, რის გამოც კლინიკაში მკურნალობდა; რაც შეეხება მეოთხე შემთხვევას, გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, დამნაშავეს ჰქონდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და გადიოდა შესაბამის მკურნალობას, ისევე როგორც ძალადობდა მეუღლეზე.

თუ დადასტურდა, რომ ამ პირებს დანაშაულის ჩადენამდე ნამდვილად ჰქონდათ ფსიქიკური აშლილობა და ეს სახელმწიფომ იცოდა, მაგალითად, ოჯახში ძალადობის ფაქტის ან სამედიცინო კლინიკაში მკურნალობის გამო, სახელმწიფოს უნდა გაეტარებინა გონივრული ღონისძიებები ფსიქიკური აშლილობით გამოწვეული პოტენციური საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მაგალითად, თუ დადგინდა, რომ პირს აქვს ფსიქიკური აშლილობა, რომელიც შეიძლება გარშემომყოფთათვის ან საკუთარი თავისათვის საფრთხის შემცველი იყოს, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ პირისათვის მასზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღის დაუყოვნებლივ ჩამორთმევა. თუ მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს იარაღის ჩამორთმევას ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, აუცილებელია, რომ ეს მოხდეს ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ პირს აქვს ფსიქიკური აშლილობა.

რაც შეეხება ადამიანთა ისეთ კატეგორიას, რომლებიც შეიძლება განსაკუთრებით მოწყვლადი იყვნენ, მაგალითად, ყოფილი სამხედრო პირები, მათ მიმართ აუცილებელია დამატებითი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა მათი პერიოდული ფსიქოლოგიური შემოწმება და ჩართვა ფსიქორეაბილიტაციის პროგრამებში.

ასეთი გონივრული ღონისძიებების გატარების გზით სახელმწიფო შეძლებს, გამორიცხოს ან მინიმუმამდე შეამციროს ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანების მიერ საზოგადოების წევრების სიცოცხლის მოსპობა. ამასთანავე, აუცილებელია, რომ საზოგადოებაში ამაღლდეს ცნობიერება პირთა ფსიქიკური აშლილობით გამოწვეული პოტენციური საფრთხის პრევენციის გზების შესახებ.

6.3.2. თავისუფლებააღკვეთილი პირებისა და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი ადგენს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას თავისუფლებააღკვეთილი პირებისა და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების სიცოცხლე. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება მოიცავს როგორც ნორმატიული ჩარჩოს მიღებას, რომელიც მიმართულია თავისუფლებააღკვეთილი და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების სიცოცხლის დაცვისაკენ, ისე პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას მათი

სიცოცხლის დასაცავად. ნაშრომის ამ თავში განიხილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმატიული ჩარჩო, რომელიც მიმართულია თავისუფლებააღკვეთილი პირებისა და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების სიცოცხლის დაცვისაკენ.

თავისუფლებააღკვეთილი პირებისა და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების მიმართ სახელმწიფოს განსაკუთრებული ვალდებულებები ეკისრება, რადგან სახელმწიფო მათზე ახორციელებს აბსოლუტურ ან თითქმის აბსოლუტურ კონტროლს და, შესაბამისად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ხარისხი უფრო მაღალია მათ მიმართ, ვიდრე ეს არის სხვა პირების მიმართ.

6.3.2.1. თავისუფლებააღკვეთილი პირების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში

6.3.2.1.1. სხვა თავისუფლებააღკვეთილი პირისაგან თავისუფლებააღკვეთილი პირის სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში

ა) კანონმდებლობა

პატიმრის სიცოცხლის (და ჯანმრთელობის) დაცვას, სხვა პატიმრებისაგან მომდინარე საფრთხის შემთხვევაში, აწესრიგებს საქართველოს რამდენიმე ნორმატიული აქტი. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XIX და XX თავები, რომლებიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სიცოცხლისა და ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის, ვრცელდება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე.

რაც შეეხება უშუალოდ პენიტენციური სამსახურის ვალდებულებას, უზრუნველყოს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, აღსანიშნავია, რომ პენიტენციური კოდექსის 62-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სხვისი (ისევე როგორც საკუთარი თავისა და ქონების) დაზიანების თავიდან ასაცილებლად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოიყენონ შემდეგი უსაფრთხოების ღონისძიებები: ა) სპეციალური საშუალებების გამოყენება; ბ) სხვა ბრალდებულთაგან/მსჯავრდებულთაგან მისი განცალკევება; გ) დროებით სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანა; დ) არაუმეტეს 24 საათით სამარტოო საკანში მოთავსება; ე) დროებითი საგუშაგოს ან დამატებითი საგუშაგოს მოწყობა; ვ) დეესკალაციის ოთახში გადაყვანა.[1308] პენიტენციური კოდექსი განსაზღვრავს, რომ უსაფრთხოების ღონისძიების განხორციელება წყდება დაუყოვნებლივ, იმ საფრთხის აღმოფხვრისთანავე, რომლის აღსაკვეთადაც ეს ღონისძიება გამოიყენებოდა.[1309]

კოდექსის მიხედვით, უსაფრთხოების ღონისძიების განხორციელების შემდეგ შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელობა სამედიცინო პერსონალთან ერთად, დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო შემოწმებას, რისთვისაც დგება შესაბამისი აქტი.[1310]

1308 15 დეკემბერი, 2023 წელი. კოდექსის 62-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

1309 კოდექსის 62-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

1310 კოდექსის 62-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

პენიტენციური კოდექსის 63-ე მუხლი ადგენს როგორც სპეციალურ საშუალებებს, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ, ისე ამ საშუალებების გამოყენების წესს. კერძოდ, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოიყენონ შემდეგი სპეციალური საშუალებები: ა) ხელბორკილი; ბ) დამაწყნარებელი პერანგი; გ) დამაწყნარებელი სკამი; დ) დამაწყნარებელი საწოლი; ე) ხელკეტი; ვ) ცრემლსადენი გაზი; ზ) წიწაკის გაზი; თ) არალეტალური იარაღი; ი) აკუსტიკური საშუალება; კ) ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა და სხვ.[1311] ამასთანავე, კოდექსი დეტალურად განსაზღვრავს, რომელი ღონისძიება შეიძლება გატარდეს კონკრეტულ შემთხვევაში.[1312] მაგალითად, განსაზღვრულია, რომ ხელბორკილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ, რომელიც, მათ შორის, საფრთხეს უქმნის სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.[1313]

სპეციალური საშუალებების გამოყენებისას კოდექსი ითვალისწინებს მთელ რიგს წესებისას, რომლებიც მიმართულია თანაზომიერებისა და გონივრულობის პრინციპების დაცვისა და მიყენებული ზიანის შემცირებისაკენ. კერძოდ, კოდექსი ადგენს, რომ სპეციალური საშუალებები გამოიყენება უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია. სპეციალური საშუალებების გამოყენება შექმნილი საფრთხის თანაზომიერი უნდა იყოს და კანონიერი მიზნის მისაღწევად უფრო ნაკლები ზიანი უნდა მიაყენოს იმ პირს, რომლის მიმართაც შესაბამისი ღონისძიება ტარდება.[1314]

კოდექსი ასევე ადგენს, რომ სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება აქვს სამსახურის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელსაც გავლილი აქვს სათანადო მომზადება.[1315] ასევე დადგენილია, რომ სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირი ვალდებულია, სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს შესაბამისი პირი და მისცეს გონივრული ვადა მისი კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად, გარდა საგამონაკლისო შემთხვევისა.[1316]

კოდექსი ასევე განსაზღვრავს შესაბამისი პირების პასუხისმგებლობას. კერძოდ, ის ადგენს, რომ სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება ამ გადაწყვეტილების მიმღებ პირს, ხოლო სპეციალური საშუალების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოყენებისათვის – სპეციალური საშუალების გამომყენებელ პირს.[1317]

ასევე კოდექსის მიხედვით, სპეციალური საშუალების (გარდა ხელბორკილისა) გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებათ შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დირექტორს და ექიმს ან ექთანს. სპეციალური საშუალების გამოყენების შემდეგ, პირველი შესაძლებლობისთანავე, ხორციელდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო შემოწმება.[1318]

სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ დგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება გამოყენებული საშუალება, მისი გამოყენების დასაბუთება და სხვა მონაცემები.[1319]

1311 კოდექსის 63-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.
1312 კოდექსის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილი.
1313 კოდექსის 63-ე მუხლის მე-2(ა) ნაწილი.
1314 კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილი.
1315 კოდექსის 63-ე მუხლის მე-4 ნაწილი.
1316 კოდექსის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილი.
1317 კოდექსის 63-ე მუხლის მე-6 ნაწილი.
1318 კოდექსის 63-ე მუხლის მე-7 ნაწილი.
1319 კოდექსის 63-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

კოდექსი ასევე ითვალისწინებს, რომ სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირი წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ, როგორც წესი, არ იყენებს სპეციალურ საშუალებებს, გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სპეციალური საშუალებისა.[1320] ასევე სპეციალური საშუალებების გამოყენებისას შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს გათვალისწინებული შესაბამისი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა და შეზღუდული შესაძლებლობა.[1321]

პენიტენციური კოდექსი ითვალისწინებს სხვა ღონისძიებების გატარებას, რომელთა მიზანია პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა. კერძოდ, დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას, მათ შორის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ ძალადობის თავიდან ასაცილებლად შეიძლება განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი.[1322] კოდექსი ადგენს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა ან/და აუდიო, ვიდეოჩაწერის განხორციელების შესახებ გაფრთხილების წესს,[1323] კრძალავს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის განხორციელებას საერთო სარგებლობის საშხაპეში, საერთო სარგებლობის საპირფარეშოსა და ხანგრძლივი პაემნისთვის განკუთვნილ ოთახში.[1324]

პატიმრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას ისახავს მიზნად პენიტენციური დაწესებულებების დებულებები, რომლებიც ადგენენ, რომ თუ ბრალდებული/მსჯავრდებული საფრთხეს უქმნის სხვის (ან საკუთარ) სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, სამედიცინო პერსონალის რეკომენდაციითა და დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, იგი შეიძლება განთავსდეს დაწესებულების სათანადოდ აღჭურვილ დეესკალაციის ოთახში სამედიცინო პერსონალის უწყვეტი ხელმისაწვდომობისა და დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის 24-საათიანი ვიზუალური საშუალებებით მეთვალყურეობის პირობებში.[1325]

დეესკალაციის ოთახში გადაყვანილი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მდგომარეობა გადაყვანიდან არაუგვიანეს 24 საათის ვადაში შეფასდება მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ. მულტიდისციპლინურ ჯგუფში შემავალი სამედიცინო პერსონალის რეკომენდაციის საფუძველზე, ამავე ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, არაუგვიანეს მომდევნო 24 საათის ვადაში, ბრალდებული/მსჯავრდებული, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით შეიძლება შეფასდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტის მიერ. დაწესებულების დირექტორი მულტიდისციპლინური ჯგუფის დასკვნისა და შესაბამისი დარგის სპეციალისტის რეკომენდაციის საფუძველზე (ასეთის არსებობის

1320 კოდექსის 63-ე მუხლის მე-16 ნაწილი.

1321 კოდექსის 63-ე მუხლის მე-17 ნაწილი.

1322 კოდექსის 58-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

1323 კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები.

1324 კოდექსის 58-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

1325 მაგ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, 25-ე მუხლი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1]; ასევე იხ. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N119 „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N2 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 27 აგვისტო, 2015 წელი, მე-17 მუხლი. ასევე იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“, N2/8/1637, 27 დეკემბერი, 2024 წელი, იხ.: [https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/6374272?publication=0].

შემთხვევაში), ამ დოკუმენტაციის მისთვის გადაცემიდან არაუგვიანეს მომდევნო 24 საათის განმავლობაში წყვეტს ბრალდებულის/მსჯავრდებულის საკანში/შიდა კლასიფიკაციის საკანში დაბრუნების საკითხს, ხოლო თუ დასკვნა/რეკომენდაცია ითვალისწინებს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ან სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანას, შესაბამის გადაწყვეტილებას, დაწესებულების დირექტორის მიმართვის საფუძველზე, ამავე ვადაში იღებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი.[1326]

პენიტენციური დაწესებულებების დებულებები ასევე ითვალისწინებს სხვა გარანტიებს, მათ შორის, ბრალდებული/მსჯავრდებული დეესკალაციის ოთახში შეიძლება განთავსდეს იმ საფრთხის აღმოფხვრამდე, რამაც მისი დეესკალაციის ოთახში მოთავსება განაპირობა, მაგრამ არაუმეტეს 72 საათისა.[1327] დებულებები ასევე ადგენენ, რომ დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში დასჯის მიზნით გადაყვანა.[1328]

პენიტენციურ დაწესებულებებში სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას, პატიმართა შორის ძალადობის თავიდან აცილების ჩათვლით, ასევე ემსახურება „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 8 მაისის №395 ბრძანება, რომლის მიზანია მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასება და პერიოდული გადაფასება.[1329]

ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლი ითვალისწინებს მსჯავრდებულისთვის საშიშროების რისკის სახის განსაზღვრის შესაბამის კრიტერიუმებს, კერძოდ, მსჯავრდებულის საშიშროების რისკის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დაწესებულების, გარშემომყოფთა, საზოგადოების, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცავი ორგანოების უსაფრთხოებისათვის მსჯავრდებულისგან მომდინარე საშიშროება, რომელთა გათვალისწინებით, მიიღება გადაწყვეტილება, თუ რომელი საშიშროების რისკის სახე უნდა განესაზღვროს მსჯავრდებულს.[1330] იუსტიციის

1326 მაგ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, 25-ე მუხლის მე-8 პუნქტი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1].

1327 მაგ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, 25-ე მუხლის მუხლის მე-2-მე-4 პუნქტები, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1].

1328 იქვე, მე-10 პუნქტი.

1329 იხ. [https://matsne.gov.ge/document/view/4556924?publication=0].

1330 ეს კრიტერიუმებია: ა) მსჯავრდებულის პიროვნული თვისებები; ბ) ჩადენილი დანაშაულის კატეგორია და დანაშაულის ჩადენის მოტივი; გ) დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი; დ) დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა; ე) მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი იმგვარი ქმედება, რომელიც იწვევს/გამოიწვევს დაპირისპირებას მსჯავრდებულთა მასასთან და საფრთხეს უქმნის/შეუქმნის მსჯავრდებულის/სხვა მსჯავრდებულების სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან პენიტენციური სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას; ვ) დაწესებულების წარმომადგენლებთან და სხვა მსჯავრდებულებთან დამოკიდებულება, მათზე უარყოფითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა; ზ) დაწესებულების დებულებითა და დღის განრიგით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება;

მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესის თანახმად, განსაზღვრულია საშიშროების რისკის ოთხი სახე: დაბალი, საშუალო, მომეტებული და მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებულები.[1331]

გარდა ზემოაღნიშნული მექანიზმებისა, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს დამატებითი ღონისძიებების გატარებას იმ ბრალდებულის/მსჯავრდებულის სიცოცხლის/ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, რომლის მიმართ უკვე მოხდა სიცოცხლის მოსპობის მცდელობა სხვა პატიმრის (პატიმრების) მხრიდან. კერძოდ, პენიტენციური დაწესებულების დირექტორს უფლება აქვს, პენიტენციური დაწესებულების დებულების შესაბამისად, მიიღოს გადაწყვეტილება ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხვა ბრალდებულებისაგან/მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით მოთავსების თაობაზე.[1332]

თუ უსაფრთხოების ღონისძიებებმა შესაბამისი შედეგები არ გამოიღო, პენიტენციური დაწესებულების დირექტორი სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის წინაშე შუამდგომლობს ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან ბრალდებულის/

თ) ალკოჰოლის, აზარტული თამაშების, ნარკოტიკული, ახალი ფსიქოაქტიური და ფსიქოტროპული ნივთიერებების მიმართ დამოკიდებულება; ი) მსჯავრდებულის მიერ წარსულში, ასევე დაწესებულებაში დანაშაულის ჩადენის ფაქტები; კ) დარჩენილი სასჯელის ხანგრძლივობა; ლ) დაწესებულებიდან გაქცევის ან გაქცევის მცდელობის ფაქტები; მ) წარსულში დაწესებულებაში სასჯელის მოხდის შემთხვევები; ნ) მსჯავრდებულის ასაკი; ო) ქურდულ სამყაროსთან/ტერორიზმთან დამოკიდებულება; პ) დაწესებულებაში არსებულ სარეაბილიტაციო/რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართულობა; ჟ) ისეთი თვითდაზიანების მიყენების/მცდელობის ფაქტები, რომლებითაც საფრთხე ექმნება ან შეიძლება შეექმნას დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას; რ) წახალისების/დისციპლინური სახდელის/დისციპლინური პატიმრობის გამოყენების ფაქტი.

1331 წესის მე-5 მუხლი. კერძოდ: ა) საშიშროების დაბალი რისკის მქონე არის მსჯავრდებული, რომლისგან მომდინარე საფრთხე დაწესებულებისთვის ან გარშემომყოფთათვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსა ან/და სამართალდამცავი ორგანოებისათვის, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, არის დაბალი (მინიმალური). დაბალი რისკის მქონე მსჯავრდებული თავსდება დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

ბ) საშიშროების საშუალო რისკის მქონე არის მსჯავრდებული, რომლისგან მომდინარე საფრთხე დაწესებულებისთვის ან გარშემომყოფთათვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსა ან/და სამართალდამცავი ორგანოებისათვის, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, არის საშუალო. საშუალო რისკის მქონე მსჯავრდებული თავსდება ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

გ) საშიშროების მომეტებული რისკის მქონე არის მსჯავრდებული, რომლისგან მომდინარე საფრთხე დაწესებულებისთვის ან გარშემომყოფთათვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსა ან/და სამართალდამცავი ორგანოებისათვის, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, არის მომეტებული. მომეტებული რისკის მქონე მსჯავრდებული თავსდება დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

დ) საშიშროების მაღალი რისკის მქონე არის მსჯავრდებული, რომლისგან მომდინარე საფრთხე დაწესებულებისთვის ან გარშემომყოფთათვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსა ან/და სამართალდამცავი ორგანოებისათვის, ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, არის მაღალი. მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებული თავსდება განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

1332 მაგ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი; ასევე იხ. 23-ე მუხლის მე-5 პუნქტი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1].

მსჯავრდებულის უსაფრთხოებისათვის საშიში პირების სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში დადგენილი წესით გადაყვანის თაობაზე. აგრეთვე შეიძლება დადგეს მსჯავრდებულისთვის საშიშროების რისკის გადაფასების საკითხიც და მსჯავრდებული განთავსდეს რისკის შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში.[1333]

პატიმართა შორის ძალადობის პრევენციის მიზნით პენიტენციურ დაწესებულებებში ხდება ბრალდებულთა[1334] და მსჯავრდებულთა[1335] თავსებადობის საკითხის შესწავლა, რის შემდეგაც ხდება პატიმრის შესაბამის საკანში განთავსება. ასევე დაწესებულების განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის ნაწილში განთავსებული მსჯავრდებულის ერთადგილიან ან ორადგილიან საკანში განცალკევებით მოთავსების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მსჯავრდებულთა თავსებადობის საკითხის შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით, რა დროსაც მხედველობაში მიიღება მსჯავრდებულის სხვა მსჯავრდებულთან ერთად განთავსებით მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის შესაძლო საფრთხის შექმნა.[1336] ამასთანავე, „პენიტენციური კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულებს ცალ-ცალკე ათავსებენ, რაც არა მხოლოდ საგამოძიებო ინტერესებს, არამედ ბრალდებულებს შორის ძალადობის პრევენციასაც უზრუნველყოფს.

რაც შეეხება იმ მსჯავრდებულების განცალკევებით მოთავსებას, რომლებსაც აწუხებთ ფსიქიკური დაავადება, არიან მიდრეკილი ალკოჰოლიზმისა და ნარკოტიკებისადმი, წარსულში ჩადენილი აქვთ ძალადობრივი დანაშაული, აღსანიშნავია შემდეგი: პენიტენციური კოდექსის 56-ე მუხლის მიხედვით, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განცალკევებით თავსდება პირთა რამდენიმე კატეგორია, მათ შორის ის პირები, რომელთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მათი წარსული სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, შეიძლება საფრთხე შეექმნას და განსაკუთრებით საშიში პირები, რომელთა პიროვნული თვისებები, კრიმინალური ავტორიტეტი, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასა და გარშემომყოფთ.[1337]

თავისუფლებააღკვეთილი პირის მიერ სხვა თავისუფლებააღკვეთილი პირის სიცოცხლის მოსპობისაგან დაცვის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება. უპირველეს ყოვლისა, ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)* – დადგენილი კრიტერიუმები გაავრცელა თავისუფლებაღკვეთილი პირების სიცოცხლის უფლების დაცვაზე. აქედან გამომდინარე, როდესაც პატიმრის სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე სხვა პატიმრისაგან, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სხვა პატიმრის მხრიდან თავისუფლებააღკვეთილი პირის სიცოცხლის მოსპობის საფრთხის თავიდან აცილება, თუ სახელმწიფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა ასეთი საფრთხის შესახებ.

1333 მაგ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი. იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1].

1334 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, მე-13 მუხლის მე-15 პუნქტი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1].

1335 იქვე, მე-14 მუხლის მე-14 პუნქტი.

1336 იქვე, მე-14 მუხლის 29-ე პუნქტი.

1337 1-ელი ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები.

თავის პრაქტიკაში ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა სახელმწიფოს ვალდებულებაზე, რომ ფსიქიკურად დაავადებული პატიმარი განცალკევებით მოათავსოს სხვა პატიმრებისაგან, რომელთა სიცოცხლეს მან შეიძლება შეუქმნას საფრთხე და ამისათვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სათანადო მექანიზმის შექმნა.[1338]

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პატიმრების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა და პრევენციული ნაბიჯების გადადგმა სხვა პატიმრების თავდასხმის თავიდან ასაცილებლად. ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გაატაროს ღონისძიებები პატიმრის სიცოცხლის დასაცავად განმეორებითი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად.[1339]

პატიმრების მიმართ სხვა პატიმრებისაგან სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზი იძლევა რამდენიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას: უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა საკმარისად დეტალურად აწესრიგებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის სიცოცხლის დაცვას სხვა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მხრიდან მომდინარე საფრთხეების მიმართ. თავისუფლებააღკვეთილი პირების სიცოცხლის (და ჯანმრთელობის) დაცვას მიზნად ისახავს არა მხოლოდ ზოგადი კანონმდებლობა (სისხლის სამართლის კოდექსი), არამედ უშუალოდ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების მარეგულირებელი ნორმატიული აქტები, უპირველეს ყოვლისა კი, საქართველოს პენიტენციური კოდექსი. კოდექსი, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, ადგენს, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სხვისი დაზიანების თავიდან ასაცილებლად შეიძლება გამოიყენონ სხვადასხვა უსაფრთხოების ღონისძიება. კოდექსი განსაზღვრავს როგორც სპეციალურ საშუალებებს (მაგ.: ხელბორკილები, ხელკეტი და სხვ.), რომლებიც შეიძლება გამოიყენონ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ, ისე მათი გამოყენების წესს, ისევე როგორც ითვალისწინებს მთელ რიგს წესებისას, რომლებიც მიმართულია თანაზომიერებისა და გონივრულობის პრინციპების დაცვისა და მიყენებული ზიანის შემცირებისაკენ. კოდექსი ასევე ადგენს, რომ სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება აქვს სამსახურის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელსაც გავლილი აქვს სათანადო მომზადება და რომ სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლების მქონე პირი ვალდებულია, სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს შესაბამისი პირი და მისცეს გონივრული ვადა მისი კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად, ისევე როგორც მისი გამოყენების შემთხვევაში, დაასაბუთოს ასეთი საჭიროება.

მნიშვნელოვანია, რომ კოდექსი განსაზღვრავს როგორც იმ პირთა პასუხისმგებლობას, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ, ისე იმ პირთა პასუხისმგებლობას, რომლებიც ვალდებულნი არიან, გამოიყენონ სპეციალური საშუალება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის სიცოცხლის (და ჯანმრთელობის) დასაცავად ღონისძიებების გატარებას, კერძოდ, დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება განხორციელდეს მეთვალყურეობა და კონტროლი ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით.

1338 *პოლი და ოდრი ედვარდსები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom)*, 14 მარტი, 2002 წელი, 55-ე პუნქტი.

1339 *ჩესნულევიჩუსი ლიტვის წინააღმდეგ (Česnulevičius v. Lithuania)*, 10 იანვარი, 2012 წელი.

საქართველოს კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს, სათანადო წესითა და სამედიცინო პერსონალის რეკომენდაციით და დაწესებულების უფლებამოსილი მოსამსახურის პატაკის საფუძველზე გამოცემული დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის განთავსებას სათანადოდ აღჭურვილ დეესკალაციის ოთახში, სადაც მას უწყვეტად ხელი მიუწვდება სამედიცინო დახმარებაზე და მასზე ხორციელდება 24-საათიანი ვიზუალური მეთვალყურეობა.

საქართველოს კანონმდებლობა ასევე ადგენს მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასებისა და პერიოდული გადაფასების მექანიზმს.

ამას გარდა, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს დამატებითი ღონისძიებების გატარებას იმ ბრალდებულის/მსჯავრდებულის სიცოცხლის/ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, რომლის მიმართ უკვე მოხდა სიცოცხლის მოსპობის მცდელობა სხვა პატიმრის (პატიმრების) მხრიდან, რისთვისაც კანონმდებლობა განსაზღვრავს ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხვა ბრალდებულებისაგან/მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით მოთავსების თაობაზე, ისევე როგორც ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხოებისათვის საშიში პირების სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში დადგენილი წესით გადაყვანის თაობაზე.

აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა საკმარისად დეტალურად აწესრიგებს იმ თავისუფლებააღკვეთილი პირების განცალკევებით მოთავსების წესს, რომლებიც განსაკუთრებულ საფრთხეს ქმნიან სხვა პატიმრებისათვის. საქართველოს კანონმდებლობა ასევე აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის ფსიქიკური დაავადების მქონე პატიმრის სხვა პატიმრებისაგან განცალკევებით მოთავსების შესახებ და პატიმრების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და პრევენციული ნაბიჯების გადადგმის შესახებ სხვა პატიმრების თავდასხმის თავიდან ასაცილებლად, სხვა პატიმრების მხრიდან ძალადობის თავიდან აცილების მექანიზმის ჩათვლით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სხვა პატიმრებისაგან მომდინარე საფრთხის შემთხვევაში პატიმრების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს.

ბ) პრაქტიკა

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფოს ეკისრება პატიმრების სიცოცხლის დაცვის ვალდებულება სხვა პატიმრებისაგან მომდინარე საფრთხის შემთხვევაში.

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა გაუმჯობესებულია.[1340] მიუხედა-

1340 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2014 წლის 12 ნოემბერს დადებითად შეფასდა საქართველოს მთავრობის მიერ გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით პენიტენციური ჯანდაცვის სფეროში გატარებული რეფორმები და მინისტრთა კომიტეტის მიერ საბოლოო რეზოლუციის მიღებით დახურულად გამოცხადდა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა ნაწილი („ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ“, „პოღოსიანი საქართველოს წინააღმდეგ“, „მინდაძე საქართველოს წინააღმდეგ“, „ჯელაძე საქართველოს წინააღმდეგ“, „ილდანი საქართველოს წინააღმდეგ“), რომლებიც შეეხებოდა პენიტენციურ სისტემაში 2006-2011 წლებში ჰეპატიტითა და ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა მკურნალობის პროცესში გამოვლენილ ნაკლოვანებებს, რაც საქართველოში სისტემურ პრობლემად მიიჩნეოდა. იხ. [https://hudoc.exec.coe.int/

ვად ამისა, მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციით, პრაქტიკაში ხდება ადამიანის უფლებათა დარღვევების ცალკეული შემთხვევები. კერძოდ, ბოლო წლებში მოხდა შემთხვევა, როდესაც თავისუფლებააღკვეთილმა პირმა მოუსპო სიცოცხლე სხვა თავისუფლებააღკვეთილ პირს. კერძოდ, 2021 წლის ივლისში პატიმრებს: ი.ჩ.-სა და შ.ა.-ს შორის N17 პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფით ნიადაგზე მოხდა სიტყვიერი შელაპარაკება, რომელიც გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში. ამ დაპირისპირების შედეგად პატიმარი შ.ა გარდაიცვალა. იმავე დღეს დაიწყო გამოძიება სსკ-ის 108-ე მუხლის (განზრახ მკვლელობა) საფუძველზე.[1341]

საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშიდან ასევე ირკვევა ერთ-ერთი საქმის გარემოებები, რომლებიც ეხება პატიმრის მიერ თანამესაკნის მკვლელობის მცდელობას.[1342] კერძოდ, სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, 2021 წლის 4 მარტს პატიმარმა მარილით სავსე ბოთლისა და ბასრი იარაღის გამოყენებით მძინარე მდგომარეობაში მყოფ თანამესაკნე პატიმარს მრავლობითი დაზიანება მიაყენა თავის, კისრის, სახისა და ყურის არეში. ფიზიკური ძალადობა ჩადენილ იქნა ვიდეომეთვალყურეობის სისტემით აღჭურვილ საკანში. ანგარიშის მიხედვით, დაწესებულების თანამშრომლებმა არ მოახდინეს დროული რეაგირება ძალადობის ფაქტზე. ამავე ანგარიშის მიხედვით, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელობას ჰქონდა ინფორმაცია შემთხვევის მონაწილე პატიმრებს შორის მანამდე არსებული დაძაბული ურთიერთობების შესახებ. კერძოდ, ნ.ქ.-ს მკვლელობის მცდელობამდე მის მიმართ იყო სიტყვიერი შეურაცხყოფისა და აგრესიის ფაქტები, რაშიც ასევე მონაწილეობდა ვ.ა., მეტიც, დაწესებულების ხელმძღვანელობას ჰქონდა ერთ-ერთი პატიმრის მიმართვა, სადაც იგი ითხოვდა, რომ ნ. ქ. და ვ. ა., პოტენციური კონფლიქტის თავიდან არიდების მიზნით, ცალ-ცალკე საკნებში განეთავსებინათ.

ამ საქმის მიმართ სახალხო დამცველის აპარატს წარმოეშვა კითხვები, დაადგინა თუ არა გამოძიებამ, რა პრევენციული ღონისძიებები იყო გატარებული დაწესებულების მხრიდან ვ.ა.-სა და ნ.ქ.-ს ერთად განთავსებამდე, შესწავლილი და გამორიცხული იყო თუ არა უსაფრთხოების რისკები, შესწავლილი და შეფასებული იყო თუ არა დაწესებულების ხელმძღვანელების ქმედებები (ქმედებით ან შესაძლო უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის თვალსაზრისით).[1343]

ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება დაისვას კითხვა: შეიძლებოდა თუ არა სიცოცხლის მოსპობის (სიცოცხლის მოსპობის მცდელობის) თა-

---

eng#{%22execidentifier%22:[%22001-148546%22]}]; გავრცელებული ინფორმაციით, „ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს 2012 წლის შემდეგ საქართველოს პენიტენციური სისტემიდან გაგზავნილი არც ერთი საქმე არ მიუღია წარმოებაში“, 18 ნოემბერი, 2024 წელი, იხ.: [https://justice.gov.ge/?m=articles&lang=1&id=H2nRZJYIsQ].

1341 „სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრებს შორის ჩხუბის დროს მომხდარი მკვლელობის ფაქტი გახსნა“, 22 მაისი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/718215-specialurma-sagamoziebo-samsaxurma-penitenciur-dacesebulebashi-patimrebs-shoris-chxubis-dros-momxdari-mkvlelobis-pakti-gaxsna].

1342 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, 27, იხ.: [https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf].

1343 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, 27-28, იხ.: [https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf].

ვიდან აცილება? ამისათვის უნდა დადგინდეს, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა სახელმწიფოს (ციხის ადმინისტრაციას), რომ ერთ-ერთი პატიმრისაგან მომდინარეობდა საფრთხე მეორე პატიმრის სიცოცხლისათვის. თუ გამოძიებამ დაადგინა, რომ ასეთი საფრთხის შესახებ სახელმწიფოსათვის ცნობილი იყო, მაგ., მანამდე მომხდარი კონფლიქტის გამო, რომელიც არ დასრულდა მკვლელობით, მაშინ სახელმწიფოს უნდა გაეტარებინა ღონისძიებები გარდაცვლილი პატიმრის ან სხვა პატიმრების დასაცავად მოძალადე პატიმრისაგან.

სახელმწიფოს ასევე ეკისრება ვალდებულება, რომ გაატაროს ზოგადი პრევენციული ღონისძიებები იმ პატიმრების მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ საფრთხეს სხვა პატიმრებისათვის. მაგალითად, თუ პატიმრის ფსიქიკური მდგომარეობის გამო იგი ქმნის საფრთხეს სხვა პატიმრებისათვის და სახელმწიფომ იცის ან უნდა იცოდეს პატიმრის ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ, მან უნდა გაატაროს ღონისძიებები ამ პატიმრისაგან მომდინარე საფრთხის თავიდან ასაცილებლად. თუ სახელმწიფომ იცოდა ასეთი საფრთხის შესახებ და არ გაატარა სხვა პატიმრის (პატიმრების) სიცოცხლის დაცვისაკენ მიმართული ღონისძიებები, უნდა დადგეს იმ პირთა (მაგ., ციხის ადმინისტრაციის შესაბამის თანამშრომელთა) პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებსაც უნდა გაეტარებინათ ღონისძიებები პატიმრის (პატიმრების) სიცოცხლის დასაცავად.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ გადადგას პრევენციული ნაბიჯები, რომლებიც მიმართული იქნება თავისუფლებააღკვეთილი პირის სიცოცხლის პოსპობის თავიდან აცილებისაკენ.

6.3.2.1.2. თვითმკვლელობისაგან თავისუფლებააღკვეთილი პირის სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში

ა) კანონმდებლობა

თავისუფლებააღკვეთილი პირის სიცოცხლის დაცვას თვითმკვლელობისაგან აწესრიგებს საქართველოს რამდენიმე ნორმატიული აქტი, მათ შორის საქართველოს პენიტენციური კოდექსი. პენიტენციური კოდექსის 62-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება პენიტენციური სამსახურის მიერ უსაფრთხოების ღონისძიებების გატარების შესახებ, ვრცელდება არა მხოლოდ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სხვა ბრალდებულის/მსჯავრდებულის, არამედ საკუთარი თავის დაზიანების თავიდან აცილებაზეც. ამ მუხლით დადგენილი უსაფრთხოების ღონისძიებები, სხვა ღონისძიებებთან ერთად, მოიცავს სპეციალური საშუალებების გამოყენებას, დროებითი საგუშაგოს მოწყობასა და დეესკალაციის ოთახში მოთავსებას.[1344] ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის დაზიანების თავიდან ასაცილებლად პენიტენციური კოდექსით დაშვებულია მისი მოთავსება სამარტოო საკანში არაუმეტეს 24 საათისა.[1345] ეს ღონისძიებები წყდება დაუყოვნებლივ, იმ საფრთხის აღმოფხვრისთანავე, რომლის აღსაკვეთადაც ისინი გამოიყენებოდა.[1346]

პენიტენციური კოდექსის 63-ე მუხლი ადგენს სპეციალური საშუალებების გამოყენების წესს არა მხოლოდ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სხვა პირის, არამედ საკუთარი თავის დაზიანების შემთხვევაში. კოდექსის ამ მუხლის მიხედვით, საკუთარი თავის დაზიანების შემთხვევაში, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება

1344 15 დეკემბერი, 2023 წელი. კოდექსის 62-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

1345 კოდექსის 62-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

1346 15 დეკემბერი, 2023 წელი. კოდექსის 62-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

გამოიყენონ სხვადასხვა სპეციალური საშუალება, მათ შორის: ა) ხელბორკილი; ბ) დამაწყნარებელი პერანგი; გ) დამაწყნარებელი სკამი; დ) დამაწყნარებელი საწოლი; ე) ხელკეტი.[1347] ამასთანავე, კოდექსი დეტალურად განსაზღვრავს, რომელი ღონისძიება შეიძლება გატარდეს კონკრეტულ შემთხვევაში.[1348] კოდექსის მიხედვით, ხელბორკილი შეიძლება გამოიყენონ, მათ შორის, იმ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ, რომელიც თავისი ქმედებით საფრთხეს უქმნის საკუთარ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.[1349] დამაწყნარებელი პერანგი, დამაწყნარებელი სკამი ან/და დამაწყნარებელი საწოლი შეიძლება გამოიყენონ, მათ შორის, იმ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ, რომელიც აზიანებს ან ცდილობს დააზიანოს საკუთარი თავი, ხოლო ასეთი სპეციალური საშუალებები უნდა გამოიყენონ ექიმის მეთვალყურეობით.[1350] რაც შეეხება ხელკეტს, ის შეიძლება გამოიყენონ, მათ შორის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.[1351]

კოდექსის დებულება, რომელიც ეხება სპეციალური საშუალებების გამოყენების პროპორციულობას და გონივრულობას, ვრცელდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის დაზიანების შემთხვევებზეც.[1352]

კოდექსი ასევე განსაზღვრავს, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის დაზიანების შემთხვევაში სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება აქვს სამსახურის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელსაც გავლილი აქვს სათანადო მომზადება[1353] და ეს პირი ვალდებულია, სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს შესაბამისი პირი და მისცეს გონივრული ვადა მისი კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა.[1354] კოდექსი ასევე ითვალისწინებს, რომ სპეციალური საშუალების (გარდა ხელბორკილისა) გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებათ შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დირექტორს და ექიმს ან ექთანს. სპეციალური საშუალების გამოყენების შემდეგ, პირველი შესაძლებლობისთანავე, ხორციელდება ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო შემოწმება.[1355] ასევე განსაზღვრულია, რომ სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ დგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება გამოყენებული საშუალება, მისი გამოყენების დასაბუთება და სხვა მონაცემები.[1356]

ბრალდებულის/მსჯავრდებულის სიცოცხლის (და ჯანმრთელობის) დაცვისაკენ არის მიმართული პენიტენციური კოდექსის 58-ე მუხლი, რომლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ბრალდებულის/მსჯავრდებულის თვითმკვლელობის ან თვითდაზიანების თავიდან ასაცილებლად შეიძლება განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. კოდექსის ეს მუხლი ასევე განსაზღვრავს ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებების მეთვალყურეობისა და კონტროლის წესს, კერძოდ, ადგენს, რომ პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია,

---

1347 კოდექსის 63-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.
1348 კოდექსის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილი.
1349 კოდექსის 63-ე მუხლის მე-2(ა) ნაწილი.
1350 კოდექსის 63-ე მუხლის მე-2(ბ) ნაწილი.
1351 კოდექსის 63-ე მუხლის მე-2(გ) ნაწილი.
1352 კოდექსის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილი.
1353 კოდექსის 63-ე მუხლის მე-4 ნაწილი.
1354 კოდექსის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილი.
1355 კოდექსის 63-ე მუხლის მე-7 ნაწილი.
1356 კოდექსის 63-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

გააფრთხილოს ბრალდებული/მსჯავრდებული მის მიმართ ელექტრონული საშუალების მეთვალყურეობისა ან/და აუდიო-, ვიდეოჩაწერის განხორციელების შესახებ,[1357] რომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია,[1358] განსაზღვრავს ადგილებს, სადაც დაუშვებელია მეთვალყურეობის განხორციელება (საერთო სარგებლობის საშხაპეში, საერთო სარგებლობის საპირფარეშოში, ხანგრძლივი პაემნებისთვის განკუთვნილ ოთახში). ამასთანავე, კოდექსი ადგენს, რომ საერთო სარგებლობის საპირფარეშოში ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალების მეთვალყურეობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ბრალდებულის/მსჯავრდებულის თვითმკვლელობისა და თვითდაზიანების თავიდან ასაცილებლად.[1359]

კოდექსი ასევე განსაზღვრავს, რომ პენიტენციური დაწესებულების დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას ელექტრონული საშუალების მეთვალყურეობის შეწყვეტის შესახებ იმ საფრთხის აღმოფხვრისთანავე, რომელთა გამოც ის დაწესდა.[1360]

როგორც აღინიშნა, პენიტენციური კოდექსით გათვალისწინებულ უსაფრთხოების ღონისძიებებს შორის არის დროებითი საგუშაგოს მოწყობა. ამიტომ, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება პენიტენციურ დაწესებულებაში გაიხსნას დამატებითი საგუშაგოც, რათა ბრალდებულზე/მსჯავრდებულზე განხორციელდეს ზედამხედველობა და კონტროლი როგორც ვიზუალურად, ისე ვიზუალურ-ელექტრონული მეთვალყურეობის საშუალებებით.

ბრალდებულის/მსჯავრდებულის თვითმკვლელობისა და თვითდაზიანებისაგან დაცვას ასევე ისახავს მიზნად პენიტენციური დაწესებულებების დებულებები. ისინი ადგენს, რომ, თუ ბრალდებული/მსჯავრდებული, მათ შორის, საფრთხეს უქმნის საკუთარ სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, სამედიცინო პერსონალის რეკომენდაციითა და დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, იგი შეიძლება განთავსდეს დაწესებულების სათანადოდ აღჭურვილ დეესკალაციის ოთახში სამედიცინო პერსონალის უწყვეტი ხელმისაწვდომობისა და დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის 24-საათიანი ვიზუალური საშუალებებით მეთვალყურეობის პირობებში.[1361]

პენიტენციური დაწესებულებების დებულებები, რომლებიც აწესრიგებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სხვა ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაზიანების თავიდან აცილებას, ასევე ვრცელდება თვითმკვლელობისა და თვითდაზიანებისაგან მათი დაცვის წესზე. კერძოდ, დეესკალაციის ოთახში გადაყვანილი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მდგომარეობა გადაყვანიდან არაუგვიანეს 24 საათის ვადაში შეფასდება მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ, თუმცა ბრალდებული/მსჯავრდებული, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით შეიძლება შეფასდეს შესაბამისი დარგის სპეციალისტის მიერ. ამის შემდეგ მომდევნო 24 საათში წყდება მისი საკანში დაბრუნების,

---

1357 კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

1358 კოდექსის 58-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

1359 კოდექსის 58-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

1360 კოდექსის 58-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

1361 მაგ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, 25-ე მუხლი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1]; ასევე იხ. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N119 „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N2 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 27 აგვისტო, 2015 წელი, მე-17 მუხლი.

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ან სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანის საკითხი.[1362]

პენიტენციური დაწესებულებების დებულებები ასევე ადგენს, რომ ბრალდებული/მსჯავრდებული დეესკალაციის ოთახში შეიძლება განთავსდეს იმ საფრთხის აღმოფხვრამდე, რამაც მისი დეესკალაციის ოთახში მოთავსება განაპირობა, მაგრამ არაუმეტეს 72 საათისა.[1363]

გარდა ამისა, საქართველოში მოქმედებს საბაზისო დაცვითი ღონისძიებების გატარების მარეგულირებელ ჩარჩო, რომელიც მიზნად ისახავს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სიცოცხლისათვის პოტენციური საფრთხის შემცირებას. ეს ნორმატიული აქტები, რომლებიც მოიცავს სიცოცხლისათვის პოტენციური საფრთხის შემცველ სხვადასხვა სიტუაციას, აწესრიგებს სახელმწიფოს მიერ ზოგადი პრევენციული ღონისძიებების გატარებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიერ თვითმკვლელობა ან თვითდაზიანება. ამ აქტებს შორის აღსანიშნავია რამდენიმე.

პენიტენციური დაწესებულების გარეთ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ესკორტირების რეჟიმს განსაზღვრავს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანებით დამტკიცებული წესი „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების შესახებ“[1364] და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის №55 ბრძანებით დამტკიცებული წესი „სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის შესახებ.“[1365]

„ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების წესი“ დეტალურად ადგენს შესაბამის პროცედურებს, მათ შორის უსაფრთხოების ღონისძიებების გატარების შესახებ. წესის მე-4^2 მუხლი (ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაყვანა/გადაყვანისას საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად) განსაზღვრავს, რომ პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორს უფლება აქვს, არ დააკმაყოფილოს გაყვანა/გადაყვანის მოთხოვნა, თუ ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაყვანა/გადაყვანა, მისი სუიციდის რისკის დონის გათვალისწინებით, არ არის მიზანშეწონილი და საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს.

წესით ასევე დადგენილია, რომ საბადრაგო ჯგუფის წევრები ვალდებულნი არიან, არ დატოვონ მუდმივი ვიზუალური მეთვალყურეობის გარეშე ბრალდებული/მსჯავრდებული, რომლის გაყვანა/გადაყვანა ან დაცვა ევალებათ ყოფნის სხვა ადგილებში, ისევე როგორც ევალებათ შეაფასონ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ მოსალოდნელი გაქცევის რისკები და მოახდინონ შესაბამისი რეაგირება.[1366] წესით ასევე დადგენილია საპირფარეშოში გაყვანის წესი. საპირფარეშოში ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაყვანის წინ მოწმდება საპირფარეშო. საპირფარეშოსაკენ მსვლელობისას

1362 მაგ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, 25-ე მუხლის მე-8 პუნქტი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1].

1363 მაგ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, 25-ე მუხლის მუხლის მე-2-მე-4 პუნქტები, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1].

1364 იხ. [https://matsne.gov.ge/ka/document/view/2994635?publication=11].

1365 იხ. [https://matsne.gov.ge/ka/document/view/2311700?publication=10].

1366 წესის 74-ე მუხლის „ა“ და „ზ“ პუნქტები.

და უკან დაბრუნებისას წინ მიდის საბადრაგო ჯგუფის წევრი, ხოლო შემდეგ ბრალდებული/მსჯავრდებული, უკან – ჯგუფის უფროსი ან მის მიერ განსაზღვრული საბადრაგო ჯგუფის წევრი.[1367]

პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ზედამხედველობა და კონტროლი ხორციელდება „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად პენიტენციური დაწესებულების დერეფნებში, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამუშაო-სამეურნეო ადგილებში, ეზოებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე დაწესებულების გარე პერიმეტრზე, ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი, როგორც წესი, ხორციელდება მუდმივად.[1368]

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ზედამხედველობა და კონტროლი ასევე ხორციელდება პენიტენციური დაწესებულების დებულების და „პენიტენციურ დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის ორგანიზების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.[1369] ინსტრუქციის მიხედვით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, შეიძლება შეიქმნას დროებითი საგუშაგო.[1370]

ინსტრუქცია განსაზღვრავს, რომ თვითმკვლელობის/თვითდაზიანების ან თვითმკვლელობის/თვითდაზიანების მცდელობის შემთხვევაში სამორიგეო ცვლის შემადგენლობაში მყოფი მოსამსახურე დაუყოვნებლივ ატყობინებს კორპუსის ოფიცერსა და სამორიგეო ცვლის ხელმძღვანელს.[1371]

ინსტრუქცია ასევე ადგენს, რომ ასეთ სიტუაციაში მოსამსახურე საკნის/საერთო საცხოვრებლის კარების სარკმლიდან მოუწოდებს და აძლევს მითითებებს საკანში/საერთო საცხოვრებელში მყოფ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს, არ დაუშვან თვითმკვლელობა/თვითდაზიანება და თვითმკვლელობის/თვითდაზიანების მცდელობა ან დახმარება აღმოუჩინონ დაზარალებულს. ეს მოსამსახურე დანაყოფში მყოფ დაწესებულების სხვა მოსამსახურეებთან ერთად ატარებს ღონისძიებებს დაზარალებულის გადასარჩენად.[1372]

ასევე „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 თებერვლის N13 ბრძანებით გათვალისწინებული მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პერიოდულობით ამოწმებენ სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართული იმ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მდგომარეობას, რომლის მიმართ არ ხორციელდება ელექტრონული საშუალების მეთვალყურეობა და კონტროლი.[1373]

1367 წესის 78-ე მუხლი.

1368 მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი. იხ.: [https://matsne.gov.ge/document/view/2823755?publication=6].

1369 იხ. [https://matsne.gov.ge/ka/document/view/1979236?publication=5].

1370 ინსტრუქციის მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტი.

1371 ინსტრუქციის 44-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

1372 ინსტრუქციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

1373 ინსტრუქციის 44(3)-ე მუხლი.

პოტენციური საფრთხისაგან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სიცოცხლის დაცვისაკენ არის მიმართული ისეთი ნორმატიული რეგულაციის არსებობა, რომელიც პენიტენციურ დაწესებულებებში კრძალავს სიცოცხლისათვის საშიშ ნივთებს. პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით, პენიტენციურ დაწესებულებაში იკრძალება ისეთი ნივთების ქონა, როგორებიცაა: ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის ყველა სახეობა, დანები, სხვა ბასრი და მჩხვლეტავი საგნები, მათ შორის, კუსტარულად დამზადებული ან/და დაშლილი ან/და გადაკეთებული ერთჯერადი სამართებელი, ასევე ნაჯახები, ჩაქუჩები და სხვა ინსტრუმენტები.[1374]

კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვის აღსასრულებლად, ასეთი ნივთებისა და საგნების აღმოჩენის მიზნით, პენიტენციურ დაწესებულებებში ტარდება საკნების და საერთო საცხოვრებლის როგორც გეგმური, ისე არაგეგმური დათვალიერება.[1375]

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა თვითმკვლელობის თავიდან აცილებას ემსახურება იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამა“, რომლის მიზანია პენიტენციურ დაწესებულებებში სუიციდისკენ მიდრეკილ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გამოვლენა, მათთვის ჰოლისტურ პრინციპებზე დაფუძნებული დახმარების მიწოდების ხელშეწყობა, სუიციდით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება.[1376]

პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულის პირველად მოხვედრის შემთხვევაში, სპეციალური აღრიცხვის განყოფილების მოსამსახურე ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ აცნობოს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამის“ საფუძველზე, პენიტენციურ დაწესებულებებში დანიშნულ ადგილობრივ კოორდინატორს, რომელმაც არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, უნდა უზრუნველყოს ფსიქოლოგის შეხვედრა ბრალდებულთა სუიციდის რისკის მიმოხილვითი შეფასების მიზნით.[1377] კოორდინატორები ორგანიზებას უწევენ რიგგარეშე შეკრებას, რომელზეც სუიციდის პრევენციის გუნდის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე განისაზღვრება ბრალდებულის/მსჯავრდებულის სუიციდის რისკის დონე და მზადდება რეკომენდაცია მისი განთავსების თაობაზე.[1378]

პენიტენციურ დაწესებულებაში შექმნილი სუიციდის პრევენციის გუნდის მომსახურება მოიცავს პროგრამაში ჩართული კონკრეტული ბრალდებულის/მსჯავრდებულის

1374 მაგ., იხ. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N112 „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N14 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 27 აგვისტო, 2015 წელი, დანართი 1, მე-2, მე-11 და მე-12 პუნქტები.

1375 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული წესი „პენიტენციურ დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის ორგანიზების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, 93-ე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტები.

1376 26 ოქტომბერი, 2020 წელი, ბრძანება N643, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5022964?publication=0].

1377 მაგ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, მე-13 მუხლის მე-9-მე-10 პუნქტები, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1]; ასევე საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N537 „N10 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 13 მაისი, 2020 წელი, მე-12[1] მუხლის მე-9-მე-10 პუნქტები, იხ: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/4869733?publication=9].

1378 იქვე, მე-8(2) პუნქტი.

სუიდიცის რისკის შეფასებას, ინდივიდუალური დახმარების გეგმის შემუშავებასა და აღნიშნული გეგმის განხორციელებას.[1379]

საქართველოში ასევე მოქმედებს პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების გაწევის სტანდარტები.[1380] სტანდარტების მიხედვით, ბრალდებული/მსჯავრდებული პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებისას გადის სავალდებულო პირველად სამედიცინო შემოწმებას, რომლის დროსაც ხდება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მონაცემების აღწერა და ობიექტური დოკუმენტირება, მათ შორის: ფსიქიკური დახმარების აუცილებლობის განსაზღვრა და სუიციდის რისკის პირველადი შეფასება.[1381]

დოკუმენტით ასევე განისაზღვრება ფსიქიკური ჯანმრთელობისა და სუიციდის პრევენციის სტანდარტი, რომლის მიხედვით ხდება არა მხოლოდ ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ფსიქიატრიული მომსახურების საჭიროებების იდენტიფიცირება (პირველადი სამედიცინო შემოწმებისას), არამედ ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის რუტინული პრევენციული მონიტორინგი.[1382]

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა თვითმკვლელობისა და თვითდაზიანების თავიდან აცილებისაკენ მიმართული ერთ-ერთი ღონისძიება სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის შექმნაა, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რისკჯგუფების გამოვლენა თვითდაზიანების თვალსაზრისით, ასევე კრიზისული სიტუაციების მართვაში მხარდაჭერა, მოწყვლადი ჯგუფების გამოვლენა, მათთვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით ზრუნვის სტანდარტების შექმნა და მათი განხორციელების კოორდინაცია.[1383]

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა თვითმკვლელობის მცდელობასთან დაკავშირებული საკითხია სამედიცინო მკურნალობის ნებაყოფლობა. ეს საკითხი წესრიგდება „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით, რომლის მიხედვით, სამედიცინო მომსახურების გაწევის აუცილებელი პირობაა პაციენტის თანხმობა, ხოლო ამავე კანონის 23-ე მუხლის მიხედვით, ქმედუნარიან და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარიან პაციენტს უფლება აქვს, მკურნალობის ნებისმიერ ეტაპზე უარი განაცხადოს სამედიცინო მომსახურებაზე, აგრეთვე შეწყვიტოს უკვე დაწყებული სამედიცინო მომსახურება. სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმის ან მისი შეწყვეტის მოსალოდნელი შედეგების შესახებ პაციენტი ამომწურავად უნდა იყოს ინფორმირებული. აკრძალულია ქმედუნარიანი და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარიანი პაციენტის ნების წინააღმდეგ სამედიცინო მომსა-

---

1379 იქვე, მე-9(2) პუნქტი.

1380 იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N381 „პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების გაწევის სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევის დამატებითი სტანდარტების, პრევენციული მომსახურების პაკეტისა და სამედიცინო მომსახურებისათვის აუცილებელი საბაზისო მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“, 15 თებერვალი, 2019 წელი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/4482407?publication=5].

1381 იქვე, მე-5 მუხლის 1-ელი და მე-2(გ) პუნქტები.

1382 იქვე, მე-12 მუხლი.

1383 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N418 „სპეციალური პენიტენციური სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“, 10 ივნისი, 2019 წელი, მე-8 მუხლის „მ“ პუნქტი, იხ. [https://matsne.gov.ge/ka/document/view/4584836?publication=1].

ხურების განხორციელება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

„პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის წესი მოქმედებს პენიტენციურ სისტემაში განთავსებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების მიმართ სამედიცინო მომსახურების აღმოჩენის ეტაპზეც და იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი (ბრალდებული/მსჯავრდებული) უარს აცხადებს სამედიცინო ჩარევაზე, ექიმი ვალდებულია, განუმარტოს ჯანმრთელობის მოსალოდნელი შედეგების შესახებ, თუმცა, პაციენტის უარის შემთხვევაში, ვერ იქნება გაწეული შესაბამისი სამედიცინო დახმარება.

საქართველოს კანონმდებლობა ასევე ადგენს ბრალდებულის/მსჯავრდებულისათვის სამედიცინო მედიკამენტის გაცემის და ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ მედიკამენტის მიღების წესს. კერძოდ, პენიტენციური დაწესებულებების დებულებების მიხედვით, მედიკამენტის გაცემა ხდება ექიმის დანიშნულებით. რაც შეეხება მედიკამენტის მიღებას, დებულებების მიხედვით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ ფსიქოტროპული მედიკამენტის პერორალური მიღება ხორციელდება უსაფრთხოების განყოფილების მოსამსახურის თანდასწრებით, სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე.[1384]

საქართველოს კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს ნორმატიულ ჩარჩოს, რომელიც მიმართულია პენიტენციურ დაწესებულებებში უბედური შემთხვევების თავიდან აცილებისაკენ. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობა ადგენს პენიტენციურ დაწესებულებებში უსაფრთხოების სტანდარტებს, რომლებიც მიზნად ისახავს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სიცოცხლის დაცვას ისეთი უბედური შემთხვევებისაგან, როგორებიცაა ხანძარი ან სტიქიური უბედურება. „პენიტენციურ დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის ორგანიზების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ადგილობრივი პირობების, თავისებურებების და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, შემუშავებულ უნდა იქნეს დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული „ხანძრის დროს დაწესებულების სამოქმედო გეგმა-ნახაზი და სტიქიური უბედურების დროს დაწესებულების სამოქმედო გეგმა-ნახაზი“.[1385]

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი აკისრებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას არა მხოლოდ თავისუფლებააღკვეთილი პირის სიცოცხლე სხვა პატიმრების მოსპობისაგან, არამედ თავად თავისუფლებააღკვეთილი პირი თვითმკვლელობისაგან. ევროპულმა სასამართლომ დააკისრა სახელმწიფოს ისეთი ღონისძიებების გატარების ვალდებულება, რომლებიც მინიმუმამდე შეამცირებს თავისუფლებააღკვეთილი პირის თვითმკვლელობის საფრთხეს. უსაფრთხოების ზოგად ღონისძიებებთან ერთად, სახელმწიფომ უნდა გაატაროს ინდივიდუალური ღონისძიებები და, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეაფასოს სიცოცხლის დაცვისათვის გასატარებელი ღონისძიებების თანაზომიერება. აქაც, როგორც ეს იყო ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიერ სხვა ბრალდებულთა/

1384 მაგ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, 59(9)-ე მუხლი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1]; საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N537, „N10 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 13 მაისი, 2020 წელი, 52(9)-ე მუხლი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/4869733?publication=9].

1385 156-ე მუხლი.

მსჯავრდებულთა სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში, ევროპულმა სასამართლომ გამოიყენა საქმეზე – *ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Osman v. the United Kingdom)* – სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დადგენის კრიტერიუმები, რომლებიც გაავრცელა თავისუფლებააღკვეთილ პირთა თვითმკვლელობის საქმეებზე.[1386] თავისუფლებააღკვეთილი პირების თვითმკვლელობის საკითხზე შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმე, კერძოდ: *საქმეზე – კენანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Keenan v. the United Kingdom)*,[1387] რომელიც ეხებოდა ფსიქიკური აშლილობის მქონე და თვითდაზიანებისაკენ მიდრეკილ პატიმარს, – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პატიმრის მოთავსებით სპეციალურ საკანში, სათანადო ზედამხედველობის პირობებში, სახელმწიფომ შეასრულა თავისი ვალდებულება პატიმრის თვითმკვლელობის საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

საქმეზე – *კოსელავი თურქეთის წინააღმდეგ (Coselav v. Turkey),*[1388] რომელიც ეხებოდა პატიმრის თვითმკვლელობას, რასაც წინ უსწრებდა თვითმკვლელობის ორი მცდელობა და თვითდაზიანება, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ იცოდა პატიმრის მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ, თვითმკვლელობის დღეს, როდესაც პატიმრის ფსიქიკური მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო, სამედიცინო განყოფილებაში დახმარების აღმოჩენის შემდეგ (მან რამდენჯერმე საკნის კედელს დაარტყა თავი), იგი დააბრუნეს საკუთარ საკანში და დატოვეს ზედამხედველობის გარეშე, რასაც მოჰყვა თვითმკვლელობა.

საქმეზე – *რეინოლდსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Reynolds v. the United Kingdom),*[1389] რომელიც ეხებოდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებული, შიზოფრენიით დაავადებული პატიმრის სასიკვდილო გადმოხტომას შენობის მე-6 სართულიდან, – ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ნაბიჯებზე, რომლებიც სახელმწიფომ უნდა გადადგას თავისუფლებაღკვეთილი პირის თვითმკვლელობისაგან დასაცავად. ამ ნაბიჯებს შორისაა: პატიმარზე ზედამხედველობა, ექიმის მიერ პატიმრის რეგულარული მონახულება, ფსიქიატრის მიერ პატიმრის შეფასება და მკურნალობა, პატიმრის უზრუნველყოფა მედიკამენტებით, პატიმრისათვის განგაშის მექანიზმის ხელმისაწვდომობა, მისთვის ალკოჰოლური სასმელებისა და ნარკოტიკების აკრძალვა.[1390]

საქმე *დე დონდერი და დე კლიპელი ბელგიის წინააღმდეგ (De Donder and De Clippel v. Belgium)* ეხებოდა ფსიქიკური აშლილობის მქონე პატიმარს, რომელიც ჯერ მოათავსეს ციხეში სხვა პატიმრებთან ერთად (ნაცვლად ციხის ფსიქიატრიულ განყოფილებაში მოთავსებისა), სადაც მას მოუვიდა კონფლიქტი სხვა პატიმართან, ხოლო მოგვიანებით იგი მოათავსეს სამარტოო საკანში. მძიმე ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, იგი ვერ აცნობიერებდა სამარტოო საკანში მისი მოთავსების მიზეზებს და იყო უკიდურესად შეშინებული. სამარტოო საკანში მოთავსებიდან რამდენიმე დღეში პატიმარმა ჩაიდინა თვითმკვლელობა, რის გამოც დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.

1386 90-ე პუნქტი.

1387 3 აპრილი, 2001 წელი.

1388 9 ოქტომბერი, 2012 წელი.

1389 13 მარტი, 2012 წელი.

1390 P.H. van Kempen, Positive Obligations to Ensure the Human Rights of Prisoners: Safety, Healthcare, Conjugal Visits and the Possibility of Founding a Family Under the ICCPR, the ECHR, the ACHR, and the AfChHPR, in: Peter J.P. Tak & Manon Jendly (eds.), Prison Policy and Prisoner' Rights. The Protection of Prisoners' Fundamental Rights in International and Domestic Law, 2008, 28.

საქმეზე – *ჯენტი ბელგიის წინააღმდეგ (Jeanty v. Belgium)*,[1391] რომელშიც პატიმარი თავად აცხადებდა, რომ განზრახული ჰქონდა თვითმკვლელობა და ითხოვდა საკუთარი თავის იზოლირებას, – ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ გაატარა პრევენციული ღონისძიებები პატიმრის სიცოცხლის დასაცავად. კერძოდ, ციხის ადმინისტრაციამ საკნიდან გაიტანა საფრთხის შემცველი ნივთები, პატიმარი მოათავსეს დაცულ საკანში, ექიმმა მას მისცა დამამშვიდებელი, რამდენიმე დღის განმავლობაში იგი იმყოფებოდა სპეციალური ზედამხედველობის ქვეშ, მოგვიანებით კი პატიმარი მოათავსეს იზოლირებულ საკანში, ხოლო როდესაც ციხის გუშაგმა აღმოაჩინა, რომ პატიმარი ჩადიოდა თვითმკვლელობას, შეაჩერა იგი. ამის შემდეგ მას დაახურეს ჩაფხუტი და დაადეს ხელბორკილები, რათა თავიდან აეცილებინათ თვითდაზიანება. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ ღონისძიებებმა რეალურად მოახდინა მოსარჩელის თვითმკვლელობის თავიდან აცილება, რის გამოც მიიჩნია, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-2 მუხლი.[1392]

ზემოაღნიშნულ ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ კანონმდებლობა, ძირითადად, აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს ამ საქმეებში ჩამოყალიბებულ სტანდარტებს, მათ შორის ადგენს სუიციდის პრევენციის მექანიზმს, რომლის ფარგლებში ნებისმიერი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ ხდება სუიციდის რისკის შეფასება, ინდივიდუალური დახმარების გეგმის შემუშავება-განხორციელება და რომლის მიზანია არა მხოლოდ თვითმკვლელობისაკენ მიდრეკილ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა იდენტიფიცირება, არამედ სათანადო ღონისძიებების გატარება ასეთი პირების მიმართ. საქართველოს კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს სუიციდის პროგრამაში ჩართული პირების მდგომარეობის პერიოდულ შემოწმებას.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის თვითმკვლელობის პრევენციის მიზნით სპეციალური საშუალებების გამოყენებას (მათ შორის: ხელბორკილი; დამაწყნარებელი პერანგი; დამაწყნარებელი სკამი; დამაწყნარებელი საწოლი), დროებითი საგუშაგოს მოწყობას, დეესკალაციის ოთახში პირის მოთავსებას. კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს, რომ დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ბრალდებულის/მსჯავრდებულის თვითმკვლელობის ან თვითდაზიანების თავიდან ასაცილებლად შეიძლება განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის დაზიანების ასაცილებლად, პენიტენციური კოდექსით დაშვებულია მისი მოთავსება სამარტოო საკანში არაუმეტეს 24 საათისა.[1393] ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსება სამარტოო საკანში თვითმკვლელობის მცდელობისათვის, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და თვითმკვლელობის მცდელობის განმეორების საფრთხის გათვალისწინებით, აუცილებელია აიკრძალოს კანონმდებლობით. ნაცვლად ამისა, აუცილებელია, რომ ასეთი ბრალდებული/მსჯავრდებული მოათავსონ დეესკალაციის ოთახში ან/და მოხდეს მისი ვიზუალურ-ელექტრონული მეთვალყურეობა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ დაადგინა თავისუფლებააღკვეთილი პირის მიერ სამედიცინო მედიკამენტის მიღების წესი. კერძოდ, საქმეზე – *რენოლდი საფ-*

1391 31 მარტი, 2020 წელი.

1392 82-ე პუნქტი.

1393 კოდექსის 62-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

რანგეთის წინააღმდეგ (Renolde v. France),[1394] რომელიც ეხებოდა ფსიქიკური აშლილობის მქონე პატიმრის თვითმკვლელობას, – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: სახელმწიფო არ დარწმუნდა, რომ პატიმარი, რომელმაც მანამდე სცადა თვითმკვლელობა, ნამდვილად იღებდა დანიშნულ მედიკამენტებს. ასევე მან არ უზრუნველყო პატიმრის მოთავსება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ, არამედ მის მიმართ გამოიყენა დისციპლინური სასჯელი მაქსიმალური ვადით, რამაც გაზარდა თვითმკვლელობის საფრთხე, რაც, საბოლოოდ, მან აღასრულა.

საქმეზე – *იასინსკა პოლონეთის წინააღმდეგ (Jasinska v. Poland),* რომელიც ეხებოდა პატიმრის გარდაცვალებას პენიტენციურ დაწესებულებაში დიდი რაოდენობით ფსიქოტროპული ნივთიერებების ერთიანად მიღების შედეგად,[1395] – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლების პასუხისმგებლობა არ შემოიფარგლება სამკურნალო ნივთიერების დანიშვნით, არამედ ვრცელდება იმის უზრუნველყოფაზეც, რომ ამ ნივთიერებას მიიღებენ წესისამებრ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება გონებრივი აშლილობის მქონე პატიმრებს.

საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტს და ადგენს ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სამედიცინო მედიკამენტის მიღების წესს. კერძოდ, პენიტენციური დაწესებულებების დებულებების მიხედვით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ ფსიქოტროპული მედიკამენტის პერორალური მიღება ხორციელდება უსაფრთხოების განყოფილების მოსამსახურის თანდასწრებით, სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე.[1396]

ევროპულმა სასამართლომ ასევე განსაზღვრა სტანდარტი პატიმრისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ნებაყოფლობითობის მიმართ. საქმეზე – *შუმკოვა რუსეთის წინააღმდეგ (Shumkova v. Russia),*[1397] რომელიც ეხებოდა ფსიქიკური აშლილობის მქონე და თვითდაზიანებისაკენ მიდრეკილი პატიმრის თვითმკვლელობას პენიტენციურ დაწესებულებაში, – ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა მოსარჩელის შვილისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე. ვინაიდან ციხის თანამშრომლებმა იცოდნენ, რომ მოსარჩელის შვილს ჰქონდა ფსიქიკური აშლილობა, ევროპული სასამართლოს აზრით, სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე (პატიმარმა გადაიჭრა ვენები და იცლებოდა სისხლისაგან) მისი ზეპირსიტყვიერი უარისათვის არ უნდა მიექციათ ყურადღება, მით უფრო, მისი დაზიანების გათვალისწინებით, პატიმარი ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას ციხის თანამშრომლებს. ევროპული სასამართლოს აზრით, პირველად დახმარებაზე ზეპირსიტყვიერმა უარმა არ შეიძლება გაამართლოს ციხის თანამშრომლების უმოქმედობა და იმის ცქერა, როგორ იცლებოდა იგი სისხლისაგან და კვდებოდა.[1398]

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამედიცინო მკურნალობის/დახმარების ნებაყოფლობითობა წესრიგდება „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე

1394 16 ოქტომბერი, 2008 წელი.

1395 1 ივნისი, 2010 წელი.

1396 მაგ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, 59(9)-ე მუხლი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5911462?publication=1]; საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N537, „N10 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 13 მაისი, 2020 წელი, 52(9)-ე მუხლი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/4869733?publication=9].

1397 14 თებერვალი, 2012 წელი.

1398 101-ე პუნქტი.

მუხლით, რომლის მიხედვით, სამედიცინო მომსახურების გაწევის აუცილებელი პირობაა პაციენტის თანხმობა, ხოლო ამავე კანონის 23-ე მუხლის მიხედვით, ქმედუნარიან და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარიან პაციენტს უფლება აქვს, მკურნალობის ნებისმიერ ეტაპზე უარი განაცხადოს სამედიცინო მომსახურებაზე. მართალია, საქართველოს კანონმდებლობით, აკრძალულია ქმედუნარიანი და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარიანი პაციენტის ნების წინააღმდეგ სამედიცინო მომსახურების განხორციელება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა, არც პენიტენციურ კოდექსში და არც სხვა ნორმატიულ აქტში, რომელიც აწესრიგებს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამედიცინო მკურნალობას/დახმარებას, არ არის მოწესრიგებული სიტუაცია, როდესაც ასეთი პირს უნდა აღმოეჩინოს სამედიცინო დახმარება, როგორც ეს განსაზღვრულია ევროპული სასამართლოს პოზიციით.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ ნათელი მოჰფინა სახელმწიფოს ვალდებულებების მთელ რიგს ე.წ. „განჭვრეტადი საფრთხის“ მიმართ და დააკისრა მას ვალდებულება, გაატაროს ზოგადი პრევენციული ღონისძიებები. საქმეზე – *კელერი რუსეთი წინააღმდეგ (Keller v. Russia),* რომლის მიხედვით, მსხვერპლი პოლიციაში ყოფნისას ფანჯრიდან გადახტა, – სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობს აუცილებელი საბაზისო პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც პოლიციისა და პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებმა უნდა გაატარონ ყველა შემთხვევაში, რათა მოახდინონ ნებისმიერი პოტენციური საფრთხის შემცირება.[1399] მსგავსად, საქმეზე – *P.H. სლოვაკეთის წინააღმდეგ (P.H. v. Slovakia),* [1400] რომელიც ეხებოდა თავისუფლებააღკვეთილი 16 წლის გოგონას მიერ შენობის მეორე სართულზე მდებარე საპირფარეშოს ფანჯრიდან გადახტომას, – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს უნდა გაეტარებინა გარკვეული პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნებოდა პოტენციური საფრთხის მინიმუმამდე შემცირებისაკენ, კერძოდ, ოფიცერმა, რომელიც გოგონას თან ახლდა საპირფარეშოში, ვერ განახორციელა სათანადო ზედამხედველობა მასზე. კერძოდ, ოფიცერს უნდა უზრუნველეყო, რომ საპირფარეშოს ფანჯარა ყოფილიყო ჩაკეტილი ან მას უნდა ეპოვნა მდედრობითი სქესის ოფიცერი, პატიმრის ზედამხედველობისათვის.

საქართველოს კანონმდებლობა სათანადოდ აწესრიგებს თავისუფლებააღკვეთილი პირის სიცოცხლის დაცვის ზოგადი პრევენციული ღონისძიებების გატარებას. კერძოდ, პენიტენციური დაწესებულების გარეთ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ესკორტირების რეჟიმს განსაზღვრავს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №149 ბრძანებით დამტკიცებული წესი „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გაყვანა/გადაყვანისას ბადრაგირების შესახებ“[1401] და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის №55 ბრძანებით დამტკიცებული წესი „სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გადაყვანის შესახებ“.[1402] წესი ადგენს, რომ საბადრაგო ჯგუფის წევრები ვალდებულნი არიან, არ დატოვონ მუდმივი ვიზუალური მეთვალყურეობის გარეშე ბრალდე-

---

1399 17 ოქტომბერი, 2013 წელი. 82-ე პუნქტი; ასევე იხ. *ერემიასოვა და პეჩოვა ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (Eremiasova and Pechova v. the Czech Republic),* 16 თებერვალი, 2012 წელი.

1400 8 სექტემბერი, 2022 წელი.

1401 იხ. [https://matsne.gov.ge/ka/document/view/2994635?publication=11].

1402 იხ. [https://matsne.gov.ge/ka/document/view/2311700?publication=10].

ბული/მსჯავრდებული, რომლის გაყვანა/გადაყვანა ან დაცვა ევალებათ ყოფნის სხვა ადგილებში, ისევე როგორც ევალებათ, შეაფასონ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ მოსალოდნელი გაქცევის რისკები და მოახდინონ შესაბამისი რეაგირება.[1403] წესით ასევე დადგენილია საპირფარეშოში გაყვანის პროცედურა.

ამას გარდა, პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე ხდება ბრალდებულთა/მსაჯვრდებულთა ზედამხედველობა და კონტროლი ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით, კერძოდ, პენიტენციური დაწესებულების დერეფნებში, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამუშაო-სამეურნეო ადგილებში, ეზოებში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე დაწესებულების გარე პერიმეტრზე.[1404]

ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ასევე ითვალისწინებს სტანდარტს სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ნივთების ამოღების საჭიროების შესახებ. საქმეზე – *ტანრიბილირი თურქეთის წინააღმდეგ (Tanribilir v. Turkey)*– ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ფიზიკური თავისუფლების ნებისმიერმა აღკვეთამ შეიძლება, თავისი ბუნებით, გამოიწვიოს ფსიქოლოგიური აშლილობა პატიმრებს შორის, თვითმკვლელობის საფრთხის ჩათვლით, რის გამოც სახელმწიფომ უნდა გაატაროს პრევენციული ღონისძიებები, როგორებიცაა ბასრი ნივთების და სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ნივთების ამოღება.[1405]

საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ სტანდარტს. პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით იკრძალება ისეთი ნივთების ქონა, როგორებიცაა: ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის ყველა სახეობა, დანები, სხვა ბასრი და მჩხვლეტავი საგნები, მათ შორის, კუსტარულად დამზადებული ან/და დაშლილი, ან/და გადაკეთებული ერთჯერადი სამართებელი, ასევე ნაჯახები, ჩაქუჩები და სხვა ინსტრუმენტები.[1406] კანონმდებლობით ასევე დადგენილია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში ტარდება საკნების და საერთო საცხოვრებლის როგორც გეგმური, ისე არაგეგმური დათვალიერება.[1407]

რაც შეეხება სამედიცინო დახმარების აღმოჩენას იმ პატიმრისათვის, რომელიც უარს აცხადებს ასეთ დახმარებაზე, ევროპულმა სასამართლომ თავისი პრაქტიკით დაადგინა, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ასეთი სამედიცინო დახმარება, თუ საფრთხე ექმნება პატიმრის სიცოცხლეს. კერძოდ, საქმე *შუმკოვა რუსეთის წინააღმდეგ (Shumkova v. Russia)* ეხებოდა მოსარჩელის ფსიქიკური აშლილობის მქონე შვილის თვითმკვლელობას პენიტენციურ დაწესებულებაში.[1408] კერძოდ, პატიმარმა გადაიჭრა ვენები და იცლებოდა სისხლისაგან, როდესაც ციხის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს იგი. ევროპულ სასამართლოს უნდა შეეფასებინა, ეკისრებოდა თუ არა

1403 წესის 74-ე მუხლის „ა“ და „ზ“ პუნქტები.

1404 მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი. იხ.: [https://matsne.gov.ge/document/view/2823755?publication=6].

1405 16 ნოემბერი, 2000 წელი, 74-ე პუნქტი.

1406 მაგ., იხ. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ბრძანება N112 „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N14 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 27 აგვისტო, 2015 წელი, დანართი 1, მე-2, მე-11 და მე-12 პუნქტები.

1407 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული წესი „პენიტენციურ დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის ორგანიზების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, 93-ე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტები.

1408 14 თებერვალი, 2012 წელი.

სახელმწიფოს ვალდებულება, აღმოეჩინა პატიმრისათვის სამედიცინო დახმარება, მიუხედავად იმისა, რომ იგი უარს აცხადებდა ასეთ დახმარებაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან ციხის თანამშრომლებმა იცოდნენ, მოსარჩელის შვილს ჰქონდა ფსიქიკური აშლილობა, მისი უარისათვის არ უნდა მიექციათ ყურადღება, მით უფრო, მისი დაზიანების გათვალისწინებით, იგი ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას ციხის თანამშრომლებს. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ პირველად დახმარებაზე ზეპირსიტყვიერმა უარმა არ შეიძლება გაამართლოს ციხის თანამშრომლების უმოქმედობა, რასაც შედეგად მოჰყვა პატიმრის გარდაცვალება.[1409]

საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ, საექიმო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის 44-ე მუხლით, „ექიმი ვალდებულია, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პირს სამედიცინო დახმარება გაუწიოს მხოლოდ მისი ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, გარდა გადაუდებელი და სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობისა, როცა თანხმობის მიღება ამ პირის მძიმე მდგომარეობის გამო შეუძლებელია.“

კანონის ეს დებულება ითვალისწინებს, რომ სამედიცინო დახმარება გაეწევა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პირს მხოლოდ მისი ინფორმირებული თანხმობით, თუმცა ადგენს გამონაკლისს, რომლის მიხედვით ასეთ პირს უნდა აღმოეჩინოს სამედიცინო დახმარება გადაუდებელი და სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში, როდესაც თანხმობის მიღება ამ პირის მძიმე მდგომარეობის გამო შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პირს სამედიცინო დახმარება უნდა აღმოეჩინოს ყველა შემთხვევაში, როდესაც მისი მდგომარეობა არის გადაუდებელი და სიცოცხლისათვის საშიში, მიუხედავად ამ პირის თანხმობისა. აქედან გამომდინარე, კანონის ეს დებულება შეესაბამება ევროპული კონვენციის პრაქტიკას.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ თვითმკვლელობისაგან თავისუფლებააღკვეთილი პირების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობა, ძირითადად, შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს. ამასთანავე, საქართველოს პენიტენციური კოდექსით დაშვებულია ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსება სამარტოო საკანში, საკუთარი თავის დაზიანების თავიდან ასაცილებლად. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსება სამარტოო საკანში მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და თვითდაზიანების ან თვითმკვლელობის მცდელობის განმეორების საფრთხის გათვალისწინებით, აუცილებელია აიკრძალოს კანონმდებლობით.

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამედიცინო მკურნალობის/დახმარების ნებაყოფლობასთან მიმართებით, ამ პირთათვის სამედიცინო დახმარების მარეგულირებელი კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს სიტუაცია, როდესაც ასეთი პირს, მისი ნების საწინააღმდეგოდ, უნდა აღმოეჩინოს სამედიცინო დახმარება მისი სიცოცხლის გადასარჩენად, როგორც ეს განსაზღვრულია ევროპული სასამართლოს პრაქტიკით.

ბ) პრაქტიკა

სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს თავისუფლებააღკვეთილი პირის სიცოცხლის დაცვა თვითმკვლელობისაგან. თავისუფლებაღკვეთილი პირის სიცოცხლის დაცვის ვალდებულება მოიცავს სახელმწიფოს მიერ არა მხოლოდ ინდივიდუალური ღონისძიებების გატარებას თვითმკვლელობის საფრთხის თანაზომიერების მიხედვით, არამედ, ასევე, უსაფრთხოების ზოგადი ღონისძიებების გატარებას, თავისუფლებააღკვეთილი პირის თვითმკვლელობის თავიდან ასაცილებლად.

1409 101-ე პუნქტი.

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ბოლო წლებში საქართველოში მოხდა თავისუფლებააღკვეთილი პირის მიერ თვითმკვლელობის რამდენიმე შემთხვევა. მაგალითად: 2023 წლის აგვისტოში N10 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულმა პატიმარმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, სააბაზანოში შეტანილი ზონრის გამოყენებით;[1410] 2022 წლის ივლისში პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულმა პატიმარმა თვითმკვლელობა ჩაიდინა;[1411] 2020 წლის ივლისში, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულმა ბრალდებულმა, რომელიც, ფსიქოემოციური მდგომარეობის გამო, 24-საათიანი ვიდეომონიტორინგის ქვეშ იმყოფებოდა, თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე სააბაზანო ოთახში ყოფნისას, სადაც არ იყო განთავსებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერები და იგი დატოვეს უმეთვალყურეოდ.[1412]

ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, უნდა დაისვას კითხვა, იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა სახელმწიფოს (ციხის ადმინისტრაციას) პატიმრის მიერ თვითმკვლელობის ჩადენის საფრთხის შესახებ. თუ სახელმწიფომ იცოდა ასეთი საფრთხის შესახებ, უნდა დადგინდეს, რა გონივრული ღონისძიებები გაატარა სახელმწიფომ თავისუფლებააღკვეთილი პირის თვითმკვლელობის თავიდან ასაცილებლად. ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, თავისუფლებაღკვეთილი პირის თვითმკვლელობისაგან დასაცავად გასატარებელ ღონისძიებებს შორის შეიძლება იყოს: თავისუფლებააღკვეთილი პირის ზედამხედველობა, ფსიქიატრის მიერ ამ პირის რეგულარული მონახულება, მისი ფსიქოემოციური მდგომარეობის შეფასება და მკურნალობა, პატიმრის უზრუნველყოფა მედიკამენტებით და ზედამხედველობა მათ მიღებაზე, პატიმრისათვის განგაშის მექანიზმის ხელმისაწვდომობა, ალკოჰოლური სასმელებისა და ნარკოტიკების აკრძალვა.

როგორც ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ ცხადყო, სახელმწიფოს ასევე ეკისრება უსაფრთხოების ზოგადი ღონისძიებების გატარების ვალდებულება თავისუფლებააღკვეთილი პირის თვითმკვლელობის თავიდან ასაცილებლად. საქართ-

---

1410 „ციხეში პატიმარი გარდაიცვალა – ბადრაგს გულგრილობაში ადანაშაულებენ“, 10 ოქტომბერი, 2023 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/news/691376/].

1411 „სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა პატიმრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო“, 11 ივლისი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/718942-specialurma-sagamoziebo-samsaxurma-patimris-gardacvalebastan-dakavshirebit-gamozieba-daicqo]; საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, 36, იხ.: [https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf].

1412 „სუიციდი ციხეში – ბრალდებულის სააბაზანოში უყურადღებოდ დატოვების გამო ბრალი პენიტენციური სამსახურის თანამშრომელს წარედგინა“, 11 მაისი, 2021 წ., იხ.: [https://rustavi2.ge/ka/news/198691]. ასევე საყურადღებოა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმე *თედლიაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Tedliashvili and Others v. Georgia)*, რომელიც ეხება პატიმრის თვითდაზიანებას, რასაც თვითმკვლელობა მოჰყვა. ამ საქმეზე სახელმწიფომ აღიარა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში, რის შედეგადაც სასამართლომ ამორიცხა სარჩელი განსახილველი საქმეთა სიიდან. 24 ნოემბერი, 2015. ასევე „პროკურატურამ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N6 დაწესებულების ყოფილი დირექტორი და უსაფრთხოების განყოფილების ყოფილი უფროსი პასუხისგებაში მისცა“, 1 ივლისი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/663683-prokuraturam-sasjelagsrulebis-departamentis-n6-dacesebulebis-qopili-direktori-da-usaprtxoebis-ganqopilebis-qopili-uprosi-pasuxisgebashi-misca].

ველოს პრაქტიკაში იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო უსაფრთხოების ზოგადი გამაფრთხილებელი ღონისძიებების გატარება, თავისუფლებააღკვეთილი პირის თვითმკვლელობისაგან დასაცავად. მაგალითად, 2022 წლის აგვისტოში თვითმკვლელობის შედეგად გარდაიცვალა თავისუფლებააღკვეთილი პირი, რომელიც ბადრაგის თანმხლებით იმყოფებოდა „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“. თავისუფლებააღკვეთილი პირი მიეპარა პენიტენციური სამსახურის ესკორტის ოფიცერს, რომელიც წინდახედულობის ნორმის დაუცველად გადაადგილდებოდა სამსახურებრივ-საშტატო იარაღით, და მას საქამრეში არსებული სპეციალური ბუდიდან ამოაცალა იარაღი, საიდანაც სამი გასროლა განახორციელა, მათ შორის, ერთ-ერთი გასროლით თავის არეში მიიყენა ჭრილობა. ჭრილობის შედეგად თავისუფლებააღკვეთილი პირი გარდაიცვალა.[1413]

2022 წლის აპრილში დაკავებული ახალგაზრდა კაცი გადმოხტა ჭიათურის პოლიციის განყოფილების მეორე სართულიდან. გამოძიება დაიწყო საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საჩხერე-ჭიათურის მეოთხე სახაზო განყოფილების ადმინისტრაციული შენობიდან ბრალდებულის სახით დაკავებული პირის გადმოხტომის ფაქტზე, რამაც მისი დაზიანება გამოიწვია.[1414]

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს: ვინაიდან ნაშრომში წარმოჩნდა, რომ თვითმკვლელობისაგან თავისუფლებააღკვეთილი პირის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა, მთლიანობაში, შეესაბამება ევროპული სასამართლოს სტანდარტებს, აუცილებელია, საქართველოში, ძირითადად, გატარდეს პრაქტიკული ღონისძიებები ამ სტანდარტების ზედმიწევნით შესრულების უზრუნველსაყოფად. თავისუფლებააღკვეთილი პირების სიცოცხლის ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად გასატარებელ ღონისძიებებს შორის არის პენიტენციურ სისტემაში მოქმედი სუიციდის პრევენციის პროგრამის შემდგომი გაუმჯობესება, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სუიციდისაკენ მიდრეკილ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გამოვლენისა და სუიციდით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირების თვალსაზრისით. კერძოდ, თავისუფლებააღკვეთილი პირების თვითმკვლელობის თავიდან აცილებას ხელს შეუწყობს სუიციდის პრევენციის პროგრამის ეფექტიანობის ზრდა, რაც გულისხმობს სუიციდის რისკის მიმოხილვითი შეფასებისას ქულების მინიჭების სქემის დახვეწას, რათა თავიდან იქნეს აცილებული იმ პირებისათვის დაბალი რისკის განსაზღვრა, რომლებიც სინამდვილეში არიან საშუალო და მაღალი რისკის მატარებელნი.[1415]

1413 „პატიმარი გურამ სვანიძე, რომელიც თავში მიყენებული ჭრილობით საავადმყოფოში მკურნალობდა, გარდაიცვალა“, 25 აგვისტო, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/723878-patimari-guram-svanize-romelic-tavshi-miqenebuli-chrilobit-saavadmqoposhi-mkurnalobda-gardaicvala].

1414 „პოლიციის შენობიდან ახალგაზრდა კაცი „გადმოხტა“ – რა მოხდა ჭიათურაში“, 15 აპრილი, 2022 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/law/605782/?msclkid=6781e7a9bd5511eca156e75d34878b10].

1415 „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ანგარიში – პენიტენციურმა სამსახურმა უნდა უზრუნველყოს სუიციდის პრევენციის პროგრამის ნაკლოვანებების აღმოფხვრა“, 10 ნოემბერი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/777217-specialuri-sagamoziebo-samsaxuris-angarishi-penitenciurma-samsaxurma-unda-uzrunvelqos-suicidis-prevenciis-programis-naklovanebebis-agmopxvra].

6.3.2.2. სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში

სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების სიცოცხლის დაცვა, მოიცავს როგორც სამხედრო სამსახურში მყოფი პირების, ისე ფსიქიატრიული და სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებში მოთავსებული პირების მიმართ გასატარებელ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული უფლების დაცვისაკენ. ნაშრომის ამ ნაწილში, თავდაპირველად, განიხილება სამხედრო სამსახურში მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა, ხოლო მოგვიანებით განიხილება ფსიქიატრიული და სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებში მოთავსებული პირების სიცოცხლის უფლების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში.

6.3.2.2.1. სამხედრო სამსახურში მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში

ა) კანონმდებლობა

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების, კერძოდ, სამხედრო სამსახურში მყოფი პირებისა და ფსიქიატრიული და სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებში მოთავსებული პირების სიცოცხლის დაცვაზე. სახელმწიფომ უნდა დაადგინოს სათანადო ნორმატიული ჩარჩო, რომელიც მიმართული იქნება ამ პირთა, როგორც სახელმწიფოს ექსკლუზიური კონტროლის ქვეშ მყოფი პირების, სიცოცხლის დაცვისაკენ.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმის განხილვა, უზრუნველყოფს თუ არა საქართველოს კანონმდებლობა სამხედრო სამსახურში მყოფი პირებისა და ფსიქიატრიული და სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებში მოთავსებული პირების სიცოცხლის დაცვას და შეესაბამება თუ არა ის ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს.

სამხედრო სამსახურში მყოფი პირების სიცოცხლის დაცვას აწესრიგებს საქართველოს რამდენიმე ნორმატიული აქტი. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია საქართველოს თავდაცვის კოდექსი, რომელიც ზოგადად ადგენს:[1416]

„1. სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ სამხედრო სამსახურისათვის ჯანსაღი საყოფაცხოვრებო პირობების შექმნით და სამხედრო სამსახურისთვის დამახასიათებელი რისკფაქტორების შემცირების ღონისძიებების სისტემით.

2. სამხედრო სამსახურში მისაღები პირისა და სამხედრო მოსამსახურის ჯანმრთელობის სამედიცინო შემოწმება/ექსპერტიზას ახორციელებს სამხედრო-სამედიცინო კომისია.

3. სამხედრო-სამედიცინო კომისია სამედიცინო შემოწმების/ექსპერტიზის განხორციელებისას ხელმძღვანელობს შესაბამისი დაავადებების/ტრავმების ნუსხით.

1416 21 სექტემბერი, 2023 წელი.

4. სამხედრო-სამედიცინო კომისიის შექმნის, მის მიერ სამედიცინო შემოწმების/ექსპერტიზის ორგანიზებისა და განხორციელების წესი და შესაბამისი დაავადებების/ტრავმების ნუსხა მტკიცდება მინისტრის ნორმატიული აქტით.“[1417]

თავდაცვის კოდექსის მიხედვით, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან თავისუფლდება პირი, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურისათვის შეუსაბამოდ არის ცნობილი.[1418] კოდექსი ასევე განსაზღვრავს, რომ სამხედრო სამსახურში არ მიიღება პირი, რომელიც დაავადებულია ნარკომანიით, ალკოჰოლიზმით, ტოქსიკომანიით ან ვერ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მდგომარეობისთვის დადგენილ მოთხოვნებს.[1419]

თავდაცვის კოდექსი ადგენს, რომ სამხედრო მოსამსახურის წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურიდან ვადამდე გათავისუფლების საფუძველია ჯანმრთელობის მდგომარეობა (სამხედრო-სამედიცინო კომისიის დასკვნის საფუძველზე).[1420] კოდექსის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურის სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველია ჯანმრთელობის მდგომარეობა (სამხედრო-სამედიცინო კომისიის დასკვნის საფუძველზე).[1421]

თავდაცვის კოდექსი განსაზღვრავს სამედიცინო შემოწმების წესს. კერძოდ, კოდექსი ადგენს, რომ ცენტრალურ გამწვევ კომისიასთან არსებულ წვევამდელთა შემკრებ-გამანაწილებელ ცენტრში ფუნქციონირებს მუდმივმოქმედი სამედიცინო საექსპერტო კომისია, რომელიც ადგენს წვევამდელის სამხედრო სამსახურისთვის შესაბამისობის ხარისხსა და კატეგორიას.[1422] კერძოდ, კოდექსის 70(4)-ე მუხლის მიხედვით, საექსპერტო კომისიას გამოაქვს დასკვნა წვევამდელის სამხედრო სამსახურისთვის შესაბამისობის შესახებ შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

ა) შესაბამისია სამხედრო სამსახურისთვის;
ბ) შესაბამისია სამხედრო სამსახურისთვის უმნიშვნელო შეზღუდვით;
გ) შეზღუდულად შესაბამისია სამხედრო სამსახურისთვის;
დ) დროებით შეუსაბამოა სამხედრო სამსახურისთვის;
ე) შეუსაბამოა სამხედრო სამსახურისთვის.[1423]

სამედიცინო შემოწმების ჩატარებას ასევე ითვალისწინებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ 2024 წლის 6 მარტს მიღებული ბრძანება N37 „სამხედრო-სამედიცინო კომისიის შექმნის, მის მიერ სამედიცინო შემოწმების/ექსპერტიზის ორგანიზებისა და განხორციელების წესის და შესაბამისი დაავადებების/ტრავმების ნუსხის დამტკიცების შესახებ“. ამ ბრძანებით დამტკიცდა დაავადებათა ნუსხა, რომლის საფუძველზე კომისია ამზადებს სამედიცინო დასკვნას.[1424]

1417 თავდაცვის კოდექსის 36-ე მუხლი.

1418 თავდაცვის კოდექსის 64-ე მუხლის 1(ა)-ელი ნაწილი.

1419 თავდაცვის კოდექსის 78(ვ)-ე მუხლი.

1420 თავდაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-4(გ) ნაწილი.

1421 თავდაცვის კოდექსის 86(ვ)-ე ნაწილი.

1422 თავდაცვის კოდექსის 70-ე მუხლის 1-ელი-მე-3 ნაწილები.

1423 თავდაცვის კოდექსის 70-ე მუხლის მე-4 ნაწილი. წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებასთან დაკავშირებით მსგავს დებულებებს ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის დადგენილება „სამხედრო აღრიცხვის ორგანიზების, გამწვევი, ცენტრალური გამწვევი და სამობილიზაციო კომისიების საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“. 23-ე პუნქტი, დადგენილება N543, 29 დეკემბერი, 2023 წელი, იხ: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/6057062?publication=0].

1424 იხ. [https://matsne.gov.ge/document/view/6128958?publication=0].

ეს ბრძანება, კოდექსთან შედარებით, უფრო კონკრეტულად აწესრიგებს სამხედრო-სამედიცინო კომისიის დასკვნის გაცემის წესს. კერძოდ, ბრძანების მიხედვით, შემოწმებას ექვემდებარება სამხედრო სამსახურში მისაღები პირი (წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გასაწვევი პირი და საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში მისაღები პირი).[1425]

შემოწმებისას წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გასაწვევ პირებს უტარდებათ: ქირურგის, თერაპევტის, ნევროპათოლოგის, ფსიქიატრის, ოფთალმოლოგის, ოტორინოლარინგოლოგის, სტომატოლოგისა და დერმატოვენეროლოგის კონსულტაცია. ექიმ-სპეციალისტს გამოაქვს დასკვნა სამხედრო სამსახურისათვის შესაბამისობის კატეგორიის შესახებ შემდეგი ფორმულირებით:

ა) „ა“ – შესაბამისია სამხედრო სამსახურისათვის;

ბ) „ბ“ – შესაბამისია სამხედრო სამსახურისათვის უმნიშვნელო შეზღუდვებით;

გ) „გ“ – შეზღუდულად შესაბამისია სამხედრო სამსახურისათვის;

დ) „დ“ – დროებით შეუსაბამოა სამხედრო სამსახურისათვის;

ე) „ე“ – შეუსაბამოა სამხედრო სამსახურისათვის.[1426]

წესის მიხედვით, ექიმ-სპეციალისტების მიერ გამოტანილი დასკვნების მიხედვით, სამხედრო სამსახურისათვის შესაბამისობის კატეგორიის, სამხედრო სამსახურის გავლისათვის განკუთვნის მაჩვენებლის, გამოკვლევის (მკურნალობის) შესახებ, საბოლოო შემაჯამებელი დასკვნა გამოაქვს მუდმივმოქმედი სამედიცინო საექსპერტო კომისიის თავმჯდომარეს.[1427]

ამის საფუძველზე სამხედრო-სამედიცინო კომისიას გამოაქვს შემდეგი სახის გადაწყვეტილებები:

ა) „ა“ – შესაბამისია სამხედრო სამსახურისათვის;

ბ) „ბ“ – შესაბამისია სამხედრო სამსახურისათვის უმნიშვნელო შეზღუდვებით (მოქალაქეებს სამხედრო სამსახურში გაწვევის დროს და სამხედრო მოსამსახურეებს დაუდგინდებათ სამხედრო სამსახურის გავლისათვის განკუთვნის ციფრობრივი მაჩვენებელი);

1425 იხ. სამხედრო-სამედიცინო კომისიის შექმნის, მის მიერ სამედიცინო შემოწმების/ექსპერტიზის ორგანიზებისა და განხორციელების წესის მე-2 მუხლის მე-5(ა) პუნქტი; ასევე შემოწმებას ექვემდებარება სამხედრო მოსამსახურე, სარეზერვო სამხედრო სამსახურის აქტიურ სარეზერვო სამხედრო სამსახურში მისაღები პირი და კადეტთა სამხედრო ლიცეუმში ჩასარიცხი მოსწავლე. ასევე იხ. „სამხედრო აღრიცხვის ორგანიზების, გამწვევი, ცენტრალური გამწვევი და სამობილიზაციო კომისიების საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“, 24-ე პუნქტი. დადგენილება N543, 29 დეკემბერი, 2023 წელი, იხ. [https://matsne.gov.ge/ka/document/view/6057062?publication=0].

1426 წესის მიხედვით, თუ პირი ცნობილ იქნა „ბ“ კატეგორიად (შესაბამისია სამხედრო სამსახურისათვის უმნიშვნელო შეზღუდვებით), ექიმი-სპეციალისტი მიუთითებს სამხედრო სამსახურის გავლისათვის განკუთვნილ ციფრობრივ მაჩვენებელს. იხ. წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი. თუ პირი ცნობილი იქნა „გ“ კატეგორიად (შეზღუდულად შესაბამისია სამხედრო სამსახურისთვის), ის განმეორებით უნდა წარდგეს გამწვევი კომისიის წინაშე 3 წლის შემდეგ. იხ. წესის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტი. საომარი მდგომარეობის დროს სამხედრო სამსახურში გასაწვევი პირის მიმართ სამხედრო სამსახურისათვის დროებით შეუსაბამობის დასკვნა გამოიტანება 3 თვით. სამედიცინო ჩვენებით ასეთივე დასკვნა შეიძლება ხელმეორედ იქნეს გამოტანილი, მაგრამ საერთო ჯამში დროებით შეუსაბამობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. იხ. წესის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტი.

1427 წესის მე-5 მუხლის მე-9 პუნქტი.

გ) „გ“ – შეზღუდულად შესაბამისია სამხედრო სამსახურისათვის (სამხედრო მოსამსახურეები იცნობიან შეუსაბამოდ სამხედრო სამსახურისათვის მშვიდობიანობის დროს და ჩაირიცხებიან თადარიგში);

დ) „დ“ – დროებით შეუსაბამოა სამხედრო სამსახურისათვის (მოქალაქეებს სამხედრო სამსახურში გაწვევის დროს გადაუვადდებათ სამხედრო სამსახურში გაწვევა, ხოლო სამხედრო მოსამსახურეებს მიეცემათ სამკურნალო შვებულება ან ნაწილობრივ გათავისუფლდებიან სამხედრო სამსახურის მოვალეობათა შესრულებისაგან);

ე) „ე“ – შეუსაბამოა სამხედრო სამსახურისათვის (სამხედრო მოსამსახურეები იცნობიან შეუსაბამოდ სამხედრო სამსახურისათვის, სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნით).[1428]

წესი ასევე ადგენს, რომ შემოწმებული პირისთვის სამხედრო სამსახურში გაწვევისას და სამხედრო სამსახურის გავლისას „ბ“ (შესაბამისია სამხედრო სამსახურისათვის უმნიშვნელო შეზღუდვებით) შესაბამისობის კატეგორიის დადგენის შემთხვევაში, შემოწმებული პირი ვერ გადანაწილდება წესით განსაზღვრული მიმართულებებით, მათ შორის: საზღვაო ქვეითი, სამთო ქვეითი, აერომობილური/საჰაერო მედესანტე, სპეციალური დანიშნულება, საზღვაო სპეციალური დანიშნულება, რეინჯერი, ადამიანური რესურსით (საველე ტაქტიკური) დაზვერვა, წყალქვეშა სამუშაოები, ჯავშანტრანსპორტიორები, ქვეითთა საბრძოლო მანქანების, ტანკების, თვითმავალი ქვემეხების და ჰაუბიცების, საჰაერო თავდაცვის საზენიტო-სარაკეტო, საზენიტო- საარტილერიო, საინჟინრო მანქანების (ტანკის ბაზაზე) ეკიპაჟის წევრები და სხვ.[1429]

საქართველოში სამხედრო მოსამსახურეთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, რომლითაც დამტკიცდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტის დებულება.[1430] კერძოდ, ამ დეპარტამენტის კომპეტენციაა, სხვა საკითხებთან ერთად: სამხედრო მოსამსახურეებისათვის ფსიქოლოგიური დახმარების უზრუნველყოფა, სამხედრო მოსამსახურეების ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებული კვლევების წარმოება; სამხედრო მოსამსახურეების ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება, სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი; სამხედრო სამსახურში სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სამინისტროს სისტემის ქვედანაყოფებში მისაღები კანდიდატების ფსიქოლოგიური შერჩევა მინისტრის მიერ დამტკიცებული პროტოკოლის მიხედვით; „ცხელი ხაზის“ ფუნქციონირება (შემოსული ინფორმაციის მიღება, რეგისტრაცია, ხოლო საჭიროებისას დაინტერესებული პირისათვის კონსულტაციის გაწევა).[1431]

ამავე დებულების მიხედვით, დეპარტამენტის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სამმართველო, რომელშიც შედის ფსიქოლოგიური შერჩევის განყოფილება და ფსიქოლოგიური მონიტორინგის განყოფილება.[1432]

დებულების მიხედვით, ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სამმართველო, სხვა საკითხებთან ერთად: უზრუნველყოფს სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეების და მათი ოჯახის წევრების ფსიქოლოგიურ დახმარებას; აწარმოებს კვლევებს სამხედრო მოსამსახურეების ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით; უზრუნველყოფს სამხედრო მოსამსახურეების ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებუ-

---

1428 წესის მე-17 მუხლი.

1429 წესის მე-18 მუხლი.

1430 საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება N89, 16 ნოემბერი, 2016 წელი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/3478098?publication=4].

1431 დებულების მე-3 მუხლის „მ“, „ნ“, „ო“, „პ“, „უ“ პუნქტები.

1432 დებულების მე-4 მუხლი.

ლი ინფორმაციის მოძიებას, სტატისტიკურ დამუშავებას და ანალიზს; ახორციელებს სამხედრო სამსახურში, სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სამინისტროს სისტემის ქვედანაყოფებში მისაღები კანდიდატების ფსიქოლოგიურ შერჩევას მინისტრის მიერ დამტკიცებული პროტოკოლის მიხედვით.[1433]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეებისათვის ფსიქოლოგიური სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის, ასევე პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანობისა და პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების მიზნით, სამინისტროში ხორციელდება დისტანციური ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროგრამა.[1434]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სამხედრო სამსახურში თვითმკვლელობა შეიძლება ჩაიდინოს როგორც ფსიქიკური პრობლემების მქონე, ისე ფსიქიკურად ჯანმრთელმა სამხედრო მოსამსახურემ. ზოგიერთ შემთხვევაში თვითმკვლელობა შეიძლება მოხდეს სამხედრო მოსამსახურის ზემდგომის სტიმულირებით.[1435]

ევროპული სასამართლოს რამდენიმე საქმის მიმოხილვაც კი ნათელს ჰფენს სამხედრო სამსახურში მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის ნორმატიული რეგულირების შინაარსს. სასამართლოს მიერ განხილული საქმეების ნაწილი ეხება ისეთი პირების თვითმკვლელობის შემთხვევებს, რომლებსაც სამხედრო სამსახურის დაწყებამდე ჰქონდათ ფსიქიკური დაავადებები, კერძოდ, საქმე *კილინჩი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Kilinc and Others v. Turkey)*[1436] ეხებოდა მამაკაცს, რომელიც, ატიპური დეპრესიის მიუხედავად, მაინც გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, სადაც გადიოდა ფსიქიატრიულ მკურნალობას. სამხედრო მოსამსახურის ფსიქიატრიული მდგომარეობის გამო, იგი გაგზავნეს სამედიცინო შემოწმებისათვის, საიდანაც, სამხედრო ნაწილში დაბრუნებულს, რამდენიმე დღეში დაავალეს გარნიზონის ციხის საყარაულო კოშკში დაცვის მოვალეობის შესრულება და ამისათვის გადასცეს ცეცხლსასროლი იარაღი, რომლითაც საკუთარ თავს მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა.

ევროპული სასამართლოს აზრით, წვევამდელებთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობა არ შეიცავდა მკაფიო წესებს, რომლებიც ადგენდა ზედამხედველობას იმ პირების მიმართ, რომელთა შესაფერისობა სამხედრო სამსახურისათვის საეჭვო იყო და არ განსაზღვრავდა წესებს, რომელთა მიხედვით ზემდგომი მოსამსახურის მოვალეობებში შედიოდა იმ წვევამდელების არაორდინარული სიტუაციის მოგვარება, რომლებსაც ჰქონდათ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები.

1433 დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

1434 იხ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება, NMOD92100000598, 16 ივლისი, 2021 წელი.

1435 *აბდულატიფ არსლანი და ზერიფე არსლანი თურქეთის წინააღმდეგ (Abdullatif Arslan and Zerife Arslan v. Turkey)*, 21 ივლისი, 2015 წელი; *საჰინკუსუ თურქეთის წინააღმდეგ (Şahinkuşu v. Turkey)*, 21 ივნისი, 2016 წელი; *ჩენგიზ და საიგიკანი თურქეთის წინააღმდეგ (Cengiz and Saygikan v. Turkey)*, 24 იანვარი, 2017 წელი; *ხარიბოვი რუსეთის წინააღმდეგ (Kharibov v. Russia)*, 12 ოქტომბერი, 2021 წელი; *ლიუბოვ ვასილიევა რუსეთის წინააღმდეგ (Lyubov Vasilyeva v. Russia)*, 18 იანვარი, 2022 წელი; *ხუდოროშკო რუსეთის წინააღმდეგ (Khudoroshko v. Russia)*, 18 იანვარი, 2022 წელი; *ნანა მურადიანი სომხეთის წინააღმდეგ (Nana Muradyan v. Armenia)*, 5 აპრილი, 2022 წელი; *გვოზდევა რუსეთის წინააღმდეგ (Gvozdeva v. Russia)*, 22 მარტი, 2022 წელი; *ფილიპოვები რუსეთის წინააღმდეგ (Filippovy v. Russia)*, 22 მარტი, 2022 წელი.

1436 7 ივნისი, 2005 წელი.

ევროპული სასამართლოს აზრით, შესაბამისი სამედიცინო სამსახური არ ადგენდა წვევამდელის ფსიქიკურ შესაფერისობას სამხედრო სამსახურისათვის მის გაწვევამდე და გაწვევის შემდეგ, და არ უზრუნველყოფდა მასზე ზედამხედველობას. ამასთანავე, არ იყო დადგენილი ის მოვალეობები, რომლებიც მას შეიძლება დაკისრებოდა.

საქმე *ატამანი თურქეთის წინააღმდეგ (Ataman v. Turkey)*[1437] ეხებოდა წვევამდელის საგანგაშო ფსიქიკურ მდგომარეობას, რომელიც, სამხედრო ჰოსპიტალში ფსიქიატრიული მკურნალობის გავლის შემდეგ, მიიჩნიეს სამხედრო სამსახურისათვის შესაფერისად და გასცეს ბრძანება, დაბრუნებულიყო თავისი ნაწილის ყაზარმაში. ვინაიდან სამხედრო ჰოსპიტლიდან დაბრუნების შემდეგ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა, უფროსმა ოფიცერმა დაავალა მას ყარაულის ფუნქციის შესრულება, რისთვისაც მასზე გაიცა ცეცხლსასროლი იარაღი, რომლითაც მან დაასრულა სიცოცხლე თვითმკვლელობით.

ევროპული სასამართლოს აზრით, სახელმწიფოს უნდა უზრუნველეყო იმ სამხედრო მოსამსახურეთათვის შესაფერისი პირობების შექმნა, რომლებსაც ჰქონდათ ფსიქიკური აშლილობა, კერძოდ, უნდა გაეტარებინა ღონისძიებები, რომლებიც გონივრული იქნებოდა იმისათვის, რომ სამხედრო პირს არ ჰქონოდა წვდომა ცეცხლსასროლ იარაღთან.

ანალოგიურად, საქმის – *ლუტფი დემირჩი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Lutfi Demirci and Others v. Turkey)* – მიხედვით, წვევამდელმა თავი მოიკლა ცეცხლსასროლი იარაღით, რომელიც მას მიანდეს გუშაგის მოვალეობის შესასრულებლად.1438 მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამო, წვევამდელი იღებდა ანტიდეპრესანტებს და იმყოფებოდა ზემდგომი ოფიცრისა და სამხედრო სამედიცინო სამსახურის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ, ზემდგომმა ოფიცერმა არ გაათავისუფლა იგი მოვალეობების შესრულებისაგან, რადგან ენდო წვევამდელის მტკიცებას, რომ მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა უმჯობესდებოდა. ევროპული სასამართლოს პოზიციით, ზემდგომი ოფიცერი არ უნდა მინდობოდა წვევამდელის მტკიცებას, რომ იგი თავს უკეთ გრძნობდა, არამედ იგი უნდა გაეთავისუფლებინა ისეთი მოვალეობებისაგან, რომლებიც დაკავშირებული იქნებოდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან ან უნდა უზრუნველეყო, რომ მას წვდომა არ ჰქონოდა ცეცხლსასროლ იარაღთან.

საქმეზე – *აშოტ მალხასიანი სომხეთის წინააღმდეგ (Ashot Malkhasyan v. Armenia)*, რომელიც ეხებოდა წვევამდელის გარდაცვალებას სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევიდან ათ დღეში, – ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუხედავად წვევამდელის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობისა, მისმა გამოცხადებამ სამხედრო სამსახურისათვის შესაფერისად და სამხედრო სამსახურში გაწვევამ განაპირობა მისი გარდაცვალება.[1439]

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სამხედრო სამსახურში მყოფი პირის თვითმკვლელობა შეიძლება გამოიწვიოს სამხედრო სამსახურში შექმნილმა გარემოებამ, მათ შორის ბულინგმა მის მიმართ. აქედან გამომდინარე, ვინაიდან ბულინგი სამხედრო სამსახურში შეიძლება თვითმკვლელობის მაპროვოცირებელი გარემოება გახდეს, ის უნდა აიკრძალოს და დადგინდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მისი ჩადენისათვის, როგორც სხვა წვევამდელების, ისე ზემდგომი პირის მიერ. საქმე *აბდულა ილმაზი თურქეთის წინააღმდეგ (Abdullah Yilmaz v. Turkey)* ეხებოდა სამხედრო პირს, რომელსაც სერჟანტი ფიზიკურად გაუსწორდა, რის გამოც მან გონება დაკარგა. ამ შემთხვევიდან რამდენიმე წუთში სამხედრო მოსამსახურე დაბრუნდა იარაღით ხელში და

1437 27 აპრილი, 2006 წელი.

1438 2 მარტი, 2010 წელი.

1439 ასევე იხ. *დულეკი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Dulek and Others v. Turkey),* 3 ნოემბერი, 2011 წელი.

ყველას თვალწინ თავი მოიკლა. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, შეუძლებელი იყო იმ გავლენის სერიოზულობისა და ხასიათის გაანალიზება, რომელიც იმოქმედებდა წვევამდელის გონებრივ მდგომარეობაზე, აშკარა იყო, რომ ეს გავლენა შეუქცევადი აღმოჩნდა სერჟანტის მიერ ჩადენილი უპასუხისმგებლო საქციელის გამო. ევროპული სასამართლოს აზრით, თურქეთის კანონმდებლობა აღმოჩნდა ხარვეზიანი სერჟანტის მიერ სამხედრო ნაწილის მართვის პროფესიულ უნართან მიმართებით.

საქმე *ბოიჩენკო რუსეთის წინააღმდეგ (Boychenko v. Russia)* ეხებოდა საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში მყოფი ლეიტენანტის თვითმკვლელობას, რომელიც აღმოჩნდა მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში, რაც გამოწვეული იყო მისი სამხედრო ნაწილის შორეულ მანძილზე ადგილმდებარეობით, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სირთულეებით, განსაკუთრებით კი მწვავე კონფლიქტებით ზემდგომი თანამდებობის პირებთან და მათი მხრიდან ბულინგით. სასამართლოს აზრით, არაფერი ადასტურებდა, რომ სამხედრო სამსახურის ახალი მოსამსახურეების მიმართ დაწესებული მოთხოვნა, რომ ჩაეტარებინათ ფსიქოლოგიური შემოწმება, დაიცვეს ლეიტენანტის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ, სახელმწიფოს მტკიცებით, სამხედრო სამსახურის ახალი მოსამსახურეები ყოველთვიურად გადიან სხვადასხვა შემოწმებას, მათ შორის თვითმკვლელობის საფრთხის განსასაზღვრავად, არ არსებობდა იმის მტკიცებულება, რომ ლეიტენანტს რეგულარულად უტარდებოდა ფსიქოლოგიური შემოწმება. ევროპული სასამართლოს აზრით, ზემოაღნიშნული ღონისძიებები იქნებოდა შესაფერისი მოსარჩელის შვილის სიცოცხლის უფლების მიმართ საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

საქმე *ჰოვანისიანი და ნაზარიანი სომხეთის წინააღმდეგ (Hovhannisyan and Nazaryan v. Armenia)* ეხებოდა საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურის თვითმკვლელობას, რომელსაც ზემდგომი მოსამსახურე ამცირებდა და არასათანადოდ ეპყრობოდა.[1440] ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ შესაბამის დროს ქვეყნის სამხედრო სამსახურში არ არსებობდა ფსიქოლოგიური შეფასებისა და დახმარების რაიმე სისტემა, წინასწარი და შემდგომი ფსიქოლოგიური შემოწმების, თვითმკვლელობის პრევენციისა და ფსიქოლოგიური დახმარების ხელმისაწვდომობის ჩათვლით. შესაბამისად, ასეთი დახმარება სამხედრო მოსამსახურისათვის არ იყო ხელმისაწვდომი, მიუხედავად მისი მოწყვლადი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და თვითმკვლელობის საფრთხის აშკარა ნიშნებისა. ასევე არ არსებობდა რაიმე რეგულაციები თვითმკვლელობის თავიდან აცილების შესახებ, ხოლო პასუხისმგებელ პირებს არ ჰქონდათ რაიმე ინსტრუქცია ან წესი ასეთ სიტუაციასთან გამკლავების შესახებ.

საქმე *პერევედენცევი რუსეთის წინააღმდეგ (Perevedentsevy v. Russia)* ეხებოდა სავალდებულო სამსახურში მყოფ პირს, რომელიც ყაზარმაში იპოვეს გარდაცვლილი, თვითმკვლელობის შედეგად.[1441] ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა რუსეთის მთავრობის პოზიცია, რომ საქმეში არ არსებობდა მიზეზშედეგობრივი კავშირი „დედოვშჩინის“ გავრცელებულ პრაქტიკასა და სამხედრო პირის გარდაცვალებას შორის და ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ხელისუფლებამ იცოდა ამ საქმის მიღმა არსებული ზოგადი მდგომარეობის შესახებ რუსეთის სამხედრო ძალებში „დედოვშჩინის“ არსებობის თაობაზე, რომელიც იწვევდა უკანონობასა და ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევას.[1442]

როგორც ამ რამდენიმე საქმიდან გამოჩნდა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აკისრებს სახელმწიფოს სამხედრო სამსახურში მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის ვალდებულებას, რისთვისაც მან უნდა შეიმუშაოს ამ პირთა სიცოცხლის

1440 8 ნოემბერი, 2022 წელი.

1441 24 აპრილი, 2014 წელი.

1442 99-ე პუნქტი.

დაცვის მექანიზმი. ამ ვალდებულების შესასრულებლად სახელმწიფომ უნდა დაადგინოს სამხედრო სამსახურში მყოფი მოსამსახურეების სიცოცხლის დაცვისაკენ მიმართული მრავალი წესი და უზრუნველყოს მათი აღსრულება. ამ მექანიზმის ფარგლებში სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირთა სამხედრო სამსახურში გაწვევამდე მათი ფსიქიკური/ფსიქოლოგიური მდგომარეობის შემოწმება იმის დასადგენად, შესაფერისია თუ არა პირი სამხედრო სამსახურისათვის. სამხედრო სამსახურს დაქვემდებარებული პირების სამედიცინო შემოწმების მეშვეობით უნდა დადგინდეს წვევამდელის ფსიქიკური მდგრადობა და პოტენციური საფრთხეები, რომელთა წინაშეც შეიძლება წვევამდელი აღმოჩნდეს სამხედრო სამსახურში გაწვევის შემთხვევაში. სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ სამხედრო სამსახურში გავლის დროს პერიოდულად შეფასდეს წვევამდელის ფსიქიკური/ფსიქოლოგიური მდგომარეობა და რაიმე პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა გადადგას შესაბამისი ნაბიჯები. წვევამდელების სიცოცხლის დაცვის მექანიზმმა უნდა გაითვალისწინოს წესი, რომლის მიხედვით, წვევამდელის ზემდგომმა უნდა გაატაროს შესაფერისი ღონისძიებები იმ სამხედრო მოსამსახურის მიმართ, რომელსაც გამოუვლინდა ფსიქიკური/ფსიქოლოგიური პრობლემები ან რომელიც უცნაურად იქცევა, რათა სახელმწიფომ თავიდან აიცილოს მისი სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა. ამ მექანიზმის ნაწილი უნდა იყოს წვევამდელისათვის იარაღის გაცემის კონტროლის არსებობა. ცხადია, რომ, თუ შესაბამის სამხედრო მოსამსახურეს აღენიშნება ფსიქიკური/ფსიქოლოგიური სირთულეები, მისთვის ხელმისაწვდომი არ უნდა გახდეს ცეცხლსასროლი იარაღი.

სამხედრო მოსამსახურეების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტების განხილვის შედეგად შეიძლება რამდენიმე დასკვნის გაკეთება. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა ადგენს, არადამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური მდგომარეობიდან, პირი არ მიიღება სამხედრო სამსახურში. ეს წესი აკმაყოფილებს ევროპული კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებას, რომლის მიხედვით სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს ისეთი პირის სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან, რომლის ფსიქიკურმა მდგომარეობამ შეიძლება გამოიწვიოს თვითმკვლელობა.[1443] საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესი, რომლის მიხედვით, სამხედრო სამსახურში მყოფი პირი შეიძლება გაათავისუფლონ ვადამდე სამხედრო სამსახურიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ასევე ასახავს ევროპული კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებას.

ევროპული კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს საქართველოში სამხედრო მოსამსახურეთა ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას და ამისათვის თავდაცვის სამინისტროს ფარგლებში მოქმედებს სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტი.[1444] კერძოდ, თავდაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარ-

---

1443 *აშოტ მალხასიანი სომხეთის წინააღმდეგ (Ashot Malkhasyan v. Armenia).*

1444 საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება N89, 16 ნოემბერი, 2016 წელი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/3478098?publication=4]. თავდაცვის სამინისტროს ფარგლებში ასევე ფუნქციონირებს გიორგი აბრამიშვილის სახელობის სამხედრო ჰოსპიტალი, რომელიც სამხედრო მოსამსახურეებს უჩენს ფსიქონევროლოგიურ დახმარებას. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება N36 „გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის დებულების დამტკიცების შესახებ“, 18 მაისი, 2018 წელი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/4197263?publication=5].

დაჭერის დეპარტამენტის კომპეტენციაა, სხვა საკითხებთან ერთად, სამხედრო მოსამსახურეებისათვის ფსიქოლოგიური დახმარების უზრუნველყოფა და „ცხელი ხაზის“ ფუნქციონირება.[1445] ასევე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეებისათვის სამინისტროში ხორციელდება დისტანციური ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროგრამა.[1446]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით სახელმწიფოებისათვის დაკისრებული ზოგიერთი ვალდებულება ვერ იქნა იდენტიფიცირებული საქართველოს კანონმდებლობის შესწავლის შედეგად.[1447] კერძოდ, ვერ იქნა აღმოჩენილი ნორმა, რომლის მიხედვით, ფსიქიკური პრობლემების მქონე სამხედრო მოსამსახურეს უნდა აეკრძალოს ისეთი მოვალეობების შესრულება, რომელიც დაკავშირებულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან. ასევე ვერ იქნა აღმოჩენილი წესი/ინსტრუქცია ზემდგომი პირების მიერ სამხედრო მოსამსახურეებს შორის თვითმკვლელობის საფრთხის იდენტიფიცირებისა და სიტუაციასთან გამკლავების შესახებ.[1448]

თუ საქართველოს კანონმდებლობით მკაფიოდ განსაზღვრულია, რომ ყველა პირი, რომელიც შედის სამხედრო სამსახურში, გადის ფსიქოლოგიურ შეფასებას, სავალდებულო სამხედრო სამსახურში ყოფნისას ასეთი შემოწმების პერიოდულობა განსაზღვრული არ არის.[1449] მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ უზრუნველყოს, რომ სამხედრო სამსახურში გავლის დროს პერიოდულად შეფასდეს მოსამსახურის ფსიქიკური/ფსიქოლოგიური მდგომარეობა და რაიმე პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა გადადგას შესაბამისი ნაბიჯები.

რაც შეეხება სამხედრო სამსახურში მყოფი პირის თვითმკვლელობის პრევენციას შეურაცხყოფისა და დამცირების შემთხვევაში, ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე დაადგინა სახელმწიფოს ვალდებულება, გაატაროს ღონისძიებები სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლის დასაცავად.[1450] საქართველოს თავდაცვის კოდექსი ითვალისწინებს სამხედრო მოსამსახურის დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეებს (მაგ.: შენიშვნა, საყვედური; რიგგარეშე განმწესში დანიშვნა და ა.შ.) და გამორიცხავს სამხედრო მოსამსახურის შეურაცხყოფასა და დამცირებას.[1451]

ბ) პრაქტიკა

მასმედიის საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს სამხედრო სამსახურში თვითმკვლელობა არ არის იშვიათობა, რასაც მოწმობს ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მომხდარი შემდეგი ფაქტები:

1445 დებულების მე-3 მუხლის „მ“, „ნ“, „ო“, „პ“, „უ“ პუნქტები.

1446 იხ. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება, NMOD92100000598, 16 ივლისი, 2021 წელი.

1447 *კილინჩი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Kilinc and Others v. Turkey),*7 ივნისი, 2005 წელი; საქმე *ატამანი თურქეთის წინააღმდეგ (Ataman v. Turkey),* 27 აპრილი, 2006 წელი; *ლუტფი დემირჩი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Lutfi Demirci and Others v. Turkey),* 2 მარტი, 2010 წელი.

1448 საქმე *ჰოვანისიანი და ნაზარიანი სომხეთის წინააღმდეგ (Hovhannisyan and Nazaryan v. Armenia)*, 8 ნოემბერი, 2022 წელი.

1449 *ჰოვანისიანი და ნაზარიანი სომხეთის წინააღმდეგ (Hovhannisyan and Nazaryan v. Armenia)*, 8 ნოემბერი, 2022 წელი.

1450 *აბდულა ილმაზი თურქეთის წინააღმდეგ (Abdullah Yilmaz v. Turkey),* 17 ივნისი, 2008 წელი; *მოსენდზი უკრაინის წინააღმდეგ (Mosendz v. Ukraine),* 17 იანვარი, 2013 წელი.

1451 კოდექსის 138-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

ა) 2024 წლის იანვარში გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშენთან, ტყეში, გარდაცვლილი იპოვეს სამხედრო მოსამსახურე, 41 წლის ი.ა., რომელიც დათხოვნილი იყო. ამ საქმეზე ჯგუფურად ჩადენილი ძალადობისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტებზე სამ პირს წარედგინა ბრალდება. გამოძიებით დადგინდა, რომ სამხედრო მოსამსახურეებისთვის ცნობილი გახდა მათი თანამშრომლის პირადი მიმოწერის შესახებ ბრალდებულების მეგობრის მეუღლესთან, რის გამოც მათ ამ თანამშრომელზე შურისძიება და მისი დასჯა გადაწყვიტეს. ბრალდებულებმა თანამშრომელს 2024 წლის 11 იანვარს გორის რაიონის სოფელ ახალშენში საცხოვრებელ სახლთან მიაკითხეს და მასზე ფიზიკურად იძალადეს. ასევე, ბრალდებულები დაზარალებულს ჩადენილი საქციელის აღიარებას აიძულებდნენ და ამ ინფორმაციის გამჟღავნებით და სამხედრო ნაწილში აღნიშნულზე არაფორმალური რეაგირებით ემუქრებოდნენ. ამ ეტაპზე გამოძიებით დადგინდა, რომ მუქარისა და სასტიკი მოპყრობის გამო დაზარალებული შემთხვევის ადგილიდან გაიქცა, ხოლო, მოგვიანებით, იგი ჩამომხრჩვალი იპოვეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულები 2024 წლის 15 თებერვალს დააკავეს. მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით (ძალადობა, ჩადენილი ჯგუფურად) და 115-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (თვითმკვლელობამდე მიყვანა) წარედგინათ.[1452]

ბ) 2023 წლის 28 დეკემბერს ნაქირავები ბინის აბაზანაში გარდაცვლილი იპოვეს კაპრალი, 41 წლის ი.გ.. თავდაცვის სამინისტროს პირველადი ინფორმაციით, გარდაცვალების მიზეზი, სავარაუდოდ, წყლის გამათბობლის გაუმართაობა და ბუნებრივი აირით მოწამვლა გახდა.[1453]

გ) 2023 წლის 28 ოქტომბერს ცნობილი გახდა, რომ ვაშლიჯვრის სამხედრო ბაზაზე 19 წლის რ.ჩ. დაიღუპა. ერთ-ერთი ვერსიით, მან ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოიკლა თავი.[1454]

დ) 2023 წლის ივნისში მარნეულის სამხედრო ნაწილში ი.ნ.-მ, რომელიც სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა, თავი მოიკლა. დაიწყო გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლის (თვითმკვლელობამდე მიყვანა) 1-ელი ნაწილით. [1455]

ე) 2023 წლის აპრილში თავდაცვის ძალების სერჟანტი მ.მ., დაბადებული 1978 წელს, გარდაცვლილი იპოვეს. მან თავი ჩამოიხრჩო უწყების ერთ-ერთ ობიექტზე. თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციამ თვითმკვლელობის ფაქტზე დაიწყო გა-

---

1452 „პროკურატურამ ჯარისკაცის ძალადობისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტებზე სამ სამხედრო მოსამსახურეს ბრალდება წარუდგინა“, 15 თებერვალი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/787853-prokuraturam-jariskacze-zaladobisa-da-tvitm kvlelobamde-miqvanis-paktebze-sam-samxedro-mosamsaxures-braldeba-carudgina]; „გორში 41 წლის სამხედრო მოსამსახურე ჩამომხრჩვალი იპოვეს“, 12 იანვარი, 2024 წ., იხ.: [https://sakartvelosambebi.ge/ge/akhali-ambebi/gorshi-41-tslis-samkhedro-mosamsa khure-chamomkhrchvali-ipoves], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

1453 გორში კაპრალი, სავარაუდოდ, გაზის გაჟონვით დაიღუპა, 28 დეკემბერი, 2023 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/a/32750881.html], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

1454 ინფორმაცია ამ ფაქტის შესახებ მოცემულია სტატიაში „გორში 41 წლის სამხედრო მოსამსახურე ჩამომხრჩვალი იპოვეს“, 12 იანვარი, 2024 წ., იხ.: [https://sakartvelosambebi.ge/ge/akhali-ambebi/gorshi-41-tslis-samkhedro-mosamsakhure-chamomkhrchvali-ipoves], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

1455 „შვილი ჯარში ჯანმრთელი გავგზავნე, მკვდარი დამიბრუნეს – სუიციდი თავდაცვის ძალებში“, 9 ივნისი, 2023 წ., იხ.: [https://sakartvelosambebi.ge/ge/akhali-ambebi/shvili-j arshi-janmrteli-gavgzavne-mkvdari-damibrunes-suitsidi-tavdatsvis-dzalebshi], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

მოძიება სსკ-ის 115-ე მუხლის (თვითმკვლელობამდე მიყვანა) 1-ელი ნაწილით. ინფორმაციის მიხედვით, გამოკითხულია მოწმეები, დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები და ტარდება საგამოძიებო მოქმედებები. გამოძიების პირველადი ინფორმაციით, თვითმკვლელობა, სავარაუდოდ, ოჯახურ კონფლიქტს უკავშირდება.[1456]

ვ) 2022 წლის აპრილში სენაკის მე-2 ქვეითი ბრიგადის ტერიტორიაზე პირველი კლასის რიგითმა ჯ.ა.-მ თავისივე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით ჩაიდინა თვითმკვლელობა, რომელიც დააფიქსირა შემთხვევის ადგილზე არსებულმა ვიდეოსამეთვალყურეო კამერამ. ფაქტზე დაიწყო გამოძიება საქართველოს სსკ-ის 115-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა).[1457]

ზ) 2021 წლის მარტში მე-4 მექანიზებული ბრიგადის ტერიტორიაზე საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურემ, I კლასის რიგითმა ჯ.ძ.-მ, განმწესში მორიგეობის დროს, თვითმკვლელობის მიზნით, თავისივე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან განახორციელა გასროლა. სამხედრო მოსამსახურე დაუყონებლივ გადაიყვანეს საავადმყოფოში შესაბამისი სამედიცინო მომსახურების აღმოჩენის მიზნით, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. მომხდართან დაკავშირებით, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციამ დაიწყო გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა). გამოძიების პირველადი ინფორმაციით, მომხდარი შემთხვევა, სავარაუდოდ, ოჯახურ პრობლემებს უკავშირდება.[1458]

თ) 2019 წლის მაისში 25 წლის სამხედრო ვ.მ. იპოვეს გარდაცვლილი ვაზიანის საველე წვრთნების ბაზაზე. თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციამ დაიწყო შემთხვევის გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა).[1459]

ნაშრომში ასახული ფაქტების გარდა, ბოლო წლებში კიდევ იყო თვითმკვლელობის შემთხვევები.[1460] სამხედრო სამსახურში თვითმკვლელობის შემთხვევების სტატისტიკა არ არის გამოქვეყნებული, თუმცა სხვადასხვა მონაცემით, 1997 წლიდან 2002 წლამდე თავი მოიკლა 54-მა ჯარისკაცმა.[1461]

1456 „თავდაცვის ძალების აღმოსავლეთ სარდლობის ერთ-ერთი სერჟანტი გარდაცვლილი იპოვეს“, 28 აპრილი, 2023 წ. იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/753721-tavdacvis-zalebis-agmosavlet-sardlobis-ert-erti-serzhanti-gardacvlili-ipoves]; [https://mod.gov.ge/ge/news/read/9030/tavdacvis-saministros-gancxadeba]. [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.]

1457 „თავდაცვის სამინისტრო სენაკის ბაზაზე ჯარისკაცის გარდაცვალებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს“, 18 აპრილი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/706586-tavdacvis-saministro-senakis-bazaze-jariskacis-gardacvalebastan-dakavshirebit-gancxadebas-avrcelebs], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

1458 „მე-4 მექანიზებული ბრიგადის ჯარისკაცმა თვითმკვლელობის მიზნით საკუთარი იარაღიდან გასროლა განახორციელა – ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა“, 4 მარტი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/644894-me-4-mekanizebuli-brigadis-jariskacma-tvitmkvlelobis-miznit-sakutari-iaragidan-gasrola-ganaxorciela-is-saavadmqoposhi-gadaiqvanes-tumca-misi-gadarchena-ver-moxerxda]; [https://rustavi2.ge/ka/news/192076], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

1459 ინფორმაცია ამ ფაქტის შესახებ მოცემულია სტატიაში: „რა ვიცით 45 წლის სერჟანტის სიკვდილის შესახებ“, 28 აპრილი, 2023 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

1460 იქვე.

1461 „შვილი ჯარში ჯანმრთელი გავგზავნე, მკვდარი დამიბრუნეს – სუიციდი თავდაცვის ძალებში“, 9 ივნისი, 2023 წ., იხ.: [https://sakartvelosambebi.ge/ge/akhali-ambebi/shvili-jarshi-janmrteli-gavgzavne-mkvdari-damibrunes-suitsidi-tavdatsvis-dzalebshi], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, თვითმკვლელობის შემთხვევაში გამოძიება იწყება სსკ-ის 115-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს თვითმკვლელობამდე მიყვანას. ასეთი შემთხვევების გამოძიების შედეგიანობა არ არის მაღალი. თუ, ზოგადად, დანაშაულის გახსნის საშუალო მაჩვენებელი 50%-იდან 60-ამდე მერყეობს, შსს-ს სტატისტიკის მიხედვით, სსკ-ის 115-ე მუხლით დაწყებული გამოძიებების შემთხვევაში დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი თითქმის არასოდეს აღემატება 2%-ს.[1462]

სამხედრო სამსახურში თვითმკვლელობის მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს. თვითმკვლელობა შეიძლება გამოიწვიოს სამხედრო მოსამსახურის მძიმე ფსიქოლოგიურმა მდგომარეობამ, რომელიც განპირობებულია სამხედრო სამსახურში შექმნილი სიტუაციით, მასზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მისი დამცირებით. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, ქართულ ჯარში პრობლემად რჩება სამხედრო მოსამსახურეების არაფორმალური და კოლექტიური დასჯის პრაქტიკა.[1463] სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, თავდაცვის ძალების ცალკეულ ბატალიონებში დისციპლინური გადაცდომების ჩადენის შემთხვევაში, დასჯის მიზნით, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ჯარისკაცებს აიძულებენ: ირბინონ, აკეთონ ბუქნები და აზიდვები, ან სამუშაო საათების დასრულების შემდეგ დარჩნენ სამხედრო ნაწილში. ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთი ჯარისკაცის დისციპლინური გადაცდომის გამო, მასთან ერთად ისჯება მთელი ოცეული პრინციპით: „ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის“. სახალხო დამცველის ანგარიშში კონკრეტული ფაქტიც არის მოყვანილი. კერძოდ, 2020 წელს იალღუჯის სამხედრო ბაზაზე ჯარისკაცები ზემდგომებმა აიძულეს, მუხლებზე დაჩოქილებს საათების განმავლობაში ეხეხათ სამხედრო ობიექტის ტუალეტები კბილის ჯაგრისებით, ყაზარმის სრული შემადგენლობის თვალწინ, რაც სახალხო დამცველის პოზიციით არასათანადო მოპყრობაა.

თვითმკვლელობის ზემოაღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით უნდა დაისვას კითხვა, იცოდა თუ არა სახელმწიფომ, ან უნდა სცოდნოდა თუ არა მას სამხედრო მოსამსახურეების სიცოცხლისათვის არსებული საფრთხის შესახებ და თუ იცოდა, რა გონივრული ნაბიჯები გადადგა მან ამ პირთა სიცოცხლის დასაცავად. თუ დადგინდა, რომ სახელმწიფომ იცოდა ასეთი საფრთხის შესახებ, უნდა გაირკვეს, რატომ არ მოხდა ამ სამხედრო მოსამსახურეებისათვის სათანადო ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენა და მათთვის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების აკრძალვა ან სხვა ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც მოახდენდა მათი სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის თავიდან აცილებას.

მნიშვნელოვანია, რომ თავდაცვის სამინისტრო აცნობიერებს სამხედრო სამსახურში თვითმკვლელობის პრობლემის აქტუალობას. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ჯერ კიდევ 2015 წელს თავდაცვის სამინისტრომ თვითმკვლელობის შემთხვევების პრევენციის მიზნით დაიწყო პოლიტიკის გამკაცრება, რისი მიზანიც იყო სამხედრო სამსახურში თვითმკვლელობების თავიდან საერთოდ აცილება ან მათი მინიმუმამდე

1462 ნ. არაბული, „თვითმკვლელობა ქართულ ჯარში – უპასუხო კითხვები“, 19 იანვარი, 2024 წ., სტატია ხელმისაწვდომია რადიო „თავისუფლების“ ინტერნეტგვერდზე: [https://www.radiotavisupleba.ge], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

1463 იქვე; ასევე იხ. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2021 წელი, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2022 წელი, [https://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf], 316-319.

შემცირება.[1464] სამინისტროს მიერ დაიწყო კამპანია „მხარი მხარს“, რომელიც ითვალისწინებდა სამხედრო მოსამსახურეებს შორის თვითმკვლელობების პრევენციის მიზნით მყისიერ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას, ცხელი ხაზის არსებობას, სემინარებისა და ლექციების ჩატარებას ყველა დონის მეთაურებისთვის ჯარისკაცის მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობის ამოსაცნობად.[1465]

თავდაცვის სამინისტროსათვის თვითმკვლელობის საკითხი დღესაც აქტუალურია, რასაც ადასტურებს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული დოკუმენტი (თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა – 2021-2025), რომელშიც ხაზგასმულია სამხედრო მოსამსახურეთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მნიშვნელობა.[1466] სამინისტროსათვის თვითმკვლელობის პრობლემის აქტუალობას ასევე ადასტურებს სამინისტროს 2021 წლის საქმიანობის ზოგადი ანგარიში, რომლის მიხედვით, 2021 წელს სამინისტრომ დაიწყო მუშაობა ფსიქოლოგიური მდგრადობისა და მზადყოფნის კონცეფციისა და სუიციდის პრევენციისა და ინტერვენციის სტრატეგიის შემუშავებაზე.[1467] უცნობია, ეს დოკუმენტი შემუშავდა თუ არა, რადგან ინფორმაცია ამ დოკუმენტის შემუშავების შედეგების შესახებ საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი. თავდაცვის სამინისტროში ფუნქციონირებს სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტი.

მიუხედავად ამისა, ზემოთ მოშველიებული ფაქტების გათვალისწინებით, სამხედრო სამსახურში თვითმკვლელობის თავიდან აცილების მოქმედი სისტემის ეფექტიანობა შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღსანიშნავია შემდეგი: გარდა საკანონმდებლო კუთხით გასატარებელი ღონისძიებებისა, რომლებიც მიზნად ისახავს სამხედრო სამსახურში თვითმკვლელობის თავიდან აცილებას, აუცილებელია გატარდეს პრაქტიკული ღონისძიებები სამხედრო პირების თვითმკვლელობის შესამცირებლად. ამ ღონისძიებებში იგულისხმება ისეთი ნაბიჯები, რომლებიც მიმართული იქნება სამხედრო მოსამსახურეთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის პერიოდული შემოწმებისა და მათთვის ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენისაკენ, სიცოცხლისათვის საფრთხის არსებობის შემთხვევაში.

სამხედრო მოსამსახურეების სიცოცხლის დაცვის მიზნით, მათ ზემდგომმა უნდა გაატაროს შესაფერისი ღონისძიებები იმ სამხედრო მოსამსახურის მიმართ, რომელსაც გამოუვლინდა ფსიქოლოგიური პრობლემები, ან, რომელიც უცნაურად იქცევა. ასეთ სამხედრო მოსამსახურეებს უნდა აეკრძალოთ ცეცხლსასროლი იარაღით სარგებლობა.

აუცილებელია, გატარდეს ღონისძიებები თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შექმნილი სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტის საქმიანობის ეფექტიანობის გასაზრდელად, რაც ხელს შეუწყობს თვითმკვლელობის შემთხვევათა თავიდან აცილებას.

სუიციდის საკითხი აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოს სამხედრო სამსახურში, არამედ, ზოგადად, მთელი მოსახლეობისათვის. 2019 წლის 6 თვის მონაცემებით,

---

1464 „თავდაცვის სამინისტრო სუიციდის პრევენციის პოლიტიკას ამკაცრებს“, 3 სექტემბერი, 2015 წ., იხ.: [https://presa.ge/ka/31434/page/tavdacvis-saministro-suicidis-prevenciis-politikas-amkacrebs], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

1465 „თავდაცვის სამინისტრომ სუიციდის პრევენციის მიზნით კამპანია დაიწყო“, 1 ოქტომბერი, 2015 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/347731-tavdacvis-saministrom-suicidis-prevenciis-miznit-kampania-daicqo/], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

1466 იხ.: [https://mod.gov.ge/uploads/upload_new/tavdacvis_strategiuli_mimoxilva.pdf], 38-ე გვ.

1467 მე-8 გვ., იხ.: [https://mod.gov.ge/ge/public/page/14], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

საქართველოში სიცოცხლე სუიციდით 207-მა ადამიანმა დაასრულა, მისი მცდელობა კი იმავე პერიოდში ჰქონდა 219 ადამიანს. 2018 წელს საქართველოში თვითმკვლელობით სიცოცხლე 389 ადამიანმა დაასრულა, ხოლო თვითმკვლელობის მცდელობა ჰქონდა 477 ადამიანს.[1468] გამოწვევად რჩება ბავშვთა სუიციდის პრევენცია.[1469]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სუიციდის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, ქვეყანაში არ არსებობს სუიციდის პრევენციის სტრატეგია. ეს სტრატეგია საქართველოში 2015-2016 წლებში უნდა შემუშავებულიყო, თუმცა ის დღემდე არ არსებობს.[1470] აქედან გამომდინარე, აუცილებელია, საქართველოში შემუშავდეს სუიციდის პრევენციის ეროვნული სტრატეგია, რომელიც მოიცავს მთელ მოსახლეობას, მათ შორის ბავშვებს, ხოლო მისი განხორციელება უნდა იყოს უზრუნველყოფილი სათანადო რესურსებით.

6.3.2.2.2. ფსიქიატრიულ და სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებში მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში

ა) კანონმდებლობა

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების, მათ შორის, ფსიქიატრიული და სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებში მყოფი პირების სიცოცხლის დაცვაზე. სახელმწიფო ვალდებულია, დაადგინოს შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც მიმართული იქნება ამ პირთა, როგორც სახელმწიფოს ექსკლუზიური კონტროლის ქვეშ მყოფი პირების, სიცოცხლის დაცვისაკენ.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მყოფი პირების სიცოცხლის დაცვას საქართველოში აწესრიგებს რამდენიმე ნორმატიული აქტი. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია საქართველოს კანონი ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ, რომლის მიზანია, სხვა საკითხებთან ერთად, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.[1471] კანონი ითვალისწინებს სტაციონარში მყოფი პაციენტის მიმართ შეზღუდვის გამოყენებას, მისი მხრიდან ძალადობის შემცველი ქცევის კონტროლის მიზნით. ასეთი შეზღუდვა არის უკიდურესი, საგამონაკლისო ღონისძიება, რომელიც გამოიყენება, როდესაც პაციენტის მიერ საკუთარი თავის ან სხვისი (გარშემომყოფ-

---

1468 საქართველო სუიციდთან ბრძოლის გეგმის გარეშე, 11 ოქტომბერი, 2019 წელი, იხ.: [https://netgazeti.ge/news/397758/]. [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

1469 „სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში კვლავ გამოწვევად რჩება ბავშვთა სუიციდის პრევენცია“, 1 აპრილი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/649448-saxalxo-damcvelis-angarishis-mixedvit-sakartveloshi-kvlav-gamocvevad-rcheba-bavshvta-suicidis-prevencia]; „ვახტანგ გომელაური – ახალგაზრდებში სუიციდი უმძიმესი თემაა, ძალიან დიდი სტრესია, ვმუშაობთ პრევენციაზე, თუმცა საჭიროა მთელი საზოგადოების ჩართულობა“, 21 თებერვალი, 2021 წ., იხ.: [https://1tv.ge/news/vakhtang-gomelauri-akhalgazrdebshi-suicidi-umdzimesi-temaa-dzalian-didi-stresia-vmushaobt-prevenciaze-tumca-sachiroa-mteli-sazogadoebis-chartuloba/].

1470 საქართველოს მთავრობის დადგენილება N762 „ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ, 31 დეკემბერი, 2014 წელი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/2667876?publication=0].

1471 14 ივლისი, 2006 წელი.

თა) დაზიანების საფრთხე გარდაუვალია და მისი თავიდან აცილება შეუძლებელია პაციენტის სიტყვიერი დამშვიდებით ან მედიკამენტებით მკურნალობით.[1472] კანონით განსაზღვრულია შეზღუდვის მეთოდები: მანუალური შეზღუდვა (შებოჭვა), მექანიკური შეზღუდვა და იზოლირება.[1473] კანონი ასევე ადგენს, რომ შეზღუდვის მეთოდის შერჩევისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნაკლებად შემზღუდველ მექანიზმს, ხოლო გამოყენებული შეზღუდვის მეთოდი პაციენტისაგან მომდინარე შესაძლო საფრთხის თანაზომიერი უნდა იყოს.[1474]

ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტებისათვის ფიზიკური შეზღუდვის გამოყენებას ითვალისწინებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.[1475] ინსტრუქციის მიხედვით, პაციენტის ფიზიკური შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული პაციენტის ან სხვების დაუყოვნებლივი და გარდაუვალი ზიანი.[1476] ფიზიკური შეზღუდვის მიზანია, შემცირდეს პაციენტის აგრესიის გამოვლენა და განსაზღვრულია, რომ დაშვებულია ფიზიკური შეზღუდვის ორი მეთოდი: სპეციალიზებულ პალატაში იზოლაცია და პაციენტის ფიზიკური შებოჭვა.[1477] ინსტრუქცია ადგენს, რომ პაციენტის იზოლაციის შემთხვევაში, პალატა უნდა იყოს სპეციალურად აღჭურვილი, რათა თავიდან იქნეს აცილებული პაციენტის თვითდაზიანება.[1478]

ინსტრუქციის მიხედვით, დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი მეთვალყურეობას უწევს პაციენტს, რომლის მიმართაც ხორციელდება ფიზიკური შეზღუდვა. ასეთი შეზღუდვის შესახებ ნებართვა გაიცემა 4 საათით. ამ პერიოდის განმავლობაში პასუხისმგებელი პირი აკვირდება პაციენტის მდგომარეობას და, საჭიროების შემთხვევაში, მზადაა მისთვის დახმარების აღმოსაჩენად. გადაწყვეტილებას ფიზიკური შეზღუდვის შეწყვეტის შესახებ იღებს ფსიქიატრი, როგორც კი ამოიწურება ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების აუცილებლობა.[1479]

საქართველოში ასევე მოქმედებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება, რომელიც ადგენს იძულებით ფსიქიატრიულ მკურნალობაზე მყოფი პაციენტის რისკის შეფასების სტანდარტისა და რისკის შემცირების, რესოციალიზაციისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა ჩამონათვალს, რომლებიც აუცილებელია ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის უზრუნველსაყოფად.[1480] ამ ბრძანების მიხედვით, რისკის შეფასების ინსტრუმენტი იძლევა დინამიკურ სურათს მკურნალობის პროცესში რისკების დონის შესახებ. განმეორებითი შეფასებები იგეგმება პაციენტის ინდივიდუალური მართვის პროცესში, მათ შორის მკურნალობის შუალედურ

1472 კანონის მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტი.

1473 კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი.

1474 კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი.

1475 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტისათვის ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, N92/ნ, 20 მარტი, 2007 წელი.

1476 იხ. ინსტრუქციის 1-ელი პუნქტი.

1477 იხ. ინსტრუქციის მე-2 და მე-3 პუნქტები.

1478 იხ. ინსტრუქციის მე-4 პუნქტი.

1479 იხ. ინსტრუქციის მე-7-მე-14 პუნქტები.

1480 იხ. ბრძანება N01-70/ნ, 1 ოქტომბერი, 2014 წელი.

სტადიაზე და პაციენტის კლინიკიდან გაწერამდე, რათა შეფასდეს რისკების დონის ცვლილება და შეიქმნას ობიექტური სურათი შესაძლო აუტო- და ჰეტეროძალადობის შესაფასებლად.[1481]

რისკის შეფასების დოკუმენტში, სხვა საკითხებთან ერთად, ფასდება ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების მიდრეკილება სუიციდისა[1482] და აგრესიის/ძალადობის[1483] მიმართ.

რაც შეეხება სახელმწიფო მზრუნველობის დაწესებულებებში მყოფი პირების სიცოცხლის დაცვას, საქართველოში ამ საკითხებს აწესრიგებს რამდენიმე ნორმატიული აქტი. ერთ-ერთი ასეთი ნორმატიული აქტით დაარსებულია სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო,[1484] რომლის ერთ-ერთი მიზანია „ადამიანთა სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ხანდაზმულთა და მზრუნველობა-მოკლებულ ბავშვთათვის, ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა“.[1485] სააგენტოს დებულება ასევე განსაზღვრავს, რომ მისი ფუნქცია და უფლებამოსილებაა, „სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებულ სპეციალიზირებულ დაწესებულებაში ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნა, სადღეღამისო მომსახურების ფარგლებში მოვლა-პატრონობა, კვება, პირველადი სამედიცინო მომსახურება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარება/ორგანიზება.“[1486]

რაც შეეხება ბავშვთა მზრუნველობის დაწესებულებების საქმიანობის რეგულირებას, უმნიშვნელოვანესი აქტია ბავშვის უფლებათა კოდექსი.[1487] კოდექსი ადგენს, რომ სახელმწიფო ატარებს ბავშვის სიცოცხლის დასაცავად საჭირო ყველა ღონისძიებას და ქმნის მისი ჰარმონიული განვითარებისათვის საჭირო ყველა პირობას,[1488] ისევე, როგორც განსაზღვრავს ალტერნატიული ზრუნვის არსს. კერძოდ, კოდექსი ადგენს, რომ სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს დროებით და სამუდამოდ მშობელთა

1481 იხ. ბრძანების დანართი, მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილი.

1482 ფასდება პაციენტის სუიციდური აზრები და ქცევა: წარსულში საკუთარი ჯანმრთელობის მოსპობის მცდელობები, ფიქრი თვითმკვლელობაზე, პრობლემის იდენტიფიცირებისა და შესაბამისი რეაგირების შესაძლებლობა და სხვ. იხ. ბრძანების დანართი, მე-2 მუხლის მე-7 ნაწილი.

1483 ფასდება პაციენტის მიდრეკილება ძალადობისა და აგრესიისაკენ: წარსულში არსებული ძალადობის შემთხვევები, სხვების დაზიანების განზრახვა, კრიმინალური ისტორია, ძალადობრივი იდეებით შეპყრობა და სხვ. იხ. ბრძანების დანართი, მე-2 მუხლის მე-8 ნაწილი.

1484 საქართველოს მთავრობის დადგენილება N58 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“, 28 იანვარი, 2020 წელი, იხ: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/4784324?publication=2].

1485 სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის „ე“ პუნქტი.

1486 იხ. მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი. სააგენტოს უფლებამოსილებაა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა და ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა სადღეღამისო მომსახურების შემთხვევაში, მათთვის დროებითი უსაფრთხო საცხოვრისით, კვებით, ჰიგიენისა და პირველადი მოხმარების სხვა საშუალებებით და, საჭიროების შემთხვევაში, ტანსაცმლით უზრუნველყოფა. იხ. მე-3(1)(ა და ა[1]) მუხლი.

1487 20 სექტემბერი, 2019 წელი.

1488 კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი.

ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვის დაცვა და მხარდაჭერა.[1489] მართალია, სახელმწიფოს მიზანია ბავშვის ოჯახში დაბრუნების ხელშეწყობა ან მისი შვილად აყვანა, სახელმწიფო უზრუნველყოფს მინდობით აღზრდის მიზნით ბავშვის განთავსებას,[1490] ან, უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, მის განთავსებას მცირე ოჯახური ტიპის რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულებაში.[1491] აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აღიარებს ალტერნატიული ზრუნვის ორ ფორმას – ბავშვის მინდობით აღზრდასა და მის განთავსებას მცირე ოჯახური ტიპის რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულებაში, სადაც მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და ბავშვზე ალტერნატიული ზრუნვის სტანდარტებს.[1492]

კოდექსი დეტალურად განსაზღვრავს ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულებაში ბავშვზე ზრუნვის ერთიან სავალდებულო სტანდარტებს, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს გაეროს მიერ დადგენილ ალტერნატიული ზრუნვის სტანდარტებს და ითვალისწინებდეს სხვადასხვა საკითხს, მათ შორის: ბავშვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, კვების, ჰარმონიული განვითარებისა და სპეციალური საჭიროებების უზრუნველყოფასა და ბავშვის ძალადობისაგან დაცვას.[1493] სახელმწიფო უზრუნველყოფს ალტერნატიული ზრუნვის სავალდებულო პერიოდულ კონტროლს, რომელიც უნდა განხორციელდეს არანაკლებ 3 თვეში ერთხელ.[1494]

ბავშვის უფლებათა კოდექსი ასევე ითვალისწინებს ბავშვის უფლებას ცხოვრების სათანადო სტანდარტზე, კერძოდ, რომ ბავშვი, სულ მცირე, უნდა იყოს უზრუნველყოფილი საკვებით, სასმელი წყლით, ეკოლოგიურად სუფთა საცხოვრებელი გარემოთი, პირველადი ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობით, ჯანსაღი ცხოვრების წესით, კატასტროფისა და უბედური შემთხვევისაგან დაცვის შესახებ საბაზისო ინფორმაციითა და შესაბამისი მექანიზმებით.[1495] ეს დებულება ვრცელდება ყველა ბავშვზე, მათ შორის ალტერნატიულ (სახელმწიფო) მზრუნველობაში მყოფ ბავშვებზე.

კოდექსი ასევე ადგენს, რომ აკრძალულია ბავშვის ფიზიკური დასჯა, წამება, მისდამი სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, მათ შორის ალტერნატიული ზრუნვის მომსახურების მიწოდებისას.[1496]

საყურადღებოა, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსი ადგენს: 2020 წლის 1 მარტამდე უნდა მიიღონ დეინსტიტუციონალიზაციის ერთიანი სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც დღემდე არ არის მიღებული.[1497] მართალია, საქართველოში თითქმის აღარ არსებობს დიდი ზომის ბავშვთა სახლები,[1498] თუმცა ის ფაქტი, რომ კოდექსმა დაადგინა დეინსტიტუციონალიზაციის ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმე-

---

1489 კოდექსის 29(1)-ე მუხლი.

1490 კოდექსის 29(5)-ე მუხლი.

1491 კოდექსის 29(6)-ე მუხლი.

1492 კოდექსის 29(7)-ე მუხლი.

1493 კოდექსის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტები.

1494 კოდექსის 34-ე მუხლი.

1495 კოდექსის 47-ე მუხლი.

1496 კოდექსის 53(2)-ე მუხლი.

1497 კოდექსის 99-ე მუხლის მე-2 პუნქტი ა (ა.გ.) ქვეპუნქტი.

1498 გამონაკლისია საპატრიარქოსა და მუსლიმთა თემის მმართველობაში დარჩენილი ბავშვთა დაწესებულებები. იხ. იუნისეფი და ევროკავშირი მთავრობას ეხმარება ბავშვთა სახლებიდან ბავშვების ოჯახურ გარემოში გადაყვანის მიზნით სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, 19 ივლისი, 2021 წელი. იხ.: [https://www.unicef.org/georgia/press-releases/unicef-eu-support-government-developing-action-plan-move-children-institutions].

დო გეგმის მიღების საჭიროება, ადასტურებს დეინსტიტუციონალიზაციის საკითხის ბოლომდე მოუგვარებლობას.[1499]

კოდექსი ასევე ადგენს, რომ 2020 წლის 1 მარტამდე საქართველოს მთავრობამ უნდა დაამტკიცოს ბავშვთა დაცვის ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც ამ დროისათვის არ არის მიღებული.[1500]

ბავშვზე სახელმწიფო მზრუნველობას, როგორც ალტერნატიული მზრუნველობის ფორმას, ასევე აწესრიგებს საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, რომელიც მინდობით აღმზრდელს აკისრებს მინდობით აღსაზრდელის მიმართ სხვადასხვა მოვალეობას, მათ შორის, რომ მინდობით აღსაზრდელს შეუქმნას კეთილსაიმედო ოჯახური გარემო და მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს დაუყოვნებლივ აცნობოს მინდობით აღსაზრდელისათვის საზიანო პირობებისა და გარემოს შექმნის შესახებ.[1501]

რაც შეეხება ადამიანთა სხვა მიზნობრივ ჯგუფებს, კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და ხანდაზმულებს, ამ საკითხებს აწესრიგებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ“.[1502]

სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტის მიხედვით, ბენეფიციარებმა მომსახურება უნდა მიიღონ კეთილმოწყობილ, სუფთა და უსაფრთხო გარემოში. ისინი უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი სეზონის შესაბამისი ტემპერატურით, საცხოვრებელი ფართით, პირადი ჰიგიენისათვის საჭირო ინვენტარით.[1503] ასევე ბენეფიციარები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი სამჯერადი ჯანსაღი კვებით, უსაფრთხო სასმელი წყლით, სამედიცინო მომსახურებით.[1504] ეს პირები უნდა იყვნენ დაცული ნებისმიერი სახის ძალადობისა (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური) და იძულებისაგან.[1505]

რაც შეეხება ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების სიცოცხლის დაცვის შესახებ, საყურადღებოა საქმე *ფერნანდეს დე ოლივეირა პორტუგალიის წინააღმდეგ (Fernandes de Oliveira*

1499 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, ზ. აზარაშვილის განცხადებით, „ქვეყანაში ბავშვთა დიდი ზომის დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი პრაქტიკულად დასკვნით ფაზაშია“, 18 მაისი, 2023 წელი, იხ.: [https://imedinews.ge/ge/sazogadoeba/291870/zurab-azarashvili-qvekanashi-bavshvta-didi-zomis-datsesebulebebis-deinstitutsionalizatsiis-protsesi-praqtikulad-daskvnit-pazashia].

1500 კოდექსის 99-ე მუხლის მე-2 პუნქტი ა(ა.ბ.)-ქვეპუნქტი.

1501 4 მაისი, 2017 წელი, 76-ე მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები; ასევე იხ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N01-72/ნ „მინდობით აღზრდის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს ბავშვის მინდობით აღზრდაში გადაცემიდან ერთი თვის განმავლობაში არანაკლებ კვირაში ერთხელ აღმზრდელის ოჯახში ვიზიტს ზედამხედველობის მიზნით, ხოლო მოგვიანებით ასეთი ვიზიტი ხორციელდება არანაკლებ თვეში ერთხელ.

1502 ბრძანება 01-54/ნ, 23 ივლისი, 2014 წელი. იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/2391345?publication=6].

1503 მე-2 მუხლი.

1504 მე-6 და მე-8 მუხლები.

1505 მე-10 მუხლი.

v. Portugal),[1506] რომელიც ეხებოდა ფსიქიკური აშლილობის მქონე პირს, რომელმაც, თვითმკვლელობის მცდელობის შემდეგ, ნებაყოფლობით მიმართა სახელმწიფო ფსიქიატრიულ საავადმყოფოს სამკურნალოდ, თუმცა მოგვიანებით იგი მიიმალა საავადმყოფოდან, ჩაუხტა მატარებელს და სიცოცხლე დაასრულა თვითმკვლელობით.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ სახელმწიფომ უნდა გადადგას პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ პირის სიცოცხლეს ემუქრება რეალური და მყისიერი საფრთხე სხვა პირებისაგან ან საკუთარი თავისაგან. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ეკისრება ზოგადი ვალდებულება ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული პაციენტების მიმართ, გაატაროს გონივრული ღონისძიებები თვითმკვლელობის რეალური და მყისიერი საფრთხისაგან მათ დასაცავად.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ პაციენტი ექვემდებარებოდა უფრო მკაცრ რეჟიმს საავადმყოფოში ყოფნის პირველი კვირის განმავლობაში, თუმცა, როდესაც საავადმყოფომ მიიჩნია, რომ მისი სიმპტომები უმჯობესდებოდა, მას მიეცა თავისუფლება, გადაადგილებულიყო საავადმყოფოს შენობებს შორის და მის ტერიტორიაზე და რომ დაბრუნებულიყო სახლში დასვენების დღეებში. სასამართლოს აზრით, მართალია, თვითმკვლელობის საფრთხის გამორიცხვა არ შეიძლებოდა, საავადმყოფო ცდილობდა ადაპტირებას მის ცვალებად მენტალურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საფრთხეებთან, ადგილზე მონიტორინგის რეჟიმის გამკაცრებით ან შემსუბუქებით. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ ვერ დაადგინა, რომ სახელმწიფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ სიცოცხლისათვის არსებობდა რეალური და მყისიერი საფრთხე, რასაც შეეძლო გამოეწვია თვითმკვლელობა. ამის გამო ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.

თუ ამ საქმით დადგენილი ევროპული სტანდარტები განიხილება საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ საქართველოში საკმარისად არის მოწესრიგებული ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების სიცოცხლის უფლების დაცვა. კანონი ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ითვალისწინებს სტაციონარში მყოფი პაციენტის მიმართ შეზღუდვის გამოყენებას, რაც მიზნად ისახავს როგორც პაციენტის, ისე გარშემომყოფთა დაცვას. მსგავსი ნორმებია დადგენილი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით, რომელიც ასევე ითვალისწინებს ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტთა ზედამხედველობას, რომელთა მიმართაც ხორციელდება ფიზიკური შეზღუდვა.[1507]

საქართველოს კანონმდებლობა ასევე ადგენს იძულებით ფსიქიატრიულ მკურნალობაზე მყოფი პაციენტის რისკის შეფასების სტანდარტს. რისკის შეფასების ინსტრუმენტი იძლევა დინამიკურ სურათს მკურნალობის პროცესში რისკების დონის შესახებ. კანონმდებლობა ითვალისწინებს პაციენტის კლინიკიდან გაწერამდე რისკების დონის ცვლილებისა და აუტო- და ჰეტეროძალადობის შეფასების მექანიზმს. ასევე ფასდება ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების მიდრეკილება სუიციდისა[1508] და

1506 დიდი პალატა, 31 იანვარი, 2019 წელი.

1507 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტისათვის ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, N92/ნ, 20 მარტი, 2007 წელი.

1508 ფასდება პაციენტის სუიციდური აზრები და ქცევა: წარსულში საკუთარი ჯანმრთელობის მოსპობის მცდელობები, ფიქრი თვითმკვლელობაზე, პრობლემის იდენტიფიცირებისა და შესაბამისი რეაგირების შესაძლებლობა და სხვ. იხ. ბრძანების დანართი, მე-2 მუხლის მე-7 ნაწილი.

აგრესიის/ძალადობის[1509] მიმართ. კანონმდებლობით დადგენილი ეს მექანიზმი იძლევა შესაძლებლობას, რომ სახელმწიფომ გაატაროს სათანადო ღონისძიებები ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტის სიცოცხლის (და ჯანმრთელობის) დაცვის მიზნით.

რაც შეეხება ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებში მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის შესახებ, საყურადღებოა საქმე *ნენჩევა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (Nencheva and Others v. Bulgaria)*, რომელშიც ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლება განიხილა სახელმწიფოს მიერ საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფის ვალდებულის მიმართ. ამ საქმეში 15 ბავშვი და ახალგაზრდა გარდაიცვალნენ შეზღუდული ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლში, რომელიც სახელმწიფოს დაქვემდებარებაში იყო.[1510] მოსარჩელეთა შვილები უკიდურესად მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ ბავშვთა სახლში. მათ არასაკმარისად ჰქონდათ საკვები, ტანსაცმელი, წამალი და ჰიგიენის დაცვის საშუალებანი. ზამთარში ბავშვთა სახლში არ იყო საკმარისი გათბობა. ასეთი პირობების გამო საფრთხეში იყო იქ მცხოვრებთა სიცოცხლე. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ინფორმირებული იყო ბავშვთა სახლში არსებული მძიმე მდგომარეობისა და იქ მცხოვრებთა სიცოცხლისათვის არსებული საფრთხის შესახებ, სახელმწიფოს არ გაუტარებია შესაფერისი ღონისძიებები მათი სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ვინაიდან სახელმწიფომ იცოდა შექმნილი მდგომარეობის შესახებ, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მას ეკისრებოდა ვალდებულება, გაეტარებინა დაუყოვნებლივი ღონისძიებები ბავშვებისა და ახალგაზრდების სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რაც მან არ გააკეთა. ამის გამო სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.

საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც აწესრიგებს მზრუნველობის დაწესებულებებში მყოფი პირების სიცოცხლის უფლების დაცვას, დამაკმაყოფილებლად ასახავს საქმეზე – *ნენჩევა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (Nencheva and Others v. Bulgaria)* – ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოში დაარსებულია სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, რომელიც უზრუნველყოფს მის დაქვემდებარებაში არსებულ სპეციალიზებულ დაწესებულებაში ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ოჯახურ გარემოსთან მიახლოებული პირობების შექმნას, სადღეღამისო მომსახურების ფარგლებში მოვლა-პატრონობას, კვებასა და პირველად სამედიცინო მომსახურებას. მართალია, ევროპული სასამართლოს ეს საქმე ეხებოდა სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის სათანადო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას, სააგენტო უფლებამოსილება უფრო ფართოა და მოიცავს არა მხოლოდ მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის, არამედ სხვა მიზნობრივი ჯგუფებისათვის, მათ შორის ხანდაზმულებისა და შშმ პირებისათვის, შესაფერისი საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას.

უშუალოდ ბავშვთა მზრუნველობის დაწესებულებების საქმიანობის რეგულირებას ახდენს ბავშვის უფლებათა კოდექსი. მართალია, დეინსტიტუციონალიზაციის შედეგად საქართველოში თითქმის აღარ არსებობს დიდი ზომის ბავშვთა სახლები,

---

1509 ფასდება პაციენტის მიდრეკილება ძალადობისა და აგრესიის მიმართ: წარსულში არსებული ძალადობის შემთხვევები, სხვების დაზიანების განზრახვა, კრიმინალური ისტორია, ძალადობრივი იდეებით შეპყრობა და სხვ. იხ. ბრძანების დანართი, მე-2 მუხლის მე-8 ნაწილი.

1510 18 ივნისი, 2013 წელი.

რომელთაც შეეხებოდა ევროპული სასამართლოს ეს გადაწყვეტილება, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ამ ბავშვების სიცოცხლის დაცვის მიმართ იგივე რჩება. კოდექსის მიხედვით, საქართველო აღიარებს ალტერნატიული ზრუნვის ორ ფორმას – ბავშვის მინდობით აღზრდასა და მის განთავსებას მცირე ოჯახური ტიპის რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულებაში. კოდექსი განსაზღვრავს ალტერნატიულ ზრუნვაში მყოფ ბავშვზე ზრუნვის ერთიან სავალდებულო სტანდარტებს, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს გაეროს მიერ დადგენილ ალტერნატიული ზრუნვის სტანდარტებს და ითვალისწინებდეს სხვადასხვა საკითხს, მათ შორის ბავშვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, კვების, ჰარმონიული განვითარებისა და სპეციალური საჭიროებების უზრუნველყოფასა და ბავშვის ძალადობისაგან დაცვას.

ბავშვის უფლებათა კოდექსი ასევე ითვალისწინებს ბავშვის უფლებას ცხოვრების სათანადო სტანდარტზე, კერძოდ, რომ ბავშვი, სულ მცირე, უნდა იყოს უზრუნველყოფილი საკვებით, სასმელი წყლით, ეკოლოგიურად სუფთა საცხოვრებელი გარემოთი, პირველადი ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობით, ჯანსაღი ცხოვრების წესით, კატასტროფისა და უბედური შემთხვევისაგან დაცვის შესახებ საბაზისო ინფორმაციითა და შესაბამისი მექანიზმებით.[1511] კოდექსი ასევე ადგენს, რომ აკრძალულია ბავშვის ფიზიკური დასჯა, წამება, მისდამი სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, მათ შორის ალტერნატიული ზრუნვის მომსახურების მიწოდებისას.[1512]

მსგავსი საკითხები წესრიგდება საქართველოს კანონით შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ, რომელიც მინდობით აღმზრდელს აკისრებს მინდობით აღსაზრდელის მიმართ სხვადასხვა მოვალეობას, მათ შორის, რომ მინდობით აღსაზრდელს შეუქმნას კეთილსაიმედო ოჯახური გარემო და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დაუყოვნებლივ აცნობოს მინდობით აღსაზრდელისათვის საზიანო პირობებისა და გარემოს შექმნის შესახებ.[1513]

საქართველოს კანონმდებლობით ასევე წესრიგდება სხვა მიზნობრივი ჯგუფების – სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ხანდაზმულების – სიცოცხლის უფლების დაცვა.[1514] კანონმდებლობის მიხედვით, სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ხანდაზმულები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი კეთილმოწყობილი, სუფთა და უსაფრთხო გარემოთი. ამ პირებისათვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სეზონის შესაბამისი ტემპერატურა, საცხოვრებელი ფართი, პირადი ჰიგიენისათვის საჭირო ინვენტარი, ასევე სამჯერადი ჯანსაღი კვება, უსაფრთხო სასმელი წყალი, სამედიცინო მომსახურება. ისინი უნდა იყვნენ დაცული ნებისმიერი სახის ძალადობისა და იძულებისაგან.

საბოლოოდ, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა, მთლიანობაში, უზრუნველყოფს, ფსიქიატრიული და სოციალური მზრუნველობის და-

---

1511 კოდექსის 47-ე მუხლი.

1512 კოდექსის 53(2)-ე მუხლი.

1513 4 მაისი, 2017 წელი, 76-ე მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები; ასევე იხ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N01-72/ნ „მინდობით აღზრდის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს ბავშვის მინდობით აღზრდაში გადაცემიდან ერთი თვის განმავლობაში არანაკლებ კვირაში ერთხელ აღმზრდელის ოჯახში ვიზიტს ზედამხედველობის მიზნით, ხოლო მოგვიანებით ასეთი ვიზიტი ხორციელდება არანაკლებ თვეში ერთხელ.

1514 ბრძანება „სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ“, N01-54/ნ, 23 ივლისი, 2014 წელი.

წესებულებებში მყოფი პირების სიცოცხლის უფლების სათანადო დაცვას, როგორც ეს დადგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით.

ბ) პრაქტიკა

საქართველოს სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით საყურადღებოა საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საცხოვრისის სერვისების განხორციელება საქართველოში, შშმ პირთა უფლებების ჭრილში“.[1515] ამ ანგარიშის მიხედვით, სახალხო დამცველის აპარატმა 2022 წელს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განახორციელა 11 სოციალური საცხოვრისის მონიტორინგი. ამ ანგარიშმა „სოციალურ საცხოვრისებში არსებული არაადეკვატური საცხოვრებელი გარემო ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად გამოკვეთა. ეს, საბოლოოდ, ერთი მხრივ, მცხოვრებლებს იძულებულებს ხდის, იცხოვრონ ღირსების შემლახავ გარემოში, ხოლო, მეორე მხრივ, ცალკეულ საცხოვრისებში არსებულმა მდგომარეობამ მათ სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას საფრთხეც კი შეიძლება შეუქმნას.“[1516]

სახალხო დამცველმა ცალკე ანგარიში მიუძღვნა ხანდაზმულთა დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობას. „ხანდაზმულთა დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შემდგომი ანგარიშის“ მიხედვით, „მონიტორინგმა მთელი რიგი სისტემური პრობლემებისა გამოავლინა, რაც გვაძლევს საფუძველს, დავასკვნათ, რომ შემოწმებულ ხანდაზმულთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების უმეტესობაში საერთაშორისო და ეროვნული რეგულაციებით განსაზღვრული მოთხოვნები, მათ შორის, დამტკიცებული მინიმალური სტანდარტები, არასათანადოდ, ან საერთოდ არ სრულდება.“[1517] ანგარიშის მიხედვით, მონიტორინგის შედეგად, სხვა პრობლემებთან ერთად, გამოიკვეთა, რომ „დაწესებულებების ნაწილი არ არის კეთილმოწყობილი, არ აქვთ ადეკვატური ინფრასტრუქტურა და ბენეფიციარები მძიმე ანტისანიტარიულ პირობებში იმყოფებიან“.[1518]

რაც შეეხება ბავშვთა სოციალურ საცხოვრებელში არსებულ მდგომარეობას, სიტუაციის ნაწილობრივი გამოსწორების მიუხედავად, ძირითადად, დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის შედეგად, ჯერ კიდევ გასატარებელია ეფექტიანი ღონისძიებები ბავშვების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. კერძოდ, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა იმსჯელა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში არსებული, დახურული ტიპის ბავშვთა სახლში მცხოვრები ბავშვების მიმართ განხორციელებული ხშირი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის აღკვეთის აუცილებლობაზე და დააკისრა სახელმწიფოს ვალდებულება, გადადგას შესაფერისი ნაბიჯები ბავშვთა უფლებების დასაცავად.[1519]

1515 2022 წ., იხ.: [https://www.ombudsman.ge/res/docs/2022102416514691974.pdf].

1516 იქვე, 37.

1517 28 ნოემბერი, 2022 წ., იხ.: [https://www.ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/khandazmulta-datsesebulebebshi-chatarebuli-monitoringis-shemdgomi-angarishi].

1518 იქვე.

1519 Views adopted by the Committee under the Optional Protocol to the Convention on the Rights of the Child on a communications procedure, concerning communication No. 144/2021, 20 June, 2024, see: [https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC%2FC%2F96%2FD%2F144%2F2021&Lang=en]; ასევე „გაეროს კომიტეტმა დაადგინა, რომ ნინოწმინდის პანსიონში საქართველომ ვერ დაიცვა ბავშვები ძალადობისა და შეურაცხყოფისგან და სახელმწიფოს კომპენსაციის გაცემა მოსთხოვა“, 27 ივნისი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.

საქართველოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის მიმართ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში მითითებულია, რომ „თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში არსებული ინფრასტრუქტურა, საყოფაცხოვრებო პირობები და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს პაციენტთა მკურნალობას მათი ღირსების დაცვის პირობებში. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მთლიანი ინფრასტრუქტურა მოძველებულია.“[1520] ანგარიშის მიხედვით, პაციენტებს არ აქვთ პირადი ჰიგიენის სათანადოდ დაცვის საშუალება.[1521]

საქართველოს სახალხო დამცველი თავის ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშში ყურადღებას ასევე ამახვილებს საქართველოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობაზე.[1522] კერძოდ, ანგარიშის მიხედვით, მართალია, ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებული პაციენტები სარგებლობენ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით, თუმცა „ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამა არ ითვალისწინებს პაციენტთა სომატური ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსებას. შესაბამისად, პაციენტებს დამატებითი გამოკვლევებისა და ხანგრძლივი მკურნალობისთვის თავად უწევთ ხარჯების გაღება. იმ პირობებში კი, როდესაც პაციენტთა ნაწილი ხანგრძლივად იმყოფება დაწესებულებაში, ხოლო ზოგიერთ მათგანს ოჯახიც არ ჰყავს, ფინანსური რესურსის არქონის გამო ხელი არ მიუწვდებათ ასეთ მკურნალობაზე (ამას ემატება ტრანსპორტირების პრობლემაც, რაც დამატებით ხარჯებთან და ადამიანურ რესურსთან არის დაკავშირებული) და, ამგვარად, საფრთხე ექმნება მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.“[1523]

ამ ანგარიშის მიხედვით, „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში, ადგილზე, სტაციონარში 2020 და 2021 წლებში გარდაიცვალა 12 პაციენტი, ხოლო პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების მიერ მოძიებული ინფორმაციით, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში, ადგილზე, სტაციონარში და სხვა სტაციონარში გადაყვანის შემდეგ, ჯამში, მხოლოდ 2021 წლის 1 იანვრიდან 8 ოქტომბრის ჩათვლით, გარდაიცვალა 14 პაციენტი.“[1524] სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, გარდა იმისა, რომ აუცილებელია ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების გარდაცვალების შესახებ სტატისტიკის წარმოება, „მნიშვნელოვანია გარდაცვალების თითოეული შემთხვევის შესწავლა და დადგენა, თუ რამდენად დროულად მიიღო პაციენტმა სამედიცინო დახმარება და რა გახდა გარდაცვალების მიზეზი. ამ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე კი, გაატაროს ღონისძიებები, პაციენტთა გარდაცვალების მაქსიმალურად თავიდან ასაცილებლად.“[1525]

---

ge/ka/article/804536-gaeros-komitetma-daadgina-rom-ninocmindis-pansionshi-sakartvelom-ver-daicva-bavshvebi-zaladobisa-da-sheuracxqopisgan-da-saxelmcipos-kompensaciis-gacema-mostxova].

1520 „თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის საგანგებო მონიტორინგის ანგარიში“, 2020 წლის 15-16 სექტემბერი, 2020 წ., იხ.: [https://www.ombudsman.ge/res/docs/2021030322483868585.pdf], 16.

1521 იქვე, 17-21.

1522 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, 29-30, იხ.: [https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf].

1523 იქვე.

1524 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, 30, იხ.: [https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf].

1525 იქვე, 31.

თავის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა ასევე შეაფასა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული პირების სათანადო ჯანდაცვის სერვისებით უზრუნველყოფის სირთულეები. ანგარიშის მიხედვით, „ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული გარემო, სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას.“[1526]

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ერთ-ერთ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გარდაცვლილ პირთა სამედიცინო ბარათების ნაწილი და დაადგინა, რომ „გარდაცვლილი პაციენტების სიკვდილის მიზეზად უმეტეს შემთხვევაში უეცარი გარდაცვალება და გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა სახელდება. ამისი მიზეზი, შესაძლოა, იყოს სომატური ჯანმრთელობის პრობლემების არასათანადო მკურნალობა, ჯანმრთელობის მდგომარეობის არასრულფასოვანი მონიტორინგი და შესაბამისი რისკფაქტორების გაუთვალისწინებლობა. [...] ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა არ უზრუნველყოფს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის პრობლემების მონიტორინგისა და მკურნალობის სათანადო გარანტიებს. ზემოხსენებულ სპეციალურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებული რამდენიმე პირი ტუბერკულოზის დიაგნოზით ისე გარდაიცვალა, რომ ცენტრის სამედიცინო ბარათები აღნიშნული დიაგნოზის შესახებ ინფორმაციას არც კი შეიცავდა. ასევე, ანგარიშით დგინდება, რომ პაციენტთა გარდაცვალების რამდენიმე შემთხვევაში სომატური ჯანმრთელობის პრობლემების გართულება, შესაძლოა, გამოწვეული ყოფილიყო პაციენტის სომატური მდგომარეობის გაუთვალისწინებლობით, ანტიფსიქოზური მედიკამენტების ზედოზირებით ან დანიშნული მედიკამენტების სარისკო კომბინაციით მიწოდებით (მაგალითად, „ზოპინის“ სხვა ანტიფსიქოზურ მედიკამენტთან ერთად დანიშვნა).“[1527] ამის საფუძველზე, სახალხო დამცველის აპარატმა დაასკვნა, რომ „ზემოაღნიშნული გარემოებები ნათლად წარმოაჩენს არსებული მოწესრიგების ნაკლოვანებებს, რაც თავსებადი არ არის სიცოცხლის უფლების დაცვის მინიმალურ სტანდარტებთან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ დროულად მიიღოს აუცილებელი ზომები სათანადო ზრუნვისა და მკურნალობის მიუწოდებლობით განპირობებული გარდაცვალების შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.“[1528]

სახალხო დამცველის აპარატის შეფასების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არ არის სათანადოდ დაცული კონვენციით განსაზღვრული სიცოცხლის უფლების დაცვის სტანდარტები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში ფსიქიატრიული და სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებში მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის პრაქტიკა არ აკმაყოფილებს ევროპული კონვენციით დადგენილ სტანდარტებს. ამის გამო უნდა გატარდეს ეფექტიანი ღონისძიებები ფსიქიატრიული და სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებში მყოფი პირების სიცოცხლის ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად.

1526 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი, 42, იხ.: [https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf].

1527 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი, 43, იხ.: [https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf].

1528 იქვე.

6.3.2.3. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში

ა) კანონმდებლობა

როგორც აღინიშნა, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროზე და, გარკვეულ გარემოებებში, სახელმწიფოს აკისრებს სიცოცხლის დაცვის ვალდებულებას.[1529] კერძოდ, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, დაადგინოს რეგულაციები, რომლებიც დაავალდებულებს საავადმყოფოებს, იქნება ეს საჯარო თუ კერძო, გაატარონ შესაფერისი ღონისძიებები პაციენტთა სიცოცხლის დასაცავად.[1530] ეს რეგულაციები, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა ადგენდეს მაღალ პროფესიულ სტანდარტებს სამედიცინო პერსონალისათვის და აწესებდეს პაციენტის ინფორმირებული თანხმობის გაცემის წესს სამედიცინო მომსახურებაზე.[1531] ევროპული სასამართლოს აზრით, ისეთი საკითხი, როგორიცაა სამედიცინო პერსონალის პროფესიული შეცდომა, ვერ ჩაითვლება საკმარისად სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დასადგენად.[1532] სახელმწიფოს არ ეკისრება ზოგადი ვალდებულება, გაატაროს ჯანმრთელობის დაცვის რაიმე კონკრეტული პოლიტიკა,[1533] განსაზღვროს ფინანსების ხარჯვის საკითხი ჯანდაცვის სფეროში,[1534] უზრუნველყოს პირები უფასო სამედიცინო მომსახურებით[1535] ან მედიკამენტით.[1536]

ევროპულმა სასამართლომ თავისი პრაქტიკით დაადგინა გარკვეული გარემოებები, რომელთა შემთხვევაშიც სახელმწიფოს დაეკისრება პოზიტიური ვალდებულება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, კერძოდ:

ა) როდესაც კონკრეტული პაციენტის სიცოცხლე შეცნობილად ჩააგდეს საფრთხეში იმით, რომ უარი განუცხადეს სიცოცხლის შენარჩუნებისაკენ მიმართული გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევაზე.[1537]

1529 *ნიტეცკი პოლონეთის წინააღმდეგ (Nitecki v. Poland)*, გადაწყვეტილება, 21 მარტი, 2002 წელი; *ფურდიკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Furdik v. Slovakia)*, გადაწყვეტილება, 2 დეკემბერი, 2008 წელი.

1530 *ლოპეზ დე სუსა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Lopes de Sousa Fernandes v. Portugal)*, დიდი პალატა, 19 დეკემბერი, 2017 წელი, 186-ე პუნქტი; *ტრასკუნოვა რუსეთის წინააღმდეგ (Traskunova v. Russia)*, 30 აგვისტო, 2022 წელი, 69-ე პუნქტი.

1531 *ალტუგი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Altug and Others v. Turkey)*, 30 ივნისი, 2015 წელი, 64-ე-66-ე პუნქტები.

1532 *ლოპეზ დე სუსა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Lopes de Sousa Fernandes v. Portugal),* დიდი პალატა, 19 დეკემბერი, 2017 წელი, 187-ე პუნქტი.

1533 *შელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Shelley v. the United Kingdom)*, 4 January 2008 (dec.).

1534 *ლოპეზ დე სუსა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Lopes de Sousa Fernandes v. Portugal)*, დიდი პალატა, 19 დეკემბერი, 2017 წელი, 175-ე პუნქტი.

1535 *ვიატერი პოლონეთის წინააღმდეგ (Wiater v. Poland),* გადაწყვეტილება, 15 მაისი, 2012 წელი, 36-ე პუნქტი.

1536 *ნიტეცკი პოლონეთის წინააღმდეგ (Nitecki v. Poland),* გადაწყვეტილება, 21 მარტი, 2002 წელი; *პენტიაჩოვა და სხვები მოლდოვის წინააღმდეგ (Pentiacova and Others v. Moldova),* გადაწყვეტილება, 4 იანვარი, 2005 წელი.

1537 მაგ., *ლოპეზ დე სუსა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Lopes de Sousa Fernandes v. Portugal),* დიდი პალატა, 19 დეკემბერი, 2017 წელი, 191-ე პუნქტი.

ბ) როდესაც საავადმყოფო მომსახურების სისტემურ ან სტრუქტურულ დისფუნქციას შედეგად მოჰყვა ის, რომ პაციენტს არ მიუწვდება ხელი გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებაზე, რის გამოც პაციენტის სიცოცხლე აღმოჩნდა საფრთხეში.[1538]

პირველ საგამონაკლისო შემთხვევას, კერძოდ, როდესაც სამედიცინო დაწესებულებამ პაციენტის სიცოცხლე შეგნებულად ჩააგდო საფრთხეში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევაზე უარის გამო, ეხებოდა საქმე *მეჰმეტ სენტურკი და ბეკირ სენტურკი თურქეთის წინააღმდეგ (Mehmet Şentürk and Bekir Şentürk v. Turkey).*[1539] ეს საქმე ეხებოდა 34 კვირის ორსული ქალის და მისი მეუღლის მიმართვას საუნივერსიტეტო საავადმყოფოსათვის, რომელსაც სჭირდებოდა გადაუდებელი ოპერაცია. ამისათვის მათ წინასწარ უნდა გადაეხადათ დეპოზიტი, თუმცა თანხის არქონის გამო, ორსულს უარი უთხრეს საავადმყოფოში მოთავსებაზე. ამის გამო გადაუდებელი დახმარების ექიმმა ორგანიზება გაუკეთა პაციენტის ტრანსპორტირებას სხვა საავადმყოფოში სასწრაფო დახმარების მანქანით, სამედიცინო პერსონალის თანმხლების გარეშე, რა დროსაც ორსული გარდაიცვალა.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: სამედიცინო პერსონალი სრულად აცნობიერებდა, რომ სხვა საავადმყოფოში პაციენტის გადაყვანით მისი სიცოცხლე აღმოჩნდებოდა საფრთხეში. ამასთანავე, ეროვნული კანონმდებლობა არ კრძალავდა პირის სამედიცინო მკურნალობის გარეშე დატოვებას. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ საავადმყოფოს მოქმედების შედეგად ორსულმა ვერ მიიღო შესაფერისი გადაუდებელი დახმარება, რის გამოც გარდაიცვალა. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლი.

მეორე საგამონაკლისო შემთხვევას, კერძოდ, როდესაც საავადმყოფო მომსახურების სისტემური ან სტრუქტურული დისფუნქციის გამო, პაციენტს არ მიუწვდებოდა ხელი გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებაზე (რომელსაც შეეძლო მისი სიცოცხლის გადარჩენა), ეხებოდა საქმე *ასიე გენცი თურქეთის წინააღმდეგ (Asiye Genc v. Turkey).*[1540] ეს საქმე ეხებოდა საჯარო საავადმყოფოში ნაადრევი მშობიარობით დაბადებულ ბავშვს, რომელსაც დაბადებიდან მცირე დროში განუვითარდა სუნთქვის პრობლემები. ვინაიდან ამ საავადმყოფოში არ იყო შესაფერისი ნეონატალური განყოფილება, მოხდა ახალდაბადებულის გადამისამართება რამდენიმე სხვა საავადმყოფოში, თუმცა ვერცერთმა ვერ მიიღო ბავშვი. ამას ჰქონდა სხვადასხვა მიზეზი, კერძოდ ის, რომ კონკრეტულ საავადმყოფოში არ ჰქონდათ ნეონატალური განყოფილება, საკმარისი ადგილი ბავშვის მისაღებად ან შესაფერისი ინკუბატორი. საბოლოოდ, ახალშობილი გარდაიცვალა სასწრაფო დახმარების მანქანაში.

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საჯარო საავადმყოფოს, რომელსაც ორსულმა თავდაპირველად მიმართა, არ შეიძლებოდა, არ სცოდნოდა მოსარჩელის ახალდაბადებული შვილის სიცოცხლისათვის საფრთხის შესახებ, თუ სხვა საავადმყოფო მის მიღებაზე უარს ეტყოდა. სხვა სამედიცინო დაწესებულებაში ახალშობილის გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალმა არ გაატარა საჭირო ღონისძიებები, რათა დარწმუნებულიყო იმაში, რომ სხვა საავადმყოფო მას აუცილებლად აღმოუჩენდა შესაფერის მკურნალობას.

1538 იქვე, 192-ე პუნქტი. ევროპული სასამართლოს აზრით, შეიძლება ზოგჯერ ადვილი არ იყოს განსხვავების გაკეთება ისეთ საქმეებს შორის, რომლებიც ეხება ექიმის გაუფრთხილებლობას და ისეთებს შორის, რომლებიც ეხება უარს სიცოცხლის გადარჩენისაკენ მიმართული გადაუდებელი მკურნალობის მისაწვდომობაზე.

1539 9 აპრილი, 2013.

1540 27 იანვარი, 2015 წელი.

სასამართლოს აზრით, საავადმყოფოებს შორის კოორდინაციის ხარვეზები და ის ფაქტი, რომ ვერცერთმა საავადმყოფომ ვერ უზრუნველყო ახალდაბადებული ბავშვისათვის მკურნალობის აღმოჩენა, არ შეიძლება გამართლდეს საავადმყოფოში ადგილების არარსებობით. აქედან გამომდინარე, მოსარჩელის შვილი უნდა ჩაითვალოს საავადმყოფო მომსახურების ხარვეზების მსხვერპლად, რადგან მას არ მიეცა შესაძლებლობა, ესარგებლა შესაფერისი გადაუდებელი მკურნალობით, რითაც დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი.

ასევე, მეორე საგამონაკლისო შემთხვევას ეხებოდა საქმე *ნენჩევა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (Nencheva and Others v. Bulgaria)*,[1541] კერძოდ, სოციალური მზრუნველობის დაწესებულებაში მყოფი ბავშვებისა და ახალგაზრდების უზრუნველყოფას შესაფერისი სამედიცინო დახმარებით და საყოფაცხოვრებო პირობებით. გარდა იმისა, რომ ისინი გაუსაძლის საყოფაცხოვრებო პირობებში იმყოფებოდნენ და არ ჰქონდათ საკვები და პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა, ისინი ვერ იღებდნენ სათანადო სამედიცინო მომსახურებას, რის გამოც იტანჯებოდნენ დაავადებებით. ყოველივე ამან განაპირობა მათი გარდაცვალება.

ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ სახელმწიფო ვალდებული იყო, გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით, გაეტარებინა შესაფერისი ღონისძიებები ამ პირთა სიცოცხლის დასაცავად. ასეთი ვალდებულების მიუხედავად, სასამართლოს აზრით, სახელმწიფოს არ გაუტარებია დაუყოვნებლივი და შესაფერისი ღონისძიებები მათი გარდაცვალების თავიდან ასაცილებლად. საბოლოოდ, სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმის გარემოებები გასცდა სამედიცინო შეცდომას, რამაც გამოიწვია სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე.[1542]

მსგავსი სიტუაცია იყო საქმეზე – *სამართლებრივი რესურსების ცენტრი ვალენტინ ჩამპეანუს სახელით რუმინეთის წინააღმდეგ (Center of Legal Resources on behalf of Valentin Câmpeanu v. Romania)*, რომელიც ეხებოდა 18 წლის ასაკში გარდაცვლილ ვალენტინ ჩამპეანუს.[1543] ვალენტინ ჩამპეანუს, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იყო სახელმწიფო მზრუნველობაში, ჯერ კიდევ მცირე ასაკში დაუდგინდა აივ ინფექცია და ჰქონდა ფსიქიკური აშლილობა. სრულწლოვანების ასაკის მიღწევის გამო, მას მოუწია შშმ ბავშვთა ცენტრის დატოვება. მას შემდეგ, რაც რამდენიმე საავადმყოფომ უარი განაცხადა მის მიღებაზე, იგი მოათავსეს საავადმყოფოში, სადაც გარდაცვალებამდე იმყოფებოდა და სადაც იყო გაუსაძლისი პირობები.

ევროპული სასამართლოს აზრით, გადაწყვეტილებები ვალენტინ ჩამპეანუს საავადმყოფოებში მოთავსების შესახებ ეფუძნებოდა იმას, რომელი საავადმყოფო გამოიჩენდა მისი მიღების სურვილს, და არა იმას, სად შეძლებდა იგი შესაფერის სამედიცინო მზრუნველობისა და მხარდაჭერის მიღებას. თავიდან იგი მიიღეს სამედიცინო და სოციალური მზრუნველობის ცენტრში, რომელიც არ იყო აღჭურვილი გონებრივი აშლილობის მქონე პაციენტების სამკურნალოდ. მოგვიანებით იგი მოათავსეს ფსი-

---

1541 18 ივნისი, 2013.

1542 122-ე პუნქტი; ასევე იხ. *სამართლებრივი რესურსების ცენტრი ვალენტინ ჩამპეანუს სახელით რუმინეთის წინააღმდეგ (Center of Legal Resources on behalf of Valentin Câmpeanu v. Romania),* დიდი პალატა, 17 ივლისი, 2014 წელი, 141-ე და 143-ე პუნქტები; ასევე იხ. J. Gerards, Right to Life, Theory and Practice of the European Convention on Human Rights, P. van Dijk, F. van Hoof, A. van Rijn and L. Zwaak (eds.), 5th ed. 2018, 374-375.

1543 დიდი პალატა, 17 ივლისი, 2014 წელი.

ქიატრიულ საავადმყოფოში, რომელსაც არ გააჩნდა სათანადო აღჭურვილობა აივ ინფექციის მკურნალობისათვის.

ევროპული სასამართლოს აზრით, სახელმწიფომ ვალენტინ ჩამპეანუს სიცოცხლე ჩააგდო საფრთხეში, ხოლო ხანგრძლივი დროის განმავლობაში შესაფერისი მკურნალობის გარეშე მისი დატოვება სამედიცინო პერსონალის მიერ გახდა კიდევ ერთი გადამწყვეტი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა მისი ნაადრევად გარდაცვალება. საბოლოოდ, დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.

საქმეზე – *ალტუგი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Altuğ and Others v. Turkey)*,[1544] რომელიც ეხებოდა კერძო საავადმყოფოში პაციენტის გარდაცვალებას პენიცილინის ინტრავენურ ინიექციაზე ალერგიული რეაქციის შედეგად, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო პაციენტების სიცოცხლის დაცვისაკენ მიმართული შესაბამისი მარეგულირებელი წესების შესრულება. კერძოდ, ექიმებმა დაარღვიეს მოქმედი კანონმდებლობა, რომლის მიხედვით, პაციენტების ან მათი ოჯახის წევრებისათვის უნდა დაესვათ კითხვები სამედიცინო ისტორიის შესახებ, მოეხდინათ მათი ინფორმირება ალერგიული რეაქციის შესაძლებლობაზე და მიეღოთ მათი თანხმობა შესაბამისი წამლის გამოყენებაზე. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.

საქმე *არსკაია უკრაინის წინააღმდეგ (Arskaya v. Ukraine)* ეხებოდა მოსარჩელის შვილის გარდაცვალებას საავადმყოფოში,[1545] სადაც იგი მოათავსეს პნევმონიისა და ტუბერკულოზის გამო. საავადმყოფოში მოთავსებიდან რამდენიმე დღეში მან გამოავლინა ფსიქიკური და ემოციური არასტაბილურობა და აგრესია. იგი უარს აცხადებდა სამედიცინო მკურნალობაზე. მოგვიანებით მას დაუდგინდა სომატოგენური პარანოიდული აშლილობა. ვინაიდან მოსარჩელის შვილი უარს აცხადებდა მკურნალობაზე, მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა და რამდენიმე დღეში იგი გარდაიცვალა.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ, მართალია, მოსარჩელის შვილმა გამოავლინა გონებრივი აშლილობის სიმპტომები, ექიმებმა ეჭვქვეშ არ დააყენეს მისი უნარი, მიეღო რაციონალური გადაწყვეტილება სამედიცინო მკურნალობის შესახებ და მაინც გაითვალისწინეს მისი აზრი, არ ჩაეტარებინათ მისთვის სამედიცინო მკურნალობა.

ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მარეგულირებელი ნორმები საკმარისად დეტალურად არ განსაზღვრავდა შემთხვევებს, როდესაც პაციენტის უარი სამედიცინო მკურნალობაზე უნდა ჩათვლილიყო იურიდიული ძალის მქონედ. ეროვნული მარეგულირებელი ნორმების არარსებობის გამო, რომლებსაც უნდა მოეწესრიგებინა პაციენტების მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესი, მკურნალობაზე ინფორმირებული თანხმობის გაცემის ჩათვლით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ არ გადადგა საკმარისი ნაბიჯები მარეგულირებელი ჩარჩოს დასადგენად, რაც უზრუნველყოფდა, მოსარჩელის შვილის სიცოცხლე ყოფილიყო სათანადოდ დაცული. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველეყო ჯანმრთელობის დაცვის მარეგულირებელი ჩარჩოს მიღება.[1546]

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფომ ნორმატიულად უნდა მოაწესრიგოს სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სიტუაცია. კერძოდ, თუ პირის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, მის სიცოცხლეს ემუქ-

1544 30 ივნისი, 2015 წელი.

1545 5 დეკემბერი, 2013 წელი.

1546 90-ე-91-ე პუნქტები.

რება საფრთხე და აშკარაა, რომ ასეთი დახმარების გარეშე პირი შეიძლება გარდაიცვალოს, საავადმყოფომ უნდა უზრუნველყოს ასეთი პაციენტისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა უნდა მოხდეს კოორდინირებულად. კერძოდ, თუ ერთ-ერთი საავადმყოფო ვერ უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებას (მაგალითად, არასაკმარისი საწოლი ადგილების გამო), ის ვალდებულია, დარწმუნდეს, რომ გადამისამართების შემთხვევაში, სხვა საავადმყოფო აღმოუჩენს პაციენტს სათანადო სამედიცინო დახმარებას. პირი უნდა იყოს უზრუნველყოფილი შესაფერისი სამედიცინო დახმარებით. საავადმყოფო უნდა იყოს აღჭურვილი იმგვარად, რომ პაციენტს აღმოუჩინოს შესაფერისი მკურნალობა. ნორმატიულმა ჩარჩომ ასევე უნდა დაადგინოს პაციენტთან ან მისი ოჯახის წევრთან გასაუბრების საჭიროება, რათა გაირკვეს საფრთხე ალერგიული რეაქციის შესახებ, გატარდეს სათანადო ღონისძიება ამ რეაქციის გამორიცხვის ან მისი უარყოფითი შედეგების შემცირების შესახებ და მიღებულ იქნეს თანხმობა შესაბამისი სამედიცინო მედიკამენტის გამოყენების შესახებ. ასევე, კანონმდებლობამ საკმარისად დეტალურად უნდა განსაზღვროს სამედიცინო მკურნალობაზე პაციენტისაგან ინფორმირებული თანხმობის მიღების წესი, მათ შორის შემთხვევები, როდესაც პაციენტის უარი სამედიცინო მკურნალობაზე არ უნდა ჩაითვალოს იურიდიული ძალის მქონედ.

საქართველოში სიცოცხლის დაცვის ვალდებულება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში რეგულირდება რამდენიმე ნორმატიული აქტით. უპირველეს ყოვლისა, ეს არის საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.[1547] კანონის მიხედვით, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებს შორისაა მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო ხელმისაწვდომობა, ადამიანის უფლებათა დაცვა და პირველადი ჯანმრთელობის დაცვის, მათ შორის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პრიორიტეტულობა.[1548] კანონი განსაზღვრავს უმნიშვნელოვანეს ცნებებს, მათ შორის ისეთებს, როგორებიცაა ინფორმირებული თანხმობა[1549] და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.[1550]

კანონი ადგენს სამედიცინო დახმარების მიღებაზე ინფორმირებული თანხმობის გაცემის წესებს, კერძოდ: სამედიცინო ჩარევისათვის აუცილებელი პირობაა პაციენტის ზეპირი ან წერილობითი ინფორმირებული თანხმობა.[1551] კანონის მიხედვით, პაციენტს უფლება აქვს, უარი თქვას ნებისმიერ სამედიცინო ჩარევაზე.[1552] კანონი ასევე ადგენს, რომ მცირეწლოვანი ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტებისათვის სამედიცინო ჩარევის ჩატარება დასაშვებია მხოლოდ პაციენტის მიერ წარსულში (როცა მას ჰქონდა გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნა-

---

1547 10 დეკემბერი, 1997 წელი. კანონის 1-ელი მუხლი.

1548 კანონის მე-4 მუხლის „ა“, „ბ“, „კ“ პუნქტები.

1549 „პაციენტის ან მისი ნათესავის, ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა პაციენტისათვის საჭირო სამედიცინო ჩარევის ჩატარებაზე, მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის ამ ჩარევასთან დაკავშირებული რისკის განმარტების შემდეგ.“ იხ. კანონის მე-3 მუხლის „კ“ პუნქტი.

1550 „სამედიცინო დახმარება, რომლის გარეშეც გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესება.“ იხ. კანონის მე-3 მუხლის „ტ[1]“ პუნქტი.

1551 სამედიცინო ჩარევების ჩამონათვალი, რომელთა ჩატარებისათვის აუცილებელია წერილობითი თანხმობა, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. კანონის მე-8 მუხლის 1-ელი პუნქტი.

1552 კანონის მე-9 მუხლი.

რი) გაცხადებული ნების გათვალისწინებით, ხოლო ასეთი ნების არარსებობისას – პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით.[1553] ასევე, მცირენლოვანი ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის აუცილებლობის ან მისი სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის დროს სამედიცინო ჩარევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ პაციენტის ინტერესების გათვალისწინებით.[1554]

კანონი განსაზღვრავს ექიმის უფლებებსა და ვალდებულებებს. კერძოდ, ექიმს უფლება აქვს, უარი თქვას პაციენტისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ აღინიშნება სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა, ან პაციენტი არ საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას.[1555] კანონის მიხედვით, ექიმი ვალდებულია, აღმოუჩინოს პაციენტს სამედიცინო დახმარება, თუ გამოხატულია სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა ან პაციენტი საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას ექიმის სამუშაო ადგილზე.[1556] კანონი ასევე ითვალისწინებს, რომ ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის ქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეული პაციენტის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესებისათვის ან სიკვდილისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.[1557]

სიცოცხლის დაცვის ვალდებულება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ასევე წესრიგდება საქართველოს კანონით პაციენტის უფლებების შესახებ.[1558] კანონი საკმაოდ დეტალურად აწესრიგებს სამედიცინო დახმარებაზე ინფორმირებული თანხმობის გაცემის წესს, მათ შორის ადგენს ინფორმირებული თანხმობის გაცემისათვის განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდების საჭიროებას.[1559] კანონის მიხედვით, სამედიცინო მომსახურების გაწევის აუცილებელი პირობაა პაციენტის, ხოლო მცირეწლოვნების ან მის მიერ გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში – პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობის გაცემა,[1560] რაც წინ უნდა უძღოდეს სამედიცინო მომსახურების გაწევას.[1561] კანონის მიხედვით, წერილობითი ინფორმირებული თანხმობა აუცილებელია გარკვეული სამედიცინო მომსახურების გაწევისას, მათ შორის: ნებისმიერი ქირურგიული ოპერაციის, აბორტის, ქირურგიული კონტრაცეფცია-სტერილიზაციის და სხვა შემთხვევებში.[1562]

1553 კანონის მე-11 მუხლი.

1554 კანონის მე-12 მუხლი.

1555 კანონის 37-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი. ეს მუხლი ასევე ითვალისწინებს უარს დახმარების აღმოჩენაზე, თუ ექიმის სიცოცხლეს ემუქრება რეალური საფრთხე. იხ. ამ მუხლის „ბ“ პუნქტი.

1556 კანონის 38-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

1557 კანონის 38-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

1558 5 მაისი, 2000 წელი. 1-ელი მუხლი.

1559 კერძოდ, ინფორმაციისა: ა) სამედიცინო მომსახურების არსისა და საჭიროების შესახებ; ბ) სამედიცინო მომსახურების მოსალოდნელი შედეგების შესახებ; გ) სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული, პაციენტის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მოსალოდნელი რისკის შესახებ; დ) განზრახული სამედიცინო მომსახურების სხვა, ალტერნატიული ვარიანტების, მათი თანმხლები რისკის და შესაძლო ეფექტიანობის შესახებ; ე) სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმის მოსალოდნელი შედეგების შესახებ და სხვ. იხ. კანონის მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტი.

1560 ასევე იხ. საექიმო საქმიანობის შესახებ კანონის 44-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

1561 კანონის 22-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

1562 კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი; ასევე იხ. საექიმო საქმიანობის შესახებ კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

წერილობითი ინფორმირებული თანხმობის მიღება აუცილებელია მცირეწლოვანი ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას.[1563]

კანონი ადგენს, რომ ნებისმიერ ქმედუნარიან და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარიან პაციენტს უფლება აქვს, მკურნალობის ნებისმიერ ეტაპზე უარი განაცხადოს სამედიცინო მომსახურებაზე, აგრეთვე შეწყვიტოს უკვე დაწყებული სამედიცინო მომსახურება. სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმის ან მისი შეწყვეტის მოსალოდნელი შედეგების შესახებ პაციენტი ამომწურავად უნდა იყოს ინფორმირებული.[1564]

კანონის მიხედვით, თუ მცირეწლოვანი ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტი საჭიროებს გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაწევას, რის გარეშეც გარდაუვალია მისი სიკვდილი ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება, მაგრამ პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის მოძებნა ვერ ხერხდება, სამედიცინო მომსახურების გამწევი გადაწყვეტილებას იღებს პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესების გათვალისწინებით.[1565] ასევე, თუ მცირეწლოვანი ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტი საჭიროებს გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაწევას, რის გარეშეც გარდაუვალია მისი სიკვდილი, მაგრამ პაციენტის ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი სამედიცინო მომსახურების გაწევის წინააღმდეგია, სამედიცინო მომსახურების გამწევი გადაწყვეტილებას იღებს პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესების გათვალისწინებით.[1566]

კანონის მიხედვით, სახელმწიფო იცავს პაციენტის უფლებას სამედიცინო მომსახურებაზე, რომლის გადაუდებლად განხორციელების გარეშე გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება.[1567] ამასთანავე, თუ პაციენტი გადაუდებლად საჭიროებს სამედიცინო მომსახურებას, რომლის გარეშე გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება, ხოლო სამედიცინო მომსახურების გამწევს არა აქვს შესაძლებლობა, აღმოუჩინოს პაციენტს ასეთი მომსახურება, იგი ვალდებულია, მიაწოდოს პაციენტს, მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს სრული ინფორმაცია, თუ სად შეიძლება გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მიღება.[1568]

სიცოცხლის დაცვის ვალდებულება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ასევე განსაზღვრულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი შესახებ“, რომელიც ადგენს სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესს ქვეყნის ყველა სამედიცინო დაწესებულებისათვის.[1569] ეს წესი

1563 კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

1564 კანონის 23-ე მუხლის 1-ელი პუნქტი; ასევე იხ. საექიმო საქმიანობის შესახებ კანონის 46-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

1565 კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი; ასევე იხ. საექიმო საქმიანობის შესახებ კანონის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

1566 კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი; ასევე იხ. საექიმო საქმიანობის შესახებ კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

1567 კანონის მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტი.

1568 კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი.

1569 ბრძანება N108/ნ, 19 მარტი, 2009 წელი.

განსაზღვრავს, რომ სამედიცინო ჩარევის წინაპირობაა პაციენტის ინფორმირებული თანხმობა,[1570] მათ შორის თანხმობა გაუტკივარებასა და სამედიცინო მომსახურების გაწევაზე, და ამისათვის ადგენს სპეციალურ ფორმებს, რომლებშიც პაციენტი ადასტურებს, რომ ექიმმა მიაწოდა სამედიცინო მომსახურების შესახებ სათანადო ინფორმაცია.[1571]

ეს წესი ასევე განსაზღვრავს სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათის შევსების საჭიროებას,[1572] რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, აუცილებელია ისეთი მონაცემების ასახვა, რომლებიც მიუთითებს ალერგიული რეაქციების არსებობაზე.[1573] ასევე, წესის მიხედვით, თუ საჭირო გახდა პაციენტის ოპერაცია, ანესთეზიოლოგთან სათანადო განმარტებების მიღების შემდეგ პაციენტმა უნდა შეავსოს წინასაოპერაციო კითხვარი, რომელიც, სხვა კითხვებთან ერთად, მოიცავს ალერგიასთან დაკავშირებულ კითხვებს.[1574] საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებიც ითვალისწინებენ ექიმთან კონსულტაციის გავლას ალერგიული რისკის შესაფასებლად.[1575]

საქართველოში სიცოცხლის დაცვის ვალდებულება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ასევე განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით „2024 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“.[1576] ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მე-18 დანართი, რომელიც განსაზღვრავს პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის წესს, ადგენს, რომ პროგრამის მიზანია გადაუდებელი მდგომარეობის დროს გართულებისა და ლეტალური გამოსავლის შემცირება, მოსახლეობის უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის გზით.

ასევე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა „საჯარო სა-

---

1570 წესის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტი.

1571 კერძოდ, ინფორმაცია სამედიცინო მომსახურების არსისა და საჭიროების შესახებ, სამედიცინო მომსახურების მოსალოდნელი შედეგების შესახებ, პაციენტის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის ამ მომსახურებასთან დაკავშირებული რისკის შესახებ, განზრახული სამედიცინო მომსახურების, სხვა ალტერნატიული ვარიანტებისა, მათი თანმხლები რისკისა და შესაძლო ეფექტიანობის შესახებ, სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმის მოსალოდნელი შედეგების შესახებ და ხელმოწერით ადასტურებს ამას. იხ. წესის მე-10 და მე-14 მუხლები.

1572 წესის მე-2 მუხლი.

1573 წესის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი.

1574 წესის მე-9 მუხლი.

1575 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა მინისტრის ბრძანება „COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის დანერგვისა და იმუნიზაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ“, N01-11/ნ, 3 თებერვალი, 2021 წელი; ასევე იხ. „ტექნიკური რეგლამენტი – საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის დადგენილება N473, 14 სექტემბერი, 2015 წელი, მე-5(2) პუნქტი. ამ რეგლამენტის მიხედვით, ორსულმა ქალებმა და პირებმა, რომელთაც აქვთ ალერგიული რეაქციის განვითარების რისკი ტატუირებისას გამოყენებულ მელანსა და საღებავზე, წინასწარ უნდა გაიარონ კონსულტაცია ექიმთან.

1576 საქართველოს მთავრობის დადგენილება N529, 29 დეკემბერი, 2023 წელი. მსგავსი დადგენილებები მიღებულია წინა წლებშიც. მაგ., იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება N609 „2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“, 30 დეკემბერი, 2022 წელი.

მართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დებულება“, რომელიც ადგენს, რომ ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობისათვის, ყოველდღიურ რეჟიმში, სწრაფი და ხარისხიანი გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიწოდების უზრუნველყოფა/კოორდინირება.[1577] ასევე, დებულების მიხედვით, ცენტრის ერთ-ერთი ფუნქციაა საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის უზრუნველყოფა სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარებით, რისთვისაც ის უზრუნველყოფს სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარების უწყვეტ ფუნქციონირებას, 24/7 რეჟიმში და პაციენტებისათვის დროული, ადეკვატური და მაღალკვალიფიციური სასწრაფო სამედიცინო მომსახურების მიწოდებას.[1578]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებისა და საქართველოში სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას იმ პირისათვის, რომლის სიცოცხლეს ემუქრება აშკარა საფრთხე და რომელიც შეიძლება გარდაიცვალოს ასეთი დახმარების გარეშე. კერძოდ, პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონით, სახელმწიფო იცავს პაციენტის უფლებას სამედიცინო მომსახურებაზე, რომლის გადაუდებლად განხორციელების გარეშე გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი. საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ აკისრებს ექიმს ვალდებულებას, პაციენტს აღმოუჩინოს სამედიცინო დახმარება, თუ გამოხატულია სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა ან პაციენტი საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას. ამ კანონით, ექიმს უფლება აქვს, უარი თქვას პაციენტისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ აღინიშნება სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა, ან პაციენტი არ საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას. იგივე კანონი ადგენს, რომ ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის ქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეული პაციენტის ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესებისათვის ან სიკვდილისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას ემსახურება საქართველოს მთავრობის დადგენილება „2024 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის წესს და ადგენს, რომ პროგრამის მიზანია გადაუდებელი მდგომარეობის დროს გართულებებისა და ლეტალური გამოსავლის შემცირება, მოსახლეობის უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის გზით.

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას ითვალისწინებს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დებულება, რომლის მიხედვით, ცენტრის ფუნქციაა მოსახლეობის უზრუნველყოფა სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარებით, რისთვისაც ცენტრი უზრუნველყოფს სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარების უწყვეტ ფუნქციონირებას 24-საათიან რეჟიმში.

აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს სტანდარტების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა აკისრებს ექიმს ვალდებულებას, ნებისმიერ შემთხვევაში აღმოუჩინოს პაციენტს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება.

1577 დებულების მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. მინისტრის ბრძანება N01-50/ნ, 11 ივნისი, 2019 წელი.

1578 დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

რაც შეეხება სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კოორდინირების ვალდებულებას, რომელიც მოითხოვს, რომ საავადმყოფომ, რომელიც ვერ იღებს პირს სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად, დარწმუნდეს იმაში, რომ სხვა საავადმყოფო მას აუცილებლად უზრუნველყოფს შესაფერისი მკურნალობით, კანონი პაციენტის უფლებების შესახებ ადგენს, რომ, თუ პაციენტი გადაუდებლად საჭიროებს სამედიცინო მომსახურებას, რომლის გარეშე გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, ხოლო სამედიცინო მომსახურების გამწევს არა აქვს შესაძლებლობა, აღმოუჩინოს პაციენტს ასეთი მომსახურება, იგი ვალდებულია, მიაწოდოს პაციენტს, მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს სრული ინფორმაცია, თუ სად შეიძლება გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მიღება.

მართალია, პაციენტის უფლებების შესახებ კანონის ეს დებულება აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, მიაწოდოს პაციენტს/მის ნათესავს სრული ინფორმაცია, სად შეიძლება გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების მიღება, ეს დებულება კითხვის ნიშნის ქვეშ ტოვებს საკითხს, ეს ვალდებულება გულისხმობს პაციენტისათვის/მისი ნათესავისათვის ინფორმაციის მიწოდებას სხვა სამედიცინო დაწესებულების შესახებ, რომელშიც პაციენტმა/მისმა ნათესავმა შეიძლება მიიღოს იგივე სამედიცინო მომსახურება (მაგ., პაციენტისათვის ინფორმაციის მიწოდება ასეთი საავადმყოფოს ადგილმდებარეობის შესახებ), თუ ეს დებულება ავალდებულებს საავადმყოფოს, რომელიც ვერ იღებს პაციენტს, გაარკვიოს, კონკრეტულად რომელი ახლომდებარე საავადმყოფო შეძლებს უახლოეს ხანში ასეთი პაციენტის მიღებას გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების აღმოსაჩენად და მიაწოდოს პაციენტს/მის ნათესავს გადამოწმებული ინფორმაცია, სად შეუძლია მიიღოს შესაფერისი სამედიცინო დახმარება.

მსგავსად ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი სტანდარტისა, რომელიც ეხება სამედიცინო მომსახურების მიღებისას ალერგიული რეაქციის საფრთხის იდენტიფიცირებას, „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი“ ითვალისწინებს სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათის შევსების საჭიროებას. ეს წესი მოითხოვს ისეთი მონაცემების დაფიქსირებას, რომლებიც მიუთითებს ალერგიული რეაქციების არსებობაზე. ამავე წესის მიხედვით, თუ საჭირო გახდა პაციენტის ოპერაცია, ანესთეზიოლოგთან სათანადო განმარტებების მიღების შემდეგ, პაციენტმა უნდა შეავსოს წინასაოპერაციო კითხვარი, რომელიც მოიცავს ალერგიასთან დაკავშირებულ კითხვებს და გათვალისწინებულია პაციენტის წერილობითი თანხმობა შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გაწევის მიმართ.

რაც შეეხება საქართველოს მარეგულირებელ ჩარჩოს სამედიცინო მკურნალობაზე პაციენტის ინფორმირებული თანხმობის შესახებ, საყურადღებოა რამდენიმე ნორმატიული აქტი. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონით, სამედიცინო ჩარევისათვის აუცილებელი პირობაა პაციენტის ზეპირი ან წერილობითი ინფორმირებული თანხმობა. კანონის მიხედვით, პაციენტს უფლება აქვს, უარი თქვას ნებისმიერ სამედიცინო ჩარევაზე. ამასთანავე, მცირეწლოვანი ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტებისათვის სამედიცინო ჩარევის ჩატარება დასაშვებია მხოლოდ პაციენტის მიერ წარსულში გაცხადებული ნების გათვალისწინებით, ხოლო ასეთი ნების არარსებობისას – პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით. ამ პაციენტისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის აუცილებლობის ან მისი სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის დროს სამედიცინო ჩარევის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ პაციენტის ინტერესების გათვალისწინებით.

საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ დეტალურად აწესრიგებს სამედიცინო დახმარებაზე ინფორმირებული თანხმობის გაცემის წესს, მათ შორის ადგენს ინფორმირებული თანხმობის გაცემისათვის განსაზღვრული ინფორმაციის პაციენტისათვის წინასწარი მიწოდების საჭიროებას. კანონის მიხედვით, წერილობითი ინფორმირებული თანხმობა აუცილებელია გარკვეული სამედიცინო მომსახურების გაწევისას.

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის მსგავსად, ეს კანონიც ადგენს, რომ ნებისმიერ ქმედუნარიან და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარიან პაციენტს უფლება აქვს, მკურნალობის ნებისმიერ ეტაპზე უარი განაცხადოს სამედიცინო მომსახურებაზე, აგრეთვე შეწყვიტოს უკვე დაწყებული სამედიცინო მომსახურება და ისინი ამომწურავად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმის მოსალოდნელ შედეგზე.

კანონი ასევე აწესრიგებს სიტუაციას, როდესაც, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების საჭიროებისას, ვერ ხერხდება მცირეწლოვნის ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტის ნათესავთან/კანონიერ წარმომადგენელთან დაკავშირება, ან, როდესაც ეს უკანასკნელი სამედიცინო მომსახურების გაწევის წინააღმდეგია. მოქმედი მარეგულირებელი ჩარჩო ასევე ადგენს სამედიცინო ჩარევაზე ინფორმირებული თანხმობის გაცხადების ფორმას.

რაც შეეხება ევროპული სასამართლოს პრაქტიკით ჩამოყალიბებულ სტანდარტს, რომ სამედიცინო დახმარება უნდა იყოს შესაფერისი, რაც იმას ნიშნავს, რომ პაციენტს უნდა აღმოეჩინოს ის სამედიცინო დახმარება, რომელიც, მისი კონკრეტული მდგომარეობის გათვალისწინებით, იქნება ადეკვატური, საქართველოს მარეგულირებელი ჩარჩო აწესრიგებს ამ საკითხს. კერძოდ, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დებულება ითვალისწინებს, რომ ცენტრის ფუნქციაა, აღმოუჩინოს დროული, ადეკვატური და მაღალკვალიფიციური სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

საბოლოოდ, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოში მოქმედი მარეგულირებელი ჩარჩო მთლიანობაში ასახავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილ სიცოცხლის დაცვის სტანდარტებს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, დაზუსტდეს პაციენტის უფლებების შესახებ კანონის დებულების შინაარსი პაციენტის სხვა საავადმყოფოში გადამისამართების შესახებ, რომელმაც სრულყოფილად უნდა ასახოს ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.

ბ) პრაქტიკა

მართალია, ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს სიცოცხლის დაცვა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მხოლოდ „საგამონაკლისო შემთხვევებში“, ნაშრომში განიხილება მასმედიაში გავრცელებული ინფორმაცია იმ ფაქტებზე, რომლებიც ეხება ასეთ შემთხვევებს.

ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა ეხებოდა მამაკაცს, რომელიც დეზერტირების ბაზართან ათევდა ღამეს და გაიყინა. გავრცელებული ინფორმაციით, მამაკაცი საავადმყოფომ არ მიიღო და უკან გამოაბრუნა, რის შემდეგად იგი გარდაიცვალა. ამავე ინფორმაციით, ჯანდაცვის სამინისტროში არ აკეთებენ განმარტებას იმ მიზეზებზე, რომელთა გამოც მოქალაქეს არ გაეწია სამედიცინო დახმარება.[1579]

1579 „ტრაგედია თბილისში – დეზერტირების ბაზარში მამაკაცი გაიყინა“, 24 დეკემბერი, 2021 წ., იხ.: [https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/sazogadoeba/14543-tragedia-tbilisshi-dezertirebis-bazarshi-mamakatsi-gaikina?fbclid=IwAR3V8UXf2dgbuQ5sKKndKSo22nlmbprsFWQFPMCeGCM3VRhQKAzc-50JKQU].

მართალია, გავრცელებული ინფორმაცია მეტისმეტად ზოგადია და საჭიროებს დაზუსტებას, მათ შორის ის საკითხი, არის თუ არა მიზეზშედეგობრივი კავშირი სამედიცინო დახმარებაზე უარსა და მის გაყინვას შორის, რაც გამოძიების შედეგად უნდა დადგინდეს, მაგრამ, თუ მხოლოდ გავრცელებული ინფორმაციით შეფასდება გარემოებები, მაშინ გამოდის, რომ ადამიანს სჭირდებოდა სამედიცინო დახმარება სიცოცხლის გადასარჩენად, ხოლო სამედიცინო დაწესებულებამ შეცნობილად ჩააგდო მისი სიცოცხლე საფრთხეში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევაზე უარის გამო, რის შედეგადაც მამაკაცი გარდაიცვალა. ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, უარი სამედიცინო დახმარებაზე ჩაითვლება კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად. სამედიცინო დაწესებულების ასეთი მოქმედება ასევე ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობის დარღვევად.

მასმედიაში ასევე გავრცელდა ინფორმაცია 27 წლის ექთნის შესახებ, რომელსაც „კოვიდ 19“-ის საწინააღმდეგო ვაქცინის გაკეთების შემდეგ ანაფილაქსიური შოკი განუვითარდა და გარდაიცვალა.[1580] გამოძიების ფარგლებში დადგინდა, რომ ექიმმა იხილა პაციენტი სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში, რომელსაც შოკი განუვითარდა და, მიუხედავად იმისა, ვალდებული იყო, დაუყოვნებლივ ჩაეტარებინა შესაბამისი მკურნალობა, არასაპატიო მიზეზით არ გაუწია სათანადო პირველადი სამედიცინო დახმარება და კლინიკის ტერიტორია დატოვა.[1581] ექიმს ბრალდება წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 130-ე მუხლის მეორე ნაწილით (ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება, რამაც მისი სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია), რაც სასჯელის სახედ და ზომად 3-იდან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.[1582]

მართალია, უცნობია, შეეფარდა თუ არა სასჯელი იმ ექიმს, რომელმაც ანაფილაქსიურ შოკში მყოფ პაციენტს არ გაუწია პირველადი სამედიცინო დახმარება, სახელმწიფოს პოზიცია მართებულია, როგორც ევროპული სტანდარტების, ისე საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

საინტერესოა კიდევ ერთი საქმის განხილვა, რომელზეც მასმედიაში გავრცელდა ინფორმაცია. როგორც ევროპული სტანდარტებით, ისე საქართველოს კანონმდებლობით პრობლემურია პაციენტის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის შემთხვევა, რომელიც ეხება იმ ექიმის მიერ პაციენტის მშობიარობასა და შემდგომ მეთვალყურეობას, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა სახელმწიფო სერტიფიკატი. კერძოდ, გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, სამედიცინო ბრიგადის ხელმძღვანელმა, მიუხედავად იმისა, იცოდა, რომ ერთ-ერთ ექიმს შეჩერებული ჰქონდა „მეანობა-გინეკოლოგიაში“ სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება, გადააბარა პაციენტი სამშობიაროდ და შემდგომი მეთვალყურეობისათვის, თავად კი პაციენტს უშუალო მეთვალყურეობა აღარ გაუწია. მშობიარობის შემდგომ პაციენტის მდგომარეობა დამძიმდა,

---

1580 „შსს-მ 27 წლის ექთნის გარდაცვალებაზე გამოძიება გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის მუხლით დაიწყო“, 19 მარტი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/647427-shss-m-27-clis-ektnis-gardacvalebaze-gamozieba-gauprtxileblobit-sicocxlis-mospobis-muxlit-daicqo].

1581 „პროკურატურა – მიუხედავად იმისა, რომ ექიმმა მეგი ბაქრაძე სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ნახა და ვალდებული იყო, მკურნალობა დაუყოვნებლივ ჩაეტარებინა, არასაპატიო მიზეზით არ გაუწია სათანადო დახმარება და კლინიკა დატოვა“, 28 დეკემბერი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/739922-prokuratura-miuxedavad-imisa-rom-ekimma-megi-bakraze-sicocxlistvis-sashish-mdgomareobashi-naxa-da-valdebuli-iqo-mkurnaloba-dauqovnebliv-chaetarebina-arasapatio-mizezit-ar-gaucia-satanado-daxmareba-da-klinika-datova].

1582 იქვე.

ლიცენზიაშეჩერებულმა ექიმმა ვერ შეძლო სწორი დიაგნოზის დასმა და სათანადო მკურნალობის ჩატარება, რის გამოც პაციენტი გარდაიცვალა.[1583]

საბოლოოდ, მორიგე ბრიგადის ხელმძღვანელს ბრალდება წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით), ხოლო მეორე პირს 246-ე მუხლის მეორე ნაწილით (უკანონო საექიმო საქმიანობა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია). თბილისის საქალაქო სასამართლომ ორივე ბრალდებული სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად ერთს 3 წლით და 6 თვით, ხოლო მეორეს 2 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

რაც შეეხება საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, საყურადღებოა საქმე *სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ* (*Sarishvili-Bolkvadze v. Georgia)*, რომელშიც მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ გამოიჩინა გულგრილობა მისი შვილის სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც შვილი გარდაიცვალა.[1584]

მოსარჩელის შვილი 2004 წლის მარტში გადმოვარდა ამწიდან. იგი მოათავსეს ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში თავის ქალის მოტეხილობისა და ტრავმის გამო. თებერვალში იგი გადაიყვანეს ზოგადი თერაპიის განყოფილებაში, სადაც მას დაეწყო სისხლდენა. ამის გამო მას გაუკეთეს სასწრაფო ოპერაცია. 14 მარტს მოსარჩელის შვილი გარდაიცვალა.

დაიწყო საქმის გამოძიება და 2004 წლის ივნისში ექსპერტთა ჯგუფმა განაცხადა, რომ დაშვებულ იქნა სამედიცინო შეცდომა მის მკურნალობაში. სისხლის სამართლის საქმე დაიხურა 2004 წლის აგვისტოში, თუმცა ხელახლა გაიხსნა 2006 წელს და ისევ დაიხურა 2008 წელს. მოსარჩელემ უარი განაცხადა შვილის ექსჰუმაციაზე. პროკურატურამ განაცხადა, რომ მას არ აქვს მტკიცებულება სამედიცინო შეცდომასა და გარდაცვალებას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის შესახებ. იმავდროულად, საავადმყოფომ სამსახურიდან გაათავისუფლა მოსარჩელის შვილის მკურნალობაზე პასუხისმგებელი ნეიროქირურგი და საყვედური გამოუცხადა ინტენსიური თერაპიის ორ სპეციალისტსა და ქირურგს.

მოსარჩელემ ასევე შეიტანა სამოქალაქო სარჩელი საავადმყოფოს, ექიმებისა და ჯანდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ სამსახურებრივი გულგრილობის გამო, თორმეტგოჯა ნაწლავიდან სისხლდენის არასათანადო მკურნალობის გამო. ეროვნული სასამართლოები დაეთანხმნენ ექსპერტთა ჯგუფს, რომ დაშვებული იყო სამედიცინო შეცდომა, მოსარჩელის მკურნალ ზოგიერთ ექიმს არ ჰქონდა ლიცენზია და თავად საავადმყოფო ზოგიერთ საქმიანობას ახორციელებდა შესაბამისი ნებართვის გარეშე.

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის შვილის ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელ ექიმებს არ ჰქონდათ სათანადო ლიცენზია და თავად საავადმყოფოც ახორციელებდა ზოგიერთ საქმიანობას შესაბამისი ნებართვის გარეშე. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს მხრიდან არ იყო დაცული პაციენტის უსაფრთხოება (პოზიტიური ვალდებულების დარღვევა). რაც შეეხება პროცესუალურ ნაწილს, სასამართლოს შეფასებით, მართალია, ამ ფაქტზე სისხლის

1583 „პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, პაციენტის გარდაცვალების საქმეზე სასამართლომ ორი ბრალდებული დამნაშავედ ცნო“, 19 ივლისი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/764336-prokuraturis-mier-cardgenili-mtkicebulebebis-sapuzvelze-pacientis-gardacvalebis-sakmeze-sasamartlom-ori-braldebuli-damnashaved-cno].

1584 19 ივლისი, 2018 წელი.

სამართალწარმოება (გამოძიების შეწყვეტა) შეესაბამებოდა კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნებს, პრობლემა იყო სამოქალაქო სამართალწარმოებაში კომპენსაციის საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ეროვნულ დონეზე არსებული სისტემა არ ანიჭებდა მოსარჩელეს შესაძლებლობას, სამედიცინო დაუდევრობით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევაში მოეთხოვა მორალური ზიანი. ევროპულმა სასამართლომ დამატებით დაადგინა, რომ ამ საკითხზე მოსარჩელეებს უნდა ჰქონოდათ საქმისწარმოების განახლების შესაძლებლობა ეროვნულ დონეზე.[1585]

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციისა და ევროპული სასამართლოს ზემოაღნიშნული საქმიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს პრაქტიკა მთლიანობაში შეესაბამება ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. ამასთანავე, როგორც მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციისა და საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამოჩნდა, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სამედიცინო დაწესებულება/ექიმი ახორციელებს საქმიანობას შესაბამისი ნებართვის გარეშე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია გატარდეს ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება იმის უზრუნველყოფისაკენ, რომ არ დაიშვას სამედიცინო დაწესებულების/ექიმის საქმიანობის შესაბამისი ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე.

6.3.2.3.1. სიცოცხლის დაცვის ვალდებულება თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში

ა) კანონმდებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, ვინაიდან თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ სახელმწიფო ახორციელებს აბსოლუტურ ან თითქმის აბსოლუტურ კონტროლს, მას ეკისრება განსაკუთრებული ვალდებულება, უზრუნველყოს ისინი სამედიცინო მომსახურებით, მათი გარდაცვალების თავიდან ასაცილებლად.[1586]

სიცოცხლის დაცვის ვალდებულება თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს სახელმწიფოს მიერ ამ პირებისათვის დროული სამედიცინო დახმარების აღმოჩენასა და მკურნალობას.[1587] საქმეზე – *ანგუელოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Anguelova v. Bulgaria)*,[1588] რომელიც ეხებოდა პოლიციის მიერ პირის დაკავების პერიოდში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასა და გარდაცვალებას, – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციის მიერ დაკავებულისათვის სამედიცინო დახმარების დროულად აღმოუჩენლობას შედეგად მოჰყვა მისი გარდაცვალება, რის გამოც დაირღვა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი.[1589] საქმე *კარპილენკო უკრაინის წინააღ-*

1585 ნ. ნიკოლაიშვილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების გადაწყვეტილებების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა: ევროპული გამოცდილება და ეროვნული გამოწვევები, კ. კორკელია (რედ.), 2023, 299-300.

1586 *შუმკოვა რუსეთის წინააღმდეგ (Shumkova v. Russia),* 14 თებერვალი, 2012 წელი, 89-ე პუნქტი.

1587 *გენჟუ ბელგიის წინააღმდეგ (Gengoux v. Belgium)*, 17 იანვარი, 2017 წელი.

1588 13 ივნისი, 2002 წელი.

1589 131-ე პუნქტი; ასევე იხ. E. Wicks, Positive and Negative Obligations under the Right to Life in English Medical Law: Letting Patients Die, in: The Right to Life and the Value of Life: Orientation in Law, Politics and Ethics, J. Yorke (ed.), 2010, 321-322.

მდეგ (Karpylenko v. Ukraine),[1590] რომელიც ეხებოდა აივ ინფექციით გარდაცვლილ პატიმარს, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, მიუხედავად იმისა, მოსარჩელის შვილს პატიმრობის დროს დაუდგინდა აივ ინფექცია, ხელისუფლებამ 10 თვის განმავლობაში არ განახორციელა მისი მდგომარეობის იმუნოლოგიური შეფასება ან უზრუნველყო მისი მკურნალობა. საქმე *იასინსკი ლატვიის წინააღმდეგ (Jasinskis v. Latvia)*[1591] ეხებოდა ბავშვობიდან ყრუ-მუნჯ პირს, რომელმაც კიბეებზე დაცემის შედეგად დაკარგა გონება. პოლიციამ, რომლის მოსვლის დროს იგი იყო უგონო მდგომარეობაში, გადაწყვიტა, არ დალოდებოდა სასწრაფო დახმარებას (რომელიც უკვე გამოძახებული იყო) და წაიყვანა პოლიციის განყოფილებაში, თუმცა არც იქ ჩაუტარეს სამედიცინო შემოწმება, რადგან იფიქრეს, რომ იგი იყო ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ. მალე მოსარჩელის შვილი გარდაიცვალა თავის დაზიანების გამო. ევროპული სასამართლოს დასკვნით, სახელმწიფომ ვერ შეასრულა მე-2 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულება, დაეცვა პირის სიცოცხლე, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის გზით.

საქმე *საუდი საფრანგეთის წინააღმდეგ (Saoud v. France)* ეხებოდა ფსიქიკურად დაავადებული პირის (მოჰამედ საუდი) მიერ ოჯახის წევრებზე თავდასხმასა და მათ მძევლად აყვანას.[1592] პოლიციის მიერ მისი დაკავების შემდეგ, იგი 30 წუთზე მეტი დროის განმავლობაში პოლიციას ჰყავდა პირდაპირ გაკავებული ხელბორკილებითა და პოლიციელების სხეულის სიმძიმით, რამაც გამოიწვია მისი გარდაცვალება გაგუდვით. ევროპული სასამართლოს აზრით, როდესაც მოჰამედ საუდი დააკავეს, ჰყავდათ გაკავებულ მდგომარეობაში და იგი აღარ წარმოადგენდა საფრთხეს სხვებისათვის, სახელმწიფოს ეკისრებოდა ვალდებულება, ჩაეტარებინა მისთვის სამედიცინო შემოწმება ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად, რაც სახელმწიფოს არ გაუკეთებია. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა, სამედიცინო დახმარების აღმოუჩენლობის გამო.

საქმე *მუსტაფაევი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Mustafayev v. Azerbaijan)* ეხებოდა მოსარჩელის შვილის (მაჰირ მუსტაფაევი) გარდაცვალებას პენიტენციურ დაწესებულებაში გაჩენილი ხანძრით მიღებული მძიმე დამწვრობის გამო.[1593] ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კრიტიკულად მძიმე მდგომარეობაში მყოფი პატიმრის მიმართ რამდენიმე საათის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ მისთვის სამედიცინო დახმარების აღმოუჩენლობა არღვევს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს პატიმრის სიცოცხლის დაცვა.[1594]

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვიდან გამომდინარე, სახელმწიფო ეკისრება ნორმატიული ბაზის შექმნის ვალდებულება, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენას, მათი გარდაცვალების თავიდან ასაცილებლად. კერძოდ, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, თავისუფლებააღკვეთილ პირები, რომლებზეც სახელმწიფო აბსოლუტურ ან თითქმის აბსოლუტური კონტროლს ახორციელებს, უზრუნველყოს დროული სამედიცინო დახმარებითა და მკურნალობით.

საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ სიცოცხლის დაცვის ვალდებულება წესრიგდება რამდენიმე ნორმატიული

1590 11 თებერვალი, 2016 წელი.

1591 21 დეკემბერი, 2010 წელი.

1592 9 ოქტომბერი, 2007 წელი.

1593 4 მაისი, 2017 წელი.

1594 *კარახანიანი რუსეთის წინააღმდეგ (Karakhanyan v. Russia)*, 14 თებერვალი, 2017 წელი.

აქტით, მათ შორის, პენიტენციური კოდექსით,[1595] რომელიც ზოგადად ადგენს პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესებს და ითვალისწინებს, რომ: ა) ყველა ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ისარგებლოს საჭირო სამედიცინო მომსახურებით;[1596] ბ) პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიღებისას სავალდებულოა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება;[1597] გ) ბრალდებულს/მსჯავრდებულს სამედიცინო მომსახურება გაეწევა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ქვეყანაში დადგენილი სამედიცინო მომსახურების მოთხოვნების შესაბამისად;[1598] დ) ბრალდებულის/მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა მოწმდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ;[1599] ე) დაავადებული ბრალდებულს/მსჯავრდებულს უტარდება გადაუდებელი მკურნალობა;[1600] და ვ) პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უნდა შეიქმნას საექიმო/სამედიცინო პუნქტი.[1601]

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ სიცოცხლის დაცვის ვალდებულება ასევე წესრიგდება სპეციალური პენიტენციური სამსახურის დებულებით, რომელიც განსაზღვრავს, რომ სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის ერთ-ერთი ამოცანაა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა და ამ მიზნით, პენიტენციური ჯანდაცვის სტანდარტებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებების შესაბამისად, მათი დროული და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა.[1602]

თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ სიცოცხლის დაცვის ვალდებულებას ასევე აწესრიგებს „პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების გაწევის სტანდარტები და სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის დამატებითი სტანდარტები“,[1603] რომლებიც ადგენს, რომ ამ სტანდარტების მიზანია დაწესებულებაში განთავსებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ქვეყანაში დადგენილი სამედიცინო მომსახურების მოთხოვნების შესაბამისად.[1604]

სტანდარტების ერთ-ერთი პრინციპია ბრალდებულის/მსჯავრდებულის ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებაზე, კერძოდ, მას უნდა ჰქონდეს ექიმთან შეუზღუ-

---

1595 15 დეკემბერი, 2023 წელი.

1596 კოდექსის 96(1)-ე მუხლი; ასევე იხ. კოდექსის 94(3)-ე მუხლი.

1597 კოდექსის 96(2)-ე მუხლი; ასევე იხ. კოდექსის 47(4)-ე მუხლი.

1598 კოდექსის 139(1)-ე მუხლი.

1599 კოდექსის 139(4)-ე მუხლი.

1600 იქვე.

1601 კოდექსის 140(1)-ე მუხლი; ამავე მუხლის მე-2 პუნქტით, თუ მკურნალობა საექიმო-სამედიცინო პუნქტში შეუძლებელია, პირი შეიძლება გადაიყვანონ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში ან სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში.

1602 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N366 „სპეციალური პენიტენციური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, 22 დეკემბერი, 2018 წელი, მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; ასევე იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N415 „სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“, მე-7 მუხლის „ა“ პუნქტი.

1603 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N381 „პენიტენციურ დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების გაწევის სტანდარტების, სპეციფიკური საჭიროებების მქონე პირისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევის დამატებითი სტანდარტების, პრევენციული მომსახურების პაკეტისა და სამედიცინო მომსახურებისთვის აუცილებელი საბაზისო მედიკამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“, 15 თებერვალი, 2019 წელი.

1604 სტანდარტის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტი.

დავი კონტაქტის უფლება.[1605] დოკუმენტით ასევე დადგენილია სტანდარტი, რომლის მიხედვით, გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურება მოიცავს ყველა იმ სამკურნალო და დიაგნოსტიკურ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლის გადავადების ან განუხორციელებლობის შემთხვევაში გარდაუვალია ბრალდებულის/მსჯავრდებულის სიკვდილი, ფიზიკური/ფსიქიკური შესაძლებლობის მნიშვნელოვანი შეზღუდვა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება.[1606]

ასევე ნორმატიულად განსაზღვრულია, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სტანდარტს, რომლის მიხედვით, სასწრაფო სამედიცინო დახმარება უნდა მოიცავდეს ადგილზე ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას, მდგომარეობის სტაბილიზაციას და, საჭიროების შემთხვევაში, მის ტრანსპორტირებას შესაბამისი პროფილის უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში.[1607]

თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ სიცოცხლის დაცვის ვალდებულება დეტალურად წესრიგდება შესაბამისი პენიტენციური დაწესებულებების დებულებით.[1608] პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით განსაზღვრულია, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულის მიღების მომენტიდან სახელმწიფო პასუხისმგებელია მისი ჯანმრთელობის დაცვაზე, მათ შორის სასწრაფო ან გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებაზე. მაგალითისათვის, N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების მიხედვით, თუ დაწესებულებაში მიღებისას ბრალდებულის ან მსჯავრდებულის სამედიცინო შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ მას ესაჭიროება სასწრაფო ან გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება, დაუყოვნებლივ გაეწევა სამედიცინო მომსახურება დაწესებულებაში ხელმისაწვდომ საექიმო-სამედიცინო პუნქტში.[1609] ამასთანავე, დებულებით დადგენილია, რომ, თუ დაწესებულებაში მიღებისას ბრალდებულს ესაჭიროება სასწრაფო ან გადაუდებელი სტაციონარული მკურნალობა, რომლის უზრუნველყოფა შეუძლებელია დაწესებულებაში, იგი დაუყოვნებლივ გადამისამართდება შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად.[1610]

პენიტენციური დაწესებულებების დებულებები ასევე განსაზღვრავს სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას, რომელიც, სხვა მრავალ საკითხთან ერთად, ადგენს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უტარდება გადაუდებელი მკურნალობა.[1611]

და ბოლოს, საყურადღებოა, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის ერთ-ერთი ფუნქციაა დაგვიანებული სამედიცინო დახმარების

1605 სტანდარტის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი.

1606 სტანდარტის მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტი.

1607 სტანდარტის მე-10 მუხლი.

1608 ვინაიდან პენიტენციური დაწესებულებების დებულებები შინაარსობრივად მსგავსია, მაგალითისათვის აღებულია N1 პენიტენციური დაწესებულების დებულება. იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი.

1609 ბრალდებულის მიმართ იხ. დებულების მე-13 მუხლის 21-ე პუნქტი. მსჯავრდებულის მიმართ იხ. დებულების მე-14 მუხლის მე-19 პუნქტი.

1610 ბრალდებულის მიმართ იხ. დებულების მე-13 მუხლის 22-ე პუნქტი. მსჯავრდებულის მიმართ იხ. დებულების მე-14 მუხლის მე-20 პუნქტი.

1611 იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N928 „N1 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“, 8 სექტემბერი, 2023 წელი, 59-ე მუხლი.

და ლეტალური შემთხვევების გამოვლენა/განხილვა და შესაბამისი რეაგირება.[1612] ასეთი წესი მიზნად ისახავს როგორც ხარვეზების გამოვლენას სამსახურის საქმიანობაში, ისე თავისუფლებააღკვეთილი პირების გარდაცვალების პრევენციას და მიმართულია ამ პირების სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულების ეფექტიანი შესრულებისაკენ.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს ნორმატიული ბაზა სათანადოდ უზრუნველყოფს თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის დროული სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და მკურნალობის ვალდებულებას ამ პირთა სიცოცხლის დასაცავად.

ბ) პრაქტიკა

როგორც აღინიშნა, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ვინაიდან თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ სახელმწიფო ახორციელებს აბსოლუტურ ან თითქმის აბსოლუტურ კონტროლს, მან უნდა უზრუნველყოს სამედიცინო დახმარება თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის, მათი გარდაცვალების თავიდან ასაცილებლად.

თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ დაგვიანებულ და არასათანადო სამედიცინო მომსახურების გაწევაზე ყურადღება გაამახვილა საქართველოს სახალხო დამცველმა თავის ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშში. ანგარიშის მიხედვით, „დაგვიანებული და არასათანადო სამედიცინო მომსახურება, წლებია, პატიმრების მხრიდან ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გაჟღერებული საკითხია. მეტიც, პატიმრებს არაერთხელ გამოუთქვამთ ვარაუდი, რომ სწორედ უხარისხო ან/და გაჭიანურებული სამედიცინო დახმარება აღმოჩნდა პენიტენციურ სისტემაში პატიმრების სიკვდილის მიზეზი, თუმცა ამას ადეკვატური შეფასება სახელმწიფო უწყებების მხრიდან არ მოჰყოლია.“[1613]

თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევის მდგომარეობის შესასწავლად სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა პატიმართა გარდაცვალების ფაქტებზე წარმოებული 2015-2018 წლების 17 სისხლის სამართლის საქმე, რომელთა მიმართ გამოძიება შეწყდა დანაშაულებრივი ქმედების არარსებობის გამო. აქედან 4 საქმე შეეხებოდა შესაძლო სუიციდის შემთხვევას, ხოლო 13 საქმე – ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უეცარ გარდაცვალებას.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ ამ საქმეთა შესწავლამ გამოავლინა როგორც გამოძიების, ისე პატიმრებისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარვეზები. კერძოდ, ანგარიშის მიხედვით, გარდა იმისა, რომ გამოძიებას აწარმოებდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, რომელიც იყო დამოუკიდებელი ორგანო, „გამოძიება ორიენტირებული იყო, დაედგინა/გამოერიცხა, ხომ არ იყო პატიმარი ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი, ან ვინმემ ხომ არ აიძულა თვითმკვლელობა. საგამოძიებო უწყება არ დაინტერესებულა პატიმრისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხით და არ შეუსწავლია, რამდენად იყო შესაძლებელი, არასათანადო ან დაგვიანებული მკურნალობა გამხდარიყო პატიმრის გარდაცვალების მიზეზი. აქედან გამომდინარე, გამოძიებას არ შეუსწავლია, ჰქონდა

1612 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N415 „სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“, მე-8 მუხლის „თ“ პუნქტი.

1613 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020 წელი, 38, იხ.: [https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf].

თუ არა ადგილი სამედიცინო პერსონალის მხრიდან გულგრილობას. მაგალითად, რიგ შემთხვევებში, საერთოდ არ არის ამოღებული გარდაცვლილი პატიმრის სამედიცინო დოკუმენტაცია. საგამოძიებო ორგანო პატიმართათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების შესწავლის მიზნით, ძირითადად მხოლოდ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მოპოვებით კმაყოფილდებოდა, რასაც შემდგომში გარდაცვალების არაძალადობრივი ბუნების დასამტკიცებლად და გამოძიების შეწყვეტის საფუძვლად იყენებდა.“[1614]

ამავე ანგარიშის მიხედვით, გაჩნდა საფუძვლიანი კითხვები პენიტენციურ სისტემაში მყოფი პატიმრებისთვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ხარისხის მიმართულებით, კერძოდ, „სამედიცინო ექსპერტიზის მასალების შესწავლის შედეგად არაერთხელ გამოიკვეთა ისეთი მძიმე დაავადებები, რომელთა შესახებ პატიმრებს სიცოცხლეში არ ჰქონიათ დადგენილი დიაგნოზი და, შესაბამისად, ამ მიმართულებით არც მკურნალობა ჩატარებიათ. მაგალითად, პატიმარი ტუბერკულოზის შედეგად განვითარებული გულსისხლძარღვთა და სუნთქვის უკმარისობით ისე გარდაიცვალა, რომ პენიტენციურ სისტემაში მსჯავრდებულის სამედიცინო ბარათი ამ დიაგნოზის შესახებ ინფორმაციას არც კი შეიცავდა და არც ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობა ჩატარებია. შესაბამისად, შესწავლილ საქმეებში არსებული სამედიცინო დოკუმენტაციის მონაცემების მიხედვით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პრობლემას წარმოადგენს გარდაცვალების წინარე პერიოდში პატიმართათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხის ადეკვატურობა.“[1615]

აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველის აპარატმა დაასკვნა, რომ „პატიმრების გარდაცვალების ფაქტებზე წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებში ყურადღება უნდა გამახვილდეს არა მარტო ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ძალადობის შედეგად გამოწვეული გარდაცვალების მიზეზების გამოვლენაზე, არამედ საფუძვლიანად უნდა შეფასდეს ყველა გარდაცვლილი პატიმრისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხი და ადეკვატურობა, რათა დადგინდეს/გამოირიცხოს სამედიცინო პერსონალის მხრიდან არასათანადო მკურნალობის ან გულგრილობის შემთხვევები, რამაც პატიმრების გარდაცვალება გამოიწვია.“[1616]

საქართველოს სახალხო დამცველმა ასევე გაამახვილა ყურადღება ერთ-ერთ საქმეზე, რომელზეც, მისი აზრით, შეიძლება ყოფილიყო ჩადენილი სამოხელეო დანაშაული, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვა პატიმრის სიცოცხლის მოსპობა. კერძოდ, სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, ირანის მოქალაქე შ.მ., რომელიც 2018 წლის 25 აგვისტოს დააკავეს, სასჯელს N5 პენიტენციურ დაწესებულებაში იხდიდა. სასჯელის მოხდის პერიოდში მას აღენიშნებოდა ჯანმრთელობის პრობლემები, რის გამოც 2019 წლის 26 ნოემბერს სამოქალაქო სექტორის კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც 2020 წლის 17 იანვარს გარდაიცვალა. სახალხო დამცველის აპარატის მიერ მსჯავრდებულის სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებმა ცხადყო, რომ პატიმრისთვის განსაზღვრული დაჩქარებული წესით (2-5 დღეში) ჩასატარებელი ოპერაციული მკურნალობა დაახლოებით 7 თვით დაგვიანდა. ამ პერიოდში მისთვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურება მხოლოდ სიმპტომური პრეპარატების გამოყენე-

---

1614 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020 წელი, 38-39, იხ.: [https://www.ombudsman.ge/res/docs/20210401105739483 97.pdf].

1615 იქვე, 39.

1616 იქვე.

ბით შემოიფარგლებოდა.[1617] სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, „გამოძიებამ პასუხი უნდა გასცეს პენიტენციურ სისტემაში პატიმრისთვის მიწოდებული სამედიცინო მომსახურების დროულობასა და ადეკვატურობასთან, ოპერაციული მკურნალობის დაყოვნებასთან დაკავშირებულ კითხვებს. ამასთანავე, გამოძიებამ უნდა დაადგინოს, რამდენად მოახდინა გავლენა სასჯელის მოხდის პერიოდში პატიმრისთვის არასათანადო და დაგვიანებულმა მკურნალობამ მის გარდაცვალებაზე და რა იყო მკურნალობის ხარვეზების მიზეზი.“[1618]

ერთ-ერთი შემთხვევა ეხება პატიმრის გარდაცვალებას, რომელსაც, მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, არ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება. კერძოდ, ამ ინფორმაციის მიხედვით, პატიმარს გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მოუვიდა კონფლიქტი ციხის ბადრაგთან, რის გამოც იგი მოათავსეს კარცერში. პატიმრისათვის, რომელიც დიალიზის პროგრამაში იყო ჩართული და მუდმივი სამედიცინო კონტროლი და დახმარება ესაჭიროებოდა, კარცერში დაახლოებით 10 დღის განმავლობაში მისთვის შესაბამისი სამედიცინო დახმარება არ გაუწევიათ, რამაც პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება და გარდაცვალება გამოიწვია.[1619]

სიცოცხლის დაცვის პრაქტიკა თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ვლინდება ევროპული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებიდან, რომლებიც მიღებულია საქართველოს მიმართ. ასეთი საქმე, რომელიც ეხებოდა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში თავისუფლებააღკვეთილი პირისათვის არასათანადო სამედიცინო მომსახურების გაწევას, არის *მახარაძე და სიხარულიძე საქართველოს წინააღმდეგ (Makharadze and Sikharulidze v. Georgia)*.[1620] ეს საქმე ეხებოდა კრიმინალურ სამყაროსთან სავარაუდო კავშირისა და ნარკოტიკების შენახვის ფაქტის გამო დაკავებულ პირს, რომელსაც თბილისის საქალაქო სასამართლომ შეუფარდა წინასწარი პატიმრობა. მან გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ ციხის მძიმე პირობებისა და მისი ჯანმრთელობის კრიტიკული მდგომარეობის გამო, წინასწარი პატიმრობა იყო მისთვის გაუმართლებლად მძიმე ღონისძიება და მისი მდგომარეობის დასტურად წარმოადგინა დოკუმენტი, რომლის მიხედვით, იგი დაავადებული იყო ფილტვების ფიბროკავერნოზული ტუბერკულოზით. მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა. რამდენიმე დღეში მოსარჩელის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, რის გამოც იგი გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში. მალე მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა შვიდი წლის ვადით.

იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2006 წლის მაისი-ივნისში ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზით დადგინდა, რომ დაავადებული იყო მულტირეზისტენტული ფიბროკავერნოზული ტუბერკულოზის ღია ფორმით და იმყოფებოდა ინფლიტრაციისა და დეკომპოზიციის სტადიაზე და ფილტვებში მიმდინარეობდა ჰემორაგიის პროცესი. დამატებით, ექსპერტიზის შედეგებმა აჩვენა, რომ მოსარჩელე ინფიცირებული იყო C ჰეპატიტის ვირუსით და ჰქონდა რიგი კარდიალური და ნეიროსენსორული მძიმე მოშლილობებისა. ექსპერტიზის მიხედვით, მოსარჩელე იყო მძიმე ავადმყოფი და საჭიროებდა განსაკუთრებულ მკურნალობას ტუბერკუ-

---

1617 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021 წელი, 28, იხ.: [https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf].

1618 იქვე.

1619 „ქუთაისის ციხეში პატიმარი, სავარაუდოდ, არასათანადო მოპყრობის შედეგად გარდაიცვალა“, 8 აპრილი, 2024 წ., იხ.: [https://formulanews.ge/News/108924].

1620 22 ნოემბერი, 2011 წელი.

ლოზის დისპანსერში. მას უარი უთხრეს ტუბერკულოზის დისპანსერში გადაყვანაზე. მოსარჩელე ორჯერ შიმშილობდა, თუმცა მისი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა. 2009 წლის იანვარში მოსარჩელე გარდაიცვალა.

ევროპულმა სასამართლომ საქმის გარემოებების შეფასებისას აღნიშნა, რომ მოსარჩელე არ დაავადებულა ტუბერკულოზით ციხეში, არამედ ეს მოხდა მანამდე. სასამართლომ ასევე გაითვალისწინა, რომ ციხის ადმინისტრაციამ შეამჩნია თუ არა მოსარჩელის მდგომარეობის გაუარესება, მაშინვე გადაიყვანა ციხის საავადმყოფოში, სადაც რეგულარულად ხდებოდა მისი სამედიცინო შემოწმება სხვადასხვა ექიმის მიერ, უტარდებოდა სკრინინგი და ლაბორატორიული ანალიზი, ეძლეოდა საზოგადოდ მიღებული ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტები DOTS-ის მკურნალობის პროგრამის ფარგლებში, დანიშნული ჰქონდა მისი მდგომარეობის შესაბამისი დიეტა, ანტიოქსიდანტური მედიკამენტები, ვიტამინები, უტარდებოდა სისხლის გადასხმა და ა.შ.

შესაბამისად, სასამართლოს აზრით, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ სახელმწიფომ მოსარჩელე უყურადღებოდ დატოვა. ამასთანავე, სასამართლოს აზრით, რჩება კითხვა, ეფექტიანი იყო თუ არა სახელმწიფოს მიერ გაწეული მკურნალობა მოსარჩელის დაავადების მიმართ, სხვა სიტყვებით კი, იყო თუ არა მოსარჩელისათვის ციხის ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული მკურნალობა მდგომარეობის ადეკვატური.

ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ სახელმწიფომ არ გაატარა დროული და ადეკვატური ღონისძიებები მისი გარდაცვალების პრევენციის მიზნით. კერძოდ, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მოსარჩელისათვის შესაბამისი ლაბორატორიული ანალიზების დროულად ჩატარება, რაც ხელს შეუწყობდა ადრეულ ეტაპზე ზუსტი დიაგნოზის დასმას და მოსარჩელის მიკობაქტერიის ტიპის ეფექტიანი მკურნალობისათვის აუცილებელი მედიკამენტოზური მკურნალობის დანიშვნას. სახელმწიფომ ასევე არ გადადგა ნაბიჯები, რათა მოსარჩელისათვის დროულად მიეწოდებინათ SLD მედიკამენტები. დადგინდა, რომ აღნიშნული მედიკამენტებით შესაძლებელი იქნებოდა მისი ავადმყოფობის მკურნალობა. შესაბამისად, მოსარჩელის ეფექტიანი მკურნალობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ასპექტი იყო გამორჩენილი. სასამართლომ შეშფოთებით შენიშნა, რომ ყველა ეს ხარვეზი გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ, მიუხედავად წლების განმავლობაში საქართველოს ციხეებში არსებული მედიკამენტების მიმართ მდგრადი ტუბერკულოზის ფორმების მზარდი რაოდენობისა, რასაც შესაბამისად მზარდი სიკვდილიანობაც ახლდა, შესაბამისი სახელმწიფო უწყებები არ ნერგავენ ჯანმრთელობის დაცვის ზოგად სტანდარტებს, რომლებიც შემუშავდა WHO-ს მიერ 1997 წლიდან 2008 წლის მარტამდე პერიოდში. სასამართლოს აზრით, სამედიცინო სფეროში ასეთი ცუდი სამედიცინო მართვა, რამაც პირდაპირ გამოიწვია ან ხელი შეუწყო მოსარჩელის გარდაცვალებას, არ შეიძლება, კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე, გამართლებულ იქნეს რესურსების ნაკლებობით.[1621]

სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოხსენებული ხარვეზებიდან რამდენიმეს დროული აღმოფხვრა მაინც იყო შესაძლებელი, თუ მოსარჩელეს ნებას დართავდნენ, ემკურნალა სპეციალიზებული, ტუბერკულოზის მკურნალობისათვის განკუთვნილი ორი სამოქალაქო პროფილის საავადმყოფოდან ერთ-ერთში, სადაც პენიტენციურ სისტემასთან შედარებით უფრო ადრე დაინერგა DOTS+ პროგრამა, ან გასცემდნენ განკარგულებას პატიმრის პირობითი გათავისუფლების თაობაზე სრულად ან ნაწილობრივ განკურნებამდე. აღნიშნული შესაძლებლობებიდან სახელმწიფომ არცერთი არ გამოიყენა. სასა-

1621 90-ე პუნქტი.

მართლომ აღნიშნა, რომ, იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი უწყებები იღებენ გადაწყვეტილებას მძიმედ დაავადებული პირის პატიმრობაში დატოვების შესახებ, ისინი ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ პატიმრის სპეციალური მოვლა და მისი ავადმყოფობის მდგომარეობის შესაბამისი პირობები.[1622]

საერთო ჯამში, სასამართლოს აზრით, რომელიმე ზემოაღნიშნული დარღვევა ცალკე აღებული შეიძლება არ ყოფილიყო საკმარისი სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობის დასადგენად ციხეში მყოფი მოსარჩელის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის თვალსაზრისით, თუმცა ამ დარღვევათა თანაარსებობა და ერთობლივი ეფექტი ამისათვის საკმარისზე მეტია.[1623]

ასევე საყურადღებოა საქმე *მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ (Maisuradze v. Georgia)*, რომელიც ეხებოდა მოსარჩელის შვილის (გ.ტ.) გარდაცვალებას პენიტენციურ დაწესებულებაში, მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის დიაგნოზით.[1624] მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მისი შვილის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა. იგი ასევე ამტკიცებდა, რომ მისი შვილის გარდაცვალების ფაქტზე ჩატარებული გამოძიება არ იყო ადეკვატური და ეფექტიანი.

ევროპული სასამართლოს პოზიციით, კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის დაცვის ვალდებულების შესრულების შესაფასებლად მან უნდა დაადგინოს, შესაბამისმა ეროვნულმა ორგანოებმა დროულად და კეთილსინდისიერად გაატარეს თუ არა ღონისძიებები სასიკვდილო შედეგის თავიდან ასაცილებლად.[1625] საქმის გარემოებების შეფასებამდე ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა განსახილველ პერიოდში საქართველოს ციხეებში მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო. მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში მხოლოდ 2009 წლის თებერვალსა და აპრილში (ქსნის სასჯელაღსრულების დაწესებულებასა და ციხის საავადმყოფოში) გახდა შესაძლებელი.[1626]

მოსარჩელის შვილის სიცოცხლის უფლების დაცვის მიმართ ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გ.ტ-ს ტუბერკულოზის დიაგნოზი დაუსვეს 2008 წლის 17 დეკემბერს, რის შედეგადაც პირველი ჯგუფის მედიკამენტებზე მგრძნობელობის ტესტი გაკეთდა. ამ ტესტის პასუხების მიღებამდე ციხის ექიმებმა 2008 წლის 21 დეკემბერს დაიწყეს გ.ტ.-ს პირველი რიგის მედიკამენტებით მკურნალობა. რუსთავის N2 სასჯელაღსრულების დეპარტამენტში DOTS პროგრამამ ფუნქციონირება სწორედ ამ დღეს დაიწყო. მიუხედავად ამისა, გ.ტ-ს მკურნალობას არ ჰქონდა დადებითი შედეგი. 2009 წლის 29 იანვარს გ.ტ. გადაიყვანეს ტუბერკულოზის დიაგნოზის მქონე პატიმრებისთვის განკუთვნილ სასჯელაღსრულების სპეციალურ დაწესებულებაში. მართალია, ამ დაწესებულებაში გაკეთებული ჩანაწერი გ.ტ-ს სამედიცინო ისტორიაში ცხადყოფდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებას, მკურნალობის სტრატეგიის შეცვლა ან მეორე რიგის მედიკამენტებზე მგრძნობელობის ტესტის გაკეთება არც კი განხილულა. მიუხედავად 2009 წლის 24 თებერვლის მგრძნობელობის ტესტის შედეგებისა, რომლის თანახმად, გ.ტ. რეზისტენტული იყო სტანდარტული მკურნალობის მიმართ, ამას არ მოჰყოლია სწრაფი რეაგირება. გ.ტ-ს მხოლოდ ამის შემდეგ

1622 91-ე პუნქტი.
1623 92-ე პუნქტი.
1624 20 დეკემბერი, 2018 წელი.
1625 49-ე პუნქტი.
1626 51-ე პუნქტი.

გაუკეთდა მეორე რიგის მედიკამენტებზე მგრძნობელობის ტესტი. ამ უკანასკნელი ტესტის პასუხებამდე გ.ტ. განაგრძობდა პირველი რიგის მედიკამენტების მიღებას, მიუხედავად იმისა, რომ დადგენილი იყო მათი არაეფექტიანობა.[1627]

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მიუხედავად 2009 წლის 10 აპრილს მიღებული მგრძნობელობის განმსაზღვრელი მეორე ანალიზის პასუხებისა, რომელთა მიხედვით დაავადება რეაგირებდა მეორე ჯგუფის ყველა წამალზე, გარდა ერთისა, გ.ტ.-ს მკურნალობა DOTS+ პროგრამით 2009 წლის 4 მაისამდე არ დაწყებულა. ამ თარიღიდან ორი კვირის შემდეგ, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, გ.ტ. გარდაიცვალა. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ, მართალია, გ.ტ.-ს ტუბერკულოზის დიაგნოზი დაუსვეს 2008 წლის 17 დეკემბერს, მას არ უსარგებლია დაავადების შესაბამისი ეფექტიანი მკურნალობით დაახლოებით 4 თვისა და 2 კვირის განმავლობაში. ასეთი ხანგრძლივი დაგვიანება, რასაც შედეგად მოჰყვა დაავადების სწრაფი განვითარებით გამოწვეული გამწვავება, ვერ გაამართლებდა წამლების მიმართ მგრძნობელობის განმსაზღვრელი ანალიზის პასუხების გვიან მიღებას, ვინაიდან ისინი შეიძლებოდა უფრო ადრე გაცემულიყო. ციხის სამედიცინო პერსონალისთვის მგრძნობელობის განმსაზღვრელი მეორე ტესტის ჩატარებაში არაფერს შეუშლია ხელი, განსაკუთრებით კი, თუ მხედველობაში მიიღება გ.ტ-ს ჯანმრთელობის გაუარესება, მიუხედავად მისთვის ჩატარებული მკურნალობისა, რაც ასევე აღნიშნული იყო 2009 წლის იანვრის სამედიცინო ისტორიაში. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელის შვილი დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოკლებული იყო ეფექტიანი სამედიცინო მკურნალობით სარგებლობის შესაძლებლობას.[1628]

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლი არსებით ნაწილში.[1629]

თავისუფლებააღკვეთილი პირების ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკის შესწავლამ, რომელსაც საფუძვლად უდევს საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები და საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, გამოავლინა ევროპული სასამართლოსა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების ნაკლოვანებები. კერძოდ, გამოვლინდა, რომ პრაქტიკაში იყო თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის სამედიცინო მომსახურების, მათ შორის დაგვიანებული და არასათანადო სამედიცინო მომსახურების გაწევის შემთხვევები. გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, უხარისხო ან/და გაჭიანურებული სამედიცინო დახმარება აღმოჩნდა პატიმრების სიკვდილის მიზეზი. სახალხო დამცველის ანგარიშის შესაბამისად, აუცილებელია, რომ პატიმრების გარდაცვალების ფაქტებზე ჩატარებულმა გამოძიებამ ყურადღება გაამახვილოს არა მხოლოდ ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ძალადობის შედეგად გამოწვეული გარდაცვალების მიზეზების გამოვლენაზე, არამედ საფუძვლიანად უნდა შეფასდეს ყველა გარდაცვლილი პატიმრისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხი და ადეკვატურობა, სამედიცინო პერსონალის მხრიდან არასათანადო მკურნალობის ან გულგრილობის შემთხვევების დასადგენად ან/და გამოსარიცხად.

1627 52-ე პუნქტი.

1628 53-ე პუნქტი.

1629 54-ე პუნქტი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში.

6.3.2.4. საფრთხის შემცველი საწარმოო საქმიანობის, ასევე ბუნებრივი კატაკლიზმებისა და უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში

როგორც აღინიშნა, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ საწარმოო საქმიანობაზე, ბუნებრივ კატაკლიზმებსა და უბედურ შემთხვევებზე. ამ საკითხებთან მიმართებით, სახელმწიფოს, უპირველეს ყოვლისა, ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია სიცოცხლისათვის საფრთხის არსებობის შესახებ. საზოგადოებისათვის ასეთი ინფორმაციის მიწოდება მიზნად ისახავს, რომ მის წევრებმა შეძლონ საკუთარი სიცოცხლისათვის საფრთხეების შეფასება და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს როგორც საზოგადოების წევრებისათვის ინფორმაციის მიწოდება მათი სიცოცხლისათვის საფრთხის არსებობის შესახებ, ისე ნაბიჯების გადადგმა სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საწარმოო საქმიანობით, ბუნებრივი კატაკლიზმებითა და უბედური შემთხვევებით გამოწვეული საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ნაშრომის ამ ნაწილში განიხილება სახელმწიფოს მიერ სამართლებრივი ჩარჩოს უზრუნველყოფის პოზიტიური ვალდებულება სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საწარმოო საქმიანობის, ბუნებრივი კატაკლიზმებისა და უბედური შემთხვევების მიმართ.

6.3.2.4.1. სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საწარმოო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში

ა) კანონმდებლობა

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ ცხადყო, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება საფრთხის შემცველ საწარმოო საქმიანობაზე. ამ ვალდებულებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა უზრუნველყოს კანონმდებლობის მიღება, რომელიც მიზნად ისახავს სიცოცხლის დაცვას საფრთხის შემცველი საწარმოო საქმიანობის განხორციელებისას.

საქართველოში სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საწარმოო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტია საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, რომლის მიზანია იმ მოთხოვნებისა და პრევენციული ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას.[1630] კანონი განსაზღვრავს უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ ტერმინებს, მათ შორის, როგორებიცაა: შრომის უსაფრთხოება, პრევენცია, საფრთხე, რისკი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაო, საფრთხის შემცველი ფაქტორები, სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევა, ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებები და ზედამხედველი ორგანო.[1631]

კანონი ადგენს დამსაქმებლის ვალდებულებას, მათ შორის: დაიცვას შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმები და წესები,

---

1630 19 თებერვალი, 2019 წ., კანონის 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტი.

1631 კანონის მე-3 მუხლი.

იზრუნოს, რათა დასაქმებულის უსაფრთხოებას და ჯანმრთელობას არ მიადგეს ზიანი, უზრუნველყოს, რომ საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა დასაქმებულის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას არ შეუქმნას საშიშროება, რეგულარული პერიოდულობით შეამოწმოს ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობა, გააკონტროლოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებისა და სხვა საშუალებების სწორად გამოყენება, შეამოწმოს, გაზომოს და შეაფასოს საწარმოს გარემოს ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ფაქტორები;[1632] ასევე დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს დასაქმებულისათვის მომზადება (სწავლება) და ინსტრუქტაჟის ჩატარება და მიაწოდოს ინფორმაცია შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი და სხვა ნორმების და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ, სამუშაო პროცედურების და სამუშაო ტექნიკისა და აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენების შესახებ, საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ, არსებული საფრთხისა და რისკის შესახებ.[1633]

კანონით, დამსაქმებელი ასევე ვალდებულია, დასაქმებულს მიაწოდოს პროფესიულ რისკებსა და მავნე საწარმოო ფაქტორებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც შეეხება სამუშაო ადგილზე დასაქმებულების ჯანმრთელობაზე მათ შესაძლო გავლენას და მათგან თავის დაცვის მექანიზმებს; ასევე ვალდებულია, მიაწოდოს ინფორმაცია იმ რისკებზე, რომელთა წინაშეც შეიძლება დადგნენ დასაქმებულები და რისკების შედეგების შეფასება, აგრეთვე მიაწოდოს ინფორმაცია საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო გეგმებისა და მომეტებული საფრთხის არსებობის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, იმ ღონისძიებებისა და პროცედურების შესახებ, რომლებიც უნდა განხორციელდეს ავარიის ან ხანძრის შემთხვევაში და ისეთი სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებულ აკრძალვებზე, რომლებიც საფრთხეს უქმნის დასაქმებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.[1634]

ასევე კანონი ავალდებულებს დამსაქმებელს, შეაფასოს რისკი და ამისათვის გაატაროს სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის: იზრუნოს არსებული რისკების თავიდან აცილებასა და საფრთხის შემცირებაზე, ასევე მისი წყაროს აღმოფხვრაზე; შეიმუშაოს თანამიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, მიანიჭოს კოლექტიური დაცვის საშუალებებს უპირატესობა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებთან შედარებით, დასაქმებულებს ჩაუტაროს შესაბამისი მომზადება (სწავლება) და ინსტრუქტაჟი.[1635] დამსაქმებელი ასევე ვალდებულია, წერილობით განსაზღვროს შრომის უსაფრთხოების სფეროში დასაქმებულების ვალდებულებები და პასუხისმგებლობა.[1636] კანონით, დამსაქმებელს უნდა ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.[1637]

კანონი ასევე ითვალისწინებს დამსაქმებლის ვალდებულებას, გაატაროს პირველადი სამედიცინო დახმარების, სახანძრო უსაფრთხოებისა და ევაკუაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ღონისძიებები და ყველა დასაქმებულს აცნობოს პრევენციული, საევაკუაციო და უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ.[1638]

კანონი ასევე განსაზღვრავს დასაქმებულის უფლებებსა და ვალდებულებებს, მათ შორის: უფლებას, უარი თქვას იმ სამუშაოს შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგე-

---

1632 კანონის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტი.
1633 კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი.
1634 კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი.
1635 კანონის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი.
1636 კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი.
1637 კანონის მე-7 მუხლი.
1638 კანონის მე-8 მუხლი.

ბა შრომის უსაფრთხოების ნორმების დაუცველობას და აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ასევე ვალდებულებას, იხელმძღვანელოს შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციებით, სამართლებრივი ნორმებითა და წესებით, გამოიყენოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები ინსტრუქციების შესაბამისად, დამსაქმებელს შეატყობინოს ხარვეზის შესახებ, რომელმაც შეიძლება საშიშროება შეუქმნას შრომის უსაფრთხოებას ან გამოიწვიოს უბედური შემთხვევა, არ გამოცხადდეს სამუშაოზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში და სამუშაოს შესრულებისას არ მოიხმაროს ასეთი მდგომარეობის გამომწვევი ნივთიერებები, დაემორჩილოს სამუშაო სივრცეში თამბაქოს მოხმარების შესახებ აკრძალვებს და სხვ.[1639]

ამას გარდა, კანონი ადგენს პასუხისმგებლობის სახეებს შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის ისეთი ადმინისტრაციული სახდელების გამოყენებას, როგორებიცაა: გაფრთხილება, ჯარიმა, სამუშაო პროცესის შეჩერება.[1640] კანონი ითვალისწინებს მრავალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებას, რომელიც სხვადასხვა საკითხზე მოაწესრიგებს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალურ მოთხოვნებს.[1641]

გარდა ამისა, საქართველოში მოქმედებს კანონი შრომის ინსპექციის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს, შრომის ინსპექციის სამსახურის უფლებამოსილებებს, ამ უფლებამოსილებების განხორციელებასა და შრომითი ნორმების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს.[1642]

ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობა შრომის უსაფრთხოების შესახებ ადგენს მნიშვნელოვან საკანონმდებლო მექანიზმს სამუშაო ადგილზე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ეფექტიანად უზრუნველსაყოფად.

რაც შეეხება ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ სტანდარტებს და მათ ასახვას საქართველოს კანონმდებლობაში, აღსანიშნავია შემდეგი: სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საწარმოო საქმიანობის მიმართ მნიშვნელოვანი საქმეა *ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ (Oneryildiz v. Turkey)*, რომელიც ეხებოდა ნაგავსაყრელზე მომხდარ აფეთქებას, რომლის შედეგად განადგურდა მასთან ახლომდებარე საცხოვრებლები და გარდაიცვალა რამდენიმე ათეული ადამიანი.[1643] ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ თურქეთის ხელისუფლება პასუხისმგებელი იყო ადამიანთა გარდაცვალებისათვის, რადგან შემთხვევამდე ორი წლით ადრე მომზადებულ საექსპერტო დასკვნაში ნაგავსაყრელზე არსებული მდგომარეობის შესახებ მიეთითა, რომ ნაგავსაყრელი არ აკმაყოფილებდა შესაბამის ტექნიკურ მოთხოვნებს და, რომ არსებობდა საფრთხე იქ მცხოვრები ადამიანების სიცოცხლისათვის. სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა იმ პრევენციულ ღონისძიებებზე, რომლებიც სახელმწიფოს შეიძლება გადაედგა თავისი პოზიტიური ვალდებულების შესასრულებლად.[1644]

ონერუილდიზის საქმეზე წამოჭრილი საკითხები საქართველოში წესრიგდება, უპირველეს ყოვლისა, ნარჩენების მართვის კოდექსით, რომელიც, ზოგადად, ადგენს

1639 კანონის მე-10 და მე-11 მუხლები.

1640 კანონის მე-17 და მე-18 მუხლები.

1641 კანონის 25-ე მუხლი.

1642 29 სექტემბერი, 2020 წელი. კანონის 1-ელი მუხლი.

1643 30 ნოემბერი, 2004 წელი.

1644 58-ე პუნქტი; ასევე იხ. D. Xenos, Asserting the Right to Life (Article 2, ECHR) in the Context of Industry, German Law Journal, Vol. 8, No.3, March 2007, 245-246.

უსაფრთხოების წესებს ნაგავსაყრელის ფუნქციონირების მიმართ.[1645] კოდექსი ითვალისწინებს, რომ უნდა განისაზღვროს ნაგავსაყრელის მოწყობისადმი ტექნიკური და სხვა სახის მოთხოვნები, დადგინდეს ნაგავსაყრელის დახურვისა და შემდგომი მოვლისადმი ტექნიკური სტანდარტები და გასატარებელი ღონისძიებები, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

კოდექსის გარდა, საქართველოში მოქმედებს ტექნიკური რეგლამენტი ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ.[1646] ის ადგენს, რომ მისი მიზანია, უზრუნველყოს გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე ნაგავსაყრელის თანმხლები უარყოფითი ზემოქმედების პრევენცია ან მაქსიმალურად შემცირება.[1647]

სხვა მრავალ ტექნიკურ მოთხოვნასთან ერთად, რეგლამენტი განსაზღვრავს ნაგავსაყრელის ადგილმდებარეობას. კერძოდ, რეგლამენტის მიხედვით, მანძილი საცხოვრებელი სახლებიდან ნაგავსაყრელის უჯრედამდე უნდა იყოს არანაკლებ 500 მეტრისა,[1648] ხოლო ნაგავსაყრელისათვის ადგილის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს წყალმოვარდნის, ნიადაგის დაწევის, მეწყრისა ან ზვავების საშიშროება, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები.[1649]

რეგლამენტი ადგენს ნაგავსაყრელებთან დაკავშირებული საფრთხის თავიდან აცილების წესებს, მათ შორის ითვალისწინებს ნაგავსაყრელის აირების მართვას.[1650] კერძოდ, რეგლამენტი ითვალისწინებს კვლევის ჩატარებას ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენებიდან აირების გაფრქვევის დასადგენად და, საჭიროების შემთხვევაში, ნაგავსაყრელის აირების შეგროვების სისტემის დამონტაჟებას, აირების დაჭერას შემკრები სისტემის საშუალებით და აირების სადრენაჟო სისტემის მოწყობას.[1651] რეგლამენტის მიხედვით, ნაგავსაყრელის აირების შეგროვება, დამუშავება და გამოყენება უნდა მოხდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს.[1652]

რეგლამენტი ასევე ადგენს კონტროლისა და მონიტორინგის პროცედურებს ნაგავსაყრელის ოპერირებისა და დახურვის შემდგომი მოვლის ეტაპზე. კერძოდ, რეგლამენტი მოითხოვს აირების ემისიების მონიტორინგის განხორციელებას ოპერირების ეტაპზე თვეში ერთხელ, ხოლო ნაგავსაყრელის დახურვის შემდგომი მოვლის ეტაპზე, 6 თვეში ერთხელ.[1653]

საქართველოს კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა ადასტურებს, რომ საქართველოში დადგენილია ნაგავსაყრელების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მრავალი ტექნიკური საკითხი, მათ შორის განსაზღვრულია ნაგავსაყრელის საცხოვრებელი სახლებიდან დაშორება, ნაგავსაყრელის ადგილის შერჩევისას გაითვალისწინება წყალმოვარდნის, ნიადაგის დაწევის, მეწყრისა ან ზვავების საშიშროება, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები, ასევე მხედველობაში მიიღება ნაგავსაყრელებთან დაკავ-

---

1645 26 დეკემბერი, 2014 წელი.

1646 საქართველოს მთავრობის დადგენილება N421, 11 აგვისტო, 2015 წელი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/2946318?publication=3#DOCUMENT:1;].

1647 ტექნიკური რეგლამენტის 1(1)-ელი მუხლი.

1648 ტექნიკური რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი.

1649 ტექნიკური რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი.

1650 ტექნიკური რეგლამენტის მე-13 მუხლი.

1651 ტექნიკური რეგლამენტის მე-13 მუხლის 1-ელი-მე-3 პუნქტი.

1652 ტექნიკური რეგლამენტის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი.

1653 ტექნიკური რეგლამენტის 38-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

შირებული საფრთხის თავიდან აცილების წესები, მათ შორის, აირების მართვის წესი. კერძოდ, ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენებიდან აირების გაფრქვევის დასადგენად ტარდება კვლევა, ხდება აირების შეგროვების სისტემის დამონტაჟება და აირების სადრენაჟო სისტემის მოწყობა. ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულია ნაგავსაყრელის ოპერირებისა და დახურვის შემდგომი მოვლის მონიტორინგის სისტემა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა სათანადოდ აწესრიგებს ევროპული სასამართლოს მიერ *ონერუილდიზის* საქმეზე დადგენილ სტანდარტებს.

სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საწარმოო საქმიანობის თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანი საქმეა *ბრინკატი და სხვები მალტის წინააღმდეგ (Brincat and Others v. Malta)*. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მალტამ ვერ შეასრულა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება, კერძოდ, არ შექმნა საკანონმდებლო ჩარჩო და არ გადადგა პრევენციული ღონისძიებები აზბესტის ზემოქმედებისაგან იმ პირთა დასაცავად, რომლებზეც ეს ნივთიერება ახდენდა გავლენას.[1654]

საქართველოში აზბესტის გამოყენება, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მავნე ნივთიერებაა,[1655] არ არის აკრძალული[1656] და ის გამოიყენება მშენებლობასა და ხანძარსაწინააღმდეგო იზოლაციის საშუალებებში, ასევე შენობა-ნაგებობების გადასახურად, ელექტროობაში (როგორც საიზოლაციო საშუალება) და მანქანის სამუხრუჭე სისტემაში.[1657] საქართველოში აზბესტის გამოყენებას აწესრიგებს რამდენიმე ნორმატიული აქტი, მათ შორის საქართველოს მთავრობის დადგენილება „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.[1658] ეს რეგლამენტი ადგენს მოთხოვნებს აზბესტის ნარჩენების მართვასა და დამუშავებაზე, რომლებიც ითვალისწინებს ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვას აზბესტის მავნე ზეგავლენისაგან.[1659]

ადამიანზე აზბესტის მავნე გავლენის შემცირებას ისახავს მიზნად საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ,[1660] რომელიც ადგენს, რომ შრომის უსაფრთხოებისათვის აუცილებელია, საქართველოს მთავრობამ მიიღოს ტექნიკური რეგლამენტი სამუშაო ადგილზე აზბესტის, კარცინოგენების, მუტაგენებისა და ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედებასთან დაკავშირებული რისკებისაგან დასაქმებულთა დაცვის შესახებ.[1661] სადღეისოდ, ასეთი ტექნიკური რეგლამენტი მიღებული არ არის.[1662]

1654 24 ივლისი, 2014 წელი.

1655 აზბესტის ხანგრძლივი ზემოქმედება ადამიანზე იწვევს ფილტვის სიმსივნის საფრთხესაც კი.

1656 საქართველოში იკრძალება აზბესტის იმ ბოჭკოს იმპორტ-ექსპორტი, რომელიც შეიცავს კროციდოლიტს, ამოზიტს, ანტოფილტს, აქტინოლიტს და ტრემოლიტს. იხ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N133/ნ „საქართველოს ტერიტორიაზე წარმოების, გამოყენებისა და ექსპორტ-იმპორტის აკრძალვას ან მკაცრად შეზღუდულ გამოყენებას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების ნუსხის დამტკიცების შესახებ“, 26 მარტი, 2001 წელი.

1657 იხ. [https://hsegroup.ge/what-harm-does-asbestos-do-to-us/].

1658 საქართველოს მთავრობის დადგენილება N145, 29 მარტი, 2016 წელი.

1659 ტექნიკური რეგლამენტის მე-13 მუხლი.

1660 19 თებერვალი, 2019 წელი.

1661 19 თებერვალი, 2019 წელი. მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.დ.“ ქვეპუნქტი.

1662 ეს დოკუმენტი უნდა მიღებულიყო 2022 წლის 1-ელ სექტემბრამდე. იხ. ტექნიკური რეგლამენტის 25-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „დ.ა.“ ქვეპუნქტი.

ამას გარდა, საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს პროფესიული დაავადებების ნუსხასა და იმ პროფესიების ჩამონათვალს, რომელსაც თან ახლავს პროფესიული დაავადების განვითარების რისკი. ამ დაავადებების ნუსხაში შედის აზბესტოზი, რომელსაც იწვევს ადამიანზე აზბესტის ზემოქმედება.[1663]

კანონმდებლობით ასევე განსაზღვრულია მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხა, რომელშიც შედის აზბესტის წარმოებასთან ან/და მის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოები და ადგენს წესს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სავალდებულოდ გამოყენების შესახებ.[1664]

საქართველოს კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: აზბესტის გამოყენების მარეგულირებელი ჩარჩო ადგენს, რომ აზბესტი განეკუთვნება ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებას. მარეგულირებელი ჩარჩო ითვალისწინებს აზბესტის შეგროვებისა და დამუშავების სპეციალურ წესებს, რომელთა მიზანია მისი მავნე ზემოქმედების შემცირება. ამას გარდა, კანონმდებლობით დადგენილია პროფესიული დაავადებების ნუსხა და პროფესიების ჩამონათვალი, რომელსაც თან ახლავს აზბესტის გამოყენებით განვითარებული დაავადებათა რისკი და ადგენს, რომ მის წარმოებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაო განეკუთვნება მავნე სამუშაოთა ნუსხას. ეს ნიშნავს, რომ ის ადამიანები, რომლებიც ირჩევენ შესაბამის პროფესიებს და დაკავებული არიან აზბესტის გამოყენებასთან დაკავშირებული საქმიანობით, ინფორმირებულნი არიან მის საფრთხეზე ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის. მარეგულირებელი ჩარჩო ასევე ითვალისწინებს წესს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების შესახებ.

საბოლოოდ, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს *ბრინკატის* საქმეზე ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს. ამასთანავე, აუცილებელია, რომ საქართველოს მთავრობამ მიიღოს ტექნიკური რეგლამენტი სამუშაო ადგილზე აზბესტის, კარცინოგენების, მუტაგენებისა და ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედებასთან დაკავშირებული რისკებისაგან დასაქმებულთა დაცვის შესახებ, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ.

ზოგადად კი, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ან თითქმის ყველა საწარმოო საქმიანობა შეიცავს სხვადასხვა ხარისხის საფრთხეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის (მაგალითად, ქიმიური წარმოება, წიაღისეულის მოპოვება, ქვის გადამამუშავებელი წარმოება). სახელმწიფომ თავად უნდა განსაზღვროს, რომელი საწარმოო საქმიანობა უნდა ჩაითვალოს სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველად და რა ხარისხით და, შესაბამისად, მან უნდა დაადგინოს ის პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც უნდა გაატარონ კონკრეტული საფრთხის შემცველი საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე. თუ საწარმოო საქმიანობა უქმნის მაღალ საფრთხეს ადამიანის ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს, ასეთი საქმიანობა შეიძლება საერთოდ აიკრძალოს (მაგალითად, აზბესტის გამოყენებასთან დაკავშირებული საქმიანობა), ხოლო თუ საწარმოო საქმიანობიდან მომდინარე საფრთხე არის საშუალო ან დაბალი, მას შეუძლია, დააწესოს

1663 იხ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N216/ნ „პროფესიული დაავადებების ნუსხისა და იმ პროფესიული საქმიანობის ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელსაც თან ახლავს პროფესიული დაავადების განვითარების რისკი“. 13 ივლისი, 2007 წელი.

1664 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N147/ნ „მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხის“ დამტკიცების შესახებ, 3 მაისი, 2007 წელი.

ისეთი მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის მინიმუმამდე შემცირებას.

იმის განსასაზღვრავად, არის თუ არა ესა თუ ის საწარმოო საქმიანობა საფრთხის შემცველი და რა ხარისხით, სახელმწიფომ შეიძლება გამოიყენოს სხვადასხვა კვლევა, საწარმოო შემთხვევების სტატისტიკა, საწარმოო პრაქტიკისა და სამუშაო ადგილას პირთა გარდაცვალების შემთხვევების ანალიზი, საჩივრები და ა.შ. ამ გზით სახელმწიფო შეძლებს იმისა შეფასებას, არის თუ არა კონკრეტული საწარმოო საქმიანობა საფრთხის შემცველი ადამიანის (როგორც დასაქმებულების, ისე ფართო საზოგადოების) სიცოცხლისათვის, რაც მას დაეხმარება, უზრუნველყოს შესაფერისი პრევენციული ღონისძიებების გატარება სიცოცხლის დასაცავად.[1665]

ბ) პრაქტიკა

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, არა მხოლოდ მიიღოს კანონმდებლობა საფრთხის შემცველი საწარმოო საფრთხისაგან ადამიანის სიცოცხლის დასაცავად, არამედ გაატაროს პრაქტიკული ღონისძიებები ამ კანონმდებლობის აღსრულების მიზნით.

ბოლო წლებში საქართველოში არაერთი შემთხვევა მოხდა, რომელსაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა საწარმოო (შრომითი) საქმიანობის დროს. ამას მოწმობს როგორც მრავალი კონკრეტული ფაქტი,[1666] ისე სამუშაო ადგილზე პირთა გარდაცვალების სტატისტიკა. ამ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2023 წლის

1665 D. Xenos, Asserting the Right to Life (Article 2, ECHR) in the Context of Industry, German Law Journal, Vol. 8, No.3, March 2007, 237-238.

1666 სამუშაო ადგილას პირთა გარდაცვალების მრავალრიცხოვნობის გამო მოხსენიებული შემთხვევები მხოლოდ საილუსტრაციოა: „დიდუბე-ავჭალის მონაკვეთზე მომხდარი სარკინიგზო შემთხვევის დროს დაღუპულები „საქართველოს რკინიგზის“ თანამშრომლები არიან“, 3 სექტემბერი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/810870-opicialuri-inpormaciit-didube-avchalis-monakvetze-momxdari-sarkinigzo-shemtxvevis-dros-dagupulebi-sakartvelos-rkinigzis-tanamshromlebi-arian-romlebic-gegmur-samushaoebs-asrulebdnen]; „ხულოში ერთ-ერთ საამქროში დასაქმებული დაიღუპა, 24 სექტემბერი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/770919-xuloshi-ert-ert-saamkroshi-dasakmebuli-daigupa]; „რუსთავის ერთ-ერთ ქარხანაში მუშა დაიღუპა, 3 იანვარი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/690825-rustavis-ert-ert-karxanashi-musha-daigupa]; „გურჯაანში, პურის საცხობში ახალგაზრდა მამაკაცი, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის გაჟონვით გარდაიცვალა, 4 მაისი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/708973-gurjaanshi-puris-sacxobshi-axalgazrda-mamakaci-savaraudod-bunebrivi-airis-gazhonvit-gardaicvala]; „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ერთ-ერთ ობიექტზე სადემონტაჟო სამუშაოების დროს დაშავებული მამაკაცი კლინიკაში გარდაიცვალა, 16 ოქტომბერი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/679098-zestaponis-peroshenadnobta-karxnis-ert-ert-obiektze-sademontazho-samushaoebis-dros-dashavebuli-mamakaci-klinikashi-gardaicvala]; „საქართველოს რკინიგზა“ ქუთაისში, უბედური შემთხვევის შედეგად, ორი თანამშრომლის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს, 17 სექტემბერი, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/618824-sakartvelos-rkinigza-kutaisshi-ubeduri-shemtxvevis-shedegad-ori-tanamshromlis-gardacvalebis-shesaxeb-inpormacias-avrcelebs]; გარდაცვალების მრავალი შემთხვევაა მაღაროელებს შორის, სადაც ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ბევრი ადამიანი გარდაიცვალა. „სიკვდილის ქალაქი“, 9 თებერვალი, 2022 წ., იხ.: [https://mtisambebi.ge/news/people/item/1440-sikvdilis-qalaqi?fbclid=IwAR1OxvxRHEesrDp4gSnrPZnsnb_ixkpZtrM4qD9a4Ujh1FyvA92naiDw20E].

განმავლობაში სამუშაო ადგილზე გარდაიცვალა 34 და დაშავდა 347 დასაქმებული. ამ პერიოდის განმავლობაში გარდაცვალების ყველაზე მეტი შემთხვევა მშენებლობის სფეროში მოხდა.[1667] 2022 წელს სამუშაო ადგილზე გარდაიცვალა 35 და დაშავდა 330 დასაქმებული.[1668] 2021 წელს სამუშაო ადგილზე გარდაიცვალა 37 ადამიანი.[1669] 2020 წელს სამუშაო ადგილზე გარდაიცვალა 39, 2019 წელს 45,[1670] ხოლო 2018 წელს 59 ადამიანი.[1671] ეს სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ საქართველოში სამუშაო ადგილზე გარდაცვალებათა რაოდენობა ნელ-ნელა მცირდება. შრომის ინსპექტორის ანგარიშში მითითებული ინფორმაციის მიხედვით, 2023 წელს საწარმოო უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა, 2018 წელთან შედარებით, შემცირებულია 42 პროცენტით.[1672] გარდაცვლილთა რაოდენობის შემცირება შეიძლება აიხსნას როგორც მარეგულირებელი კანონმდებლობის გამკაცრებით, რომელიც დამსაქმებლებს აკისრებს ვალდებულებებს შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის შესახებ, ისე შრომის ინსპექციის საქმიანობის გააქტიურებით. შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2023 წლის განმავლობაში შრომის ინსპექციის სამსახურის მიერ, ჯამში, 3765 ინსპექტირება (შემოწმება) მოხდა და იზრდება შემოწმებული ობიექტების რაოდენობა.[1673] გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, 2023 წელს ინსპექტირებათა საერთო რაოდენობიდან 2523 შემთხვევაში შრომის ინსპექციის სამსახურმა გამოიყენა სანქცია, მათ შორის, 361 შემთხვევაში საწარმოს შეუჩერდა საქმიანობა, 643 შემთხვევაში გამოყენებულ იქნა ჯარიმა, ხოლო 1523 შემთხვევაში – გაფრთხილება.[1674] გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, შრომის ინსპექციის მიერ სამუშაო ადგილზე ყველაზე ხშირად გამოვლენილი დარღვევებია: ობიექტზე სწავლება/

1667 „შრომის ინსპექციის სამსახური – 2023 წლის საანგარიშო პერიოდში სამუშაო ადგილზე გარდაიცვალა 34 და დაშავდა 347 დასაქმებული“, 21 მაისი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/800294-shromis-inspekciis-samsaxuri-2023-clis-saangarisho-periodshi-samushao-adgilze-gardaicvala-34-da-dashavda-347-dasakmebuli].

1668 „2022 წელს სამუშაო ადგილზე გარდაიცვალა 35 და დაშავდა 330 დასაქმებული“, 7 სექტემბერი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/768795-2022-cels-samushao-adgilze-gardaicvala-35-da-dashavda-330-dasakmebuli].

1669 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევები, იხ.: [https://www.geostat.ge/ka/modules/categories/810/samushao-sivrtseshi-momkhdari-ubeduri-shemtkhvevebi]. [ნანახია: 8 სექტემბერი, 2024 წ.].

1670 „საქართველოში 2019 წლიდან 2021 წლის ივნისამდე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას 90 ადამიანი დაიღუპა“, 17 ივნისი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/661354-sakartveloshi-2019-clidan-2021-clis-ivnisamde-samsaxureobrivi-movaleobis-shesrulebisas-90-adamiani-daigupa].

1671 „2019 წელს სამუშაო ადგილზე დაიღუპა 49 ადამიანი, დაშავდა – 142, ომბუდსმენი“, 3 აპრილი, 2020 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/news/440362/].

1672 „შრომის ინსპექციის სამსახური – 2023 წელს საწარმოო უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა 2018 წელთან შედარებით 42%-ითაა შემცირებული“, 21 მაისი, 2024 წ., [https://www.interpressnews.ge/ka/article/800276-shromis-inspekciis-samsaxuri-2023-cels-sacarmoo-ubeduri-shemtxvevebis-shedegad-gardacvlilta-raodenoba-2018-celtan-shedarebit-42-itaa-shemcirebuli].

1673 იქვე.

1674 „შრომის ინსპექციის სამსახურმა 2023 წელს უსაფრთხოების მიმართულებით 3765 ინსპექტირება ჩაატარა, 2527 შემთხვევაში კი სანქცია გამოიყენა“, 24 თებერვალი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/788565-shromis-inspekciis-samsaxurma-2023-cels-usaprtxoebis-mimartulebit-3765-inspektireba-chaatara-2527-shemtxvevashi-ki-sankcia-gamoiqena].

ინსტრუქტაჟის ჩაუტარებლობა, დასაქმებულთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვის არარსებობა, ობიექტზე რისკების შეუფასებლობა; ობიექტის კოლექტიური დაცვის საშუალებებით აღჭურვის არარსებობა; ობიექტზე პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთის განუთავსებლობა; ობიექტზე შეუმოწმებელი ტექნიკური აღჭურვილობა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის არყოლა.[1675]

მიუხედავად მდგომარეობის გამოსწორების ტენდენციისა, საქართველოში სამუშაო ადგილზე გარდაცვალებათა რაოდენობა ძალიან მაღალია, რაც შრომითი უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო ორგანოს – შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის კიდევ უფრო გაზრდას მოითხოვს. ამისათვის აუცილებელია მის ხელთ არსებული რესურსების გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს ინსპექტირებათა რაოდენობის ეტაპობრივ მომატებას და, საბოლოოდ, უზრუნველყოფს სამუშაო ადგილზე სიკვდილიანობის შემცირებას.

რაც შეეხება ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში წამოჭრილ საკითხებს, რომელიც ეხება სიცოცხლის დაცვას ისეთ საწარმოო (შრომით) საქმიანობაში, როგორიცაა ნაგავსაყრელის ფუნქციონირება, მასმედიით გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა არ მომხდარა. მასმედიით გავრცელებული ინფორმაციით, არც აზბესტის ზემოქმედებისაგან იმ პირთა დაცვის საკითხი წამოჭრილა პრაქტიკაში, რომელზეც ეს ნივთიერება ახდენს გავლენას, ისევე როგორც არ ყოფილა რაიმე სასამართლო დავა დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის აზბესტის ზემოქმედებაზე.

6.3.2.4.2. ბუნებრივი კატაკლიზმების თავიდან აცილების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში

ა) კანონმდებლობა

როგორც აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეული საფრთხეებისაგან ადამიანის სიცოცხლის დაცვაზე. ამ ვალდებულების შესასრულებლად, სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა შექმნას სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც მიმართული იქნება ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეული საფრთხეებისაგან სიცოცხლის დაცვისაკენ.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ ნათელი მოჰფინა სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას მოსახლეობა ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეული საფრთხისაგან. კერძოდ, საქმეზე – *ბუდაევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Budayeva and Others v. Russia)*, რომელიც ეხებოდა რუსეთის არასათანადო რეაგირებას მეწყრის ჩამოწოლის საფრთხის მიმართ, რასაც მოჰყვა არაერთი ადამიანის გარდაცვალება, – ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება, რადგან არ გაატარა სათანადო ღონისძიებები მეწყრის ფართომასშტაბიანი ჩამოწოლის საფრთხის წინააღმდეგ, ვერ უზრუნველყო ადგილობრივი მოსახლეობის გაფრთხილება ასეთი საფრთხის შესახებ, არ შეიმუშავა და განახორციელა საევაკუაციო და საგანგებო ღონისძიებების გეგმა.[1676] ამის გამო სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.[1677]

1675 იქვე.

1676 20 მარტი, 2008 წელი.

1677 160-ე პუნქტი. იმავდროულად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში. იხ. 165-ე პუნქტი.

ბუნებრივი კატაკლიზმების შემთხვევაში სიცოცხლის დაცვისათვის პოზიტიური ვალდებულების შესრულება ასევე დაეკისრა სახელმწიფოს საქმეზე – *კოლიადენკო რუსეთის წინააღმდეგ (Kolyadenko v. Russia)*. კერძოდ, ეს საქმე ეხებოდა სახელმწიფოს კუთვნილი რეზერვუარიდან წყლის დიდი მასის გაშვებას ახლომდებარე მდინარეში, მიუხედავად იმ საფრთხისა, რომელიც ასეთ მოქმედებას შეიძლება გამოეწვია ახლომდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის.[1678] ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში იმის გამო, რომ:[1679]

ა) სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მკაფიო საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩოს დადგენა, რომელიც მისცემდა მას შესაძლებლობას, ეფექტიანად შეეფასებინა რეზერვუარის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საფრთხეები და უზრუნველეყო რეზერვუარის სიახლოვეს ქალაქის დაგეგმარების პოლიტიკის განხორციელება, სათანადო ტექნიკური სტანდარტების დაცვით;

ბ) არ არსებობდა თანმიმდევრული საზედამხედველო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა, რომ პასუხისმგებელ პირებს გადაედგათ ნაბიჯები ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სათანადოდ დასაცავად და, განსაკუთრებით, იმისათვის, რომ მიმდებარე მდინარის არხი ყოფილიყო გაწმენდილი, რათა გამკლავებოდა რეზერვუარიდან წყლის დიდი მასის გაშვებას, ასევე იმისათვის, რომ ადგილზე ეფუნქციონერა განგაშის (გამაფრთხილებელ) სისტემას და მომხდარიყო ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება რეზერვუარის მუშაობასთან დაკავშირებული პოტენციური საფრთხეების შესახებ;

გ) არ არსებობდა საკმარისი კოორდინაცია და თანამშრომლობა სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოს შორის, რათა უზრუნველეყოთ, მათთვის ცნობილი საფრთხე არ გამხდარიყო იმდენად დიდი, რომ შეექმნა საშიშროება ადამიანთა სიცოცხლისათვის.

ბუნებრივი კატაკლიზმების მიმართ ასევე საყურადღებოა საქმე *მ. ოზელი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (M. Özel and Others v. Turkey),* რომელიც ეხებოდა თურქეთში 1999 წელს მომხდარ მიწისძვრას.[1680] ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ცხადყო, რომ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება მოიცავს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც მიმართულია სიცოცხლის უფლების დაცვისაკენ მიწისძვრის შემთხვევაში. სასამართლოს აზრით, სახელმწიფოს ვალდებულება მიწისძვრით გამოწვეული ზიანის თავიდან აცილების კუთხით, ძირითადად მოიცავს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც მიმართულია კატასტროფის მასშტაბის შემცირებისაკენ, განსაკუთრებით ქალაქის განაშენიანების დაგეგმარებისა და მისი კონტროლის უზრუნველყოფისაკენ.[1681]

1678 28 თებერვალი, 2012 წელი; ასევე იხ. საქმე *მურილოს სალდიასი ესპანეთის წინააღმდეგ (Murilos Saldias v. Spain),* რომელიც ეხებოდა 87 ადამიანის გარდაცვალებას, რაც გამოიწვია ბანაკის გასაშლელი ტერიტორიის დატბორვამ ძლიერი წვიმის შედეგად. გადაწყვეტილება, 28 ნოემბერი, 2006 წელი.

1679 187-ე პუნქტი. ამ საქმეზე ასევე დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში. იხ. 203-ე პუნქტი.

1680 17 ნოემბერი, 2015 წელი. ოფიციალური მონაცემებით, მიწისძვრის შედეგად გარდაიცვალა 17 480 და დაზარალდა 43 953 ადამიანი.

1681 ასევე იხ. საქმე *ვივიანი და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Viviani and Others v. Italy)*, რომელიც ეხებოდა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას ვულკანის ამოფრქვევით შექმნილი საფრთხის მიმართ. 16 აპრილი, 2015 წელი. ვეზუვი ერთადერთი ვულკანია ევროპაში, რომელიც ბოლო ასი წლის განმავლობაში აქტიური იყო. ის ახლა მიძინებულია (ბოლო ამოფრქვევა მოხდა 1944 წელს), თუმცა ამოფრქვევის საფრთხე არსებობს ნებისმიერ მომენტში.

საქართველოში ბუნებრივი კატაკლიზმების (კატასტროფების) სფეროს სამართლებრივი რეგულირება ხდება როგორც საკანონმდებლო, ისე კანონქვემდებარე აქტებით. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუციის 29(1)-ე მუხლი, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ადგენს: „ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ“. კონსტიტუცია ასევე ადგენს ბუნებრივი კატასტროფის დროს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლებამოსილებასა და წესს[1682] და განსაზღვრავს, რომ გადაწყვეტილებას ბუნებრივი კატასტროფის დროს თავდაცვის ძალების გამოყენების შესახებ იღებს პრემიერ-მინისტრი.[1683]

საქართველოში ბუნებრივი კატასტროფის სფეროს აწესრიგებს რამდენიმე კანონი. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტია კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ.[1684] ის განსაზღვრავს საქართველოში სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის ორგანიზებას, სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებებს, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სხვა ორგანოების უფლებამოსილებას, აგრეთვე მოსახლეობისა და იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს.[1685]

კანონი ადგენს სამართლებრივი დებულებების მთელ რიგს ბუნებრივი ან/და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ინციდენტისაგან/საგანგებო სიტუაციისაგან ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით. კერძოდ, კანონის მე-14 მუხლის 1-ელი პუნქტი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ, წარმოქმნის ხასიათიდან გამომდინარე, ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის ერთ-ერთი სახეა ბუნებრივი ინციდენტი/საგანგებო სიტუაცია. კანონის მიხედვით, სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემა არის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების და სხვა ორგანოების ერთიანი ქსელი, რომელიც სტრატეგიულ (პოლიტიკურ), ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე ახორციელებს შესაბამის კომპლექსურ ღონისძიებებს ბუნებრივი ან/და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული ინციდენტისაგან/საგანგებო სიტუაციისაგან ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, გარემოს ან/და ქონების დაცვის მიზნით.[1686]

კანონი ადგენს, რომ ეროვნული სისტემის წამყვანი ორგანო მშვიდობიან პერიოდში არის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, რომლის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტი წარმოადგენს ეროვნული სისტემის ძირითად საოპერაციო ძალებს.[1687] ამასთანავე, გათვალისწინებულია სხვა უწყებების ჩართულობაც ცალკეულ საფრთხეებზე რეაგირებისას. კანონმდებლობა დეტალურად ადგენს იმ უწყებების ჩამონათვალს, რომლებიც დარგობრივი კომპეტენციისა და ქვემდებარეობის შესაბამისად უნდა ჩაერთონ სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებაში.

კანონი ასევე ადგენს, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციის პრევენციას.[1688] კერძოდ, სახელმწიფო დგამს ნაბიჯებს ადამიანების (ისევე როგორც გარემოსა და ქონების) დასაცავად საგანგებო სიტუაციის რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების, საგანგებო სიტუაციის რისკის ან/და მასთან დაკავშირებული უარყოფითი ზემოქმედების შემცირების ან თავიდან აცილების მიზნით განხორციელებული სამართლებრივი, ორგანიზაციული, ეკონომიკური, საგანმანათლებლო, საინჟინრო-

---

1682 საქართველოს კონსტიტუციის 71(2)-ე მუხლი.

1683 იქვე.

1684 27 ივნისი, 2018 წელი.

1685 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტი.

1686 მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტი.

1687 მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი.

1688 მე-10 მუხლის 1-ელი პუნქტი.

ტექნიკური, სანიტარიულ-ჰიგიენური, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ღონისძიებების ერთობლიობას, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს სახიფათო ბუნებრივი მოვლენებისა და პროცესების დამაზიანებელი პოტენციალის სისტემატური შემცირებისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს და შესაბამის საინჟინრო-ტექნიკურ ღონისძიებებს.

კანონის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტი აწესებს, რომ სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნულ სისტემაში შემავალი სუბიექტების მოვალეობაში ასევე შედის: ა) საგანგებო სიტუაციის რისკის მართვა – საფრთხის იდენტიფიცირება, საგანგებო სიტუაციის რისკისა და მისი ზემოქმედების ანალიზი და მის საფუძველზე საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის შემუშავება; ბ) საგანგებო სიტუაციის პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, მათ შორის, საგანგებო სიტუაციის რისკის შემცირების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; გ) საგანგებო მართვის გეგმის შემუშავება.[1689]

კანონის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტი ითვალისწინებს, რომ სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნულ სისტემაში შემავალი სუბიექტების მოვალეობაში შედის: ა) ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების სისტემის, მათ შორის, ადრეული შეტყობინების სისტემის, განვითარება; და ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების დროულად გადაცემა და ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის დროს ქცევის წესების შესახებ ინფორმირება.[1690]

კანონი ასევე აწესებს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირთა ინფორმირების ვალდებულებას.[1691] კერძოდ, საგანგებო სიტუაციის დროს, როდესაც საფრთხე ექმნება/შეიძლება შეექმნას ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, ელექტრონული კომუნიკაციის კომპანია, რომელიც ახორციელებს მობილური საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფას ან/და მომსახურებას, და საზოგადოებრივი მაუწყებელი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოთხოვნით უზრუნველყოფენ საქართველოს მოქალაქეთათვის და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირთათვის საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინებისა და სხვა ინფორმაციის გადაცემას.[1692] კანონის მიხედვით, საგანგებო სიტუაციის შესახებ გადასაცემი შეტყობინება და სხვა ინფორმაცია მოიცავს: ა) მოსალოდნელი ან წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის და მისი გავრცელების საზღვრების შესახებ მონაცემებს; ბ) მოსალოდნელი ან წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის შედეგების შესახებ მონაცემებს; გ) საგანგებო სიტუაციაში ქცევის წესებს; და დ) პირთა დასაცავად გატარებული ღონისძიებების შესახებ მონაცემებს.[1693]

კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ ასევე ითვალისწინებს, რომ საგანგებო სიტუაციისაგან საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირთა დაცვის ძირითადი ღონისძიებებია: მათი ევაკუაცია ან/და თავშესაფრებში მოთავსება, მათი სახანძრო, საინჟინრო, ქიმიური, რადიაციული, სამედიცინო და ბიოლოგიური დაცვის ღონისძიებები და მათი ფსიქოლოგიური დახმარების მიზნით განსახორციელებელი სამოქალაქო უსაფრთხოების სხვა ღონისძიებები.[1694]

1689 იხ. ა), ბ) და ნ) ქვეპუნქტები.
1690 იხ. ვ) და ზ) ქვეპუნქტები.
1691 მე-12 მუხლი.
1692 მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი.
1693 მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი.
1694 21-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

ბუნებრივი კატასტროფის სფეროს ასევე აწესრიგებს კანონი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროებს, ამ პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის პროცესს და მისი დაგეგმვის მაკოორდინირებელი უწყების, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს – ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს უფლებამოსილებებს.[1695] ეროვნული უსაფრთხოების სფეროს ნაწილია სამოქალაქო უსაფრთხოება, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა ეკოლოგიური უსაფრთხოება. კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კანონის მიზნებისთვის სამოქალაქო უსაფრთხოების სფერო, სხვასთან ერთად, მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

ა) ეკოლოგიური საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების გამოვლენა, იდენტიფიცირება, შეფასება და პროგნოზირება;

ბ) ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული საგანგებო სიტუაციებისგან ქვეყნის მოსახლეობისა და ტერიტორიის დასაცავად შესაბამისი მექანიზმების შემუშავება;

გ) საომარი მდგომარეობის, ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული კატასტროფების, ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი სხვა კრიზისული ვითარების შედეგად მიყენებული ზიანის შემცირება, ქვეყნის მედეგობის უზრუნველყოფა;

დ) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების შესაძლებლობათა განვითარება და მათი კოორდინაცია.

გარდა ამისა, ბუნებრივი კატასტროფის სფეროს აწესრიგებს საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, რომელიც ადგენს, რომ მოქალაქე ვალდებულია, მოსალოდნელი ან მომხდარი ბუნებრივი (და ტექნოგენური) ავარიის და სხვა ეკოლოგიური კატასტროფის შესახებ ინფორმაციის მიღებისას დროულად აცნობოს სათანადო კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს ან განაცხადოს საჯაროდ.[1696]

კანონი ადგენს საქმიანობის სუბიექტის ვალდებულებას, ჰქონდეს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებული ბუნებრივი კატასტროფის შედეგების თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის ოპერატიული და სისტემატური ღონისძიებების, ავარიისა და კატასტროფის დროს მოქმედების გეგმები და შექმნას და მზადყოფნაში ჰყავდეს ავარიის სალიკვიდაციო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფილი სამსახური. მას ეკისრება ვალდებულება, რომ ყოველი მოსალოდნელი და მომხდარი ბუნებრივი კატასტროფის შესახებ დროულად აცნობოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს და მოსახლეობას.[1697]

ბუნებრივი კატასტროფების სფეროს ასევე აწესრიგებს საქართველოს კანონი წყლის რესურსების მართვის შესახებ, რომლის მიზანია წყლის რესურსების მართვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს, სხვა საკითხებთან ერთად, ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას.[1698]

კანონი ადგენს, რომ მისი ამოცანაა, შეიქმნას წყლის რესურსების მდგრადი ინტეგრირებული მართვის ისეთი სისტემა, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ხელს უწყობს წყალდიდობის რისკის შეფასებისა და მართვის სისტემის შექმნას.[1699] კანონი

1695 4 მარტი, 2015 წელი.

1696 10 დეკემბერი, 1996 წელი. მე-7 მუხლი.

1697 39(2)-ე მუხლი. კანონის 42-ე–44-ე მუხლები აწესრიგებს საგანგებო ეკოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

1698 30 ივნისი, 2023 წელი. 1(1)-ლი მუხლი.

1699 კანონის 1(2)-ლი მუხლის გ) ქვეპუნქტი.

განმარტავს როგორც წყალდიდობას, ისე წყალდიდობის რისკს. მისი განმარტებით, ეს უკანასკნელი არის დროის გარკვეულ პერიოდში შესაძლო წყალდიდობის მოსალოდნელი შედეგი, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხესთან, ეკონომიკურ ან/და სოციალურ ზიანთან ან/და ზარალთან.[1700]

კანონი ითვალისწინებს წყლის რესურსების სახელმწიფო მონიტორინგის სისტემის შექმნას. კერძოდ, კანონის 32-ე მუხლის მიხედვით, წყლის რესურსების სახელმწიფო მონიტორინგის სისტემა არის ზედაპირული წყლის და მიწისქვეშა წყლის ობიექტების ჰიდროლოგიურ, ჰიდრომორფოლოგიურ, ჰიდროგეოლოგიურ, ქიმიურ, ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, წყლის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებლებზე რეგულარული დაკვირვებისა და მონაცემთა ანალიზის ერთიანი სისტემა, რომლის მიზანია წყლის ობიექტების მდგომარეობის, მისი გარემოსთან (ბუნებრივ და ანთროპოგენურ) ურთიერთქმედების, მდინარის აუზში მიმდინარე ბუნებრივი და ანთროპოგენური პროცესების, საშიში და კატასტროფული მოვლენების თაობაზე ინფორმაციის მიღება, რისკფაქტორების ანალიზი, შეფასება და პროგნოზირება.

კანონის 34-ე მუხლი ადგენს წყალდიდობების საფრთხეების მართვის მექანიზმებს, წყალდიდობების საფრთხის რუკების და წყალდიდობების რისკების რუკების შემუშავების წესებს, განსაზღვრავს მათ შინაარსს, მოქმედების ვადას, აღნიშნულ პროცესში სხვადასხვა უწყების კომპეტენციებს. ეს მუხლი ასევე განსაზღვრავს წესებს წყალდიდობის საფრთხის მართვის შესახებ. კერძოდ, ამ მუხლის მიხედვით, გარემოს ეროვნული სააგენტო ყოველ 6 წელიწადში ერთხელ ახორციელებს წყალდიდობის რისკის წინასწარ შეფასებას ყველა მდინარის სააუზო უბნისთვის და განსაზღვრავს არეალებს, სადაც არსებობს წყალდიდობის პოტენციური მნიშვნელოვანი რისკი.[1701] ამავე მუხლის მიხედვით, გარემოს ეროვნული სააგენტო ამზადებს წყალდიდობის საფრთხეების რუკებს, ხოლო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური – წყალდიდობის რისკების რუკებს ყველა არეალისათვის, რომლებიც იდენტიფიცირებულია როგორც წყალდიდობის პოტენციური მნიშვნელოვანი რისკის არეალი. ეს რუკები განსაზღვრავს ზონებს წყალდიდობის საშუალო ალბათობის (სულ მცირე, ერთი მოვლენა 100 წელიწადში), მცირე და მაღალი ალბათობის შემთხვევებს. მდინარეთა აუზების იმ ზონებში, რომლებიც აღნიშნულია როგორც წყალდიდობის რისკის ზონები, აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს პოტენციური რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა და ეკონომიკური საქმიანობისა და გარემოს დაზიანების პოტენციური რისკი.[1702]

კანონი ითვალისწინებს, რომ უნდა მომზადდეს წყალდიდობის რისკის მართვის გეგმა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს წყალდიდობის პრევენციის, მისგან დაცვისა და მზადყოფნის საკითხებს, მათ შორის, წყალდიდობის პროგნოზისა და ადრეული შეტყობინების სისტემებს. წყალდიდობის რისკის მართვის გეგმები უნდა აისახოს მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმაში.[1703]

აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა ადგენს წყალდიდობების რისკების მართვის მექანიზმებს, წყალდიდობების საფრთხის რუკების და წყალდიდობების რისკების რუკების შემუშავების წესებს, განსაზღვრავს მათ შინაარსებს, მოქმედების ვადას და ამ პროცესში სხვადასხვა უწყების კომპეტენციას. ბუნებრივი კატასტროფის სფეროს ასევე აწესრიგებს სხვა საკანონმდებლო აქტები, მათ შორის კანონი

1700 კანონის მე-4 მუხლის ჰ[10] და ჰ[11] ქვეპუნქტები.

1701 1-ელი პუნქტი.

1702 მე-2 პუნქტი.

1703 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

საგანგებო მდგომარეობის შესახებ,[1704] ტყის კოდექსი[1705] და კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.[1706]

ბუნებრივი კატასტროფის სფეროს მარეგულირებელი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა.[1707] დოკუმენტით იდენტიფიცირებულია არსებული საფრთხეები, გათვალისწინებულია კონკრეტული პრევენციული ღონისძიებები და ამ ღონისძიებებზე პასუხისმგებელი უწყებები. კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგია მიზნად ისახავს კატასტროფის რისკის შემცირების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე კატასტროფებისადმი მზაობისა და მათზე რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესებას და, ასევე, შესაძლო საფრთხეებზე რეაგირების ეფექტიანობის გაზრდას, და განსაზღვრავს ქვეყნის წინაშე არსებული, ბუნებრივი (და ადამიანური ფაქტორებით) გამოწვეული საფრთხეების, რისკების და გამოწვევების შემცირების ღონისძიებებს და ადგენს კატასტროფის რისკის შემცირების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგიის საფუძველზე მომზადებულია სამოქმედო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია სტრატეგიის მიზნების მისაღწევად გასატარებელი ღონისძიებები და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები.

სტრატეგიით გათვალისწინებულია, რომ სხვადასხვა სახის კატასტროფებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე დასაყვანად ძალზე მნიშვნელოვანია, მოხდეს კატასტროფის რისკის წინასწარი იდენტიფიცირება, შეფასება და შემცირების ღონისძიებების დაგეგმვა.[1708] კატასტროფის რისკების შესამცირებლად აუცილებელია შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბება ეროვნულ დონეზე. სტრატეგიის მიხედვით, საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების პოლიტიკის პრიორიტეტია კრიზისების მართვის ერთიანი, მოქნილი, მუდმივმოქმედი და ეფექტიანი სისტემის არსებობა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უწყებათა კოორდინირებული მუშაობით უზრუნველყოფს ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების იდენტიფიცირებას, შეფასებას, თავიდან აცილებას, მართვას და ნეგატიური შედეგების უმოკლეს დროში ლიკვიდაციას ან მინიმუმამდე შემცირებას.[1709]

სტრატეგიაში ხაზგასმულია, რომ „საქართველო არის ტრანსკონტინენტური ქვეყანა, და რთული გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საგრძნობლად მოწყვლადია სხვადასხვა სახის ბუნებრივი კატასტროფების მიმართ. საქართველოს რელიეფი, მეტეოროლოგიური პირობები და გარემოზე მაღალი ანთროპოგენული ზეწოლა

1704 1-ელი პუნქტი ითვალისწინებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას ბუნებრივი კატასტროფის შემთხვევაში, 17 ოქტომბერი, 1997 წელი.

1705 კოდექსი ადგენს ავტონომიური რესპუბლიკისა და მუნიციპალიტეტების კომპეტენციას ეკოლოგიური კატასტროფებით დაზიანებული ტყის აღდგენა-გაშენებაში მონაწილეობას, ისევე როგორც მართვის ორგანოს მონაწილეობას ეკოლოგიური კატასტროფებით დაზიანებული ტყის აღდგენა-გაშენების ორგანიზებაში, იხ. კანონის მე-19 მუხლის დ) პუნქტი, მე-20 მუხლის დ) პუნქტი და 21-ე მუხლის ლ) პუნქტი.

1706 კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულია მონაცემთა დამუშავების საფუძველი. კერძოდ, კანონის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მონაცემთა დამუშავება დაშვებულია, თუ ეს აუცილებელია ბუნებრივი და ადამიანის მოქმედებით გამოწვეული კატასტროფების სამართავად.

1707 საქართველოს მთავრობის დადგენილება N4, 11 იანვარი, 2017 წელი. იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/3547798?publication=1].

1708 სტრატეგიის მე-3 პუნქტი.

1709 სტრატეგიის მე-3(2) პუნქტი.

ხელსაყრელ პირობებს ქმნის ისეთი ბუნებრივი კატასტროფების განვითარებისთვის, როგორებიცაა: ზვავი, მეწყერი, მდინარის მიერ ნაპირების გარეცხვა, წყალდიდობა, გვალვა, სეტყვა, ეროზია, ძლიერი ქარი, ბუნებრივი ხანძრები, მიწისძვრა და სხვ.“[1710] სტრატეგიის მიხედვით, უკანასკნელი წლების მონაცემებით, სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების რაოდენობა საშუალოდ 15%-ით, ხოლო სტიქიური გეოლოგიური მოვლენების რაოდენობა საშუალოდ 58%-ით არის გაზრდილი.

სტრატეგია ითვალისწინებს კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნულ სისტემაში ადრეული შეტყობინებისა და განგაშის სისტემების ინტეგრირებას. კერძოდ, სტრატეგიით გათვალისწინებულია, რომ „კატასტროფის რისკის შემცირების სისტემაში ეფექტიანი პრევენციული და რეაგირების ღონისძიებების გატარების, უპირველეს ყოვლისა კი, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია ადრეული გაფრთხილების და განგაშის სისტემების შექმნა. სტრატეგიით განსაზღვრულია, რომ აუცილებელია, შემუშავდეს განგაშის სისტემის სტანდარტები და ერთიანი მიდგომა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება მოსახლეობისთვის შესაბამისი ინფორმაციის/სიგნალის მიწოდება კრიზისული სიტუაციის დროს.[1711]

რაც შეეხება ბუნებრივი კატაკლიზმების სფეროს მარეგულირებელ კანონქვემდებარე აქტებს, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი დადგენილება, მათ შორისაა:

ა) 2014 წლის 14 იანვრის N51 ტექნიკური რეგლამენტი სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების დამტკიცების თაობაზე, რომელიც მიმართულია მოსახლეობის დაცვის მოსალოდნელი დანაკარგებისა და ნგრევების შემცირებისაკენ საგანგებო სიტუაციების დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედების პირობებში, აგრეთვე უბედურების რაიონებსა და დაზიანების კერებში სამაშველო და გადაუდებელი ავარიულ-აღდგენითი სამუშაოებისათვის აუცილებელი ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად. სხვა საკითხებთან ერთად, რეგლამენტი ადგენს, რომ დაუშვებელია შენობა-ნაგებობების განლაგება ღვარცოფ-, ზვავ- და მეწყერსაშიშ ტერიტორიებზე.[1712]

ბ) 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილება სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ, რომლის მე-5 მუხლი ითვალისწინებს საგანგებო მართვის დროს პრევენციული ღონისძიებების გატარებას, მათ შორის: ა) მოსახლეობისა და ქონების დაცვის მიზნით, ინციდენტების, სახიფათო ბუნებრივი მოვლენებისა და პროცესების თავიდან აცილებას დაგროვებადი დამაზიანებელი პოტენციალის სისტემატიური შემცირებითა და საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებით; ბ) საგანგებო სიტუაციების საფრთხეების მონიტორინგსა და პროგნოზირებას; გ) საგანგებო სიტუაციების რისკის რუკების მომზადებას; დ) გარემოსდაცვით სფეროში ზედამხედველობასა და ლიცენზირებას; ე) საგანგებო სიტუაციის მართვის ერთიანი სისტემის ფუნქციონირების გაძლიერებულ მზადყოფნასა და საგანგებო რეჟიმებში შესაძლო საგანგებო სიტუაციების ზონიდან მოსახლეობის ევაკუაციას; ვ) საგანგებო სიტუაციის რისკის დროულად გამოვლენას, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების და რისკის მართვის გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას.

დადგენილება ასევე ითვალისწინებს საგანგებო სიტუაციების ზონებიდან მოსახლეობის ევაკუაციის წესს და განსაზღვრავს პასუხისმგებელი უწყებების მოვალეობებს. ამას გარდა, დადგენილება ითვალისწინებს საფრთხის შემცველ ზონებში განგაშის გა-

1710 იქვე.

1711 მე-3(5) პუნქტი.

1712 მე-4 მუხლის მე-11(ბ) პუნქტი.

მოცხადების სისტემის არსებობას. კერძოდ, დადგენილებით გათვალისწინებულია, რომ შსს-ს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს საგანგებო სიტუაციების მართვის საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრი მსხვილმასშტაბიანი საგანგებო სიტუაციის საფრთხის არსებობის ან მისი განვითარების შემთხვევაში, წინასწარ შემუშავებული შეტყობინების სქემის საფუძველზე კრებს საგანგებო სიტუაციების მართვის საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრს და იწყებს საგანგებო მართვის რეაგირების ღონისძიებების განხორციელებას, კერძოდ, აცხადებს განგაშს და ატყობინებს შექმნილი მდგომარეობის თაობაზე შესაბამის უწყებებსა და პირებს.[1713] ამავე მუხლით, საგანგებო მართვის დროს საგანგებო სიტუაციების მართვის საუწყებათაშორისო ოპერატიულ ცენტრსა და საველე ოპერაციების ცენტრში არსებული ინფორმაციის საფუძველზე იგეგმება საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო და სხვა გადაუდებელი ღონისძიებები და ხდება საჭირო საავარიო-სამაშველო ძალებისა და საშუალებების განსაზღვრა.[1714] საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთ-ერთი სახეა განგაშის გამოცხადება და შეტყობინება.

გ) 2017 წლის 6 ოქტომბრის N452 დადგენილებით საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ განსაზღვრულია, რომ გეგმის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ავარიების, კატასტროფებისა და სტიქიური უბედურების შედეგად შექმნილი ვითარებისა და საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის რეალური საფრთხის პროგნოზი.[1715]

დ) 2020 წლის 23 სექტემბრის N590 დადგენილება ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ, რომელიც ეხება ჰიდროტექნიკურ ავარიებს, კერძოდ, კაშხლების (დამბების, ჩამკეტებისა და სხვა) გარღვევას დამანგრეველი ტალღისა და კატასტროფული დატბორვის წარმოქმნით.

რაც შეეხება ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეული საფრთხეებისაგან სიცოცხლის დაცვის ვალდებულების ასახვას საქართველოს კანონმდებლობაში, აღსანიშნავია შემდეგი:

საქმიდან – *ბუდაევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Budayeva and Others v. Russia)* – გამომდინარე ვალდებულების შესაბამისად, საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ ითვალისწინებს ღონისძიებების მთელი რიგის გატარებას ბუნებრივი კატასტროფის დროს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.[1716] კანონი ქმნის სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემას, რომელიც სტრატეგიულ (პოლიტიკურ), ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე ახორციელებს შესაბამის კომპლექსურ ღონისძიებებს ბუნებრივი (ისევე როგორც ადამიანური) ფაქტორით გამოწვეული ინციდენტისაგან/საგანგებო სიტუაციისაგან ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად.[1717] ამისათვის კანონი უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციის პრევენციას, რისთვისაც დგამს ნაბიჯებს ადამიანების დასაცავად საგანგებო სიტუაციის რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების მიზნით, რაც მოიცავს სახიფათო ბუნებრივი მოვლენებისა და პროცესების დამაზიანებელი პოტენციალის სისტემატური შემცირებისაკენ გატარებულ ღონისძიებებს და შესაბამის საინჟინრო-ტექნიკურ ღონისძიებებს. კანონის საფუძველზე, სახელმწიფო უზრუნველყოფს როგორც საგანგებო სიტუაციის რისკის მართვასა და საგანგებო სიტუაციის პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვასა და

1713 მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

1714 „გ“ ქვეპუნქტი.

1715 მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

1716 27 ივნისი, 2018 წელი.

1717 მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტი.

განხორციელებას, მათ შორის, საგანგებო სიტუაციის რისკის შემცირების ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, ისე საგანგებო მართვის გეგმის შემუშავებას.

კანონი გარემოს დაცვის შესახებ ასევე ადგენს საქმიანობის სუბიექტის ვალდებულებას, ჰქონდეს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებული ბუნებრივი კატასტროფის შედეგების თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის ოპერატიული და სისტემატური ღონისძიებების, ავარიისა და კატასტროფის დროს მოქმედების გეგმები, და შექმნას და მზადყოფნაში ჰყავდეს ავარიის სალიკვიდაციო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფილი სამსახური.

საქართველოს კანონი წყლის რესურსების მართვის შესახებ განსაზღვრავს წყალდიდობის რისკის შეფასებისა და მართვის სისტემის შექმნას.[1718] კანონის ადგენს წყალდიდობების რისკების მართვის მექანიზმებს, წყალდიდობების საფრთხის რუკების და წყალდიდობების რისკების რუკების შემუშავების წესს, განსაზღვრავს მათ შინაარსს, მოქმედების ვადას, აღნიშნულ პროცესში სხვადასხვა უწყების კომპეტენციებს. ეს კანონი ითვალისწინებს, რომ უნდა მომზადდეს წყალდიდობის რისკის მართვის გეგმა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს წყალდიდობის პრევენციის, მისგან დაცვისა და მზადყოფნის საკითხებს, მათ შორის, წყალდიდობის პროგნოზისა და ადრეული შეტყობინების სისტემებს. წყალდიდობის რისკის მართვის გეგმები უნდა აისახოს მდინარის აუზის/საარუზო უბნის მართვის გეგმაში.[1719]

ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილების სულისკვეთების შესაბამისად, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილების მე-5 მუხლი ითვალისწინებს საგანგებო მართვის დროს კომპლექსური პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

როგორც ევროპული სასამართლოს ზემოაღნიშნული საქმიდან გამომდინარეობს, კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ ითვალისწინებს სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნულ სისტემაში შემავალი სუბიექტების მოვალეობას, განავითარონ ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების სისტემის, მათ შორის: ადრეული შეტყობინების სისტემის და ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების დროულად გადაცემა და ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის დროს ქცევის წესების შესახებ ინფორმირება.[1720]

თავის მხრივ კანონი გარემოს დაცვის შესახებ ასევე ადგენს, რომ საქმიანობის სუბიექტს ეკისრება ვალდებულება, ყოველი მოსალოდნელი და მომხდარი ბუნებრივი კატასტროფის შესახებ დროულად აცნობოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს და მოსახლეობას.[1721]

2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილება სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ ასევე ითვალისწინებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიების სახეს, როგორიცაა განგაშის გამოცხადება და შეტყობინება.

ევროპული სასამართლოს მიერ *ბუდაევას* საქმეზე დადგენილი სტანდარტის მიხედვით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილება სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების ასევე ითვალისწინებს საგანგებო სიტუაციების ზონებიდან მოსახლეობის ევაკუაციის წესს და განსაზღვრავს პასუხისმგებელი უწყებების მოვალეობებს.

1718 კანონის 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

1719 მე-3 პუნქტი.

1720 იხ. ვ) და ზ) ქვეპუნქტები.

1721 39(2)-ე მუხლი.

რაც შეეხება საქმიდან – *კოლიადენკო რუსეთის წინააღმდეგ (Kolyadenko v. Russia)* – გამომდინარე ვალდებულებებს, ამ საკითხებს აწესრიგებს საქართველოს კანონი წყლის რესურსების მართვის შესახებ, რომელიც ადგენს, რომ მისი ამოცანაა, შეიქმნას წყლის რესურსების მდგრადი ინტეგრირებული მართვის ისეთი სისტემა, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ხელს უწყობს წყალდიდობის რისკის შეფასებისა და მართვის სისტემის შექმნას.[1722] კანონი ითვალისწინებს წყლის რესურსების სახელმწიფო მონიტორინგის სისტემის შექმნას, მათ შორის წყალდიდობების რისკების მართვის მექანიზმებს, წყალდიდობების საფრთხის რუკებისა და წყალდიდობების რისკების რუკების შემუშავების წესს, განსაზღვრავს მათ შინაარსს, მოქმედების ვადას, აღნიშნულ პროცესში სხვადასხვა უწყების კომპეტენციებს. ამისათვის, კანონის საფუძველზე, გარემოს ეროვნული სააგენტო, ყოველ 6 წელიწადში ერთხელ ახორციელებს წყალდიდობის რისკის წინასწარ შეფასებას ყველა მდინარის სააუზო უბნისთვის და განსაზღვრავს არეალებს, სადაც წყალდიდობის პოტენციური მნიშვნელოვანი რისკი არსებობს.[1723] გარემოს ეროვნული სააგენტო ამზადებს წყალდიდობის საფრთხეების რუკებს, ხოლო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური – წყალდიდობის რისკების რუკებს ყველა არეალისათვის, რომელიც იდენტიფიცირებულია როგორც წყალდიდობის პოტენციური მნიშვნელოვანი რისკის არეალი.[1724]

კანონი ასევე ითვალისწინებს, რომ უნდა მომზადდეს წყალდიდობის რისკის მართვის გეგმა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს წყალდიდობის პრევენციის, მისგან დაცვისა და მზადყოფნის საკითხებს, მათ შორის, წყალდიდობის პროგნოზისა და ადრეული შეტყობინების სისტემებს.

საქმეზე – *მ. ოზელი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (M. Özel and Others v. Turkey)* – დადგენილ ვალდებულებას ითვალისწინებს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი, რომლის მიზანია, მათ შორის შენობა-ნაგებობების სეისმომედეგობასთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნების დადგენა.[1725] კოდექსის თანახმად, სივრცის დაგეგმარება და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვა ემყარება მდგრადი განვითარების პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი ტერიტორიის გამოყენებისა და განვითარების ეკონომიკური და სოციალური წინაპირობების ჰარმონიზაციას საგანგებო სიტუაციების რისკის შემცირების და გარემოსდაცვით მოთხოვნებთან. ამ მიზნით საქართველოს სივრცის დაგეგმარება და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვა ხორციელდება, მათ შორის, სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის პროცესში საქართველოში არსებული სეისმური მდგომარეობის გათვალისწინებით.[1726]

კოდექსის თანახმად, შენობა-ნაგებობა ისე უნდა იქნეს დაპროექტებული და აშენებული, რომ მისი ექსპლუატაციის პერიოდში ზღვრული საანგარიშო დატვირთვისას მზიდი კონსტრუქციები და საინჟინრო სისტემები იყოს საიმედო და მისი ექსპლუატა-

---

1722 კანონის 1(2)-ლი მუხლის გ) ქვეპუნქტი.

1723 1-ელი პუნქტი.

1724 მე-2 პუნქტი. ეს რუკები განსაზღვრავს ზონებს წყალდიდობის საშუალო ალბათობის (სულ მცირე, ერთი მოვლენა 100 წელიწადში), მცირე და მაღალი ალბათობის შემთხვევებს. მდინარეთა აუზების იმ ზონებში, რომლებიც აღნიშნულია როგორც წყალდიდობის რისკის ზონები, აგრეთვე აღნიშნული უნდა იყოს პოტენციური რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა და ეკონომიკური საქმიანობისა და გარემოს დაზიანების პოტენციური რისკი.

1725 კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ პუნქტი.

1726 კოდექსის მე-8 მუხლის 1-ელი ნაწილის „ჟ“ პუნქტი.

ციის მთელ პერიოდში, განსაკუთრებით – სეისმური ზემოქმედებისას, აკმაყოფილებდეს შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილ მოთხოვნებს.[1727]

კოდექსის 141[3]-ე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების დროებითი წესი) და 141[7]-ე (ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების დროებითი წესი) მუხლების მე-5 პუნქტის მიხედვით, დაინტერესებული პირი ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს წარუდგენს განცხადებას. ამ განცხადებას უნდა ერთვოდეს აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს მიერ გაცემული, ობიექტის მზიდი კონსტრუქციების მდგრადობისა და სეისმომედეგობის დამადასტურებელი საექსპერტო დასკვნა.

საქართველოში ასევე მოქმედებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება სამშენებლო ნორმები და წესები – „სეისმომედეგი მშენებლობა“, რომელიც საქართველოს მთელი ტერიტორიის სეისმურად აქტიურ ზონაში მდებარეობის გამო, ადგენს სამშენებლო ნორმებს და წესებს რომლებიც ვრცელდება მის მთელ ტერიტორიაზე როგორც ახალმშენებარე, ისე სარეკონსტრუქციო, გასაძლიერებელი და აღსადგენი საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და სამრეწველო შენობა-ნაგებობების დაპროექტებაზე.[1728] დოკუმენტის მიხედვით, სეისმომედეგი მშენებლობის სამშენებლო ნორმების და წესების ძირითად მიზანია ადამიანის სიცოცხლის უსაფრთხოების დაცვა.[1729]

რაც შეეხება საქმეზე – *ვივიანი და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Viviani and Others v. Italy)* – ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ ვალდებულებას, საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ, ადგენს, რომ უნდა მოხდეს საგანგებო სიტუაციის რისკის მართვა – საფრთხის იდენტიფიცირება, საგანგებო სიტუაციის რისკისა და მისი ზემოქმედების ანალიზი და მის საფუძველზე საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის შემუშავება, საგანგებო სიტუაციის პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, მათ შორის, საგანგებო სიტუაციის რისკის შემცირების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება და საგანგებო მართვის გეგმის შემუშავება.[1730]

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა კარგად ასახავს ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეული საფრთხეებისაგან ადამიანის სიცოცხლის დაცვის მიმართ. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში მნიშვნელოვანი იყო კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება. 2020 წლის შემდგომ არ მიღებულა მსგავსი დოკუმენტი. ქვეყანაში ბუნებრივი კატასტროფის მაღალი რისკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი იქნება ასეთი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება და ზედმიწევნით განხორციელება.

ბ) პრაქტიკა

სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, არა მხოლოდ მიიღოს ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეული საფრთხეების თავიდან აცილების მარეგულირებელი

1727 81-ე მუხლი.

1728 7 ოქტომბერი, 2009 წელი. ბრძანება N1-1/2284.

1729 მე-3(4) „ა“ ქვეპუნქტი.

1730 იხ. ა), ბ) და ნ) ქვეპუნქტები.

კანონმდებლობა, რომელიც მიმართული იქნება სიცოცხლის უფლების დაცვისაკენ, არამედ უზრუნველყოს პრაქტიკული ღონისძიებების გატარება ამ კანონმდებლობის ეფექტიანად აღსასრულებლად.

საქართველოს რელიეფის, გეოლოგიური და კლიმატური პირობების გამო, ბოლო წლებში ქვეყანაში მრავალი სტიქიური მოვლენა მოხდა, რასაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა,[1731] თუმცა ორ შემთხვევას – 2015 წლის წყალდიდობას თბილისში და 2023 წლის რაჭის სტიქიას – განსაკუთრებით დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ამიტომ ეს ორი შემთხვევა დეტალურად განიხილება ნაშრომში.

1. 2015 წლის წყალდიდობა თბილისში

საქართველოში ბოლო წლებში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ბუნებრივი კატაკლიზმა 2015 წლის 13 ივნისს თბილისში მომხდარი წყალდიდობა იყო. სტიქიის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი თბილისის თავზე წყნეთი- ბეთანიის დამაკავშირებელი ფერდობის ქანების ჩამოშლით და ძლიერი წვიმით წარმოშობილმა წყალდიდობამ გმირთა მოედნამდე მიაღწია და გზაზე ყველაფერი გაანადგურა. ამ წყალდიდობას ემსხვერპლა 19 ადამიანის სიცოცხლე, 2 ადამიანი დღემდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა. განადგურდა თბილისის ზოოპარკი და ადამიანებს მიადგათ მატერიალური ზარალი.

წყალდიდობის მიზეზად დასახელდა ის, რომ კალაპოტის წყალგამტარუნარიანობამ ვერ უზრუნველყო ნიაღვრის სწრაფი გატარება, რამაც სათავე დაუდო კალაპოტისპირა ტერიტორიების დატბორვას. კალაპოტის წყალგაუმტარობა კი გამოიწვია ამ ტერიტორიაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში არასწორად წარმართულმა სამეურნეო საქმიანობამ, რამაც მოახდინა მდინარე „ვერეს“ კალაპოტის წყალგამტარუნარიანობის ნაწილობრივი პარალიზება.[1732]

თუ ეს ბუნებრივი კატაკლიზმა განიხილება ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი სტანდარტების მიხედვით, უნდა დაისვას შემდეგი კითხვები: სახელმწიფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა ამ ტერიტორიაზე სტიქიის საფრთხის შესახებ და, თუ იცოდა, რა გააკეთა იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა ადამიანთა სიცოცხლის მოსპობა?

გავრცელებული ინფორმაციით, მსგავსი სიძლიერის კატასტროფული წყალდიდობის ფაქტი ამავე ტერიტორიაზე მოხდა 1961 წელს, რამაც მაშინაც გამოიწვია ზოოპარ-

---

1731 „იმერეთის გუბერნატორი ადასტურებს, რომ მეწყერში მამა და მისი 3 შვილია მოყოლილი“, 7 თებერვალი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/786654-imeretis-gubernatori-adasturebs-rom-mecqershi-mama-da-misi-3-shvilia-moqolili]; „ხარაგაულში, მიწის მასაში მოყოლილი კაცის ცხედარი იპოვეს“, 3 ივლისი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/762366-xaragaulshi-micis-masashi-moqolili-kacis-cxedari-ipoves]; „წყალდიდობა და მეწყერი გურიაში – ეძებენ 2 არასრულწლოვანსა და 1 ზრდასრულს,“ 8 სექტემბერი, 2023 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/life/686823/]; „ფშავში, სტიქიის ზონაში მაშველებმა ტურისტის ცხედარი იპოვეს – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური“, 27 ივნისი, 2022 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/a/31918143.html?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAAR3fD4Dqydkr0j_QDSV9Z-03VJaSsAWrD_d9074IC9pmi5PcHfx5fB5hMzE_aem_GXbrlzAl464MCPSaSmoeGw]; „რამ გამოიწვია სტიქია დარიალის ხეობაში“, 17 მაისი, 2014 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/news/31818/].

1732 „CENN-ი მდინარე ვერეს კატასტროფული წყალდიდობის მიზეზების შესახებ ანგარიშს აქვეყნებს“, 19 ივნისი, 2015 წ. იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/335474-cenn-i-mdinare-veres-katastropuli-cqaldidobis-mizezebis-shesaxeb-angarishs-akveqnebs].

კის განადგურება.[1733] თუ ეს ასეა, რასაც მოწმობს კონკრეტული ფაქტი, მაშინ პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, რა ნაბიჯები გადადგა სახელმწიფომ იმისათვის, რომ მოეხდინა მსგავსი წყალდიდობის გამანადგურებელი შედეგის თავიდან აცილება? მაგალითად, გაითვალისწინა თუ არა სახელმწიფომ სტიქიის საფრთხე ამ ტერიტორიის დაგეგმარებისას, მათ შორის ვაკე-საბურთალოს გზატკეცილის ქვეშ მდინარე „ვერეს“ გვირაბებში მოქცევისა და ამ ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების მასობრივი მშენებლობის შესახებ ნებართვების გაცემისას? უზრუნველყო თუ არა მან ამ ტერიტორიაზე ადრეული შეტყობინებისა და მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირება? და, ზოგადად, რა ღონისძიებებს ატარებდა სახელმწიფო ამ ტერიტორიაზე ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან მის მინიმუმამდე შესამცირებლად?

ნაშრომის მომზადების პროცესში ვერ იქნა აღმოჩენილი რაიმე ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებდა, რომ: სახელმწიფომ გადადგა რაიმე ნაბიჯი წყალდიდობის გამანადგურებელი შედეგის თავიდან ასაცილებლად; სახელმწიფომ გაითვალისწინა სტიქიის საფრთხე ამ ტერიტორიის დაგეგმარებისას, მათ შორის ვაკე-საბურთალოს გზატკეცილის ქვეშ მდინარე „ვერეს“ გვირაბებში მოქცევისა და ამ ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების მასობრივი მშენებლობის შესახებ ნებართვების გაცემისას; სახელმწიფომ უზრუნველყო ამ ტერიტორიაზე ადრეული შეტყობინებისა და მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირება; ზოგადად, სახელმწიფომ გაატარა ღონისძიებები ამ ტერიტორიაზე ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან მის მინიმუმამდე შესამცირებლად.

ზემოაღნიშნულ კითხვებზე გაცემული პასუხების მიხედვით ევროპული სასამართლო შეაფასებს, შეასრულა თუ არა სახელმწიფომ თავისი პოზიტიური ვალდებულება, მით უფრო, რომ 2015 წლის 13 ივნისის წყალდიდობაზე ევროპულ სასამართლოში უკვე შეტანილია სარჩელი სტიქიით დაზარალებულის სახელით.[1734]

2. 2023 წლის რაჭის (შოვის) სტიქია

მასშტაბური ბუნებრივი სტიქია მოხდა რაჭაში, 2023 წლის 3 აგვისტოს. კერძოდ, კურორტ შოვის ტერიტორიაზე ჩამოწვა ღვარცოფი, რასაც ემსხვერპლა 33 ადამიანის სიცოცხლე, ხოლო ერთი არასრულწლოვანი მიჩნეულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად.[1735]

ამ სტიქიურ მოვლენაზე საქართველოს გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მოამზადა დასკვნა, რომლის მიხედვით: „საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე არსებული მდინარე ბუბისწყლის ხეობა ერთ-ერთ იშვიათობას წარმოადგენდა 2023 წლის 3 აგვისტოს სტიქიამდე, სადაც ღვარცოფის მნიშვნელოვანი გავლა უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა, თუ არ ჩავთვლით მდინარის კალაპოტში განვითარებულ ცალკეულ წყალმოვარდნებს“.[1736] დასკვ-

---

1733 „CENN-ი მდინარე ვერეს კატასტროფული წყალდიდობის მიზეზების შესახებ ანგარიშს აქვეყნებს“, 19 ივნისი, 2015 წ. იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/335474-cenn-i-mdinare-veres-katastropuli-cqaldidobis-mizezebis-shesaxeb-angarishs-akveqnebs].

1734 საია-მ 2015 წლის 13 ივნისს, ვერეს ხეობაში დაღუპული დავით გაბიტაშვილის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა, 13 ივნისი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/803120-saia-m-2015-clis-13-ivniss-veres-xeobashi-da gupuli-davit-gabitashvilis-sakmeze-adamianis-uplebata-evropul-sasamartlos-mimarta].

1735 „შოვის სტიქიაზე ახალი მასალების გამოქვეყნების შემდეგ ლაშა სუხიშვილი საგამოძიებო სამსახურში დაიბარეს“, 9 აგვისტო, 2024 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/news/735769/].

1736 „შოვში განგაშის სისტემა ეფექტიანი ვერ იქნებოდა – სააგენტოს საბოლოო დასკვნა“, 16 თებერვალი, 2024 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/news/709748/].

ნის მიხედვით, „2023 წლის 3 აგვისტოს მყისიერად განვითარებული და თანხვედრილი, კომპლექსური ხასიათის სტიქიური მოვლენის ფორმირება მრავალ ფაქტორზე იყო დამოკიდებული. მთელ მსოფლიოში ამ ტიპის მოვლენების ჩასახვა-გააქტიურების ზუსტი დროის პროგნოზირება პრაქტიკულად შეუძლებელია;“[1737] გარემოს ეროვნული სააგენტოს დასკვნა ასევე მიუთითებს, რომ „ღვარცოფული მასის გადაადგილების საშუალო სიჩქარემ 18-24 მ/წმ შეადგინა. სტიქიის ჩასახვა-გააქტიურების ზონიდან შოვის ე.წ. კოტეჯების უბნამდე ღვარცოფულ ნაკადს უნდა მიეღწია 7.5-10 წუთში;“[1738] და რომ „მსგავსი მასშტაბის კომპლექსური გენეზისის სტიქიის შესახებ განგაშის სისტემის მოწყობა სტიქიის სწრაფად განვითარებადობის და მისი ჩასახვის ზონიდან დასახლებულ პუნქტამდე მცირე მანძილის გათვალისწინებით, ვერ იქნებოდა ეფექტური დამდგარი შედეგების თავიდან ასაცილებლად;“[1739] დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ ბუნებრივი საფრთხეების გათვალისწინებით, „მდ. ბუბისწყლის ხეობაში, სტიქიის გავრცელების არეალში (26 ჰა), დაუშვებელია რაიმე სახის ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა და არსებული შენობა-ნაგებობების ფუნქციონირება.“[1740]

რა დასკვნების გამოტანა შეიძლება საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული დოკუმენტიდან?

პირველი დასკვნა არის ის, რომ, მართალია, ასეთი ღვარცოფის გავლა ბოლო 100 წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა, სააგენტო არ გამორიცხავდა ასეთი ღვარცოფის გავლის ალბათობას. მისი პოზიციით, ეს არ იყო ჰიპოთეზური ალბათობა, რომელიც 100 წლის წინ მოხდა და აღარ განმეორდებოდა, რადგან სააგენტომ ახსენა „მდინარის კალაპოტში განვითარებული ცალკეული წყალმოვარდნები“.

მეორე დასკვნა არის ის, რომ 2023 წლის 3 აგვისტოს სტიქიური მოვლენა მყისიერად განვითარდა და მოხდა მრავალი ფაქტორის თანხვედრა, სხვა სიტყვებით კი, ეს მოვლენა ნელ-ნელა, ეტაპობრივად არ ვითარდებოდა და მრავალი გარემოება დაემთხვა ერთმანეთს. ვინაიდან სააგენტომ ახსენა, რომ ამ ტიპის მოვლენების განვითარების პროგნოზირება შეუძლებელი იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ, მისი აზრით, ვერც საქართველოში და ვერც რომელიმე სხვა ქვეყანაში ვერ მოხდებოდა ასეთი სტიქიური მოვლენის ზუსტი დროის განჭვრეტა და ის ადამიანები, რომლებიც ღვარცოფის გავლის არეალში აღმოჩნდნენ, თავიდანვე სასიკვდილოდ განწირულნი იყვნენ, ამ ფაქტორების დამთხვევის გამო.

მესამე დასკვნა არის ის, რომ, ვინაიდან ღვარცოფული მასის გადაადგილება იყო ძალიან სწრაფი და სტიქიის ჩასახვა-გააქტიურების ზონიდან შოვის ე.წ. კოტეჯების უბნამდე ღვარცოფულ ნაკადს უნდა მიეღწია 7.5-10 წუთში, განგაშის სისტემის მოწყობა ვერ აიცილებდა დამდგარ შედეგებს. სხვა სიტყვებით კი, რომც მოწყობილიყო ასეთი განგაშის სისტემა, ვერ მოხდებოდა იქ მყოფი ადამიანების გადარჩენა. ნიშანდობლივია, რომ გარემოს ეროვნული სააგენტო თავის დასკვნაში ეხება განგაშის სისტემას და არ ახსენებს წინასწარი და ადრეული შეტყობინების სისტემების გამოსადეგობას შექმნილ სიტუაციაში სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. წინასწარი და ადრეული შეტყობინების სისტემების არსებობის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის გაკეთებული დასკვნა, რომლის

1737 იქვე.
1738 იქვე.
1739 იქვე.
1740 იქვე.

მიხედვით: „წინასწარი და ადრეული შეტყობინების სისტემების არსებობის შემთხვევაში ინფორმაცია 2 საათით ადრე იარსებებდა და შესაძლებელი იქნებოდა განგაშის გამოცხადება“.[1741] ეს ნიშნავს იმას, რომ, ინსტიტუტის აზრით, თუ იარსებებდა წინასწარი და ადრეული შეტყობინების სისტემები და ორი საათით ადრე მოხდებოდა განგაშის გამოცხადება, შესაძლებელი იყო იქ მყოფი ადამიანების გადარჩენა.

თუ ეს სტიქია განიხილება ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი სტანდარტების საფუძველზე, როგორც ეს ზემოთ, თბილისის 2015 წლის წყალდიდობის შემთხვევაში მოხდა, უნდა დაისვას შემდეგი კითხვები: სახელმწიფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა შოვის საკურორტო ზონის ტერიტორიაზე სტიქიის საფრთხის შესახებ და, თუ იცოდა, რა გააკეთა იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა მისი გამანადგურებელი შედეგი? ამ კითხვებზე გაცემული პასუხების საფუძველზე ევროპული სასამართლო შეაფასებს, უზრუნველყო თუ არა სახელმწიფომ სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულების შესრულება.

რაც შეეხება კითხვას – სახელმწიფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა შოვის საკურორტო ზონის ტერიტორიაზე სტიქიის საფრთხის შესახებ, როგორც საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს მომზადებული დასკვნიდან ჩანს, მან, სხვა სიტყვებით კი სახელმწიფომ, იცოდა, რომ არსებობდა ამ ტერიტორიაზე სტიქიის ალბათობა. გარდა იმისა, რომ 100 წლის წინ მოხდა ღვარცოფის გავლა, იყო მდინარის კალაპოტში განვითარებული წყალმოვარდნები, რაც ასევე საფრთხის შემცველია.

ყოველგვარ ეჭვს, რომ სახელმწიფომ იცოდა შოვის საკურორტო ზონაში ღვარცოფის საფრთხის შესახებ, აქარწყლებს გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2021 წელს მომზადებული დოკუმენტი – „გეოლოგიური ბიულეტენი საქართველოში 2021 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2022 წლისთვის“.[1742] ეს დოკუმენტი პირდაპირ უთითებს, რომ არსებობს ღვარცოფის მაღალი საშიშროება და ღვარცოფული პროცესი საშიშროებას უქმნის ცენტრალურ საავტომობილო გზას და კურორტ შოვის ინფრასტრუქტურულ ობიექტებს. ამავე ანგარიშის მიხედვით, ღვარცოფული ნაკადების გავლა საშუალოდ წელიწადში 2-3-ჯერ ხდება. რაც შეეხება გასატარებელ ღონისძიებებს, ანგარიშში აღნიშნულია, რომ უნდა მოხდეს მდინარე დღვიორას პერიოდული გაწმენდა, დაღრმავება და ბორტების გამაგრება.[1743]

თუ სახელმწიფომ იცოდა, რომ შოვში არსებობდა სტიქიის საფრთხე (რაც ზემოთ დადასტურდა), მაშინ პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, რა ნაბიჯები გადადგა სახელმწიფომ იმისათვის, რომ მოეხდინა ამ საფრთხისაგან ადამიანთა სიცოცხლის დაცვა? მაგალითად,

---

1741 შოვის 2023 წლის სტიქიის კვლევის ახალი მასალები, იხ.: [https://ies.iliauni.edu.ge/], [ნანახია: 22 აგვისტო, 2024 წ.]. მსგავსი პოზიცია აქვთ შვეიცარიელ სპეციალისტებს, რომლებიც მოიწვიეს შოვის სტიქიური მოვლების შესასწავლად: “By installing a monitoring system, a negative development (destabilization of the rock formation) can be detected at an early stage. In this way, early warning of an impending event can be given and people can be evacuated.” “What the Government is Concealing in Final Report on Shovi Tragedy”, 15 March, 2024, [https://sakartvelosambebi.ge/en/news/what-the-government-is-concealing-in-final-report-on-shovi-tragedy]. [ნანახია: 22 აგვისტო, 2024 წ.].

1742 იხ.: [https://greenalt.org/app/uploads/2024/02/geologiuri-biuleteni-2021_2022.pdf].

1743 იქვე. სახელმწიფომ რომ იცოდა შოვის საკურორტო ზონაში ღვარცოფის საფრთხის შესახებ, ადასტურებს მეცნიერი, გეოლოგი და გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი (1992-1995 წწ.) შოთა ადამია. დაუდევრობა რბილი ნათქვამია, ეს დანაშაულია. უკვე 19 დაღუპული – გეოლოგი შოთა ადამია, 9 აგვისტო, 2023 წ., იხ.: [https://mtisambebi.ge/news/item/1648?fbclid=IwAR2av3RAJWA1Z-BQopDasDaz33ksE7tw1n2MdxxU5X0csN4RzWVBpcujgL8].

გაითვალისწინა თუ არა სახელმწიფომ სტიქიის საფრთხე ამ ტერიტორიის დაგეგმარებისას? უზრუნველყო თუ არა მან ამ ტერიტორიაზე ადრეული შეტყობინებისა და მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირება? იცოდა თუ არა საზოგადოებამ და, კონკრეტულად, შოვის საკურორტო ზონაში დამსვენებლებმა ღვარცოფის საფრთხის შესახებ? და, ზოგადად, რა ღონისძიებები გაატარა სახელმწიფო ამ ტერიტორიაზე ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან მის მინიმუმამდე შესამცირებლად?

რაც შეეხება საკითხს, გაითვალისწინა თუ არა სახელმწიფომ სტიქიის საფრთხე ამ ტერიტორიის დაგეგმარებისას, აღსანიშნავია, რომ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2022 წლის 22 დეკემბერს მიიღო დადგენილება „ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ“.[1744] საკრებულოს არ შეუკავებია თავი შოვის საკურორტო ზონაში განაშენიანების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისაგან ადამიანის სიცოცხლისათვის სტიქიური მოვლენის პოტენციური საფრთხის გამო. ასეთი გადაწყვეტილების მიღებით მან შეუქმნა ადამიანების სიცოცხლეს პოტენციური საფრთხე.

ის, რომ შოვის საკურორტო ტერიტორიაზე დაუშვებელი იყო შენობა-ნაგებობების ფუნქციონირება, დაადასტურა საქართველოს გარემოს ეროვნულმა სააგენტომ თავის დასკვნაში, რომლის მიხედვით, „დაუშვებელია რაიმე სახის ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა და არსებული შენობა-ნაგებობების ფუნქციონირება.“[1745]

რაც შეეხება საკითხს, უზრუნველყო თუ არა სახელმწიფომ შოვის საკურორტო ზონაში ადრეული შეტყობინებისა და მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირება, ასეთი სისტემა არ ფუნქციონირებდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ სისტემის არსებობა არა მხოლოდ სახელმწიფოს კეთილი ნება, არამედ მისი ვალდებულებაც იყო. კერძოდ, ადრეული გაფრთხილებისა და განგაშის სისტემის შექმნა გათვალისწინებულია საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიით.[1746] სტრატეგიის მიხედვით, აუცილებელია, შემუშავდეს განგაშის სისტემის სტანდარტები და ერთიანი მიდგომა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება მოსახლეობისთვის შესაბამისი ინფორმაციის/სიგნალის მიწოდება კრიზისული სიტუაციის დროს.[1747] ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დებულებით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ერთ-ერთი ფუნქციაა „კომპენტენციის ფარგლებში მოსალოდნელი ან ფაქტობრივი საგანგებო სიტუაციის შესახებ ადრეული შეტყობინების სისტემის შექმნისა და განვითარების ორგანიზება.“[1748]

ჩნდება კითხვა: უზრუნველყოფდა თუ არა წინასწარი შეტყობინების სისტემა იქ მყოფი ადამიანების გადარჩენას?

1744 დადგენილება N33, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5648376?publication=0].

1745 „შოვში განგაშის სისტემა ეფექტიანი ვერ იქნებოდა – სააგენტოს საბოლოო დასკვნა“, 16 თებერვალი, 2024 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/news/709748/]. შეად., „კობახიძე შოვის ტრაგედიის ადგილას ეკლესიის აშენებას და დაღუპულთა ოჯახებთან შეხვედრას აანონსებს“, 3 აგვისტო, 2024 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/news/734127/].

1746 საქართველოს მთავრობის დადგენილება N4, 11 იანვარი, 2017 წელი. იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/3547798?publication=1].

1747 მე-3(5) პუნქტი.

1748 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N24 „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ, 29 მარტი, 2019 წ., იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/4522158?publication=4]. მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი.

როგორც საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს დასკვნაშია მითითებული, „სტიქიის ჩასახვა-გააქტიურების ზონიდან შოვის ე.წ. კოტეჯების უბნამდე ღვარცოფულ ნაკადს უნდა მიეღწია 7.5-10 წუთში.“ აქედან გამომდინარე, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: თუ სახელმწიფო გაატარებდა ღონისძიებებს ტერიტორიაზე ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან მის მინიმუმამდე შესამცირებლად, ადრეული შეტყობინების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა 7.5-10 წუთში ადამიანების გადარჩენა? ამ კითხვაზე პასუხი გასცა გარემოს დაცვის მინისტრმა, რომელმაც განაცხადა, რომ „შოვში სტიქია იმდენად სწრაფად განვითარდა, იქ ადრეული გაფრთხილების სისტემა რომც ყოფილიყო დამონტაჟებული, შეიძლებოდა, შედეგი ვერ გამოეღო“.[1749] განსხვავებული აზრი გამოთქვა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, რომლის მიხედვით, წინასწარი ინფორმირების შემთხვევაში, ხალხს თავის შველა ამ დროში შეეძლო, მაღალი რისკის ზონაში მყოფი ადამიანებისათვის შეიძლებოდა მოკლე ტექსტური შეტყობინების ან სიგნალის მეშვეობით შეეტყობინებინათ საფრთხის შესახებ.[1750] ასეა თუ ისე, ეს სისტემა არ ფუნქციონირებდა და, შესაბამისად, სტიქიის ადგილას მყოფ ადამიანებს არ მიუღიათ ეს შეტყობინება.

რაც შეეხება საკითხს, იცოდა თუ არა საზოგადოებამ, მათ შორის, შოვის საკურორტო ზონაში დამსვენებლებმა ღვარცოფის საფრთხის შესახებ, შეიძლება იმის მტკიცება, რომ საზოგადოებამ არ იცოდა შოვის საკურორტო ზონაში ღვარცოფის საფრთხის შესახებ.[1751] საკმარისი საფუძველია ვარაუდისათვის, რომ არც შოვის საკურორტო ზონაში დამსვენებლებმა იცოდნენ, რომ არსებობდა ღვარცოფის საფრთხის თეორიული ალბათობა. ამიტომ შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება არსებული საფრთხის შესახებ.

რაც შეეხება ზოგად კითხვას, რა ღონისძიებებს ატარებდა სახელმწიფო ამ ტერიტორიაზე ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან მის მინიმუმამდე შესამცირებლად, მედიასაშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის განცხადებით, „ძალიან მასშტაბური სტიქიური მოვლენა განვითარდა, ტიპური გლაციალური ღვარცოფი; საკმაოდ დიდ მოცულობასთან გვაქვს საქმე. პროცესების წინასწარი შეფასება შესაძლებელია, მაგრამ პროგნოზირება როდის და რა დროს მოხდება, ეს ფაქტობრივად გამორიცხულია და ამას ვერავინ იტყვის.“[1752] თუ, როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს პასუხისმგებელი პირი აცხადებს, „პროცესების წინასწარი შეფასება შესაძლებე-

---

1749 „რა მოესწრება 8-10 წუთში, როცა ღვარცოფი მოდის?“, 7 აგვისტო, 2023 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge].

1750 იქვე.

1751 მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ასეთი საფრთხის შესახებ ინფორმირებულნი იყვნენ ადგილობრივი მაცხოვრებლების ნაწილი, რომლებიც ცდილობდნენ ადგილობრივი ორგანოების ყურადღების მიპყრობას ამ პრობლემაზე.

1752 „ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – შოვში მასშტაბური სტიქია მოხდა, ასეთი მოვლენები არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს მასშტაბით გლობალური დათბობით არის გამოწვეული“, 4 აგვისტო, 2023 წ., იხ.: [https://1tv.ge/news/hidrometeorologiis-departamentis-ufrosis-moadgile-shovshi-masshtaburi-stiqia-mokhda-msgavsi-tipis-movlenebi-ara-marto-saqartveloshi-aramed-msoflios-masshtabit-globaluri-datbobis-shedegad-gamowveu/].

ლია“, ისმის კითხვა – ამ შეფასების საფუძველზე რატომ არ გატარდა შესაფერისი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფდა ადამიანების სიცოცხლის მოსპობის თავიდან აცილებას ან მის მინიმუმამდე შემცირებას? ამ ღონისძიებებს შორის შეიძლება ყოფილიყო შოვის საკურორტო ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა ან, თუნდაც, საზოგადოების გაფრთხილება ამ ტერიტორიაზე სიცოცხლისათვის პოტენციური საფრთხის არსებობის შესახებ.

ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან მის მინიმუმამდე შესამცირებლად სახელმწიფოს მიერ გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, აღსანიშნავია: საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგია ითვალისწინებს, რომ სხვადასხვა სახის კატასტროფებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე შესამცირებლად უნდა მოხდეს კატასტროფის რისკის წინასწარი იდენტიფიცირება, შეფასება და შემცირების ღონისძიებების დაგეგმვა.[1753] ასევე კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ერთ-ერთი ფუნქციაა საგანგებო სიტუაციის რისკის შემცირების მიზნით რისკის მუდმივი იდენტიფიცირება, ანალიზი და შეფასება, პრევენციული ღონისძიებებისა და პროექტების დაგეგმვა.[1754] აქედან გამომდინარე, კანონმდებლობა ადგენს პრევენციული ღონისძიებების გატარებას, თუმცა ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გადაიდგა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანების სიცოცხლისათვის ასეთი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ხელმისაწვდომი არ არის.

მართალია, რაჭის სტიქიის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა, მაგრამ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, 2024 წლის ბოლოსათვის სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის მასშტაბით 245 დაკვირვების ჰიდრომეტეოსადგურის ამუშავებას, ხოლო წყალდიდობების მიმართ განსაკუთრებით მოწყვლად თემებში მოეწყობა ადრეული გაფრთხილების სისტემები,[1755] ასევე იგეგმება მყინვარული და მეწყრული უბნების შეფასება მთელი ქვეყნის მასშტაბით.[1756]

1753 საქართველოს მთავრობის დადგენილება N4, 11 იანვარი, 2017 წელი. იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/3547798?publication=1], სტრატეგიის მე-3 პუნქტი.

1754 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N24 „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ, 29 მარტი, 2019 წ., იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/4522158?publication=4]. 39-ე მუხლის „კ“ პუნქტი.

1755 „ოთარ შამუგია – წლის ბოლოს, ქვეყნის მასშტაბით იმუშავებს 245 დაკვირვების ჰიდრომეტეოსადგური – წყალდიდობების მიმართ განსაკუთრებით მოწყვლად თემებში მოეწყობა ადრეული გაფრთხილების სისტემები“, 6 თებერვალი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/786555-otar-shamugia-clis-bolos-kveqnis-masshtabit-imushavebs-245-dakvirvebis-hidrometeo-sadguri-cqaldidobebis-mimart-gansakutrebit-mocqvlad-temebshi-moecqoba-adreuli-gaprtxilebis-sistemebi].

1756 „ოთარ შამუგია – ვგეგმავთ მყინვარული ხეობებისა და მეწყრული უბნების შეფასებას მთელი ქვეყნის მასშტაბით“, 16 თებერვალი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/787986-otar-shamugia-vgegmavt-mqinvaruli-xeobebisa-da-mecqruli-ubnebis-shepasebas-mteli-kveqnis-masshtabit].

6.3.2.4.3. უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში

სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება მოიცავს პირის დაცვას უბედური შემთხვევისაგან.[1757] ამ ვალდებულების შესასრულებლად სახელმწიფომ უნდა მიიღოს შესაბამისი კანონმდებლობა და გაატაროს პრაქტიკული ღონისძიებები უბედური შემთხვევისაგან პირის სიცოცხლის დასაცავად. მართალია, დიდი მრავალფეროვნების გამო, შეუძლებელია ყველა ასეთი საქმიანობის (სფეროს) დეტალური განხილვა, ნაშრომის ამ ნაწილში ყურადღება გამახვილდება საქართველოში რამდენიმე საქმიანობის (სფეროს) მარეგულირებელ კანონმდებლობაზე და მის აღსრულებაზე პრაქტიკაში.

6.3.2.4.3.1. უსაფრთხოება სკოლაში

ა) კანონმდებლობა

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლე, ვრცელდება სასკოლო გარემოში. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღება, რომელიც მიმართული იქნება უბედური შემთხვევებისაგან მოსწავლეთა სიცოცხლის დაცვისაკენ სკოლაში.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ ნათელი მოჰფინა სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას მოსწავლე უბედური შემთხვევისაგან. კერძოდ, საქმე *ილბეი ქემალოღლუ და მერიე ქემალოღლუ (İlbeyi Kemaloglu and Meriye Kemaloglu v. Turkey)* ეხებოდა სკოლიდან დაბრუნებისას ბავშვის გარდაცვალებას ქარბუქში მოყოლის შედეგად.[1758] ვინაიდან სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც მოახდენდა ბავშვის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის თავიდან აცილებას, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი. ევროპული სასამართლოს პოზიციით, გონივრული იქნებოდა, სკოლის ადმინისტრაციას გაეტარებინა საბაზისო პრევენციული ღონისძიებები, მოსწავლის სიცოცხლისათვის სავარაუდო საფრთხის მინიმუმამდე შესამცირებლად. ამისათვის, სახელმწიფომ ან/და სკოლამ უნდა შექმნას ისეთი სისტემა, რომელიც აკრძალავს ბავშვების სკოლიდან დათხოვნას უკიდურესად ცუდი ამინდის პირობებში, რათა თავიდან იქნეს აცილებული საფრთხე მოსწავლეების სიცოცხლისათვის.

ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა სახელმწიფოს მიერ სხვა პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე, რომლებიც მიმართულია უბედური შემთხვევისაგან მოსწავლეთა სიცოცხლის დაცვისაკენ. კერძოდ, საქმე *დერენიკ მკრტჩიანი და გაიანე მკრტიჩიანი სომხეთის წინააღმდეგ (Derenik Mkrtchyan and Gayana Mkrtchyan v. Armenia)* ეხებოდა საჯარო სკოლის 10 წლის მოსწავლის, დენერიკ გ.-ს გარდაცვალებას მის თანაკლასელებთან ჩხუბის შედეგად. მართალია, მოსწავლის გარდაცვალების მიზეზი გახდა ეპილეფსიური შეტევით გამოწვეული მწვავე რესპირატორული უკმარისობა და გულის დისფუნქცია, რაც, სავარაუდოდ, თავის მხრივ, გამოიწვია მისმა ცემამ და ფსიქოლოგიურ-ემოციურმა მდგომარეობამ, დადგინდა, რომ სკოლამ არ იცოდა ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ. ვინაიდან სკოლამ არ იცოდა მოსწავლის სიცოცხ-

---

1757 M. O'Boyle, Duty to Carry out an Effective Investigation under Article 2 of the ECHR, in: El Tribunal Europeo de Derechos Humanos: Una vision desde dentro, En homenaje al Juez Josep Casadevall, 2015, 216-217.

1758 10 აპრილი, 2012 წელი.

ლისათვის რეალური და მყისიერი საფრთხის არსებობის თაობაზე, რაც სკოლისაგან მოითხოვდა განსაკუთრებულ სიფრთხილეს ასეთი ჩხუბის თავიდან ასაცილებლად, ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.[1759]

საქმეზე – *კაიაკი თურქეთის წინააღმდეგ (Kayak v. Turkey)*, რომელიც ეხებოდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას სკოლის წინ მოსწავლის გარდაცვალებას დანით დაჭრის შედეგად,[1760] – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სკოლის ადმინისტრაციას უნდა შეესრულებინა მნიშვნელოვანი როლი მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვისათვის, მათი ასაკის განსაკუთრებული მოწყვლადობის გათვალისწინებით, და მას ეკისრებოდა ვალდებულება, დაეცვა ისინი ძალადობის ნებისმიერი ფორმისაგან, რომლის ობიექტები შეიძლება გამხდარიყვნენ სკოლის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნისას. ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი.

საქართველოში სასკოლო გარემოში სიცოცხლის უფლების დაცვას, უპირველეს ყოვლისა, აწესრიგებს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ადგენს სკოლის გარემოში უსაფრთხოების დაცვის მარეგულირებელ კანონმდებლობას.[1761] კანონის მიხედვით, სკოლა ვალდებულია, სკოლის ტერიტორიაზე ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სასკოლო დროს შექმნას ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო.[1762]

კანონი ადგენს ძალადობის დაუშვებლობას, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სასკოლო გარემოში. ეს მუხლი საკმარისი დეტალურობით განსაზღვრავს როგორც ძალადობის დაუშვებლობას, ისე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, მათ შორის ადგენს, რომ ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება.[1763] კანონი ასევე განსაზღვრავს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს სასკოლო დროს სკოლის ტერიტორიაზე მყოფი მოსწავლის უსაფრთხოება.[1764]

კანონით იქმნება მანდატურის სამსახური, რომლის ამოცანას, სხვა საკითხებთან ერთად, განეკუთვნება: საჯარო სკოლებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა და ამ მიზნით საჯარო სკოლებთან თანამშრომლობა, ისევე როგორც კატასტროფისათვის (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვ.) მზადყოფნის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, ძალადობის (მათ შორის ბულინგის) საწინააღმდეგო საგანმანათლებლო კამპანიებისა და სხვა პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობა.[1765] აქედან გამომდინარე, სკოლაში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი მთავარი რგოლი მანდატურის სამსახურია.[1766]

1759 61-ე პუნქტი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა საპროცესო ვალდებულების დარღვევა.

1760 10 ივლისი, 2012 წელი.

1761 8 აპრილი, 2005 წელი,

1762 კანონის მე-9 მუხლის მე-9 პუნქტი.

1763 კანონის მე-20 მუხლის 1-ელი პუნქტი.

1764 კანონს 33-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

1765 48[1]-ე მუხლი, „ა“ და „ვ“ პუნქტები.

1766 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, გიორგი ფოცხვერიშვილი, თორნიკე გერლიანი, „სასკოლო უსაფრთხოება – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და აღსრულების ანალიზი“, 2023, 28.

სასკოლო გარემოში უსაფრთხოების წესებს ასევე განსაზღვრავს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, რომელიც ადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გასატარებელ პრევენციულ ღონისძიებებსა და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს გასატარებელ ღონისძიებებს.[1767]

ბრძანება ითვალისწინებს ღონისძიებების მთელი რიგის გატარებას, რომლებიც მიმართულია სასკოლო გარემოში მოსწავლეების უსაფრთხოების დაცვისაკენ. ბრძანების მიხედვით, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის სკოლა ვალდებულია: ა) გაატაროს პრევენციული ღონისძიებები; ბ) უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისას უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.[1768]

ბრძანება ადგენს, რომ სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ხორციელდება მანდატურის ან/და უფლებამოსილი პირის საშუალებით, ხოლო სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს მანდატური და სკოლის დირექცია.[1769]

ბრძანება განსაზღვრავს, რომ სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაა: ა) საგანგებო სიტუაციები (ხანძარი, მიწისძვრა, წყალდიდობა და ა.შ.); ბ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი (ფართო გავრცელების პოტენციალის მქონე) გადამდები დაავადებების შემთხვევა სკოლაში; გ) სუიციდური აზრი, სუიციდის მცდელობა, სუიციდი; დ) თვითდაზიანება; ე) ფეთქებადი ნივთიერებების სკოლაში აღმოჩენა ან სკოლაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შეტყობინება; ვ) მოსწავლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის ქონა, ასევე იმ საგნის ქონა, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის; ზ) მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი ძალადობა; თ) მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ჩადენილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სამართალდარღვევა; ი) მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგის ან კიბერბულინგის ჩადენა; ან კ) სხვა გარემოება ან/და ქმედება, რომელმაც შეიძლება სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს საფრთხე შეუქმნას იქ მყოფ პირთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას.[1770]

ზემოაღნიშნული გარემოებების არსებობისას, რომელიც საფრთხეს უქმნის მოსწავლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ბრძანება დეტალურად ადგენს გასატარებელ ღონისძიებებს, რომლებიც ხასიათდება თავისებურებით თითოეული სიტუაციის მიმართ. მაგალითად, ბრძანების მე-15 მუხლით, რომელიც ეხება მოსწავლის სუიციდურ აზრს, ნებისმიერი პირი, ვისაც აქვს ინფორმაცია მოსწავლის სუიციდური აზრის შესახებ, ვალდებულია, ინფორმაცია მიაწოდოს მანდატურს/უფლებამოსილ პირს/სკოლის

1767 სამინისტროს ბრძანება N06/ნ, 2019 წლის 29 იანვარი.

1768 ბრძანების მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტი.

1769 იმ სკოლაში, რომელშიც არ არის მანდატური – უფლებამოსილი პირი და სკოლის დირექცია. იხ. ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

1770 ბრძანების მე-12 მუხლი.

ადმინისტრაციას, რომლებიც ვალდებული არიან ინფორმაცია მიაწოდონ სუიციდური აზრის მქონე მოსწავლის კლასის დამრიგებელს. ამის შემდეგ უნდა მოხდეს ბავშვთან გასაუბრება და მისი დამშვიდება. ბრძანება ასევე ადგენს, რომ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ან ფსიქოლოგის სკოლაში გამოცხადებამდე დაუშვებელია მოსწავლის დატოვება უმეთვალყურეოდ. ყოველივე ამას უნდა მოჰყვეს სუიციდური აზრის მქონე მოსწავლის გადამისამართება ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში.

ბრძანება ითვალისწინებს მთელ რიგს ღონისძიებებისას სიუციდის მცდელობის შემთხვევაში.[1771] კერძოდ, მოსწავლის მიერ სუიციდის მცდელობის შემსწრე ყველა პირი ვალდებულია, შეეცადოს, შეაჩეროს სუიციდის მცდელობა. აუცილებელია, სკოლის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს „112“-ს. ბრძანება კრძალავს სუიციდის მცდელობის მქონე მოსწავლის დატოვებას უმეთვალყურეოდ. სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია, მოსწავლე უზრუნველყოს პირველადი სამედიცინო დახმარებით. შესაბამისი ინფორმაცია მიეწოდება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს. მანდატური/სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ფსიქოლოგის/მობილური ჯგუფის გამოძახებას და უზრუნველყოფს სიტუაციის პირველად მართვას. ამის შემდეგ ხდება მოსწავლის გადამისამართება ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში.

ბრძანება ასევე ითვალისწინებს ელექტრონული საინფორმაციო ბაზის წარმოებას, რომელშიც მანდატური/უფლებამოსილი პირი ვალდებულია, სკოლის ტერიტორიაზე გამოვლენილი დარღვევა ან სავარაუდო დარღვევა ასახოს ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში.[1772] ასევე სკოლა ვალდებულია, უზრუნველყოს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოთვალთვალის სისტემის აღჭურვა.[1773]

რაც შეეხება ევროპული სასამართლოს საქმეს – *კაიაკი თურქეთის წინააღმდეგ (Kayak v. Turkey)*, რომელიც ეხებოდა მოსწავლის მიერ ჩადენილ ძალადობას სხვა მოსწავლის მიმართ, – მოქმედი ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ითვალისწინებს სკოლის მიერ სათანადო ღონისძიებების გატარებას და ამისათვის ქმნის შესაფერის ნორმატიულ ჩარჩოს. გარდა ზოგადი ღონისძიებებისა, რომელთა მიზანია, სკოლაში უსაფრთხოების დაცვა (მაგ., ვიდეომონიტორინგი), ბრძანების მიხედვით, ნებისმიერი პირი ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობის ჩადენის ფაქტის ცოდნის ან ასეთი ეჭვის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მანდატურს/უფლებამოსილ პირს/სკოლის ადმინისტრაციას.[1774] ბრძანება ასევე განსაზღვრავს, რომ მოსწავლის მიმართ მოსწავლის ძალადობის შემთხვევაში, მანდატური/უფლებამოსილი პირი/სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ვალდებულია, დაუკავშირდეს „112“-ს, რესურსცენტრს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს; მანდატური/უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს შესაბამისი პირების განცალკევებას; მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენების და მოსწავლის გადამისამართებას მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში.[1775]

აქედან გამომდინარე, საქართველოში ნორმატიული ჩარჩო ითვალისწინებს სკოლის მიერ ნაბიჯების გადადგმას, რომლის მიზანია როგორც ძალადობის პრევენცია, ისე ძალადობის შემთხვევაში სათანადო ღონისძიებების გატარება.

1771 ბრძანების მე-16 მუხლი.

1772 ბრძანების 37-ე მუხლი.

1773 ბრძანების 41-ე მუხლი.

1774 ბრძანების 25-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

1775 მე-3 პუნქტი.

რაც შეეხება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე – *დერენიკ მკრტიჩიანი და გაიანე მკრტიჩიანი სომხეთის წინააღმდეგ (Derenik Mkrtchyan and Gayana Mkrtchyan v. Armenia),* – მართალია, ამ საქმეზე სასამართლოს არ დაუდგენია დარღვევა, რადგან ჩათვალა, რომ სკოლამ არ იცოდა, გარდაცვლილ ბავშვს თუ აწუხებდა მწვავე რესპირატორული უკმარისობა და გულის დისფუნქცია, ამ საქმის საფუძველზე, უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ კანონმდებლობა უნდა ადგენდეს: სკოლა ინფორმირებული უნდა იყოს მსგავსი დაავადების შესახებ, რომელიც აწუხებს ბავშვს და, შესაბამისად, მას მოეთხოვება, გაატაროს დამატებითი ღონისძიებები ბავშვის სიცოცხლის დასაცავად. მართალია, საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ ადგენს, რომ სკოლას უფლება აქვს, მოსთხოვოს მოსწავლეს, გაიარონ სამედიცინო შემოწმება დაავადებებზე, მაგრამ ეს წესი არ აკისრებს ვალდებულებას მოსწავლესა და მის მშობლებს, რომ სკოლაში წარადგინონ ინფორმაცია შესაბამისი დაავადების შესახებ, რომელიც საჭირო იქნება სკოლის მიერ დამატებითი ღონისძიებების გასატარებლად, ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად.[1776] ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არსებობდეს დებულება, რომელიც დააკისრებს მოსწავლეს/მის მშობლებს გარკვეული დაავადებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას.

რაც შეეხება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე – *ილბეი ქემალოღლუ და მერიე ქემალოღლუ* (*İlbeyi Kemaloglu and Meriye Kemaloglu v. Turkey),* – საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ამ საქმეში მომხდარი მოვლენებისაგან ბავშვის დაცვას. კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მიხედვით, სკოლას ეკისრება ზოგადი ვალდებულება, სკოლის ტერიტორიაზე ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სასკოლო დროს შექმნას ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო.[1777] უფრო კონკრეტულად კი, შესაბამის საკითხს აწესრიგებს ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, რომელიც ადგენს საგანგებო სიტუაციების (ხანძარი, მიწისძვრა, წყალდიდობა და ა.შ.) დროს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გასატარებელ ღონისძიებებს.[1778] კერძოდ, ბრძანებით განსაზღვრულია, რომ საგანგებო სიტუაციების დროს მანდატური/უფლებამოსილი პირი ან/და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი რეკავს განგაშის ზარს და საფრთხის შესახებ ატყობინებს შენობაში მყოფ ყველა პირს.[1779]

ბრძანებით, ამას მოჰყვება მანდატურის/უფლებამოსილი პირის/სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლის მიერ „112“-თან დაკავშირება და ინფორმაციის მიწოდება საგანგებო სიტუაციის თავისებურებების შესახებ, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის მიზეზის, სავარაუდო მასშტაბებისა და არსებული ვითარების შესახებ.[1780] ბრძანების მიხედვით, მანდატური/უფლებამოსილი პირი/სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სკოლის შენობაში მყოფი პირების განთავსებას უსაფრთხო ადგილას და აღრიცხავს დაკარგული ადამიანების რაოდენობას და ვინაობას. კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას.[1781] ამას გარდა, ბრძანებით გათვალისწინებულია სხვა ღონისძიებების გატარება.[1782]

1776 მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი.
1777 კანონის მე-9 მუხლის მე-9 ნაწილი.
1778 მე-13 მუხლი.
1779 მე-13 მუხლის 1-ელი პუნქტი.
1780 მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი.
1781 მე-13 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები.
1782 მე-13 მუხლის მე-7-მე-14 პუნქტები.

აქედან გამომდინარეობს, რომ საქართველოში დადგენილია ისეთი საკანონმდებლო (ნორმატიული) ბაზა, რომელიც კრძალავს ბავშვების სკოლიდან დათხოვნას საგანგებო სიტუაციის პირობებში, რაც მიზნად ისახავს მოსწავლეების სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან აცილებას.

საბოლოოდ, საქართველოში სასკოლო გარემოში მოსწავლის სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი საკანონმდებლო (ნორმატიული) ჩარჩო სათანადოდ ასახავს ევროპულ მოთხოვნებს. ამასთან, აუცილებელია, კანონმდებლობით დადგინდეს, რომ სკოლა უნდა იყოს ინფორმირებული ბავშვის დაავადების შესახებ, რომელიც შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს ბავშვის სიცოცხლისათვის.

ბ) პრაქტიკა

მასმედიაში გავრცელდა ინფორმაცია ერთ-ერთი შემთხვევის შესახებ, რომელიც ეხებოდა უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას სასკოლო ექსკურსიების დროს. ამ ინფორმაციით, სასკოლო ექსკურსიას ემსხვერპლა სკოლის მოსწავლე, ს.ნ., რომელიც 2019 წლის მაისში ადიდებულ მდინარეში ჩავარდა და დინებამ გაიტაცა. სამძებრო-სამაშველო ოპერაციის შედეგად, რამდენიმესაათიანი ძებნის შემდეგ, აღმოაჩინეს მოსწავლის ცხედარი. ამ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით.[1783] 2022 წლის მაისში ამ საქმეზე სასამართლომ გარდაცვლილი მოსწავლის დამრიგებელი დამნაშავედ ცნო გულგრილობისათვის, რომელმაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.[1784]

თუ ეს შემთხვევა განიხილება ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი სტანდარტების საფუძველზე, სკოლის ადმინისტრაციას უნდა გაეტარებინა საბაზისო პრევენციული ღონისძიებები, რათა მინიმუმამდე შეემცირებინა სავარაუდო საფრთხე მოსწავლეთა სიცოცხლისათვის სკოლის ექსკურსიის დროს.[1785]

მართალია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი ამ ფაქტთან დაკავშირებით მოუწოდებდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, შეესრულებინათ სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და უზრუნველეყოთ მოსწავლეთა უსაფრთხოება სასკოლო ექსკურსიების დროს, მაგრამ ნაშრომზე მუშაობის პროცესში ვერ იქნა მოძიებული ასეთი რეკომენდაციები.[1786] ამასთანავე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა 2019 წლის 31 მაისს, ამ შემთხვევიდან რამდენიმე დღეში, მიიღო ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ექსკურსიების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე.“[1787] ეს წესი ითვალისწინებს უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვას. კერძოდ, წესის მიხედვით, ექსკურსიის ორგანიზატორი ვალდებულია, მოსწავლეს, მის წარმომადგენელს და ექსკურსიაში მონაწილე სხვა პირებს მიაწოდოს სრულყოფილი

1783 „სასკოლო ექსკურსია, რომელსაც არასრულწლოვანი ემსხვერპლა“, 27 მაისი, 2019 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/]. [ნანახია: 20 აგვისტო, 2024 წ.].

1784 „სასამართლომ დამნაშავედ ცნო 16 წლის სოფი ნიკოლეიშვილის დამრიგებელი – სოფი სკოლის ექსკურსიაზე დაიღუპა“, 16 აგვისტო, 2022 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/]. [ნანახია: 20 აგვისტო, 2024 წ.].

1785 *ილბეი ქემალოღლუ და მერიე ქემალოღლუ თურქეთის წინააღმდეგ (İlbeyi Kemaloglu and Meriye Kemaloglu v. Turkey)* , 10 აპრილი, 2012 წელი.

1786 „სასკოლო ექსკურსია, რომელსაც არასრულწლოვანი ემსხვერპლა“, 27 მაისი, 2019 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/]. [ნანახია: 20 აგვისტო, 2024 წ.].

1787 ბრძანება N719, იხ.: [https://mes.gov.ge/uploads/files/719.pdf]. [ნანახია: 20 აგვისტო, 2024 წ.].

ინფორმაცია ექსკურსიის თარიღის, ლოკაციის, დაგეგმილ ღონისძიებათა მიზნების, აქტივობების და მონაწილე და პასუხისმგებელი პირების შესახებ; ექსკურსიის ორგანიზატორს უნდა ჰქონდეს მოსწავლის მშობლის წერილობითი თანხმობა ექსკურსიაში მოსწავლის მონაწილეობის შესახებ, თუ მოსწავლის წარმომადგენელი არ ახლავს მას ექსკურსიაზე; ექსკურსიაში მონაწილე სრულწლოვან პირთა შორის უნდა იყოს, სულ მცირე, ერთი ქმედუნარიანი პირი, რომელსაც აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უნარ-ჩვევები; ექსკურსიის ხელმძღვანელს სრულყოფილად უნდა ჰქონდეს მონაწილე მოსწავლეებისა და მშობლების მონაცემები, მათ შორის, ინფორმაცია მონაწილე მოსწავლის სპეციალური საჭიროებების შესახებ; მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების ექსკურსიაზე ტრასპორტირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ იმ სატრანსპორტო საშუალებით, რომელსაც გავლილი აქვს ტექდათვალიერება კანონმდებლობით დადგენილი წესით; სატრანსპორტო საშუალებას უნდა მართავდეს შესაბამისი გამოცდილებისა და სათანადო კატეგორიის მართვის მოწმობის მქონე მძღოლი; სატრანსპორტო საშუალებაში უნდა იყოს განთავსებული პირველადი სამედიცინო დახმარების ჩანთა.[1788]

როგორც ამ ბრძანების აღწერიდან ჩანს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დამტკიცებული წესი საკმაოდ ზოგადად აწესრიგებდა ყველა იმ საფრთხის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წამოჭრილიყო ექსკურსიის განმავლობაში, თუმცა 2020 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დააზუსტა მანამდე მოქმედი ნორმატიული ბაზა რამდენიმე ახალი წესის დადგენით, მათ შორის დაადგინა, რომ, მოსწავლეთა უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ექსკურსია უნდა განხორციელდეს მხოლოდ ერთ დღეში, ღამისთევის გარეშე. ლოკაციის შერჩევა უნდა მოხდეს ისე, რომ მანძილი სკოლიდან ლოკაციამდე არ აღემატებოდეს 150 კ.მ.-ს.[1789] ასევე, მოქმედი წესის მიხედვით, ექსკურსიის დროს არასრულწლოვნები არ უნდა მოხვდნენ მდინარისა და წყალსაცავების მიმდებარე ტერიტორიაზე, მეწყერსაშიშ და სხვა დაუცველ ტერიტორიებზე.[1790]

ასევე აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 16 სექტემბერს ცვლილებები შეიტანეს კანონში „საგზაო მოძრაობის შესახებ“, რომლის მიხედვით, დაწესდა დამატებითი მოთხოვნები სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორგანიზებული/მოწყობილი ღონისძიების – ექსკურსიის დროს მგზავრთა გადაყვანისას.[1791] ეს მოთხოვნები აწესებს დამატებითი პირობებს იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის, რომლებმაც უნდა განახორციელონ ბავშვების ტრანსპორტირება ექსკურსიის დროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომხდარი უბედური შემთხვევის გამო, ბოლო წლებში დაიხვეწა სკოლის მოსწავლეების მიმართ/სასკოლო გარემოში სიცოცხლის უფლების დაცვის მარეგულირებელი ბაზა. მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკაში მოხდეს დადგენილი წესების ზედმიწევნით შესრულება.

1788 იქვე.

1789 150 კმ-იანი შეზღუდვა მოგვიანებით მოიხსნა.

1790 „სასკოლო ექსკურსიისას ბავშვები არ უნდა მოხვდნენ მდინარესა და წყალსაცავებთან ახლოს – ბრძანება“, 5 მაისი, 2022 წ., იხ.: [https://publika.ge/saskolo-eqskursia-ghamistevis-gareshe-unda-daigegmos-lokacia-skolidan-150-km-s-ar-unda-aghematebodes/], [ნანახია: 20 აგვისტო, 2024 წ.].

1791 კანონის 46^1-ე მუხლი.

6.3.2.4.3.2. სამშენებლო საქმიანობის უსაფრთხოება

ა) კანონმდებლობა

ერთ-ერთი სფერო, რომელშიც არსებობს მომეტებული საფრთხე სიცოცხლისათვის, სამშენებლო საქმიანობაა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამშენებლო საქმიანობის სფეროში ისეთი მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღებას, რომელიც მიმართული იქნება პირთა სიცოცხლის დაცვისაკენ უბედური შემთხვევებისაგან.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ითვალისწინებს რიგ ვალდებულებებს, რომლებიც სახელმწიფომ უნდა შეასრულოს სამშენებლო საქმიანობის სფეროში უბედური შემთხვევებისაგან პირთა სიცოცხლის დასაცავად. საქმეზე *ჩევრიოღლუ თურქეთის წინააღმდეგ (Cevrioglu v. Turkey),* რომელიც ეხებოდა სამშენებლო ტერიტორიაზე მოსარჩელის 10 წლის შვილის დახრჩობას წყლით სავსე ორმოში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამშენებლო ტერიტორიაზე არ იყო დაცული უსაფრთხოება, რის გამოც დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.[1792] ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საქმეზე *ბანელი ლიტვის წინააღმდეგ (Banel v. Lithuania)*, რომელიც ეხებოდა მიტოვებული შენობის აივნის ნაწილის ჩამონგრევის შედეგად ეზოში მყოფი 13 წლის მოზარდის გარდაცვალებას.[1793] ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ვალდებულია, დააწესოს სამართლებრივი რეგულაციები პირთა უსაფრთხოების დაცვის შესახებ და უზრუნველყოს ამ რეგულაციების ეფექტიანი შესრულება.[1794]

საქართველოში სამშენებლო საქმიანობას აწესრიგებს რამდენიმე ნორმატიული აქტი, მათ შორის საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი.[1795] კოდექსის მიხედვით, მისი ამოცანაა „ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო ქალაქმშენებლობის უზრუნველყოფა.“[1796] კოდექსი ითვალისწინებს კომპლექსური ღონისძიებების მთელი რიგის გატარებას, რომლებიც მიმართულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისაკენ.[1797] კოდექსი ადგენს მშენებლობის ზედამხედველობის სახეებს, კერძოდ, მშენებლობის საჯარო, ტექნიკურ და უსაფრთხოების ზედამხედველობას და

1792 4 ოქტომბერი, 2016 წელი.

1793 18 ივნისი, 2013 წელი.

1794 68-ე პუნქტი. ასევე იხ. *კოჩესკი „იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის“ წინააღმდეგ (Koceski v. “the Former Yougoslav Republic of Macedonia”)*, გადაწყვეტილება, 22 ოქტომბერი, 2013 წელი, 21-ე პუნქტი.

1795 3213-რს, 20 ივლისი, 2018 წელი.

1796 მე-2 მუხლის ზ) პუნქტი.

1797 მაგ., იხ. 84-ე მუხლი (შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის პერიოდში უსაფრთხოების დაცვა), რომელიც ადგენს: „შენობა-ნაგებობა ისე უნდა იქნეს დაპროექტებული და აშენებული, რომ მისი ექსპლუატაციის პერიოდში საფრთხე არ შეუქმნას ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. განსაკუთრებული ყურადღებას უნდა მიექცეს ელექტროგაყვანილობის დაზიანების, სამშენებლო მასალებისა და ნაკეთობების ჩამოცვენის, დაჯახების, აფეთქების, წაქცევის და სხვა საკითხებს.“ (პირველი პუნქტი); ასევე, კოდექსის 82-ე მუხლი (სახანძრო უსაფრთხოების დაცვა) ადგენს: შენობა-ნაგებობა ისე უნდა იქნეს დაპროექტებული და აშენებული, რომ ხანძრის დროს „შესაძლებელი იყოს ადამიანების უსაფრთხო ევაკუაცია, აგრეთვე სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მიერ ხანძრის ჩაქრობა, ადამიანებისა და ქონების გადარჩენა.“ ასევე, იხ. კოდექსის 89-ე მუხლი (მოთხოვნები სამშენებლო მასალის მიმართ).

განსაზღვრავს, რომელი სუბიექტი ასრულებს ამ ფუნქციას.[1798] კოდექსი ასევე ითვალისწინებს ჯარიმას სამშენებლო პირობების დარღვევისათვის.[1799]

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის შესახებ კოდექსის გარდა, საქართველოში სამშენებლო საქმიანობას აწესრიგებს ტექნიკური რეგლამენტები, როგორც ტექნიკური ხასიათის ნორმების შემცველი დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს ძირითად პრინციპებს და იცავს ადამიანის ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, საკუთრებასა და გარემოს.[1800]

სამშენებლო საქმიანობის სფეროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ, რომელიც ადგენს უსაფრთხოების მოთხოვნებს სამშენებლო მოედანზე და უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომელთა მიზანია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა.[1801] რეგლამენტი ითვალისწინებს უსაფრთხოების მრავალი ღონისძიების გატარებას სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად, რომლებიც მიზნად ისახავს პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას.[1802]

სამშენებლო საქმიანობას ასევე აწესრიგებს მთავრობის დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“, რომელიც აზუსტებს საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მოთხოვნებს.[1803]

რაც შეეხება უშუალოდ საქართველოში სამშენებლო საქმიანობის მარეგულირებელ ჩარჩოს, რომელიც ეხება ევროპული სასამართლოს ზემოთ მოხსენიებულ ორ საქმეზე დადგენილ ვალდებულებებს, აღსანიშნავია შემდეგი:

მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი ადგენს მთელ რიგს ვალდებულებებისას, რომლებიც მიზნად ისახავს პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას და ითვალისწინებს იმ ვალდებულებების შესრულებას, რომლებიც დადგენილია ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე – *ჩევრიოღლუ თურქეთის წინააღმდეგ (Cevrioglu v. Turkey)*.[1804] კერძოდ, გარდა რეგლამენტით დადგენილი ზოგადი წესისა, რომ „სამშენებლო მოედანზე სამუშაოები უნდა იყოს ორგანიზებული იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მშენებლობის უსაფრთხოება“,[1805] ის ადგენს, რომ „სამშენებლო მოედანი დასახლებულ ადგილებში და საზოგადოებრივი სივრცის მომიჯნავედ ან მოქმედი საწარმოო ტერიტორიაზე უნდა იქნეს შემოღობილი, რათა სამშენებლო მოედანზე შესვლა იყოს კონტროლირებადი და გამორიცხული იყოს იქ

1798 კოდექსის 117-ე მუხლი. ასევე იხ. კოდექსის 118-ე (მშენებლობის საჯარო ზედამხედველობა), 119-ე (მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობა) და 121-ე მუხლი (მშენებლობის უსაფრთხოების ზედამხედველობა).

1799 132-ე მუხლი.

1800 პ. ტურავა, კ. ყალიჩავა, სამშენებლო სამართალი, 2020 წელი, 33-36.

1801 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილება.

1802 რეგლამენტის სხვა მუხლებთან ერთად, იხ. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი (დატვირთვა-დაცვის სამუშაოები), მე-6 მუხლი (მიწის სამუშაოები), მე-10 მუხლის მე-10 პუნქტი (სამონტაჟო სამუშაოები), მე-11 მუხლი (გადახურვის სამუშაოები), მე-12 მუხლი (საიზოლაციო სამუშაოები); მე-13 მუხლი (მოპირკეთების სამუშაოები); მე-15 მუხლი (ელექტროსაშემდუღებლო და აირსაშემდუღებლო სამუშაოები); მე-16 მუხლი (მიწისქვეშა სამუშაოები) და მე-17 მუხლი (შენობა-ნაგებობების დემონტაჟი); ასევე იხ. ტექნიკური რეგლამენტის 1(5)-ელი მუხლი.

1803 საქართველოს მთავრობის დადგენილება N255, 2019 წლის 31 მაისი.

1804 ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ, 2014 წლის 27 მაისი.

1805 რეგლამენტის მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტი.

უნებლიე მოხვედრის შესაძლებლობა. შემოღობვა ხალხის მოძრაობის ადგილებში გადახურული უნდა იყოს ისეთი დამცავი საფარით, რომელიც უზრუნველყოფს ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოებას. სიბნელის დროს შემოღობვა უნდა იყოს აღჭურვილი სასიგნალო ნათურებით ან/და გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი მასალა ან შეფერილობა, რომელიც აღიქმება სიბნელეში. იმავე წესით უნდა შემოიღობოს სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის ტერიტორია.“[1806] რეგლამენტი ასევე ადგენს, რომ „ჭები, შურფები, ნათხარ გრუნტებში ხალხის შესაძლო მოხვედრის ადგილები დახურული უნდა იყოს ხუფებით, ფარებით ან უნდა იყოს შემოღობილი. ლიფტების შახტები, კიბეების უჯრედები და სხვა ღიობები, სადაც შეიძლება მოხვდეს ადამიანი, დახურული უნდა იყოს მთლიანი ფენილით ან უნდა იყოს შემოღობილი. სიბნელის დროს გარე (პერიმეტრული) შემოღობვა უნდა იყოს აღჭურვილი სასიგნალო ნათურებით ან გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი მასალა ან შეფერილობა, რომელიც აღიქმება სიბნელეში.“[1807] რეგლამენტის მიხედვით, „სამშენებლო მოედანზე, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განისაზღვროს განსაკუთრებით საშიში ზონა, რომელიც უნდა შემოიფარგლოს დამცავი ღობით, უსაფრთხოების ნიშნებით და სათანადო წარწერებით.“[1808] ამას გარდა, რეგლამენტი ითვალისწინებს სხვა ღონისძიებების გატარებას, რომელთა მიზანია ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა.[1809]

რაც შეეხება ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებას, რომლის მიხედვით სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შენობის ან მისი ნაწილის ჩამონგრევის შედეგად პირების სიცოცხლის დაცვა (*ბანელი ლიტვის წინააღმდეგ (Banel v. Lithuania)*, საქართველოში სამშენებლო საქმიანობის მარეგულირებელ ჩარჩო ასევე აწესრიგებს ამ საკითხს. კერძოდ, მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი ადგენს, რომ სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის ტერიტორია უნდა იყოს შემოღობილი, რათა ამ ტერიტორიაზე შესვლა იყოს კონტროლირებადი და გამორიცხული იყოს იქ უნებლიე მოხვედრის შესაძლებლობა.[1810]

კანონმდებლობა იმავე მიზანს – ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას – ემსახურება მშენებლობის კონსერვაციის მიმართ. კერძოდ, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესითა და პირობებით“ მოწესრიგებულია მშენებლობის კონსერვაციის საკითხი.[1811] დოკუმენტი ადგენს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც მიმართულია პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისაკენ. კერძოდ, დოკუმენტი ითვალისწინებს, რომ მშენებლობის პროცესის 6 თვეზე მეტი ხნით შეჩერების შემთხვევაში, უნდა მოხდეს მშენებლობაზე ობიექტის კონსერვაცია.[1812]

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესი და პირობები“ ადგენს, რომ უნდა გატარდეს კონსერვაციის სამუშაოები,

---

1806 რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

1807 რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

1808 რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი.

1809 რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-4, მე-6-მე-11 პუნქტები.

1810 რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი; ასევე იხ. რეგლამენტის მე-17 მუხლი, რომელიც ეხება შენობა-ნაგებობების დროს უსაფრთხოების წესების დაცვას; ასევე საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი, 137-ე მუხლი.

1811 საქართველოს მთავრობის დადგენილება N255, 2019 წლის 31 მაისი.

1812 „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესითა და პირობებით“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტი.

რომლებიც მოიცავენ რიგს ღონისძიებებისას, მათ შორის: ობიექტი უნდა მოწესრიგდეს ისე, რომ არ მოხდეს ლითონის კონსტრუქციების, ნაკეთობებისა და ელემენტების კოროზია, რკინა-ბეტონის კვანძები ბეტონით უნდა დაიფაროს; საძირკველი და ქვაბული დაცული უნდა იქნეს ფერდების ჩამოქცევის, ასევე ატმოსფერული ნალექებისა და წყლის დაგროვებისაგან; ობიექტსა და სამშენებლო მოედანზე დაცული უნდა იქნეს უსაფრთხოების მოთხოვნები; ყოველგვარი მასალა (ფიცრები, ყალიბები, ცემენტი, გაჯი და სხვ.) ისე უნდა დასაწყობდეს, რომ არ მოხდეს მათი ჩამოვარდნა, ჩამოცვენა, გაფრქვევა; უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამშენებლო მოედანზე უცხო პირთა შეუღწევლობა (უსაფრთხოების ღობე, ჩაკეტილი ჭიშკარი); უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამშენებლო მოედანზე დაშვებულ პირთა უსაფრთხოება; კანონმდებლობით განსაზღვრულ ადგილებსა და შემთხვევებში ობიექტი უნდა შეიფუთოს დამცავი ბადით; ცვეთის შესაბამისად, პერიოდულად, უნდა მოხდეს დამცავი ბადის განახლება-გამოცვლა, ასევე – უსაფრთხოების ღობის განახლება-გადაღებვა.[1813]

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სამშენებლო საქმიანობის სფეროში საქართველოში მოქმედებს საკმარისად დეტალური საკანონმდებლო (ნორმატიული) ბაზა, რომელიც მიმართულია პირთა სიცოცხლის დაცვისაკენ უბედური შემთხვევებისაგან. რაც შეეხება ევროპული კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებებს, ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის (ნორმატიული) ბაზის ანალიზმა ცხადყო, რომ ევროპული სასამართლოს სტანდარტები სათანადოდ არის ასახული საქართველოს კანონმდებლობაში.

ბ) პრაქტიკა

სამშენებლო საქმიანობა შეიცავს მომეტებულ საფრთხეს სიცოცხლისათვის. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სამშენებლო საქმიანობის სფეროში სახელმწიფომ არა მხოლოდ მიიღოს სიცოცხლის უფლების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა, არამედ უზრუნველყოს მისი ეფექტიანი აღსრულება პრაქტიკაში.

საქართველოში სამშენებლო საქმიანობის სფეროში არსებული სიტუაციის საილუსტრაციოდ გამოდგება ბათუმში 2021 წელს საცხოვრებელი შენობის დანგრევის ფაქტი. როგორც გამოძიებამ დაადგინა, პირველი სართულის ფართის მეპატრონის დავალებით, ორმა ფიზიკურმა პირმა მოახდინა შენობის როგორც მზიდი, ისე არამზიდი კედლების დემონტაჟი. ეს სამუშაო შესრულდა თვითნებურად და მიმდინარეობდა უსაფრთხოების წესების სრული დარღვევით, რამაც გამოიწვია 7-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ნგრევა. ნგრევის შედეგად, გარდაიცვალა 9 პირი. ბრალდებულების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სსკ-ის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით.[1814]

მიუხედავად საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა, რომელიც, მთლიანობაში, სათანადოდ აწესრიგებს სამშენებლო საქმიანობის უსაფრთხოებას, სამშენებლო პრაქტიკაში ხშირია მუშების მიერ მშენებლობის სტანდარტების დარღვევა, რასაც შედეგად მოჰყვება სიცოცხლის მოსპობა. ამას მოწმობს არაერთი ფაქტი.[1815]

1813 მე-4 პუნქტი.

1814 იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/678244-prokurori-batumshi-korpusis-chamongrevamde-braldebulebma-shenishnes-rom-kedlebs-mozraoba-hkonda-dacqebuli-scades-gamagreba-tumca-shemdeg-shenoba-datoves], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

1815 თბილისში მშენებარე კორპუსიდან მუშა გადმოვარდა და ადგილზე დაიღუპა, 9 მარტი, 2024 წ.; იხ.: https://www.interpressnews.ge/ka/article/790741-tbilisshi-mshenebare-korpusidan-musha-gadmovarda-da-adgilze-daigupa]; „გარდაიცვალა 20 წლის კაცი, რომელსაც ბათუმში მშენებლობიდან გადმოვარდნილი საგანი დაეცა“, 12 ივლისი, 2022 წ., იხ.: [https://batumelebi.netgazeti.ge/news/422568/]; „ბათუმში მშენებარე კორპუსი-

ვინაიდან ქვეყანაში მოქმედებს სამშენებლო უსაფრთხოების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა,[1816] მნიშვნელოვანია კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების ზედმიწევნითი შესრულება, მათ შორის ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების გამოყენება და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ზედამხედველობა მშენებლობის პროცესზე.[1817] ასევე მნიშვნელოვანია, რომ დადგეს იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებმაც არ შეასრულეს სამშენებლო უსაფრთხოების სტანდარტები, მათ შორის როგორც დამკვეთისა და შემსრულებლის, ისე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პასუხისმგებლობა, რომელსაც ევალება ზედამხედველობა ამ სამშენებლო მოთხოვნების დაცვაზე.

სამშენებლო საქმიანობის სფეროში სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველია ავარიული შენობების მდგომარეობა, რასაც ადასტურებს კონკრეტული შემთხვევები. მაგალითად, თბილისში ჩამოინგრა სახლის აივანი, რის შედეგადაც გარდაიცვალა 74 წლის ქალი.[1818] მარნეულში საცხოვრებელ კორპუსის აივნის ჩამონგრევის შედეგად გარდაიცვალა ორი ადამიანი, მათ შორის ორსული ქალი.[1819] მართალია, ეს ერთეული შემთხვევებია, მაგრამ ავარიული სახლების პრობლემა ბევრ ადამიანს ეხება, რომელთა სიცოცხლეს ექმნება საფრთხე ასეთ სახლებში ცხოვრებით. მდგომარეობის საილუსტრაციოდ შეიძლება აღნიშნოს, რომ მარტო თბილისში ოფიციალურად არის დაახლოებით 10000 ავარიული საცხოვრებელი შენობა.[1820] ცხადია, ეს შენობები არ არის მედეგი მიწისძვრის მიმართ.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად ქ. თბილისის მერიამ 2022 წელს დაიწყო ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა, რისთვისაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

დან კაცი ჩამოვარდა და დაიღუპა“, 6 ოქტომბერი, 2022 წ., იხ.: [https://batumelebi.netgazeti.ge/news/440495/]; „მშენებარე კორპუსიდან ორი ადამიანი გადმოვარდა, ერთი დაიღუპა, მეორე კი საავადმყოფოში გადაიყვანეს“, 5 თებერვალი, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/583976-mshenebare-korpusidan-ori-adamiani-gadmovarda-erti-daigupa-meore-ki-saavadmqoposhi-gadaiqvanes/]; „ინსპექტირების დეპარტამენტმა ორთაჭალაში კორპუსის მშენებლობა შეაჩერა, სადაც უბედურ შემთხვევას გუშინ ორი ადამიანი ემსხვერპლა“, 17 მარტი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/537447-inspektirebis-departamentma-ortachalashi-korpusis-mshenebloba-sheachera-sadac-ubedur-shemtxvevas-gushin-ori-adamiani-emsxverpla].

1816 კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, 19 თებერვალი, 2019 წელი; საქართველოს მთავრობის დადგენილება N99 „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, 10 თებერვალი, 2020 წელი.

1817 13 ივნისი, 2019 წ., იხ.; [https://www.interpressnews.ge/ka/article/551313-dimitri-ckitishvili-shromis-usaprtxoebis-specialisti-mudmivad-unda-escrebodes-samsheneblo-process], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

1818 28 აგვისტო, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/724090-tbilisshi-italiur-ezoshi-saxlis-aivani-chamoingra-ris-shedegadac-74-clis-kali-gardaicvala/], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

1819 26 თებერვალი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/716936-marneulshi-korpusshi-aivnis-chamongrevis-shedegad-dagupulta-ricxvi-2-mde-gaizarda-dashavebuli-orsuli-kali-klinikashi-gardaicvala], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

1820 კ. ყალიჩავა, „სეისმომედეგი მშენებლობა – ქართული სინამდვილე“, 13 თებერვალი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/744620-seismomedegi-mshenebloba-kartuli-sinamdvile/].

საკრებულომ მიიღო დადგენილება.[1821] ამ დადგენილების მიზანია ქ. თბილისის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლება ახალი და მდგრადი შენობა-ნაგებობებით და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო ქალაქთმშენებლობის უზრუნველყოფა.[1822] დადგენილება განსაზღვრავს ავარიული შენობების ჩანაცვლების პირობებს, მათ შორის ადგენს შენობის ავარიულობის კატეგორიებს.[1823] ამ პროგრამის წარმატებით განხორციელება დამოკიდებული იქნება ავარიული სახლების მასშტაბსა და სისწრაფეზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გატარდეს ღონისძიებები კანონმდებლობით გათვალისწინებული სამშენებლო უსაფრთხოების სტანდარტების ეფექტიანი შესრულებისათვის და იმ პირებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, რომლებიც არ ასრულებენ უსაფრთხოების სტანდარტებს. უნდა გადაიდგას ნაბიჯები იმ სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისათვის, რომელიც პასუხისმგებელია სამშენებლო უსაფრთხოების სტანდარტების შესრულების ზედამხედველობაზე.

6.3.2.4.3.3. სამხედრო საქმიანობის უსაფრთხოება

ა) კანონმდებლობა

როგორც აღინიშნა, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს სიცოცხლის უფლების დაცვა სამხედრო საქმიანობის სფეროში. ამ ვალდებულების შესასრულებლად, სახელმწიფომ უნდა გაატაროს ისეთი ღონისძიებები, რომელთა მიზანია სიცოცხლის მოსპობის თავიდან აცილება სამხედრო საქმიანობის სფეროში. ევროპული სასამართლოს პრაქტიკამ ნათელყო, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გადადგას ნაბიჯები სიცოცხლის მოსპობის თავიდან ასაცილებლად, რომელიც შეიძლება მოჰყვეს სამხედრო წვრთნებს ან ნაღმის აფეთქებას.

ევროპულმა სასამართლომ რამდენიმე საქმეზე იმსჯელა სახელმწიფოს ვალდებულებაზე სამხედრო წვრთნების დროს სიცოცხლის მოსპობის შესახებ და სახელმწიფოს დააკისრა შესაბამისი პასუხისმგებლობა. საქმე *ორუკი თურქეთის წინააღმდეგ (Oruk v. Turkey)* ეხებოდა ჭურვის აფეთქების შედეგად ექვსი ბავშვის გარდაცვალებას მათ სოფელთან ახლომდებარე სამხედრო პოლიგონზე, რომელიც არ იყო გარშემორტყმული ღობით ან მავთულხლართებით და ადგილზე არ იყო განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშნები.[1824] სასამართლოს აზრით, აუფეთქებელ სამხედრო ჭურვებთან დაკავშირებული საფრთხის გათვალისწინებით, სახელმწიფოს ეკისრებოდა ვალდებულება, უზრუნველეყო ამ ტერიტორიის უსაფრთხოება და მასზე ზედამხედველობა, რათა არ მომხდარიყო ამ ტერიტორიაზე შესვლა, ისევე როგორც სახელმწიფოს უნდა უზრუნველეყო ამ ჭურვების გამოძრავების საფრთხის მინიმუმამდე შემცირება. შესაბამისად, ამ ტერიტორიაზე არსებული საფრთხის შესახებ უნდა ყოფილიყო განთავსებული გამაფრთხილებელი ნიშნები, ხოლო საშიში ტერიტორიის პერიმეტრი უნდა ყოფილიყო შემოსაზღვრული. გამაფრთხილებელი ნიშნების არარსებობის შემთხვევაში, სახელმწიფოს უნდა უზრუნველეყო პოლიგონის გაწმენდა აუფეთქებელი ჭურვებისაგან.

1821 დადგენილება N10-48, 6 მაისი, 2022 წ., იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5459574?publication=7].

1822 წესის 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტი.

1823 წესის მე-5 მუხლი.

1824 4 თებერვალი, 2014 წელი.

ევროპული სასამართლოს აზრით, სოფლის მაცხოვრებლების ინფორმირება წვრთნებისა და აუფეთქებელი ჭურვების შესახებ ვერ ჩაითვლება საკმარისად იმისათვის, რათა გამოირიცხოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საწვრთნელ ტერიტორიასთან ახლოს მცხოვრები ადამიანების მიმართ. სახელმწიფოს განსაკუთრებით უნდა უზრუნველეყო, რომ ბავშვები, რომლებიც უფრო მოწყვლადნი არიან, ვიდრე ზრდასრულები, ინფორმირებულნი ყოფილიყვნენ ასეთ ჭურვებთან დაკავშირებული საფრთხის შესახებ. საბოლოოდ, სასამართლომ ჩათვალა, რომ სახელმწიფომ არ გაატარა სათანადო პრევენციული ღონისძიებები სიცოცხლის უფლების დასაცავად, მათ შორის აუფეთქებელი ჭურვების ადგილმდებარეობის დადგენისა და გაუვნებელყოფისათვის, რის გამოც დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.

ამ საქმეში წამოჭრილი საკითხები წესრიგდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით „პოლიგონის, სასროლეთისა და ტირის მოწყობის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტროს მიერ პოლიგონის, სასროლეთისა და ტირის მოწყობის პირობებს, აგრეთვე მათი უსაფრთხოების ორგანიზებისა და უზრუნველყოფის ღონისძიებებს.[1825]

წესი ადგენს სხვადასხვა მოთხოვნას, რომლის მიზანია პოლიგონზე/სასროლეთზე უსაფრთხოების ღონისძიებების უზრუნველყოფა. კერძოდ, წესის მიხედვით, პოლიგონის/სასროლეთის მოწყობისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს უსაფრთხოების ზონების მოწყობა და მისი დაცვა.[1826] ამასთანავე, პოლიგონი/სასროლეთი უნდა მოეწყოს ისე, რომ სწავლების მიმდინარეობისას არ დაზიანდნენ მის ფარგლებს გარეთ მყოფი პირები.[1827] წესი ასევე ადგენს, რომ პოლიგონი/სასროლეთი უნდა იყოს შემოღობილი ან შემოსაზღვრული უსაფრთხოების თხრილით.[1828]

წესი ასევე ითვალისწინებს, რომ პოლიგონის/სასროლეთის უსაფრთხოების საზღვრებზე უნდა განთავსდეს მუდმივი გამაფრთხილებელი ნიშნები, რომლებიც ინფორმაციას იძლევა სწავლებაზე არსებული საფრთხის შესახებ და კრძალავს უსაფრთხოების ზონაში შესვლას.[1829] წესი ადგენს, რომ პოლიგონს/სასროლეთს უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების ინსტრუქცია[1830] და რომ სწავლების დროს უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით უნდა ჩატარდეს სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის, სწავლების, მომზადებისა და ჩატარებისას უსაფრთხოების ღონისძიებების ორგანიზება და შესაბამისი უზრუნველყოფა, სამხედრო მოსამსახურეების მიერ პოლიგონის/სასროლეთის გარე პერიმეტრის დაცვის უზრუნველყოფა, ტერიტორიაზე აუფეთქებელი მასალებისა და სხვა ფეთქებადსაშიში საგნებისა და ნივთიერებების დაკვირვებისა და აღრიცხვის ორგანიზება, ფეთქებადსაშიში საგნებისა და ნივთიერებებისაგან ტერიტორიის გაწმენდა და ადგილობრივ მოსახლეობასთან ახსნა-განმარტებითი მუშაობა.[1831]

უბედური შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით, პოლიგონზე/სასროლეთზე სწავლების ჩატარების წინ, სახიფათო ზონებიდან ადამიანების, ცხოველებისა და

1825 წესის 1-ელი მუხლი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება N63, 21 ივლისი, 2017 წელი. იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/3766254?publication=3].

1826 წესის მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტი.

1827 წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი.

1828 წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

1829 წესის მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტი.

1830 წესის მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტი.

1831 წესის მე-18 მუხლი.

ტრანსპორტის გაყვანის მიზნით, უნდა მოხდეს პოლიგონის ტერიტორიის წინასწარი დათვალიერება.[1832]

წესი ასევე ითვალისწინებს, რომ პოლიგონის/სასროლეთის პერიმეტრის საზღვრები აღინიშნება გამაფრთხილებელი ნიშნებით ქართულ და ინგლისურ ენებზე. ეს ნიშნები ასევე იდგმება პოლიგონის/სასროლეთის მიმდებარე ბილიკებისა და გზების გადაკვეთის ადგილებზე.[1833] პოლიგონის/სასროლეთის ტერიტორიაზე უცხო პირების, ტრანსპორტისა და ცხოველების შესვლის აღკვეთის მიზნით, სწავლების დაწყებამდე 4 საათით ადრე, პოლიგონის/სასროლეთის გარე პერიმეტრზე, უნდა მოეწყოს გარემოცვის საგუშაგოები და განლაგდნენ სამხედრო მოსამსახურეები, რომლებსაც უნდა ჩაუტარდეთ სათანადო ინსტრუქცია.[1834]

წესი ითვალისწინებს უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას სწავლების დასრულების შემდეგაც. კერძოდ, წესის მიხედვით, საბრძოლო სროლების დამთავრებისთანავე ხდება აუფეთქებელი საბრძოლო მასალების და სხვა ფეთქებადსაშიში ნივთიერებების/საგნების მოძებნა-მონიშვნა და შემოსაზღვრა.[1835] ამის შემდეგ დგება უსაფრთხოების რუკა, რომელზეც, სხვა საკითხებთან ერთად, დაიტანება აუფეთქებელი საბრძოლო მასალების და ფეთქებადსაშიში საგნების/ნივთიერებების ადგილმდებარეობა და ვარდნის წერტილები.[1836] ამას მოჰყვება პოლიგონის/სასროლეთის ტერიტორიის გაწმენდა და მონიშნული და შემოსაზღვრული აუფეთქებელი საბრძოლო მასალების და სხვა ფეთქებადი საგნების/ნივთიერებების გაუვნებელყოფა.[1837] თუ პოლიგონის/სასროლეთის ტერიტორიის გაწმენდისას სრულად ვერ იქნა მოძებნილი აუფეთქებელი საბრძოლო მასალები და სხვა ფეთქებაში საგნები/ნივთიერებები, ხდება ტერიტორიის განმეორებით გაწმენდა, მის აღმოჩენამდე და სრულ გაუვნებელყოფამდე.[1838] თუ რაიმე მიზეზით ამის გაკეთება შეუძლებელია, მისი ადგილმდებარეობა შემოისაზღვრება და დგება გამაფრთხილებელი წარწერა.[1839] ამასთანავე, წელიწადში ორჯერ ტარდება პოლიგონის/სასროლეთის ტერიტორიის სრული გაწმენდა.[1840]

წესი ასევე ადგენს, რომ პოლიგონზე/სასროლეთზე სწავლების ჩატარების დროისა და პერიოდის შესახებ უნდა ეცნობოს ახლომდებარე დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ მოსახლეობას ან მოსახლეობის გაფრთხილების მიზნით შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს. შესაძლებელია გაფრთხილების ხმოვანი სიგნალების გამოყენებაც. ამასთანავე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან კოორდინაციით, ადგილობრივ მოსახლეობასთან ტარდება პერიოდული შეხვედრები, რათა მათ გააცნონ პოლიგონის/სასროლეთის მუშაობის ზოგადი წესები და რეგულაციები.[1841]

თავდაცვის სამინისტროს წესის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს კომპლექსური ღონისძიებების გატარებას პოლიგონზე/სასროლეთზე უბედური შემთხვევებისაგან სიცოცხლის დასაცავად. კერძოდ, თავდაცვის სამინისტროს წესი ადგენს პოლიგონზე/სასროლეთ-

---

1832 წესის მე-20 მუხლის 1-ელი პუნქტი.
1833 წესის 31-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.
1834 წესის 32-ე მუხლის 1-ელი და მე-3 პუნქტები.
1835 წესის 35-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.
1836 წესის 36-ე მუხლის 1-ელი-მე-2 პუნქტები.
1837 წესის 37-ე მუხლის მე-2-მე-3 პუნქტები.
1838 წესის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი.
1839 წესის 37-ე მუხლის მე-6 პუნქტი.
1840 წესის 38-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.
1841 წესის 43-ე მუხლის 1-ელი-მე-2 პუნქტები.

ზე უსაფრთხოების დეტალურ მარეგულირებელ ჩარჩოს. საკუთრივ, ის ითვალისწინებს უსაფრთხოების ზონების მოწყობას იმგვარად, რომ სწავლების მიმდინარეობისას არ დაზიანდნენ პოლიგონის/სასროლეთის ფარგლებს გარეთ მყოფი პირები, მოითხოვს ტერიტორიის შემოღობვას და შემოსაზღვრას უსაფრთხოების თხრილით და პოლიგონის/სასროლეთის უსაფრთხოების საზღვრებზე მუდმივი გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსებას, რომლებიც იძლევა ინფორმაციას არსებული საფრთხის შესახებ და კრძალავს უსაფრთხოების ზონაში შესვლას, ასევე ითვალისწინებს პოლიგონის/სასროლეთის უსაფრთხოების ინსტრუქციის არსებობას. წესი ასევე ითვალისწინებს პოლიგონზე/სასროლეთზე სწავლების ჩატარების წინ სახიფათო ზონებიდან ადამიანების გაყვანას და ტერიტორიის წინასწარ დათვალიერებას. წესით ასევე დადგენილია უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება სწავლების დასრულების შემდეგაც, კერძოდ, ხდება აუფეთქებელი საბრძოლო მასალების და სხვა ფეთქებადსაშიში ნივთიერებების/საგნების მოძებნა-მონიშვნა და შემოსაზღვრა, უსაფრთხოების რუკის მომზადება, რომელზეც დაიტანება აუფეთქებელი საბრძოლო მასალების და ფეთქებადსაშიში საგნების/ნივთიერებების ადგილმდებარეობა და ვარდნის წერტილები; უზრუნველყოფილია პოლიგონის/სასროლეთის ტერიტორიის გაწმენდა და მონიშნული და შემოსაზღვრული აუფეთქებელი საბრძოლო მასალების გაუვნებელყოფა; ტარდება განმეორებითი სამუშაო აუფეთქებელი საბრძოლო მასალებისაგან ტერიტორიის გაწმენდისა და გაუვნებელყოფისათვის, წელიწადში ორჯერ ტარდება პოლიგონის/სასროლეთის ტერიტორიის სრული გაწმენდა; ისევე როგორც გათვალისწინებულია ადგილობრივ მოსახლეობასთან ახსნა-განმარტებითი სამუშაოს ჩატარება.

დასკვნის სახით, შეიძლება აღინიშნოს, რომ თავდაცვის სამინისტროს ბრძანებით დამტკიცებული წესი სრულყოფილად ასახავს ევროპული სასამართლოს საქმეზე – *ორუკი თურქეთის წინააღმდეგ (Oruk v. Turkey)* – დადგენილ სტანდარტებს და უზრუნველყოფს სიცოცხლის დაცვის საკანონმდებლო (ნორმატიულ) რეგულირებას სამხედრო პოლიგონზე უბედური შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით.

ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა სახელმწიფოს ვალდებულებაზე ნაღმის აფეთქების შედეგად სიცოცხლის მოსპობის გამო და სახელმწიფოს დააკისრა პასუხისმგებლობა. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე *ალბეკოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Albekov and Others v. Russia)*, რომელიც ეხებოდა ჩეჩნეთში სამი ადამიანის ნაღმზე აფეთქებას.[1842] მოსარჩელეები (ორი გარდაცვლილისა და ერთი დაზარალებულის ნათესავები) ამტკიცებდნენ, რომ ნაღმები დაამონტაჟეს სამხედრო პირებმა, თუმცა მთავრობის წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ ისინი დაამონტაჟა უკანონო შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა.[1843] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ არ თვლის საჭიროდ, დაადგინოს, ვინ დაამონტაჟა ნაღმები, რადგან სახელმწიფო არ უარყოფს, რომ მან იცოდა, ნაღმები განთავსებული იყო ამ ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს ეკისრებოდა პოზიტიური ვალდებულება, დაეცვა ადგილობრივი მოსახლეობა შესაბამისი საფრთხისაგან.[1844] ამისათვის, სასამართლოს აზრით, აუცილებელი იყო იმის დადგენა, გაატარა თუ არა სახელმწიფომ ყველა საჭირო ღონისძიება მოსარჩელეთა ნათესავებისა და სოფლის სხვა მაცხოვრებლების დასაცავად, რათა ისინი არ აღმოჩენილიყვნენ იმ საფრთხის წინაშე, რომლებსაც ქმნიდა ნაღმები.[1845]

1842 9 ოქტომბერი, 2008 წელი.

1843 მე-10 პუნქტი.

1844 85-ე პუნქტი.

1845 86-ე პუნქტი.

სასამართლომ დაადგინა, რომ, როდესაც სამხედრო ნაწილის მოსამსახურე აღმოაჩენდა ნაღმს, ხდებოდა მათი გაუვნებელყოფა ადგილზე, თუმცა მოპასუხე სახელმწიფოს არ წარუდგენია ევროპული სასამართლოსათვის ინფორმაცია შესაბამის ტერიტორიაზე ნაღმების აღმოჩენისა და გაუვნებელყოფისათვის გამოჩენილი რაიმე ორგანიზებული ძალისხმევის შესახებ. სასამართლოს აზრით, გამნაღმველების მიერ დროდადრო აღმოჩენილი ნაღმების გაუვნებელყოფა არ ათავისუფლებს სახელმწიფოს კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულებისაგან.[1846]

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ნაღმების აღმოჩენისა და გაუვნებელყოფისათვის ძალისხმევის არარსებობის შემთხვევაში, სახელმწიფოს შეუძლია, შეასრულოს კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე თავისი პოზიტიური ვალდებულება შესაბამის ტერიტორიაზე გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსებით და ამ ტერიტორიის დალუქვით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ვინმეს იქ თავისუფლად შესვლა, და მაცხოვრებელთა ყოველმხრივი გაფრთხილება ნაღმების ადგილმდებარეობისა და შესაბამისი საფრთხეების შესახებ.[1847]

საქმე *სარიჰანი თურქეთის წინააღმდეგ (Sarihan v. Turkey)* ეხებოდა 12 წლის მეცხვარის აფეთქებას ნაღმზე და მძიმე დაზიანებების მიღებას.[1848] ვინაიდან სახელმწიფომ აკრძალა მავთულხლართებით შემოფარგლულ, დანაღმულ სამხედრო ტერიტორიაზე შესვლა, განათავსა გამაფრთხილებელი ნიშნები და გააფრთხილა ადგილობრივი მოსახლეობა იქ შესვლასთან დაკავშირებული საფრთხის შესახებ, თუმცა ახალგაზრდა მეცხვარე გააზრებულად შევიდა ამ ტერიტორიაზე, რასაც მოჰყვა მისი აფეთქება ნაღმზე. ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მეცხვარეს უნდა გაეცნობიერებინა აკრძალულ სამხედრო ტერიტორიაზე შესვლის თანმდევი საფრთხეები. ამის გამო სასამართლოს არ დაუდგენია, რომ მოპასუხე სახელმწიფომ არ შეასრულა კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებები.[1849]

რაც შეეხება საქართველოში ნაღმის აფეთქებისაგან პირთა დაცვის მარეგულირებელ სამართლებრივ ჩარჩოს, აღსანიშნავია, რომ საქართველო არის „ჩვეულებრივი იარაღის მეტისმეტი დაზიანების მიმყენებელ ან განურჩეველი მოქმედების სახეობათა გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ“ კონვენციის „ნაღმების, მახენაღმებისა და სხვა მოწყობილობების გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ“ II შესწორებული ოქმის მონაწილე.[1850] ეს ოქმი შეიცავს წესებს, რომლებიც აწესრიგებს, მაგრამ არ კრძალავს ნაღმების, მახენაღმებისა და სხვა ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოყენებას. ამ ოქმით, ნებისმიერ გარემოებაში აკრძალულია ნაღმების, მახენაღმებისა და სხვა ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოყენება მშვიდობიანი მოსახლეობის, ინდივიდუალური სამოქალაქო პირების ან სამოქალაქო ობიექტების წინააღმდეგ და იკრძალება ამ მოწყობილობების გამოყენება განურჩევლად.[1851] ოქმი აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, გაატაროს ყველა გონივრული ღონისძიება ნაღმების, მახენაღმებისა და სხვა ასაფეთქებელი მოწყობილობების ზემოქმედებისაგან მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად, მათ შორის დანაღმული ტერიტორიის შემოღობვის,

---

1846 87-ე პუნქტი.

1847 88-ე პუნქტი.

1848 6 დეკემბერი, 2016 წელი.

1849 57-ე პუნქტი.

1850 The Protocol on Prohibitions or Restrictions on the Use of Mines, Booby-Traps and Other Devices as amended on 3 May 1996 (Amended Protocol II).

1851 ოქმის მე-3 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტები.

გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსებისა და მონიტორინგის გზით.[1852] ამასთანავე, საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, მოახდინოს დანაღმული ტერიტორიების განნაღმვა, ნაღმებისა და მსგავსი მოწყობილობების ლიკვიდაცია.

ასევე საყურადღებოა, რომ საქართველოს თავდაცვის ძალებს ჰყავს მესანგრეთა და ფეთქებადი საბრძოლო მასალების განადგურების (EOD) ასეული, რომელიც მზად არის, განახორციელოს ფეთქებადსაშიში საგნების გაუვნებელყოფის ღონისძიებები, როგორც თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების, ისე სხვა სახელმწიფო უწყებების მხარდასაჭერად.[1853]

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ „დელტას“ დებულება, რომლის ფუნქციაა: საქართველოს ტერიტორიაზე ყველა სახის ნაღმებსა და ფეთქებად საბრძოლო ნარჩენებზე ჩატარებული სამუშაოების კოორდინაცია; ნაღმებისა და ფეთქებადი საბრძოლო ნარჩენებისაგან გასუფთავებული ტერიტორიების ინსპექტირება; ომის ფეთქებადი ნარჩენებისა და ნაღმებით დაბინძურებული ტერიტორიების ტექნიკური გამოკვლევისა და შეფასების მართვა და კოორდინაცია; ჰუმანიტარული განნაღმვითი საქმიანობის ხარისხის მართვა და ამ საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მართვის სისტემის განხორციელება.[1854]

დასკვნის სახით, შეიძლება აღინიშნოს, რომ სამხედრო წვრთნებისა და ნაღმის აფეთქების შედეგად პირის გარდაცვალებისაგან სიცოცხლის დაცვის შესახებ საქართველოს საკანონმდებლო (ნორმატიული) ბაზა დამაკმაყოფილებლად ასახავს ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ სტანდარტებს.

ბ) პრაქტიკა

საქართველოში ბოლო წლებში არსებული მდგომარეობის შესწავლამ ცხადყო, რომ სამხედრო წვრთნებს არ გამოუწვევია რაიმე საფრთხე სიცოცხლის უფლების მიმართ.

რაც შეეხება ნაღმების აფეთქებით გამოწვეულ საფრთხეს სიცოცხლისათვის, გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე, აზერბაიჯანის საზღვართან, ე.წ. „წითელ ხიდთან“, არის შვიდკილომეტრიანი დანაღმული ტერიტორია, რომელიც ესაზღვრება მჭიდროდ დასახლებულ სოფელ კირაჩ-მუღანლოს. ამ ტერიტორიაზე განთავსებულია ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითსაწინააღმდეგო ათასზე მეტი აზერბაიჯანული ნაღმი. ვინაიდან სომხეთის საზღვარი ახლოსაა, ყარაბაღის ომის აქტიური ფაზის დროს, აზერბაიჯანელმა სამხედროებმა ეს ტერიტორია დანაღმეს სომხეთის შემოტევისაგან თავის დასაცავად. გავრცელებული ინფორმაციით, წლების განმავლობაში დანაღმულ ტერიტორიაზე არაერთი შემთხვევა მოხდა (ერთი წყაროს მიხედვით, მოხდა 18 შემთხვევა, რომლის შედეგად სულ ცოტა 7 ადამიანი დაიღუპა, ხოლო დანარჩენები დაშავდნენ, მათ შორის დაკარგეს კიდურები, ხოლო მეორე წყაროს მიხედვით, მოხდა 17 აფეთქება, საიდანაც 13 იყო სასიკვდილო). სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების საფრთხე დღესაც არსებობს

1852 ოქმის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტი.

1853 საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი N MOD52400975770, 2 აგვისტო, 2024 წელი. ასევე იხ. ზ. ნავერიანი, საინჟინრო ძალებისა და სამხედრო საინჟინრო ტექნიკის, კომპლექტაციისა და სტრუქტურული რეორგანიზაციის შესაძლო სრულყოფის საკითხი, ნაშრომი წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2021 წელი, 95-ე-მე-100.

1854 დებულების მე-17 მუხლი.

ახლომდებარე დასახლებებისათვის (სოფლები კირაჩ-მუღანლო, თეკალი და ყაჩაღანი), სადაც 4 ათასზე მეტი საქართველოს მოქალაქე ცხოვრობს. ამ სოფლებში მაცხოვრებლების ნაწილი დაკავებულნი არიან მესაქონლეობით. დანაღმულ ტერიტორიაზე დროდადრო ფეთქდება საქონელი და მოსახლეობა რჩება საარსებო წყაროს გარეშე. გავრცელებული ინფორმაციით, საქართველო საკუთარ ტერიტორიას ვერ წმენდს ნაღმებისაგან, რადგან ამას ეწინააღმდეგება აზერბაიჯანი.[1855]

ადგილობრივი მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის არსებული საფრთხის გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ აზერბაიჯანთან მოსაზღვრე ტერიტორია გაიწმინდოს ნაღმებისაგან.

6.3.2.4.3.4. ტექნიკური უსაფრთხოება

ა) კანონმდებლობა

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება სიცოცხლის დაცვაზე ისეთი უბედური შემთხვევისაგან, რომელიც გამოწვეულია ტექნიკური მიზეზით. ამ ვალდებულების შესასრულებლად, სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა უზრუნველყოს ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც მიმართული იქნება ტექნიკური მიზეზით გამოწვეული უბედური შემთხვევისაგან სიცოცხლის დაცვისაკენ.

ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნების შეუსრულებლობას ეხებოდა საქმე *ილია პეტროვი ბულგარეთის წინააღმდეგ (Iliya Petrov v. Bulgaria)*.[1856] ამ საქმეზე, რომელიც ეხებოდა 8 წლის ასაკში მოსარჩელის საცხოვრებლის მიმდებარედ განლაგებულ ელექტროქვესადგურში მისთვის დენის დარტყმას, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ, თუ სახელმწიფო განათავსებს ამ სახის ელექტროდანადგარებს, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, მისი პასუხისმგებლობაა, რომ თავიდან აიცილოს ასეთ დანადგარების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საფრთხეები. სასამართლოს აზრით, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, მოახდინოს გაფრთხილება მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარების შესახებ, ხოლო სივრცე, სადაც განთავსებულია მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარები, უნდა იყოს იზოლირებული, ხოლო მისი კარები უნდა იყოს დაკეტილი ისე, რომ არაუფლებამოსილმა პირმა ვერ შეძლოს შიგნით შეღწევა. ასევე, სასამართლოს აზრით, სახელმწიფოს კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს ელექტროქვესადგურების მიმართ უსაფრთხოების წესების შესრულების რეგულარული შემოწმება, რაც იძლევა პრევენციული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას, თუ აღმოჩნდება ხარვეზი ან ცნობილი გახდება მის შესახებ.[1857]

თუ ამ საქმეში წამოჭრილი საკითხები განიხილება საქართველოს მარეგულირებელი კანონმდებლობის კონტექსტში, აღსანიშნავია შემდეგი: ელექტროსადგურების ექსპლუატაციის უსაფრთხოება განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესებით“.[1858] ეს წესები დეტალურად ადგენს უსაფრთხოების სტანდარტებს,

---

1855 ს. ბუკია, „აზერბაიჯანული ნაღმები საქართველოში,“ 3 მარტი, 2019, იხ. [https://jam-news.ge], [ნანახია: 18 აგვისტო, 2024 წ.]; ამბავი საქართველოში დარჩენილი უდიდესი ნაღმური ველის შესახებ, 24 ივლისი, 2018 წელი, იხ.: [https://www.halotrust.org/latest/halo-updates/stories/red-bridge-minefield-georgian-translation/], [ნანახია: 18 აგვისტო, 2024 წ.].

1856 24 აპრილი, 2012 წელი.

1857 59-ე პუნქტი.

1858 საქართველოს მთავრობის დადგენილება N340, 17 დეკემბერი, 2013 წელი.

რომელთა მიზანია სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა. დამტკიცებული წესების მიხედვით, ელექტროდანადგარები უნდა იყოს იზოლირებული, მისი კარები დაკეტილი ბოქლომით, ხოლო ელექტროდანადგარებზე დაიშვებიან მხოლოდ უფლებამოსილი პირები.[1859] წესები ასევე ადგენს უსაფრთხოების ნიშნის (პლაკატის) გამოყენებას, რომელიც კრძალავს გარკვეულ მოქმედებას ან ინფორმაციას აწვდის მყისიერი საფრთხის შესახებ.[1860] წესები ითვალისწინებს საფრთხის შემცველი სამუშაოს შესრულებაზე ზედამხედველობას.[1861] წესები ასევე ზოგადად ადგენს, რომ უნდა დაწესდეს მუდმივი კონტროლი წინამდებარე წესების, შრომის დაცვის ინსტრუქციების მოთხოვნების შესრულებაზე.[1862]

აქედან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილებით დადგენილ ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებს.

სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე ასევე იმსჯელა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *დარაიბუ ხორვატიის წინააღმდეგ (Daraibou v. Croatia),* რომელიც ეხებოდა პოლიციის განყოფილების სარდაფში მომხდარ ხანძარს. ხანძრის შედეგად მოსარჩელემ მიიღო მძიმე დამწვრობა, ხოლო საკანში მყოფი სხვა სამი მიგრანტი გარდაიცვალა.[1863] ევროპულმა სასამართლომ დაადგინა რამდენიმე ხარვეზი, მათ შორის, რომ არ იყო უზრუნველყოფილი თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ ზედამხედველობა; არ არსებობდა სახანძრო-საევაკუაციო გეგმა და ცეცხლსაქრობების საკმარისი რაოდენობა, ისევე როგორც ის, რომ მეხანძრეებს არ ჰქონდათ წვდომა ხანძართან.

საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ მოთხოვნებს სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. კერძოდ, „პენიტენციურ დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის ორგანიზების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ადგილობრივი პირობების, თავისებურებების და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, შემუშავებული უნდა იქნეს დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული „ხანძრის დროს დაწესებულების სამოქმედო გეგმა-ნახაზი და სტიქიური უბედურების დროს დაწესებულების სამოქმედო გეგმა-ნახაზი“.[1864]

მართალია, საქართველოს კანონმდებლობა ადგენს სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტებს, ის საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას, ნაცვლად ამ სტანდარტების გაუარესების ან საერთოდ გაუქმებისა. სახანძრო უსაფრთხოების სფეროში სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტების გაუქმების მაგალითია საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში 2022 წლის 23 ივნისს შეტანილი ცვლილება, რომლის მიხედვით, 2027 წლამდე ბათუმის გაანაშენიანების გენერალური გეგმის დამტკიცებამდე, დასაშვები გახდა შენობა-ნაგებობებისთვის დადგენილი უსაფრთხოების ნორმების და ფუნქციური ზონით დადგენილი პირობების დარღვევით, განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის (კ-2) და შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის ნებისმიერი მოცულობით გადა-

1859 მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტი; 29-ე მუხლი.
1860 29-ე მუხლი.
1861 29-ე მუხლი.
1862 1-ელი მუხლის მე-6 პუნქტი.
1863 17 იანვარი, 2023 წელი.
1864 156-ე მუხლი.

ჭარბება, ასევე კანონმდებლობით დადგენილი ყველა სხვა სავალდებულო პირობის უგულებელყოფა, გარდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციებისა.[1865] ეს ცვლილება ქმნის არაერთი სამშენებლო სტანდარტის გაუთვალისწინებლობის საფუძველს, სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების ჩათვლით. ამ საკითხზე საქართველოს სახალხო დამცველმა სარჩელი შეიტანა საკონსტიტუციო სასამართლოში, რომლითაც ითხოვს ამ ცვლილების გაუქმებას.[1866]

მართალია, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არცერთ საქმეზე არ უმსჯელია ლიფტების უსაფრთხო ექსპლუატაციაზე, საკმარისი საფუძველია მტკიცებისათვის, რომ ევროპული სასამართლო დააკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს ლიფტების უსაფრთხო ექსპლუატაციის წესების დადგენა და დაცვა. ცხადია, რომ ლიფტის არასწორმა ექსპლუატაციამ და რეგულარულმა შეუმოწმებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ლიფტის მწყობრიდან გამოსვლა, მისი შახტაში ჩავარდნა, და შედეგად, პირის გარდაცვალება.

საქართველოს რამდენიმე ნორმატიული აქტი აწესრიგებს ლიფტების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის საქართველოს მთავრობის დადგენილება „ლიფტის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც ადგენს, რომ ლიფტი უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებს.[1867] ასევე მოქმედებს საქართველოს მთავრობის დადგენილება „ლიფტების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც ადგენს, რომ ტექნიკური რეგლამენტი ლიფტების უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ განსაზღვრავს მოთხოვნებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, რომელიც ექსპლუატაციას უწევს ლიფტებს.[1868]

საქართველოში ასევე მოქმედებს მთავრობის დადგენილება „მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომლის მიხედვით, ლიფტების გეგმური ტექნიკური ინსპექტირება ხორციელდება ყოველ მესამე წელს.[1869]

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოში მოქმედებს სათანადო ნორმატიული ჩარჩო, რომელიც მიმართულია ლიფტების ტექნიკური გაუმართაობით გამოწვეული უბედური შემთხვევისაგან სიცოცხლის დაცვისაკენ.

ბ) პრაქტიკა

პოზიტიური ვალდებულების შესასრულებლად სახელმწიფომ არა მხოლოდ უნდა მიიღოს კანონმდებლობა, რომელიც მიმართული იქნება ტექნიკური მიზეზით გამოწვე-

---

1865 საქართველოს კანონი საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 23 ივნისი, 2022 წ., იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5502735?publication=0].

1866 საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N1724, 23 აგვისტო, 2022 წ., იხ.: [https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=14062]. „ომბუდსმენი ასაჩივრებს კანონს, რომლითაც ბათუმში მშენებლობა მარტივდება“, 18 აგვისტო, 2022 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/a/31994152.html].

1867 საქართველოს მთავრობის დადგენილება N289, 20 ივლისი, 2011 წელი.

1868 საქართველოს მთავრობის დადგენილება N446, 31 დეკემბერი, 2013 წელი.

1869 საქართველოს მთავრობის დადგენილება N173, 10 ივლისი, 2013 წელი, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი.

ული უბედური შემთხვევისაგან სიცოცხლის დაცვისაკენ, არამედ უზრუნველყოს ამ კანონმდებლობის აღსრულება პრაქტიკაში.

1. გაზის სისტემების უსაფრთხოება

საქართველოში ბუნებრივი გაზის გაჟონვის შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებელი მრავალი წლის განმავლობა სავალალო იყო.[1870] მიუხედავად ამისა, გარდაცვალების შემთხვევების რაოდენობა შემცირებისაკენაა. ამას მოწმობს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორში მომხმარებელთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ენერგოომბუდსმენის 2023 წლის ანგარიში, რომლის მიხედვით, მართალია, 2023 წელს დაფიქსირდა ბუნებრივი გაზის აფეთქების, გაჟონვის, მოწამვლის (მხუთავი აირით CO-თი ინტოქსიკაციის) შემთხვევები, ბოლო პერიოდში მდგომარეობა უმჯობესდება და შემთხვევების საერთო რაოდენობა იკლებს.[1871]

ენერგოომბუდსმენის ანგარიშის მიხედვით, „რეგიონებისა და დედაქალაქის მასშტაბით მომხდარი ფაქტების ანალიზით დადგინდა, რომ უბედური შემთხვევები ძირითადად გამოწვეული იყო ბუნებრივი გაზის საყოფაცხოვრებო დანადგარების (ღია წვის წყალგამაცხელებლების, ასევე სხვა დანადგარების) თვითნებური ან არასწორი მონტაჟის შედეგად, ასევე, ტექნიკურად გაუმართავი და გაზის დანადგარების არასწორი ექსპლუატაციის შედეგად. ბუნებრივი გაზის ნებისმიერი დანადგარის მონტაჟი უნდა განხორციელდეს ტექნიკური სტანდარტებისა და უსაფრთხოების მოთხოვნათა ზედმიწევნით ზუსტი დაცვით და კომპანიის წარმომადგენლების მკაცრი ზედამხედველობის პირობებში. შესაბამისად, დაუშვებელია, ბუნებრივი გაზის სისტემების სამონტაჟო სამუშაოები შესრულდეს თვითნებურად, არაკვალიფიციური პირების მიერ და მისი ექსპლუატაცია განხორციელდეს კომპანიის სათანადო ნებართვისა და ზედამხედველობის გარეშე.“[1872]

რაც შეეხება სტატისტიკას, ენერგოომბუდსმენის ზემოაღნიშნული ანგარიშის მიხედვით, 2023 წელს საქართველოში ბუნებრივი გაზისაგან (მხუთავი აირისაგან (CO)) და აფეთქებებისაგან გარდაცვალების 14 შემთხვევა, ხოლო 2022 წელს – 16 შემთხვევა მოხდა.[1873]

სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა გაატაროს ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება ბუნებრივი გაზის

1870 „ვაზისუბანში ხანძრის შედეგად დაშავებული ერთი ადამიანი გარდაიცვალა“, 24 ოქტომბერი, 2023 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/news/693782/]; „რუსთავში CO-თი ახალგაზრდა გარდაიცვალა“, 28 აპრილი, 2023 წ., იხ.: [https://inforustavi.ge/?m=31&news_id=32217&mibextid=Zxz2cZ]; „გლდანის ბინაში, სადაც 5 ადამიანი დაიღუპა, მაშველებს ღუმელი ღია, ანთებული დახვდათ“, 29 იანვარი, 2022 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/news/588879/]; „დიდ დიღომში ცოლ-ქმარი გარდაცვლილი იპოვეს“, 7 ივლისი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/717819-did-digomshi-col-kmari-gardacvlili-ipoves];
„თბილისში, სავარაუდოდ, CO-თი ინტოქსიკაციის შედეგად, დედა და მისი 8 წლის შვილი გარდაიცვალნენ“, 3 დეკემბერი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/686670-tbilisshi-savaraudod-co-ti-intoksikaciis-shedegad-deda-da-misi-8-clis-shvili-gardaicvalnen]; „თბილისში, სავარაუდოდ, გაზის გაჟონვის შედეგად 7 ადამიანი გარდაიცვალა“, 31 იანვარი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/530756-tbilisshi-savaraudod-gazis-gazhonvis-shedegad-7-adamiani-gardaicvala].

1871 იხ.: [http://pdci.ge/res/docs/2024040310570171102.pdf?fbclid=IwY2xjawE0WBtleHRuA2FlbQIxMAABHa3xjhcl_Zn4zvXOD5pa-BELG8XyXFyJkaxt3QWG49NVQ4Lu28MRD10fwg_aem_tLeofprjVPN6hpMYMNkWkg], 69.

1872 იქვე, 70.

1873 იქვე.

გაჟონვის თავიდან აცილებისაკენ. ბოლო წლებში ხელისუფლებას ჰქონდა რამდენიმე ინიციატივა საქართველოში მდგომარეობის გამოსწორების თვალსაზრისით, მათ შორის საცხოვრებელ კორპუსებში ბუნებრივი აირის გაჟონვის ამომცნობი დეტექტორების დამონტაჟება,[1874] გაზის დანადგარების ყოველწლიური სავალდებულო შემოწმება.[1875] მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ თავისი პოზიცია გამოხატა გაზის გამანაწილებელმა კომპანიამაც, რომლის მიხედვით, გაზის მომხმარებლები უნდა აღიჭურვონ დეტექტორით და ღია წვის დანადგარების გამოყენება უნდა აიკრძალოს კანონმდებლობით.[1876]

მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, ამ ეტაპზე ბუნებრივი აირის გაჟონვის ამომცნობი დეტექტორების დამონტაჟება არ მომხდარა და არ აკრძალულა ღია წვის დანადგარების გამოყენება.

უდავოა, რომ მნიშვნელოვანი როლი გაზის გაჟონვის შედეგად გარდაცვალების თავიდან აცილებაში ეკისრება გაზის გამანაწილებელ კომპანიას, რომელიც შრომატევად სამუშაოს ატარებს საცხოვრებლებში გაზის აპარატების სწორი მონტაჟის შესამოწმებლად და, ზოგადად, გარდაცვალების შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.[1877] ქვეყანაში სიტუაციის გაუმჯობესება უნდა მოხდეს არა მხოლოდ გაზის გამანაწილებელი კომპანიის ეფექტიანი მუშაობის ხარჯზე, არამედ ასევე გაზის გაჟონვის შედეგად გარდაცვალების პრობლემის მოსაგვარებლად სახელმწიფოს მიერ კომპლექსური ღონისძიებების გატარების შედეგად, რაც უნდა მოიცავდეს როგორც სათანადო მარეგულირებელი ნორმების დადგენას, ისე ტექნიკური მოთხოვნების დაწესებასა და მათ შესრულებაზე ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელებას, რაც, საბოლოოდ, უზრუნველყოფს უბედური შემთხვევების გამორიცხვას ან მათ მინიმუმამდე შემცირებას.

2. ლიფტების უსაფრთხოება

საქართველოში საცხოვრებელი კორპუსების გაუმართავი ლიფტებით სარგებლობა, რომლებსაც დიდი ხნის წინ გაუვიდა ექსპლუატაციის ვადა, ხშირად ხდება უბედური შემ-

---

1874 „კახა კალაძის განცხადებით, საცხოვრებელ კორპუსებში ბუნებრივი აირის გაჟონვის ამომცნობი დეტექტორები უახლოეს თვეებში დამონტაჟდება“, 8 აპრილი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/540954-kaxa-kalazis-gancxadebit-sacxovrebel-korpusebshi-bunebrivi-airis-gazhonvis-amomcnobi-detektorebi-uaxloes-tveebshi-damontazhdeba].

1875 „ნათია თურნავა – მთავრობას ვთავაზობთ, რომ შემოიღონ გაზის დანადგარების ყოველწლიური სავალდებულო შემოწმება“, 16 აპრილი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/542357-natia-turnava-mtavrobas-vtavazobt-rom-shemoigon-gazis-danadgarebis-qovelcliuri-savaldebulo-shemocmeba].

1876 „თბილისი ენერჯის“ ტექნიკური დირექტორის მოადგილე – ჩვენი პოზიციაა, გაზის მომხმარებლები დეტექტორით აღიჭურვონ და ღია წვის დანადგარების გამოყენება კანონმდებლობით აიკრძალოს, 21 ოქტომბერი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/569032-tbilisi-enerjis-teknikuri-direktoris-moadgile-chveni-poziciaa-gazis-momxmareblebi-detektorit-agichurvon-da-gia-cvis-danadgarebis-gamoqeneba-kanonmdeblobit-aikrzalos].

1877 „თბილისი ენერჯი“ – ოქტომბერში, „თბილისი ენერჯის“ სპეციალისტებმა დედაქალაქის მასშტაბით, საცხოვრებელი ბინებიდან 1390 კუსტარული გაზის დანადგარი ჩახსნეს, 13 ნოემბერი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/734159-tbilisi-enerji-oktombershi-tbilisi-enerjis-specialistebma-dedakalakis-masshtabit-sacxovrebeli-binebidan-1390-kustaruli-gazis-danadgari-chaxsnes].

თხვევის მიზეზი.[1878] ამას ადასტურებს ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მომხდარი შემთხვევები.[1879] სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით, საფრთხე ეხება დაახლოებით 13-14 ათას ამორტიზებულ ლიფტს თბილისში და 18 ათას ლიფტს საქართველოს მასშტაბით.[1880] აქედან გამომდინარე, პრობლემა არის ფართომასშტაბიანი და მისი მოგვარება მოითხოვს დიდ ძალისხმევას.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც ეხება ლიფტების გაუმართაობით გამოწვეულ სიცოცხლის მოსპობის თავიდან აცილებას, არის, ვინ უნდა უზრუნველყოს ლიფტების გამართული ფუნქციონირება. მედიასაშუალებებში სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა. ერთი პოზიციის მიხედვით, ვინაიდან საცხოვრებელი კორპუსები პრივატიზებულია, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ თავად უნდა იზრუნოს ლიფტების უსაფრთხოებაზე და მას ეკისრება პასუხისმგებლობა უბედური შემთხვევისათვის. აქედან გამომდინარე, ამ მოსაზრებით, ამორტიზებული ლიფტების შეცვლა არ არის სახელმწიფოს ვალდებულება. ამ პოზიციით, მოსახლეობამ (ამხანაგობის წევრებმა) თავად უნდა იზრუნოს ლიფტების გამართულობაზე, გასწიოს ყველა ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია ლიფტების გამართულ ფუნქციონირებასთან და მან უნდა დაიცვას საკუთარი სიცოცხლე და ჯანმრთელობა.[1881] მეორე პოზიციის მიხედვით, მართალია, რომ ეს კორპუსები და მათში არსებული ლიფტები ამხანაგობის საკუთრებაა, პრობლემის დიდი მასშტაბისა და მოსახლეობის ხელთ არსებული მწირი ფინანსური რესურსების გამო, მისი მოგვარება სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იქნება.[1882]

ამ საკითხზე თბილისის მერმა გამოხატა პოზიცია, რომლის მიხედვით, „სადარბაზოები და ლიფტები არის თქვენი [მოსახლეობის] საკუთრება. ვინც კონკრეტულ სადარბაზოში ცხოვრობს, ლიფტი არის თქვენი საკუთრება და, რა თქმა უნდა, თქვენ უნდა

1878 „არსებულ ლიფტებს 25-წლიანი ექსპლუატაციის ვადა 90-იან წლებში გაუვიდა ... უნდა მოხდეს დემონტაჟი“, 15 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://bm.ge/news/quotarsebul-liftebs-25-wliani-eqspluataciis-vada-90-ian-wlebshi-gauvida-unda-moxdes-demontajiquot/124748].

1879 „ბათუმში, ლიფტის შახტაში კაცი ჩავარდა და დაიღუპა“, 17 სექტემბერი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/812591-batumshi-liptis-shaxtashi-kaci-chavarda-da-daigupa]; „თბილისში, ლიფტის შახტში ჩავარდნის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა“, 14 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/a/32223277.html]; „ლოტკინის დასახლებაში ლიფტი ჩავარდა, დაშავდა 3 ადამიანი“, 7 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/740619-lotkinis-dasaxlebashi-lipti-chavarda-dashavda-3-adamiani]; „ბათუმში, კორპუსში ლიფტის ჩავარდნის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა“, 15 თებერვალი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/744927-batumshi-korpusshi-liptis-chavardnis-shedegad-xuti-adamiani-dashavda].

1880 „სისტემა არის მოშლილი – სანდრო შელია ლიფტების უსაფრთხოებაზე“, ინტერვიუ რესპონდენტს ჩამოართვა „რადიო თავისუფლებამ“, 28 ოქტომბერი, 2022 წ., იხ.: [https://bit.ly/3gWa26F]; „მენაშენეთა ასოციაცია“ – ამორტიზებული ლიფტების ექსპლუატაციის 25-წლიანი ვადა დაახლოებით 30 წლის წინ ამოიწურა, 13 ივლისი, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/609159-menasheneta-asociacia-amortizebuli-liptebis-ekspluataciis-25-cliani-vada-daaxloebit-30-clis-cin-amoicura].

1881 „არსებულ ლიფტებს 25-წლიანი ექსპლუატაციის ვადა 90-იან წლებში გაუვიდა ... უნდა მოხდეს დემონტაჟი“, 15 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://bm.ge/news/quotarsebul-liftebs-25-wliani-eqspluataciis-vada-90-ian-wlebshi-gauvida-unda-moxdes-demontajiquot/124748].

1882 „ლიფტების გაუმართაობა სისტემური პრობლემაა – სანდრო შელია უბედურ შემთხვევაზე“, 14 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://bm.ge/news/liftebis-gaumartaoba-sistemuri-problemaa---sandro-shelia-ubedur-shemtxvevaze/124737].

უზრუნველყოთ მისი მოწესრიგება, მისი რეაბილიტაცია-განახლება.“[1883] იმავდროულად, თბილისის მერმა ხაზი გაუსვა მერიის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის“ მხარდაჭერის პროგრამების არსებობას, რომელთა ფარგლებში ასეულობით ლიფტი განახლდა და მოწესრიგდა.[1884] გამოითქვა მერის პოზიციისაგან განსხვავებული მოსაზრება, რომლის მიხედვით, ვინაიდან ლიფტი არის მომეტებული საფრთხის წყარო და მისმა გაუმართაობამ შეიძლება გამოიწვიოს სიცოცხლის მოსპობა, მერიას აქვს თავისი წილი პასუხისმგებლობისა, უზრუნველყოს უსაფრთხოება და სიცოცხლის დაცვა.[1885]

როგორც ნაშრომში აღინიშნა, ლიფტის ექსპლუატაციის მარეგულირებელი კანონმდებლობის განხილვისას საქართველოში მოქმედებს მთავრობის დადგენილება „მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომლის მიხედვით, ლიფტების გეგმური ტექნიკური ინსპექტირება ხორციელდება ყოველ მესამე წელს.[1886] მიუხედავად ამისა, გამოითქვა პოზიცია, რომ სინამდვილეში ლიფტების ასეთი შემოწმება არ ტარდება. ამის მიზეზი მოსახლეობის ხელთ არსებული მწირი ფინანსური რესურსებია. ეს სიტუაცია, ცხადია, ზრდის ლიფტების გაუმართაობით გამოწვეულ საფრთხეს პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.[1887]

რა შეიძლება იყოს გამოსავალი? ლიფტების გამართულ მუშაობაზე და, შესაბამისად, ლიფტების გაუმართაობით გამოწვეული უბედური შემთხვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ მოსახლეობაზე (ამხანაგობაზე), არ არის სწორი პოზიცია, რადგან სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვასა და ნებისმიერი საფრთხის თავიდან აცილებაზე, რომელმაც შეიძლება მოუსპოს ადამიანს სიცოცხლე. აქედან გამომდინარე, მართებულია, სახელმწიფომ თავისი მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

გაუმართავი ლიფტების პრობლემის მოგვარება უნდა გახდეს მსჯელობის საგანი და შეიძლება სხვადასხვა გამოსავალი მოიძებნოს. ამ პრობლემის მოგვარების გზებზე გამოითქვა პოზიცია – საკითხის მოსაწესრიგებლად უნდა დაწესდეს, რომ ბინათმფ-

---

1883 კახა კალაძე მოსახლეობას – სადარბაზოები და ლიფტები თქვენი საკუთრებაა, თქვენ უნდა უზრუნველყოთ მისი მოწესრიგება, რეაბილიტაცია და განახლება, 18 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/741521-kaxa-kalaze-mosaxleobas-sadarbazoebi-da-liptebi-tkveni-sakutrebaa-tkven-unda-uzrunvelqot-misi-mocesrigeba-reabilitacia-da-ganaxleba].

1884 იქვე.

1885 „ლევან იოსელიანი კახა კალაძის განცხადებაზე – „ხელების დაბანა“ სწორი არ არის – უსაფრთხოებაზე, ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს“, 18 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/741557-levan-ioseliani-kaxa-kalazis-gancxadebaze-xelebis-dabana-scori-ar-aris-usaprtxoebaze-adamianis-sicocxlesa-da-janmrtelobaze-pasuxismgebloba-ekisreba-saxelmcipos]. ასევე იხ. ა. ნაცვლიშვილის მოსაზრება, 18 იანვარი, 2023 წ., [https://www.interpressnews.ge/ka/article/741537-ana-nacvlishvili-paktobrivad-dazaralebulebs-daakisres-pasuxismgebloba-tu-xelisupleba-pasuxismgeblobas-ixsnis-rom-lipti-kibe-shadrevani-usaprtxo-iqos-mashin-ristvis-apinanseben-mokalakeebi-xelisuplebas].

1886 საქართველოს მთავრობის დადგენილება N173, 10 ივლისი, 2013 წელი, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი.

1887 „ლიფტების გაუმართაობა სისტემური პრობლემაა – სანდრო შელია უბედურ შემთხვევაზე“, 14 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://bm.ge/news/liftebis-gaumartaoba-sistemuri-problemaa---sandro-shelia-ubedur-shemtxvevaze/124737].

ლობელების ამხანაგობებმა სავალდებულო წესით დადონ ხელშეკრულებები კომპანიებთან, რომლებიც იკისრებენ პასუხისმგებლობას ლიფტების გამართულ მუშაობასა და უსაფრთხოებაზე.[1888] ასევე არსებობს მოსაზრება, რომ, მერიისა და ამხანაგობების გარდა, ფინანსურმა ინსტიტუტებმა მიიღონ ამ პროცესში მონაწილეობა ლიფტების რეაბილიტაციის დაფინანსების გზით, რაც მოსახლეობას მისცემს შესაძლებლობას, ნელ-ნელა გადაიხადონ ეს თანხა, თუნდაც ხურდების დაგროვებით, რასაც ისინი ლიფტით მგზავრობაში იხდიან.[1889] ცხადია, რომ ამ პრობლემის მოგვარება გრძელვადიანი პროცესია.

მიუხედავად იმისა, გაუმართავი ლიფტების პრობლემის მოგვარების რა გზები შეირჩევა, დღეს შექმნილი სავალალო სიტუაციიდან გამომდინარე, აუცილებელია სწრაფი, ეფექტიანი და თუნდაც დროებითი, გამოსავლის გამონახვა. ამისათვის, როგორც მინიმუმ, საწყის ეტაპზე სახელმწიფომ თავად უნდა უზრუნველყოს ლიფტების მდგომარეობის შემოწმება და არ დაელოდოს ბინათმესაკუთრეთა განცხადებას. თუ აღმოჩნდა, რომ ლიფტის ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა აკრძალოს მისი ექსპლუატაცია, სიტუაციის გამოსწორებამდე. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფომ, პრიორიტეტული კლასიფიკატორის მიხედვით, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის“ მხარდაჭერის პროგრამების დახმარებით უნდა უზრუნველყოს ამ ლიფტების რეაბილიტაცია ან ამ პროცესში ფინანსური თანამონაწილეობა ამხანაგობებთან ერთად, ლიფტის გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

ვინაიდან სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლე, ვრცელდება ტექნიკური მიზეზით გამოწვეული უბედური შემთხვევის თავიდან აცილებაზე, აუცილებელია, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს გაუმართავი ლიფტების ექსპლუატაციის პრობლემის მოგვარება სწრაფი, ეფექტიანი და რეალისტური გზებით.

3. სახანძრო უსაფრთხოება

სიცოცხლის მოსპობას ხშირად იწვევს ხანძარი. ამას მოწმობს როგორც კონკრეტული შემთხვევები,[1890] ისე სტატისტიკური მონაცემები. ამ სტატისტიკის მიხედვით, მხოლოდ 2024 წლის პირველ ნახევარში საქართველოში იყო ხანძრის 5985 შემ-

---

1888 „არსებულ ლიფტებს 25-წლიანი ექსპლუატაციის ვადა 90-იან წლებში გაუვიდა ... უნდა მოხდეს დემონტაჟი“, 15 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://bm.ge/news/quotarsebul-liftebs-25-wliani-eqspluataciis-vada-90-ian-wlebshi-gauvida-unda-moxdes-demontajiquot/124748].

1889 „სისტემა არის მოშლილი – სანდრო შელია ლიფტების უსაფრთხოებაზე“, ინტერვიუ რესპონდენტს ჩამოართვა „რადიო თავისუფლებამ“, 28 ოქტომბერი, 2022 წ., იხ.: [https://bit.ly/3gWa26F].

1890 „თბილისში, იყალთოს ქუჩაზე კორპუსში ხანძარს მსხვერპლი მოჰყვა“, 22 მარტი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/749508-tbilisshi-iqaltos-kuchaze-korpusshi-xanzars-msxverpli-mohqva]; „გორში, დევნილთა დასახლებაში გაჩენილ ხანძარს 80 წლამდე მამაკაცი ემსხვერპლა“, 18 აგვისტო, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/723240-gorshi-devnilta-dasaxlebashi-gachenil-xanzars-80-clamde-mamakaci-emsxverpla]; „ქობულეთში, ეზოში ნარჩენების დაწვისას, 70 წლის მამაკაცს ცეცხლი მოეკიდა და ადგილზე გარდაიცვალა“, 5 მარტი, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/588408-kobuletshi-ezoshi-narchenebis-dacvisas-70-clis-mamakacs-cecxli-moekida-da-adgilze-gardaicvala]; „რა მოხდა „ლეოგრანდში“?“, 26 ნოემბერი, 2017 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/a/ra-mokhda-leograndshi/28877776.html].

თხვევა, რომელთაც 21 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 122 ადამიანი დაშავდა.[1891]

რაც შეეხება პრაქტიკულ ნაბიჯებს, რომლებიც შეიძლება გადაიდგას ხანძრით გამოწვეული სიცოცხლის მოსპობის თავიდან ასაცილებლად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობებში კანონმდებლობით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების ზედმიწევნით შესრულებას და მასზე ზედამხედველობას. ასევე მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტექნიკური საშუალების გამოყენების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს ხანძრით გამოწვეული საფრთხის შესახებ გაფრთხილებას, მაგალითად, როგორიცაა კვამლის დეტექტორის სავალდებულო მონტაჟი.

სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს თავისუფლებააღკვეთილი პირების სიცოცხლის დაცვა ხანძრით გამოწვეული საფრთხისაგან. საქართველოს ერთ-ერთ პენიტენციურ დაწესებულებაში გაჩენილი ხანძრით ორი პატიმარი გარდაიცვალა.[1892] მართალია, საქართველოს კანონმდებლობა ადგენს პენიტენციურ დაწესებულებებში უსაფრთხოების სტანდარტებს, რომლებიც მიზნად ისახავს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სიცოცხლის დაცვას ისეთი უბედური შემთხვევებისაგან, როგორიცაა ხანძარი,[1893] საქართველოს სახალხო დამცველმა გამოთქვა ეჭვი, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში არ არსებობს სახანძრო უსაფრთხოების წესები და კრიტიკულ შემთხვევებზე რეაგირების მკაფიო ინსტრუქციები.[1894] საყურადღებოა, რომ საქმეზე – *დარაიბუ ხორვატიის წინააღმდეგ (Daraibou v. Croatia),* რომელიც ეხებოდა პოლიციის განყოფილების სარდაფში მომხდარ ხანძარს, ევროპულმა სასამართლომ საქმეზე კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის ერთ-ერთ მიზეზად სახანძრო-საევაკუაციო გეგმის არარსებობა დაასახელა.[1895] სახალხო დამცველმა ასევე ეჭვი შეიტანა იმაში, რომ, კანონმდებლობის მიუხედავად, რომლის მიხედვით, სავალდებულოა პენიტენციურ დაწესებულებებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულების შემოწმება,[1896] პენიტენციურ დაწესებულებებში არ ჩა-

---

1891 „6 თვეში საქართველოში 5985 ხანძარი დაფიქსირდა – ხანძრებს 21 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა“, 5 აგვისტო, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/808179-6-tveshi-sakartveloshi-5985-xanzari-dapiksirda-xanzrebs-21-adamianis-sicocxle-emsxverpla].

1892 15 ოქტომბერი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/678920-penitenciuri-samsaxuri-me-17-sapatimroshi-xanzris-shedegad-gardacvlili-2-patimari-dacesebulebis-sameurneo-nacilshi-iqo-dasakmebuli-dashavebulia-kvebiti-momsaxurebis-kompaniis-ramdenime-tanamshromelic].

1893 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 1 აგვისტოს №200 ბრძანება „პენიტენციურ დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის ორგანიზების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

1894 სახალხო დამცველი – პენიტენციურ დაწესებულებებში, სავარაუდოდ, არ არსებობს სახანძრო უსაფრთხოების წესები და კრიტიკულ შემთხვევებზე რეაგირების მკაფიო ინსტრუქციები, 15 ოქტომბერი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/679020-saxalxo-damcveli-penitenciur-dacesebulebebshi-savaraudod-ar-arsebobs-saxanzro-usaprtxoebis-cesebi-da-kritikul-shemtxvevebze-reagirebis-mkapio-instrukciebi].

1895 17 იანვარი, 2023 წელი.

1896 „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N371 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მიხედვით, პენიტენციური დაწესებულებების დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება ტარდება არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ, ხოლო საკონტროლო შემოწმება – არანაკლებ წელიწადში ერთხელ. ხოლო ის ობიექტები, რომლებშიც ღამის საათებში იმ-

ტარებულა ასეთი შემოწმება.[1897] ამასთანავე, სახალხო დამცველის მიერ მიღებული ინფორმაციით, „N17 დაწესებულებაში მომხდარი ხანძრის შემდეგ, 2021 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში პენიტენციური სამსახურის მიმართვის საფუძველზე, შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა შეამოწმა ყველა პენიტენციური დაწესებულება სახანძრო უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად. შემოწმების შედეგად გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა დაიწყო შესაბამისი ღონისძიებების გატარება – ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმის მომზადება/განახლების სამუშაოები.“[1898]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, გატარდეს ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება როგორც ხანძრისაგან პირთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუმჯობესების, ისე სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების ზედმიწევნით შესრულებისა და მათ შესრულებაზე სახელმწიფოს ეფექტიანის ზედამხედველობის უზრუნველყოფისაკენ.[1899] ასევე აუცილებელია სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება ხანძრით გამოწვეული უბედური შემთხვევების თავიდან აცილების შესახებ და მათი დანერგვა საქართველოში.

4. ელექტროდენის უსაფრთხოება

საქართველოში ელექტროდენის დარტყმით ადამიანის გარდაცვალება არ არის იშვიათობა. ამას მოწმობს ბოლო წლებში ქვეყანაში მომხდარი არაერთი ფაქტი.[1900] ელექტროდენის დარტყმით გარდაცვალების ერთ-ერთი გახმაურებული შემთხვევა მოხდა 2022 წლის ოქტომბერში თბილისში, ვაკის პარკში, და გამოიწვია 13 წლის მოზარდის სიცოცხლის მოსპობა, რომელიც შადრევანში ბურთის ამოსაღებად იყო ჩასული და დენმა დაარტყა. ამ ფაქტის გამო რამდენიმე პირს, მათ შორის თბილისის მერიის კონტრაქტორი და ქვეკონტრაქტორი კომპანიების თანამშრომლებსა და მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის თანამშრომლებს შეეფარდათ სისხლისსამართლებრივი სასჯელი.[1901]

როგორც გამოძიების შედეგად გაირკვა, სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას ხელოსნებმა დაარღვიეს სამუშაოს წარმოების უსაფრთხოების ნორმები.

ყოფებიან ადამიანები, ექვემდებარებიან მიზნობრივ (ოპერატიულ) შემოწმებებს ღამის საათებში არანაკლებ ნახევარ წელიწადში ერთხელ.

1897 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, 2022 წელი, იხ.: [https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf], 15-16.

1898 საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, 2022 წელი, იხ.: [https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040420075286303.pdf], 16.

1899 ამ საკითხზე სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა შეიმუშავა რეკომენდაცია, რომელიც მიმართულია შსს-სა და იუსტიციის სამინისტროებისაკენ, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2023, 13-14, [https://sis.gov.ge/Statistics-and-reports? cat_id=86].

1900 „დენის დარტყმის შედეგად 2 წლის ბავშვი გარდაიცვალა“, 18 აგვისტო, 2024 წ., იხ.: [https://www.tv9news.ge/ka/akhali-ambebi/jandacva/article/44781-denis-dartymis-shedegad-2-tslis-bavshvi-gardaicvala]; „დენის დარტყმის შედეგად ახალგაზრდა გარდაიცვალა“, 12 აგვისტო, 2024 წ., იხ.: [https://inforustavi.ge/?m=31&news_id=38068]: „ბათუმში დენის დარტყმის შედეგად კაცი გარდაიცვალა“, 23 ივლისი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/764708-batumshi-denis-dartqmis-shedegad-kaci-gardaicvala/].

1901 „ვაკის პარკის შადრევნის საქმეზე 8 პირს პატიმრობა მიუსაჯეს, 1 – გამართლდა“, 2023 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/a/32496685.html].

მერიის კონტრაქტორმა შესრულებული სამუშაო მერიის საქალაქო სამსახურს წარუდგინა შესაბამისი ინსპექტირების გარეშე, ხოლო მერიის გარემოს დაცვის სამსახურმა აღნიშნული მიიღო შესაბამისი ინსპექტირების გარეშე. თავის მხრივ, ქვეკონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენელმა არ გადაამოწმა დაქირავებული ხელოსნების მიერ შესრულებული სამუშაო, ხოლო კონტრაქტორის სამუშაოთა მწარმოებელმა არ გაუწია შესაბამისი კონტროლი შესრულებულ სამუშაოს. სარეაბილიტაციო სამუშაოს შესრულების პროცესში თითოეულ მხარეზე დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების კასკადმა კი გამოიწვია მოზარდის გარდაცვალება. ამ პირთა მიერ თავიანთი მოვალეობის ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ელექტროსადენის დაზიანების ფაქტი გამოვლენილი იქნებოდა და თავიდან იქნებოდა აცილებული ტრაგიკული შემთხვევა.[1902]

გარდა იმისა, რომ უნდა მოხდეს ამ პროცესში ჩართული ყველა იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ შესრულებული სამუშაოს მკაცრი ზედამხედველობა, სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს გამაფრთხილებელი ღონისძიებების გატარება, რომელიც მიმართული იქნება უბედური შემთხვევის თავიდან აცილებისაკენ. სახელმწიფოს მიერ ისეთი პრაქტიკული ღონისძიების გატარებამ, როგორიცაა გამაფრთხილებელი ან/და ამკრძალავი აბრის განთავსება საფრთხის შემცველ ობიექტზე, შეიძლება უზრუნველყოს ადამიანის სიცოცხლისათვის რისკის თავიდან აცილება.

ასევე, ერთ-ერთი გახმაურებული შემთხვევა ეხება 2023 წლის ივლისში წყნეთის დასახლებაში 16 წლის მოზარდისათვის დენის დარტყმას ფანჩატურში, სადაც კუსტარულად იყო დამონტაჟებული ელექტრომოწყობილობა.[1903] თბილისის მერიის განცხადებით, ფანჩატურში ელექტროხაზის დაერთებაზე მუნიციპალიტეტის მხრიდან არანაირი ნებართვა არ გაცემულა და მისი დაერთება მოხდა თვითნებურად.[1904]

ჩნდება კითხვა, ვალდებულია თუ არა სახელმწიფო, საზოგადოებრივ სივრცეში აღკვეთოს უკანონოდ დამონტაჟებული ელექტრომოწყობილობის ფუნქციონირება, რომელიც შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს მოსახლეობისათვის? თუ იყო ვალდებული, დაეკისრა თუ არა პასუხისმგებლობა შესაბამის პირს, ვინც არ შეასრულა თავისი მოვალეობა? თუ მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფოს არ ეკისრება ვალდებულება, აღკვეთოს საზოგადოებრივ სივრცეში უკანონოდ დამონტაჟებული ელექტრომოწყობილობის ფუნქციონირება, უნდა ეკისრებოდეს თუ არა მას ეს ვალდებულება, რადგან უკანონო ელექტრომოწყობილობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, როგორც ეს ამ შემთხვევაში მოხდა?

1902 პროკურატურა კადრებს ავრცელებს, სადაც ვაკის პარკის ცენტრალურ შადრევანში დაზიანებული ელექტროკაბელი ჩანს“, 19 ოქტომბერი, 2022 წ., იხ: [https://www.interpressnews.ge/ka/article/731229-prokuratura-kadrebs-avrcelebs-sadac-vakis-parkis-centralur-shadrevanshi-dazianebuli-elektrokabeli-chans].

1903 „წყნეთში, სკვერის მიმდებარედ, დენის დარტყმით მოზარდი დაიღუპა“, 11 ივლისი, 2023 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/a/32498327.html?fbclid=IwAR0SEuSbeqttnByEEOGl4ehlhHiUHtM8_F36ENDG0uYtrug1l-xC6VUZx-s].

1904 „კახა კალაძე – სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წყნეთში, ე.წ. ფანჩატურში ელექტროხაზის დაერთებაზე მუნიციპალიტეტის მხრიდან ნებართვა გაცემული არ ყოფილა და მისი დაერთება თვითნებურად მოხდა – ვუსამძიმრებ მოზარდის ოჯახს“, 12 ივლისი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/763576-kaxa-kalaze-sruli-pasuxismgeblobit-vacxadeb-rom-cqnetshi-ec-panchaturshi-elektro-xazis-daertebaze-municipalitetis-mxridan-nebartva-gacemuli-ar-qopila-da-misi-daerteba-tvitneburad-moxda-vusamzimreb-mozardis-ojaxs].

საქართველოს პრაქტიკაში ასევე მოხდა შემთხვევა, რომლის ფაქტობრივი გარემოებები ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმის მსგავსია. მასმედიის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციით, ფოთში, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის ეზოში მდებარე სატრანსფორმატორო მაღალი ძაბვის ქვესადგურში, 9 წლის მოზარდს დენმა დაარტყა, რის შედეგადაც მან მიიღო მძიმე დამწვრობა. შსს-მ დაიწყო გამოძიება სსკ-ის 118-ე მუხლით, რაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.[1905] ამ საქმის გარემოებები მსგავსია ევროპული სასამართლოს საქმის – *ილია პეტროვი ბულგარეთის წინააღმდეგ (Iliya Petrov v. Bulgaria)* – გარემოებებისა,[1906] რომელზეც მან დაადგინა, რომ, თუ სახელმწიფო განათავსებს ამ სახის ელექტროდანადგარებს, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, მისი პასუხისმგებლობაა, რომ თავიდან აიცილოს ასეთ დანადგარების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საფრთხეები. სასამართლოს ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარების დაცვა, კერძოდ, სივრცე, სადაც განთავსებულია მაღალი ძაბვის ელექტროდანადგარები, უნდა იყოს იზოლირებული და მისი კარები უნდა იყოს დაკეტილი ისე, რომ არაუფლებამოსილმა პირმა ვერ შეძლოს შიგნით შეღწევა. სასამართლოს პოზიციით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ელექტროქვესადგურების მიმართ უსაფრთხოების წესების შესრულების რეგულარული შემოწმება, რაც იძლევა პრევენციული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას.[1907]

როგორც ნაშრომში იყო განხილული, საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ მოთხოვნებს ელექტროსადგურების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ, მათ შორის ადგენს, რომ ელექტროდანადგარები უნდა იყოს იზოლირებული, მისი კარები დაკეტილი ბოქლომით, ხოლო ელექტროდანადგარებზე დაიშვებიან მხოლოდ უფლებამოსილი პირები.[1908] წესები ასევე ადგენს უსაფრთხოების ნიშნის (პლაკატის) გამოყენებას, რომელიც კრძალავს გარკვეულ მოქმედებას ან ინფორმაციას აწვდის მყისიერი საფრთხის შესახებ.[1909] მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს შესაბამის ევროპულ მოთხოვნებს, ამ საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად აუცილებელი იყო, რომ გამოძიებას დაედგინა, რამდენად იყო დაცული საქართველოს კანონმდებლობისა და ევროპული კონვენციის სტანდარტები პრაქტიკაში.

მართალია, საქართველოში მომხდარი ზემოაღნიშნული შემთხვევის შესახებ მედიასაშუალებით სხვა ინფორმაცია არ გავრცელებულა, რის გამოც ამ საქმეზე ჩატარებული გამოძიების შედეგები ვერ შეფასდება, მაგრამ შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ საქართველოს სასამართლოს უნდა შეეფასებინა ამ საქმის გარემოებები ევროპული სასამართლოს მსგავსად, კერძოდ, უნდა შეეფასებინა, იყო თუ არა ქვესადგური იზოლირებული, ხოლო მისი კარები დაკეტილი ისე, რომ არაუფლებამოსილ პირს არ

1905 „დენის დარტყმის შედეგად მძიმედ დაშავებული 9 წლის მოზარდი ფოთის საავადმყოფოდან თბილისში გადმოიყვანეს“, 11 მარტი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/536539-denis-dartqmis-shedegad-mzimed-dashavebuli-9-clis-mozardi-potis-saavadmqopodan-tbilisshi-gadmoiqvanes].

1906 24 აპრილი, 2012 წელი.

1907 59-ე პუნქტი.

1908 საქართველოს მთავრობის დადგენილება N340 „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების შესახებ“, 17 დეკემბერი, 2013 წელი, მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტი; 29-ე მუხლი.

1909 29-ე მუხლი.

ჰქონოდა შიგნით შეღწევის შესაძლებლობა და იყო თუ არა რაიმე მანიშნებელი (მაგ., აბრა), რაც მიუთითებდა ქვესადგურში შეღწევის საფრთხეზე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

დენის დარტყმისაგან სიცოცხლის დაცვისაკენ მიმართულ ღონისძიებებს შორის შეიძლება იყოს ელექტროგაყვანილობებისა და ელექტროდანადგარების მოწყობა-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელების ლიცენზირება. ამას ითვალისწინებს „ელექტროქსელის მოწყობისა და ელექტროდანადგარების უსაფრთხოების შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც პარლამენტში უკვე ინიცირებულია. როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული: „დღეისათვის არ გაიცემა სამუშაოს განხორციელების ლიცენზია. შესაბამისად, სათანადოდ არ მოწმდება ცოდნისა და გამოცდილების ხარისხი, არ გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი და ა.შ. ყველაზე მთავარია ის, რომ არ არსებობს ელექტრული ქსელების მოწყობისა და ელექტროენერგეტიკული დანადგარების/მოწყობილობების უსაფრთხო ექსპლუატაციაზე ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანო, რაც მნიშვნელოვნად ზრდის უბედური შემთხვევების, მათ შორის ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებისა და სიცოცხლის მოსპობის რისკებს“.[1910] ამ კანონპროექტით გათვალისწინებულია არა მხოლოდ ელექტროგაყვანილობებისა და ელექტროდანადგარების მოწყობა-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელების ლიცენზირება, არამედ ელექტრული ქსელების მოწყობისა და ელექტროენერგეტიკული დანადგარების/მოწყობილობების უსაფრთხო ექსპლუატაციაზე ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დენის დარტყმისაგან სიცოცხლის დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია როგორც კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა, რომელიც მიმართული იქნება ელექტროგაყვანილობებისა და ელექტროდანადგარების მოწყობა-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელების ლიცენზირებისა და ამ სამუშაოს შესრულებაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტიანად განხორციელებისაკენ, ისე პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა არსებული საფრთხეების შესახებ საზოგადოების წევრების ინფორმირების მიზნით.

6.3.2.4.3.5. სატრანსპორტო სისტემის უსაფრთხოება

ა) კანონმდებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება სატრანსპორტო შემთხვევებისაგან პირის სიცოცხლის დაცვაზე. ამ ვალდებულების შესასრულებლად სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიიღოს შესაფერისი ნორმატიული ჩარჩო, რომელიც მოაწესრიგებს სატრანსპორტო შემთხვევებისაგან პირის სიცოცხლის დაცვას.[1911]

1910 „ელექტროგაყვანილობებისა და ელექტროდანადგარების მოწყობა-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელება შესაძლოა, ლიცენზირებას დაექვემდებაროს“, 26 ივნისი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/761420-elektrogaqvanilobebisa-da-elektrodanadgarebis-mocqoba-samontazho-samushaoebis-ganxorcieleba-shesazloa-licenzirebas-daekvemdebaros].

1911 *რაჯკოვსკა პოლონეთის წინააღმდეგ (Rajkowska v. Poland),* გადაწყვეტილება, 27 ნოემბერი, 2007 წელი; *ალ ფაედი საფრანგეთის წინააღმდეგ (Al Fayed v. France),* 27 სექტემბერი, 2007 წელი; *რაილეანი მოლდოვის წინააღმდეგ (Railean v. Moldova),* 5 იანვარი,

საქმე *კალენდერი თურქეთის წინააღმდეგ (Kalender v. Turkey)* ეხებოდა მატარებლიდან ორი პირის ჩასვლას არა ბაქნის, არამედ საწინააღმდეგო მხარეს, რის გამოც მათ დაეჯახა პარალელურ ლიანდაგზე მოძრავი სატვირთო მატარებელი.[1912] მატარებლის დაჯახების შედეგად ისინი გარდაიცვალნენ. ჩატარებულმა გამოძიებამ დაადგინა, რომ რკინიგზის სადგურის სტრუქტურამ და მისმა მენეჯმენტმა ვერ უზრუნველყო უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების დაცვა და, რომ რკინიგზის უსაფრთხოების სისტემაში არსებული ნაკლოვანებები იყო მიზეზშედეგობრივ კავშირში ამ პირთა გარდაცვალებასთან.[1913] ამის შედეგად, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო უსაფრთხოების რეგულაციების შესრულება, რათა დაცულიყო მგზავრთა სიცოცხლე და დაადგინა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა. ამ საქმიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უსაფრთხოების ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მგზავრებს მისცემს შესაძლებლობას, უსაფრთხოდ გადაადგილდნენ მატარებლის სადგურზე, სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნის გარეშე.

მსგავს გარემოებებს ეხებოდა საქმე *ბონი საფრანგეთის წინააღმდეგ (Bone v. France).*[1914] ამ საქმეში მოსარჩელის 14 წლის შვილი მატარებლიდან ჩავიდა არა ბაქნის, არამედ ლიანდაგების მხარეს, რის გამოც მოძრავი სხვა მატარებელი დაეჯახა მას და მოკლა. ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მოზარდმა თავისი წინდაუხედავი მოქმედებით თავად ჩაიგდო საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში მატარებლის იმ კარის თვითნებურად გაღებით, რომელიც არ უნდა გაეღო და მოახდინა ნიშნის იგნორირება, რომელიც აფრთხილებდა საფრთხის შესახებ. სასამართლომ ჩათვალა: ასეთი გამაფრთხილებელი ნიშნის არსებობა მიუთითებდა, რომ დაცული იყო უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტები.[1915] შესაბამისად, თუ სახელმწიფომ უზრუნველყო უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების დადგენა და მათი პრაქტიკაში გატარება, მაგალითად, გამაფრთხილებელი ნიშნის დამონტაჟება, მაგრამ პირმა თავისი წინდაუხედავი მოქმედებით თავად ჩაიგდო თავისი სიცოცხლე საფრთხეში, ჩაითვლება, რომ სახელმწიფომ შეასრულა სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება.

საქართველოში რკინიგზის უსაფრთხოების სისტემას ადგენს საქართველოს სარკინიგზო კოდექსი.[1916] კოდექსის მიხედვით, „რკინიგზა ვალდებულია უზრუნველყოს ... რკინიგზის ვაგზალსა და სამგზავრო მატარებელში მგზავრის უსაფრთხოება ...“.[1917] კოდექსის მიხედვით, რკინიგზის ვაგზალი უნდა აღიჭურვოს მგზავრთა ჩასასხდომი ბაქნით, ქვეითად მოსიარულეთათვის გასასვლელი გვირაბითა და გადასასვლელი

2010 წელი, 30-ე პუნქტი; *სტარჩევიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Starcevic v. Croatia),* 13 ნოემბერი, 2014 წელი, 54-ე პუნქტი; *ალ ფაედი საფრანგეთის წინააღმდეგ (Al Fayed v. France),* 27 სექტემბერი, 2007 წელი; *რაილეანი მოლდოვის წინააღმდეგ (Railean v. Moldova),* 5 იანვარი, 2010 წელი, 30-ე პუნქტი; *ჩავიტ ტინარლიოღლუ თურქეთის წინააღმდეგ (Cavit Tinarlioglu v. Turkey),* 2 თებერვალი, 2016 წელი.

1912 15 დეკემბერი, 2009 წელი.

1913 არ იყო მიწისქვეშა გადასასვლელი, არსებული გადასასვლელი საპირისპირო მხარეს იყო ბლოკირებული სატვირთო მატარებლით, რაც აიძულებდა მგზავრებს, გადაეკვეთათ ლიანდაგი, ხელმისაწვდომი არ იყო ინფორმაცია მატარებლების შესახებ და სხვ.

1914 1 მარტი, 2005 წელი.

1915 D. Xenos, Asserting the Right to Life (Article 2, ECHR) in the Context of Industry, German Law Journal, Vol. 8, No.3, March 2007, 251.

1916 28 დეკემბერი, 2002 წელი.

1917 კოდექსის 37(1)-ე მუხლი.

ხიდით.[1918] კოდექსი ასევე ითვალისწინებს, რომ ვაგზლისპირა მოედანი ისე უნდა მოეწყოს, რომ აკმაყოფილებდეს ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მოთხოვნებს.[1919]

კოდექსი ასევე ადგენს, რომ რკინიგზის სადგურების, ვაგზლების, სამგზავრო ბაქნებისა და სტრუქტურული ერთეულების ტერიტორიები და სარკინიგზო ლიანდაგები, რომლებზეც მოძრაობენ მატარებლები, წარმოადგენს მომეტებული საშიშროების ზონებს. ამ ზონებში უცხო პირთა ყოფნა აკრძალულია.[1920]

რკინიგზის სისტემის უსაფრთხოების უზრუნველყოფას ასევე ემსახურება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას რკინიგზის ლიანდაგებზე გავლისათვის ნებადაურთველ ადგილებში.[1921]

საქმეზე *კალენდერი თურქეთის წინააღმდეგ (Kalender v. Turkey)*, რომელზეც დადგინდა თურქეთის პასუხისმგებლობა, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სადგურის სტრუქტურამ და მისმა მენეჯმენტმა ვერ უზრუნველყო უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების დაცვა: არ იყო მიწისქვეშა გადასასვლელი, არსებული გადასასვლელი საპირისპირო მხარეს იყო ბლოკირებული სატვირთო მატარებლით, რაც აიძულებდა მგზავრებს, გადაეკვეთათ ლიანდაგი, ხელმისაწვდომი არ იყო ინფორმაცია მატარებლების შესახებ და სხვ. ყოველივე ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რკინიგზის უსაფრთხოების სისტემაში არსებული ნაკლოვანებები იყო მიზეზშედეგობრივ კავშირში დედისა და შვილის გარდაცვალებასთან.

თუ გავითვალისწინებთ *კალენდერის* საქმეზე სასამართლოს მიერ რკინიგზის უსაფრთხოების დარღვევის კონკრეტულ გარემოებებს,[1922] ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება, როგორც სარკინიგზო უსაფრთხოების დაცვის პირობა, პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს სარკინიგზო კოდექსით, რომელშიც მითითებულია, რომ რკინიგზის ვაგზალი უნდა აღიჭურვოს მგზავრთა ჩასასხდომი ბაქნით, ქვეითად მოსიარულეთათვის გასასვლელი გვირაბითა და გადასასვლელი ხიდით, ისევე როგორც აკრძალულია ლიანდაგების ნებადაურთველ ადგილას გადაკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობის ეს დებულება მეტისმეტად ლაკონიურია, შეიძლება ჩაითვალოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს მიერ ამ საქმეზე დადგენილ მოთხოვნებს.

რაც შეეხება საქმის – *ბონი საფრანგეთის წინააღმდეგ (Bone v. France)* – გარემოებებს, მასში პრინციპული საკითხი იყო, რომ მოზარდმა თვითნებურად გააღო მატარებლის კარი და გამაფრთხილებელ ნიშანს ყურადღება არ მიაქცია. საქართველოს კანონმდებლობა არ ადგენს არც თვითნებურად კარის გაღების აკრძალვას[1923] და არც რკინიგზის მიერ გამაფრთხილებელი ნიშნების დამონტაჟების ვალდებულებას. აქედან გამომდინარე, საკმარისი საფუძველია მტკიცებისათვის, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ აკმაყოფილებს ამ საქმეზე ევროპული სასამართლოს სტანდარტს.

1918 კოდექსის 37(6)-ე მუხლი.

1919 კოდექსის 37(8)-ე მუხლი.

1920 კოდექსის 59(1)-ე მუხლი.

1921 15 დეკემბერი, 1984, კოდექსის 106-ე მუხლი.

1922 მიწისქვეშა გადასასვლელის არარსებობა, არსებული გადასასვლელის საპირისპირო მხარის ბლოკირება სატვირთო მატარებლით, რის გამოც მგზავრებს უწევდათ ლიანდაგის გადაკვეთა და ინფორმაციის არარსებობა მატარებლების შესახებ.

1923 საინტერესოა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი კრძალავს მეტროპოლიტენის ვაგონის კარის გაღებას. იხ. კოდექსის 107^2-ე მუხლი.

საქმე *სმილიანიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Smiljanic v. Croatia)* ეხებოდა სახელმწიფოს არასათანადო რეაგირებას იმ პირის (D.M.-ის) მოქმედებაზე, რომელმაც არაერთხელ დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები და რომელმაც გამოიწვია ფატალური ავტოსაგზაო შემთხვევა.[1924] ევროპული სასამართლოს წინაშე მოსარჩელეები, რომელთა ოჯახის წევრი გარდაიცვალა ავტოავარიაში, ამტკიცებდნენ, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობის აღსრულება D.M.-ის მიმართ შესაფერისი ღონისძიებების გატარებით, რომელმაც მანამდე არაერთხელ დაარღვია მოძრაობის წესები და ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშაც კი მართავდა ავტომობილს.[1925]

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოს ვალდებულებაზე ავტოსაგზაო შემთხვევებთან მიმართებით და აღნიშნა, რომ სახელმწიფო უნდა შეეცადოს უბედური შემთხვევების თავიდან აცილებას, ასეთი მოქმედების ჩადენის შეკავებისა და პრევენციული ღონისძიებების გატარებითა და შესაბამისი წესების აღსრულების გზით, რისი მიზანიც არის დაუდევარი და წინდაუხედავი საშიში მოქმედების საფრთხის შემცირება.[1926] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, სახელმწიფომ გადადგა გარკვეული ნაბიჯები D.M.-ს წინააღმდეგ, მას არ ჰქონდა ყოვლისმომცველი და ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფდა ეფექტიანი შემაკავებელი და პრევენციული ღონისძიებების გატარებას, რათა არ დაეშვა D.M.-ს მიერ საგზაო მოძრაობის წესების განგრძობადი უხეში დარღვევა. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფდა საფრთხეების შემცირებას საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობისას, მაგალითად: მართვის მოწმობის გაუქმებით ან მისი ხანგრძლივი დროით ჩამორთმევით, საგზაო წესების ხელახლა შესწავლისა ან ალკოჰოლისაგან მკურნალობის ვალდებულების დაკისრებით, და, სადაც საჭირო იქნებოდა, უფრო მკაცრი და გადამარწმუნებელი სანქციების გამოყენებით.[1927] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფომ სხვადასხვა საფეხურზე ვერ შეძლო, გაეტარებინა შესაფერისი ღონისძიება D.M.-ს განგრძობადი უკანონო მოქმედების წინააღმდეგ და, შესაბამისად, ვერ შეძლო პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა პრაქტიკაში და საგზაო შემთხვევების რაოდენობის მინიმუმამდე შემცირება, რაც იწვევს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.[1928]

ამ საქმეზე პრობლემა იყო არა საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების ნორმატიული ბაზის არარსებობა, არამედ ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული ბაზის არაეფექტიანი აღსრულება. ევროპული სასამართლოს აზრით, სახელმწიფოს უნდა ჰქონოდა ყოვლისმომცველი და ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფდა ეფექტიანი შემაკავებელი და პრევენციული ღონისძიებების გატარებას, რომელიც ბოლოს მოუღებდა კანონდამრღვევი მძღოლის საგზაო მოძრაობის წესების განგრძობად უხეშ დარღვევას. სასამართლოს პოზიციით, სახელმწიფოს მიდგომა უნდა ყოფილიყო მი-

---

1924 25 მარტი, 2021 წელი.

1925 მე-60 პუნქტი.

1926 76-ე პუნქტი.

1927 83-ე პუნქტი.

1928 85-ე პუნქტი. საგზაო შემთხვევებთან მიმართებით საყურადღებოა ევროპული სასამართლოს რამდენიმე სხვა საქმეც, მათ შორის: *ნიკოლაე ვირგილუ ტანასე რუმინეთის წინააღმდეგ (Nicolae Virgiliu Tănase v. Romania),* დიდი პალატა, 25 ივნისი, 2019 წელი, 135-ე პუნქტი, და *ფატიჰ ჩაკირი და მერვე ნისა ჩაკირი თურქეთის წინააღმდეგ (Fatih Çakır and Merve Nisa Çakır v. Turkey),* 5 ივნისი, 2018 წელი, მე-40 პუნქტი.

მართული იმისაკენ, რომ შეემცირებინა საფრთხის ფაქტორები საავტომობილო ტრანსპორტის უსაფრთხოებისათვის, მაგალითად: მართვის მოწმობის გაუქმებით ან მისი ხანგრძლივი დროით ჩამორთმევით, საგზაო წესების ხელახლა შესწავლისა და ალკოჰოლისაგან მკურნალობის ვალდებულების დაკისრებით და, სადაც საჭირო იქნებოდა, უფრო მკაცრი და გადამარწმუნებელი სანქციების გამოყენებით.

ამ საქმეში განხილული საკითხები საქართველოში წესრიგდება, უპირველეს ყოვლისა, კანონით საგზაო მოძრაობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს კომპლექსურ მიდგომას საავტომობილო ტრანსპორტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართ.[1929] კანონი არა მხოლოდ კრძალავს სატრანსპორტო საშუალების მართვას ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში,[1930] არამედ ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების, ჩამორთმევისა და შეწყვეტის სისტემას.[1931]

საქართველოს კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის.[1932]

აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე – *სმილიანიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (Smiljanic v. Croatia)* – წამოჭრილ საკითხებთან მიმართებით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა უზრუნველყოფს სათანადო მარეგულირებელ ჩარჩოს, რომლის მიზანია საგზაო შემთხვევებისაგან პირის სიცოცხლის დაცვა.

ბ) პრაქტიკა

1. საგზაო-სატრანსპორტო უსაფრთხოება

საქართველოში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებელი შემაშფოთებელია. ამას მოწმობს სტატისტიკური მონაცემები, რომელთა მიხედვით, საქართველოში 2023 წელს ავარიებს 442 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო დაშავდა 7310 ადამიანი. 2022 წელს ავტოავარიებში დაიღუპა 430 ადამიანი, ხოლო დაშავდა 7517 ადამიანი.[1933] თუ მოხდება ბოლო ორი წლის (2022 და 2023) სტატისტიკური მონაცემების შედარება, გარდაცვალების რაოდენობა 5% გაზრდილია, რაც სიტუაციის გაუარესებაზე მიანიშნებს. საქართველოში ბოლო 10 წელიწადში კი, ჯამურად, ავტოსაგზაო შემთხვევებში გარდაიცვალა 4922 ადამიანი.[1934]

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გამომწვევ მიზეზებს შორის არის: მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება, შემხვედრი მოძრაობის ზოლში გადასვლა ან გასწრების წესების დარღვევა, მოხვევის მანევრი, საგზაო ნიშნის ან მონიშვნის დაუმორჩილებლობა, ქ/მ გადასასვლელის გავლის წესების დარღვევა, დისტანციის

1929 24 დეკემბერი, 2013 წელი.

1930 კანონის 21(15)-ე მუხლი.

1931 კანონის 59-ე მუხლი; ასევე იხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლი და სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლი.

1932 იხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლი და სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლი.

1933 „2023 წელს ავტოსაგზაო შემთხვევებს 442 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა“, 10 მარტი, 2024 წ., იხ.:[https://www.radiotavisupleba.ge/a/32855859.html?fbclid=IwAR1LAvAnnQxQenDBQrFBzCwEAtVJpq3jXBr2HiztjVri-sXyaHuKbO1Egl8].

1934 იქვე.

დაუცველობა, სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში.[1935]

2023 წელს განსაკუთრებით გაზრდილია ავტოსაგზაო შემთხვევები მოტოციკლების მონაწილეობით. 2023 წელს ამგვარ შემთხვევებს 16 ადამიანი ემსხვერპლა, რაც გარდაცვალების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ბოლო 5 წლის განმავლობაში, და დაშავდა 808 ადამიანი.[1936] მაღალია ქვეითი მსხვერპლის რაოდენობა. მხოლოდ 2023 წელს 90 ქვეითი დაიღუპა ავტოსაგზაო შემთხვევებისას, საიდანაც 12 არასრულწლოვანი იყო.[1937]

საქართველოში საგზაო-სატრანსპორტო ფატალური შემთხვევების სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან შედარებით. 2021 წლის მონაცემებით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის რუმინეთს ჰქონდა საგზაო-სატრანსპორტო ფატალური შემთხვევების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მილიონ მოსახლეზე (45 შემთხვევა).[1938] საქართველოში კი ეს მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე რუმინეთში.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შემცირებისათვის სახელმწიფო ატარებს ღონისძიებებს. ამის მაგალითია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანა, რომელიც სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მართვაზე ჯარიმის გამკაცრებას ითვალისწინებს,[1939] ზამთრის პერიოდში გარკვეულ მონაკვეთებზე სავალდებულო გახდა ავტომობილების ზამთრის საბურავებით აღჭურვა, ხელახლა შემოღებულ იქნა ავტომობილების სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება, წესრიგდება საგზაო ინფრასტრუქტურა.

მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებებისა, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების სტატისტიკიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოში მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. ამიტომ აუცილებელია, რომ სახელმწიფომ გამოიჩინოს უფრო მეტი ძალისხმევა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად სიკვდილიანობის შესამცირებლად, რისთვისაც უნდა იყოს შესწავლილი სხვა, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება, რომლებმაც ბოლო ათწლეულში წარმატებით შეამცირეს გზებზე სიკვდილიანობის მაჩვენებელი. ამისათვის შეიძლება საჭირო გახდეს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შემცირების სტრატეგიის ჩამოყალიბება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში, როგორც ზოგადად საზოგადოებაში, ისე ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფებში (მაგ., სკოლის მოსწავლეებს შორის) ამაღლდეს ცნობიერება საგზაო წესების დაცვის აუცილებლობაზე.

1935 იქვე.

1936 იქვე.

1937 იქვე.

1938 Road fatalities per million inhabitants in the EU, by country, 2 May, 2023, ACEA, [https://www.acea.auto/figure/road-fatalities-per-million-inhabitants-in-eu-by-country/]. ავტოავარიების 5 მთავარი მიზეზი საქართველოში, 21 აგვისტო, 2024 წ., იხ.: [https://www.bpn.ge/article/128897-avtoavariebis-5-mtavari-mizezi-sakartveloshi/].

1939 „მანქანის ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მართვაზე სანქციებს მკაცრდება“, 2 აგვისტო, 2021 წ., იხ.: [https://bm.ge/news/manqanis-alkoholuri-narkotikuli-an-fsiqotropuli-simtvralis-mdgomareobashi-martvaze-sanqciebi-mkacrdeba/88623].

2. სარკინიგზო ტრანსპორტის უსაფრთხოება

საქართველოში რკინიგზაზე ასევე ხდება უბედური შემთხვევები, რომლებსაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.[1940] ასეთი უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფომ შეიძლება გაატაროს სხვადასხვა პრევენციული ღონისძიება. ამ ღონისძიებებს შორის შეიძლება იყოს რკინიგზის ლიანდაგის გადაკვეთის ადგილების განსაზღვრა, ლიანდაგის გადაკვეთის ადგილებში გამაფრთხილებელი ნიშნების მონტაჟი, საზოგადოების, მათ შორის სკოლის მოსწავლეებს შორის, ცნობიერების ამაღლება რკინიგზასთან დაკავშირებული საფრთხის შესახებ.

3. მეტროთი სარგებლობის უსაფრთხოება

ბოლო წლებში თბილისის მეტროში მოხდა რამდენიმე შემთხვევა, რომელთაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.[1941] მეტროში უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ისეთი პრევენციული ღონისძიებების გატარება, როგორებიცაა: მეტროთი მოსარგებლეთა გაფრთხილება პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მეტროთი სარგებლობის წესების დარღვევის შედეგების შესახებ და საზოგადოების, მათ შორის სკოლის მოსწავლეებს შორის, ცნობიერების ამაღლება მეტროსთან დაკავშირებული საფრთხის შესახებ.

4. წყლის ტრანსპორტის უსაფრთხოება

პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც ზღვაში წყლის სკუტერი დაეჯახა მამაკაცს, რომელიც გარდაიცვალა.[1942] ამ ფაქტზე დაიწყო გამოძიება სსკ-ის 275-ე მუხლით (რკი-

---

1940 „თბილისში მატარებელი ქვეითს შეეჯახა, ქალი ადგილზე დაიღუპა“, 16 ივნისი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/803479-tbilisshi-matarebeli-kveits-sheejaxa-kali-adgilze-daigupa]; „გორთან მამაკაცს მატარებელი დაეჯახა, ის ადგილზე დაიღუპა“, 26 თებერვალი, 2024 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/a/32836072.html?fbclid=IwAR0UJ_VuXZWx-g8iLfMMZfaFWHsW6j60TW8I2iANm_hJGI-30pxgScSgkUE]; „კურიერი, რომელსაც რკინიგზის სადგურზე თბილისი-ბათუმის მატარებელი დაეჯახა, კლინიკაში გარდაიცვალა“, 2 აგვისტო, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/721514-kurieri-romelsac-rkinigzis-sadgurze-tbilisi-batumis-matarebeli-daejaxa-klinikashi-gardaicvala]; „ზესტაფონში მოზარდს მატარებელი დაეჯახა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა“, 20 აპრილი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/652427-zestaponshi-mozards-matarebeli-daejaxa-romelic-adgilze-gardaicvala]; „სამტრედიაში მატარებლის დაჯახების შედეგად მამაკაცი გარდაიცვალა“, 9 აგვისტო, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/613040-samtrediashi-matareblis-dajaxebis-shedegad-mamakaci-gardaicvala]; „გარდაბნის მუნიციპალიტეტში ლიანდაგებზე გადასვლისას მამაკაცს თბომავალი დაეჯახა“, 28 თებერვალი, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/587479-gardabnis-municipalitetshi-liandagebze-gadasvlisas-mamakacs-tbomavali-daejaxa].

1941 „მეტროსადგურ „სარაჯიშვილზე“ ლიანდაგში ჩავარდნილი მამაკაცი გარდაიცვალა“, 5 მაისი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/544696-metrosadgur-sarajishvilze-liandagshi-chavardnili-mamakaci-gardaicvala]; „სამგორის მეტროში ჩავარდნილი ახალგაზრდა კაცი გარდაიცვალა“, 16 სექტემბერი, 2019 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/news/392097/]; „მგზავრი, რომელიც მეტროს ლიანდაგებში ჩავარდა, კლინიკაში გადაიყვანეს“, 23 ოქტომბერი, 2022 წ., იხ.: [https://mtavari.tv/news/101533-mgzavri-romelits-metros-liandagebshi-chavarda?fbclid=IwAR3KY0mbTf-qUdQOAMIlfGbhfkwnDp-oq4xlZixeJ9Nfi2WZgu1D2clPRDU].

1942 „ბათუმში დაიღუპა კაცი, რომელსაც ზღვაში სკუტერმა გადაუარა“, 16 აგვისტო, 2023 წ., იხ.: [https://batumelebi.netgazeti.ge/news/492002/?fbclid=IwAR2hDW7zNCZ1qGnKUE5DMAFCXK7DWvdUbkaeXZmzbMsHkg6co_FCdC6VtSc].

ნიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტით მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა). მართალია, რომ ამ საქმეზე დაიწყო გამოძიება და, საბოლოოდ, შეიძლება დამნაშავე პირს შეეფარდოს სასჯელი, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ გაატაროს წინასწარი გამაფრთხილებელი ღონისძიებები სიცოცხლის მოსპობის თავიდან ასაცილებლად. საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სკუტერით სარგებლობის წესებს. ამ წესებმა შეიძლება განსაზღვროს, რომ დაშვებულია სკუტერით სარგებლობა ამისათვის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ან ისეთ ადგილას, სადაც წყალში არ იმყოფებიან ადამიანები. ასეთი წესების არსებობა და მათი პრაქტიკაში შესრულება უზრუნველყოფს მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილებას.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში მოწესრიგდეს წყლის ისეთი ტრანსპორტის ექსპლუატაცია, როგორიცაა წყლის სკუტერი.

5. პარაპლანის ექსპლუატაციის უსაფრთხოება

პრაქტიკაში იყო პარაპლანის ექსპლუატაციის შედეგად გარდაცვალების შემთხვევები.[1943] ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას მოჰყვა ვერტმფრენის ჩამოვარდნა, რომელიც პარაპლანის ჩამოვარდნის შედეგად დაზიანებული ადამიანების საშველად იმყოფებოდა. როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელმა განაცხადა, ვინაიდან გახშირდა პარაპლანის ჩამოვარდნის შემთხვევები, გადაწყდა, რომ სათანადოდ მოწესრიგებულიყო პარაპლანით სარგებლობის წესები.[1944] ამის გამო საქართველოს რამდენიმე ნორმატიულ აქტში, მათ შორის საჰაერო კოდექსში, შევიდა ცვლილებები, რომლებითაც განისაზღვრა პარაპლანის აღჭურვილობის ვარგისიანობის დადგენის, ასევე პარაპლანის ოპერატორის სერტიფიცირებისა და პარაპლანის მფრინავის მოწმობის გაცემის საკითხები, რაც მიზნად ისახავს პარაპლანით სარგებლობის თანმდევი რისკების მინიმუმამდე შემცირებას და ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას.[1945]

1943 „გუდაურში პარაპლანის ჩამოვარდნას მსხვერპლი მოჰყვა“, 16 ივლისი, 2022 წ., იხ.: [https://bm.ge/news/gudaurshi-paraplanis-chamovardnas-msxverpli-mohyva/113172]; „ვერტმფრენს, რომელიც გუდაურში, სამაშველო ოპერაციისას ჩამოვარდა“, პილოტი ზაზა ლორია მართავდა, 29 ივლისი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/721272-vertmprens-romelic-gudaurshi-samashvelo-operaciisas-chamovarda-pilo ti-zaza-loria-martavda]; „გუდაურში ფილიპინელი ტურისტი დაიღუპა“, 1 ივნისი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/549549-gudaurshi-pilipineli-turisti-daig upa]. სხვა შემთხვევების შესახებ ინფორმაცია იხ.: „რის საფუძველზე აკრძალა შს მინისტრმა საქართველოში ფრენა“, 23 სექტემბერი, 2022 წ., [https://sakartvelosambebi. ge/ge/akhali-ambebi/ris-sapudzvelze-akrdzala-shs-ministrma-sakartveloshi-paraplanit-prena].

1944 „შს მინისტრი აცხადებს, რომ პარაპლანით ფრენებზე რეგულაციები უნდა გამკაცრდეს ან საერთოდ აიკრძალოს, მანამდე კი გარკვეული პერიოდით ფრენები შეჩერდება“, 29 ივნისი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/721260-shs-ministri-acx adebs-rom-paraplanit-prenebze-regulaciebi-unda-gamkacrdes-an-saertod-aikrzalos-m anamde-ki-garkveuli-periodit-prenebi-shecherdeba].

1945 საქართველოს საჰაერო კოდექსის 21^4-ე და 21^5-ე მუხლები; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116^4-ე, 116^5-ე, 116^6-ე, 116^7-ე, 116^8-ე მუხლები; საქართველოს მთავრობის დადგენილება N321 „პარაპლანით ფრენის რეგულირების განმახორციელებელი იურიდიული პირისა და მისი უფლებამოსილების განსაზღვრის წესის შესახებ“, 18 აგვისტო, 2023 წ.; სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანება N165 „პარაპლანით ფრენის რეგულირების განმახორციელებელი იურიდიული პირის ზედამხედველობის, პარაპლანით ფრენის უსაფრთხოების, საფრენი ადგილისა და

საბოლოოდ, პრაქტიკაში წარმოქმნილი პრობლემების გამო, სახელმწიფომ უზრუნველყო ისეთი ნორმატიული აქტების მიღება, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვას. ეს შეიძლება გახდეს კარგი მაგალითი სხვა სფეროების მოწესრიგებისა, რომლებშიც არის გარდაცვალების შემთხვევები.

6.3.2.4.3.6. საზოგადოებრივი ადგილების უსაფრთხოება

ა) კანონმდებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ადამიანის სიცოცხლის დაცვა საზოგადოებრივ ადგილებში არსებული საფრთხისაგან. ამ საფრთხისაგან ადამიანის სიცოცხლის დასაცავად სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა უზრუნველყოს ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივ ადგილებში უსაფრთხოების დაცვას.

ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოს ამ ვალდებულებაზე იმსჯელა საქმეზე – *მარიუს ალექსანდრუ და მარინელა სტეფანი რუმინეთის წინააღმდეგ (Marius Alexandru and Marinela Stefan v. Romania)*.[1946] ეს საქმე ეხებოდა საავტომობილო გზის გასწვრივ მდგომი ხის ფესვებიდან მოგლეჯას, რომელიც მოძრავ ავტომობილს დაეცა და გამოიწვია მასში მსხდომი ადამიანების სიკვდილი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ შეიძლება დადგეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოქმედებაზე ან უმოქმედობაზე, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი ადგილების უსაფრთხოებასთან და სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საკანონმდებლო (ნორმატიული) ჩარჩოს არსებობა, რომელიც მიმართული იქნება საზოგადოებრივი ადგილების უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ.

რაც შეეხება საქართველოს საკანონმდებლო (ნორმატიულ) ჩარჩოს, რომელიც სახელმწიფო ორგანოს აკისრებს ვალდებულებას, თავიდან აიცილოს საზოგადოებრივ ადგილებში არსებული მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის (ან ჯანმრთელობისათვის) საფრთხის შექმნა, აღსანიშნავია, რომ საქართველოში მწვანე ნარგავებთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი და საქართველოს კანონი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“.[1947]

ადგილობრივ დონეზე მოქმედებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიებისა და დასასვენებელი ადგილების მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“.[1948] წესის მიხედვით, გამწვანებული ტერიტორიების მოწყობა მოიცავს მწვანე

საფრენი ადგილის ოპერატორის სერტიფიცირების, პარაპლანის მფრინავის მოწმობის გაცემის, პარაპლანისა და მისი აღჭურვილობის ვარგისობის დადგენისა და პარაპლანის მფრინავის დაზღვევის წესის დამტკიცების შესახებ“, 30 აგვისტო, 2023 წ.; ასევე „პარლამენტმა „საქართველოს საჰაერო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტი მესამე მოსმენით მიიღო“, 15 ივნისი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/760058-parlamentma-sakartvelos-sahaero-kodeksshi-cvlilebis-shetanis-shesaxeb-kanonproekti-mesame-mosmenit-miigo].

1946 24 მარტი, 2020 წელი. ასევე იხ. *ჩიეჩონსკა პოლონეთის წინააღმდეგ (Ciechońska v. Poland),* 14 ივნისი, 2011 წელი.

1947 10 ნოემბერი, 2000 წელი. იხ. [https://matsne.gov.ge/ka/document/view/17380?publication=14].

1948 27 ნოემბერი, 2015 წელი, N28-118.

ნარგავების ავარიული და ხმელი ხეების მოჭრას, მწვანე ნარგავების ბიოლოგიურ და ქიმიურ დაცვას მავნებელი დაავადებებისაგან და შესაბამის მოვლით ღონისძიებებს.[1949]

ეს წესი ადგენს, რომ გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა მოიცავს როგორც ახალგაზრდა, ისე ზრდასრული ხეების მოვლა-პატრონობას და გულისხმობს სხვადასხვა ღონისძიების გატარებას, მათ შორის მცენარეების შეწამვლას დაავადების აცილების მიზნით, სხვლა-ფორმირებასა და გამხმარი ტოტების შეჭრა-შესხეპვას.[1950]

წესის მიხედვით, უფლებამოსილმა ორგანომ გამწვანებულ ტერიტორიებზე, სხვა ღონისძიებებთან ერთად, შეიძლება განახორციელოს დაზიანებული ხეების ჩანაცვლება იმავე სახეობისა და ზომის მცენარეებით, ტერიტორიებზე არსებული ხეების სხვლა-ფორმირება და ხმელი ხეების მოჭრა.[1951] წესი ასევე ადგენს, რომ გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობაზე მონიტორინგის მიზნით, უფლებამოსილ ორგანოს – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ უნდა განხორციელდეს მუდმივი ზედამხედველობა.[1952]

ამ ნორმატიული ბაზის ანალიზმა ცხადყო, რომ, მართალია, კანონი აწესრიგებს დაავადებული, ზეხმელი, ხმობადი, ფაუტი, გადაბერებული (ამორტიზებული) და ავარიული ხეების მოჭრის საკითხებს, მაგრამ პირდაპირ არ ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას, გაატაროს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნას. ერთადერთი ნორმატიული აქტი, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივ ადგილებში არსებული მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის (ან ჯანმრთელობისათვის) საფრთხის შექმნას, არის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიებისა და დასასვენებელი ადგილების მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“. მართალია, ეს დადგენილება ადგენს პრევენციულ ღონისძიებებს საზოგადოებრივ ადგილებში არსებული მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლის დასაცავად, მისი გამოყენების არეალი შეზღუდულია და ის ვრცელდება მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

საზოგადოებრივ ადგილებში არსებული მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის (ან ჯანმრთელობისათვის) საფრთხის თავიდან აცილების ვალდებულება უნდა მოქმედებდეს არა მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამიტომ აუცილებელია, რომ საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს სახელმწიფოს ვალდებულება მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან აცილების შესახებ, რომელიც გავრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

ბ) პრაქტიკა

საზოგადოებრივ ადგილებში არსებული საფრთხისაგან ადამიანის სიცოცხლის დასაცავად სახელმწიფომ არა მხოლოდ უნდა უზრუნველყოს სათანადო საკანონმდებლო (ნორმატიული) ჩარჩოს მიღება, არამედ უნდა გაატაროს პრაქტიკული ღონისძიებები მის აღსასრულებლად.

1949 მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის „კ“ და „მ“ ქვეპუნქტები.

1950 მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები.

1951 მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი.

1952 მე-8 მუხლი.

1. უსაფრთხოება წყალზე

პრაქტიკამ ცხადყო, რომ საქართველოში ხშირია სიკვდილიანობა წყალზე (ზღვაზე, ტბაზე, მდინარეზე), რასაც მოწმობს ბოლო წლებში მომხდარი არაერთი ფატალური შემთხვევა.[1953]

მართალია, საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არ არის ბევრი გადაწყვეტილება წყალზე სიცოცხლის მოსპობის შესახებ, ერთი გადაწყვეტილება იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს, რომ მომავალში კიდევ უფრო მკაფიოდ განისაზღვრება სახელმწიფოს ვალდებულება სიცოცხლის უფლების დაცვის შესახებ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2019 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმეზე, რომელიც ეხებოდა თბილისის ზღვაზე ორი ახალგაზრდის გარდაცვალებას, იმსჯელა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ „სახელმწიფოს მხრიდან სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულების შესრულება, უპირველესად, საფრთხის შემცველ ტერიტორიასთან მოსახლეობის ხელმისაწვდომობის აღკვეთას და მის ჯეროვან ინფორმირებულობას გულისხმობს, რაც განსახილველ შემთხვევაში, არ არის შესრულებული“.[1954] მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ „თბილისის წყალსაცავის შემავსებელი არხის მიმდებარე ტერიტორიაზე წყალში ჩასვლა უსათუოდ წარმოადგენს საფრთხეს ადამიანის სიცოცხლისთვის“.[1955] ამის შედეგად სასამართლომ დაადგინა, რომ საფრთხის შემცველი ადგილი ადვილად მისადგომია მოქალაქეებისათვის და, შესაბამისად, დაასკვნა, რომ „სახელმწიფოს ეკისრება სიცოცხლისთვის არსებული საფრთხის აღკვეთის პოზიტიური ვალდებულება“.[1956]

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც აწესრიგებს წყალზე სიცოცხლის უფლების დაცვას, საჭიროებს გაუმჯობესებას. გარდა იმისა, კანონი

1953 ასეთი შემთხვევების დიდი რაოდენობის გამო, აქ პრობლემის საილუსტრაციოდ მოხსენიებულია მხოლოდ რამდენიმე მაგალითი: „სენაკში, მდინარე ტეხურში 22 წლის ბიჭი დაიხრჩო“, 28 აგვისტო, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/810234-senakshi-mdinare-texurshi-22-clis-bichi-daixrcho]; „გორში ორი კვირის წინ გაუჩინარებული ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი მაშველებმა მდინარე მტკვარში იპოვეს“, 26 ივლისი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/807309-gorshi-ori-kviris-cin-gauchinarebuli-axalgazrda-mamakacis-cxedari-mashvelebma-mdinare-mtkvarshi-ipoves]; „ყვარელში ილიას ტბაზე 32 წლის კაცი დაიხრჩო“, 16 ივნისი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/760256-qvarelshi-ilias-tbaze-32-clis-kaci-daixrcho]; „თბილისის ზღვაში ცხედარი იპოვეს“, 18 ივლისი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/764304-tbilisis-zgvashi-cxedari-ipoves]; „ფარავნის ტბაში 17 წლის ახალგაზრდა დაიხრჩო“, 3 ივლისი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/663971-paravnis-tbashi-17-clis-axalgazrda-daixrcho]; „მაშველებმა გარდაბანში, ტბაში ორი მოზარდის ცხედარი იპოვეს“, 24 ივნისი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/662555-mashvelebma-gardabanshi-tbashi-ori-mozardis-cxedari-ipoves].

1954 მ. ნუცუბიძე, წყლის ობიექტებზე სიკვდილიანობის პრევენცია: ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციის პროცესი ქართულ კანონმდებლობაში, 2019 წელი, იხ.: [https://hrc.ge/files/195wylis%20obieqtebze%20sikvdilianobis%20prevencia.pdf]. ეს საქმე ამჟამად საქართველოს უზენაეს სასამართლოში განიხილება. იხ.: „თბილისის ზღვაზე ბარიერების მოწყობის მოთხოვნით HRC დავას უზენაესში აგრძელებს“, 23 აგვისტო, 2023 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/news/685159/?fbclid=IwAR3HcHZR3V36AzTn4oisoBVe2Wp0qIS2eMDSujcCcKvYL2lhEf-6EwFLti0].

1955 იქვე.

1956 იქვე.

წყლის რესურსების მართვის შესახებ ადგენს, რომ მოსახლეობის სიცოცხლისა ან/და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი გარემოებების არსებობისას მუნიციპალიტეტები განსაზღვრავენ ადგილებს, სადაც ბანაობა აკრძალულია,[1957] აუცილებელია წყალზე სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი ნორმების დადგენა. 2019 წელს მიღებული კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ მოითხოვს, რომ საქართველოს მთავრობამ დაამტკიცოს წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი.[1958] ეს წესი, რომელმაც საქართველოში უნდა შექმნას წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის ეფექტიანი სისტემა, ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის მიღების გარდა, საქართველოში უნდა გატარდეს პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება წყალზე სიცოცხლის უფლების ეფექტიანი დაცვისაკენ. ამ პრაქტიკულ ღონისძიებებს შორის შეიძლება იყოს წყალზე სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ტერიტორიების იდენტიფიცირება, მათი შემოსაზღვრა და ამ ტერიტორიებზე შესვლის აკრძალვა, წყალზე სიკვდილიანობის შემცირებისაკენ მიმართული სხვადასხვა შეზღუდვის დაწესება (მაგ.: ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ყოფნის, ასევე შტორმში, უამინდობასა და შეზღუდული ხილვადობის დროს წყალში შესვლის აკრძალვა; წყალში შესვლის აკრძალვა იქ, სადაც არ არის მოწყობილი სანაპირო ზოლი), ადამიანთა მაღალი კონცენტრაციის ადგილებში სათანადო ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი მაშველების მომსახურების უზრუნველყოფა, გამაფრთხილებელი და ბანაობის ამკრძალავი საინფორმაციო ბანერების განთავსება, ცნობიერების ამაღლება და სხვ.

აქედან გამომდინარე, საქართველოში წყალზე სიცოცხლის ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია როგორც საკანონმდებლო (ნორმატიული) ბაზის დახვეწა, ისე ეფექტიანი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა.

2. მწვანე ნარგავების უსაფრთხოება

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოში ბოლო წლებში ხის მოგლეჯას შედეგად მოჰყვა რამდენიმე ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან ჯანმრთელობისათვის ზიანი მიყენება.[1959] 2023 წლის იანვარში სამტრედია-გრიგოლეთის მაგისტრალზე მოძრავ ავტომანქანას დაეცა ქარისაგან მოგლეჯილი ხე, რამაც გამოიწვია ახალგაზრდა მამაკაცის გარდაცვალება.[1960]

როგორც ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარეობს, შეიძლება დადგეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოქმედებაზე ან უმოქმედობაზე, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი ადგილების უსაფრთხოებასთან და სახელმწიფომ

1957 კანონის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

1958 27 ივნისი, 2019 წელი. კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი.

1959 „ბაკურიანის მიმდებარედ, ტყეში, ახალგაზრდა მამაკაცს ხე დაეცა და ადგილზე გარდაიცვალა“, 25 აგვისტო, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/671156-bakurianis-mimdebared-tqeshi-axalgazrda-mamakacs-xe-daeca-da-adgilze-gardaicvala]; „ზუგდიდის შესასვლელთან მგზავრებით სავსე ავტობუსს ხე დაეცა“, 13 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://www.ambebi.ge/article/287969-zugdidis-shesasvleltan-mgzavrebit-savse-avtobuss-xe/].

1960 „ძლიერ ქარს ლანჩხუთში ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა“, 13 იანვარი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/741083-zlier-kars-lanchxutshi-erti-adamianis-sicocxle-emsxverpla/].

უნდა უზრუნველყოს როგორც სათანადო სამართლებრივი ჩარჩოს არსებობა, ისე მისი პრაქტიკაში აღსრულება.[1961]

როგორ უკვე იქნა განხილული, გარდა იმისა, რომ საზოგადოებრივ ადგილებში არსებული მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის (ან ჯანმრთელობისათვის) საფრთხის თავიდან აცილების ვალდებულება უნდა მოქმედებდეს არა მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით, აუცილებელია, რომ მოხდეს მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან აცილების წესის ზედმიწევნით შესრულება და მასზე ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელება.

3. ადგილების (ტერიტორიების) დაცვა, სადაც არსებობს საფრთხე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის

მასმედიაში გავრცელებულ ინფორმაციით, ბოლო წლებში საქართველოში მოხდა რამდენიმე ფატალური შემთხვევა, რომელიც გამოიწვია შემთხვევით პირის კლდიდან ან სიმაღლიდან გადავარდნამ ან ხევში გადაჩეხამ.[1962]

გავრცელებული ინფორმაციით, 2024 წლის სექტემბერში თბილისში, პირველი რესპუბლიკის მოედანზე, ორი ახალგაზრდა ქალი გადადიოდა ქუჩაზე, როდესაც ერთერთი მათგანი მიწისქვეშა გადასასვლელის ჯებირს წამოედო და ჩავარდა მიწისქვეშა გადასასვლელში, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა.[1963] შსს-მ დაიწყო გამოძიება სსკ-ს 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.[1964] რამდენიმე დღეში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯებირები აამაღლეს პირველი რესპუბლიკის მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელთან, სადაც ახალგაზრდა ქალი დაიღუპა.

ამ შემთხვევასთან დაკავშირებით, შეიძლება დაისვას რამდენიმე კითხვა, მათ შორის: აკმაყოფილებდა თუ არა ჯებირის სიმაღლე დადგენილ სტანდარტს, რომლებსაც უნდა უზრუნველეყო პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა მიწისქვეშა გადასასვლელში პირის შემთხვევითი ჩავარდნისაგან? თუ ჯებირის სიმაღლე არ აკმაყოფილებდა დადგენილ სტანდარტს, რატომ არ იქნა უზრუნველყოფილი ამ სტანდარტების

1961 *მარიუს ალექსანდრუ და მარინელა სტეფანი რუმინეთის წინააღმდეგ (Marius Alexandru and Marinela Stefan v. Romania)*, 24 მარტი, 2020 წელი. ასევე იხ. *ჩიეჩონსკა პოლონეთის წინააღმდეგ (Ciechońska v. Poland),* 14 ივნისი, 2011 წელი.

1962 „წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ტურისტი ჩანჩქერში გადავარდა და დაიღუპა“, 3 სექტემბერი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/810919-calenjixis-municipalitetshi-turisti-chanchkershi-gadavarda-da-daigupa]; „სვანეთში უბედური შემთხვევის შედეგად ახალგაზრდა მამაკაცი დაიღუპა“, 12 მაისი, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/599204-svanetshi-ubeduri-shemtxvevis-shedegad-axalgazrda-mamakaci-daigupa]; „კურორტ საირმის ტერიტორიაზე უბედური შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა“, 3 აგვისტო, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/558930-kurort-sairmis-teritoriaze-ubeduri-shemtxvevis-shedegad-erti-adamiani-daigupa]; „ბაგრატის ტაძრის გალავნიდან 18 წლამდე ბიჭი გადმოვარდა“, 28 იანვარი, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/582780-bagratis-tazris-galavnidan-18-clamde-bichi-gadmovarda]; „თბილისში, რიყეზე უბედური შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა, ორი კი დაშავდა“, 24 ივნისი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/553145-tbilisshi-riqeze-ubeduri-shemtxvevis-shedegad-erti-adamiani-gardaicvala-ori-ki-dashavda].

1963 „30 სანტიმეტრი საკმარისია ჯებირისთვის? – როგორ დაიღუპა თბილისის ცენტრში ტურისტი ქალი“, 30 სექტემბერი, 2024 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge].

1964 იქვე.

დაცვა? რომელი სახელმწიფო სამსახურის ვალდებულებაა ასეთი სტანდარტის დაცვა და რომელი სახელმწიფო სამსახური ახორციელებს ზედამხედველობას ამ სტანდარტების დაცვაზე?

ამას გარდა, საქართველოში მოქმედებს „ტექნიკური რეგლამენტი საფეხმავლო ბილიკების მონიშვნისა და გეგმარების შესახებ“,[1965] რომელიც ადგენს მოთხოვნებსა და ნორმებს საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის მიმართ. ეს რეგლამენტი მოითხოვს, საფეხმავლო ბილიკები იმგვარად დაპროექტდეს, რომ გაითვალისწინოს ბილიკზე არსებული რისკები და ბუნებრივი საფრთხეები (მეწყერი, ქვათაცვენა, წყალმოვარდნა, ცხოველებთან კონფლიქტი და ა.შ.).[1966] ასევე, რეგლამენტი მოითხოვს რისკ-ზონების იდენტიფირებას და შესაბამისი საინფორმაციო დაფების განთავსებას, რაც უზრუნველყოფს შესაბამის ტერიტორიაზე პირებისათვის საფრთხის (მაგ., ქვათაცვენის ან რაიმე მაღალი საფრთხისშემცველი ადგილის ან მონაკვეთის) თავიდან აცილებას.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს გამაფრთხილებელი ღონისძიებების გატარება არა მხოლოდ საფეხმავლო ბილიკების მიმართ, არამედ ყველა იმ საზოგადოებრივ ადგილას (ტერიტორიაზე), სადაც არსებობს საფრთხე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ამისათვის სახელმწიფომ, სადაც ეს გონივრული იქნება, უნდა უზრუნველყოს შესაბამის ადგილას (ტერიტორიაზე) როგორც გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება და ჯებირების მოწყობა, ისე ნებისმიერი სხვა საშუალების გამოყენება, რომელიც დაიცავს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უბედური შემთხვევისაგან.

4. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის უსაფრთხოება

საქართველოს პრაქტიკაში იყო ადამიანის გარდაცვალების შემთხვევა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ნაწილის ჩამოშლის შედეგად. კერძოდ, 2023 წლის ოქტომბერში, დედოფლისწყაროს რაიონში, სოფელ არხილოსკალოს სკვერში ვეფხვისა და მოყმის მემორიალური ძეგლის ნაწილი ჩამოიშალა და დაეცა სკვერში მშობლებთან ერთად მყოფ 3 წლის ბავშვს, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. გავრცელებული ინფორმაციით, ამ ფაქტზე დაიწყო გამოძიება.[1967]

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობა, მათ შორის ძეგლის კონსერვაცია და განადგურებისაგან დაცვა.[1968] კანონი განსაზღვრავს, რომ ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოს (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები, ან, თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა

1965 საქართველოს მთავრობის დადგენილება N79 „ტექნიკური რეგლამენტის – საფეხმავლო ბილიკების მონიშვნისა და გეგმარების შესახებ დამტკიცების თაობაზე“, 13 მარტი, 2024 წელი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/6131953?publication=0].

1966 რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი.

1967 „ვეფხისა და მოყმის მემორიალის ჩამონგრევას 3 წლის ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა“, 30 ოქტომბერი, 2023 წ., იხ.: [https://presa.ge/ka/77602/page/vefkhisa-da-mokhmis-memorialis-chamongrevas-3-tclis-bavshvis-sicocle-emskhverpla].

1968 8 მაისი, 2007 წელი.

შესაძლებლობა.[1969] აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ევალებოდა პერიოდულად ძეგლის შემოწმება და, საფრთხის შემთხვევაში, სათანადო ღონისძიებების გატარება.

კანონით გათვალისწინებული წესების დაცვა პრაქტიკაში უზრუნველყოფს ადამიანის სიცოცხლისათვის იმ საფრთხის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება განპირობებული იყოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მდგომარეობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, სახელმწიფომ უზრუნველყოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფიზიკური მდგომარეობის პერიოდული შემოწმება, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე მაგალითის მოშველიებაც კი საკმარისია იმ სფეროების მრავალფეროვნების წარმოსაჩენად, რომელთა მიმართ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სიცოცხლის დაცვა უბედური შემთხვევებისაგან. აქედან გამომდინარე, განუსაზღვრელია საქმიანობათა (სფეროთა) წრე, რომელშიც პირის სიცოცხლეს შეიძლება შეექმნას საფრთხე უბედური შემთხვევის შედეგად. ვინაიდან ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება წარმოიშობა ნებისმიერ საქმიანობასთან მიმართებით, იქნება ეს საჯარო საქმიანობა თუ კერძო, რომელშიც სიცოცხლის უფლება შეიძლება აღმოჩნდეს საფრთხეში,[1970] სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ყველა იმ საქმიანობის (სფეროს) იდენტიფიცირება, რომელშიც ადამიანის სიცოცხლეს შეიძლება შეექმნას საფრთხე უბედური შემთხვევისაგან და მიიღოს შესაბამისი საქმიანობის (სფეროს) მარეგულირებელი კანონმდებლობა და უზრუნველყოს მისი აღსრულება პრაქტიკაში. ამისათვის მნიშვნელოვანია, რომ ჩატარდეს ყოვლისმომცველი კვლევა, რომლის მიზანი იქნება სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი უბედური შემთხვევების გამომწვევი მიზეზების დადგენა. ამ კვლევის საფუძველზე უნდა მოხდეს იმ საქმიანობის (სფეროს) იდენტიფიცირება, რომელშიც არის უბედური შემთხვევების შედეგად პირის გარდაცვალების საფრთხე. ასეთი საქმიანობის (სფეროს) იდენტიფიცირებას უნდა მოჰყვეს უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მექანიზმის დახვეწა, მარეგულირებელი ჩარჩოს დადგენის (გაუმჯობესების) და პრევენციული ღონისძიების გატარების გზით.

6.3.2.4.3.7. სამაშველო ოპერაციების უსაფრთხოება

ა) კანონმდებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება სახელმწიფოს მიერ ჩატარებულ სამაშველო ოპერაციებზე. ამ ვალდებულების შესასრულებლად სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიიღოს კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს სიცოცხლის დაცვას სამაშველო ოპერაციების ჩატარებისას.

საქმე *საფი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (Safi and Others v. Greece)* ეხებოდა ლტოლვილებით სავსე სათევზაო ნავის ჩაძირვას ეგეოსის ზღვაში, რასაც შედეგად მოჰყვა 11 ადამიანის გარდაცვალება.[1971] მოსარჩელეების მტკიცებით, საბერძნეთის სანაპირო დაცვის მოქმედებამ ან/და უმოქმედობამ საფრთხეში ჩააგდო

1969 კანონის 26-ე მუხლის 1-ელი პუნქტი.

1970 *ონერუილდიზი თურქეთის წინააღმდეგ (Oneryildiz v. Turkey),* დიდი პალატა, 30 ნოემბერი, 2004 წელი, 71-ე პუნქტი; *ბლაკაი და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ (Bljakaj and Others v. Croatia),* 18 სექტემბერი, 2014 წელი, 108-ე პუნქტი.

1971 7 ივლისი, 2022 წელი.

მათი სიცოცხლე ნავის ჩაძირვის შედეგად. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს არ წარმოუდგენია რაიმე ახსნა-განმარტება სამაშველო ოპერაციის ეფექტიანად, დროულად და კოორდინირებულად ჩაუტარებლობის მიზეზების შესახებ. ამის გამო ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საბერძნეთმა არ გააკეთა ყველაფერი, რაც გონივრული იქნებოდა შექმნილ სიტუაციაში მოსარჩელეებისა და მათი ნათესავების სიცოცხლის დასაცავად. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.[1972]

საქმე *ალჰოვაისი უნგრეთის წინააღმდეგ (Alhowais v. Hungary)* ეხებოდა მოსარჩელისა და მისი ძმის, ისევე როგორც სხვა პირების მიერ, ნავით მდინარე ტისზის უკანონო გადაკვეთის მცდელობას, რომელიც ყოფს სერბეთსა და უნგრეთს. მისი მტკიცებით, უნგრეთის საზღვრის დაცვამ აიძულა ისინი, დაბრუნებულიყვნენ სერბეთის ნაპირზე. სერბეთის ნაპირზე რომ დაბრუნებულიყვნენ, მოსარჩელეს და მის ძმას მოუხდათ მდინარეში გადახტომა, სადაც მოსარჩელის ძმა დაიხრჩო. ევროპული სასამართლოს წინაშე მოსარჩელის ძმა ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს მოქმედებამ განაპირობა მისი ძმის სიცოცხლის უფლების დარღვევა.

სასამართლოს აზრით, ვინაიდან მდინარე ტისზაზე მანამდეც მომხდარა მსგავსი შემთხვევები, სახელმწიფოსათვის ადვილად განჭვრეტადი უნდა ყოფილიყო, რომ კიდევ იქნებოდა საზღვრის უკანონო გადაკვეთის მცდელობა. შესაბამისად, უნგრეთის კომპეტენტურ ორგანოებს ჰქონდა საკმარისი ინფორმაცია, შეეფასებინა მდინარის უკანონო გადაკვეთასთან დაკავშირებული საფრთხეები და გულდასმით ჩაეტარებინა სასაზღვრო ოპერაციები.[1973] მიუხედავად ამისა, სასამართლოს აზრით, ვერ ჩაითვლება, რომ სახელმწიფომ გააკეთა ყველაფერი, რაც მას შეეძლო, რათა თავიდან აეცილებინა რეალური და მყისიერი საფრთხე სიცოცხლისათვის.[1974] ევროპული სასამართლოს დასკვნით, მკაფიოდ განსაზღვრული არ იყო პრიორიტეტები და მოქმედების თანმიმდევრობა, კერძოდ, როგორ უნდა გამკლავებოდნენ მოწყვლად მდგომარეობაში მყოფ მიგრანტებთან დაკავშირებულ სიტუაციას. სიტუაციის გაუარესება, ძირითადად, განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ სამაშველო ოპერაცია, როგორც აღმოჩნდა, არ იყო კარგად გააზრებული.[1975]

ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ შემთხვევის ადგილზე არსებული სამაშველო შესაძლებლობები არ შეესაბამებოდა შექმნილ საგანგებო სიტუაციის მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნათელი იყო ადგილზე მყოფი მესაზღვრეებისათვის, საქმის მასალებში არაფერი ადასტურებდა რაიმე მცდელობას, გამოეძახებინათ დახმარება, რათა მოეხდინათ შესაფერისი რეაგირება მიგრანტების წინაშე არსებული საფრთხისათვის.[1976]

ევროპული სასამართლოს აზრით, ვინაიდან სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანოებმა ვერ იმოქმედეს სწრაფად, ეფექტიანად და გადამწყვეტად, არ გაატარეს ოპერატიული ღონისძიებები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, რომლებიც უნდა გაეტარებინათ მოსარჩელის ძმის სიცოცხლის დასაცავად, სახელმწიფომ ვერ შეასრულა

1972 166-ე პუნქტი; ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში და კონვენციის მე-3 მუხლისა (რამდენიმე მოსარჩელის მიმართ).

1973 135-ე პუნქტი.

1974 136-ე პუნქტი.

1975 141-ე მუხლი.

1976 143-ე პუნქტი.

მოსარჩელის ძმის სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება და, შესაბამისად, დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლი არსებით ნაწილში.[1977]

სამაშველო ოპერაციების განხორციელების შესახებ ევროპული სასამართლოს საქმეების მიმოხილვის შედეგად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს, სამაშველო ოპერაცია იყოს სწრაფი, ეფექტიანი და კარგად კოორდინირებული შესაბამის სამსახურებს შორის. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სამაშველო ოპერაციისათვის არსებული რესურსი შეესაბამებოდეს შექმნილი სიტუაციის საჭიროებებს, ხოლო სამაშველო სამსახური იყოს სათანადოდ აღჭურვილი და მომზადებული ასეთი ოპერაციის ჩასატარებლად. საჭიროების შემთხვევაში, სამაშველო სამსახურმა სწრაფად უნდა მოითხოვოს დახმარება. თუ მოსალოდნელია სამაშველო ოპერაციის ჩატარება, სახელმწიფომ კარგად უნდა დაგეგმოს სამაშველო და სამძებრო ოპერაციები და განსაზღვროს მოქმედებების თანმიმდევრულობა, რესურსების მაქსიმალური გამოყენებით. საჭიროების შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს სამაშველო ოპერაციის მოსამზადებელი სამუშაო, და წინასწარ უზრუნველყონ სამედიცინო დახმარების მობილიზება.

საქართველოში სამაშველო ოპერაციების ჩატარებას და ამ პროცესში უსაფრთხოების წესების დაცვას აწესრიგებს რამდენიმე ნორმატიული აქტი. ამ ნორმატიულ აქტებს შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის ორგანიზებას, სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებებს, სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს უფლებამოსილებას, იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლებებსა და მოვალეობებს.[1978] კანონით განსაზღვრულია, რომ მისი ერთ-ერთი პრინციპია ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებისაკენ მიმართული ქმედებებისათვის უპირატესობის მინიჭება.[1979] კანონი, სხვა ტერმინებთან ერთად, განმარტავს როგორც საგანგებო სიტუაციას,[1980] ისე სამაშველო სამუშაოს.[1981]

კანონი ადგენს ეროვნული სისტემის სუბიექტების მოვალეობებს, რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, უზრუნველყოფენ: ა) საგანგებო სიტუაციის რისკის მართვას – საფრთხის იდენტიფიცირებას, საგანგებო სიტუაციის რისკისა და მისი ზემოქმედების ანალიზს და მის საფუძველზე საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის შემუშავებას; ბ) საგანგებო სიტუაციის პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას; გ) საგანგებო სიტუაციისათვის მზადყოფნას; დ) ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას; ე) ინციდენტისაგან/საგანგებო სიტუაციისაგან ადამიანის

1977 144-ე-145-ე პუნქტები; სახელმწიფოს სწრაფ და ეფექტიან რეაგირებას ასევე ეხებოდა საქმე *ფურდიკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Furdik v. Slovakia)*, გადაწყვეტილება, 2 დეკემბერი, 2008 წელი.

1978 27 ივნისი, 2018 წელი. 1-ელი მუხლი.

1979 მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი.

1980 გარკვეულ ტერიტორიაზე/ტერიტორიებზე ან ობიექტზე/ობიექტებზე შექმნილი ისეთი ვითარების/ვითარებათა ერთობლიობა, რომლის დროსაც ირღვევა ადამიანთა ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობები და რომელიც აშკარა საფრთხეს უქმნის ან რომელმაც შეიძლება აშკარა საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან/და რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს გარემოს, ფიზიკური/იურიდიული პირის, სახელმწიფო ან/და მუნიციპალურ ქონებას. იხ. კანონის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

1981 მოქმედება, რომლის მიზანია საგანგებო სიტუაციის შედეგად დაშავებული ან/და დაკარგული ადამიანების მოძებნა და გადარჩენა, აგრეთვე საფრთხის შემცველი ადგილიდან ადამიანის გამოყვანა. იხ. კანონის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი.

დაცვას; ვ) ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების სისტემის, მათ შორის, ადრეული შეტყობინების სისტემის განვითარებას; ზ) ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის შესახებ შეტყობინების დროულად გადაცემას და ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის დროს ქცევის წესების შესახებ ინფორმირებას.[1982]

კანონი განსაზღვრავს ინციდენტზე/საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების პროცედურებს. კერძოდ, ერთიან სატელეფონო ნომერზე – „112“-ზე – შესული შეტყობინება მიეწოდება ეროვნული სისტემის შესაბამის მორეაგირე ორგანოს.[1983] ინციდენტის/საგანგებო სიტუაციის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე ეროვნული სისტემის შესაბამისი სუბიექტის რეაგირების ძალები ახდენენ სათანადო რეაგირებას. ინციდენტზე რეაგირების პროცესში ეროვნული სისტემის შესაბამისი სუბიექტი აფასებს ინციდენტის ტიპსა და ხარისხს და, ინციდენტის საგანგებო სიტუაციად გარდაქმნის შემთხვევაში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მართავს მას. თუ აშკარაა რისკი, რომ, საგანგებო სიტუაციის ხასიათიდან გამომდინარე, ეროვნული სისტემის შესაბამისი სუბიექტის რეაგირების ძალები არ იქნება საკმარისი საგანგებო სიტუაციის სამართავად ან/და ამ საგანგებო სიტუაციის მართვა სცდება ეროვნული სისტემის შესაბამისი სუბიექტის კომპეტენციას, ეროვნული სისტემის შესაბამისი სუბიექტი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს მიმართავს ადგილობრივი საგანგებო შტაბის შექმნის საჭიროების შესახებ.[1984] კანონის მიხედვით, სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის წამყვანი ორგანო მშვიდობიან პერიოდში არის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.[1985]

საქართველოში სამაშველო ოპერაციების მარეგულირებელი მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტია საქართველოს მთავრობის დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“.[1986] სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა ადგენს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მიტიგაციისა და რეაგირების უზრუნველყოფას. გეგმა განსაზღვრავს კოორდინაციას ისეთი მიზნის მისაღწევად, როგორებიცაა: საძებნი, სამაშველო, ხანძრის ქრობის, საავარიო-სამაშველო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ძალების, რესურსებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა.[1987]

გეგმა ითვალისწინებს რეაგირების ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორებიცაა: საძებნი, სამაშველო, საავარიო-სამაშველო, ხანძრის ქრობის სამუშაოების უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება; საგანგებო სიტუაციების დროს საძებნი, სამაშველო, საავარიო-სამაშველო, ხანძრის ქრობის სამუშაოების ძალებისა და საშუალებების გადანაწილების და მათი საქმიანობის ორგანიზება; დაზიანების მასშტაბების, დაზარალებულთა რაოდენობის, სამაშველო სამუშაოებისათვის აუცილებელი საინჟინრო და სპეციალიზებული ტექნიკის რაოდენობის განსაზღვრა და სამაშველო სამუშაოებში ჩაბმა; დაზარალებულთათვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით სამუშაოების ორგანიზება, სპეციალური ტექნიკის, ჯანდაც-

---

1982 კანონის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტი.

1983 კანონის მე-19 მუხლის 1-ელი პუნქტი.

1984 კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი.

1985 კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი; ასევე იხ. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება N24 „საქართველოს შნაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, 29 მარტი, 2019 წელი.

1986 საქართველოს მთავრობის დადგენილება N508, 24 სექტემბერი, 2015 წელი.

1987 ფუნქცია N4, ეროვნული გეგმის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტი.

ვის პერსონალის, მედიკამენტების რაოდენობის განსაზღვრა.[1988] გეგმა ასევე განსაზღვრავს საგანგებო სიტუაციაში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების როლს და ადგენს მათი საქმიანობის კოორდინაციის წესს.

სამაშველო ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებას, სამაშველო ოპერაციის მართვასა და კოორდინირებას შესაბამის სამსახურებს შორის. ნორმატიული ბაზა ასევე ადგენს, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უზრუნველყოფს, რომ სამაშველო ოპერაციისათვის გამოყოფილი რესურსი შეესაბამებოდეს შექმნილი სიტუაციის საჭიროებას. ნორმატიული ბაზა ასევე ადგენს სამაშველო ოპერაციების მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარებას, ისევე როგორც იმ პირებისათვის სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფას, რომლებიც ამას საჭიროებენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები ასახავს ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ სახელმწიფოს ვალდებულებას და, შესაბამისად, აკმაყოფილებს შესაბამის ევროპულ სტანდარტებს.

ბ) პრაქტიკა

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პრაქტიკული ღონისძიებების გატარება სამაშველო ოპერაციის დროს ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად.

ვინაიდან საქართველოში ბოლო პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური სტიქია მოხდა რაჭაში (შოვში), ამ სტიქიის მაგალითზე შეიძლება მოხდეს იმის განხილვა, უზრუნველყო თუ არა სახელმწიფომ გონივრული ღონისძიებების გატარება ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად. ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში წამოჭრილი საკითხებიდან გამომდინარე, სამაშველო ოპერაციის ჩატარება უნდა შეფასდეს შემდეგ კითხვებზე გაცემული პასუხების საფუძველზე, მათ შორის, გააკეთა თუ არა სახელმწიფომ ყველაფერი, რაც გონივრული იქნებოდა პირების სიცოცხლის გადასარჩენად? დროულად აღმოუჩინა თუ არა სახელმწიფომ შესაბამის პირებს დახმარება, მათ შორის სამედიცინო? შეესაბამებოდა თუ არა ადგილზე არსებული სამაშველო შესაძლებლობები შექმნილი სიტუაციის საჭიროებებს? ჰქონდათ თუ არა მაშველებს შესაფერისი სამაშველო აღჭურვილობა/ტექნიკა?

მართალია, მასმედიაში გავრცელებული ინფორმაცია არ იძლევა სრულყოფილ სურათს რაჭის სტიქიის დროს სამაშველო ოპერაციის ჩატარების შესახებ, საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, განიხილება, უზრუნველყო თუ არა სამაშველო ოპერაციამ მისი მთავარი მიზნის – ადამიანების სიცოცხლის გადარჩენა – მიღწევა. ნიშანდობლივია, რომ მასმედიაში გავრცელებული ინფორმაცია სამაშველო ოპერაციასთან დაკავშირებით და, ზოგადად, შოვის სტიქიაზე, მეტისმეტად ფრაგმენტული და არასრულყოფილია, რაც არ იძლევა სრული სურათის დანახვის საშუალებას. ამიტომ ნაშრომში დასმულ ზოგიერთ კითხვაზე შეიძლება არ არსებობდეს დამაჯერებელი პასუხი. ამ კითხვებზე პასუხი გამოძიების შედეგებმა უნდა გასცეს და გაფანტოს ნებისმიერი ეჭვი, რომელიც საზოგადოებაში შეიძლება არსებობდეს სამაშველო ოპერაციის სწრაფად და ეფექტიანად ჩატარების შესახებ.

ვინაიდან საქართველოში ღვარცოფი ხშირად ხდება, რაც ქმნის მოლოდინს, რომ სახელმწიფო უნდა იყოს მზად ასეთ სტიქიასთან გასამკლავებლად, შეიძლება დაისვას

1988 ეროვნული გეგმის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტი.

ზოგადი კითხვა: ჰქონდათ თუ არა მაშველებს წინასწარ განსაზღვრული გეგმა ღვარცოფში მოყოლილი ადამიანების გადასარჩენად?

რაც შეეხება ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში წამოჭრილ კონკრეტულ საკითხებს, ერთ-ერთია, დროულად აღმოუჩინა თუ არა სახელმწიფომ დახმარება შესაბამის პირებს. ამ კითხვას პასუხი შეიძლება გაეცეს ფაქტობრივი ინფორმაციის საფუძველზე. კერძოდ, სტიქიის შესახებ შეტყობინებიდან სამაშველო ოპერაციის დაწყების დროსთან დაკავშირებით საქართველოს შს მინისტრმა განაცხადა, რომ შოვში განვითარებული მეწყრულ-ღვარცოფული მოვლენის შესახებ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში პირველი შეტყობინება შევიდა 3 აგვისტოს, 15:07 საათზე. 15:10 საათზე ინფორმაცია უკვე ჰქონდათ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, პოლიციის ადგილობრივ დანაყოფს და საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს. ინფორმაციის მიღებისთანავე, ონის სახანძრო-სამაშველო დანაყოფიდან პირველი მორეაგირე ჯგუფი სტიქიის ზონისაკენ მინიმალურ დროში – 15:12 საათზე – გაემგზავრა და 15:40-ზე საათზე უკვე იმყოფებოდა ადგილზე. ამბროლაურიდან წასულმა სამაშველო ჯგუფმა სტიქიის ადგილზე 16:05 საათზე მიაღწია. აქედან გამომდინარე, შს მინისტრის განცხადებით, შეტყობინების მიღებიდან დაახლოებით ნახევარ საათში, გაცილებით ადრე ვერტმფრენის მისვლამდე, ადგილზე იმყოფებოდნენ მეხანძრე-მაშველები, ასევე უმოკლეს დროში ადგილობრივი საპოლიციო ძალები, სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლები, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ბრიგადები.[1989]

რაც შეეხება ვერტმფრენის სტიქიის ადგილზე მისვლას, როგორც შს მინისტრმა განაცხადა, „პირველი ვერტმფრენი სტიქიის ზონაში თბილისიდან გაფრინდა 16:54 საათზე. რთული მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, ის სტიქიის დაწყებიდან დაახლოებით სამ საათში ჩაერთო სამაშველო ღონისძიებაში“.[1990] მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, სასაზღვრო ვერტმფრენი სტიქიის ზონაში 18:35 საათისათვის უკვე ადგილზე იყო.[1991] ვერტმფრენის სტიქიის ადგილზე მისვლის დროსთან დაკავშირებით საზოგადოების წევრების მიერ გამოთქმული პოზიციით, სამაშველო ოპერაციაში ვერტმფრენის ჩართვა დაგვიანებული იყო და ადრე ვერტმფრენის მისვლას შეიძლება გადაერჩინა ადამიანები.[1992] ამ საკითხის გასარკვევად მნიშვნელოვანია, რომ პასუხი გაეცეს კითხვას, რატომ დასჭირდა დაახლოებით 3 საათი ვერტმფ-

---

1989 „ვახტანგ გომელაური – ინფორმაცია, რომ შოვში სამაშველო ოპერაცია 3 საათით გვიან დაიწყო, მცდარია – დაახლოებით ნახევარ საათში ადგილზე მივიდნენ როგორც მეხანძრე-მაშველები, ასევე უმოკლეს დროში ადგილობრივი საპოლიციო ძალები“, 22 სექტემბერი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/770730-vaxtang-gomelauri-inpormacia-rom-shovshi-samashvelo-operacia-3-saatit-gvian-daicqo-mcdaria-daaxloebit-naxevar-saatshi-adgilze-mividnen-rogorc-mexanzre-mashvelebi-aseve-umokles-droshi-adgilobrivi-sapolicio-zalebi].

1990 „დანაშაული შოვში“, 30 ოქტომბერი, 2023 წ., იხ.: [https://mtisambebi.ge/news/item/1672-danashauli-shovshi-jurnalisturi-gamowieba]; ასევე „შოვში ვერტმფრენის გაშვების გადაწყვეტილების მისაღებად შსს-ს 50 წუთი დასჭირდა – რა წერია საქმის მასალებში?“, 25 სექტემბერი, 2023 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge].

1991 „სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი შოვში, სტიქიის ზონაშია – ადგილზე სამაშველო ოპერაცია იწყება“, 3 აგვისტო, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/765912-sasazgvro-policiis-vertmpreni-shovshi-stikiis-zonashia-adgilze-samashvelo-operacia-icqeba].

1992 „დანაშაული შოვში“, 30 ოქტომბერი, 2023 წ., იხ.: [https://mtisambebi.ge/news/item/1672-danashauli-shovshi-jurnalisturi-gamowieba].

რენის სტიქიის ადგილზე ჩასვლას, კერძოდ, მოხდა თუ არა ვერტმფრენის გამგზავრების გაჭიანურება, და თუ ასე იყო, რა გახდა ამის მიზეზი.

როგორც აღინიშნა, სამაშველო ოპერაციის მიმართ გამოითქვა პოზიცია, რომ ვერტმფრენმა დაიგვიანა ადგილზე ჩასვლა, რისი მიზეზიც შეიძლება ყოფილიყო ის ფაქტი, რომ ვერტმფრენი თბილისიდან გაემგზავრა, ნაცვლად იმისა, რომ ეს მომხდარიყო სტიქიის ადგილთან შედარებით ახლო ტერიტორიიდან, რაც დაზოგავდა დროს და შეიძლება გადაერჩინა სტიქიით დაზარალებული ადამიანები.[1993] აქ ჩნდება კითხვა, იყო თუ არა სამაშველო სამსახური შესაფერისად უზრუნველყოფილი, მათ შორის ვერტმფრენით. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ეს ვერტმფრენი ეკუთვნის სასაზღვრო პოლიციას, ჩნდება საფუძველი ვარაუდისათვის, რომ სამაშველო სამსახურს არ აქვს თავისი ვერტმფრენი. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ სამაშველო სამსახური, რომელიც უნდა იყოს სათანადოდ აღჭურვილი, მათ შორის ვერტმფრენით, არ იყო ასეთი ტექნიკით უზრუნველყოფილი.

ასევე ჩნდება კითხვა – ამ მასშტაბის სამაშველო ოპერაციისათვის საკმარისი იყო თუ არა მხოლოდ ერთი ვერტმფრენი, რომელიც ჩაერთო ოპერაციის პირველ დღეს. მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციით, მეორე დღეს, დილის 6 საათიდან განახლდა სამაშველო ოპერაცია, რომელშიც ჩაერთო მეორე ვერტმფრენი. ისმის კითხვა, რომ თუ ამის საჭიროება იყო, და სტიქიის მასშტაბიდან ასეც ჩანს, სტიქიის დღესვე რატომ არ ჩაერთო ამ სამაშველო ოპერაციაში დამატებითი ვერტმფრენი (ვერტმფრენები).[1994]

სამაშველო ოპერაციის ჩატარებისათვის შესაფერის აღჭურვილობასთან/ტექნიკასთან (ვერტმფრენთან) დაკავშირებით ჩნდება კითხვა, კერძოდ: შს მინისტრის განცხადებით, 4 აგვისტოს დილიდანვე სამაშველო ოპერაციაში ჩაერთო სასაზღვრო პოლიციის ორი ვერტმფრენი.[1995] კითხვაზე, იყო თუ არა სასაზღვრო პოლიციის ორი ვერტმფრენი შესაფერისი სამაშველო ოპერაციის ჩატარებისათვის, პასუხს სცემს საგანგებო სიტუაციის მართვის ექსპერტი და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ყოფილი უფროსი, რომელიც აცხადებს, რომ „საგანგებო სიტუაციების ვერტმფრენები არის სპეციალიზებული აღჭურვილობით და სპეციალური მოდელები, რომლებიც თავის შესასრულებელ დავალებას ასრულებენ. გასაგებია, რომ სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენით ბევრი ადამიანი ჰყავთ გადარჩენილი, ბევრი ოპერაცია წარმატებით შეუსრულებიათ, მაგრამ სახელმწიფომ აუცილებლად უნდა იზრუნოს, რომ სპეციალიზებული სამაშველო ვერტმფრენები შეიძინოს. ასეთი რელიეფიდან და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, მრავალი ტიპის არსებობს.“[1996]

1993 „ადამიანის უფლებები ბუნებრივი კატასტროფების პირისპირ“, საია, 2023 წ., იხ.: [https://gyla.ge/].

1994 „ვახტანგ გომელაური – მიზანშეწონილი არ იყო შოვში ღამით ფრენის განხორციელება, რადგან შესაძლოა, საფრთხე დამუქრებოდა გადარჩენილ ადამიანებს და შველის ღონისძიებაში ჩართული პირების სიცოცხლეს“, 22 სექტემბერი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/770732-vaxtang-gomelauri-mizansheconili-ar-iqo-shovshi-gamit-prenis-ganxorcieleba-radgan-shesazloa-saprtxe-damukreboda-gadarchenil-adamianebs-da-shvelis-gonisziebashi-chartuli-pirebis-sicocxles].

1995 იქვე.

1996 საყურადღებოა, რომ ეს კომენტარი გაკეთებულია შოვის სტიქიამდე, 2022 წლის ივლისში. „თემურ გიორგაძე – სახელმწიფომ აუცილებლად უნდა იზრუნოს, სპეციალიზებული სამაშველო ვერტმფრენები შეიძინოს“, 29 ივლისი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/446996-temur-giorgaze-sagangebo-situaciebis-samsaxuris-gasazliereblad-pirvel-rigshi-vertmprenebi-unda-sheizinon/].

აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა: თუ სახელმწიფოში არსებობს საგანგებო სიტუაციების ვერტმფრენები, რატომ არ ყოფილა ისინი გამოყენებული შოვის სტიქიის დროს?

სამაშველო ოპერაციის ეფექტიანად ჩატარების აღჭურვილობასთან დაკავშირებით, არსებობს კითხვა – გამოიყენებოდა თუ არა სამაშველო ოპერაციების დროს ისეთი ეფექტიანი საშუალება, როგორიცაა სითბური დრონი? შს მინისტრის განცხადებით, 3 აგვისტოს, ღამით, სხვადასხვა ინტენსივობით ადგილზე 5 სითბური დრონი მუშაობდა. ამ ინფორმაციას უარყოფენ სტიქიის თვითმხილველები და სტიქიით დაზარალებული პირები.[1997] ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ პასუხი გაეცეს კითხვას – ჰქონდა თუ არა სამაშველო სამსახურს შესაბამისი აღჭურვილობა, მათ შორის დრონები, რომლებიც გამოიყენეს ოპერაციის ჩასატარებლად?

ასევე წამოიჭრა საკითხი, იყვნენ თუ არა მაშველები სათანადოდ აღჭურვილნი/ეკიპირებული, მაგალითად, ჰქონდათ თუ არა მაშველებს ე.წ. თხილმარი,[1998] რომელიც მათ დაეხმარებოდა ტალახზე გადაადგილებაში.[1999]

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, შოვის სტიქიის დროს ფაქტობრივად არ ჩატარებულა სამაშველო ოპერაცია, არამედ ჩატარდა დაღუპულების სამძებრო სამუშაო. ამ ინფორმაციით, სახელმწიფო დაეხმარა ტერიტორიიდან გამოყვანაში იმ ადამიანებს, ვინც თავისით გადაურჩა სტიქიას, ხოლო დანარჩენები, როგორც ჩანს, ღვარცოფმა მაშინვე, ან სტიქიის პირველსავე საათებში, იმსხვერპლა.[2000] ამ შეხედულებასთან თანხვედრაშია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება, რომლის მიხედვით, ღვარცოფის შედეგად გამორიცხულია, გარდაცვალება მომენტალურად არ დამდგარიყო.[2001]

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ, ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, შოვში ჩატარებულ სამაშველო ოპერაციასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაა. მიმდინარე გამოძიების მიერ ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხების გაცემის გარეშე, შოვში ჩატარებული სამაშველო ოპერაცია ვერ ჩაითვლება დროულად და ეფექტიანად.

6.3.2.4.3.8. უბედური შემთხვევების თავიდან აცილების პრაქტიკა საქართველოში: სხვა საყურადღებო საკითხები

უბედური შემთხვევების შედეგად სიცოცხლის მოსპობის თავიდან აცილების შესახებ, ნაშრომში უკვე განხილული საკითხების გარდა, მასმედიაში ვრცელდება ინფორმაცია საქართველოში მომხდარი სიცოცხლის მოსპობის მრავალი სხვა

1997 „დანაშაული შოვში“, 30 ოქტომბერი, 2023 წ., იხ.: [https://mtisambebi.ge/news/item/1672-danashauli-shovshi-jurnalisturi-gamowieba]; „იქ დრონს არ უმუშავია“ – სამთო გიდი იხსენებს შოვის სტიქიის პირველ ღამეს, 28 აგვისტო, 2023 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/].

1998 ფეხსაცმელზე ამოსაცმელი ოვალური ფორმის საბიჯებელი მოწყობილობა, რომელსაც, ძირითადად, თოვლში გადაადგილების გასაადვილებლად იყენებენ.

1999 „იქ დრონს არ უმუშავია“ – სამთო გიდი იხსენებს შოვის სტიქიის პირველ ღამეს, 28 აგვისტო, 2023 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/].

2000 „იქ დრონს არ უმუშავია“ – სამთო გიდი იხსენებს შოვის სტიქიის პირველ ღამეს, 28 აგვისტო, 2023 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/].

2001 „გომელაური შოვში დაღუპულებზე: გამორიცხულია, გარდაცვალება მომენტალურად არ დამდგარიყო“, 22 სექტემბერი, 2023 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/a/32604871.html?fbclid=IwAR0UL6OfKfbHTFys7wue7swQtAo3dulX8ah-cpLx778VebELO0pHq_xc9mc].

შემთხვევის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში არაერთი შემთხვევაა განხილული, რომლებიც შეძლებისდაგვარად დაჯგუფდა პრობლემების უკეთესად წარმოჩენის მიზნით, მასში ამომწურავად ვერ განიხილება სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ყველა საქმიანობა (სფერო). გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, იდენტიფიცირებულია რამდენიმე საქმიანობა (სფერო), რომელმაც იმსხვერპლა ადამიანის სიცოცხლე. ამ საქმიანობას (სფეროს) განეკუთვნება ატრაქციონების უსაფრთხოება,[2002] დაცვა შინაური და გარეული ცხოველებისაგან,[2003] დაცვა ცოფისაგან,[2004] უსაფრთხოება თხილამურებით, სნოუბორდით, ციგით, ან თოვლზე/ყინულზე სასრიალო ნებისმიერი სხვა საშუალების გადაადგილებისას,[2005] უსაფრთხოება საჰაერო ბუშტით გადაადგილებისას[2006] და უსაფრთხოება ჭის გაწმენდის სამუშაოს შესრულებისას.[2007]

ამ საქმიანობის (სფეროების) უმრავლესობა მოწესრიგებულია საქართველოს კანონმდებლობით და დადგენილია სიცოცხლის უფლების დაცვის სტანდარტები, თუმცა ვერ იქნა აღმოჩენილი შესაბამისი მარეგულირებელი აქტები ისეთი საქმიანობის (სფეროს) რეგულირების შესახებ, რომელიც ეხება უსაფრთხოებას საჰაერო ბუშტით გადაადგილებისას და უსაფრთხოებას ჭის გაწმენდის სამუშაოს შესრულებისას. ასეთი საქმიანობის (სფეროს) იდენტიფიცირების საფუძველზე სახელმწიფომ შეიძლება ისინი სამართლებრივად მოაწესრიგოს, რაც უზრუნველყოფს სიცოცხლის უფლებისათვის საფრთხის გამორიცხვას ან მის მინიმუმამდე შემცირებას.

რაც შეეხება იმ საქმიანობას (სფეროებს), რომლებიც კანონმდებლობით არის მოწესრიგებული, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ გამოიჩინოს ძალისხმევა შესაბამისი კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულებისათვის, მათ შორის ზედამხედველობის დაწესების გზით.

2002 „გარდაიცვალა ბავშვი, რომელიც ბატუტის დაზიანების გამო დაშავდა“, 13 მარტი, 2023 წ., იხ.: [https://batumelebi.netgazeti.ge/news/469918/].

2003 „თბილისში, მცირეწლოვანი პიტბულმა დაგლიჯა“, 21 ნოემბერი, 2022 წ., იხ.: [https://mtavari.tv/news/104278-tbilisshi-mtsireclovani-pitbulma-daglija]; „ქუთაისში 65 წლამდე ქალი ძაღლის დაკბენის შემდგომი გართულებებით კლინიკაში გარდაიცვალა“, 24 ნოემბერი, 2022 წ., იხ.: [https://mtavari.tv/news/104621-kutaisshi-65-clamde-kali-dzaghlis-dakbenis]; „როგორც ჩანს, წაიქცა, დაესივნენ და შეჭამეს კაცი, წელს ზემოთ აღარაფერი ჰქონდა – რას ჰყვება მგლებისგან დაგლეჯილი კაცის შვილი?“, 2 თებერვალი, 2023 წ., იხ.: [https://tia.ge/224270-rogorc-chans-tsaiqca-daesivnen-da-shechames-kaci-tsels-zemot-agharapheri-hqonda-ras-hkhveba-mglebisgan-daglejili-kacis-shvili.html].

2004 „ამბროლაურში 45 წლის ქალი ცოფით გარდაიცვალა – ჯანდაცვის სამინისტრო“, 12 ივლისი, 2024 წ., იხ.: [https://netgazeti.ge/news/731398/].

2005 „ბაკურიანში, სავარაუდოდ, თხილამურებით სრიალის დროს ახალგაზრდა ქალი დაიღუპა“, 24 თებერვალი, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/586782-bakurianshi-savaraudod-txilamurebit-srialis-dros-axalgazrda-kali-daigupa].

2006 „საჰაერო ბურთის ჩამოვარდნის შედეგად დაიღუპნენ ორი მფრინავი და „იმედის“ ოპერატორი“, 7 თებერვალი, 2024 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge].

2007 „მარნეულში ჭაში ორი ადამიანი ჩავარდა და დაიღუპა“, 31 ივლისი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/721351-marneulshi-chashi-ori-adamiani-chavarda-da-daigupa]; „ხაშურის მუნიციპალიტეტში 2 ძმა ჭაში გარდაცვლილი ნახეს“, 30 აგვისტო, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/615678-xashuris-municipalitetshi-2-zma-chashi-gardacvlili-naxes]; „ზუგდიდში ჭის წმენდის დროს შუა ხნის მამაკაცი დაიღუპა“, 25 დეკემბერი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/579102-zugdidshi-chis-cmendis-dros-shua-xnis-mamakaci-daigupa].

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ფატალური შემთხვევების ნაწილი ეხება ადამიანების გარდაცვალებას შენობებიდან გადმოვარდნის შედეგად.[2008] ცხადია, რომ გამოძიებამ უნდა დაადგინოს, ამ პირთა გარდაცვალება შემთხვევითობაა თუ სუიციდი, ან მისი მცდელობა. შენობებიდან გადმოვარდნის შედეგად გარდაცვალების არაერთი შემთხვევაა ბავშვებს შორის.[2009]

ჩნდება კითხვა იმის შესახებ, რა ღონისძიებები შეიძლება გაატაროს სახელმწიფომ იმ პირთა სიცოცხლის დასაცავად, რომლებსაც შეიძლება შეექმნას საფრთხე ასეთ სიტუაციაში. თუ საკითხი შეეხება თვითმკვლელობის საფრთხეს, ასეთი საფრთხის

2008 „გორში, მე-5 სართულის აივნიდან ქალი გადმოვარდა“, 13 ივლისი, 2022 წ., იხ.:[https://www.interpressnews.ge/ka/article/719226-gorshi-me-5-sartulis-aivnidan-kali-gadmovarda]; „ტრაგედია თბილისში – 18 წლის ბიჭი სახლის სახურავიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა“, 22 დეკემბერი, 2022 წ., იხ.: [https://rustavi2.ge/ka/news/245136]; „თბილისში, ბაზალეთის ქუჩაზე, საცხოვრებელი კორპუსის მე-3 სართულის აივნიდან 75 წლამდე ქალი გადმოვარდა“, 30 ივნისი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/663424-tbilisshi-bazaletis-kuchaze-sacxovrebeli-korpusis-me-3-sartulis-aivnidan-75-clamde-kali-gadmovarda]; „ისანში, ერთ-ერთი კორპუსიდან ახალგაზრდა ბიჭი გადმოვარდა და ადგილზე გარდაიცვალა“, 11 ნოემბერი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/683244-isanshi-ert-erti-korpusidan-axalgazrda-bichi-gadmovarda-da-adgilze-gardaicvala]; „რუსთავში საცხოვრებელი კორპუსის მე-9 სართულიდან 81 წლის კაცი გადმოვარდა“, 25 ივლისი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/667194-rustavshi-sacxovrebeli-korpusis-me-9-sartulidan-81-clis-kaci-gadmovarda]; „თბილისში, მაღალსართულიანი შენობიდან ახალგაზრდა კაცი გადმოვარდა“, 10 თებერვალი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/532117-tbilisshi-magalsartuliani-shenobidan-axalgazrda-kaci-gadmovarda]; „ქუთაისში 65 წლის ქალი მეხუთე სართულიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა“, 10 ოქტომბერი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/567503-kutaisshi-65-clis-kali-mexute-sartulidan-gadmovarda-da-gardaicvala]; „ქუთაისში, მერვე სართულიდან შუახნის ქალი გადმოვარდა“, 19 აპრილი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/542871-kutaisshi-merve-sartulidan-shuaxnis-kali-gadmovarda], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

2009 „თბილისში, მესამე სართულიდან 2 წლის ბავშვი გადმოვარდა და გარდაიცვალა“, 24 სექტემბერი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/770896-tbilisshi-mesame-sartulidan-2-clis-bavshvi-gadmovarda-da-gardaicvala]; „გარდაიცვალა 15 წლის გოგო, რომელიც ბათუმში საცხოვრებელი კორპუსიდან გადმოვარდა“, 12 ივნისი, 2023 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/a/32455237.html?fbclid=IwAR2mmIFcZIPn7XE-bjWHQk0Ml3AvR2cBlzrI2gGIN-f329ExqLCxumt-tWw]; „რუსთავში, საცხოვრებელი კორპუსის მე-7 სართულიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვი გადმოვარდა“, 19 ნოემბერი, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/629889-rustavshi-sacxovrebeli-korpusis-me-7-sartulidan-2-clamde-asakis-bavshvi-gadmovarda]; „ფონიჭალაში 1 წლამდე ბავშვი საცხოვრებელი კორპუსის მეთოთხმეტე სართულიდან გადმოვარდა“, 8 აგვისტო, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/612937-ponichalashi-1-clamde-bavshvi-sacxovrebeli-korpusis-metotxmete-sartulidan-gadmovarda]; „ვარკეთილში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით ახალი დეტალები ხდება ცნობილი“, 23 სექტემბერი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/565056-varketilshi-momxdar-tragediastan-dakavshirebit-axali-detalebi-xdeba-cnobili]; „13 წლის გოგონას ცხედარი რუსთავში ექსპერტიზის ბიუროში გადაასვენეს“, 13 მარტი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/536845-13-clis-gogonas-cxedari-rustavshi-ekspertizis-biuroshi-gadaasvenes], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

დროულად იდენტიფიცირებისა და შესაბამისი პირისათვის ფსიქოლოგიური/ფსიქიკური დახმარება სწორი ნაბიჯი იქნება სახელმწიფოს მხრიდან. იგივე შეიძლება აღინიშნოს ბავშვებზე, რომლებიც უფრო მოწყვლადებად მიიჩნევიან სხვადასხვა სტრესის მიმართ. ასეთი ბავშვების შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია საფრთხის დროულად იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირება.

რაც შეეხება ბავშვების შემთხვევით გარდაცვალებას, სახელმწიფომ უნდა გაატაროს პრევენციული ღონისძიებები უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. უბედური შემთხვევისაგან ბავშვის სიცოცხლის დასაცავად სახელმწიფომ შეიძლება განსაზღვროს ზრდასრულთა ზედამხედველობის გარეშე არასრულწლოვანთა შინ დატოვებისათვის დასაშვები ასაკი. ამის საჭიროება გამომდინარეობს იქიდან, რომ არასრულწლოვნის შინ მარტო დატოვებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს საკუთარი სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა (მაგ.: საყოფაცხოვრებო ნივთების, გაზქურის, ასანთის სახიფათოდ გამოყენებით ან თუნდაც ფანჯრიდან/აივნიდან შემთხვევითი გადავარდნით, რის შედეგადაც შეიძლება მისი სიცოცხლე აღმოჩნდეს საფრთხეში). ამ მიზეზით მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა ადგენს წესს, რომლის მიხედვით, საერთოდ იკრძალება შედარებით მცირე ასაკის არასრულწლოვნების მარტო შინ დატოვება, ზრდასრულის ზედამხედველობის გარეშე, ხოლო ზოგიერთი სახელმწიფოს კანონმდებლობა ადგენს, რომ ბავშვის ასაკის მატებასთან ერთად იგი შეიძლება მარტო დატოვონ დროის მზარდი ხანგრძლივობით. ზოგიერთ სახელმწიფოში ამ წესის დარღვევა იწვევს მშობლების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასაც კი. სახელმწიფოები თავად განსაზღვრავენ არასრულწლოვანთა ასაკს, რომელთა მიღწევისას ბავშვი შეიძლება მარტო დატოვონ, თუმცა, ძირითადად, ეს ასაკი 10-14 წლის ფარგლებში მერყეობს.

საქართველოს არცერთი ნორმატიული აქტი არ ადგენს არასრულწლოვნის ასაკს, რომელთა შინ დატოვება ზრდასრულების ზედამხედველობის გარეშე იკრძალება, თუმცა საქართველოს ბავშვთა უფლებათა კოდექსი ადგენს, რომ ბავშვს უფლება აქვს, იყოს დაცული უგულებელყოფისაგან.[2010] სისხლის სამართლის კოდექსი ასევე ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის.[2011]

მიუხედავად იმისა, რომ საკითხი ზოგადად წესრიგდება ბავშვთა უფლებათა კოდექსითა და სისხლის სამართლის კოდექსით, სასურველია, ქვეყანაში დადგინდეს ასაკობრივი ზღვარი, რომლის მიღწევის შემდეგ დაიშვება არასრულწლოვნის შინ მარტო დატოვება, ზრდასრულების ზედამხედველობის გარეშე. ასეთი წესის შემოღება ბავშვების სიცოცხლეს არაერთ საფრთხეს აარიდებს თავიდან. ქვეყანაში ასეთი წესის ეფექტიანი აღსრულების შემთხვევაში ნაკლები ალბათობაა, რომ განმეორდეს ზუგდიდში 2023 წელს, საცხოვრებელ სახლში, მომხდარი ხანძარი, რომლის შედეგად 6 წლამდე ძმები დაიღუპნენ, მშობლის სამსახურში ყოფნის დროს.[2012] შეიძლებოდა თავიდან ისეთი შემთხვევის აცილებაც, როდესაც თერჯოლის მუნიციპალიტეტში 3 წლის ბავშვს თამაშის დროს სანადირო თოფი გაუვარდა და შემთხვევით მის 6 წლის ძმას

2010 53(1)-ლი მუხლი.

2011 116-ე მუხლი.

2012 „ზუგდიდში, საცხოვრებელ კორპუსში გაჩენილ ხანძარს 2 ბავშვი ემსხვერპლა“, 13 აგვისტო, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/808922-zugdidshi-sacxovrebel-korpusshi-gachenil-xanzars-2-bavshvi-emsxverpla]; [https://netgazeti.ge/news/736673/]; [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

მოუსპო სიცოცხლე.[2013] მსგავსი იყო შემთხვევა, როდესაც თამაშის დროს ერთ-ერთმა ბავშვმა შემთხვევით ტირის თოფიდან გაისროლა, რასაც 8 წლის ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა.[2014]

ცხადია, რომ საკითხი ვერ გადაწყდება მხოლოდ ბავშვების მარტო დატოვების აკრძალვით და საჭიროა, სახელმწიფომ შექმნას სისტემა, რომელიც მიმართული იქნება მშობლებისათვის მხარდაჭერის აღმოჩენისაკენ.

ზოგადად, ბავშვის, განსაკუთრებით მცირეწლოვნის, შინ მარტო დატოვების გარდა, უნდა აიკრძალოს ბავშვების ზედამხედველობის გარეშე დატოვება ნებისმიერ ადგილას, სადაც მომეტებული საფრთხეა სიცოცხლისათვის, მაგ.: ზღვასთან, აუზთან, ცეცხლთან და ასე შემდეგ.[2015] ასეთი ზედამხედველობის შემთხვევაში შეიძლებოდა ხობში 2 წლის ბავშვის და ჩაქვში, სასტუმროს აუზში, 5 წლის ბავშვის დახრჩობის თავიდან აცილება.[2016] აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ გაატაროს როგორც საკანონმდებლო ღონისძიებები, ისე გადადგას პრაქტიკული ნაბიჯები ბავშვების სიცოცხლის დაცვის დამატებითი სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

კიდევ ერთი საყურადღებო საკითხი პიროტექნიკის გამოყენებაა, რომელიც ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველია. გარდა იმისა, რომ პიროტექნიკის გამოყენება მავნეა გარემოსათვის და იწვევს მსხვერპლს ცხოველებსა და ფრინველებს შორის,[2017] საქართველოს პრაქტიკაში არის პიროტექნიკით გარდაცვალების შემთხვევა,[2018] ისევე როგორც სხეულის დაზიანების არაერთი შემთხვევა.[2019]

2013 „არსებული ინფორმაციით, თერჯოლაში 3 წლის ბავშვს იარაღი გაუვარდა“, რის შედეგად მისი 6 წლის ძმა გარდაიცვალა, 7 იანვარი, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/580206-arsebuli-inpormaciit-terjolashi-3-clis-bavshvs-iaragi-gauvarda-ris-shedegad-misi-6-clis-zma-gardaicvala], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

2014 „საჩხერეში ტირის თოფიდან გასროლის შედეგად 8 წლის ბავშვი დაიღუპა“, 6 იანვარი, 2021 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/636588-sachxereshi-tiris-topidan-gasrolis-shedegad-8-clis-bavshvi-daigupa].

2015 „მარნეულში დამწვრობის შედეგად, 2 წლის ბავშვი გარდაიცვალა“, 6 იანვარი, 2020 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/580124-marneulshi-damcvrobis-shedegad-2-clis-bavshvi-gardaicvala], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

2016 „ხობში 2 წლის ბავშვი წყალში დაიხრჩო“, 23 ივნისი, 2021 წ., იხ. [https://www.interpressnews.ge/ka/article/662386-xobshi-2-clis-bavshvi-cqalshi-daixrcho]; „ჩაქვში, სასტუმრო „ოაზისში“, რომლის აუზზე 5 წლამდე ბავშვი დაიხრჩო, პოლიცია მუშაობს“, 21 ივლისი, 2023 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/764584-chakvshi-mdebare-drimlend-oazisis-advokati-5-clis-bavshvis-daxrchobis-sakmeze-savaraudod-ubeduri-shemtxveva-dadgindeba-videochanacerebshi-surati-agbechdilia-mati-amogeba-dges-moxdeba], [ნანახია: 19 აგვისტო, 2024 წ.].

2017 „ინფარქტით დაიღუპა“: როგორ ზემოქმედებს პიროტექნიკა ცხოველებზე, 21 დეკემბერი, 2023 წ., იხ.: [https://accentnews.ge/ka/article/103997-inparktit-daigupa-rogor-zemokmedebs-piroteknika].

2018 „ქუთაისში გარდაიცვალა ქალი, რომელსაც ახალი წლის ღამეს პიროტექნიკა თავში მოხვდა“, 9 იანვარი, 2021 წ., იხ.: [https://kvirispalitra.ge/article/72966-quthaisshi-gardaicvala-qali-romelsac-akhali-tslis-ghames-piroteqnika-thavshi-mokhvda/].

2019 „სავარაუდოდ, ვადაგასული პიროტექნიკის გამო უბედური შემთხვევა მოხდა – რა მოხდა მარნეულში“, 3 იანვარი, 2024 წ., იხ.: [https://mix.metronome.ge/news/140855]; „ქუთაისში ორ პენსიონერს პიროტექნიკა ხელში აუფეთქდა – რას ამბობს ექიმი?“ 2 იანვარი, 2024 წ., იხ.: [https://www.ambebi.ge/article/303984-kutaisshi-or-pensioners-piroteknika-xelshi-aupetkda/]; „პიროტექნიკის საფრთხეები“, 12 დეკემბერი, 2023 წ., იხ.: [https://1tv.ge/video/piroteqnikis-safrtkheebi/].

საქართველოში დაშვებულია პიროტექნიკის გამოყენება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს მინიმალურ შეზღუდვებს პიროტექნიკის გამოყენების მიმართ. კერძოდ, პიროტექნიკის გამოყენება აკრძალულია ღამის საათებში (23:00 საათიდან 08:00 საათამდე), გარდა სადღესასწაულო დღეებისა.[2020] ამავე კოდექსით, აკრძალულია პიროტექნიკის მიყიდვა არასრულწლოვნისათვის.[2021]

მართალია, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, იკრძალება პიროტექნიკის მიყიდვა არასრულწლოვნებისათვის, რეალურად, ეს პიროტექნიკა ხშირად მათ ხელში ხვდება და მათ დასახიჩრებას იწვევს, რასაც მოწმობს მრავალი შემთხვევა. ზოგადად კი, საქართველოში პიროტექნიკით დაზიანების არაერთი შემთხვევაა როგორც არასრულწლოვნებს, ისე სრულწლოვნებს შორის, რომელთა შედეგად ისინი სხვადასხვა სხეულებრივ დაზიანებას იღებენ, კიდურების ან ხელის თითების მოკვეთის ჩათვლით.

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ასევე გარემოსა და ცხოველთა ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ აიკრძალოს პიროტექნიკის გამოყენება.

2020 კოდექსის 77^{2}-ე მუხლი.

2021 კოდექსის 156^{1}-ე მუხლი.

7. სიცოცხლის უფლების დაცვის (პოზიტიური ვალდებულება) მარეგულირებელი კანონმდებლობა და მისი შესრულების პრაქტიკა საქართველოში: *პროცესუალური ნაწილი*

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება მოიცავს როგორც მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღებასა და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას სიცოცხლის უფლების დასაცავად, ისე ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას პირის გარდაცვალების შემთხვევაში.

ვინაიდან ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი გამოძიების სტანდარტები დეტალურად მიმოხილულია ნაშრომის პირველ ნაწილში, აქ მხოლოდ შეჯამდება ეს სტანდარტები. ამ სტანდარტების მიხედვით, სახელმწიფომ უნდა ჩაატაროს პირის გარდაცვალების ფაქტის გამოძიება, მიუხედავად გარდაცვალების მიზეზისა[2022] და გამოძიებამ უნდა დააკმაყოფილოს რამდენიმე მოთხოვნა. კერძოდ, გამოძიება უნდა დაიწყოს სახელმწიფოს ინიციატივით; გამოძიება უნდა იყოს დამოუკიდებელი და ადეკვატური; გამოძიება უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ და წარიმართოს გონივრული სისწრაფით; უნდა არსებობდეს საზოგადოებრივი კონტროლი გამოძიების მიმართ და გარდაცვლილის ნათესავი უნდა იყოს ჩართული გამოძიების პროცესში.

ნაშრომის ამ თავში განიხილება საქართველოში პირის გარდაცვალების შემთხვევის გამოძიების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან.

7.1. გამოძიების წარმოების ინიციატივა

ა) კანონმდებლობა

ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა მკაფიო პოზიცია გამოძიების წარმოების ინიციატივის შესახებ, რომლის მიხედვით სახელმწიფოს ეკისრება საპროცესო ვალდებულება, თავისი ინიციატივით აწარმოოს გამოძიება, როდესაც მისთვის ცნობილი ხდება სიცოცხლის მოსპობის ფაქტის შესახებ და ეს ინიციატივა არ უნდა იყოს დამოკიდებული გარდაცვლილის ნათესავის საჩივარზე.[2023]

2022 სახელმწიფოს ასევე ეკისრება გამოძიების ჩატარების ვალდებულება სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველ ისეთი შემთხვევის მიმართ, რომელიც არ დასრულდა გარდაცვალებით.

2023 *ერგი თურქეთის წინააღმდეგ (Ergi v. Turkey),* 28 ივლისი, 1998 წელი, 82-ე პუნქტი; *ალ-სქეინი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al-Skeini and Others v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 7 ივლისი, 2011 წელი, 165-ე პუნქტი.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, განსხვავებით განზრახ სიცოცხლის მოსპობის საქმეებისაგან, განზრახვის გარეშე, მათ შორის ექიმის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის საქმეებზე, სახელმწიფო არ არის ვალდებული, თავად დაიწყოს გამოძიება, არამედ მხოლოდ მაშინ უნდა დაიწყოს, როდესაც გარდაცვლილის ნათესავი სახელმწიფოს მიმართავს გამოძიების დაწყების მოთხოვნით.[2024]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებულნი არიან, დაიწყონ გამოძიება.[2025] კოდექსი ადგენს, რომ გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში.[2026] დანაშაულის შესახებ ინფორმაცია შეიძლება იყოს წერილობითი, ზეპირი ან სხვაგვარად დაფიქსირებული.[2027] გამომძიებელი უფლებამოსილია, დაიწყოს გამოძიება დანაშაულის შესახებ ანონიმური შეტყობინების საფუძველზეც.[2028]

ევროპულ სტანდარტთან კოდექსის ამ დებულებების შესაბამისობის განხილვის შედეგად შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: ევროპული სტანდარტის მსგავსად, კოდექსი ადგენს, რომ გამოძიების წარმოების ინიციატივა ეკუთვნის სახელმწიფოს. კოდექსით დაზუსტებულია დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების წყარო, კერძოდ, როდესაც ინფორმაცია დანაშაულის შესახებ გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს, როდესაც ინფორმაცია დანაშაულის შესახებ გამოვლინდა სისხლის სამართლის საქმიდან, ან, როდესაც ინფორმაცია დანაშაულის შესახებ გამოქვეყნდა მედიაში. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეესაბამება ევროპული სასამართლოს სტანდარტს, რომლის მიხედვით, გამოძიების წარმოების ინიციატივა ეკუთვნის სახელმწიფოს და არ არის დამოკიდებული გარდაცვლილის ნათესავის საჩივარზე.

განსხვავებით ევროპული სტანდარტისაგან, რომელიც ადგენს, რომ გაუფრთხილებლობით ჩადენილი სიცოცხლის მოსპობისათვის სახელმწიფო არ არის ვალდებული, თავად დაიწყოს გამოძიება, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც გარდაცვლილის ნათესავი სახელმწიფოს მიმართავს გამოძიების დაწყების მოთხოვნით, სისხლის სამართლის კოდექსი არ განასხვავებს განზრახ და გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულს. შესაბამისად, გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს უფრო მაღალ სტანდარტს გამოძიების წარმოების ინიციატივის მიმართ, ვიდრე ევროპული სტანდარტი.

ბ) პრაქტიკა

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოში სიცოცხლის მოსპობის ფაქტის დადგომისას სახელმწიფო, როგორც წესი, იწყებს გამოძიებას საკუთარი ინიციატივით. მასმედიაში გავრცელებული ერთადერთი ინფორმაცია პირის გარდაცვალების შესახებ, რომელსაც არ მოჰყვა გამოძიების დაწყება, ეხება ყვარლის მუნიციპალიტეტში 10 წლის მოზარდის გარდაცვალებას, რომელსაც ეზოში თამაშის დროს

2024 *ლოპეზ დე სუსა ფერნანდესი პორტუგალიის წინააღმდეგ (Lopes de Sousa Fernandes v. Portugal)*, დიდი პალატა, 19 დეკემბერი, 2017 წელი, 222-ე პუნქტი.

2025 კოდექსის მე-100 მუხლის 1-ელი ნაწილი.

2026 კოდექსის 101-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

2027 კოდექსის 101-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

2028 კოდექსის 101-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

რკინის კონსტრუქცია დაეცა.[2029] აქედან გამომდინარე, გარდა ამ ერთი შემთხვევისა, არ ყოფილა აღმოჩენილი ინფორმაცია პირის სიცოცხლის მოსპობის ფაქტის შესახებ, რომელმაც შეიძლება წამოჭრას შეუსაბამობის საკითხი ევროპული კონვენციის შესაბამის სტანდარტსა და საქართველოს კანონმდებლობას შორის.[2030]

გამოძიების დაწყების ინიციატივის თვალსაზრისით, არც საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად აღმოჩენილა რაიმე პრობლემა.

გამოძიების დაწყების ინიციატივასთან კავშირშია გამოძიების დაუყოვნებლივი დაწყება, რომელიც ნაშრომში მოგვიანებით განიხილება.

7.2. გამოძიების დამოუკიდებლობა

ა) კანონმდებლობა

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, გამოძიება რომ ჩაითვალოს ეფექტიანად, მას უნდა აწარმოებდეს იმ პირისაგან იერარქიულად, ინსტიტუციურად და პრაქტიკულად დამოუკიდებელი პირი, რომლის ქმედებამ, სავარაუდოდ, გამოიწვია ადამიანის გარდაცვალება. მაგალითად, ეფექტიანი გამოძიების ვალდებულების დარღვევად მიიჩნევა, თუ პოლიციელი იძიებს სიცოცხლის მოსპობის ისეთ საქმეს, რომელშიც გარეულია კოლეგა პოლიციელი ან ის პოლიციელი იძიებს საქმეს, რომელიც არის იერარქიულად დამოკიდებული პოლიციის იმ თანამშრომელზე, რომლის საქმესაც იგი იძიებს, ან თუ ეს პირები ექვემდებარებიან ერთსა და იმავე მმართველობით ჯაჭვს.[2031]

როდესაც დგება გამოძიების დამოუკიდებლობის საკითხი, უნდა შეფასდეს, ეჭვის ქვეშ დააყენა თუ არა სადავო გარემოებამ, და რა ხარისხით, გამოძიების ეფექტიანობა და მისი უნარი, ნათელი მოჰფინოს გარდაცვალების გარემოებებსა და უზრუნველყოს მასზე პასუხისმგებელი პირის დასჯა.[2032]

2029 „ყვარელში რკინის კონსტრუქციის ჩამოვარდნის შედეგად 10 წლის ბავშვი გარდაიცვალა“, 26 თებერვალი, 2018 წ., იხ.: [https://on.ge/].

2030 ამას ადასტურებს მასმედიაში გავრცელებული არაერთი ინფორმაცია, თუმცა თვალსაჩინოებისათვის აქ მოშველიებულია მხოლოდ რამდენიმე: „ქობულეთში დენის დარტყმის შედეგად 2 წლის ბავშვი დაიღუპა“, 18 აგვისტო, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/809355-kobuletshi-denis-dartqmis-shedegad-2-clis-bavshvi-daigupa]; „ზუგდიდში, საცხოვრებელ კორპუსში გაჩენილ ხანძარს 2 ბავშვი ემსხვერპლა“, 13 აგვისტო, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/808922-zugdidshi-sacxovrebel-korpusshi-gachenil-xanzars-2-bavshvi-emsxverpla]; „ქობულეთში ფერდის ჩამონგრევის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა“, 17 მაისი, 2024 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/799855-kobuletshi-perdis-chamongrevis-shedegad-erti-adamiani-gardaicvala]; რუსთავის ერთ-ერთ ქარხანაში მუშა დაიღუპა, 3 იანვარი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/690825-rustavis-ert-ert-karxanashi-musha-daigupa]; „მარნეულში ჭაში ორი ადამიანი ჩავარდა და დაიღუპა“, 31 ივლისი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/721351-marneulshi-chashi-ori-adamiani-chavarda-da-daigupa].

2031 *ხოდუკევიჩი რუსეთის წინააღმდეგ (Khodyukevich v. Russia),* 28 აგვისტო, 2018 წელი, 73-ე-74-ე პუნქტები; *ბისარ აიჰანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Bisar Ayhan and Others v. Turkey),* 18 მაისი, 2021 წელი, 57-ე პუნქტი.

2032 *მუსტაფა ტუნკი და ფერიცე ტუნკი თურქეთის წინააღმდეგ (Mustafa Tunc and Fecire Tunc v. Turkey)*, დიდი პალატა, 14 აპრილი, 2015 წელი, 224-ე პუნქტი.

მართალია, ხანგრძლივი დროის განმავლობაში საქართველოს კანონმდებლობა არ შეესაბამებოდა გამოძიების დამოუკიდებლობის ევროპულ სტანდარტს, რამდენიმე წლის წინ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ კანონის მიღებით ეს ხარვეზი გამოსწორდა.[2033] კანონით დაარსდა დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო – სპეციალური საგამოძიებო სამსახური, რომლის მიზანია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ჩადენილი დანაშაულის მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება.[2034] სამსახურის საქმიანობის პრინციპებს შორისაა დამოუკიდებლობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა.[2035] კანონის მიხედვით, სპეციალური საგამოძიებო სამსახური უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და არ ექვემდებარება არცერთ ორგანოს და თანამდებობის პირს. სამსახურის გამომძიებელზე ზემოქმედება და მის საქმიანობაში უკანონო ჩარევა აკრძალულია და ისჯება კანონით.[2036]

სპეციალური საგამოძიებო სამსახური იძიებს იმ დანაშაულებს, რომლებიც ჩადენილია საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ.[2037] კანონის მიხედვით, სპეციალური საგამოძიებო სამსახური უფლებამოსილია, სრული მოცულობით ჩაატაროს იმ დანაშაულის[2038] გამოძიება, რომელიც ჩადენილია საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ, მათ შორის შსს-ს თანამშრომლების მიერ.[2039]

თუ დანაშაული, მათ შორის სიცოცხლის მოსპობა, ჩაიდინა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელმა, ასეთი საქმე ქვემდებარეობით გადაეცემა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, რომელიც ვალდებულია, დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად უზრუნველყოს საქმის გამოძიება. შესაბამისად, ამ კანონით შექმნილია მექანიზმი, რომლის მიხედვით, გამოძიება უნდა აწარმოოს იმ პირისაგან იერარქიულად, ინსტიტუციურად და პრაქტიკულად დამოუკიდებელმა გამომძიებელმა, რომლის ქმედებამ, სავარაუდოდ, გამოიწვია ადამიანის გარდაცვალება. აქედან გამომდინარე, საქართვე-

---

2033 21 ივლისი, 2018 წელი.

2034 მე-2 მუხლი.

2035 მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

2036 მე-11 მუხლის 1-ელი პუნქტი.

2037 მე-3 მუხლის 1-ელი („თ“) პუნქტი.

2038 კანონით განსაზღვრულ დანაშაულებს შორისაა: ა) წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა (კანონის მე-19 მუხლის 1-ელი („ა“) პუნქტი); ბ) სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი სხვა დანაშაული, რომელმაც გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა და რომლის ჩადენის დროს ეს პირი იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში ან პენიტენციურ დაწესებულებაში, ანდა ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, აკრძალული ჰქონდა ადგილსამყოფლის დატოვება, ან აღნიშნული პირი სხვაგვარად იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტიანი კონტროლის ქვეშ (კანონის მე-19 მუხლის 1-ელი („ბ“) პუნქტი); გ) განზრახ მკვლელობა, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით, თვითმკვლელობამდე მიყვანა, სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება; სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რასობრივი დისკრიმინაცია, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და სხვა (კანონის მე-19 მუხლის 1-ელი („გ“) პუნქტი).

2039 მე-20 მუხლის „ა“ პუნქტი.

ლოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს სტანდარტს გამოძიების დამოუკიდებლობის მიმართ.

ბ) პრაქტიკა

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოში მომხდარი ერთ-ერთი ბოლოდროინდელი შემთხვევა, რომელზეც გამოითქვა ეჭვი გამოძიების დამოუკიდებლობის მიმართ, ეხებოდა რაჭაში (შოვში) 2023 წლის 3 აგვისტოს მომხდარ სტიქიას. საქართველოს სახალხო დამცველმა 2023 წლის ანგარიშში აღნიშნა, რომ „შესაძლოა, იკვეთებოდეს გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრობლემა. კერძოდ, გამოძიებამ უნდა შეისწავლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შოვში სამაშველო ოპერაციის დროულად და ადეკვატურად დაგეგმვის, მართვისა და განხორციელების საკითხი, ხოლო გამოძიების ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას ეჭვქვეშ აყენებს სამინისტროს მიერ საკუთარი საქვეუწყებო დაწესებულების მხრიდან შესაძლო დანაშაულის ჩადენის გამოძიება.“[2040] იგივე პოზიცია გამოხატა საია-მ გამოძიების დამოუკიდებლობის მოთხოვნის დაკმაყოფილების აუცილებლობის შესახებ.[2041]

საქართველოს სახალხო დამცველი ასევე ეჭვის ქვეშ აყენებს 2015-2018 წლებში პატიმართა გარდაცვალების შემთხვევების გამოძიების დამოუკიდებლობას. ამ შემთხვევების შესწავლის შედეგად სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ გამოვლინდა გამოძიების ხარვეზები, კერძოდ: „პატიმართა გარდაცვალების ფაქტზე გამოძიებას იწყებდა და აწარმოებდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, რომელიც, ცხადია, ინსტიტუციურად დამოუკიდებელი ორგანო არ ყოფილა. შესწავლილი საქმეებიდან, პროკურატურას არცერთი საქმე არ უწარმოებია.“[2042]

საქართველოში გამოძიების დამოუკიდებლობის სტანდარტის დაცვის პრაქტიკას ნათელს ჰფენს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქართველოს მიმართ. კერძოდ, ევროპული სასამართლოს მიერ განხილული ერთ-ერთი საქმეა *ელიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Elibashvili v. Georgia)*, რომელიც ეხებოდა პოლიციის დევნის შედეგად მოსარჩელის შვილის გარდაცვალებას, რაც გამოიწვია მისმა დახრჩობამ მდინარეში.[2043] კერძოდ, 2016 წლის 1 აგვისტოს, ღამით, მოსარჩელის შვილი თბილისში მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სავარაუდოდ, მაღალი სიჩქარით მართავდა მანქანას, როდესაც პოლიციის ორმა ოფიცერმა უბრძანა მანქანის გაჩერება. მოსარჩელის შვილი არ დაემორჩილა ბრძანებას და შეეცადა მიმალვას. პოლიციის ოფიცრები დაედევნნენ მას პოლიციის მანქანით. მოსარჩელის შვილმა ვერ დაიმორჩილა საჭე და

2040 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, იხ.: [https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf], 32. ასევე იხ. არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტის პოზიცია: „მიატოვა თუ არა განსაცდელში სახელმწიფომ მოქალაქეები შოვში? – რა მუხლებით უნდა მიმდინარეობდეს გამოძიება“, 16 აგვისტო, 2023 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/].

2041 „ადამიანის უფლებები ბუნებრივი კატასტროფების პირისპირ“, საია, 2023 წ., იხ.: [https://gyla.ge/], 33-34.

2042 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020 წელი, 38, იხ.: [https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf].

2043 22 თებერვალი, 2024 წელი.

დაეჯახა გაჩერებულ მინივენს. მან დატოვა საკუთარი მანქანა და შეეცადა მიმალვას. პოლიციის ოფიცრები დაედევნენ მას ფეხით, თუმცა მოსარჩელის შვილი მალევე დაკარგეს ხედვის არეალიდან და დაბრუნდნენ შემთხვევის ადგილას, სადაც დახვდნენ მათ მიერ გამოძახებული სხვა პოლიციელები.[2044] 2016 წლის 3 აგვისტოს მოსარჩელის შვილის ცხედარი აღმოაჩინეს მდინარეში.[2045]

ევროპული სასამართლოს შეფასებით, მისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა ის ფაქტი, რომ კავშირი მოსარჩელის შვილის გარდაცვალებასა და პოლიციის მიერ მის დევნას შორის აშკარა იყო 2016 წლის 3 აგვისტოს, და, მართალია, ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდა, რომ პოლიციის ოფიცრების მიერ, სავარაუდოდ, ჩადენილი დანაშაული უნდა გამოეძიებინა პროკურატურას, გამოძიება მაინც შსს-მ აწარმოა. პროკურატურას საქმე გამოსაძიებლად მხოლოდ 15 თვის შემდეგ გადაეცა. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპზე გამოძიება ჩაატარა იმ ორგანომ, რომელიც არ იყო საკმარისად დამოუკიდებელი იმ პოლიციის ოფიცრებისაგან, რომელთაც შეიძლება ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაზე. მით უფრო, რომ გამოძიების რამდენიმე მთავარი ხარვეზიც პირდაპირ კავშირში იყო ამ ეტაპთან.[2046]

ევროპულმა სასამართლომ სხვა საქმეებზეც იმსჯელა გამოძიების დამოუკიდებლობაზე. კერძოდ, საქმე *მაჩალიკაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Machalikashvili and Others v. Georgia)* ეხებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმის მიერ მოსარჩელეთა შვილის, თ.მ.-ს დაკავების მცდელობას, რომელიც იყო ეჭვმიტანილი საერთაშორისო ტერორისტულ დაჯგუფებასთან დაკავშირებულ დანაშაულებრივ საქმიანობაში.[2047] როდესაც სპეციალური რაზმის წარმომადგენლები ღამით შევიდნენ თ.მ.-ს საძინებელში, მან, სავარაუდოდ, ხელყუმბარის აფეთქება სცადა, რის შემდეგაც მას თავში ესროლეს. მიღებული ჭრილობის გამო, რამდენიმე დღეში თ.მ. საავადმყოფოში გარდაიცვალა.

საქმის გარემოებების შეფასებისას ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დაკავების ოპერაციის გარემოებათა გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყო, თუმცა პირველი საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) გამომძიებელმა და არა პროკურატურამ.[2048] მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურამ რამდენიმე საათში აიღო ხელში გამოძიების სადავეები, ის ეყრდნობოდა თ.მ.-ს საძინებელში ჩატარებული ჩხრეკის შედეგებს და სუს-ის გამომძიებლის მიერ შეგროვებულ მტკიცებულებებს, რომელიც საკმარისად მიუკერძოებელი არ იყო.[2049] ევროპული სასამართლოს აზრით, ამ და სხვა საპროცესო მოთხოვნების დარღვევებმა განაპირობა სახელმწიფოს მიერ ეფექტიანი გამოძიების სტანდარტების შეუსრულებლობა, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.[2050]

საინტერესოა საქმე *ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ (Vazagashvili and Shanava v. Georgia),* რომელიც ეხებოდა პოლიციის მიერ მოსარჩელის შვილის მკვლელობას 2006 წლის 2 მაისს.[2051] ამ საქმეში შინაგან საქმეთა სა-

---

2044 მე-2 პუნქტი.
2045 მე-4 პუნქტი.
2046 მე-16 პუნქტი.
2047 19 იანვარი, 2023 წელი.
2048 87-ე პუნქტი.
2049 88-ე პუნქტი.
2050 97-ე პუნქტი.
2051 18 ივლისი, 2019 წელი.

მინისტროს წარმომადგენლებმა მოსარჩელის შვილი საკუთარი ავტომობილით მგზავრობისას ჩაცხრილეს, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. ამ საქმეზე გამოძიება მალე შეწყდა, თუმცა გამოძიების განახლების შემდეგ, 2015 წელს, შსს-ს რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირს სასჯელი შეუფარდეს.

ევროპულმა სასამართლომ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება, კერძოდ, რომ პოლიციის ოპერაციის შემდგომ, საწყის ეტაპზე, საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარეს პოლიციის იმავე თანამშრომლებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ ოპერაციაში. პოლიციის მიერ ძალის გამოყენების თანაზომიერების გამოკვლევისას გამოძიება დაეყრდნო ამ საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მიღებულ მტკიცებულებებს. ამდენად, სასამართლოს აზრით, განხორციელებული ძირითადი და გადამწყვეტი საგამოძიებო მოქმედებები არ აკმაყოფილებდა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის სტანდარტს და, შესაბამისად, იყო საპროცესო ხარვეზი, რომელსაც არ შეეძლო, არ მოეხდინა გამოუსწორებელი გავლენა გამოძიების შემდგომ მიმდინარეობაზე.[2052]

გამოძიების დამოუკიდებლობაზე ასევე იმსჯელა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Kukhalashvili and Others v. Georgia)*, რომელიც ეხებოდა ციხეში არათანაზომიერი ძალის გამოყენებას. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოძიება, გარდა იმისა, რომ დაიწყო თითქმის სამი თვის დაგვიანებით, წარმართა იუსტიციის სამინისტროს იმავე დეპარტამენტმა, რომელმაც გასცა ბრძანება ძალის გამოყენების შესახებ და რომელიც მართავდა ბუნტის ჩახშობის ოპერაციას, რაც ქმნიდა საფრთხეს გამოძიების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისათვის.[2053]

საქმე *შავაძე საქართველოს წინააღმდეგ (Shavadze v. Georgia)*, რომელიც ეხებოდა მოსარჩელის მეუღლის, სამხედრო ოფიცრის, გარდაცვალებას 2008 წლის 16 აგვისტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ხელში, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, პირველადი საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა დაუყოვნებლივ, ისინი ჩაატარა არა პროკურატურამ, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლებმა, რაც ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ კანონმდებლობას.[2054] მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით პროკურატურამ გადაიბარა საქმის გამოძიება, პროკურორები ეყრდნობოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს. აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რაც, გარდა იმისა, რომ ეროვნული საპროცესო კანონმდებლობიდან აუხსნელი გადახვევა იყო, აშკარად ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილ მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნებს. საბოლოოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ ასეთ საპროცესო ხარვეზს არ შეეძლო, ჩრდილი არ მიეყენებინა გამოძიების შემდგომი წინსვლისათვის.[2055] გამოძიების ამ და სხვა ხარვეზების გამო, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოძიება იყო არაეფექტიანი, რის გამოც დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში.[2056]

2052 87-ე პუნქტი.

2053 20 აპრილი, 2020 წელი, 132-ე პუნქტი.

2054 19 ნოემბერი, 2020 წელი.

2055 35-ე პუნქტი.

2056 37-ე პუნქტი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.

საქმე *მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ (Maisuradze v. Georgia)* ეხებოდა მოსარჩელის შვილის (გ.ტ.) გარდაცვალებას პენიტენციურ დაწესებულებაში, მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის დიაგნოზით.[2057]

გამოძიების დამოუკიდებლობის მიმართ ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ, მართალია, პროკურორის გარკვეული ჩართულობა იყო გამოძიების პროცესში, ყველა ძირითადი საგამოძიებო მოქმედება ჩაატარა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა და შესაბამისი დასკვნები მოგვიანებით მოიწონა პროკურორმა. ამ უკანასკნელს არ გადაუდგამს რაიმე დამოუკიდებელი ნაბიჯები, გარდა იმისა, რომ გამომძიებელს მიუთითა, დაეკითხა ექსპერტები და მოეპოვებინა გ.ტ.-ს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ჩანაწერები. არცერთი გარემოება არ მიუთითებს იმაზე, რომ პროკურორი მზად იყო, დაწვრილებით შეემოწმებინა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ შემთხვევასთან დაკავშირებით მომზადებული განმარტებები. სასამართლოს აზრით, საგამოძიებო ორგანოსა და ინციდენტში მონაწილე პირთა შორის არსებული ინსტიტუციური კავშირი ბადებს ეჭვებს ჩატარებული გამოძიების დამოუკიდებლობის შესახებ.[2058] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.[2059]

გამოძიების დამოუკიდებლობის მოთხოვნის დარღვევის თვალსაჩინო მაგალითია საქმე *ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ (Enukidze and Girgvliani v. Georgia)*, რომელიც ეხებოდა 28 წლის მამაკაცის (სანდრო გირგვლიანი) მკვლელობას შსს-ს მაღალჩინოსნების მიერ.[2060]

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გარემოებების გამოძიებას აშკარად აკლდა აუცილებელი დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, ობიექტურობა და გულმოდგინება. ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში პირდაპირ მიუთითა: „გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა განშტოება – შსს, გამოძიების საწყის სტადიაზე დაშვებული დარღვევებით; პროკურატურა, გამოძიების შემდგომ ეტაპზე დაშვებული სხვა დარღვევებით; სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, მსჯავრდებულების ერთ საკანში უკანონოდ მოთავსებით; შიდა სასამართლოები, არასრულფასოვანი სასამართლო განხილვებითა და მსჯავრდებულების ვადაზე ადრე გათავისუფლებით; საქართველოს პრეზიდენტი, მსჯავრდებულების მიმართ გაუმართლებელი ლმობიერების გამოვლენით, და ა.შ. – ყველა ერთად, ხმაშეწყობილად მოქმედებდა იმ მიზნისათვის, რომ ამ შემზარავი მკვლელობის საქმეზე როგორმე არ განხორციელებულიყო მართლმსაჯულება“.[2061] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში.

ევროპული სასამართლოს ზემოთ განხილულმა რამდენიმე გადაწყვეტილებამ ცხადყო გამოძიების დამოუკიდებლობის პრობლემურობა საქართველოში, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ეს საქმეები, ძირითადად, ეხება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის დაარსებამდე მომხდარ ფაქტებს. ვინაიდან უკვე ფუნქციონირებს სპეციალური საგამოძიებო სამსახური, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ საქართველოში გამო-

---

2057 20 დეკემბერი, 2018 წელი.

2058 57-ე პუნქტი.

2059 54-ე პუნქტი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.

2060 26 აპრილი, 2011 წელი.

2061 276-ე პუნქტი.

ძიების დამოუკიდებლობის შესახებ ევროპულ სასამართლოში შეტანილი სარჩელების რაოდენობა შემცირდება. მოქმედი კანონმდებლობით, სპეციალური საგამოძიებო სამსახური უფლებამოსილია, სრული მოცულობით ჩაატაროს იმ დანაშაულის გამოძიება, რომელიც ჩადენილია საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ, მათ შორის შსს-ს თანამშრომლების მიერ. ვინაიდან ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია, რომ პირველადი საგამოძიებო მოქმედებები განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს გამოძიების დამოუკიდებლად ჩატარებისათვის,[2062] მნიშვნელოვანია, რომ, თუ ნათელი გახდა, სიცოცხლის მოსპობა ჩაიდინა პოლიციის თანამშრომელმა, გამოძიება თავიდანვე დაიწყოს სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, ნაცვლად შსს-სა. ამ შემთხვევაში პოლიციამ შეიძლება მხოლოდ უზრუნველყოს დანაშაულის ადგილის დაცვა, რათა არ დაიკარგოს ან განადგურდეს შესაბამისი მტკიცებულებები.

7.3. გამოძიების ადეკვატურობა

ა) კანონმდებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს გამოძიების ადეკვატურობა, რაც ნიშნავს იმას, რომ გამოძიება უნდა იყოს მიმართული იმისაკენ, დაადგინოს, იყო თუ არა კონკრეტულ გარემოებებში გამოყენებული ძალა გამართლებული, ისევე როგორც მიმართული პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებისა და დასჯისაკენ.[2063]

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად უნდა შეფასდეს მტკიცებულებათა მოსაპოვებლად სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების გონივრულობა. ამ მტკიცებულებათა მოსაპოვებლად უნდა იყოს გამოყენებული ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: მოწმეთა ჩვენებების მიღება, მტკიცებულებათა შეგროვება და, სადაც ეს შესაძლებელია, გვამის გაკვეთის შესახებ დასკვნის მოპოვება.[2064]

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, თუ სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიებისას სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ჩვენების მიღება ძირითადი მოწმეებისაგან, სახელმწიფო დაარღვევს გამოძიების ვალდებულებას.[2065] მაგ., საქმეზე, რომელიც ეხებოდა მოსარჩელის შვილის სიცოცხლის მოსპობას დემონსტრაციის დროს, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან გამოძიებამ ვერ უზრუნველყო ძირითადი მოწმეებისაგან (ჯავშნიანი მანქანის მძღოლი და ტყვიის მოხვედრის მომენტში მოსარჩელის შვილის გვერდით მდგომი პირი) ჩვენებების მიღება, გამოძიება „არ იყო სრულყოფილი.“[2066] საქმეზე, რომელიც ეხებოდა მრავლობითი

2062 *რამსაჰაი და სხვები ნიდერლანდის წინააღმდეგ (Ramsahai v. the Netherlands),* დიდი პალატა, 15 მაისი, 2007 წელი.

2063 *ბაზორკინა რუსეთის წინააღმდეგ (Bazorkina v. Russia),* 27 ივლისი, 2006 წელი, 118-ე პუნქტი.

2064 *ალ-სქეინი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Al-Skeini and Others v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 7 ივლისი, 2011 წელი, 166-ე პუნქტი; *არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Armani da Silva v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 30 მარტი, 2016 წელი, 233-ე პუნქტი.

2065 *რანცევი კვიპროსისა და რუსეთის წინააღმდეგ (Rantsev v. Cyprus and Russia)*, 7 იანვარი, 2010 წელი, 237-ე პუნქტი.

2066 *გულეკი თურქეთის წინააღმდეგ (Güleç v. Turkey),* 1998 წლის 27 ივლისი, 79-ე და 82-ე პუნქტები.

ნატყვიარებით გარდაცვლილ პირს, ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფოს არ მიუღია ჩვენება არცერთი იმ ჯარისკაცისაგან, რომელიც იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე.[2067]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მოწმის ჩვენების მიღებას მხოლოდ სასამართლო სხდომაზე,[2068] თუმცა გამონაკლისის სახით გამოძიების დროს პირი ასევე შეიძლება მოწმედ დაიკითხოს.[2069]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს გამოძიების ეტაპზე პირის გამოკითხვის შესაძლებლობას.[2070] კოდექსის მიხედვით, ნებისმიერი პირი, რომელიც შეიძლება ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ნებაყოფლობით შეიძლება გამოიკითხოს მხარეთა მიერ. ვინაიდან გამოკითხვა ნებაყოფლობითია და, შესაბამისად, პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს გამოკითხვაზე, გამომძიებელმა გამოსაკითხ პირს უნდა განუმარტოს, რომ იგი შეიძლება დაიბარონ სასამართლოში ჩვენების მისაცემად, რაც სავალდებულო იქნება.[2071]

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიებისას სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ყველა შესაბამისი მტკიცებულების მოპოვება, მათ შორის: გარდაცვალების ადგილის ფოტოგრაფირება, ანაბეჭდების აღება, ტყვიაწამლისა და ბალისტიკური ნიმუშების აღება, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ღონისძიების გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს გარდაცვალების გარემოებების დადგენას.[2072] სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს შემთხვევის ადგილის შესწავლა და შემთხვევასთან დაკავშირებული მოვლენების აღდგენა.[2073] გამოძიებამ უნდა მოახდინოს მტკიცებულებების სათანადოდ აღნუსხვა, მოგვიანებით მათი ლაბორატორიული კვლევის უზრუნველსაყოფად, რაც საშუალებას მისცემს გამოძიებას, გააკეთოს სწორი, ობიექტური და მიუკერძოებელი დასკვნა.[2074] მაგ., ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ გამოძიება არ იყო ადეკვატური, რადგან არ ჩატარდა მკვლელობის ადგილის დათვალიერება, ისევე როგორც არ ჩატარდა ექსპერტიზა გარდაცვლილის ხელებსა და ტანისამოსზე დენთის ნაწილაკების არსებობის დასადგენად, რაც დაადასტურებდა მთავრობის მტკიცებას, რომ გარდაცვლილი უწევდა წინააღმდეგობას უშიშროების ძალებს და ისროდა იარაღიდან.[2075]

ცხადია, რომ გასატარებელი საგამოძიებო მოქმედებები დამოკიდებულია დანაშაულის კონკრეტულ გარემოებებზე.

2067 *კაია თურქეთის წინააღმდეგ (Kaya v. Turkey),* 19 თებერვალი, 1998 წელი, 89-ე პუნქტი. ასევე იხ. *ასლახანოვა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Aslakhanova and Others v. Russia),* 2012 წლის 18 დეკემბერი, 123-ე პუნქტი; *ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ (Vazagashvili and Shanava v. Georgia)*, 18 ივლისი, 2019 წელი, 88-ე პუნქტი.

2068 კოდექსის მე-3 მუხლის 24-ე ნაწილი.

2069 კოდექსის 114-ე მუხლი.

2070 კოდექსის 113-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

2071 კოდექსის 113-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

2072 *აჩარი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Acar and Others v. Turkey),* 24 მაისი, 2005 წელი, 91-ე პუნქტი.

2073 *რამსაჰაი და სხვები ნიდერლანდის წინააღმდეგ (Ramsahai and Others v. Netherlands)*, დიდი პალატა, 15 მაისი, 2007 წელი, 326-ე-332-ე პუნქტები.

2074 *მარიუს ალექსანდრუ და მარინელა სტეფანი რუმინეთის წინააღმდეგ (Marius Alexandru and Marinela Stefan v. Romania),* 24 მარტი, 2020 წელი.

2075 *კაია თურქეთის წინააღმდეგ (Kaya v. Turkey),* 19 თებერვალი, 1998 წელი, 89-ე პუნქტი; *გული თურქეთის წინააღმდეგ (Gul v. Turkey)*, 14 დეკემბერი, 2000 წელი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მრავალი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას, რომლის მიზანია მტკიცებულებების მოპოვება და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოვლენა. ასეთ საგამოძიებო მოქმედებას მიეკუთვნება: გამოკითხვა, დაკითხვა, ამოღება, ჩხრეკა, დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი, ამოსაცნობად წარდგენა, ექსჰუმაცია, საბანკო ანგარიშების მონიტორინგი და ა.შ.

სხვა საგამოძიებო მოქმედებასთან ერთად, კოდექსი განსაზღვრავს ამოღებისა და ჩხრეკის მიზანს, საფუძველსა და წესებს. კერძოდ, ამოღება და ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ და ამოღებულ იქნეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.[2076] კოდექსი ასევე განსაზღვრავს დათვალიერებას, როგორც საგამოძიებო მოქმედების სახეს და ადგენს მისი განხორციელების წესს. ის მიზნად ისახავს დანაშაულის კვალის, ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის, შემთხვევის ვითარების და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოების გარკვევას. საქართველოს კანონმდებლობით, დათვალიერების შემდეგი სახეებია: შემთხვევის ადგილის დათვალიერება, სხვა ადგილის დათვალიერება (საცავი, სადგომი, სათავსი), გვამის დათვალიერება, საგნის/დოკუმენტის/ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის დათვალიერება.[2077]

კოდექსი ასევე ითვალისწინებს საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებას, რომლის მიზანია მიღებული ინფორმაციის (ჩვენების) და გამოძიების პროცესში წარმოშობილი ვერსიის შემოწმება, და განსაზღვრავს ექსპერიმენტის ჩატარების წესს.[2078]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასევე ითვალისწინებს როგორც გვამის დათვალიერებას, ისე გვამის ნიმუშის აღებას, რაც დაეხმარება გამოძიებას დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოპოვებაში.[2079]

საბოლოოდ, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მთელ რიგს, რომელთა მიზანია საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვება.

ბ) პრაქტიკა

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სახელმწიფომ უნდა გადადგას ყველა შესაძლო გონივრული ნაბიჯი პირის სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებული მტკიცებულებების, მათ შორის, მოწმეთა ჩვენებებისა და ნივთიერი მტკიცებულებების მოსაპოვებლად, და, სადაც საჭიროა, უნდა ჩაატაროს ავტოფსია, რომელიც უზრუნველყოფს ზიანის სავარაუდო ნიშნების სრულ და ზუსტ აღნუსხვასა და კლინიკური მიგნებების ობიექტურ ანალიზს, გარდაცვალების მიზეზის ჩათვლით:

ა) მოწმეთა ჩვენებები

რაც შეეხება მოწმეთა ჩვენებების მოპოვებას, რომლის მიზანია, ნათელი მოჰფინოს პირის სიცოცხლის მოსპობის გარემოებებს, როგორც აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მოწმის ჩვენების მიღებას მხოლოდ სასამართლო სხდომაზე,[2080] თუმცა, გამონაკლისის სახით, გამოძიების დროს

2076 კოდექსის 119-ე მუხლი.

2077 კოდექსის 125-ე-128-ე მუხლები.

2078 კოდექსის 125-ე-128-ე მუხლები.

2079 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 147-ე მუხლები.

2080 კოდექსის მე-3 მუხლის 24-ე ნაწილი.

პირი ასევე შეიძლება მოწმედ დაიკითხოს.[2081] საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გამოძიების ეტაპზე პირის ნებაყოფლობით გამოკითხვის შესაძლებლობას,[2082] თუმცა ეს პირი შეიძლება დაიბარონ სასამართლოში ჩვენების მისაცემად.

საქართველოს სახალხო დამცველმა თავის ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშში ყურადღება გაამახვილა გ. შაქარაშვილის საქმეზე, რომლის ცხედარი 2020 წლის 22 ივნისს მდინარე არაგვში აღმოაჩინეს.[2083] სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა გამოძიების მასალები, რომლებიც ასახავდა 2020 წლის 19 ივნისიდან 12 აგვისტოს ჩათვლით ჩატარებულ ყველა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებას. მასალების შესწავლამ ცხადყო, რომ გამოძიების საწყის ეტაპზე მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები არასრულყოფილი იყო. ამასთან, მოწმეთა გამოკითხვები არ შეიცავდა დეტალურ კითხვებს და არ იყო ამომწურავი, ხოლო გამოკითხვების შედეგად მიღებული ინფორმაცია არ იყო სათანადოდ დადასტურებული ან გადამოწმებული (მაგ., ამოცნობის ან ექსპერიმენტის მეშვეობით). ანგარიშის მიხედვით, ამ ხარვეზების ნაწილი მოგვიანებით გამოძიებამ აღმოფხვრა.[2084] ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ გამოძიებამ, დამატებითი მოკვლევის გარეშე, არ უნდა მიიჩნიოს უტყუარად და სარწმუნოდ ინფორმაცია ან დასკვნები, რომლებიც მომდინარეობს სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან. საქართველოს მიმართ ერთ-ერთ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოწმეთა ჩვენებების მნიშვნელობაზე, კერძოდ, საქმეზე – *ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ (Vazagashvili and Shanava v. Georgia)*[2085] – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პროკურატურამ არ მიიღო მხედველობაში ორი დამოუკიდებელი მოწმის განცხადებები, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ მოსარჩელის შვილს, ისევე როგორც მანქანაში მყოფ სხვა პირებს, არ გაუწევიათ რაიმე შეიარაღებული წინააღმდეგობა პოლიციისათვის, რაც სრულად ეწინააღმდეგებოდა მეორე მხარის მტკიცებას.[2086] ევროპული სასამართლოს აზრით, ამ განცხადებების შეფასება აუცილებელი იყო ობიექტური დასკვნის გამოსატანად, პოლიციის მიერ ძალის გამოყენების თანაზომიერებასთან დაკავშირებით.

ბ) მტკიცებულებათა მოპოვება

გარდა ჩვენების მიღებისა, გამოძიების ადეკვატურობისათვის აუცილებელია ყველა მტკიცებულების მოპოვება, იქნება ეს გარდაცვალების ადგილის დათვალიერება, მისი ფოტოგრაფირება, ნიმუშების აღება და ამ მტკიცებულებათა სათანადოდ აღნუსხვა, რათა მოგვიანებით მოხდეს მათი საექსპერტო კვლევა, ისევე როგორც საჭიროა ნებისმიერი სხვა ღონისძიების გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს გარდაცვალების გარემოებების დადგენას.

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, გამოიკვეთა საქართველოს საგამოძიებო პრაქტიკა მტკიცებულებათა მოპოვების თვალსაზრისით. კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, 2023 წლის მარტში, თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, საცხოვრებელი კორპუსების უკან, ხე-ბუჩქნარში

2081 კოდექსის 114-ე მუხლი.

2082 კოდექსის 113-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

2083 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020 წელი, 36, იხ.: [https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf].

2084 იქვე.

2085 18 ივლისი, 2019 წელი.

2086 88-ე პუნქტი.

აღმოაჩინეს არასრულწლოვან ა.ი.-ს გვამი.[2087] გამოძიება იმავე დღეს დაიწყო არასრულწლოვნის განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით. სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, „გამოიკვეთა, რომ, მიუხედავად საქმეზე ჩატარებული ასეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებისა, გამოძიება თავდაპირველად მიმდინარეობდა არაეფექტიანად და დროულად არ ჩატარდა სწორედ ის სათანადო საგამოძიებო მოქმედებები, რის შედეგადაც, შესაძლოა, გამოძიებას მოეპოვებინა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები და რომელთა ჩაუტარებლობამ ან დაგვიანებით ჩატარებამ, შესაძლოა, გამოიწვია გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურება და, შესაბამისად, ხელი შეუშალა საქმის გარემოებების დადგენას. გამოძიების მნიშვნელოვანი ხარვეზები მოიცავს, მათ შორის, შემთხვევის ადგილის ახლომახლო და შედარებით დამალული ადგილების დაუთვალიერებლობას და ასეთ ადგილას გარდაცვლილის ყოფნის დასადასტურებლად საჭირო ბიოლოგიური მასალის ან სუნის ნიმუშის მოუპოვებლობას; ... გარდა ამისა, ამავე საქმეში, გვამის შემთხვევის ადგილზე დათვალიერებისას გადაღებულ ფოტოსურათებზე, გარდაცვლილ ა.ი.-ს მარცხენა ხელის მტევნის მე-4 (უსახელო) თითის ფრჩხილში აღინიშნება ადამიანის თმის მაგვარი ღერი, რაც საქმის მასალებსა და შემდგომ კვლევებში აღარ იძებნება.“[2088]

სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდა სავარაუდო თვითმკვლელობის ფაქტი.[2089] ანგარიშის მიხედვით, „გამოძიების პროცესში არ ჩატარებულა ცალკეული შემხვედრი საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა ჩატარების შემთხვევაში მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვანი იქნებოდა გამოძიების ეფექტიანობისა და შესაძლო ბრალდებულ პირთა პასუხისმგებლობის გამოსაკვეთად. აპარატს მიაჩნია, რომ ამ საქმეში აუცილებელია, მაგალითად, სამსახურებრივი ტელეფონების სატელეფონო საუბრების ისტორიის ან/და აუდიოჩანაწერების არსებობის დადგენა და არსებობის შემთხვევაში – მათი მოპოვება; აუცილებელია დადგინდეს ზუსტი დრო, თუ როდის მიიღო ინფორმაცია პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილმა პირმა ზ.ვ.-ს შესაძლო საყურადღებო ქცევის შესახებ; უნდა დადგინდეს, ფაქტთან შემხებლობაში მყოფი პირები იყენებდნენ თუ არა რაციებს და ინახება თუ არა რელევანტური დროის რაციების აუდიოჩანაწერები და სხვ.“[2090]

საქართველოს სახალხო დამცველმა ასევე გაამახვილა ყურადღება გამოძიების ხარვეზებზე მტკიცებულებათა არასათანადო მოპოვების კუთხით. კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა თ.მ.-ს გარდაცვალების საქმე, რომელზეც დამნაშავედ ცნეს მხოლოდ ერთი პირი – ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევისათვის, რამაც თ.მ.-ს სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, შემთხვევის ადგილზე არ ყოფილა დაფიქსირებული და აღწერილი სავალი გზის მდგომარეობა;

2087 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, 34-36, იხ.: [https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf].

2088 იქვე, 35.

2089 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, 36, იხ.: [https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf].

2090 იქვე.

არ ჩატარებულა შესაბამისი ექსპერტიზები; გამოძიებას უტყუარად არ დაუდგენია სხვადასხვა გარემოება, და ა.შ.[2091]

საქართველოში მტკიცებულებათა მოპოვების პრაქტიკის განზოგადებისათვის მნიშვნელოვანია საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ქართული საქმეების მიმართ მტკიცებულებათა არასათანადოდ მოპოვების ერთ-ერთი მაგალითია საქმე *ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ (Tsintsabadze v. Georgia)*, რომელიც ეხებოდა მოსარჩელის შვილის მკვლელობას ხონის ციხეში. ოფიციალური ვერსიით, მოსარჩელის შვილმა თავი ჩამოიხრჩო, თუმცა სინამდვილეში იგი გახდა ე.წ. მაყურებლის მსხვერპლი, რომელსაც არ უხდიდა ე.წ. „ობშიაკს“.[2092]

ევროპულმა სასამართლომ აღმოაჩინა არაერთი საპროცესო დარღვევა მოსარჩელის შვილის გარდაცვალების ფაქტის გამოძიების მიმართ. კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სავარაუდო თვითმკვლელობის ადგილი არ ყოფილა დაცული. გამომძიებლის მიერ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს დაწესებულების დირექტორის მოადგილემ თავისი ოთახიდან გამოიტანა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, მათ შორის თოკი, რომლითაც, სახელმწიფოს მტკიცებით, პატიმარმა თავი ჩამოიხრჩო, ფეხსაცმელი და ორი სკამი, რომლებიც პატიმრის ფეხებთან იპოვეს. გამომძიებელმა თოკი და ფეხსაცმელი დალუქა, მაგრამ არ დაულუქავს სკამები. ასევე, არ მომხდარა თითის ანაბეჭდების აღება სკამიდან, საწყობის კარიდან და ბოქლომიდან.[2093]

ევროპული სასამართლოს აზრით, თვითმკვლელობის ვერსიის სანდოობას ეჭვის ქვეშ აყენებს კიდევ არაერთი ფაქტი (მაგ., გარდაცვლილის მიერ დაწერილი სასიყვარულო წერილი, რომლის ადრესატი იყო ნინო და არა მაკა (მეუღლე) და რომელიც მორგში შეუმჩნეველი დარჩა ერთი თვის განმავლობაში;[2094] არ მომხდარა მისი კალიგრაფიის ან თითის ანაბეჭდების ექსპერტიზა). ევროპულმა სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მთავრობამ უარი განაცხადა, ემსჯელა მკვლელობის ვერსიაზე. საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის შვილის გარდაცვალების საქმის გამოძიება არც დამოუკიდებელი, არც ობიექტური და არც ეფექტიანი იყო.[2095]

საქმეზე – *ელიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Elibashvili v. Georgia)*[2096] – ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა მტკიცებულებათა მოპოვებაზე. კერძოდ, ვინაიდან ვიდეოსათვალთვალო კამერების (CCTV) ჩანაწერები შეიძლება იყოს გადამწყვეტი მნიშვნელობის მტკიცებულება მოვლენათა გარემოებების დასადგენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ წინამდებარე საქმეში ვიდეოსათვალთვალო კამერების მტკიცებულების მოპოვება და დამუშავება არადამაკმაყოფილებელი იყო. სასამართლოს აზრით, როგორც ჩანს, საგზაო კამერებისა და კერძო ვიდეოსათვალთვალო კამერების ჩანაწერების მოპოვებაზე მოთხოვნების უმეტესობა დაგვიანებით გა-

---

2091 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022 წელი, 22-23, იხ.: [https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf].

2092 15 თებერვალი, 2011 წელი.

2093 მე-11 და მე-80 პუნქტები; *ლაპშინი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Lapshin v. Azerbaijan)*, 20 მაისი, 2021 წელი, 105-ე, 107-ე და 108-ე პუნქტები.

2094 83-ე პუნქტი.

2095 94-ე-95-ე პუნქტები.

2096 22 თებერვალი, 2024 წელი.

კეთდა, რის გამოც პოტენციურად მნიშვნელოვანი მტკიცებულებები დაიკარგა ან წაიშალა.[2097]

ასევე საყურადღებოა საქმე *მაჩალიკაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Machalikashvili and Others v. Georgia)*, რომელშიც ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მტკიცებულებათა მოპოვების მნიშვნელობაზე.[2098] სასამართლომ აღნიშნა, რომ შემთხვევის ადგილი არ იყო დალუქული, ხოლო ნივთები იყო სხვა ადგილას გადატანილი, რამაც გავლენა მოახდინა გამოძიებაზე. მაგალითად, ვერ დადასტურდა სროლის მომენტში თ.მ.-ს მობილური ტელეფონის ადგილმდებარეობა; სათანადოდ ვერ დადგინდა ტელეფონზე სავარაუდოდ ნაპოვნი სისხლის კვალის წარმომავლობა; და სრულად ვერ გადამოწმდა თ.მ.-ს ყურსასმენებთან დაკავშირებული მტკიცება.[2099]

გ) ავტოფსია

როგორც ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში არაერთხელ აღნიშნა, სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებული საქმეების გამოძიება რომ იყოს ადეკვატური, უნდა ჩატარდეს გარდაცვლილის ავტოფსია, რაც დაეხმარება გამოძიებას პირის გარდაცვალების მიზეზის დადგენაში.

ავტოფსიასთან დაკავშირებით ვერ მოხერხდა საქართველოს პრაქტიკის იდენტიფიცირება ვერც მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციისა და ვერც საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე.

7.4. გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყება და გონივრული სისწრაფით წარმართვა

ა) კანონმდებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, როდესაც სახელმწიფოსათვის ცნობილი ხდება სიცოცხლის მოსპობის ფაქტი, გამოძიება უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ და წარიმართოს გონივრული სისწრაფით.[2100] სასამართლოს აზრით, მნიშვნელოვანია გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყება, რადგან დროის გასვლა მტკიცებულებათა რაოდენობასა და მის ხარისხს უდავოდ შეამცირებს, ხოლო არასაკმარისი გულმოდგინების გამოვლენა ეჭვის ქვეშ დააყენებს გამოძიების ჩატარების მცდელობის კეთილსინდისიერებას, ისევე როგორც გამოიწვევს გარდაცვლილის ოჯახის წევრების მძიმე განსაცდელს.[2101] ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ასევე ადგენს, რომ გამოძიების შეწყვეტა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, არ აკმაყოფილებს საპროცესო ვალდებულების მოთხოვნას, თუ საქმის გაჭიანურება გამოწვეულია „ხელისუფლების პასიურობით“.[2102]

2097 მე-17 პუნქტი.

2098 19 იანვარი, 2023 წელი.

2099 91-ე პუნქტი.

2100 *არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Armani da Silva v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 30 მარტი, 2016 წელი, 237-ე პუნქტი.

2101 *ტრუბნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Trubnikov v. Russia),* 5 ივლისი, 2005 წელი, 92-ე პუნქტი.

2102 *მოკანუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Mocanu and Others v. Romania)*, დიდი პალატა, 17 სექტემბერი, 2014 წელი, 346-ე პუნქტი.

ერთ-ერთ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ამ ვალდებულების დარღვევად მიიჩნია გამოძიების დაწყება სასიკვდილო გასროლიდან 27 დღეში.[2103] სხვა საქმეზე, რომელიც ეხებოდა 2000 წლის თებერვლის ბოლოს მომხდარ მკვლელობას, შსს-ის თანამშრომლები მკვლელობის ადგილზე მივიდნენ აპრილში, ხოლო გამოძიება დაიწყო ერთი კვირის შემდეგ, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ გამოძიების დაწყების ხანგრძლივი დროით გაჭიანურებას არ შეეძლო, არ მოეხდინა უარყოფითი გავლენა მის ეფექტიანობაზე, რის გამოც დაადგინა სიცოცხლის უფლების დაცვის საპროცესო ვალდებულების დარღვევა.[2104]

მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რომ გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყოს, არამედ ისიც, რომ ის გონივრული სისწრაფით წარიმართოს და უმიზეზოდ არ გაჭიანურდეს.[2105] ევროპული სასამართლო არ ადგენს გამოძიების რაიმე ვადებს. ასეთი ვადის დადგენა შეუძლებელია საქმეთა განსხვავებული ხასიათისა და გასატარებელი ღონისძიებების მრავალფეროვნების გამო.

ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც ეხებოდა 1990 წელს დემონსტრაციის დროს შსს-ს შენობიდან გასროლის შედეგად პირის გარდაცვალებას, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ 23 წლის განმავლობაში გამოძიების მიმდინარეობა არ აკმაყოფილებს გონივრული სისწრაფით გამოძიების წარმართვის მოთხოვნას.[2106] ამ ვალდებულების შეუსრულებლობა დაადგინა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე, რომელიც ეხებოდა 21 წლის განმავლობაში უშიშროების სამსახურის მიერ ჩრდილოეთ ირლანდიაში მკვლელობის საქმის გამოძიების გაჭიანურებას.[2107] საქმეზე, რომელიც ეხებოდა თვითმკვლელობის მცდელობას, სასამართლომ ჩათვალა, რომ გამოძიება არ იყო სწრაფი, რადგან გამოძიებამ არ გამოკითხა პირი, რომელმაც სცადა თვითმკვლელობა 3 დღის განმავლობაში, მის გარდაცვალებამდე, მიუხედავად იმისა, სახელმწიფომ იცოდა, რომ მიღებული დამწვრობის გამო პირის გადარჩენის (გამოჯანმრთელების) ალბათობა მცირე იყო.[2108]

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი მოითხოვს, რომ გამოძიება დაიწყოს დაუყოვნებლივ სიცოცხლის მოსპობის მომენტიდან და წარიმართოს გონივრული სისწრაფით არა მხოლოდ პირის სიცოცხლის განზრახ, არამედ გაუფრთხილებლობით მოსპობის შემთხვევაში, მათ შორის ექიმის გაუფრთხილებლობის, ბუნებრივი კატაკლიზმის ან უბედური შემთხვევისას.[2109]

2103 *იუხიმოვიჩი უკრაინის წინააღმდეგ (Yukhymovych v. Ukraine)*, 17 დეკემბერი, 2020 წელი, 67-ე პუნქტი.

2104 *ესტამიროვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Estamirov and Others v. Russia),* 12 ოქტომბერი, 2006 წელი, 89-ე პუნქტი.

2105 *მაზეპა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Mazepa and Others v. Russia)*, 17 სექტემბერი, 2018 წელი, 81-ე პუნქტი.

2106 *მოკანუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Mocanu and Others v. Romania)*, დიდი პალატა, 17 სექტემბერი, 2014 წელი, 285-ე პუნქტი.

2107 *მაკკოი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McCaughey and Others v. the United Kingdom),* 2013 წლის 16 ივლისი, 131-ე და 140-ე პუნქტები.

2108 *მიხაილ მამადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Mikayil Mammadov v. Azerbaijan)*, 17 დეკემბერი, 2009 წელი, 130-ე პუნქტი.

2109 ექიმის გაუფრთხილებლობის შედეგად გარდაცვალების საქმის გამოძიება მიმდინარეობდა 7 წლის განმავლობაში, *ბირზიკოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ (Byrzykowski v. Poland),* 27 ივნისი, 2006 წელი, 114-ე და 116-ე პუნქტები; ავტოავარიის შედეგად პირის გარდაცვალების საქმის გამოძიება მიმდინარეობდა ექვს-ნახევარ წელიწადზე მეტი დროის განმავლობაში, *ანნა ტოდოროვა ბულგარეთის წინააღმდეგ (Anna Todorova v. Bulgaria)*, 24 მაისი, 2011 წელი, 83-ე პუნქტი.

მართალია, ევროპული სასამართლო მოითხოვს სახელმწიფოებისაგან, გამოძიება ჩატარდეს გონივრული სისწრაფით, ეს არ გამორიცხავს, რომ გარკვეულმა გარემოებებმა შეიძლება შეაფერხოს გამოძიების პროცესი.[2110] ობიექტურმა სიტუაციამ შეიძლება გაამართლოს საგამოძიებო მოქმედებების დაგვიანებით ჩატარება, მაგრამ ასეთი დაგვიანება უნდა იყოს განპირობებული კონკრეტული გარემოებით, რომელმაც ხელი შეუშალა შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას. შესაბამისად, გამოძიების პროცესის გაჭიანურება უნდა იყოს დასაბუთებული იმისათვის, რომ გონივრულად ჩაითვალოს ის.[2111]

როგორც აღინიშნა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებულნი არიან, დაიწყონ გამოძიება. ამასთანავე, გამოძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პროკურორს.[2112] მართალია, გამომძიებელი ვალდებულია, პროკურორს დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიების დაწყების შესახებ, კოდექსი პირდაპირ არ ადგენს, რომ მას ეკისრება ვალდებულება, დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება. აქედან გამომდინარე, განსხვავებით ევროპული სასამართლოს სტანდარტისაგან, საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ არ ითვალისწინებს, რომ გამოძიება უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ.

რაც შეეხება გონივრული სისწრაფით გამოძიების წარმართვასა და უმიზეზოდ მისი გაჭიანურების თავიდან აცილების ვალდებულებას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ „გამოძიება მიმდინარეობს გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა“.[2113] კოდექსი ასევე აწესებს საგამოძიებო მოქმედებების გონივრულ ვადაში ჩატარებას.[2114]

ევროპულ სტანდარტებთან კოდექსის ამ დებულებების შესაბამისობის განხილვის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ, ევროპული სტანდარტების მსგავსად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გონივრულ ვადაში გამოძიების ჩატარებას. ცხადია, რომ გონივრულ ვადაში გამოძიების ჩატარება ნიშნავს, გამოძიება არ უნდა გაჭიანურდეს უმიზეზოდ და საქმის ნებისმიერ გაჭიანურებას უნდა ჰქონდეს ობიექტური გამართლება.

მართალია, კოდექსი არ აზუსტებს გონივრული ვადის ხანგრძლივობას, რისი გაკეთებაც შეუძლებელია, რადგან ის დამოკიდებულია საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების საჭიროებაზე, კოდექსი ადგენს მაქსიმალურ ზღვარს: „არა უმეტეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადისა“. ასეთი ზღვარის დადგენის მიზანია, რომ გამოძიებამ არ მიაღწიოს შესაბამისი დანაშაულისათვის დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადას და ამ მიზეზით არ შეწყდეს გამოძიება, რაც ასევე სრულიად შეესაბამება ევროპული სასამართლოს პოზიციას.[2115]

2110 *არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Armani da Silva v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 30 მარტი, 2016 წელი, 237-ე პუნქტი

2111 *ბილბია და ბლაჟევიცი ხორვატიის წინააღმდეგ (Bilbija and Blažević v. Croatia),* 12 იანვარი, 2016 წელი, 105-ე-107-ე პუნქტები.

2112 კოდექსის მე-100 მუხლის 1-ელი ნაწილი.

2113 კოდექსის 103-ე მუხლი; ასევე იხ. კოდექსის 71-ე მუხლი (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო).

2114 კოდექსის 111-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

2115 *საქმე საყვარელიძე საქართველოს წინააღმდეგ (Sakvarelidze v. Georgia),* 6 თებერვალი, 2020 წელი, 53-ე-54-ე პუნქტები.

საბოლოოდ, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ განსხვავებით ევროპული სტანდარტისაგან, საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ არ ადგენს გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყების ვალდებულებას, თუმცა გონივრული სისწრაფით გამოძიების წარმართვის ვალდებულების მიმართ საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს.

ბ) პრაქტიკა

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ერთ-ერთი შემთხვევა, რომლის მიმართ გამოძიება დაუყოვნებლივ არ დაიწყო, ეხება ქ. ზუგდიდის N6 საჯარო სკოლის დირექტორის, ია კერზაიას გარდაცვალებას. კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სახალხო დამცველმა შეისწავლა ია კერზაიას გარდაცვალების ფაქტზე ჩატარებული მასალები და დაადგინა, რომ ამ საქმეში გამოვლინდა ის სისტემური ხარვეზები, რომლებიც საქართველოს პროკურატურის მხრიდან სხვა საქმეებშიც ხშირად იკვეთება.[2116] კერძოდ, 2018 წლის 8 ნოემბერს ია კერზაიას წინააღმდეგ განათლების სამინისტროს საჩივრით მიმართა ვინმე ლავრენტი ქირიამ, თუმცა გამოძიების შედეგად ამ სახელის მქონე პირის, ან მის მიერ მითითებული მისამართის რეალური არსებობა არ დადასტურდა. ამ საჩივრის საფუძველზე ქ. ზუგდიდის N6 საჯარო სკოლაში განხორციელდა ინსპექტირება, რის შედეგადაც განათლების იმდროინდელმა მინისტრმა მიმართა სკოლას ია კერზაიას გათავისუფლების რეკომენდაციით, თუმცა სკოლის სამეთვალყურეო საბჭომ არ გაიზიარა ეს რეკომენდაცია. ია კერზაიამ 2018 წლის 26-27 ნოემბერს საჯაროდ განაცხადა, რომ მის მიმართ ხდებოდა პოლიტიკური ზეწოლა, 2018 წლის 9 დეკემბერს კი იგი გარდაიცვალა ინსულტით. 2018 წლის 19 დეკემბერს მისმა შვილმა ბაჩანა შენგელიამ მიმართა პროკურატურას გამოძიების დაწყების თხოვნით. საქმის მასალებიდან დგინდება, რომ გამოძიება 2019 წლის 11 თებერვალს დაიწყო სსკ-ის 332-ე მუხლის საფუძველზე. სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, დაგვიანებულმა გამოძიებამ სიმართლის დადგენა შეუძლებელი გახადა. კერძოდ, ლავრენტი ქირიასთან დაკავშირებული ვიდეოჩანაწერი პროკურატურამ განათლების სამინისტროდან მხოლოდ 7 მარტს გამოითხოვა, რა დროსაც კადრები უკვე წაშლილი იყო.[2117]

სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, ია კერზაიას საქმემ ნათლად წარმოაჩინა დაზარალებულის/დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის შესახებ პროკურატურის არაერთგვაროვანი მიდგომა. პროკურატურამ ბაჩანა შენგელიას უარი უთხრა დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის მინიჭებაზე, თუმცა მას ორჯერ გააცნო საქმის მასალები.[2118]

გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყების მოთხოვნის შეუსრულებლობას ეხება საქართველოს წინააღმდეგ ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმეებიც. კერძოდ, საქმეზე – *კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Kukhalashvili and Others v. Georgia)* – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ძალის გამოყენების შესახებ გამოძიება დაიწყო

2116 „სახალხო დამცველი ია კერზაიას გარდაცვალების ფაქტზე ჩატარებული გამოძიების შედეგებს აფასებს“, 29 ნოემბერი, 2019 წ., იხ.: [https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsveli-ia-kerzaias-gardatsvalebis-faktze-chatarebuli-gamodziebis-shedegebs-afasebs].

2117 იქვე.

2118 იქვე.

თითქმის სამი თვის დაგვიანებით.[2119] ეფექტიანი გამოძიების ამ და კიდევ რამდენიმე სხვა მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.[2120]

გამოძიების დროულად დაწყების მოთხოვნის შეუსრულებლობაზე ევროპულმა სასამართლომ გაამახვილა ყურადღება საქართველოს მიმართ განხილულ არაერთ საქმეზე.[2121]

რაც შეეხება გამოძიების გონივრული სისწრაფით წარმართავასა და უმიზეზო გაჭიანურებისაგან თავის შეკავებას, საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიურ საპარლამენტო ანგარიშში ასახულია ინფორმაცია პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ბრალდებული ლ.ხ.-ს გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების შესახებ.[2122] ამ ანგარიშის მიხედვით, გამოძიების ეფექტიანობა შეაფერხა იმ გარემოებამ, რომ, 2024 წლის იანვრის მდგომარეობით (თითქმის 7 თვე), გამოძიებას ჯერ კიდევ არ ჰქონია მიღებული 2023 წლის 7 ივლისს დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელსაც უნდა დაედგინა პატიმრის გარდაცვალების უშუალო მიზეზი.[2123]

საქართველოს წინააღმდეგ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ნათელს ჰფენს არსებულ პრაქტიკას გამოძიების გონივრული სისწრაფით წარმართვის შესახებ. საქმეზე – *ოღლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Oghlishvili v. Georgia)*, რომელიც ეხებოდა მოსარჩელის შვილის გარდაცვალებას, მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს მიერ ჩატარებული გამოძიება არ იყო ეფექტიანი.[2124] კერძოდ, მოსარჩელის პოზიციით, მართალია, გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყო და მას მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი, გამოძიება გაგრძელდა ექვს წელზე მეტი ხნის განმავლობაში და მას პასუხი არ გაუცია კითხვისათვის, მოსარჩელის შვილი მიიყვანეს თვითმკვლელობამდე თუ იგი მოკლეს და ეს თვითმკვლელობას დაამსგავსეს.[2125]

ევროპული სასამართლოს შეფასებით, გამოძიება მოსარჩელის შვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ დაიწყო და პირველი რამდენიმე თვის

2119 20 აპრილი, 2020 წელი, 132-ე პუნქტი.

2120 135-ე პუნქტი.

2121 მათ შორის: *ოღლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Oghlishvili v. Georgia),* 4 ივლისი, 2024 წელი; *ელიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Elibashvili v. Georgia),* 22 თებერვალი, 2024 წელი; *მაჩალიკაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Machalikashvili and Others v. Georgia),* 19 იანვარი, 2023 წელი; *ეძგვერაძე საქართველოს წინააღმდეგ (Edzgveradze v. Georgia),* 20 იანვარი, 2022 წელი; *შავაძე საქართველოს წინააღმდეგ (Shavadze v. Georgia),* 19 ნოემბერი, 2020 წელი; *აკობიანი საქართველოს წინააღმდეგ (Hakobyan v. Georgia),* 23 მარტი, 2023 წელი.

2122 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, 37, იხ.: [https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf].

2123 იქვე.

2124 4 ივლისი, 2024 წელი. გამოძიების არაეფექტიანად ჩატარებაზე მიუთითებს სახალხო დამცველი თავის ანგარიშში ლ.ხ.-ს საქმეზე. კერძოდ, ანგარიშში აღნიშნულია: „გამოძიების ეფექტიანობას აფერხებს ის, რომ 2024 წლის იანვრის მდგომარეობით (თითქმის 7 თვე), გამოძიებას ჯერ კიდევ არ ჰქონია მიღებული 2023 წლის 7 ივლისს დანიშნული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელმაც უნდა დაადგინოს პატიმრის გარდაცვალების უშუალო მიზეზი.“ საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2023 წელი, 34-36, იხ.: [https://ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf].

2125 44-ე პუნქტი.

განმავლობაში გულმოდგინედ წარიმართა, მოსარჩელეს კი მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი. შესაბამისად, სასამართლომ ვერ დაინახა რაიმე პრობლემა გამოძიების დროულად დაწყებისა და გარდაცვლილის ოჯახის წევრისათვის გამოძიების პროგრესის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ისევე როგორც გამოძიების დამოუკიდებლობის თვალსაზრისით.[2126]

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გამოძიების ხანგრძლივობაზე და აღნიშნა, რომ გამოძიება უკვე ექვსი წელია მიმდინარეობს. მისი აზრით, მართალია, ეროვნული სამართალწარმოების თვალსაზრისით, შეიძლება გაჭიანურება არ ჩანდეს გადაჭარბებულად, უდავოა, რომ გამოძიების გაჭიანურებით სახელმწიფომ მას უკვე დააკარგვინა რაიმეგვარი პოტენციური სამომავლო სარგებლიანობა. როგორც სასამართლომ აღნიშნა, გამოძიება დაიწყო და მიმდინარეობს სსკ-ის 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს, თუმცა, ეროვნული კანონმდებლობით, ხანდაზმულობის ვადა ამ დანაშაულისათვის ექვსი წელია. ეს დრო უკვე გავიდა და ბრალდება ჯერ კიდევ არავისთვის წარუდგენიათ. სასამართლო ადასტურებს, რომ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ვალდებულება ჩაითვლება შეუსრულებლად, თუ სახელმწიფოს უმოქმედობამ ისე გააჭიანურა გამოძიება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობის ვადა ამოიწურა. სასამართლოს აზრით, მძიმე დანაშაულში ბრალდების ვადის ამოწურვამ შეიძლება წამოჭრას კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების საკითხი.[2127]

ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფომ აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა ორ წელზე ნაკლებ დროში და მას შემდეგ არ ჩაუტარებია სხვა მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედებები. თუ დაახლოებით ხუთწლიანი გამოძიების სტაგნაციის მიზეზი იყო ის, რომ გამოძიებამ შეგროვებული მტკიცებულებები არ მიიჩნია ვინმესთვის სისხლისსამართლებრივი ბრალდების წაყენებისათვის საკმარისად, მაშინ გამოძიება უნდა შეწყვეტილიყო დანაშაულის არარსებობის გამო. გამოძიების შეწყვეტა, სულ მცირე, შესაძლებლობას მისცემდა მოსარჩელეს, გაესაჩივრებინა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების ადეკვატურობა ზემდგომ პროკურორთან და, ასევე, ვინაიდან სავარაუდო დანაშაული იყო „ოჯახური“ – სასამართლოს პირველ ინსტანციაში.[2128]

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ არსებობდა უმოქმედობის ხანგრძლივი პერიოდი, რომელზეც სრული პასუხისმგებლობა ეკისრება საგამოძიებო ორგანოს. ხანდაზმულობის ვადის ამოწურვამ გამოძიებას დააკარგვინა რაიმე პოტენციური სამომავლო სარგებლიანობა და ეფექტიანობა. გამოძიების სათანადო ტემპით წარმართვის აშკარა უუნარობა, რაც ვერ იქნება გამართლებული ვერც მისი კომპლექსურობით და ვერც სხვა ობიექტური სირთულეებით, და სათანადო გულმოდგინების ნაკლებობა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას აშკარად არ შეესაბამება სახელმწიფოს მიმართ არსებულ მოთხოვნებს, გამოიჩინონ განსაკუთრებული გულმოდგინება და გამბედაობა ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოძიებისას და შეიძლება გაგებულიც კი იყოს როგორც საგამოძიებო ორგანოს მხრიდან მოსარჩელის შვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სიმართლის დადგენის სურვილის აშკარა არარსებობა. ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ეფექტიანი გამოძიების ჩატარება.[2129]

2126 44-ე პუნქტი.
2127 50-ე პუნქტი.
2128 51-ე პუნქტი.
2129 51-ე პუნქტი.

საქმე *ელიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Elibashvili v. Georgia)* ეხებოდა პოლიციის დევნის შედეგად მოსარჩელის შვილის გარდაცვალებას, რაც გამოიწვია მისმა დახრჩობამ მდინარეში.[2130] სხვა საკითხებთან ერთად, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გამოძიების ხანგრძლივობაზე და აღნიშნა, რომ გამოძიება მიმდინარეობს უკვე შვიდ წელზე მეტი დროის განმავლობაში. ვინაიდან სახელმწიფოს არ გაუკეთებია რაიმე განმარტება გამოძიების ასეთი ხანგრძლივობის მიზეზის შესახებ, სასამართლომ აღნიშნა, რომ გაჭიანურებული გამოძიების პრობლემის განმეორებადი ხასიათის გამო, განსაკუთრებით იმ საქმეებზე, რომლებიც ეხება სიკვდილს საეჭვო ვითარებაში ან/და არასათანადო მოპყრობას სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მონაწილეობით, ასეთი გაჭიანურება გაუმართლებელია.[2131] აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელის შვილის გარდაცვალების ფაქტზე ჩატარებული გამოძიება არ იყო ეფექტიანი, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.[2132]

ამავე საქმეზე ევროპულმა სასამართლომ გაამახვილა ყურადღება, რომ პოლიციის დანარჩენი ოფიცრები (გარდა იმ ორისა, რომლებმაც განახორციელეს დევნა) პირველად დაკითხეს დაახლოებით ოთხი თვის დაგვიანებით. სახელმწიფოს მიერ ამ ფაქტის რაიმე ახსნის არარსებობის პირობებში, სასამართლომ ჩათვალა, რომ ასეთი გაჭიანურება იყო გაუმართლებელი.[2133]

საქმეზე – *მაჩალიკაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Machalikashvili and Others v. Georgia)* [2134] – ევროპულმა სასამართლომ, სხვა საკითხებთან ერთად, იმსჯელა მოწმეების გონივრულ ვადაში გამოკითხვაზე. კერძოდ, სასამართლოს პოზიციით, სპეციალური ოპერაციის მომდევნო თვეებში გამოიკითხა მოვლენებში მონაწილე თითქმის ყველა პირი და სხვა პოტენციური მოწმე, მათ შორის, თ.მ.-ს ოჯახი, ოპერაციაში მონაწილე ოფიცრები და სამედიცინო პერსონალი, რომელიც მკურნალობდა თ.მ.-ს. შეგროვდა ინციდენტთან დაკავშირებული მრავალი დასკვნა და მტკიცებულება.[2135] მიუხედავად ამისა, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სპეციალური დანიშნულების დეპარტამენტის ოფიცრების დაკითხვა თითქმის ხუთი კვირის დაგვიანებით, რაც გამოწვეული იყო მათი ვინაობის გასაიდუმლოებით, იყო გამოძიების ხარვეზი, მით უმეტეს, რომ არ არსებობდნენ დამოუკიდებელი თვითმხილველები.[2136] ასევე ოცი თვე დასჭირდა ოპერაციის დაგეგმვასა და მის ზედამხედველობაში ჩართულ პირთა გამოკითხვას.[2137] ოპერაციის მომზადებისა ან/და განხორციელების შესახებ რაიმე ოფიციალური ანგარიშის არარსებობის გამო, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დაგეგმვისა და ზედამხედველობის ეტაპის შეფასება შეზღუდული იყო.[2138]

საქმე *გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ (Gaidukevich v. Georgia)* ეხებოდა მოსარჩელის შვილის (ა.ლ.) გარდაცვალებას, რომელიც 2017 წელს ჩამომხრჩვალი იპოვეს.[2139] საქმის მასალების მიხედვით, ა.ლ.-მ პოლიციას, სულ მცირე, თექვსმეტჯერ

2130 22 თებერვალი, 2024 წელი.
2131 მე-20 პუნქტი.
2132 21-ე პუნქტი.
2133 მე-19 პუნქტი.
2134 19 იანვარი, 2023 წელი.
2135 89-ე პუნქტი.
2136 92-ე პუნქტი.
2137 90-ე პუნქტი.
2138 იქვე.
2139 15 ივნისი, 2023 წელი.

მიმართა მისი პარტნიორის, გ.კ.-ს, მხრიდან ძალადობის გამო. გარდაცვალების ფაქტზე პოლიციამ გამოძიება დაიწყო თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით, ხოლო საბოლოოდ, მას სასჯელი შეეფარდა ოჯახში ძალადობისათვის (სსკ-ის 126[1] მუხლი). ევროპული სასამართლოს წინაშე მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო მისი შვილის დაცვა ოჯახში ძალადობისგან და ვერ ჩაატარა ადეკვატური გამოძიება მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

სხვა საკითხებთან ერთად, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გამოძიების ხანგრძლივობაზე. მან აღნიშნა, რომ თუმცა საქმის დაწყებიდან თითქმის 5 წელი გავიდა, გამოძიებას სამართალდამცავი ორგანოების მიმართ დაუდევრობის შესახებ რაიმე დასკვნა არ მოჰყოლია. სასამართლოს პოზიციით, როგორც ჩანს, 2019 წლის მაისიდან 2021 წლის დეკემბრამდე არცერთი საგამოძიებო მოქმედება არ ჩატარებულა. სასამართლომ დაადასტურა, რომ „სამართალწარმოების გაჭიანურება არის იმის მკაფიო მანიშნებელი, რომ ის იყო არაეფექტიანი და არღვევდა მოპასუხე სახელმწიფოს კონვენციით ნაკისრ პოზიტიურ ვალდებულებებს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სახელმწიფომ წარმოადგინა უაღრესად დამაჯერებელი და დასაბუთებული საფუძვლები სამართალწარმოების ხანგრძლივობის გასამართლებლად“. ამ საქმეზე სამართალწარმოების ხანგრძლივობის დასაბუთება არ ყოფილა წარმოდგენილი.[2140]

საქმეზე – *კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Kukhalashvili and Others v. Georgia)* – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ 2006 წელს დაწყებულ გამოძიებას სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ არათანაზომიერი ძალის გამოყენების შესახებ 2020 წლამდე არ გაუკეთებია რაიმე დასკვნა. სასამართლოს აზრით, გამოძიების ასეთი დაუშვებელი გაჭიანურება თავისთავად შეუთავსებელია კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფოს ვალდებულებასთან, ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება საეჭვო გარდაცვალების შემთხვევაში.[2141]

საქმეზე – *ეძგვერაძე საქართველოს წინააღმდეგ (Edzgveradze v. Georgia)*[2142] – ევროპულმა სასამართლომ, სხვა საკითხებთან ერთად, შეაფასა გამოძიების ხანგრძლივობა. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ გამოძიება დაიწყო 2013 წლის 6 ივლისს და დაიხურა 2016 წლის 25 მარტს და, შესაბამისად, გრძელდებოდა ორ წელსა და რვა თვეზე ოდნავ მეტ ხანს, თუმცა არანაირი საგამოძიებო ღონისძიება არ ჩატარებულა 2014 წლის ნოემბრიდან 2016 წლის მარტამდე. მთავრობას არ გაუკეთებია რაიმე განმარტება უმოქმედო პერიოდთან დაკავშირებით.[2143] გამოძიების ჩატარებასთან დაკავშირებული ამ და სხვა ხარვეზების გამო ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.[2144]

საქმეზე – *შავაძე საქართველოს წინააღმდეგ (Shavadze v. Georgia)*[2145] – ევროპულმა სასამართლომ ასევე გაამახვილა ყურადღება გამოძიების ხანგრძლივობაზე. მან აღნიშნა, რომ მოსარჩელის მეუღლის სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებულ გამოძიებას, რომელიც 2008 წლის 16 აგვისტოს დაიწყო, 2020 წლამდე არ გაუკეთებია საბოლოო დასკვნა. სასამართლოს აზრით, ასეთი დაუშვებელი გაჭიანურება მიუთითებს ეროვნული ორგანოების უუნარობაზე, დააკმაყოფილონ გამოძიების დროულობისა და გონივრულობის მოთხოვნები. სასამართლოს პოზიციით, მან ვერ დაადგინა

2140 63-ე პუნქტი.
2141 134-ე პუნქტი.
2142 20 იანვარი, 2022 წელი.
2143 45-ე პუნქტი.
2144 47-ე პუნქტი.
2145 19 ნოემბერი, 2020 წელი.

რაიმე კონკრეტული მიზეზი ეროვნულ დონეზე გამოძიების გაჭიანურებისათვის. სათანადო გულმოდგინების ნაკლებობა, რაც, სასამართლოს მოსაზრებით, განზრახ გაჭიანურებას ჰგავდა, კიდევ ერთი მაჩვენებელია იმისა, რომ ამ საქმის განხილვა არ იყო მკაცრი და მოსარჩელეს ართმევდა შესაძლებლობას, აენაზღაურებინა ზიანი. სასამართლომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ დაგვიანებული მართლმსაჯულება ხშირად მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის ტოლფასია, ვინაიდან უმოქმედობის უმიზეზო პერიოდების არსებობა და სახელმწიფოს მხრიდან გულმოდგინების ნაკლებობა გამოძიებას არაეფექტიანს ხდის, მისი საბოლოო შედეგის მიუხედავად.[2146] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოძიება არ იყო ეფექტიანი, რის გამოც დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში.[2147]

საქმე *აკობიანი საქართველოს წინააღმდეგ (Hakobyan v. Georgia)* ეხებოდა მოსარჩელის შვილის (ს.ა.) მკვლელობის ფაქტის არაეფექტიან გამოძიებას, რომლის ცხედარი 2015 წლის 26 ივლისს აღმოაჩინეს.[2148] საქმის მასალების მიხედვით, 2015 წლის 30 ივლისს სამ პირს წარუდგინეს ბრალდება ვინმე გ.ჰ.-ს მიერ ს.ა.-ს მკვლელობის მომზადებისა და ჩადენის შეუტყობინებლობისათვის, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა ს.ა.-ს მოსაკლავად, რის შემდეგაც დაუყონებლივ დატოვა ქვეყანა და დასახლდა რუსეთში.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, სახელმწიფომ დაუყოვნებლივ დაიწყო მკვლელობის ფაქტის გამოძიება და ამისათვის ჩაატარა მრავალი საგამოძიებო მოქმედება მოწმეების დაკითხვისა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩათვლით. მოსარჩელეს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი, მას ჰქონდა წვდომა საქმის მასალებთან და შეეძლო წარდგინებების გაკეთება.[2149]

მართალია, ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ საგამოძიებო და პროკურატურის ორგანოები წააწყდნენ სირთულეებს, რომლებიც განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მკვლელობის სავარაუდო ჩამდენი და ზოგიერთი მოწმე საქართველოში არ ცხოვრობდნენ, მან ვერ უგულებელყო ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 2015 წლის 30 ივლისს სახელმწიფოს ჰქონდა საკმარისი საფუძველი, ემტკიცებინა, რომ ვ.ჰ. იდგა მოსარჩელის შვილის მკვლელობის უკან. მიუხედავად ამისა, შესაბამის ორგანოებს იურიდიული დახმარების თხოვნა რუსი სამართალდამცავებისათვის არ გაუგზავნიათ 2017 წლის 2 ივნისამდე, შემთხვევიდან დაახლოებით ორი წლის განმავლობაში და ექვსი თვის განმავლობაში, რაც მთავრობას ეცნობა წინამდებარე სარჩელის შესახებ. იმ დროისთვის რუსეთის ხელისუფლებამ ვერ აღმოაჩინა ვ.ჰ.-ს ადგილმდებარეობა, რომელიც 2017 წლის აპრილში მოსკოვში უცნობ მისამართზე გადავიდა საცხოვრებლად. გარდა ამისა, სახელმწიფომ არ გასცა ვ.ჰ.-ს ძებნის ორდერი. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა 2018 წლიდან 2022 წლამდე, სახელმწიფოს არ მიუწოდებია დამაჯერებელი განმარტება ამ გაჭიანურებისათვის. მაგალითად, გაურკვეველი რჩება, რატომ ჩატარდა დამნაშავეთა ამოცნობა 2022 წლის აპრილში მოწმის მონაწილეობით, რომლის ვინაობა და პოტენციური როლი ცნობილი იყო სახელმწიფოსათვის 2015 წლის 29 ივლისიდან. სასამართლომ ჩათვალა, რომ ზემოაღნიშნული გაჭიანურებები დაუსაბუთებელია, იმის გათვალისწინებით, რომ დროთა განმავლობაში მოწმეების მეხსიერება ქრება ან მოწმეები შეიძლება გახდნენ მიუწვდომელნი, ხოლო ეფექტიანი გამოძიების ჩატარების პერსპექტივა სულ უფრო

2146 36-ე პუნქტი.

2147 37-ე პუნქტი. ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა არსებით ნაწილში.

2148 23 მარტი, 2023 წელი.

2149 მე-20 პუნქტი.

მცირდება.[2150] ამ გარემოებების გამო ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ გამოძიება არ იყო ეფექტიანი, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.[2151]

გამოძიების გონივრული სისწრაფით წარმართვას ასევე ეხება *საქმე საყვარელიძე საქართველოს წინააღმდეგ (Sakvarelidze v. Georgia)*.[2152] ამ საქმეში მოსარჩელე ასაჩივრებდა მისი შვილისა და დის გარდაცვალებას 2003 წლის 22 ნოემბრის საგზაო შემთხვევის შედეგად, როდესაც ჯავშნიანი სამხედრო მანქანა, რომელიც მოძრაობდა გზის საწინააღმდეგო მხარეს, დაეჯახა მანქანას, რომელშიც მოსარჩელე, მისი შვილი, მისი და და დისშვილები ისხდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება დაიწყო 2003 წლის 23 ნოემბერს და ჩატარდა არაერთი საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის ადგილის დათვალიერება, ეჭვმიტანილებისა და თვითმხილველების დაკითხვა და შესაბამისი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, ევროპული სასამართლოს აზრით, გაუგებარი მიზეზების გამო გამოძიება გაჭიანურდა 2017 წლამდე, კერძოდ, 13 წელიწადზე მეტი დროის განმავლობაში და მაინც ვერ დადგინდა პასუხისმგებელი პირი.[2153]

ევროპული სასამართლოს აზრით, ის ვერ ხედავს გამოძიების ასეთი დიდი ხნით გაჭიანურების მიზეზს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პირი, რომელიც ჯავშნიან მანქანას მართავდა, იდენტიფიცირებული იყო, მოწმეებს მიცემული ჰქონდათ ჩვენებები და შესაბამისი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩატარდა გამოძიების პირველსავე ეტაპზე და, მიუხედავად ამ ყველაფრისა, სახელმწიფომ ვერ შეძლო სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაზე რაიმე დასკვნის მომზადება. სახელმწიფო არც ამტკიცებდა, რომ ხანგრძლივი გამოძიება გამართლებული იყო პროცესუალური მოქმედებების ჩატარების საჭიროებით, მოსარჩელის მოქმედებით ან რაიმე სხვა შესაბამისი მიზეზით. სხვა საქმეების მსგავსად, სასამართლომ მიუთითა, რომ „დაგვიანებული მართლმსაჯულება ხშირად მართლმსაჯულების უარყოფაა, რადგან უმოქმედობის არაგონივრული პერიოდების არსებობა და გულმოდგინების ნაკლებობა ხელისუფლების მხრიდან სამართალწარმოების განხორციელებისას გამოძიებას არაეფექტიანს ხდის, მიუხედავად მისი საბოლოო შედეგისა.“[2154]

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ამ უმოქმედობის გამო საგამოძიებო ორგანოებმა სამართალწარმოება დააყოვნეს ათ წელზე მეტი ხნით, რამაც გამოიწვია შესაბამისი ხანდაზმულობის ვადის გასვლა და სამართალწარმოების შეწყვეტა ჯავშნიანი მანქანის მძღოლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენის გარეშე.[2155] ხანდაზმულობის ვადის გასვლის ერთადერთი მიზეზი იყო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან გულმოდგინების ნაკლებობა, რაც, სასამართლოს მოსაზრებით, გამოძიების განზრახ გაჭიანურებას ჰგავდა. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გამოძიება არ იყო ეფექტიანი, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.[2156]

ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა იმ შედეგებზე, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფოს მიერ გონივრული ნაბიჯების გადაუდგმელობას. საქმეზე – *ვა ზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ (Vazagashvili and Shanava v. Georgia*), რომელიც

2150 მე-20 პუნქტი.
2151 23-ე პუნქტი.
2152 6 თებერვალი, 2020 წელი.
2153 53-ე პუნქტი.
2154 54-ე პუნქტი.
2155 54-ე პუნქტი.
2156 55-ე პუნქტი.

ეხებოდა პოლიციის მიერ მოსარჩელის შვილის საკუთარ ავტომანქანაში ჩაცხრილვას და თავად მოსარჩელის მკვლელობას, რომელიც ცდილობდა, თავად დაედგინა მისი შვილის მკვლელები, რათა ისინი მიეცათ პასუხისგებაში, ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა გამოძიების პასიურობის შედეგებზე.[2157] კერძოდ, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, „როგორც შესაბამისმა ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინა, პირველი მოსარჩელის მკვლელობა იმ მოწყობილობის აფეთქების შედეგად, რომელიც მოთავსებული იყო მისი შვილის საფლავზე, განპირობებული იყო პირველი მოსარჩელის განსაკუთრებული საზოგადოებრივი აქტიურობით, რათა გამოეაშკარავებინა იმ პოლიციელების ქმედებები, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ [მისი შვილის] 2006 წლის 2 მაისს მომხდარ მკვლელობაზე. საგამოძიებო როლის საკუთარ თავზე აღებით, რაც, ჩვეულებრივ, ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს ვალდებულებაა, პირველმა მოსარჩელემ თავი ჩაიგდო შურისძიების აშკარა საფრთხეში. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ მოცემული საქმის ტრაგიკული გაგრძელება არის იმის ნათელი მაგალითი, თუ რამდენად მავნეა ხელისუფლების მხრიდან არასაკმარისი გულმოდგინების გამოვლენა სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების საქმეებზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება პოლიციის მიერ უფლებამოსილების გადამეტება“.[2158]

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციისა და საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოში გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყების პრაქტიკა საჭიროებს გაუმჯობესებას. დაგვიანებით გამოძიების დაწყება შეამცირებს მტკიცებულებათა რაოდენობასა და ხარისხს და ეჭვის ქვეშ დააყენებს გამოძიების ჩატარების მცდელობის კეთილსინდისიერებას, რაც, საბოლოოდ გამოიწვევს სიცოცხლის უფლების დარღვევას.

რაც შეეხება გამოძიების გონივრული სისწრაფით წარმართვისა და უმიზეზო გაჭიანურებისაგან თავის შეკავებას, საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა.

როგორც მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციიდან, ისე საქართველოს წინააღმდეგ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან ვლინდება, რომ მრავალ, მათ შორის გახმაურებულ საქმეებზე, გამოძიება გრძელდება უსასრულოდ, ხოლო გამოძიების შედეგები არც საზოგადოებისათვის და არც გარდაცვლილის ნათესავისათვის არ არის ცნობილი.

აქედან გამომდინარე, საქართველოში ჩამოყალიბებული პრაქტიკა არ აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს სტანდარტებს. გამოძიება უნდა ჩატარდეს გონივრული სისწრაფით და თავიდან უნდა იქნეს აცილებული გამოძიების უმიზეზო გაჭიანურება. თუ გამოძიებამ შეგროვებული მტკიცებულებები არ მიიჩნია საკმარისად შესაბამისი პირისათვის სისხლისსამართლებრივი ბრალდების წასაყენებლად, მაშინ გამოძიება უნდა შეწყდეს დანაშაულის არარსებობის გამო. არსებული მდგომარეობის შესწავლამ ასევე ცხადყო, რომ საქართველოს პრაქტიკაში იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფომ შეწყვიტა გამოძიება საქმეზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის გამო. გამოძიების შეწყვეტა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო არ აკმაყოფილებს საპროცესო ვალდებულების მოთხოვნას, თუ საქმის გაჭიანურება გამოწვეულია გამოძიების პასიურობით.

2157 18 ივლისი, 2019 წელი.

2158 90-ე პუნქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მდგომარეობის გამოსასწორებლად უნდა გატარდეს ღონისძიებები როგორც გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყების, ისე მისი გონივრული სისწრაფით წარმართვის უზრუნველყოფისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი გამოძიება, რომელიც არ დაიწყო დაუყოვნებლივ და წარიმართა დაუსაბუთებელი გაჭიანურებით, შეიძლება გახდეს ევროპული სასამართლოს განხილვის საგანი და მის მიერ სიცოცხლის უფლების დარღვევის დადგენის საფუძველი.

7.5. გამოძიების მიმართ საზოგადოებრივი კონტროლი და გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობა გამოძიების პროცესში

ა) კანონმდებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, ეფექტიანი გამოძიების აუცილებელი მოთხოვნაა საზოგადოებრივი კონტროლის არსებობა და გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობა გამოძიების პროცესში, რაც ემსახურება იმას, რომ, ზოგადად, საზოგადოებამ და გარდაცვლილის ნათესავებმა იცოდნენ გარდაცვალების მიზეზი და რომ შესაბამის პირებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა.[2159]

გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობა გამოძიების პროცესში ნიშნავს, რომ მას უნდა ჰქონდეს გამოძიებასთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია, შეეძლოს, წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები და გარდაცვალებასთან დაკავშირებული მოვლენების საკუთარი ვერსია, იცოდეს გამოძიების მიერ მომზადებული დასკვნებისა და გამოძიებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ, მათ შორის საქმის გამოძიების შეწყვეტისა და მისი მიზეზების შესახებ. გარდაცვლილის ნათესავმა უნდა მიიღოს სათანადო და დროული ინფორმაცია იმაზე, რა ნაბიჯებს დგამს სახელმწიფო საქმის გამოძიების კუთხით, რომლის შედეგებიც მნიშვნელოვანია მისთვის.[2160] მას ხელი უნდა მიუწვდებოდეს იმდენ ინფორმაციაზე, რაც თანაზომიერია მისი ინტერესების დასაცავად ეროვნული სამართალწარმოების დროს.[2161]

გამოძიების წარმოება ამ პროცესში გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობის გარეშე იწვევს ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას საპროცესო ნაწილში.[2162] სასამართლომ დაადგინა საპროცესო ვალდებულების დარღვევა სხვადასხვა საქმეზე, რომელშიც ნათესავს არ ჰქონდა წვდომა საქმის მასალებზე, რის გამოც მას არ მიეცა უფლება, დაეცვა საკუთარი ინტერესები;[2163] გარდაცვლილის ნათესავი საერთოდ არ იყო ინფორმირებული გამოძიების პროგრესის შესახებ, გამოძიების დაწყებიდან

2159 *ტაგიევა აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Tagiyeva v. Azerbaijan),* 7 ივლისი, 2022 წელი, 73-ე პუნქტი.

2160 *ბოიჩენკო რუსეთის წინააღმდეგ (Boychenko v. Russia),* 12 ოქტომბერი, 2021 წელი, 99-ე პუნქტი.

2161 *ჰუვანაინენი ფინეთის წინააღმდეგ (Huohvanainen v. Finland),* 13 მარტი, 2007 წელი, 111-ე პუნქტი.

2162 *სლიმანი საფრანგეთის წინააღმდეგ (Slimani v. France),* 27 ივლისი, 2004 წელი, 48-ე-49-ე პუნქტები.

2163 *ოგური თურქეთის წინააღმდეგ (Ogur v. Turkey),* დიდი პალატა, 20 მაისი, 1999 წელი, 92-ე-93-ე პუნქტები.

მრავალი წლის გასვლის მიუხედავად;[2164] გარდაცვლილის ნათესავი არ იყო ჩართული გამოძიების პროცესში გარკვეულ ეტაპებზე, არ იყო ინფორმირებული ამ პროცესში მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების, მათ შორის საქმის შეწყვეტის შესახებ;[2165] ნათესავს არ მიეწოდა არსებითი ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გამოძიებამ არ შეატყობინა გარდაცვლილის ნათესავს ყველაზე მნიშვნელოვანი საპროცესო ნაბიჯების შესახებ.[2166]

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, გარდაცვლილის ნათესავისათვის დაზარალებულის სტატუსის დაგვიანებით მინიჭება, რაც მას ხელს უშლის, ისარგებლოს მინიმალური საპროცესო გარანტიებით, ითვლება კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად საპროცესო ნაწილში.[2167]

მართალია, გარდაცვლილის ნათესავი უნდა იყოს ჩართული გამოძიების პროცესში, ეს არ უნდა განიმარტოს იმგვარად, თითქოს გამოძიება უნდა იყოს სრულიად საჯარო და თითქოს ნათესავის ჩართულობა გამოძიების პროცესში არ შეიძლება შეიზღუდოს და, ასევე, გამოძიება ვალდებულია, გარდაცვლილის ნათესავს გააცნოს ყველა საგამოძიებო მასალა, დაუკმაყოფილოს ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებული ნებისმიერი თხოვნა, გაიაროს მასთან კონსულტაცია ყველა საგამოძიებო მოქმედების შესახებ ან მიაწოდოს მას ინფორმაცია გამოძიების ყველა ნაბიჯის შესახებ.[2168]

გამოძიების პროგრესის შესახებ გარდაცვლილის ნათესავის ინფორმირების ვალდებულება შეიძლება შეიზღუდოს უსაფრთხოების ან სხვა მიზეზებით. ერთ-ერთ საქმეზე, რომელშიც წამოიჭრა გარდაცვლილთა ნათესავებისათვის პოტენციური ეჭვმიტანილების სახელების მიწოდების საკითხი, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: ოჯახის წევრებისათვის პოტენციური ეჭვმიტანილების სახელების მიწოდებაზე სახელმწიფოს უარი შეიძლება გაამართლოს საფრთხემ, რომ გარდაცვლილის ნათესავი და სხვები ივარაუდებენ, რომ ამ ეჭვმიტანილებს მიუძღვით ბრალი, ისევე როგორც განაპირობებს საფრთხეს ამ პირების მიმართ პოტენციურად არასასიამოვნო შედეგებით.[2169]

თუ სიცოცხლის განზრახ მოსპობის შემთხვევაში ევროპული სასამართლოს მიდგომაა, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობა გამოძიების პროცესში, ევროპულმა სასამართლომ უფრო დაბალი სტანდარტი დააწესა განზრახვის გარეშე სიცოცხლის მოსპობის მიმართ, მათ შორის ექიმის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში.[2170]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, იმ დანაშაულის საქმეში, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, დაზარალებულის უფლებები

2164 *მოკანუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Mocanu and Others v. Romania),* დიდი პალატა, 17 სექტემბერი, 2014 წელი, 349-ე პუნქტი; *„1989 წლის 21 დეკემბერი“ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Association “21 December 1989” and Others v. Romania),* 24 მაისი, 2011 წელი, 140-ე-141-ე პუნქტები.

2165 *გულეკი თურქეთის წინააღმდეგ (Güleç v. Turkey),* 27 ივლისი, 1998 წელი, 82-ე პუნქტი.

2166 *აბუიევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Abuyeva and Others v. Russia),* 2010 წლის 2 დეკემბერი, 214-ე პუნქტი.

2167 *ლულუევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Luluyev and Others v. Russia),* 9 ნოემბერი, 2006 წელი, მე-100 პუნქტი; *ბოიჩენკო რუსეთის წინააღმდეგ (Boychenko v. Russia),* 12 ოქტომბერი, 2021 წელი, 99-ე პუნქტი.

2168 *არმანი და სილვა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Armani da Silva v. the United Kingdom)*, დიდი პალატა, 30 მარტი, 2016 წელი, 235-ე-236-ე პუნქტები.

2169 *გურტეკინი და სხვები კვიპროსის წინააღმდეგ (Gurtekin and Others v. Cyprus)*, გადაწყვეტილება, 11 მარტი, 2014 წელი, 29-ე პუნქტი.

2170 *გრეი გერმანიის წინააღმდეგ (Gray v. Germany),* 22 მაისი, 2014 წელი, 88-ე პუნქტი.

ენიჭება და მისი მოვალეობები ეკისრება მის რომელიმე ახლო ნათესავს („დაზარალებულის უფლებამონაცვლე“). გამომძიებელს, პროკურორსა და მოსამართლეს უფლება არა აქვთ, უარი უთხრან დაზარალებულის უფლებამონაცვლეს დაზარალებულისათვის მინიჭებული რომელიმე უფლებით სარგებლობაზე.[2171]

კოდექსი განსაზღვრავს დაზარალებულის უფლებებს, მათ შორის: ა) იცოდეს ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდების არსი; ბ) მიიღოს ინფორმაცია საპროცესო მოქმედებების შესახებ; გ) მიიღოს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების/განჩინების, განაჩენის, სხვა შემაჯამებელი სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი; დ) მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს; ე) მოთხოვნის შემთხვევაში, მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების თაობაზე და ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვების შესახებ, თუ ამით ბრალდებულს/მსჯავრდებულს რეალური საფრთხე არ ემუქრება.[2172]

თუ ინფორმაციის მიღებისა და მასალების გაცნობის თაობაზე დაზარალებულის მოთხოვნის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, პროკურორი/გამომძიებელი ვალდებულია, მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლის აღმოფხვრისთანავე აცნობოს დაზარალებულს ამის შესახებ და, შესაბამისად, მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, გააცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალები.[2173] ამ მუხლში მითითებულ მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაში პროკურორს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება. დაზარალებულს უფლება აქვს, ეს დადგენლება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან.[2174]

კოდექსი ასევე ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებას გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, პროკურორი იღებს დადგენილებას გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, რომლის ასლს 1 კვირის ვადაში უგზავნის დაზარალებულს. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გამოტანამდე პროკურორი ვალდებულია, დაზარალებულს შეატყობინოს ამის შესახებ.[2175]

დაზარალებულს უფლება აქვს, გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 126^1-ე მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობა, იმავე კოდექსის მე-11^1 მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაული ან დანაშაული, რომელიც, კანონის თანახმად, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეა.[2176]

ევროპულ სტანდარტებთან კოდექსის ამ დებულებების შესაბამისობის განხილვის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს გარდაცვლილის ნათესავის (დაზარალებულის უფლებამონაცვლე) ისეთ უფლებებს, რომლებიც გათვალისწინებულია ევროპული სტანდარტებით.

2171 კოდექსის 56-ე მუხლის მე-3 ნაწილი.
2172 კოდექსის 57-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.
2173 კოდექსის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილი.
2174 კოდექსის 57-ე მუხლის მე-3 ნაწილი.
2175 კოდექსის 106-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.
2176 კოდექსის 106-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

დაზარალებულთა უფლებების ეფექტიანად დაცვას ისახავს მიზნად საქართველოს პროკურატურაში შექმნილი სათათბირო ორგანოს – სიცოცხლის მოსპობის საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭო.[2177] საბჭო უფლებამოსილია, გამოითხოვოს და შეისწავლოს სისხლის სამართლის საქმის მასალები, გამოითხოვოს და მიიღოს საკითხის გადაწყვეტისთვის აუცილებელი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი.[2178] ასევე სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც დადგენილია ხარვეზების არსებობის ფაქტი, საბჭო აწესებს ზედამხედველობას, მასზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე.[2179]

დაზარალებულის ჩართულობას გამოძიების პროცესში ხელს უწყობს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში 2023 წელს მსხვერპლთა უფლებების დაცვის სამმართველოს შექმნა.[2180] ამ სამმართველოს ფუნქციებს განეკუთვნება: ა) დაზარალებულთან შეხვედრა და მის მიერ საკუთარი უფლებების სარგებლობის ხელშეწყობა, მათ შორის: საქმის მასალების გაცნობის ან/და მასალების ასლების გადაცემის პროცესის დაგეგმვა/ორგანიზება და გაცნობის/გადაცემის უზრუნველყოფა;[2181] და ბ) დაზარალებულისთვის ისეთი საპროცესო მოქმედებების შესახებ ინფორმაციის მოწოდების უზრუნველყოფა, როგორსაც წარმოადგენს, მათ შორის, გამოძიების დაწყება, ბრალდებულის დაკავება, საქმის სასამართლოში გადაგზავნა და სხვ.[2182]

ბ) პრაქტიკა

გამოძიების მიმართ საზოგადოებრივი კონტროლისა და გამოძიების პროცესში გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობის შესახებ მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, გამოვლინდა რამდენიმე საყურადღებო ფაქტი. ერთ-ერთია ინფორმაცია 2015 წლის 24 ოქტომბერს გორში შეიარაღებული ძალების მე-5 ბრიგადის სამხედრო ტერიტორიაზე, ჰაერსაწინააღმდეგო ასეულის I კლასის რიგითის, 33 წლის თამაზ თამარაშვილის გარდაცვალების შესახებ. სახალხო დამცველის ინფორმაციით, ამ საქმეზე გამოძიება არ იყო ეფექტიანი, რადგან მომხდარიდან 3 წლის შემდეგაც დაღუპული ჯარისკაცის ოჯახის წევრები არ იყვნენ ცნობილი დაზარალებულად.[2183]

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც პრაქტიკაში პრობლემური აღმოჩნდა, არის დაზარალებულისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების ხელმისაწვდომობა. გავრ-

---

2177 საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება N33 „საქართველოს გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანოს – სიცოცხლის მოსპობის საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“, 17 ნოემბერი, 2022 წელი, იხ.: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/5617923?publication=0].

2178 დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

2179 დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი.

2180 სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის ბრძანება N16 „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის 2022 წლის 7 ივნისის N9 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, 27 მაისი, 2023 წელი, იხ.: [https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5760917?publication=0]; ასევე იხ.: სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2023, 17, [https://sis.gov.ge/Statistics-and-reports? cat_id=86].

2181 დებულების მე-17[1] მუხლის 1-ელი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

2182 დებულების მე-17[1] მუხლის 1-ელი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

2183 ნ. არაბული, „თვითმკვლელობა ქართულ ჯარში – უპასუხო კითხვები“, 19 იანვარი, 2024 წ., სტატია ხელმისაწვდომია რადიო თავისუფლების ინტერნეტგვერდზე: [https://www.radiotavisupleba.ge], [ნანახია: 11 სექტემბერი, 2024 წ.].

ცელებული ინფორმაციით, რაჭაში (შოვში) 2023 წლის 3 აგვისტოს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულების უფლებამონაცვლეებს არ მიეცათ სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების მიღების შესაძლებლობა. ეს საკითხი პრობლემურია როგორც ევროპული სასამართლოს, ისე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, რომლებიც მოითხოვენ, რომ საქმის მასალებზე წვდომის უფლება უნდა იყოს პრაქტიკული და არა თეორიული. როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა ერთ-ერთ საქმეზე:

„მხედველობაში მისაღებია, რომ სისხლის სამართლის მასალები წარმოადგენს სწორედ იმგვარ ინფორმაციას, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ერთი მხრივ, დიდი მოცულობისაა, ხოლო, მეორე მხრივ, საჭიროებს კომპლექსურ შესწავლას, სკრუპულოზურ გამოკვლევასა და ანალიზს, აგრეთვე, სპეციალურ ცოდნას და გამოცდილებას, სათანადო დარგობრივი კომპეტენციის ექსპერტის, იურისტის განმარტებასა თუ შეფასებას. შესაბამისად, სავსებით დასაშვებია, რომ დაზარალებულმა საქმის მასალების ადგილზე წაკითხვის დროს დამოუკიდებლად ვერ შეძლოს შესაბამისი ინფორმაციის მართებულად, ადეკვატურად აღქმა, გააზრება, ინტერპრეტირება და, ამის გამო, ჩამოაყალიბოს არასწორი დასკვნები გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ან სრულებითაც ვერ შეძლოს ინფორმაციის მიზნობრივად გამოყენება. მაშინ, როდესაც, თუ მას ხელთ ექნებოდა დოკუმენტების ასლები, შეძლებდა, სხვა დროსაც, უფრო მშვიდ გარემოში, განმეორებით გასცნობოდა მათ და მიეღო კვალიფიციური განმარტებები თუ კონსულტაციები. გარდა ამისა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქმის მასალების მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, მათი გაცნობა, ზოგჯერ, შესაძლოა, მოითხოვდეს საკმაოდ ხანგრძლივ დროს, მათ შორის, მრავალსაათიან შრომასა და ყურადღების კონცენტრაციას. ისევე, როგორც სავსებით დასაშვებია, რომ საქმის დიდი მოცულობის შემთხვევაში დაზარალებულმა ვერ მოახერხოს ყველა იმ ინფორმაციის ამოწერა, რომელიც მნიშვნელოვნად მიაჩნია. ამდენად, სისხლის სამართლის მასალების მარტოოდენ ადგილზე გაცნობის და თუნდაც წერილობითი ჩანაწერების ხელით გაკეთების შესაძლებლობა დაინტერესებული პირისათვის (დაზარალებულის ან მისი უფლებამონაცვლისათვის) ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებული ინფორმაციის ან ოფიციალური დოკუმენტის ეფექტიანი, სრულფასოვანი გაცნობის შესაძლებლობას, აკნინებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების რეალურ შინაარსს, ხოლო, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა, სრულიად აზრს მოკლებულს ხდიდეს მას“.[2184]

ამ საქმის საფუძველზე, საია-მ დაასკვნა, რომ, „მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული განმარტებისა, პროკურატურა კვლავ განაგრძობს არაკონსტიტუციურ პრაქტიკას და ქმნის პროცესუალურ ბარიერებს დაზარალებულთათვის. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებულის სისხლის სამართლის პროცესში ჩართულობა ეფექტიანი გამოძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რაც ასევე დასტურდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. ეს, მათ შორის, გულისხმობს გამოძიებისა და მისი შედეგების საზოგადოებრივ ზედამხედველობასა და გამჭვირვალობას, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს პრაქტიკულ ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფს.“[2185]

2184 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის No1/3/1312 გადაწყვეტილება საქმეზე – *„კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“*, II, 21-ე პუნქტი.

2185 „ადამიანის უფლებები ბუნებრივი კატასტროფების პირისპირ“, საია, 2023 წ., იხ.: [https://gyla.ge/], 33-34.

რაც შეეხება ევროპული სასამართლოს პრაქტიკას გამოძიების პროცესში გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობის შესახებ, საყურადღებოა რამდენიმე საქმე: საქმეზე – *მაჩალიკაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Machalikashvili and Others v. Georgia)* – მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ ისინი შეზღუდულად იყვნენ ჩართულნი გამოძიების პროცესში.[2186] ამისათვის ევროპულმა სასამართლომ განიხილა, იყვნენ თუ არა ისინი საკმარისად ჩართულნი გამოძიების პროცესში, რათა დაეცვათ საკუთარი ინტერესები.[2187] სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეებს, ადვოკატის მეშვეობით, ჰქონდათ რეგულარული წვდომა გამოძიების მასალებთან. ზოგიერთი მათი მოთხოვნა დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ დაკმაყოფილდა. მაგ., მათი თხოვნით ჩატარდა ანტიტერორისტული დეპარტამენტის უფროსისა და მისი მოადგილის, ასევე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილისა და სუს-ის ოფიცრების დაკითხვა. მიუხედავად ამისა, მოსარჩელეებს მხოლოდ 2020 წლის იანვარში, როდესაც სამართალწარმოების შეწყვეტამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი, მიეცათ წვდომა სუს-ის სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრების დაკითხვის მასალებზე. ორი წლის განმავლობაში წვდომის არქონამ შეუზღუდა მოსარჩელეებს შესაძლებლობა, ეფექტიანად ჩართულიყვნენ გამოძიებაში, რადგან მათ არ მიეცათ შესაძლებლობა, გასცნობოდნენ ერთადერთ პირდაპირ მტკიცებულებას ოპერაციის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპების შესახებ.[2188]

რაც შეეხება პირველი მოსარჩელისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმას, სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ მოსარჩელეებს მიეცათ უფლება, განეხორციელებინათ საპროცესო უფლებები დაზარალებულის სტატუსის მინიჭების გარეშე. სასამართლოს შეფასებით, მართალია, მოსარჩელეებს ჰქონდათ წვდომა გამოძიების მასალებზე და მათ დაუკმაყოფილეს საპროცესო მოთხოვნები, ის ვერ დახუჭავს თვალს იმაზე, რომ მოსარჩელეებმა, დაზარალებულის სტატუსის არქონის გამო, ვერ გაასაჩივრეს პროკურორის გადაწყვეტილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ. სასამართლოს აზრით, იგივე საკითხი წამოიჭრა საქართველოს წინააღმდეგ სხვა გადაწყვეტილებებში, რაც ხაზს უსვამს ამ პრობლემის სისტემურ ხასიათს.[2189] ამის გამო ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი მოსარჩელისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარმა ხელი შეუშალა მოსარჩელეებს, განეხორციელებინათ კანონით გათვალისწინებული საპროცესო უფლება.[2190]

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ამ ხარვეზებმა განაპირობა სახელმწიფოს მიერ ეფექტიანი გამოძიების მოთხოვნების შეუსრულებლობა, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.[2191]

გამოძიების პროცესში გარდაცვლილთა ნათესავების ჩართულობაზე ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ასევე საქმეზე – *კუხალაშვილი და სხვები საქარ-*

2186 19 იანვარი, 2023 წელი.

2187 93-ე პუნქტი.

2188 93-ე პუნქტი.

2189 95-ე პუნქტი. მათ შორის საქმეები: *ეძგვერაძე საქართველოს წინააღმდეგ (Edzgveradze v. Georgia)*, 20 იანვარი, 2022 წ., 46-ე პუნქტი; *კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Kukhalashvili and Others v. Georgia)*; 20 აპრილი, 2020 წელი, 134-ე პუნქტი; *შავაძე საქართველოს წინააღმდეგ (Shavadze v. Georgia)*, 19 ნოემბერი, 2020 წ., 35-ე პუნქტი; *A და B საქართველოს წინააღმდეგ (A and B v. Georgia)*, 10 თებერვალი, 2022 წ., 44-ე პუნქტი.

2190 96-ე პუნქტი.

2191 97-ე პუნქტი.

თველოს წინააღმდეგ (Kukhalashvili and Others v. Georgia). კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც დაიწყო დამოუკიდებელი გამოძიება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ არათანაზომიერი ძალის გამოყენების შესახებ, მოსარჩელეებს არ მინიჭებიათ დაზარალებულის სტატუსი, რის გამოც მათ ვერ ისარგებლეს საპროცესო უფლებებით.[2192] ამდენად, სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელეები და საზოგადოება, ფაქტობრივად, არ იყვნენ ჩართულნი გამოძიების პროცესში.[2193]

საქმე *ეძგვერაძე საქართველოს წინააღმდეგ (Edzgveradze v. Georgia)* ეხებოდა მოსარჩელის ქმრის (მ.მ.-ს) თვითმკვლელობას, პოლიციაში მისი მოწმის სახით დაკითხვის შემდეგ, ხოლო მისი დაკითხვა უკავშირდებოდა მისი ერთ-ერთი მეგობრის (გ.მ.) დაკავებას კანაფის სავარაუდო ფლობის ფაქტზე.[2194] თვითმკვლელობამდე იგი ამტკიცებდა, რომ პოლიციელებმა სცემეს და, მისი თქმით, აიძულეს, რომ მიეცა ჩვენება მეგობრის წინააღმდეგ. ევროპული სასამართლოს წინაშე მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ ვერ აღკვეთა მისი მეუღლის თვითმკვლელობა და რომ ამ ფაქტზე არ ჩატარებულა ეფექტიანი გამოძიება, რის გამოც დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი როგორც არსებით, ისე საპროცესო ნაწილში.

ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა მოსარჩელის ჩართულობაზე გამოძიების პროცესში და აღნიშნა: მართალია, მას ერთჯერადად მიეცა საგამოძიებო მასალის გაცნობის შესაძლებლობა, სასამართლომ აღნიშნა, რომ მას არ შეუძლია უგულებელყოს ის ფაქტი, რომ მოსარჩელეს არ შეეძლო, დაზარალებულის სტატუსის მინიჭების გარეშე, გაესაჩივრებინა პროკურატურის გადაწყვეტილება. შესაბამისად, გამოძიებამ საკმარისად ვერ უზრუნველყო მ.მ.-ს ოჯახის წევრის კანონიერი ინტერესის დაცვა.[2195] გამოძიების ჩატარებასთან დაკავშირებული ამ და სხვა ხარვეზების გამო, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი საპროცესო ნაწილში.[2196]

საქმეზე – *შავაძე საქართველოს წინააღმდეგ (Shavadze v. Georgia)* – ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა გამოძიების ადეკვატურობაზე, რეგიონის პროკურატურისათვის საქმის გადაბარების (2008 წლის 18 აგვისტო) მომდევნო პერიოდში.[2197] როგორც სასამართლომ აღნიშნა, ის შეშფოთებულია სახელმწიფოს აუხსნელი, დაჟინებული და, შესაბამისად, შეიძლება განზრახი უარით, მიენიჭებინა მოსარჩელისათვის დაზარალებულის სტატუსი, რომლის გარეშეც მოსარჩელეს არ შეეძლო რაიმე სახის საპროცესო უფლებით სარგებლობა. კერძოდ, მას არ შეეძლო ინფორმაციის მოპოვება გამოძიების შესახებ და არ ჰქონდა უფლება, გასცნობოდა გვამის გაკვეთის შედეგად მომზადებულ დასკვნას.[2198]

ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა მოსარჩელეებისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმაზე, საქმეზე – *A და B საქართველოს წინააღმდეგ (A and B v. Georgia)*.[2199]

გამოძიების მიმართ საზოგადოებრივი კონტროლისა და გამოძიების პროცესში გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობის შესახებ მასმედიაში გავრცელებული ინ-

---

2192 20 აპრილი, 2020 წელი.
2193 134-ე პუნქტი.
2194 20 იანვარი, 2022 წელი.
2195 46-ე პუნქტი.
2196 47-ე პუნქტი.
2197 19 ნოემბერი, 2020 წელი.
2198 35-ე პუნქტი.
2199 10 თებერვალი, 2022 წელი. 44-ე პუნქტი.

ფორმაციიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, საქართველოში დაზარალებულისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომა არ არის პრაქტიკული და ეფექტიანი.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, გატარდეს ღონისძიებები დაზარალებულისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომის ეფექტიანი უზრუნველყოფისათვის, ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით.

გამოძიების პროცესში გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობის შესახებ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ რამდენიმე შემთხვევაში გარდაცვლილის ნათესავებს არ მიენიჭათ დაზარალებულის სტატუსი, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მათ მაინც ჰქონდათ წვდომა გამოძიების მასალებზე. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, გარდაცვლილის ნათესავს ფაქტობრივად ჰქონდა თუ არა წვდომა გამოძიების მასალებზე და მას დაუკმაყოფილეს თუ არა საპროცესო მოთხოვნები, დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარი ხელს უშლის მას, განახორციელოს საპროცესო უფლებები. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ ეს საკითხი წამოიჭრა საქართველოს წინააღმდეგ რამდენიმე გადაწყვეტილებაში, რაც მიუთითებს მის სისტემურ ხასიათზე.[2200]

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ გატარდეს ეფექტიანი ღონისძიებები გარდაცვლილის ნათესავისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების უზრუნველსაყოფად, რაც მისცემს მას შესაძლებლობას, სრულყოფილად ისარგებლოს საპროცესო უფლებებით. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ „არასათანადო მოპყრობის მსხვერპლისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა და ინფორმაციის მიწოდების შესახებ“ სახელმძღვანელო დოკუმენტის დამტკიცება, რომელიც მიზნად ისახავს სისხლის სამართლის საქმის მასალებთან წვდომის გაადვილებას.[2201] სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათისაა, მიუთითებს, რომ „დანაშაულის შესაძლო მსხვერპლის ჩართვა სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში და გამოძიების მიმდინარეობის შესახებ სრულფასოვანი ინფორმაციის მიწოდება ეფექტური, ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიების წარმოების მნიშვნელოვანი კომპონენტია.“[2202]

2200 95-ე პუნქტი. მათ შორის საქმეები: *ეძგვერაძე საქართველოს წინააღმდეგ (Edzgveradze v. Georgia)*, 20 იანვარი, 2022 წ., 46-ე პუნქტი; *კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Kukhalashvili and Others v. Georgia)*; 20 აპრილი, 2020 წელი, 134-ე პუნქტი; *შავაძე საქართველოს წინააღმდეგ (Shavadze v. Georgia),* 19 ნოემბერი, 2020 წ., 35-ე პუნქტი; *A და B საქართველოს წინააღმდეგ (A and B v. Georgia),* 10 თებერვალი, 2022 წ., 44-ე პუნქტი.

2201 სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის ბრძანება N01/165, 27 ივლისი, 2022 წელი. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წერილი (დანართითურთ) SIS 4 24 00018028, 26 სექტემბერი, 2024 წ.; ასევე იხ.: „სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა აკადემიური წრის წარმომადგენლებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავებული ახალი სახელმძღვანელო დოკუმენტი წარუდგინა“, 30 ივნისი, 2022 წ., იხ.: [https://sis.gov.ge/media/specialurma-sagamodziebo-samsaxurma-akademiuri-wris-warmomadgenlebs-adamianis-uflebata-evropuli-sasamartlos-rekomendaciebis-safudzvelze-shemushavebul-axali-saxelmdgbanelo-dokumenti-warudgina].

2202 იქვე, 3.

დოკუმენტის მიხედვით, „სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის მიზნით, წინამდებარე რეკომენდაციაში მოცემულია არასათანადო მოპყრობის მსხვერპლისათვის[2203] გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე ინფორმირებასა და სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობასთან დაკავშირებით დადგენილი ვადები და წესები, ამასთან მსხვერპლისათვის გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე ინფორმირება ან/და საქმის მასალების გაცნობა უნდა იყოს სავალდებულო წესი, ხოლო მისი შეზღუდვა – გამონაკლისი, განპირობებული შესაბამისი აუცილებლობით. საქმის მასალების და ინფორმაციის გაცნობის მიზანშეწონილობა, ასევე გადასაცემი მასალის/ინფორმაციის მოცულობა უნდა შეფასდეს ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში როგორც გამოძიების ინტერესების, ისე საქმეში არსებული სხვა პირთა პირადი ცხოვრების, პერსონალური მონაცემების დაცულობის თუ პროცესის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც.“[2204]

სახელმძღვანელო დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის წესს, ინფორმაციის მიწოდების პროცედურასა და ვადებს, ადგენს სისხლის სამართლის საქმის მასალებისა და ინფორმაციის ჩამონათვალს, რომლის გაცნობის შესაძლებლობაც უნდა მიეცეს არასათანადო მოპყრობის მსხვერპლს და განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის უფლების შეზღუდვის შემთხვევებსა და პროცედურას, ისევე როგორც სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის უფლების სრული ან ნაწილობრივი შეზღუდვის გასაჩივრების წესსა და პროცედურას.

მართალია, ეს დოკუმენტი ამოქმედდა შედარებით მცირე დროის წინ და ვერც მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციისა და ვერც საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე ვერ შეფასდება მისი პრაქტიკული გავლენა გამოძიების პროცესში გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობაზე, ასეთი დოკუმენტის მიღება თავის თავად დადებითად უნდა შეფასდეს.

ამ დოკუმენტის მაგალითის საფუძველზე მსგავსი სახელმძღვანელო დოკუმენტის მიღება, რომელიც მიმართული იქნება გამოძიების პროცესში გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობის უზრუნველყოფისაკენ, მიზანშეწონილია, განიხილონ სხვა შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა, რომლებიც აწარმოებენ გამოძიებას.

7.6. დისკრიმინაციული მოტივით სიცოცხლის მოსპობის შემთხვევების გამოძიების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში

ა) კანონმდებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სახელმწიფო ვალდებულია, განსაკუთრებული ძალისხმევით აწარმოოს გამოძიება, რომელიც ეხება სიცოც-

---

2203 სახელმძღვანელო დოკუმენტი, არასათანადო მოპყრობის მსხვერპლად მიიჩნევა პირი: რომელიც უთითებს, რომ „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესაძლო დანაშაულის ჩადენის შედეგად მას მიადგა მორალური და ფიზიკური ზიანი; რომლის მიმართ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულის თაობაზე მიმდინარეობს გამოძიება; გარდაცვლილი ოჯახის წევრი ან ნათესავი.

2204 იქვე, 6.

ხლის მოსპობას დისკრიმინაციული მოტივით. როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, დისკრიმინაციული მოტივით სიცოცხლის მოსპობის ფაქტის გამოძიება განსაკუთრებული ძალისხმევით განპირობებულია სახელმწიფოს მიერ საზოგადოებაში რასიზმის დაგმობის მუდმივი ხაზგასმის საჭიროებით და უმცირესობათა ნდობის შენარჩუნების აუცილებლობით, რომ სახელმწიფო დაიცავს მათ რასისტული ძალადობის საფრთხისაგან.[2205]

საქმეზე, რომელიც ეხებოდა ბოშა წარმოშობის რუმინეთის მოქალაქეების მიმართ გამოყენებულ ძალას, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოს ვალდებულებაზე, ნიღაბი ახადოს დანაშაულის რასისტულ მოტივს და დაადგინოს, შეასრულა თუ არა რაიმე როლი ეთნიკურმა სიძულვილმა ან ცრურწმენამ ამ მოვლენებში.[2206] სახელმწიფოს ვალდებულება, განსაკუთრებული ძალისხმევით გამოიძიოს დისკრიმინაციული მოტივით სიცოცხლის მოსპობის შემთხვევები, ევროპულმა სასამართლომ გაავრცელა გენდერული ნიშნით თავდასხმაზე.[2207]

სახელმწიფოს ასევე ეკისრება სექსუალური ორიენტაციის მოტივით სიცოცხლის მოსპობის შემთხვევის განსაკუთრებული ძალისხმევით გამოძიების ვალდებულება. ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა სამი მამაკაცის მიერ პირის მკვლელობის საქმეზე, რომელიც მათ აღიქვეს ჰომოსექსუალად და რომლებსაც შეუფარდეს სისხლისსამართლებრივი სასჯელი ამ დანაშაულის ჩადენისათვის. მიუხედავად დანაშაულის ჩადენის ჰომოფობიური (დისკრიმინაციული) მოტივისა, ეროვნულმა სასამართლოებმა არ განიხილეს ის, როგორც დამამძიმებელი გარემოება, რადგან ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებდა ამას. ვინაიდან ბულგარეთის კანონმდებლობით მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი მკვლელობა არ ითვლებოდა დამამძიმებელ გარემოებად და არ განიხილავდა მას უფრო მძიმე დანაშაულად დისკრიმინაციული მოტივის საფუძველზე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობამ ასახოს დანაშაულის დისკრიმინაციული მოტივი, როგორც დამამძიმებელი გარემოება. შესაბამისად, ასეთი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, გამოძიებამ მხედველობაში უნდა მიიღოს დანაშაულის ჩადენის დისკრიმინაციული მოტივი და, თუ არსებობს ეჭვი, რომ დისკრიმინაციულმა დამოკიდებულებამ გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, გამოძიებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაპყროს ამ გარემოებას.

დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულს აწესრიგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში) „ზ“ ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს განზრახ მკვლელობას ისეთი დისკრიმინაციული საფუძვლით, როგორებიცაა: რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობა და სისხლის სამართლის კოდექსის 53^1-ე მუხლი, რომელიც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს კოდექსით გათ-

---

2205 *მენსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Menson v. the United Kingdom),* გადაწყვეტილება, 6 მაისი, 2003 წელი; *ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (Nachova and Others v. Bulgaria),* დიდი პალატა, 6 ივლისი, 2005 წელი, 157-ე პუნქტი.

2206 *ციორკანი და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Ciorcan and Others v. Romania),* 27 იანვარი, 2015 წელი, 158-ე პუნქტი; ასევე იხ. *ლაკატოსოვა და ლაკატოსი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Lakatošová and Lakatoš v. Slovakia)*, 11 დეკემბერი, 2018 წელი, 75-ე პუნქტი.

2207 *თერშანა ალბანეთის წინააღმდეგ (Tershana v. Albania)*, 4 აგვისტო, 2020 წელი, 160-ე პუნქტი.

ვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულის ჩადენას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის და სხვა საფუძვლით.

აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა ადგენს სამართლებრივ საფუძველს, რომლის მიხედვით, გამოძიება უნდა ჩატარდეს დისკრიმინაციის მოტივით სიცოცხლის მოსპობის ფაქტის (ისევე როგორც ნებისმიერი სხვა დანაშაულის) მიმართ. ასეთი მიდგომა შეესაბამება ევროპული კონვენციის სტანდარტს.

ბ) პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა რამდენიმე საქმე საქართველოს მიმართ, რომლებიც ეხებოდა დისკრიმინაციული მოტივით სიცოცხლის მოსპობას. საქმეზე – *თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ (Tkhelidze v. Georgia)*, რომელიც ეხებოდა მოსარჩელის შვილის მკვლელობას პარტნიორი მამაკაცის მიერ,[2208] ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, უბედურ შემთხვევამდე ექვსი თვის განმავლობაში მოსარჩელემ და მისმა შვილმა, სულ მცირე, შვიდჯერ მიმართეს პოლიციას დახმარებისათვის, სახელმწიფოს არ დაუწყია სისხლის სამართლის გამოძიება და არ ყოფილა გამოცემული შემაკავებელი ორდერი.

სასამართლოს შეფასებით, სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობა იყო ოჯახში ძალადობის მსხვერპლის გარდაცვალების ერთ-ერთი მიზეზი. ვინაიდან სახელმწიფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მსხვერპლისთვის არსებული მაღალი საფრთხის შესახებ, თუ პოლიცია ვერ შეასრულებდა საკუთარ მოვალეობებს, სასამართლომ მიიჩნია, რომ პოლიციის გულგრილობა გასცდა უბრალო შეცდომას ან დაუდევრობას. ამასთან, სასამართლოს აზრით, პროკურატურამ უგულებელყო მოსარჩელის არაერთი საჩივარი და არ გამოიჩინა ძალისხმევა, რათა მოეხდინა პოლიციელების იდენტიფიცირება, დაეკითხა ისინი და დაედგინა მათი პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ მათ სათანადოდ ვერ უპასუხეს გენდერული ნიშნით ძალადობის არაერთ შემთხვევას, რაც, საბოლოოდ, მსხვერპლის მკვლელობით დასრულდა.[2209] საბოლოოდ, ქალთა წინააღმდეგ ჩადენილ ძალადობასთან დაკავშირებული დისკრიმინაციული მოტივების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა მწვავე საჭიროება, ჩატარებულიყო გამოძიება გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და წინასწარი განწყობის შესაძლო არსებობის შესახებ, რაც ასევე იყო პოლიციის სავარაუდო უმოქმედობის განმსაზღვრელი ფაქტორი. ამის გამო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოხდა კონვენციის მე-2 მუხლის საპროცესო ვალდებულების დარღვევა, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.[2210]

საქმეზე – *A და B საქართველოს წინააღმდეგ (A and B v. Georgia)*,[2211] რომელიც ეხებოდა პოლიციის ოფიცრის მიერ თავისი პარტნიორის (C) სიცოცხლის მოსპობას, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ, მართალია, სახელმწიფომ იცოდა C-ს სიცოცხლისათვის შექმნილი რეალური და მყისიერი საფრთხის შესახებ, მან არ გაატარა შემაკავებელი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფდა მის დაცვას. ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სამართალდამცავი

2208 8 ივლისი, 2021 წელი.

2209 მე-60 პუნქტი.

2210 იქვე.

2211 10 თებერვალი, 2022 წელი.

ორგანოების პასიურობა კიდევ უფრო შემაშფოთებელი იყო იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოძალადე თავად იყო პოლიციის ოფიცერი, რომელიც თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას ბოროტად იყენებდა C-ს წინააღმდეგ.

ევროპულმა სასამართლომ შეშფოთებით აღნიშნა, რომ კომპეტენტური საგამოძიებო ორგანო არ ცდილობდა პასუხისმგებლობის დადგენას გენდერული ძალადობის მიმართ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან სათანადო რეაგირების არარსებობის გამო და არ ჩათვალა საჭიროდ, მოსარჩელეებისათვის მიენიჭებინა დაზარალებულის სტატუსი. საქმის შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც მიუთითებდა შესაძლო გენდერულ დისკრიმინაციაზე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა გადაუდებელი საჭიროება, ჩატარებულიყო გამოძიება სამართალდამცავების რეაგირებასა და მათ უმოქმედობაზე, რომელიც შეიძლება მოტივირებული ყოფილიყო გენდერული დისკრიმინაციით, C-ს საჩივრების მიმართ.[2212] საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოხდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საპროცესო ნაწილში, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.[2213]

საქართველოში დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულის გამოძიების პრაქტიკას ასახავს საქართველოს სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე, რომლითაც მან მიმართა საქართველოს პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამ წინადადების მიხედვით, „საქართველოს სახალხო დამცველმა 2015-2017 წლებში … შეისწავლა 30-ზე მეტი ფაქტი, რომლებიც ეხებოდა რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების პროცესში არსებულ ხარვეზებს. კერძოდ, პრობლემას წარმოადგენდა სავარაუდო სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიზნით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ეფექტიანობა.“[2214]

თავის ზოგად წინადადებაში სახალხო დამცველმა აღნიშნა: „[მის] წარმოებაში არსებული საქმეებიდან ირკვევა, რომ უმეტეს შემთხვევაში, სავარაუდო სიძულვილის მოტივი საგამოძიებო ორგანოების ყურადღების მიღმა რჩება, რაც აკნინებს სავარაუდო დანაშაულის მნიშვნელობას. სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეები, ერთი მხრივ, მოიცავს სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ დანაშაულებს, რომელზეც გამოძიების მიმდინარეობისას სიძულვილის მოტივი არ გამოიკვეთა, შემდეგ კი გამოძიება გაგრძელდა ან შეწყდა, ასევე საქმეებს, რომელზეც გამოძიება, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, არ დაწყებულა. მეორე მხრივ კი სახალხო დამცველი შეისწავლის სამართალდამცავთა მხრიდან სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივით განხორციელებულ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებს.“[2215]

სახალხო დამცველის ინფორმაციით, სავარაუდო დანაშაულების დიდი ნაწილი, რომლის გამოძიების პროცესში, საგამოძიებო ორგანოების ინფორმაციით, დისკრიმინაციული საფუძველი არ გამოიკვეთა, შემდეგ კი გამოძიება გაგრძელდა,

---

2212 44-ე პუნქტი.

2213 *გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ (Gaidukevich v. Georgia)*, 15 ივნისი, 2023 წელი.

2214 იხ. [https://ombudsman.ge/res/docs/20190409152151640 46.pdf], 1, წერილზე თარიღი მითითებული არ არის. [ნანახია: 26.09.24.].

2215 იქვე, 2.

შეწყდა, ან, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, არ დაწყებულა, შეეხება იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ ჩადენილ როგორც ძალადობრივ, ისე სხვა სახის ქმედებებს.[2216]

სახალხო დამცველი თავის ზოგად წინადადებაში ასევე ამახვილებს ყურადღებას ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა მიმართ სავარაუდო სიძულვილით ჩადენილი ფაქტების გამოძიებაზე. საგამოძიებო ორგანოს ცნობით, მცდელობის მიუხედავად, დისკრიმინაციული მოტივი არ გამოკვეთილა, ან, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, გამოძიება არ დაწყებულა, თუმცა, ბუნდოვანი რჩება, თუ რა საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა ასეთი მოტივის იდენტიფიცირების მიზნით. მაგალითად, 2016 წლის ოქტომბერში ტრანსგენდერ ქალზე განხორციელებული სასიკვდილო თავდასხმის შემდეგ, საქართველოს პროკურატურიდან სახალხო დამცველს ეცნობა, რომ საქმეში სიძულვილის მოტივი არ იკვეთებოდა.[2217]

მართალია, სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება ასახავს რამდენიმე წლის წინანდელ მდგომარეობას, ბოლო წლებში მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესდა.[2218] კერძოდ, პრაქტიკის მიმოხილვა ადასტურებს, რომ ბოლო წლებში გამოძიება შედარებით ხშირად გამოკვეთს დისკრიმინაციულ მოტივს. ამის დასტურია კესარია აბრამიძის მკვლელობა, რომელზეც გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის 109-ე მუხლის „თ“ და „მ“ პუნქტებით – გენდერის ნიშნით განსაკუთრებული სისასტიკით დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის.[2219]

აქედან გამომდინარე, თუ მკვლელობის განმაპირობებელი ფაქტორი შეიძლება იყოს დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაული, აუცილებელია, რომ გამოძიებამ გამოკვეთოს ასეთი მოტივი და ამ კუთხით წარმართოს გამოძიება. ეს მოიცავს ნებისმიერი საფუძვლით დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ მკვლელობას, მათ შორის სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის საფუძვლით.

მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების თანამშრომელთა სწავლება დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის შესახებ საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის თაობაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით.[2220]

2216 იქვე.

2217 იქვე, 3.

2218 სახელმწიფოს რეაგირება გენდერულად მოტივირებულ ძალადობაზე საქართველოში: კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, 2024 წ., იხ.: [https://gyla.ge/files/genderi_geo.pdf], 97; დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, 2023, 1, იხ.: [https://www.geostat.ge/media/60697/diskriminacia_2023.pdf].

2219 შსს ადასტურებს კესარია აბრამიძის მკვლელობაში ბრალდებულის დაკავებას, 19 სექტემბერი, 2024 წ., იხ.: [https://www.radiotavisupleba.ge/a/33125921.html].

2220 „სპეციალიზებული პროკურორებისთვის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების სახელმძღვანელო შემუშავდა“, 19 ივლისი, 2022 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/719876-specializebuli-prokurorebistvis-diskriminaciis-nishnit-sheucqnareblobis-motivit-chadenili-danashaulebis-gamoziebis-saxelmzgvanelo-shemushavda].

7.7. სიცოცხლის მოსპობისათვის პასუხისმგებლობის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში

ა) კანონმდებლობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, არა მხოლოდ აწარმოოს სიცოცხლის მოსპობის შემთხვევის გამოძიება, რომლის მეშვეობით დადგინდება სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებული ფაქტები და მოხდება მასზე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირება, არამედ შეაფასოს ეს ფაქტები და შეუფარდოს სასჯელი შესაბამის პირს. როგორც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, თუ გამოძიებას შედეგად მოჰყვა სამართალწარმოება ეროვნულ სასამართლოებში, მათ არცერთ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან, რომ სიცოცხლის მოსპობის დანაშაულის ჩამდენი პირი დაუსჯელი დარჩეს. ეს მნიშვნელოვანია საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად, სამართლის უზენაესობისადმი ერთგულების უზრუნველსაყოფად და უკანონო გარიგების ან უკანონობის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების შთაბეჭდილების თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ, თუ არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და სასამართლო განხილვის არდაწყების ან შეჩერების საფუძველი, რომელიც გათვალისწინებულია კოდექსით, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს/განახლდეს.[2221]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას არა მხოლოდ გამოძიების, არამედ საქმის არსებითი განხილვის დროს. კერძოდ, კოდექსის მიხედვით, როდესაც არსებობს კოდექსით დადგენილი საფუძველი, საქმის არსებითად განმხილველი სასამართლო წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას. კოდექსით ამომწურავად განისაზღვრება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი.[2222] კერძოდ, სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება, მათ შორის, თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას; თუ კანონი, რომელსაც ემყარება ბრალდება, არაკონსტიტუციურად არის ცნობილი, თუ გასულია სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა; პირი დანაშაულის ჩადენისას იყო შეურაცხი; ბრალდებული გარდაიცვალა.[2223]

კოდექსიდან გამომდინარე, ყველა სხვა შემთხვევაში საქმის განმხილველი სასამართლო ვალდებულია, შეუფარდოს სასჯელი დანაშაულის ჩამდენ პირებს. თუ პირს ბრალდება წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე ან 109-ე მუხლებით (ისევე როგორც რამდენიმე სხვა მუხლით), საქმეს განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.[2224]

აქედან გამომდინარე, კოდექსი შეესაბამება ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ მოთხოვნას, რომლის მიხედვით, თუ სასამართლო განიხილავს საქმეს, რომელშიც დადგინდება განსასჯელის ბრალეულობა, სასამართლომ უნდა შეუფარდოს სასჯელი შესაბამის პირს.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, განზრახვით სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია, შესაბამის პირებს დააკისროს სისხლისსამართ-

---

2221 კოდექსის 167-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილები.

2222 კოდექსის 105-ე მუხლი; ასევე იხ. კოდექსის 191-ე მუხლი.

2223 კოდექსის 105-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილები.

2224 კოდექსის 226-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

ლებრივი პასუხისმგებლობა. თუ სიცოცხლის მოსპობა არ იყო განზრახი, არამედ ჩადენილი იყო გაუფრთხილებლობით, სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან, თუნდაც, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შეიძლება საკმარის ღონისძიებად ჩაითვალოს. მიუხედავად ამისა, ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, პირს უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის, თუ სახელმწიფოს სრულად ჰქონდა გაცნობიერებული სავარაუდო შედეგი, მან მოახდინა თავისი უფლებამოსილების უგულებელყოფა და ვერ უზრუნველყო აუცილებელი და საკმარისი ღონისძიებების გატარება საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ ან დისციპლინურ პასუხისმგებლობას არც განზრახვით და არც გაუფრთხილებლობით ჩადენილი მკვლელობისათვის. საქართველოს კანონმდებლობით, სიცოცხლის მოსპობისათვის დგება მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სამოქალაქო სამართალწარმოება სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ სიცოცხლის მოსპობის საქმეზე, რომელიც არ ითვალისწინებს სავარაუდო დამნაშავის იდენტიფიცირებასა და დასჯას, კონვენციის მე-2 მუხლის გაგებით, არ ჩაითვლება სახელმწიფოს მიერ საპროცესო ვალდებულების შესრულებად მხოლოდ ზიანის ანაზღაურების გამო. ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სამოქალაქო პასუხისმგებლობას სიცოცხლის მოსპობისათვის, საქართველოს მიმართ ეს საკითხი არ არის აქტუალური.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, ეროვნული სასამართლოების მიერ შეფარდებული სასჯელი უნდა იყოს ჩადენილი ქმედების (სიცოცხლის მოსპობის) სიმძიმის თანაზომიერი. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს პოზიციით, პირებს სიცოცხლის მოსპობისათვის უნდა შეეფარდოთ ისეთი სასჯელი, რომელიც სხვებს თავს შეაკავებინებს ასეთი დანაშაულის ჩადენისაგან.

საქართველოში ჩადენილი ქმედებისათვის შეფარდებული სასჯელის თანაზომიერებას განსაზღვრავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც მოითხოვს, რომ სასამართლოს განაჩენი იყოს სამართლიანი. კოდექსის მიხედვით, სასამართლოს განაჩენი სამართლიანი იქნება, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. შესაბამისად, ეს დებულება ნიშნავს, რომ დანიშნული სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელი არ უნდა იყოს უფრო მსუბუქი ან უფრო მკაცრი, ვიდრე ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე.[2225]

აქედან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასახავს ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ სტანდარტს.

ევროპული სასამართლო პრაქტიკით, სიცოცხლის მოსპობისათვის გამოტანილი განაჩენის აღსრულების დაყოვნება გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე ან ასეთი განაჩენის აღუსრულებლობა ითვლება კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად. სახელმწიფოს მოქმედება, რომელიც მიმართულია განაჩენის აღსრულების დაყოვნებისაკენ ან განაჩენის აღუსრულებლობისაკენ, აზრს აკარგვინებს სიცოცხლის მოსპობისათვის შეფარდებულ სასჯელს.

საქართველოში განაჩენის აღსრულება წესრიგდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რომლის მიხედვით, განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებ-

---

2225 დანაშაულებრივი ქმედებისათვის თანაზომიერი სასჯელის შეფარდების თეორიაზე იხ. თ. ცქიტიშვილი, სასჯელი და მისი შეფარდება, 2019 წელი, 92-93.

ლად მიიქცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე.[2226] კოდექსი ასევე ადგენს, რომ იმ განაჩენის კანონიერი ძალაში შესვლისა და აღსასრულებლად მიქცევის შემდეგ, რომლითაც მსჯავრდებულს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა დაენიშნა, პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია, მსჯავრდებულის მიღებიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღისა, შეატყობინოს ამის შესახებ განაჩენის გამომტან სასამართლოს.[2227]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს, რომ იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა, განაჩენის აღსრულება შეიძლება გადაავადოს განაჩენის გამომტანმა სასამართლომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, თუ მსჯავრდებული დაავადებულია მძიმე ავადმყოფობით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას, – მის გამოჯანმრთელებამდე ან ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებით გაუმჯობესებამდე; მსჯავრდებული განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულადაა – მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე.[2228]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოთ მოყვანილი დებულებებიდან გამომდინარე, საქართველოში განაჩენის აღსრულება ხდება დაუყოვნებლივ, რაიმე არაგონივრული გაჭიანურების გარეშე, რაც სრულად აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტს. საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს განაჩენის აღუსრულებლობის შესაძლებლობას. ერთადერთი, რაც გათვალისწინებულია კოდექსით, არის განაჩენის გადავადება, რომელსაც აქვს კონკრეტული მიზეზი (მძიმე ავადმყოფობა ან ორსულობა).

აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა გამოტანილი განაჩენის აღსრულების მიმართ შეესაბამება ევროპული სასამართლოს სტანდარტს.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, ამნისტიის გამოცხადება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიმართ განზრახ მკვლელობისათვის შეუთავსებელია კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებასთან, რადგან ის იწვევს დამნაშავეთა დაუსჯელობას, აკნინებს სიცოცხლის უფლების დაცვის მიზანს და მოჩვენებითს ხდის გარანტიებს პირის სიცოცხლის უფლების მიმართ. ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად ასევე მიიჩნევა სიტუაცია, როდესაც სახელმწიფო იჩენს არაგონივრულ ლმობიერებას მსჯავრდებულ პირთა მიმართ მათი ნაადრევად განთავისუფლებით სასჯელის მოხდისაგან (მაგ., შეწყალებით). ევროპული სასამართლოს აზრით, ასეთი არაგონივრული ლმობიერება დამნაშავისათვის შეფარდებულ სასჯელს აკარგვინებს ყოველგვარ ეფექტიანობას, კონვენციის მე-2 მუხლის საწინააღმდეგოდ.

საქართველოში ამნისტიის გამოცხადებას აწესრიგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი და კანონები ამნისტიის შესახებ. სისხლის სამართლის კოდექსით, ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ.[2229] ამნისტიის აქტით დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება განთავისუფლდეს სასჯელისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.[2230]

2226 კოდექსის 279-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.
2227 კოდექსის 281-ე მუხლი.
2228 კოდექსის 283-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.
2229 კოდექსის 77-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.
2230 კოდექსის 77-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

რაც შეეხება კანონებს ამნისტიის შესახებ, რომლებიც პერიოდულად მიიღება, მათმა ანალიზმა ცხადყო, რომ ისინი არ ვრცელდება კოდექსის 108-ე (განზრახ მკვლელობა) და 109-ე (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე.[2231]

მიუხედავად იმისა, რომ არც სისხლის სამართლის კოდექსით და არც აქამდე მიღებული კანონებით ამნისტიის შესახებ განზრახ მკვლელობაში მსჯავრდებულ პირებს ამნისტია არ შეხებიათ, ევროპული სასამართლოს მიდგომიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, კანონმდებლობით მკაფიოდ განისაზღვროს, რომ განზრახ მკვლელობის ჩამდენი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები (ისევე როგორც ამ ორგანოთა წარმომადგენლები, რომლებმაც ჩაიდინეს წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა), არ დაექვემდებარებიან ამნისტიას.

რაც შეეხება შეწყალებას, მას აწესრიგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ“.[2232] სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, შეწყალებას ახდენს საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად განსაზღვრული პირის მიმართ.[2233] კოდექსით, შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.[2234]

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოში შეწყალების წესსა და პროცედურას. წესი არ უთითებს სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე მუხლზე, რომელზეც არ გავრცელდება შეწყალება. შეწყალების წესში აღნიშნულია, რომ შეწყალების უფლების გამოყენებისას მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი გარემოებები:

„... ბ) მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაული, რომელიც განსაკუთრებული საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება, მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი წამება, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა; ოჯახური დანაშაული, ოჯახში ძალადობა, აგრეთვე დანაშაული ჩადენილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, ბავშვის ან სხვა მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლის მიმართ;

...

დ) დანაშაული ჩადენილი სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიერ, რომელიც სასჯელს იხდის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით მე-2 ან მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის გამო.“

შეწყალების წესის ანალიზისათვის, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა მისი ფორმულირება, კერძოდ, რომ „შეწყალების უფლების გამოყენებისას მიზანშეწონილია გათვალისწინებული იქნეს შემდეგი გარემოებები“. ეს ფორმულირება იმპერატიულად არ ადგენს, რომ იმ მსჯავრდებულებს, რომლებსაც, მაგალითად, ჩადენილი აქვთ წამება, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, საქართველოს პრეზიდენტი უარს განუცხადებს შეწყალებაზე, თუმცა შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ეს ფაქტი უფრო უარყოფითად იმოქმედებს შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე, ვიდრე დადებითად.

ასევე აღსანიშნავია, რომ შეწყალების წესი ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტულად მიუთითებს დანაშაულზე (მაგ., წამება), ზოგიერთ შემთხვევაში კი არ აზუსტებს და-

---

2231 კანონი ამნისტიის შესახებ, 12 აპრილი, 2022 წელი, მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტი.

2232 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N556, 26 ნოემბერი, 2019 წელი.

2233 კოდექსის 78-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

2234 კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

ნაშაულს („მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაული, რომელიც განსაკუთრებული საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება“). ჩადენილ დანაშაულში, რომელიც განსაკუთრებული საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება, სხვა დანაშაულებთან ერთად, სავარაუდოდ, იგულისხმება მკვლელობა. ამ დასკვნის გამოტანის საფუძველია საქართველოს პრეზიდენტის საჯარო განცხადება, რომელიც მან გააკეთა შეწყალების წესის დამტკიცებისას.[2235] კერძოდ, მან აღნიშნა, რომ „ახალი კრიტერიუმები მძიმე დანაშაულის მიმართ, როგორებიცაა: მკვლელობა, რეციდივი, ოჯახური ძალადობა, ძალადობა ბავშვზე, ნარკოტიკის შემოტანა-გასაღება, – უფრო გამკაცრებულია, მსუბუქ დანაშაულებზე კი, პირიქით, – შერბილებულია.“[2236]

აქედან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ შეწყალების წესით გათვალისწინებული ერთ-ერთი დანაშაული, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი მხედველობაში მიიღებს შეწყალების შესახებ დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებისას, არის მკვლელობა. ამასთანავე, საყურადღებოა, რომ წესში არ არის დაზუსტებული, მასში იგულისხმება მკვლელობა, რომელიც ჩადენილია განზრახვით თუ გაუფრთხილებლობით. ვინაიდან წესი არ აზუსტებს ამ საკითხს, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ წესში იგულისხმება როგორც განზრახვით, ისე გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული.

შეწყალების წესის „დ“ პუნქტში არის მითითება იმაზე, რომ შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება დანაშაული ჩადენილი სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიერ, რომელიც სასჯელს იხდის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 ან მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის გამო.

თუ საქართველოს პრეზიდენტი შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინებს წესის „ბ“ პუნქტს, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ეხება მკვლელობის და წამების, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის აკრძალვას, წესის „დ“ პუნქტი არსებითად იმავე საკითხებს შეეხება (მკვლელობა, წამება, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა). შესაბამისად, წესის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული საკითხები მოიცავს „გ“ პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებს. ერთადერთი არსებითი განსხვავება წესის „ბ“ და „გ“ პუნქტებს შორის არის ის, რომ „გ“ პუნქტი მიუთითებს მკვლელობაზე, რომელიც ჩაიდინა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელმა. იმის გათვალისწინებით, რომ წესის „ბ“ პუნქტში არ არის დაზუსტებული დანაშაულის ჩამდენი პირის (სახელმწიფოს წარმომადგენელი ან კერძო პირის) ვინაობა, წესის „ბ“ პუნქტის მოქმედება ორივე მათგანზე ვრცელდება. ამიტომ წესის „გ“ პუნქტში სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელზე მითითება უნდა იყოს გაგებული იმგვარად, რომ ის კიდევ უფრო ამცირებს შეწყალების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების ალბათობას, როდესაც მკვლელობა ჩაიდინა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელმა.

ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა აფასებს შეწყალების მიზანშეწონილობის საკითხს მხოლოდ დანაშაულით (მკვლელობით) და არ ითვალისწინებს, ის ჩადენილია განზრახ თუ გაუფრთხილებლობით, გამოდის, რომ საქართველოს კანონმდებლობა უფრო მკაცრ სტანდარტს აწესებს, ვიდრე ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ მიზანშეწონილია, შეწყალების წესში შევიდეს ცვლილება, რომელიც იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ სამართალდამცავი ორგანოს (სახელმწიფოს) წარმომადგენლის მიერ

2235 საქართველოს პრეზიდენტმა საშობაოდ ხუთი მსჯავრდებული შეიწყალა, 6 იანვარი, 2020 წელი, იხ.: [https://president.ge/index.php?m=210&news_id=1044&lng=geo].

2236 იქვე.

განზრახ მკვლელობის შემთხვევაში, დაუშვებელია ამ პირის შეწყალება. რაც შეეხება მკვლელობას გაუფრთხილებლობით, მიზანშეწონილია, რომ ეს საკითხი პრეზიდენტმა გადაწყვიტოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, იმავე მიდგომით, რომლითაც საქართველოს პრეზიდენტი ამჟამად ხელმძღვანელობს შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

მსგავსი პოზიცია შეიძლება გამოითქვას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო შეთანხმების დადების წესის მიმართ. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209(1)-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ „სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე.“ კოდექსის 218-ე მუხლი ასევე ითვალისწინებს ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლებას. კოდექსის მიხედვით, ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირების მოთხოვნისას, ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, ისევე როგორც ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლებისას, პროკურორი (გენერალური პროკურორი სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შემთხვევაში) ითვალისწინებს საჯარო ინტერესს, რომელსაც იგი სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტების, ჩადენილი დანაშაულისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის, დანაშაულის ხასიათის, ბრალეულობის ხარისხის, ბრალდებულის საზოგადოებრივი საშიშროების, პიროვნული მახასიათებლების, ნასამართლობის, გამოძიებასთან თანამშრომლობისა და დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ბრალდებულის ქცევის შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს.[2237]

მართალია, კოდექსი ითვალისწინებს საჯარო ინტერესებს კონკრეტულ შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების დადების მიზანშეწონილობის შეფასებისას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, აუცილებელია, კანონმდებლობით იმპერატიულად განისაზღვროს, რომ საჯარო მოხელის მიერ პირის განზრახ მკვლელობისათვის დაუშვებელია პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან მისი სრულად გათავისუფლება.

ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად მიიჩნია დამნაშავისათვის საჯარო თანამდებობაზე ყოფნის უფლების შენარჩუნება, რომელმაც განზრახ მოუსპო პირს სიცოცხლე. ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად ასევე ჩათვალა იმ სახელმწიფოს მოქმედება, რომელსაც მსჯავრდებული პირი გადაეცა განზრახ მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობისათვის დარჩენილი სასჯელის მოსახდელად და რომელიც მან გაათავისუფლა სასჯელის მოხდისაგან.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევას, რომლის მიხედვით მსჯავრდებულს ეკრძალება, ეკავოს დანიშვნითი თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან მუნიციპალიტეტის ორგანოებში[2238] და ითვალისწინებს თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევას, როგორც სასჯელის სახეს.[2239]

კოდექსის არაერთი მუხლი ითვალისწინებს თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევას ძირითადი ან/და დამატებითი სასჯელის სახით. იმ მუხლებს შორის, რომლებიც თავად ითვალისწინებენ სასჯელის სახით თანამდებობის დაკავების უფლების

2237 კოდექსის 209-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

2238 კოდექსის 43-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

2239 კოდექსის მე-40 მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ“ პუნქტი.

ჩამორთმევას, არ არის ის მუხლები, რომლებიც ეხება განზრახ და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას. მიუხედავად ამისა, კოდექსი ადგენს, რომ თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევის დამატებით სასჯელად დანიშვნა შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელად არაა გათვალისწინებული კოდექსის შესაბამისი მუხლით, თუ დანაშაულის საშიშროების ხასიათის, ხარისხისა და დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს, შეუნარჩუნოს მას თანამდებობის დაკავების უფლება.[2240]

მართალია, ევროპული სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავებით, რომელიც იმპერატიული ფორმით ადგენს, რომ დაუშვებელია იმ პირისათვის საჯარო თანამდებობის შენარჩუნება, რომელმაც სხვა პირს განზრახ მოუსპო სიცოცხლე, სისხლის სამართლის კოდექსი თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევის უფლებამოსილებას ანიჭებს სასჯელის შემფარდებელ სასამართლოს. ევროპული სტანდარტებიდან გამომდინარე, მართებულია, რომ დამნაშავისათვის საჯარო თანამდებობაზე ყოფნის უფლების ჩამორთმევა, რომელმაც განზრახ მოუსპო პირს სიცოცხლე, საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვროს იმპერატიული ფორმით.

რაც შეეხება ევროპული სასამართლოს სტანდარტს, რომლის მიხედვით, დაუშვებელია განზრახ მკვლელობისათვის მსჯავრდებულის, რომელიც სახელმწიფოს გადმოეცა დარჩენილი სასჯელის მოსახდელად, სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლება, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ უცხო სახელმწიფოს სასამართლოს განაჩენის საფუძველზე დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის საქართველოში მოხდა ხდება იმავე წესით და იმავე პირობებში, როგორშიც საქართველოს სასამართლოს განაჩენის საფუძველზე დანიშნული სასჯელის მოხდა საქართველოში ჩადენილი დანაშაულისათვის.[2241]

კოდექსი ასევე განსაზღვრავს, რომ საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ გამოიყენება განაჩენის გამომტანი უცხო სახელმწიფოსა და საქართველოს მიერ გამოცემული ამნისტიის ან შეწყალების აქტი ამ აქტით დადგენილი პირობებისა და წესების შესაბამისად, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.[2242]

მართალია, კოდექსით არ არის გათვალისწინებული რაიმე კონკრეტული წესი სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებული დანაშაულის საქართველოში მოხდის შესახებ, ის ადგენს, რომ საქართველოში სასჯელის მოსახდელად გადმოყვანილი პირის მიმართ გამოიყენება განაჩენის გამომტანი უცხო სახელმწიფოსა და საქართველოს მიერ გამოცემული ამნისტიის ან შეწყალების აქტი ამ აქტით დადგენილი პირობებისა და წესების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, მაშინ ამნისტიისა და შეწყალების მარეგულირებელი საქართველოს ნორმატიული აქტები გავრცელდება ამ პირზე.

სიცოცხლის მოსპობისათვის პასუხისმგებლობის მიმართ ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები, მთლიანობაში, ასახავს ევროპული სასამართლოს სტანდარტებს. ამასთანავე, აღსანიშნავია რამდენიმე საკითხი, რომლებიც უზრუნველყოფდა საქართველოს კანონმდებლობის სრულ შესაბამისობას ევროპულ სტანდარტებთან. კერძოდ, ევროპული სასამართლოს მიდგომიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია,

2240 კოდექსის 43-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

2241 კოდექსის 289-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

2242 კოდექსის 289-ე მუხლის მე-9 ნაწილი.

კანონმდებლობით მკაფიოდ განისაზღვროს, რომ განზრახ მკვლელობის ჩამდენი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები (ისევე, როგორც ამ ორგანოების წარმომადგენლები, რომლებმაც ჩაიდინეს წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა), არ დაექვემდებარებიან ამნისტიას.

მიზანშეწონილია, შეწყალების წესში შევიდეს ცვლილება, რომელიც იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ განზრახ მკვლელობის ჩადენის შემთხვევაში, დაუშვებელია პირის შეწყალება.

რაც შეეხება იმ პირისათვის საჯარო თანამდებობის შენარჩუნებას, რომელმაც სხვა პირს სიცოცხლე განზრახ მოუსპო, ევროპული სტანდარტებიდან გამომდინარე, მართებული იქნება, რომ დამნაშავისათვის საჯარო თანამდებობაზე ყოფნის უფლების ჩამორთმევა, რომელმაც განზრახ მოუსპო პირს სიცოცხლე, საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვროს იმპერატიული ფორმით.

ბ) პრაქტიკა

სიცოცხლის მოსპობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი საკითხია თანაზომიერება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და შეფარდებულ სასჯელს შორის. საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური საპარლამენტო ანგარიშის მიხედვით, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის გამოტანილი განაჩენი ლ. კორტავას სიცოცხლის მოსპობის შესახებ. ამ საქმეზე სასამართლომ დამნაშავედ ცნო მე-14 პენიტენციური დაწესებულების 6 თანამშრომელი, დანაშაულის დაფარვისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის.[2243] ანგარიშის მიხედვით, განაჩენით დადგენილი გარემოებაა, რომ მე-14 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული ლ. კორტავა სხვადასხვა საკანში მყოფმა პატიმრებმა აწამეს, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. ეს ფაქტი არ აღუკვეთავთ ამ დაწესებულების იმ თანამშრომლებს, რომელთაც ევალებოდათ ამ ფაქტის აღკვეთა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის განაჩენით, შემდეგი პასუხისმგებლობა დაეკისრათ ციხის ყოფილ თანამშრომლებს:

– დაწესებულების დირექტორს, მ.ს.-ს, რომელიც ცნობილ იქნა დამნაშავედ დანაშაულის დაფარვაში, მიუხედავად იმისა, რომ იგი თავს არიდებდა სასამართლოში გამოცხადებას, და მიუხედავად იმისა, რომ ჩადენილი დანაშაული სასჯელად ასევე ითვალისწინებდა 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, სასამართლომ სასჯელის სახედ მხოლოდ ჯარიმა შეუფარდა;
– დამნაშავე 6 პირიდან იმ 2 პირს, რომლებსაც დანაშაულის დაფარვასთან ერთად ბრალად ედებოდათ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (მაქსიმალური სანქცია 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა), კერძოდ, ი.შ.-ს და ი.გ.-ს, საბოლოოდ, სასჯელად შეეფარდათ მხოლოდ ჯარიმა და ჩამოერთვათ სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება 1 წლის ვადით;
– რაც შეეხება დამნაშავე 6 პირიდან იმ 2 პირს, რომლებსაც მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ედებოდათ ბრალად, სასჯელად დაენიშნათ მხოლოდ ჯარიმა და სახელმწიფო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება ჩამოერთვათ 1 წლის ვადით;

2243 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი, 35-36, იხ.: [https://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf].

– მე-6 პირის მიმართ, რომელსაც ბრალი ედებოდა დანაშაულის დაფარვაში, სასჯელად გამოყენებულ იქნა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რომელიც ჩაეთვალა პირობითად, 1 წლიანი გამოსაცდელი ვადით.

სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის განაჩენში არ არის მითითებული მსჯავრდებულთა შემამსუბუქებელი გარემოებების შესახებ.[2244]

ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და შეფარდებულ სასჯელს შორის აშკარა არათანაზომიერებაზე იმსჯელა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ (Vazagashvili and Shanava v. Georgia)*, რომელიც ეხებოდა მოსარჩელის შვილის მკვლელობას პოლიციის მიერ.[2245] კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა შემდეგი:

„მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ სასამართლოებს უნდა მიენიჭოთ აშკარა უპირატესობა შესაფერისი სასჯელის შერჩევის საკითხში საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილ არასათანადო მოპყრობისა და მკვლელობის საქმეებზე, სასამართლო უნდა ჩაერიოს საქმეებში, თუ შეფარდებული სასჯელი საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმესთან შედარებით აშკარად არათანაზომიერია. ეს არსებითია საზოგადოების ნდობის შენარჩუნების, კანონის უზენაესობისადმი ერთგულების გარანტირების და საჯარო მოხელეების უკანონო გარიგების ან უკანონობის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების შთაბეჭდილების თავიდან ასაცილებლად. ... მოცემულ საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, საქმის განმხილველ სასამართლოს უფლება ჰქონდა, დაეინიშნა უმაღლესი სასჯელი, ოცი წლით თავისუფლების აღკვეთა ან უვადო პატიმრობა, მან თავდაპირველად თექვსმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის ორ მონაწილეს. ... მეტიც, როდესაც ამ სასჯელს უფარდებდა, საქმის განმხილველი სასამართლოსათვის, უდავოდ, ცნობილი იყო, რომ ის არ იყო რეალური, რადგან ის დაექვემდებარებოდა ¼-ით შემცირებას, 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად. სასამართლო სინანულით აღნიშნავს, რომ ეროვნულმა კანონმდებელმა, როდესაც იღებდა ამნისტიის შესახებ კანონს, როგორც ჩანს, სათანადო ყურადღება არ მიაქცია პოლიციელების სრული სიმკაცრით დასჯის აუცილებლობას ჩადენილი მძიმე დანაშაულისათვის. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ, როდესაც სახელმწიფო მოხელე, კერძოდ, სამართალდამცავი, ბრალდებულია ისეთ დანაშაულში, რომელიც ეხება კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას, ამნისტიის ან შეწყალების გამოყენება არ უნდა იყოს დაშვებული. ... რა თქმა უნდა, სასამართლო მოელის სახელმწიფოებისაგან, რომ ისინი უფრო მკაცრნი იყვნენ, როდესაც სჯიან საკუთარ სამართალდამცავებს სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული ასეთი მძიმე დანაშაულებისთვის, ვიდრე ჩვეულებრივ დამნაშავეებს, რადგან ამ შემთხვევაში გადამწყვეტია არა დამნაშავის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, არამედ სახელმწიფოს ვალდებულება, ებრძოლოს დამნაშავის დაუსჯელობის განწყობას, რაც მან შეიძლება ირწმუნოს თავისი სამსახურის გამო და, რომ სახელმწიფომ შეინარჩუნოს საზოგადოების ნდობა და პატივისცემა სამართალდამცავი სისტემისადმი“.[2246]

ზემოაღნიშნული საქმიდან გამომდინარეობს, რომ სიცოცხლის მოსპობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი მოიცავს ამნისტიის გამოცხადებას და შეწ-

2244 იქვე.

2245 18 ივლისი, 2019 წელი.

2246 92-ე პუნქტი.

ყალებას. ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ჩადენილი განზრახ მკვლელობისათვის ამნისტიის გამოცხადება ან მისი შეწყალება შეუთავსებელია სახელმწიფოს საპროცესო ვალდებულებასთან, რადგან ისინი აფერხებს ასეთი აქტების გამოძიებას და იწვევს დამნაშავეთა დაუსჯელობას. მისივე შეფასებით, ამნისტიის გამოცხადება ან შეწყალება განზრახ მკვლელობისათვის აკნინებს კონვენციის მე-2 მუხლით გარანტირებული დაცვის მიზანს და მოჩვენებითს ხდის გარანტიებს პირის სიცოცხლის უფლების მიმართ. კერძოდ, ევროპული სასამართლო კონვენციის მე-2 მუხლის საპროცესო ნაწილის დარღვევად მიიჩნევს სიტუაციას, როდესაც სახელმწიფომ გამოიჩინა არაგონივრული ლმობიერება მსჯავრდებულ პირთა მიმართ მათი ნაადრევად განთავისუფლებით სასჯელის მოხდისაგან. ამ საკითხზე იმსჯელა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – *ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ (Enukidze and Girgvliani v. Georgia)*, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა შემდეგი:

„ეროვნული სასამართლოების მიერ მსჯავრდებულებისათვის თავდაპირველად შეფარდებული სასჯელი და მისი შემდგომი აღსრულება ეროვნული ორგანოების მიერ არ იყო ადეკვატური სასჯელი ჩადენილი დანაშაულისათვის. ამგვარი არაგონივრული ლმობიერების გამო, ოთხი მოხელის მიმართ განხორციელებულ სისხლისსამართლებრივ დევნას დაეკარგა ყოველგვარი ეფექტიანობა, რასაც მოითხოვს კონვენციის მე-2 მუხლი.“[2247]

აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს პოზიციით, სიცოცხლის მოსპობისათვის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისათვის შეფარდებული სასჯელი არ უნდა იყოს არათანაზომიერი ჩადენილი ქმედების სიმძიმესთან. ასევე დაუშვებელია, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიმართ, რომელიც ბრალდებულია სიცოცხლის მოსპობაში, გამოიყენონ ამნისტია ან შეწყალება.

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება საქართველოში შეწყალების პრაქტიკის იდენტიფიცირება.[2248] კერძოდ, 2019 წლის 17 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა გააკეთა განცხადება, რომლის მიხედვით საქართველოს პრეზიდენტმა 2019 წლის 28 აგვისტოს 35 პირი შეიწყალა, რომელთა შორის იყვნენ 2014 წელს პოლიციელ თარაშ მუკბანიანის მკვლელობისთვის მსჯავრდებული და 2004 წელს დავით ოთხმეზურის მკვლელობისთვის მსჯავრდებული პირები.[2249] ამ განცხადებაში სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ „შეწყალების უფლებამოსილება მჭიდროდ უკავშირდება სიცოცხლის უფლების დაცვის საპროცესო ვალდებულებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, სიცოცხლის უფლება დარღვეული იქნება, თუ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები არაგონივრულ ლმობიერებას გამოიჩენენ მკვლელობისთვის მსჯავრდებულ პირთა მიმართ, რაც მათ ფაქტობრივ დაუსჯელობაში გამოიხატება.“[2250]

2247 26 აპრილი, 2011 წელი, 275-ე პუნქტი.

2248 შეწყალების ინსტიტუტის შესახებ დეტალურად იხ. თ. ავალიანი, გ. ჩიტიძე, შეწყალების უფლებამოსილება: ქართული მოდელი და საერთაშორისო გამოცდილება, 2016 წ., [https://coalition.ge/files/shetskalebis_uflebamosileba_24022016.pdf].

2249 „საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეწყალების უფლებამოსილების გამოყენებასთან დაკავშირებით“, 17 სექტემბერი, 2019 წ., იხ.: [https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-sakartvelos-prezidentis-mier-shetsqalebis-uflebamosilebis-gamoqenebastan-dakavshirebit].

2250 იქვე.

ასევე, შეწყალების საკითხზე საქართველოს სახალხო დამცველმა გაამახვილა ყურადღება 2019 წლის ანგარიშში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“.[2251] საქართველოს სახალხო დამცველმა აღნიშნა შემდეგი: „2019 წლის 27 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა 34 პირი შეიწყალა. შეწყალებულ პირთა შორის იყვნენ მსჯავრდებულები, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ გაზრახ მკვლელობისთვის და მათ მნიშვნელოვან ნაწილს მსჯავრის ძირითადი ნაწილი მოუხდელი ჰქონდა.“[2252]

გარდა იმისა, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა საქართველოს პრეზიდენტს, საზოგადოებისთვის მიეწოდებინა დეტალური ინფორმაცია შეწყალების მოტივაციის შესახებ, მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ „ევროპული სასამართლოს განმარტებით, სიცოცხლის უფლება დარღვეულად მიიჩნევა, თუ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები არაგონივრულ ლმობიერებას გამოიჩენენ მკვლელობისთვის მსჯავრდებულ პირთა მიმართ, რაც მათ ფაქტობრივ დაუსჯელობაში გამოიხატება. იქიდან გამომდინარე, რომ ზემოხსენებული შეწყალებული პირები საქართველოს პრეზიდენტმა სასჯელის არსებითი ნაწილის მოუხდელად გაათავისუფლა, სახეზეა სიცოცხლის უფლების დარღვევა.“[2253]

ასეთი პრაქტიკა ეწინააღმდეგება ევროპული კონვენციის სტანდარტებს, რამაც გამოიწვია შეწყალების ფაქტების კრიტიკული შეფასება საქართველოს სახალხო დამცველის მხრიდან, თუმცა ამასობაში შევიდა ცვლილება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ“, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (ისევე როგორც მე-3 მუხლის) დაცვის აუცილებლობაზე პირთა შეწყალების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ბრძანებულებაში შეტანილი ცვლილების შემდეგ ინფორმაცია ევროპული კონვენციის საწინააღმდეგო პრაქტიკის შესახებ არ გავრცელებულა.

რაც შეეხება ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში წამოჭრილ სხვა საკითხებს სიცოცხლის მოსპობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, როგორებიცაა განაჩენის აღსრულების დაყოვნება ან მისი აღუსრულებლობა, განაჩენის გამოცხადების შეჩერება, სიცოცხლის განზრახ მოსპობის ჩამდენი პირის მიერ საჯარო თანამდებობის შენარჩუნება და მსჯავრდებული პირის მიერ დარჩენილი სასჯელის მოხდა საქართველოში, მასმედიით გავრცელებული ინფორმაციისა და საქართველოს მიმართ ევროპული სა-

---

2251 იხ. [https://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf?fbclid=IwAR0P6u0NhYdNa1CspCH4ym414rokVx3DqPFEU1r6k86LE8H5BKgO7xT41oY], 44.

2252 ანგარიშში მოცემული ინფორმაციით, „მსჯავრდებულ ა. ბ.-ს განსაზღვრული ჰქონდა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც დაახლოებით 2 წელი და 2 თვე მოიხადა. შეწყალების საფუძველზე გათავისუფლდა 6 წლითა და 10 თვით ადრე; რ. დ.-ს განსაზღვრული ჰქონდა 12 წლით თ/აღკვეთა, მოიხადა დაახლოებით 4 წელი და 8 თვე. შეწყალებულ იქნა 7 წლითა და 4 თვით ადრე; ზ. ნ.-ს განსაზღვრული ჰქონდა 15 წლით თ/აღკვეთა. მოიხადა დაახლოებით 11 წელი და 5 თვე. შეწყალებულ იქნა 3 წლითა და 7 თვით ადრე.“ იხ. [https://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf?fbclid=IwAR0P6u0NhYdNa1CspCH4ym414rokVx3DqPFEU1r6k86LE8H5BKgO7xT41oY], 44, სქოლიო 32.

2253 იხ. [https://ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf?fbclid=IwAR0P6u0NhYdNa1CspCH4ym414rokVx3DqPFEU1r6k86LE8H5BKgO7xT41oY], 44. ასევე, „საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს“, 10 დეკემბერი, 2019 წ., იხ.: [https://www.interpressnews.ge/ka/article/576682-sakartvelos-saxalxo-damcveli-adamianis-uplebata-dacvis-saertashoriso-dgestan-dakavshirebit-gancxadebas-avrcelebs].

სამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე, ვერ იქნა აღმოჩენილი ევროპული კონვენციის სტანდარტებთან შეუსაბამო პრაქტიკა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სიცოცხლის მოსპობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პრაქტიკასთან დაკავშირებით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომლის მიხედვით, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ სიცოცხლის მოსპობისათვის შეფარდებული სასჯელი უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი, რაც სხვა პირებს თავს შეაკავებინებს ასეთი დანაშაულის ჩადენისაგან. რაც შეეხება სიცოცხლის მოსპობისათვის მსჯავრდებულ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა მიმართ ამნისტიის გამოცხადებას ან შეწყალების გამოყენებას, სახელმწიფომ არ უნდა გამოიჩინოს არაგონივრული ლმობიერება მსჯავრდებულ პირთა მიმართ მათი ნაადრევი განთავისუფლებით სასჯელის მოხდისაგან.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, გატარდეს ღონისძიებები სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ სიცოცხლის მოსპობისათვის შეფარდებულ სასჯელთან ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერების უზრუნველსაყოფად. ასევე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ არ გამოიყენოს ამნისტია ან შეწყალება იმ სამართალდამცავის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა განზრახ მკვლელობა.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის პირველი ნაწილი მიმოიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის შესახებ.

მართალია, ევროპულმა სასამართლომ მხოლოდ 1995 წელს მიიღო პირველი გადაწყვეტილება, რომელშიც დაადგინა სიცოცხლის უფლების დარღვევა, ამ დროიდან მოყოლებული, მან არაერთ საქმეზე გამოიტანა გადაწყვეტილება ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის შესახებ. ამ მრავალრიცხოვანი გადაწყვეტილებების შედეგად ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებულმა სიცოცხლის უფლების განმარტებამ განიცადა უდიდესი პროგრესი და ნათელი მოჰფინა სიცოცხლის უფლების შინაარსს. სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, არა მხოლოდ თავი შეიკავოს სიცოცხლის მოსპობისაგან, არამედ გაატაროს ღონისძიებები სიცოცხლის უფლების დასაცავად. მან ასევე განმარტა, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სიცოცხლის უფლების დაცვა არა მხოლოდ არსებით ნაწილში, არამედ ასევე საპროცესო ნაწილში. ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, ცხადი გახდა, რომ სახელმწიფომ უნდა მიიღოს კანონმდებლობა, რომელიც მიმართული იქნება სიცოცხლის უფლების დაცვისაკენ, და უნდა უზრუნველყოს პრაქტიკული ღონისძიებების გატარება სიცოცხლის უფლების ეფექტიანად დასაცავად. სასამართლოს განმარტებით, სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულება არა მხოლოდ კრძალავს სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის არათანაზომიერ გამოყენებას, არამედ ვრცელდება ნებისმიერ სიტუაციაში პირის დაცვაზე, რომელშიც მის სიცოცხლეს შეიძლება დაემუქროს საფრთხე. რამდენიმე მაგალითიც კი საკმარისია იმ სიტუაციის მრავალფეროვნების თვალსაჩინოებისათვის, რომელზეც ვრცელდება სიცოცხლის დაცვის ვალდებულება, მათ შორის იდენტიფიცირებული პირის სიცოცხლის დაცვა სხვა კერძო პირისაგან (მესამე მხარისაგან) მომდინარე საფრთხის შემთხვევაში, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა; თავისუფლებააღკვეთილი პირებისა და სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირების სიცოცხლის დაცვა; სიცოცხლის დაცვა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში; საფრთხის შემცველი საწარმოო საქმიანობა, ბუნებრივი კატაკლიზმები და უბედური შემთხვევები. გარდა არსებითი ვალდებულებისა, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა დეტალური სტანდარტები საპროცესო ვალდებულების შესახებ, რომელთა მეშვეობით ფასდება, ჩაატარა თუ არა სახელმწიფომ სიცოცხლის მოსპობის შემთხვევის ეფექტიანი გამოძიება.

ვინაიდან რთული და, შეუძლებელიც კი, იქნება სიცოცხლის უფლების სწორი განმარტება მისი შინაარსის დეტალური გაცნობის გარეშე, ნაშრომში ასახულია ყველა ძირითადი საქმე, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის შინაარსის დადგენაში. ნაშრომში ამ მუხლის შინაარსის დეტალური მიმოხილვა მიმართულია იმისაკენ, ქართულენოვან მკითხველს დაეხმაროს, სწორად

შეიცნოს და უკეთესად გაიაზროს სიცოცხლის უფლების შინაარსი და მართებულად განმარტოს მისი არსი.

მართალია, ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე იმსჯელა სიცოცხლის უფლებაზე და ნათელი მოჰფინა მის შინაარსს სხვადასხვა სიტუაციაში, ვინაიდან კონვენცია მიიჩნევა „ცოცხალ დოკუმენტად“, მოსალოდნელია, რომ ევროპული სასამართლო კიდევ უფრო გააფართოებს კონვენციის მე-2 მუხლის გამოყენების არეალს და დააზუსტებს ამ უფლების შინაარსს. აქედან გამომდინარე, ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლის განმარტება შეიძლება ჩაითვალოს სიცოცხლის უფლების შინაარსის დადგენის ამოუწურავ რესურსად.

ვინაიდან მოსალოდნელია სიცოცხლის უფლების გამოყენების არეალისა და შინაარსის გაფართოება, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოებმა, მათ შორის საქართველომ, თვალ-ყური ადევნოს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს კონვენციის მე-2 მუხლის შესახებ, თუნდაც ეს გადაწყვეტილებები იყოს სხვა სახელმწიფოების მიმართ, რადგან ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა არ არის ერთჯერადი აქტი, არამედ არის მუდმივი პროცესი, რომელიც საჭიროებს განგრძობად ძალისხმევას სახელმწიფოს მხრიდან. საქართველომ უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა კანონმდებლობამ და პრაქტიკამ ფეხი აუწყოს ევროპული სასამართლოს უახლეს პრაქტიკას და მოახდინოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის ჰარმონიზება ევროპულ სტანდარტებთან. ეს დაეხმარება სახელმწიფოს იმაში, რომ მან დაიცვას სიცოცხლის უფლება საქართველოში ევროპული სტანდარტებით, ისე როგორც იმაში, რომ ევროპულ სასამართლოში არ დადგინდეს ამ უფლების დარღვევა საქართველოს მიმართ.

ვინაიდან ევროპული სასამართლოს პრაქტიკა არის ორიენტირი სახელმწიფოებისათვის, ამ პრაქტიკას შეუძლია, დაეხმაროს სახელმწიფოს იმ ნაბიჯების იდენტიფიცირებაში, რომელიც მან უნდა გადადგას სიცოცხლის უფლების ეფექტიანი დაცვისათვის. სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე საქართველოს შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა შეიძლება შეაფასონ თავიანთ სფეროებში მოქმედი კანონმდებლობა და პრაქტიკა და გააანალიზონ ის ნაბიჯები, რომლებიც შეიძლება გადადგან სიცოცხლის უფლების ეფექტიანად დასაცავად.

სიცოცხლის უფლების დაცვის სტანდარტების შესახებ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა სასარგებლო იქნება საქართველოს სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოებისათვის, რომელნიც ვალდებულნი არიან, გამოიყენონ ევროპული კონვენციის, მათ შორის მისი მე-2 მუხლით დადგენილი სტანდარტები ეროვნულ დონეზე სასამართლო და ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტის დროს.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ასევე შეიძლება სასარგებლო იყოს პროფესიული ჯგუფებისათვის შესაბამისი პროფესიული სტანდარტების ჩამოყალიბებისათვის, ისევე როგორც ამ პროფესიული ჯგუფების სასწავლო პროგრამებში სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებული სტანდარტების უკეთესად სწავლებისათვის. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა ასევე სასარგებლო იქნება უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის ამ უფლების შინაარსის უკეთესად შესასწავლად.

ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია სიცოცხლის უფლების მარეგულირებელი კანონმდებლობა და პრაქტიკა საქართველოში და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებთან.

სიცოცხლის უფლების დაცვის შესახებ ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზმა ცხადყო, რომ მოქმედი კანონმდებლობა, ძირითადად, შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, თუმცა ის

სრულყოფილად მაინც არ იცავს ამ უფლებას. ამიტომ აუცილებელია, გადაიდგას ნაბიჯები ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ნაშრომში გამოიკვეთა როგორც მოქმედი კანონმდებლობის დახვეწის საჭიროება, ისე გამოვლინდა სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ზოგიერთი საქმიანობის (სფეროს) საკანონმდებლო (ნორმატიული) მოწესრიგების აუცილებლობა.

ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის თვალსაზრისით, ზოგადი დასკვნა არის, რომ აუცილებელია, საქართველოში ყველა კანონისა და კანონქვემდებარე აქტის მიღებისას მხედველობაში იქნეს მიღებული ევროპული სასამართლოს სტანდარტები სიცოცხლის უფლების დაცვის შესახებ. ამ სტანდარტების გათვალისწინება უზრუნველყოფს ისეთი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტის მიღების თავიდან აცილებას, რომელიც არ აკმაყოფილებს სიცოცხლის უფლების დაცვის ევროპულ სტანდარტებს.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს პრაქტიკის შესაბამისობას, ნაშრომში გაკეთებულმა ანალიზმა გამოავლინა სიცოცხლის უფლების დაცვის სტანდარტების შესრულების არაერთი სირთულე. ცხადია, ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის პირობებშიც კი, თუ პრაქტიკაში არ მოხდა სიცოცხლის უფლების ევროპული სტანდარტების დაცვა, მაინც ჩაითვლება, რომ არ დაკმაყოფილდა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებთან სიცოცხლის უფლების მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს არაერთი დასკვნა და გამოითქვას რეკომენდაციები:

1. სიცოცხლის მოსპობის აკრძალვის (ნეგატიური ვალდებულება) მარეგულირებელი კანონმდებლობა და მისი შესრულების პრაქტიკა საქართველოში

1.1. სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულების მიმართ აღსანიშნავია, რომ, ევროპული კონვენციის მსგავსად, რომელიც უშვებს სამ გამონაკლისს სიცოცხლის მოსპობის აკრძალვიდან (ძალის გამოყენება არამართლზომიერი ძალადობისაგან პირის დაცვისას; პირის კანონიერად დაკავებას ან კანონიერად დაპატიმრებული პირის მიმალვის აღკვეთას; და კანონიერ ღონისძიებათა გატარებას აჯანყების ან ამბოხების ჩახშობისას), საქართველოს კანონმდებლობაც ითვალისწინებს სასიკვდილო ძალის გამოყენებას, რომელიც უნდა იყოს აბსოლუტურად აუცილებელი შექმნილ სიტუაციაში. კერძოდ, როგორც ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ძალა არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე ეს არის აბსოლუტურად აუცილებელი შექმნილ სიტუაციაში, იგივე მიდგომა აქვს საქართველოს კანონმდებლობას.

რაც შეეხება ძალის გამოყენებას არამართლზომიერი ძალადობისაგან პირის დაცვისას, როგორც ევროპული კონვენცია, ისე სისხლის სამართლის კოდექსი გამორიცხავს სუბიექტის პასუხისმგებლობას სხვა პირის სიცოცხლის მოსპო-

ბისათვის, თუ სიცოცხლის მოსპობისათვის მომგერიებელმა გამოიყენა ისეთი ძალა, რომელიც იყო თანაზომიერი მის წინაშე არსებულ საფრთხესთან.

რაც შეეხება სიცოცხლის მოსპობას კანონიერი დაკავებისას ან კანონიერად დაპატიმრებული პირის მიმალვის აღკვეთისას, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფოს წარმომადგენელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა აბსოლუტურად აუცილებელი ძალის გამოყენებისათვის, თუ გამოყენებული ძალის შედეგად პირი გარდაიცვალა. როგორც ერთ-ერთ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: „კანონიერი დაკავების ლეგიტიმურმა მიზანმა შეიძლება გაამართლოს ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა მხოლოდ აბსოლუტური აუცილებლობის შემთხვევაში.“

რაც შეეხება ამ საკითხის რეგულირებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, აღსანიშნავია შემდეგი: თუ კოდექსის 114-ე მუხლის მიხედვით, მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით იწვევს სისხლისსამართლებრივ სასჯელს, მაშინ, ამავე მუხლიდან გამომდინარე, მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაუცილებლად, არ არის მართლსაწინააღმდეგო და, შესაბამისად, არ იწვევს სისხლისსამართლებრივ სასჯელს. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ კოდექსის ეს მუხლი ზოგადად დაადგენდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას დამნაშავის შეპყრობისას მისი მკვლელობისათვის და არ მიუთითებდა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობაა დამნაშავის მკვლელობა „აუცილებელი ზომის გადაცილებით“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, თუ, ამ მუხლიდან გამომდინარე, მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაუცილებლად არ იწვევს სისხლისსამართლებრივ სასჯელს, და ამისათვის არ არის განსაზღვრული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, გამოდის, რომ დასაშვებია მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაუცილებლად. ცხადია, რომ კოდექსის 123-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით, არ ეხება ამ სიტუაციას, რადგან სიცოცხლის მოსპობის ფაქტი არ არის დამდგარი.

ამ მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი უნდა განიმარტოს ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, კერძოდ, მოქმედება არ უნდა ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგოდ, თუ აუცილებელი ზომის გადაუცილებლად პირი შეიპყრობს დამნაშავეს, მაშინაც კი, თუ აუცილებელ ზომას შედეგად მოჰყვა პირის გარდაცვალება, როგორც აუცილებელი ზომის გაუთვალისწინებელი შედეგი. აქედან გამომდინარე, პირს, რომელიც ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრობს დამნაშავეს საამისოდ აუცილებელი ზომის გადაუცილებლად, არ უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ, როგორც ევროპული კონვენცია, ისე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენენ თანაზომიერების პრინციპს, რომლის მიხედვით, დამნაშავის დასაკავებლად/შესაპყრობად პირმა შეიძლება გამოიყენოს თანაზომიერი ძალა. როგორც ევროპული კონვენცია, ისე სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს, რომ თუ გამოყენებულია თანაზომიერი ძალა დამნაშავის დასაკავებლად/შესაპყრობად, შემპყრობ პირს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა.

თეორიულად, რა მიდგომაც შეიძლება განსხვავებული იყოს ევროპულ კონვენციასა და სისხლის სამართლის კოდექსს შორის არის ის, გავრცელდება თუ არა თანაზომიერების პრინციპი ისეთ სიტუაციაზე, როდესაც ძალის გამოყენებას შედეგად მოჰყვა დამნაშავის მკვლელობა. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ადგენს, რომ, თუ სახელმწიფოს წარმომადგენელმა გამოიყენა აბსოლუტურად აუცილებელი ძალა, იგი არ აგებს პასუხს პირის მკვლელობისათვის. სისხლის სამართლის კოდექსის 29-ე მუხლის მეცნიერული განმარტებით კი, თანაზომიერების პრინციპი არ ვრცელდება დამნაშავის მკვლელობაზე და ვერცერთი აუცილებელი ზომა, რომელიც შეიძლება შემპყრობმა პირმა მიიღოს, ვერ გაამართლებს პირის მოქმედებას, რის გამოც მას დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მიუხედავად ამ თეორიული წინააღმდეგობისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკმარისი საფუძველია მტკიცებისათვის, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი დებულებები უნდა განიმარტოს ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, მოქმედება არ უნდა ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგოდ, თუ პირი შეეცდება დამნაშავის შეპყრობას აუცილებელი ზომის გადაუცილებლად, მაშინაც კი, თუ აუცილებელ ზომას შედეგად მოჰყვა პირის გარდაცვალება, როგორც აუცილებელი ზომის გაუთვალისწინებელი შედეგი, რის გამოც დამნაშავის შემპყრობ პირს არ უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

რაც შეეხება სიცოცხლის მოსპობას აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად კანონიერ ღონისძიებათა გატარებისას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ძალის გამოყენება აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად არ მიიჩნევა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებად. აქედან გამომდინარე, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი, რომელიც გამოიყენებს თანაზომიერ ძალას აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად და რომლის მოქმედებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს პირის (მაგ., პატიმრის) გარდაცვალება, ამ ორგანოს წარმომადგენელი არ განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. აქედან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სიცოცხლის უფლების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ევროპული კონვენციით.

1.2. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ვალდებულნი არიან, თავი შეიკავონ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის ისეთი გამოყენებისაგან, რომელიც არ არის აბსოლუტურად აუცილებელი და თანაზომიერი შექმნილ სიტუაციაში.

ვინაიდან სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ცეცხლსასროლ იარაღსა და ძალას იყენებენ როგორც საპოლიციო, ისე კონტრტერორისტული ოპერაციების დროს, ნაშრომში გაანალიზდა საქართველოში საპოლიციო და კონტრტერორისტული ოპერაციების ჩატარების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებთან.

საქართველოში პოლიციის მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და ძალის გამოყენების მარეგულირებელი საკანონმდებლო (ნორმატიული) ბაზის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ კანონი პოლიციის შესახებ საკმარისად დაწვრილებით აწესრიგებს ქვეყანაში ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესს და ის, მთლიანობაში, შეესაბამება ევროპული კონვენციის სტანდარტებს. ნაშრომში გამოვლინდა, რომ პოლიციის შესახებ კანონის დებულება,

რომელიც პოლიციელს ანიჭებს უფლებას, გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი დაცულ ობიექტზე, სახელმწიფო ორგანოზე ან/და საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე თავდასხმის მოგერიებისას, ეწინააღმდეგება ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ კანონი შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ევროპული სასამართლოს მიდგომასთან.

ამასთანავე, ამ ანალიზის შედეგად გამოიკვეთა პრობლემა, რომელიც შეეხება არამართლზომიერი ძალის გამოყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას არა მხოლოდ იმ პირებისათვის, რომლებიც უშუალოდ ატარებენ ოპერაციას, არამედ ასევე იმ პირებისათვის, რომლებიც ახდენენ ოპერაციის დაგეგმვას, განხორციელებასა და მასზე ზედამხედველობას. მართალია, კანონი ითვალისწინებს, რომ საპოლიციო ღონისძიების ჩატარება პოლიციის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების დარღვევით იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას და რომ პოლიციელი და სამინისტროს სხვა მოსამსახურე შეიძლება მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში, სისხლის სამართლის კოდექსი არ ადგენს იმ პირთა პასუხისმგებლობას, რომლებიც არასათანადოდ მართავდნენ საპოლიციო ოპერაციას და რომელთა ბრძანებით გამოიყენეს არათანაზომიერი ძალა, რამაც გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა.

რაც შეეხება საქართველოში კონტრტერორისტული ოპერაციების ჩატარების მარეგულირებელ კანონმდებლობას, მას აწესრიგებს როგორც საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, ისე კანონქვემდებარე აქტები. ამ აქტების ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოში კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების დროს ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესი, ძირითადად, შეესაბამება ევროპული კონვენციიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებებს. მიუხედავად ამისა, კანონი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დაკისრებას არც იმ პირებისათვის, რომლებიც უშუალოდ ატარებდნენ კონტრტერორისტულ ოპერაციას და არც იმ პირებისათვის, რომელთა მიერ კონტრტერორისტული ოპერაციის არასათანადო დაგეგმვის, ჩატარების ან მასზე ზედამხედველობის გამო პირს მოესპო სიცოცხლე.

მართალია, საქართველოს კანონმდებლობა საკმარისად დეტალურად აწესრიგებს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას, მნიშვნელოვანია, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა მიიღონ უწყებრივი ინსტრუქცია ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების წესის შესახებ. ცხადია, რომ ამ ინსტრუქციას საფუძვლად უნდა დაედოს საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული წესები ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ, თუმცა ამ ინსტრუქციებში უნდა განისაზღვროს ის საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზაში, მათ შორის სპეციალური ოპერაციის ტაქტიკა, ოპერაციის წარმოების დროს მიღებული გადაწყვეტილებების აღნუსხვა და სხვ.

რაც შეეხება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების პრაქტიკას საქართველოში, მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციისა და საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ პრაქტიკაში იყო პოლიციის მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და ძალის გამოყენების შემთხვევები, რომლებიც არც თანაზომიერი და არც მკაცრად აუცი-

ლებელი იყო. ასეთი შემთხვევების ნაწილი ეხებოდა პოლიციის მიერ პირების დადევნებას (რასაც მოჰყვა ამ პირების სიცოცხლის მოსპობა), მიუხედავად იმისა, რომ პოლიციას არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ იმ პირს, რომელიც ცდილობდა მიმალვას, ჰქონდა ჩადენილი ძალადობრივი დანაშაული, იყო საშიში და რომ მისი დაუკავებლობა გამოიწვევდა გამოუსწორებელ შედეგებს. პოლიციის მიერ ასეთ დადევნებასა და პირთა სიცოცხლის მოსპობის თავიდან აცილებას ხელს შეუწყობს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ უწყებრივი ინსტრუქციის მიღება პირის დაკავებისას ცეცხლსასროლი იარაღისა და ძალის გამოყენების წესების შესახებ, რომელსაც საფუძვლად დაედება ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და სახელმწიფოთა საუკეთესო პრაქტიკა. ასეთი ინსტრუქციის შემუშავებას უნდა მოჰყვეს პოლიციის თანამშრომელთა გადამზადება ამ წესების სწორი და ეფექტიანი გამოყენების შესახებ.

1.3. ექსტრადირებისა და დეპორტირების შესახებ ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს უცხოელის სიცოცხლის უფლების დაცვას სხვა სახელმწიფოსათვის მისი ექსტრადირების ან დეპორტირების შემთხვევაში, შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. რაც შეეხება პირის ექსტრადირებას ან დეპორტირებასთან დაკავშირებულ საქართველოს პრაქტიკას, მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად არ გამოვლენილა საქართველოს მიერ ისეთ სახელმწიფოში პირის ექსტრადირების ან დეპორტირების შემთხვევა, რომელშიც იგი დაექვემდებარა სიკვდილით დასჯას.

1.4. რაც შეეხება ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ, რომელიც არ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობას, ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ მოთხოვნას, რომლის მიხედვით, სახელმწიფო უზრუნველყოფს იმ პირთა შერჩევას, რომლებსაც აქვთ ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება. შსს-ს თანამდებობის პირების შემთხვევაში, დამატებით ისიც დადგენილია, რომ მათ უნდა ჰქონდეთ გავლილი სპეციალური მომზადება და მათ მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს სისხლისსამართლებრივი დევნა. ამასთანავე, გამოვლინდა აუცილებლობა, რომ კანონმდებლობამ განსაზღვროს ის შემთხვევები, როდესაც თანამდებობის პირს შეუძლია გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის ტარების უფლება მას აქვს. მოქმედი კანონმდებლობით, ასეთი შემთხვევები განსაზღვრულია მხოლოდ პოლიციის თანამშრომლების შემთხვევაში, რომელთა მიმართ კანონი მართებულად ადგენს, რომ დაკისრებული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად, პოლიციელი უფლებამოსილია, პროპორციულად გამოიყენოს გამოსადეგი იძულების ღონისძიებები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, იმ ინტენსივობით, რომელიც უზრუნველყოფს კანონიერი მიზნის მიღწევას.

საქართველოში არსებული მდგომარეობის შესწავლამ ასევე გამოავლინა იმის აუცილებლობა, რომ სახელმწიფომ გაატაროს დამატებითი ღონისძიებები, შესაბამისი თანამდებობის პირების, მათ შორის პოლიციის თანამშრომლების, მიერ, ცეცხლსასროლი იარაღის არასათანადო გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

2. სიცოცხლის უფლების დაცვის (პოზიტიური ვალდებულება) მარეგულირებელი კანონმდებლობა და მისი შესრულების პრაქტიკა საქართველოში: არსებითი ნაწილი

2.1. საქართველოს კანონმდებლობის შესწავლამ გამოავლინა, რომ ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მარეგულირებელი კანონმდებლობა აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს. რაც შეეხება პრაქტიკას, არსებული მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ, მართალია, ბოლო წლებში გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები საქართველოში ქალთა/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ, მათ შორის საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების, კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესების, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლის გაზრდისა და მსხვერპლთა დაცვის სამართლებრივი მექანიზმის განახლებული ფორმით ამოქმედების თვალსაზრისით, საქართველოში ქალთა/ოჯახში ძალადობის მიმართ რთული მდგომარეობაა. ამას მოწმობს როგორც კონკრეტული ფაქტები და სტატისტიკა, ისე ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებები.

აქედან გამომდინარე, საქართველოში ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის პრობლემა ევროპულ სტანდარტებთან მოქმედი კანონმდებლობის შეუსაბამობით კი არ არის განპირობებული, არამედ პრაქტიკაში მისი აღსრულების სირთულეებით. ამიტომ აუცილებელია, რომ გაგრძელდეს ეფექტიანი ღონისძიებების გატარება ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობაში წარმოშობილი იმ ხარვეზების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრისათვის, რომლებიც იწვევს ევროპული კონვენციის დარღვევას. ამას გარდა, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანად საბრძოლველად აუცილებელია, რომ აქტიურად წარიმართოს ცნობიერების ამაღლების კამპანია საზოგადოების წევრებისათვის ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის მექანიზმებზე ინფორმაციის მისაწოდებლად, რაც დაარწმუნებს მათ ძალადობის მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრის საჭიროებაში და მოქმედი მექანიზმების ეფექტიანობასა და სანდოობაში.

2.2. დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულის შესახებ ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზის შედეგად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგინდეს დებულება, რომელიც გავრცელდება დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ ყველა დანაშაულზე, კერძოდ, როგორც მკვლელობაზე, ისე სხვა დანაშაულზე, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს.

პრაქტიკაში პრობლემად რჩება სისხლისსამართლებრივი დევნა დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულისათვის ლგბტ+ თემის წარმომადგენლების მიმართ. არსებული ინფორმაციით, ამ თემის წარმომადგენლების მიმართ დანაშაულის ჩადენისას, ზოგიერთ შემთხვევაში არ იკვეთება დისკრიმინაციული მოტივი, რაც განპირობებულია საზოგადოებაში და მათ შორის საგამოძიებო ორგანოების თანამშრომლებს შორის არსებული გენდერული სტერეოტიპებით. მი-

უხედავად ამისა, ბოლოდროინდელი კვლევები ადასტურებს, რომ არის წინსვლა გენდერული მოტივის გამოკვეთის თვალსაზრისით და, შესაბამისად, გაიზარდა გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი. ეს დადებითი ტენდენცია განპირობებულია ამ დანაშაულების მიმართ პროაქტიური დამოკიდებულებით, მათ შორის ცნობიერების ამაღლებით სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ პროკურორებისა და შსს-ს წარმომადგენლებს შორის.

გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლის ზრდის დადებითი ტენდენციის შესანარჩუნებლად აუცილებელია, რომ, როგორც საქართველოს პროკურატურაში, ისე შსს-ში გადაიდგას შემდგომი ნაბიჯები დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოვლენის მიზნით, საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. ასევე აუცილებელია, რომ გატარდეს ღონისძიებები ლგბტ+ ჯგუფის მიმართ საზოგადოებაში არსებული ნეგატიური დამოკიდებულების, სტიგმისა და წინასწარგანწყობების აღმოსაფხვრელად.

2.3. სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გაატაროს სიცოცხლის დაცვისაკენ მიმართული ღონისძიებები არა მხოლოდ მაშინ, როდესაც საფრთხე ექმნება იდენტიფიცირებული პირის სიცოცხლეს სხვა კერძო პირის (მესამე მხარის) მიერ, არამედ მაშინაც, როდესაც პოტენციური საფრთხე ექმნება, ზოგადად, საზოგადოების წევრების სიცოცხლეს. საზოგადოების წევრების სიცოცხლისათვის საფრთხე შეიძლება მომდინარეობს როგორც პირობით ვადამდე განთავისუფლებული პატიმრებისაგან, ისე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისაგან.

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე განთავისუფლების შესახებ ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა დამაკმაყოფილებლად აწესრიგებს შესაბამის საკითხს, მათ შორის ითვალისწინებს საკმარის დაცვით მექანიზმს, საზოგადოების წევრების სიცოცხლის დაცვის უზრუნველსაყოფად.

რაც შეეხება საზოგადოების წევრების სიცოცხლის დაცვას ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისაგან მომდინარე საფრთხის თავიდან აცილების მარეგულირებელ კანონმდებლობას, მისმა შესწავლამ ცხადყო, რომ საქართველოს კანონმდებლობა, მთლიანობაში, სათანადოდ აწესრიგებს ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის სამედიცინო დაწესებულებაში ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის არანებაყოფლობით მოთავსების შესახებ. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, კანონმდებლობით პირდაპირ იყოს გათვალისწინებული, თუ პოლიცია მიიღებს ისეთ შეტყობინებას, რომ პირის ქცევა იძლევა სერიოზულ საფუძველს ფსიქიკური აშლილობის არსებობის შესახებ, მან უნდა უზრუნველყოს ასეთ პირზე ზედამხედველობა ფსიქიატრიულ სტაციონარში მის გამოსაკვლევად მოთავსებამდე, ამ პირის მიერ საკუთარი თავისა ან სხვისი სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ცეცხლსასროლი იარაღის შეძენაზე (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ლიცენზიის (ნებართვის) გაუცემლობას ან გაუქმებას იმ პირების მიერ, რომლებმაც შეიძლება საზოგადოების წევრების სიცოცხლეს შეუქმნას

საფრთხე (მაგ.: ფსიქიკურად დაავადებული პირი; საზოგადოებრივი წესრიგის სისტემატურად დამრღვევი პირი; ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით ან ტოქსიკომანიით დაავადებული პირი; მოძალადე პირი, რომლის მიმართაც გამოცემულია დამცავი, შემაკავებელი ორდერი). აქედან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა, მთლიანობაში, ასახავს ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ სტანდარტებს საზოგადოების წევრების სიცოცხლის დაცვის შესახებ. მართალია, კანონი დეტალურად აწესრიგებს როგორც ლიცენზიის (ნებართვის) გაცემაზე უარის, ისე გაცემული ლიცენზიის (ნებართვის) გაუქმების საფუძვლებს, თუმცა ევროპული სასამართლოს მიდგომიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობამ გაითვალისწინოს დამატებითი საფუძველი, რომელიც მიანიჭებს შსს სამინისტროს პირისათვის იარაღის შენახვისა და ტარების უფლების გაუქმებას/ცეცხლსასროლი იარაღის ჩამორთმევას, თუ გაჩნდა დასაბუთებული ეჭვი, რომ შესაბამისმა პირმა შეიძლება უკანონოდ გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, კანონმდებლობამ უნდა შექმნას ამ უფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის ეფექტიანი გარანტიები.

რაც შეეხება საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის პრაქტიკას, მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, ვერ იქნა მოძიებული ინფორმაცია საზოგადოების წევრისათვის სიცოცხლის მოსპობის შემთხვევის შესახებ საპატიმროდან პირობით ვადამდე განთავისუფლებული პატიმრის მიერ.

რაც შეეხება ფსიქიკური აშლილობის მქონე პირისაგან ადამიანის სიცოცხლისათვის პოტენციური საფრთხის შექმნას, მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს პრაქტიკაში იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ადამიანმა სხვა ადამიანს მოუსპო სიცოცხლე, რის შემდეგად იგივე მხარე (როგორც წესი, ადვოკატი) აცხადებს, რომ დამნაშავეს ჰქონდა ფსიქიკური აშლილობა. თუ ეს შემთხვევები განიხილება ევროპული სასამართლოს სტანდარტების მიხედვით, უნდა დაისვას კითხვა – იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა სახელმწიფოს ამ ადამიანების ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე საფრთხის შესახებ. თუ სახელმწიფომ იცოდა, რომ ეს ადამიანები, მათი ფსიქიკური მდგომარეობის გამო, ქმნიდნენ საფრთხეს სხვა ადამიანებისათვის, ოჯახის წევრების, თუ, ზოგადად, საზოგადოებისათვის, რა გონივრული ნაბიჯები გადადგა სახელმწიფომ ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად? თუ დადასტურდა, რომ ამ პირებს დანაშაულის ჩადენამდე ნამდვილად ჰქონდათ ფსიქიკური აშლილობა და ეს სახელმწიფომ იცოდა, მაგალითად, ოჯახში ძალადობის ფაქტის ან სამედიცინო კლინიკაში მკურნალობის გამო, სახელმწიფოს უნდა გაეტარებინა გონივრული ღონისძიებები ფსიქიკური აშლილობით გამოწვეული პოტენციური საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მაგალითად, თუ დადგინდა, რომ პირს აქვს ფსიქიკური აშლილობა, რომელიც შეიძლება გარშემომყოფთათვის ან საკუთარი თავისათვის საფრთხის შემცველი იყოს, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ პირზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღის დაუყოვნებლივ ჩამორთმევა. თუ მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს იარაღის ჩამორთმევას ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, აუცილებელია, რომ ეს მოხდეს ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ პირს აქვს ფსიქიკური აშლილობა.

რაც შეეხება ადამიანთა ისეთ კატეგორიას, რომლებიც შეიძლება განსაკუთრებით მოწყვლადი იყვნენ, მაგალითად, ყოფილი სამხედრო პირები, მათ მიმართ

აუცილებელია დამატებითი ღონისძიებების გატარება, როგორებიცაა: მათი პერიოდული ფსიქოლოგიური შემოწმება და ჩართვა ფსიქორეაბილიტაციის პროგრამებში. ასეთი გონივრული ღონისძიებების გატარების გზით სახელმწიფო შეძლებს, გამორიცხოს ან მინიმუმამდე შეამციროს ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანების მიერ საზოგადოების წევრების სიცოცხლის მოსპობა. ამასთანავე, აუცილებელია, რომ საზოგადოებაში ამაღლდეს ცნობიერება პირთა ფსიქიკური აშლილობით გამოწვეული პოტენციური საფრთხის პრევენციის გზების შესახებ.

2.4. პატიმრის სიცოცხლის (და ჯანმრთელობის) დაცვას, სხვა პატიმრებისაგან მომდინარე საფრთხის შემთხვევაში, აწესრიგებს საქართველოს რამდენიმე საკანონმდებლო (ნორმატიული) აქტი, მათ შორის საქართველოს პენიტენციური კოდექსი. საქართველოს კანონმდებლობის ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ, სხვა პატიმრებისაგან მომდინარე საფრთხის შემთხვევაში, პატიმრების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა აკმაყოფილებს ევროპული კონვენციის მოთხოვნებს. რაც შეეხება სხვა პატიმრებისაგან მომდინარე საფრთხისაგან პატიმრის სიცოცხლის დაცვის პრაქტიკას, არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგად გამოვლინდა ევროპული სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების სირთულეები.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ გადადგას პრევენციული ნაბიჯები, რომლებიც მიმართული იქნება, სხვა პატიმრებისაგან მომდინარე საფრთხის შემთხვევაში, პატიმრის სიცოცხლის მოსპობის თავიდან აცილებისაკენ.

2.5. რაც შეეხება თვითმკვლელობისაგან პატიმრის სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელ საკანონმდებლო (ნორმატიულ) აქტებს, მათი ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ისინი, ძირითადად, შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს. ამასთანავე, საქართველოს პენიტენციური კოდექსით დაშვებულია ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსება სამარტოო საკანში, საკუთარი თავის დაზიანების თავიდან ასაცილებლად. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოთავსება სამარტოო საკანში მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და თვითდაზიანების ან თვითმკვლელობის მცდელობის განმეორების საფრთხის გათვალისწინებით, აუცილებელია აიკრძალოს კანონმდებლობით.

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამედიცინო მკურნალობის/დახმარების ნებაყოფლობასთან მიმართებით ამ პირთათვის სამედიცინო დახმარების მარეგულირებელ კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს სიტუაცია, როდესაც ასეთ პირს, მისი ნების საწინააღმდეგოდ, უნდა აღმოეჩინოს სამედიცინო დახმარება მისი სიცოცხლის გადასარჩენად, როგორც ეს განსაზღვრულია ევროპული სასამართლოს პრაქტიკით.

რაც შეეხება თვითმკვლელობისაგან პატიმრის სიცოცხლის დაცვის პრაქტიკას, გავრცელებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, გამოვლინდა როგორც ევროპული კონვენციის სტანდარტების, ისე კანონმდებლობის მოთხოვნების პრაქტიკაში შეუსრულებლობის შემთხვევები, კერძოდ, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო პრევენციული ღონისძიებების გატარება თვითმკვლელობისაგან პატიმრის სიცოცხლის დასაცავად.

ვინაიდან ნაშრომში წარმოჩნდა, რომ თვითმკვლელობისაგან პატიმართა სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა, მთლიანობაში, შეესაბამება ევ-

როპული კონვენციის მოთხოვნებს, აუცილებელია, რომ გატარდეს პრაქტიკული ღონისძიებები ამ მოთხოვნების ზედმიწევნით შესრულების უზრუნველსაყოფად. პატიმართა სიცოცხლის ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად გასატარებელ ღონისძიებებს შორის არის პენიტენციურ სისტემაში მოქმედი სუიციდის პრევენციის პროგრამის შემდგომი გაუმჯობესება, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სუიციდისაკენ მიდრეკილ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა გამოვლენისა და სუიციდით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირების თვალსაზრისით. კერძოდ, პატიმართა თვითმკვლელობის თავიდან აცილებას ხელს შეუწყობს სუიციდის პრევენციის პროგრამის ეფექტიანობის ზრდა, რაც გულისხმობს სუიციდის რისკის მიმოხილვითი შეფასებისას ქულების მინიჭების სქემის დახვეწას, რათა თავიდან იქნეს აცილებული იმ პირებისათვის დაბალი რისკის განსაზღვრა, რომლებიც სინამდვილეში არიან საშუალო და მაღალი რისკის მატარებელნი.

2.6. ვინაიდან სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება მისი კონტროლის ქვეშ მყოფი პირების, კერძოდ, სამხედრო სამსახურში მყოფი პირებისა და ფსიქიატრიული და სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებში მოთავსებული პირების სიცოცხლის დაცვაზე, ნაშრომში განხილულია როგორც ამ პირთა სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობა, ისე მისი აღსრულება პრაქტიკაში.

სამხედრო მოსამსახურეების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების შედარებითი ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა, ძირითადად, შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს სამხედრო სამსახურში მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, გამოვლინდა რამდენიმე საყურადღებო საკითხი კანონმდებლობის დაზუსტების ან/და გაუმჯობესების აუცილებლობის შესახებ. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით სახელმწიფოებისათვის დაკისრებული ზოგიერთი ვალდებულება ვერ იქნა იდენტიფიცირებული საქართველოს კანონმდებლობის შესწავლის შედეგად. კერძოდ, ვერ იქნა აღმოჩენილი ნორმა, რომლის მიხედვით, ფსიქიკური პრობლემების მქონე სამხედრო მოსამსახურეს უნდა აეკრძალოს ისეთი მოვალეობების შესრულება, რომლებიც დაკავშირებულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან. ასევე ვერ იქნა აღმოჩენილი წესი/ინსტრუქცია ზემდგომი პირების მიერ სამხედრო მოსამსახურეებს შორის თვითმკვლელობის საფრთხის იდენტიფიცირებისა და სიტუაციასთან გამკლავების შესახებ.

თუ საქართველოს კანონმდებლობით მკაფიოდ განსაზღვრულია, რომ ყველა პირი, რომლებიც შედიან სამხედრო სამსახურში, გადიან ფსიქოლოგიურ შეფასებას, სავალდებულო სამხედრო სამსახურში ყოფნისას ასეთი შემოწმების პერიოდულობა განსაზღვრული არ არის. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს, სამხედრო სამსახურის გავლის დროს პერიოდულად შეფასდეს მოსამსახურის ფსიქიკური/ფსიქოლოგიური მდგომარეობა და, რაიმე პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა გადადგას შესაბამისი ნაბიჯები.

რაც შეეხება სამხედრო სამსახურში მყოფი პირის თვითმკვლელობის პრევენციას შეურაცხყოფისა და დამცირების შემთხვევაში, ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე დაადგინა სახელმწიფოს ვალდებულება, გაატაროს ღონისძიებები სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლის დასაცავად. საქართველოს თავდაცვის კოდექ-

სი ითვალისწინებს სამხედრო მოსამსახურის დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეებს (მაგ.: შენიშვნა, საყვედური, რიგგარეშე განმწესში დანიშვნა და ა.შ.) და გამორიცხავს სამხედრო მოსამსახურის შეურაცხყოფასა და დამცირებას.

რაც შეეხება სამხედრო სამსახურში მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის პრაქტიკას საქართველოში, მასმედიის საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს სამხედრო სამსახურში თვითმკვლელობა არ არის იშვიათობა, რასაც მოწმობს ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მომხდარი ფაქტები.

საქართველოში სამხედრო სამსახურში თვითმკვლელობის თავიდან აცილებისაკენ მიმართული ღონისძიებების გატარების მიუხედავად, არსებული პრაქტიკის მიმოხილვა ეჭვის ქვეშ აყენებს სისტემის მოქმედების ეფექტიანობას. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, გარდა საკანონმდებლო ღონისძიებებისა, აუცილებელია, გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები სამხედრო პირებს შორის თვითმკვლელობის შესამცირებლად. ამ ღონისძიებებში იგულისხმება ისეთი ნაბიჯები, რომლებიც მიმართული იქნება სამხედრო მოსამსახურეთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის პერიოდული შემოწმებისა და მათთვის ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენისაკენ, სიცოცხლისათვის საფრთხის არსებობის შემთხვევაში.

აუცილებელია გატარდეს ღონისძიებები თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შექმნილი სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტის საქმიანობის ეფექტიანობის გასაზრდელად, რაც ხელს შეუწყობს თვითმკვლელობის შემთხვევათა თავიდან აცილებას.

თვითმკვლელობის (სუიციდის) საკითხი აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოს სამხედრო სამსახურში, არამედ, ზოგადად, მთელი მოსახლეობისათვის. 2019 წლის 6 თვის მონაცემებით, საქართველოში სიცოცხლე სუიციდით 207-მა ადამიანმა დაასრულა, მისი მცდელობა კი იმავე პერიოდში ჰქონდა 219 ადამიანს. 2018 წელს საქართველოში თვითმკვლელობით სიცოცხლე 389 ადამიანმა დაასრულა, ხოლო თვითმკვლელობის მცდელობა ჰქონდა 477 ადამიანს. გამოწვევად რჩება ბავშვთა სუიციდის პრევენცია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სუიციდის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, ქვეყანაში არ არსებობს სუიციდის პრევენციის სტრატეგია. ეს სტრატეგია საქართველოში 2015-2016 წლებში უნდა შემუშავებულიყო, თუმცა ის დღემდე არ არსებობს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, საქართველოში შემუშავდეს სუიციდის პრევენციის ეროვნული სტრატეგია, რომელიც მოიცავს მთელ მოსახლეობას, მათ შორის ბავშვებს, ხოლო მისი განხორციელება უნდა იყოს უზრუნველყოფილი სათანადო რესურსებით.

რაც შეეხება ფსიქიატრიული და სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებში მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელ კანონმდებლობას, მისი შესწავლის საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა, მთლიანობაში, უზრუნველყოფს ამ პირთა სიცოცხლის უფლების დაცვას, ევროპული კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ბავშვთა უფლებების კოდექსი ადგენს, რომ 2020 წლის 1 მარტამდე უნდა მოხდეს დეინსტიტუციონალიზაციის ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმისა მიღება, რომელიც დღემდე არ მიღებულა. მართალია, საქართველოში თითქმის აღარ არსებობს დიდი ზომის ბავშვთა სახლები, თუმცა ის ფაქტი, რომ კოდექსმა დაადგინა დეინსტიტუცი-

ონალიზაციის ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღების საჭიროება, ადასტურებს, რომ დეინსტიტუციონალიზაციის საკითხი ბოლომდე არ არის მოგვარებული. კოდექსი ასევე ადგენს, რომ 2020 წლის 1 მარტამდე საქართველოს მთავრობამ უნდა დაამტკიცოს ბავშვთა დაცვის ტექნიკური რეგლამენტი. არც ეს რეგლამენტია ამ დრომდე დამტკიცებული.

რაც შეეხება ფსიქიატრიული და სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებში მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის პრაქტიკას საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების მიხედვით, არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებებში, სადაც ვერც ინფრასტრუქტურა, საყოფაცხოვრებო პირობები, სამედიცინო მომსახურება და ვერც სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს პაციენტთა მკურნალობის მინიმალური სტანდარტების დაცვას. სახალხო დამცველის ანგარიშით, გამოვლინდა გარდაცვალების შემთხვევები, რომლებიც, სავარაუდოდ, გამოწვეულია არსებული არადამაკმაყოფილებელი პირობებით.

აქედან გამომდინარე, საქართველოში ფსიქიატრიული და სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებში მყოფი პირების სიცოცხლის დაცვის პრაქტიკა არ აკმაყოფილებს არც ევროპული კონვენციით და არც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამიტომ უნდა გატარდეს ეფექტიანი და კომპლექსური ღონისძიებები ფსიქიატრიული და სოციალური მზრუნველობის დაწესებულებებში მყოფი პირების სიცოცხლის ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად.

2.7. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროზე და, გარკვეულ გარემოებებში, სახელმწიფოს აკისრებს სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულებას. ევროპული კონვენციის სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა, მთლიანობაში, ასახავს ევროპული კონვენციით დადგენილ სიცოცხლის დაცვის სტანდარტებს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ამასთანავე, აუცილებელია, რომ დაზუსტდეს პაციენტის უფლებების შესახებ კანონის დებულების შინაარსი პაციენტის სხვა საავადმყოფოში გადამისამართების ვალდებულების შესახებ, რომელმაც სრულყოფილად უნდა ასახოს ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.

რაც შეეხება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სიცოცხლის დაცვის პრაქტიკას საქართველოში, მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციისა და საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს პრაქტიკა, მთლიანობაში, შეესაბამება ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. ამასთანავე, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სამედიცინო დაწესებულება/ექიმი ახორციელებს საქმიანობას შესაბამისი ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, გატარდეს ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება იმის უზრუნველყოფისაკენ, რომ არ დაიშვას სამედიცინო დაწესებულების/ექიმის საქმიანობა შესაბამისი ნებართვის (ლიცენზიის) გარეშე.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი იძლევა მტკიცების საფუძველს, რომ საქართველოს საკანონმდებლო (ნორმატიული) ბაზა სათანადოდ უზრუნველყოფს თავისუფლებააღკ-

ვეთილი პირებისათვის დროული სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და მკურნალობის ვალდებულებას ამ პირთა სიცოცხლის დასაცავად.

თავისუფლებააღკვეთილი პირების ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკის შესწავლამ, რომელსაც საფუძვლად უდევს საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები და საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, გამოავლინა ევროპული სასამართლოსა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების ნაკლოვანებები, კერძოდ, გამოვლინდა, რომ პრაქტიკაში იყო თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის სამედიცინო მომსახურების, მათ შორის, დაგვიანებული და არასათანადო სამედიცინო მომსახურების გაწევის შემთხვევები. გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, უხარისხო ან/და გაჭიანურებული სამედიცინო დახმარება აღმოჩნდა პატიმრების სიკვდილის მიზეზი. სახალხო დამცველის ანგარიშის შესაბამისად, აუცილებელია, რომ პატიმრების გარდაცვალების ფაქტებზე ჩატარებულმა გამოძიებამ ყურადღება გაამახვილოს არა მხოლოდ ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ძალადობის შედეგად გამოწვეული გარდაცვალების მიზეზების გამოვლენაზე, არამედ საფუძვლიანად უნდა შეფასდეს ყველა გარდაცვლილი პატიმრისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხი და ადეკვატურობა, სამედიცინო პერსონალის მხრიდან არასათანადო მკურნალობის ან გულგრილობის შემთხვევების დასადგენად ან/და გამოსარიცხად.

2.8. საქართველოში სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საწარმოო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზმა ცხადყო, რომ ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო (ნორმატიული) ბაზა, მთლიანობაში, დამაკმაყოფილებლად აწესრიგებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ სტანდარტებს, რომლებიც მოითხოვს, რომ სახელმწიფომ გაატაროს პრევენციული ღონისძიებები სამუშაო ადგილას შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე, საქართველოს კანონმდებლობის ანალიზმა გამოავლინა ქვეყანაში დამატებითი ტექნიკური სტანდარტების დაწესების საჭიროება. კერძოდ, აუცილებელია, რომ საქართველოს მთავრობამ მიიღოს ტექნიკური რეგლამენტი სამუშაო ადგილზე აზბესტის, კარცინოგენების, მუტაგენებისა და ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედებასთან დაკავშირებული რისკებისაგან დასაქმებულთა დაცვის შესახებ, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ.

ზოგადად კი, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ან თითქმის ყველა საწარმოო საქმიანობა შეიცავს სხვადასხვა ხარისხის საფრთხეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის (მაგალითად: ქიმიური წარმოება, წიაღისეულის მოპოვება, ქვის გადამამუშავებელი წარმოება). სახელმწიფომ თავად უნდა განსაზღვროს, რომელი საწარმოო საქმიანობა უნდა ჩაითვალოს სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველად და რა ხარისხით, და, შესაბამისად, მან უნდა დაადგინოს ის პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც უნდა გაატაროს კონკრეტული საფრთხის შემცველი საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე. თუ საწარმოო საქმიანობა უქმნის მაღალ საფრთხეს ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, ასეთი საქმიანობა შეიძლება საერთოდ აიკრძალოს (მაგალითად, აზბესტის გამოყენებასთან დაკავშირებული საქმიანობა), ხოლო თუ საწარმოო საქმიანობიდან მომდინარე საფრთხე არის საშუალო ან დაბალი, სახელმწიფოს შეუძლია, დააწესოს ისეთი მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის მინიმუმამდე შემცირებას.

იმის განსასაზღვრავად, არის თუ არა ესა თუ ის საწარმოო საქმიანობა საფრთხის შემცველი და რა ხარისხით, სახელმწიფომ შეიძლება გამოიყენოს სხვადასხვა კვლევა, საწარმოო შემთხვევების სტატისტიკა, საწარმოო პრაქტიკისა და სამუშაო ადგილას პირთა გარდაცვალების შემთხვევების ანალიზი, საჩივრები და ა.შ. ამ გზით სახელმწიფო შეძლებს იმისა შეფასებას, არის თუ არა კონკრეტული საწარმოო საქმიანობა საფრთხის შემცველი ადამიანის სიცოცხლისათვის, რაც მას დაეხმარება, უზრუნველყოს შესაფერისი პრევენციული ღონისძიებების გატარება სიცოცხლის დასაცავად.

სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საწარმოო საქმიანობის განხორციელების პრაქტიკის შესწავლის შედეგად გამოვლინდა საწარმოო უბედური შემთხვევების შემაშფოთებელი მდგომარეობა საქართველოში. ბოლო წლებში საქართველოში არაერთი შემთხვევა მოხდა, რომელთაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა საწარმოო (შრომითი) საქმიანობის დროს. ამას მოწმობს როგორც მრავალი კონკრეტული ფაქტი, ისე სამუშაო ადგილზე პირთა გარდაცვალების სტატისტიკური მონაცემები. ამ პერიოდის განმავლობაში გარდაცვალების ყველაზე მეტი შემთხვევა მშენებლობის სფეროში მოხდა. მართალია, ეს სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ საქართველოში ნელ-ნელა მცირდება გარდაცვალებათა რაოდენობა სამუშაო ადგილზე, რაც შეიძლება აიხსნას როგორც მარეგულირებელი კანონმდებლობის გამკაცრებით, რომელიც დამსაქმებლებს აკისრებს ვალდებულებას, მკაცრად დაიცვან შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები, ისე შრომის ინსპექციის საქმიანობის გააქტიურებით, ჯერ კიდევ უდიდესი სამუშაოა ჩასატარებელი საწარმოო უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. ქვეყანაში სამუშაო ადგილზე გარდაცვალებათა რაოდენობის მაღალი მაჩვენებლის გამო, საჭიროა შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობის ხელშეწყობა, რისთვისაც აუცილებელია ამ სამსახურის ხელთ არსებული რესურსების გაზრდა, რაც უზრუნველყოფს ინსპექტირებათა რაოდენობის ეტაპობრივ მომატებას და, საბოლოოდ, შეამცირებს სიკვდილიანობას სამუშაო ადგილზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ გატარდეს ეფექტიანი ღონისძიებები როგორც საწარმოო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუმჯობესების, ისე მისი ზედმიწევნით შესრულების უზრუნველსაყოფად, მათ შორის შრომის ინსპექციის სამსახურის ეფექტიანობის გაზრდის გზით.

2.9. ვინაიდან სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეული საფრთხეებისაგან ადამიანის სიცოცხლის დაცვაზე, სახელმწიფომ უნდა მიიღოს შესაფერისი საკანონმდებლო (ნორმატიული) ჩარჩო და უზრუნველყოს მისი აღსრულება პრაქტიკაში, ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეული საფრთხეებისაგან სიცოცხლის დასაცავად.

ბუნებრივი კატაკლიზმების თავიდან აცილების მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა კარგად ასახავს ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს ბუნებრივი კატაკლიზმებით გამოწვეული საფრთხეებისაგან ადამიანის სიცოცხლის დაცვის მიმართ. გარდა კანონმდებლობისა, ქვეყანაში მნიშვნელოვანი იყო კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება, რომელიც მიმართული იყო კანონმდებლობის შესრულების ხელშეწყობისაკენ. საქართველოში ბუნებრივი კატასტროფის მაღა-

ლი რისკების გათვალისწინებით, აუცილებელი იყო ასეთი დოკუმენტის მიღება მომდევნო პერიოდშიც, თუმცა ის არ მიღებულა, ამიტომ მნიშვნელოვანია ასეთი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიღება და მისი ზედმიწევნით შესრულება.

რაც შეეხება ბუნებრივი კატაკლიზმების თავიდან აცილების პრაქტიკას საქართველოში, ნაშრომში მოხდა ბოლო წლების ყველაზე დიდი სტიქიური მოვლენების – 2015 წლის წყალდიდობა თბილისში და 2023 წლის რაჭის (შოვის) სტიქია – მაგალითებზე სახელმწიფოს მიერ გატარებული პრაქტიკული ღონისძიებების შეფასება. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ორივე სტიქიური მოვლენის შესწავლის შედეგად დაისვა კითხვები. ამ კითხვებზე გაცემულ პასუხებზე დამოკიდებულია იმის შეფასება, შეასრულა თუ არა სახელმწიფომ სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება ამ მოვლენების მიმართ.

2015 წლის წყალდიდობის მიმართ ნაშრომში დაისვა კითხვა: სახელმწიფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა სტიქიის ტერიტორიაზე საფრთხის შესახებ? ვინაიდან, გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, ნაშრომში ამ კითხვაზე გაიცა დადებითი პასუხი, ჩნდება სხვა კითხვები: რა ნაბიჯები გადადგა სახელმწიფომ წყალდიდობის გამანადგურებელი შედეგის თავიდან ასაცილებლად? გაითვალისწინა თუ არა სახელმწიფომ სტიქიის საფრთხე ამ ტერიტორიის დაგეგმარებისას, მათ შორის ვაკე-საბურთალოს გზატკეცილის ქვეშ მდინარე „ვერეს“ გვირაბებში მოქცევისა და ამ ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების მასობრივი მშენებლობის შესახებ ნებართვების გაცემისას? უზრუნველყო თუ არა მან ამ ტერიტორიაზე ადრეული შეტყობინებისა და მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირება? და, ზოგადად, რა ღონისძიებები გაატარა სახელმწიფომ ამ ტერიტორიაზე ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან მის მინიმუმამდე შესამცირებლად?

ნაშრომის მომზადების პროცესში ვერ იქნა აღმოჩენილი რაიმე ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებდა, რომ: სახელმწიფომ გადადგა რაიმე ნაბიჯი წყალდიდობის გამანადგურებელი შედეგის თავიდან ასაცილებლად; სახელმწიფომ გაითვალისწინა სტიქიის საფრთხე ამ ტერიტორიის დაგეგმარებისას, მათ შორის ვაკე-საბურთალოს გზატკეცილის ქვეშ მდინარე „ვერეს“ გვირაბებში მოქცევისა და ამ ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების მასობრივი მშენებლობის შესახებ ნებართვების გაცემისას; სახელმწიფომ უზრუნველყო ამ ტერიტორიაზე ადრეული შეტყობინებისა და მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირება; ზოგადად, სახელმწიფომ გაატარა ღონისძიებები ამ ტერიტორიაზე ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან მის მინიმუმამდე შესამცირებლად.

რაც შეეხება 2023 წლის რაჭის (შოვის) სტიქიას, ამ სტიქიურ მოვლენასთან დაკავშირებით ასევე შეიძლება დაისვას კითხვა: სახელმწიფომ იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა შოვის საკურორტო ზონის ტერიტორიაზე სტიქიის საფრთხის შესახებ? კონკრეტული მტკიცებულებების საფუძველზე, ნაშრომი ამტკიცებს, რომ სახელმწიფომ იცოდა შოვის საკურორტო ზონაში ღვარცოფის საფრთხის შესახებ. თუ პირველ კითხვაზე გაიცა დადებითი პასუხი, უნდა დაისვას რამდენიმე სხვა კითხვა: რა ნაბიჯები გადადგა სახელმწიფომ იმისათვის, რომ მოეხდინა ამ საფრთხისაგან ადამიანთა სიცოცხლის დაცვა? გაითვალისწინა თუ არა სახელმწიფომ სტიქიის საფრთხე ამ ტერიტორიის დაგეგმარებისას? უზრუნველყო თუ არა მან ამ ტერიტორიაზე ადრეული შეტყობინებისა და მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირება? იცოდა თუ არა საზოგადოებამ და, კონკრეტულად, შოვის საკურორტო ზონაში დამსვენებლებმა ღვარცოფის საფრთხის შესახებ?

და, ზოგადად, რა ღონისძიებები გაატარა სახელმწიფომ ამ ტერიტორიაზე ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან მის მინიმუმამდე შესამცირებლად?

გავრცელებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, ნაშრომში გაკეთდა რამდენიმე დასკვნა, რომელთა მიხედვით: სახელმწიფოს არ გადაუდგამს სათანადო ნაბიჯები, რათა მოეხდინა სტიქიის საფრთხისაგან ადამიანთა სიცოცხლის დაცვა; სახელმწიფოს არ გაუთვალისწინებია სტიქიის საფრთხე ამ ტერიტორიის დაგეგმარებისას; სახელმწიფოს არ უზრუნველუყვია სტიქიის ტერიტორიაზე ადრეული შეტყობინებისა და მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირება; საზოგადოებამ და, კონკრეტულად, შოვის საკურორტო ზონაში დამსვენებლებმა, არ იცოდნენ ღვარცოფის საფრთხის შესახებ; ზოგადად, სახელმწიფოს არ გაუტარებია ეფექტიანი ღონისძიებები ამ ტერიტორიაზე ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან მის მინიმუმამდე შესამცირებლად.

მართალია, საკითხის შესწავლის შედეგად ნაშრომში გაკეთდა დასკვნა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება არსებით ნაწილში, ორივე სტიქიურ მოვლენასთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე პასუხი უნდა გასცეს გამოძიებამ, თუმცა, მიუხედავად იმისა, რა პასუხს გასცემს გამოძიება ამ კითხვებს, მაღალი ალბათობით, საბოლოოდ, ევროპული სასამართლო შეაფასებს, შეასრულა თუ არა სახელმწიფომ სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება ამ სტიქიური მოვლენების შემთხვევაში.

2.10. სასკოლო გარემოში უბედური შემთხვევების თავიდან აცილების შესახებ ევროპული კონვენციის სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოში სკოლის მოსწავლის სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი საკანონმდებლო (ნორმატიული) ჩარჩო, ძირითადად, ასახავს ევროპულ სტანდარტებს. ამასთანავე, გამოვლინდა აუცილებლობა, რომ კანონმდებლობით დადგინდეს მოსწავლის მშობლების ვალდებულება, სკოლას მიაწოდონ ინფორმაცია მოსწავლის დაავადების შესახებ, რომელიც შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს მისი სიცოცხლისათვის.

რაც შეეხება სკოლის მოსწავლეების მიმართ/სასკოლო გარემოში უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მარეგულირებელი კანონმდებლობის აღსრულებას პრაქტიკაში, აუცილებელია, გატარდეს ღონისძიებები მოქმედი კანონმდებლობის ზედმიწევნით შესრულების უზრუნველსაყოფად. ამას ხელს შეუწყობს სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისათვის სპეციალური სწავლების ჩატარება იმ ვალდებულებების შესახებ, რომლებიც სახელმწიფოს/სკოლას ეკისრება სასკოლო გარემოში მოსწავლეების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

2.11. ერთ-ერთი სფერო, რომელშიც არსებობს მომეტებული საფრთხე სიცოცხლისათვის, სამშენებლო საქმიანობაა, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამშენებლო საქმიანობის სფეროში ისეთი მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღებას, რომელიც მიმართული იქნება პირთა სიცოცხლის დაცვისაკენ უბედური შემთხვევებისაგან და მის ეფექტიან აღსრულებას პრაქტიკაში.

სამშენებლო საქმიანობის სფეროში საქართველოში მოქმედებს საკმარისად დეტალური საკანონმდებლო (ნორმატიული) ბაზა, რომელიც მიმართულია

პირთა სიცოცხლის დაცვისაკენ უბედური შემთხვევებისაგან. რაც შეეხება ევროპული კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებებს, ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობის ანალიზმა ცხადყო, რომ ევროპული სასამართლოს სტანდარტები სათანადოდ არის ასახული საქართველოს კანონმდებლობაში. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში ხშირია მუშების მიერ მშენებლობის სტანდარტების დარღვევა, რასაც შედეგად მოჰყვება სიცოცხლის მოსპობა. ამიტომ აუცილებელია კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების ზედმიწევნით შესრულება, მათ შორის: ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებების გამოყენება და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ზედამხედველობა მშენებლობის პროცესზე; ასევე აუცილებელია, რომ დადგეს იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომლებმაც არ შეასრულეს სამშენებლო უსაფრთხოების სტანდარტები, მათ შორის როგორც დამკვეთისა და შემსრულებლის, ისე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პასუხისმგებლობა, რომელსაც ევალება ზედამხედველობა ამ სამშენებლო მოთხოვნების დაცვაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გატარდეს ღონისძიებები კანონმდებლობით გათვალისწინებული სამშენებლო უსაფრთხოების სტანდარტების ეფექტიანი აღსრულებისათვის და იმ პირებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, რომლებიც არ ასრულებენ უსაფრთხოების სტანდარტებს. ასევე, უნდა გადაიდგას ნაბიჯები იმ სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის გასაზრდელად, რომელიც პასუხისმგებელია სამშენებლო უსაფრთხოების სტანდარტების შესრულების ზედამხედველობაზე.

2.12. სამხედრო საქმიანობის სფეროში სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, გადადგას ნაბიჯები სიცოცხლის მოსპობის თავიდან ასაცილებლად, რომელიც შეიძლება მოჰყვეს სამხედრო წვრთნებს ან ნაღმის აფეთქებას.

ევროპული სტანდარტებისა და საქართველოს საკანონმდებლო (ნორმატიული) აქტების შესაბამისობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სამხედრო წვრთნებისა და ნაღმის აფეთქებისაგან სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობა დამაკმაყოფილებლად ასახავს ევროპულ სტანდარტებს.

საქართველოში სამხედრო საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ბოლოდროინდელი პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ სამხედრო წვრთნებს არ გამოუწვევია რაიმე საფრთხე სიცოცხლისათვის.

რაც შეეხება ნაღმების აფეთქებით გამოწვეულ საფრთხეს სიცოცხლისათვის, გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიაზე, აზერბაიჯანის საზღვართან, ე.წ. „წითელ ხიდთან“, არის შვიდკილომეტრიანი დანაღმული ტერიტორია, რომელიც ესაზღვრება მჭიდროდ დასახლებულ სოფელ კირაჩ-მუღანლოს. ამ ტერიტორიაზე განთავსებულია ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითსაწინააღმდეგო ათასზე მეტი ნაღმი, რომლებიც აზერბაიჯანელმა სამხედროებმა განათავსეს სომხეთის სავარაუდო შემოტევისაგან თავის დასაცავად. წლების განმავლობაში დანაღმულ ტერიტორიაზე არაერთი შემთხვევა მოხდა, რომლებმაც გამოიწვიეს საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლის მოსპობა ან დასახიჩრება. გავრცელებული ინფორმაციით, საქართველო საკუთარ ტერიტორიას ვერ წმენდს ნაღმებისაგან, რადგან ამას ეწინააღმდეგება აზერბაიჯანი. აქედან

გამომდინარე, ადგილობრივი მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის არსებული საფრთხის გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ აზერბაიჯანთან მოსაზღვრე ტერიტორია გაიწმინდოს ნაღმებისაგან.

2.13. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება სიცოცხლის დაცვაზე ისეთი უბედური შემთხვევისაგან, რომელიც გამოწვეულია ტექნიკური უსაფრთხოების სტანდარტების დარღვევით. სახანძრო და ელექტროქვესადგურების უსაფრთხოების შესახებ ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა, მთლიანობაში, აკმაყოფილებს შესაბამის ევროპულ სტანდარტებს.

რაც შეეხება არსებულ პრაქტიკას, ევროპული სასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილებებისა და მისი ზოგადი პოზიციის საფუძველზე, ნაშრომში გაანალიზდა ისეთი ტექნიკური უსაფრთხოების სტანდარტების შესრულება ქვეყანაში, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს სიცოცხლის უფლების დარღვევა.

საქართველოში ბუნებრივი გაზის გაჟონვის შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებელი მრავალი წლის განმავლობაში სავალალო იყო, თუმცა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გარდაცვალების შემთხვევების რაოდენობა შემცირებისაკენაა. მიუხედავად ამისა, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ გაატაროს დამატებითი ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება ბუნებრივი გაზის გაჟონვის თავიდან აცილებისაკენ.

მართალია, რომ ბოლო წლებში სახელმწიფოს ჰქონდა რამდენიმე ინიციატივა საქართველოში მდგომარეობის გამოსასწორებლად, მათ შორის: საცხოვრებელ კორპუსებში ბუნებრივი გაზის გაჟონვის ამომცნობი დეტექტორების დამონტაჟება, გაზის დანადგარების ყოველწლიური სავალდებულო შემოწმება, ასევე იყო ინიციატივა, რომ კანონმდებლობით აიკრძალოს ღია წვის დანადგარების გამოყენება, მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, არც ბუნებრივი გაზის გაჟონვის ამომცნობი დეტექტორების დამონტაჟება არ მომხდარა და არც აკრძალულა ღია წვის დანადგარების გამოყენება.

ბუნებრივი გაზის გაჟონვის შედეგად გარდაცვალების თავიდან აცილებაში მნიშვნელოვანი როლი აქვს გაზის გამანაწილებელ კომპანიას, თუმცა ქვეყანაში მდგომარეობის გაუმჯობესება უნდა მოხდეს არა მხოლოდ ასეთი კომპანიის ეფექტიანი მუშაობის ხარჯზე, არამედ, ასევე, სახელმწიფოს მიერ კომპლექსური ღონისძიებების გატარების შედეგად. ასეთი ღონისძიებები უნდა მოიცავდეს როგორც სათანადო მარეგულირებელი ნორმების დადგენას, ისე ტექნიკური მოთხოვნების დაწესებასა და მათ შესრულებაზე ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელებას, რაც, საბოლოოდ, უზრუნველყოფს უბედური შემთხვევების გამორიცხვას ან მათ მინიმუმამდე შემცირებას.

მართალია, ევროპულ სასამართლოს არცერთ საქმეზე არ უმსჯელია ლიფტების გაუმართაობით გამოწვეული სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაზე, ტექნიკური უსაფრთხოების სტანდარტების მიმართ სასამართლოს ზოგადი პოზიციიდან გამომდინარე, ნაშრომში გაანალიზდა ამ სტანდარტების მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობა. კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ საქართველოში მოქმედებს სათანადო საკანონმდებლო (ნორმა-

ტიული) ჩარჩო, რომელიც მიმართულია ლიფტების ტექნიკური გაუმართაობით გამოწვეული უბედური შემთხვევისაგან სიცოცხლის დაცვისაკენ.

საქართველოში საცხოვრებელი კორპუსების გაუმართავი ლიფტებით სარგებლობა, რომლებსაც დიდი ხნის წინ გაუვიდა ექსპლუატაციის ვადა, ხშირად ხდება უბედური შემთხვევის მიზეზი. ამას ადასტურებს ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მომხდარი არაერთი უბედური შემთხვევა.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც ეხება ლიფტების გაუმართაობით გამოწვეული სიცოცხლის მოსპობის თავიდან აცილებას, არის, ვინ უნდა უზრუნველყოს ლიფტების გამართული ფუნქციონირება. ერთი პოზიციის მიხედვით, ვინაიდან საცხოვრებელი კორპუსები პრივატიზებულია, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ თავად უნდა იზრუნოს ლიფტების უსაფრთხოებაზე და მას ეკისრება პასუხისმგებლობა უბედური შემთხვევისათვის; მეორე პოზიციის მიხედვით, მართალია, ეს კორპუსები და მათში არსებული ლიფტები ამხანაგობის საკუთრებაა, პრობლემის დიდი მასშტაბისა და მოსახლეობის ხელთ არსებული მწირი ფინანსური რესურსების გამო, მისი მოგვარება სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იქნება.

ლიფტების გამართულ მუშაობაზე და, შესაბამისად, ლიფტების გაუმართაობით გამოწვეული უბედური შემთხვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ მოსახლეობაზე (ამხანაგობაზე), არ არის სწორი პოზიცია, რადგან სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე და ნებისმიერი საფრთხის თავიდან აცილებაზე, რომელმაც შეიძლება მოუსპოს ადამიანს სიცოცხლე. აქედან გამომდინარე, მართებულია, რომ სახელმწიფომ თავისი მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

გაუმართავი ლიფტების პრობლემის მოგვარება უნდა გახდეს მსჯელობის საგანი და შეიძლება სხვადასხვა გამოსავალი მოიძებნოს. მიუხედავად იმისა, გაუმართავი ლიფტების პრობლემის მოგვარების რა გზები მოიძებნება, დღეს შექმნილი სავალალო სიტუაციიდან გამომდინარე, აუცილებელია სწრაფი, ეფექტიანი და თუნდაც დროებითი გამოსავლის პოვნა. ამისათვის, როგორც მინიმუმ, საწყის ეტაპზე, სახელმწიფომ თავად უნდა უზრუნველყოს ლიფტების მდგომარეობის შემოწმება და სათანადო ნაბიჯების გადადგმა. თუ აღმოჩნდა, რომ ლიფტის ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა აკრძალოს მისი ექსპლუატაცია. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფომ, პრიორიტეტული კლასიფიკატორის მიხედვით, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის“ მხარდაჭერის პროგრამების დახმარებით, უნდა უზრუნველყოს ამ ლიფტების რეაბილიტაცია ან ამ პროცესში ფინანსური თანამონაწილეობა ამხანაგობებთან ერთად, ლიფტის გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

ვინაიდან სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას სიცოცხლე, ვრცელდება ტექნიკური მიზეზით გამოწვეული უბედური შემთხვევის თავიდან აცილებაზე, აუცილებელია, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს გაუმართავი ლიფტების ექსპლუატაციის პრობლემის მოგვარება სწრაფი, ეფექტიანი და რეალისტური გზებით.

სიცოცხლის მოსპობას ხშირად იწვევს ხანძარი. მხოლოდ 2024 წლის პირველ ნახევარში საქართველოში იყო ხანძრის 5985 შემთხვევა, რომელთაც 21 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 122 ადამიანი დაშავდა.

რაც შეეხება პრაქტიკულ ნაბიჯებს, რომლებიც შეიძლება გადაიდგას ხანძრით გამოწვეული სიცოცხლის მოსპობის თავიდან ასაცილებლად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობებში კანონმდებლობით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების ზედმიწევნით შესრულებას და მასზე ზედამხედველობას. ასევე მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტექნიკური საშუალების გამოყენების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს გაფრთხილებას ხანძრით გამოწვეული საფრთხის შესახებ, მაგალითად, როგორიცაა კვამლის დეტექტორის სავალდებულო მონტაჟი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, გატარდეს ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება როგორც ხანძრისაგან პირთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუმჯობესების, ისე სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების ზედმიწევნით შესრულებისა და მათ შესრულებაზე სახელმწიფოს ეფექტიანი ზედამხედველობის უზრუნველყოფისაკენ. ასევე აუცილებელია სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება ხანძრით გამოწვეული უბედური შემთხვევების თავიდან აცილების შესახებ და მათი დანერგვა საქართველოში.

საქართველოში ელექტროდენის დარტყმით ადამიანის გარდაცვალება არ არის იშვიათობა. ამას მოწმობს ბოლო წლებში ქვეყანაში მომხდარი არაერთი ფაქტი, რომელთა შორის ერთ-ერთი გახმაურებული შემთხვევა მოხდა 2022 წლის ოქტომბერში თბილისში, ვაკის პარკში, და გამოიწვია 13 წლის მოზარდის სიცოცხლის მოსპობა.

დენის დარტყმისაგან სიცოცხლის დაცვისაკენ მიმართულ ღონისძიებებს შორის შეიძლება იყოს ელექტროგაყვანილობებისა და ელექტროდანადგარების მოწყობა-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელების ლიცენზირება. აუცილებელია არა მხოლოდ ელექტროგაყვანილობებისა და ელექტროდანადგარების მოწყობა-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელების ლიცენზირება, არამედ ელექტრული ქსელების მოწყობისა და ელექტროენერგეტიკული დანადგარების/მოწყობილობების უსაფრთხო ექსპლუატაციაზე ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს შექმნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დენის დარტყმისაგან სიცოცხლის დაცვის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია როგორც კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა, რომელიც მიმართული იქნება ელექტროგაყვანილობებისა და ელექტროდანადგარების მოწყობა-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელების ლიცენზირებისა და ამ სამუშაოს შესრულებაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტიანად განხორციელებისაკენ, ისე პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა არსებული საფრთხეების შესახებ საზოგადოების წევრების ინფორმირების მიზნით.

2.14. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება სატრანსპორტო შემთხვევებისაგან პირის სიცოცხლის დაცვაზე. ევროპული კონვენციის სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს საკანონმდებლო (ნორმატიული) ჩარჩო, მთლიანობაში, შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს სატრანსპორტო სისტემის უსაფრთხოების სფეროში. ამასთანავე, კვლევის შედეგად გამოვლინდა ორი პრობლემა, რომლის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს არც მატარებლის კარის თვითნებურად გაღების აკრძალვას და არც რკინიგზის მიერ გამაფრთხილე-

ბელი ნიშნების დამონტაჟების ვალდებულებას, რაც დადგენილია ევროპული სასამართლოს პრაქტიკით.

რაც შეეხება სატრანსპორტო სისტემის უსაფრთხოების დაცვის პრაქტიკას საქართველოში, გამოვლინდა რიგი პრობლემებისა, რომლებიც უნდა მოგვარდეს ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად სიკვდილიანობის მაჩვენებელი შემაშფოთებელია. ეს მაჩვენებელი რამდენჯერმე აღემატება ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში ყველაზე უარესი მაჩვენებლის მქონე ქვეყანასაც კი. საქართველოში 2023 წელს ავარიებს 442 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 2022 წელს ავტოავარიებში დაიღუპა 430 ადამიანი. ბოლო 10 წელიწადში კი, ჯამურად, საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევებში გარდაიცვალა 4922 ადამიანი.

მართალია, სახელმწიფო ატარებს ღონისძიებებს გზებზე სიკვდილიანობის შესამცირებლად (მაგ., ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეიტანეს ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მართვაზე ჯარიმის გამკაცრებას; ზამთრის პერიოდში გარკვეულ მონაკვეთებზე სავალდებულო გახადეს ავტომობილების ზამთრის საბურავებით აღჭურვა; ხელახლა შემოიღეს ავტომობილების სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება, წესრიგდება საგზაო ინფრასტრუქტურა) აუცილებელია, სახელმწიფომ გამოიჩინოს უფრო მეტი ძალისხმევა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად სიკვდილიანობის შესამცირებლად, რისთვისაც უნდა იყოს შესწავლილი გამოცდილება სხვა, მათ შორის, ევროკავშირის ქვეყნებისა, რომლებმაც ბოლო ათწლეულში წარმატებით შეამცირეს გზებზე სიკვდილიანობის მაჩვენებელი. ამისათვის აუცილებელია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შემცირების სტრატეგიის ჩამოყალიბება. ასევე საჭიროა, რომ საქართველოში, როგორც ზოგადად საზოგადოებაში, ისე ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფებში (მაგ., სკოლის მოსწავლეებს შორის) ამაღლდეს ცნობიერება საგზაო წესების დაცვის აუცილებლობაზე.

საქართველოში რკინიგზაზე ასევე ხდება უბედური შემთხვევები, რომლებსაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ასეთი უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფომ შეიძლება გაატაროს სხვადასხვა პრევენციული ღონისძიება. ამ ღონისძიებებს შორის შეიძლება იყოს რკინიგზის ლიანდაგის გადაკვეთის ადგილების განსაზღვრა, ლიანდაგის გადაკვეთის ადგილებზე გამაფრთხილებელი ნიშნების მონტაჟი, საზოგადოების, მათ შორის სკოლის მოსწავლეებს შორის, ცნობიერების ამაღლება რკინიგზასთან დაკავშირებული საფრთხის შესახებ.

ბოლო წლებში თბილისის მეტროში მოხდა შემთხვევები, რომლებსაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. მეტროში უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ისეთი პრევენციული ღონისძიებების გატარება, როგორებიცაა მეტროთი მოსარგებლეთა გაფრთხილება მეტროთი სარგებლობის წესების დარღვევის შედეგების შესახებ და საზოგადოების, მათ შორის სკოლის მოსწავლეების, ცნობიერების ამაღლება მეტროსთან დაკავშირებული საფრთხის შესახებ.

მართალია, წყლის ტრანსპორტის უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო სიცოცხლის მოსპობა შედარებით იშვიათობაა, ასეთი შემთხვევები პრაქტიკაში მაინც ხდება. ამიტომ, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ გაატაროს წინასწარი გამაფრთხილებელი ღონისძიებები სიცოცხლის მოსპობის თავიდან ასაცილებლად. საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სკუტერით სარგებლობის წესებს. ასეთმა წესებმა შეიძლება განსაზღვროს, რომ დაშვებულია სკუტერით სარგებლობა ამისათვის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ან ისეთ ადგილას, სადაც წყალში არ იმყოფებიან ადამიანები. ასეთი წესების არსებობა და მათი პრაქტიკაში აღსრულება უზრუნველყოფს უბედური შემთხვევების თავიდან აცილებას.

ასევე იშვიათობაა გარდაცვალების შემთხვევები პარაპლანის ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგად, თუმცა საქართველოს პრაქტიკაში მოხდა ასეთი შემთხვევები. ამ შემთხვევებმა განაპირობა პარაპლანით სარგებლობის წესების დადგენა საქართველოში. კერძოდ, საქართველოს რამდენიმე ნორმატიულ აქტში, მათ შორის საჰაერო კოდექსში შევიდა ცვლილებები, რომლითაც განისაზღვრა პარაპლანის აღჭურვილობის ვარგისიანობის დადგენის, ასევე პარაპლანის ოპერატორის სერტიფიცირებისა და პარაპლანის მფრინავის მოწმობის გაცემის საკითხები, რაც მიზნად ისახავს პარაპლანით სარგებლობის თანმდევი რისკების მინიმუმამდე შემცირებას და ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას.

საბოლოოდ, პრაქტიკაში წარმოქმნილი პრობლემების გამო, სახელმწიფომ უზრუნველყო ისეთი ნორმატიული აქტების მიღება, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვას. ეს შეიძლება გახდეს კარგი მაგალითი სხვა სფეროების მოწესრიგებისა, რომლებშიც არის გარდაცვალების შემთხვევები.

2.15. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება პირის სიცოცხლის დაცვაზე საზოგადოებრივ ადგილებში არსებული საფრთხეებისაგან. ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, თავიდან აიცილოს საზოგადოებრივ ადგილებში არსებული მწვანე ნარგავების წაქცევით გამოწვეული სიცოცხლის მოსპობა. ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზმა ცხადყო, რომ ასეთი მარეგულირებელი აქტი მოქმედებს მხოლოდ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში. საზოგადოებრივ ადგილებში არსებული მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის (ან ჯანმრთელობისათვის) საფრთხის თავიდან აცილების ვალდებულება უნდა მოქმედებდეს არა მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამიტომ, აუცილებელია, რომ საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს სახელმწიფოს ვალდებულება მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან აცილების შესახებ, რომელიც გავრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

რაც შეეხება საქართველოში საზოგადოებრივ ადგილებში არსებული საფრთხისაგან სიცოცხლის დაცვის პრაქტიკას, ევროპული სასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილებებისა და მისი ზოგადი პოზიციის საფუძველზე, ნაშრომში გაანალიზდა საზოგადოებრივი ადგილების უსაფრთხოების ისეთი სტანდარტების შესრულება ქვეყანაში, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს სიცოცხლის უფლების დარღვევა.

გარდა იმისა, რომ საზოგადოებრივ ადგილებში არსებული მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის (ან ჯანმრთელობისათვის) საფრთხის თავიდან აცილების ვალდებულება უნდა მოქმედებდეს არა მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით, აუცილებელია, რომ მოხდეს მწვანე ნარგავების წაქცევით ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან აცილების წესის ზედმიწევნით შესრულება და მასზე ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელება.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ საქართველოში ხშირია სიკვდილიანობა წყალზე (ზღვაზე, ტბაზე, მდინარეზე), რასაც მოწმობს ბოლო წლებში მომხდარი არაერთი ფატალური შემთხვევა.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც აწესრიგებს წყალზე სიცოცხლის უფლების დაცვას, საჭიროებს გაუმჯობესებას. გარდა იმისა, კანონი წყლის რესურსების მართვის შესახებ ადგენს, რომ მოსახლეობის სიცოცხლისა ან/და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი გარემოებების არსებობისას მუნიციპალიტეტები განსაზღვრავენ ადგილებს, სადაც ბანაობა აკრძალულია, აუცილებელია წყალზე სიცოცხლის დაცვის მარეგულირებელი ნორმების დადგენა. 2019 წელს მიღებული კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ მოითხოვს, რომ საქართველოს მთავრობამ დაამტკიცოს წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი. ეს წესი, რომელმაც საქართველოში უნდა შექმნას წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის ეფექტიანი სისტემა, ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის მიღების გარდა, საქართველოში უნდა გატარდეს პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება წყალზე სიცოცხლის უფლების ეფექტიანი დაცვისაკენ. ამ პრაქტიკულ ღონისძიებებს შორის შეიძლება იყოს წყალზე სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ტერიტორიების იდენტიფიცირება, მათი შემოსაზღვრა და ამ ტერიტორიებზე შესვლის აკრძალვა, წყალზე სიკვდილიანობის შემცირებისაკენ მიმართული სხვადასხვა შეზღუდვის დაწესება (მაგ., ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ყოფნის, ასევე შტორმში, უამინდობასა და შეზღუდული ხილვადობის დროს წყალში შესვლის აკრძალვა; წყალში შესვლის აკრძალვა იქ, სადაც არ არის მოწყობილი სანაპირო ზოლი), ადამიანთა მაღალი კონცენტრაციის ადგილებში სათანადო ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი მაშველების მომსახურების უზრუნველყოფა, გამაფრთხილებელი და ბანაობის ამკრძალავი საინფორმაციო ბანერების განთავსება, ცნობიერების ამაღლება და სხვ.

აქედან გამომდინარე, საქართველოში წყალზე სიცოცხლის ეფექტიანი დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია როგორც საკანონმდებლო (ნორმატიული) ბაზის დახვეწა, ისე ეფექტიანი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა.

საქართველოში ბოლო წლებში მოხდა რამდენიმე ფატალური შემთხვევა, რომლებიც გამოიწვია შემთხვევით ადამიანის კლდიდან ან სიმაღლიდან გადავარდნამ ან ხევში გადაჩეხვამ. ერთ-ერთი ბოლოდროინდელი შემთხვევა მოხდა 2024 წლის სექტემბერში თბილისში, პირველი რესპუბლიკის მოედანზე, სადაც ორი ახალგაზრდა ქალი კვეთდა ქუჩას, როდესაც ერთ-ერთი მათგანი მიწისქვეშა გადასასვლელის ჯებირს წამოედო და ჩავარდა მიწისქვეშა გადასასვლელში, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პრევენციული ღონისძიებების გატარება საზოგადოებრივ ადგილებში (ტერიტორიებზე), სადაც არსებობს საფრთხე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ამისათვის სახელმწიფომ, სადაც ეს გონივრული იქნება, უნდა უზრუნველყოს შესაბამის ადგილას (ტერიტორიაზე) როგორც გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება და ჯებირების მოწყობა, ისე ნებისმიერი სხვა საშუალების გამოყენება, რომელიც დაიცავს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უბედური შემთხვევისაგან.

საქართველოს პრაქტიკაში იყო ადამიანის გარდაცვალების შემთხვევა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ნაწილის ჩამოშლის შედეგად. მართალია, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს წესს, რომლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს პერიოდულად ძეგლის შემოწმება და, საფრთხის შემთხვევაში, სათანადო ღონისძიებების გატარება, აუცილებელია კანონით გათვალისწინებული წესების დაცვა პრაქტიკაში. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფიზიკური მდგომარეობის პერიოდული შემოწმება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად.

ზოგადად, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ყველა იმ საქმიანობის (სფეროს) დადგენა, რომელშიც ადამიანის სიცოცხლეს შეიძლება შეექმნას საფრთხე უბედური შემთხვევისაგან. ამისათვის აუცილებელია, სახელმწიფომ ჩაატაროს ყოვლისმომცველი კვლევა, რომლის მიზანი იქნება უბედური შემთხვევებით გამოწვეული სიცოცხლის მოსპობის მიზეზების იდენტიფიცირება. სიცოცხლის მოსპობის მიზეზების იდენტიფიცირებას უნდა მოჰყვეს უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მექანიზმის დახვეწა, საკანონმდებლო (ნორმატიული) ჩარჩოს დადგენა (გაუმჯობესება) და პრაქტიკული ღონისძიებების გატარება, უბედური შემთხვევისაგან სიცოცხლის მოსპობის თავიდან ასაცილებლად.

2.16. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ვრცელდება სამაშველო ოპერაციების ჩატარებაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს შესაბამის ევროპულ სტანდარტებს.

რაც შეეხება სამაშველო ოპერაციების უსაფრთხოების დაცვის პრაქტიკას საქართველოში, ვინაიდან ნაშრომში სამაშველო ოპერაციის უსაფრთხოების დაცვა განხილულ იქნა რაჭის (შოვის) სტიქიის მაგალითზე, შეიძლება აღინიშნოს, რომ ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, ამ სამაშველო ოპერაციასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაა. მიმდინარე გამოძიების მიერ ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხების გაცემის გარეშე, შოვში ჩატარებული სამაშველო ოპერაცია ვერ ჩაითვლება დროულად და ეფექტიანად.

2.17. უბედური შემთხვევების შედეგად სიცოცხლის მოსპობის თავიდან აცილების შესახებ განხილული საკითხების გარდა, ნაშრომში იდენტიფიცირებულია რამდენიმე საქმიანობა (სფერო), რომელთა მიმართ სახელმწიფოს შეიძლება დაეკისროს სიცოცხლის უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება. ამიტომ აუცილებელია, რომ, ევროპული სასამართლოს პოზიციის გათვალისწინებით, ამ საქმიანობების (სფეროების) მიმართ სახელმწიფომ მიიღოს საკანონმდებლო (ნორმატიული) ჩარჩო და უზრუნველყოს მათი ეფექტიანი აღსრულება პრაქტიკაში. ამ

საქმიანობებს (სფეროებს) განეკუთვნება ატრაქციონების უსაფრთხოება, დაცვა შინაური და გარეული ცხოველებისაგან, დაცვა ცოფისაგან, უსაფრთხოება თხილამურებით, სნოუბორდით, ციგით, ან თოვლზე/ყინულზე სასრიალო ნებისმიერი სხვა საშუალებით გადაადგილებისას, უსაფრთხოება საჰაერო ბუშტით გადაადგილებისას და უსაფრთხოება ჭის გაწმენდის სამუშაოს შესრულებისას.

ამ საქმიანობების (სფეროების) უმრავლესობა მოწესრიგებულია საქართველოს კანონმდებლობით, თუმცა ზოგიერთი საქმიანობა (სფერო) არ არის მოწესრიგებული. გარდა იმისა, რომ სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ნაშრომში იდენტიფიცირებული საქმიანობის (სფეროს) საკანონმდებლო მოწესრიგება, აუცილებელია, სახელმწიფომ უზრუნველყოს შესაბამისი საქმიანობის (სფეროს) მარეგულირებელი კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება და მასზე ზედამხედველობის დაწესება, სიცოცხლის საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან მის მინიმუმამდე შესამცირებლად.

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის ანალიზმა გამოავლინა, რომ ფატალური შემთხვევების ნაწილი ეხება ადამიანების გარდაცვალებას შენობებიდან გადმოვარდნის შედეგად. ცხადია, რომ გამოძიებამ უნდა დაადგინოს, ამ პირთა გარდაცვალება შემთხვევითობა იყო თუ სუიციდი ან მისი მცდელობა. თუ საკითხი შეეხება თვითმკვლელობის საფრთხეს, ასეთი საფრთხის დროულად იდენტიფიცირება და შესაბამისი პირისათვის ფსიქოლოგიური/ფსიქიკური დახმარება იქნება სწორი ნაბიჯი სახელმწიფოს მხრიდან. იმავეს მტკიცება შეიძლება ბავშვებზე, რომლებიც უფრო მოწყვლადებად მიიჩნევიან სხვადასხვა სტრესის მიმართ.

რაც შეეხება ბავშვების შემთხვევით გარდაცვალებას, სახელმწიფომ უნდა გაატაროს პრევენციული ღონისძიებები უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად. როგორც ეს განსაზღვრულია მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით, უბედური შემთხვევისაგან ბავშვის სიცოცხლის დასაცავად აუცილებელია, რომ საქართველომ განსაზღვროს, ზრდასრულთა ზედამხედველობის გარეშე, არასრულწლოვანთა შინ მარტო დატოვებისათვის დასაშვები ასაკი. საერთაშორისო პრაქტიკით, არასრულწლოვანთა შინ მარტო დატოვების ასაკი 10-14 წლის ფარგლებში მერყეობს. ცხადია, რომ ბავშვის სიცოცხლისათვის საფრთხის თავიდან აცილება ვერ მოხდება მხოლოდ ბავშვების მარტო დატოვების აკრძალვით და საჭიროა, რომ სახელმწიფომ შექმნას სისტემა, რომელიც მიმართული იქნება მშობლებისათვის მხარდაჭერის აღმოჩენისაკენ.

ზოგადად, ბავშვის, განსაკუთრებით მცირეწლოვნის, შინ მარტო დატოვების გარდა, უნდა აიკრძალოს ბავშვების ზედამხედველობის გარეშე დატოვება ნებისმიერ ადგილას, სადაც მომეტებული საფრთხეა სიცოცხლისათვის, მაგ.: ზღვასთან, აუზთან, ცეცხლთან და ასე შემდეგ.

კიდევ ერთი საყურადღებო საკითხი პიროტექნიკის გამოყენებაა, რომელიც ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველია. გარდა იმისა, რომ პიროტექნიკის გამოყენება მავნეა გარემოსათვის და იწვევს მსხვერპლს ცხოველებსა და ფრინველებს შორის, საქართველოს პრაქტიკაში არის პიროტექნიკით გარდაცვალების შემთხვევები, ისევე როგორც სხეულის დაზიანების არაერთი შემთხვევა.

საქართველოს კანონმდებლობით, დაშვებულია პიროტექნიკის გამოყენება, გარკვეული შეზღუდვებით. მართალია, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ-

დარღვევათა კოდექსით, იკრძალება პიროტექნიკის მიყიდვა არასრულწლოვნებისათვის, რეალურად, ეს პიროტექნიკა ხშირად მათ ხელში ხვდება და მათ დასახიჩრებას იწვევს, რასაც მოწმობს მრავალი შემთხვევა. ზოგადად კი, საქართველოში პიროტექნიკით დაზიანების არაერთი შემთხვევაა როგორც არასრულწლოვნებს, ისე სრულწლოვნებს შორის, რომელთა შედეგად ისინი სხვადასხვა სხეულებრივ დაზიანებას იღებენ, კიდურების ან ხელის თითების მოკვეთის ჩათვლით.

ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ასევე გარემოსა და ცხოველთა ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ აიკრძალოს პიროტექნიკის გამოყენება საქართველოში.

3. სიცოცხლის უფლების დაცვის (პოზიტიური ვალდებულება) მარეგულირებელი კანონმდებლობა და მისი შესრულების პრაქტიკა საქართველოში: პროცესუალური ნაწილი

3.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება მოიცავს როგორც ეფექტიანი გამოძიების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღებას, ისე მის აღსრულებას პრაქტიკაში. სახელმწიფომ რომ შეასრულოს თავისი პოზიტიური ვალდებულება პროცესუალურ ნაწილში, უნდა დააკმაყოფილოს რამდენიმე მოთხოვნა, კერძოდ: გამოძიება უნდა დაიწყოს სახელმწიფოს ინიციატივით; გამოძიება უნდა იყოს დამოუკიდებელი და ადეკვატური; გამოძიება უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ და წარიმართოს გონივრული სისწრაფით; უნდა არსებობდეს საზოგადოებრივი კონტროლი გამოძიების მიმართ და გარდაცვლილის ნათესავი უნდა იყოს ჩართული გამოძიების პროცესში.

3.2. გამოძიების წარმოების ინიციატივის შესახებ ევროპულ სტანდარტთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი შეესაბამება ევროპულ სტანდარტს, რომლის მიხედვით, გამოძიების წარმოების ინიციატივა ეკუთვნის სახელმწიფოს და არ არის დამოკიდებული გარდაცვლილის ნათესავის საჩივარზე.

რაც შეეხება საქართველოს პრაქტიკას გამოძიების დაწყების ინიციატივის შესახებ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ვერ იქნა მოძიებული ინფორმაცია პირის სიცოცხლის მოსპობის ფაქტის შესახებ, რომელმაც შეიძლება წამოჭრას შეუსაბამობის საკითხი ევროპული კონვენციის შესაბამის სტანდარტსა და საქართველოს კანონმდებლობას შორის. გამოძიების დაწყების ინიციატივის შესახებ ვერც საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზის შედეგად აღმოჩენილა რაიმე პრობლემა.

3.3. ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, გამოძიება რომ ჩაითვალოს ეფექტიანად, მას უნდა აწარმოებდეს იმ პირისაგან იერარქიულად, ინსტიტუციურად და პრაქტიკულად დამოუკიდებელი პირი, რომლის ქმედებამ, სავარაუდოდ, გამოიწვია ადამიანის გარდაცვალება. საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ, კანონით

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ შექმნილია მექანიზმი, რომლის მიხედვით, გამოძიება უნდა აწარმოოს იმ პირისაგან იერარქიულად, ინსტიტუციურად და პრაქტიკულად დამოუკიდებელმა გამომძიებელმა, რომლის ქმედებამ, სავარაუდოდ, გამოიწვია ადამიანის გარდაცვალება. აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს სტანდარტს გამოძიების დამოუკიდებლობის მიმართ.

რაც შეეხება საქართველოში გამოძიების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის პრაქტიკას, მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციისა და საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა შემთხვევები, რომლებმაც ეჭვის ქვეშ დააყენა გამოძიების დამოუკიდებლობა. საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ცხადყო გამოძიების დამოუკიდებლობის პრობლემურობა საქართველოში, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ეს საქმეები, ძირითადად, ეხება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის დაარსებამდე მომხდარ ფაქტებს. ვინაიდან უკვე ფუნქციონირებს სპეციალური საგამოძიებო სამსახური, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ საქართველოში გამოძიების დამოუკიდებლობის შესახებ ევროპულ სასამართლოში შეტანილი სარჩელების რაოდენობა შემცირდება. აუცილებელია, რომ გატარდეს ღონისძიებები გამოძიების დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, რისთვისაც აუცილებელია, ზედმიწევნით შესრულდეს მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ, კანონი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ.

ვინაიდან ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია, რომ პირველადი საგამოძიებო მოქმედებები განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს გამოძიების დამოუკიდებლად ჩატარებისათვის, მნიშვნელოვანია, თუ ნათელი გახდა, რომ სიცოცხლის მოსპობა ჩაიდინა პოლიციის თანამშრომელმა, გამოძიება თავიდანვე დაიწყოს სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, ნაცვლად შსს-სა. ამ შემთხვევაში პოლიციამ შეიძლება მხოლოდ უზრუნველყოს დანაშაულის ადგილის დაცვა, რათა არ დაიკარგოს ან განადგურდეს შესაბამისი მტკიცებულებები.

3.4. გამოძიების ადეკვატურობის მიმართ ევროპული კონვენციის სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ითვალისწინებს საგამოძიებო მოქმედებების მთელ რიგს, რომელთა მიზანია საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვება. აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს.

რაც შეეხება საქართველოში გამოძიების ადეკვატურობის უზრუნველყოფის პრაქტიკას, მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის, სახალხო დამცველის ანგარიშებისა და საქართველოს მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე, ქვეყანაში არსებული სიტუაციის შესწავლის შედეგად, გამოვლინდა ადეკვატური გამოძიების მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევები, კერძოდ, მოწმეთა ჩვენებების მიღებისა და მტკიცებულებათა მოპოვებასთან დაკავშირებული ხარვეზები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია გატარდეს ეფექტიანი ღონისძიებები საქართველოში ადეკვატური გამოძიების ჩატარებისა და ევროპული სტანდარტების ზედმიწევნით შესრულების უზრუნველსაყოფად.

3.5. გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყებისა და გონივრული სისწრაფით წარმართვის შესახებ ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა პირდაპირ არ ადგენს გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყების ვალდებულებას. რაც შეეხება გონივრული სისწრაფით გამოძიების წარმართვის ევროპულ სტანდარტს, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება მას.

რაც შეეხება გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყების პრაქტიკას, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებისა და საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოში გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყების პრაქტიკა საჭიროებს გაუმჯობესებას. რაც შეეხება გამოძიების გონივრული სისწრაფით წარმართვისა და უმიზეზო გაჭიანურებისაგან თავის შეკავებას, საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა. როგორც მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციიდან, ისე საქართველოს წინააღმდეგ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან ვლინდება, მრავალ, მათ შორის გახმაურებულ საქმეებზე, გამოძიება გრძელდება უსასრულოდ, ხოლო გამოძიების შედეგები არც საზოგადოებისათვის და არც გარდაცვლილის ნათესავისათვის არ არის ცნობილი.

აქედან გამომდინარე, საქართველოში ჩამოყალიბებული პრაქტიკა არ აკმაყოფილებს ევროპული სასამართლოს სტანდარტებს. გამოძიება უნდა ჩატარდეს გონივრული სისწრაფით და თავიდან უნდა იქნეს აცილებული გამოძიების უმიზეზო გაჭიანურება. თუ გამოძიებამ შეგროვებული მტკიცებულებები არ მიიჩნია საკმარისად შესაბამისი პირისათვის სისხლისსამართლებრივი ბრალდების წაყენებისათვის, მაშინ გამოძიება უნდა შეწყდეს დანაშაულის არარსებობის გამო. არსებული მდგომარეობის შესწავლამ ასევე ცხადყო, რომ საქართველოს პრაქტიკაში იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფომ შეწყვიტა გამოძიება საქმეზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის გამო. გამოძიების შეწყვეტა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო არ აკმაყოფილებს საპროცესო ვალდებულების მოთხოვნას, თუ საქმის გაჭიანურება გამოწვეულია გამოძიების პასიურობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მდგომარეობის გამოსასწორებლად უნდა გატარდეს ეფექტიანი ღონისძიებები როგორც გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყების, ისე მისი გონივრული სისწრაფით წარმართვის უზრუნველყოფისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი გამოძიება, რომელიც არ დაიწყო დაუყოვნებლივ და წარიმართა დაუსაბუთებელი გაჭიანურებით, შეიძლება გახდეს ევროპული სასამართლოს განხილვის საგანი და მის მიერ სიცოცხლის უფლების დარღვევის დადგენის საფუძველი.

3.6. საქართველოში გამოძიების მიმართ საზოგადოებრივი კონტროლისა და გამოძიების პროცესში გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობის შესახებ ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს გარდაცვლილის ნათესავის (დაზარალებულის უფლებამონაცვლე) ისეთ უფლებებს, რომლებიც გათვალისწინებულია ევროპული

სტანდარტებით და, აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება ევროპული კონვენციის მოთხოვნებს.

რაც შეეხება საქართველოში გამოძიების მიმართ საზოგადოებრივი კონტროლისა და გამოძიების პროცესში გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობის პრაქტიკას, მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციისა და საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოში დაზარალებულისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომა არ არის პრაქტიკული და ეფექტიანი. კერძოდ, გამოძიების პროცესში გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობის შესახებ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ რამდენიმე შემთხვევაში გარდაცვლილის ნათესავებს არ მიენიჭათ დაზარალებულის სტატუსი, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, ასეთი სტატუსის მინიჭების გარეშეც, მათ მაინც ჰქონდათ წვდომა გამოძიების მასალებზე. ამიტომ აუცილებელია, რომ გატარდეს ეფექტიანი ღონისძიებები გარდაცვლილის ნათესავისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების უზრუნველსაყოფად, რაც მისცემს მას შესაძლებლობას, სრულყოფილად ისარგებლოს საპროცესო უფლებებით. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ „არასათანადო მოპყრობის მსხვერპლისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა და ინფორმაციის მიწოდების შესახებ“ სახელმძღვანელო დოკუმენტის დამტკიცება, რომელიც მიზნად ისახავს სისხლის სამართლის საქმის მასალებთან წვდომის გაადვილებას. მართალია, ეს დოკუმენტი ამოქმედდა შედარებით ცოტა ხნის წინ და ვერც მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციისა და ვერც საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე ვერ შეფასდება მისი პრაქტიკული გავლენა გამოძიების პროცესში გარდაცვლილის ნათესავის ჩართულობაზე, ასეთი დოკუმენტის მიღება თავისთავად დადებითად უნდა შეფასდეს. ამ დოკუმენტის მაგალითის საფუძველზე მსგავსი სახელმძღვანელო დოკუმენტის მიღება, რომელიც მიმართული იქნება გამოძიების პროცესში გარდაცვლილი ნათესავის ჩართულობის უზრუნველყოფისაკენ, მიზანშეწონილია, განიხილონ სხვა შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა, რომლებიც აწარმოებენ გამოძიებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, გატარდეს ღონისძიებები დაზარალებულისათვის სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომის ეფექტიანი უზრუნველყოფისათვის, ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით.

3.7. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, სახელმწიფო ვალდებულია, განსაკუთრებული ძალისხმევით აწარმოოს გამოძიება, რომელიც ეხება სიცოცხლის მოსპობას დისკრიმინაციული მოტივით. ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ადგენს სამართლებრივ საფუძველს, რომლის მიხედვით, გამოძიება უნდა ჩატარდეს დისკრიმინაციის მოტივით სიცოცხლის მოსპობის ფაქტის (ისევე როგორც ნებისმიერი სხვა დანაშაულის) მიმართ. ასეთი მიდგომა შეესაბამება ევროპული კონვენციის სტანდარტს.

რაც შეეხება საქართველოში დისკრიმინაციული მოტივით სიცოცხლის მოსპობის შემთხვევების გამოძიების პრაქტიკას, საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებმა გამოავლინა გამოძიების წარმოებისას გენ-

დერული ნიშნით დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთის ხარვეზები. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის ანალიზის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ არსებობს ხარვეზები რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების მიმართ, კერძოდ, რომ ზოგ შემთხვევაში არ იკვეთება დისკრიმინაციული საფუძველი. ამ დასკვნას საფუძვლად უდევს სახალხო დამცველის ანგარიში, რომელიც ასახავს რამდენიმე წლის წინანდელ მდგომარეობას საქართველოში, თუმცა ბოლოდროინდელი მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესდა ქვეყანაში.

დისკრიმინაციული მოტივით სიცოცხლის მოსპობის შემთხვევების გამოძიების ევროპული სტანდარტებიდან გამომდინარე, თუ მკვლელობის განმაპირობებელი ფაქტორი შეიძლება იყოს დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაული, აუცილებელია, გამოძიებამ გამოკვეთოს ასეთი მოტივი და ამ კუთხით წარმართოს გამოძიება. ეს მოიცავს ნებისმიერი საფუძვლით დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილ მკვლელობას, მათ შორის სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის საფუძვლით.

მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების თანამშრომელთა სწავლება დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის შესახებ საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის თაობაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით.

3.8. სიცოცხლის მოსპობისათვის პასუხისმგებლობის მიმართ ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები, მთლიანობაში, ასახავს ევროპული სასამართლოს სტანდარტებს. ამასთანავე, აღსანიშნავია რამდენიმე საკითხი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ საქართველოს კანონმდებლობის სრულ შესაბამისობას ევროპულ სტანდარტებთან. კერძოდ, ევროპული სასამართლოს მიდგომიდან გამომდინარე, აუცილებელია, კანონმდებლობით მკაფიოდ განისაზღვროს, რომ განზრახ მკვლელობის ჩამდენი სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები (ისევე როგორც ამ ორგანოების წარმომადგენლები, რომლებმაც ჩაიდინეს წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა) არ დაექვემდებარებიან ამნისტიას; ასევე, მიზანშეწონილია, შეწყალების წესში შევიდეს ცვლილება, რომელიც, იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ განზრახ მკვლელობის ჩადენის შემთხვევაში, დაუშვებელია პირის შეწყალება.

რაც შეეხება იმ პირისათვის საჯარო თანამდებობის შენარჩუნებას, რომელმაც სხვა პირს განზრახ მოუსპო სიცოცხლე, ევროპული სტანდარტებიდან გამომდინარე, მართებული იქნება, დამნაშავისათვის საჯარო თანამდებობაზე ყოფნის უფლების ჩამორთმევა, რომელმაც პირს განზრახ მოუსპო სიცოცხლე, საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვროს იმპერატიული ფორმით.

რაც შეეხება საქართველოში სიცოცხლის მოსპობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პრაქტიკას, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებისა და საქართველოს მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწ-

ყვეტილებების შესწავლის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომლის მიხედვით, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ სიცოცხლის მოსპობისათვის შეფარდებული სასჯელი ყოველთვის არ არის ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი, რაც სხვა პირებს თავს შეაკავებინებს ასეთი დანაშაულის ჩადენისაგან. რაც შეეხება სიცოცხლის მოსპობისათვის მსჯავრდებულ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა მიმართ ამნისტიის გამოცხადებას ან შეწყალების გამოყენებას, პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც სახელმწიფომ გამოიჩინა არაგონივრული ლმობიერება მსჯავრდებულ პირთა მიმართ მათი ნაადრევი განთავისუფლებით სასჯელის მოხდისაგან.

რაც შეეხება ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში წამოჭრილ სხვა საკითხებს სიცოცხლის მოსპობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, როგორებიცაა: განაჩენის აღსრულების დაყოვნება ან მისი აღუსრულებლობა, განაჩენის გამოცხადების შეჩერება, სიცოცხლის განზრახ მოსპობის ჩამდენი პირის მიერ საჯარო თანამდებობის შენარჩუნება და მსჯავრდებული პირის მიერ დარჩენილი სასჯელის მოხდა საქართველოში, მასმედიით გავრცელებული ინფორმაციისა და საქართველოს მიმართ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე, ვერ იქნა აღმოჩენილი ევროპული კონვენციის სტანდარტებთან შეუსაბამო პრაქტიკა.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, გატარდეს ღონისძიებები სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ სიცოცხლის მოსპობისათვის შეფარდებულ სასჯელთან ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერების უზრუნველსაყოფად. ასევე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ არ გამოიყენოს ამნისტია ან შეწყალება იმ სამართალდამცავის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა განზრახ მკვლელობა.

ავტორის შესახებ

კონსტანტინე კორკელია – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი.

1997 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1999 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 2003 წელს სადოქტორო დისერტაცია საერთაშორისო სამართლის სპეციალობით. 1999-2000 წლებში სწავლობდა მაგისტრატურაში ლეიდენის უნივერსიტეტში (ნიდერლანდი) და მიიღო საერთაშორისო სამართლის მაგისტრის ხარისხი (წარჩინებით).

სამეცნიერო სტაჟირება გავლილი აქვს ევროპისა და ამერიკის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში, მათ შორის: ბრიტანეთის საერთაშორისო და შედარებითი სამართლის ინსტიტუტში (ლონდონი), ჰააგის საერთაშორისო სამართლის აკადემიაში (ჰააგა), ასერის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტში (ჰააგა), ჰელსინკის უნივერსიტეტში (ჰელსინკი), ფედერალიზმის ინსტიტუტში (ფრიბურგი); შედარებითი საჯარო სამართლისა და საერთაშორისო სამართლის მაქს პლანკის ინსტიტუტში (ჰაიდელბერგი), ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა და გლობალური სამართლიანობის ცენტრში (ნიუ-იორკი), ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში (ბერლინი).

მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის საერთაშორისოსამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ. 2000 წლიდან 2002 წლამდე იყო საქართველოს გენერალური წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. 2005 წლიდან 2007 წლამდე იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე. 2008 წლიდან 2013 წლამდე იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლატვიაში, ხოლო 2013 წლიდან 2017 წლამდე იყო საქართველო მუდმივი წარმომადგენელი ევროპის საბჭოში.

2024 წელს, 4 წლის ვადით, აირჩიეს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრად.

არის 80-ამდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 33 მონოგრაფიის ავტორი და ადამიანის უფლებათა შესახებ ყოველწლიური კრებულის რედაქტორი.